თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ძველი ქართული ენის კათედრის შრომები. 22

# ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია

ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო

ივანე იმნაიშვილმა

თბილისი — 1979

8Г1+4Г
899.962.1.09+091(=99.962.1)
ი 507

ოთხთავი ქართული ენის, ქართული ენის ისტორიის ყველაზე უმნიშვნელოვანესი და უძველესი წერილობითი ძეგლია. იგი არა მარტო ქართული ენის, მისი ისტორიის უძვირფასესი მატიანეა, არამედ აქედან ღებულობს სათავეს ქართული ლიტერატურა, საქართველოს ისტორია, ქართული ეთნოგრაფია, ხელოვნება და ბევრი სხვა ჰუმანიტარული სამეცნიერო დისციპლინა.

წიგნში ვრცელ გამოკვლევასთან ერთად ქვეყნდება ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, რომელთაგანაც პირველი ეკუთვნის ეფთვიმე მთაწმიდელს, ხოლო მეორე — გიორგი მთაწმიდელს.

ნაშრომი განკუთვნილია ფილოლოგების, ისტორიკოსებისა და ქართული კულტურის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

რედაქტორი ა. შანიძე

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1979

70101
И ———
М 602(06)-79

# ႼႨႬႠႱႨႲႷႥႠႭႡႠ

ოთხთავი ქართული ენის, ქართული ენის ისტორიის ყველაზე უძველესი და უმნიშვნელოვანესი წერილობითი ძეგლია. იგი ამასთანავე უპირველესი წიგნია, რომელმაც ფართო მოცულობის უაღრესად მნიშვნელოვანი გაბმული ტექსტები შემოგვინახა. IV საუკუნის მეორე ნახევრიდან XI საუკუნის შუა წლებამდე უწყვეტ ნაკადად მოედინება იგი და თან მოაქვს გასული საუკუნეებისა და ეპოქების ენობრივი თავისებურებანი, რომლებიც ჩვენს ენას ცხოვლად დააჩნდა და ბევრმა მათგანმა თითქმის დღემდე მოატანა. მასში წმინდად არის დაცული ჩვენი ენის ძალიან შორეული სახე, ულტრაარქაული ლექსიკა, ზედმიწევნით მოქნილი, დახვეწილი და დიდი ექსპრესიული ძალის მფლობელი გრამატიკული ფორმები, შესახარბებელი სინტაქსი. და ყველაფერი ეს გამოხატულია დიდებული ძველი ქართული ანბანით, ასომთავრულს (მრგლოვანს) რომ უწოდებენ და მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო დამწერლობად რომ არის მიჩნეული.

ჩვენი ოთხთავი არის არა მარტო ქართული ენის, მისი ისტორიის უძვირფასესი ძეგლი, არამედ აქედან ღებულობს სათავეს ქართული ლიტერატურა, საქართველოს ისტორია, ქართული ეთნოგრაფია, ხელოვნება (განსაკუთრებით, მხატვრობა) და ბევრი სხვა ჰუმანიტარული სამეცნიერო დისციპლინა. ამიტომ ერთიორად და მეტად იზრდება ინტერესი ამ ძვირფასი ძველი წიგნის გამოცემისადმი.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ვლ. ბენეშევიჩის გამოცემას[1], რომელიც ნაკლული იყო (გამოვიდა მხოლოდ მათე და მარკოზი) და შიგადაშიგ ბევრ შეცდომას შეიცავდა (ვერ გაიგებდით, სად იწყებოდა ერთი რედაქცია და სად მთავრდებოდა მეორე), დღემდე მეცნიერულად გამოქვეყნებული იყო მხოლოდ ორი ძველი რედაქცია: ადიშური და ოპიზური (ამ უკანასკნელი რედაქციის მხოლოდ ორი ხელნაწერი — ჯრუჭისა და პარხლისა)[2].

ახლა აქ ქვეყნდება ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, რომელთაგან პირველი (ბოლოსწინა) ეკუთვნის ექვთიმე მთაწმიდელს, ხოლო მეორე (სულ ბოლო) — გიორგი მთაწმიდელს.

ქართული ოთხთავის რედაქციების სათვალავში არ შეგვაქვს ეფრემ მცირისა და იოვანე პეტრიწის თარგმანები, რადგან ისინი ამა თუ იმ ვიწრო მეცნიერული (უფრო ფილოსოფიურ-თეოლოგიური) მიზნით იყო შესრულებული და საყოველთაო სახალხო ხმარებაში არასდროს არ ყოფილა. აქედანვე გამომდინარეობს, რომ სახელგანთქმულ მეცნიერთა ეს შრომები არც გავრცელებულა საყოველთაო სახმარებლად, როგორც სხვა ასეთი ხასიათის წიგნები, და თითო-ოროლა ცალებად დარჩნენ.

ქართული ოთხთავის რედაქციებში ყველაზე დღეგრძელი გამოდგა გიორგის რედაქცია. იგი და მისი შემქმნელი იყვნენ დიდი საქართველოს განმტკიცებისა და

---

[1] სახარებაჲ ოთხთავი ორთა ჴელნაწერთაგან შ ი გ და შ ქ ე წელთათა, გამოსცა ვლადიმერე ბენეშევიჩმან, ნაკვეთი ა (მათე), 1909 წ., ნაკვეთი ბ (მარკოზ), 1911 წ., ს.-პეტერბურგი.

[2] ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა ა. შანიძემ, 1945.

აყვავებისათვის ერთგული, დაუღალავი მებრძოლნი. ამ წიგნმა გაუძლო საუკუნეების მკაცრ ბრძოლებსა და მძიმე განსაცდელთ, მრავალი ავბედობა და გასაჭირი გადაიტანა და მშვიდობიანად და პირნათლად მოაღწია ჩვენამდე.

აღსანიშნავია, რომ ორივე ბოლო რედაქცია დამუშავდა ქართული მწიგნობრობისა და კულტურის საზღვარგარეთულ კერაში, ათონის ქართულ ლავრაში. ეს ფაქტი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მძლავრ საქართველოს XI—XII საუკუნეებში მჭიდრო პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობა ჰქონდა იმდროინდელი ევროპა-აზიის მოწინავე ქვეყნებთან. ქართველი ხალხის განათლებული შვილები მხოლოდ ადგილობრივ, ვიწრო წრეებში მუშაობით არ კმაყოფილდებოდნენ, უფრო ფართო სამოღვაწეო ასპარეზს ეძებდნენ, საზღვარგარეთის ცნობილ ცენტრებში აარსებდნენ მწიგნობრულ-კულტურულ კერებს და იქ აჩაღებდნენ მჩქეფარე ლიტერატურულ-კულტურულ საქმიანობას. ასეთი დაუცხრომელი მისწრაფებისა და ძიების შედეგია დიდი ქართული მწიგნობრულ-კულტურული ცენტრების არსებობა და იქ გაჩაღებული მხურვალე ლიტერატურული საქმიანობა, ათონის გარდა, იერუსალიმში, გეთსიმანიაში, ბეთლემში, სინის მთაზე, შავ მთაზე, საკვირველ მთაზე, რომანაში, პეტრიწონში, პალესტინის სხვა ლავრებში და ბევრგან სხვაგან.

ეფთვიმესა და გიორგის რედაქციების მეცნიერული გამოცემა მხოლოდ ახლა მოხერხდა. ასრულდა ი. ჯავახიშვილის დიდი ხნის წადილი: „გ. მთაწმიდელს იმდენად დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოსა და ქართული საისტორიო მწერლობის წინაშე, რომ მისი თხზულება უკეთესი გამოცემის ღირსია. ეს ჩვენი მოვალეობაც არის"[1]. დიდი მეცნიერის ეს სიტყვები თანაბრად ეხება აგრეთვე გიორგისა და ეფთვიმეს წინამდებარე შრომებსაც.

ეფთვიმეს რედაქციის ოთხეულიდან აქ ქვეყნდება მხოლოდ FG (ურბნისისა და პალესტინური) ოთხთავები. BM (ტბეთისა და მესტიის) ხელნაწერები, მათი დიდი მეცნიერული მნიშვნელობის გამო, მალე მოჰყვება ამათ.

გიორგის რედაქციას აქ წარმოადგენს სამი სახელგანთქმული ნუსხა—HIK (ვანის, ეჩმიაძინისა და გელათის ოთხთავები). ესენი სხვა მხრივაც (ხელოვნების თვალსაზრისითაც) იქცევენ სპეციალისტთა განსაკუთრებულ ყურადღებას. ამიტომაა, რომ ეს ხელნაწერები კარგა ხანია ხელოვნებათმცოდნეთა კვლევის ობიექტიც გახდა და სათანადოდაც არის ამ მხრივ შესწავლილი.

ჩვენში სხვაც არა ერთი და ორია ეფთვიმესა და, განსაკუთრებით, გიორგის რედაქციის ხელნაწერები. მათ თანდათანობით გამოვლინება და შესწავლა ესაჭიროებათ.

ამ გამოცემით უკვე დასრულდა ახალი აღთქმის წიგნების პუბლიკაცია და თავ-თავის ადგილზე დაბინავება.

ახლა უახლოესი ამოცანაა, ეფთვიმესა და გიორგის აქ წარმოდგენილი რედაქციებიდან იქნეს ამოწერილი დამატებითი სასიმფონიო მასალები, რომლებიც არ გვხვდება CDE ხელნაწერებში, ამით უნდა იქნეს შევსებული „ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი" (რომელიც ამ დღეს 28 წლის განმავლობაში ელოდა) და სრული სახით მეორედ გამოიცეს საჩქაროდ. ეს მუშაობა უკვე დაწყებულია და იმედი ვიქონიოთ, გამოცემაც დიდხანს არ დაიგვიანებს.

26. XI. 1977 **ი. იმნაიშვილი**

---

[1] „ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი", გამოსაცემად მოამზადა ივ. ჯავახიშვილმა: ძველი ქართული ენის ძეგლები, 3, 1946, გვ. 11.

# I. ხელნაწერთა აღწერილობა

## 1. ურბნისის ოთხთავი

სახელგანთქმული ურბნისის ოთხთავი დაწერილია მრგლოვანი ასოებით კარგად გამოყვანილ ეტრატზე. ხელნაწერის ზომაა 19,8×14,5 სმ, ხოლო ნაწერისა — 15,5×4,5 (ცალკე სვეტისა).

ხელნაწერი სულ 222 ფურცლისაგან შედგება. პაგინაციის გაკეთებამდე მას უნდა ჰკლებოდა 2 ფურცელი, რომლებზედაც მოთავსებული ყოფილა: მ. 24,15—32 და მ. 26,11—30.

ტექსტის ხელი, როგორც ითქვა, მრგლოვანია (ასომთავრული). ტექსტში ხშირად იხმარება დიდი ასოები, რომლებიც წინ უძღვის ცალკე მონაკვეთს ან აბზაცის პირველ სიტყვას; იგი ამართულია ზემოთ (ან დამართულია ქვემოთ) 2—3, ხან 4 სტრიქონის სიმაღლეზე. აქვს ლამაზი სამკაულები და ტექსტსაც ალამაზებს და ადვილად საკითხავად ხდის. ეს დიდი ასოები დაწერილი სვეტის წინ მდებარეობს და ნაწერი სვეტის საზღვრებში არ შემოდის.

ტექსტის ასოები ლამაზად არის გამოყვანილი, ყველგან სიმეტრიულად გაწყობილი, მოგრძო და შედარებით თხელია. ნაწერი შემონახულია თითქმის დაუზიანებლად და კარგადაც იკითხება. მხოლოდ იოვანეს სულ ბოლო ფურცელი (222) დაკარგულა და იგი მერმე შეუვსიათ ნუსხური ასოებით. სწორედ ამის გამოა, რომ არ მოეპოვება ანდერძი, რომელიც გაგვაცნობდა წიგნის შექმნის ისტორიას, მომგებელს, გადაწერის ადგილსა და დროს და სხვას.

საბედნიეროდ, ხელნაწერის გადამწერი—იოვანე ტატანელი — კარგადაა ცნობილი. იგი არ ივიწყებს თავის თავსა და თავის შრომას და ხელნაწერში ხუთჯერ მოიხსენიებს:

1. მარკოზის სახარების დაწყებამდე (წინ) არის წარმოდგენილი ამ მახარებლის ტექსტის შინაარსი (გვ. 134—138). ამ უკანასკნელი (138-ე) გვერდის II სვეტზე, სადაც მთავრდება შინაარსის (სრული სარჩევის) გადმოცემა, იმავე ხელით (ნუსხურად) მიწერილია (იწყება V სტრიქონიდან):

> „წმიდანო ღმრთისანო, ვინ იმსახურებდეთ წმიდასა ამას ოთხთავსა, მოიჴსენეთ სული იოვანე ტატანელისაჲ“ (4 სტრ.). მერმე სხვა მინაწერებია, სხვა ხელით შესრულებული და გვიანდელი.

2. მარკოზის თავის დამთავრების შემდეგ (გვ. 198), II სვეტის ბოლოს იკითხება (ტექსტის ხელით, ნუსხურად ნაწერი):

> „ჵ წმიდანო ღმრთისანო, მოიჴსენეთ სული იოვანე ტატანელისაჲ ლოცვასა“ (სამ სტრიქონზე).

3. ლუკას სახარების წინ (გვ. 204) ტექსტის შინაარსის გადმოცემის შემდეგ, II სვეტის ბოლოს 4 სტრიქონზე ტექსტის ხელითვე წერია:

> „ვინ იმსახურებდეთ, ღმერთმან გარწმუნოს; მოიჴსენეთ სული იოვანე ტატანელისაჲ“.

4. ლუკას თავის დასრულების შემდეგ, სანამ დაიწყებოდეს იოვანეს თავი (გვ. 346), ცარიელ გვერდზე წარმოდგენილია „სასწაულნი იოვანესნი“, სულ 6 სტრიქონი. ამის შემდეგ იმავე ხელით მიჰყვება (5 სტრიქონად):

> „ჵ წმიდანო ღმრთისანო, მოიჴსენეთ სული იოვანესი გლას ტატანელისა (sic) ლოცვასა შინა წმიდასა თქუენსა“.

5. ბოლოს, მთელი წიგნის დასრულების შემდეგ (გვ. 444), იმავე ხელით წერია:

> „დიდებაჲ შენდა, სამებაო წმიდაო, რომელმან მომმადლე მე, იოვანე ტატანელსა, და დავწერე წმიდაჲ ესე ოთხთავი სალოცველად საწყალობელისა სულისა ჩემისა და სულთათჳს მშობელთა და ძმათა და დათა და ყოველთა გარდაცვალებულთა ჩემთასა.
> აწ ვინცა იმსახურებდეთ, ლოცვა-ყავთ ჩუენთჳს. ამენ“.

აქედან ნათელია, რომ ურბნისის ოთხთავის გადამწერი არის იოვანე ტატანელი. სხვა რამ ამ იოვანე ტატანელზე, სამწუხაროდ, ჩვენ არა ვიცით რა.

ყველაზე მეტად საწყენია, რომ წიგნს არ მოეპოვება თარიღი. მართალია, ხელნაწერს შემოუნახავს ცნობა, რომ დასაბამითგან ხრი იყოო, მაგრამ ეს ხრი ამოფხეკილი და გადაშლილია, თუ ამოფხეკილსა და გადაშლილზეა გამოყვანილი. ამ საეჭვო ცნობის მიხედვით ხელნაწერს სხვადასხვანაირად ათარიღებდნენ: თედო ჟორდანია ფიქრობდა, რომ აქ იგულისხმება წელთაღრიცხვის ქართული სისტემაო (5604 წელი დასაბამიდან—ქვეყნის გაჩენიდან) და ამიტომ ხელნაწერის გადაწერა 506 წლით დაათარიღა (6110—5604=506)[1]. დ. ბაქრაძე ბერძნულ სისტემას თვლიდა უფრო შესაფერისად და მიაჩნდა, რომ ხელნაწერი 602 წელს იყო გადაწერილი (6110—5508=602).

კ. კეკელიძეს ურბნისის ოთხთავის გადაწერის თარიღად 906 წელი უწერია[2]. მოსე ჯანაშვილის აზრით, ეს ხელნაწერი X საუკუნეს განეკუთვნება. მაგრამ, სახელდობრ, რა დროს, რომელ წლებს? როგორც ჩანს, ღვაწლმოსილი მეცნიერი უფრო გულისხმობდა დროს до-афонского периода (списана с образца древнейшего)[3]. ხელნაწერზე არსებული მინაწერების მიხედვით იმას ტაო-კლარჯეთში აღმოცენებულად თვლიდა, უფრო კონკრეტულად — ზარზმაშია გადაწერილიო.

გ. მთაწმიდლის ცნობილ ტერმინს — ხანმეტი — მ. ჯანაშვილი სხვა შინაარსს აძლევდა: საბაწმიდური სახარებები ისინია, რომლებიც საბაწმიდის ლავრაში შეიქმნა და გადაიწერა, ხოლო ხანმეტური — ისინი, რომლებიც ხანძთაში შეიქმნაო. „ხანმეტი“ შეცდომით არის გადაწერილი „ხანძეთი“ — დანო; მიზეზი არისო მთავრული Ⴛ-სა და Ⴋ-ს მსგავსება და არევაო: ႾႠႬႻႤႧႨ→ႾႠႬႫႤႲႨ[4].

ახლა, რასაკვირველია, როცა საბაწმიდურისა და ხანმეტის ისტორია კარგა-

---

[1] თ. ჟორდანია, Описание рукописей Тифлисского Церковного музея, I, 1903, გვ. 21.

[2] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 412.

[3] ურბნისის სახარების პირი, გადმოღებული მოსე ჯანაშვილის მიერ: A 1732. ფ. V (LXXIX). ნ. აგრეთვე მ. ჯანაშვილის პირადი საარქივო ფონდი (ხელნაწერთა ინსტიტუტში), № 202, გვ. 12.

[4] არქივი, იქვე.

დაა გარკვეული და საყოველთაოდ მიღებული[1], მ. ჯანაშვილის ამ შეხედულების მცდარობის დამტკიცება აღარ საჭიროებს დიდ თავგამოდებას. სხვა რომ არა იყოს რა, Ⴑ ისე არა ჰგავს Ⴞ-ს, რომ ისინი ერთმანეთში აერიოს ვინმეს (არც ოდესმე არევიათ), ხოლო Ⴒ და Ⴠ ისე არ ჰგვანან ერთმანეთს, როგორც ცა და დედამიწა. ყოველ შემთხვევაში, ეს არის ხანმეტის (ხანმეტურის) ახსნის ერთ-ერთი აქამდე უცნობი ორიგინალური ცდა.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ წარმოდგენილი შეხედულებებიდან არც ერთი არ ეყრდნობა ხელნაწერის ტექსტის შინაარსს, რა რედაქციაა აქ მოცემული, როგორ მიმართებაშია იგი მანამდე არსებულ ვერსიებთან, უფრო გვიან ჩამოყალიბებულ გიორგის რედაქციასთან. მაგრამ მაშინ, როცა ასეთი აზრები იყო გამოთქმული ზოგად-ზოგადი მოსაზრებებით, ქართული სახარებების ტექსტებზე მუშაობა არ იყო დაწყებული. უამისოდ კი ხელნაწერის მიკუთვნება ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებული ეპოქებისათვის ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

ჩვენ ამ შრომაში ვცდილობთ დავადგინოთ, რომ ურბნისის ოთხთავის ტექსტი შეიცავს ქართული სახარების იმ რედაქციას, რომელიც ეფთვიმე მთაწმიდელმა შექმნა. ამავე რედაქციის ხელნაწერებია (ჩვენ მიერ შესწავლილთაგან): პალესტინური ოთხთავი (H 1741—1048 წ.), რომელიც სიტყვასიტყვით მისდევს ურბნულს და მისგან უნდა იყოს გადაწერილი; ტბეთისა (995 წ.) და მესტიის (1033 წ.) ოთხთავები, რომლებიც, თავის მხრივ, ერთად დგანან რედაქციულად და ენობრივ-ორთოგრაფიულადაც, და სხვანი. თუ ამას გავითვალისწინებთ, შეუძლებელი იქნება, ურბნისის ოთხთავის გადაწერის დროდ (შექმნის დროდ) მივიღოთ 506, 602, 906 წლები, ან ათონამდელი პერიოდი, რადგან იგი (ურბნისის ოთხთავი) სწორედ ათონის სკოლის დამაარსებლის დიდი ეფთვიმეს მიერ შექმნილი რედაქციის ერთ-ერთი ნიმუშია. ამიტომ უფრო სწორია ილ. აბულაძე, როცა ის ამბობს, რომ ეს ხელნაწერი ხელის მიხედვით XI საუკუნის I ნახევრისა უნდა იყოსო[2].

ეფთვიმეს რედაქციის ხელნაწერები X საუკუნის მიწურულსა და XI საუკუნის დასაწყისში აღმოცენდნენ. სწორედ ამავე პერიოდში არის გადაწერილი იოვანე ოქროპირის „თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ“ (1002 წ.—A88, A136), რომელიც ეფთვიმემ თარგმნა მისი მამის იოვანეს დაჟინებითი დავალებით. აქ მოყვანილი სახარების ტექსტი (რომელსაც განმარტავენ) რედაქციულად ემთხვევა ეფთვიმეს ვერსიას, ე. ი. ურბნისის, პალესტინურ, ტბეთის, მესტიის... ოთხთავებში წარმოდგენილ ტექსტებს.

რატომ ჰქვია ამ ხელნაწერს ურბნისის ოთხთავი? იმიტომ, რომ იგი თბილისის სიძველეთსაცავში ურბნისის წმინდა სტეფანეს სახელობის ეკლესიიდან შემოვიდა.

იქ როგორღა მოხვდა? იმ მინაწერების მიხედვით, რომლებიც ჩვენს ხელნაწერში გვხვდება, ამ წიგნის ბედს თ. ჟორდანია (და მერმე მოსე ჯანაშვილი) ასე გადმოგვცემს: თავდაპირველად ეს ხელნაწერი ეკუთვნოდა ბათუმის (არდაგანის) ოლქის ერთ-ერთ უცნობ ეკლესიას (მფლობელის გვარი — კავკასიძე). შემდეგ, XVI საუკუნეში, იგი ხელში ჩავარდნია ქუთაისის ეპისკოპოს სვიმონს (დაახლ.

---

[1] ა. შანიძე, უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო: I. ლიტერატურული ცნობა ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ტექსტების შესახებ მეთერთმეტე საუკუნის მწერლობაში: თბ. უნივ. მოამბე, ტ. II, 1922—1923, გვ. 398—416. გადაბეჭდილია ავტორის თხზულებათა I ტომში, 1957, გვ. 282—296.

[2] ილ. აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები, პალეოგრაფიული ალბომი, 1949 გვ. 300.

1530—1540 წლებში), მერმე—ბედიის მიტროპოლიტ ანტონ ჟვანიძეს (XVI საუკუნის გასულს); 1798 წელს ხელნაწერი ხელთ ჰქონია ეპისკოპოს გრიგოლ ხარჭაშნელს (გიორგი ავალიშვილს[1]). ამის შესახებ ხელნაწერის მე-7 გვერდზე მინაწერი (მხედრულად) გვამცნობს:

> „წელსა ჩღჟჱ (1798), რომელსა ვცხოვნებდი მე, მდაბალი ეპისკოპოსი გრიგოლი ხარჭაშნელი, ქალაქსა შინა ასტრახანს და მას ჟამსა შინა ეს წმ. სახარება დავსდევ ასტრახნის წიგნის საცავში. და ვინცა იხილოთ, მოხსენებასა ჰყოფდეთ ჩემთვის“.

XIX საუკუნის დასაწყისში ხელნაწერი შესწირა ურბნისის ეკლესიას რაჟდენ მცხვეთაძემ (მე-5 გვ. — მხედრულად). აქედან კი, როგორც ითქვა, 1889 წელს საუკუნო სამკვიდრებელი თბილისში დაიდო[2], ჯერ საეკლესიო მუზეუმში (A 28), შემდეგ კი საქ. მეცნ. აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (იმავე—A 28—ნომრით).

როგორც უკვე ითქვა, ხელნაწერის გადაწერის ადგილიც უცნობია. მ. ჯანაშვილის დაბეჯითებითი განცხადება, რომ ურბნისის ოთხთავი ზარზმაშია გადაწერილიო, ეყრდნობა მხოლოდ ხელნაწერში დაცულ მერმინდელ მინაწერებს, რომლებშიც ავტორმა იქაური (სამხრეთ საქართველოს — ტაო-კლარჯეთის) ქართველთა გვარები შეიცნო (კავკასიძე და სხვანი). მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის ამ მეტად მნიშვნელოვანი დებულების დასამტკიცებლად.

მეორე მხრივ, როცა მ. ჯანაშვილი ამ დებულებას აყენებდა, მას მხედველობაში ჰქონდა წინასწარი აზრი, რომ ხელნაწერი წინაათონურ პერიოდს ეკუთვნოდა, მაგრამ სწორედ ეს აპრიორი საყრდენი არის მიუღებელი: ურბნისის ოთხთავში წარმოდგენილი ტექსტი სწორედ ათონურია, ეფთვიმეს მიერ დამუშავებული რედაქციისაა და გვერდში უდგას ამ პერიოდში აღმოცენებულ ტბეთის, მესტიისა და პალესტინური ოთხთავების ტექსტებს, აგრეთვე თვით ეფთვიმეს მიერვე თარგმნილ იოვანე ოქროპირის „მათეს სახარების თარგმანების“ ტექსტს (A 89, A 136). ამდენად, ხელნაწერის გადაწერის ადგილად და დროდ ზარზმისა და წინაათონური პერიოდის მიღება შეუძლებელია.

აქ საინტერესოა სპეციალურად აღინიშნოს მ. ჯანაშვილის ურბნისის ოთხთავის შესწავლით ასეთი ცხოველი დაინტერესება. მეცნიერი ურბნისის ოთხთავს ეხება მრავალ შრომაში. ასეთია, როგორც უკვე ვთქვით, მის მიერ გამოსაცემად დამზადებული „ურბნისის სახარების (A 28) პირი, გადმოღებული მ. ჯანაშვილის მიერ“ (1908 წ.—A 1732). ეს შრომა შედგება თვით ტექსტისა (რომელიც გადმოწერილია მრგლოვანი ასოებით) და ვრცელი გამოკვლევისაგან. ამ გამოკვლევაში ფართო მსჯელობა არის თვით ურბნისის სახარების შესახებ, აგრეთვე სხვა ოთხთავებზეც, როგორიცაა: ალავერდის (A 484), იოვანე ჰიმჰიმელის (A 102, A 284), ქვათახევის (A 357), მცხეთის (A 37), მუხათგვერდის (A 138), თეოდორეს (A 98), ქსნის (A 509), გაბრიელის (S 405) და ბევრი სხვა ოთხთავი.

გარდა ამისა, მ. ჯანაშვილის პირად საარქივო ფონდში (ხელნ. ინსტ.) დაცულია მეცნიერის კიდევ 4 ხელნაწერი (NN 202, 203, 204, 205), რომლებიც ისევ და ისევ

---

[1] ჯიბო ლომაშვილი, ხარჭაშანი და ხარჭაშნელები: „მნათობი“, № 9, 1977, გვ. 176 ხ.

[2] თ. ჟორდანია, Описание, I, 1903, გვ. 22; მ. ჯანაშვილი, ურბნისის სახარების პირი (A 1732, ფ. V (LXXIX).

ურბნისის ოთხთავს დასტრიალებენ თავს: ზოგი მათგანი ზემოთ მოხსენიებული I შრომის შავია, ზოგში სხვა, ახალი მასალაა წარმოდგენილი.

სპეციალურად უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეს შრომა დაწერილია რუსულ ენაზე. გამოკვლევის ტექსტში ქართულიდან მოყვანილი ციტატებიც რუსულადაა თარგმნილი.

კვლავ ესვამთ კითხვას: რით აიხსნება მ. ჯანაშვილის ასეთი დაინტერესება საერთოდ ქართული ოთხთავებით, კერძოდ, ურბნისის ოთხთავით? ავტორი ერთ-ერთ ზემოთ ჩამოთვლილ შრომათაგანში (N 205, 1 ფ). შენიშნავს, რომ სახარების კვლევით თავიდანვე ვიყავი დაინტერესებული, ახლა კი ჩემი „ქართული მწერლობის“ II გამოცემაში მსურდა ამის შესახებ შემეტანა სათანადო ცნობები და მთელი თავებიო. შემდეგ კი დასძენს (ჩვენთვის აქ სწორედ ესაა საინტერესო):

„Поводом же к систематическому нашему занятию по изучению означенных манускриптов и их текстов послужило получение нами из Москвы письма (от 23 мая 1907 года) Высокопочтеннейшей Председательницы Императорского Московского Археологического общества Прасковьи Сергиевны Графини Уваровой, предложившей нам заняться исследованием, по возможности полным, имеющихся в Церковном музее груз. Евангелии для напечатания в одном из выпусков „Материалов по изучению Кавказа“. Согласно такому лестному для нас предложению решено было мною вместе с приежавшими в Тифлисе проф. Ал. Солом. Хаханашвили: в основание изучаемых груз. евангельских текстов положить текст Урбнисского кодекса, как наиболее древнего полного варианта, и сличить с ним“ (მ. ჯანაშვილის პირადი საარქივო ფონდი, № 205, 1 ფ., Предисловие).

ახლა გასაგებია, რატომ ასე ინტენსიურად მუშაობდა მ. ჯანაშვილი ქართული ოთხთავების გარშემო, რატომ მაინცდამაინც ურბნისის ოთხთავი აიღო საფუძვლად (როგორც უფრო მეტად ძველი და სრული) და რატომ ყველა ამ შრომას რუსულ ენაზე წერდა.

ძალიან სამწუხაროა, რომ მ. ჯანაშვილის ეს მეტად მნიშვნელოვანი შრომა თავის დროზე ვერ გამოქვეყნდა.

სწორედ იმ ხანებში მსგავსი დანიშნულების წიგნი დაიბეჭდა პეტერბურგში. ეს იყო ჩვენში კარგად ცნობილი ტბეთის სახარება (995 წ.). ტექსტი ძირითადად ამ ხელნაწერის მიხედვით იყო გამოცემული, ხოლო სქოლიოებში ნაჩვენები იყო ვარიანტები ოპიზის (ათონის) სახარებიდან (913 წ.). მაშინ, რა თქმა უნდა, არ იყო ცნობილი, რომ ეს ორი ხელნაწერი ორ სხვადასხვა რედაქციის წარმოადგენდა: ოპიზისა შეიცავს ე. წ. ჯრუჭ-პარხლის მიმდევარ (უკეთ: თვით ოპიზურ) ტექსტს, ოპიზურ რედაქციას, ხოლო ტბეთისა — ეფთვიმეს რედაქციას. ამიტომაა, რომ სქოლიოებში ვარიანტები კარგა ბლომადაა წარმოდგენილი, თუმცა ყველა სხვაობა მაინც არაა აღნუსხული.

სიმპტომატურია, რომ ამ გამოცემის ნაკლული ადგილები (მ. 1, 1—17 და სხვა) გამომცემელს სწორედ ურბნისის ოთხთავიდან შეუვსია. წიგნის გამოცემა განზრახული იყო ნაწილ-ნაწილ, ცალკე თავების (მახარებლების) მიხედვით. მათეს თავი (პლუს მრ. 1, 2 1—13) დაიბეჭდა 1909 წელს, მარკოზის დანარჩენი ნაწილი — 1911 წელს. მერმე ატყდა I მსოფლიო ომი და წიგნის გამოცემაც შეწყდა. წიგნი გამოსცა ცნობილმა ბიბლიოლოგმა ვლადიმერ ბენეშევიჩმა. მას აქტიურად ეხმარებოდა ნიკო მარი, რომელმაც გადასცა მას ათონის მთაზე ყოფნისას მის მიერვე ნაწილობრივ გადმოწერილი, ნაწილობრივ ფოტოსურათების სახით ჩამო-

ტანილი თუ ძველად ნაბეჭდ სახარებას შეჯერებული მთელი ოპიზური ხელნაწერი. ნ. მარის ენერგიული დახმარების გარეშე ვლ. ბენეშევიჩს ძალზე გაუჭირდებოდა ამ წიგნის გამოცემა (თუ არ ვიტყვით, რომ ვერ შეძლებდა იმის გამოცემასო). ა. შანიძე შენიშნავს: ნ. მარის „სახელი, პირვანდელი განზრახვის თანახმად, გამოცემაზედაც უნდა აღნიშნულიყო: „издали В. Н. Бенешевич и Н. Я. Марр (Известия АН, 1908, 421)[1].

რატომ ვერ იხილა მზის სინათლე მ. ჯანაშვილის აღნიშნულმა დიდმა შრომამ (ვრცელმა გამოკვლევამ და კარგად გამზადებულმა ტექსტმა)? ხომ არ ჰქონდა აქ ადგილი გავლენის სფეროების ჭიდილსა და შეჯახებას? ვთქვათ, სძლია, რომელსაც ჰყავდა მფარველი და უფალი, და იძლია, რომელსაც არ გააჩნდა იგი (ანდა ჰყავდა, მაგრამ წაჰგვარეს თუ წარიტაცეს და გადაიბირეს იგი)? კიდევ ვიმეორებთ: სიმპტომატურია, რომ B-ს (ტბეთის ოთხთავის) ნაკლული ადგილები სწორედ ურბნისის ოთხთავიდან შეავსეს, ხოლო თვით ურბნისის ოთხთავის ტექსტი და დიდი გამოკვლევა, რომელიც უკვე 1908 წელს იყო გამზადებული დასაბეჭდად და მოსკოვში იყო მიტანილი, მშრალზე დარჩა. ასეც ხდება ხოლმე. მაგრამ აქ სხვათა საქმეებში არ ჩავერევით და დავიდუმებთ.

ურბნისის ოთხთავში ყოველი სახარების წინ გადმოცემულია სახარების შინაარსი (ერთგვარი ვრცელი სარჩევი). ჩვენ აქ მოვიყვანთ სანიმუშოდ მარკოზის თავის შინაარსს, რომელიც უძღვის თვით ტექსტს. 133-ე გვერდზე თავდება მათეს სახარება, ხოლო შემდგომს, 134-ე გვერდზე, იწყება ეს შინაარსი (ტექსტის ხელითვე) ნუსხურად:

1. **(134)** „იოვანესთჳს, უდაბნოსა რაჲ ქადაგებდა.

2. ვითარ იესუ იოვანესგან ნათელ-იღო და გამოიცადებოდა, და შეუდგეს მოწაფენი.

3. მიცემისათჳს იოვანესა, და რაჲამს ეშმაკეული განკურნა იესუ.

4. სიდედრისათჳს პეტრესისა, და ვითარ განკურნა სიმძიმისაგან სენისა.

5. კეთროანი ვითარ განწმიდა.

6. განრღუეულისათჳს, ვითარ განკურნა, და დრტჳნვიდეს მწიგნობარნი.

7. ლევი მეზუერისათჳს; და დრტჳნვიდეს ფარისეველნი მეზუერეთათჳს, უფალი ჯდა რაჲ მათ თანა, და ჰკითხვიდეს მოწაფეთათჳს იოვანესთა.

8. შაბათისათჳს და მოწაფეთა, რამეთუ თავსა ჴუვილისასა მუსრვიდეს და ჭამდეს.

9. მისთჳს, რომელსა-იგი ჴელი განჴმელ ედგა, და იესუს ფარისეველნი უმზირდეს, რაჲთა შეასმინონ.

10. ათორმეტთათჳს მოწაფეთა, და ვითარ სახელ-სდვა უფალმან.

11. რამეთუ ჰგმობდეს მწიგნობარნი უფალსა და ეტყოდეს: ბელზებული მის თანა არს; და ასწავა: არა არს შენდობაჲ, რომელმან სული წმიდაჲ გმოს.

12. ოდეს-იგი დედაჲ და ძმანი იესუჲსა[2] მივიდეს.

13. იგავი ყანისაჲ და მარცუალისა მდოგჳსაჲ.

14. შერისხვისათჳს ქართა და წყალთა და ლეგეონისათჳს.

15. ოდეს-იგი განკურნა ასული შესაკრებელთა-მთა(135)ვრისაჲ[3], და დინებაჲ სისხლისაჲ.

---

[1] ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით გამოსცა ა. შანიძემ, 1945, წინასიტყვაობა, გვ. 05, შნ. 2

[2] იჳ́/სა F. [3] მთა F.

16. ოდეს-იგი მივიდა თჳსა მამულად, და კრებული დაკჳრვებულ იყო უფლისა სასწაულთა.

17. ოდეს-იგი იესუ მოწაფენი წარიყვანნა ორ-ორი და ასწავა მათ მცნებაჲ.
18. ვითარ შეძრწუნდა ჰეროდე ქრისტესთჳს და იოვანეს თავი მოჰკუეთა.
19. ხუთთათჳს პურთა და ორთა თევზთა.
20. უფლისათჳს, ოდეს ზღუად მიეიდა, და რომელნი იყვნეს, განიკურნეს (sic).

21. გულს-ზრახვიდეს ფარისეველნი იესუჲსთჳს[1] და მოწაფეთა მისთა, რამეთუ წესსა მოხუცებულთასა შეურაცხ-ჰყოფენ, და ჰრქუა, რამეთუ საჭმელი არა შეაგინებს კაცსა.

22. ფინიკიელისა მისთჳს ასურისა დედაკაცისა, რომლისა ასული განკურნა.
23, ყრუსათჳს და უტყჳსა.
24. შჳდთათჳს პურთა და მცირედ თევზისა.
25. ოდეს-იგი სასწაულსა ზეცით ეძიებდეს.

26. მცნებაჲ უფლისაჲ მოწაფეთაჲ (sic)჻ განეშორენით ცომისა მისგან ფარისეველთაჲსა[2].
27. ბრმისათჳს, რომელი ხედვიდა.
28. კითხვაჲ უფლისაჲ მოწაფეთა მიმართ჻ რასა[3] იტყჳან ჩემთჳს? და აჰა ესერა[4] პეტრე; და ასწავა უფალმან ვნებისათჳს.

29. უფლისათჳს მათისა, ფერისცვალებისა; და ჰკითხეს მას მოწაფეთა ელიაჲსთჳს.

30. რომელი-იგი ცისად-ცისად იგუემებოდა.

31. (136) მისთჳს, ოდეს-იგი გულსა ზრახვიდეს მოწაფენი჻ ვინ უფროჲს იყოს სასუფეველსა ცათასა; და ასწავა[5] მათ უფალმან სიმდაბლე და გამოუსახა ყრმისაგან და თქუა იოვანესთჳს და განუკუთნა ყოველთა, ვითარმედ მგმობარნი ცუდად შურებიან.

32. მისთჳს, ოდეს-იგი ჰკითხეს უფალსა჻ უკუეთუ შეჰგავს, რაჲთა დაუტეოს ვინმე ცოლი თჳსი, რაჲთა გამოცადონ იგი; და მოიყვანეს ყრმები, რაჲთა ჴელი დასდვას.

33. მისთჳს, ოდეს-იგი ჰკითხა მდიდარმან იესუს ცხორებისათჳს საუკუნოჲსა, და ასწავა, რამეთუ჻ შესაძლებელ არს, რომელნი ვნებულ არიან სიმდიდრითა; და ყოველმან რომელმან შეურაცხ-ყოს, მრჩობლი კეთილი მოიღოს.

34. ასწავა მოწაფეთა ვნებისათჳს, და თხოვაჲ ძეთა ზებედესთაჲ, და აჰცნო, ვითარმედ შეუძლებელ არს, და უჩუენა სიმდაბლე.

35. გზისათჳს იერიქოჲსა; ბარტიმის ბრმისა, ძისა ტიმესისა.
36. კიცჳსათჳს ვირისა, და ვითარ ადიდებდა ერი უფალსა.
37. ლეღჳსათჳს, რომელი განაჴმო, და გამოსხმისათჳს ტაძრით მსყიდელისა.
38. მისთჳს, ოდეს-იგი ჰკითხეს უფალსა მღდელთ-მოძღუართა჻ რომლითა ჴელმწიფებითა ჰყოფ ამას? და მიუგო მათ; ნათლის-ღებისათჳს იოვანესისა.
39. იგავი, რომელმან-იგი დაასხა ვენაჴი და მისცა მოქმედთა.
40. (137) მისთჳს, ოდეს-იგი ჰკითხეს უფალსა რ̃ დრაქმისათჳს, რაჲთა გამოჴადონ აჰ (?), და წუხდა უგუნურებისათჳს მათისა.

---

[1] ი̃ჳსთ̃ს F. [2] ფრსე̃ლთსა F. [3] რაჲსა F. [4] აჰა ესერა] აჰა ჲა F. [5] ასწა F.

41. კითხვაჲ სადუკეველთაჲ[1] იესუსა[2], შჳდთათჳს ძმათა, რომელთა ერთი დედაკაცი შეირთეს ცოლად; და წუხდა უგუნურებასა მათსა.

42. მისთჳს, რომელი-იგი ჰკითხა მწიგნობარმან: რომელი მცხებაჲ უფროჲს არს, რაჲთა გამოცადონ იგი.

43. კითხვაჲ უფლისაჲ მწიგნობართაჲ (sic): ვითარ ძე დავითისი არს ქრისტჱ; და ასწავა მოწაფეთა, რაჲთა განეშორნენ ორგულებისაგან ფარისეველთაჲსა.

44. მისთჳს, ოდეს-იგი მისცემდეს ფასის-საცავსა, და ორთათჳს მწულილთა ქურივისათა.

45. ასწავა უფალმან მოწაფეთა აღსასრულისათჳს; და იყოს ჭირი დიდი.

46. უკუანაჲსკნელისათჳს დღისა და ჟამისა; და ჰრქუა: იღჳძებდით და მოელოდეთ.

47. მღდელთ-მოძღუართათჳს, შეთქუმისა უფლისათჳს, და მისთჳს, რომელმან სცხო ნელსაცხებელი, დედაკაცმან, და იუდა განრისხნა.

48. კითხვაჲ მოწაფეთაჲ: სადა განგიმზადოთ პასქაჲ ესე? და იუდა ისერა მათ თანა, და ამხილა მას ზაკუვაჲ(!) უფალმან.

49. მისთჳს, რაჟამს გამოუცხადა უფალმან საიდუმლოჲ თჳნიერ სისხლისა, მსხუერპლი.

50. პირველ გამოუცხადა თჳსთა (138) მოწაფეთა, ვითარმედ: ილოცევდით; მიუგო პეტრე, ვითარმედ მოვკუდე შენ თანაო; და ილოცვიდა იესუ, ვითარმედ: გარე-წარიცავ სასუმელი ესე!

51. ვითარ იესუ იუდა მისცა; და მას შეუდგეს ერისა კაცნი; და ვითარ მივიდეს ცრუმოწამენი; და ვითარ სცემდეს ჰურიანი და ჰბასრობდეს.

52. მისთჳს, ოდეს-იგი უარ-ყო პეტრე და შეინანა; და ვითარ იესუ ჰურიათა პილატეს მისცეს.

53. რამეთუ იესუსთჳს საჯა პილატე განტევებაჲ, და ჴმობდეს ჰურიანი.

54. ვითარ იესუ ჰურიათა განბასრეს და ორთა ავაზაკთა შორის ჯუარს-აცუეს; და მისთჳს, რომელი სასწაული იქმნა.

55. მისთჳს, ვითარ მოითხოვა გუამი უფლისაჲ იოსებ.

56. დღისათჳს მესამისა, დიდებულისა აღდგომისა; დედანი მირბიოდეს".

ეს შინაარსი თავდება 138-ე გვერდის მეორე სვეტზე (აქ 4 სტრიქონი უჭირავს). ამის შემდეგ გადამწერს ტექსტის დამთავრების ნიშანი გაუკეთებია, ხოლო ქვევით მიუყოლებია თავისი ვინაობა, როგორც ეს ზემოთ გვაქვს კიდეც დამოწმებული (გვ. 7).

ურბნისის ოთხთავს გრძელი ისტორია გამოუვლია, იგი სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა პირის ხელში მოხვედრილა. ეს გარემოება ასახულია მის ფურცლებზე გაკეთებულ მინაწერებში. მათში წარმოდგენილ ცნობებზე დაყრდნობით, როგორც ვნახეთ, ჩვენს მეცნიერებს (დ. ბაქრაძეს, თ. ჟორდანიას, მ. ჯანაშვილს) სრულიად სხვადასხვაგვარი დასკვნები აქვთ გაკეთებული ჩვენი ხელნაწერის შექმნის დროის, ადგილისა და მთელი შემდეგი ისტორიის შესახებ. ზოგ მათგანზე ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა მსჯელობა.

ბევრი მინაწერი, სამწუხაროდ, მერმე საგულდაგულოდ წაუშლიათ, გადაუფხეკიათ და გადაურეცხავთ და ახლა თითქმის აღარ იკითხება. მათ შორის ამოჩნდა თარიღიც, რაც დიდ დანაკლისს წარმოადგენს. მაგრამ გადარჩენილი და კარგად შენახულიც ბევრია. მათი მცირე ნაწილი გამოაქვეყნა თ. ჟორდანიამ[3]. ეს ის

---

[1] სადოკეველთაჲ F. [2] ი̃ჳსა F. [3] თ. ჟორდანია, Описание, გვ. 22—23.

მინაწერებია, რომელთა საშუალებითაც ხერხდება ხელნაწერის შექმნის შემდეგდროინდელი ისტორიის გათვალისწინება.

მოსე ჯანაშვილს თავის შრომაში ამოწერილი ჰქონდა ხელნაწერში არსებული ყველა (110[1]) მინაწერი, მაგრამ ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო იგი გამოუქვეყნებელი დარჩა[2]. ეს 110 მინაწერი მოთავსებულია ხელნაწერის შემდეგს გვერდებზე (ზოგჯერ ერთ გვერდზე რამდენიმეა): 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 14, 23, 25, 36, 37, 39, 42, 55, 59, 62, 70, 74, 76, 77, 90, 94, 100, 116, 118, 120, 121, 130, 134, 138, 140, 142, 146, 147, 148, 149, 152, 153, 164, 165, 171, 172, 173, 174, 180, 181, 186, 209, 212, 214, 224, 252, 253, 260, 261, 262, 264, 265, 266, 268, 296, 297, 306, 307, 309, 312, 313, 320, 321, 341, 342, 344, 345, 346, 360, 364, 365, 384, 393, 397, 404, 408, 412, 422, 424, 428, 431, 432, 436, 437, 438, 439, 440, 442, 444.

მინაწერები რამდენიმეს (ცხრაოდეს) გამოკლებით ნუსხურითაა შესრულებული, ის ცხრაოდე კი — მხედრულით (№№ 5, 8, 48, 49, 74, 79, 80, 96, 102).

ჩვენ ქვემოთ სანიმუშოდ მოვიყვანთ რამდენიმე მათგანს:

„სულსა სულკურთხეულისა პატრონისა მამია დადიანისა შეუნდოს ღმერთმან; მეუღლესა მისსა, მეფე მიქელის ასულსა, ელენე ყოფილსა, ეკატერინეს შეუნდოს ღმერთმან (გვ. 6).

ბედიელ მთავარებისკოპოზსა ქვანიძესა ანტონის შეუნდოს ღმერთმან; მისთა დედა-მამათა შეუნდოს ღმერთმან. ა˜ნ (იქვე).

სულსა ჩხეტიძესა ქუთათელსა მთავარებისკოპოზსა სჯმიონს შეუნდოს ღმერთმან; სულსა ხარაძესა სიბერესა შეუნდვნეს ღმერთმან; სულსა შარაბერიძესა დავითს შეუნდოს ღმყრთმან; შვილსა ალმანაშვილსა გიორგის შეუნდვნეს ღმერთმან; სულსა მახარებელსა შეუნდოს ღმერთმან (გვ. 134).

სულსა სულკურთხეულისა აბაშიძისა ლეონისა შეუნდოს ღმერთმან (გვ. 181).

სულსა კაცკასიძესა თემესტიანეს შეუნდოს ღმერთმან (გვ. 209).

სულსა ხურცისძესა ზაალს და მისსა შვილსა არაბასა შეუნდოს ღმერთმან (გვ. 212).

სულსა ქუაბულელ ფილიპეს და მისსა მეუღლესა მზევინარს შეუნდოს ღმერთმან (გვ. 296).

ეს სახარება გაბრიელისა არის (გვ. 307—მხედრულად).

სულსა ბერიძესა რამინს და მისსა მემცხედრესა ნათობს შეუნდოს ღმერთმან; სულსა ბერიძეს ბეჟანს შეუნდოს ღმერთმან (გვ. 360).

სულსა ჯელმწიფის შვილსა იოსაფატს და მისსა მეუღლესა თამარს შეუნდოს ღმერთმან (გვ. 365).

სულსა საბას დღეგრძელობით ცოდვანი მისნი შეუნდვნეს ღმერთმან. ა˜ნ (გვ. 432)..

დიმიტრი მღვდლისა ვარ. ფასი თუმანი და (გვ. 439).

სულსა ბერისძესა არდაშელს შეუნდოს ღმერთმან და მისსა მეუღლესა ულუმპიას შეუნდოს ღმერთმან " (გვ. 444).

ურბნისის ოთხთავს აშკარად ეტყობა, რომ იგი შემდგომ განუახლებიათ, შეუსწორებიათ. ეს განახლება და შესწორება იმით არის გამოხატული, რომ ხელნა-

---

[1] ავტორს მინაწერების სათვალავი (რიცხვი) ზოგან გამორჩენია. ასე რომ, იგი 110-ზე ცოტათი მეტია.

[2] მ. ჯანაშვილი, დასახელებული შრომა, ფ. IX (LXXXIII)—XIV (LXXXVIII)

წერის ზოგი ფურცლის დაკარგვის (თუ გაფუჭების) გამო მისი ტექსტი აღუდგენიათ თუ შეუვსიათ ახალ ფურცლებზე სხვა მელნითა და სხვა ხელით—ნუსხურით; ზოგან თვით ტექსტში არშიებზე ჩაუმატებიათ სიტყვა თუ სიტყვები; სხვაგან ტექსტის სიტყვა (სიტყვები) გულდაგულ ამოუფხეკიათ და ნაცვლად სხვა ჩაუწერიათ; აქა-იქ ტექსტის სიტყვისათვის არშიაზე განმარტება დაურთავთ. ასე, მაგალითად, ლუკას თავში (19, 13) მნაჲ რომ გვხვდება, მის გასწვრივ არშიაზე ლამაზი ნუსხურით (ტექსტის ხელითა და მელნით) არის მიწერილი: „მნაჲ არს ლიტრაჲ ა῀ და ლიტრისა მეორე ნაწილი“ (გვ. 313).

∴

ეფთვიმეს რედაქცია წინანდლებთან შედარებით უფრო სრულია. აქ მთელი რიგი ადგილები და ცალკე სიტყვები არის დამატებული, ზოგი (უმეტესობა) თავიდანვე, ზოგიც წიგნის გადაწერის შემდეგ იოვანე ტატანელისა და უცნობი განმაახლებლის მიერ. აი ასეთი დამატებისა თუ განახლება-გასწორების რამდენიმე ნიმუში.

### ა) დამატება

მ. 2, 18. ჴმაჲ ჰრამაჲთ ისმა გოდებისაჲ და ტირილისაჲ და ღაღადებისაჲ ფრიად. ხაზგასმული სიტყვები ჩამატებულია სტრიქონის ზემოდან (ნუსხურით). იგი DE-ს არ მოეპოვება. მაგრამ C-ს კი აქვს. ზოგან ბერძნულშიც არის და სხვა ენების თარგმანებშიც (სომხ., რუს., ინგლ.-ში).

მ. 5,29. უკუეთუ თუალი შენი მარჯუენე გაცთუნებდეს შენ. მარჯუენე მერმეა დამატებული.

მ. 5,44. რომელნი გმძლავრობდენ თქუენ და გდევნიდენ თქუენ. ესენიც მერმეა ჩამატებული.

მ. 8,8. არა ღირს ვარ მე. მე მერმეა ჩამატებული. G-ს არა აქვს.

მ. 10,26. ნუუკუე გეშინინ მათგან. F-ში მერმე დაუმატებიათ ნუსხურად. G-ს ახლაც არ მოეპოვება.

მრ. 13, 28. ხოლო ლელვსაგან ისწავეთ იგავი ესე. ხოლო მერმეა დამატებული, G-ს იგი არ გააჩნია.

ლ. 2, 22. აღმოიყვანეს ყრმაჲ იგი იესუ იერუსალჱმდ. იესუ G-ს არ მოეპოვება, F-შიც მერმეა დამატებული.

### ბ) დაკლება

ურბნისის ოთხთავს აქვს სხვადასხვა მიზეზით დაკლებული ადგილები. ზოგან ეს უბრალოდ (უნებლიეთ) გამოტოვებული თუ გამორჩენილია, სხვაგან ხელნაწერის ფურცლები დაკარგულა და ტექსტი მერმე შეუვსიათ. პირველის მაგალითებია:

მ. 3, 17. ჴმაჲ იყო ზეცით და თქუა. ხაზგასმული სიტყვები არ მოეპოვება F ხელნაწერში. G-ს იგი დაუცავს.

მრ. 16,16. და რომელსა არა ჰრწმენეს, დაისაჯოს. არც ეს ადგილია F-ში; ის პირველად არც G-ს ჰქონია, მაგრამ მერმე ჩაუმატებიათ. ეტყობა, იოვანე ტატანელს გამორჩა, G-ს გადამწერმაც აქედან ასე ნაკლულად გადაწერა, მაგრამ შემდეგ შეამჩნია (თუ შეამჩნიეს) და დაუმატა. ასევე უნდა ითქვას აგრეთვე ლუკას სახარების 22-ე თავის 43-ე და 44-ე მუხლების შესახებაც. F-ს ეს ადგილიც გამორჩენია. ასე გადაუწერია აქედან G-ს გადამწერსაც, მაგრამ

მერმე შეუნიშნავთ და 210-ე ფურცლის არშიაზე მიუწერიათ სხვა ხელითა და სხვა მელნით.

ი. 7, 42. თესლისაგან დავითისა და ბეთლემით დაბით, *სადა იყო დაეით, მიერვე* მოვიდეს ქრისტე. ხაზგასმული სიტყვები ორივე (FG) ხელნაწერს აკლია.

მეორის ნიმუშად გამოგვადგება ლ. 24, 17—53 (აქედან: „სიტყუანი ეგე“ ვიდრე ლუკას სახარების ბოლომდე, ფფ. 171v—173 r). მთელი ეს ტექსტი გადაწერილია სხვა ხელით — წვრილი, ლამაზი ნუსხურით; ენა და ორთოგრაფია ისეთივეა, როგორც წინა, მთავრულად ნაწერი ტექსტისა. ეგევე უნდა ითქვას აგრეთვე ხელნაწერის დასასრულის შესახებაც: 222r დაწერილია ზემოთ აღნიშნული ტიპის ნუსხურით.

როცა ტექსტში სიტყვებისა და ცალკე ადგილების დაკლების შესახებ ვლაპარაკობთ, სხვებისაგან უნდა გამოვყოთ ისეთი დაკლებანი (ადგილები), რომლებიც უძველეს რედაქციებში, როგორც წესი, არ იყო შეტანილი, ამ ადგილებს ძველი რედაქციები არ თვლიდნენ ტექსტის ნამდვილ კუთვნილებად (და საჭიროდ). ამ ძველ რედაქციებში ჩვენ ვგულისხმობთ ე. წ. ოპიზურ რედაქციას, რომელიც წარმოდგენილია, მაგალითად, შემდეგს ხელნაწერებში:

| | | |
|---|---|---|
| თვით ოპიზურში (ათონურში) | | 913 წ. |
| ჯრუჭისაში | | 936 წ. |
| პარხლისაში | | 973 წ. |
| წყაროსთავისაში | (A 98) | X ს. |
| პარხალურში | (S 4927) | X ს. |
| ე. წ. „ანბანდიდში“ (საქ. ცენტრ. არქ. № 107) | | X ს. |

და ბევრ სხვაში.

ამ ტიპის ხელნაწერებში ჩვეულებრივ (როგორც წესი) არ არის წარმოდგენილი ოთხივე სახარების 20 მუხლი.

შემდეგ და შემდეგ იწყეს ამ მუხლების ნელ-ნელა შეტანა ოფიციალურ ტექსტში. ეფთვიმეს რედაქციაში ამ 20 მუხლიდან მხოლოდ ექვსია შეტანილი (მ. 17, 21; 18, 11; მრ. 6, 37; ლ. 22, 43, 44; ი. 5, 4), ისიც ამ რედაქციის არა ყველა ხელნაწერში (ნ. ტაბულა); გიორგისაში ყველა შევიდა ერთის გამოკლებით (ლ. 17, 36)

აი რა სურათს იძლევა Ⴍ (ოპიზური), Ⴄ (ეფთვიმეს) და Ⴂ (გიორგის) რედაქციები ამ მხრივ:

| | A | C | D | E | F | G | B | M | Ⴂ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მ. 17,21. | * | — | — | — | + | + | * | — | + |
| მ. 18,11. | — | + | — | — | + | + | * | — | + |
| მრ. 6,37. | + | + | — | — | + | + | + | + | + |
| მრ. 9,44. | — | — | — | — | — | — | — | — | + |
| მრ. 9,46. | — | — | — | — | — | — | — | — | + |
| ლ. 17,36. | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| ლ. 22,43. | — | — | — | — | — | + | — | — | + |
| ლ. 22,44. | — | — | — | — | — | + | — | — | + |
| ი. 5,4. | — | — | — | — | — | + | — | — | + |
| ი. 7,53. | — | — | — | — | — | — | — | — | + |
| ი. 8,1—11. | — | — | — | — | — | — | — | — | + |

შენიშვნა: პლუსი ნიშნავს, რომ ამ ხელნაწერს ეს მუხლი მოეპოვება, მინუსი — არ მოეპოვება, * უჩვენებს, რომ ეს მუხლი თავიდანვე არ იყო ხელნაწერში, მერმეა დამატებული.

## 2. ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია

ამ ოცი მუხლიდან ზოგის დაკლება ადვილი მისახვედრია. ასე, მაგალითად, მრ. 9, 44, 46 მთლიანად და უცვლელად იმეორებს მრ. 9, 48 მუხლის სიტყვებს „სადა-იგი მატლი მათი არა დაესრულების, და ცეცხლი არა დაშრტების". ამ მოსაწყენი განმეორების ასაცილებლად აღნიშნული სიტყვები ბოლო (9, 48) მუხლში დატოვეს, ხოლო წინა ორი (9, 44, 46) მუხლიდან ამოიღეს.

ი. 8, 1—11 მთლიანად ერთი მეძავი ქალის ამბავს ეხება და ამის გამო ალარ ჩათვალეს საჭიროდ ამ წმინდა წიგნში მისი შეტანა. ამას (როგორც ჩანს, მექანიკურად) მიჰყვა წინა თავის უკანასკნელი მუხლიც (ი. 7, 53). სხვა დანაკლისებს სხვა მიზეზები ჰქონდა, მაგრამ ეს ახლა აქ არაა მთავარი. არსებითია ის, რომ C რედაქციის ხელნაწერებში არ მოიპოვება ეს 20 მუხლი. ეფთვიმემ რამდენიმე მათგანი აღადგინა. ხოლო გიორგიმ ყველა შეიტანა თავის რედაქციაში, გარდა ერთისა (ლ. 17, 36). ტექსტის ისტორიისათვის სწორედ ეს გარემოებაა მნიშვნელოვანი და ჩვენც ამიტომ ჩამოვაგდეთ მასზე საუბარი.

### გ) ნასწორები და განახლებული ადგილები

F ხელნაწერში, სხვებთან შედარებით, უფრო მეტია ნასწორები და განახლებული ადგილები. აი ამის რამდენიმე ნიმუში:

მ. 2, 21. ხოლო იგი აღდგა და წარმოიყვანა ყრმაჲ იგი. F-ში პირველად წარიყვანა ყოფილა, მაგრამ მერმე სხვა მელნითა და სხვა ხელით (ნუსხურით) მო ჩაუმატებიათ. აქედან კარგად ჩანს, თუ რაოდენ დიდ ყურადღებას აქცევდნენ გადამწერები (რედაქტორები) ქართული ენის სისხლხორცეულ თავისებურებებს, მათ შორის გეზისა და ორიენტაციის ზუსტად დადგენასა და აღნიშვნას. კაცმა არ იცის, იოსებმა მარიამი და პატარა იესუ რომ წაიყვანა (თუ წამოიყვანა), სახარების ამ ნაწილის მთარგმნელისათვის ბეთლემისაგან იქით იყო (=წარიყვანა) თუ აქეთ (=წარმოიყვანა). უცხოური ტექსტების თარგმნისას ყველაზე ძნელია სიზუსტის დაცვა სწორედ ამნაირ ადგილებში (ევროპულ ენებს, როგორც ცნობილია, არა აქვს ორიენტაციის კატეგორია). მიუხედავად ამ სიძნელისა, ჩვენი განათლებული მწიგნობრები მაინც ასე დაჟინებით ცდილობდნენ (და უმეტესად ახერხებდნენ კიდეც), ზუსტად, ქართულის შესაფერისად გადმოეტანათ ზმნის სათანადო ფორმები და არ შეებღალათ მშოლიური ენის თავისებურება, მისი ბუნებრიობა. აქ მარტო მო ზმნისწინის უბრალო დამატება კი არ არის, შეუნელებელი ცდაა, ბრძოლაა, ძიებაა, რომ უცხო ტექსტი ყოველმხრივ მოარგონ ქართულს, არ მიიჩქმალოს ჩვენი მდიდარი ენის (განსაკუთრებით ზმნის) ეს და სხვა დამახასიათებელი ბუნებრივი თვისებები.

მათეს სახარების V თავის მე-9 მუხლში (3—11) გვხვდება გამოთქმა ნეტარ იყვნენ (μακάριοι, блаженны), რომელსაც მომავალი დროის გაგება აქვს (ნეტარი, ბედნიერი იქნებიანო). უფრო მოგვიანებით იყვნენ არიან-ით შეცვალეს. ასე მოიქცა გიორგიც, რომლის რედაქციაშიც ცხრავე შემთხვევაში არიან იკითხება. F ხელნაწერშიც უცდიათ, ძველი იყვნენ ახალი არიან-ით შეეცვალათ, და ორ მუხლში (4, 10) იყვნენ გადაუსწორებიათ და არიან გამოუყვანიათ. სხვაგან ისევ ძველებური იყვნენ დარჩა. G-ს ასევე გადაუწერია გასწორებული, სხვები კი მასაც ხელუხლებლად დაუტოვებია.

მ. 5, 26. F-ში ჯერ დანგისა კოტორი დაუწერიათ, მაგრამ შემდეგ ეს სიტყვები მსუბუქად გადაუხაზავთ და ზემოთ სხვა ხელითა და სხვა მელნით დაუწერიათ „უკუანაჲსკნელი კოდრატი". ცხადია, ეს ტექსტის მერმინდელი განმაახლებელის ნახელავია. G-ს აქ ძველი წაკითხვა (დანგისა კოტორი) აქვს დაცული·

მ. 8, 11. F-ში ამჟამად იკითხება: სასუფეველსა ღმრთისასა. მაგრამ ეს ღმრთისასა გადასწორებულია, პირველად ცათასა ყოფილა: ც-ს ფეხის ნაკვალევი ახლაც კარგად ჩანს. G-ს აქაც ძველი წაკითხვა (ცათასა) აქვს დაცული. ეტყობა, F-ში ეს შესწორება უფრო გვიან შეუტანიათ, ვიდრე აქედან G-ს გადამწერი (მწირი მიქაელ) ახალ პირს გადაიღებდა (ჩვენ ვუშვებთ, რომ პალესტინური ოთხთავი ურბნულისაგან უნდა იყოს გადაწერილი).

მ. 9, 16. აქ იოვანე ტატანელს პირველად უმურკველი დაუწერია, მაგრამ შემდეგ ზემოდან ნ დაუმატებიათ (უმურკნველი). G-ში ახლაც უმურკველია. F-ის ჩანასწორები აქაც გვიანდელი უნდა იყოს.

მრ. 16, 9. F-ის გადამწერს პირველად „შაბათთასა“-ს ნაცვლად შაბათსა დაუწერია, მაგრამ შემდეგ შეცდომა შეუნიშნავს, თ-ს ზემოთ მეორე თ დაუმატებია, ა კი მაინც გამორჩენია. ეს უკვე გადამწერის უნებლიე ლაფსუსია და, ცხადია, G-ს იგი აღარ გაუმეორებია.

ლ. 17, 2. „ლოდი ფქვილისაჲ“ F-ში გადანაფხეკ ადგილზეა ჩაწერილი სხვა ხელით (ნუსხურად). ლო გაცხოველებულია მთავრულადვე.

ი. 7, 4. F-ში პირველად „განცხადებულ“ დაუწერია გადამწერს (ასეცაა საჭირო: ...რაჲთამცა განცხადებულ იყო), მაგრამ შემდეგ განმაახლებელს ჲდ დაუმატებია. ცხადია, ეს უმართებულო გასწორებაც არ არის წარმოდგენილი G ხელნაწერში.

ი. 10, 29. ჴელთაგან მამისა ჩემისა. ასე ყოფილა F-ში, მაგრამ შემდეგ ბოლო სიტყვაზე თა დაუმატებიათ (ჩემისათა). სამართლიანი გასწორებაა. G-ს საზღვრული მხოლობითში აქვს დასმული (ჴელისაგან მამისა ჩემისა), ამიტომაც მას გასწორება არ ესაჭიროებოდა და არც გაუსწორებიათ.

## დ) ნონსენსები

მ. 22, 19. მიჩუენეთ მე დრაჰკანი იგი კინსონისაჲ ხარკისაჲ. ეს ორივე (FG) ხელნაწერში ასე იკითხება. წინა, ოპიზური რედაქციის ნუსხებში გვაქვს: დრაჰკანი იგი სახარკოჲ. ბერძნულში კი არის: ἐπιδείξατέ μοι τὸ νόμισμα τοῦ κήνσου. შდრ. რუს. თარგმანი: покажите мне монету, которою платится подать. გადასახადისათვის ბერძნულში (რუსულში და სხვაგან) მხოლოდ ერთი სიტყვაა: ὁ κῆνσος, подать: ქართულში კი — ორი: კინსონისაჲ (= τοῦ κήνσου) და ხარკისაჲ. როგორ მოხდა ეს? ძველ, C რედაქციის ხელნაწერებში ერთი სახარკოჲ გვაქვს. შემდეგ, როგორც ჩანს, მოუსურვებიათ ბერძნულთან უფრო მეტად დაახლოება, სახარკოჲ-ს (ხარკის) ნაცვლად ბერძნული κῆνσος აუღიათ და სათანადო ადგილზე ჩაუწერიათ კიდეც საჭირო ფორმით (კინსონისაჲ = სახარკოჲ). მაგრამ ძველი სახარკოჲ-ც დარჩენილა რაღაცანაირად (შეიძლება წაშლა დაავიწყდათ, შეიძლება კინსონისაჲ-ს შინაარსი ვერ გაიგეს და ამიტომ სახარკოჲ-ც ვერ ამოაგდეს. სხვა მიზეზის პოვნაც არ არის ძნელი). ასეა თუ ისე, ერთი ცნების აღსანიშნავად ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდა ორი სიტყვა — კინსონისაჲ (ბერძნ.) და ძველად არსებული ხარკისაჲ. ეს უცნაური შემთხვევა გვხვდება მხოლოდ ჩვენს ორ (FG) ხელნაწერში. ამიტომ მათი გენეტური კავშირი ამითაც მტკიცდება.

ჩვენ შემდეგ (G ხელნაწერზე საუბრისას), ვნახავთ, რომ G სწორედ F-საგან უნდა იყოს გადაწერილი.

სრულიად ამგვარი სურათი გვაქვს აგრეთვე შემდეგს მაგალითშიც:

ი. 21,9. და ვითარცა გამოჴდეს ჴმელად ქუეყანად, იხილეს ნაკუერცხალი ცეცხლისაჲ.

აქ ადგილის გარემოება ორი სახელით არის გამოხატული: ჴმელად და ქუეყანად. ქართულში სხვაგან მხოლოდ ერთია: ან ჴმელად (C), ანდა ქუეყანად (ABDEHIKM). ბერძნულში და იქიდან მომდინარე თარგმანებშიც თითო-თითო სახელია: ...εἰς τὴν γῆν, *ի ցամաք*, in terram, на землю, an's Land, to land. ეს სიტყვები სწორედ მიწას, ხმელეთს აღნიშნავენ, როგორც ჩვენი ჴმელი და ქუეყანაჲ.

რა საჭირო იყო ორივეს ერთად ხმარება? აქ თავდაპირველად ერთ-ერთი მათგანი უნდა ყოფილიყო, ვთქვათ, ჴმელად (ადიშს რომ აქვს). ახალ (Ч) რედაქციაში მოუნდომებიათ მისი შეცვლა მეორე, უფრო გავრცელებული სიტყვით — ქუეყანად, მიუწერიათ კიდეც იქვე, გვერდით, მაგრამ პირველი სიტყვა (ჴმელად) წაუშლელი დარჩენიათ (ან იქნებ გადახაზულიც იყო, მაგრამ შემდეგ გადამწერებმა ყურადღება ვერ მიაქციეს ამას, ან ვერ გაბედეს სწავლულთა მიერ ჩაწერილი სიტყვის გამოტოვება). და წამოვიდა და წამოვიდა ასე წყვილ-წყვილად. ამის მსგავსი მაგალითები არა ერთი და ორია ჩვენს ოთხთავებში (მაგალითად: ცისად-ცისად გუემული და ახლის პირით გუემული: მ. 4, 24D; ტილოებითა და არდაგებითა: ი. 19, 40 DE და სხვ.).

ზოგჯერ გვხვდება სიტყვათა შენაცვლება გრაფიკულ ნიადაგზე: ორ სიტყვას ერთნაირი დასაწყისი ან დასასრული აქვს, ან დამახასიათებელი საერთო ასოები ერთადაა თავმოყრილი. ეს იწვევს გარეგნულად მსგავსი სიტყვების აღრევას. ამის მაგალითია სასუმლისაჲ → სამუსლისაჲ (მრ. 7, 4. F). G-ს ასეთი შენაცვლება დაუტოვებია, ოღონდ F-სათვის დამახასიათებელი მცდარი მართლწერა გაუსწორებია: სამოსლისაჲ. მთავარი კი ორივეს შეცდომით აქვს წარმოდგენილი: აქ ლაპარაკია თასების (ფიალების, საერთოდ, სასმელი ჭურჭლის) და არა ტანისამოსის გარეცხვაზე.

კიდევ ერთი ასეთი ნიმუშია: სთავს → სთესავს. უნდა იყოს პირველი (სთავს), წარმოდგენილია მეორე (სთესავს: მ. 6, 28; ლ. 12, 27). ამ უკანასკნელ ადგილას მრავლობითის ფორმაა: სთესვენ, უნდა იყოს კი სთვენ. მაგრამ ასეთი მარცხი მარტო ჩვენს ხელნაწერს (F-ს) კი არ მოსდის, არამედ სხვებსაც. ასე, მაგალითად, ზემოთ აღნიშნულ ერთ-ერთ ადგილას (მ. 6, 28) ჯრუჭის ხელნაწერიც შეცდომით წერს სთესავს (=სთავს), იქვე ადიშიც ცოდავს: სთესავნ (=სთავნ).

გარეგნული მიმსგავსება მიმსგავსებაა, მაგრამ აქ შეცდომა ყოველთვის ერთი მიმართულებისაა (სთავს → სთესავს) და არ ხდება შებრუნებულად (სთესავს→ სთავს).

მიზეზი ადვილი ასახსნელია: სთესავს (სთესვენ, სთესავნ, სთესვიდა...) ხშირი ხმარების სიტყვაა. ის წარამარა იხმარება ენაში, სთავს (სთვენ, სთავნ...) კი ძალზე იშვიათად გვხვდება. ქართველი მკითხველის (დამწერის) თვალს სთვს კომპლექსის დანახვისას, უპირველეს ყოვლისა, სთესავს მოაგონდება და არა სადღაც შორეულ კუთხეში მიკუნჭული იშვიათად ხმარებული სთავს. გარდა ამისა, 3 სახარებაში არის მოთხრობილი მთესვარის არაკი (მ. 13, 3—8; მრ. 4,3—8; ლ. 8,5—8), რომლებშიც, ბუნებრივია, ეს სიტყვა ხშირად იხმარება. თვით ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითების (მ. 6, 28; ლ. 12, 27) წინ, სანამ სთვაზე ჩამოვარდებოდეს სიტყვა, თესვაზეც არის ლაპარაკი

(მიხედეთ მფრინველთა ცისათა, რამეთუ არა სთესვენ, არცა მკიან: მ. 6, 26; განიცადენით ყორანნი, რამეთუ არა სთესვენ, არცა მკიან: ლ. 12, 24). რაღა გასაკვირია, ყველა ამის შემდეგ ასეთი მაცდუნებელი შენაცვლება დაეშვათ ჩვენს განსწავლულ გადამწერებსაც კი, რომელთაც ზეპირად იცოდნენ მთელი სახარება, განსაკუთრებით უყვარდათ მისი მაღალზნეობრივი არაკები, მათ შორის მთესვარისა და აგარაკის ცნობილი არაკიც.

## ე) ხელნაწერის ენის ზოგი თავისებურება

ურბნისის ხელნაწერს ახასიათებს ზოგი ორთოგრაფიულ-ფონეტიკური და მორფოლოგიურ-სინტაქსური თავისებურება, რომლებითაც იგი მკვეთრად გამოირჩევა სხვათაგან. აქ მოკლედ მივუთითებთ რამდენიმე მათგანზე, დაწვრილებით კი აღნუსხული გვაქვს ტექსტის გამოცემაში, აგრეთვე ეფთვიმეს რედაქციის ძირითად თავისებურებათა მიმოხილვისას.

1. სიტყვა სამოსელი ჩვენს ხელნაწერში, როგორც წესი, უ-თია დაწერილია: სამუსელი, მაგალითად[1]: მ. 5, 40; 6, 25, 28; 7, 15; 9, 16 (ორჯერ), 20, 21; 10, 10; 11,8 (ორჯერ); 14, 36; 17, 2; 21, 7, 8; 22, 11, 12; 23, 5; 26, 65; 27, 31, 35; 28, 3; მრ. 1, 6; 2, 21; 5, 27, 28, 30; 6, 9, 56; 9, 3; 10, 50; 11, 7, 8; 13, 16; 14, 63; 15, 20, 24; 16, 5; ლ. 3, 11; 5, 36 (სამჯერ); 6, 29; 7, 25 (ორჯერ); 8, 27, 44; 9, 3, 29; 12, 23; 15, 22; 19, 35, 36; 20, 46; 22, 36; 23, 11, 34; ი. 13, 4, 12; 19, 2, 5, 23, 24 (სულ 62 შემთხვევა).

მხოლოდ სამჯერ გვხვდება ო-თი დაწერილი ფორმა: სამოსლად მ. 3, 4; სამოსლისა მ. 24, 18 და სამოსლითა ლ. 24, 4.

ამ მოვლენას ო-ს უ-დ შენაცვლების უბრალო წესით (რომელიც ძალიან ხშირად გვხვდება ძველ ქართულში) ვერ ავხსნით: სხვა ფუძეებში ასეთი შენაცვლება ან სულ არაა, ან, თუ არის, ძალზე იშვიათია, მაგალითად: სალმუნ მ. 1, 4, 5 (= სალმონ. თანაც ეს უცხოური ენის საკუთარ სახელში გვაქვს. აქ კი ასეთი შენაცვლება საზოგადოდ ხშირია); იუნა მ. 12, 29 (აქაც საკუთარი სახელია); მუგუთა მ. 2, 7 (აქ შეიძლება ასიმილაციაც იყოს); სასწური მ. 17, 27 (=სასწორი); უჴრად ლ. 13, 35 (= ოჴრად). ესაა და ეს.

შებრუნებული სახის მონაცვლეობაც თითზე ჩამოსათვლელია: სადოკეველი მ. 3, 17; 16, 1, 6, 12; 22, 23, 34; მრ. 12, 18; ყორნი მ. 13, 16 (=ყურნი); ანო მ. 13, 21 (= ანუ); ალაფოვნოს ლ. 13, 21 (=ალაფუვნოს); ცრო ლ. 16, 10 (= ცრუ); უბრკომეს ი. 11, 10 (=უბრკუმეს). აქაც ესაა სულ.

შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ წერაში გამორჩენიათ უ-ს მეორე შემადგენელი ნაწილია: ႭჃ → Ⴓ. მაგრამ ეს ნაკლებად დამაჯერებელია. ესეც რომ არ იყოს, ო→უ სხვა ფუძეებში ან სულ არა გვაქვს (გოდორი, ზორვა, თოვლი, თორნე, თოჴნა, კოლტი, ოდენ, ოდეს, ორი, შეორგულება, ოქრო, ოცი, სოფელი, სწორი, ქორი, ღორი, ყოველი, ძოვა, წოვა, ჯორი...), ანდა ძალზე იშვიათად, როგორც ამ წიგნში არსებული სულ რაღაც ექვსიოდე ზემოთ მოყვანილი მაგალითიც ადასტურებს.

შესაძლებელია დავუშვათ, რომ ძველად ზოგ ქართულ კილოში მართლაც სამუსელი გამოითქმოდა, რამაც გამოხმაურება პოვა ჩვენს ძეგლში. მარ-

---

[1] ვუჩვენებთ მხოლოდ ადგილებს, სადაც გვხვდება უ-თი დაწერილი ფუძე; ბრუნვასა და რიცხვს ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა და ადგილის მოგების მიზნით აღარ აღვნიშნავთ.

თალია, ამ ზმნის პირიან ფორმებში მოს ფუძე გვაქვს: შეიმოსა მრ. 14, 51; გმოსიეს მ. 22, 12; ემოსა მ. 3, 4; 22, 11; მრ. 1, 6; შეემოსა მრ. 13, 5; იმოსებოდა ლ. 16, 19. მოს არის აგრეთვე ილ სუფიქსიან მიმღეობებში: მოსილი ი. 20, 12; შემოსილი მ. 11, 8; მრ. 5, 15; 16, 5, მაგრამ ფაქტია, რომ სამოსელი, როგორც დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეული, ცალკე მიდის და სხვა ორთოგრაფიულ წესს მისდევს.

ისმის კითხვა: სამუსელ ფუძის მართლწერის ეს თავისებურება მხოლოდ ურბნისის ოთხთავის საკუთრებაა, თუ იგი სხვაგანაც გვხვდება? ო→უ (და უ→ო) მონაცვლეობა, როგორც არაერთგზის აღუნიშნავთ ჩვენში[1], საერთოდ გავრცელებული მოვლენაა. მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ურბნისის ოთხთავს პირწმინდად გადმოაქვს ოპიზის ოთხთავის სათანადო ფორმები: ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნული 62 ფორმიდან (ფუძიდან, ო უ-თი რომ არის გადმოცემული — სამუსელ) 56 ამ სახითაა დაცული აგრეთვე ოპიზის ოთხთავშიც. იმ ექვსიდან, ერთმანეთს რომ არ ემთხვევა, რამდენიმეს აქვს გასაგები ახსნა:

ა) ოპიზის ოთხთავს თავში აკლია, იგი იწყება მ. 4, 13-დან. ამიტომ, ცხადია, აქ არ იქნება არც სამუსლად და არც სამოსლად.

ბ) მ. 9, 16-ის ძველი ტექსტის ერთი ნაწილი ამოუფხეკიათ და მას თან გაჰყოლია აგრეთვე სამუსლისა. გადანაფხეკზე დაწერილ ახალ ტექსტში სამოსლისა იკითხება (ამ მუხლის პირველი ნაწილი არაა ამოფხეკილი, ამიტომ იქ გვაქვს ხელნაწერის ძველი ფორმა სამუსელსა).

გ) ლ. 5, 36-ში ეს ფუძე სამჯერ გვხვდება (სამუსლისა, სამუსელსა, სამუსლისაჲ); A-ში 2 ჩანს, ერთი — არა.

დანარჩენი 3 შემთხვევა (მ. 5, 40; 21, 7; მრ. 6, 56) წვეთია ზღვაში და F-ის საყრდენად A-ს მიღებას ოდნავადაც ვერ შეუშლის ხელს. A-ს ეს წესი უფრო მტკიცედ აქვს დაცული. ასე, მაგალითად, როგორც უკვე გვაქვს ზემოთ აღნიშნული (გვ. 21), ეს სიტყვა ურბნისის ხელნაწერში 3-ჯერაა ო-თი დაწერილი: სამოსლად მ. 3, 4; სამოსლისა მ. 24, 18 და სამოსლითა ლ. 24, 4. ამ სამიდან პირველი სულ არ მოეპოვება ოპიზურს (ხელნაწერი მ. 4, 13-დან იწყება), ხოლო ორივე დანარჩენი უ-თია გადმოცემული (სამუსლისა, სამუსლითა). ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ ურბნისის ოთხთავს სამუსლის ასეთი მართლწერა ოპიზურიდან (ან მისი რომელიმე შთამომავლიდან) აქვს გადმოტანილი.

და რაკი ურბნისის ოთხთავის რედაქციის შემქმნელი ოპიზის (ათონის) ხელნაწერს ეყრდნობოდა და იყენებდა, მას ცვლიდა, უმატებდა, აკლებდა, სიტყვებს რიგს უცვლიდა, ერთი სიტყვით, მასზე დაყრდნობით ქმნიდა ახალ რედაქციას, ამიტომ იგი (ურბნისის ოთხთავი) ათონზე (სადაც ოპიზის ოთხთავი და სხვა წიგნები მიიტანეს ეფთვიმეს წინაპრებმა — მამამ, ბიძამ და სხვებმა) ან სადმე ახლოს, ძველი ქართული კულტურის კერაში უნდა იყოს შექმნილი (და შეიძლება გადაწერილიც).

2. ურბნისის ოთხთავი ძველ ქართულში კარგად ცნობილ ურთიერთას ნაცვალსახელს რაეს ჩართვით წერს: ურთიერთარს. ამ რ-ს ჩართვის საფუძველი გამორკვეულია: გადამწერებს სიტყვის ბოლო სამი ბგერა (ასო) არს ზმნას აგონებს და ამიტომ მასში, მათი აზრით, აუცილებლად საჭირო რ-ს ურთა-

---

[1] ა. შანიძე, სინური მრავალთავი 864 წლისა და მისი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის: სინური მრავალთავი 864 წლისა, 1959, გვ. 305—306.

ვენ[1]. აი ადგილები, სადაც გვხვდება ეს ფორმა: მ. 13, 30; 24, 10; 25, 32; მრ. 1, 27; 4, 41; 8, 16; 9, 10, 16, 33, 34; 10, 26; 12, 7; 15, 31; 16, 3; ლ. 2, 15; 4, 36; 6, 11; 8, 25; 12, 1; 20, 5, 14; 22, 23; 23, 12; 24, 32; ი. 4, 33; 5, 44; 6, 52; 7, 35; 8, 22; 11, 56; 18, 14, 22, 34, 35; 15, 12, 17; 16, 17, 19; 19, 24.

ხელნაწერში გვხვდება აგრეთვე ტრადიციული და სწორი უртიერთას. ასეთი შემთხვევა მხოლოდ ოთხია. ამათაგან ორი (მრ. 9, 50; ლ. 24, 14) უდავოა და კამათს არ იწვევს. მესამე (ლ. 24, 17) სხვა ხელითაა ნაწერი (ნუსხურად). როგორც აღნიშნული გვქონდა, ლუკას თავის ბოლო ორი ფურცელი დაკარგულია და აქ ტექსტი სხვა შრიფტით (ნუსხურით) არის შესრულებული. აღსანიშნავია, რომ იმავე სხვა ხელით ნაწერში ცოტა ქვემოთ (ლ. 24, 32) ისევ მთელი ხელნაწერისეული ურთიერთარს არის წარმოდგენილი: ეტყობა, ამ შემთხვევაში გადამწერმა ველარ გაუძლო დედნის წაკითხვის ცდუნებას და იგი ზუსტად გადაიტანა ნუსხურად გადანაწერში. მაგრამ რომ თვით იოვანე ტატანელიც მერყეობდა, ამას, ზემოთ მოყვანილი მაგალითის გარდა, ეს საინტერესო შემთხვევაც უსვამს ხაზს: ი. 13, 34-ში ეს სიტყვა ორჯერაა ნახმარი: პირველად ურთიერთას, ხოლო მეორედ ურთიერთარს. აი რყევა და ყოყმანიც ამას ჰქვია! დავძენთ ბოლოს, რომ G ხელნაწერის გადამწერს (მცხეთელ მწირ მიქაელს) ორჯერ გადაუტანია ურბნისისეული ურთიერთარს (მ. 24, 10; მრ. 9, 10).

3. ურბნისის ოთხთავის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა, რომ ხმოვანფუძიან სახელებში სახელობითი ბრუნვის ნიშნად ზოგან წარმოდგენილია სრული ი: ყრუი მ. 9, 32, 33; მ. 12, 22 (ორჯერ); ლ. 11, 14; ყროი (→ყრუი) მრ. 7, 32; ძმაი მრ. 3, 17; ხილვაი ლ. 8, 20; გემოი ლ. 14, 24.

ი გვაქვს აგრეთვე უკვეცელი სახელების ნათესაობითსა და მოქმედებითშიც: კუროისთავისაგან მ. 7, 16; ერთი მოსესთჳს და ერთი ელიაისთჳს: მრ. 9, 5; კანაით ი. 21, 2; არიმათიაით ი. 19, 38.

დასასრულ, იგივე ი არის წარმოდგენილი ორმაგი ბრუნების ფორმებშიც: ელიაისი[2] ჯერ-არს პირველად მოსლვაჲ: მ. 17, 10; მიეცით კეისრისაჲ კეისარსა და ღმრთისაი[3] ღმერთსა.

ძველ ქართულში, როგორც წესი, ყველა ამ შემთხვევაში ჲ იხმარება (ყრუჲ, ძმაჲ, კანაჲთ, ელიაჲსი...). მეორე მხრივ, ცნობილია, რომ ეს ჲ მიღებულია სრული ი-საგან (დედაი → დედაჲ, წყაროი → წყაროჲ, კანაით → კანაჲთ...). რა საფეხურს ასახავს ჩვენი ხელნაწერის ზემოთ წარმოდგენილი მაგალითები? პირველი შეხედვით კაცი იფიქრებდა, რომ ეს ფორმები უძველესი ქართულის ნიმუშებიაო, უფრო ძველად, ძველ ქართულამდე რომ იყოო. მაგრამ არა. ყრუი, ძმაი და გემოი არსებითად იგივე ყრუჲ, ძმაჲ და გემოჲ არის, ოღონდ დიალექტური, სადღაც კუთხეებში რომ იხმარებოდა, სწორედ ისეთი, როგორც დღეს გურულ (და არა მარტო გურულ) კილოში გვაქვს: ნენაი, ბაბაი, ხეი, ცაი, ცრუი, ყრუი. ამ კუთხურმა ფორმებმა ჩვენს ძეგლშიც პოვეს გამოხატულება. ძველად ჭრელ-ჭრელ ფორმებს ნაკლები დაბრკოლებები ელობებოდა, რომ ლიტერატურულ ძეგლებში შეეღწიათ. მაშინ უმთავრესად ეს პრინციპი იყო სახელმძღვანელოდ: წერე, როგორც ამბობ.

---

[1] ვ. თოფურია, ბრუნების სისტემისათვის სვანურში ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, 1944, ტ. V, № 3, გვ. 340.

[2] ელია | ისი F.

[3] ღ̃ი | საი F.

ერთი შეხედვით კაცს მოეჩვენება, რომ ჲ-ს ნაცვლად ი გვაქვს მაგალითების შემდეგს წყებაშიც: სიცრუისა ლ. 16, 9; სიცრუით მ. 5, 11; სიცრუისაჲ ლ. 16, 8; 18, 6; სიცრუისასა ლ. 16, 11. მაგრამ ეს ასე არ არის: ამ სიტყვის საწყისი ფორმაა (სახელობითი ბრუნვაა) სიცრუვჱ || სიცრუვე (ვ ასეთ ფორმებში დიდი ხნიდანაა დამკვიდრებული). შდრ. სიცრუვჱ არა არს მის თანა: ი. 7, 18; აჰა უფალმან მნჱ იგი სიცრუვისაჲ: ლ. 16, 8 DE. ჩვენს ხელნაწერშიც ეგევე ადგილია ნაგულისხმევი, ოღონდ ვ უ-სა და ი-ს შორის დაკარგულა (სიცრუვისაჲ→სიცრუისაჲ). ასევე შეიძლება აიხსნას აგრეთვე ყრუი-ც, რომელიც ძველ ქართულში ხშირად იხმარებოდა სწორედ ვ-ს დართვით: ყრუვი. ამ სახით გვხვდება იქ არა ერთი და ორი უ-ზე დაბოლოებული ერთმარცვლიანი სახელი: ბუვი, ტუვი, რუვი, ცრუვი, ძუვი[1].

4. ეს უკანასკნელი მაგალითები სხვა მხრივაც იქცევენ ჩვენს ყურადღებას: აქ ნათლად ვხედავთ, რომ ხმოვნებს შორის მოხვედრილი ვინი იკარგება. ეს ფონეტიკური პროცესი ურბნისის ოთხთავში ძალზე გავრცელებული მოვლენაა, ვინი უმოწყალოდ ქრება ბაგისმიერ ბგერებთან, განსაკუთრებით — უ-სა და ო-სთან. აქ ჩვენ მხედველობაში არა გვაქვს ზმნის I სუბ. პირში დასმული ისეთი ფორმები, როგორიცაა: მე მას იგი უთხარ. უწოდე, მიუწერე, უჩუენე, მიუყვანე... მე შეორგულდი, დაობლდი... მსგავს მაგალითებში ვ დაკარგულია ყველგან და საყოველთაოდ ძველი ქართულის მთელ სივრცეზე, ამან გამონაკლისი არ იცის.

ჩვენ აქ ვგულისხმობთ ფუძისეულ ვინებს (ვპოვე, ვსთხოვე, ცხოველი, მოვედინ...), ანდა ხმოვნებს შორის ჰიატუსის დასაფარავად განვითარებულებს (უვარყო, აღუვარა) და ამათ მსგავსთ. ჩვენი ხელნაწერი ამ თვალსაზრისით იშვიათი ძეგლია. აი რამდენიმე ტიპური შემთხვევა:

(მან) უარ-ყო მ. 26, 70, 72; მრ. 14, 68, 70; ლ. 22, 57; ი. 1, 20; 18, 25 (სხვაგან და სხვაგან ჩვეულებრივია უვარ-ყო); (მე შენ) უარ-გყო მ. 26, 35; მრ. 14, 31; უარ-ვყო იგი მეცა: მ. 10, 33; (შენ მე) უარ-მყო მ. 26, 34, 35; მრ. 14, 30, 72; ლ. 22, 34, 61; ი. 13, 38; რომელმან უარ-მყოს მე: მ. 10, 33; ლ. 12, 9; უარ-ყონ[2] იგიცა: ლ. 12, 9; უარ-ყავნ თავი თჳსი: მ. 16, 24; მრ. 8, 34; ლ. 9, 23.

აღუარებდა ღმერთსა: ლ. 2, 38 (აუვარებდა G); და აღუარა მათ: ლ. 22, 6).

მოედინ მშჳდობაჲ თქუენი მას ზედა: მ. 10, 13 (G-ში, რა თქმა უნდა, არის ჩვეულებრივი მოვედინ).

ამ ზმნის მსგავსი ფორმები II ბრძანებითში (მოედ, მოედით, მოედინ, წარედ, წარედით, მიედ, მიედით, განედ, განედით...) სავსეა ტბეთისა და მესტიის ოთხთავებში[3]. ვინის დაკარგვა აქ გამოწვეულია ბრძანებითის ძლიერი მახვილით და გამოყენებულია წყვეტილისა და II ბრძანებითის (II პ.) გასარჩევად: წარვედ ამ ხელნაწერებში წყვეტილია (I პ.), ხოლო წარედ — II ბრძანებითი (II პ.— წადი!). ფონეტიკური მოვლენის ასეთი გრამატიზაცია მსგავსი ფორმების შინაარსის დიფერენციაციისათვის არის გამოყენებული და ძალიანაც აადვილებს ფორმის შინაარსის გაგებას.

---

[1] ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957, გვ. 119—120.

[2] უარ-ყოს F.

[3] ი. იმნაიშვილი, ტბეთის ოთხთავი: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 20, 1977, გვ. 186—188.

ვ-ს დაკარგვა გვაქვს ყველაზე ხშირად სიტყვათა ფუძეებში, სადაც ოვ, უვ, ოვან, ოვარ, უვარ კომპლექსები გვხვდება. აქ ვ-ს მეტისმეტად უჭირს გაძლება. სანიმუშო მაგალითებია:

ვჰპოებ ი. 19, 6; ვპოე ი. 18, 38; 19, 4; პოა მრ. 11, 13; ლ. 4, 17; 13, 6; ი. 1,44; ვპოეთ ლ. 23, 2; ი. 1, 41; პოეს მ. 27, 32; უპოეს ლ. 20, 26; პოის მ. 12, 43; იპოა მ. 1, 18; ლ. 9, 36.

ითხოეთ ი. 15, 7; ითხოოთ ი. 16, 26; მითხოიეს ი. 16, 24; აწოებდენ მრ. 13, 17; ლ. 21, 23; მტყუარი ი. 8, 55; პეროინ ლ. 9, 39; ცრემლოდა ი. 11, 35 (← ცრემლოოდა←ცრემლოვოდა); განმაცხოელებელი ი. 6, 63; შოა-ღამეს ლ. 11, 5.

ცხოარი ლ. 15, 4; საცხოარი ი. 4, 12; ცხოარნი ი. 10, 4, 12; 21, 17; ცხოართა ი. 5, 2; 10, 3; ცხოართათჳს ი. 10, 11; ცხოართაჲ ი. 10, 7; ცხოართასა ი. 10, 1; ცხოართანი ი. 2, 14; მძოარი ლ. 8, 32; საძოარი ი. 10, 9; ქეთროანი ლ. 17, 12; მაყლოანსა ლ. 2, 37; ნაძოანსა ი. 18, 1.

5. ჩვენს ხელნაწერში მრწემი და უმრწემჳსი რ-ს გარეშეა წარმოდგენილი:

იყოს იგი ყოველთა მწემ: მრ. 9, 35; ლ. 22, 26; უმწემესმან მან (ძემან): ლ. 15, 12, 13. ამ უკანასკნელი სიტყვის გადაწერისას პირველ შემთხვევაში (ლ. 15, 12) G-ს გადამწერსაც უმწემესმან დაუწერია, მაგრამ მერმე შეუნიშნავს და რ ჩაუმატებია ზემოდან. მეორე შემთხვევაში (ლ. 15, 13) რ კი დაუწერია, მაგრამ ახლა მ გამოუტოვებია (ურწემესმან). ეტყობა, ამ სიტყვის ურბნისისეული ოთხთავის მართლწერა მიქაელ მცხეთელისათვის არ იყო მშობლიური და ბუნებრივი, მისი გადაწერისას ყოყმანობდა, ხან რ-ს გამოტოვებდა (როგორც დედანში იყო გამოტოვებული) და ხან მ-ს. რ ძირეულია და მისი დაწერა აუცილებელია. შდრ. ამ სიტყვის სინონიმი მცირე და უმცირესი (∥ უმცროსი), რომლებშიც რ ძირეულია და მას არსად არ აკლებენ.

მართლაც, მათეს თავის ერთ ადგილას ოპიზური რედაქცია რომ უმრწემეს-ს ხმარობს (უმრწემეს ეწოდოს მას სასუფეველსა ცათასა: მ. 5, 19), ეფთვიმესა და გიორგის რედაქციები მის ნაცვლად უმცირეს-ს იყენებენ (უმცირეს ეწოდოს...). ჩანს, თვით ძველადაც მთლად ადვილად გასაგები და მისაღები არ ყოფილა მრწემი (მწემი) და უმრწემჳსი (უმწემჳსი). მწემი და უმწემჳსი დიალექტური ფორმები უნდა იყოს.

6. F ხელნაწერში გვხვდება ხ-სა და ლ-ს საინტერესო შენაცვლება. ფონეტიკურად ეს არც თუ ისე უსაფუძვლოა, ესაა ოღონდ, რომ მას ძალიან იშვიათად ვხედავთ. G ხელნაწერის ჩვეულებრივი ფორმა ახილვად F-ში ლანითაა წარმოდგენილი, თანაც ორჯერ: ალილვად ლ. 4, 18; ალილვაჲ ი. 10, 21.

ხომ არ შეიძლება ეს მოვლენა უფრო მარტივად აიხსნას: ლ-სა და ხ-ს შეხვედრისას (ალხილვად, ალხილვაჲ) უკანასკნელი (ხ) დაიკარგა (ლხ→ლ)? არა, არ შეიძლება. ჯერ-ერთი, როცა ლ და ხ ხვდება ერთმანეთს, ყოველთვის ლ იკარგება და ხ რჩება; ამას ამტკიცებს თუნდაც G-ს მაგალითები (ახილვად, ახილვაჲ და ბევრი სხვაც). და ასეც უნდა იყოს: ხ ზმნის ძირეული ბგერაა და მისი გაუჩინარებით ზმნის აზრი აღარა ჩანს. მეორე: აქ ასეთი შენაცვლება (ხ→ლ) გვაქვს სხვა ფუძეშიც, სადაც აღნიშნული დაშვება გამორიცხულია. საქმე ეხება შეთხზვა ზმნას. G ხელნაწერში იკითხება ძველი ქართულისათვის ჩვეულებრივი ფორმა „შეთხზეს": შეთხზეს გჳრგჳნი ეკალთაგან და დაადგეს თავსა მისსა: მ. 27, 29. F-ში კი გვაქვს: შეთლსნეს (უკეთ: შეთ|ლსნეს). ლ აქაც ხ-ს მაგივრად

გვაქვს. მაშასადამე, ამ სამ მაგალითში გვაქვს ხ-სა და ღ-ს შენაცვლების ძალიან იშვიათი შემთხვევა. დღეს ასეთი შენაცვლების მაგალითია სახსარი და საღსარი, მაგრამ საღსარი უფრო დიალექტური ფორმაა (საკითხისათვის ამას არა აქვს მნიშვნელობა).

მესამე: ჩვენს ხელნაწერში გვაქვს შებრუნებული შენაცვლებაც, როცა ღ-ს ნაცვლად ხ არის წარმოდგენილი: მიიხიან: მრ. 4, 16 (= მიიღიან), რაც საბოლოოდ წყვეტს აღძრულ საკითხს.

რაც შეეხება შეთღსნეს-ში ს-ს არსებობას, ისიც ზ-სთან შენაცვლების გზითაა მიღებული. შდრ. მსგავსი და მზგავსი, მისდევდა და მიზდევდა და სხვ. ხოლო იმავე მაგალითის ნ ძველ ქართულში ამ ფუძეში არაიშვიათად გვხვდება, მაგალითად: და შეითხზნნა თითნი მისნი და შიშუელი დადგა წინაშე მეფისა: ბალ. 122, 2; უფროჲსნი ცოდვანი ენისაგან შეითხზნებიან: ათონ. 17, 320 г. ასეთ შემთხვევაში ნ მიმღეობაშიც ამოყოფს ხოლმე თავს: ეგრეთცა ვილუაწით გჳრგჳნისა მისთჳს უსისხლოდ შეთხზნულისა: კიმ. I, 56, 19. მაგრამ რაღა შორს მივდივართ: თვით იოვანე ტატანელს მეორეგანაც სწორედ ამნაირი, ნარიანი ფორმა აქვს მოცემული (ოღონდ ხ-სა და ღ-ს, აგრეთვე ზ-სა და ს-ს შენაცვლების გარეშე): შეთხზნეს გჳრგჳნი ეკალთაგან: ი. 19, 2. G-ს, რა თქმა უნდა, აქაც იგივე შეთხზეს უწერია.

7. ხელნაწერში ძველი ქართულის უკუანაჲსკნელი გამარტივებულია და ახალ ქართულსაა დამსგავსებული: უკუანასკნელი (სხვადასხვა ბრუნვასა და რიცხვში): ი. 6, 39, 40, 44; 11, 24; 12, 48. კიდევ ერთი მოკლე ნაბიჯი — უმარცვლო უ-ს ამოვარდნა — და დღევანდელი უკანასკნელი გვექნებოდა. ასეთი სიახლენი ჩვენს ხელნაწერში არა ერთი და ორია, რაც ნაჩვენებია ამ წიგნის სათანადო თავებში ეფთვიმეს რედაქციაზე საუბრისას.

ამ ტიპის ფორმაა აგრეთვე წინასწარ (მრ. 11, 11), რომელშიც ჲ აღარ არის წარმოდგენილი. შეიძლება ქარაგმიანი წნ῀სწრ-ც (მრ. 13, 23) ასევე გაიხსნას (წინასწარ).

8. ეთ-ზე დაბოლოებულ გეოგრაფიულ სახელებს ვითარებით ბრუნვაში მხოლოდ ა სუფიქსი ჰქონდა: საბერძნეთა, კახეთა, სპარსეთა... მეცნიერთა ფიქრით, ეს არის სწორედ ამ ბრუნვის უძველესი ნიშანი[1]. ჩვენს ხელნაწერში ა-ს დ-ც ემატება: გენესარეთად მრ. 6, 53; ნაზარეთად ლ. 2, 39, 51. ეს უფრო ახლებურია, როცა ძველი ა-ს ფუნქცია დაბნელდა და ახალი დ-ს დამატება გახდა საჭირო (ნაზარეთ-ად).

ერთგან გვხვდება მდე თანდებულიანი ულტრადიალექტური ფორმა აქაჵომდინ ი. 16, 24. აი რა შორსა აქვს სათავე დღევანდელ დიალექტურ ფორმებს: სახლამდინ, სოფლამდინ, ქალაქამდინ, აქამდინ და სხვა ამათ მსგავსთ.

9. ძველი ქართულის ჰრქკან ჩვენს ხელნაწერში გამარტივებულია რ-ს დაკარგვით და დარჩენილი ჰქკან აგრეთვე დღევანდელ ჰქვიან-ს ეხმაურება. ესაა მხოლოდ, რომ ჰქკან ჩვენს ხელნაწერში ისევ სამპირიანია: ჰქკან მათ მას (!: მათ) იგი, დღევანდელი ჰქვიან კი — მხოლოდ ორპირიანი: ჰქვიან მას იგი. თანაც დღეს ეს ჰქვიან (ჰქვია) მხოლოდ სახელის დარქმევის (წოდების) მნიშვნელობით იხმარება, ძველად (და ჩვენს ხელნაწერშიც) იგი თხრობასაც აღნიშნავდა.

---

[1] ა. ჩიქობავა, მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის: ენიმკის მოამბე, I, 1937, გვ. 21.

აი ჰქჳან-ის მაგალითები F-დან: მ. 1, 16; 2, 23; 13, 55; 26, 36; 27, 17, 22; ლ. 1, 61; 2, 4; 6, 14; 7, 11; 9, 10; 19, 29; 21, 37; 22, 1, 25; 23, 33; ი. 4, 5, 25; 5, 2; 9, 11; 20, 16.

მაგრამ იოვანე ტატანელს ხუთიოდე ძველებური ფორმაც გაჰპარვია: ჰრქჳან მ. 27, 33; ი. 11, 54, 55; 19, 13, 17. ერთგან მას ხელნაწერისათვის (თვით მისი ენისათვის) ასე დამახასიათებელი ფორმა ქარაგმით დაუწერია: ჰ̃ქჳან მ. 27, 22. ესეც იმ კოკმანისა და ყოყმანის კარგი მაჩვენებელია, რომელსაც ჩვენი გადამწერი იჩენს სადავო ფორმების წერისას. დავძენთ ბოლოს, რომ ეს ჰ̃ქჳან ერთგან (მ. 26, 36) G ხელნაწერშიც გვხვდება. ეს ადვილი ასახსნელი იქნება, თუ მართალია ჩვენი ვარაუდი, რომ G ხელნაწერი F-დან უნდა იყოს გადაწერილი. სწორედ ამიტომაა, რომ F-ის ბევრი მეტად თავისებური წაკითხვა და გრამატიკული ფორმა ასე უხვად აღმოჩნდება ხოლმე მწირი მიქაელის ნახელავშიც.

10. II ხოლმეობითთან დაკავშირებით აქ კიდევ ერთ საკითხს უნდა შევეხოთ. როგორც ცნობილია, ერთი ტიპის ი თემისნიშნიანი ზმნების აწმყო და II ხოლმეობითი გარეგნულად (მორფოლოგიურად) ერთმანეთს ემთხვევა: ვ-ჰ-ხად-ი, ჰ-ხად-ი, ჰ-ხად-ი-ს, ვ-ჰ-ხად-ი-თ, ჰ-ხად-ი-თ, ჰ-ხად-ი-ან. ეს ფორმები აწმყოცაა და II ხოლმეობითიც (სინტაქსურად განსხვავება ჩანს მხოლოდ III პირებში: ჰ-ხად-ი-ს იგი, ჰ-ხად-ი-ან იგინი—აწმყო, და ჰ-ხად-ი-ს მან, ჰ-ხად-ი-ან მათ—II ხოლმეობითი). ამ დამთხვევის ასაცილებლად ძველ ქართულში არის ცდა — აწმყოს ფუძე შეკუმშონ და ამით გაარჩიონ იგი II ხოლმეობითის შეუკუმშავი ფუძისაგან. ხდება ფონეტიკური მოვლენის (კუმშვის) გრამატიზაცია. ამის ერთი მაგალითი ჩვენს ხელნაწერშიც გვხვდება: ოდეს ჰყოფდე სადილსა გინა სერსა, ნუ ჰხდი მეგობართა შენთა: ლ. 14, 12 (G-ში და სხვა ხელნაწერებში ძველებური შეუკუმშავი ჰხადი გვაქვს). ესეც იმ ახალი სიოს გამოძახილია, რომლის ნელი და საამო ქროლა მკაფიოდ ეტყობა ჩვენი ხელნაწერის კაბადონებს.

11. F-ს ენ სუფიქსიანი ენებითის ნაცვლად ერთგან დონიანი ფორმა გამოუყენებია: ვითარ დამტკიცდეს მეუფებაჲ მისი: ლ. 11, 18. ესეც ახალი ფორმაა. G ხელნაწერი აქაც ისევ ძველებურ და გავრცელებულ ენ სუფიქსიან წარმოებას წარმოგვიდგენს: დამტკიცნეს.

12. F ხელნაწერი იმეორებს შეცდომას, რომელსაც ხშირად უშვებენ ხოლმე რწმენა საშუალი გვარის ზმნის ზოგიერთი ფორმის მართლწერაში: რამეთუ არა გრწმენნეს სიტყუანი ჩემნი: ლ. 1, 20. უნდა არა გრწმენნეს, არამედ გრწმენეს (ერთი ნ მეტია). ამის დამწერს ჰგონია, რომ საქმე აქვს პირდაპირი ობიექტის მრავლობითთან. მაგრამ აქ არა პირდაპირი ობიექტი, არამედ სუბიექტია მრავლობითში (სიტყუანი), და მისი მრავლობითობა ეს სუფიქსით არის გამოხატული (გრწმენ-ეს). აქ ამაზე კიდევ არაფერს ვიტყოდით, რომ ეგევე მცდარი გრწმენნეს სწორედ ამ ადგილას არ ყოფილიყო A (ოპიზურ) ხელნაწერშიც, რომლითაც, როგორც აღნიშნული გვქონდა, ურბნისის ოთხთავი დიდად არის დავალებული (მოვიგონოთ ზემოთ მოთხრობილი სამუსელ-ის ისტორია, გვ. 21—22).

მსგავსი შეცდომაა განმეორებული მეორეგანაც, სადაც პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის ენ სუფიქსი ახლა უკვე ირიბი ობიექტისათვის არის განკუთვნილი (ირიბი ობიექტის მრავლობითობა კი ზმნაში ძველ ქართულში არ აღინიშნება): არამედ რაჲ ძალ-გიც, შემეწიენ ჩუენ, უფალო, და წყალობა-ყავ ჩუენთჳს: 9, 22. სწორია, რა თქმა უნდა, G ხელნაწერი, როცა ამის ნაცვლად წერს: შემეწიე. აქაც უნდა დავუმატოთ, რომ უფრო ადრე ეგევე შეცდომა აქვს და-

შევბული ჯრუჭის ოთხთავის გადამწერსაც, ამ ადგილას მასაც შემეწიენ უწერია.

13. აღმოვსება ძველ ქართულში ნიშნავს წყლის, ღვინის ამოღებას. სახარების ტექსტში (და ჩვეულებრივ საერთოდაც) იგი ანიანი საარვისო ქცევის ფორმით იხმარება: აღმოავსო (ამოიღო), აღმოავსებდა, აღმოავსეს, აღმოავსის, აღმოავსოს და სხვა. ასე ანითაა იგი ნაწარმოები სახარების ცნობილ ხელნაწერებშიც, მაგალითად: აღმოავსეთ აწ და მოართუთ პურისა უფალსა: ი. 2, 8 ABDEG HIKM. ჩვენს ხელნაწერს კი უხმარია სათავისო ქცევის ფორმა, როგორც დღეს გვაქვს სხვა ფუძის ფორმაში (ამოიღეთ). F ხელნაწერში იკითხება: აღმოივსეთ აწ და მოართკთ პურისა უფალსა. სწორედ ასე აქვს აგრეთვე ბერთის ოთხთავსაც. ეს ზმნა სათავისო ქცევის ფორმით იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება სხვაგანაც: რომლისა მიერ აღმოივსო მცირედი წყალი: ეს. 30, 14 pb. ენებითი არ გეგონოთ. შდრ. რუს. თარგმანი: чтобы почерпнуть воды из водоема. ოშკურ ხელნაწერში სხვა ზმნა გვაქვს, მაგრამ მაინც საარვისო (ნულიანი) ქცევის ფორმით არის ნახმარი: რომლითამცა მოსწრიდოს წყალი მცირედ. ადიში რაღასა იქმს? მას, არც მეტი, არც ნაკლები, ფუძეც დღევანდელი აქვს და ქცევაც — სათავისო: აღმოიღეთ და მოართუთ პურისა უფალსა და მთავარსა ამის ტაძრისასა! აი ასეთი ახალი ფორმა აქვს (ქცევის თვალსაზრისით) ჩვენს ხელნაწერსაც. სიახლისადმი დიდი მისწრაფება არის სწორედ ჩვენი (F) ხელნაწერის (და, საერთოდ, ეფთვიმეს რედაქციის ხელნაწერების) სისხლხორცეულად დამახასიათებელი თვისება. ეს ლტოლვა ამ სიტყვის ფორმაშიც კარგად გამოჭვივის.

14. ამ სიახლის კიდევ ერთი დამადასტურებელი მაგალითია წყვეტილის ფორმა შობნეს: ნეტარ არიან ბერწნი და მუცელ(ნ)ი, რომელთა არა შობნეს: ლ. 23, 29. არსად სხვაგან ასეთი ფორმა არ მოიპოვება, ყველგან არის შვნეს ან შვეს.

ურბნისის ხელნაწერის მაგალითში ობ თემის ნიშანი შეხორცებულია ფუძესთან და მას დაუბრკოლებლად გადაჰყვება II სერიის მწკრივებში. ძველად ეს იშვიათი ნეოლოგიზმი იყო, ხოლო შემდეგ და შემდეგ ნორმალურ მოვლენად იქცა. შოთასაც ამგვარი ფორმა აქვს ნახმარი:

ესე რა თქვა, ყმამან სულთქვნა,
ცრემლით ბრძანა: „შობა ქალი“ (324, 2).

დღეს ასეთი ფორმები ნორმაა. ასეცაა ქგლ-ში ნათქვამი: შობს, შობა, უშობია და ძვ. შვა, უშვიაო (VII, 1422). ამ სიახლის პირველი მერცხალი ჩვენი ხელნაწერია (ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით, სანამ მსგავსი რამ უფრო ძველ ხელნაწერებში არ აღმოჩენილა).

ბოლოს, დავურთავთ ორიოდე სინტაქსურ ცნობასაც.

15. ჩვენს ხელნაწერში ერთგან გვხვდება ორმაგი უარყოფა: უკუეთუ არა მარცუალი იფქლისაჲ დავარდეს ქუეყანასა და არა მოკუდეს, იგი მარტოჲ ხოლო ეგოს: ი. 12, 24. სხვა ხელნაწერებში მეორე არა არ არის წარმოდგენილი, რადგან ძველმა ქართულმა ორმაგი უარყოფა არ იცოდა[1]. შესაძლებელია, აქ მეორე არა იმიტომ დაუმატეს, რომ პირველი მათგანი კარგა მოშორებით იყო მისგან. G ხელნაწერი ამ შემთხვევაშიც გვერდში უდგას F-ს, მისი წაკითხვა უცვლელად გა-

---

[1] ე. თოფურია, ორმაგი უარყოფა ქართულში: „წელიწდეული“, I—II, 1923—1924 გვ. 74—116.

დააქვს. ასეა თუ ისე, აქაც ჩვენ გვაქვს დღეს ჩვენს ენაში ფართოდ გავრცელებული მოვლენის ერთ-ერთი უძველესი გამოძახილი.

16. ერთგან არს მეშველი ზმნა გამარტივებულია და ა-ს სახით არის წარმოდგენილი: მე მოხუცებულ ვარ, და ცოლი ჩემი გარდასრულა დღეთა მისთა: ლ. 1, 18. ამის მსგავსი მაგალითები ძველ ქართულში კანტიკუნტად სხვაგანაც გვხვდება, მაგრამ ოთხთავების ენაში იგი იშვიათია. დღეს კი ეს მოვლენა მეტად გავრცელებულია და მოდებულია მთელი ენის სივრცეზე. ეს გასაგებიცაა: შეკვეცილი ფორმები სხარტი, ეკონომიური და დიდი ექსპრესიული ძალისაა. აქაც კარგად იგრძნობა ჩვენი ხელნაწერის ახალი ჰაერით გახშირებული სუნთქვა.

17. დასასრულ, აღვნიშნავთ ერთ საინტერესო შემთხვევას, როცა ჩვენს ხელნაწერში ტექსტის შინაარსის გასააზრიანებლად დამატება მიმართვად არის გადაკეთებული და წოდებითში ჩასმული: მაშინ იწყონ სიტყუად მთათა: დამეცენით ჩუენ ზედა! და, ბორცნო, დამფარენით ჩუენ! (ლ. 23, 30). ყველგან ამის ნაცვლად ბორცუთა იკითხება (ისევე, როგორც მთათა), გამონაკლისია კიდევ ერთი, ბერთის ოთხთავი, რომელსაც ურბნისის ხელნაწერივით ბორცუნო დაუცავს. რად გადაიტანეხ ეს ბორცუთა წოდებითში? რად მოუნდათ ბრუნვის გამოცვლა? სურვილი გასაგებია: ბრძანებითის ფორმები დამეცენით, დამფარენით მიმართულია მთებისა და ბორცვებისადმი (მაშინ დაუწყებენ მთებსა და ბორცვებს ლაპარაკსო — დამეცით, დამფარეთო); რაკი ასეა, ვისაც მიმართავენ, ის წოდებითში უნდა იყოსო. ყოველ შემთხვევაში, გადამწერს ასე ესმის და ეს გასაგებია ჩვენთვის. აქ არას ვიტყვით იმის შესახებ, რომ ბორცნო-ში უმარცვლო ჳ დაკარგულია მომდევნო ო-ს გავლენით. მოსალოდნელი იყო, ნ-ს გადაერჩინა იგი (როგორც გადარჩენილა ბერთის ოთხთავში), მაგრამ რადგანაც უმარცვლო ჳ-ზე დაბოლოებული ფუძეები წოდებითის მხოლობითში ამ ჳ-ს თითქმის მუდამ კარგავენ (ლეკო, ლეღო, მოგო, ნესტო, ნაძო, ბორცო...), ეს მტკიცე წესი იოვანე ტატანელს მრავლობითის ფორმაზეც გადაუტანია. ბორცნო-ში ჳ-ს დაკარგვას ჰქონდა კიდევ კერძოობითი მიზეზი: ამ მოკლე სახელში სულ 2 ასოს წინ იყო ორი ბაგისმიერი ბგერა ბო. ასეთ პირობებში, სამი ბაგისმიერი ბგერის ალყაში მოყოლილი ჳ, რა თქმა უნდა, ვერ გაძლებდა. და დაეცა კიდეც.

ურბნისის ხელნაწერს ბევრი სხვა ენობრივი თავისებურებაც ახასიათებს, მაგრამ აქ ახლა მათზე ვერ შევჩერდებით. მით უმეტეს, რომ ზოგი მათგანი გამოცემის ტექსტში (სქოლიოებში) გვაქვს ნაჩვენები, სხვები ეფთვიმეს რედაქციაზე მსჯელობისას არის მიმოხილული და დაინტერესებულ პირთ ადვილად შეუძლიათ იქ ჩახედონ და საჭირო ცნობები იპოვონ.

# 2. ᲞᲐᲚᲔᲡᲢᲘᲜᲣᲠᲘ ᲝᲗᲮᲗᲐᲕᲘ

პალესტინური ოთხთავი არის ერთ-ერთი უძველესი თარიღიანი ხელნაწერი, რომელიც ნუსხურითაა გადაწერილი. ძველად ოთხთავებს მოგვიანო ხანებშიც ჩვეულებრივ ასომთავრულით (მრგლოვანით) წერდნენ ხოლმე. ცალკე თავები, სათაურები და აბზაცის დასაწყისები სინგურით არის შესრულებული.

წიგნი დაწერილია კარგად გამოყვანილ ეტრატზე ორ სვეტად, გარდა პირველი ორი ფურცლისა, რომლებიც ერთ სვეტად არის დაწერილი. ხელნაწერის ზომაა 21,8×15 სმ, ხოლო ცალკე სვეტის ნაწერისა—17×4,8 სმ.

ხელნაწერი სულ 343 ფურცელს შეიცავს. აქედან ბოლო ნაწილი (298r—343v) პალიმფსესტია. პალიმფსესტის თავდაპირველი ტექსტიც ნუსხურად ყოფილა დაწერილი, ძნელად იკითხება.

წიგნის გადამწერია მწირი მიქაელ. იგი ხშირად ახსენებს თავის თავს:

ა) „მწირი გლახ მიქაელ შეიწყალე“ (1v).

ბ) მათეს სახარების დასრულების შემდეგ:

„დაესრულა სახარებაჲ მათესი შეწევნითა ქრისტესითა. მე, საწყალი მწირი მიქაელ, გევედრები ლოცვასა, წმიდაო მღდელო სტეფანე, და ყოველთა მკითხველთა ერთობით გევედრები. ამენ“ (80v).

გ) მარკოზის სახარების დასრულების შემდეგ:

„დაესრულა სახარებაჲ მარკოზის თავისაჲ. კეთილო მღდელო სტეფანე მოძღუარო, მწირი გლახ მიქაელ ლოცვასა თქუენსა წმიდასა გევედრები, და ყოველთა მოწესეთა, რომელნი აღმოიკითხვიდეთ წმიდასა ამას სახარებასა, და შემინდევეთ“ (130 v).

დ) „დაიწერა წმიდასა ადგილსა გესმანიას, საფლავსა წმიდისა ღმრთის-მშობელისასა, დედისაგან საბაწმიდისა, განგებასა ზედა ბერძულსა, დიად ხარკებითა ჴელითა საწყალობელისა მიქაელ მწირისა მცხეთისავე მიწისაგან. წმიდანო ღმრთისანო, ჩემგან უძროლისა რომელი ეგებოდა, მიშრომია და მომიჭირვებია, რომელი დედასა არს: მსგეფსითა და საუფლოთა დღესასწაულთა ჟამისწირვისა საკითხავითა და სხჳთა ყოვლითა განგებითა, რიცხჳთა და განთესულითა, ჯუარითა, მასკლავითა, ისრითა და ღელვა-ვრცელითა. რომელი ვინ ჩემდა უმეცრებით ცთომილი ჰპოთ ანუ მოგხუდეს, შემინდევეთ ღმრთისათჳს. ამენ“ (297 r).

აქედან ჩანს, რომ ხელნაწერი გადაუწერია მწირ მიქაელს. მიქაელი ხაზს უსვამს თავის მწირობას. მწირი ძველი ქართულით არის: უცხო, უცხოელი, სხვა მხრიდან მოსული, სხვა ქვეყანაში მყოფი, ყარიბი, пришелец. ეტყობა, იგი დიდი ხნიდან არ იმყოფებოდა გეთსამანიაში, სადაც მან გადაწერა ჩვენი ხელნაწერი, ასე ხშირად რომ ამბობს: მწირი მიქაელ, მწირი მიქაელო.

გეთსამანია იყო ადგილი იერუსალიმში ზეთისხილის მთის ძირში. აქ იყო ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი, რომელშიც, ალბათ, მოღვაწეობდა მიქაელ და აქვე გადაწერა ეს ხელნაწერი.

ხელნაწერის მომგებელი არის ხუცესი სტეფანე. ამის შესახებ ანდერძში ვკითხულობთ:

„სახელითა ღმრთისაჲთა და მადლითა და სარწმუნოებითა წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა მცხეთისაჲთა მე, გლახაკი სტეფანე, ხუცესი პალავრელი, მნათე ყოფილი, ყოველთა მოწესეთა ნარჩევი, მიწაჲ და მტუერი, შვილი მცხეთისაჲ, ღირს ჰყო ღმერთმან მოუგონებელსა კეთილსა და წყალობასა მისსა, და მოვიწიე წმიდასა ქალაქსა იერუსალჱმსა, ადგომასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა და წმიდასა გოლგოთასა და მოვილოცენ ყოველნი წმიდანი ადგილნი მისნი მოწყალებითა ქრისტესითა, და დამაწესეს მწირველად ქართლისა კათალიკოზისა ი.ქროპირისა — ადიდენ ღმერთმან — წმიდასა ეკლესიასა გარდამოჴსნისასა მლოცველად. და მოვიგე წმიდაჲ ესე ოთხთავი, სრული ყოვლითა საჴმარითა, სალოცველად ცოდვილისა სულისა ჩემისა და მშობელთა და მოძღუართა ჩუენთასა და ყოველთა ქრისტეა-

ნეთა სალოცველად. ქრონიკონი იყო სჲჱ. შემდგომად ჩემდა, ვისცა ღმერთმან მოგცეს, და რომელნი აღმოიკითხვიდეთ წმიდასა ამას ოთხთავსა, სულთა განმანათლებელსა, წმიდასა ლოცვასა თქუენსა ჩუენცა თანამოგჳჴსენებდით“ (296 v — 297 r).

აქედან ირკვევა, რომ ეს წიგნი მოუგია სტეფანე ხუცესს, რომელიც პალავრის მონასტერში მოღვაწეობდა. პალავრა (ძველი ლავრა, παλαιὰ λαύρα), რომელიც იერუსალიმის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობდა სულ რაღაც 10—12 კილომეტრის დაშორებით, წარმოადგენდა ქართველთა სამონასტრო საქმიანობისა და მწიგნობრულ-კულტურული მოღვაწეობის ერთ-ერთ ძლიერ საზღვარგარეთულ კერას. აქ ბევრი მნიშვნელოვანი წიგნი უთარგმნიათ და გადაუწერიათ[1]. ერთ-ერთი ასეთი წიგნთაგანია ჩვენი პალესტინური ოთხთავიც. იგი, როგორც ანდერძშია ნათქვამი, სტეფანე ხუცესს მოუგია, მისი გადაწერა გეთსამანიაში მოღვაწე მწირი მიქაელისათვის დაუვალებია. ეს დავალება მიქაელმა კარგად შეასრულა.

ანდერძში სტეფანე ამბობს, მე ვარო „შვილი მცხეთისაჲ“. ეს შეიძლება ორნაირად გავიგოთ:

ა) პირდაპირი გაგებით, სტეფანე მცხეთელი ყოფილა. ამ აზრით, მიქაელიც მცხეთელი იქნებოდა, რადგან ერთგან ისიც ამბობს, მე ვარო „მცხეთისავე მიწისაგან“. ეს ვე ნაწილაკი (მცხეთისავე...) ხაზს უსვამს, რომ ის, მიქაელ, როგორც სტეფანე, მცხეთელია, მცხეთის მიწიდანაა (აქ მოსული).

ბ) მეორე (გადატანითი) გაგებით, მცხეთის შვილი, მცხეთის მიწის მკვიდრი კონკრეტულად მცხეთელს, მცხეთაში მცხოვრებს (ნაცხოვრებს) კი არ ნიშნავს, არამედ მცხეთის, როგორც საქართველოს ქრისტიანული სარწმუნოების ცენტრის, შვილს.

ერთგან ივანე ჯავახიშვილი სწორედ ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითის გამო ასკვნის, რომ „მცხეთისშვილობა“ კი, როგორც ეს „ქართული სამართლის ისტორიის“ მე-III წიგნში უნდა იყოს განმარტებული, საქართველოს კათალიკოზის გვერდით არსებული გავლენიანი საგულისხმო დაწესებულება იყო“[2].

თუმცა რა დიდი განსხვავებაა, სტეფანე და მიქაელ უშუალოდ მცხეთელი იქნებიან თუ მცხეთის (საქართველოს) ეკლესიის შვილები? მთავარია, ეს სულით ამაღლებული და გულმხურვალე ქართველები მცხეთიდან (თუ საქართველოს სხვა კუთხიდან) წავიდნენ შორეულ პალესტინაში და იქ მჩქეფარე მწიგნობრული მუშაობა გააჩაღეს.

ხელნაწერი გადაწერილია XI საუკუნის I ნახევრის დასასრულს, სახელდობრ, 1048 წელს (780+268=1048).

უკანასკნელ ხანებში ხელნაწერი სვანეთში მოხვედრილა. ამიტომ კ. კეკელიძე მას სვანურ ოთხთავსაც უწოდებს[3]. იმ ხანებში (1912 წ.) იგი ბ. ნიჟარაძეს ჰკუთვნებია. იქიდან კი შემდეგში თბილისის მუზეუმში მოხვდა. ამჟამად იგი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში H 1741 ნომრით.

ხელნაწერში მოიპოვება გვიანდელი მინაწერები (ფფ. 131 r, 132 v, 219 r—v, 220 r—v, 221 v, 227 v და სხვ.), მაგრამ აქ ახლა ეს საკითხი არ გვაინტერესებს, რადგან მათ აქ აღძრულ საკითხებთან არა აქვთ უშუალო კავშირი.

---

[1] ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერების ისტორიიდან (პალავრა): „ორიონი“, 1967, გვ. 251—259.

[2] ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, 1929, გვ. 10—11.

[3] კ. კეკელიძე, Иерусалимский канонарь VII века, თბილისი, 1912, გვ. 36.

ხელნაწერი მოკლედ აქვს აღწერილი კ. კეკელიძეს ზემოთ დასახელებულ შრომაში[1]; მის შესახებ ცნობები მოეპოვება ილია აბულაძესაც[2], ხოლო შედარებით ვრცლად არის აღწერილი ელ. მეტრეველის მიერ[3].

პალესტინური ოთხთავი რედაქციულად ურბნულს მისდევს კვალდაკვალ: ერთნაირია მათი ლექსიკა, გრამატიკული ფორმები, სიტყვათა რიგი. მათ მეტად სპეციფიკური თავისებურებანიც ერთნაირი მოეპოვებათ; ერთნაირი ახალი ფორმები, ერთნაირი სიახლოვე ბერძნულთან, ერთნაირი ნონსენსები და შეცდომები (ცინსონისაჲ ხარკისაჲ, კმელად ქუეყანად...). ამას უნდა დაემატოს აგრეთვე ისიც, რომ ორივე ხელნაწერი ბევრგან ერთნაირ თავისებურ ორთოგრაფიულ წაკითხვებს გვიჩვენებს (უძრული, ძრიელებაჲ, ურთიერთარს, ჰქჳან...). ეჭვი არაა, ურბნული და პალესტინური ხელნაწერები ერთი რედაქციის, ეფთვიმეს მიერ დამუშავებული რედაქციის ნუსხებია (ამავე რედაქციისაა აგრეთვე ტბეთისა და მესტიის ოთხთავები, ისინიც ასე ახლო დგანან ერთმანეთთან რედაქციით, ენით, ორთოგრაფიით, მაგრამ მათზე სხვაგან გვაქვს ლაპარაკი და აქ ახლა არას ვიტყვით). ერთი სიტყვით, ურბნისისა და პალესტინური ხელნაწერები იმდენად ახლოს არიან ერთმანეთთან, რომ საფუძვლიან აზრს ბადებს: ხომ არ არის ორივე ერთი დედნიდან გადაწერილი? ან: ხომ არ მომდინარეობს ერთი (ვთქვათ, G) მეორიდან (F-დან)?

ამათ ტექსტებზე სპეციალური მუშაობისას ჩვენ სწორედ ამგვარი აზრი დაგვებადა (სახელდობრ F→G), მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ ვიტყვით. მანამდე გავეცნოთ G ხელნაწერის ენის ზოგიერთ თავისებურებას.

ზემოთ (გვ. 21—29) ჩვენ მოკლედ წარმოვადგინეთ F ხელნაწერის ენის თავისებურებანი. მათგან, რა თქმა უნდა, ზოგი საერთოა პალესტინურისათვისაც. აქ ამაზე საუბარი აღარ არის საჭირო, ამიტომ მოკლედ აღვნუსხავთ მხოლოდ G-ს დამახასიათებელ ზოგ ენობრივ (ფონეტიკურ-ორთოგრაფიულ და მორფოლოგიურ) თავისებურებას.

### 1. ვ დაცულია

ჩვენი ხელნაწერისათვის არ არის დამახასიათებელი ბგერათა დაკარგვა. ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას ვ-ს შესახებ. ძველი ქართული ენის ძეგლებში გარკვეულ ფონეტიკურ პირობებში (ბაგისმიერ ბგერებთან, უფრო მეტად უ-სა და ო-ს მეზობლობაში) ყველაზე ხშირად სწორედ ვ იკარგება (უარ-ყო, ცხონდა, ცხორებაჲ, სთხოოთ, ჰპოოთ, კლდოანი...), აქ კი ეს სუსტი ბგერა არახელსაყრელ ფონეტიკურ გარემოცვაშიც მაგრად დგას და არ იკარგება. ეს თავისებურება ჩვენს ძეგლს სისტემატურად გასდევს თავიდან ბოლომდე. აქ ვუჩვენებთ მხოლოდ რამდენიმე სანიმუშო მაგალითს ცალკეული სიტყვების სახით (უკონტექსტოდ):

აუვარებდეს მ. 3, 6; ალუვარა ლ. 22, 6; უვარ-ვყო, უვარ-მყოს მ. 10, 33; უვარ-ყავნ მ. 16, 24 (და ასე ყველგან); ცხოვნდების მ. 4, 4; ლ. 4, 4; ცხოვნდებოდა ლ. 16, 13, 30; ცხოვნდა ლ. 8, 36; ვცხოვნდე მ. 9, 2; ცხოვნდეს მ. 9, 28; მრ. 5, 23; ი. 6, 51, 57, 58; 10, 9; 11, 12; ცხოვნდესვე ი. 11, 25; სცხოვნდეთ ი. 5, 34;

---

[1] კ. კეკელიძე, Иерусалимский канонарь VII века, გვ. 36—37; 208—210.

[2] ილ. აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები (პალეოგრაფიული ალბომი), 1949, გვ. 132—135 (ტაბულები 66, 67), 309 (სხვა ცნობები).

[3] ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფ. მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), ტ. IV, 1950, გვ. 173—174.

ცხოვნდენ ი. 5, 25; კეთროვანი მ. 8, 1; კეთროვანნი მ. 11, 5; ლ. 4, 27; 7, 22; 17, 12; ვპოვებ ლ. 23, 4; ი. 19, 6; ჰპოვებდეს ლ. 19, 48; ვპოვე მ. 8, 10; ი. 19, 4; ჰპოვე ლ. 1, 30; პოვა მრ. 11, 13; პოვეს მრ. 14, 16; პოვის მ. 12, 43 (მაგრამ: პოოს მ. 24, 46); გლოვად მ. 9, 15; მოვედინ მ. 10, 13 (მოედინ F); კლდოვანსა მ. 13, 20; მრ. 4, 5, 16; ცხოვარი ლ. 15, 4; ცხოვარნი მ. 25, 32; მრ. 14, 27 (და ასე ყველგან); ითხოეთ ი. 15, 7; მთხოვოთ მრ. 10, 35; სთხოვოთ ი. 16, 23; ითხოვოთ ი. 16, 26; გითხოვიეს ი. 16, 24; თხოვისაებრ ლ. 23, 24; მაყულოვანსა მრ. 12, 26; ლ. 20, 37; ფანოველისი ლ. 2, 36; დიდროვაჲ ლ. 6, 48; მძოვარი ლ. 8, 32; საძოვარი ი. 10, 9; პეროვინ ლ. 9, 39; სილოვამს ლ. 13, 4; ცხოვრებად ლ. 18, 26; საცხოვრებელი ლ. 15, 12; აწოვებდენ ლ. 21, 23; განეშოვრა ლ. 22, 41; ამბოვრის-ყოფად ლ. 22, 47; სტოვასა ი. 10, 23; ნაძოვანსა ი. 18, 1; დააძოვენ ი. 21, 15. ეს წესი ასეა გატარებული მთელ ხელნაწერში.

რაც შეეხება უმარცვლო უ-ს (ჳ), იგი, როგორც ვიცით, მარტივი ფუძის (ძირის) კუთვნილებაა და ყველგან გაცილებით მეტად და ხშირად იკარგება. ასეა ჩვენს ხელნაწერშიც. ერთი ნიმუში ზემორე იყო მოყვანილი: ნაძოვანსა. აქ ვ კი არის გადარჩენილი, მაგრამ ძირეული უ ო-სთან მოხვედრის გამო დაკარგულია: ნაძუოვანსა→ნაძოვანსა. შდრ. ძველი ქართულის ამ ტიპის კარგად ცნობილი მაგალითები: მოგო (← მოგუო), კიცო (←კიცუო), ნესტო (←ნესტუო) და სხვა. აი კიდევ ჳ-ს დაკარგვის სხვა მაგალითები ჩვენი ხელნაწერიდან: მომკდარ ი. 19, 33 (← მომკუდარ); მოკდეს ი. 21, 23; უგმირეს ი. 19, 37; (← უგუმირეს).

ასე რომ, შეიძლება ითქვას, ჩვენი ოთხთავი ჳ-ს გაძლების (დაცვის) იდეალურ ხელნაწერს წარმოადგენს.

იმის თქმა კი არ შეიძლება, რომ პალესტინური ოთხთავის ენაში ბგერები საერთოდ არ იკარგებაო. არა, იშვიათად იკარგება სხვა ბგერა, მაგალითად: ლაკნითა მ. 14, 8; მრ. 6, 25 (← ლანკნითა: ორი ნ-ს ახლო მეზობლობის გამო: ნკნ→კნ); თუე ი. 4, 35 (← თთუე) და სხვა, მაგრამ ეს წვეთია ზღვაში. მთავარია მაინც, რომ უიმედოდ განწირული ჳ-ს გადარჩენა და დაცვა ამ ხელნაწერის ერთი დიდი და კარგი თვისებაა.

## 2. ორმაგი ბგერები და ასოები

დაახლოებით იგივე ითქმის ორმაგი ბგერების (წერაში: ორმაგი ასოების) დაცვასა და შენახვაზე. უფრო მეტად საქმე ეხება ისეთ მრჩობლ ბგერებს (ასოებს), როგორიცაა: ნნ, სს, თთ, ვვ, აა, იი, ოო. ამათში ყველაზე ხშირად მაინც ნნ გვხვდება, რომელთაგან პირველი ფუძისეულია, მეორე — პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის ნიშანი. მაგალითები:

დევნნეს მ. 5, 12; გდევნნენ ი. 15, 20; დევნნენ ლ. 11, 49; იცნნეთ მ. 7, 16, 20; განკურნნა მ. 12, 15; 14, 14; 15, 30; 19, 2; 21, 14; მრ. 6, 5; ლ. 4, 40; 7, 21; განვკურნნე მ. 13, 15; ი. 12, 40; წარავლინნა მ. 20, 2; წარავლინნეს მ. 14, 35; შექმნნა მ. 19, 4; მრ. 10, 6; წარიყვანნა მ. 26, 37; მრ. 14, 13, 33; ალიყვანნა მრ. 9, 2; აცხოვნნა მ. 27, 49; ლ. 23, 35; განვჰჴსნნე ი. 1, 27 (ამ ტიპის მაგალითებში F-ს უმეტეს შემთხვევაში ერთი ნ აქვს წარმოდგენილი).

(ვენაჴსა, სახლსა, უფალსა...) თჳსსა მ. 20, 2 (თჳსა F); ლ. 14, 21; ი. 4, 5; 5, 18; 11, 28; 19, 26; (ნათელსა...) მისსა ი. 5, 35 (F: მისა); 20, 25; 21, 20; (მთავრობასა) ფილიპესსა ლ. 3, 1 (F: ფილიპესა); (სტოვასა) სო-

ლომონისსა ი. 10, 23 (F: სოლომონისა); (საქმეთა) მათთაებრ მ. 16, 27; 23, 3 (F: მათაებრ).

პატივ-ვსცემ მ. 8, 49 (F: პატივსცემ).

დაადგრიან მ. 11, 32 (F: დადგრიან); განსთხიიან მ. 13, 48 (F: განსთხიან); ცრემლოოდა ი. 11, 35 (F: ცრემლოდა. ვ კი ორივე ხელნაწერს დაუკარგავს: ცრემლოვოდა → ცრემლოოდა G → ცრემლოდა F).

როგორც დავინახეთ, როცა G ხელნაწერი მრჩობლ ასოებს წერს, F უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ ერთს სჯერდება, მეორეს კი აკლებს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თვით G უცოდველი იყოს ამ საქმეში; ხანდახან მასაც წასცდება ხოლმე და ორი ერთნაირი ასოდან ერთ-ერთს გამოტოვებს, მაგალითად:

ვანკურნა (იგინი) მ. 8, 16; მრ. 1, 34; არა ათნივე განიკურნესა ლ. 17, 17; ქმნა (ძალნი) მ. 13, 58; უძკრესა მრ. 5, 26; (მთავრობასა...) პილატესა ლ. 3, 1; მიუვლინა (იგინი) ლ. 7, 6; მიავლინეს (იგინი) ი. 1, 19; განირყუნიან (მათ იგინი) მ. 6, 16; მსახურებენ (მე) მ. 15, 9; მრ. 7, 7; მსახურებდ (მე) ლ. 17, 8; მსახურებდეს (მე) ლ. 12, 26. თითქმის სულ ესაა.

F როგორღა იქცევა ამ უკანასკნელ შემთხვევებში? თითქმის ყოველთვის ისე, როგორც G: მხოლოდ ერთ ასოს წერს. საერთოდ კი ამ მხრივ მათ შორის დიდი განსხვავებაა: მრჩობლი ასოების წერაში G შეუდარებლად მაღლა დგას, მცირე გამონაკლისის გარეშე, სადაც საჭიროა, ყველგან ორივეს წერს.

ერთ შემთხვევაში ორი ნ F-ს მოეპოვება (დაადგინნა), G-ს კი ერთიღა დაუწერია (დაადგინა). კაცი იფიქრებდა, ახლა ხომ მაინც ურბნულმა აჯობა პალესტინურსო. მაგრამ არა: G აქაც უმართლეა: პირდაპირ ობიექტად წარმოდგენილია ებიან მრავლობითში დასმული სახელი: მოუწოდა იესუ ყრმებსა და დაადგინა შორის მათსა: მ. 18, 2. თუ ყრმებსა მოუწოდა, ჩანს, დაადგინა ყრმები. ხოლო ებიან მრავლობითში დასმული პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა ძველ ქართულში ძალზე იშვიათად აღინიშნებოდა, აბსოლუტურად უმრავლეს შემთხვევაში იგი აღუნიშნელი რჩებოდა (დაწერა წიგნები, განკურნა მკელობლები, ჭამა პურები, დაჰკრიბა ქვები). ეს მტკიცე ჭეშმარიტება ასახა G ხელნაწერმა, F კი ძალზე იშვიათ, მაგრამ საინტერესო შემთხვევას წარმოგვიდგენს. აქ, როგორც ჩანს, წინა პლანზე წამოწეულია სახელის შინაარსი. აქ ახალი ქართულის სიო ქრის: ებიანი მრავლობითი ძალას იკრებს და დიდი ასპარეზისათვის ემზადება. დღეს სწორედ ასეთი ფორმებია გაბატონებული (იგულისხმება სუბიექტური პირები) და უმრავლეს შემთხვევაში ისინი ითანხმებენ ზმნებს მრავლობითში (ბავშვები ადგნენ).

მეორე მხრივ, შესაძლებელია დავუშვათ, რომ F ხელნაწერის გადამწერმა (იოვანე ტატანელმა) მეორე ზმნასთან (დაადგინნა) ობიექტად იგულისხმა არა ყრმები, არამედ იმ დროისათვის უფრო გავრცელებული ყრმანი; ამას კი სწორედ დაადგინნა უნდა: მოუწოდა ისუ ყრმებსა და დაადგინნა (ყრმანი ან იგინი). ეს სავსებით შესაძლებელი დაშვებაა და შეიძლება გადამწერს აღარ ვუსაყვედუროთ. მაშინ ორივე გადამწერი თავ-თაეის მხრივ მართალი გამოვა: დაადგინა (ყრმები) და დაადგინნა (ყრმანი ‖ იგინი). ფორმალური სიმართლე მაინც მიქაელის მხარესაა.

### 3. უ ბგერის წერილობით გადმოცემა

ძველ ქართულ ანბანში ყოველ ბგერას საკუთარი ნიშანი ჰქონდა წერაში. ამ მხრივ ქართული ანბანი პირდაპირ იდეალური იყო. გამონაკლისს შეადგენდა ერთადერთი ბგერა — უ, რომელსაც ორი ნიშნით (ასოთი) გადმოსცემდნენ: ႭჃ (ოჳ).

სრულიად ამგვარი მდგომარეობა იყო აგრეთვე ბერძნულსა და სომხურშიც (ου, ու), სადაც ეს წესი დღევანდლამდე დარჩა. საშუალმა და ახალმა ქართულმა კი ეს ერთი ბგერა სხვებს გაუთანაბრა და დღეს წერაში მასაც ერთი ასოთი (უ) გადმოვცემთ (თვით უ ასო წარმოშობით იმ ორი შემადგენელი ასოსგანაა მიღებული: ⴍⴣ → ⴓ → უ). ამ გარემოებას არ შეეძლო არევ-დარევა არ გამოეწვია. თვით ძველ ქართულში (რომ არაფერი ვთქვათ მოგვიანო ხანის ძეგლებზე) არის შემთხვევები, როცა ბგერა უ (მარცვლიანი და უმარცვლო) ხან მარტო ო-თია გადმოცემული (გოლი=გული), ხან—მხოლოდ ჳ-თი (ქჳეყანაჲ). რაკი არევაა, ზოგჯერ პირიქითაც გვხვდება: ႭჃ არის Ⴍ-ს ნაცვლად (ური=ორი, ათურმეტი=ათორმეტი). ამგვარი არევ-დარევის კარგ მაგალითს ადიშის ოთხთავი წარმოადგენს.

პალესტინური ოთხთავი აქ სრულ თავისუფლებას იჩენს, ამ ასოთა არევის მაქსიმალურ შესაძლებლობას გვიჩვენებს. ეს კია, რომ ძირითადად ძველ წესს იცავს, დარღვევები უფრო იშვიათია.

### ა) ო=უ

ელიოდ მ. 1, 14, 15; მონ (=მუნ) მ. 2, 18; ი. 11, 54; კაფარნაომს მ. 4, 13; ლ. 10, 15; ი. 4, 46; 6, 59; კაფარნაომდ მ. 17, 24; მრ. 1, 21; 2, 1; 9, 33; ი. 2, 12; 8, 17, 24 (შდრ. εἰς Καφαρναούμ); ყროჲ მ. 8, 32, 33; 12, 22; ალოლე მ. 17, 27 (=ალულე); ქოვილისასა მრ. 2, 23; იოდაჲსი მრ. 6, 3; მწოანვილსა მრ. 6, 39; განოტეოს მრ. 6, 45 (=განუტეოს); სოსანა ლ. 8, 3 (=სუსანა. შდრ. Σουσάννα); სიტყოად ლ. 13, 26; ნუ იმროშებ ლ. 18, 20; კორთხევასა ლ. 24, 51; ალიხონეს ი. 1, 21.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ხელნაწერის გადამწერი მწირი მიქაელ ასევე წერს ანდერძშიც: ჩემგან უძროლისა... (297 r). მაშასადამე, ეს ორთოგრაფიული წესი სწორედ მისი დამახასიათებელი თვისებაა და არა დედნისა, რომლისგანაც იწერს.

### ბ) უ=ო

მიუგუ მ. 8, 8 (= მიუგო); დაბრკულდეს მ. 15, 12; გარდააგურვა მ. 28, 2; რაუდენთა მრ. 3, 10; კურბან მრ. 7, 11 (შდრ. Κορβᾶν. მაგრამ ეს უცხოური სახელი აქ არ გამოგვადგება, შეიძლება ქართველს ყურში უ ესმოდა. ასევე უ-ს წერს DE-ც); გუდორი მრ. 8, 19; თითუეულმან მრ. 14, 19; ლ. 6, 44; 14, 18; ი. 19, 23; 21, 25; კერძუ მრ. 16, 5; საშუაჲ ლ. 2, 23; უდეს ლ. 6, 22 (=ოდეს); ურნივე ლ. 6, 39; მხულოდ-შობილი ლ. 7, 12; კულტი ლ. 8, 32 (=კოლტი); საუკუნუაჲ ი. 3, 15; მყუვარ ი. 8, 7; დააწუ ი. 13, 6 (=დააწო).

### გ) უ=ჳ

თუსა მ. 9, 1 (=თჳსა); იტყუს მ. 12, 17; კიცუ მ. 21, 7 (=კიცჳ, დღევანდელი „კვიცი“); წინა-გიძღუან მ. 21, 31 (=წინა-გიძღჳან); განუკურდებოდა ლ. 9, 41; სუქარ ი. 4, 5 (=სჳქარ. შდრ. Σύχαρ); ვიტყუ ი. 8, 28; თუსითა ი. 11, 2 (თჳსითა); ხუდოდი ი. 21, 18 (=ხჳდოდი).

### დ) ჳ=უ

დაჩჳჩჳან მრ. 13, 28 (= დაჩუჩჳან); ლელჳსა ამას შინაჲ ლ. 17, 7 (= ლელუსა).

## 4. ჲ-ს უადგილო ხმარება

ჩვენს ხელნაწერში მეტად არეულად იხმარება ჲ: არ არის იქ, სადაც უნდა იყოს, არის კი იქ, სადაც არა ესაქმება-რა. დაინახავს თუ არა გადამწერი, სიტყვა ე-ზე ბოლოვდებაო, დაუყოვნებლად ჲ-ს უწერს ბოლოში. შეიძლება ასეთი სიტყვა (სახელი) გარკვეულ ფორმებში ე-ზე აღარ იყოს დამთავრებული, მაგრამ რაკი საერთოდ მისი მარტივი ფუძე ე-ზე ბოლოვდება, მას შუა ფუძეში ჲ-ს ურთავს. უფრო გასაკვირია, რომ ეს ჲ ძალიან ხშირად ე-ზე დაბოლოებულ ზმნებშიც არის წარმოდგენილი (ვიხარჲ). წესის უხეში დარღვევის ბევრი მაგალითია ჩვენს ხელნაწერში, ჩვენ კი აქ მხოლოდ რამდენიმე ტიპური მაგალითის მოყვანით დავკმაყოფილდებით.

ადრჲ ლ. 16, 6; ი. 13, 29; ხვალჲ მ. 6, 30; ლ. 13, 32; ზჲგე ლ. 13, 32; ძჲმანცა ლ. 12, 8; ძჲსა მ. 11, 27; მრ. 2, 10; ლ. 1, 36, 5, 24; 10, 22; 18, 31; 22, 48; ი. 1, 51; 5, 19, 22, 26; 6, 40; ძჲდ ი. 19, 7; ძჲო მრ. 5, 7; ლ. 18, 39; ძჲნი მ. 13, 38; ლ. 16, 8; ი. 21, 2; ძჲთა მ. 20, 20; ლ. 5, 34; შეიწყალჲ მ. 17, 15; აღმოიღჲ მ. 18, 9; განგკლჲ მ. 25, 11; შეწირჲ მრ. 1, 44; განაღჳძჲბდეს მრ. 4, 38 (ძე-ს ასოციაციით); შემიწყალჲ მრ. 10, 48; განიკურნჲ ლ. 4, 23; ჰსაჯჲ ლ. 7, 43; მცხჲ, ლ. 7, 47; მომგუარჲ ლ. 9, 41; აიძულჲ ლ. 14, 23; ვიხარჲ ლ. 15, 29; მიიღჲ ლ. 16, 6, 7; მისაჯჲ ლ. 18, 3; ისწრაფჲ ლ. 19, 5; იხილჲ ი. 1, 46; 7, 52; ვჰრწმენჲ ი. 12, 44; 20, 29; დავწერჲ ი. 12, 22 (მაგრამ იქვეა: დავწერე: რომელი დავწერე, დავწერჲ!). რაღა საჭიროა ამის შემდეგ სხვა მაგალითები?! სურათი ნათელია: ჲ-ს მართლწერის საქმე ჩვენს ხელნაწერში თვით საფუძველშივეა შერყეული. ეს უჩვენებს, რომ ამ ასოს მართლწერა თვით ძველი ქართულის გრძელ გზაზე მერყეობდა.

ამ ასოს ხმარების წესი F-შიც არაიშვიათად არის დარღვეული, მაგრამ იქ საერთოდ ძველი ვითარება კარგად არის დაცული. დარღვევა ხდება მხოლოდ გარკვეულ საორჭოფო ვითარებაში, უმთავრესად სახელობითი და წრფელობითია არეული (თუ გათანაბრებული): დღჲ ყოველ, ორმეოც დღჲ, ქრისტჲ (წოდ.), მოწაფჲ ყოფად, მოსჲ (მოთხრ.), იქმნა იგი ხჲ დიდ და სხვა. მაგრამ F-ში, როგორც ვნახეთ, ჲ საერთოდ წესიერად იხმარება. ეს არცაა გასაკვირი: სხვა რომ არა იყოს რა, F G-ს დაახლოებით ნახევარი საუკუნით უსწრებს წინ.

## 5. ლალად-ყო და ლალატ-ყო

ჩვენი ხელნაწერისათვის ერთადერთი ფორმაა ძველი და მართებული ლალად-ყო, ლალად-ყვეს, ლალად-ყვის, ლალად-ყოს, ლალად-ყონ. აქ ასიმილაციური ლალატ-ყო, ლალატ-ყვეს, ლალატ-ყონ და მისთანანი სრულებით არ გვხვდება. ამიტომ მაგალითების მოყვანაც საჭირო არაა.

F ხელნაწერში, პირიქით, ყველგან გვაქვს ასიმილაციური ლალატ-ყო, ლალატ-ყვეს, ლალატ-ყონ და სხვანი. აქაც არსად არა გვხვდება თავდაპირველი, დონიანი ფორმები (ლალად-ყო, ლალად-ყვეს...). ამ ნიშნით ჩვენი ხელნაწერები ცალ-ცალკე დგანან. ტექსტში, რა თქმა უნდა, დატოვებულია G-ს სწორი წაკითხვა (ლალად-ყო...), ხოლო F-ის ასიმილაციური ფორმები (ლალატ-ყო, ლალატ-ყვეს...) ჩატანილია სქოლიოში.

## 6. გულისხმა, გულისხმის-ყოფა და გულისჴმა, გულისჴმის-ყოფა

ეს რთული ზმნაც სხვადასხვა სახით არის წარმოდგენილი F და G ხელნაწერებში: F-ს ჴარი უწერია ყველგან (გულისჴმა-ვყავ, გულისჴმა-ყვეს, გულისჴმა-ყონ), ხოლო G-ს — ხანი (გულისხმა-ვყავ, გულისხმა-ყვეს, გულისხმა-ყონ...). ამ ფორმებში ხ და ჴ უძველესი დროიდან პარალელურად იხმარებოდა. მეცნიერთა შორისაც დავა იყო გაჩაღებული: ზოგი ჴ-ს ამართლებდა, ზოგი — ხ-ს. ირკვევა, რომ უფრო ძველი და სწორი ხანიანი ფორმები უნდა იყოს. ჴარი მერმე უნდა იყოს შენაცვლებული[1]. ამიტომ გამოცემაში დატოვებული გვაქვს G-ს წაკითხვა (გულისხმა-ყო, გულისხმა-ყვეს...), ხოლო F-ის ჴარიანი ფორმები (გულისხჴმა-ყო, გულისჴმა-ყვეს...) ჩატანილია სქოლიოში.

## 7. ნამეტავი — ნამეტნავი

G ხელნაწერი ამ სიტყვას ყველგან ნ-ს გარეშე წარმოგვიდგენს (ნამეტავისაგან), F კი ყველგან ნ-ს ურთავს (ნამეტნავისაგან). რადგანაც ეს წესი თავიდან ბოლომდე ყველგან ასეა დაცული, ადგილებზე მითითება არ არის საჭირო. თუ ვინმეს სათანადო მაგალითი დააინტერესებს, სიმფონიის საშუალებით მისი მოძებნა ადვილია.

## 8. მეტათეზისი

ძალ ფუძისაგან იერ და უ—ურ აფიქსებით ნაწარმოები ფორმები ძველ ქართულში ორი სახით გვხვდება: ერთია პირვანდელი და მართებული ძლიერი, ძლიერებაჲ, უძლური, უძლურებაჲ, და მეორე — მერმინდელი, რ-ს გადასმით მიღებული: ძრიელი, ძრიელებაჲ, უძრული, უძრულებაჲ. აქედან G ხელნაწერში მხოლოდ გადასმული ფორმებია (ძრიელი, უძრული...), F-ში კი — ორივე (ძლიერი და ძრიელი, უძლური და უძრული...). ასეთი გადასმული ფორმები ძველ ქართულში სხვა ხელნაწერებშიც გვხვდება. როგორც ჩანს, ენაში ორივეგვარი ფორმები იყო გავრცელებული, ისინი სხვადასხვა კილოს კუთვნილება უნდა იყოს. ენაში არსებული ამ ჭრელი ფორმებიდან ერთმა ხელნაწერმა, მაგალითად, G-მ ერთი აიღო (ძრიელი, უძრული), მეორემ (F ხელნაწერმა) — ორივე. თუ სიძველის მიხედვით ვიმსჯელებდით, იქით და იქით, რა თქმა უნდა, უფრო ამოსავალი ფორმებია საგულვებელი, რომელსაც F ხელნაწერი გვიჩვენებს (არა ყოველთვის).

ტექსტში, ბუნებრივია, ძველი და მართებული წაკითხვაა დატოვებული (ძლიერი, უძლური...), ხოლო მეტათეზისიანი მაგალითები სქოლიოშია ჩატანილი: G-სი ყოველთვის, F-ისა —, როცა ის G-ს გვერდით აღმოჩნდება. აქ ვუჩვენებთ ყველა მაგალითს.

### ა) G მარტოა

უძრიელესი მრ. 1, 7; ლ. 3, 16; 11, 22; უძრულ მ. 25, 43; 26, 41; უძრული ი. 11, 1; უძრულმან ი. 5, 7; უძრულთა მრ. 6, 56; ი. 6, 2; უძრულთაჲ

---

[1] ი. იმნაიშვილი, სინური მრავალთავის ზოგიერთი ფონეტიკურ-ორთოგრაფიული თავისებურება: თბილ. უნივერსიტეტის შრომები (ფილოლოგიურ მეცნიერებათა სერია), ტ. 93, 1960, გვ. 54—60. სათანადო ლიტერატურაც იქვეა მითითებული.

ი. 5, 3; უძრულებაჲ მრ. 3, 10; უძრულებასა მ. 25, 44: ი. 5, 6; უძრულებანი მ. 8, 17; უძრულებათა მ. 9, 35; 10, 1; ლ. 8, 2; ი. 5, 4.

### ბ) G და F ერთადაა

ძრიელ ლ. 24, 19 G (ძრიელი F); ძრიელი მ. 12, 29; 14, 30; მრ. 3, 27; ლ. 11, 21; 15, 14; ძრიელმან ლ. 1, 49; ძრიელისასა მ. 12, 29: მრ. 3, 27; ძრიელნი ლ. 1, 52; ძრიელებასა ლ. 22, 69 G (ძრიელებათა F); ძრიელებათა მ. 26, 64; მრ. 14, 62; უძრულ მრ. 14, 38; უძრულთა მ. 10, 8.

ლ-ს გადასმა (რ-ს გადმოსმა) ამ ფუძიდან ნაწარმოებ ზმნაშიც გვაქვს: განძრიელდებოდეს ლ. 28, 5, 23 FG.

როგორც ვხედავთ, G ხელნაწერში მხოლოდ გადასმული ფორმებია, გადაუსმელი, პირველადი და ამოსავალი მაგალითები — ძლიერი, ძლიერებაჲ, უძლური, უძლურებაჲ, განძლიერებაჲ — მან არ იცის.

ზემოთ (გვ. 35), სხვა საკითხთან დაკავშირებით, ჩვენ მოვიყვანეთ ერთი მაგალითი G-ს გადამწერის მწირი მიქაელის ანდერძიდან, სადაც მას უწერია... ჩემგან უძროლისა... (297 r). ეს ფორმა, გარდა იმისა, რომ უ-ს მაგივრად ო-ს გვიჩვენებს, ჩვენთვის საინტერესოა აქ აღძრული საკითხისათვისაც: მასშიც გვაქვს მთელი ხელნაწერისათვის ესოდენ დამახასიათებელი მეტათეზისი: უძროლისა. ეტყობა, ამ ტიპის მაგალითები თვით მიქაელისათვის ფრიად და ფრიად დამახასიათებელი და ერთადერთი სახმარებელი ფორმა იყო. ამ აზრს ის გარემოებაც ადასტურებს, რომ მიქაელს ლ მეორე, ამის მსგავს, სიტყვაშიც გადაუსვამს: ცარიელი მრ. 12, 3; ლ. 20, 10. ეს სიტყვა ოთხთავის ეფთვიმესეულ რედაქციაში (FGBM...) სხვაგან არ გვხვდება. გვაქვს მხოლოდ ორგან და ორგანვე მეტათეზისური ფორმაა — ცარიელი. იოვანე ტატანელი (F-ის გადამწერი) ორივეგან ძველ ცალიერს გვთავაზობს.

### 9, $S_2O_3$

მეორე სუბიექტური პირისა და მესამე ობიექტური პირის ნიშნებს G ხელნაწერი შედარებით კარგად წარმოგვიდგენს. ესაა მხოლოდ, რომ ხ-ს წინ ჰაეს უმეტეს შემთხვევაში არ წერს, მაგალითად:

ხედავს მ. 6, 4; ი. 9, 19; ხედავთა ი. 12, 19; ხედვიდა ლ. 23, 35; ი. 9, 7; ხედვიდეს ლ. 23, 49; ი. 6, 40; ხედვიდენ ლ. 8, 16; მიხედა მ. 10, 27; ლ. 22, 61; მოხედა ლ. 1, 48; შთახედა ლ. 24, 12; ი. 20, 5; ნუ ხადი ლ. 14, 12; ხადის მ. 22, 43, 45; მრ. 12, 37; ხადოდეს მ. 10, 25; გამოხადოდეს მრ. 3, 31; მიხადეს ი. 2, 2; შეხადა ი. 18, 33; (მაგრამ: ჰხედავ ლ. 6, 42; ჰხედავს ი. 14, 17; მიჰხედნა ლ. 20, 17; ჰხადის მრ. 15, 35; ჰხადა ლ. 14, 12; ჰხადე ლ. 14, 13).

$O_3$ აქა-იქ სხვა ტიპის ზმნებსაც აჴლიათ, მაგალითად:

მოწყკდენ (შენ:=წყვ.) ლ. 13, 34; მოწყკდნეს მ. 21, 41; 26, 6; მოწყკდნენ მ. 10, 28; ლ. 12, 4.

ს არ არის ვნებითშიც: მოწყდეს ლ. 20, 31.

$O_3$ აჴლიათ აგრეთვე „დაჰბადა“ ტიპის ზმნებსაც: განმზადნეს მრ. 1, 2; განმზადენით მ. 1, 3 (მაგრამ: განჰმზადნეს ლ. 7, 27).

როგორც ვხედავთ, ამ თვალსაზრისით ჩვენი ხელნაწერი არავითარ განსაკუთრებულ თავისებურებას არ ამჟღავნებს: პირის ნიშანთა ასეთი ცოტ-ცოტა დაკ

ლება თითქმის ყველა ხელნაწერში გვხვდება. დავძენთ ბოლოს, რომ ზემოთ მოყვანილ მაგალითებს F ხელნაწერი თითქმის ყოველთვის სათანადო ნიშნით წარმოგვიდგენს.

## 10. G-სთვის დამახასიათებელი ზოგი სპეციფიკური ფორმა

ა) „იქორწინებოდიან“ და მსგავსი ფორმები ძველ ქართულში უწყვეტლის ხოლმეობითადაც იხმარება და I კავშირებითადაც. ამ ორი, გარეგნულად მსგავსი, მწკრივის გარჩევა ჭირდა. ტექსტის შინაარსი მათი გარჩევის საშუალებას ყოველთვის არ იძლეოდა. ამიტომ ენა ცდილობდა, გამოეძებნა რაიმე ფორმალური ნიშანი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ამ მსგავსი მწკრივების ერთმანეთისაგან გარჩევა. და მართლაც, განსხვავების დასამყარებლად I კავშირებითისათვის შეიქმნა ოდინ დაბოლოებიანი ფორმები, როგორიცაა: (იგინი) იქორწინებოდინ, ევედრებოდინ, იტყოდინ, წარვიდოდინ და მისთანანი[1]. ერთმა ასეთმა ფორმამ ჩვენს ხელნაწერშიც ამოყო თავი: აღდგომასა მას არცა განჰქორწინებდენ, არცა იქორწინებოდინ: მ. 22, 30. F-ში, რა თქმა უნდა, ძველი იქორწინებოდიან გვაქვს. საინტერესოა, რომ ამ შედარებით გვიანდელმა ფორმამ ძველ ოთხთავთა შორის პირველად(?) G ხელნაწერში პოვა ადგილი.

ბ) ჴურთის (თუ ჴკრთის) ნაცვლად აქ გვხვდება მეტად საინტერესო ფორმა ჴუერთი, თანაც ორჯერ (მ. 26, 67; მრ. 14, 65). არსად სხვაგან ასეთი ფორმა არ არის დადასტურებული. მით უფრო მეტი ფასი ედება G ხელნაწერის ამ ორიგინალურ ჩვენებას.

გ) საწუთრო ოთხთავში მხოლოდ ორჯერ იხმარება (მ. 13, 21; მრ. 4, 17). აქედან მეორე შემთხვევაში საწუთო გვაქვს (მათეს თავში ისევ გავრცელებული საწუთრო დარჩენილა). საწუთო მარტივი და ნათელი წარმოებაა: დანიშნულების სა—ო პრეფიქს-სუფიქსი დაუბრკოლებლად და ნათლად აწარმოებს ზედმიწევნით შესაფერისი შინაარსის სახელს: სა-წუთ-ო. საწუთრო-ში რ-ს ფუნქცია კარგად არა ჩანს. შდრ. ამავე ხელნაწერის მარტივი და ნათელი წარმოება ნამეტავი საერთოდ გავრცელებული ნამეტნავის გვერდით (აქაც ნ-ს დანიშნულება ნათელი არაა).

დ) ძველ ქართულში გვხვდება, მაგრამ შედარებით ნაკლებად, სლვა ზმნის აწმყოს გამარტივებული ფორმა ვლენ. ჩვენს ხელნაწერში იგი ორგან არის წარმოდგენილი: მრ. 7,5; ლ. 11, 44. ეტყობა, ფუძის საწარმოებელი ენ სუფიქსი პირისა და რიცხვის ნიშნადაა გაგებული და ან-ს აღარ უმატებენ. დავძენ ბოლოს, რომ სამ სხვა შემთხვევაში (ეს ფორმა ოთხთავში სულ 5-ჯერ გვხვდება: მ. 7, 13; 11, 5; მრ. 7, 5; ლ. 7, 22; 11, 44) ძველებური ვლენან არის.

ე) ჴაშ და ჴას ფუძეები ძველ ქართულში ხშირად ენაცვლება ერთმანეთს: დაჴშა და დაჴსა, დაჴშული და დაჴსული. უფრო გავრცელებულია შინიანი ფორმები. ოთხთავში სანიანი ვარიანტი წყვეტილში (ვნებ.) პირველად აქ უნდა გვხვდებოდეს: ოდეს-იგი დაეჴსა ცაჲ სამ წელ და ექუს თუე: ლ. 4, 25.

ვ) ლუკას თავში ერთგან იკითხება: და იყოს სასწაული მზესა და მთუარესა და ვარსკულავთა: ლ. 21, 25.

---

[1] ა. შანიძე, მწკრივთა მოძღვრებისათვის. IV. ვნებითი გვარის ზმნათა უღლების ერთი თავისებურება საშუალ ქართულში: ენიმკის IV სამეცნიერო სესია, 1947, 19—20 დეკემბერი (თეზისები), გვ. 11—12.

როგორ უნდა გავიგოთ მთუარესა (უფრო ზუსტად: მთუა|რესა)? როგორ უნდა წავიკითხოთ იგი? თუ აქ ჳ უმარცვლოა (უბრჯგუა), მაშინ ეს იქნება ძველი მთოვარე-დან დღევანდელ მთვარე-ზე გადმოსვლის პირველი მაგალითი.

მაგრამ თუ აქ ჳ ო-ს ნაცვლადაა ნახმარი (ნ. ამის შესახებ ზემოთ, გვ. 35), მაშინ ესეც იმ ტიპის ერთ-ერთი მაგალითი იქნება: მთუარესა=მთოარესა. ამ შემთხვევაში ვ-ს გაუჩინარება ამ დაშვების საწინააღმდეგო საბუთი იქნებოდა, რადგან G ხელნაწერი ვ-ს ო-სთან თითქმის ყოველთვის ინახავს (ნ. ამის მაგალითები ზემოთ, გვ. 32—33). ჩვენ მაინც ეს მეორე დაშვება გვგონია ჭეშმარიტებასთან უფრო ახლო მდგომი.

ზ) ოთხთავში სამჯერ იხმარება კრეტსაბმელი (მ. 27, 51; მრ. 15, 38; ლ. 23, 45). აქედან ორ უკანასკნელ შემთხვევაში ჩვენი ხელნაწერი დონიან ვარიანტს გვაწვდის: კრედსაბმელი. აქ არ გამოვუდგებით ამ მშვენიერი სიტყვის ეტიმოლოგიის ძიებას, ვიტყვით მხოლოდ, რომ სპეციალისტებს G ხელნაწერიც მისცემს სათანადო მასალას.

## 11. F და G ერთად დგანან (F=G)

FG ხელნაწერებში მოიპოვება არა ერთი და ორი შემთხვევა, როცა ისინი (ეს ხელნაწერები) ერთად არიან; ერთნაირად უმატებენ, ერთნაირად აკლებენ, სიტყვებს რიგს ერთნაირად უცვლიან, ერთნაირად იძლევიან სპეციფიკურ ფორმებს, საინტერესო წაკითხვებს, ასე გასინჯეთ, ნონსენსებსა და (უხეშ) შეცდომებსაც კი. ყველაფერი ეს არ შეიძლება შემთხვევითი იყოს. აქ ცალკეულ, ერთეულ შეხვედრებზე არაა საუბარი, აქ ლაპარაკია თავისებურებათა მთელ კომპლექსზე, რომლებიც სულ ერთნაირად არის წარმოდგენილი ორივე ხელნაწერში. ეს მათს გენეტიკურ ერთობაზე უნდა მიუთითებდეს. მაგრამ ვნახოთ ჯერ ეს მათი ერთობის მაჩვენებელი მასალები.

მ. 3, 1. ქადაგებდა უდაბნოსა მას ჰურიასტანისასა.

მას არა აქვს ჩვენს ხელნაწერს. F-შიც მერმეა დამატებული სხვა ხელითა და სხვა მელნით.

მ. 3, 11. ხოლო რომელი შემდგომად ჩემსა მოვალს...

რომელი არ მოეპოვება FG-ს. ბერძნულში და სხვაგანაც ყველგან არის, რა თქმა უნდა. დავძენთ იმასაც, რომ, გარდა ამისა, G-ს ხოლო-ც აკლია. ეს იმდენად არაფერი. მთავარია: რატომ აკლია ორივე ხელნაწერს წინადადების ეს აუცილებელი წევრი (ქვემდებარე)?

მ. 4, 3. თქუ, რაჲთა ქვანი ესე პურ იქმნნენ.

იქმნნენ ორივე ხელნაწერში წარმოდგენილია ერთნაირი დაქარაგმებით: იქმნ̃ნ. რაა აქ გამოტოვებული: ნ, ე თუ ნე? როგორ უნდა გავხსნათ იგი? ჩვენ ვარჩიეთ თეორიულად უფრო სწორი იქმნნენ, როგორც გვხვდება კიდეც გიორგის რედაქციის HK ხელნაწერებში.

მ. 6, 29. არცაღა სოლომონ... შეიმოსა, ვითარცა ერთი ამათგანი.

ვითარცა ორივე ხელნაწერს აკლია. აუცილებელი კია. შდრ. ὡς ἓν τούτων.

მ. 8, 8. არა ღირს ვარ მე.

G-ს არა აქვს მე. იგი F-შიც მერმეა ჩამატებული, ე. ი. თავიდანვე არც მას ჰქონია, მაგრამ შემდეგ ვიღაც განმაახლებელს, როგორც მ. ჯანაშვილი უწოდებდა იმ პირს, ჩაუმატებია იგი.

მ. 9, 16. არავინ დაადგის სადგმელი უმურკხეელი...

G-ში იკითხება უმურკველი. პირველად F-შიც ასე ყოფილა, მაგრამ მერმე ხ დაუმატებიათ ზემოდან.

მ. 10, 26. ნუუკუე გეშინინ მათგან.

ეს სამი სიტყვა აკლია G-ს. ესენი ადრე F-საც არა ჰქონია, მერმე დაუმატებიათ ნუსხურად.

მ. 10, 42. რომელმან ასუას... ერთი წყალი გრილი...

„ერთი წყალი“ არ მოეპოება G-ს. იგი ადრე არც F-ს ჰქონია, მერმე ჩაუმატებიათ.

მ. 11, 8. რაჲსა გამოხუედით ხილვად. „ხილვად“ ჩვენს ხელნაწერებს არა აქვთ, უნდა კი. შდრ. ἰδεῖν.

მ. 11, 9. ჰე, გეტყჳ თქუენ...

FG-ს ჰე-ს ნაცვლად აჰა უწერია. ბერძნულშია ναί, რაც სწორედ ჩვენს ჰე-ს უდრის. შესაძლოა, აღრევა გარეგნული მსგავსების ნიადაგზე მოხდა: ჰე და აჰა შორიდან ჰგვანან ერთმანეთს. ეს, კარგი, მიზეზია. წყარო? წყარო ან ორივეს ერთი აქვს (რომელიღაც სხვა, მესამე ხელნაწერი), ანდა ერთ-ერთი მათგანია წყარო მეორისათვის.

მ. 11, 12. სასუფეველი ცათაჲ იიძულების.

ორივე აკლებს ი-ს და ორივეგან გვაქვს იძულების. იძულების სხვანაირადაც გაიგება.

მ. 13, 6; მრ. 4, 6. მზჱ აღმოჰკდა, და დაცხა.

ორივეს ასე აქვს, მესამე ობიექტური პირის ნიშანი ორივეს აკლია. ასეთი რამ იშვიათია; უნიშნოდ გვხვდება პირველი შემთხვევა (მ. 13, 6) მხოლოდ ერთადერთ მესტიის ოთხთავში, მარკოზის თავში იქაც ნიშანი აქვს (დაჰცხა), სხვაგან ყველგან ორივე შემთხვევაში ობიექტური ნიშანი არის წარმოდგენილი (ABCDEHIK...). ეს ჩვენი ორი ხელნაწერი კი ცალკე დგას და ობიექტურ ნიშანს არ უწერს ორპირიან გარდაუვალ ზმნას. ესეც შემთხვევითია?

მ. 13, 12. რომელსა აქუნდეს, მიეცეს და მიემატოს.

„და მიემატოს“ არა აქვს FG-ს, უნდა კი. შდრ. καὶ περισσευθήσεται.

მ. 16, 11. არა პურისათჳს გარქუ თქუენ: ხოლო ეკრძალენით ცომისაგან ფარისეველთაჲსა.

ხოლო ზედმეტად აქვს FG-ს. მათ გვერდში უდგანან ტბეთი და მესტია, ეფთვიმეს რედაქციის ორი სხვა წევრი, და ბერთაც. ხოლო ამ შუა წინადადებაში არაფრის მაქნისია, შინაარსით ის აქ გაუმართლებელია. წარმოშობით იგი სათავეს ხანმეტში უნდა იღებდეს, შემდეგ გაააზრიანეს და ცალკე დაწერეს, ვითომდა კავშირიაო[1]. მაინც საინტერესოა, რომ ეს ხანმეტობის გადმონაშთი აღმოაჩნდა ეფთვიმეს რედაქციის ოთხივე წევრს. ტექსტში იგი არ დაგვიტოვებია, რადგან არ არის საჭირო.

მ. 21, 21. ალიფხუერი ამიერ და შთავარდი ზღუასა.

II ბრძანებითის მეორე პირის ფორმაა ალიფხუერ, როგორც გვაქვს კიდეც DE-ში, ან ალიფხუარ, როგორც გვხვდება ოპიზურსა და გიორგის რედაქციის სამივე (HIK) ხელნაწერში. FG-ს ალიფხუერი არსად არ მეორდება და არც შეიძლება განმეორდეს, რადგან აშკარა შეცდომაა. თუ ამის შემო-

---

[1] ნ. ამის შესახებ ა. შანიძე, Переживания ханмэтных форм в грузинских рукописях IX—X—XI веков: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. I, 1940, № 3, გვ. 237—240.

მტანი ფიქრობდა, რომ ბრძანება III პირს ეხებაო. მაშინ მას აღიფხუერინ უნდა დაეწერა. ძალიან გაძნელდება, ამაში ულტრაახალი ფორმა დავინახოთ. როგორც უნდა იყოს საქმის ნამდვილი ვითარება, ჩვენთვის აქ მთავარია, რომ F და G ამ გაჭირვების ჟამსაც ერთად არიან და ერთად მოდიან.

მ. 22, 22. და ვითარცა ესმა რაჲ ესე, უკჳრდა.

FG უმატებს ვითარცა-ს, მაგრამ ამის ბადალი სიტყვა უკვე არის ტექსტში, ესაა რაჲ. ვითარცა და რაჲ ერთი მნიშვნელობისაა. ვითარცა აქ აბსოლუტურად არაა საჭირო. შესაძლებელია დავუშვათ, რომ მთარგმნელს (რედაქტორს, გადამწერს) სურდა რაჲ შეეცვალა ვითარცა-თი, იგი ჩაწერა ტექსტში კიდეც, მაგრამ რაჲ-ს წაშლა დაავიწყდა და შემდეგ ეს შეცდომა წამოვიდა და წამოვიდა და აგერ ჩვენამდე მოაღწია. მაინც საინტერესოა, რომ ეს ლაფსუსი მხოლოდ ამ ორ ხელნაწერშია. რა უნდა იყოს ამაზე უკეთესი საბუთი, რომ FG-ს განუყრელი ერთობა დაამტკიცოს?!

სრულიად ამნაირი შემთხვევა მეორდება აგრეთვე მარკოზის თავშიც: „და ვითარცა ჭამდეს რაჲ იგინი, მოიღო პური“ (14, 22). ამიტომ აქ ახლა ამაზე არაფერს ვიტყვით.

მ. 23, 34. მე მოვავლინენ თქუენდა წინაწარმეტყუელნი... და მათგანნი მოსწყჳდენით და ჯუარს-აცუენით... და სტანჯენით... და სდევნიდით ქალაქითი ქალაქად.

აქ ყველა ზმნის ფორმა (წყვეტილი) წარსულ დროს გამოხატავს: მე მოვავლინეო, თქვენ ზოგი მათგანი ამოწყვიტეთ, ზოგი ჯვარს აცვით, ტანჯეთ და დევნეთო. არსად სხვა ქართულ ოთხთავებში, რომლებზედაც ხელი მიგვიწვდება, წარსული დრო არაა წარმოდგენილი. ნამდვილად აქ მომავალი დრო უნდა იყოს გამოხატული: მე თქვენთან მოვავლინებ, თქვენ ზოგ მათგანს ამოწყვეტთ, ზოგს ჯვარს აცვამთ, ტანჯავთ და სდევნითო. შდრ. ἐγὼ ἀποστέλλω... ἀποκτενεῖτε καὶ σταυρώσετε καὶ... μαστιγώσετε... καὶ διώξετε.

საიდან გაჩნდა აქ ეს წყვეტილის ფორმები, როგორ გადაიტანეს მომავალი წარსულში, — ეს ცალკე საკვლევია. მაგრამ ცხადია, რომ ეს შეცდომა მხოლოდ ამ ორ ხელნაწერშია წარმოდგენილი. ამ რედაქციის ორი სხვა წევრი (BM) ტრადიციის ერთგული რჩება და გადამწერთა (იოვანე ტატანელისა და მწირი მიქაელის) ამ უნებურ ლაფსუსს ახლოს არ ეკარება. აქ მთავარია მაინც, რომ FG ამ განსაცდელის ჟამსაც ერთად არის.

მ. 24, 10; მრ. 9, 10. ურთიერთარს შინა-განსცემდენ.

ეს ფორმა, როგორც აღნიშნული გვქონდა (გვ. 22—23), უაღრესად დამახასიათებელია F ხელნაწერისათვის და უცხოა G-სთვის. მაგრამ თუ აქ მაინც აღმოჩნდა იგი, ეს უნდა მიეაწეროთ F-ის გავლენას: გვგონია, რომ G F-ისაგან იწერს და ცდუნებას ყოველთვის ვერ უძლებს.

ასევე F-ისათვისაა უაღრესად ნიშანდობლივი რ-დაკარგული პქჳან, G-ს კი ის სრულებით არ ახასიათებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იმავე მიზეზით მის გადამწერს (მიქაელს) წასცდა და ძველი ქართულისათვის ეს უცნაური ფორმაც იხმარა (მ. 26, 36).

მ. 26, 19. და ყვეს ეგრე მოწაფეთა, ვითარცა უბრძანა მათ იესუ, და დაუმზადეს პასქაჲ იგი.

ხაზგასმული სიტყვები არ მოეპოვება FG-ს. ყველგან არის, არა აქვს მხოლოდ ამ ორ ხელნაწერს და ტბეთსაც(!). ახლა FG-ს B-ც შემოუერთდა. ხომ არ გააყოლეს ეს სიტყვები პასქა-ს განმარტებას — „რომელ არს ვნებაჲ“? განმარტე-

ბის ამოღება კი აუცილებელი იყო, რადგან ეფთვიმე (და გიორგი) არ ტოვებენ ტექსტში ისეთ დამატებებს, რომლებიც არ არის ბერძნულში.

მ. 27, 10. და მივეც იგი აგარაკისათჳს მეკეცისა.

ქართულში ეს მივეც სხვაგან არსად არა ჩანს (ყველგან მესამე სებ. პირია — მისცეს). როგორც ეტყობა, ბერძნულში ზოგან პირველი პირიც ყოფილა (ἔδωκα), რომლის თარგმანსაც ჩვენი მივეც წარმოადგენს. მაინც სიმპტომატურია, რომ ეს იშვიათი წაკითხვა მხოლოდ ამ ორმა ხელნაწერმა შემოგვინახა.

მრ. 2, 7. ვითარმედ ესე გმობასა იტყჳს; ვის ჴელ-ეწიფების მიტევებად ცოდვათა...

ხაზგასმული სიტყვები არ მოეპოვება FG-ს. სხვაგან კი ყველგან გვაქვს, ქართულსა და სხვა ენებზე. ამიტომ მიზეზი შეიძლება რაღაც უბრალო გაუგებრობა იყოს. ბერძნული ტექსტის შესაფერისად ვითარმედ შეიძლებოდა ასე შეგვეცვალა: ვითარ-მე. შდრ. τί οὗτος οὕτως λαλεῖ; βλασφημεῖ. მაგრამ თვით ბერძნულის ვარიანტებში τί-ს ნაცვლად ზოგან ὅτι იკითხება, და ეს არის სწორედ ჩვენი „ვითარმედ". ამიტომ ძველი წაკითხვები ხელუხლებლად დავტოვეთ.

მრ. 6, 15. (იტყოდეს,) ვითარმედ: ელია არს; ხოლო სხუანი იტყოდეს, ვითარმედ...

ეს ადგილი G-ს არ გააჩნია. აღრე არც F-ს ჰქონია, მაგრამ შემდეგ დაუმატებიათ. მიზეზი გასაგებია: ერთმანეთის გვერდით ახლო მანძილზე ორჯერ მეორდება სტერეოტიპულად: „სხუანი იტყოდეს, ვითარმედ". ჩქარი წერისას თვალი ერთიდან მეორეზე გადაცურდება ხოლმე და პირველი სერია გამორჩება. ასეთი რამ ხშირად ხდება. ჩვენთვის აქ ისაა საინტერესო, რომ ეს მოსვლია FG-ს ერთად (უფრო ზუსტად: ჯერ F-ს, ხოლო იქიდან გადაუტანია G-ს).

მრ. 9, 41. რომელმან გასუას თქუენ სასუმელი წყლისაჲ სახელად ჩემდა.

ეს აუცილებელი სიტყვა (ჩემდა) FG-ს არ მოეპოვება; მათ გვერდში უდგას აგრეთვე მათი მოძმე მესტიის ოთხთავიც. ტბეთს, ამასთან ერთად, სახელად-აც აკლია.

მრ. 12, 42; ლ. 12, 59. წულილნი.

სხვაგან ყველგან მწულილნი გვაქვს.

მრ. 13, 14; ლ. 21, 21. რომელნი იყვნენ ჰურიასტანს, ივლტოდენ მთად.

უნდა იყოს ივლტოდედ. ივლტოდენ ერთზე ითქმის, ტექსტში კი მრავლობითია (რომელნი). ლუკას თავის აღნიშნულ მუხლში ეს ზმნა მეორედ ზმნისწინითაც არის ნახმარი. FG აქაც მხოლობითის ფორმას მიმართავს: განივლტოდენ (=განივლტოდედ). სხვებს სწორი ივლტოდედ და განივლტოდედ აქვთ; ზოგს II პირის ბრძანებითი აუღია: წარივლტოდეთ (მრ. 13, 14 C). FG-ს ამჟამად მხარში უდგას ერთადერთი ბერთის ოთხთავი. ასეთი არევ-დარევის მიზეზი ის გარემოება უნდა იყოს, რომ ამ დროს უკვე შერყეული იყო II ბრძანებითის (III პირის) პოზიციები, იგი თანდათან იშლებოდა და სამოქმედო არენას ტოვებდა.

მრ. 14, 56. მრავალნი ცრუსა წამებდეს მისთჳს, და სწორს არა იყვნეს წამებანი მათნი.

სწორს მხოლოდ FG-შია, სხვაგან არის მართებული სწორ (ნიშნავს: თანასწორს, ტოლს, ერთნაირს) და ერთ (C) — ერთნაირი. მიცემითი აქ ყოვ-

ლად გაუმართლებელია. თუ კალმის შეცდომა არაა, უფრო მეტად უნდა ვიფიქროთ, რომ FG ხელნაწერები მტკიცე ძუღაბით არის ერთმანეთთან შეკრული. ჩვენ აქ სწორედ ეს მომენტი გვაინტერესებს.

მრ. 16, 16. და რომელსა არა ჰრწმენეს, დაისაჯოს.

ეს ადგილი არა აქვს F-ს; იგი პირველად არც G-ს ჰქონია, მაგრამ მერმე ჩაუმატებია. ეტყობა, იოვანე ტატანელს გამორჩა, მწირმა მიქაელმა აქედან ასევე ნაკლულად გადაიღო, მაგრამ შემდეგ შეამჩნია (თუ შეამჩნევინეს) და დაუმატა.

ლ. 7, 32. რომელნი მოუწესდ მოყუასთა მათთა.

ასე მხოლოდ ამ ორ ხელნაწერშია. BM-ს აქვს მოუწედ, EHIK-ს — მოუწესედ, C-ს — მოუწენდ (←მოუწესდ). ამოსავალი მოუწესედ სხვადასხვარად დაუმახინჯებიათ. მაგრამ აქ ახლა ჩვენთვის მთავარია, რომ მოუწესდ მხოლოდ ჩვენს ორ ხელნაწერს დაუცავს.

ლ. 9, 31. რამეთუ ეგულებოდა აღსრულებად იერუსალჱმს.

უნდა იყოს რომელი, როგორც არის ბერძნულში და სხვაგან ყველგან. ქართულშიც ყველგან რომელი გვაქვს. ეტყობა, ქარაგმაში (რ͠ი) ი კარგად არა ჩანდა. მაშ, ყველა — ერთად (რომელი), ორი (FG) — ცალკე (რამეთუ).

ლ. 11, 17. ხოლო თავადმან იცნოდა ზრახვანი მათნი და ჰრქუა მათ.

და არ მოეპოვება FG-ს, სხვაგან ყველგანაა. არც ვარგა უიმისობა. ეს და აქ შემთხვევით უნდა იყოს გამორჩენილი. აქაც F=G.

ლ. 11, 30. ვითარცა-იგი ექმნა იონა სასწაულ ნინეველთა, ეგრე ეყოს ძჱ კაცისაჲ ნათესავსა ამას.

ეყოს ნაცვლად FG-ში იკითხება იყოს, რაც სრულებით შეუძლებელია. მთავრულად და ნუსხურად დაწერილ ტექსტებში ი და ე ხშირად ძნელი გასარჩევია. სიჩქარისას იოვანე ტატანელს ე-ს ნაცვლად ი დაუწერია, ხოლო მწირ მიქაელს აქედან ასევე ი გადაუტანია თავის გადანაწერში.

აქაც FG მარტოა, სხვა ყველა — ერთად.

ლ. 12, 29. რაოდენ უფროჲს თქუენ, მცირედ-მორწმუნენო.

უფროჲს აკლია FG-ს, სხვაგან ყველგან არის; აუცილებელიცაა. FG ამითაც ცალკე დგას, ერთად.

ლ. 15, 16. გული-ეტყჳნ განძღებად მუცლისა რქისა მის(?).

ასეა B-შიც და, წარმოიდგინეთ, A-შიც. ეფთვიმეს რედაქციის მეოთხე წევრის, მესტიის ხელნაწერის გადამწერს უგრძვნია, რომ წინადადება გამართული არ იყო, და ნათესაობითის ნაცვლად მოქმედებითი წარმოუდგენია: რქითა მით! ეს კარგია, მაგრამ სხვებს ყველას უფრო მარტივად და კარგად უწერიათ: რქისა მისგან (CDEHIK...).

ლ. 21, 8. ნუ მიხუალთ შედგომად მათსა.

ასე აქვს აგრეთვე B-საც. რასაკვირველია, უნდა იყოს მათა (← მათდა): შედგომად მათა (მათდა). აქ არეული უნდა იყოს ორი გამოთქმა: შედგომად მათა და შემდგომად მათსა. ამ უკანასკნელში სწორედ მათსა უნდა.

ლ. 22, 56. და იხილა იგი მჴევალმან ვინმე მჯდომარჱ ნათელსა მას და მიჰხედა და იხილა იგი.

ხაზგასმული სიტყვები არც ბერძნულშია და არც სხვაგან სადმე. არცაა საჭირო: აქვე მუხლის დასაწყისშივეა ნათქვამი: იხილა იგი მჴევალმან ვინმეო. რაღა საჭირო იყო იქვე მეორედ განმეორება.

ქართულში ზოგან აკლია FG-ს მიჰხედა-ც (ABCDE...), რომლის ბადალიც ბერძნულში არის ἀτενίσασα. ἀτενίζω ქართულად არის დაყინებული,

თვალჩაციებითი მზერა, ცქერა, ყურება, შეხედვა. ძველ ქართულში ამისთვის ხედვა და ხილვა ფუძეებს იყენებდნენ. FG-ს მიჰხედა აურჩევია, მაგრამ იქვე მეორე ფუძეც დაურთავს — იხილა. თავდაპირველად, ალბათ, ერთ-ერთი მათგანი იყო, მერმე მოინდომეს ერთის მეორით შეცვლა, მაგრამ საბოლოოდ ტექსტში დარჩა ორივე. აქ ზედმიწევნით განმეორდა კინსონისა და ხარკისაჲ-ს ამბავი, რომლის შესახებაც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი (გვ. 19).

ამ შემთხვევაში FG-ს მხარს უმშვენებს მესტიის ოთხთავი, რომელიც ასევე უმატებს ზემოთ მოყვანილ სიტყვებს (და მიჰხედა და იხილა იგი).

ლ. 23, 44. და იყო ჟამი მესამე.

არსად მესამე არ არის არც ბერძნულში, არც სხვა ენების თარგმანებში, არც ქართულში სხვაგან სადმე. შესაძლებელია ეს მესამე აქ გადმოვიდა მარკოზის სახარების შესატყვისი ადგილიდან, სადაც სწორედ ეგევე ამბავი (ქრისტეს ჯვარცმა) არის მოთხრობილი. იქ ნათქვამია: ხოლო იყო ჟამი მესამე. და ჯუარს-აცუეს იგი (15, 25). ამნაირი გადატან-გადმოტანა (ერთი სახარებიდან მეორეში) ხშირად ხდება. სხვა ახსნა ჯერ-ჯერობით არა ჩანს.

ი. 1, 42. შენ ხარ სიმონ, ძჱ იოჰანესი.

უნდა იყოს, რასაკვირველია, იონაჲსი. არსად სხვაგან ასე არ გვხვდება. რაღაც გაუგებრობის ნაყოფია. შესაძლებელია დედანში ქარაგმა იყო ი̃ნსი, რაც ასე იხსნება: იოვანჱსი (იოვანესი, იოჰანჱსი, იოჰანესი). მაგრამ საქმე ისაა, რომ იონა ქარაგმით არ იწერება. აქაც F=G.

ი. 6, 27. იქმოდეთ და ნუ საზრდელსა წარსაწყმედელსა.

ეს და არსად არაა და არცაა საჭირო. უხეშად არის ჩაჩრილი უადგილო ადგილას. რა წარმოშობისაც უნდა იყოს იგი, ხაზს უსვამს, რომ F და G არა არს ორ, არამედ ერთ სულ და ერთ ჴორც.

ი. 7, 14. დღესასწაული იგი გა-ოდენ-ზოგებულ იყო. ნ დაკარგულია სრულიად ნორმალურ ფონეტიკურ გარემოცვაში. სწორედ ამგვარად არის იგი წარმოდგენილი აგრეთვე ოპიზის ოთხთავშიც! ეს მერამდენედ გვხვდება ოპიზურთან შეხვედრა! ტყუილად კი არ არის დაშვებული, რომ ეფთვიმეს დასაყრდენად სწორედ ოპიზური ოთხთავი ჰქონდა, მასზე ახდენდა სათანადო სარედაქციო ოპერაციებსო.

ი. 7, 17. ანუ თავით თჳსით ვიტყოდი დიდებასა.

დიდებასა სხვაგან არ არის, არც აქაა საჭირო. იგი აქ გადმოსული უნდა იყოს მომდევნო მუხლიდან (რომელი თავით თჳსით იტყჳნ, დიდებასა თავისა თჳსისასა ეძიებნ).

ი. 7, 42... ბეთლემით დაბით, სადა იყო დავით, მიერვე მოვიდეს ქრისტჱ.

ხაზგასმული სიტყვები (მიერვე-ს გამოკლებით) ყველგანაა, ბერძნულშიც და სხვა ენებზეც. არა აქვს მხოლოდ ჩვენს ხელნაწერებს და მათ მოძმე მესტიისასაც (M).

ი. 8, 44. თქუენ მამისაგან ეშმაკისანი ხართ.

არსად ქართულში არა გვაქვს თანდებულიანი მამისაგან. გიორგის რედაქციაში (ვანისა და ეჩმიაძინის ოთხთავებში) ამ სიტყვას ბოლო ასოზე სამი წერტილი უზის: მამისა∵, რაც ამ ხელნაწერებში იმას ნიშნავს, რომ ამ სიტყვის დაწერაში შეცდომაა დაშვებული და გაასწორეთო. აქ, უეჭველია, გან თანდე-

ბულის დართვა იგულისხმებოდა, მით უმეტეს, როცა წინ ედოთ ეფთვიმეს რედაქციის მამისაგან. გან თანდებულის დართვას, საფიქრებელია, ბერძნული აძლევდა ბიძგს. შდრ. ἐκ τοῦ πατρὸς τοῦ διαβόλου. მაგრამ ამაოდ. C და Ⴂ. რედაქციების „მამისა ეშმაკისაჲ (ხართ)“ ერთადერთი მართებული შეწყობაა და ამას შეკეთება არ ესაჭიროებოდა. ასეა თუ ისე, ერთი ცხადია: FG აქაც ერთადაა და განუყოფლად.

ი. 16, 26 არა გეტყჳ თქუენ: ვევედრო...

ვევედრო აქ უადგილოდ არის ჩაჩხირული. შეიძლება იგი პირველად ვჰკითხო-ს შესაცვლელად მოიშველიეს (ვჰკითხო || ვევედრო), მაგრამ მერმე ორივე დარჩა, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა. ყოველ შემთხვევაში, ამ საოცარი ჩამატებით FG კვლავ და კვლავ ერთადაა.

ი. 21, 9. ვითარცა გამოჴდეს კმელად ქუეყანად...

ქართულში ზოგან მარტო კმელად იკითხება (C), ზოგან კი მარტო ქუეყანად (ABDEHIKM...), ორივე ერთად კი მხოლოდ FG ხელნაწერებში გვაქვს. ჩვენი აზრით, აქაც ისეთი შემთხვევა უნდა გვქონდეს, როგორიც კინსონისა და ხარკისაჲ-ს მაგალითზე ვნახეთ: ერთი სიტყვის მეორით შეცვლა მოუნდომებიათ, მაგრამ შემდეგ ორივე დარჩენილა. (კერძოდ, ჩვენი მაგალითის შესახებ ნახეთ ზემოთ, გვ. 20).

* * *

ამ თავში აღნიშნული ფაქტები ერთი დასკვნის გაკეთებას გვავალებს: F და G ხელნაწერები რედაქციულად და სპეციფიკური ენობრივი თავისებურებებით ერთად დგანან, ერთ რედაქციას წარმოადგენენ: ისინი ისე ახლო არიან ერთმანეთთან, რომ უნებურად იბადება კითხვები: ა) ხომ არ იწერდნენ ისინი ერთი და იმავე დედნიდან? ბ) ანდა: ხომ არ მომდინარეობს ერთი მათგანი მეორისაგან? რადგანაც ურბნისის ხელნაწერი პალესტინურისაზე დაახლოებით ნახევარი საუკუნით ძველია, მეორე კითხვას შეიძლება ასეთი სახე მიეცეს: ხომ არ მომდინარეობს G F-ისაგან? ე. ი. პალესტინურ ოთხთავს დედნად ხომ არ ჰქონია ურბნისის ოთხთავი, პალესტინური ოთხთავი ხომ არ არის გადაწერილი ურბნისის ოთხთავიდან?

ზემოთ ჩვენ არა ერთი და ორი საკმაოდ მნიშვნელოვანი და წონიანი საბუთი წარმოვადგინეთ აქ დასმულ ბოლო კითხვაზე დადებითი პასუხის გასაცემად. ქვევით შევეცდებით ახალი მასალებითა და საბუთებით განვამტკიცოთ ეს მოსაზრება.

მ. 7, 3, 4. F-ში იკითხება: დირესა თუალსა შიდა შენსა..., და აჰა ეგერა დირჱ თუალსა შიდა შენსა!

G ხელნაწერს პირველ შემთხვევაში ჩვეულებრივი შინა დაუწერია, ხოლო მეორეში ჯერ ურბნისისეული შიდა ჰქონია, მაგრამ შემდეგ ი დ ამოუფხეკიათ და ისევ შინა დარჩენილა. არც ეფთვიმესეული რედაქციის სხვა წევრებში და არც საერთოდ სხვაგან (თვით ხანმეტშიც) აქ შიდა არა გვაქვს, ყველგან შინა იკითხება, შიდა აღმოაჩნდა ერთადერთ ადიშის ხელნაწერს. მაგრამ G-ს C-სთან არავითარი კავშირი და ურთიერთობა არა აქვს. იგი, როგორც ვნახეთ, მთლიანად და სავსებით, სულით და ჴორცით F-ს ერწყმის, მასთან დგას, მის ჭირვარამს იზიარებს. მწირმა მიქაელმა იქიდან გადაიღო მეორე შიდა. მაგრამ შემდეგ შენიშნა და გაასწორა (თუ სხვამ გაასწორა; სულ ერთია, G-ში მაინც F-იდან არის გადმოსული).

მრ. 15, 46. მოაგორვა ლოდი და დასდვა იგი კარსა ზედა მის საფლავისათა.

ასე იკითხება G-ში, F-ში კი ორივეგან მრავლობითია: კართა ზედა მის საფლავისათა. ასეა აგრეთვე ABMბ(ბერთა) ხელნაწერებშიც. სხვებში ორივეგან მხოლობითი გვაქვს: კარსა ზედა მის საფლავისასა (CDE HIK...). ამ უკანასკნელის ინერციით მწირი მიქაელ საზღერულს მხოლობითში სვამს (კარსა), მაგრამ მსაზღვრელის ფორმის გასწორება ავიწყდება და F-ის წაკითხვას ხელუხლებლად ტოვებს: კარსა... საფლავისათა. აქ, ცხადია, G F-ს ეყრდნობა (საფლავისათა იქიდან გადმოაქვს), მაგრამ ჩვეულებრივი, ადამიანური შეცდომა მოსდის, საზღერულს მრავლობითის ნაცვლად მხოლობითში სვამს (კარსა... მას ესმოდა და ენახა ბევრ ძველ ხელნაწერში).

ჯ. ლ. 15, 12. F ხელნაწერი მრწემსა და უმრწემჱსს რაეს გარეშე წერს (მწემი, უმწემჱსი). ამ ადგილას G-ს გადამწერსაც ისე გადაუწერია, როგორც ურბნისისაში ეწერა (უმწემესმან), მაგრამ შემდეგ შეუნიშნავს და რ ზემოდან დაუმატებია. ამის შესახებ ზემოთ უფრო ვრცლად არის საუბარი (გვ. 25) და აქ აღარ გავიმეორებთ.

ი. 16, 24. აქამომდინ არარაჲ გითხოვიეს.

ასე იკითხება F-ში. G-ში კი არის აქამომდე, ძველი ქართულის ჩვეულებრივი და გავრცელებული ფორმა. მაგრამ ე-სა და მომდევნო ერთი ასოს ნაალაგევს ეტყობა, რომ გადანაფხეკია. აქ ე, სხვა ასოებისაგან განსხვავებით, კალმის მაგარი დაჭერით, ძალიან მსხვილად და შავად არის გამოყვანილი. უნდა დავუშვათ, რომ მწირ მიქაელს ეს სიტყვა ისე გადაუწერია, როგორც F-ში (მის დედანში) ეწერა (აქამომდინ), მაგრამ შემდეგ, შეცდომა რომ დაუნახავს, ინ ამოუფხეკია და მათ ადგილზე მსხვილი ე გამოუყვანია.

ჩვენი აზრით, ყველაფერი ის, რაც ზემოთ არის ნათქვამი FG ხელნაწერების ურთიერთობის შესახებ, გვაძლევს უფლებას, რომ დავასკვნათ: ა) ურბნული და პალესტინური ოთხთავები ერთი რედაქციის ძეგლებია და ბ) პალესტინური ოთხთავი ურბნულიდანაა გადაწერილი.

* * *

ჩვენ განვიხილეთ ეფთვიმეს რედაქციის შემცველი ორი ხელნაწერი — ურბნისისა და პალესტინური. წინამდებარე გამოცემაში ეფთვიმესეული რედაქციის ტექსტი სწორედ ამ ორი ხელნაწერის მიხედვით არის წარმოდგენილი.

ჩვენ ხშირად ვახსენებთ „ეფთვიმესეულ რედაქციას“, ხშირად ვამბობთ, FG ხელნაწერთა ტექსტი ეფთვიმესეული რედაქციისაა. მაგრამ აქ, ამ ხელნაწერების აღწერის შემდეგ, კვლავ ვსვამ კითხვას: იყო კი საერთოდ ოთხთავის ეფთვიმესეული რედაქცია? შექმნა კი ეფთვიმემ ოთხთავის ახალი, თავისი რედაქცია? ამაზე ჩვენ დადებითი პასუხი გვაქვს გაცემული. აქაც კვლავ გავიმეორებთ და ახალ მასალებსა და საბუთებს დავუმატებთ.

ეფთვიმე მთაწმიდელი ოთხთავის ახალი, თავისი რედაქციის შექმნისას ეყრდნობოდა და საფუძვლად იყენებდა ოპიზის ოთხთავს. ეს ხელნაწერი 913 წელს არის გადაწერილი. ის წარმოადგენს პროტოვულგატას და შეიცავს ძალიან ძველ, თვით ხანმეტი ძეგლებიდან მომდინარე რედაქციას (რასაკვირველია, ხანების ჩამოკლებით). ამ რედაქციის ხელნაწერებია ჩვენთვის კარგად ცნობილი ოთხთავები: ჯრუჭისა (D), პარხლისა (E), წყაროსთავისა (A 98), ე. წ. „ანბანდიდი“ (საქ. ცენტრ. არქივის № 107 ხელნ.) და ბევრი, ბევრი სხვა.

XI საუკუნის ორმოციან წლებში გიორგიმ შექმნა ახალი, მანამდე არსებულთაგან განსხვავებული, სწორედ გიორგისეული რედაქცია, რომელიც იმ დროიდან

დღემდე არ შეცვლილა, უცვლელად გადმოდიოდა საუკუნეებიდან საუკუნეებზე და ჩვენამდე იმ ძველი სახით მოაღწია (მხედველობაში არ ვღებულობთ გადამწერთა და მბეჭდავთა უნებურ შეცდომებს).

კითხვას სვამენ: იმ ძველი ხელნაწერებიდან (ე. წ. ოპიზური რედაქციიდან) გიორგიმდე არავის უცდია, გაესწორებინა ძველი შეცდომები, უზუსტობანი, ძველი, გაუგებარი ფორმები და ახალი რედაქცია შეექმნა? დაახლოებით იმ საუკუნენახევრის მანძილზე, როცა ჩვენში (საქართველოში და მის გარეთ) მჩქეფარე ლიტერატურული მუშაობა იყო გაჩაღებული, არავის დაუნახავს საჭიროდ, რომ შექმნილიყო სახარების ახალი რედაქცია, გასწორებული, ამაღლებული, იმდროინდელ ქართულზე მორგებული და, რაც შეიძლება მეტად დაახლოებული ბერძნულთან? ერთი სიტყვით, ის, რაც ბოლოს, XI საუკუნის ორმოციან წლებში, ასე დიდებულად დაავგირგვინა გიორგიმ, მანამდე არავის არ წამოუწყია, არავის არ უცდია? ამის თქმა და დაჯერება გაუმართლებელი უსამართლობა იქნებოდა, როცა ნამდვილად ვიცით, რომ სწორედ იმ პერიოდში, X საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან სიკვდილამდე (1028 წ.), დაუღალავად მუშაობდა და იღვწოდა მეორე დიდი ქართველი, ეფთვიმე მთაწმიდელი, გიორგის უშუალო დიდი წინაპარი. სხვას ვის, თუ არა ეფთვიმეს, შეეძლო ეს დიდი საქმე ეკისრა და გაეკეთებინა, ვიმეორებთ, თუ არა ეფთვიმეს, რომელსაც იმ ხანებში ბადალი არა ჰყავდა?

ახლა მეორე კითხვა დგება: გვაქვს კი იმ შუალედში (ოპიზურიდან გიორგის რედაქციამდე) სახარების სხვა, ახალი რედაქცია? ამაზე უკვე გაცემული გვაქვს პასუხი: ურბნული და პალესტინური ხელნაწერები სწორედ ასეთ, განსხვაევებული რედაქციის, ტექსტს შეიცავენ; ესაა რედაქცია, რომელიც საფუძვლად იყენებს ოპიზურ რედაქციას, ცვლის მის ლექსიკას, გრამატიკულ ფორმებს, უახლოებს ბერძნულს, ხვეწავს და განაახლებს მის ქართულს. და ამის შემოქმედი არის სწორედ ეფთვიმე მთაწმიდელი.

ეფთვიმეს კალამს მწიგნობრულ-ლიტერატურული მოღვაწეობიდან არ დარჩენია არც ერთი მნიშვნელოვანი დარგი და იგი როგორღა გამოტოვებდა მათ შორის ყველაზე მთავარსა და ყველაზე უმნიშვნელოვანესს—სახარებას? რა ვუყოთ, რომ ეფთვიმეს თარგმანთა ნუსხებში სპეციალურად არ არის მოხსენიებული ქართული ოთხთავი. კარგად ბრძანებს კ. კეკელიძე: „როგორც აპოკალიპსი და დავითნი არ იხსენიება ექვთიმეს თარგმანთა არც ერთ ნუსხაში, ისე არც ოთხთავია მოხსენებული, მაგრამ ექვთიმეს რომ სახარება უთარგმნია, ეს, სხვათა შორის, ჩანს ხელნაწერთა ინსტიტუტის, ფონდ A, მეთერთმეტე საუკუნის, ეგრეთ წოდებული ალავერდის, სახარებიდან (№ 484), რომელიც, თუ თვითონ არაა ექვთიმეს თარგმანი, ყოველ შემთხვევაში, 314 ფურცელზე მინაწერში ასახელებს „წმიდისა მამისა ეფთჳმეს სახარებას"[1].

ალავერდის სახარების ბოლოს, ანდერძში, მართლაც არის ნათქვამი (სხვა, არა ტექსტის ხელით ნაწერი):

„ესე უწყოდეთ, წმიდანო მამანო, რომელნიცა მიემთხჳნეთ წმიდასა ამას სახარებასა, ფრიად მართალი და წმიდაჲ არს, მამისა ეფთჳმეს სახარებათადა შეწამებული, ბერძულსა ორჯელ და ქართულსა, ყოვლითურთ უნაკლულოჲ" (314v).

აქ ნათქვამი ასე უნდა გავიგოთ: ეს სახარება მართალი (სწორი) და წმიდაა, ეფთვიმეს სახარებებთან შედარებული და შეჯერებული; აგრეთვე ბერძნულთან ორჯერ შედარებულიაო. აქ ცალ-ცალკეა დაყენებული ეფთვიმეს რედაქცია და ეს,

---

[1] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 194.

გიორგის, რედაქცია. და ეს სწორიცაა: ალავერდის სახარება გიორგის (და არა ეფთვიმეს) რედაქციისაა[1].

მაშასადამე, აქაც აშკარად ჩანს, რომ ეფთვიმეს ჰქონია მის მიერ ნათარგმნი სახარება, მართალი და წმინდა; გიორგი სწორედ ეფთვიმესეულ თარგმანს იყენებდა და თავისას იმას უდარებდა (აგრეთვე, რა თქმა უნდა, ბერძნულსაც).

შემდეგ ბატონი კორნელი განაგრძობს: „ეგრეთ წოდებული მესტიის სახარება 1033 წლისა, რომელიც განირჩევა როგორც ჰადიშის და სხვა ძეელ სახარებათა, ისე გიორგი მთაწმიდლის რედაქციებისაგან, უნდა ეკუთვნოდეს სწორედ ექვთიმე მთაწმიდელს. ეს მით უმეტეს დასაჯერებელია, რომ იგი მოგებული ან შეკვეთილია ილარიონ იშხნელის მიერ, რომელსაც ერთგვარი ლიტერატურული კავშირი ჰქონია ექვთიმესთან“[2]. ესეც სავსებით სწორია: ეფთვიმეს რედაქციის ტექსტების შეჯერებამ სავსებით ნათლად დაადასტურა, რომ FG ხელნაწერებს გვერდში უდგას ტბეთისა და მესტიის ოთხთავები.

ამრიგად, ეფთვიმეს რედაქციის ძირითად ხელნაწერებად უნდა იქნეს მიჩნეული FG და BM ნუსხები. ეს წყვილები, თავის მხრივ, ერთმანეთთან უმჭიდროესად არის დაკავშირებული: F და G, ერთი მხრივ, და B და M, მეორე მხრივ, შუაზე გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან ერთმანეთს. რა თქმა უნდა, ამ რედაქციისა არა ერთი სხვა ხელნაწერიც აღმოჩნდება, მაგრამ ეს მომავალს ეკუთვნის.

აქ კი უნდა დავუმატოთ, რომ არის კიდევ ერთი უტყუარი საბუთი, რომელიც აშკარად ადასტურებს, რომ ეფთვიმეს შემუშავებული ჰქონდა ახალი, სწორედ თავისი რედაქცია. ეს საბუთი შემდეგია:

როგორც ცნობილია, ეფთვიმეს მამამ, იოვანემ, თავის შვილს დაავალა, რომ ქართულად გადმოეღო იოვანე ოქროპირის „თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ“ და „თარგმანებაჲ იოვანეს სახარებისაჲ“. ეს დავალება გამგონე შვილმა პირნათლად შეასრულა თვით მამის სიცოცხლეში (იოვანე 1005 წ. გარდაიცვალა).

ჩვენ აქ შევჩერდებით მხოლოდ პირველ მათგანზე („თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ“).

ეს ვეებერთელა წიგნი (თითქმის მთელი მათეს სახარება — განსამარტავად მოყვანილი — და შეუდარებლად უფრო დიდი მოცულობის თარგმანება) მამის სიცოცხლეში თარგმნა და შემდეგ ძალიან გავრცელდა საქართველოში. იგი დაცულია შემდეგს ხელნაწერებში: A 20, 36, 54, 89, 136, 145, 191, 208, 280, 365, 372, 389, 396, 816, 842, 996; გელათ. №№ 19, 20; იერუს. № 115; ათონ. №№ 66, 67, 70; S 4928[3].

აქ ჩვენთვის საინტერესოა ის გარემოება, რომ ტექსტი, რომელიც მოყვანილია განსამარტავად, სწორედ ეფთვიმეს რედაქციისაა, ძირითადად ის ტექსტია, რომელიც გვაქვს FGBM ხელნაწერებში (მთელი მათი თავისებურებებით). მართალია, აქა-იქ შემოტანილია აგრეთვე სხვაგვარი წაკითხვაც, რომელიც გიორგის რედაქციაში გვხვდება, მაგრამ ესენი თითქმის ყოველთვის თვით გიორგის ადრინდელი რედაქციებიდან (ACDE...) აქვს აღებული. ირკვევა, რომ როცა ეფთვიმე

---

[1] მარტო მინაწერების მიხედვით იყო გამოთქმული აზრი, რომ ალავერდის სახარება ეფთვიმემ თარგმნა და არა გიორგიმო: თ. ჟორდანია, Описание рукописей..., II, 1902. გვ. 48. სხვებიც ამ აზრს იზიარებდნენ.

[2] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 194.

[3] კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, 1957, გვ. 68.

ამ შრომას თარგმნიდა, სახარების ტექსტად თვით მის მიერ შემუშავებული რედაქცია აიღო, აქა-იქ შეასწორა და გააუმჯობესა.

ერთ-ერთი ხელნაწერი (A88), რომელიც ეფთვიმეს ამ შრომას შეიცავს, 1002 წელს არის გადაწერილი. მაშასადამე, ეს თარგმანებისეული სახარების ტექსტიც დაახლოებით იმავე ხანებშია შექმნილი და გადაწერილი, როდესაც ეფთვიმემ ჩამოაყალიბა სახარების მისეული თარგმანი (არა უგვიანეს 1002 წლისა).

ქვემოთ ვუჩვენებთ რამდენიმე სანიმუშო მაგალითს, რომლებშიც ეფთვიმესეული სახარების ძირითადი და მისივე თარგმანისეული ტექსტები ერთმანეთს ემთხვევა, ხოლო სხვა რედაქციებს უპირისპირდება.

13,55. ანუ არა დედასა მისსა ჰქჳან მარიამ? F — A 88(136)[1].

ეს გვიანდელი გამარტივებული ჰქჳან ამ ადგილას სხვაგან არსად არ არის. ცხადია, F-იდან გადავიდა იგი A88-ში (თარგმანებაში), ხოლო უკანასკნელიდან -- სხვებში.

14,1. ესმა ჰეროდეს... ჰამბავი იესუჲსთჳს FG — BM 88, 136.

ქართულში სხვაგან ყველგან გვაქვს იესუჲსი ACDEბႢ[2]. აქ ერთადაა ეფთვიმესეული ოთხეული და „თარგმანების" ორი წარმომადგენელი. „თარგმანებაში", ცხადია, იმ ოთხეულიდანაა შესული თჳს თანდებულიანი იესუჲსთჳს.

14,24. იყო ქარი დიდი პირით FGBMბ88, 136.

სხვაგან თანდებულიანი პირით კერძო გვაქვს: ADEႢ.

15,2. რაჲსათჳს მოწაფენი შენნი გარდავჰლენ მოძღურებასა ხუცესთასა? F 88.

ეს იშვიათი ფორმა გვხვდება ეფთვიმეს რედაქციის ერთ-ერთი ძირითადი ხელნაწერისა და მასზე დაყრდნობილი „თარგმანების" ერთი ძირითადი ნუსხის ენაში.

15,11. არა თუ პირად შემავალი შეაგონებს კაცსა AFGბM 88,136.

სხვაგან მოქმედებითი გვაქვს: პირით შემავალი CDEBႢ. მიმართულებითის შინაარსისათვის, რა თქმა უნდა, ვითარებითი (პირად) უფრო ჩვეულებრივი და გავრცელებულია.

21,3. უფალსა უჴმან ეგე FBMႢ88, 136.

ასეთი ჩვენებითი ნაცვალსახელის მიერ ზმნის მრავლობითში შეწყობა ცნობილია ძველ ქართულში[3]. თარგმანების ენაში იგი ეფთვიმესეული რედაქციის სამეულისაგან გადმოვიდა. გიორგიმ გაიმეორა ეფთვიმეს წაკითხვა, ხოლო მწირი მიქაელ (G) ნაცვალსახელსაც მრავლობითში სვამს (უჴმან ეგენი).

23, 23. ესე ჯერ-არს საქმედ და იგი არა დატევებად FGBM 88, 136.

სხვებში წყვეტილის ფორმაა: ჯერ-იყო ADEბႢ. აქაც მთელი ოთხეული და „თარგმანება" ერთადაა.

23, 27. რომელნი ჩანედ კაცთა წინაშე შუენიერ FGBM88,136.

სხვებში ზოგან „გარეშე" ემატება: გარეშე ჩანედ კაცთა წინაშე ... (ADEბ), ზოგან კი მარტო გარეშე-ა, ხოლო „კაცთა წინაშე" არ იკითხება:

---

[1] A 136-ში მოიპოვება აგრეთვე ეფთვიმეს მიერ ნათარგმნი იოვანე ოქროპირის „თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ".

[2] ბ ბერთის ხელნაწერს აღნიშნავს.

[3] ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, 1963, გვ. 210; „მამათა ცხორებანი", ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. იმნაიშვილმა, 1975, გვ. 437.

რომელნი ჩანედ გარეშე შუენიერ (ჳ). ეჭვი არაა, ეფთვიმე აქაც მის მიერ ადრე შესრულებულ სახარების თარგმანს ეყრდნობოდა.

24, 50. მოვიდეს... დღესა, რომელსა არა ჰგონებდეს FGBM 88.

სხვაგან გვაქვს მოელოდის ACDEზჳ136. A136 ხელნაწერი, რომელშიც დაცულია „თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ“, აქაც და სხვაგანაც ზოგჯერ გიორგის მიერ დაკანონებულ ფორმებს წარმოგვიდგენს. აქ გიორგიმ A-ს ძველი წაკითხვა გაიზიარა. ჩვენთვის საინტერესო FGBM88 ხელნაწერები კი აქაც ერთადაა და ერთხმად იცავს ერთსა და იმავე სადავო ფორმას.

25, 1, 3, 4, 7, 8. სანთელნი ACDEFGBMბ88.

სხვაგანაა გიორგისეული ლამპარნი ჳ136.

25,6. აჰა ესერა სიძჱ შემოვალს FGBM 88.

სხვებს აქვს მოვალს ADEბჳ. C-ს სულ არ მოეპოვება ზმნა: აჰა ესერა სიძჱ.

„—“ აღდეგით ADEFGBMბ 88,136.

C-სა და ჳ-ს სხვა ზმნა გამოუყენებიათ: გამოედით C, გამოვედით ჳ.

25, 21, 23. კეთილო მონაო, სახიერო და სარწმუნოო C(D)FG 88. D-ს II შემთხვევაში კეთილ უწერია. აქ სწორედ ეს ფორმაა უფრო სწორი: კეთილ. მონაო სახიერო და სარწმუნოო AE(D)BMბ136. შდრ. εὖ, δοῦλε ἀγαθὲ καὶ πιστὲ хорошо, добрый и верный раб! მით უფრო საინტერესოა, ამ თავისებურ წაკითხვაშიც FG და A88 ერთადაა.

26, 26. მიიღეთ, ჭამეთ CBFG88.

სხვაგან ეს ზმნები და კავშირით არის შეერთებული, როგორც ძველ ქართულში იყო მიღებული: მიიღეთ და ჭამეთ ADEMბჳ.

26, 74. და მეყსეულად ქათამი ყივა (ხოლო) ACDEFGBMბ88, 136.

ერთადერთ ჳ-ს აქვს უფრო გვიანდელი „ქათამმან იყივლა“.

„—“ ზრახვა-ყვეს მღდელთ-მოძღუართა და მოხუცებულთა ერისათა FGBM 88, 136. სხვაგან ყველგან ემატება ყოველთა: ...ყოველთა მღდელთ-მოძღუართა... ACDEბჳ.

27,3. მღდელთ-მოძღუართა და ხუცესთა FG 88,136.

სხვას ყველას აქვს მოხუცებულთა ACDEBMბჳ.

როგორც ვხედავთ, ოთხეულს აქ გამოაკლდა ორი წევრი (BM) და სხვებს შეუერთდა. მაგრამ აქ მთავარია, რომ მეორე ორი წევრი (FG) და ორი „თარგმანება“ ერთად დადგა, ე. ი. ეფთვიმემ თარგმანებაში გამოიყენა სწორედ ის ვარიანტი, რომელიც მას ადრე ჰქონდა შექმნილი და წარმოდგენილი იყო სხვებთან ერთად FG ხელნაწერებში.

27, 24 უბრალო ვარი მე F88,136.

სხვაგან ყველგან ამ ადგილას ვარ იკითხება. ესეც კმარა: F-ც, 88-ცა და 136-ც ეფთვიმეს ნახელავია.

27, 40. ეჰა, რომელი დაჰჴსნიდ ტაძარსა მას ADEFGBMბ88,136.

C-ს ჵ უწერია, ხოლო ჳ-ს ამის სანაცვლოდ არაფერი არ გააჩნია. ოთხეული და მათი მოძმე „თარგმანებანი“ კი აქაც ერთადაა.

ზემოთ წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, რომ იოვანე ოქროპირის „თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ“-ს ქართულად გადმოღებისას ეფთვიმე მთაწმიდელი სახარების ტექსტს პირდაპირ კი არ თარგმნიდა ოქროპირის ამ თხზულებიდან, არამედ უფრო ადრე თვით მის მიერ შემუშავებული რედაქციის ტექსტს იყენებდა, იმ ტექსტს, რომელიც FG და BM ხელნაწერებშია წარმოდგენილი. თუ აქა-იქ უმნიშვნელო გადახვევაც გვხვდება, ეს ადვილად აიხსნება: ჯერ-ერთი,

სახარებას, როგორც ყველაზე უსაჭიროესსა და უმნიშვნელოვანეს წიგნს, ხშირად გადაწერდნენ ხოლმე; ამ გადაწერისას ზოგჯერ უნებურად შეჰქონდათ ზეპირად ადრე ნასწავლი ადგილები, ცხადია, ზოგჯერ განსხვავებული ლექსიკური ერთეულითა და გრამატიკული ფორმით. მეორე: სხვადასხვა გადამწერი თავისი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ენითა და ორთოგრაფიით წერდა. ამიტომაა, მაგალითად, რომ ეფთვიმესეული ოთხეულის ორი წევრი (FG) ძალზე ახლოა ერთმანეთთან და ენაშიც საოცრად მსგავს თავისებურებებს ავლენს; მეორე წყვილი კი (BM) ასევე ახლოა ერთმანეთთან მთელი რიგი გასაკვირველად თავისებური ენობრივი და ორთოგრაფიული ნიშნებით. მოვიგონოთ ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავთა ისტორია: როგორც ცნობილია, ისინი ერთი დედნიდან უნდა იყვნენ გადაწერილი. მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია, ორივეს თავ-თავისი, უღარესად დამახასიათებელი თვისებები გამოევლინებინა[1]. ასეა აქაც. მიუხედავად ამისა, საერთოდ, ოთხივე ხელნაწერი ერთისა და იმავე რედაქციის ტექსტებს წარმოგვიდგენს. ეს არის ეფთვიმე მთაწმიდლის მიერ შექმნილი ვერსია, რომელიც შემდეგ გიორგიმ გამოიყენა საფუძვლიანად. ეფთვიმეს მიერ წამოწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანა და ახალი რედაქცია შექმნა, რომელსაც გიორგისეულს ვუწოდებთ.

წინამდებარე გამოცემის ეფთვიმესეულ რედაქციას საფუძვლად უძევს ოთხეულის 2 ხელნაწერი — ურბნისისა და პალესტინური (FG). ორი დანარჩენი — ტბეთისა და მესტიისა (BM)—გამზადებული გვაქვს დასაბეჭდად და უშუალოდ მოვაყოლებთ ამ გამოცემას. მანამდე კი დაინტერესებულ მკითხველს მივუთითებთ ჩვენს შრომაზე „ტბეთის ოთხთავი": ძველი ქართული ენის კათედრის შრომები", ტ. 20, 1977, გვ. 165—231.

# 3. ვანის ოთხთავი

## (A 1335)

გიორგი მთაწმიდლის რედაქციის შემცველ ოთხთავთა შორის ვანის ოთხთავი არის ერთ-ერთი საუკეთესო ხელნაწერი. იგი ძალიან კარგად არის აგრეთვე შემონახული.

ხელნაწერი სულ 274 ფურცლისაგან შედგება. 241-ე ფურცელი ამოვარდნილია; ოდნავ დაზიანებულია 30-ე და 123-ე ფურცლების კიდეები.

საწერ მასალად გამოყენებულია საუკეთესო ხარისხის ეტრატი. ხელნაწერის ზომაა 29×21 სმ, ნაწერისა 19×5,2 (ცალკე სვეტისა). გვერდზე (სვეტში) სულ 21 სტრიქონია მოთავსებული.

ტექსტი ნაწერია ლამაზი ნუსხურით (მდივან-მწიგნობრულით), ხოლო სათაურები, აბზაცის დასაწყისები, ზოგჯერ ცალკე სიტყვების პირველი ასოები შესრულებულია მთავრულით, რომელიც აქ ოქრომელნითაა ნაწერი[2].

---

[1] ი. იმნაიშვილი, ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავთა რედაქციული ურთიერთობისათვის: პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, 1947, გვ. 121—137.

[2] ამიტომ შეცდომაა დაშვებული „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ძველ ხელნაწერთა საცავების გზამკვლევში" (1952, გვ. 106, 108 , სადაც ნათქვამია, რომ ოთხთავის მთელი ტექსტი ოქრომელნით არის შესრულებულიო. ეს ადრე ქრ. შარაშიძემ აღნიშნა: საქართველოს სახ. მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A ფონდი), IV, 1954, გვ. 408.

ხელნაწერის გადამწერია იოვანე უღირსი, საპყარი, ხოლო ადგილი— რომანა, ქართველთა ცნობილი მწიგნობრობის კერა კონსტანტინოპოლის მახლობლად. ამის შესახებ გადამწერის ანდერძში ვკითხულობთ:

1. მარკოზის სახარების ტექსტის ბოლოს: „წმიდანო მახარებელნო, განმაძლიერეთ ცოდვილი იოვანე, რომელმან, ფრიადსა უძლურებასა შინა მყოფმან, ჴელ-ვყავ წერით მოსაქმებად წმიდისა ამის სახარებისა“ (126 v).

2. თვით გიორგი მთაწმიდლის ანდერძის დასრულების შემდეგ კვლავ გვაუწყებს:

„საყუარელნო, ჯერ-არს, რაჲთა წმიდისა ამის სახარებისა ვითარობაჲ განემარტოს სიწმიდეს(ა) თქუენსა, და არა თჳთ-შჯულობით ჰგონოთ შეცვლაჲ სიტყუათაჲ წმიდისა ამის სახარებისა ანუ ანდერძისათაჲ. არამედ ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ ყოველნივე ქართულნი, მთაწმიდით აღწერილნი და გამოსრულნი, ღირსისა მამისა გიორგის თარგმნილნი საეკლესიოჲსა სახარებისაგან, რომელ მთაწმიდელნი იჴმარებენ, აღწერილნი და არა მისგან, რომელი თჳთ გიორგი თარგმნა, და ნუსხად მდებარე იყო დიდსა წიგნის-საცავსა, არამედ მისგან გარდაწერილისაგან. და მას ნუსხასა თანა ფრიადი ნაკლულევანებაჲ აქუს, და ვჰგონებ, რომელ თჳთ-შჯულობით ვიეთმე ეკადროს მას შინა შეცვლაჲ სიტყუათაჲ გინა ანდერძისაჲ, ვიდრე მწერლისაგან განრყუნად. ხოლო ჩუენთა ამათ შინა ჟამთა დიდი მოღუაწეთა შორის ბერი ზაქარია, მი-რაჲ-ვიდა მთასა წმიდასა, ძიება-ყო გიორგის მიერ აღწერილისა წმიდისა მის სახარებისათჳს და ჰოა დიდსა წიგნის-საცავსა შინა და აღივსო სიხარულითა, და მიერ გარდმოეწერა შატბერდელსა ხუცესსა სტეფანეს. და აღმო-რაჲ-ვიდა რომანას, მე ჴელ-ვყავ. ცოდვილმან იოვანე, აღწერად, რამეთუ ადრითგან სწყუროდა სულსა ჩემსა მოგებად წმიდისა სახარებისა.

აწ ვინცა სწერდეთ, ვითა აქა ჰპოოთ, ეგრე დაწერეთ წერტილითა და პატივთა ზედა მეორითა სიტყჳთა. რამეთუ ანდერძი, ვითა აქა სწერია, ესრე პოვნილ არს ნუსხასა“ (266 v)[1].

3. გადამწერი იოვანე წიგნის ბოლოს კიდევ ერთხელ შეგვახსენებს თავს:

„ესე სახარებაჲ მე, იოვანე უღირსმან, საპყარმან და მლოცველმან წმიდის(ა) დედოფლის(ა) თამარისმან, ვიოფლე წერით ქალაქსა შინა კოსტანტინეპოლის(ს). ლოცვა-ყავთ ყოველთა“ (272 v).

ყველა აქედან ჩანს, რომ დიდ მოღვაწე ბერ ზაქარიას დიდი შრომით მიუგნია მთაწმიდაზე თვით გიორგის ხელით გადაწერილი ცალისათვის (იგი ხელუხლებელი იყო და უშეცდომო), აქედან გადაუწერინებია შატბერდელი ხუცესის სტეფანესთვის, ხოლო ამ უკანასკნელიდან გადმოუღია ჩვენი ოთხთავის გადამწერ იოვანეს. ეს გარემოება გვავალებს, რომ დიდი ნდობით მოვეპყროთ ვანის ოთხთავს, როგორც ორიგინალთან (თვით გიორგის ხელით დაწერილთან) ყველაზე უფრო ახლო მყოფსა და დაუმახინჯებელს.

მეორე მხრივ, ძალიან საინტერესოა ცნობა, რომ ხელნაწერი შეიქმნა არა საქართველოში, საქართველოს რომელიმე კულტურის ცენტრში, არამედ ბიზანტიაში, სახელდობრ, რომანას ქართველთა მონასტერში (კონსტანტინოპოლის მახლობლად), სადაც უფრო ადრე (IX ს.) ილარიონ ქართველი მოღვაწეობდა[2]. უფრო

---

[1] გადამწერის ეს ანდერძი, რომელიც გიორგის ანდერძს მოსდევს, შემჭიდროებით არის დაწერილი. ამიტომ ქრ. შარაშიძე ფიქრობს, რომ იგი ხელნაწერის აკინძვასა და „ზანდუკის“ ტექსტის შემდეგ უნდა იყოს ჩაწერილი: დასახელებული ნაშრომი, გვ. 409.

[2] კ. კეკელიძე, „ნაწყვეტი ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან“: თბ. უნივ. მოამბე, I, 1919—1920, გვ. 39—67 (=ეტიუდები, IV, 1957, გვ. 134—158); მისივე: ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 90.

საყურადღებოა მეორე ცნობა, რომ გადამწერი იოვანე თამარ დედოფლის მლოცველად იხსენიებს თავს. ჩანს, ამ დიდებული ხელნაწერის შექმნა თამარსა თუ მის მახლობლებს ბიზანტიაში მოღვაწე ქართველებისათვის დაუვალებიათ. თუ გვეცოდინება, რომ ვანის ოთხთავი, საუკეთესოდ დამუშავებული და გადაწერილი ტექსტის გარდა, წარმოადგენს ხელოვნების იშვიათ ნიმუშსაც — შემკულია ძვირფასი კამარებით, მინიატურებით, თავსამკაულებით, ინიციალებითა და ბევრი სხვა მხატვრული ორნამენტით, — მაშინ ადვილად მივხვდებით, თუ რატომ სწორედ ბიზანტიაში დაუკვეთეს ამ იშვიათი ძეგლის შექმნა.

აქ უნდა დავუმატოთ, რომ ძეგლის მოხატულობა და სხვა ხელოვნური მორთულობა შეუსრულებია სწორედ ცნობილ ბერძენ მხატვარს (ოქროთმწერალ) მიქაელ კორესელს. ამას გვაუწყებს ხელნაწერის ბერძნული მინაწერი. აი სწორედ ასეთი ყოველმხრივ გამართული და მხატვრულად მოკაზმული წიგნი გაუმზადეს დიდ თამარს. აქედან ისიც კარგად ჩანს, თუ რა მჭიდრო კულტურული ურთიერთობა ჰქონდათ იმდროინდელ საქართველოსა და ბიზანტიას[1].

აქედან, სხვათა შორის, ჩვენ შეგვიძლია, დაახლოებით განვსაზღვროთ ხელნაწერის შექმნის დროც. ეს არის დიდი თამარის აღზევების ხანა, XII—XIII საუკუნეების საზღვარი. ამავე დასკვნას ეთანხმება ხელნაწერის მხატვრული გაფორმების შინაარსი და დონე. „ამრიგად, — შენიშნავს ე. მაჭავარიანი, — ხელნაწერი წიგნის მთლიანი მხატვრული ანალიზი, სამკაულთა საერთო აღნაგობა და შესრულების ხასიათი ვანის ოთხთავს XII ს. ფარგლებში ათავსებს“[2].

ხელნაწერის ბოლოს მოიპოვება მთარგმნელის (გიორგი მთაწმიდლის) ცნობილი ანდერძი, რომელშიც იკითხება:

„ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ ესე წმიდაჲ ოთხთავი ახლად გჳთარგმნია ფრიადითა იძულებითა ძმათა ვიეთმე სულიერთაჲთა და ბერძულთა სახარებათადა შეგჳწამებია ფრიადითა გამოწულილვითა. და ვინცა ვინ დასწერდეთ, ვითა აქა ჰპოოთ, ეგრე დაწერეთ. თუ ამისგან ჯერ-გიჩნდეს დაწერაჲ, ღმრთისათჳს, სიტყუათა ნუ სცვალებთ, არამედ ვითარცა აქა სწერია, ეგრე დაწერეთ. და თუ არა რაჲმე გაშუნდეს, ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილნია და კეთილად — ხანმეტნიცა და საბაწმიდურნიცა, მუნით დაწერეთ; ღმრთისათჳს, ერთმანერთსა ნუ გაჰრევთ. და გლახაკისა გიორგისთჳს, რომელმან ესე ვთარგმნე, ლოცვა-ყავთ“ (266 v).

აქ, როგორც ვხედავთ, გიორგი თავის ნაშრომს სახარების ახალ თარგმანად მიიჩნევს. ამ შინაარსის ანდერძი მოეპოვებათ აგრეთვე გელათის, ლეჩხუმის, ლაბსყალდისა და სხვა სახარებებს[3].

---

[1] ნ. ამის შესახებ უფრო ვრცლად ე. მაჭავარიანი, ვანის ოთხთავის დეკორაციული მორთულობა: ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, II, 1960; თ. ყაუხჩიშვილი, ზოგი ქართული ხელნაწერის ბერძნული მინაწერები: „მიმომხილველი“, ტ. II, 1951, გვ. 455. თ. ყაუხჩიშვილის აზრით, ფორმა τοῦ *Κορέσι* უნდა მიუთითებდეს მიქაელის წარმომავლობაზე. *Κορησία* ან *Κορησός* ქალაქია საბერძნეთში კ. კეაზე. კორესელთა გვარი ცნობილი იყო მე-16 და მე-17 სს.

ვანის ოთხთავს, როგორც ქართული ხელოვნების ერთ-ერთ შესანიშნავ ძეგლს, ეხებიან აგრეთვე ნ. კონდაკოვი და დ. ბაქრაძე: Кондаков Н. и Д. Бакрадзе, Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, Санкт Петербург, 1890, გვ. 47—50.

[2] ე. მაჭავარიანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 142.

[3] ა. შანიძე, ლიტერატურული ცნობა ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ტექსტების შესახებ მეთერთმეტე საუკუნის მწერლობაში: თხზულებანი I, 1957, გვ. 284—288.

მაგრამ ზოგი სხვა სახარების ანდერძებში საქმის ვითარება სხვაგვარადაა დახატული:

„ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ ესე წმიდაჲ ოთხთავი არა თუ ახლად გკთარგმნია, არამედ ფრიადითა იძულებითა ძმათა ვიეთმე სულიერთაჲთა ბერძულთა სახარებათადა შეგვიწამებია ფრიადითა გამოწულილვითა... და გლახაკისა გიორგისთჳს ლოცვა-ყავთ“. ანდერძის ეს სახეობა წარმოდგენილია ბრეთის, ახალციხურ, მოქვის, ეჩმიაძინის, უბისისა და სხვა სახარებებში[1].

ანდერძის ამ ვარიანტში გიორგის მიეწერება სახარების არა ახლად თარგმნა, არამედ მხოლოდ საფუძლიანი შეჯერება-შეწამება ბერძნულ სახარებებთან.

რომელი ამ ვარიანტთაგანი უნდა იყოს პირვანდელი, თვით გიორგის მიერ დაწერილი, და რომელი — მერმინდელი, სხვების მიერ შეცვლილი და გადაკეთებული? ახლა, როცა ქართული სახარების რედაქციები შედარებით კარგად არის შესწავლილი, და ვიცით, თუ რა წილი უძევს გიორგის უკანასკნელი, მისეული რედაქციის შექმნაში, ჩვენ შეგვიძლია შეუმცდარად ვთქვათ, რომ სწორია მეორე ვარიანტი, სადაც გიორგის მიეწერება ბერძნულთან საფუძვლიანი შეჯერება-შეწამება მაქსიმალური დაახლოების მიზნით, მანამდე არსებული (ეფთვიმეს) რედაქციის გადამუშავება-შესწორება, ზრუნვა ენის განახლებისა და მისი ბუნებრივი თავისებურებების შეუბღალავად დაცვისათვის, ერთი სიტყვით, საფუძლიანი რედაქცია. ოთხთავი ხელახლა, რა თქმა უნდა, მას არ უთარგმნია. სხვა რომ არა იყოს რა, მას მთელი ნახევარი საუკუნით უძღოდა წინ დიდი ეფთვიმე, რომელმაც არანაკლები მუშაობა ჩაატარა ქართული ოთხთავის ბოლო რედაქციის დამუშავების საქმეში. გიორგიმ განაგრძო ეფთვიმეს მიერ წამოწყებული საქმე და იგი ბოლომდე მიიყვანა. ამიტომ, ვიმეორებთ, პირვანდელი და სწორი უნდა იყოს ანდერძის მეორე ვარიანტი.

ეს ორი ვარიანტი ერთმანეთისაგან არსებითად რამდენიმე სიტყვის დაკლება-დამატებით განსხვავდება: მეორე ვარიანტში მეტია არა თუ (ახლად გკთარგმნია), არამედ, პირველს აკლია იგი: შესაბამისად პირველ ვარიანტს (ბოლოს) მეტი აქვს „რომელძელმან ესე ვთარგმნე“, მეორეს, ბუნებრივია, აკლია იგი. რომელი მომდინარეობს უშუალოდ გიორგისაგან? როგორ და რატომ შეცვალეს იგი? ჩვენი აზრით, როგორც ვთქვით, გიორგისეული II ვარიანტი უნდა იყოს. იგი, როგორც ყოველთვის, მორიდებულად, თავმდაბლად წერს: არა თუ ახლად გკთარგმნია, არამედ... გიორგის დიდი სახელისა და ავტორიტეტის გამო მერმე სხვებმა ეს თავმდაბლობით ნათქვამი გახსნეს („არა თუ... არამედ“ ამოიღეს, ბოლოს დაუმატეს „რომელმან ესე ვთარგმნე“) და მას ოთხთავის ხელახლა თარგმნა მიაწერეს. ასეთია საქმის ნამდვილი ვითარება. ახალი რედაქციის შექმნა სრულებით არ ნიშნავს, რომ უეჭველად ახლად ითარგმნოს. მართალს ბრძანებს ბატონი აკაკი შანიძე: გიორგის „ნამუშაკევი არსებითად არა ახალი და დამოუკიდებელი თარგმანი იყო, არამედ ძველი თარგმანის გასწორება“[2]. როგორც ქვევით დაწვრილებით გვაქვს ნაჩვენები, გიორგიმ ეფთვიმეს მიერ შექმნილ რედაქციაზე დაყრდნობით ხელახლა შეუდარა ბერძნულს „უფრო გამოწულილვით“, ამის მიხედვით ჩასამატებელი ჩაუმატა, გამოსაკლები გამოაკლო, შესასწორებელი შეასწორა და

---

[1] ა. შანიძე, ლიტერატურული ცნობა ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ტექსტების შესახებ მეთერთმეტე საუკუნის მწერლობაში, გვ. 284—288.

[2] ა. შანიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 288.

მოგვცა ქართული ოთხთავის ბოლო რედაქცია. და ეს ისე კარგად, სწორედ გიორგისებურად იყო გაკეთებული, რომ მისმა რედაციამ გაუძლო საუკუნეებსა და ეპოქებს და მშვიდობიანად მოაღწია ჩვენ დრომდე ისე, რომ ხელახალი შეკეთება და შესწორება არ დასჭირვებია. მისი ნაჭედი ქართული ახლაც შედარებით ადვილი გასაგებია თუნდაც სპეციალურად მოუმზადებელი განათლებული ქართველისათვის. ერთ ცალკე რედაქციას მეტი რაღა მოეთხოვება? დიდება მის შემოქმედს!

⁂

ვანის ოთხთავში ყოველ თავს (სახარებას) წინ უძღვის შინაარსის ნუსხა (პატარ-პატარა თავები). მათეს სახარებას 76 ასეთი პატარა თავი მოეპოვება, მარკოზისას — 57, ლუკასას — 96, იოვანესას — 36. გარდა ამისა, ეს თავები მეორდება თვით ტექსტშიც, სათანადო შინაარსთან დაკავშირებით. ტექსტში იგი მოთავსებულია ცალკე ფურცლების ზემო (უმთავრესად) და ქვემო (უფრო ნაკლებ) არშიებზე. აქ გადმოცემულია ამ გვერდებზე წარმოდგენილი ტექსტის მოკლე შინაარსი (მთავარი თემა თუ საკითხი).

ამ ორგან გადმოცემული შინაარსის მუხლები ერთმანეთს ემთხვევა, განსხვავება იშვიათია და უმნიშვნელო. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

იგავი, რომელმან-იგი იმიზღნა მუშაკნი ვენაჴსა (47; 6г, 53v)[1].

იგავი ორთა ძეთაჲ, რომელთა მამაჲ წარავლენდა ვენაჴსა (53; 6v, 57v).

რაჟამს მღდელთ-მოძღუარნი შეკრბეს უფლისათჳს, და რომელმან ნელსაცხებელი სცხო (66; 6v, 69v).

ახლა ისეთი მაგალითებიც მოვიყვანოთ, სადაც შინაარსის ამ ორ ადგილას გადმოცემისას ოდნავი განსხვავებაა:

ეშმაკეულისათჳს ბრმისა და ყრუჲსა.
„ ყრუჲსა და ბრმისა (25; 5v, 34v).
მთასა თაბორსა უფლისა ფერის-ცვალებისა.
„ „ „ ფერის-ცვალებისათჳს (39; 6г, 47г).
ვითარ იესუჲს ზედა შეკრბეს ჰურიანი და ჯუარს-აცუჱს.
ვითარ იესუს (ი῀ჳს) ზედა შეკრბეს ჰურიანი და ჯუარს-აცუჱს
(74; 7г, 75v).

სხვა, ტექსტის გარე მასალაზე, რაც ოთხთავს თავში უძღვის და ბოლოს მოსდევს, აქ არაფერს ვიტყვით. მათ სახარების თვით ტექსტთან უშუალო კავშირი არა აქვთ.

სახარების ტექსტი წარმოდგენილია სრულად, კარგად იკითხება და ამ მხრივ სიძნელეებს არა ქმნის. ესაა ოღონდ, რომ ტექსტი გადაწერის შემდეგ (თვით გადამწერს, რედაქტორს თუ სხვებს) გულდასმით წაუკითხავთ, შეუსწორებიათ, შიგ შენიშვნები შეუტანიათ.

ხელნაწერში დაწუნებული სიტყვის (თუ სიტყვების) გასწორების შემდეგი წესია მიღებული: სათანადო (გასასწორებელი) სიტყვის რომელიმე ასოს თავზე დაუსვამენ სამ წერტილს (უფრო ხშირად) ან ოთხ წერტილს (იშვიათად). ეს ნიშნავს: ეს სიტყვა (ან ამ სიტყვის ესა თუ ის ასო) შესაცვლელიაო. მაგალითად:

---

[1] ციფრებიდან პირველი აღნიშნავს ძველი დაყოფის თავის რიგს (47), მეორე—წინ წამძღვარებული შინაარსის ფურცელს (6г), ხოლო მესამე — თვით ტექსტში წარმოდგენილი შინაარსის ფურცელს (53 v).

მ. 2,19. ჰერჳ⃛დე=ჰეროდე.
მ. 4,10. წარვენ⃛=წარვედ.
მ. 13,46. პოი⃛ს, წარვიდა⃛=პოის, წარვიდის, ან: პოა, წარვიდა.
მ. 17,27. სტ⃛ატირი=სატირი.
მრ. 4,11. საჲ⃛დუმლოჲ=საიდუმლოჲ.
მრ. 12,42. წური⃛ლნი=წულილნი (=მწულილ ნი).
ლ. 6,16. ისკარიჳ⃛ტელი=ისკარიოტელი.
ლ. 6,44. ხეჱ⃛=ხჱ.
ლ. 9,51. იჱლი⃛მდ=ი˝ჱმდ (=იერუსალჱმდ).
ლ. 17,29. წუნწრ⃛ობაჲ=წუნწუბაჲ.
ლ. 19,23. ვაშ⃛ხითურთ=ვახშითურთ.
ლ. 23,36. მრ⃛მზადეს=მოჰმზადეს.
ლ. 24,21. ისრაი⃛ლი=ისრაჱლი.
ი. 2,16. შთაი⃛სხიან=შთაასხიან.
ი. 3,16. ვ˝დ⃛=ვ˝დე=ვიდრემდე.
ი. 8,44. მამისჳ⃛=მამისაგან (=FG).
ი. 17,14. მოიძულე⃛ნა=მოიძულნა და ბევრი სხვა.

ზოგჯერ ტექსტში სათანადო სიტყვას (ასოს) აქვს ასეთივე ნიშანი (სამი ან ოთხი წერტილი) და ამავე დროს მის გასწვრივ არშიაზე არის ჩაწერილი სიტყვა (თუ სიტყვები), რომელმაც (რომლებმაც) უნდა შეცვალოს ტექსტის დაწუნებული ფორმა. ამის მაგალითებია:

1. მ. 24, 36. ხოლო დღისა მისთჳს და ჟამისა არავინ იცის, არცა ანგელოზთა ცისათა, არცა ძემან, გარნა მამამან მხოლომან.

„არცა ძემან" სამი ხელნაწერიდან მხოლოდ გელათს მოეპოვება; ვანისა და ეჩმიაძინის ხელნაწერებში ეს სიტყვები არ არის. მათ გასწვრივ არშიაზე ტექსტის ხელით წერია: არცა ძემან — „ესე სიტყუაჲ სამთა ბერძულთა სახარებათა არა ეწერა, არცა მე დავწერე" (HI). ბერძნულში ზოგან მართლაც არ მოიპოვება, ზოგან კი არის. სხვა ენების თარგმანებშიც ასეთი სიჭრელეა.

ჩვენი ხელნაწერების ეს საინტერესო შენიშვნა სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია შენიშნულია და მსჯელობის საგნად არის ქცეული[1]. ვისაც უნდა ეკუთვნოდეს ეს შენიშვნა (მთარგმნელს, რედაქტორს თუ გადამწერს...)[2], ძალიან

---

[1] Н. Я. Марр, Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию: Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, VII, С.-Петербург, 1911, გვ. 190; ვ. თოფურია, ორმაგი უარყოფა ქართულში: წელიწდეული, I—II, 1923—1924, გვ. 87, შნშ. 3; ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, პარიზი, 1938, გვ. 35—36; ა. შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, 1945, გვ. 011; ქრ. შარაშიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 409; ც. ჭანკიევი, ვანის, ლაბსყალდისა და ეჩმიაძინის ოთხთავთა მიმართებისათვის: მრავალთავი, IV, 1975, გვ. 9—11.

[2] კალკოსის ოთხთავზე მსჯელობისას ე. თაყაიშვილს აღნიშნული შენიშვნა ამ სახით მოჰყავს: „სამთა სახარებათა შინა არა ეწერა ბერძულთა და არცა მე დავსწერე, მთაწმიდელი იტყვის":

საყურადღებოა: იგი გვიჩვენებს, რომ როცა სახარების ტექსტში შესწორება შეჰქონდათ, ამას იქვე ასაბუთებდნენ: ბერძნულში არ იყო და ამიტომ ჩვენც არ შევიტანეთო.

2. მრ. 8, 10. და მეყსეულად შევიდა იესუ ნავსა მოწაფეთა მისთა თანა და წარვიდა ადგილთა მაგდალოჲსათა.

ამ სიტყვის გასწვრივ არშიაზე წერია: დალმანუთაჲსათა. ეს ნიშნავს: „მაგდალოჲსათა“ შეცდომაა, მის მაგივრად უნდა იყოსო „დალმანუთაჲსათა“. აღრევა, შესაძლებელია, იმით იყოს გამოწვეული, რომ ამ ამბის გადმოცემისას მათეს სახარებაში (მ. 15, 39) სწორედ მაგდალაჲსათა წერია. მიუთითებენ, რომ სოფლები მაგდალა და დალმანუთა გენესარეთის ზღვის დასავლეთ ნაპირზე მდებარეობდა[1]. დავძენთ ბოლოს იმასაც, რომ ამ ადგილას (მრ. 8, 10) ამგვარი აღრევა (Μαγδαλά Δαλμανουθά-ს ნაცვლად) თვით ბერძნულშიც არის დადასტურებული.

3. ლ. 18, 25. უადვილეს არს მანქა̆ნისა საბელი ჴურელსა ნემსისასა განსლვად, ვიდრე მდიდარი შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა.

ამ სიტყვის (მანქა̆ნისა) გასწვრივ არშიაზე გაკეთებულია ცნობილი ნიშანი (: :) და ქვემოთ მიწერილია „აქლემი“, ე. ი. „მანქანისა საბელი“ „აქლემ“-ით უნდა შეიცვალოსო. ბერძნულში ამ ადგილას მართლაც აქლემი (κάμηλον) იკითხება. ასევეა სხვა ენების თარგმანებშიც (верблюд, camelum, Kamel, camel). მხოლოდ სომხურშია *մալուխ*, რომელიც ა. ხუდაბაშიანის ლექსიკონში ორჭოფულად არის ახსნილი, როგორც верблюд или канат, толстая веревка. ცხადია, აქ ერთ სახელში ორივე მნიშვნელობა სადავო ადგილის ორგვარივე წაკითხვის მიხედვით არის ჩაქსოვილი, თორემ სომხური *մալուխ* ნამდვილად მსხვილ თოკს ნიშნავს, ხოლო აქლემს სომხურად *ուղտ* ჰქვია. ასე რომ, ქართულის „მანქანისა საბელს“ სომხური ამოუდგა გვერდში.

ამ ორი სიტყვის აღრევა თვით ბერძნულში დაწყებულა. იქ ამას გასაგები მიზეზიც ჰქონდა: აქლემს ბერძნულად ჰქვია κάμηλος, ხოლო მსხვილი თოკი არის κάμιλος. გამოთქმაში ესენი ერთმანეთს ჰგვანდნენ და ამიტომ იყო, რომ ერთის ნაცვლად მეორეც იწერებოდა. ბერძნულიდან ეს აღრევა სხვა ენების თარგმანებშიც გადავიდა და ჩვენშიც შემოაღწია[2]. ჩვენი სადავო ადგილიც ამის ერთ-ერთ გამოძახილს წარმოადგენს[3].

4. ლ. 2, 34. ...აჰა ესერა ესე დგას დაცემად და აღდგინებად მრავალთა ისრაჱლსა შორის და სასწაულად სიტყჳს-ს ა̆გებელად.

ამ სიტყვის გასწვრივ არშიაზე წერია: „სა̆ცილობელად“, ე. ი. „საგებელად“ ფორმის ნაცვლად უნდაო „საცილობელად“.

---

არქეოლოგიური ექსპედიცია..., გვ. 36. ტექსტი მცდარად უნდა იყოს მოყვანილი (საქვეა „დაესწერე“, „იტყჳს“, აგრეთვე სიტყვათა წყობა „სამთა სახარებათა შინა არა ეწერა ბერძულთა“), მაგრამ მაინც საინტერესოა, რომ აღნიშნული შენიშვნის დამატებას გადამწერი (თუ თვით ე. თაყაიშვილი) გ. მთაწმიდელს მიაწერს.

[1] Толковая библия, т. 10, 1914 წ., გვ. 55—56.

[2] ნ. ამის შესახებ ს. ყაუხჩიშვილი, ადიშის ხელნაწერის ბერძნიზმები: „ენიმკის“ მოამბე, ტ. XIV, 1944, გვ. 103—106.

[3] ზემოთ მოყვანილი სამივე მაგალითი აღნიშნული აქვს ც. ჰანკიევს თავის ზემოთ დასახელებულ ნაშრომში, გვ. 9—10.

5. ი. 19, 12. ...უკუეთუ ევე განუტეო, არა ხარ მოყუარე კეისრისაჲ, რამეთუ ყოველი, რომელი მეუფედ იტყჳნ თავსა თჳსსა, სიტყუას-უგებნ კეისარსა.

ამის გასწერივ არშიაზე წერია: „ა ც ი ლ ო ბ ნ“, ე. ი. „სიტყუას-უგებნ“ შეცვალეთ „აცილობნ“ ფორმითო.

მსგავსი მაგალითები კიდევ მოიპოვება, მაგრამ აქ ეს ვიკმაროთ. აქედანაც ცხადად ჩანს, თუ როგორ გულდაგულ ცდილობენ ტექსტი კარგად გასწორდეს, შიგ შეცდომა არ შეიპაროს, წძინდა წიგნს სადმე მწიკვლი არ მიეკაროს, იგი უშეცდომო და შეუბღალავი იყოს.

⁂

ხელნაწერის ორთოგრაფიისა და ენისათვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები:

1. უმარცვლო უ და ე (ჳე), როგორც წესი, უჳ-ს სახითაა წარმოდგენილი, როგორც ეს დამახასიათებელია XII—XIII საუკუნეების ხელნაწერებისათვის. აი ტიპური ნიმუშები (მაგალითები მოგვყავს წიგნის რიგის მიხედვით):

ტყუჳობასა მ. 1, 11; ტყუჳობისა მ. 1, 12; ჩუჳნებით მ. 1, 20; უკუჳ მ. 3, 11; შუჳნის მ. 3, 15; მეზუჳრეთაცა მ. 5, 47; თქუჳნა მ. 6, 30; მოეკუჳთოს მ. 7, 19; განრღუჳული, იგუჳმების მ. 8, 6; მოხუჳდ მ. 8, 29; შემთხუჳვად მ. 8, 34; მოართუჳს მ. 9, 2; ძუჳლსა მ. 9, 16; კუჳრთხსა მ. 10, 10; მტუჳრი მ. 10, 14; გუჳლნი მ. 10, 16; ყუჳდრებად მ. 11, 20; განისუჳნო მ. 11, 28; გამოტყუჳნვად მ. 12, 29; მოკუჳდინ მ. 15, 4; მოიხუჳნით მ. 16, 8; ქუჳშე მ. 22. 44; მართუჳნი მ. 23, 37; შიშუჳლ მ. 25, 36, 43; შეამთხუჳვთ მ. 26, 10; ნრ. 14, 6; მარჯუჳსა მ. 26, 16; წართქუჳს მ. 26, 20; წინა-წარგიძღუჳ მ. 26, 32; განისუჳნეთ მ. 26, 45; წარჰკუჳთა მ. 26. 51; დარღუჳვად მ. 26, 61; შეჩუჳნებად მ. 26, 74; ჩუჳულ მ. 27, 15; განძარცუჳს მ. 27, 28; განსძარცუჳს მ. 27, 31; ჯუარს-აცუჳს მ. 27, 35; გამოეკუჳთა მ. 27, 60; ჯაჭუჳბითა მრ. 5, 3; ფეშხუჳნითა მრ. 6, 28; წინა-წარუძღუჳნ მრ. 6, 45; გუჳმეს მრ. 12, 3; მეტყუჳლნი მრ. 13, 11; სუჳს მრ. 14, 23; შუჳნიერი 15, 43; წინადაცუჳთად ლ. 1, 59; გუჳსმა ლ. 4, 23; წუჳრადმდე ლ. 4, 29; დავშუჳრით ლ. 5, 5; წუჳლი ლ. 6, 42; ეკუჳთა ლ. 6, 49; კუჳზაჲ ლ. 9, 13; სუჳმდით ლ. 10, 7; დამთხუჳვით ლ. 10, 31; განშუჳნებული ლ. 11, 25; მოწყუჳდისა ლ. 12, 5; დაძუჳლდეს ლ. 12, 33; გუჳმად ლ. 12, 45; გუჳმოს ლ. 12, 48; მსხუჳრპლთა ლ. 13, 1; ჰრცხუჳნოდა ლ. 13, 17; 18, 2; ვსუჳმდით ლ. 13, 26; მრცხუჳნის ლ. 16, 3; 18, 4; მწუჳრვალი ლ. 16, 24; თანა-გუჳდვა ლ. 17,10; დაირღუჳს ლ. 21, 6; ალიმსთუჳს ლ. 21, 38; ეჩუჳნა ლ. 22, 43; ჩუჳულებაჲ ლ. 22, 39; მარჯუჳნე ლ. 22, 50; გუჳსმის ლ. 22, 71; მოგუჳგების ლ. 23, 41; ალმრღუჳვასა ი. 5, 3; ალიმრღუჳს ი. 5, 7; სუჳმდინ ი. 7, 37; ქუჳ ი. 8, 8; მსხუჳრპლი ი. 16, 2; გამოხუჳდ ი. 16, 30; ნაკუჳრცხალი ი. 18, 18; გუჳრდსა ი. 19, 34; 20, 25, 27; გუჳრდი ი. 20, 20 და სხვა მრავალი[1].

2. სჯ, სჭ, სჩ კომპლექსები ჩვენს ხელნაწერში (აგრეთვე ეჩმიაძინისაშიც) ასიმილაციით ყველგან შჯ, შჭ, შჩ კომპლექსებს გვაძლევს:

შჯის ი. 5, 22; 8, 50; შჯით ლ. 12, 57; ი. 7, 24; შჯიდეთ ლ. 22, 41; შჯად ი. 9, 39; დაშჯის ი. 7, 51; დაშჯიდეს ლ. 11, 31; დაშჯიდენ მ. 12, 41; ლ. 11, 32; განშჯად მ. 19, 28; საშჯელი მ. 12, 20; საშჯელსა მ. 23, 33; საშჯელისა

---

[1] ჳ გარეშჳ-ში (მ. 26, 69) სხვა ხასიათის დარღვევაა და აქ არ გვაინტერესებს.

მ. 5, 22; შჯული მ. 11, 13; შჯულისა მ. 5, 17; შჯულისაგან მ. 5, 18; უშჯულოთა მრ. 15, 28; უშჯულოებითა მ. 23, 28 და ბევრი სხვა.

შჭამთ ლ. 5, 30; შეშჭამთ მ. 23, 13; შეშჭამენ მრ. 12, 40; ლ. 20, 47; შჭამეთ ი. 6, 26; შჭამო მრ. 14, 12; შჭამოთ ლ. 12, 22; ი. 6, 53; მოშჭრიდეს ლ. 6, 1... ჰშჩანთ მ. 23, 28...

ეს წესი ასეა გატარებული HI ხელნაწერებში. ხოლო გელათის (K) ნუსხაში აქ ყველგან უფრო ადრინდელი ს გვაქვს და გამოცემაშიც სწორედ ის არის დატოვებული.

3. ვანის ხელნაწერში ცხოვნება ზმნის ვნებითის ფორმებში ჩვეულებრივ ვ დაკარგულია:

ცხონდების მ. 4, 4; ლ. 4, 4; ცხონდებოდა ლ. 15, 13; ცხონდებოდეს მრ. 6, 56 (HIK); ცხონდა მრ. 13, 20; ცხონდეს (წყვ.) მ. 14, 36 (HIK); ვცხონდე მ. 9, 21; მრ. 5, 28; სცხონდე ლ. 10, 28 (HIK); ცხონდეს (კავშ.) მ. 9, 18; 24, 13; მრ. 5, 23; 13, 13; 16, 16; ლ. 8, 50; ი. 6, 51, 57, 58; 10, 9; 11, 12; ცხონდესვე ი. 11, 25; სცხონდეთ ი. 5, 34; ცხონდენ ლ. 8, 12; ი. 5, 25. ამ მაგალითებში ვ დაკარგულია აგრეთვე ეჩმიაძინის ხელნაწერშიც. გელათისაში უმეტესად დაცულია, თუმცა არც ისე იშვიათია დაკარგვის შემთხვევებიც. გამოცემაში, რა თქმა უნდა, ვინიანი ფორმებია დატოვებული.

4. ჩვენს ხელნაწერში ჰ ხანის წინ უმეტესად შენარჩუნებულია (მას მისდევს აგრეთვე ეჩმიაძინიც), გელათისაში კი ეს ჰ დაკარგულია. მაგალითები: ჰხადის მრ. 12, 37 (HI; ხადის K); ჰხედავს ი. 14, 17; ჰხედავთა მ. 24, 2; მიჰხედა მ. 19, 26; მრ. 14, 67; ლ. 21, 1; 22, 56; ი. 1, 36; მოჰხედნა ლ. 1, 68; მიჰხედეს მრ. 16, 4; ჰხუდა ლ. 1, 9 და სხვა.

სამაგიეროდ ვანის ოთხთავის გადამწერი იმავე ჰაეს მეორე სუბიექტურისა და მესამე ობიექტური პირის ($S_2O_3$) ნიშნად არა წერს ზ და ს ბგერების (ასოების) წინ: ზრუნავ ლ. 19, 41; ნუ ზრუნავთ მ. 6, 25; ლ. 12, 11, 26; რაჲთა სუმიდეთ ლ. 22, 30; სუათ მრ. 10, 39; ლ. 12, 29; ი. 6, 53; შესუათ მ. 20, 23.

აქ ახლა აღარ შევუდგებით ვანის ხელნაწერის ენის თავისებურებათა დაწვრილებით აღნუსხვას. ამას დაინტერესებული მკითხველი გიორგის რედაქციის განხილვასა და ტექსტის გამოცემაშიც ადვილად შენიშნავს. აქ მშრალად დავურთავთ მხოლოდ რამდენიმე მათგანს:

ა) ხელნაწერში გვაქვს ნამეტავისაგან (და არა უფრო გავრცელებული ნამეტნავისაგან): მ. 12, 34; მრ. 12, 44; ლ. 6, 45; 21, 4.

ბ) მთელ (ოთხივე) სახარებაში მხოლოდ ორჯერ გვხვდება სახელი საწუთრო და იგი ჩვენს ხელნაწერში ორივე ადგილას რ-ს გარეშეა წარმოდგენილი: საწუთო (მ. 13, 21; მრ. 4, 17).

გ) არის ახალი აქამდე (მ. 24, 21). სხვაგან: მოაქამდე ან აქამომდე.

დ) გვაქვს მითა და არა მით: ზრახვა-ყვეს და მოიყიდეს მითა (იუდას მიერ დაყრილი ფულით) აგარაკი იგი მეკეცისაჲ საფლავად უცხოთა (მ. 27, 7). ეს მითა გიორგის რედაქციის სამივე ხელნაწერშია (HIK).

ე) ვაშხითურთ (ლ. 19, 23 HI). თუმცა, როგორც ზემოთ უკვე გვქონდა შენიშნული (გვ. 57), ხელნაწერებში შ-ს თავზე სამი წერტილი უზის, რაც იმას ნიშნავს, რომ ვაშხითურთ შეცდომაა, ვახშითურთ უნდა იყოს. საინტერესოა ვიცოდეთ: რატომ დაწერა მაინც, ვინც დაწერა, ვაშხითურთ და არა ვახშითურთ. ამას ორი მიზეზი აქვს:

ა) ქართულში ბუნებრივია შხ კომპლექსი (მხუილი, ფეშხუენი...) და არა ხშ.

ბ) თუ წინ ხ იქნებოდა, იგი უეჭველად ჴარი უნდა ყოფილიყო და არა ხანი[1]. შდრ. ჴშირი, დაჴშა, ჴშული, იჴსნა, აჴსოვს, მაგრამ: შხამი, შხეფი, სხუა, სხჳლი, სხალი, მსხუერპლი. მართალია, ძველ ქართულში გვაქვს ვახში და ვახშამი, მაგრამ ორივე ნასესხებია[2]. ვინც ვაშხითურთ დაწერა, ამ გარემოების გათვალისწინებით დაწერა.

ვ) რომელთა (სარწყულთა) შთაისხიან საწყაული ორ-ორი გინა სამ-სამი (ი. 2, 6).

ამ სიტყვას ტექსტში ახლავს ცნობილი ნიშანი სამი წერტილი (შთაისხიან), რაც ნიშნავს: არა შთაისხიან, არამედ შთაასხიან უნდაო. მაგრამ შთაისხიან აქ უფრო კარგად გამოხატავს ტექსტის აზრს და ბევრად უკეთესია, ვიდრე უფრო ძველი შთაასხიან: სათავისო ქცევის ფორმა აქ სწორედ ზედგამოჭრილია: ამდენსა და ამდენს იტევსო. I-საც ეს ფორმა აქვს, ოღონდ ს გამორჩენია (შთაიხიან). უფრო ადრე ასეთი სათავისო ქცევიანი ფორმა ადიშის ხელნაწერს ჰქონდა (შთაისხის), მერმე — პალესტინურსაც (შთაისხიან). გასწორების საჭიროება, რასაც მოითხოვენ HI ხელნაწერები, არ არსებობდა.

⁂

ვანის ხელნაწერი, როგორც ვნახეთ, საზღვარგარეთის ქართული მწიგნობრობის ერთ-ერთ ცნობილ კერაში (რომანაში) შეიქმნა. იქვე მოახატვინეს იგი და შეამკობინეს ცნობილ ბერძენ მხატვარს (ოქროთმწერალს) მიქაელ კორესელს. მას შემდეგ ჩვენმა ხელნაწერმა გრძელი და ძნელი გზა გამოიარა. ჯერ იყო და მესხეთში, სოფ. შორათაში, მოხვდა (XIV—XV სს.), მერმე ვანში ამოყო თავი (XVIII ს.), იქიდან გელათში მოიტანეს (1889 წ.), გელათიდან ვუკოლ ბერიძემ ჩამოიტანა თბილისში და ახლა სამუდამო სავანედ მიჩენილი აქვს აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი.

ვანის ოთხთავზე ქვემოთ, ეჩმიაძინის ოთხთავთან დაკავშირებით, ჩვენ კიდევ გვექნება საუბარი.

# 4. ეჩმიაძინის ოთხთავი

## (Rt XIX № 1)

ეჩმიაძინის ქართული ოთხთავი ამჟამად დაცულია ეჩმიაძინის საეკლესიო მუზეუმში. ჩვენ მხოლოდ მისი ფოტოპირები გვაქვს.

ეს ხელნაწერი ჩვენებიდან პირველად პროფ. ილ. აბულაძემ ინახულა 1960 წლის მაისში არქიმანდრიტ ვაჰან ტერიანის დახმარებით. მან მაშინვე შეამჩნია, რომ

---

[1] ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში. III. ჴ და ხ სიბილანტ აფრიკატებთან მეზობლობაში: საქ. არქივი, 1927, II, გვ. 185.

[2] ვახშის (პროცენტის) ნაცვლად ძველ ქართულში აღნადგინები იხმარებოდა, ხოლო ვახშმის მაგიერად — სერი.

ეს წიგნი გასაოცრად ჰგავდა ჩვენს ვანის ოთხთავს. მსგავსება ჩანდა როგორც ტექსტის შინაარსსა და ენაში, ისე მის ხელსა და მხატვრულ მოხატულობაში[1].

ხელნაწერი შეიცავს 275 ფურცელს (მოგაგონებთ: ვანისა—274-ს!). ფურცლების ეს დამთხვევა სათანადო ტექსტის გადმოცემისას გრძელდება ბოლომდე და თავდება ვანისაში (H) 266 რექტოზე, ეჩმიაძინისაში (I) — 267 ვერსოზე. ეს შემთხვევითი არაა. როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, ეჩმიაძინის ოთხთავი არის ვანის ოთხთავის ასლი, მას ვანიდან იწერენ და დაბეჯითებით ცდილობენ, ასლი ყოველმხრივ ჰგავდეს დედანს, არ გადაუხვიოს მისგან. მაგრამ ამაზე ქვემოთ.

ხელნაწერი ნაწერია სქელ ეტრატზე დაახლოებით ისეთივე ხელით, როგორითაც შესრულებულია ვანის ოთხთავი. წიგნი ჩვენამდე მოღწეულია დაუზიანებლად, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ხშირი ხმარების გამო ფურცლების კიდეები გამუქებულია და აქა-იქ სანთლის წვეთებია დაღვენთილი[2]. მაგრამ ხელნაწერის კითხვას არც ერთი ეს გარემოება ხელს არ უშლის.

ხელნაწერის ზომაა 29×23 სმ. ნაწერია ორ სვეტად, სვეტში არის 20 სტრიქონი (პირველ 4 რვეულში), ხოლო ყველა დანარჩენში—21.

ტექსტი ნაწერია ნუსხურად. შიგადაშიგ, როგორც ვანის ოთხთავში, ხშირად არის გამოყენებული მრგლოვანი, ოქრომელნით მოხატული ასოები.

ეჩმიაძინის ხელნაწერს, სამწუხაროდ, არ მოეპოვება გადამწერის ანდერძი ან სხვა ისეთი მინაწერები, რომლებიც დაგვეხმარებოდა, გაგვეგო, ვინ გადაწერა იგი, როდის გადაიწერა, რა გზები გამოიარა გადაწერის შემდეგ და როგორ მოხვდა ბოლოს ეჩმიაძინში. ერთი კია, ხელის, შინაარსის, მხატვრულ მორთულობათა და სხვა ნიშნების მიხედვით იგი უნდა იყოს შესრულებული იქვე, სადაც შეიქმნა ვანის ოთხთავი (რომანაში თუ მის მახლობლად), და დაახლოებით იმავე ხანებში, ე. ი. XII—XIII სს. საზღვარზე.

ხელნაწერი, საერთოდ, მდიდრულადაა შემკული კამარებით, თავსამკაულებით, მახარებელთა მინიატურებითა და ინიციალებით. ამის შესახებ შენიშნავს ელ. მაჭავარიანი: „საინტერესოა, რომ ეჩმიაძინის ქართული ხელნაწერის დეკორაციული მორთულობის დათვალიერებისას, ვისაც კი ვანის ხელნაწერის შემკულობა უნახავს, შეუძლებელია, რომ არ გამოთქვას განცვიფრება ამ ორი ხელნაწერის მორთულობათა ასეთი მსგავსების გამო“[3].

ამასვე იმეორებს ც. ჭანკიევიც: „ვანისა და ეჩმიაძინის ოთხთავები ყოველთვის ერთად დგას. მეტიც, ვანის ოთხთავის ტექსტში ჩართული ნიშნები თუ კიდეზე გატანილი მინაწერები მეორდება ეჩმიაძინის ოთხთავშიც... ვანისა და ეჩმიაძინის ოთხთავთა ასეთი თანხვედრა გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ ვანის ოთხთავი არის დედანი ეჩმიაძინის ოთხთავისა, მით უმეტეს, რომ ეჩმიაძინის ოთხთავის მხატვრობასაც საფუძვლად ვანის ოთხთავის მხატვრობა დასდებია“[4].

მართალს ბრძანებს ორივე მეცნიერი. ჩვენი აზრითაც, ეჩმიაძინის ოთხთავი ვანის ხელნაწერიდან უნდა იყოს გადაწერილი.

---

[1] ელ. მაჭავარიანი, ვანის ოთხთავის (A—1335) ახლადაღმოჩენილი პირი: საქ. მეცნ. აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, III, 1961, გვ. 141 და სხ.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 142.

[4] ც. ჭანკიევი. ვანის, ლაბსყალდისა და ეჩმიაძინის ოთხთავთა მიმართებისათვის: „მრავალთავი“, IV, 1975, გვ. 10.

ეჩმიაძინის ოთხთავში, როგორც ვანისაში, ცალკე მახარებლის სახარებას წინ უძღვის შინაარსის ნუსხა, ძველებური თავები (როგორც ვანის სახარების აღწერისას ვნახეთ, მათეს აქვს 76 თავი, მარკოზს—57, ლუკას—96, იოვანეს—36). თავების შინაარსიც ერთნაირია. ოღონდ მათ შორის ის განსხვავებაა, რომ ვანის ოთხთავში ეს თავების ნუსხა (შინაარსი) შემდეგ ტექსტშიც მეორდება სათანადო შინაარსთან დაკავშირებით ზემო, ქვემო და გვერდის არშიებზე. ეს გასაგებიცაა: ვანის სახარება, როგორც ვნახეთ, თამარ დედოფლისთვის გადაწერეს და მხატვრულად მორთეს. ცალკე ფურცლებზე (გვერდებზე) შინაარსის სპეციალური აღნიშვნაც ამის გამო უნდა იყოს გაკეთებული. ეჩმიაძინის ხელნაწერის გადამწერმა ეს უკანასკნელი აღარ ჩათვალა საჭიროდ და ამოიღო. მართალიც იყო: შინაარსის ორჯერ და ორ ადგილას ჩვენება რაღა საჭირო იყო. ესაა ამ ოთხთავებს შორის თითქმის ერთადერთი მნიშვნელოვანი განსხვავება.

ერთი სიტყვით, ვიმეორებთ, ეჩმიაძინის ხელნაწერის გადამწერი ტექსტს იწერს ვანის ოთხთავიდან და ცდილობს, ყოველმხრივ დაამსგავსოს დედანს: ხელით, ფურცლების რაოდენობით, შენიშვნებით, შეცდომების განმეორებითაც (უნებლიეთ) და სხვა ნონსენსებით.

ამას ამტკიცებს ზემოთ, ვანის ოთხთავის ენისა და ორთოგრაფიის განხილვისას, ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითები, რომლებიც აბსოლუტურად ეხება აგრეთვე ეჩმიაძინის ხელნაწერსაც: იქ მოყვანილი ყველა მაგალითი სწორედ იმავე სახით გვაქვს ეჩმიაძინის ხელნაწერშიც. ესენია:

1. ჰერუ̈დე (=ჰეროდე), წარვე̈ნ (=წარვედ), შთაი̈სხიან (=შთაასხიან) ტიპის მაგალითები (გვ. 57).

2. ტექსტში ნიშანდასმული და კიდეზე გატანილი სიტყვები (არცა ძემან, მაგდალ̈რ̈ჲსა̈თა, მანქ̈ჱნისა საბელი, სიტყჳს-ს̈ჳგებელად, სიტყ̈უას-უგ̈ებნ: (გვ. 57—58).

3. უე ჯგუფის ჳ-ს სახით გადმოცემა (ძჳლსა, მოართჳს, მსხჳრპლი, ნაკჳრცხალი, გჳრდი და მსგავსი ნიმუშები: გვ. 59).

4. სჯ, სჭ, სჩ ჯგუფების შჯ, შჭ, შჩ სახით გადმოცემა (გვ. 59—60).

5. ცხოვნება ზმნის ვნებითებში ვ-ს დაკარგვა (ცხონდების, ცხონდებოდა, ცხონდა... გვ. 60).

6: ჰ-ს, როგორც $S_2O_3$-ის, გამოყენების წესი ხ, ზ, ს ბგერებით დაწყებულ ზმნებში (ჰხადის, ჰხედავს, ზრუნავ, სუამ... გვ. 60).

ყველა ამ შემთხვევაში ორივე ხელნაწერი ერთად დგას, ერთნაირად იყენებს $S_2O_3$-ს.

წამოყენებული დებულების გასამაგრებლად მოვიყვანთ სხვა მაგალითებსაც:

მ. 5, 46. მეზუერეთაცა ეგრეთ ყვიან H. I-ში პირველად ეგრეთვე ყოფილა, მაგრამ შემდეგ ვე, ამოუფხეკიათ.

მ. 13, 21; მრ. 4, 17. ორივე ხელნაწერში გვაქვს საწუთო — იშვიათი, მაგრამ საკმაოდ ძველი ფორმა. K-ში უკუე რ არის ჩართული (საწუთრო)· დავძენთ ბოლოს, რომ ერთ შემთხვევაში (მრ. 4, 17) უფრო ადრე საწუთო ჰქონდა ეფთვიმეს რედაქციის G ხელნაწერსაც.

მ. 20, 18. აჰა ესერა აღვალ იერუსალჱმდ HI.

უნდა იყოს აღვალთ. შდრ. ἰδοὺ ἀναβαίνομεν εἰς Ἱεροσόλυμα, вот мы восходим в Иерусалим. რაკი H-ს მხოლობითი ჰქონდა (აღვალ), I-მაც ასევე გადაწერა.

მ. 24, 21. ვიდრე აქამდე HI. მესამე ხელნაწერს (K) ძველი ქართულის კარგად ცნობილი აქამომდე აქვს.

მ. 24, 26. აჰა უდაბნოსა არს HI (ა მეტია, უდაბნოს უნდაო).

მ. 26, 3. კაჲაფა HI (=კაიაფა).

მ. 26, 38. ვიდრე სიკუდილდმდე (= სიკუდილადმდე). ეს უკვე ნახევრად ახალი ქართულია, მაგრამ ასეთია HI ხელნაწერების ნორმა: სიკუდილად, მოსიკუდილად, სიკუდილადმდე...

მ. 27, 33. რომელსა ჰ⁖ქკან გოლგოთა HI (=ჰრქკან).

ჰქკან მეტად და მეტად დამახასიათებელია ურბნისის ოთხთავისათვის (ნ. ზემოთ, გვ. 26—27).

მ. 27, 57. რომელ⁖ (=რომელი). მაგრამ ეს გასწორება არაა მართებული. K-ს გარდა, რომელ აქვს აგრეთვე DEFG-სა და ბევრ სხვას.

მრ. 1, 5. და განვიდოდა მისი ყოველი სოფლები HI. ეს ხომ სულ უბრალო lapsus calami-ა, მაგრამ I ხელნაწერს უყოყმანოდ გადააქვს ეს უნებური ლაფსუსიც.

მრ. 4, 13. და ვითარ უკუე ყოველნი იგავნი გულისჴმა-ჰყვენით HI (=გულისჴმა-ჰყვნეთ).

აქ წყვეტილი კი არ უნდა, არამედ—II კავშირებითი მომავლის გაგებით (როგორღა გაიგებთ ყველა იგავსო,) как же вам уразуметь все притчи?).

მრ. 4, 22. საჲდუმლოდ HI (=საიდუმლოდ).

I-ს გადამწერს ტექსტში ასეც გაუსწორებია, მაგრამ ასოს (ახლა ი-ს) თავზე დასმული სამი წერტილი მექანიკურად გადმოუტანია. ამას მონური მორჩილება ჰქვია.

მრ. 6, 11. და რავოდენთა არა შეგიწყნარნენ HI.

სხვაგან სამივე ხელნაწერში ყველგან რაოდენი ან რავდენი იკითხება, ხოლო არსად რავოდენი, რომელშიც ო-ს წინ ვ არის განეითარებული.

მრ. 6, 48. და იხილნა იგი, რამეთუ იურვოდეს HIK.

იგი (ეგე, ესე) იგინ-ის (ეგენ-ის, ესენ-ის) ნაცვლად, უძველეს ძეგლებში არც ისე იშვიათია და მეცნიერებაში იგი სათანადოდ არის ახსნილი[1]. H გასწორების ნიშანს (აქ ოთხ წერტილს) უსვამს თავზე არა „იგი“-ს ი-ს (იგი), არამედ შეცდომით იურვოდეს ი-ს (იურვოდეს). ამ შეცდომას მორჩილად იმეორებს I-ც.

მრ. 6, 53. მოვიდეს ქუეყანად გენესარეთა HI (=გენესარეთად).

მრ. 9, 33. ჰკითხვიდა მათ, რასა-იგი იცილებოდეს ურთიერთას გზასა ზედა HI.

სხვაგან გვაქვს: იცილობდეს E, იტყოდეთ CM, იცილობდით ADG, იცილებოდეთ B, იცილობოდეს K. ესეც სიმპტომატურია: იცილებოდეს აქვს მხოლოდ HI-ს.

მრ. 10, 7. დაუტევოს კაცმან მამაჲ თჳსი HI (=დაუტეოს).

---

[1] ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, 1963, გვ. 210; „მამათა ცხორებანი“, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ვ. იმნაიშვილმა, 1975, გვ. 437.

მაგრამ სწორი და ამოსავალი სწორედ ვინიანი ფორმაა (დაუტევოს), რომელსაც იწუნებს H და მას ბანს აძლევს I-ც.

მრ. 10, 46. ბრმაჲ ჯდა გზასა თანა მთხოვლად H.

I-ს გადამწერს პირველად მთხოველად დაუწერია, მაგრამ შემდეგ (H-ის გავლენით) ე ამოუფხეკია.

მრ. 11, 15. დასასხდომლები იგი ... დაუმჴუა HI.

K-ს და FG-ს შეუკუმშავი ფორმა აქვთ (დასასხდომელეჲი), DE-ს — სასხდომელები, C-ს — საჯრძლები... დასასხდომლები კი მხოლოდ HI-ს მოეპოვება.

მრ. 16, 7. ვითარცა გარქუა თქუენ HI (=გრქუა).

ლ. 1, 31. და უწოდე სახელი მისი იესუ HI (=უწოდი ან უწოდო).

უწოდე ბრძანებითია, უწოდი (უწოდო) — კავშირებითი, რომელსაც მომავალი დროის გაგება აქვს. აქ სწორედ ასეთი შინაარსის ფორმა არის საჭირო (შდრ. καλέσεις, наречешь).

ლ. 1, 56. და წარვიდა სახიდ თჳსსა HI (=თჳსა).

ლ. 3, 3. მოვ̈იდა ყოველსა მას გარემო სოფლებსა იორდანისასა HI (=მოჰვლიდა).

სწორადაა შენიშნული, გასწორება დიახაც საჭირო იყო, თუმცა ყველგან მოვიდა კი იკითხება.

ლ. 5, 26. განკჳრვებამან შეიპყრა ყოველნი HI (= შეიპყრნა).

ლ. 9, 51. ...აღსლვად ი´ჱლი̈მდ HI (=იერუსალჱმდ).

ლ. 11, 17. ... რომელი თავსა თჳსსა განევ̈თის HI.

ე. ი. უნდა იყოსო განევლთის, როგორც გვაქვს კიდეც HI ხელნაწერებში სხვა ადგილებში (მ. 12, 25, 26; მრ. 8, 24, 25). შენიშვნა სწორია. ამნაირი ხასიათისაა აგრეთვე შემდეგი მაგალითიც:

ლ. 11, 18. ... განევ̈თა HI (=განევლთა).

ლ. 11, 40. ანუ არა რომელმან-იგი გარეშე შექმნა, მანვე შინაგანი შექმნა̈ HI (=შექმნაა).

შენიშვნა სავსებით სწორია. წინადადება კითხვითია (შიგ არ მოიპოვება კითხვითი სიტყვა), ამიტომ ბოლო ზმნას ა კითხვითი ნაწილაკი ესაჭიროება, როგორც გვაქვს კიდევაც მესტიის ოთხთავში.

ლ. 11, 44. კაცნი ზედა ვლენ და არა იციან HI.

K-ს უფრო ძველი და სწორი ფორმა აქვს დაცული: ვლენან.

ლ. 13, 28. ... და თქუენ გასხმულნი გარეშე HI (= განსხმულნი).

ლ. 15, 22. შეაცუ̈თ ბეჭედი ჴელსა მისსა HI (= შეაცჳთ).

მაგრამ ეს უკვე არ შეეფერება ძველი ქართულის ნორმებს. რა თქმა უნდა, ტექსტის შეაცუთ არის ძველი და მართებული ფორმა. მას გასწორება არ ესაჭიროებოდა. მაგრამ რას იზამ: ამის გადაწერის დროს უკვე ახალი სიო ქროდა.

ლ. 17, 29. აწჳმა ცეცხლი და წუნწო̈ბ´ჲ ზეცით HI (=წუნწუბაჲ).

ლ. 22, 68. უკუეთუ გითხრათ თქუენ I. თ H-შიც ყოფილა, მაგრამ ამოუფხეკიათ. მომდევნო თ-ს (თქუენ) გავლენა უნდა იყოს. მთავარია, რომ ეს თ თავიდან ორივეს ჰქონია.

ი. 1, 44. იყო ფილიპე ბეთსაჲდ̈აჲ̈თ HI (=ბეთსაიდაჲთ).

მეორე ნიშანი (ბეთსაიდაჲ⃛თ) ზედმეტია. ალბათ, H-ს პირველი ნიშნის შემდეგ წასცდა და მეორედაც დასვა ჲ-ს ზემოთ სამი წერტილი, I-მ კი მექანიკურად გაიმეორა.

ი. 3, 12. უკუეთუ ქუეყანისაჲ გითხრა თქუენ, და არა გრწამს HI (=გითხარ).

ი. 6, 3. და მუნ დაჯდა მოწ⃛ფით˝რთ H, მოწ⃛ფითურთ I (=მოწაფითურთ). მაგრამ ეს უკვე აღარაა ძველი, შედარებით გვიანდელია.

ი. 11, 43. ლაზარე, გამოედ გარე! HI (= გამოვედ).

H-ში ერთადერთი შემთხვევაა, როცა ამ ზმნის II ბრძანებითში ვ-ს აკლებენ. I უსიტყვოდ იმეორებს დედნის წაკითხვას. დავძენთ ბოლოს, რომ გამოედ, მოედ, წარედ, მიედ და მსგავსი ფორმები (ბრძანებითში) თითქმის ნორმაა BM ხელნაწერებისათვის, ახასიათებს აგრეთვე C-საც.

ი. 15, 12. რაჲთა იყუარებოდით ურთიერთარს HI (=ურთიერთას).

გიორგის რედაქციის მთელ წიგნში ეს ფორმა მხოლოდ ამ ერთ ადგილას გვხვდება და ისიც ამ ორ (HI) ხელნაწერში.

ი. 18, 15. ხოლო მოწაფჱ იგი ერთი მეცნიერი⃛ იყო მღდელთ-მოძღურისა⃛ HI.

ე. ი. თუ მეცნიერი ამ სახით დარჩება, მსაზღვრელს ჲ უნდაო (მეცნიერი მღდელთ-მოძღურისაჲ), ხოლო თუ მსაზღვრელს ხელუხლებლად დავტოვებთ, საზღვრულს ი უნდა ჩამოაკლდესო (მეცნიერ მღდელთ-მოძღურისა). აქ მსაზღვრელ-საზღვრულის რთული საკითხებია აღძრული. ალბათ, H-ის გადამწერმა იოვანემ კარგად იცოდა, რომ ამ ადგილს სხვადასხვა ხელნაწერებში სხვადასხვაგვარად გადმოსცემენ და აფრთხილებს გადამწერებსა და მკითხველებს.

ი. 21, 3. წარვიდე⃛ სათხევლობად HI (=წარვიდეთ).

მაგრამ H-ის გადამწერი ცდება (აქვე ვიტყვით: შეიძლება ეს წერტილები გადაწერისა და გასინჯვის შემდეგ სხვებმა დაუსვეს. მაშინ ეს გამსწორებლები ცდებიან): ტექსტში სწორედ წარვიდე უნდა: წარვიდე სათხევლობად (სათევზაოდ წავალო). ამის პასუხია: მოვიდეთ ჩუენცა შენ თანა, ე. ი. ჩვენც წამოვალთ შენთანო. წარვიდეთ რომ დარჩეს ტექსტში, შემდეგ საჭირო აღარ იქნება მომდევნო რეპლიკა: მოვიდეთ ჩუენცა შენ თანა. შდრ. ὑπάγω ἁλιεύειν. иду ловить рыбу. ერთი სიტყვით, ცდება H-ის გამსწორებელი და მის შეცდომას კვლავ მორჩილად იმეორებს I ხელნაწერიც.

ზემოთ მოყვანილი მასალიდან აშკარად ჩანს, რომ H და I ხელნაწერები ყოველმხრივ ერთად დგას: რედაქციულად, უპირველეს ყოვლისა, სიტყვის ერთნაირი ძარაგით, გრამატიკული ფორმებით, სიტყვათა რიგით. ერთი სიტყვით, მთელი ენობრივი აქსესუარით.

შემდეგ: I H-ზეა დამოკიდებული, იქიდან იწერს ტექსტს; სიტყვასიტყვით, ასო-ასო მიჰყვება; შეცდომაა H-ში, იწერს იმ შეცდომიან ფორმებს; შენიშვნაა გაკეთებული, იმ შენიშვნასაც იწერს. უცნაური ისაა, რომ იგი გასწორების მაჩვენებელ ნიშანს (სამ ან ოთხ წერტილს ასოს თავზე) მაშინაც წერს, როცა ეს შეცდომა მან უკვე გაასწორა. ზოგჯერ H-ის სრულიად უნებლიე ლაფსუსიც გადმოაქვს (განვიღოდა მისი ყოველი სოფლები=მისა). I H-ის მონა-მორჩილია, არსად არ უხვევს მისგან.

როგორი ხასიათისაა ის გასწორებები, რომელთაც ჯერ H და მერმე I ითხოვს?

ზოგან საქმე ეხება აშკარა შეცდომას და გასწორება მართლაც აუცილებელია (ვაშხითურთ=ვახშითურთ, ჰერუდე=ჰეროდე...).

ზოგან ორივეგვარი წაკითხვა თანაბარია, ისიც შეიძლება დარჩეს და ესეც, მაგრამ გამსწორებელი ერთ-ერთს ანიჭებს უპირატესობას (აჰა უდაბნოს არს). უმეტეს შემთხვევაში კი გასწორება მოითხოვს ძველი ფორმის ახლით შეცვლას, როგორც ეს არის დამახასიათებელი საერთოდ ეფთვიმესა და გიორგის რედაქციებისათვის. ამიტომაა, რომ HI ხელნაწერები (თუ გამსწორებელი) მოითხოვს

ცხოვნდა ფორმის ნაცვლად იყოს ცხონდა
საწუთო „ „ „ საწუთრო
აქამომდე „ „ „ აქამდე
რომელ „ „ „ რომელი
გენესარეთა „ „ „ გენესარეთად
ვლენან „ „ „ ვლენ
განსხმულნი „ „ „ გასხმულნი
შეაცუთ „ „ „ შეაცვთ
შთაისხიან „ „ „ შთაასხიან
მოწფითურთ „ „ „ მოწაფითურთ და სხვა.

ამგვარად, ეჩმიაძინის ოთხთავის ტექსტის რედაქციისა და ორთოგრაფიულ-ენობრივ ანალიზს მივყავვართ დასკვნამდე, რომ ეჩმიაძინის ოთხთავის დედანი არის ვანის ოთხთავი, რომლიდანაც იწერდა I-ს გადამწერი სიტყვასიტყვით და ასო-ასო თვით შეცდომებსა და ნონსენსებსაც კი. ამ დასკვნამდე მიდიან აგრეთვე ხელოვნებისა და, კერძოდ, მხატვრობის სპეციალისტები (მაგ., ელ. მაჭავარიანი), როცა ხელნაწერის მხატვრულ მხარეს განიხილავენ; აქაც ეჩმიაძინის ოთხთავისათვის ნიმუში ყოფილა ისევ ის ვანის ოთხთავი, საიდანაც I-ს მომხატველი და შემამკობელი ნიმუშს იღებდა და იხატავდა სათანადო მხატვრულ მასალას. მაგრამ ჩვენთვის ყველაზე მთავარია, რომ I ხელნაწერი H-ის ზუსტი პირია, რომელსაც იგი იღებს აბსოლუტური სიზუსტით და ტექსტისადმი უსიტყვო მორჩილებით.

ეს ხომ ასეა, მაგრამ გაკვირვებას იწვევს ერთი გარემოება: I-ს გადამწერს გ. მთაწმიდლის ანდერძი დაცული აქვს არა C რედაქციის შინაარსით, რომელსაც ვანის ოთხთავი წარმოგვიდგენს (მასთანაა აგრეთვე გელათის, ლაბსყალდის, ლეჩხუმისა და სხვა ოთხთავებიც), არამედ ისე, როგორც დაუცავთ იგი ბრეთის, ახალციხის, მოქვის, უბისისა და სხვა ხელნაწერებს. სახარების ტექსტის გარე მასალებში ესაა მათ შორის განმასხვავებელი ნიშანი. ვანის ოთხთავში დაცული ანდერძის მიხედვით, როგორც ვნახეთ, გიორგის სახარების ახლად თარგმნა მიეწერება (ესჱ წმიდაჲ ოთხთავი ახლად გჳთარგმნიაო, ბოლოს: გლახაკისა გიორგისთჳს, რომელმან ესე ვთარგმნე, ლოცვა-ყავთო). ეჩმიაძინის ხელნაწერის ანდერძი კი გიორგის მხოლოდ ბერძნულთან შეჯერება-შეწამებასა და რედაქტორობას მიაკუთვნებს (... ესე წმიდაჲ ოთხთავი არა თუ ახლად გჳთარგმნია, არამედ ბერძულთა სახარებათადა შეგჳწამებიაო). ამიტომაა, რომ ამ (Ⴄ) ტიპის ანდერძში ბოლოს აღარ იკითხება „რომელმან ესე ვთარგმნეო“ და მოკლედ წერია: „და გლახაკისა გიორგისთჳს ლოცვა-ყავთო“. ეს სახარების ტექსტის გარე მდებარე წინააღმდეგობა შეიძლება სხვადასხვაგვარად აიხსნას (ახლა ამის განხილვას აქ არ შევუდგებით), ხოლო თვით ტექსტები, რაც აქ მთავარია, ორივე აბსოლუტურად იდენტურია, I-ს დიდი ერთგულებით გადმოუწერია ვანის ოთხთავიდან. და-

ინტერესებული მკითხველი ამას ტექსტის გამოცემაშიც ნათლად დაინახავს და ახლა აქ ამაზე მეტს არაფერს ვიტყვით.

სამწუხაროა, ვიმეორებთ, რომ ხელნაწერს არ შემოუნახავს გადამწერის ანდერძი, რომლის მიხედვითაც შეგვეძლო გაგვეგო, თუ ვინ არის ამ ძვირფასი წიგნის გადამწერი, სად და როდის გადაწერა მან იგი, ვინ იყო მომგებელი, ვინ მოხატა და შეამკო და სხვა ამგვარი ცნობები, მაგრამ მთავარი ხელთა გვაქვს: დიდებული ვანის ოთხთავის პატიოსნად შესრულებული პირი, გიორგის რედაქციის ერთ-ერთი კარგად შემონახული ხელნაწერი, ქართული ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების ძვირფასი ძეგლი.

ხელნაწერს ცოტა აქვს მინაწერები; რაც არის, ისიც გვიანდელ ხანას უნდა ეკუთვნოდეს. ამ მინაწერებში ასეთი სახელებისა და გვარების მოხსენიება, როგორიცაა: მერაბ კალმახელი, იშხნელი მთავარეპისკოპოსი მაკარი (274 r) და სხვა, მეცნიერებს აძლევს საბუთს, რომ ეჩმიაძინის ოთხთავსაც სამხრეთ საქართველოს (ტაო-კლარჯეთის) გზებზე უნდა ევლოს ხანგრძლივად. ყოველ შემთხვევაში, მთავარეპისკოპოს მაკარი იშხნელის მინაწერში ნახსენები „ექ(უ)სას ორმოცდა(ა)თი წელიწადი“ (ქრისტეს მოსვლიდან) ფრიად მნიშვნელოვანია სამხრეთ საქართველოს სანახებში ჩვენი ხელნაწერის დროის გასათვალისწინებლად[1].

# 5. გელათის ოთხთავი

## (Q 908)

ხელნაწერი 1921 წელს წაღებული იყო საქართველოდან პარიზში მენშევიკი ხელისუფლების მიერ. საქართველოს დაუბრუნდა 1945 წელს. ამჟამად დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში.

გელათის ოთხთავი XII საუკუნის ბოლოს უნდა განეკუთვნებოდეს. იგი 293 ფურცლისაგან შედგება. ნაწერია კარგად გამოყვანილ ეტრატზე. მისი ზომაა 27×19,5 სმ. ხელნაწერი კარგადაა შემონახული. აქა-იქ ეტყობა მცირედი დაზიანება; ადრინდელი დანესტიანების შედეგად მცირედ შელახულია ეტრატის ფურცლების ზემო ნაწილი, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც ფურცლები ჩაკინძულია. 21-ე ფურცელი მოცილებულია. ნაწილობრივ მოცილებულია აგრეთვე 32-ე, 39-ე, მე-40 ფურცლებიც. 145-ე ფურცელი გვიან არის ჩაკინძული დაკარგული ფურცლის ალაგას; აქ ტექსტიც გვიანდელი, მე-18 საუკუნის ხელით არის აღდგენილი. დაუწერელია 1r—3r, 30r-v, 90r-v.

ტექსტი დაწერილია ლამაზი ნუსხურით, ერთ სვეტად. ამით განსხვავდება იგი ბევრი სხვა ოთხთავისაგან, რომლებშიც სახარების ტექსტი ჩვეულებრივ ორ სვეტად არის ნაწერი (ავგაროზის ტექსტი კი, რომელიც ბოლოში ერთვის, ორ სვეტად არის დაწერილი). მთელი ტექსტი დაწერილია გაუხუნარი მელნით და კარ-

---

[1] ნ. უფრო ვრცლად ელ. მაჩავარიანი, ვანის ოთხთავის (A—1335) ახლადაღმოჩენილი პირი: საქ. მეცნ. აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, III, 1961, გვ. 153—154.

გად იკითხება. დასაწყისი ასოები სათაურებში, აბზაცებში, ცალკე გამოსაყოფ სიტყვებში შესრულებულია ოქრომელნით და ხანდახან სინგურით.

ხელნაწერის ტყავგადაკრული ყდა შემკულია ძვირფასი თვლებით. საერთოდ, ხელნაწერი მდიდრულადაა მორთულ-მოხატული. იგი, როგორც ხელოვნების ძვირფასი ძეგლი, დიდი ხანია, რაც ხელოვნების მცოდნეთა ყურადღებას იქცევს. სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაშიც მას ხშირად იხსენიებენ, მაგალითად:

ა) Кондаков Н. П., „История византийского исскуства и иконографии по миниатюрам греческих рукописей“, Одесса, 1877, გვ. 280. არის ამ შრომის ფრანგული თარგმანიც, რომელიც გამოცემულია პარიზში 1886 წ.

ბ) Кондаков Н. и Д. Бакрадзе, „Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии“, 1890, გვ. 50—51, პ. 43.

გ) Покровский Н. В., „Миниатюры евангелия гелатского монастыря XII века“, С.-Пб., 1887.

დ) Покровский Н. В., „Описание миниатюр гелатского евангелия“ (Записки отдела русской и славянской археологии имп. русского археологического общества, IV, стр. 255—311).

ე) შ. ამირანაშვილი, ბექა ოპიზარი, ტფ. 1937, გვ. 14 („ავგაროზის“ გიორგი მთაწმიდელისეული თარგმანისათვის).

ვ) თ. ყაუხჩიშვილი, ზოგი ქართული ხელნაწერის ბერძნული მინაწერები: საქ. მეცნ. აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტის „მიმომხილველი“, II, 1951, გვ. 471. (აქ გამოთქმულია აზრი, თითქოს ხელნაწერი იერუსალიმში იყოს გადაწერილი. ეს არ არის სწორი, მათეს სახარების ტექსტის ბოლოს ოქრომელნით მიწერილი: „აღიწერა ი῀ჱლმს“ გულისხმობს არა გელათის ხელნაწერის, არამედ სახარების პირველადი ტექსტის აღწერას იერუსალიმში მათეს მიერ).

ეს შენიშვნა და ხელნაწერის აღწერილობის სხვა ზოგადი ცნობები მოგვყავს წიგნიდან: „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ახალი (Q) კოლექციისა“, ტ. II, 1958. წიგნი გამოვიდა ილ. აბულაძის საერთო რედაქციით. ჩვენი ხელნაწერი აღწერა ქრ. შარაშიძემ.

ოთხთავის ტექსტს წინ უძღვის:

ა) გიორგი მთაწმიდლის „სტიხორნი“ — ლექსი აკროსტიხად:

განსაკრთომელთა ღმრთისა საქმეთა წიგნი,
ემბაზით მადლთაჲთ აღმომშობელი ჩუენი;
ოკტკივრად გაქუს ოფლით ნამუშაკევი.
რომელთა გწყურის, სუჱმდით წყალსა ცხოველსა,
გარნა ჩემდადცა იოხდით, რომლისასა
იტყჳან თავნი სტიხოსთანი სახელსა (III v).

გიორგი მთაწმიდლის ეს იამბიკო-აკროსტიხი („გეორგი“) ადრე გამოაქვეყნა და ავტორის პოეტური ნიჭის შესახებ საუბარი ჰქონდა კ. კეკელიძეს[1].

ბ) „ევსები კარპიანეს... გიკითხავ“... 1r—2v.

გ) კანონები, კამარები... 3r—10r.

დ) ცალკე მახარებლებს წინ დართული აქვს თავების ნუსხა (შინაარსი), როგორც ეს ვნახეთ ვანისა და ეჩმიაძინის სახარებების განხილვისას. სახელდობრ:

---

[1] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1941, გვ. 206—207.

მ. 12r—14r
მრ. 88r—89r
ლ. 141r—143v
ი. 221r—222r.

ტექსტს ბოლოს ერთვის:

ა) ნიშანნი და ავაჯნი სახარებისანი და სამოციქულოჲსანი ბერძულსა გუარსა ზედა 279 r.

ბ) ზანდუკი... 280r—282v.

გ) სახარების საწელიწდო საკითხავების ნუსხა 283r—286r.

დ) „ეპისტოლე ავგაროზ მთავრისაჲ“ 287r—292r.

ხელნაწერმა შემოგვინახა გიორგი მთაწმიდლის ანდერძი, რომელიც C რედაქციისაა, ე. ი. მასში გიორგის სახარების ახლად თარგმნა მიეწერება: „ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ ესე წმიდაჲ ოთხთავი ახლად გჳთარგმნია ფრიადითა იძულებითა ძმათა ვიეთმე სულიერთაჲთა და ბერძულთა სახარებათადა შეგჳწამებია ფრიადითა გამოწულილვითა. და ვინცა ვინ დასწერდეთ, ვითა აქა ჰპოოთ, ეგრე დაწერეთ, თუ ამისგან ჯერ-გიჩნდეს დაწერაჲ. ღმრთისათჳს, სიტყუათა ნუ სცვალებთ, არამედ ვითარცა აქა სწერია, ეგრე დაწერეთ. და თუ არა რაჲმე გაშუნდეს, ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილნია და კეთილად, ხანმეტნიცა და საბაწმიდურნიცა, მუნით დაწერეთ და, ღმრთისათჳს, ერთმანერთსა ნუ გაჰრევთ. და გლახაკისა გიორგისთჳს, რომელმან ესე ვთარგმნე, ლოცვა-ყავთ“ (278 v).

ასე რომ, გელათის ოთხთავი ამ ანდერძითაც, როგორც მთელი რედაქციული თავისებურებებით, ვანისას უდგას გვერდით.

წიგნში ბევრი მინაწერი გვხვდება. საინტერესოა მახარებელთა სურათებთან შესრულებული მინაწერები (მ. 15v, მრ. 91v, ლ. 144v, ი. 223v), რომლებიც უკვე გამოაქვეყნა ქრ. შარაშიძემ[1] და აქ აღარ არის საჭირო მისი ხელმეორედ განმეორება.

გელათის ოთხთავი, როგორც აღინიშნა, რედაქციულად ვანისა და ეჩმიაძინის ოთხთავებს მიჰყვება. მათ შორის სხვაობა ორთოგრაფიული და მსუბუქი გრამატიკული პარალელური ფორმების ფარგლებს არ სცილდება. ეს პარალელური ფორმები გამოცემაში სრული სიზუსტით არის აღნუსხული. აქ მხოლოდ რამდენიმე ტიპური ჯგუფის ჩვენებით დავკმაყოფილდებით.

1. უე ჯგუფი აქაც, როგორც HI ხელნაწერებშიც, უჱ-ს სახით არის წარმოდგენილი: ჩუჱნებით მ. 2, 20 HIK, ნუუკუჱ მ. 5, 25, მ. 7, 6, 16 HIK; მეზუჱრენი მ. 21, 31 HIK; აყუჱდრებდეს მრ. 15, 32 HIK; ეჩუჱნა მრ. 16, 9; ლ. 1, 11 HIK; წინადაცუჱთად ლ. 1, 59 HIK; დაგუჱმორჩილებიან ლ. 10, 17 HIK; უკუჱ ლ. 11, 11 HIK; გუჱლი ლ. 11, 11 HIK; კუჱრცხსა ლ. 11, 12 HIK; დაშუჱრით ი. 4, 38 HIK; სახუჱვლითა ი. 11, 44 HIK; ნაკუჱრცხალი ი. 21, 9 HIK და ბევრი სხვა. აქ, როგორც ნაჩვენებია, სამივე ხელნაწერში გვაქვს უჱ. მაგრამ ყველგან ასეთი სურათი არაა: H ხელნაწერი ამ წესს თავგამოდებით იცავს თავიდან ბოლომდე (თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა), I ხელნაწერი ბევრგან ძველ ორთოგრაფიას (უე) მიჰყვება და იქ უჩუჱნა და უჩუენა, კუჱრთხი და კუერთხი, უკუჱთუ და უკუეთუ... პარალელურად იხმარება. რაც შეეხება K (გელა-

---

[1] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, Q კოლექცია, II, 1958, გვ. 330—331.

თის) ხელნაწერს, იგი აქ უმეტეს შემთხვევაში ძველებურ უე ჯგუფს წარმოგვიდგენს: ჩუენებით მ. 1, 20; 2, 13, 19; უკუე მ. 4, 8, 13; წუელი მ. 7, 4; მოეკუეთოს მ. 7, 19; იგუემების მ. 8, 6; მოხუედ მ. 8, 29; ძუელსა მ. 9, 16; კუერთხსა მ. 10, 10; მტუერი მ. 10, 14; განგისუენო მ. 11, 28; გამოტყუენვად მ. 12, 29; მოართუეს მ. 14, 11, 35; მოიხუენით მ. 16, 8; გუელნო მ. 23, 33; შეამთხუევთ მ. 26, 10; დარღუევად მ. 26, 61; აღსძარცუეს მრ. 2, 4; ჯაჭუებითა მრ. 5, 3; გუესმა მრ. 14, 58; ი. 4, 42; შუენიერი მრ. 15, 43; ყუედრებაჲ ლ. 1, 25; მოვჰკუეთე ლ. 9, 9; სუემდით ლ. 10, 7; დაძუელდეს ლ. 12, 33; ჰრცხუენოდა ლ. 13, 17; მწუერვალი ლ. 16, 24; დაირღუეს ლ. 21, 6; შუებითა ლ. 21, 34; მოგუეკების ლ. 21, 41; მსხუერპლი ი. 16, 2; ჯუარს-აცუეს ი. 19, 18, 20; გუერდსა ი. 19, 34; მარჯუენით ი. 21, 6; შიშუელი ი. 21, 7 და ბევრი სხვა.

2. K ხელნაწერი, როგორც წესი, ყველგან სჯ, სჭ, სჩ ჯგუფებს ხმარობს, მან არ იცის ასიმილირებული შჯ, შჭ, შჩ კომპლექსები. ამ მხრივ, მკვეთრი ორთოგრაფიული სხვაობაა K-სა და HI-ს შორის (ამ უკანასკნელთ, როგორც აღნიშნული გვაქვს, მხოლოდ შჯ, შჭ, შჩ ჯგუფები მოეპოვებათ). მაგალითები:

ვსჯი ი. 5, 30; 8, 15; სჯის ი. 5, 22; 8, 50; სჯით ლ. 12, 57; ი. 7, 24; 8, 15; ვსჯიდე ი. 8, 16; სჯიდეთ ლ. 22, 30; სჯად ი. 9, 39; 12, 47; განსჯად მ. 19, 28; დასჯის ი. 7,51; დასჯით ლ. 6, 37; დასჯიდეს ლ. 11, 51; დასჯიდენ ლ. 11, 32; დასჯილ არს ი. 3, 18; 16, 11; სასჯელი მ. 12, 20; 23, 13; ლ. 20, 47; ი. 3, 19; 5, 30; 8, 16; 12, 31; სასჯელსა მ. 23, 33; ლ. 10, 14; 11, 31, 32; 23, 40; 24, 20; ი. 5, 24; სასჯელისა მ. 5, 21, 22; მრ. 3, 29; სასჯელისაცა ი. 5, 27; სასჯელისათჳს ი. 16, 11; სასჯელად მ. 5, 40; სასჯელისასა მ. 10, 15; 12, 36; მრ. 6, 11; ი. 5, 29.

სჯული მ. 11, 13; 22, 40; ლ. 16, 16; 22, 20; ი. 1, 17; 7, 19, 23, 49, 51; 19, 7; სჯულსა ლ. 2, 24; 10, 26; ი. 1, 45; 7, 19; 8, 5; 15, 25; სჯულსაცა ი. 8, 17; სჯულისა მ. 5, 17; ლ. 16, 17; ი. 10, 34; 18, 31; სჯულისაგან მ. 5, 18, ლ. 12, 34; სჯულის-მეცნიერი ლ. 10, 25; შჯულის-მეცნიერთა ლ. 11, 46; შჯულის-მოძღუარმან მ. 22, 35; შჯულის-მოძღუარნი ლ. 5, 17; შჯულის-მოძღუართა ლ. 7, 30; 14, 3; შჯულის-მოძღუარნო ლ. 11, 52.

უსჯულოთა მრ. 15, 28; ლ. 22, 37; უსჯულოებითა მ. 23, 28; უსჯულოებისაჲთა მ. 24, 12; უსჯულოებისანი მ. 7, 23; 13, 41; ლ. 13, 27; ნუ დასჯდები ლ. 14, 8.

სჭამთ მ. 5, 30; სჭამდეთ ლ. 22, 30; ი. 6, 26; სჭამო მრ. 14, 12; სჭამოთ მ. 6, 25; ლ. 12, 22, 29; ი. 6, 53; შესჭამთ მ. 23, 13; შესჭამენ მრ. 12, 40; ლ. 20, 47; მოსჭრიდეს ლ. 6, 1; სჩანთ მ. 23, 28. (არის ერთადერთი გამონაკლისი, როცა ს-ს ნაცვლად K-შიც **შ** გვაქვს: შჯულსა მ. 12, 5).

3. ჩვენი ხელნაწერის ერთი მეტად დამახასიათებელი თვისებაა, რომ მისა (ამისა, მაგისა, თჳსა...) ნაცვალსახელს და მის მონაცვლე საკუთარ სახელს თითქმის ყოველთვის ორმაგი სანით წარმოგვიდგენს: კითხვად მისსა, მოვიდა მისსა (პილატესსა), უფროჲს მისსა, წინაშე მისსა, მარჯუენით მისსა, ეშინოდა იოვანესსა, შემოკრბეს იესუჲსსა და სხვა. აქ ეს ორმაგსანიანი სიტყვები სხვადასხვა ფუნქციით არის ნახმარი, ყველგან ერთი სანია საჭირო, ხელნაწერი კი განურჩევლად ორმაგს წერს. თითო-ოროლა ასეთი შემთხვევა თითქმის ყველა ხელნაწერში გვხვდება, მაგრამ ასე დაჟინებით, ასე სისტემატურად რომ იხმარებოდეს, მეტად იშვიათია (თუ არ ვიტყვით, სხვა არ არისო). აქ არ შევუდგებით ასეთი ფორმების ხმარების შემთხვევათა ზუსტ კლასიფიკაციას და დაწვრილებით აღწერას, მოვიყვანთ მხოლოდ სათანადო მაგალითებს, იგი გვხვდება:

ა) ზმნებთან (და მიმღეობებთან):

შეწირეს მისსა მ. 2,11; რაჲთა არა მოაქციონ ჰეროდესსა მ. 2,12; მოვიდა... იოვანესსა მ. 3,13; შეკრბა მისსა ერი მ. 13,2; მრ. 5,21; მოვიდა იესუჲსსა მ. 14, 29; მოვიდა მისსა მ. 21,19; მრ. 10, 50; 12,29; ლ. 17,25; მოჰყვანდეს მისსა მრ. 1,32; მოვიდოდეს მისსა მრ. 1,45; ლ. 8,4; ეშინოდა იოვანესსა მრ. 6,20; მოვიდეს მისსა მრ. 11,27; 12,18; ლ. 4,42; მი-ვინმე-ავლინნეს მისსა მრ. 12,13; შევიდა პილატესსა მრ. 15,43; განმავალსა... მისსა ლ. 3,7; მიავლინნა იესუჲსსა ლ. 7,19; შესრულ იყვნეს მისსა ლ. 8,30; მოვიდის მისსა ლ. 18,3; ღაღადებენ მისსა ლ. 18,7; მივლენან მისსა ი. 3,26; მოსრულ იყვნეს მარიამისსა და მართაჲსსა ი. 11,45 (შდრ. მოსრულ იყვნეს .. მარიამისსა ი. 11,19 HIK; მოვიდეს ფილიპესსა ი. 12,21 HIK; მოვიდა სიმონ-პეტრესსა ი. 13,6 HIK); მოიწია მისსა ი. 12,28; მიავლინა კაიაფაჲსსა ი. 18,34 და სხვა.

ბ) ვითარებით ბრუნვაში დასმულ საწყისთან:

თაყუანის-ცემად მისსა მ. 2,2; წინა-ძლუანვად მისსა მ. 14,2; განკურნებად მისსა მ. 17,16; განჴდად მისსა მ. 17,19; კითხვად მისსა მ. 22, 46; მრ. 9,32; ლ. 9,45; 20,40; ი. 21,12; მიგებებად მისსა მ. 25,6; საჴსენებელად მაგისსა მ. 26,13; ჴსნად მისსა მ. 27,49; ბრალობად მისსა მ. 16,22; მრ. 8,32; მიახლებად მისსა მრ. 2,4; ლ. 6,19; დაყენებად მისსა მრ. 5,4; სიტყუად მისსა მრ. 10,28; 14,19; შემთხუევად იყო მისსა მრ. 10,32; იწყო რისხვად იაკობისა (!) და იოვანესსა მრ. 10,41; ნერწყუვად მისსა მრ. 14,65; გამოთხოვად მისსა მრ. 15,8; მოკითხვად მისსა მრ. 15,18; სახელის-დებად მისსა ლ. 1, 62; მსახურებად მისსა ლ. 1,75; გამოცხადებადმდე მისსა ლ. 1,80; ვედრებად მისსა ლ. 7,3; აღსრულებად მისსა ლ. 14,29; შესლვად ნოესსა (კიდობნად) ლ. 17,27; აღებად მისსა ლ. 17,31; ამბორის-ყოფად მისსა ლ. 22,47; შესმენად მისსა ლ. 23,2; სმენად მისსა ი. 6,60; მოწაფე ყოფად მისსა ი. 9,27; დადებად მისსა, მოღებად მისსა ი. 10,18; შემთხუევად მისსა ი. 20,16 და სხვა.

ზემოთ მოყვანილი ორივე ტიპის მაგალითები გამოცემაში გასწორებულია (მისსა და მსგავსნი მისნი სქოლიოშია ჩატანილი).

გ) ვითარებით ბრუნვაში დასმულ სახელთან:

სოფლად თჳსსა მ. 2,12; სამოსლად მისსა მ. 3,4; სახიდ მისსა ლ. 7,10; ველად თჳსსა ლ. 15,15; მამად თჳსსა ი. 5,18.

შვილად აბრაჰამისსა მ. 3,9; ქალაქად იუდაჲსსა ლ. 1,39; ნაშობად აბრაჰამისსა ლ. 3,8; ძედ იოსებისსა, ელისსა ლ. 3,23 HIK; სისხლადმდე ზაქარიაჲსსა ლ. 11,51.

რა თქმა უნდა, ასეთი ფორმებიც სქოლიოშია ჩატანილი.

დ) უფროობითი ხარისხის ფორმებთან:

უფროჲს მისსა არს მ. 11,11; ლ. 7,28; უბოროტესნი მისსა მ. 12,45; უმჯობეს იყო მისსა მ. 26, 24; უადვილეს არს მისსა ლ. 17,2; შენ უფროჲს ხარა მამისა ჩუენისა აბრაჰამისსა ი. 8,53 (მაგრამ: უფროჲს ყოველთაჲსა არს K,... ყოველთასა HI).

ე) თანდებულებთან და ზმნიზედა-თანდებულებთან:

გარემო მისსა მ. 8,18; მრ. 3,34; წინაშე მისსა მ. 25, 32; ლ. 5,18; 9,52; მარჯუენით მისსა მ. 27, 38HIK; მარცხენით მისსა მრ. 15,27HIK;

ლ. 23,33; მისსა მიმართ ლ. 16,16; ი. 4,39; 7 31,39; 11,45; 12, 37, 42; შემდგომად მისსა ლ. 19, 14; ი. 20,6; ამისსა შემდგომად მრ. 16,12; ლ. 5,27; 7, 11; 9,1; 10,1; 11,4; 17,8; 18,4; ი. 3,22; 5, 1,14; 6,1; 7,1; 11, 7, 11; 13,7; 10, 28, 38; 21,1; შორის მისსა ლ. 21,21.

ვ) ვინ ნაცვალსახელის ორმაგი ბრუნების ფორმებში:

ჟაცისა ვისსამე მ. 26, 18; ვისსა მათგანისა მრ. 12,23; არავისსა მათგანისა მიივლინა ლ. 4, 26; ვისსა იყოს მსგავს ლ. 6,47; ვისსა არიან მსგავს ლ. 7, 31; ვისსა მსგავს არს იგი ლ. 13, 18; ვისსა უნდეს ძესა გამოცხადების, გამოეცხადოს ლ. 10, 22; გიჩუენო თქუენ, ვისსა გეშინოდის ლ. 12,5; არა ნამეტნავისაგან ვისსამე არს ცხორებაჲ მისი ლ. 12, 15; უფალო, ვისსა მივიდეთ ჩუენ ლ. 6, 68; წილ-ვიგდოთ ამას ზედა, ვისსაცა იყოს ი. 19, 24 HIK.

4. ნაცვალსახელებს შენარჩუნებული აქვთ დ ნათესაობით-ვითარებითის ორმაგ ბრუნვებში:

მივიდა თკსად ქალაქად მ. 9,1; თკსად მამულად მრ. 6, 1; სახიდ თკსად მრ. 7, 30; ლ. 10, 38; სახედ თკსად ლ. 5,25. ასეთია აგრეთვე ძედ ლმრთისად მ. 5, 9, რომელშიც მსაზღვრელად გვევლინება ნათესაობითში დასმული (მართული) არსებითი სახელი.

ახლა ვნახოთ ისეთი მაგალითები, სადაც მსაზღვრელი ნაცვალსახელი მრავლობითის ფორმით არის მოცემული:

მათდა მიმართ მ. 7, 17, 29; საწამებელად მათდა მრ. 6, 11; ლ. 5, 14; 9,5; სწავლად მათდა მრ. 6, 2; 8, 31; წარელინებად მათდა მრ. 6, 7; მოვიდეს მათდა მრ. 6, 33; მოვიდა მათდა მრ. 6,48; ვანად მათდა მრ. 8, 3; მიეცა მათდა მრ. 14, 44; ლ. 22, 47; ყოფად მათდა ლ. 2, 27; სიტყუად მათდა ლ. 4, 21; ვერ კმა არს მათდა (ამათა HI) ი. 6, 7; მიტაცებად მათდა ი. 10,29; ძველი ქართულის ჩვეულებრივი ნორმა ამ შემთხვევებში უდონო ფორმებია: საწამებელად მათა, მოვიდა მათა, მათა მიმართ, მიტაცებად მათა...

5. ჩვენს ხელნაწერს შენარჩუნებული აქვს ფუძისეული ვ ცხოვნება ზმნის ვნებითის ფორმებში. და ეს მაშინ, როცა HI ხელნაწერებში იგი დაკარგულია (ნ. ზემოთ, გვ. 60, 63), მაგალითად: ცხოვნდების მ. 4, 4 KI; ლ. 4, 4; ცხოვნდებოდა ლ. 15, 13; ცხოვნდა მრ. 13, 20; ვცხოვნდე მ. 9, 21; მრ. 5, 28; ცხოვნდეს მ. 9, 18; 24, 13; მრ. 5, 23; 13, 13; 16, 16; ლ. 8,50; ი. 6, 51, 57, 58; 10, 9; 11, 12; ცხოვნდესვე ი. 11, 25; სცხოვნდეთ ი. 5, 34; ცხოვნდენ ლ. 8,12; ი. 5, 25.

6. ოთხთავში ც ძირის შემცველი ფორმა უწყვეტლის მწკრივში სულ 5-ჯერ იხმარება. K ხელნაწერი პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის ნ (←ენ) ნიშანს ყველა 5 შემთხვევაში ოდ სავრცობის შემდეგ ურთავს: იცოდნა მ. 9, 4; 12, 25; ლ. 6,8; 9,47; 11,17. HI ასეთ ფორმას მხოლოდ ერთხელ იძლევა (მ. 12,25). ყველა სხვა შემთხვევაში აქ გვაქვს უფრო ძველი და გავრცელებული იცნოდა.

7. როგორც აღნიშნული იყო (გვ. 60). HI ხელნაწერებში გვაქვს მხოლოდ ნამეტავ ფუძე, K-ში კი ნ აფიქსით გართულებული ნამეტნავი (მ. 12, 34; მრ. 12, 44; ლ. 6, 45; 21, 4).

8. ხელნაწერში თავისებურია მაგდალო და მაგდალენელი ფუძეების ორთოგრაფია: გ-ს ნაცვლად ღ გვაქვს:

მაღდალოჲსათა მ. 15, 39; მაღდანელი ლ. 24, 10; მაღდალენელი მ. 27, 56, 61; 28, 1; მრ. 15, 40, 47; 16, 1, 9. ერთადერთ შემთხვევაში განიანი ფორმა იკითხება სამივე ხელნაწერში, რაც მთავარია, K-შიც (მაგდალენელი ლ. 8,2 HIK).

9. ხელნაწერი შედარებით კარგად ახერხებს ზმნებში ორმაგი ნარის დაცვას. ეს ხდება ნ-ზე დაბოლოებულ ფუძეებში, როცა მათში გამოხატულია პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა (სათანადო ვნებითებში ეს ნარი გადმოყოლილია). მაგალითები:

იქმნნენ მ. 5, 4; ლ. 4, 3; 20, 35; იქმნნეს მ. 11, 20, 21; 28, 4; იქმნნეთ მ. 18, 3; ლ. 21, 36; განირყუნნიან (პირნი მათნი) მ. 16, 16; აგინნეს მ. 22, 6 (მაგრამ: დევნენ K, დევნნენ HI: ლ. 11, 49). HI-ში ამ შემთხვევებში მხოლოდ ერთი ნ გვაქვს.

10. ლექსიკური განსხვავება ერთი რედაქციის ტექსტებში, ბუნებრივია, არ იყოს ან ცოტა იყოს. ასეთი რამ ჩვენს ხელნაწერებშიც მცირეა. ესაა ან საყოველთაოდ ცნობილი და გავრცელებული სინონიმური წყვილები (პარალელები), ანდა გრაფიკულ თუ ფსიქოლოგიურ ნიადაგზე აღმოცენებული მსგავსი ფორმები და ცნებები. გამოცემაში, ცხადია, ყველა ასეთ ფორმას სათანადოდ აქვს მიჩენილი თავ-თავისი ადგილი (ზოგს ტექსტში, ზოგსაც სქოლიოში), აქ კი მხოლოდ ორიოდე სანიმუშო მაგალითით დავკმაყოფილდებით:

| K | | HI |
|---|---|---|
| უწყოდა | მ. 24, 43 | იცოდა |
| პასქასა | მრ. 14, 12 | პასექსა |
| სარწყული | ი. 2, 6 | საწყაული |
| მცნებასა ღმრთისასა | ი. 7, 17 | ნებასა მისსა. |

11. გაცილებით მეტია, რა თქმა უნდა, სხვადასხვა გრამატიკული პარალელური ფორმები, რომელნიც ადვილი ასატანია თვით ერთი და იმავე რედაქციის ტექსტებში. აქ საქმე ეხება უმთავრესად სახელთა და ზმნათა რიცხვს, ზმნათა პირებს, მწკრივებს, ქცევებს, სხვადასხვა ფონეტიკურ მოვლენებს და სხვ. ამ განსხვავებული ფორმებიდან გამოცემაში ზოგჯერ K-ს წაკითხვაა დატოვებული, ხოლო HI-ის ვარიანტი სქოლიოშია ჩატანილი, ზოგჯერ კი — პირიქით. აქ ვუჩვენებთ ბევრიდან მხოლოდ რამდენიმე ტიპურ მაგალითს, რომ თავიდანვე უფრო ნათელი წარმოდგენა გვქონდეს გელათის ხელნაწერზე.

| K | | HI |
|---|---|---|
| აღვალთ+[1] | მ. 20, 18 | აღვალ |
| ოსანნა+ | მ. 21,15; მრ. 11, 9 | ოსანა |
| რაოდენი+ | მ. 26, 40, 45; მრ. 9, 21; 15,4; ლ. 4,40; 9,5; 13, 34; 15, 17; ი. 1, 12; 4,45 | რავდენი |
| ილოცვიდა+ | მ. 26, 44 | ილოცა |
| გულისკმა-ჰყვნეთ+ | მრ. 4, 13 | გულისჴმა-ჰყვენით |
| აქუნდეს+ | მრ. 4, 25 | აქუს |
| რასა ვამსგავსო | მრ. 4, 30 | ...ვამსგავსოთ+ |

---

[1] + (პლუს) ნიშნიანი ფორმები გამოცემის ტექსტშია დატოვებული, უნიშნოები კი სქოლიოშია ჩატანილი.

| K | | HI |
|---|---|---|
| აშრობ | მრ. 5, 35 | აშრომებ + |
| ვლენ | მრ. 7, 5 | ვლენან+, მაგრამ: |
| ვლენან+ | ლ. 11, 44 | ვლენ |
| მოუწოდეს | მრ. 10,49 | მოუწოდდეს + |
| ჭეშმარიტად+ | მრ. 12, 14; ლ. 20, 21 | ჭეშმარიტსა |
| გარდამოჴედინ | მრ. 15, 30 | გარდამოჴედ+ |
| ესმოდა | მრ. 15, 35 | ესმა+ |
| შეისმნეს+(ვედრებანი) | ლ. 1, 13 | შეისმეს |
| გიცით | ლ. 4, 34 | გიცი+ |
| დაიმარხხიან | ლ. 5, 34 | დაიმარხნენ+ |
| ეწოდა | ლ. 6, 14 | უწოდა+ |
| ვხედევდ+ | ლ. 10,18 | ვხედავ |
| ალეგზნას | ლ. 12, 49 | ალეგზნეს+ |
| ზედა-მოუჴდეს | ლ. 20, 1 | ზედა-მიუჴდეს+ |
| (იგი) უშვილო (იყოს)+ | ლ. 20, 28 | უშვილოჲ |
| უწყოდეთ | ლ. 21, 30 | უწყოდით ÷ |
| დაუკვრდა+ | ლ. 24, 12 | უკვრდა |
| მიექცა | ი. 1,38 | მოექცა+ |
| შთაასხიან | ი. 2, 6 | შთაისხიან+ |
| მკელობლები+ | ი. 5, 3 | მკელობრები |
| ესმას | ი. 6, 45 | ესმეს+ |
| მიიღის | ი. 7, 23 | მოიღის+ |
| იტყოდა+ | ი. 9,9 | ეტყოდა |
| მოგცეს+ | ი. 15,16 | მოგეცეს |
| მეცნიერ+ | ი. 18, 15 | მეცნიერი |
| ანნა+ | ი. 18, 24 | ანა . |
| მოვიდოდეს+ | ი. 21,8 | მოვიდეს. |

ჩვენი ხელნაწერის ტექსტის სხვა თავისებურებებს დაინტერესებული მკითხველი იპოვის გამოცემის აპარატსა და გამოკვლევაში და აქ მათ შესახებ საუბარს აღარ განვაგრძობთ.

# II. ქართული ოთხთავის ბეჭდვები

1. ქართული ოთხთავი პირველად 1709 წელს დაიბეჭდა ვახტანგ მეფის მიერ ახლად დაარსებულ სტამბაში. იგი არსებითად გიორგი მთაწმიდლის რედაქციას ეყრდნობოდა, მაგრამ საგრძნობლად განსხვავებული იყო მისგან და წარმოუდგენლად დამახინჯებული და წარყვნილი. სახელდობრ: ა) აქა-იქ გიორგისეული რედაქციის ლექსიკა იყო შეცვლილი: „მღდელთ-მოძღუარი“ ყველგან „მღდელ-მთავრით“ იყო წარმოდგენილი.

ბ) განსაკუთრებით არეული და უმოწყალოდ დამახინჯებული იყო $S_2O_3$ ნიშნების ხმარება: უმეტესად ეწერა იქ, სადაც საჭირო არ იყო, ამასთან ეს ნიშანი ე. წ. ღედის ბგერების წინ თითქმის ყოველთვის წყვილად, ჰს-ს სახით იყო მოცემული. მაგალითად:

აღჰსდგენ[1], აღჰსდგეს, აღჰსდეგ, აღჰსდეგით, დაჰსჯდა, ჰსჯდა, დაჰსჯედ, შეჰკრბა, ჰსდგა (ერი), დაჰსდგა (იგი), წამოჰსდგა (იგი), განჰკუმა, განჰზრქა, გამოჰსჩნდა, გამოჰსჩნდეს, ჰსჩანედ, ჰსჩანნ, შელათუჰსწუხნა, შეჰსწუხნეს, შეჰსძრწუნდეს, დაჰსცვეენ, დამოჰსცვეენ, განჰძლა, განჰსძლეს, განჰსძლენ, განჰბრწყინდა, დაჰვარდეს, წარჰსწყმდეს, განჰქარდეს, ჰქროდეს, განჰსწმიდენი, განჰსწმიდნა, განჰსწმდებიან, ჰსძეს, ჰსცხოვნდეს, ჰსცხონდების, გამოჰსცხადნეს, განჰრისხნეს, დაჰსდუმნენ, ჰსდუმნა, განჰსთენა, განჰსთენებოდა, მიჰრბიოდეს.

ჰყო (მან), ჰყვან, უვარ-ჰყავნ, ჰყჳს, ჰყუნეს[2], შეჰსჭამნა, შეჰსჭამეს, ჰსჭამეს, განჰსტეხოს, განჰსტეხა, დაჰშრიტოს, დაჰსაჯოს, დაჰსაჯონ, შეჰკართ, შეჰკრიბეთ, შეჰკრიბიან, შეჰკრიბნენ, დასწვან, შეჰბორკილა, რა ჰსთქვან, ჰსთქუან, ჰსთქუ, ჰსთქუჳს, ვჰსთქუათ, ვჰქმნეთ, ვჰქმნენით, ჰქმნა, მოჰკლან, მოჰკლას, განჰყიდე, დაჰსდგიან, ჰსთესუჳნ, დაჰსთხარიან, დაჰსთრგუნიან, განვჰკურნო, ვჰპოვე, ჰპოვოს, შეჰსწირე, შეჰსწირეს, ჰბრძანა, ჰქადაგებდა, ჰქადაგებდით, ჰფქვდენ, შეჰსთხზეს, განჰკიცხეს, ჰშუა, ჰშუჳს.

იგივე ჰ წარმოდგენილია ზოგიერთ ნაზმნარ სახელშიც (I):

ჰსჯული, ჰსჯულსა, ჰსჯულისა, ჰსჯულის-მოძღუარმან (მ. 22, 35), საჰსჯელსა (მ. 23, 33), დაჰხსნად ჰსჯულისა (მ. 5, 17; ლ. 2, 39), მჰსგავს (მ. 11, 16; ლ. 6, 47, 48, 49; 7, 32; 13, 19; ი. 8, 55), მჰსგავსი (მრ. 8,31; ი. 9,9); მჰსგავსად (მ. 26, 35; ლ. 2, 39; 22, 22; ი. 2,6; 5, 19).

---

[1] მაგალითები მოგვყავს დაუმოწმებლად, რადგან ისინი ხშირია და ყველგან შეიძლება ენახოთ. იშვიათი ფორმები მითითებულია. მასალა დალაგებულია ოთხთავის რიგზე. ერთი ფუძის მაგალითები ერთადაა თავმოყრილი. აქ ვკმაყოფილდებით მხოლოდ მათეს სახარებით. ძალზე იშვიათად სხვებსაც მივმართავთ.

[2] გამოცემაშია ჰყჳნეს. ამ ჳ-ს ჩვენ ქვემოთაც მარტივად უ-თი გადმოვცემთ.

ჰ აქედან გადასულია მსგავს ფუძიდან ნაწარმოებ ზმნებშიც: ვამჰსგავსე (ლ. 7,31), ვამჰსგავსო (ლ. 18, 18, 21), ვამჰსგავსნე (ლ. 7, 31).

ჰაეს, როგორც პირის ნიშნის, მოშლის კიდევ უფრო საინტერესო და უცნაურ ნიმუშებს ვხვდებით ზმნებში, როცა იგი სრულიად გაუმართლებლად წარმოდგენილია I და II ობიექტური პირების მ და გ ნიშნებთან ერთად: მჰრქუას (მ. 7, 21), გჰრქუან (მ. 7, 22), ჰგცეს (მ. 5,39), გჰსდევნიდენ (მ. 10, 23). II ობიექტურ პირებთან ეს უფუნქციო ჰ ერთ შემთხვევაში ფორმის ნამდვილ ნიშანს წინ უსწრებს (ჰგცეს), მეორეში — მოსდევს (გჰსდევნიდენ). ამ შემთხვევაში ჰ-ს ს-ც ამოუყენებია გვერდში. ოთხთავის ამ პირველ ბეჭდურ გამოცემაში და აქედან გადაბეჭდილ გამოცემებში ყველგან, აგერ ჩვენ დრომდე, $S_2O_3$ ნიშნებად უმეტესად ეს წყვილი (ჰს) გვხვდება. ვამბობ ყველგან: იქაც, სადაც ნიშანი საჭიროა (მიჰსცეს, ჰსთესუჱნ, მიმოდაჰსდუჱს...), და იქაც, სადაც იგი საჭირო არაა (დაჰსჯდა, აღჰსდგენ, წარჰსწყმდეს, შეჰსძრწუნდეს).

გ) არეულია ერთმანეთში უ და ვ. აბსოლუტურად უმრავლეს შემთხვევაში ვ-ს ნაცვლად უ იხმარება. ამას არავითარი ენობრივი საფუძველი არ მოეპოვება (ენობრივი ლოგიკით, პირიქით უნდა ყოფილიყო), ამის ერთადერთი მიზანია — მისცეს ტექსტს რაც შეიძლება ძველი ელფერი. ამ მიზნის მსხვერპლი ხდება უმთავრესად ავ თემისნიშნიანი ზმნები და მათი ნაშიერნი (სახელზმნები და მიმღეობანი), მაგალითად: განსლუად, დაფარუად, ფუცუად, ლოცუა, ლოცუად, ქუელის-საქმე, მმარხუელად, ჰსთესუჱნ, მფრინუჱლთა, ცხოურებასა (!), ჰყუნეს, იყუნენ, იყუნიან, უყუჱს, განიყუჱს, შემიყუანებ, მიიყუანებს, წარიყუანნა, აღიყუანნა, დაფლუად, აღძრუა, შეძურად, საზღუართა, ტანჯუად, მტანჯუჱლთასა, მიმოდაჰსდუჱს, დავჰსდუა, დაედუას, მოკლუად, კაცის-კლუანი, ხილუად, ხილუასა, ზრახუანი, ჰხედუჱნ, სიძუანი, იცუალა, ეგულუჱბის, განჰსყიდუაჲ, განჰსყიდუად, ჰშუა, ჰშუჱს, იშუნეს, მოკითხუა, ქუათა, ქუასა.

არის ერთადერთი შებრუნებული შემთხვევა, როცა უ-ს ნაცვლად ვ არის ნახმარი: აქვნ (მ. 7, 29=აქუნ), მაგრამ ეს უბრალო ლაფსუსი უნდა იყოს.

დ) ბუნებრივია, თუ ზემოთ განხილულ მაგალითებში უ-ს ი მოსდევს, გამოცემაში მათი შერწყმით ჳ-ს უნდა მოველოდეთ, და არის კიდევაც, მაგალითად:

ჰხედჳდეს, ჰხედჳდეთ, სიძჳსა, ჰყჳან, ილოცჳდე, იმარხჳდე, მარხჳთა, განკითხჳთა, განიკითხჳდეთ, შჳლო, შჳლთაგან, შჳლნი, შჳლად, ცოდჳლთა, მოჰკლჳდენ, ჰკითხჳდეს, ჰკითხჳდა, ესჳდენ, მეწყალჳს, უადჳლეს, ჰფქჳდენ.

ძალიან იშვიათია საპირისპირო შემთხვევა: დვირესა (მ. 7,3, მაგრამ: დჳრე მ. 7,4), შერახვიდოდეთ, გამოგვითარგმანე. მიზეზი გასაგებია: ეს ხომ ახალი ფორმებია. ბეჭდვის ორგანიზატორებს კი სურდათ ტექსტისთვის ძველი ელფერის შენარჩუნება, რაც ხშირად ენის დამახინჯებას, ენის წარყვნას იწვევდა.

ე) ჴარის ნაცვლად ბევრგან (არა ყველგან) ხანია დაბეჭდილი:

მოუხდა, მოუხდეს, ფერხი, ხელი, დაჰხშ (=დაჰჴაშ), ხელ-ეწიფების, მოოხრდის, მოოხრებისა, განჰხსნათ (მაგრამ იქვე: ჴსნილ), გარდაიხადოს, წარჰხდენ (მაგრამ იქვე: წარჰჴდეს).

ვ) ბევრგან ჲ უკვე აღარაა დაბეჭდილი: სასუფეველი ცათა (=ცათაჲ), ცა და ქუჱყანა, ღუთისა, თივა, განწმედა, მეგობარი მეზუჱრეთა და ცოდვილთა (=ცოდვილთაჲ), მუნ იყოს ტირილი და ღრჭენა კბილთა (=ღრჭენაჲ კბილთაჲ), მოკითხუა (=მოკითხუაჲ).

ზ) შეცდომით არის დაბეჭდილი ოდიანი ზმნების ფორმები (ძველი ქართული ენის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება):

ნეტარ იყუნენ, რომელთა ჰშიოდეს და ჰსწყუროდეს სიმართლისათჳს (=ჰშიოდის და სწყუროდის), მოვიდოდენ (=მოვიდოდიან), შერახვიდოდეთ (=შე-რაჲ-ხჳდოდით), მოველოდეთ (=მოელოდით), ბჳენი... ვერ ერეოდენ (=...ერეოდიან).

დამახინჯებულია ბევრი სახელისა და სხვა სიტყვის მართლწერაჲ იესო, ილია (=ელია), იროდი, რათა, უკეთუ, ღუთისა და ბევრი სხვა. რა თქმა უნდა, სრულიად ამნაირი სურათია სახარების სხვა თავებშიც. ამნაირი შეცდომებით იბეჭდებოდა ეს წმინდა წიგნი იქიდან (1709 წ.) მოყოლებული თითქმის ჩვენს დღეებამდე. უკანასკნელად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ეფრემ მეორის მიერ 1963 წელს გამოცემული ახალი აღთქმის (და, კერძოდ, სახარების) ეს შეცდომები და დამახინჯებანი თითქმის ყველგან გასწორებულია[1]. კათალიკოსის დაჟინებითი მოთხოვნით ხელუხლებლად დარჩა მღდელთ-მთავარი, იესო (და არა იესუ) და ზოგი სხვა სიტყვის მართლწერა, მაგრამ მთავარი მაინც რიგიანად გასწორდა.

2. ქართული სახარება მეორედ ვ. ბენეშევიჩმა გამოაქვეყნა მეცნიერული აპარატით. სპეციალურად იყო ჩამოსხმული თავისებური მთავრული შრიფტი. ოთხთავი გამოცემული იყო ორი ხელნაწერის მიხედვით: საყრდენად აღებული იყო ტბეთის ხელნაწერი 995 წლისა, რომელიც დაცული იყო ლენინგრადში (ამჟამადაც იქ ინახება — სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში 15212 ლიტერით), ვარიანტები ნაჩვენები იყო ოპიზის ხელნაწერის (913 წ.) მიხედვით (ამ ხელნაწერის ზოგი ნაწილის ფოტოპირი, ზოგის ერთ ძველ გამოცემასთან შეჯერებული ვარიანტები, ხოლო ზოგი თვით ნ. მარის მიერ გადმოწერილი მასალა ნ. მარის თავაზიანი დახმარებით ხელთ ჰქონდა ვ. ბენეშევიჩს).

დაიბეჭდა მხოლოდ ორი მახარებელი: მათე 1909 წელს და მარკოზ 1911 წელს[2]. მერმე 1914 წელს ატეხილმა მსოფლიო ომმა უსწრო, და ეს დიდი კეთილი საქმე შეჩერდა[3].

3. 1916 წელს განხორციელდა ადიშის ოთხავის ფოტოტიპიური გამოცემა. იგი ა. ხახანაშვილმა წამოიწყო, მაგრამ მას მალე სიკვდილმა მოუსწრო (1912 წ.) და მისი წამოწყება ე. თაყაიშვილმა დააგვირგვინა. წიგნი გამოცემული იყო 200 ტაბულაზე, თითოზე 2 ფურცელი (4 გვერდი)[4].

ორი უკანასკნელი მეცნიერული გამოცემა (რომ არაფერი ვთქვათ პირველ უხეირო პუბლიკაციაზე) ხელმიუწვდომელი იყო ამ წიგნით დაინტერესებული საზოგადოებისათვის, აგრეთვე მეცნიერული წრეებისათვის. გარდა ამისა, ეს გამოცემები განხორციელებული იყო ძველი, მთავრული ასოებით (პირველი — ბეჭდურით, მეორე — ფოტოპირებით), რომლებიც ჩვეულებრივ, სპეციალურად მო-

---

[1] ეს გასწორება თავს იდვა თბილისის უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრამ.

[2] სახარებაჲ ოთხთავი. ორთა ჴელნაწერთაგან შიგ და შჟე წელთათა გამოსცა ვლადიმირ ბენეშევიჩმან. ნაკუეთი ა. სახარებაჲ მათჱს თავისაჲ, ს.-პეტერბ., 1909. ნაკუეთი ბ. სახარებაჲ მარკოზის თავისაჲ, 1911 (სათაური აქვს აგრეთვე რუსულად და ლათინურად).

[3] ლუკას თავი მხოლოდ ტბეთის ხელნაწერის მიხედვით ჩვენ გამოვაქვეყნეთ ჩვენს ქართული ენის ისტორიული ქრესტომათიის II (1953 წ.) და III (1970 წ.) გამოცემებში. იოვანეს თავი 1977 წელს დავბეჭდეთ ძველი ქართული ენის კათედრის შრომების მე-20 ტომში.

[4] Адышское евангелие. 200 фототипических таблиц и предисловие Е. С. Такайшвили (=Материалы по археологии Кавказа. Выпуск XIV. Под редакцией П. С. Уваровой, А. С. Хаханова и Е. С. Такайшвили), Москва, 1916.

უმზადებელ მკითხველს არ შეეძლო წაეკითხა. დღის წესრიგში დადგა ამ უძვირფასესი ძეგლის მეცნიერული გამოცემა ყველასათვის გასაგები მხედრული ასოებით, შედარებით დიდი ტირაჟით და სანათადო აპარატურით.

4. ამ საქმეში ჩვენში აშკარად დაიგვიანეს. ამიტომ შემდგომი, IV გამოცემა უფრო ადრე ამერიკელმა რობერტ ბლეიკმა შეძლო. ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი რობერტ ბლეიკი ერთხანს (1919- 1920 წწ.) ჩვენს უნივერსიტეტში მოღვაწეობდა, ლექციებს კითხულობდა ბერძნულ ენაში. სამშობლოში დაბრუნებისას მან აქედან თან წაიღო ადიშის ოთხთავის ხახანაშვილ-თაყაიშვილისეული ფოტოტიპიური გამოცემა, აგრეთვე ვ. ბენეშევიჩის მიერ მათესა და მარკოზის გამოცემული თავები და შეუდგა მათ გამოქვეყნებას. იგი გამოსაცემ ტექსტს ამერიკაში ამზადებდა, და რადგანაც იქ ქართული ტექსტის დაბეჭდვის სათანადო ტექნიკური პირობები არ არსებობდა, გადმოლახავდა ატლანტის ოკეანეს, გამზადებული ტექსტები ევროპაში ჩამოჰქონდა და პარიზში ბექდავდა. ასე დაიბექდა ადიშის ოთხთავის პირველი გამოცემა მხედრული შრიფტით

1928 წელს მარკოზის თავი,[1]
1933 წელს მათეს თავი,
1950 წელს იოვანეს თავი,
ხოლო 1955 წელს ლუკას თავი.

ეს უკანასკნელი რ. ბლეიკის სიკვდილის შემდეგ გამოსცა ფრანგმა მეცნიერმა მ. ბრიერმა (რ. ბლეიკი 1950 წელს გარდაიცვალა).

რ. ბლეიკმა ადიშის ტექსტის გამოცემას დაურთო ოპიზისა და ტბეთის ოთხთათავთა ვარიანტები (ვ. ბენეშევიჩის გამოცემის მიხედვით) და ამით კიდევ უფრო გაზარდა მისი გამოცემის ისედაც დიდი მნიშვნელობა.

რ ბლეიკის გამოცემას კიდევ ახლდა ერთი დიდი სიკეთე: ქართული ტექსტის გვერდით წარმოდგენილი იყო მისი ზუსტი ლათინური თარგმანი. ამის საშუალებით ყველა დაინტერესებულ პირს ევროპასა და ამერიკაში შეეძლო გაეგო, რა ხასიათისა იყო ეს ქართული სახარება, რა თავისებურება ახასიათებდა მის ტექსტს, მსოფლიოს უძველეს ენებზე დაცულ ვერსიათა შორის რომელ რედაქციას მისდევდა და სხვ. ამ გამოცემამ ჩვენი ძველი დიდი კულტურის შესწავლასა და პოპულარიზაციაში დიდი როლი ითამაშა. (შემდეგში ი. მოლითორმა ამ გამოცემის საფუძველზე, აგრეთვე მოციქულთა საქმისა და ხანმეტ-ჰაემეტი ტექსტების საფუძველზე შეადგინა და გამოსცა ვრცელი ლექსიკონი ორ ტომად და საძიებელი ერთ ტომად). ცხადია, ეს გამოცემა სრულიად ხელმიუწვდომელი იყო ფართო ქართული საზოგადოებისათვის. გარდა ამისა, გამოცემაში იყო შეცდომებიც.

5. ამის გამო აუცილებელი გახდა ქართული ოთხთავის ხელახალი, ყველასითვის ხელმისაწვდომი, მაღალმეცნიერულ დონეზე შესრულებული გამოცემა. ეს დიდი საქმე შეასრულა ა. შანიძემ 1945 წელს[2].

წიგნი მზადდებოდა დიდი სამამულო ომის მძიმე პერიოდში, 1943—1945 წლებში (გამოვიდა 1945 წლის გაზაფხულზე). ეს არის ჩვენს სინამდვილეში ქართული

---

[1] The old georgian version of the Gospel of Mark from the Adysh Gospels with the variants of the Opiza and Tbet' Gospels edited with a latin translation by Robert P. Blake (=Patrologia orientalis. Tome XX, fasc. 3, pp. 439—574), Paris, 1928.

[2] ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით. გამოსცა ა. შანიძემ. თბილისი, 1945. წიგნი დაიბექდა „ძველი ქართული ენის ძეგლების“ სერიაში მეორე ნომრად.

ოთხთავის პირველი მეცნიერული გამოცემა. აქ წარმოდგენილია 3 ძველი შატბერდში გადაწერილი ხელნაწერი: ადიშისა (897 წ.), ჯრუჭისა (936 წ.) და პარხლისა (973 წ.). აქედან ორი უკანასკნელი ერთ რედაქციას წარმოადგენს, ერთმანეთთან ძალიან ახლოს დგას, მათ შორის ძლიერ ცოტა განსხვავებაა, უმთავრესად ორთოგრაფიული ხასიათისა. ამიტომ მათი ტექსტი ერთად დგას, ერთ სვეტშია მოთავსებული; მცირეოდენი განსხვავება სქოლიოშია ჩატანილი. მესამე ხელნაწერი, ადიშის სახელგანთქმული ოთხთავი, სრულიად სხვა რედაქციისაა; სულ სხვაა მისი ლექსიკა, გრამატიკული ფორმები, საერთოდ, ენობრივი ქსოვილი. იგი ერთგვარ უნიკუმს წარმოადგენს. როგორც მერმე გამოირკვა, რედაქციულად და ენობრივი ფორმებით მასთან ახლოს დგას ქსნის ოთხთავი[1], რომელმაც ჩვენამდე საგრძნობლად დაზიანებული სახით მოაღწია: აკლია მათეს თავის უდიდესი ნაწილი (თავიდან), ასევე იოვანესი (ბოლო). აკლდა დიდი ნაწილი აგრეთვე ლუკასაც, მაგრამ ეს ადგილი შემდეგ ცაცა ჰანკიევმა ლენინგრადში აღმოაჩინა და გამოსცა[2].

ოთხთავის ა. შანიძისეულმა გამოცემამ (ტექსტის გამოსაცემად დამზადებაში მას ეხმარებოდნენ ილ. აბულაძე და ი. იმნაიშვილი) მეტად დიდი როლი შეასრულა ქართული ფილოლოგიური მეცნიერებების წინსვლის საქმეში; ამიერიდან ყველა დაინტერესებულ პირს წინ ედო სამი ძველი ოთხთავის სანდოდ, მეცნიერული სიზუსტით გამოცემული დიდი მოცულობის ტექსტი, რომელიც გვაწვდიდა ძვირფას მასალას ქართული ენის, ქართული ლიტერატურის, საქართველოს ისტორიისა და სხვა ფილოლოგიურ-ისტორიული დისციპლინების სათავეების შესახებ. ამ ოთხთავების სახით ქართულმა მეცნიერებამ შეიძინა ძვირფასი მასალა, ახალი მყარი ფუნდამენტი. ყველა ამან კი საგრძნობლად გააადვილა და ჩქარი ნაბიჯით წინ წასწია აღნიშნული დარგების კვლევა-ძიება.

სიმპტომატურია, რომ ეს ძვირფასი გამოცემა განხორციელდა დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში, გაჭირვებისა და მატერიალური სივიწროვის ჟამს.

აქამდე ჩვენი საუბარი შეეხებოდა ქართული ოთხთავის ორ ძველ რედაქციას, ე. წ. ოპიზურ და ადიშურ რედაქციებს. პირველი მათგანი მეტ-ნაკლები სიახლოვით წარმოდგენილია ცნობილ ოთხთავებში, როგორიცაა ოპიზისა (913 წ.), ჯრუჭისა (936 წ.), პარხლისა (973 წ.), წყაროსთავისა (A 98—X ს.), ბერთისა (988 წ.), სინურ ხელნაწერებში დაცულნი (№ 15—978 წ.—ე. გარიითით), № 16 (X ს.), № 30 (979 წ.), № 38 (978 წ.), საქართველოს ცენტრ. არქივისა (№ 107—ე. წ. „ანბანდიდი“) და ბევრი სხვა. ესაა ქართული ოთხთავის ერთ-ერთი უძველესი რედაქცია, რომელიც ჩვენში გავრცელებული და გაბატონებული იყო სახარების პირველი თარგმანებიდან (IV საუკუნის II ნახევრიდან) X საუკუნის ბოლომდე. ამ წიგნებმა ჩვენი ძველი მაღალი კულტურის წინსვლასა და განმტკიცებაში დიდი როლი შეასრულეს. მაშინ ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე ბასრი იარაღი საქართველოს სახელმწიფოს, ჩვენი ხალხის, ჩვენი კულტურის დაცვისა და განმტკიცების საქმეში.

---

[1] ი. იმნაიშვილი, ქსნის ოთხთავის რედაქცია: „ლიტერატურული ძიებანი“, V, 1949, გვ. 291—321; მისივე: ქსნის ოთხთავის თავისებურებანი მარკოზის თავის მაგალითზე: პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, 1949, გვ. 211—240; მისივე: ქსნის ოთხთავის თავისებურებანი მათესა და იოვანეს თავების მაგალითზე: იქვე, ტ. VIII, 1950, გვ. 299—344.

[2] ც. ჰანკიევი, ქსნის ოთხთავის ლენინგრადული ფრაგმენტები: საქ. მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, IV, 1962, გვ. 163—223.

აღსანიშნავია, რომ ყველაზე უძველესი ხანმეტი და ჰაემეტი სახარებანი რედაქციულად (არსებით ხაზებში) სწორედ ამ ოპიზური ჯგუფის წიგნებშია შემონახული. ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ქართული ენის, მისი განვითარების, მისი ისტორიის შესწავლისათვის ამ წიგნებს ყველა სხვა წყაროზე მეტი მნიშვნელობა აქვს. ამ ხელნაწერების სახით ჩვენ გველაპარაკებიან IV—V—VI საუკუნეების განათლებული ქართველები, რომელთა ხმაშიც ჩვენ გვესმის ქართული სიტყვის საამური ჟღერა და ვგრძნობთ მისი ნაქედი ფორმების გასაოცარ მრავალფეროვნებას, ამოუწურავ შესაძლებლობებს და დიდ ექსპრესიულ ძალას.

მართალია, ადიშის ოთხთავი გადაწერის თარიღის მიხედვით ყველაზე უძველესია ქართულ ოთხთავებს შორის, მაგრამ თავისი შინაარსით, თავისი განსაკუთრებული ისტორიით, რედაქციულად შედარებით გვიან უნდა იყოს ჩამოყალიბებული გარკვეულ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ პირობებში, რომლებიც ჩვენში შეიქმნა VIII—IX საუკუნეებში. ამის მაჩვენებელია, სხვათა შორის, ის გარემოებაც, რომ მასში, საერთოდ ცნობილ ძველ, ენობრივ ფორმებთან ერთად, უხვად მოიპოვება გასაოცრად ახალი ლექსიკა და გრამატიკული ფორმები, რომელთაც ხანმეტსა და ჰაემეტ ტექსტებში სათავე არ ეძებნება და რედაქციულადაც განსხვავებულია მათგან[1]. როგორც აღნიშნული გვქონდა ზემოთ (გვ. 80), მასთან ახლოს დგას ჯერჯერობით ცნობილთაგან მხოლოდ ერთი ქსნის ოთხთავი, რომლის წარმოშობის დროც ადიშურის შექმნის ხანასთან უნდა იყოს მიახლოებული. მაგრამ ამ დიდ საკითხზე აქ მოკლე საუბარი შეუძლებელია, მას ვრცლად გამოწვლილვა ესაჭიროება და სხვა დროისათვის გადაგვიდევია.

ასე რომ, ქართული ოთხთავის ოპიზურ რედაქციას, სულ მცირე, 6 საუკუნის ისტორია მაინც აქვს (V—X). ამ ხნის განმავლობაში მცირე ცვლილებებით იგი წარმოადგენდა ქართველი ხალხის სულიერ საზრდოს, სახელმწიფოებრივ-ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ბასრ იარაღს.

---

[1] ი. იმნაიშვილი, ადიშის ოთხთავი რედაქციულად: თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 28, 1946, გვ. 119—162; ტ. 30ბ, 1947, გვ. 183—236.

# III. ეფთვიმეს რედაქცია

მაგრამ გავიდა ხანი და X საუკუნის მიწურულს გამოჩნდა ქართული ოთხთავის ახალი რედაქცია, რომელიც არსებითად ოპიზურ ვერსიას ეყრდნობა და მის მსუბუქ გადაკეთებას წარმოადგენს. მისი შემქმნელი გახლავთ X—XI საუკუნეების დიდი ქართველი მწერალი და მეცნიერი, იმდროინდელი საქართველოს კულტურული ცხოვრების ნამდვილი მამა — ეფთვიმე მთაწმიდელი. ეფთვიმეს ერთობ რთულ პირობებში უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა. სამშობლოსაგან მეტისმეტად მოშორებულ ათონის მთაზე, სადაც იგი დაემკვიდრა X საუკუნის ოთხმოციან წლებში, მას არ ჰყავდა დიდი გავლენიანი თანაშემწე და არ ჰქონდა მტკიცე პოლიტიკური ზურგი. მაგრამ უტეხმა სულმა და ტიტანურმა ძალამ და შრომამ ჯერ არნახული შედეგი გამოიღო. მან აქ შექმნა დიდი ქართული კულტურული ცენტრი, სადაც მჩქეფარე შემოქმედებითი მეცნიერულ-ლიტერატურული მუშაობა გააჩაღა. იგი ბერძნულიდან დაუღალავად თარგმნიდა და ქმნიდა ძვირფას ორიგინალურ ნაწარმოებებს. ამ საქმეში იგი ბავშვობიდანვე გაწაფა მისმა მამამ, ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ იოვანე ქართველმა. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა 20—23 წლის ჭაბუკმა ბერძნულიდან გადმოთარგმნა „იოვანეს გამოცხადება და მისი თარგმანება" (978 წ.). აქედან მოყოლებული უწყვეტ ნაკადად მოედინება მისი მაღალი ნიჭისა და დაუღალავი შრომის უჭკნობი ქმნილებები, „რომელთა არა აქუს რიცხუ", როგორც ასეთი შემთხვევისათვის იტყოდნენ ხოლმე დიდი ადამიანების ბიოგრაფები. აქ, რა თქმა უნდა, უადგილო იქნებოდა ამ შრომებზე საუბარი და მსჯელობა.

ეფთვიმეს ხელი ქართულ ოთხთავსაც მისწვდა. X საუკუნის მიწურულში მან შექმნა ამ წიგნის ახალი (ბოლოსწინა) რედაქცია.

რა ხასიათისა იყო ეფთვიმეს მუშაობა ამ მიმართულებით? რა ცვლილებები შეიტანა მან ოთხთავის ძველ თარგმანებში? აიღო და ხელახლა თარგმნა უშუალოდ ბერძნულიდან? არა, ხელახლა არ უთარგმნია. იგი ხედავდა, რომ მანამდე არსებული თარგმანები ზუსტად არ მიჰყვებოდა ბერძნულ ვერსიას, რომელიც იმ ხანებში იყო გავრცელებული. მეორე მხრივ, ძველი თარგმანების ენა — ლექსიკა, გრამატიკული ფორმები — ბევრგან საკმაოდ მოძველებული იყო და მისი თანამედროვე ქართველისათვის გაუგებარი, ან, ყოველ შემთხვევაში, ძნელად გასაგები გამხდარიყო. ზოგჯერ ძველი თარგმანი რამდენადმე მშობლიურ ქართულსაც სცოდავდა. ამის გამო ეფთვიმეს მუშაობა ამ საქმეში სამი მიმართულებით წარიმართა; ეს იყო:

ა) ლექსიკისა და გრამატიკული ფორმების განახლება;

ბ) თარგმანის მაქსიმალური სიზუსტე და სიახლოვე ბერძნულთან (ბერძნულის მიხედვით ლექსიკის შეცვლა, სიტყვათა დაკლება-დამატება, სიტყვათა რიგის შეცვლა;

გ) უცხოური ენის კონსტრუქციების ქართული ენისათვის მორგება, ქართული ენის თავისებურებათა გამოვლინება და მოხმობა, ქართული ზმნის შესაძლებლობათა (მრავალპირიანობა, ქცევა...) მაქსიმალური გამოყენება, ქართული ენის სიწმინდის დაცვა.

ეფთვიმეს ამ მუშაობაში საყრდენად ოპიზური რედაქცია ჰქონდა (შეიძლება თვით ოპიზის ხელნაწერი ან მისი პირი), არსებითად მას ემყარებოდა; გზადაგზა ადიშსაც იშველიებდა, რადგან ეს ვერსია, როგორც ს. ყაუხჩიშვილმა გამოარკვია¹, ბერძნულთან უმჭიდროეს კავშირს ამჟღავნებდა. ამგვარად, ეფთვიმეს ასეთი შრომის შედეგად ჩვენ მივიღეთ ქართული ოთხთავის განახლებული, ბერძნულთან გულდასმით შეჯერებული და შეთანხმებული რედაქცია. მას ეფთვიმესეული (ეფთვიმეს) რედაქცია უნდა ეწოდოს.

ზოგის აზრით, ეფთვიმეს სახარებისათვის ხელი არ უხლია, მისი შრომების სიაში სახარების თარგმნა არსად არ არის მოხსენიებულია. მაგრამ ეს აზრი სწორი არ არის. ამის შესახებ ჩვენ ზემოთ (გვ. 47—52) უკვე გვქონდა საუბარი და აქ აღარ გავიმეორებთ.

წინამდებარე შრომაში ეფთვიმესეული რედაქციის ტექსტი წარმოდგენილი გვაქვს ურბნისისა და პალესტინური ხელნაწერების მიხედვით. ამ ხელნაწერების ტექსტები ძალიან ახლოს დგას ერთმანეთთან. როგორც გამოირკვა, პალესტინური ხელნაწერი ურბნისისას ეყრდნობა, მისგან არის გადაწერილი. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ იგი (პალესტინური ხელნაწერი) ბევრჯერ დიდი ერთგულებით იმეორებს ურბნისის ხელნაწერის უნებლიე შეცდომებსა და სრულიად უბრალო ლაფსუსებს, თვალში საცემ ნონსენსებს. ენობრივადაც, ცხადია, ეს ხელნაწერები ტყუპისცალებია. ყველა ამის გამო მათი აღება ეფთვიმეს რედაქციის ნიმუშებად გამართლებულად გვეჩვენება.

ეფთვიმესეული რედაქციის სხვა ხელნაწერებიდან ტბეთისა და მესტიის ოთხთავები ერთ, ერთმანეთთან ძალიან ახლო მდგომ ჯგუფს წარმოადგენს: აქ რედაქციაც ერთია, მსგავსია მათთვის საოცრად დამახასიათებელი გრამატიკული და ორთოგრაფიული ფორმები (შოვრის, განეშოერა, თავყუანის-სცა, მოედით, წარედით, გულისხმა-ყო, განაბნინნა, მოაწინხა, აღიხილენთ, აღიპყრენთ...)². ერთი სიტყვით, ტბეთიცა და მესტიაც არის ერთ სულ და ერთ ჴორც.

აღსანიშნავია შემდეგიც: ამ ჯგუფის ერთი წევრი (ტბეთის ოთხთავი) ამჟამად მთლიანად არის გამოცემული (ნ. ზემოთ, გვ. 78) და ახლა მისი აქ შემოტანა არ იქნებოდა გამართლებული. რაც შეეხება ამ ხელნაწერების ვარიანტების ჩვენებას, მას, ჩვენი ფიქრით, არა აქვს აზრი. ჯერ-ერთი, ურბნის-პალესტინურისა, ერთი მხრივ, და ტბეთ-მესტიის ხელნაწერთა, მეორე მხრივ, ორთოგრაფიული და სხვა ენობრივი თავისებურებანი ძალიან ბევრია და მათი ასახვა სქოლიოში თვით ძირითად ტექსტს დაჩრდილავდა. მეორეც, ჩვენ პრინციპულადაც არ მიგვაჩნია მართებულად მრავალი ძვირფასი ხელნაწერის სული და გული სადღაც სქოლიოებში ჩაიკარგოს. საჭიროა ეს მრავალმხრივ საინტერესო ხელნაწერები თუ ახლო მდგომი ჯგუფები ცალკე გამოიცეს, მთლიანად და არა სქოლიოებში იქნეს ჩატანილი დასახიჩრებულად. ჩვენ დამზადებული გვაქვს ამ ორი ხელნაწერის ტექსტი და მას მალე იხილავს დაინტერესებული მკითხველი. ხოლო ეფთვიმეს რედაქციის რაობის საჩვენებლად აქ წარმოდგენილი ორი ხელნაწერიც საკმარისია.

ახლა კონკრეტულად ვუჩვენებთ, თუ რა იყო ეფთვიმემდე და რა რით შეცვალა მან. ოპიზური რედაქციის სახით ჩვენ აქ ავიღებთ ჯრუჭ-პარხლის ხელნაწე-

---

[1] ს. ყაუხჩიშვილი, ადიშის ხელნაწერის ბერძნიზმები: „ენიმკის" მოამბე, ტ. XIV, 1944, გვ. 93—116.

[2] ი. იმნაიშვილი, ტბეთის ოთხთავი, გამოკვლევა და ტექსტი: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 20, 1977, გვ. 165—231.

რებს, რომლებიც რედაქციულად სწორედ ოპიზურია[1]. მას Ⴍ ლიტერით აღვნიშნავთ.

ეფთვიმეს რედაქცია, როგორც Ⴍ-ს შემდგომი გადაკეთება და განვითარება, Ⴄ ლიტერით გვაქვს აღნიშნული. მას აქ წარმოადგენს ურბნისისა (F) და პალესტინური (G) ხელნაწერები. Ⴂ ლიტერით აღინიშნება გიორგის რედაქცია, რომელიც ეფთვიმეს რედაქციის შემდგომს განვითარებას, შევსებასა და ზოგჯერ ოდნავ შეცვლას წარმოადგენს. აქ შემოდის ვანის (H), ეჩმიაძინისა (I) და გელათის (K) ხელნაწერები.

ჯერ წარმოვადგენთ ისეთ მაგალითებს, როცა ეფთვიმე ცვლის Ⴍ-ს წაკითხვას და თავისას გვთავაზობს (სულ ერთია, საიდან აილო იგი; როცა ეფთვიმე ადიშს ესესხება, ამას C-თი აღვნიშნავთ) და ამ წაკითხვას შემდეგ გიორგიც იზიარებს (=ႤႢ).

შემდეგ განვიხილავთ ისეთ შემთხვევებს, როცა ეფთვიმე ცალკეა, მის წაკითხვებს გიორგი არ იზიარებს, ის ისევ Ⴍ-ს აღადგენს და მასთან ერთად დგას (=ႭႢ). შევნიშნავთ ბარემ აქვე, რომ ასეთი შემთხვევები ძალიან მცირეა, გიორგი აბსოლუტურად უმრავლეს შემთხვევაში მისი დიდი წინაპრის წაკითხვებს იყენებს და ის შეაქვს თავის რედაქციაში.

## A. ლექსიკა

| Ⴍ | ႤႢ |
|---|---|
| მ. 4, 19 მონადირე | მესათხევლე. |

აქ ჩანს ეფთვიმეს (და გიორგის) რედაქციის კიდევ ერთი ახალი თვისება: კონკრეტულობა. „მონადირე" საერთო სახელია, „მესამთხეელე" კი — კონკრეტული: თევზების მონადირე, თევზების დამჭერი, თანაც არა ყოველგვარი საშუალებით, არამედ მხოლოდ ბადით: მესათხევლე მებადურია (სათხეველი — ბადე). ბერძნ. ἁλιεύς მეთევზეა და მასში არა ჩანს, რით იჭერენ თევზს. Ⴍ რედაქციაში წინა მუხლში სწორედ მეთევზური იკითხება. ეფთვიმემ იგიც შეცვალა ისევ იმავე მესათხევლით (ზებედე და მისი შვილები სიმონ და ანდრია ხომ მართლაც მეთევზეები — მებადურები იყვნენ).

| | |
|---|---|
| მ. 4, 22 ბადე | ნავი C. |

გასწორება აუცილებელი იყო, რადგან ბერძნულში და სხვაგან ყველგან ნავი იკითხება: τὸ πλοῖον, նաւն, the ship, лодку. ერთადერთ გერმანულ თარგმანს აქვს აგრეთვე ოპიზისეული ბადე (ihre Netze), მაგრამ იქვეა შენიშნული, რომ ბერძნულში das Schiff არისო. ეტყობა, „ბადე" აქ მე-20 მუხლიდან გადმოვიდა: ორივეგან გვაქვს სრულიად ერთნაირი კონსტრუქციის წინადადება: (20) მათ მეყსეულად დაუტევეს ბადე მათი და... (22): მათ მეყსეულად დაუტევეს ნავი მათი და... როგორც ჩანს, ამ გარემოებას გერმანულის მთარგმნელიც უცდუნებია.

| | |
|---|---|
| მ. 7, 1—2. შჯით, დაისაჯნეთ,<br>საშჯელითა შჯიდეთ,<br>დაისაჯნეთ | განიკითხავთ, განიკითხნეთ,<br>განიკითხვითა განიკითხეიდეთ, განიკითხნეთ. |

---

[1] სამწუხაროდ, ოპიზის ოთხთავი ჯერ გამოცემული არ არის. მათესა და მარკოზის თავების ვარიანტები, რომლებიც ე. ბენეშევიჩმა გამოაქვეყნა (მას ძირითადს ტექსტში ტბეთის ოთხთავი ჰქონდა დაბეჭდილი), არც ზუსტია და არც სრული. ამას გარდა, ლუკა და იოანე ამ სახითაც არ მოგვეპოვება.

სიტყვის ფუძის გამოცვლის მიზეზი გასაგებია: დასჯა, სასჯელი (=გასამართლება) ეფთვიმეს დროს უკვე მოძველებული იყო და ახალი მნიშვნელობით (დასჯა, наказать) რომ არ გაეგოთ, ეფთვიმემ ახალი ლექსიკური ერთეული გამოიყენა.

| | |
|---|---|
| მ. 7, 25. აღდგეს (მდინარენი) | მოვიდეს. შდრ. ἦλθον. |
| მ. 8, 1. გარდამოჴდა | გარდამოვიდოდა. |

უფრო ძველი ჴედ ფუძის (ახალი ქართულის თვალსაზრისით) ნაცვლად ვედ-ის გამოყენება ხშირია ეფთვიმეს რედაქციაში, განსაკუთრებით FG ხელნაწერებში. ნ. კიდევ: მ. 21, 28; მრ. 5, 18; 6, 33; 10, 35; 12, 28; ლ. 8, 24, 44; 9, 12; 10, 34; 13, 31; ი. 12, 21. ამ სიახლემ შემდეგ საბოლოოდ გაიმარჯვა, დღეს იგი ძველი გაგებით სულ აღარ იხმარება სალიტერატურო ქართულში, მაგრამ დარჩა სვანურში, აგრეთვე ქართულის კილოებში.

| | |
|---|---|
| მ. 8, 8. ბრძანე | თქუ. შდრ. εἰπέ. |
| მ. 9, 13. იკითხეთ | ისწავეთ. შდრ. μάθετε. |
| მ. 9, 20. წიდოვნებასა | სისხლისა დინებასა (C). |

ნ. კ. მრ. 5, 29. ეს უფრო ახალი და გასაგებია.

| | |
|---|---|
| მ. 13, 39. მუშაკნი | მომკალნი (C). |

შდრ. οἱ θερισταί. CႩႢ უფრო კონკრეტულად უჩვენებს ხელობას: არა საერთოდ მუშაკნი, არამედ სახელდობრ მომმკელები, ვინც (რომლებიც) მკიან. ბერძნულშიც ასეა.

| | |
|---|---|
| მ. 16, 23. ეშმაკო | სატანა. |

შდრ. σατανᾶ. როგორც ვხედავთ, ეფთვიმეს აქ სიტყვა არ უთარგმნია, იგი პირდაპირ უთარგმნელად დაუტოვებია. და ეს არა მარტო იმიტომ, რომ კარგი შესატყვისი არ იყო ქართულში, არამედ უფრო მეტად იმის გამო, რომ ამ ტიპის სიტყვები გავრცელებული იყო (მორწმუნეთა შორის) და ისედაც კარგად ესმოდათ მათი მნიშვნელობა. შემდეგში რომ არ გავიმეოროთ, ამნაირ, უთარგმნელად დატოვებულ სიტყვებს აქვე ჩამოვთვლით:

ალამბასტრი ლ. 7, 37; ასარი მ. 10, 29; ლ. 12, 6; ბარ იონაჲსო მ. 16, 17; დიდრაქმა, დრაქმა მ. 17, 24; კინსონი მ. 22, 19; კოდრატი მ. 5, 26 F; რაბი მ. 23, 8; მრ. 9, 5, 10, 51; 11, 21; სატირი ლ. 15, 9; სფკრიდი მ. 8, 8; ტალანტი მ. 18, 24; ჵსანა მ. 21, 15.

| | |
|---|---|
| მ. 22, 24; მრ. 12, 19. მკჳდრი | თესლი. შდრ. σπέρμα. |
| მ. 25, 1. აღინთნეს (სანთელნი) | აღიხუნეს. შდრ. λαμπάδας. |
| მრ. 5, 12. მიბრძანე | მიმავლინენ (C). შდრ. πέμψον. |
| მრ. 6, 1. სოფლად | მამულად. შდრ. εἰς τὴν πατρίδα. „მამულად“ უფრო ზუსტი და კონკრეტული შესატყვისია. |
| მრ. 10, 4. (წიგნი) განტევებისაჲ | განშორებისაჲ. |

ႩႢ-ს „წიგნი განშორებისაჲ“ ახალი და უფრო გასაგები ტერმინია (разводное письмо). ადიშს ისევ ძველი ტერმინი აქვს მიმღეობის ფორმით: წიგნი განსატევებელი.

| | |
|---|---|
| მრ. 12, 43. შემოწირა | დადვა. შდრ. βέβληκε. |
| მრ. 12, 44. შემოწირეს | დადვეს. შდრ. ἔβαλον. |
| მრ. 16, 10. მის თანა მოყუასთა | მის თანა მყოფთა. |

შდრ. μετ' αὐτοῦ γενομένοις.

ლ. 5, 19. კაცი                    კეცი. შდრ. κεράμων.

კაცი აქ, რა თქმა უნდა, შეცდომაა, უნდა იყოს სწორედ კეცი, რომელიც ძველ ქართულში თიხისაგან გაკეთებულ ჰურჰელსა და სხვა ნივთებს ეწოდებოდა. აქ კრამიტი იგულისხმება.

ლ. 8, 2. უკეთურთა                    არაწმიდათა (C).

შდრ. πονηρῶν. ბერძნულის ეს გავრცელებული წაკითხვა C-ს ამართლებს. მაგრამ ბერძნული გამოცემის ვარიანტებში დადასტურებულია აგრეთვე ἀκαθάρτων, რომელიც DE რედაქციების დასაყრდენს უნდა წარმოადგენდეს. ჩანს, ეფთვიმეს ხელთ ჰქონდა სწორედ ასეთი სიტყვის შემცველი ბერძნული ხელნაწერი.

ლ. 8, 31. შთავრდომაჲ                    შთასლვაჲ, შდრ. ἀπελθεῖν.

ლ. 9, 20. ძჱ (ღ̃ჲ)                    ცხებული (C). შდრ. τὸν Χριστὸν τοῦ θεοῦ.

ლ. 9, 24. (რ̃ლსა) უყუარდეს                    უნდეს (C). შდრ. θέλῃ.

ლ. 12, 53. განევთას                    განყოფად.

ცხადია, „განყოფად“ უფრო ახალი და ადვილად გასაგები სიტყვაა, ვიდრე „განევთას“ (განვთომა) და „განევლთას,“ რაც გვხვდება აგრეთვე მესტიის ოთხთავში. იქვეა დაცული ჰაემეტი ფორმა განჰევთას. (მრ. 3, 24), რაც სიტყვისა და ფორმის დიდ სიძველეზე მიუთითებს. ამიტომ გასაგებია ცდა, რომ ეს ძველი ფორმა ახლით შეცვალონ. ასევე სიახლეს გვიჩვენებს ადიშის „განეშორროს“, რომელიც აქ იკითხება.

ლ. 13, 27. სიცრუვისანი (C)                    უშჯულოებისანი.

შდრ. ἀδικίας. ზოგან ბერძნულში ამის ნაცვლად გვხვდება ἀνομίας, რაც ისევ იმავე უსამართლობას, უკანონობას აღნიშნავს.

ლ. 15, 27. მოიყვანა (იგი)                    მოვიდა.

C რედაქციის მოიყვანა-ს ძველ ქართულში ორი მნიშვნელობა ჰქონდა: ა) მოიყვანა მან იგი (привел он его) და ბ) მოყვანილ იქნა იგი, მოვიდა იგი (он пришел, он был приведен). ამ უკანასკნელ შემთხვევაში ფორმა ვნებითი იყო და მხოლოდ ერთი პირის გაგებას შეიცავდა. შემდეგ და შემდეგ მასში ეს მეორენაირი გაგება თანდათან მიიჩქმალა, დღევანდელ ქართულში კი სრულიად გაქრა. ეფთვიმე მწვავედ გრძნობს ამ ფორმის ორ ბუნებას და, გაუგებრობა რომ არ მოხდეს, მეორენაირი გაგების გადმოსაცემად მას უნაცვლებს უეჭველ ერთპირიან მოვიდა-ს; ესეც სიახლის მაჩვენებელია. აქ ეფთვიმეს ხმა პირველი მერცხლის ჭიკჭიკად გვესმის.

ლ. 18, 40. ჰრქუა                    ჰკითხა (C). შდრ. ἐπηρώτησεν.

ლ. 19, 8. ორი (წილი)                    ოთხი (C). შდრ. τετραπλοῦν.

ლ. 22, 14. მოწაფენი                    მოციქულნი. შდრ. οἱ ἀπόστολοι.

ლ. 23, 13. მწიგნობართა                    მთავართა. შდრ. τοὺς ἄρχοντας, իշխանս, начальников, Ratsglieder. მღვდელთმოძღვრებთან ერთად ძალიან ხშირად იხმარება მწიგნობრებიც. შეიძლება ამის ინერციის შედეგი იყოს აქ მწიგნობართა-ს უადგილო გამოჩენა.

ლ. 24, 33. (მასვე) დღესა (შინა)                    ჟამსა. შდრ. αὐτῇ τῇ ὥρᾳ.

ლ. 24, 37. საუცარ (რაჲმე იხილეს)                    სული.

საუცარ (რაჲმე არს F)

შდრ. πνεῦμα. მაგრამ ბერძნულში ზოგან φάντασμα-ც ყოფილა. ასე რომ, ქართულის ორივე წაკითხვას თვით ბერძნულში ჰქონია სათავე. ჩვენი რედაქციე-

ბის თავისებურება იქ გამოჩნდება, თუ რომელი რომელს აირჩევს. ხანდახან ეს წყვილი შესატყვისი ისე საყოველთაოდ არის გავრცელებული, რომ თვით ერთი და იმავე რედაქციის ორ ხელნაწერში ეს სხვადასხვა ვარიანტია წარმოდგენილი. ასეა ჩვენს შემთხვევაშიც: Ⴄ რედაქციის F ნუსხაში საუცარ რომ გვაქვს, G-ში სული იკითხება. ასეთი შემთხვევები ხშირია. ამიტომ ეს გარემოება მხედველობაში უნდა გვქონდეს და რედაქციული სხვაობის ყველა შემთხვევა მხოლოდ ქართულ ნიადაგზე არ უნდა აეხსნათ, უმეტეს შემთხვევაში ამ სხვაობას თვით ბერძნულში აქვს სათავე, თუმცა ყოველთვის თვალნათლივ არა ჩანს.

| | |
|---|---|
| ი. 6, 63. საჴმარ | სარგებელ. შდრ. ὠφελεῖ. |
| ი. 12, 8. ოდესვე | მარადის (C). |

შდრ. πάντοτε.. მარადის უფრო ადვილი გასაგებია, ვიდრე ოდესვე, ამ უკანასკნელს ზოგჯერ შეიძლება სხვა მნიშვნელობაც ჰქონდეს (ოდესმე, ოდესღაც, когда-нибудь). ამიტომ მის ნაცვლად მარადის ზმნიზედა უყოყმანოდ შეაქვთ ტექსტში.

ყველა ზემოთ წარმოდგენილ შემთხვევაში, როგორც აღნიშნული გვქონდა, ეფთვიმეს მიერ შეცვლილ და ახლად გამოყენებულ ფორმებს, მოკლედ, ეფვიმეს წაკითხვას, მის რედაქციას მთლიანად იღებს გიორგიც და შეაქვს თავის რედაქციაში. აქ ორი დიდი მწერალი და მეცნიერი ერთი აზრისაა, ერთად დგას, ერთ რედაქციულ ვარიანტს იძლევა. ამას ადგილი აქვს აბსოლუტურად უმრავლეს შემთხვევაში მთელი ოთხთავის სიგრძეზე.

ზოგჯერ ეფთვიმე ცვლის ძველ (C რედაქციის) წაკითხვას, ქმნის ახალ, საკუთარ რედაქციას, მაგრამ აქ იგი ცალკე დგას, მხარდამჭერას ვერ პოულობს გიორგისგან, რომელიც ამ შემთხვევაში სხვადასხვა მოსაზრებით არ იზიარებს ეფთვიმეს მიერ შეტანილ ცვლილებებს, ისევ C-ს წაკითხვას აძლევს უპირატესობას და ის შეაქვს თავის რედაქციაში. ასეთი ადგილები, როგორც ითქვა, საერთოდ მცირეა. აქ ჩვენ ვუჩვენებთ მათგან მხოლოდ ზოგიერთს.

| C Ⴂ | Ⴄ |
|---|---|
| მ. 7, 4. მაცადე | მიტევე. |

ეს მხოლოდ ქართულ ნიადაგზე აიხსნება: ცნობილი ლექსიკური სინონიმებია.

| | |
|---|---|
| მ. 9, 18. მოუჴდა მას | მოვიდა მისა. |

ჴ ე დ და ვ ე დ (‖ ვ ი დ) ფუძეების ამგვარ შენაცვლებას უმეტეს შემთხვევაში გიორგიც იზიარებს (ნ. ზემოთ, გვ. 85), მაგრამ ზოგჯერ ისევ ძველ წაკითხვებს ტოვებს (ნ. კიდევ: მ. 15, 25; 17, 7, 14, 19, 24: 10, 3, 6; 26, 17; 28, 18; მრ. 1, 40). ეფთვიმე უფრო დაჟინებით და ფართოდ მიმართავს ვ ე დ ფუძიან ფორმებს.

| | |
|---|---|
| მ. 13, 27. აღმოსცენდა | აღმოჴდა. |
| მ. 17, 5. აგრილობდა | ჰფარვიდა. |
| მ. 22, 19. სახარკოჲ | კინსონისაჲ ხარკისაჲ. |

ბერძნულშია τὸ νόμισμα τοῦ κήνσου. κῆνσος ხარკია. ეფთვიმეს, როგორც ჩანს, თავის რედაქციაში ჯერ კენსონი შეუტანია უთარგმნელად, შემდეგ იქვე მიუწერია მისი თარგმანი — ხარკისაჲ, ხოლო ბერძნული კინსონისაჲ-ს ამოშლა დავიწყებია, მერმე ეს გადავიდა მისგან მომდინარე ხელნაწერებშიც. შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ κῆνσος უბრალოდ მიუწერია გვერდით

იმის საჩვენებლად, რომ ამის თარგმანია „ხარკისაჲ“-ო, და დარჩა მერმე წაუშლელი (ნ. ამის შესახებ ზემოთ, გვ. 19).

მ. 23, 16. წინამძღუარნო — მწიგნობარნო.

შდრ. ὁδηγοί, რომელიც სწორედ წინამძღვარს, ხელმძღვანელს ნიშნავს. შეიძლება აღრევა გრაფიკულ ნიადაგზე იყოს წარმომდგარი (წნმრნო—მწგრნო), სხვა მიზეზით ახსნა ძნელია.

მ. 24, 50 მოელოდის — ჰგონებდეს.

შდრ. γινώσκει, რომელიც უფრო ჰგონებდეს იქნება, ვიდრე მოელოდის. ორივე ფორმას „ფიქრის“ მომენტი აერთიანებს: მოელის ე. ი. ფიქრობს; ჰგონია, ე. ი. ფიქრობს (ასეა).

მ. 25, 15, 25, 28. ქანქარი — ტალანტი.

ამ ტიპის სიტყვებზე ზემოთ (გვ. 85) უკვე გვქონდა ლაპარაკი და აქ სიტყვას აღარ განვაგრძობთ.

მრ. 1, 42. განეყარა (კეთრი) — განეშორა.

აქ C Ⴂ-ს წაკითხვა უფრო კონკრეტულია.

ლ. 1, 71. მოძულეთა — მაჭირვებელთა. შდრ. τῶν μισούντων (= მოძულეთა).

ლ. 15, 8. მოჰმართოს (სახლი) C
მოჰმართის Ⴂ — მონახოს.

ი. 2, 15. კერმის მსყიდელთა — ჭერმის მწყველთა.

ეს ტერმინი გვაქვს მხოლოდ ეფთვიმესეული რედაქციის ცნობილ ოთხეულში (BFGM).

ი. 5, 26. ცხორებაჲ (1—2) — ცხოველებაჲ (1—2).

ეს ფორმა ეფთვიმეს რედაქციის ჩვენმა ორმა ხელნაწერმა (FG) იცის მხოლოდ, სხვაგან იგი არსად შეგვხვედრია. ეჭვი არაა, ეს ორგვარი ფორმა ორ ბერძნულ სიტყვას ემყარება; ესენია: ζωή, ἡ (ცხოვრება) და ζῷον, τό (ცოცხალი არსება, ცხოველი; სიცოცხლე, ანუ FG ხელნაწერების „ცხოველება“). ტექსტში, როგორც ჩანს, პირველი უნდა იგულისხმებოდეს (ζωή, *կեանք*, жизнь, das Leben, life, ცხორებაჲ). FG-ს, როგორც ვნახეთ, მეორე ფუძე აუღია და აქედანაა ეს იშვიათი, მეტად საინტერესო ფორმა — ცხოველებაჲ.

ი. 13, 26. მივსცე — მიუპყრა. შდრ. δώσω.

ზოგ ვარიანტში გვაქვს ἐπιδώσω, რაც მიცემას ნიშნავს და უფრო C Ⴂ რედაქციების წაკითხვას ემხრობა. მაგრამ მიუპყრა უფრო კონკრეტულია: ამოწებულ პურს პირთან მიუტანო. აქ უბრალო მიცემაზე მეტი იგულისხმება. ეს მომენტი ერთგვარად ბერძნულ ἐπιδώσω-შიც ჩანს, რამდენადაც ἐπί-ს ერთი მნიშვნელობაა: მაღლა, ზემოთ: მაღლა, პირთან მიუტანო.

ი. 15, 2. აღიღოს — მოეკუეთოს.

შდრ. αἴρει αὐτό (= C Ⴂ). ლაპარაკია ვენახის უნაყოფო რტოზე. ამიტომ აქ მოეკუეთოს ზედგამოჭრილია. მსგავს შემთხვევაში სხვაგან (მ. 3,10; 7,19; ლ. 3,9) სწორედ მოეკუეთოს გვაქვს.

ი. 21,9 (ვითარცა გამოჴდეს) ქუეყანად — ჴმელად ქუეყანად.

შდრ. εἰς τὴν γῆν. ბერძნული γῆ ზოგ ქართულ რედაქციაში (C Ⴂ) გადმოტანილია როგორც ქუეყანა, ზოგში (ადიშურში) — როგორც ჴმელი. γῆ-ს ნამდვილად აქვს ორივე ეს მნიშვნელობა. ეფთვიმეს რედაქციის FG ნუსხებში (უფრო ზუსტად: ჯერ ურბნისისაში, შემდეგ აქედან პალესტინურში), ალბათ, ჯერ ერთ-ერთი მათგანი (უფრო ჴმელად) ყოფილა, შემდეგ მის

ნაცვლად გვერდზე მიუწერიათ მისი შესაცვლელი სინონიმი ქუეყანად, მაგრამ პირველის წაშლა დავიწყებიათ და ორივე დარჩენილა. ორივეს ერთად ხმარება, რა თქმა უნდა, უბრალო ტექნიკური ლაფსუსია. შდრ. ზემოთ განხილული ამის მსგავსი მაგალითი კინსონისაჲ ხარკისაჲ (გვ. 87—89, ნ. აგრეთვე გვ. 20).

ი. 21,12. იცოდეს უწყოდეს.

ცნობილი სინონიმური წყვილებია და ხშირად გვხვდება ერთმანეთის ნაცვლად.

როგორც ჩანს, ეფთვიმეს მიერ შეტანილი ცვლილებები გიორგის არ მიუღია. მას ისევ Ⴀ რედაქცია მიუჩნევია ბერძნულთან უფრო ახლოს მდგომად და უფრო ზუსტად, მას დაჰყრდნობია და ის შეუტანია თავის ახალ რედაქციაში (Ⴂ).

როგორი ხასიათისაა ეს სხვაობანი ეფთვიმესა და გიორგის შორის? სადა აქვს მას საფუძველი? უმეტეს შემთხვევაში ამ განსხვავებულ წაკითხვებს სათავე თვით ბერძნულში მოეპოვება. აქედან ზოგ ბერძნულ წაკითხვას ეფთვიმე ეყრდნობა, ზოგს — გიორგი. სხვა შემთხვევებში წაკითხვათა სხვადასხვაობა თვით ქართულ ნიადაგზე აიხსნება. ცნობილი და ძალზე გავრცელებული სინონიმური წყვილებიდან მოცემულ ადგილებში ერთს ეფთვიმე აძლევს უპირატესობას, მეორეს — გიორგი. ასეთი სინონიმური და ახლო მდგომი სიტყვებია, მაგალითად: ჰყოფს და იქმს, მისდევდა და შეუდგა. იცოდეს და უწყოდეს (იცის და უწყის), ჰრქუა და უთხრა, მოვიდა მისა და მოუქდა მას, მონაგები და ნაყოფი. სული თჳსი და თავი თჳსი (себя). შვილი და ნაშობი, ცუდი და ცალიერი. გამოკვეთილი და გამოკოდილი, დადგომად და დადგრომად, მოეკსენა და მოეგონა, აღესრულა და მოკუდა, ეწოდა და ერქუა, მშჳდობის-მოქმედი და მშჳდობის-მყოფელი, იქმნეს და იყოს. ერთი იგი და სხუაჲ იგი (другой), საუნჯე და საფასე, დაუგებთ და დაუფენთ, წიგნი და წერილი, მაცადე და მიტევე, აღმოსცენდა და აღმოჴდა. მოწიფებული და მოწევნული, უდები, მედგარი და მცონარე, მბრძავს და მეწყობის, შეგრძნებული და სახრული, იხილე და იგულე (смотри!). გლახაკი, უქონოჲ და უპოვარი, სიგლახაკჱ, სიმკოდვჱ და უპოვარებაჲ. შემწენი და მეშუელნი. ვჰბასრობდეთ და ეეცინოდით, დაშურა და განკფდა, ქმნულკეთილი და ხატშუენიერი. ზუავი და ამპარტავანი, სილიღწჱ და ურცხჳნოებაჲ, შიში და ზარი, ბასრობა და კიცხევა, საცინელი, საკიცხელი და საქიქელი და მრავალი სხვა.

მაგრამ მაინც უნდა ვთქვათ, რომ ႡႢ რედაქციებში ასეთი განსხვავებული ადგილები ერთობ მცირე რაოდენობით გვხვდება; გაცილებით მეტია ისეთი შემთხვევები, როცა გიორგი უყოყმანოდ ეთანხმება ეფთვიმეს შესწორებებს და ისინი შეაქვს თავის რედაქციაში.

რაც შეეხება ისეთ შემთხვევებს, როცა ႠႡ რედაქციები ერთად დგას, ხოლო Ⴂ — ცალკე, ეს უკვე ეფთვიმეს რედაქციას აღარ ეხება, იგი მთლიანად გიორგის საქმეა და მის რედაქციაზე მსჯელობისას განვიხილავთ ქვემოთ.

## ბ. სხვადასხვა ფორმები

### ა) სახელები

### ა) ბრუნვები

ორ რედაქციაში სახელის სხვადასხვა ბრუნვების არსებობა ბევრ რამეზეა დამოკიდებული. აქ უმთავრესად ქართული ენის კანონები განსაზღვრავს ამ სხვადასხვაობას. უპირველესად ყოვლისა, უნდა აღენიშნოთ, რომ ხშირად ორ რედაქციაში სხვადასხვა სერიისა და მწკრივის ზმნები გვაქვს. I და II სერიის გარდამავა-

ლი ზმნები სუბიექტად და პირდაპირ ობიექტად სახელს სხვადასხვა ბრუნვაში შეიწყობენ: სტანჯვიდა მტარვალი წმიდასა მას—ტანჯა მტარვალმან წმიდაჲ იგი; ვერ ჰპოვებდა მსაჯული ბრალსა მის თანა — ვერ პოვა მსაჯულმან ბრალი მის თანა. ამ საფუძველზე ეფთვიმე (და მერმე გიორგი) მრავალ შემთხვევაში უპირისპირდება ოპიზურ რედაქციას. მაგალითებად აქ და ქვემოთ მრავლიდან თითო-ოროლა შემთხვევას დავასახელებთ.

| | C | ႷႢ |
|---|---|---|
| მ. 7,22. | ეშმაკთა განვასხემდით,<br>ძალთა მრავალთა ვიქმოდეთ | ეშმაკნი განვასხენით,<br>ძალნი მრავალნი ვქმნენით. |
| მრ. 12,5. | რომელნიმე ტანჯნეს<br>და რომელნიმე მოწყჳდნეს | რომელთამე სტანჯვიდეს<br>და რომელთამე მოჰკლვიდეს. |
| ლ. 23,14. | არარას (ბრალსა)<br>ვჰპოვებ კაცისა ამის თანა | არაჲ (ბრალი) ვპოვე<br>კაცისა ამის თანა, |
| ი. 6,51. | რომელი მე მივსცე | რომელსა მე მივსცემ. |

ამ უკანასკნელ მაგალითში მეორე გარემოებაცაა აღსანიშნავი, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ქართული ენის ისტორიისათვის: მომავალი დროის საწარმოებლად ეფთვიმე აქ უკუაგდებს ძველ წესს და ახალ გზას მიმართავს —ზმნისწინიან აწმყოს: მივსცემ (я дам ему то). სწორედ ეს მივსცემ (დავწერ, დავხატავ, დავხნავ, შევაქებ...) არის დღევანდელ ქართულში მომავალი დროის გამოხატვის ერთადერთი საშუალება. ამის სათავე თვით ძველ ქართულშივე ძევს. ეფთვიმეს ენაში ეს ახალი წესი ფართო გასაქანს ღებულობს. ენის განახლებისადმი დაუოკებელი სწრაფვა ეფთვიმეს (და გიორგის) ერთ-ერთი მეტად დამახასიათებელი თვისებაა. საქმე ეხება ენის მთელ ფრონტს: ლექსიკას, გრამატიკულ ფორმებს, სინტაქსს.

ჩვენს რედაქციებში ერთმანეთს უპირისპირდება ძველი—წრფელობითი—და ახალი—მისი მემკვიდრე და შემცვლელი სახელობითი. აქ მრავალი სხვადასხვა ქვეჯგუფია, მაგრამ ჩვენ მათ ერთად განვიხილავთ[1].

| | | |
|---|---|---|
| მ. 9,36. | რომელთა არა აქუნ მწყემს D | მწყემსი E |
| ლ. 6,13. | რომელთაცა მოციქულ უწოდა | მოციქული. |
| ლ. 22,27. | ვინ არს უფროჲს | უფროჲსი. |
| ლ. 24,19. | რომელი იყო კაცი წინაწარმეტყუელ EG | წინაწარმეტყუელი DF. |
| „—“ | ძლიერ CDG | ძლიერი EF. |
| ი. 9,8. | რამეთუ მთხოველ იყო EG | მთხოველი DF. |
| ი. 9,24. | კაცი ესე ცოდვილ არს D | ცოდვილი E. |
| ი. 9,30. | საკჳრველ ესე არს E | საკჳრველი D. |
| ი. 16,12. | რომელი არა არს მწყემს | მწყემსი. |
| ი. 18,15. | მოწაფჱ იგი ერთი მეცნიერი იყო | მეცნიერ. |
| ი. 18,18. | რამეთუ ყინელ იყო D | ყინელი E. |

---

[1] ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით იხ.: ი. იმნაიშვილი, წრფელობითი ბრუნვის საკითხი საკუთარ სახელებში: პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1943, გვ. 269—289; აგრეთვე: სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957, გვ. 637—661.

ეფთვიმეს აქაც უფრო ახალი ვითარება აქვს ნაჩვენები: 11-დან 10 შემთხვევაში სახელობითს იყენებს და მხოლოდ ერთში — წრფელობითს; და ეს მაშინ, როდესაც DE ხელნაწერებს (ოპიზურ რედაქციას) იმ 10 შემთხვევაში ძველი წრფელობითი აქვს დაცული, ხოლო ერთში — სახელობითი (მეცნიერი).

ჩვენს რედაქციებში ბევრგან სხვადასხვა ტიპის ზმნაა წარმოდგენილი (გვარის, გარდამავლობის, სერიების, მწკრივის... მიხედვით) და, ცხადია, ეს იწვევს სხვადასხვა ბრუნვების გამოყენების აუცილებლობას:

| | |
|---|---|
| ლ. 1, 54. შეიწყნარა ისრაჱლი, მონაჲ თჳსი | შეეწია ისრაჱლსა, მონასა თჳსსა. |
| ლ. 14, 21. გლახაკნი, უცხონი და ბრმანი და მკელობელნი შემოიყვანენ აქა | გლახაკთა და უცხოთა და ბრმათა და მკელობელთა შემოხადე აქა. |
| ი. 8, 35. მონაჲ არასადა დაადგრეს | მონამან არასადა დაიმკჳდროს. |

ზოგ ზმნასთან (უნებს, ეგულების, უჴმს...) საწყისი ხშირად პარალელურად იხმარება ვითარებითსა და სახელობითში:

| | |
|---|---|
| ი. 12, 33. რომლითა სიკუდილითა ეგულების სიკუდილი | ...ეგულებოდა სიკუდიდ G<br>მოსიკუდილედ F<br>სიკუდილად Ղ |
| ი. 13, 27. რომელი გეგულების საქმე D | ... საქმედ E. |
| მრ. 8, 35. რომელსა უნდეს სული თჳსი განრინებად | ...სულისა თჳსისა განრინებაჲ. |
| ლ. 14, 28. ვის-მე უნდეს გოდლისა შენებაჲ K | ... გოდლისა შენებად. |
| მ. 3, 14. მე მიჴმს შენ მიერ ნათლის-ღებად | ... ნათლის-ღებაჲ. |
| ლ. 5, 21. ვის ჴელ-ეწიფების მიტევებად ცოდვათა | ... მიტევებაჲ ცოდვათაჲ. |
| ი. 3, 7. ჯერ-არს თქუენდა მეორედ შობად | ...შობაჲ. |

7 მაგალითიდან C რედაქციაში საწყისი ვითარებითი ბრუნვის ფორმით ხუთია, სახელობითის ფორმით — 2; Կ, Ղ რედაქციებში კი — შებრუნებით: 2 და 5 სათანადოდ. ასეც უნდა იყოს: სახელობითის გამოყენება ამგვარ შემთხვევებში გვიანდელი მოვლენაა, ამიტომ ბუნებრივია, თუ იგი ეფთვიმესა და გიორგის ენისათვის იქნება უფრო დამახასიათებელი.

ახლა ვუჩვენებთ სხვა მაგალითებს სხვადასხვა ჯგუფებად დაყოფისა და კვალიფიკაციის გარეშე:

| | |
|---|---|
| ი. 6, 45. იყვნენ ყოველნი ღმრთით სწავლულ | ... ღმრთივე. |
| ი. 21, 8. არა შორს იყვნეს ქუეყანასა | ...ქუეყანისაგან. |
| მ. 5, 34. ნუ ჰფუცავთ ყოვლითურთ ნუცა ცასა | ...ყოვლადვე. |

| | |
|---|---|
| მ. 9, 20. წიდოენებასა შინა დაეყო ათორმეტი წელი | იყო სისხლისა დინებასა ათორმეტ წელ. |
| მ. 27, 45. დაბნელდა ყოველსა ქუეყანასა | ...ყოველი ქუეყანაჲ. |
| მრ. 12, 44. შეწირა საცხორებელად მისა | ...საცხორებელი მისი. |
| ლ. 5, 36. ეტყოდა იგავსაცა | ...იგავითცა. |
| მრ. 2, 23. თანა-წარჰვიდოდა ყანობირსა | ...ყანებისაგან. |
| მრ. 11, 21. ლეღვი იგი, რომელი სწყევე, განჴმა | ...რომელსა. |
| მრ. 1, 38. წარვიდეთ მახლობელად დაბნებსა E | ...მახლობელსა (მახლობელთა D). |
| ლ. 24, 44. შჯულსა მოსესსა და წინაწარმეტყუელთა | ...წინაწარმეტყუელთასა. |
| ი. 7, 35. განთესულთა მათ წარმართთა (ეგულების მისლვად) | ... წარმართთასა. |
| მრ. 9, 3. ყოველსავე მურკნვალსა ქუეყანისასა | ... ქუეყანასა ზედა. |
| მრ. 9, 41. რომელმან გასუას თქუენ სასუმელი ერთი წყალი სახელისა ჩემისათჳს | ...წყლისაჲ სახელად ჩემდა. |
| ი. 11, 54. მახლობელად უდაბნოჲსა ქალაქსა | ... უდაბნოსა, ქალაქსა. |
| ი. 12, 36. გრწმენინ ნათლისაჲ | ... ნათელი. |

### ჰ) (სახელის) რიცხვი

| | |
|---|---|
| მ. 4, 23. განჰკურნებდა... ყოველთა უძლურებათა ერისათა | ყოველსა ...უძლურებასა ერსა შორის. |

ბერძნული ეფთვიმეს (და გიორგის) უჭერს მხარს: *πᾶσαν μαλακίαν*. დავძენ აქვე, რომ ეფთვიმეს უფრო ზუსტად აქვს გადმოღებული მომდევნო სიტყვებიც: ერსა შორის (C: ერისათა). შდრ. ἐν τῷ λαῷ.

სახელთა რიცხვის შერჩევას ქვემოთ მოყვანილ მასალებშიც ეგევე პრინციპი უძევს საფუძვლად: უფრო ზუსტად შეესაბამებოდეს ბერძნულს, რასაკვირველია, იმ უცილობელი პირობით, რომ ქართული ენის ბუნებაც არ იყოს შებღალული.

| | |
|---|---|
| მ. 7, 25. გარდამოჴდეს წჳმანი | გარდამოჴდა წჳმაჲ. |

შდრ. *κατέβη ἡ βροχή* (=Կ Ղ).

| | |
|---|---|
| მ. 12, 37. სიტყჳთა შენითა განჰმართლდე D | სიტყუათა შენთაგან E... |

შდრ. ἐκ γὰρ τῶν λόγων σου. D-ს არჩევანი გასაგებია: მოქმედებითის ძალზე უჭირს (თანიანი) მრავლობითის წარმოება, ამიტომ არაიშვიათად სათანადო სახელს ისევ მხოლობითში ტოვებს. მოქმედებითი (და ვითარებითი) ბრუნვის ეს გასაჭირი ძველ ქართულში კარგად არის ცნობილი ჩვენში[1].

---

[1] თ. შარაძენიძე, თა-სუფიქსიანი მრავლობითი მოქმედებითსა და ვითარებითს ბრუნვებში: თბილ. უნივ. შრომები, ტ. 24, 1945, გვ. 129—144; ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957, 271—280; 287—292.

ზოგჯერ (იშვიათად) სწორედ C რედაქცია მისდევს ბერძნულის წაკითხვას, ხოლო ႤႢ რედაქციები (ეფთვიმე და გიორგი) ცვლიან მას, მაგალითად: ყოველთა საქმეთა მათთა იქმედ C — ყოველსა საქმესა მათსა იქმედ ႤႢ (Ⴂ: ... იქმან: მ. 23, 5). შდრ. πάντα δὲ τὰ ἔργα αὐτῶν ποιοῦσιν. შესაძლებელია დავუშვათ, რომ Ⴄ რედაქციის შემქმნელს (ეფთვიმეს) აქ ხელთ ჰქონდა ისეთი ბერძნული დედანი, რომელშიც ხაზგასმული სიტყვები სწორედ მხოლობითში იყო დასმული (ამნაირი დაშვება ხშირად გამართლებულა, როცა მერმე აღმოჩენილა ნავარაუდევი ფორმა). შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ ეფთვიმემ აქ მხოლობითი იმიტომ ირჩია, რომ საქმე-ს წინ ყოველი უძღოდა და სწორედ ის უჩვენებდა სიმრავლეს.

აქ დაშვებული II ვარიანტი ახალ ქართულში ერთადერთი ნორმაა და ასეთ შემთხვევებში მრავლობითის ხმარება (ყველა საქმეები) შეცდომად ითვლება და აკრძალულია. ეფთვიმეს კი ლექსიკური და გრამატიკული სიახლენი ფრიად და ფრიად ახასიათებს. ასეა თუ ისე, მაინც ფაქტია, რომ ႤႢ აქ ბერძნულს არ მიჰყვება. მაგრამ ამნაირი შემთხვევები, ვიმეორებთ, ძალიან მცირეა.

მ. 24, 26. საუნჯესა შინა არს K    საუნჯეთა.

შდრ. ἐν τοῖς ταμείοις.

მ. 25, 4. მიიღეს ... ზეთი ჭურჭრითა მათითა    ჭურჭელთა მათთა.

შდრ. ἐν τοῖς ἀγγείοις. C-ში მხოლობითი (ჭურჭრითა) ცნობილი გაჭირვების გამო ნახმარი (ნ. ზემოთ).

მრ. 11, 9. ოსანა მაღალსა    ოსანა მაღალთა.

ზოგ ბერძნულ გამოცემაში ეს „მაღალსა“ თუ „მაღალთა“ სულ არ არის: ზოგან კი ვარიანტებში (სქოლიოში) მითითებულია τῷ ὑψίστῳ, რაც C-ს უჭერს მხარს.

მრ. 14, 55. ეძიებდეს იესუჲსთჳს მოწამესა    ... მოწამეთა.

შდრ. μαρτυρίαν, რაც იქნება მოწმობა (свидетельство). აქედან ორივე წაკითხვა გამართლდება. მაინც ისევ მრავლობითი (ႤႢ-ს წაკითხვა) სჯობია, რადგან შემდგომს მუხლში წერია: „მრავალნი ცრუსა წამებდეს მისთჳს“. თუ, მაშასადამე, ცრუმოწმე მრავალი იყო, რა თქმა უნდა, „მოწამეთა“-ს უნდა მიეცეს უპირატესობა.

ლ. 1, 71. ჴელთაგან ყოველთა მოძულეთა ჩუენთაჲსა    ჴელისაგან...

შდრ. ἐκ χειρός. მაშასადამე, მხოლობითის (ႤႢ-ს) ფორმაა გამართლებული.

ლ. 4, 3. არქუ ქვასა ამას    ქვათა ამათ.

შდრ. εἰπὲ τῷ λίθῳ τούτῳ. მაგრამ ბერძნულში ზოგან მრავლობითი ყოფილა: εἰπέ, ἵνα οἱ λίθοι οὗτοι ἄρτοι γένωνται. აი საიდან არის ჩვენშიც მხოლობითიც და მრავლობითიც: ერთი ერთ ბერძნულ ვერსიას ეყრდნობა, მეორე — მეორეს. უმეტეს შემთხვევაში ასეთი, მეორენაირი წაკითხვა უნდა დავუშვათ მაშინაც, როცა ქართულში ორნაირი წაკითხვაა, ხოლო ბერძნულში მეორენაირი ფორმა არა ჩანს. „ახლა არა ჩანს“ ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ადრეც არ ყოფილა და არც აღმოჩნდება (თვით ბერძნულში თუ იქიდან შესრულებულ სხვა ენების თარგმანებში).

ლ. 4, 25. ოდეს-იგი დაეჴშნეს ცანი    დაეჴშა ცაჲ.

შდრ. ὅτε ἐκλείσθη ὁ οὐρανός (=ႤႢ).

ლ. 5, 1. სმენად სიტყუათა ღმრთისათა    სიტყუასა ღმრთისასა.
შდრ. καὶ ἀκούειν τὸν λόγον τοῦ θεοῦ (=Ⴁ, Ⴂ).
ლ. 11, 47. აღაშენებთ საფლავსა წინაწარმეტყუელთასა K    საფლავებსა.
შდრ. τὰ μνημεῖα τῶν προφητῶν (=Ⴁ, Ⴂ).
ი. 5, 7. სხუანი უწინარჱს ჩემსა შთაჴდიან    სხუაჲ უწინარეს ჩემსა შთაჴდის.
შდრ. ἄλλος πρὸ ἐμοῦ καταβαίνει (=Ⴁ, Ⴂ).
ი. 6, 3. მუნ დაჯდა მოწაფეთა მისთა თანა    ... მოწაფითურთ თჳსით.

ბერძნულში, რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში ყოველთვის მრავლობითია. ახლაც ასეა: μετὰ τῶν μαθητῶν αὐτοῦ. მხოლობითის ხმარების მიზეზზე უკვე გვქონდა ჩვენ ზემოთ საუბარი და აქ აღარ გავიმეორებთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ მრავლობითის შინაარსით (ქრისტეს 12 მოწაფეზეა ლაპარაკი) და მხოლობითის ფორმით (მოქმ. ბრ.) ყველაზე ხშირად სწორედ ეს სახელი იხმარება, მაგალითად: იესუ მოწაფითურთ განეშორა მათგან (მრ. 3, 7; შდრ. μετὰ τῶν μαθητῶν αὐτοῦ, с учениками своими); აჴდა ნავსა მოწაფითურთ თჳსით (მრ. 8,10 C); მოუწოდა ერსა მას მოწაფითურთ თჳსით (მრ. 8.34 C); გამოვიდოდა იერიქოჲთ მოწაფითურთ თჳსით (მრ. 10, 46 C); მუნ იქცეოდა მოწაფითურთ (ი. 3, 22 C; 11, 54 C); განვიდა მოწაფითურთ თჳსით (ი. 18,1 C); მისრულ იყო მუნ იესუ მოწაფითურთ (ი. 18,2 C); შენ თანა ვყო ვნებაჲ ესე მოწაფითურთ ჩემით (მ. 26,18 CD).

როგორც ვხედავთ, ამ ხერხს ძალიან ხშირად ადიშის ოთხთავი მიმართავს. ჩვენი მაგალითიც ამგვარია. აქვე აღვნიშნავთ, რომ საჭირო ფორმების ძიებისას როგორც ეფთვიმე, ისე გიორგიც ადიშის ხელნაწერს ხშირად ესესხებიან. აქაც ასეთ სესხებასთან გვაქვს საქმე. საჭიროა შევნიშნოთ, რომ ჩვენ მიერ ზემორე მოყვანილი მაგალითი (მუნ დაჯდა მოწაფითურთ: ი. 6, 3) ადიშშიც ასე იკითხება. აქედან აქვს იგი აღებული ეფთვიმესაც.

ი. 8, 36. ჭეშმარიტად თავისუფალნი იყვნეთ    —— თავისუფალ.

ბერძნულში, გასაგებია, მრავლობითია: ἐλεύθεροι ἔσεσθε. ცვლილება (მრავლობითის ნაცვლად მხოლობითის არჩევა) ქართულ ნიადაგზეა მომხდარი: ძველ ქართულში შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი წრფელობითი ბრუნვითაა წარმოდგენილი (აწ თავისუფალ სამე არიან შვილნი: მ. 17, 26; ჳთარ შენ იტყჳ, ვითარმედ: თავისუფალ იქმნეთ: ი. 8,33 C). თვით ჩვენი მაგალითი ადიშის ოთხთავში წრფელობითის ფორმით გვაქვს (ჭეშმარიტად თავისუფალ იყვნეთ). წრფელობითს კი ნარიანი მრავლობითის ფორმა არ გააჩნდა. ამ მტკიცე ტრადიციას და მყარ წესს იცავს ეფთვიმე და ბერძნულს მონურად არ ემორჩილება.

ი. 12, 13. მოიღეს რტოჲ დანაკისკუდთაგან    — მოიღეს რტოები.
შდრ. ἔλαβον τὰ βαΐα τῶν φοινίκων.
ი. 17, 20. არა ამისთჳს ხოლო გკითხავ    — ... ამათთჳს.

შდრ. οὐ περὶ τούτων δὲ ἐρωτῶ μόνον. ასეთივეა აგრეთვე ეს მაგალითიც: რომელი წამებს ამისთჳს — ამათთჳს (ი. 21, 24). შდრ. ὁ μαρτυρῶν περὶ τούτων.

ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ⴂ (Ⴂ) რედაქცია ცდილობს, რაც შეიძლება ზუსტად გაჰყვეს ბერძნულს, აირჩიოს სახელის ის რიცხვი, რომელიც ბერძნულშია მოცემული. ორიოდე გამონაკლისზე უკვე გვქონდა საუბარი. ასეთ შემთხვევაში ეფთვიმე მეორე ძირითად პრინციპს იცავს: არჩეული წაკითხვა ქართულისათვის იყოს ბუნებრივი და დამახასიათებელი, არ ბღალავდეს ჩვენს ენას, არ იყოს მისთვის რაიმე მხრივ მძიმე და უხერხული, მტკიცედ იცავდეს დიდი ხნით დამყარებულ კარგ ტრადიციებს (მოწაფითურთ თჳსით, თაეისუფალ იყვნეთ...).

მაგრამ არის კიდევ რამდენიმე შემთხვევა, რომლებშიც ეფთვიმეს მიერ მიღებული არჩევანი ბერძნულს არ ეთანხმება. აქ ახლა უადგილო იქნება, ყველა ეს მაგალითი (თუმცა ბევრი არაა) გამოწვლილვით განვიხილოთ და დავადგინოთ, თუ რამ გამოიწვია იგი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში. აქ საკმარისი იქნება აღვნიშნოთ, რომ მათ უმეტესად თვით ბერძნულის ზოგ ვერსიაში უნდა ჰქონდეს საყრდენი, სხვები ისევ ქართულის სიწმინდის დაცვითაა გაპირობებული. როგორც, მაგალითად, ამ კონკრეტულ შემთხვევაშია დაადგრა არა მრავალთა დღეთა—არა მრავალ დღე (ი. 2, 12). მრავალ დღე აქ დროის გარემოებას გამოხატავს, ხოლო იგი ძველ ქართულში სწორედ წრფელობითით (მაშასადამე, მხოლობითი რიცხვით) გადმოიცემოდა. მაგალითად: იმარხეიდა ორმეოც დღე და ორმეოც ღამე (მ. 4, 2); იფარვიდა თავსა თჳსსა ხუთ თთუე (ლ. 1, 24); დაეჴშნეს ცანი სამ წელ და ექუს თთუე (ლ. 4, 25)· ესე იყო ქურივ ვითარ ოთხმეოც და ოთხ წელ (ლ. 2, 37 C).

დასასრულ, სახელის რიცხვთან დაკავშირებით კიდევ ერთ გარემოებაზე მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას.

ეფთვიმეს რედაქციაში ოპიზურთან შედარებით 8 შემთხვევაა, როცა ერთმანეთის პირისპირ დგას ებიანი და ნართანიანი მრავლობითი. აქედან ეფთვიმე 5-ჯერ ებიანს ირჩევს, სამჯერ კი — ნართანიანს. ეს გარემოებაც ნათლად მიუთითებს სახელოვანი მწერლის დიდ სიახლის გრძნობაზე. აი ეს მაგალითებიც:

| | |
|---|---|
| მ. 8, 32. კოლტმან მან<br>ღორებისამან | ...ღორთამან. |
| მ. 22, 9. მებოძირებსა | მებოძირთა. |
| მ. 23, 5. ფესუები სამოსლისა<br>მათისაჲ | ფესუნი სამოსლისა<br>მათისანი (სამოსელთა<br>მათთანი Ⴂ). |
| ლ. 3, 3. მოვიდა ყოველსა მას<br>სოფელსა | ...სოფლებსა, |
| ლ. 4, 40. (ჰქონდეს)<br>უძლურნი | (აქუნდა)<br>უძლურები. |
| ლ. 11, 47. აღაშენებთ საფლავსა | აშენებთ საფლავებსა. |
| ლ. 23, 27. სიმრავლჱ დედათაჲ | ...დედებისაჲ. |
| ი. 2, 13. მოიღეს რტოჲ დანაკისკუდთაგან | მოიღეს რტოები. |

მართალია, აღნიშნული 5 მაგალითიდან, სადაც ეფთვიმეს რედაქციაში ებიანი მრავლობითი გვაქვს, DE-ში სამ ადგილას მხოლობითია, მაგრამ მაინც სიმპტომატურია, რომ ეს მხოლობითი მან სწორედ ებიანი მრავლობითით შეცვალა და არა ნართანიანით (სოფელსა — სოფლებსა, საფლავსა — საფლავეებსა, რტოჲ—რტოები). სხვა საკითხია, რატომ არის DE-ში მხოლობითი და არა მრავლობითი,

### c) ნაწილაკები და ნაწილაკიანი სიტყვები

ძალიან საინტერესო სურათს გვიჩვენებს ნაწილაკების ხშირი ხმარება. თუ ზოგჯერ ესა თუ ის ნაწილაკი სათანადო ბერძნული ნაწილაკის ან სხვა რაიმე მასალის ზუსტ თარგმანს წარმოადგენს, უმეტესწილად ნაწილაკები და ნაწილაკიანი სიტყვები ქართულ ნიადაგზეა ნახმარი და ბერძნულში მათ სათანადო შესატყვისი არ ეძებნება.

სხვადასხვა სახის ნაწილაკები განსაკუთრებით უხვად გვხვდება ეფთვიმეს(და შემდგომ გიორგის) რედაქციაში. ჩვენ აქ ვუჩვენებთ ბევრიდან მხოლოდ მცირედს, უფრო ტიპურ ნიმუშებს.

მ. 8, 33; ლ. 2, 39; ი. 4, 39; 16, 30 ყოველი — ყოველივე.
ი. 18, 4. ყოველივე — ყოველი.

ბერძნულში ორივე შემთხვევაში (ყველგან) πάντα გვაქვს. იქ არაა რაიმე ნაწილაკი.

მ. 5, 47. მეზუერეთა მეზუერეთაცა.

ამას აქვს ბერძნულში შესატყვისად καί: οὐχὶ καὶ οἱ τελῶναι.

მ. 6, 23. რავდენლა-მე რავდენ-მე.

მ. 14, 33. რომელნი რომელნი-იგი.

შესატყვისი არაა ბერძნულში. შდრ. οἱ δὲ ἐν τῷ πλοίῳ. δέ აქ ქართულ ხოლო-ს უდრის (ხოლო რომელნი-იგი ნავსა მას შინა იყვნეს).

მ. 15. 3. რაჲსათჳს თქუენ …თქუენცა…
გარდასუალთ მცნებასა ღმრთისასა

შდრ. διὰ τί καὶ ὑμεῖς. καί მართლაც უდრის ქართულ ცა-ს.

მ. 16, 9. არღა არა.
ი. 1, 15 არღარა არა.
ლ. 14, 5. არა არა-მე.
ლ. 14, 28. არა არა-მეა:
მ. 22, 28. ყოველთავე ყოველთა.

შდრ. πάντες γὰρ ἔσχον αὐτήν. ვე-ს ბადალი აქაც არაფერია (γάρ რამეთუ-ა). არადა ძალიან საჭიროა აქ ეს ვე: არა საერთოდ ყველას ჰყავდა იგი ცოლად, არამედ ზემოთ ნახსენებ შვიდივე ძმას. სამწუხაროა, რომ ის არ მოეპოვება სწორედ ეფთვიმესა და გიორგის უზადო ნახელავს.

მრ. 1, 19. (და) იგინიცა. (და ) იგინი.

შდრ. καὶ αὐτούς. καί აქ „და“ უნდა იყოს.

მრ. 7, 18. უგულისხმო უგულისხმოვე.

შდრ. καὶ ὑμεῖς ἀσύνετοί. ვე-ს ბადალი მასალა არაა ბერძნულში, შეიძლება იმის გამო, რომ თქუენ-ს ერთვის ნაწილაკი καί (ცა).

მრ. 8, 23. რასა რასა-ძი.

შდრ. εἴ τι βλέπεις. εἰ ძი-ს შესატყვისია.

მრ. 9, 42. გამო-თუ-იბას გამო-თუმცა-იბა.

მრ. 10, 27. არა ღმრთისაგან არა ღმრთისაგანცა.

შდრ. οὐ παρὰ θεῷ. ცა-ს ბადალი აქ არაფერია.

მრ. 10, 45. (და რამეთუ) ძჱ ცი, ძჱ Ⴗ, ძე Ⴂ.

შდრ. καὶ γὰρ ὁ υἱός.

მრ. 12, 4. გამოეწყვნეს გამო-ვე-ეწყვნეს.

შდრ. ἐκεφαλαίωσαν. ვე ქართულ ნიადაგზეა შეტანილი ტმესის სახით. რაკი ტექსტში არის მასცა (მასცა კუალად გამო-ვე-ეწყვნეს), ცხადია, ვინც ამაზე უწინ გაგზავნეს, იმათთვისაც უცემიათ (ტექსტში მართლაც ასეა: შეიპყრეს და გუემესო), ამიტომ განმეორებულ (იმავე) მოქმედებას სწორედ ვე ნაწილაკი სჭირდება: იმასაც გაუმართეს ბრძოლა (ბერძნულით: თავში დაჰკრეს, თავი გაუტეხესო). აქ ეფთვიმეს ვე ტმესის სახით კარგად აქვს შეტანილი ზმნაში.

მრ. 14, 69. (ესეცა) მათგანი (არს) მათგანივე.

შდრ. οὗτος ἐξ αὐτῶν ἐστιν. აქაც იგივე უნდა ითქვას. ბერძნულში არაა ვე-ს შესატყვისი რამ. „ესეცა მათგანივე (არს)“ კარგი და ბუნებრივი გამოთქმაა ქართულში, ძველსა და ახალში (ესეც თუა, ცხადია, მათგანივე იქნება). ვე აქაც კარგად არის დამატებული. ამ ტიპის ნაწილაკთა დართვა-დაურთველობა, როგორც ვხედავთ, უმთავრესად ქართულ ნიადაგზე ხდება.

მრ. 15, 41. სხუანიცა სხუანი.

შდრ. καὶ ἄλλαι πολλαί. ცა-ს ბადალი აქაც არა ჩანს ბერძნულში.

ლ. 1, 36. ელისაბედცა ელისაბედ.

შდრ. Ἐλισάβετ.

ლ. 6, 6. სხუასა (შაბათსა). სხუასაცა.

შდრ. ἐν ἑτέρῳ σαββάτῳ. აქ, როგორც ვხედავთ, არ არის ქართულის ცა-ს შესატყვისი რამ. გამართლებულია კი ქართველი მთარგმნელის მიერ ცა-ს დამატება, რადგან აღწერილი ამბავი მეორე შაბათს მოხდა (წინა შაბათს მომხდარი ამბავი ამავე თავის 1—5 მუხლებშია მოთხრობილი). მთარგმნელს სურს თქვას, ესეც შაბათს (შაბათ დღეს) მოხდაო. ცა აქ ზედგამოჭრილია. შდრ. რუსული თარგმანი: случилось же и в другую субботу. И აქ სწორედ ჩვენი ცა-ს ბადალია.

ი. 12, 41. ოდეს ოდეს-იგი.

ი. 12, 16. ოდესცა ოდეს.

ლ. 16, 14. ფარისეველთა ფარისეველთაცა.

შდრ. καὶ οἱ Φαρισαῖοι. καί=ცა. ზოგ ბერძნულ გამოცემაში καί ტექსტში არ მოიპოვება, ზოგში იგი სქოლიოშია ჩატანილი. აქედანვე მოდის ძველ ქართულ ხელნაწერთა აღნიშნული მერყეობაც.

ლ. 18, 15. მოჰგუარიდეს მას ყრმებსა ... ყრმებსაცა.

შდრ. ... καὶ τὰ βρέφη. καί=ცა.

ლ. 22, 59. ესეცა მის თანა იყო ..., მის თანავე...

შდრ. καὶ οὗτος μετ' αὐτοῦ ἦν.

აქ არ არის ჩვენი ვე-ს შესატყვისი მასალა. ეს გასაგებიაა ამ ფუნქციის შემსრულებელი καί ცოტა წინ უკვე არის ნახმარი (καὶ οὗτος — ესეცა) და მეორედ, ცხადია, აღარ გაიმეორეს. ქართულში ორი სხვადასხვა ნაწილაკი გვაქვს და მათი გვერდიგვერდ ხმარება ერთგვარ სტილისტურ ჰარმონიას ქმნის. სწორედ ამიტომ შემოაქვს იგი (ვე) ეფთვიმეს.

ლ. 23, 2. აყენებს ხარკისა ხარკისაცა
მიცემად კეისარსა მიცემად კეისრისა.

შდრ, φόρους. აქ არ არის ცა-ს შესატყვისი რამ. გამართლებულია კი ცა-ს დამატება. ტექსტში ლაპარაკია იმაზე, რომ იესუ კეისრისათვის გადასახადების მიცემას უშლიდა ხალხსო. კიდევ რას შვრებოდა? ზემოთ ამავე მუხლში ნათქვამია, ხალხს აცდუნებდა (სწორი გზიდან აცდენდა, აბნევდაო). ამის შემდეგ ბუნებრივია,

თქვან: გადასახადების (ხარკის) მიცემასაც უშლიდაო. ასე რომ, აქ ცა-ს დამატება ყოველმხრივ გამართლებულია.

ლ. 23, 35. სხუანნი აცხოვნნა,
იცხოვნენ თავი თჳსი E ... თავიცა D.

შდრ. ἄλλους ἔσωσεν, σωσάτω ἑαυτόν. არც აქაა ცა-ს ბადალი მასალა. ეს ცა კი ძალიან საჭიროა: სხვები იხსნა, (აბა, თუ შეუძლია,) იხსნას თავისი თავიცო.

ლ. 24, 13. მას დღესა შინა D მასვე დღესა შინა E.

მხოლოდ მასვე უნდა იყოს. D-ს წაკითხვა (მას დღესა) უბრალო ლაფსუსი ჩანს. იმ დღეს და იმავე დღეს სულ სხვადასხვაა. ადიშსაც მასვე აქვს. ასეა სხვაგან ყველგან: ἐν αὐτῇ τῇ ἡμέρᾳ, в тот же день, an dem nämlichen Tage.

ი. 8, 28. ვითარცა მასწავა
მე მამამან, მას ვიტყჳ ...მასცა...

შდრ. ταῦτα λαλῶ. აქ არაა ცა-ს ბადალი რამ. ქართულში ძალიან უხდება: როგორც მამამ მასწავლა, იმასვე (ისევე) ვამბობო. რუსულშიც ასე (ნაწილაკით) გადმოუღიათ: так и говорю.

ლ. 24, 28. ვიდრე DG ვიდრეცა EF.
ლ. 24, 36. ვითარ-იგი ვითარ (იგინი).
ლ. 24, 41; ი. 13, 53. ვიდრე ვიდრე-იგი.
ი. 1, 40 იყო ანდრეაცა E ანდრია Ⴗ
(ანდრიაცა D) (ანდრეა Ⴂ).

შდრ. ἦν 'Ανδρέας. ცა აქ გაუმართლებელია, არსად არ არის მისი შესატყვისი რამ. ვიმეორებთ, არცაა საჭირო. სწორედ ამიტომ არ იხმარა იგი ეფთვიმემ.

ი. 6, 11. რაოდენ რაოდენი-იგი.
ი. 8, 12. მერმე მერმეცა.
ი. 8, 21 მერმეცა მერმე.
ი. 9, 15. ფარისეველნი ფარისეველნიცა,

შდრ. καὶ οἱ Φαρισαῖοι. ბერძნულშიც, როგორც ვხედავთ, არის ჩვენი ცა-ს შესატყვისი (καὶ) და ქართულშიც უნდა: იმ ბრმას, რომელსაც თვალი აუხილა, ჯერ სხვები ეკითხებოდნენ (როგორ მოხდა ეს, ვინ აგიხილა თვალიო), ხოლო ამის შემდეგ მიიყვანეს ის (ყოფილი ბრმა) ფარისევლებთან. სწორედ ამიტომაა ტექსტში ნათქვამი: ჰკითხვიდეს მას ფარისეველნიცა იგიო (ფარისევლებიც ეკითხებოდნენო).

ი. 9, 27. პირველად პირველვე.
ი. 11, 35. ცრემლოოდა იესუ ცრემლოოდა იესუცა.

შდრ. ὁ Ἰησοῦς. ცა-ს ფარდი რამ ბერძნულში არაა, მაგრამ იგი ძალიან საჭიროა ტექსტის შინაარსის მიხედვით, რადგან სხვებიც ტიროდნენ. ტექსტში ნათქვამია: ხოლო იესუ ვითარცა იხილა იგი (მარიამი — ლაზარეს და), რამეთუ ტიროდა, და მის თანა მოსრულნიცა იგი ჰურიანი ტიროდეს, შეძრწუნდა სულითა (ი. 11, 33). სწორედ ამის შემდეგაა ნათქვამი: და ცრემლოოდა იესუცა (ႷႢ). ამიტომ ეფთვიმეს მიერ დამატებული ცა შიგ შუაგულ მიზანში ხვდება.

ი. 21, 11. გამოვიდა სიმონ-პეტრე ... სიმონ-პეტრეცა.

შდრ. ἀνέβη Σίμων Πέτρος. ბერძნულში, როგორც ვხედავთ, ცა-ს შესატყვისი არაფერია, მაგრამ კი უნდა (ქართულში, ყოველ შემთხვევაში), რადგან მას-

ზე ადრე სხვა მეთევზეები გამოვიდნენ ზღვიდან და თევზით სავსე ბადე გამოათრიეს. ამის შემდეგაა ნათქვამიჲ გამოვიდა სიმონ-პეტრეცაო. სწორედ ასეც იყო საჭირო.

მოკლედ რომ დავასკვნათ ნაწილაკთა მიმოხილვის შემდეგ, უნდა ვთქვათ, რომ აქ წარმოდგენილი Ⴑ—Ⴉ(Ⴂ) რედაქციებიდან ნაწილაკებს უფრო ხშირად და მართებულად Ⴉ(Ⴂ) რედაქცია მიმართავს. ეს ეფთვიმეს რედაქციაა, რომელსაც შემდეგ გიორგიც იყენებს. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ენაში ძალზე გავრცელებულ ნაწილაკდართულ სიტყვებს (არცა, არღარა, ეიდრე-იგი, ვითარ-იგი, სადაცა, ოდეს-მე, ვის-მე... ), სახელებზე (და სხვა სიტყვებზე) დართული ნაწილაკები ძალიან ხშირია სწორედ ეფთვიმეს რედაქციაში. ზოგ შემთხვევაში ამ ნაწილაკებს ბერძნულშიც მოეპოვებათ შესატყვისი მასალა და, მაშასადამე, ეფთვიმეს მისთვის ჩვეული სიზუსტით გადმოაქვს იგი ქართულში შესატყვისი ფორმით. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ბერძნულში არ მოიპოვება ქართულის შესატყვისი ნაწილაკი ან სხვა რაიმე ფორმა; ეს ნაწილაკები ეფთვიმეს თვით შეურჩევია და შეუტანია ქართულ ტექსტში ჩვენი ენის გადაუდებელი საჭიროების გამო. ყველა ამ შემთხვევაში ნაწილაკის დამატება უფრო გასაგებს ხდის ტექსტის აზრს, ხვეწს ენას, უფრო მოქნილსა და ელასტიკურს ხდის, სრულყოფილად გადმოსცემს ენის ყველა კუთხე-კუნჭულის უჩინარ ხვეულებს და უწვრილმანეს ნიუანსებს, სასიამოვნო საკითხავად აქცევს მას. ეს ეხება უმთავრესად ქართული ენის ბუნებას, მის სტილისტიკას, მის გამომსახველობით საშუალებებს, მის ექსპრესიულ შესაძლებლობას.

ჩვენი მშობლიური ენის ასეთ დახვეწასა და გამშვენიერებაში ეფთვიმეს ხელს უწყობს დედაენის ღრმა თეორიული ცოდნა და პრაქტიკულად გამოყენების ძალის სრული დაუფლება; ასევე დიდი და შესახარბებელი ცოდნა იმ ენისა, რომლიდანაც თარგმნის ის საჭირო ლიტერატურას, დასასრულ, მესამე მხრივ, საფუძვლიანი, ღრმა ცოდნა იმ მასალისა, იმ ლიტერატურული თუ სხვა ხასიათის ძეგლისა, რომლის თარგმნასაც ის აპირებს.

ნაწილაკების სწორად გამოყენება მეტად ძნელი საქმეა. აქ კაცი ენას უნდა გრძნობდეს სულით და ხორცით, მას უნდა იწოდეს ორგანულად, ხელშესახებად უნდა განიცდიდეს მის ყველაზე წვრილ და მგრძნობიარე სიმებს. ასეთია სწორედ ეფთვიმე, როცა მას ხელში კალამი უჭირავს და მახვილი საჭრეთლით კი არ წერს, — აქანდაკებს ყოველ ქართულ სიტყვას.

## ბ) ზმნები

ზმნებში რედაქციული საკითხების კვლევისას ყველაზე მეტი მნიშვნელობა ეძლევა მწკრივებს (სერიებს), რიცხვს, ქცევას, გვარს, გარდამავლობას, საწყისსა და მიმღეობას. სხვა კატეგორიები აქ მეორეხარისხოვან როლს თამაშობს. მწკრივი და რიცხვი მაინც ყველაზე მთავარია, აქ უფრო ნათლად მჟღავნდება სხვადასხვა რედაქციული შედგენილობა. ჩვენც აქედან დავიწყოთ.

### ა) მწკრივები

განსახილველი ორი (Ⴑ და Ⴉ‖Ⴂ) რედაქცია ყველაზე მეტად სხვადასხვა მწკრივების არჩევით ხასიათდება. თუ ამ განსხვავებული მწკრივების სახით წარმოდგენილია გარდამავალი ზმნა I და II (III) სერიებში, მაშინ ამასთან ერთად სხვადა-

სხვა ბრუნვებიც გვაქვს (არარას ვჰპოვებ, არარაჲ ვჰპოვე). ამაზე ნაწილობრივ უკვე გვქონდა ზემოთ მსჯელობა (გვ. 90—92).

ბევრჯერ განსხვავებული მწკრივების (სერიების) არჩევა ბერძნული ორიგინალით განისაზღვრება. ხოლო ასევე ბევრჯერ (თუ უფრო ხშირად არა) ეს წმინდა ქართულ ნიადაგზე ხდება: მთარგმნელი ბერძნული მასალის ზუსტად გადმოსაღებად ქართულში ეძებს უფრო შესაფერის, უფრო ბუნებრივ, სტილისტურად გამართულ ფორმებს. ეს მარტო მწკრივებში არა ჩანს, ეს ენის ყველა უბანში, ყველა კუთხე-კუნჭულში, ყველგან და ყველაფერში ვლინდება, მწკრივებში კი უფრო ნათლად და თვალსაჩინოდ, აგრეთვე უფრო ხშირად.

მწკრივების მონაცვლეობა სხვადასხვა რედაქციებში ფართო ხასიათისაა. თუ ეს მონაცვლეობა ზოგჯერ ცალმხრივია (ვთქვათ, გვაქვს a—b შენაცვლება, მაგრამ არა გვაქვს b—a რიგი), უმეტესად იგი ორმხრივია, ე. ი. გვაქვს როგორც a—b რიგი, ისე აგრეთვე b—a-ც. აქ ხან ერთი ჭარბობს, ხან—მეორე. ყველაზე ხშირია უწყვეტლისა და წყვეტილის მონაცვლეობა.

ეფთვიმესა (Ⴄ) და მის წინაპარ ოპიზურ (C=DE) რედაქციას შორის ასეთი მონაცვლეობა მეტად მრავალფეროვანია, დაახლოებით 35 ჯგუფსა და ქვეჯგუფს გვიჩვენებს. ყველა ამაზე აქ, რასაკვირველია, ვრცლად ვერ შევჩერდებით და მხოლოდ მცირედის აღნიშვნით დავკმაყოფილდებით.

| C | ႤႢ |
|---|---|
| აწმყო | აწმყოს ხოლმეობითი |
| მ. 13, 21. საწუთრო არს | არნ |
| ლ. 22, 25. ჴელმწიფებაჲ აქუს G | აქუნ F |
| ი. 10, 37, გრწამს | გრწამნ. |
| აწმყოს ხოლმეობითი | აწმყო |
| მ. 6, 30. ი. 10, 2. არნ | არს. |
| მ. 23, 25. არნ K | არიან F |
| ლ. 5, 36. შეჰგავნ | შეჰგავს |
| ლ. 11, 44. ვლენედ E | ვლენან DFK, ვლენ GHI |
| ი. 3, 20. იქმნ | იქმს |
| „—" სძულნ | სძულს |
| ი. 10, 2. შევალნ | შევალს. |

საერთო შეფარდება 8:3 აწმყოს სასარგებლოდ (ეფთვიმეს რედაქციაში). აწმყოს ხოლმეობითი ერთ-ერთი ძველი მწკრივია და უფრო ძველ ტექსტებში ხშირად გვხვდება, შემდეგ და შემდეგ მისი ხვედრითი წონა თანდათან კლებულობს და უფრო ნაკლებად იხმარება, აქ მას უმთავრესად აწმყო ენაცვლება. ეფთვიმეს რედაქცია ამის სარწმუნო მოწმეა. ეს ასეც იყო მოსალოდნელი, თუ გავითვალისწინებთ, რომ ლექსიკური და გრამატიკული სიახლისაკენ დაუღალავი მისწრაფება ეფთვიმეს ენობრივი კონცეფციის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი თვისებაა.

| | |
|---|---|
| აწმყო | უწყვეტელი |
| მრ. 12, 26. ეტყჳს | ეტყოდა |
| ლ. 23, 2. აყენებს | აყენებდა. |
| უწყვეტელი | აწმყო |
| მ. 11, 18. იტყოდეს | იტყჳან |

| უწყვეტელი | აწმყო |
|---|---|
| მრ. 4, 14. სთესვიდა | სთესავს |
| ლ. 2, 49. მეძიებდით | მეძიებთ |
| ლ. 10, 18. ვხედევდ FK | ვხედავთ GH |
| ლ. 18, 9. შეურაცხ-ჰყოფდეს | შეურაცხ-ჰყოფენ. |

ამ შემთხვევაში, როგორც ვხედავთ, ეფთვიმე უპირატესობას ანიჭებს აწმყოს (5:2).

| უწყვეტელი | წყვეტილი |
|---|---|
| 1. მ. 7, 22. განვასხემდით | განვასხენით |
| 2. „—“ ვიქმოდეთ | ვქმნენით |
| 3. მ. 10, 5. ამცნებდა | ამცნო |
| 4. მ. 21, 20; მრ. 6, 6; ლ. 1, 63. უკჳრდა | დაუკჳრდა |
| 5. მ. 22, 23. ჰკითხვიდეს | ჰკითხეს |
| 6. მრ. 3, 8. მოვიდოდეს | მოვიდეს |
| 7. მრ. 6, 54. გამო-ოდენ-ვიდოდეს | გამო-ოდენ-ვიდეს |
| 8. მრ. 12, 17. დაუკჳრდებოდა | დაუკჳრდა |
| ლ. 8, 24. განაღჳძებდეს | განაღჳძეს |
| 10. ლ. 14, 1. მო-რაჲ-ვიდოდა | მო-რაჲ-ვიდა |
| 11. ლ. 15, 25. ესმოდა | ესმა |
| 12. ლ. 19, 12; 22, 39. წარვიდოდა | წარვიდა |
| 13. ლ. 19, 21. მეშინოდა | შემეშინა. |

| წყვეტილი | უწყვეტელი |
|---|---|
| 1. მ. 9, 9. წარვიდა E(წარმოვიდა D) | წარვიდოდა |
| 2. მ. 17, 9. გარდამო-რაჲ-ვიდეს | გარდამო-რაჲ-ვიდოდეს |
| 3. მ. 19, 25. განუკჳრდა | განუკჳრდებოდა |
| 4. მ. 20, 29. გამოვიდეს | გამოვიდოდეს |
| 5. მ. 22, 33. დაუკჳრდა | დაუკჳრდებოდა |
| 6. მრ. 3, 20. ჴელ-ეწიფა | ჴელ-ეწიფებოდა |
| 7. მრ. 12, 5. ტანჯნეს | სტანჯვიდეს |
| 8. „—“ მოწყჳდნეს | მოჰკლვიდეს |
| 9. მრ. 15, 42. შემწუხრდა | შემწუხრდებოდა |
| 10. ლ. 11, 14. დაუკჳრდა | უკჳრდა. |

ამ წყვილეული მწკრივებიდან პირველში (უწყვ.—წყვ.) ეფთვიმეს მიერ გამოყენებული წყვეტილის 13 ფორმიდან ბერძნულში აორისტშია (=წყვ.) 11; ერთი (მე-13) იმპერფექტის ფორმითაა მიცემული, ხოლო ერთიც (მე-3) აწმყოს მიმღეობით, ე. ი. აბსოლუტურად უმეტეს შემთხვევაში ეფთვიმე ზუსტად მიჰყვება ბერძნულს, ოპიზური რედაქცია (DE) კი სცილდება მას.

წყვილეულის მეორე ჯგუფშიც (წყვ.—უწყვ.) ასეთივე უპირატესობით იცავს იგი ბერძნულის ვითარებას.

| წყვეტილი | II კავშირებითი |
|---|---|
| მ. 24, 45. დაადგინა | დაადგინოს |
| მრ. 8, 24, 25. განევთა | განევთას Ⴗ, განევლთას Ⴂ |
| მრ. 7, 11. (სარგებელ) გეყო | გეყოს. |

| წყვეტილი | II კავშირებითი |
|---|---|
| ლ. 16, 31. ისმინეს | ისმინონ |
| ლ. 24, 16. და ვერ იცნეს | რაჲთა ვერ იცნან |
| ი. 3, 2. უკუეთუმცა იყო | უკუეთუ იყოს, |

მაგრამ შინაარსი, აზრი აქ ორივეგან ერთია, განსხვავებას მხოლოდ ფორმალური მხარე აქვს: მცა ნაწილაკი ქმნის.

| | |
|---|---|
| ი. 15, 8. იდიდა | იდიდოს. |

| II კავშირებითი | წყვეტილი |
|---|---|
| მ. 9, 42. გამო-თუ-იბას | გამო-თუმცა-იბა |

აქაც მცა ნაწილაკია ფორმათა განსხვავების მიზეზი.

| | |
|---|---|
| მრ. 10, 29. დაუტევოს | დაუტევა |
| ლ. 6, 49. ისმინნეს (მან) E | ისმინა D |
| ლ. 14, 14. რაჲ მოგაგონ | რაჲმცა მოგაგეს |

მხოლოდ მცა ნაწილაკი ქმნის ფორმალურ განსხვავებას.

| | |
|---|---|
| ი. 5, 21. პატივ-სცეს (II) | პატივ-სცა |
| ი. 6, 39. მომცეს (მან) | მომცა |
| ი. 13, 14. დაგბანნე E | დაგბანე D |
| ი. 18, 36. რაჲთა არა მივეცე | რაჲთა არამცა მივეცი. |

ამ მუხლში 8 მაგალითიდან 3 მცა ნაწილაკის გამოა ფორმალურად განსხვავებული (მცა ნაწილაკიანი წყვეტილში დგას). დანარჩენი ხუთის მონაცვლეობა კი ჩვეულებრივია ძველ ქართულში სხვა შემთხვევებში და მხოლოდ რედაქციული სხვაობის ბრალი არ უნდა იყოს. ეს მოვლენა შემჩნეულია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში და მის ასახსნელად გარკვეული მოსაზრებაც არის გამოთქმული[1].

| II კავშირებითი | აწმყო |
|---|---|
| მ. 5, 12. სასყიდელი თქუენი დიდი იყოს | — ფრიად არს |
| ი. 6, 51. რომელი მე მივსცე (II) | — რომელსა მე მივსცემ. |

ამ უკანასკნელ შემთხვევაში მომავალი დროის წარმოების ახალ წესთან გვაქვს საქმე: აქ ზმნისწინიანი აწმყო ახლანდელი დრო კი არ არის (ვაძლევ, даю), როგორც ძველ ქართულში იყო წესად და კანონად, არამედ მომავალი დროა (მივცემ, отдам), როგორც ახალ ქართულშია დამკვიდრებული. მომავალი დროა ბერძნულშიც და სხვა ენების თარგმანებშიც: ὃν ἐγὼ δώσω, *զոր ես տաց*, которую я отдам, das ich geben werde, which I will give. ეს მაგალითი ჩვენ უკვე განვიხილეთ ზემოთ (გვ. 90) სახელის ბრუნვასთან დაკავშირებით და აქაც, მის ნამდვილ ადგილზეც ვიმეორებთ. ეს იყო დიდი სიახლე მომავალი დროის გამოხატვის ახალი გზების ძიების საქმეში. ამ სიახლის ცხელ სუნთქვას ჩვენ კარგად ვგრძნობთ ეფთვიმეს ნაწერებში საერთოდ, კერძოდ კი, ოთხთავის მისეულ რედაქციაში.

| I თურმეობითი | წყვეტილი |
|---|---|
| მ. 15, 6. დაუმტკიცებელ გიყოფიეს E | ... ჰყავთ D |
| ლ. 18, 21. დამიმარხავს | დავიმარხე |

---

[1] რ. ენუქაშვილი. ზოგიერთი თავისებური ზმნური ფორმა „ვეფხისტყაოსანში" და მათი პარალელები ძველ ქართულში: ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა 42-ე სამეცნიერო სესიის მასალები, 1976, გვ. 70.

II თურმეობითი  წყვეტილი

ი. 18, 26. რომელსა წარეკუეთა  წარჰკუეთა...
(მისთჳს) ყური

ბერძნულ ენას თურმეობითის ფორმები არ გააჩნია. რადგანაც თურმეობითებით წარსული დროის შინაარსია გადმოცემული, ამიტომ მათ გვერდით ქართულში ჩვეულებრივ წყვეტილია მოსალოდნელი და გვაქვს კიდეც სამიდან სამივე შემთხვევაში; ბერძნულში კი მათ ნაცვლად აორისტია საგულვებელი და არის კიდეც (ἠκυρώσατε, ἐφύλαξα || ἐφυλαξάμην, ἀπέκοψεν.

## b) ზმნის პირები

ზმნის პირთან დაკავშირებული რედაქციული სხვაობა ერთობ მცირეა. ხან I და II სუბიექტური თუ ობიექტური პირები ენაცვლება ერთმანეთს, ხან—I და III, ზოგჯერ — II და III. მიზეზები აქ სხვადასხვაა. მაგრამ მივყვეთ რიგზე.

მ. 13, 27. დავსთესეთ  დასთესე GHI, დასთესეა FK.

ბერძნულში II პირია—ἔσπειρας. მაშასადამე, სწორია ეფთვიმესა (და გიორგის) წაკითხვა.

მრ. 8, 23. რასა ჰხედავ  რასა-ძი ხედავს.

საფუძველი თვით ბერძნულშია: იქაც ორივე პირია სხვადასხვა გამოცემებში: βλέπει და βλέπεις. სხვაობას, ქართულში, ყოველ შემთხვევაში, პირდაპირი და ირიბი ნათქვამი უნდა ედოს საფუძვლად. პირველს ჰხედავ შეეფერება, II-ს—ხედავს. ႤႢ რედაქციებში III პირის საჭიროებას გახაზავს ძი ნაწილაკი, რომელსაც სწორედ ირიბი ნათქვამი და III პირი მიესადაგება: ჰკითხა მას, რასა-ძი ხედავს (თუ რას ხედავს).

მრ. 14, 35. რაჲთა თანა-წარმჴდეს —რაჲთა თანა-წარჰჴდეს
ჟამი ესე  ჟამი იგი მისგან.

შდრ. παρέλθῃ ἀπ' αὐτοῦ ἡ ὥρα.

ლ. 17, 17. არა ათნივე განიკურნენით D  ...განიკურნნესა E.

შდრ. οὐχ οἱ δέκα ἐκαθαρίσθησαν.

C რედაქციის II პირის ფორმა იმით აიხსნება, რომ შემკითხველი (იესუ) გულისხმობს, რომ, ვისაც ეკითხება, ისიც ერთ-ერთი იმ ათთაგანია, რომლებიც განიკურნნენ. ႤႢ რედაქციები ბერძნულს მისდევს და III პირის ფორმას ხმარობს.

ი. 1, 26. მე ნათელ-გცემ  მე ნათელ-ვსცემ
თქუენ წყლითა  წყლითა.

შდრ. ἐγὼ βαπτίζω ἐν ὕδατι. ბერძნული βαπτίζω ერთპირიანია, ის მხოლოდ სუბიექტურ პირს აღნიშნავს, ობიექტად მას შინაარსის მიხედვით ყველა პირს დაუყენებ გვერდში. ქართულად შეეძლოთ გადმოეტანათ ორნაირად II და III ირიბობიექტური პირების აღნიშვნით: ნათელ-გცემ მე თქუენ და ნათელ-ვსცემ მე მათ. ქართულში ორივე შესაძლებლობა აისახა. C რედაქციაში II ირიბობიექტური პირის პოზიციის გასამაგრებლად თქუენც დაუმატეს: ნათელ-გცემ თქუენ (დამწერი გულისხმობდა, იესუ იქ მყოფ მსმენელებს მიმართავსო), რაც ბერძნულში არაა. ბერძნული და სხვა ევროპული ენები, რა თქმა უნდა, ობიექტად III პირს გულისხმობენ. აქედან ჩანს, რომ მხოლოდ Ⴄ(Ⴂ) რედაქციის წაკითხვაა მართებული.

ი. 4, 11. არცა სავსებელი გუაქუს E …გაქუს D.

შდრ. οὔτε ἄντλημα ἔχεις. ცხადია, გაქუს უნდა იყოს და არა გუაქუს, როგორც E-ში იკითხება.

ი. 8, 40. რომელი ჭეშმარიტსა გეტყჳს თქუენ D — … გეტყჳ E.
შდრ. ὅς τὴν ἀλήθειαν ὑμῖν λέλάληκα (=გეტყჳ).

ი. 13, 18. მე ვიცი, რომელნი გამოვირჩიენ — მე გიცნი, რომელნი გამოგირჩიენ.

ვიცი-ს ნაცვლად გიცნი, რა თქმა უნდა, ქართულ ნიადაგზეა შენაცვლებული: ვიცი ზმნა ძველ ქართულში ობიექტური პირების მიხედვითაც იცვლება (მე გიცი შენ, შენ მიცი მე, მან გიცის შენ...) და ამ პირდაპირი ობიექტის მრავლობითობასაც ასახავს: ვიცი იგი, ვიცნი იგინი, იცის იგი, იცნის იგინი. აქ მთავარია საქმის მეორე მხარე: ეს ვიცი პირდაპირ ობიექტად გულისხმობს მომდევნო წინადადებას „რომელნი გამოვირჩიენ“, თანაც ეს „რომელნი გამოვირჩიენ“. ის ხალხია, ვინც იქვე უსმენს იესუს, ვისაც იესუ ელაპარაკება და მიმართავს, ე. ი., ნაცვალსახელით რომ გამოვხატოთ, თქუენ. აი ეს თქუენ იგულისხმება პირდაპირ ობიექტად ორივე ზმნაში: გიცნი და გამოგირჩიენ (თქუენ). ეფთვიმეს თარგმანი აქ დაცილებულია ბერძნულს, მაგრამ არა თვითნებობით, არამედ ქართული ენის შინაგანი ბუნების გათვალისწინებით, მისდამი ერთგულებით და სათუთი დამოკიდებულებით.

დასასრულ, აღვნიშნავთ, რომ პირველი ობიექტური პირის ნიშნები მრავლობითში ორ რედაქციაში ზოგან სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი, მაგალითად:

| მ | გუ |
|---|---|
| მ. 15, 15. გამომითარგმანე (ჩუენ) | გამოგჳთარგმანე |
| ლ. 11, 45. მაგინებ (ჩუენ) | გუაგინებ |
| ლ. 23, 18. მომიტევე (ჩუენ) | მოგჳტევე. |

| გუ | მ |
|---|---|
| ლ. 1, 69. აღგჳდგინა | აღმიდგინა (ჩუენ). |

4-დან 3 მაგალითი გუ პრეფიქსით, ახალი სახითაა წარმოდგენილი სწორედ ეფთვიმეს რედაქციაში, ამ განსხვავებულ ადგილებში აქ (Ч) ძველებურად მხოლოდ ერთი ნიმუში გვაქვს. ესეც ეფთვიმეს ენის სიახლის ტენდენციაზე ლაპარაკობს.

### c) ზმნის რიცხვი

ორ რედაქციაში ზმნათა სხვადასხვა რიცხვის არსებობის შესახებ ნაწილობრივ იყო უკვე ზემოთ საუბარი, რამდენადაც გარკვეულ შემთხვევებში სახელის რიცხვთან დაკავშირებულია ზმნის რიცხვიც. ახლა აქ განვიხილავთ ზოგ სხვა შემთხვევასაც.

მ. 6, 21. მუნცა იყვნენ გულნი თქუენნი — მუნცა იყოს გული თქუენი.

ბერძნულში მხოლობითია: ἡ καρδία ὑμῶν (|| σου). სხვა თარგმანებშიც მხოლობითია: сердце, das Herz, heart. მრავლობითი კი გვაქვს, როგორც მოსალოდნელი იყო, სომხურში: *անդ եւ սիրտք ձեր եղիցին.* დასაშვებია, რომ

სადღაც ბერძნულშიც იქნებოდა მრავლობითი. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ აქ მსაზღვრელად გვაქვს როგორც σου, ისე ὑμῶν (მხ., მრ.).

მ. 6, 26. მიხედენით მფრინველთა ცისათა    მიხედეთ...

ეს სხვადასხვა ფორმა მხოლოდ ქართულ ნიადაგზეა აღმოცენებული. მიხედენით-ში ასახულია პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა (აქ პირდაპირ ობიექტად იგულისხმება თუალნი), მიხედეთ კი ამ მრავლობითობას ვეღარ ასახავს, ამ დროს ფორმაში თუალ-ის, პირდაპირობიექტური პირის, გაგება აღარ არსებობდა და მისი მრავლობითობაც არ აისახებოდა. მიხედენით უფრო ძველი წესის გადმონაშთია. ასეთი მაგალითებია კიდევ: მომხედა და მომხედნა (ლ. 1, 78), შთაჰხედა G და შთახედნა F (ლ. 24, 12), ოღონდ აქ ენ → ნ სუფიქსიანი ფორმები ეფთვიმეს რედაქციაშია შემონახული, C̄-ს კი აღარ მოეპოვება.

მ. 9, 8. იხილეს რაჲ ესე ერმან მან    ...იხილა.

ეს რიცხობრივი განსხვავებაც ქართულ ნიადაგზე წარმოდგება: ძველ ქართულში ზმნა კრებით სახელთან ხან მხოლობითში იხმარებოდა, ხან მრავლობითში: ამ უკანასკნელ შემთხვევაში ზმნა ანგარიშს უწევდა სახელის შინაარსს და ამიტომ მას მრავლობითში ეთანხმებოდა. როდის არის მხოლობითში, როდის — მრავლობითში, ამას ზუსტი წესი არა აქვს. ეს კია, რომ რამდენადაც ზმნა და სახელი (შემასმენელი და ქვემდებარე) ერთმანეთს მეტადაა დაცილებული, შეთანხმებაც უფრო ხშირია (ზმნა მრავლობითს გვიჩვენებს), და პირიქით. ხოლო როცა კრებით სახელს წინ უძღვის ყოველი (ყოველმან) განსაზღვრებითი ნაცვალსახელი, მაშინ ზმნა კიდევ უფრო ხშირადაა მრავლობითში:

მრ. 9, 15. ყოველმან ერმან იხილეს იგი    ... იხილა.

ასეთია კიდევ ეს მაგალითიც, ოღონდ შებრუნებული რიგით (ზმნა მრავლობითში Ч რედაქციაშია):

ლ. 18, 43. და ყოველმან ერმან იხილა    — ... იხილეს.
მ. 14, 10. და მიავლინნა D და
მოჰკუეთეს თავი იოვანეს    — ... მოჰკუეთა E.

C̄ რედაქციაში (D-ში) მიავლინნა იკითხება. რადგანაც ბევრი იყო მივლინებული და იოვანესთვის თავის მოკვეთაც იმათ ევალებოდათ, ამიტომ, ცხადია, აქვე გვაქვს მოჰკუეთეს (მათ); სხვა რედაქციებში (C, Ч, Ъ) ერთია გაგზავნილი და ამიტომაც არის მოჰკუეთა (მან). E-ს მიავლინა-ში მეორე ნ დაკარგული უნდა იყოს (ნნ → ნ).

მ. 22, 4. ზუარაკები და უსხები
ჩემი დაკლულ არს    ... არიან.

აქაც არს და არიან ქართულის ნიადაგზე უნდა აიხსნას: ძველ ქართულში ებიან მრავლობითში დასმული სახელი (ქვემდებარე, პ. დამატება) ზმნას ჩვეულებრივ ვერ ითანხმებს (შეემთხჳა მათ ქალები, ურმები მცირჱ გამოვიდა ქალაქით, მსხუერპლები აღვიდა, მშჳლდები მოუძლურდა...). იშვიათად ძველ ქართულშიც გვაქვს შეთანხმების შემთხვევები, პროცესი უკვე დაწყებულია (სულები იგი არაწმიდაჲ ჰხედვიდეს მას: მრ. 3, 11; გარდავიხილენით გუამები იგი მოწამეთაჲ: სინ. 278, 13).

ეფთვიმეს რედაქცია აქაც სიახლეს გვიჩვენებს: ზმნას უთანხმებს ებიან მრავლობითში დასმულ სახელს: ზუარაკები და უსხები დაკლულ

არიან. ამ შეთანხმებას კიდევ მოეპოვება სხვა საფუძველიც: სუბიექტი ორია (ზუარაკები და უსხები).

მრ. 4, 30. რასა ვამსგავსო K —... ვამსგავსოთ.
„—" რომელი იგავი მოვიღო F —... მოვიღოთ G.

შდრ. πῶς ὁμοιώσωμεν, παραβάλωμεν (παραβολῇ θῶμεν). Ⴂ-ს წაკითხვა (მხ. რ.) სხვა გზით უნდა მოდიოდეს. სხვა ენების თარგმანებშიც (მათ შორის სომხურშიც) მრავლობითია.

ლ. 4, 40. ჰქონდეს უძლურნი აქუნდა უძლურები.

სხვადასხვაობა აქაც ქართულის თავისებურებითაა გამოწვეული: ერთგან სახელი ნარიან მრავლობითშია (უძლურნი) და ზმნაც ამის გამოა შეთანხმებული (ჰქონდეს), ხოლო მეორეგან იგივე სახელი ებიანი მრავლობითის ფორმითაა მოცემული (უძლურები) და ესაა მიზეზი, რომ ზმნას მრავლობითში ველარ იწყობს (აქუნდა).

ი. 11, 7. გუალე კუალად წარვიდეთ ... გუალეთ F.
ჰურიასტანად G

შდრ. ἄγωμεν. ბერძნულში მხოლოდ ეს ერთი ზმნაა შემასმენლად; ასევე გადმოღებული რუსულშიც (пойдем). ქართულში ἄγωμεν ორი ზმნით გადმოაქვთ: ა) გუალე(თ) (მოგუალეთ) და ბ) წარვიდეთ (მივიდეთ). ბერძნულში ἄγωμεν, როგორც ვხედავთ, მრავლობითშია, ქართულში გუალე Ⴂ-ში მხოლობითშია, ႣႤ-ში მრავლობითში (გუალეთ), მეორე ზმნა კი ორივეგან მრავლობითშია (წარვიდეთ). ბერძნული ფორმის გადმოცემის მთელ სიმძიმეს სწორედ ეს მეორე ზმნა კისრულობს და ამიტომაა იგი ყველგან ბერძნულის შესატყვის მრავლობითში. რაც შეეხება გუალე ფუძეს, იგი ძველ ქართულში საკმაოდ გაცვეთილი და შეკვეცილია, ზმნად თითქმის არ ითვლება, თითქმის ნაწილაკადაა ქცეული (ამიტომ ახლავს თან ნამდვილი ზმნა — პირისა და რიცხვის მქონე ფორმა). მოგუალეთ ისე გაცვეთილა, რომ ადიშის ხელნაწერში მხოლოდ მო-მდე დასულა: მო და მივიდეთ ბეთლემდმდე: ლ. 2, 15 C; აწ მო და მივიდეთ მისა: ი. 11, 15 C. ეფთვიმე (და გიორგი) აქაც ბერძნულს მიჰყვება და ამ ფორმასაც მრავლობითში სვამს (გუალეთ). აი კიდევ ამის ორი მაგალითი

ი. 11, 15. მოგუალე და მივიდეთ მისა D —...მოგუალეთ E.
ი. 11, 16. გუალე მივიდეთ ჩუენცა მოგუალეთ[1].

დავძენ ბოლოს, რომ ამ საინტერესო ზმნას გერმანელებიც ორი ფორმით გამოხატავენ (ერთი მათგანი მეშველია — lassen): lasset uns wieder nach Judäa gehen (ი. 11, 7); lasset uns nun zu ihm hingehen (ი. 11, 15); lasset uns mit ihm gehen (ი. 11, 16).

### d) ქცევა

მ. 2, 4, ლ. 18, 36. ჰკითხვიდა მათ — იკითხვიდა მათგან.

პირველი ამათგანი საარვისო ქცევის ფორმაა, მეორე — სათავისოსი. ბერძნულში ამათ ბადლად არის ἐπυνθάνετο. სწორედ ამნაირი ბერძნული ფორმე-

---

[1] თვით გუალე, გუალეთ წარმოშობით ვალ ფუძიანი ზმნა უნდა იყოს (მო-ვალ, მო-ვალ...): ა. ჩიქობავა, მრავლობითობის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში: იკე, I, 1946, გვ. 124.

ბის შესახებ ამბობს ა. შანიძე, რომ ბერძნულის ე. წ. მედიუმი სხვა გარდამავალ ფორმებს არა გვარის, არამედ ქცევის მიხედვით შეეზომება, რომ ἐπυνθάνετο არის სათავისო ქცევის ფორმა, ოღონდ ქართულისაგან იმით განსხვავდება, რომ ქართულ იკითხვიდა-ს ორი პირის გაგება აქვს, იგი ორპირიანი ზმნაა, ხოლო ბერძნულ ἐπυνθάνετο-ს მხოლოდ ერთი პირის გაგება შეუძლია მოგვცეს, იგი (როგორც ყოველი სხვა ბერძნული ზმნა) ერთპირიანია[1].

ყველა სხვა შემთხვევაში ქცევის მიხედვით განსხვავებული ფორმები სხვადასხვა (Ⴂ — Ⴃ) რედაქციის ხელნაწერებში მხოლოდ ქართულ ნიადაგზე უნდა აიხსნას: სასხვისო ქცევის ფორმათა გადმოსაცემად პარალელური რედაქცია საარვისო ქცევასა და თანდებულიან სახელს მიმართავს (ვყავ თქუენდა მიმართ — გიყავ თქუენ), საარვისოს სათავისო ენაცვლება მარტო ან თანდებულიანი სახელის დამატებით (შთაასხიან — შთაისხიან, ჰკითხვიდა მათ — იკითხვიდა მათგან) და სხვა.

აქ ვუჩვენებთ მხოლოდ რამდენიმე ტიპურ შემთხვევას.

| | |
|---|---|
| მ. 5, 44. ილოცევდით მათჳს | — ულოცევდით მათ |
| მ. 22, 16. მიავლინნეს | მიუვლინნეს |
| მრ. 5, 19. რაოდენი რაჲ ყო | რავდენი გიყო |
| შენ თანა უფალმან | შენ უფალმან. |

„ყო შენ თანა“ იმ ენის თარგია, რომელსაც არა აქვს ორ- და სამპირიანი ზმნა (ამ შემთხვევაში სირიულის თუ ბერძნულის), ხოლო „გიყო შენ“ წმინდა ქართული ბუნების გამოთქმაა: გიყო უფალმან შენ იგი. სხვადასხვა გამოთქმაში ამ სამი პირიდან შეიძლება არ ვიხმაროთ ერთი-ერთი (გიყო მან იგი, გიყო მან შენ, გიყო შენ იგი), მაგრამ სინამდვილეში სამივე იგულისხმება ყოველთვის. ამითაა ქართული მდიდარი. როგორც ვხედავთ, ამ ორნაირი ფორმის შეპირისპირებაში სასხვისო ქცევიანი ფორმა ეფთვიმეს აურჩევია, მას უკუუგდია მოცემული შემთხვევისათვის უფრო მოუქნელი და მცირისმეტყველი, თანდებულით დამძიმებული უფალმან „ყო შენ თანა“ (ე. ი. გიყო შენო).

აი კიდევ ამ ტიპის სხვა ნიმუშები:

| | |
|---|---|
| მრ. 5, 20. რაოდენი რაჲ ყო | რავდენი უყო მას |
| იესუ მისთჳს | იესუ. |
| ლ. 1, 49. ყო ჩემ თანა | |
| დიდძალი ძლიერმან | ... მიყო მე... |
| ი. 13, 12. რაჲ ესე ვყავ | ...გიყავ თქუენ. |
| თქუენდა მიმართ | |

(მან იგი) „მიყო მე“ ტიპის სამპირიან ფორმათა დამკვიდრებაში ეფთვიმეს როლი დიდია. დღეს ამნაირი ფორმები წარმოადგენს ბუნებრივი ქართულის სულსა და გულს, ყოველდღიურად მრავალჯერ სახმარ მასალას, ქართული სტილისტიკის ოქროს ფონდს.

| | |
|---|---|
| მრ. 16, 15. ქადაგეთ | ...უქადაგეთ ყოველთა |
| სახარებაჲ ესე ყოველსა დაბადებულსა | დაბადებულთა. |

რბილად რომ ვთქვათ, Ⴂ რედაქციის „ქადაგეთ სახარებაჲ ესე ყოველსა დაბადებულსა“ არ ვარგა: აქ ქართული ორივე ფეხით კოჭლობს.

---

[1] ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, 1973, გვ. 352—353. ამავე შეხედულებას იზიარებს პროფ. ა. ურუშაძე: ძველი ბერძნული ენა, 1969, გვ. 134—136.

ლ. 7, 6. მიავლინნა... მისა (მეგობარნი) ... მიუვლინნა.

ლ. 20, 10. მიავლინა (მონაჲ) G ... მიუვლინა F.

ლ. 20, 35. განიქორწინებენ D — განჰქორწინებენ EႤ,
განჰქორწინებდენ Ⴂ.

აქ სათავისო ქცევა შეუძლებელია: საქმე ეხება ქალების გათხოვებას, ქალები არ (გა)თხოვდებიანო. უექველია ი აქ გაჩენილია წინამავალი „იქორწინებიან“-ის ანალოგიით.

ლ. 22, 13. მომზადეს (პასქაჲ იგი) მოუმზადეს.

რა თქმა უნდა, მოუმზადეს ბევრად უკეთესია, ვიდრე „მომზადეს“, რადგან შინაარსის მიხედვით აშკარად ჩანს ირიბი ობიექტი — ქრისტე (ქრისტეს მოუმზადეს). მაგრამ საქმე ისაა, რომ C რედაქციის ზმნა მომზადეს წარმოშობით სამპირიანია, ძველად, ძალიან ძველად, მასაც ჰქონდა ირიბი ობიექტი (მას), რომლის ნიშანიც ძველ ქართულში ჩვეულებრივ დაცულია (მოჰმზადეს). მაგრამ ეს და ამ ტიპის ზმნები ძველ ქართულში ჩვეულებრივ ორი პირის გაგებას შეიცავს, თუმცა ფორმა ძველებურად სამპირიანისა აქვს შემონახული[1]. ეფთვიმე უფრო ახალ და ნათელ ფორმას გვთავაზობს, რომელშიც სამი პირიც კარგად ჩანს (მოუმზადეს მათ მას იგი) და თხრობის შინაარსსაც ზედმიწევნით ზუსტად და ბუნებრივად მიესადაგება.

### ე) გვარი

CႤ რედაქციებში ზოგჯერ ერთმანეთს ენაცვლება მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნები. ეფთვიმეს ვერსიის თავისებურებაც აქედან წარმოდგება. ამის მაგალითებია:

მ. 9, 17. რაჲთა არა განხეთქნეს თხიერნი იგი ღჳნომან ახალმან — რაჲთა არა განსთქდენ თხიერნი.

შდრ. εἰ δὲ μή γε, ῥήγνυνται οἱ ἀσκοί. მაშასადამე, აქ ზმნა ვნებითია და ეფთვიმეს უჭერს მხარს. მაშ რატომღაა C-ში მოქმედებითი და აქედან გამომდინარე დიდი რედაქციული სხვაობა? თვით ბერძნულის ზოგიერთ ვარიანტში ყოფილა „განხეთქნეს“ შესატყვისი მოქმედებითი: εἰ δὲ μή γε, ῥήσσει ὁ οἶνος ὁ νέος τοὺς ἀσκούς. აი სად მარხია ძაღლის თავი! C რედაქციას ამ ტიპის ხელნაწერიდან აქვს გადმოღებული მოქმედებითი და მასთან დაკავშირებული თავისებური ფორმები (უპირველესად ყოვლისა, სუბიექტი მსაზღვრელითურთ — ღჳნომან ახალმან). აქ ხელშესახებად ჩანს ქართულში არსებული ორგვარი წაკითხვის ორი სათავე. და როცა ბერძნულში ეს ორი სათავე არა ჩანს, ბევრ შემთხვევაში მისი არსებობა მაინც საგულვებელია: ახლა არ ჩანს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ არ იყო სადმე, არც არასდროს ყოფილა.

მრ. 2, 21. და უფროჲსად განაპის — და უძჳრესად განიპის.
შდრ. καὶ χεῖρον σχίσμα γίνεται (=ვნ.).

აქ იმასაც დავუმატებდით, რომ ეფთვიმეს მეორე სიტყვაც გამოუცვლია ბერძნულის შესაბამისად, რადგან χεῖρον არის სწორედ უძჳრესად. (უარესად,

---

[1] ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, 1920, გვ. 74—83.

უფრო ცუდად) და არა უფროჲსად, როგორც C კითხულობს. რუსული თარგმანიც ბერძნულს მისდევს სიტყვასიტყვით: и дыра будет еще хуже.

მრ. 9, 12. რაჲთა ფრიად ივნოს D — ...ევნოს E.

შდრ. ἵνα πολλὰ πάθῃ. ივნოს მან, მაშასადამე, მოქმედებითია. პირდაპირი ობიექტი დაკარგული აქვს, მაგრამ გარდამავალი ზმნის სინტაქსური კონსტრუქცია და უღლების ტიპი შენარჩუნებულია[1]. ევნოს კი ტიპური ვნებითია და ბერძნულს მიჰყვება კვალდაკვალ.

ლ. 6, 38. საწყაული... მოგეცეს E.. — ...მოგცენ.

შდრ. δώσουσιν (=მოქმ. = Ⴄ Ⴂ).

ლ. 24, 8. და მათ მოიჴსენნეს სიტყუანი მისნი — ...მოეჴსენნეს.

შდრ. καὶ ἐμνήσθησαν τῶν ῥημάτων αὐτοῦ (=მოქმ. = C). შესაძლებელია დავუშვათ, რომ ბერძნულის სხვა რომელიმე რედაქციასა თუ ხელნაწერში სწორედ ვნებითის ფორმა იყო. აქ შინაარსითაც ვნებითის „მოაგონდათ“ უფრო უკეთესად გამოხატავს ტექსტის აზრს, ვიდრე მოქმედებითის გაიხსენეს, მოიგონეს.

ი. 16, 21. არღარა მოეჴსენის ჭირი D — მოიჴსენის E.

შდრ. οὐκέτι μνημονεύει τῆς θλίψεως. ბერძნული აქ ეფთვიმეს მხარეზეა. μνημονεύει მოქმედებითი გვარის ზმნაა, როგორც ჩვენი მოიჴსენის.

ი. 21, 14. გამოუცხადა იესუ თავი თჳსი მოწაფეთა თჳსთა — გამოეცხადა იესუ მოწაფეთა თჳსთა.

შდრ. ἐφανερώθη Ἰησοῦς τοῖς μαθηταῖς (=ვნ. = Ⴄ Ⴂ).

როგორც ვხედავთ, გვარის მიხედვით 7 დაპირისპირებული ფორმიდან ეფთვიმე 6 შემთხვევაში ბერძნულს მისდევს, მხოლოდ ერთხელ სხვა გვარს ირჩევს, ვიდრე ბერძნულში ჩანს ამჟამად. შემდეგ: ამ 6 ფორმიდან, სადაც ეფთვიმე ბერძნულს მიჰყვება, 4 ვნებითია, 2—მოქმედებითი. ეს გასაგებიცაა: ვნებითი გვარის ზმნის ხმარების არე ბერძნულში გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე ქართულში, რომელიც, როგორც ცნობილია, უფრო აქტივის ფორმებით არის განთქმული, პასივი მისთვის იმდენად დამახასიათებელი არაა, როგორც ინდოევროპული ენებისათვის, მათ შორის ბერძნულისათვის. მაგრამ დროდადრო, როცა პასივის ფორმები ქართველის ყურს, ასე თუ ისე, ეჩოთირება, იგი გაბედულად სცილდება დედნის ჩაჭედილ ჩარჩოებს და ქართულისათვის უფრო დამახასიათებელ და უფრო ბუნებრივ აქტივს ირჩევს. ხოლო როცა ქართულში ვნებითი უფრო მოხერხებულია და ბუნებრივი, ეფთვიმეს ასეთი ფორმა უყოყმანოდ შეაქვს თავის რედაქციაში, თუმცა ბერძნულში მოქმედებითია („მოეჴსენნეს“ ნაცვლად „მოიჴსენნეს“). მსგავსი ორმხრივი მაგალითები ბევრია, მაგრამ ჩვენ აქ ამ მცირედით დავკმაყოფილდებით: საერთო სურათს აქ მოყვანილი მასალაც კარგად გვიხატავს.

### f) ტმესი

როცა ორი (C და Ⴄ) რედაქცია განსხვავებულია ტმესის მოელენების მიხედვით, მოსალოდნელი იყო, რომ ტმესიანი ფორმები უფრო მეტად ძველ, C რედაქციაში იქნებოდა, უტმესოები კი—Ⴄ(Ⴂ)-ში, როგორც უფრო ახალში. მაგრამ არა: ტმესის მიხედვით განსხვავებული ყველა 8 (ტმესიანი) ფორმა სწორედ Ⴄ(Ⴂ) რედა-

---

[1] ნ. ამ ტიპის ზმნების შესახებ ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწილი II, 1971, გვ. 335—338.

ქციაში გვაქვს, ყველა 8 უტმესო — Ⴂ-ში! რატომ არის ეს ასე? ეფთვიმე მთაწმიდელი აღზრდილი და განსწავლული იყო ძველი ქართულის, კლასიკური ქართულის წიგნებზე. მას საქმე ჰქონდა უძველეს ქართულ ხელნაწერებთან, ყოველდღიურად ფურცლავდა, კითხულობდა და კრიტიკულად განიხილავდა ათეულ და ასეულ ფურცელს ამ ხელნაწერებისას. აქ წარამარა ხვდებოდა იგი ასეთ ფორმებს, რომელთაც, უნდა ითქვას, დიდი გამომსახველობითი ძალა აქვს, ტმესიანი ზმნების მოქნილი ფორმა და ექსპრესიული ძალა ხიბლავდა და იზიდავდა და თავის შემოქმედებითს პრაქტიკაშიც ხშირად მიმართავდა. ეს იყო მისი მხატვრული სტილის ერთ-ერთი მკვეთრად გამოხატული დამახასიათებელი ნიშანი. ამას ჩვენ მისი სხვა სახის თარგმანებშიც ნათლად ვხედავთ. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ ამ შემთხვევაშიც, ამ დიდ საქმეშიც, რომელსაც ქართული ოთხთავის ახალი რედაქციის შექმნა წარმოადგენს, დიდი სიყვარულით მოჰკიდებოდა ტმესიან ფორმებს, რომელთაც 200 წლის შემდეგ დიდი რუსთველიც ასეთივე სიყვარულით მიმართავდა. და სად? რა მიზნით? — წმინდა მხატვრული ფუნქციით, სამარადჟამოდ უკვდავ „ვეფხისტყაოსანში“.

აი ეფთვიმეს მაგალითები:

მ. 9, 32. და ვითარცა იგინი
გამოვიდეს — ... გამო-ოდენ-ვიდეს.

ეფთვიმეს ფორმაში მეტია ნათქვამი, ვიდრე Ⴂ-ს ვითარცა... გამოვიდეს-ში: აქ იგულისხმება: გამოვიდნენ თუ არაო, როგორც კი გამოვიდნენო. ამიტომაა, რომ ბერძნულში მას მოჰყვება ცნობილი ἰδού, რაც სწორედ მომენტალურ მოქმედებაზე მიუთითებს. ადიშში ἰδού-ს ბადალი აჰა შემოუტანიათ. მაგრამ ზმნისწინსა და ზმნას შორის ჩასმულ ოდენ-ს მაინც სხვა ვერაფერი შეედრება.

მ. 21, 18. ხვალისაგან მოვიდოდა ... მო-რაჲ-ვიდოდა...
იესუ ქალაქად, და შეემშია

სად მოვიდოდა (და შეემშია) და სად მო-რაჲ-ვიდოდა (‚შეემშია)?! პირველი გაცვეთილი და ბლუა, მეორე — მრავლისმეტყველი ენამზე, ის ზუსტად ამბობს, რაც საჭიროა: როცა მოდიოდა, გზაში მოშივდაო. და ეს ნათქვამია მოკლედ და მოქნილად, ერთი სიტყვით. დავუმატებთ ბოლოს, რომ ადიშს აქაც უგრძვნია უკმარობა და ვითარ დაუმატებია (ვითარ აღმოვიდოდა ქალაქად, შეემშია). ეს, რა თქმა უნდა, Ⴂ-ს წაკითხვას ბევრად სჯობია, მაგრამ Ⴄ-სთან სად მივა!

მ. 26, 60. უკუანაჲსკნელ ... მო-ვინმე-ვიდეს
მოვიდეს ორნი ორნი C.

ადიშსაც ასეთივე ტმესი აქვს. ეფთვიმეს, ცხადია, ნახული ჰქონდა ესეც და სწორედ ამას დაუჭირა მხარი და ეს შეიტანა მისეულ რედაქციაში.

მრ. 5, 22. და მოვიდოდა მისა და აჰა მო-ვინმე-ვიდა
ერთი შესაკრებლის-მთავარი მისა შესაკრებლის-მთავარი C.

ამ შემთხვევაშიც ეფთვიმესთვის მისაღები და სანიმუშოა ადიშის ტმესიანი ფორმა და აქაც მას ესესხება.

მრ. 12, 4. მასცა ჴუალად მასცა ჴუალად
გამოეწყვნეს გამო-ვე-ეწყვნეს.

სახელს (ნაცვალსახელს) დართული ცა ნაწილაკი და ზმნაში ტმესის სახით ჩართული ვე ჰარმონიულად ეხმიანებიან ერთმანეთს. მაგრამ ამაზე უკვე გვქონდა ზემოთ საუბარი ნაწილაკებთან დაკავშირებით (გვ. 97).

| | |
|---|---|
| მრ. 16, 5. და შევიდეს საფლავსა მას და იხილეს ჭაბუკი | — და შე-რაჲ-ვიდეს საფლავსა მას, იხილეს ჭაბუკი. |

როდის იხილეს ის ჭაბუკი? ამაზე არც C, არც C (ადიში) არ უპასუხებს; ეფთვიმე კი ზუსტად გადმოსცემს ტექსტის აზრს: როცა შევიდნენ, მაშინვეო, შევიდნენ თუ არა, მაშინვეო, შესვლისასო, შესვლისთანავეო. და ეს სიზუსტე მიღწეულია სიტყვის მაქსიმალური ეკონომიით, შეკუმშულად, მაგრამ დიდი ექსპრესიული ძალით.

| | |
|---|---|
| ლ. 19, 15. მოქცევასა მას მისსა | — ... მო-რაჲ-აქუნდა. |
| მოაქუნდა მეუფებაჲ თჳსი. | |
| და ბრძანა მოწოდებაჲ მონათაჲ მათ | |

როდის ბრძანა მონების მოხმობა? აქ C რედაქცია დუმს, სამაგიეროდ ადიში ლაღადებს: როცა მოჰქონდა (მეუფებაჲ თჳსიო). ეფთვიმე აქაც ადიშს ეყრდნობა.

| | |
|---|---|
| ი. 11, 6. დაადგრა ადგილსა მას, | —და-ღა-ადგრა DG. |
| სადაცა იყო, ორ დღე EFK | |

აქაც ტმესისეული ღა ნაწილაკი ჰარმონიულად ეხამება სადაცა ზმნიზედის ცა ნაწილაკს.

ამგვარად, როგორც დავინახეთ, ეფთვიმეს ენისათვის ფრიად და ფრიად დამახასიათებელია ტმესიანი ფორმების ხშირი ხმარება.

| CႢ | Ⴄ |
|---|---|

ამ თავში, როგორც აღნიშნული გვაქვს (გვ. 84), ისეთი სხვადასხვა სახის ფორმებია განხილული, რომლებშიც ეფთვიმეს მიერ არჩეულმა ფორმებმა გამოხმაურება ვერ პოვეს გიორგის რედაქციაში. გიორგი ამ შემთხვევაში ისევ C რედაქციის წაკითხვებს აძლევს უპირატესობას, ხოლო ეფთვიმე ცალკე დგას.

მასალებს აქაც წინა თავებში მიღებული რიგით წარმოვადგენთ.

## ა) სახელები

### a) ბრუნვები

| | |
|---|---|
| მ. 4, 25. მისდევდა მას ერი... | |
| წიაღ-იორდანით | ...წიაღ-იორდანისაჲ |

ასეა აგრეთვე მესტიის ოთხთავშიც (M) და, როგორც ეტყობა, B-შიც. შდრ. **καὶ πέραν τοῦ Ἰορδάνου.**

| | |
|---|---|
| მ. 15, 11. არა თუ პირით შემავალი შეაგინებს კაცსა, არამედ პირით გამომავალი შეაგინებს კაცსა | ...პირად... |

CႢ რედაქციების პირით (შემავალი) ნიშნავს: პირიდან, პირის გზით, პირის საშუალებით შემავალს, ხოლო Ⴄ რედაქციის პირად (შემავალი) არის პირში (შემავალი თუ შესული). ეფთვიმეს არჩევანი, ალბათ, იმან გააპირობა, რომ ძველ (C) რედაქციაში პირით ორგან ორგვარი აზრით არის ნახმარი — მიწევნითი და გამოსვლითი ბრუნვების მნიშვნელობით, რაც აძნელებს მათი შინაარსის გაგებას. თანაც არაა ლამაზი ტექსტის მოკლე მონაკვეთში ფორმების ასეთი განმეორება (პირით... პირით). პირად კი ყველა ამ უხერხულობას სპობს, ამიტომ იგი უკეთესია. ბერძნულში გვაქვს εἰς თანდებულიანი ფორმა (εἰς τὸ στόμα), რომელსაც ქართულში ყველაზე კარგად სწორედ ვითარე-

პირი შეეფერება. ბოლოს დავძენთ, რომ პირად აქვს აგრეთვე, როგორც მოსალოდნელი იყო, ეფთვიმეს რედაქციის (დიდი ოთხეულის) BM (ტბეთ-მესტიის) ხელნაწერებსაც.

მ. 23, 20. ფუცავს მას და ყოველსა, ...ყოველი
რომელი არს მას ზედა.

Ⴗ-ში ყოველი ბრუნვაში უთანხმდება არა ფუცავს ზმნას (ფუცავს... ყოველსა), არამედ მომდევნოს (საერთოდ მასთან უახლოესს): ყოველი რომელი არს მას ზედა. აქ ე. წ. სინტაქსური ასიმილაციის (ატრაქციის) კანონი მოქმედებს. ეს უფრო ძველი წესია. ყოველი მოეპოვებათ აგრეთვე ოთხეულის წევრ BM ხელნაწერებსაც.

მ. 26, 63. გაფუცებ შენ ღმრთისა — ღმერთსა
ცხოველისა ცხოველსა.

უძველეს ტექსტებში ამ ზმნასთან სახელი (დამატება) ნათესაობითში გვხვდება, როგორც აქა გვაქვს CႢ რედაქციებში. შეიძლება ნათესაობითი ბერძნულის გამო იყოს ნახმარი (ἐξορκίζω σε κατὰ τοῦ θεοῦ τοῦ ζῶντος), შეიძლება სხვა რამ მიზეზი იყოს (ქართულ ნიადაგზე დამყარებული), მაინც ფაქტია, რომ ეფთვიმე ამ საორჭოფო ფორმას გვერდს უვლის და შედარებით ახალს, უფრო ნათელსა და თანამედროვე ქართულისათვის ერთადერთს, მიცემითიან კონსტრუქციას იყენებს (გაფუცებ ღმერთსა). BM ხელნაწერები აქ ძველებურ ნათესაობითიან წესს ირჩევენ, მაგრამ როცა ეგევე გამოთქმა ქვევით (მრ. 5, 7) კვლავ ამოყოფს თავს, ოთხივე რედაქცია (CCႷႢ) მიცემითს მიმართავს უყოყმანოდ. ეფთვიმე აქ უფრო თანამიმდევარია. დავძენ ბოლოს, რომ ეს ადგილი სახარების სხვადასხვა თარგმანების ენებში სხვადასხვა ბრუნვის გამოყენებით არის გადაღებული: заклинаю богом живым, ich beschwöre bei lebendigen Gott.

მრ. 4, 31. ვითარცა-იგი მდოგვსა მარცუალი ...მარცუალსა.

შდრ. ὡς κόκκῳ σινάπεως. აი სად ყოფილა ძაღლის თავი დამარხული! ხოლო თვით ბერძნულში რატომღაა? იქ უნდა იყოს გამოძახილი (პასუხი) წინა მუხლის კითხვაზე: რასა ვამსგავსოთ სასუფეველი ღმრთისაჲ. ამის პირდაპირი, სრული პასუხია: ὁμοία ἐστὶν ἡ βασιλεία τῶν οὐρανῶν κόκκῳ σινάπεως (მ. 13, 31). ჩვენს მუხლში ეს პასუხი იგულისხმება და ამიტომაა მიცემითი (მსგავს... არს მდოგვსა მარცუალსა). BM-ში ძველებური, სახელობითიანი წაკითხვაა (...მდოგვსა მარცუალი).

მრ. 6, 39. მწუანვილსა ზედა თივისასა ...თივასა.

ფორმათა სხვადასხვაობა მომდინარეობს მწუანვილ-ის შინაარსის გაგებიდან: ა) მწუანვილი — მწვანე, ამწვანებული (ადგილსა მას მწუანვილსა: ხანძთ. 213, 9. = ქრ.$^3$); ბ) სიმწვანე, მწვანეულობა, მწვანილი. Ⴗ-ს „მწუანესა ზედა თივასა" იქნება: „მწვანე ბალახზე", CႢ-ს „მწუანვილსა ზედა თივისასა" — ბალახის სიმწვანეზე (ე. ი. მაინც მწვანე ბალახზე). შდრ. ძველი ქართულის ბნელი = სიბნელე, ბოროტი = სიბოროტე, საკვრველი = საკვირველება და სხვა. ბოლოს დავუმატებ, რომ Ⴗ რედაქციის თივასა გვაქვს აგრეთვე ამავე რედაქციის BM ხელნაწერებშიც.

მრ. 16, 18. გუელთა შეიპყრობდენ — გუელი ჴელითა აიქუან.

სხვადასხვა ბრუნვა აქ დამოკიდებულია გარდამავალი ზმნის სხვადასხვა (I და II სერიის) მწკრივებზე. ბერძნულის მიხედვით (ὄφεις ἀροῦσιν) მეორე კავშირებითი იყო მოსალოდნელი, როგორც გვაქვს კიდეც Ⴗ რედაქციის FG ხელნა-

წერებში. ამავე რედაქციის BM ნუსხებსაც II კავშირებითი გამოუყენებიათ, ოლონდ ႠႢ რედაქციის (შეპყრობა) ზმნიდან: გუელი ჴელითა შეიპყრან. ამიტომ სახელის ბრუნვა, რომელიც ჩვენ აქ გვაინტერესებს, იგივეა, რაც FG-ს აქვს (გუელი ჴელითა აიქუან FG ‖ შეიპყრან BM).

ლ. 9, 11. სასუფეველისათჳს ღმრთისა G... ღმრთისაჲსა FBM.

Ⴙ რედაქციაში დაცულია ორმაგი ბრუნების ძველი სისტემა, ႠႢ-ში იგი გამარტივებულია.

ლ. 23, 6. პილატეს რაჲ ესმა გალილეაჲ ...გალილეაჲთ.

Ⴙ-ში გალილეა ზუსტად იმ ფორმითაა გადმოტანილი, როგორითაც წინა მუხლში იყო მოხსენიებული (უწყიეს გალილეაჲთ, ვიდრე აქამომდე), ႠႢ-ში კი საწყისი (სახელობითის) ფორმით. ბერძნულში ზოგან მართლაც აკუზატივია (Γαλιλαίαν), რომელიც ქართულში ამ შემთხვევაში სახელობითით გადმოდის. FG-ს აქ M მიჰყვება, ႠႢ-ს კი—B.

ლ. 23, 53. შეჰმოსა მას არდაგი G — წარგრაგნა არდაგსა.

სხვადასხვა ზმნაა: პირველში არდაგი პირდაპირი დამატებაა, მეორეში არდაგსა — უბრალო დამატება. BM აქ ძველებურ (ႠႢ) წაკითხვას იმეორებს.

ი. 1, 30. უპირადეს ჩემსა არს G უპირადესი F.
უპირატეს Ⴂ.

ხაზგასმული სახელი B-შიც (უპირადჱსი) და M-შიც (უპირატჱსი) სახელობითში დგას (=F-ს).

ი. 1, 46. შესაძლებელ არსა ...კეთილი რაჲმე
კეთილისა რაჲსამე ყოფად B ყოფად M.
ი. 3, 30. იგი ჴერ-არს მისა ჴერ-არს
ალორძინებად და ჩემდა ალორძინებაჲ, ხ̃
მოკლებად ჩემდა დაკლებაჲ.

აქ B Ⴂ-ს უჭერს მხარს, M—Ⴙ-ს, ოლონდ მეორე ზმნა და ზმნისწინით აქვს ნაწარმოები (დაკლებაჲ).

ი. 4, 49. სამეუფეოჲსა კაცმან მან სამეუფოჲსამან მან კაცმან BM.

ႠႢ რედაქციისათვის „სამეუფოჲსა კაცი“ კომპოზიტია, ამიტომ პირველი სიტყვა (მსაზღვრელი) უცვლელია ყველა ბრუნვაში (სამეუფოჲსა კაცი, სამეუფოჲსა კაცმან, სამეუფოჲსა კაცსა... სამეუფოჲსა კაცნი, სამეუფოჲსა კაცთა...), ნაწევარიც სულ ბოლოს დაერთვის (სამეუფოჲსა კაცმან მან).

Ⴙ რედაქციისათვის კი ეს ორი სიტყვა ჩვეულებრივი მსაზღვრელ-საზღვრულია, ამიტომ ორივე ცალ-ცალკე იბრუნება თავ-თავისი წესებით (სამეუფოჲსაჲ კაცი, სამეუფოჲსამან კაცმან, სამეუფოჲსასა კაცსა... სამეუფოჲსანი კაცნი, სამეუფოჲსათა კაცთა...), ნაწევარიც შუაში ჩაერთვის ძველი წესების მიხედვით (ნაწევარი წინ უძღვის სახელს, თუ მას ახლავს კიდევ წინ დასმული განსაზღვრება), მაგალითად: სამეუფოჲსაჲ იგი კაცი, სამეუფოჲსამან მან კაცმან, სამეუფოჲსასა მას კაცსა... სამეუფოჲსანი იგი კაცნი, სამეუფოჲსათა მათ კაცთა.

ძველ ქართულში ორივე სახეობა გვხვდება. მას სხვადასხვაგვარად ეპყრობიან იმის კვალობაზე, ვის როგორი გემოვნება აქვს და ვინ როგორ უყურებს ამ წყვილს: მტკიცე კომპოზიტად თუ ჩვეულებრივ მსაზღვრელ-საზღვრულად. ჩვენი აზრით, ეფთვიმეს არჩევანი უნდა სჯობდეს.

ი. 13, 6. შენ დამბანა შენ დამბანნეა
ფერჴთა ჩემთა ფერჴნი ჩემნი.

ორივეში სხვადასხვა (I და II ) სერიის გარდამავალი ზმნაა და ამითაა გამოწვეული სხვადასხვა ბრუნვები. BM ხელნაწერები ამ შემთხვევაში Ⴀ-ს ემხრობიან.

ი. 21, 6. სიმრავლისაგან სიმრავლითა
თევზთაჲსა Ⴀ, სიმრავლისა მით თევზთაჲთა.
მისგან თევზთაჲსა Ⴂ

მიზეზის გარემოება ერთგან გან თანდებულიანი ნათესაობითით არის გამოხატული, მეორეგან — უთანდებულო მოქმედებითით. ძველ ქართულში ორივე ეს საშუალება კარგადაა ცნობილი და გავრცელებული. გიორგი Ⴀ-ს ეყრდნობა და პირველ გზას ირჩევს, ეფთვიმე Ⴀ-ს ასწორებს და II საშუალებას მიმართავს. რაც შეეხება B და M ხელნაწერებს, მათგან პირველი (B) Ⴀ-ს მიჰყვება, მეორე (M)—Ⴄ-ს.

### b) სახელის რიცხვი

მ. 6, 18. რომელი ჰხედავს
დაფარულთა F ...დაფარულსა G.

შდრ. ὁ βλέπων ἐν τῷ κρύφαίῳ || κρυπτῷ. აქედან ჩანს, რომ არც ერთი ქართული თარგმანი ზუსტი არაა. დედანშია, როგორც ვხედავთ, დაფარულში (ვინც დაფარულში ხედავსო) და არა დაფარულს თუ დაფარულთო. გერმანულადაც ასე უთარგმნიათ: der in's Verborgene sieht. ჩვენში გარემოება დამატებად უქცევიათ. აზრი აქაც კარგად არის გამოთქმული, ოღონდ ორიგინალს ცოტათი დაშორებულია. რაც შეეხება რიცხვს, რომელიც ახლა გვაინტერესებს, მხოლობითი უნდა იყოს, როგორც G ნუსხას აქვს დაცული. დავძენთ ბოლოს, რომ რუსულ თარგმანშიც, როგორც ქართულში, სადავო სიტყვა დამატებად არის წარმოდგენილი და მხოლობითშია (отец твой, видящий тайное, воздаст тебе явно).

მ. 9, 18. დასდევ ჴელი შენი G —დასხენ ჴელნი შენნი F.

შდრ. ἐπίθες τὴν χεῖρά σου ἐπ' αὐτήν. F ხელნაწერი აქ ცოდავს: მხოლობითი იყო საჭირო, როგორც აქვს ამავე რედაქციის სხვა ნუსხებს (GBM).

მ. 9, 35. ასწავებდა შესაკრებელთა ...შესაკრებელსა
შორის მათთა GB შორის მათსა FM.

შდრ. ἐν ταῖς συναγωγαῖς αὐτῶν. აქ კი მრავლობითი იყო საჭირო, F ხელნაწერი ამ შემთხვევაშიც უზუსტოა. მას აქ M ემხრობა.

მ. 12. 4. პურნი იგი... შეჭამნა F — პური იგი... შეჭამა G.

შდრ. τοὺς ἄρτους... ἔφαγεν. მხოლობითი აქვს აგრეთვე BM ნუსხებსაც. სხვაგან ყველგან მრავლობითია. მაგრამ არ შეიძლება სადმე ბერძნულში მხოლობითსაც არ ჰქონდეს დასაყრდენი (თუმცა მთლად გამართულად არც F-ს აქვს წარმოდგენილი მრავლობითი: პურნი იგი შესაწირავთაჲ, უნდა იყოს, რა თქმა უნდა, შესაწირავთანი, მაგრამ ეს გადამწერის უბრალო ლაფსუსი უნდა იყოს, და, დაე, ეპატიოს იოვანე ტატანელს).

მ. 18, 2. მოუწოდა იესუ ყრმასა ...ყრმებსა.

ბერძნულშია παιδίον. სხვა ენების თარგმანებშიც მხოლობითია: дитя, ein Kind, a little child. სომხურში სპეციალურადაა მითითებული ერთი ბავშვიო: *մանուկ մի*.. საიდან გაჩნდა FG ხელნაწერებში მრავლობითი? ამის დამწერს აქ ეს ადგილები ხომ არ ახსოვდა: მოჰგურიდეს ყრმებსა (მრ. 10, 13, ლ. 18, 5); აცადეთ ყრმებსა მაგას მოსლვად ჩემდა (მ. 19, 14; მრ. 10,

14; ლ. 18, 16)? ვინ იცის, როდის ამოტივტივდება საყვარელი წიგნის ზეპირად დახსომებული საინტერესო ადგილები!

მ. 26, 47. ერი მრავალი მახკლებითა ...მახკლითა
და წათებითა და წათებითა.

შდრ. μετὰ μαχαιρῶν καὶ ξύλων სხვა ენების თარგმანებშიც მრავლობითია: *սրօք եւ բրօք*, мечами и кольями, mit Schwertern und Knitten, with swords and staves. საიდან გაჩნდა აქ მხოლობითი? ძნელი ასახსნელია, რადგან გამართლება არა აქვს: თუ მართლა იესუს შესაპყრობად მოვიდა ერი მრავალი და თუ ყველას ჰქონდა წათები, რაღა ერთი მახვილით უნდა ყოფილიყვნენ შეიარაღებული? არა, აქაც რაღაც უბრალო ლაფსუსია, რომელიც გადაწერისას დაუშვეს. ასევე მხოლობითი (მახკლითა) გვაქვს აგრეთვე ოთხეულის ორ დანარჩენ (BM) ნუსხაშიც.

მრ. 10, 9. კაცი ნუ განაშორებნ — კაცნი ნუ განაშორებენ.

ბერძნულში, რა თქმა უნდა, მხოლობითია: ἄνθρωπος. შესაძლებელია დავუშვათ, რომ გადაწერისას განაშორებნ და განაშორებენ აურიეს ერთმანეთში (ამ დროს ყველას კარგად არ ესმოდა აწმყოს ხოლმეობითის ფორმები), ხოლო განაშორებენ აუცილებლად საჭიროებს, რომ მას შეეწყოს სწორედ კაცნი. ასეთი აღრევა არა ერთი მომხდარა (არნ → არიან, რბინ → რბიან, შურებინ → შურებიან, სთავნ → სთვენ...). ეს წაკითხვა მხოლოდ FG ხელნაწერებში გვხვდება.

მრ. 16, 15. ყოველსა — ყოველთა
დაბადებულსა დაბადებულთა.

შდრ. πάσῃ τῇ κτίσει.

მრავლობითი (FG) აქ გაუმართლებელია. ყოველი თავისი შინაარსით უნდა აცდუნებდეს გადამწერს (თუ ყოველია, ე. ი. ბევრი, მაშასადამე, მრავლობითი უნდაო).

ლ. 1, 52. გარდამოსთხინა
(დაამჭუნა D) ძლიერნი საყდართაგან — საყდრებით მათით.
შდრ. ἀπὸ θρόνων.

ქართულშიც ორივეგან მრავლობითია, ოღონდ CD-ში ნართანიანი (საყდართაგან), FG-ში კი — ებიანი (საყდრებით მათით). რომელი ბრუნვაა საყდართაგან? საერთოდ, 5-დან ერთ-ერთია მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი; პირველი სამი ხშირად, ორი უკანასკნელი იშვიათად. თან ზოგჯერ ძნელი გასაგებია, თუ რომელ ბრუნვასთან გვაქვს საქმე. დაღოცვილი ებიანი საყდრებით კი ყოველთვის და მუდამ მოქმედებითია და მისი ამოცნობაც არავითარ სიძნელესთან არ არის დაკავშირებული. აი რატომ შეცვალა ეფთვიმემ C-ს საყდართაგან უფრო ახალი და ადვილად გასაგები უზადო ფორმით — საყდრებით. გიორგიმ ისევ ძველი ფორმის დატოვება ისურვა. დავძენ ბოლოს, რომ BM-შიც ოპიზური საყდართაგან არის.

### ბ) ზმნები

### ა) მწკრივები

აწმყო აწმყოს ხოლმეობითი

ლ. 6, 32. ცოდვილნიცა ჰყუარობენ ...ჰყუარობედ BM.
მოყუარეთა მათთა

| აწმყო | აწმყოს ხოლმეობითი |
|---|---|
| ლ. 6, 34. ცოდვილნიცა ცოდვილთა<br>ავასხებენ GM | ავასხებედ FB. |
| ი. 8, 47. რომელ ღმრთისაგან არს | ... არნ. |

| აწმყოს ხოლმეობითი | აწმყო |
|---|---|
| მ. 6, 28. არცა შურებინ,<br>არცა სთავნ Ⴂ | არა შურებიან,<br>არცა სთვენ,<br>(არცა შურების, არცა<br>სთავს C BM). |
| მ. 23, 25. სავსე არნ CK | ... არს M, არიან B. |
| მრ. 10, 9. კაცი ნუ<br>განაშორებნ BM | კაცნი ნუ<br>განაშორებენ. |
| ი. 12, 35. რომელი ვალნ ბნელსა BM | ვალს. |
| ი. 19, 12. სიტყუას-<br>-უგებნ კეისარსა F | სიტყუასა-<br>-უგებ(?) G. |

8 მაგალითიდან CႢ რედაქციებში სამი აწმყოა, 5 — აწმყოს ხოლმეობითი; Ⴄ-ში — შებრუნებით: აწმყოს 5 ნიმუშია, აწმყოს ხოლმეობითისა — 3. Ⴄ რედაქციაში (ყოველ შემთხვევაში, მის ძირითადს ბირთვში—FG ხელნაწერებში) აწმყოს ხოლმეობითის ხვედრითი წონა შემცირებულია. ეს ასეც იყო მოსალოდნელი, რადგან Ⴄ რედაქცია C-ს გადამუშავებულ სახეობას წარმოადგენს. გადამუშავება და შეცვლა, როგორც ვხედავთ, აწმყოს ხოლმეობითსაც შეხებია, იგი აქ აწმყოთია შეცვლილი. გიორგი? გიორგის რატომ აქვს აწმყოს ხოლმეობითი მეტი რაოდენობით? გიორგიც C-ს მიჰყვება და ადგილ-ადგილ ცვლის და ასწორებს მას, მაგრამ ამ შემთხვევაში C-ს აღნიშნული ადგილები არ მოჰყვა გადამუშავების სფეროში, ისინი ხელუხლებლად იქნა დატოვებული. ასეა თუ ისე, ეფთვიმე აქ მეტ სიახლეს იჩენს, ვიდრე გიორგი (სამაგიეროდ გიორგის ბევრი სხვა რამ აქვს ახალი, მაგრამ ამას ქვემოთ, გიორგის რედაქციაზე საუბრისას ვიტყვით).

| უწყვეტელი | აწმყოს ხოლმეობითი |
|---|---|
| ლ. 15, 16. გული ეტყოდა GB | —გული ეტყჳნ FM. |

ასეთი შენაცვლება მოსალოდნელია და ხშირადაც გვაქვს: ორივე მწკრივი განგრძობილ, უწყვეტ მოქმედებას გადმოსცემს. აღსანიშნავია, რომ Ⴄ რედაქციის ორი სხვა ხელნაწერიდან ერთი (B) C-ს წაკითხვას იძლევა (... ეტყოდა), მეორე (M) — F ხელნაწერისას (... ეტყჳნ).

სხვა მწკრივებიდან, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე ხშირად ენაცვლებიან ერთმანეთს უწყვეტელი და წყვეტილი (ჴელ-ეწიფებოდა — ჴელ-ეწიფა: მ. 8, 28...) და შებრუნებითაც: წყვეტილი — უწყვეტელი (ჰკითხა — ჰკითხვიდა: მ. 22, 41; მრ. 15, 2 ...), მაგრამ ყველა ამაზე აქ ვერ შევჩერდებით (დაახლოებით თანაბარი შენაცვლებაა).

| I თურმეობითი | III კავშირებითი |
|---|---|
| ი. 20, 29. ნეტარ არიან,<br>რომელთა არა უხილავ | ნეტარ იყვნენ,<br>რომელთა არა ვეხილვო. |

საკმაოდ იშვიათი ფორმებია, განსაკუთრებით მეორე (ვეხილვო). პირველს B უჭერს მხარს, მეორეს—M. საინტერესოა აღინიშნოს, რომ Ⴗ რედაქციის წაკითხვა პირველად ხანმეტ ლექციონარში გვხვდება (ხუეხილვო).

### b) ზმნის პირები

ი. 17, 23. (შენ) შეიყუარენ იგინი —შევიყუარენ... FGBM.
შდრ. ἠγάπησας αὐτούς. სხვა ენების თარგმანებშიც სუბიექტად ყველგან მეორე პირია: *սիրեցեր զնոսա*, ты... возлюбил их, dass du... sie geliebt hast. ამის მიხედვით ႡႢ-ს წაკითხვა უნდა ჩაითვალოს გამართლებულად. მაგრამ არ შეიძლება ასე სასტიკად ცდებოდეს Ⴗ რედაქციის 4 ხელნაწერი. ალბათ, ბერძნულშიც სადღაც სუბიექტად I პირიც იყო, რომლის გამოძახილსაც წარმოადგენს Ⴗ რედაქციის აღნიშნული წაკითხვა. შინაარსის მიმდინარეობის მიხედვით უფრო I პირია მოსალოდნელი და ლოგიკური: „რომ იცოდეს ქვეყანამ, რომ შენ მომავლინე მე, და მე შევიყვარე იგინი, როგორც შენ შემიყვარე მე“. ამ ოთხი საუკეთესო (FGBM) ხელნაწერის ერთხმად შეწყობილ ღაღადისს ანგარიში უნდა გაეწიოს.

### c) ზმნის რიცხვი

მ. 6, 28. განიცადენით შროშანნი
ველისანი, ვითარ-იგი აღორძნდის! —აღორძნდიან
არცა შურების, არცა სთავს Ⴀ შურებიან
...არცა შურებინ, არცა სთავენ Ⴂ სთვენ.

შდრ. καταμάθετε τὰ κρίνα τοῦ ἀργοῦ, πῶς αὐξάνουσιν· οὐ κοπιῶσιν αὐδὲ νήθουσιν. აი აქედან მოდის ქართულში FG ხელნაწერების მრავლობითი (აღორძნდიან, შურებიან, სთვენ). მაგრამ იმავე ბერძნულის სხვა გამოცემებში მხოლობითი არის: πῶς αὐξάνει· οὐ κοπιᾷ, οὐδὲ νήθει. აქედან კი მომდინარეობს ქართულში მხოლობითი (აღორძნდის, შურების || შურებინ, სთავს || სთავენ), როგორც აქვს ႠႡႢ-სა და BM-საც. სხვა ენების თარგმანებიდან ზოგში მხოლობითია წარმოდგენილი (*ո՛չ աշխէ, ոչ ջանայ եւ ոչ նիւթէ*), ზოგში კი — მრავლობითი (как они растут: не трудятся, не прядут; wie die Feldlilien wachsen! Sie arbeiten nicht, sie spinnen nicht). ასე რომ, აქაც ორივენაირი წაკითხვის სათავე თვით ბერძნულში ძევს.

ლ. 12, 48. უმეტესი მოჰჴადონ მას — მოჰჴადოს...
შდრ. αἰτήσουσιν αὐτόν. Ⴌ-სა და Ⴑ-ს გაურჩევლობის ნიადაგზე ხომ არ არის წარმომდგარი? (ასეც მომხდარა: დაიტევდინ-ის მაგივრად დაიტევდეს ამოუკითხავთ). შეიძლება ასეც იგულისხმეს: მოჰჴადოს (მან, ღმერთმანო). მხოლობითს არავინ არ უჭერს მხარს.

ი. 19, 6. ჯუარს-აცუ, ჯუარს-აცუთ,
ჯუარს-აცუ ეგე ჯუარს-აცუთ ეგე BM.

ოთხთავების ამ ადგილას ბევრგან არა ჩანს ნათლად, თუ ვინ (რომელმა პირმა) უნდა აცვას ქრისტე ჯვარზე. შდრ. σταύρωσον σταύρωσον, an's Kreuz, an's Kreuz mit ihm, crucify him, crucify him. მაგრამ ასე მიმართავდნენ მღვდელმთავრები პილატეს, ამიტომ სუბიექტად თავისთავად იგულისხმება მეორე პირი — პილატე. ცოტა ქვემოთ თვით პილატე ამბობსა მეუფჱ თქუენი მე ჯუარს-ვაცუაა? (ი. 19, 15). ამის გამო სწორია ႡႢ რედაქციების წაკითხვა (ჯუარს-აცუ, ჯუარს-აცუ ეგე); ზუსტია აგრეთვე რუსული თარგმანი: распни, распни его·

საიდანღა გაჩნდა მრავლობითი? შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ განრისხებული მღვდელმთავრები მარტო მსაჯულს (პილატეს) კი არ მიმართავდნენ, არამედ სასამართლოს წევრებსაც. ალბათ, ეს იქნებოდა ბერძნულის რომელიღაც რედაქციასა თუ ხელნაწერში. ისე, თვითნებურად, მრავლობითს ვერ აირჩევდა ეფთვიმე. დავძენ ბოლოს, რომ მრავლობითი გვაქვს აგრეთვე Ⴁ რედაქციის BM ნუსხებშიც. აღსანიშნავია, რომ კრიტიკულ მომენტებში ეს ოთხი (FGBM) ხელნაწერი ერთად დგას და ერთსა და იმავე წაკითხვას იცავს.

| | |
|---|---|
| ი. 19, 15. ალილე ეგე და<br>ჯუარს-აცუ C, ალილე, ალილე<br>ეგე და ჯუარს-აცუ ႢF | — ალილეთ, ალილეთ<br>და ჯუარს-აცუთ<br>ეგე G. |

აქაც იგივე უნდა ითქვას, რაც ზემორე განხილული მაგალითის შესახებ ვთქვით: საჭიროა მხოლობითი და მხოლოდ ისაა სწორი, G ხელნაწერი კი აქაც უზუსტობას იჩენს (BM ნუსხები აქ CႢ-ს მიემხრნენ).

| | |
|---|---|
| ი. 21, 3. წარვიდეთ<br>სათხევლობად KM | წარვიდე... (H). |

შდრ. ὑπάγω ἁλιεύειν. აქედან ჩანს, რომ საჭიროა იყოს წარვიდე (მხოლობითში) და არა წარვიდეთ (მრავლობითში). წარვიდე თხრობითი კილოა და მომავალ დროს გამოხატავს (წავალ). აქ რომ წარვიდეთ ყოფილიყო თავიდანვე, მაშინ გაუგებარი იქნებოდა ტექსტის მომდევნო ადგილი: „ჰრქუეს მას: ჩუენცა მოვიდეთ შენ თანა“ (ე. ი. ჩვენც წამოვალთ შენთან ერთად, ჩვენც წამოგყვებითო). სრულიად ამნაირი გაგება (I პირი მხოლობითში) გვაქვს აგრეთვე სხვა ენების თარგმანებშიც: *երթամ ձուկն որսալ*, иду ловить рыбу, ich will ausgehen und fischen. ამიტომ CKM-ის წაკითხვა (წარვიდეთ) მცდარია. საინტერესოა დავძინოთ, რომ B-შიც (ტბეთის ოთხთავშიც) ჯერ წარვიდეთ დაუწერიათ, მაგრამ შემდეგ, შეცდომა რომ შეუნიშნავთ, თ ამოუფხეკიათ. მისი მკრთალი ნაკვალევი ახლაც კარგად შეიმჩნევა. ტბეთმა ერთი ასოს ამოფხეკით ადვილად გაასწორა შეცდომა, ამ შეცდომის გასწორება ჩვენც არანაკლებად გვმართებს. დავუმატებთ ბოლოს, რომ C-ს სწორად გაუგია ეს ადგილი და შეცდომა ურიდებია (მივიდე თევზობად).

## d) ქცევა

| | |
|---|---|
| მ. 25, 40. რაოდენი უყავთ ერთსა<br>ამას მცირეთაგანსა ძმათა<br>ჩემთასა CႢ | რაოდენსა ზედა<br>ჰყავთ ერთსა<br>ამას მცირეთაგანსა. |

რა თქმა უნდა, Ⴂ-ს სასხვისო ქცევა (უყავთ) ბევრად უკეთესია Ⴁ-ს საარვისოზე (ჰყავთ), ქართული ენის სული და გული სწორედ ისაა. Ⴁ-ს უჭერს მხარს მისი მომხრეები — ძმები BM ხელნაწერები, აგრეთვე ამ შემთხვევაში DE-ც. მართალია, აქ წინადადება ისეა გამართული (სუბიექტი, პირდაპირი და ირიბი ობიექტები ყველა თავის ადგილზე დგას), რომ ყველაფერი მზადაა, სასხვისო ქცევის ფორმა გვქონდეს, მაგრამ ორივე ხელნაწერში მაინც საარვისო ქცევის ფორმაა (ჰყავთ: რაოდენი ჰყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა...), ეს უხერხულობა გამოცემაში გამოსწორებულია, ჰყავთ სამართლიანად შეცვლილია უყავთ ფორმით. უცნაურია, რომ იქვე, ქვემოთ, ყველა ამათგანში სწორი სასხვისო ქცევის ფორმა იკითხება: ...იგი მე მიყავთ. უეჭველად უნდა აღვნიშნოთ, რომ სხვა შემთხვევაში Ⴁ რედაქციის ხელნაწერები Ⴂ-სთან ერთად სწორედ

ამნაირ სასხვისო ქცევიან ფორმებს აძლევენ უპირატესობას და მათ იყენებენ (ნ. ზემოთ, გვ. 107—108). Ⴄ რედაქციის ნუსხები ქვემოთაც ერთგულად იცავენ ამ კარგ წესს და სასხვისო ქცევის ფორმებს სწორედ ისინი მიმართავენ CႢ რედაქციების საარვისო ქცევის საპირისპიროდ, მაგალითად:

| | |
|---|---|
| ლ. 1, 49. ყო ჩემ თანა დიდძალი (დიდებული Ⴂ) ძლიერმან BM | მიყო მე დიდებული ძლიერმან. |
| ლ. 8, 39. რაჲ-იგი ყო მისთჳს იესუ G | რაჲ-იგი უყო მას იესუ F. |

BM აქაც CႢ-ს ემხრობა.

| | |
|---|---|
| მრ. 5, 13. მიიმართა კოლტმან მან ღორებისამან კბოდესა მას ზღუად GM | ...მიჰმართა FB. |
| მრ. 9, 18. დააკუეთის G | დაჰკუეთის FBM. |
| მრ. 9, 20; ლ. 8, 42. დააკუეთა G | დაჰკუეთა FBM. |

ეს სინონიმური წყვილებიც ხშირად გვხვდება ერთმანეთის სანაცვლოდ. გამორკვეულია, რომ დააკუეთა → დაჰკუეთა; ა ხმოვნის ამოღების შემდეგ კ-ს წინ აღდგენილია ხმოვნის წინ დაკარგული ჰ პრეფიქსი[1]. ხანმეტსა და ჰაემეტ ძეგლებში, რა თქმა უნდა, ხ და ჰ ხმოვნების წინაც იყო შენარჩუნებული: დახკუეთა, დაჰაკუეთა. მერმე და მერმე დააკუეთა, დააკუეთის უფრო ფართო გასაქანს პოულობს, დაჰკუეთა და დაჰკუეთის კი ძველი ქართულის კუთვნილებად რჩება.

| | |
|---|---|
| ი. 2, 8. აღმოავსეთ აწ და მოართუთ პურისა უფალსა GBM. | აღმოივსეთ F. |

ამ ზმნის შემცველში დღესაც სათავისო ქცევას ვხმარობთ: ამოიღეთ ჭიდან წყალი, ამოიღეთ ქვევრიდან ღვინო.

## ე) გვარი

| | |
|---|---|
| მრ. 6, 13. სცხებდეს ზეთსა მრავალთა სნეულთა და განჰკურნებდეს | ...და განიკურნებოდეს CM. |

შდრ. καὶ ἐθεράπευον. აქ აქტივია. აქტივია აგრეთვე სხვა ენების თარგმანებშიც: и исцеляли, und heilten sie... მაგრამ ბერძნულის ზოგიერთ ხელნაწერში ვნებითის ფორმაც ყოფილა (ἐθεραπεύοντο), რომლის გამოძახილია სწორედ CFGM ნუსხების განიკურნებოდეს.

| | |
|---|---|
| ლ. 5, 37. რაჲთა არა განხეთქნეს ღჳნომან ახალმან თხიერნი | — რაჲთა არა განსთქდენ თხიერნი იგი C. |

ბერძნულში აქტივი გვაქვს: εἰ δὲ μή γε, ῥήξει ὁ οἶνος ὁ νέος τοὺς ἀσκούς. ასევეა სხვაგანაც: *պայթուցանէ*, прорвет, würde zersprengen. აქ, როგორც ვხედავთ, CFG ხელნაწერები (ორი რედაქცია) ცალკე დგას და ვნებითის ფორმას იცავს (CႢ რედაქციის წინააღმდეგ). მაგრამ ეგევე ადგილი მათეს სახარებაში (9, 17) ვნებითის ფორმით აქვს გადმოცემული Ⴂ რედაქციასაც (Ⴄ-ს ხომ აქვს და აქვს აქაც და იქაც); იქ FG-ს ემხრობიან მისი მოძმე ხელნაწერებიც (BM). იქ, მათეს თავში, თვით ბერძნულს ვნებითის ფორმა აქვს დაცული (ῥήγνυνται), ასევე ვნე-

---

[1] ა. ჩიქობავა, ზოგი პრეფიქსული წარმოების ისტორიისათვის ქართულ ზმნებში; იკე, XI, 1959, გვ. 151—168.

ბითებია აქ სხვა ენების თარგმანებშიც (иначе прорываются мехи, die Schläuche würden sonst bersten...). მაგრამ ბერძნულ გამოცემას აქ (მ. 9, 17) ახლავს შენიშვნა: ზოგან მოქმედებითიაო და სქოლიოში მოყვანილია ის წაკითხვა: ῥήσσει ὁ οἶνος ὁ νέος τοὺς ἀσκούς. ახლა გასაგებია, რატომაა ქართულში ორნაირი წაკითხვა: განხეთქნეს და განსთქდენ. ეფთვიმე აქ უფრო თანამიმდევარია: აბსოლუტურად ერთსა და იმავე ადგილს ორივეგან (მ. 9. 17 ლ. 5, 37) ერთნაირად, ვნებითის ფორმით გადმოგვცემს (განსთქდენ...), სხვები კი — ჭრელად: ხან ასე, ხან ისე.

ლ. 16, 4. რაჟამს გარდავდგე — რაჟამს გარდამადგინებდეს
მნობისაგან (მნეობისაგან Ⴂ) მე მნეობისაგან.

შდრ. ὅταν μετασταθῶ ἐκ τῆς οἰκονομίας, когда отставлен буду, wenn ich der Verwaltung entsetzt bin. ყველგან ვნებითია, FG-ში კი — მოქმედებითი. მოქმედებითი მოქმედებითია, მაგრამ ამნაირი (კაუზატიური) ფორმა ძველ ქართულში (სახარების ტექსტში) ჯერ არ შეგვხვედრია. ტექსტის შინაარსის მიხედვით აქ საჭირო მნიშვნელობისათვის უკეთესს ვერც მოიგონებს კაცი. აბა სად „რაჟამს გარდავდგე მნობისაგან“ და სად „რაჟამს გარდამადგინებდეს მე მნეობისაგან“ (უფალი ჩემი)?! ვინ არის, რომ თავისით გადადგება მოურავობისაგან? ბატონთან დაბეზღებული მოურავი (რომელმაც იცის, რომ, სადაც არის, გადააყენებს მას ბატონი ამ თანამდებობიდან) ძალიან კარგად ამბობს ქართულად: „სანამ გადამაყენებდესო“. ორი-სამი ამნაირი ორიგინალური, მოხდენილი და ზედმიწევნით მორგებული ფორმა და გამოთქმა ეეებერთელა წიგნის საშუალოდ შესრულებულ თარგმნას უდრის. ეს ფორმა კაუზატივის კვლევის ისტორიაში შევა, როგორც პირველი მერცხალი.

### C. Ⴄ უმატებს (+)

Ⴀ ႤႢ

მ. 1, 25. შვა ძჱ შვა ძე იგი მისი პირმშოჲ M.

შდრ. ἔτεκεν τὸν υἱὸν αὐτῆς τὸν πρωτότοκον. აი საიდანაა ქართულში „მისი პირმშოჲ“! მართალია, ზოგი ბერძნული გამოცემის ტექსტში ეს დამატება არ არის, სქოლიოშია ჩატანილი, მაგრამ ზოგან ტექსტშია შეტანილი. და რადგანაც ბერძნულში ზოგან მაინც მოიპოვება, ქართულადაც გადმოაქვთ. ერთი სიტყვით, სიტყვის (თუ სიტყვების) დამატება-დაკლების საზომი არსებითად ბერძნული ორიგინალია, ესაა ერთ-ერთი ყველაზე ძირითადი პირობა.

მ. 2, 9.——— ესმა ესე მეფისა მისგან CBM,
შდრ. ἀκούσαντες τοῦ βασιλέως (=ႤႢ).

მ. 9, 14.——— ვიმარხავთ ფრიად BMႍ.

ბერძნულში ზოგან არის πολλά, ზოგან — არა. ახლა გასაგებია, რატომ არა აქვს მისი შესატყვისი ფრიად ზოგ ქართულ ხელნაწერს (თუ რედაქციას, მაგ., Ⴀ-ს) და რატომ მოეპოვება იგი სხვებს (ႤႢ-ს): ესენი ბერძნულის იმ ორი ჯგუფის ხელნაწერებს (რედაქციებს) ეყრდნობიან. FG-ს აქ მხარში უდგას მათი მოძმე BM და, ცხადია, Ⴍ (თვით ეფთვიმეს მიერ ნათარგმნი იოვანე ოქროპირის „თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ“). ესენი არიან ერთ სულ და ერთ ჴორც.

მ. 9, 18.——— დასდევ ჴელი შენი მას ზედა CBMႍ.
შდრ. ἐπ' αὐτήν.

მ. 13, 48. კიდესა ზღჳს კიდესა CBMႍ.

შდრ. ἐπὶ τὸν αἰγιαλόν, რაც სწორედ „ზღჳს კიდეს“ ნიშნავს. სიტყვა „ნაპირი“ რომ ყოფილიყო, მაშინ მარტო ეს ერთი სიტყვაც იკმარებდა — ნაპირზე (გამოიტანენ ხოლმე ნაპირზეო). ტექსტში კიდესაც ეს ფუნქცია აქვს დაკისრებული, მაგრამ კიდე შეიძლება სხვა რამეც იყოს. ამიტომ უფრო ზუსტი და სწორი თარგმანია ႷႢ-ს „ზღჳს კიდესა“.

მ. 15, 8.——— შორად განშორებულ არიან ჩემგან CBMႳ (A 136).

შდრ. ἀπ' ἐμοῦ. უამისოდ თარგმანი ზუსტი ვერ იქნება: ვისგანაა განშორებული: ჩემგან, შენგან თუ სხვა ვინმესგან?

მ. 19, 7.——— ხოლო მათ ჰრქუეს მას B.

ბერძნულში ეს „ხოლო მათ“ არ არის, ის ქართულშია დამატებული აზრის სიზუსტისათვის: ხოლო მათ, ე. ი. ფარისევლებმა, უთხრესო. უამისოდ არა ჩანს, ვინ უთხრა; ფარისევლები კი კარგა მოშორებით არიან ნახსენები (19. 3). ასე რომ, ამ შემთხვევაში სიტყვების დამატება ბერძნულის ზუსტად გადმოცემის მიზნით კი არ არის ნაკარნახევი, არამედ ქართული ტექსტის აზრიანად გამართვის სურვილით, რომ აზრი ზუსტად და ნათლად ჩანდეს და ქართულიც ლაღად გრძნობდეს თავს. ტყუილად კი არ ამბობდა ემფრემ მცირე: ეფთვიმეს... „მადლითა სულისა წმიდისაჲთა ჴელ-ეწიფებოდა შემატებაჲცა და კლებაჲცა“[1]. დასაშვებია, რომ ეს სიტყვები სადმე ბერძნულშიც იყოს გარჩენილი. ყოველ შემთხვევაში, მათ ნაცვალსახელის დამატება მაინც საჭიროდ დაუნახავთ (სხვანაირად არც შეეძლოთ) სხვა ენების თარგმანებს: они говорят, sie sprachen zu ihm. სომხურში, როგორც მოსალოდნელი იყო, C-ს შესატყვისი უქვემდებარო წინადადებაა: ***ասեն ցնա.***

სრულიად ამგვარი შემთხვევაა ცოტა ქვემოთ (მ. 22, 42), ამიტომ მასზე ცალკე არას ვიტყვით.

მ. 22, 10.——— შეკრიბეს ყოველი, რავდენი პოვეს BCMႳ.

შდრ. συνήγαγον πάντας (=ႷႢ).

მ. 23, 23. ——— სამართალი და წყალობაჲ და სარწმუნოებაჲ CBMႳ.

ბერძნულში, რა თქმა უნდა, არის ეს სიტყვა: ... καὶ τὴν πίστιν (=ႷႢ).

მ. 25, 15. ——— რომელსამე (მისცა) ორი ქანქარი BႳ.

ბერძნულში არ არის განმეორებით ეს ქანქარი (τάλαντον): ᾧ δὲ δύο, რადგან ამის წინ ნათქვამია: καὶ ᾧ μὲν ἔδωκεν πέντε τάλαντα.

მ. 26, 36.——— მაშინ მოვიდა იესუ მათ თანა დაბასა მას CBMႳ.

შდრ. μετ' αὐτῶν (=ႷႢ).

მ. 26, 53.——— და წარმომიდგინოს მე აწ აქა CႳ.

ბერძნულში ზოგან არის აქ ἄρτι, მაგრამ ზოგან—არა. სწორედ ამ უკანასკნელის ტიპის ნუსხიდან უნდა მომდინარეობდეს ჩვენი C რედაქციაც.

მ. 27,22.——— ჰრქუეს მათ ყოველთა BMႳ.

შდრ. λέγουσιν αὐτῷ πάντες (=ႷႢ).

მ. 27, 54.——— შეეშინა ფრიად CB.

შდრ. ἐφοβήθησαν σφόδρα (=ႷႢ).

მ. 27, 58.——— მაშინ პილატე უბრძანა CBMႳ.

შდრ. τότε ὁ Πιλᾶτος ἐκέλευσεν (=ႷႢ).

---

[1] კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, 1957, გვ. 100.

ეს პილატე, ალბათ, იმიტომ გამოტოვეს, რომ იქვე, ზემოთ არის ნათქვამი: ეს (კაცი, ე. ი. იოსებ არიმათიელი) მოვიდა პილატესთან და სთხოვა (მიეცა) იესუს გვამი. სწორედ ამის შემდეგაა: „მაშინ უბრძანა მიცემად გუამი იგი მისი". ცხადია, პილატემ უბრძანა (დართო ნება). რაკი ცხადია, აღარ გაიმეორეს. მაგრამ ზუსტად თარგმნა მაინც ზუსტად თარგმნაა და დედნის სიტყვა (აქ პილატე) არ უნდა იქნეს გამოტოვებული. ასე იქცევა ჯერ ეფთვიმე და მერმე გიორგიც. როგორც ზემოთაც არის მითითებული, პილატე დაცული აქვთ Ⴉ რედაქციის BMႣ ხელნაწერებს, აგრეთვე ადიშის ოთხთავსაც.

მრ. 10, 21.——— უკუეთუ გნებავს სრულ ყოფაჲ, ერთილა გაკლს შენ, წარვედ და... CBM.

შდრ. ἕν σοι (σε) ὑστερεῖ. ბერძნულში ეს სადავო ადგილი, როგორც ვხედავთ, გვაქვს. მაგრამ აქ მნიშვნელოვანია მეორე გარემოებაც: ბერძნულში არა ჩანს ჩვენი სამივე (CႩႢ) რედაქციის თითქოს აუცილებელი საწინაპირობო წაკითხვა: „უკუეთუ გნებავს სრულ ყოფაჲ". იგი არა აქვს აგრეთვე რუსულ, გერმანულ, ინგლისურ... თარგმანებს; არც ჩვენს ადიშურს გააჩნია იგი. ჩვენთვის ხელმისაწვდომი ენებიდან ის მხოლოდ ძველ სომხურს აღმოაჩნდა: *եթէ կամիս կատարեալ լինել*. ქართულის C რედაქციასა და სომხურს, საერთოდ, ერთნაირი წარმომავლობა უნდა ჰქონდეს (აღმოსავლურ-სირიული), და აღნიშნული სადავო ადგილის შენარჩუნებაც შეიძლება ამავე მიზეზით აიხსნას. მაგრამ ამ ფრიად რთულ საკითხს გამოწვლილვით შესწავლა სჭირდება.

აქ მაინც ისმის კითხვა: რად ვერ შეამჩნიეს ამ ადგილის ბერძნულში არარსებობა და რატომ დატოვეს იგი ქართულში თვით ეფთვიმემ და გიორგიმ? ამასაც სპეციალური გამოძიება სჭირდება. სავარაუდოდ ვიტყოდით, რომ შეიძლება ეს სადავო ადგილი სადღაც ბერძნულშიც იყო, რომელიღაც ძველ რედაქციასა თუ ცალკე ხელნაწერში. არა გვგონია, ეფთვიმესა და გიორგის ისე, თვითნებურად, შეეტანათ იგი თავიანთ რედაქციებში.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეგევე ადგილი ლუკას სახარებაშიც მოიპოვება (18, 22), მაგრამ სადავო წაკითხვა (უკუეთუ გნებავს სრულ ყოფაჲ) იქ არ არის არსად, არც ბერძნულში, არც სხვა ენების თარგმანებში და არც ქართულის რომელიმე რედაქციაში სადმე. დავძენთ ცალკე, რომ ის აქ (ლ. 18, 22) არა აქვს სომხურსაც.

მრ. 12, 42.——— დასხნა ორნი მწულილნი, რომელ არს კოდრანტე BM.

შდრ. ὅ ἐστιν κοδράντης.

ႩႢ-ში უთარგმნელად არის დატოვებული ბერძნული სიტყვა, ადიშური კი თავისებურ თარგმანს იძლევა: დასხნა ორნი ფშიტნი, რომელ არს დანგ ერთ.

მრ. 14, 12.——— სადა გნებავს, წარვიდეთ და მოგიმზადოთ შენ BM.

შდრ. ποῦ θέλεις ἀπελθόντες (=ႩႢ).

C-შია ... მივიდეთ.

მრ. 14, 65.——— გჳწინაწარმეტყუელებდ ჩუენ, ქრისტე, ვინ არს, რომელმან გცა შენ CBM.

შდრ. προφήτευσον (გჳწინაწარმეტყუელებდ), სხვა არც ერთი ზემოთ მოყვანილი სიტყვა არ არის არც აქ (ბერძნ.) და არც სხვა ენების თარგმანებში. რატომაა ეს ასე? საიდან გაჩნდა ქართულში ეს სიტყვები? აქ ეს სიტყვასიტყვით

მოყვანილია მათეს სახარების სათანადო ადგილიდან (26, 68). სადაც იკითხება: „გჳწინაწარმეტყუელებდ ჩუენ, ქრისტე, ვინ არს, რომელმან გცა შენ“. სამსავე (CႩႢ) რედაქციაში ზუსტად ასეა. ამის ბერძნული შესატყვისია: *προφήτευσον ἡμῖν, Χριστέ, τίς ἐστιν ὁ παίσας σε*. აი აქედანაა მექანიკურად გადმოტანილი მარკოზის თავის სათანადო ადგილას.

ახლა რომ დავუბრუნდეთ ზემოთ მოყვანილ განსხვავებულ წაკითხვას C-სა და ႩႢ რედაქციებში, დავინახავთ, რომ C-ს აკლია სიტყვები: (ვინ) არს, რომელმან (გცა შენ), ან, სხვანაირად (რაც ახლა გვაინტერესებს ჩვენ), ႩႢ-ს მეტი აქვს იგივე სიტყვები, ე. ი. C-ში იკითხება: ვინ გცა შენ, ხოლო ႩႢ-ში — ვინ არს, რომელმან გცა შენ. ႩႢ-მ ზუსტად გადმოიტანა მათეს ტექსტი, C-მ დააკლო ორი სიტყვა.

ლ. 5, 3.——— ასწავებდა ნავით გამო ერსა მას CBM.

შდრ. *ἐκ τοῦ πλοίου*. ზოგან ბერძნულში მიცემითია (*ἐν τοῦ πλοίῳ*), მაგრამ დაკლებით კი არ აკლია.

ლ. 6, 23.——— გიხაროდენ მას დღესა შინა და მხიარულ იყვენით BM.

შდრ. *ἐν ἐκείνῃ τῇ ἡμέρᾳ*. სხვაგანაც ყველგან არის: в тот день, alsdann, in that day... ქართულში არ მოეპოვება C-საც.

ლ. 7, 38.——— იწყო დალტობად ცრემლითა ფერჴთა მისთა CBM.

შდრ. τοῖς δάκρυσιν. გვაქვს სხვაგანაც: *արտասուօք*, слезами, mit Tränen, with tears. ცოტა ქვემოთ (ლ. 7, 44) უკვე აქაც არის ამ ფაქტის მოგონება: ხოლო ამან ცრემლითა დაალტვნა ფერჴნი ჩემნი. ასე რომ, შეიძლება ეს სიტყვა განსახილველ ადგილას შემთხვევით აკლდეს.

ლ. 8, 47.——— ვითარ-იგი მეყსეულად განიკურნა CB.

შდრ. *ὡς ἰάθη παραχρῆμα*. არის სხვაგანაც.

ლ. 9, 33.——— ვქმნეთ აქა სამ ტალავარ CM.

ბერძნული გამოცემის ტექსტებში ეს აქა (ὧδε) არ არის, ალბათ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ რაღაც ორიოდე სიტყვის წინ იგი უკვე იყო ნახმარი წინადადებაში: *καλόν ἐστιν ἡμᾶς ὧδε εἶναι* (კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფად) და მეორედ აღარ გაიმეორეს. ქართულში კი (CႩႢ) ორჯერაა გამოყენებული და კარგადაც უხდება. მაგრამ ამ აქა-ს მეორედ დამატებას მხოლოდ ქართულს ვერ მივაწერთ: თვით ბერძნულის ზოგი გამოცემის ვარიანტებში მითითებულია, რომ ამა და ამ ხელნაწერში არისო: θέλεις ποιήσω ὧδε... ახლა ადვილი გასაგებია ეს სიჭრელე და ნაირნაირობა ქართულსა და ბერძნულში (აგრეთვე სხვა ენების თარგმანებში).

ლ. 9, 62.——— და წარმართებულ არს სასუფეველსა ღმრთისასა CBM.

შდრ. εἰς τὴν βασιλείαν τοῦ θεοῦ, ზოგან: τῇ βασιλείᾳ τοῦ θεοῦ (=ႩႢ).

ლ. 11, 43.——— ვაჲ თქუენდა, ფარისეველნო ორგულნო C.

ორგულნო ბერძნულში არაა, არც სხვაგან (სომხურ-რუსულ-გერმანულ-ინგლისურში). სხვა შემთხვევაში, როცა ფარისევლებს მიმართავენ, ხშირად ურთავენ ამ სიტყვას — ὑποκριταί (მ. 7, 5; 23, 13, 15, 23, 25, 29...). სტანდარტულ მიმართვაში აქაც გაიმეორეს მათდამი ზიზღის გასაძლიერებლად.

ლ. 16, 30.——— უკუეთუ ვინმე მკუდრეთით აღდგეს და მივიდეს მათა.

შდრ. ἀλλ' ἐάν τις ἀπὸ νεκρῶν πορευθῇ πρὸς αὐτούς.

ἀπὸ νεκρῶν πορευθῇ სიტყვასიტყვით ნიშნავს: მკვდრეთიდან მივიდესო (მივაო). მაგრამ ჯერ საჭიროა მკვდრეთით აღგომა და მერმე წასვლაც შეიძლება. ზოგი ბერძნული გამოცემის ვარიანტში ეს აღგომაც არის მითითებული, თანაც ორი სხვადასხვა ფუძით: ἐγερθῇ, ἀναστῇ. მაშასადამე, აღდგომა (აღდგეს) თავისთავად იგულისხმება, ისე მკვდრეთიდან წასვლა შეუძლებელია, ამიტომ ბერძნულშიც (ზოგან) და ჩვენშიც (ԿԳ) ეს აღდგეს ჩაუმატებიათ კიდეც. ԿԳ-ს წაკითხვა ბერძნულსაც კარგად გადმოსცემს და ქართულადაც გამართულია.

ლ. 18, 14.——— გარდამოვიდა ესე განმართლებული სახედ
თჳსა CM.

შდრ. εἰς τὸν οἶκον αὐτοῦ.

C-ს აქ მხოლოდ B უჭერს მხარს, სხვაგან ეს სიტყვები ყველგანაა, ქართულშიც და სხვა ენების თარგმანებშიც.

ლ. 24, 52.——— ხოლო იგინი თაყუანის-სცემდეს მას და
მოიქცეს იერუსალჱმდ M (მათ თაყუანის-სცეს F).

შდრ. καὶ αὐτοὶ προσκυνήσαντες αὐτόν. მაგრამ სადავო სიტყვები ბერძნულში ზოგ გამოცემაში არის, ზოგში — არა. ზოგან ტექსტში არ შეუტანიათ, მაგრამ ვარიანტებში კი უჩვენებიათ. მაშასადამე, ქართულში არსებული ორგვარი ვარიანტისათვის თვით ბერძნულში გვაქვს სწორედ ასეთივე ორგვარი ვარიანტი. ეს სიტყვები ქართულში აკლია BC ხელნაწერებსაც.

ი. 4, 47. ——— რაჲთა მივიდეს მის თანა და განკურნოს ძჱ
იგი მისი BM.

მის თანა-ს შესატყვისი რამ არ არის ბერძნულში, არც სხვა ენების თარგმანებში. ისე, აზრის მიხედვით, საჭირო კი არის: ევედრებოდა, რომ მისულიყო მასთან და განეკურნა მისი ძე. მასთან აქ ბუნებრივია და სწორედ ამიტომ დაუმატებიათ (ჯერ ეფთვიმეს რედაქციის ოთხეულს, ხოლო შემდეგ გიორგის).

ი. 5, 18. ——— არა ხოლო თუ შაბათსა დაჰჴსნიდა M.

შდრ. οὐ μόνον ἔλυεν τὸ σάββατον.

ბერძნულში, როგორც ვხედავთ, მხოლოდ μόνον გვაქვს, რაც ჩვენს ხოლო-ს უდრის. თუ კი ქართულ ნიადაგზეა დამატებული: ხოლო და ხოლო თუ ცნობილი სინონიმური წყვილებია სწორედ ისე, როგორც გინა და გინა თუ. ამიტომ ამ სტილისტური განსხვავების მიზეზების ძებნა ბერძნულში ამაო საქმეა.

ი. 12, 34.——— ... ჯერ-არს ამაღლებაჲ ძისა კაცისაჲ. ვინ არს
ესე ძჱ კაცისაჲ? CB.

შდრ. τίς ἐστιν οὗτος ὁ υἱὸς τοῦ ἀνθρώπου.

C-ში მთელი წინადადების დაკლება შემთხვევითი არ იქნება. შეიძლება იგი მისი წარმომავლობის რაიმე ნიშანს ატარებდეს. ბერძნული გზით მომდინარე თარგმანებს ეს ადგილი დაცული აქვთ; სომხურშიც არის; არ არის (მოლოდინის წინააღმდეგ) M-შიც.

ი. 21, 6.——— ხოლო მათ სდვეს ბადე იგი M.

შდრ. ἔβαλον οὖν. აქ არც „ბადე იგი" მოიპოვება და არც „ხოლო მათ". მაგრამ რადგანაც ეს უკანასკნელი C-შიც არის, ხოლო ჩვენ დამატება-დაკ-

ლებისა და სხვა რედაქციულ საკითხებს Ը-სთან მიმართებით ვიკვლევთ, აქ ამაზე არას ვიტყვით. C-ში არც „ხოლო მათ“ არის და იგი ბერძნულივით მხოლოდ ზმნით კმაყოფილდება: „სდევს“ (οὐκ-ის შესატყვისი უქუე კი C-საც გამოუტოვებია).

რატომ არ არის „ბადე იგი“ ბერძნულსა და იქიდან მომდინარე თარგმანებში? ალბათ, იმიტომ, რომ იმავე მუხლში, სადაო სიტყვის ზემოთ, ნათქვამია: „თავადმან ჰრქუა მათ: სდევით ბადჱ ეგე მარჯუენით კერძო ნავისა მის და ჰპოვოთ“. უშუალოდ ამას მოსდევს სწორედ: „ხოლო მათ სდვეს“. მიზეზი ცხადია: ასე ახლოს (5—6 სიტყვის შემდეგ) აღარ გაიმეორეს ბადე იგი (სდევით ბადჱ იგი... სდვეს ბადე იგი). ქართულში აზრის სიცხადისათვის დაუმატეს იგი და, გვგონია, კარგადაც მოიქცნენ. ქართულად „ხოლო მათ სდვეს ბადე იგი“ უფრო კარგად ჟღერს, ვიდრე კუდმოგლეჯილი სდვეს, თუნდ „ხოლო მათ სდვეს“, რომელთაც კოჰლობა ეტყობათ მეტ-ნაკლებად.

ԸՂ Ч

მ. 5, 25.——— და მსაჯულმან მან — ბჰესა და ბჰემან
მიგცეს შენ მსახურთა.

არც ბერძნულში და არც რომელიმე სხვა ვერსიაში სასამართლოს მსახურთა ეს მეოთხე ფენა არ მოიპოვება. არის მხოლოდ ა) წინამოსაჯული ἀντίδικος (მომჩივანი, მოწინააღმდეგე), ბ) მსაჯული κριτής და გ) მსახური ὑπηρέτης. FG-ში კი შემოდის მეოთხე ელემენტიც — ბჰე. მაგრამ ვინაა ეს ბჰე? იგი სხვა არაფერია (არავინაა), თუ არა იგივე მსაჯული. როგორც ჩანს, მთარგმნელს (ეფთვიმეს) თუ გადამწერს (იოვანე ტატანელს) განუზრახავს მსაჯული მისი სინონიმით (ბჰით) შეეცვალა, ჩაუწერია კიდეც ტექსტში, მაგრამ ადრე არსებული მსაჯულის ამოგდება დავიწყებია. ამის მსგავსი მაგალითი იმავე FG ხელნაწერში ვნახეთ ჩვენ ზემოთ, როცა ხარკისაჲ და მისი ბერძნული შესატყვისი კენსონი ერთად იყო წარმოდგენილი, გვ. 19; 87—88). აქაც ძველი (დაწუნებული) და ახალი (მოწონებული) ტერმინი ერთად აღმოჩნდა[1].

მ. 5, 47.——— ანუ არა მეზუერეთაცა და ცოდვილთა
ეგრევე ყვიან.

ბერძნულ გამოცემებში ან მხოლოდ τελῶναι (= მეზუერეთა) იკითხება, ან მხოლოდ ἐθνικοί (= წარმართთა), მაგრამ არსად ἁμαρτωλοί არ არის. ბერძნულში წინა მუხლშიც (5, 46) ყველგან τελῶναι იკითხება, FG აქაც ორ დამნაშავეს წარმოგვიდგენს, ესაა მეზუერენი და ცოდვილნი. სხვა თარგმანებშიც მხოლოდ მეზუერენი ან წარმართნი გვაქვს, ცოდვილი კი მხოლოდ (სადაც ჩვენ ხელი მიგვიწვდება) სომხურს აქვს სადაო ადგილას (*մաքսաւորք եւ մեղաւորք*), მაგრამ მ. 5, 46-ში უკვე მარტო *մաքսաւորք* (მეზუერენი) იკითხება. ვარაუდის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ ცოდვილთა აქაც გვიან არის დამატებული გადამწერთაგან იმის გამო, რომ სახარებაში მეზუერენი და ცოდვილნი ხშირად ერთად გვხვდება (მაგ.: მ. 9, 10, 11; 21, 31, 32; მრ. 2, 15, 16; ლ. 5, 30; 7, 34; 15, 1).

მ. 13, 29. ——— ნუუკუე ... აღმოჰფხურათ მის თანა
იფქლიცა CBMԳ.

---

[1] შეიძლება დავუშვათ, რომ საქმე პირიქითაც მოხდა: ადრე ბჰე იყო და მოინდომეს იგი მსაჯულით შეეცვალათ.

შდრ. ἅμα αὐτοῖς. ეს სიტყვები სხვაგანაცაა (სომხ., რუს., გერმ., ინგლისურში). გასაკვირია, როგორ გამორჩა იგი გიორგის. აზრის მიხედვითაც აუცილებელია: ვაითუ მასთან (ღვარძლთან) ერთად იფქლიც ამოთხაროთო.

მ. 22, 19.——— მიჩუენეთ მე დრაჰკანი იგი კინსონისაჲ ხარკისაჲ.

შდრ. ἐπιδείξατέ μοι τὸ νόμισμα τοῦ κήνσου.

აქ, როგორც ამაზე უკვე გვქონდა საუბარი (ნ. ზემოთ, გვ. 19; 87—88; 125), გადამწერს (მთარგმნელს) ქართულში არსებული ხარკი-ც დაუწერია და ბერძნული კინსონისაჲ-ც (κῆνσος = подать, = ლათ. census). აქ ერთი იმ შემთხვევათაგანია, როცა ქართულ ტექსტში ბერძნული სიტყვაცაა უთარგმნელად დატოვებული და მისი ქართული (გაქართულებული) შესატყვისიც. ერთგვარად ამის მსგავსია მსაჯულისა და ბჭის ამბავი, რომელზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი (გვ. 125).

მ. 25, 15.——— რომელსამე მისცა ხუთი ტალანტი, რომელ არს ქანქარი.

ეს ტალანტის ახსნა არსად არ გვხვდება. ბერძნულში, ბუნებრივია, არ იყო საჭირო ტალანტის მნიშვნელობის ახსნა; სხვა ენებშიც ეს ტალანტია გადატანილი, მათგან რუსულში სქოლიოში ორი სიტყვით ახსნილია: вес серебра; სომხურში და ქართულის სხვა რედაქციებში ისევ ის ქანქარია და, ცხადია, ასეთი ახსნა ვერ ექნება. მაშასადამე, ეს ახსნა (რომელ არს ქანქარი) მხოლოდ ქართულის ამ რედაქციისათვის იყო საჭირო, რადგან ტექსტში სწორედ აქაა დატოვებული ბერძნული დედნის ტალანტი. შემდეგში ეფთვიმემ თვით გაასწორა თავისი წინა ნათარგმნი და მათეს სახარების თარგმანებაში (1002 წ.) ისევ ქანქარი აღადგინა (A 88, 394v; A 136, 293r).

მ. 26, 45.——— მაშინ მივიდა მოწაფეთა თანა.

შდრ. τότε ἔρχεται πρὸς τούς μαθητάς.

FG ბერძნულს მიჰყვება, ამავე დროს ერთგვარი სიახლეცაა: ასეთ შემთხვევაში ჩვენ დღეს სწორედ თან თანდებულიან ფორმებს ვხმარობთ: მოვიდა მოწაფეებთან, წავიდა ამხანაგებთან და სხვა. ႠႡႢ-ს „მოვიდა მოწაფეთა“-ს აქვს თავისი ნაკლი: არ არის ნათელი, თუ რომელი ბრუნვაა „მოწაფეთა“. ერთი სიტყვით, Ⴁ-ს მოწაფეთა თანა მოსაწონი ფორმაა და თანა-ს დამატება არა მარტო თარგმანის სიზუსტეზე მიგვითითებს, არამედ აგრეთვე დედაენის ბუნებრიობისა და სიახლისათვის დიდ ზრუნვასაც გვიჩვენებს.

მ. 26, 75.——— და გამოვიდა პეტრე გარე და ტიროდა მწარედ BႣ.

პეტრე ამ ადგილას არსად არ არის ტექსტში, არცაა საჭირო, რადგან მუხლის დასაწყისში ნათლად არის ნათქვამი: და მოეჴსენა პეტრეს სიტყუაჲ იგი იესუჲსიო. მეორედ მისი მოხსენიება აღარ იყო საჭირო.

ეს ადგილი გადმოგვცემს მთელ სახარებაში ყველაზე ტრაგიკულ და ადამიანის სულის შემძვრელ მომენტს: წარმოიდგინეთ, ქრისტეს ყველაზე მტკიცე და ერთგულმა მოწაფემაც[1] ვერ გაბედა, ეთქვა: დიახ, მე ქრისტეს მოწაფე ვარო; პი-

---

[1] ტყუილად კი არ შეარქვეს მას პეტრე, რაც (πέτρα, ἡ) ბერძნულად „კლდეს“, „დიდ ქვას“ ნიშნავს და სიმაგრის, სიმტკიცის სიმბოლოდ ითვლება. ადრე მას სიმონ ერქვა. ხშირად იხსენიებენ მას ძველი და ახალი (შერქმეული) სახელით ერთად: სიმონ-პეტრე.

რიქით, გაჭირვების დროს უარყო იგი (მე არ ვიცნობ ამ კაცს, არ ვიცი, ვინ არის ესო) და შეაჩვენა კიდეც. ქრისტეს კი მისთვის ადრე ნათქვამი ჰქონდა: შენც კი, შენც, დრო რომ დადგება, ერთ ღამეში, მამლის პირველ ყივილამდე, სამჯერ უარმყოფ მეო. და ახლა, როცა პეტრემ მესამედ უარყო და შეაჩვენა თავისი მასწავლებელი, ტექსტში ნათქვამია: და მეყსეულად მამალი ყივა (მაშინვე მამალმა იყივლაო). სწორედ ეს ამბავი მოაგონდა პეტრეს ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ, შეძრწუნდა სულით, აფორიაქებული გამოვარდა გარეთ (სასამართლო დარბაზიდან) და გულამოსკვნილი ტიროდა.

რად უნდა სპეციალური მითითება, რომ სწორედ პეტრე გამოვიდა გარეთ და მწარედ ტიროდაო. ვიმეორებთ, პეტრე ამ ადგილას არ არის არც ბერძნულში და არც სხვა ენების თარგმანებში (სომხურ, რუსულ, ლათინურ, გერმანულ, ინგლისურში). მაშასადამე, აქ პეტრე ჩამატებულია ვიღაც გადამწერის მიერ განუკითხავად.

მეორე მხრივ, აქ პეტრეს უაპელაციო ჩართვა უხეშად არღვევს თხრობის რიტმს. ამას ადვილად ვიგრძნობთ, თუ გვეცოდინება, რომ ჩვენ მიერ მოყვანილი ადგილი, რომელიც, როგორც ვთქვით, ადამიანის სიცოცხლის ყველაზე მწუხარე, შემაძრწუნებელ ემოციებს გადმოსცემს, ლექსად არის დაწერილი: (მძიმედ დანაღვლიანებული და სულით შეძრწუნებული პეტრეო)

გამოვიდა გარე(თ)
და ტიროდა მწარედ.

აქ ჩვენ გვაქვს ლექსი ექვსმარცვლიანი ტაეპით, რომელშიც ორი მუხლია ოთხი და ორი მარცვლებით (4+2). ეს ის საზომია, რომელიც შემდეგ ი. გრიშაშვილმა გამოიყენა „ანუშის“ მისეულ თარგმანში:

ამაღლების მთებო,
აზიდულო სვეტად,
გავეშუროთ, დებო,
ვარდის მოსაწყვეტად.

ან კიდევ:

მეკუბოევ, კუბო
ჩქარა შეკარ ფართე,
ერთი ორივესთვის,
ერთად გვინდა ძილი,

უნდა დავიბრუნო,
საროს კოცნა მართებს,
საალერსოდ გვიცდის
დიდი ცაცხვის ძირი.

ი. გრიშაშვილის თარგმანში ჯვარედინი რითმებია (abab), სახარების ნაწყვეტში კი მიჯრითი (aabb...). მაშინ ჯვარედინი რითმები არ იცოდნენ (ცნობილია, რომ მთელი „ვეფხისტყაოსანი“ მხოლოდ მიჯრითი რითმებითაა გაწყობილი). ორმარცვლიან მუხლში, ცხადია, რითმაც ორმარცვლიანი (ქალური) უნდა იყოს და ასეა სწორედაც. ხარისხიც კარგია: გარე(თ) — მწარედ. ზოგიერთ ჩვენს პოეტს დღეს, ატომისა და მთვარეზე მიმოსვლის ხანაში, ასეთი რითმები სანატრელად აქვს გამხდარი.

ახლა უფრო გასაგები უნდა იყოს, რომ სტრიქონში ზედმეტი ორმარცვლიანი სიტყვის (პეტრე) ჩამატება ყოველმხრივ მიუღებელია:

ა) არ არის ბერძნულ ორიგინალში;

ბ) საჭიროც არ არის;

გ) უხეში ტავტოლოგია გამოდის (პეტრეს მოაგონდა და გამოვიდა პეტრე გარეთ);

დ) არღვევს ლექსის მეტრს: ექვსმარცვლიანი ტაეპის ნაცვლად რვამარცვლიანს ვღებულობთ.

ყველა ეს ცოდვა მძიმე ტვირთად აწევს FG ხელნაწერების გადამწერთ (ან მათ წინაპარ ნუსხებს).

ძველი ვითარება კარგად ჰქონდა დაცული C რედაქციას:

და განვიდა გარე(თ)
და ტიროდა მწარედ.

აგრეთვე გიორგისაც, რომელმაც პირველი სტრიქონიდან და ამოაგდო, სამაგიეროდ სამმარცვლიანი განვიდა ოთხმარცვლიანი გამოვიდა-თი შეცვალა:

გამოვიდა გარე(თ)
და ტიროდა მწარედ.

ეგევე ადგილი მეორდება ლუკას თავშიც (22, 62); აქ ბერძნულში ზოგან პეტრე არის წარმოდგენილი. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ ამ მუხლში პეტრე სხვაგან (წინ) არაა მოხსენიებული, იგი მახლობლად მხოლოდ 61-ე მუხლში გვხვდება. ამის გამო იგი აქ ერთგვარად გამართლებულია.

დავძენ ბოლოს, რომ შეიძლება ლუკას თავის ბერძნულ დედანშიც ერთგვარ ლექსთან გვქონდეს საქმე:

καὶ ἐξελθὼν ἔξω ὁ Πέτρος
ἔκλαυσεν πικρῶς.

მაგრამ ამას ძველი ბერძნული ლექსის სპეციალისტის თვალი და ყური უნდა.

მ. 28, 18. —— ვითარცა მომავლინა მე მამამან, მეცა წარგავლინებ თქუენ C.

ბერძნულის ჩვეულებრივს გამოცემებში ეს ადგილი არ მოიპოვება, მაგრამ არის ზოგი გამოცემის ვარიანტებში (სქოლიოში): καθὼς ἀπέστειλεν με ὁ πατήρ, κἀγὼ ἀποστέλλω ὑμᾶς. არის სომხურშიც. გერმანული შენიშნავს: აქ ბერძნულს აკლიაო, მაგრამ თვითონაც აკლებს. როგორც ჩანს, ეს გადმოტანილი უნდა იყოს იოვანეს თავიდან (20, 21), სადაც სიტყვასიტყვით ასევე იკითხება. ასე რომ, ქართულის ორგვარ წაკითხვას აქაც ბერძნულში აღმოუჩნდა სათანადო სათავეები.

მრ. 16, 18. გუელთა შეიპყრობდენ გუელი ჴელითა აიქუან.

შდრ. ὄφεις ἀροῦσιν. აქ ჴელი არაა ნახსენები, მაგრამ ზოგან სქოლიოში მითითებულია ვარიანტი: καὶ ἐν ταῖς χερσὶν, რაც სწორედ ჩვენი C რედაქციის წაკითხვის წინაპარი უნდა იყოს.

ლ. 5, 15. —— შეკრბებოდა მისთჳს ერი მრავალი.

შდრ. καὶ συνήρχοντο ὄχλοι πολλοί. აქ არ არის და არცაა საჭირო მისთჳს. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სიტყვა აქ მექანიკურად არის განმეორებული, ცოტა ზემოთ კი იგი თავის ადგილზეა: „უფროჲსად მიმოედებოდა მისთჳს სიტყუაჲ იგი“. ამ შემთხვევაში ბერძნულშიც არის შესატყვისი περὶ αὐτοῦ.

გადამწერს მისთჳს კი დაუმატებია საჭიროების გარეშე, მაგრამ მას გამორჩენია მის მიერ (ὑπ' αὐτοῦ), რომელიც გიორგის აღდგენილი აქვს (სმენად და განკურნებად უძლურებათა მათთაგან მის მიერ). აქ იმასაც შევნიშნავთ, რომ ეს ორი სიტყვა ყველა ბერძნულ გამოცემაში არ არის. ასე რომ, შეეძლოთ იგი შეეტანათ და არც შეეტანათ იმის მიხედვით, თუ როგორი ბერძნული დედანი ჰქონდათ.

ლ. 17, 4. —— დალათუ შჳდ-გზის დღესა შინა შეგცოდოს და შჳდ-გზის
დღესა შინა მოაქციოს.

ბერძნულში τῆς ἡμέρας ზოგან ორჯერაა წარმოდგენილი, ზოგან — ერთხელ. ქართულის ორგვარი წაკითხვაც, მაშასადამე, ბერძნულის ორგვარსავე ვარიანტს ეყრდნობა. ეს სხვაობა თვით Ⴄ რედაქციაშიც აისახა: დღესა შინა მეორედ აღარ უხმარია G ხელნაწერს. რაღა უნდა ითქვას C რედაქციაზე, რომელშიც ეს სადავო დღესა შინა ერთხელაც არ გვხვდება! ერთ-ერთის (სახელდობრ, მეორის) დაკლება ყველგან განმეორების აცილების მიზნით უნდა მომხდარიყო.

ი. 12, 24. —— უკუეთუ არა მარცუალი იფქლისაჲ დავარდეს
ქუეყანასა და არა მოკუდეს, იგი მარტოჲ ხოლო ეგოს.

ბერძნულში არა მხოლოდ ერთხელაა ნახმარი, თავში: ἐὰν μὴ ὁ κόκκος... ქართულში (FG-ში) აქ ჩვენ გვაქვს ოთხთავის ენისათჳს მეტად იშვიათი შემთხვევა, როცა ორმაგი უარყოფა გვხვდება: უკუეთუ არა დავარდეს და... არა მოკუდეს. რა თქმა უნდა, მეორე არა ძველი ქართულის ნორმების მიხედვით სრულიად ზედმეტია. ეს არა არცა გვაქვს ამ ადგილას არც ერთ სხვა ქართულ ოთხთავში (სადაც კი ხელი მიგვიწვდება). იგი, როგორც ვთქვით, არც ბერძნულშია (არც ძველ ბერძნულს ჰქონია ორმაგი უარყოფა). უეჭველია, FG ხელნაწერთა ეს მაგალითი ამ საინტერესო გრამატიკული მოვლენის ძალიან ძველი სათავეების მაჩვენებელია[1].

ი. 16, 1—2. —— ამას გეტყოდე თქუენ, რაჲთა არა დაჲბრკოლდეთ,
ოდეს კრებულისაგან განგასხნენ თქუენ BM.

ამ ადგილის გაგებაში ცალკე დგას Ⴄ (ეფთჳმეს) რედაქცია, და ცალკე — სხვები (უცხოური და ქართული), მაგალითად:

| Ⴄ | სხვები |
|---|---|
| ამას გეუბნებოდით თქვენ, რომ არ შეცდეთ, როცა სინაგოგებიდან გაგყრიან თქვენ. | ამას გეუბნებოდით თქვენ, რომ არ შეცდეთ. სინაგოგებიდან გაგყრიან თქვენ. |

პირველ შემთხვევაში აუცილებელია ოდეს (რომელიც აქვთ FGM ხელნაწერებს) ან რაჟამს (რომელიც B-ს მოეპოვება). მეორე შემთხვევაში არ შეიძლება მისი (ოდეს, რაჟამს) ხმარება. ერთს ტექსტის აზრი ერთნაირად ესმის, მეორეს — სხვანაირად. საყოველთაოდ მიღებული აზრი მეორეა. მაგრამ პირველსაც აქვს რაღაც საბაბი. ბერძნული გამოცემის ვარიანტებში მეორე მუხლში ἵνα-ს (=რაჲთა) ნაცვლად ὅτε ყოფილა, სწორედ Ⴄ რედაქციის ოდეს და რაჟამს ზმნიზედების ბადალი. ჩანს, აქედან ეს ოდეს (რაჟამს) ცოტა წინ გადმოიტანეს, რომ აზრი თავისებურად გაეგოთ (ისე, რომ დედააზრი, იდეა არ შეცვლილიყო). ხოლო თვით ბერძნულში ἵνα-ს ნაცვლად ὅτε შეიძლება იმიტომ გაჩნდა, რომ იქვე, ცოტა ზემოთ, პირველ მუხლში ერთხელ უკვე არის ეს

---

[1] ე. თოფურია, ორმაგი უარყოფა ქართულში: წელიწდეული, I—II, 1923—1924, გვ. 74—116.

ἵνα (ἵνα μὴ σκανδαλισθῆτε) და განმეორების ასაცილებლად მეორე შემთხვევაში იგი ὅτε-თი შეცვალეს. აქედან კი მისი ზემოთ გადაწევა ძნელი არ იქნებოდა, თუ გვეცოდინება, რომ ამით ახალი, ტექსტის შინაარსის შესაფერისი აზრიც გამოიკვეთება.

ი. 19, 24. —— განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის
თავისა მათისა.

შდრ. διεμερίσαντο τὰ ἱμάτιά μου ἑαυτοῖς.

ἑαυτοῖς ქართულად გადმოაქვთ ხან როგორც „თავისა მათისა“, ხან კი როგორც „მათ შორის“. აქ ႠႢ რედაქციებს „თავისა მათისა“ აურჩევიათ, FG-ს კი, როგორც ბევრჯერ ვნახეთ, — ერთიცა და მეორეც: „მათ შორის თავისა მათისა“. ცხადია, პირველად ნასწორებ ტექსტში „თავისა მათისა“ გასწორებული იქნებოდა ამ სიტყვების გადახაზვით და იქვე (გვერდზე) „მათ შორის“ ჩაწერით (ან სხვა გზით: არშიაზე გატანით და სხვა). გადამწერმა კი უყურადღებობით ორივე დატოვა. და წამოვიდა მერმე ასე ორმაგი თარგმანი (ნ. ამგვარი მაგალითები ზემოთ, გვ. 87—88, 125—126 და სხვ.). დავძენ ბოლოს, რომ FG-ს მოძმე ხელნაწერებიდან B-ს „თავისა მათისა“ აქვს, ხოლო M-ს — „მათ შორის“.

ი. 19, 29. —— მიუპყრეს პირსა მისსა, რაჲთა აღესრულოს
წერილი იგი BM.

არც ბერძნულში და არც სხვაგან (სომხ., რუს., გერმ., ინგლისურში) ამის შესატყვისი რამ არ მოიპოვება. მომდევნო მუხლში ძმრის მიღების შემდეგ იესუ ამბობს: „ესეცა წერილი აღესრულა“. შეიძლება ამის გამოძახილი იყოს „რაჲთა აღესრულოს წერილი იგი“, რომელიც ნიადაგს ამზადებს მომდევნო მუხლში წარმოდგენილი განცხადებისათვის (ესეცა წერილი აღესრულა). ასეა თუ ისე, ჩვენ აქაც მთარგმნელის დამატებასთან უნდა გვქონდეს საქმე. ნიშანდობლივია, რომ ეს დამატება გვაქვს აგრეთვე Ⴄ რედაქციის BM ხელნაწერებშიც.

ი. 21, 9. —— ვითარცა გამოჴდეს ჴმელად ქუეყანად.

შდრ. ὡς οὖν ἀπέβησαν εἰς τὴν γῆν.

ამ ბერძნულ γῆν-ს ქართულში შესატყვისად აქვს ქუეყანასა (ႠႢ...), ზოგან კი — ჴმელად (Ⴀ). Ⴄ-ში აქაც ორივე შესატყვისი ერთადაა წარმოდგენილი — ჴმელად ქუეყანად. არა გვგონია, ორივე ერთად ერთ ცნებას აღნიშნავდეს. უფრო საფიქრებელია, დავუშვათ, რომ ჯერ ერთი ეწერა, არ მოეწონათ, წაშალეს და მის ნაცვლად იქვე გვერდით მიუწერეს მეორე. გადაწერისას უყურადღებობით ორივე დარჩა ტექსტში (შეიძლება გამსწორებელს ძველის გადახაზვა თუ წაშლა დაავიწყდა). მერმე კი წამოვიდა და წამოვიდა ასე ორმაგად გამოხატული ერთი ცნება. ამის მაგალითები ჩვენ ზემოთ არა ერთი და ორი შეგვხვდა (87 — 88, 125 — 126). დაე, იმ მარაქას ეს ერთიც მიემატოს.

## D. Ⴄ აკლებს (—)

Ⴀ ႤႢ

მ. 1, 20. ამას რაჲ ზრახვიდა გულსა თჳსსა —CBM.

შდრ. ταῦτα δὲ αὐτοῦ ἐνθυμηθέντος.

მ. 1, 24. და წარიყვანა მან ცოლი თჳსი — CBM.

შდრ. καὶ παρέλαβεν τὴν γυναῖκα αὐτοῦ.

ბერძნულში, როგორც ვხედავთ, არ არის მან-ის შესატყვისი (ქვემდებარე), არც ႤႢCBM-შია, რომლებიც ბერძნულს მისდევენ კვალდაკვალ. მაგრამ აქ უნდა

შევნიშნოთ, რომ ამნაირი ნაცვალსახელების დაკლება-დამატებას არა აქვს მნიშვნელობა რედაქციული საკითხების კვლევისათვის. ამ ტიპის სიტყვების დაკლება-დამატება უმთავრესად ქართულ ნიადაგზე ხდება: შეიძლება ბერძნულში არ იყოს წარმოდგენილი ესა თუ ის სიტყვა (პირის ნაცვალსახელი) და ქართველმა მთარგმნელმა დაუმატოს თავისი მშობლიური ენის (უმთავრესად ქართული ზმნის მრავალპირიანობის) მოთხოვნის მიხედვით; ანდა, პირიქით: შეიძლება ბერძნულში იყოს იგი და ქართულში გამოტოვონ იმავე მიზეზით. ქართულ ორ- და სამპირიან ზმნაში არ არის აუცილებელი, ყველა პირის ფარდი სახელი (პირის ნაცვალსახელი) უეჭველად იქნეს წარმოდგენილი, აზრი ისედაც ნათელია. ამიტომ ჩვენ ქვემოთ, თუ არ განსაკუთრებულ შემთხვევაში, ამ სახის სიტყვების დაკლებას აღარ ვუჩვენებთ.

არსებითად ეგევე უნდა ითქვას აგრეთვე ვითარმედ, რამეთუ, ხოლო კავშირების, შინა, ზედა თანდებულებისა და ზოგი ამ ტიპის სიტყვის შესახებაც.

მ. 3, 4. და სარტყელი ტყავისაჲ
ერტყა წელთა მისთა ——— CM.

ბერძნულში ერტყა არაა, C-ში დამატებულია აზრის სრულად გამოხატვის მიზნით: სარტყელი ერტყა (აბა რაო!).

მ. 4, 8. მერმე წარიყვანა იგი ეშმაკმან მან და
აღიყვანა იგი მთასა ფრიად ——— CBM.
მაღალსა

ეს სამი სიტყვა არაა ბერძნულში, არც სხვა ენების თარგმანებში. არცაა საჭირო. ამიტომ ბუნებრივია, თუ ისინი ამოაგდეს CႤႢ რედაქციებში. ადიშმა აღიყვანა დატოვა, სხვებმა (FGBMႢ) — წარიყვანა.

მ. 4, 24. მოჰგურიდეს მას
ახლის პირით გუემულთა ——— CBM.

რა თქმა უნდა, ეს გამოთქმა არ იქნება ႤႢ-ში, რადგან იქ ამ ცნებისათვის სხვა სიტყვაა შერჩეული — ცისად-ცისად გუემული (=მთვარეული). მაგრამ საქმე ისაა, რომ C-ში ამ ავადმყოფობის აღსანიშნავად ორი, ერთი და იმავე მნიშვნელობის, გამოთქმაა ნახმარი: ცისად-ცისად გუემული და ახლის პირით გუემული. როგორც ჩანს, ერთ-ერთი მათგანი (ალბათ, ცისად-ცისად გუემული) გაუგებარი იყო ხალხისთვის იმ დროს და იგი შეცვალეს მეორე, უფრო გასაგები, გამოთქმით — ახლის პირით გუემულით (გამორიცხული არ არის, რომ პირიქითაც დავუშვათ — ჯერ ახლის პირით გუემული იყო და სწორედ მისი შეცვლა მოინდომეს ცისად-ცისად გუემულით). შემდეგ, გადაწერისას, უყურადღებობით ორივე დარჩა. შემდეგ და შემდეგ წამოვიდა ასე და ჩვენამდე მოაღწია (C რედაქციაში). ეფთვიმემ გაასწორა შეცდომა, ერთი მათგანი (ცისად-ცისად გუემული) დატოვა, ხოლო მეორე (ახლის პირით გუემული) ამოაგდო. ეფთვიმეს გასწორება უცვლელად მიიღო გიორგიმაც (ნ. ამ ტიპის მაგალითები ეფთვიმეს რედაქციაში ზემოთ, გვ. 87—88, 125—126, 130). ბერძნულში, რასაკვირველია, ერთი შესატყვისი გვაქვს — σεληνιαζομένους.

მ. 7, 13. მრავალნი არიან, რომელნი შევლენან მას ——— FGHIK

შდრ. καὶ πολλοί εἰσιν οἱ εἰσερχόμενοι δι' αὐτῆς. C ბერძნულს მისდევს, Ⴄ ამარტივებს კონსტრუქციას — ტოვებს სიტყვებს არიან, რომელნი. ასევე იქცევა C-ც (ოდნავ შეცვლილი სახით) და Ⴄ რედაქციის ორი მთავარი წარმომადგენელი — BM ხელნაწერები.

მ. 9, 9. აღდეგ და შემომიდეგ მე —— CBMႠ.

შდრ. ἀκολούθει μοι. სად არის აქ ეს „აღდეგ და“? არც სხვაგანაა, იგი დამატებული უნდა იყოს C-ს მიერ (თუ უშუალოდ გადმოღებული არაა რომელიმე ჩვენთვის უცნობი ვერსიიდან), შეიძლება იმის გამო, რომ მათეოზი, რომელსაც მიმართავს ქრისტე, ამ დროს იჯდა. აქ არას ვამბობთ იმის შესახებ, რომ C-ს შემომიდეგ BMႠ ხელნაწერებში მისი სინონიმური ცალის მომდევდი-თი არის შეცვლილი (ეს უკვე ლექსიკაში გვაქვს განხილული).

მ. 9, 13. არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ
ცოდვილთა, მოქცევად მათა —— CBM.

შდრ. ...ἀλλὰ ἁμαρτωλούς εἰς μετάνοιαν. ამას ეყრდნობა C რედაქცია. მაგრამ ზოგ ბერძნულ გამოცემაში უკვე აღარ შეუტანიათ ეს εἰς μετάνοιαν, სხვაგან სქოლიოშია ჩატანილი. ႤႢ რედაქციები სწორედ ამ ტიპის ვერსიას ეფუძნება. სხვა ენების თარგმანებშიც ასეთივე ჭრელი სურათია: ზოგი ერთს მისდევს, ზოგი — მეორეს[1]. თვით ეს ადგილი სახარებაში ბიბლიიდანაა შემოსული (ოსე 6, 6), იქ კი სადავო წაკითხვა ყველგანაა.

მ. 9, 21. შე-ხოლო თუ-ვახო ფესუსა
სამოსლისა მისისასა, ვცხოვნდე —— CBMႠ.

ფესუსა არც ბერძნულშია და არც სხვა ენების თარგმანებში. შესაძლებელია, C-ში იგი აქ წინა მუხლის გავლენით იყოს გაჩენილი (შეახო ფესუსა სამოსლისა მისისასა). როგორც თავშიცაა ნაჩვენები, FG აქ რედაქციულად მოძმე BM ხელნაწერებით არის ზურგგამაგრებული (მათი სისხლი და ხორცია, და იმიტომ).

მ. 16, 12. მაშინ გულისხმა-ყვეს
მოწაფეთა მისთა —— CMBႠA88.

შდრ. τότε συνῆκαν ὅτι...

ტექსტში „მოწაფეთა მისთა“ არსად არაა, მაგრამ კი იგულისხმება, რომ მისმა მოწაფეებმა გაიგეს. ამიტომ უფრო მეტი კონკრეტულობისათვის ტექსტშიც შეიტანეს. ႤႢ, რა თქმა უნდა, მეტ სიზუსტეს იჩენს და ზედმეტ სიტყვებს უკუაგდებს.

სხვა ენების თარგმანებში ამათ ნაცვლად ნაცვალსახელებია წარმოდგენილი (სხვანაირად არც შეიძლებოდა): они поняли, sahen sie ein, understood they.

მ. 18 25, (განსყიდაჲ) ... და ყოველი, —— BMႠ.
რაჲცა აქუნდა მას

შდრ. καὶ πάντα ὅσα ἔχει.

ეს ყოველი ყველგანაა, არაა მხოლოდ ეფთვიმეს (და გიორგის) რედაქციაში. ეს არის იშვიათი შემთხვევა, როცა C-ს დაცული აქვს ბერძნულის წაკითხვა, ხოლო ႤႢ უკუაგდებს მას. ისე, კაცმა რომ თქვას, „რაჲცა აქუნდა“ (რაც ჰქონდა) აქ თავისთავად ნიშნავს ყველაფერს. სხვაგანაც ხშირია, რომ ყოველიანი და უმისო გამოთქმები ენაცვლებოდეს ერთმანეთს, მაგალითად: რომელი — ყოველი რომელი (მ. 5, 22); რომელმან — ყოველმან რომელმან (მ. 19, 9; ლ. 16, 18); რომელი — ყოველმან რომელმან (ი. 6, 40); რომელსა — ყოველსა რომელსა (ი. 3, 15) და სხვა.

---

[1] მათეს სახარების თარგმანებში „მოქცევად მათა“ შეცვლილია ერთი სიტყვით — სინანულად.

მ. 19, 27. რაჲ-მე იყოს აწ ჩუენთჳს —— CBMႧ.

შდრ. τί ἄρα ἔσται ἡμῖν.

აქ აწ-ის შესატყვისი არაფერია და არც შეიძლება იყოს: აწ ძველ ქართულში არის ახლა, теперь. შეუძლებელია, აწ აქ ვიგულისხმოთ, რადგან საუბარი მომავალ დროს ეხება (იყოს = იქნება, მოხდება); ἄρα კი კითხვითი ნაწილაკია და იგი ქართულში წარმოდგენილია კიდეც მე-ს სახით (რაჲ-მე იყოს ჩუენთჳს = ჩვენ რაღა მოგვივა, ჩვენ რაღა დაგვემართება?). ამგვარად, Ⴀ-ში აქ აწ უმართებულოდ არის ჩაჩხირული. შეიძლება კაცმა იფიქროს, ბერძნული ἄρα და ἄρτι აურიეს ერთმანეთში; ἄρτι კი მართლაც აწ-ს ნიშნავს. რომ ქართულში ἄρα-ს შესატყვისიც არის (არა-მე), ეს ჩვენი დაშვების გასაბათილებლად არ იკმარებს.

მ. 21, 25. ნათლის-ცემაჲ იოვანესი ვინაჲ

იყო: ზეცით იყო, ანუ კაცთაგან CB ——MႧ.

შდრ. τὸ βάπτισμα τὸ Ἰωάννου πόθεν ἦν· ἐξ οὐρανοῦ ἢ ἐξ ἀνθρώπων.

როგორც ვხედავთ, ბერძნულში იყო (ἦν) ერთჯერაა ნახმარი (πόθεν ἦν), Ⴀ-ში კი — მეორეჯერაც (ზეცით იყო ანუ კაცთაგან). ႷႢ, რა თქმა უნდა, ბერძნულს მიჰყვება: იყო-ს პირველ შემთხვევაში იყენებს (ვინაჲ იყო. ორი იყო ასე მოკლე მანძილზე სტილისტურადაც გაუმართლებელია.

მ. 23. 7. და პირველ მოკითხვაჲ —— CMႧ.

უბანთა ზედა

ბერძნულში პირველ არაა, არც სხვა ენების თარგმანებშია (სომხ.— რუს. — ინგლისურში), აქვს მხოლოდ გერმანულ თარგმანს: wollen sie zuerst gegrüsst... werden. თუ ამ პირველს სადმე ბერძნულში ან სხვაგან დასაყრდენი არ მოეძებნება, შეიძლება იგი წინა (VI) მუხლში ნახმარი „პირველ დაჯდომაჲ“-ს (τὰς πρωτοκαθεδρίας) გავლენით აიხსნას.

მ. 25, 11. შემდგომად ამისა მერმე მოვიდეს ———

სხუანიცა იგი ქალწულნი

შდრ. ὕστερον δὲ ἔρχονται καὶ αἱ λοιπαὶ παρθένοι.

ბერძნული ὕστερον იქნება შემდეგ, გვიან, ბოლოს, ამიტომ სწორია ႷႢ რედაქციები, როცა „შემდგომად მათსა“ იხმარეს; სწორია C-ც, როცა „უკუანაჲსკნელ“ გამოიყენა. მაგრამ Ⴀ-ში იგივე აზრი ორმაგად არის გამოხატული: „შემდგომად ამისა“ და „მერმე“, რაც საჭირო არ იყო, ერთ-ერთი კმაროდა, სჯობდა ისევ „შემდგომად ამისა“ თუ „შემდგომად ამათსა“ (მერმე-ს ბერძნულში ჩვეულებრივ πάλιν შეეფერება). შესაძლებელია, აქაც გვქონდეს ისეთი შემთხვევა, როცა შემონახულია უფრო ადრინდელი, დაწუნებული ფორმა და მისი შემცვლელი მასალა.

მ. 26, 26. ესე არს ჴორცი ჩემი, თქუენ

მრავალთათჳს განტეხილი

მისატევებელად ცოდვათა —— CBMႧ.

ეს ადგილი არ არის ბერძნულში, არც სხვა ენების თარგმანებში (სომხ. — რუს.—გერმ.—ინგლ.), არ მოეპოვება აგრეთვე ჩვენს ႷႢ რედაქციებს, კერძოდ, BMႧ ხელნაწერებს, არც ადიშურს[1]. ეს არაა ამ მუხლის ნაწილი. შესაძლებელია, დავუშვათ, რომ იგი აქ გადმოსულია ამავე თავის 28-ე მუხლიდან, სადაც იკითხება „რა-

---

[1] ა. შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, 1945, წინასიტყვაობა, გვ. 040.

რამეთუ ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქუმისაჲ, თქუენ მრავალთათჳს დათხეული მისატევებელად ცოდვათა“. ამ ადგილებს კი წინ მიუძღოდათ ერთნაირი სიტუაცია, რომელიც ორივეგან მსგავსი სიტყვებით არის გადმოცემული:

ა) მოიღო იესუ პური, აკურთხა და განტეხა და მისცა მოწაფეთა თჳსთა და ჰრქუა: მიიღეთ და ჭამეთ, რამეთუ ესე არს ჴორცი ჩემი (26, 26).

ბ) მოიღო სასუმელი, ჰმადლობდა და მისცა მათ და ჰრქუა: მიიღეთ და სუთ ამისგანი თქუენ ყოველთა, რამეთუ ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქუმისაჲ (26, 27—28).

აი ამას მოჰყვება ის სადავო სიტყვები: „თქუენ მრავალთათჳს დათხეული (|| განტეხილი) მისატევებელად ცოდვათა“. ამიტომ ბუნებრივი იქნება დავუშვათ, რომ სადავო ადგილი მეორიდან პირველში გადმოვიდა უმნიშვნელო ცვლილებით: „დათხეული“ (სისხლს რომ ეხებოდა) შეცვალეს „განტეხილით“ (რადგან აქ საქმე ხორცს შეეხება).

შეიძლება ეს ადგილი სხვა გზით მოდის, ამას სპეციალური ძიება სჭირდება.

მრ. 4, 38. განაღჳძებდეს მას
მოწაფენი და ეტყოდეს B ——— M.

შდრ. καὶ ἐγείρουσιν αὐτὸν καὶ λέγουσιν αὐτῷ.

მოწაფეების ხსენება კი არსად არ არის, არც სხვა ენების თარგმანებშია. როგორც ჩანს, Ꞓ-ში არის ცდა, დააკონკრეტონ, სახელდობრ ვინ აღვიძებდა იესუს.

მრ. 8, 14. და დაავიწყდა მოწაფეთა მისთა —— C.
მოღებად პური BM

შდრ. καὶ ἐπελάθοντο λαβεῖν ἄρτους. არც სხვა ენების თარგმანებშია, მხოლოდ ზოგს აქვს (რუს.). როგორც ჩანს, აზრის უფრო ნათელსაყოფად უნდა იყოს დართული. საბაბი იყო: მოწაფეები უკანასკნელად მხოლოდ X მუხლში არიან დასახელებულნი. BM-ს „მისთა“ აკლია, მხოლოდ „მოწაფეთა“ დაურთავთ. ႩႢ, რა თქმა უნდა, ბერძნულს მიჰყვება კვალდაკვალ და მეტ სიტყვას არ შეიტანს ტექსტში. მათთან დგას C-ც.

მრ. 9, 43. მოიკუეთე იგი შენგან —— CBM.

შდრ. ἀπόκοψον αὐτήν (=ႩႢ).

„შენგან“ აღარაა საჭირო, იგი სათავისო ქცევის ფორმით იგულისხმება (მოიკუეთე).

მრ. 9, 45. მოიკუეთე იგი და განაგდე
შენგან ——CBM.

შდრ. ἀπόκοψον αὐτόν (=ႩႢ).

მრ. 10, 40. ხოლო დაჯდომაჲ მარჯუენით ჩემსა და
მარცხენით ჩემსა არა არს ჩემი მიცემაჲ. ———

ხაზგასმული ჩემსა (μου) ბერძნულში ზოგან ორივეჯერაა წარმოდგენილი, აქედან ამოდის Ꞓ. მაგრამ ზოგან მხოლოდ პირველ შემთხვევაშია, მეორეგან — არა. ამას ეყრდნობა ეფთვიმე (და გიორგი). ეჭვი არაა, მეორე შემთხვევაში ჩემსა-ს გამოტოვებისას სტილისტური მოსაზრება ამოძრავებდათ — მეტად მოკლე მანძილზე ჩემსა-ს (μου-ს) უხერხული განმეორება.

მრ. 14, 16. და გამოვიდეს მომზადებად ———
მოწაფენი CBM.

შდრ. καὶ ἐξῆλθον οἱ μαθηταὶ (=ႩႢ)

ბერძნულში, როგორც ვხედავთ, „მომზადებად“ არ არის, არც სხვა ენების თარგმანებშია. ჩვენთვის ხელმისაწვდომი ენებიდან იგი მოეპოვება მხოლოდ სომხურს: *եւ գնացին պատրաստել աշակերտքն նորա*. ჩვენს Ⴑ რედაქციას ამასთან უნდა ჰქონდეს კავშირი. ამ ძველ მეგობრებს ამ შემთხვევაში ადიშიც უერთდება, ოღონ მას და ზმნისწინი გამოუყენებია — დამზადებად.

მრ. 14, 19. ხოლო მათ იწყეს მწუხარებად და
სიტყუად თითოეულმან ერთმანლა და
ერთმან BM ———

კაცმა რომ თქვას, Ⴑ-ს „თითოეულმან“ და „ერთმანლა და ერთმან“ ერთი და იგივეა შინაარსით. ბერძნული εἷς κατὰ εἷς (каждый порознь), სიტყვასიტყვით რომ ვთქვათ, უფრო „ერთმანლა და ერთმან“ იქნება, ვიდრე „თითოეულმან“. C-სა და ႩႢ-ს ეს უკანასკნელი აურჩევიათ. ყოველ შემთხვევაში, ორივე ერთად (თითოეულმან ერთმანლა და ერთმან) ისე არაა საჭირო, როგორც ადრე განხილული წყვილები: კინსონისაჲ და ხარკისაჲ, ცისად-ცისად გუემული და ახლის პირით გუემული, მსაჯულმან და ბჭემან, ქუეყანად და ჴმელად ქუეყანად და სხვა (ნ. ზემოთ, გვ. 87—88, 125—126, 130, 131).

ლ. 5, 4. შევლინე ნავი ეგე ღრმად B ———CM.

შდრ. ἐπανάγαγε εἰς τὸ βάθος. ნავი კი არსად ჩანს. შეიძლება იგი იმიტომ დაუმატეს, რომ შევლინე-ში იგულისხმება პირდაპირი ობიექტი და უიმისოდ კოჭლად მიიჩნიეს წინადადება.

ლ. 5, 12. აჰა კაცი სავსე კეთროვნებითა
იყო მას ქალაქსა B ———CM

შდრ. ἰδοὺ ἀνὴρ πλήρης.

მთელი ხაზგასმული წინადადება დამატებულია Ⴑ-ში (მას ჰბაძავს B-ც). იმიტომ ხომ არა, რომ წინადადებას ზმნა აკლია? მაშინ „მას ქალაქსა“ საიდან გაჩნდა?

ლ. 7, 9. მიექცა ერსა მას, რომელი მისდევდა, ———
და ჰრქუა BM.

შდრ. καὶ στραφεὶς τῷ ἀκολουθοῦντι αὐτῷ ὄχλῳ εἶπεν.

ბერძნულში, როგორც ვხედავთ, მიმღეობაა (მიმდევარი); Ⴑ-ს, ქართულის შესაფერისად, ცალკე, დამოკიდებული წინადადებით გადმოუღია (რომელი მისდევდა), ხოლო არც C-ს და არც ႩႢ-ს იგი არ მოეპოვებათ. ძნელი დასაჯერებელია, ვიფიქროთ, რომ ეს წაკითხვა არ იყო თვით იმ ბერძნულ ხელნაწერებში, რომლებითაც C-სა და ႩႢ-ს მთარგმნელები ხელმძღვანელობდნენ (ასეთი ხელნაწერები თუ გამოცემები ჯერ არ ჩანან).

ლ. 7, 17. და განეფინა სიტყუაჲ ესე
ყოველსა ჰურიასტანსა მისთჳს და
ყოველსა მას გარემო სოფლებსა მისთჳს ———CBM.

შდრ. καὶ ἐξῆλθεν ὁ λόγος οὗτος ἐν ὅλῃ τῇ Ἰουδαίᾳ περὶ αὐτοῦ καὶ πάσῃ τῇ περιχώρῳ.

ბერძნულში, როგორც ვხედავთ, მისთჳს, (περὶ αὐτοῦ) მხოლოდ ერთხელაა ნახმარი (I), Ⴑ-ს კი მეორეჯერაც დაუმატებია, რაც ყურს ჰჭრის. ხომ არ აცდუნა მთარგმნელი თუ გადამწერი ბერძნული ტექსტის ბოლო სიტყვამ (περιχώρῳ) და მისი წინა ნაწილი περὶ αὐτοῦ-დ ხომ არ აღიქვა? CႩႢ(MB)-ში ეს ცდუნება არიდებულია.

ლ. 7, 42. ვითარ არარაჲ აქუნდა მათ, რაჲ
მისცენ, ორთავე მიუტევა. ———

შდრ. μὴ ἐχόντων αὐτῶν ἀποδοῦναι ἀμφοτέροις ἐχαρίσατο.

რაჲ მისცენ (გადაუხადონ) ბერძნულშიც არის, სხვა ენების თარგმანებშიც, აქვს ჩვენს CBM ხელნაწერებსაც, არ მოეპოვება მხოლოდ ႠႢ-ს. ალბათ, იმ დედნებში, რომელთაც ისინი იყენებდნენ, არ იყო ἀποδοῦναι, თორემ საჭირო სიტყვას არ გამოტოვებდნენ.

ლ. 10, 30. მო-რაჲ-ვიდე, მაშინ მიგცე შენ B ———CM.

ბერძნულში მაშინ არ არის, არც უნდა. მო-რაჲ-ვიდე გულისხმობს ზუსტ დროს: როცა მოვალ, მოვალ თუ არაო.

ლ. 10, 36. აწ ვინ ამათ სამთაგანი ———CM.
გგონიეს მოყუას მისა B.

აწ არ არის ბერძნულში, არც სხვაგან. საჭიროც არ არის. ეს აწ სხვაგანაც ასევე ზედმეტადაა ნახმარი, მაგალითად:

ლ. 16, 4. აწ უწყი, რაჲ ვყო B ———CM.

შდრ. ἔγνων τί ποιήσω.

ხელნაწერებიც ერთნაირადაა დაჯგუფებული: + აწ CB, — აწ ႠႢCM.

ლ. 19, 26. რომელსა აქუნდეს, მიეცეს და
მიემატოს B ———CM.

შდრ. παντὶ τῷ ἔχοντι δοθήσεται.

მაგრამ ზოგი ბერძნული გამოცემის ვარიანტებში დადასტურებულია აგრეთვე προστίθεται და περισσευθήσεται, ე. ი. სწორედ ჩვენი მიემატოს. ასე რომ, აქაც ქართულის ორ ვარიანტს თვით ბერძნულშიც აქვს საფუძველი: იქაც არის ორი ასეთი ვარიანტი.

გარდა ამისა, გადამწერმა (რედაქტორმა) უეჭველად კარგად იცოდა, რომ ეგევე არაკი მათეს სახარებაში სწორედ სადავო სიტყვის დამატებითაა წარმოდგენილი, მაგალითად: რომელსა აქუნდეს, მიეცეს და მიემატოს (მ. 13, 12). ბერძნულშიც, რა თქმა უნდა, ასეეა: ὅστις γὰρ ἔχει, δοθήσεται αὐτῷ καὶ περισσευθήσεται. ეს, ვიმეორებთ, უეჭველია. გადამწერს (რედაქტორს) ახსოვდა და იქაც დაუმატა. ტექსტის საერთო აზრისათვის გაცილებით უკეთესია „მიეცეს და მიემატოს“, ვიდრე მხოლოდ „მიეცეს“. ტექსტში ეს „მიეცეს და მიემატოს“, უპირველეს ყოვლისა, პირველ მონას (მუშას) ეხება, რომელიც სხვებისაგან გამოირჩეოდა საზრიანობით, ენერგიითა და მუყაითობით. აი ასეთებზეა ნათქვამი: რომელსა აქუნდეს, მიეცეს და მიემატოსო.

ლ. 22, 20. ეგრეთვე სასუმელი იგი შემდგომად
სერობისა მოიღო და თქუა ———CBM.

შდრ. καὶ τὸ ποτήριον ὡσαύτως μετὰ τὸ δειπνῆσαι, λέγων.

მოიღო აქ აღარაა განმეორებული, რადგან იგი წინა მუხლში იყო ნახმარი (მოიღო პური). C რედაქცია კი არ ერიდება განმეორებას, ოღონდ კი აზრი იყოს ნათელი და ცხადი.

ი. 4, 25. ვიცი, უფალო, რამეთუ მესია მოვალს ———CBM.

შდრ. οἶδα ὅτι Μεσσίας ἔρχεται.

უფალო არც სხვაგანაა, ჩვენში მხოლოდ C რედაქციას მოეპოვება. დიალოგში, როცა ქრისტეს ელაპარაკებიან, C რედაქცია სხვაგანაც ურთავს ამ სახელს.

ი. 4, 28. უთხრა კაცთა მათ ქალაქისათა B ——— CM.
შდრ. καὶ λέγει τοῖς ἀνθρώποις.

ქალაქისათა კი არც აქ და არც სხვაგან (სომხ.—რუს.—გერმ.—ინგლ.) არ არის. Ꞓ-ს ამ შემთხვევაში B-ც უჭერს მხარს (B-ს სხვაგანაც ემჩნევა Ⴉ-სადმი ორგულობა).

ი. 7, 37. უკანაჲსკნელსა მას დღესა დიდისა მის დღესასწაულისასა. — დასასრულსა მას დიდისა მის დღესასწაულისასა.
შდრ. ἐν δὲ τῇ ἐσχάτῃ ἡμέρᾳ...

დღესა ყველგანაა. ႩႢ-ს გამოუტოვებია, ალბათ, იმის გამო, რომ „დასასრულსა მას“ ბოლო დღეს თავისთავად გულისხმობსო. შეიძლება განმეორებას მოერიდნენ (დღესა... დღე სასწაულისასა). სხვა ენების „დღესასწაულში“ დღე არ შედის (ἑορτή, ἡ, տօն, праздник, das Fest, feast...).

ი. 8, 12. მერმე კუალად ეტყოდა იესუ და ჰრქუა მათ. ——— CBM.

ბერძნულში გვაქვს ერთი πάλιν, რომელიც ქართულში ჩვეულებრივ გადმოდის როგორც მერმე და კუალად. Ꞓ-ს ორივე ერთად წარმოუდგენია, რაღა საჭირო იყო მეორე? (ნ. ამ ტიპის მაგალითები ზემოთ, გვ. 87—88, 125—126, 130, 131, 135).

ი. 8, 13. შენ თავისა შენისათჳს თჳთ სწამებ ——— CBM.

მართალია, ბერძნულში თჳთ სიტყვის ბადალი არა გვაქვს (σὺ περὶ σεαυτοῦ μαρτυρεῖς), მაგრამ ამ შემთხვევაში Ꞓ-ს მიერ დამატებული თჳთ ქართულისათვის ზედგამოჭრილია, იგი აქ საკუთარ ადგილზე ზის.

ი. 13, 5. მერმე მოიღო წყალი ——— BM.
შდრ. εἶτα βάλλει ὕδωρ.

სხვა ენების თარგმანებში შესატყვისი სიტყვა ზოგან არის, ზოგან—არა; εἶτα-ს შესატყვისი Ꞓ-ში არის მერმე, C-ს იგი უთარგმნია „შემდგომად“. შეიძლებოდა სხვანაირადაც გადმოეღოთ, მაგრამ მისი სრულიად ამოგდება ასეთ კარგ თარგმანს (გადამწერს) არ შეეფერება.

ი. 13, 12. და ოდეს დაჰბანნა ფერჴნი მათნი, მაშინ მოიღო სამოსელი თჳსი B ——— CM.

მაშინ არ არის არც ბერძნულში და არც სხვაგან. იგი არც არის საჭირო: აკი ნათქვამია, ოდეს (ὅτε) დაჰბანაო. მაშასადამე, როცა დაბანა, მაშინვე მომხდარა მომდევნო ამბავი.

საერთოდ, არ არის სტილისტურად გამართლებული, როცა ამ ტიპის სიტყვების შემდეგ მთავარ წინადადებაში მაშინ-ს ხმარობენ: როცა მოვიდა, მაშინ დაიწყო ამბის მოყოლა; ოდეს დაუძახეს, მაშინ წავიდა (შდრ. ოდეს ტურფა გაიეფდეს, აღარა ღირს არცა ჩირად); მოვიდა თუ არა, მაშინ შეუდგა საქმეს; რა წამს თვალი მოჰკრა, მაშინ იყვირა.

სულ სხვაა ვე ნაწილაკიანი მაშინ (მაშინვე): ის სწორედ ასეთი წინადადებებისათვისაა გაჩენილი: მოვიდა თუ არა, მაშინვე საჭმელს ეცა, რაწამს თვალი მოჰკრა, მაშინვე იცნო.

მაშინ ჩვენს მაგალითშიც არ არის მოსაწონი. ამიტომ ႩႢ რედაქციების წაკითხვას უნდა მივცეთ უპირატესობა.

ი. 14, 12. რამეთუ მე მამისა ჩემისა მივალ B ——— CM.
შდრ. ὅτι ἐγὼ πρὸς τὸν πατέρα πορεύομαι.

მაგრამ სხვა ბერძნულ გამოცემაში უკვე არის სადავო ჩემისა (πρὸς τὸν πατέρα μου). გამოდის, რომ C-საც ჰქონია საყრდენი ბერძნულში და ႤႢ-საც.

ი. 18, 33. და შეჰხადა მუნ იესუს BM ———C.

შდრ. καὶ ἐφώνησεν τὸν Ἰησοῦν.

მუნ კი არსად არა ჩანს, ის არც სხვა ენების თარგმანებშია დადასტურებული.

ი. 19, 14. ჟამი იყო ვითარ მეექუსჱ C ———BM.

შდრ. ὥρα ἦν ὡς (ὡσεὶ) ἕκτη.

ὡς და ὡσεὶ არის სწორედ ქართული ვითარ (ასე, დაახლოებით). სხვა ენების თარგმანებში უმეტესად არის ეს სადავო სიტყვა (*իբրև*, ungefähr, about); რაღაც მიზეზის გამო არ მოეპოვება ႤႢ რედაქციებს, ამასთან Ⴄ რედაქციის ძირითად (FGBM) ხელნაწერებს.

ი. 19, 40. მოიღეს გუამი იესუჲსი და
შეჰგრაგნეს იგი ტილოებითა,
არდაგებითა სულნელთა მათ თანა ———B.

იესუს გვამი ბერძნულის მიხედვით მხოლოდ ერთი რამით არის შეხვეული, ესაა ὀθόνιον, τό (კნინ., ← ὀθόνη, ἡ), ჩვენებურად ტილო. C-ს თანახმად კი იგი ორ რამეშია გახვეული — ტილოებში და არდაგებში. რატომ არის ეს ასე? საქმე ისაა, რომ ტილო და არდაგი კარგად ცნობილი სინონიმებია ძველ ქართულში, ისინი ხშირად ენაცვლებიან ერთმანეთს. ეტყობა, აქ პირველად ტილოებითა იყო, მერმე მოუნდომებიათ მისი შეცვლა მეორე სიტყვით — არდაგებით[1], მაგრამ ტექსტში საბოლოოდ ორივე დარჩენილა (როგორ — ამაზე ზემოთ არაერთხელ გვქონდა საუბარი).

აქ რომ თავიდანვე ორივე სახელი ყოფილიყო (ამის საჭიროება კი არ არსებობდა), ისინი უეჭველად და კავშირით იქნებოდნენ გადაბმულნი (შეჰგრაგნეს იგი ტილოებითა და არდაგებითა), აქ კი ძალიან უხერხულად მისდევს მეორე პირველს (შეჰგრაგნეს იგი ტილოებითა, არდაგებითა). ერთი სიტყვით, ჩვენ გვინდა ვთქვათ, რომ აქაც ისეთივე შემთხვევა უნდა გვქონდეს, როგორთაც გავეცანით ზემოთ კინსონისა და ხარკის, ბჭისა და მსაჯულის, ცისად-ცისად გუემულისა და ახლის პირით გუემულისა და მსგავსი მაგალითების შესახებ მსჯელობისას (გვ. 87—88, 125—126, 130, 131, 135, 137).

ამგვარად, ბერძნულ ὀθόνη-ს შესატყვისად მხოლოდ ერთი სიტყვა უნდა გვქონოდა და, C-ს გამოკლებით, გვქონდა კიდევაც. ეს იყო: ტილოჲ (Bბ[2] FGHIK...), არდაგი (A), მჩუარი (CM[3]).

ი. 21, 14. ესე სამ გზის გამოუცხადა იესუ
თავი თჳსი მოწაფეთა თჳსთა ———CBM.

შდრ. τοῦτο ἤδη τρίτον ἐφανερώθη Ἰησοῦς τοῖς μαθηταῖς.

მაგრამ აქ სიტყვების ჩვეულებრივ დაკლება-დამატებასთან არა გვაქვს საქმე: C-ში გარდამავალი ზმნაა მოცემული (გამოუცხადა), რომელსაც ახლავს პირდაპირი ობიექტი მსაზღვრელითურთ (თავი თჳსი); ႤႢ-ში კი ზმნა გარდაუვალია,

---

[1] სრულიად დასაშვებია, რომ ჯერ არდაგებითა ეწერა და სწორედ ამის შეცვლა მოინდომეს ტილოებით.

[2] ბერთის ოთხთავი.

[3] მესტიის ხელნაწერი ამ ადგილას C-ს ტიპის რედაქციითაა მოღწეული.

ვნებითია, და ცხადია, პირდაპირი ობიექტი ვერ ექნება. ბერძნულშიც ვნებითი გვარის ზმნა გვაქვს და ამიტომაა, რომ ამ მხრივ იგი და ႤႢ ერთად დგანან (არა აქვთ პირდაპირი ობიექტი). მაგრამ ეს და ამ ტიპის სხვა მაგალითები ზემოთ გვართან დაკავშირებით გვაქვს განხილული (გვ. 108—109, 119—120). აქ კი ეს ერთი მაგალითი სანიმუშოდ მოვიყვანეთ.

CႢ Ⴄ

მ. 4, 21. იხილნა სხუანი ორნი ძმანი CB ———

შდრ. εἶδεν ἄλλους δύο ἀδελφούς.

Ⴄ-ს აშკარად აკლია ეს სხუანი. სხვაგან ყველგანაა.

მ. 7, 29. და არა ვითარ-იგი მწიგნობარნი

მათნი და ფარისეველნი ———CBM.

შდრ. καὶ οὐχ ὡς οἱ γραμματεῖς αὐτῶν.

მაშ საიდან გაჩნდა „და ფარისეველნი“ CႢ-ში, განსაკუთრებით გიორგის რედაქციაში? ირკვევა, რომ ასეთი წაკითხვა ყოფილა ბერძნულშიც, იგი ნაჩვენებია ზოგი ბერძნული გამოცემის ვარიანტებში (სქოლიოში). გიორგის სწორედ ეს ვარიანტი აურჩევია.

მ. 14, 5. და უნდა ლათუ მისი მოკლვაჲ.

არამედ ეშინოდა ერისა მისგან MႣ ——— B.

ბერძნულს არა აქვს ეს არამედ (ἀλλά). Ⴄ აქ ბერძნულს მიჰყვება. სავსებით ასეა საქმე აგრეთვე მ. 14, 9-შიც, სადაც იგივე არამედ (ἀλλά) არც ბერძნულს მოეპოვება და არც ჩვენს Ⴄ-ს.

მ. 19, 6. აწ რომელნი-იგი ღმერთმან ——— BMႣ.

შეაუღლნა C

შდრ. ὃ οὖν ὁ θεὸς συνέζευξεν.

ბერძნულ ტექსტში, როგორც ვხედავთ, აწ არა გვაქვს, იქ არის οὖν, რაც CႢ-ში გადმოტანილია უკუე-ს სახით. საფიქრებელია, ეს ბერძნული οὖν და ბერძნულივე νῦν აურიეს ერთმანეთში, თორემ ტექსტის მიხედვით აქ აწ მოსალოდნელი არ იყო, უფრო შეეფერებოდა, როგორც ბერძნულშიც არის, უკუე (οὖν). C-სა და Ⴂ-ს ერთიცა აქვს და მეორეც (აწ უკუე), რაც არაა გამართლებული.

სხვა ენების თარგმანებშიც ისეთივე ვითარებაა, როგორც ბერძნულსა და ჩვენს FGBMႣ ხელნაწერებში — არ არის აწ-ის ბადალი რამ. მართალია, სომხურში იკითხება *արդ*, მაგრამ იგი აქ ნიშნავს: ასე, ამრიგად, მაშასადამე (*արդ* მეორე მნიშენელობით, მართლაც, აწ არის, მაგრამ ამ ადგილას იგი პირველი გაგებით იხმარება). სხვებსაც ამ შინაარსის სიტყვები აქვთ: итак. therefore, itaque...

მ. 21, 12. (დაამკუა) და დასასხდომელები

იგი ტრედის-მოფარდულთაჲ

მათ დაუქცია Ⴂ ——— BMႣ.

შდრ. (κατέστρεψεν) καὶ τὰς καθέδρας τῶν πωλούντων τὰς περιστεράς.

ეს ადგილი Ⴄ-ს (FGBMႣ ხელნაწერებს) მექანიკურად უნდა აკლდეს. შესაძლებელია იმიტომ, რომ ბოლო ზმნა, რომელიც გადამწერმა დაწერა, იყო დაამკუა, ხოლო დარჩენილი ტექსტის საბოლოო სიტყვა — ზმნა (C-ს მიხედვით) უნდა ყოფილიყო დაუმკუა — გადამწერს თვალი გადასცურებია ერთი ზმნიდან მეორეზე და უფიქრია, მუხლი უკვე დავამთავრეო.

რატომღა აკლია ექვსივე [FGBMႭ (=A88, A136)] ხელნაწერს? ყველა ხელნაწერის გადამწერს ასე მოუვიდა? უფრო საგულვებელია, ერთს შეემთხვა ეს მარცხი, სხვებმა იქიდან გადაიწერეს. არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ასე ნაკლულად ყოფილიყო თვით ბერძნულის რომელიმე ვერსიაში თუ ცალკე ხელნაწერში, რომელიც ხელთ ჰქონდა ქართველ მთარგმნელს (ე. ი. ის მარცხი ბერძენ გადამწერს შემთხვეოდა). ჩვენთვის ახლა მთავარია თვით ფაქტი, რომ Ⴄ რედაქციის ხელნაწერებს ერთნაირად აკლიათ ეს ადგილი და ამით უპირისპირდებიან სხვა (ႠCႢ) რედაქციებს.

მრ. 2, 6. ზრახვიდეს გულთა შინა მათთა ——BM.

შდრ. ἐν ταῖς καρδίαις αὐτῶν.

ბერძნულში, როგორც ვხედავთ, გვაქვს ეს შინა (ἐν) თანდებული, რომელსაც აკლებს Ⴄ რედაქცია (ეფთვიმე). მაინც თანდებულიანი ფორმები უნდა სჯობდეს. სხვა არა იყოს რა, „გულთა მათთა“-ს ბევრი სხვა მნიშვნელობაც აქვს და უცბად ვერ მიხვდები, რომელი მათგანი იგულისხმება ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში. შინა თანდებულის დართვა კი ერთბაშად მიგახვედრებს ტექსტის აზრს. თანდებულიანი ფორმების ხმარება ძალიან უყვარს გიორგის (ამას ქვემოთ გავეცნობით უფრო კონკრეტულად). მსგავსი გამოთქმები დღეს მხოლოდ თანდებულის დართვით იხმარება (გულში ფიქრობდა, გულში თქვა, გულში ჩაიმარხა).

მრ. 2, 7. (იტყოდეს,) ვითარმედ ესე
გმობასა იტყვს BM ——.

FG-ს ეს სიტყვები შემთხვევით უნდა აკლდეს.

მრ. 11, 7. და დაასხეს მას (კიცუსა) ზედა ——— BM.
სამოსელი C

შდრ. καὶ ἐπιβάλλουσιν αὐτῷ τὰ ἱμάτια αὐτῶν.

ქართულში ყველგან არის ზედა თანდებული, მხოლოდ Ⴄ რედაქცია (FGBM) სჯერდება უთანდებულო მიცემითს, როგორც ეს ბერძნულში გვაქვს. მაგრამ ბერძნულში ეს გამართლებულია, რადგან იქ თვით ზმნაშია მითითება ზედა-ზე, ესაა ἐπί ზმნისწინი, რომელიც თავისი შინაარსით ჩვენი ზედა-ს ტოლია. თუმცა მიცემითი ამგვარ შემთხვევებში ზოგჯერ უთანდებულოდაც იხმარება, მაინც თანდებულიანი ფორმა სჯობდა, როგორც აურჩევიათ სხვა რედაქციებს, მათ შორის გიორგისაც, რომელიც, როგორც ცნობილია, ძალიან მტკიცედ იცავდა ბერძნულთან დამოკიდებულების სიზუსტეს, მაგრამ თუ ასეთ შემთხვევაში ქართულს მოსდიოდა რაიმე ზიანი, თარგმანის სიტყვასიტყვითს სიზუსტეს გვერდზე გადადებდა და მშობლიური ენის სიწმინდეს არ ღალატობდა.

მრ. 13, 20. უკუეთუმცა არა უფალმან — არა შემოკლდენ
(ღმერთმან Ⴂ) შეამოკლნა დღენი იგი დღენი იგი.

აქაც არა გვაქვს სათანადო სიტყვის უბრალო დაკლება-დამატება. საქმე ეხება მოქმედებითი და ვნებითი გვარის (გარდამავალი და გარდაუვალი) ზმნების შენაცვლებას აქედან გამომდინარე შედეგებით (ნ. ზემოთ, გვ. 108—109, 119—120, 138—139). ასეთია კიდევ: რაჲთა არა განხეთქნეს ღჳნომან ახალმან თხიერნი ძუელნი (ლ. 5, 37 ႠႢ) და სხვანი, რომელთაც აქ განმეორებით აღარ შევეხებით.

ლ. 12, 18. და შევკრიბო მუნ ყოველი ———
ნაყოფი ჩემი CBM.

შდრ. καὶ συνάξω ἐκεῖ πάντα τὸν σῖτον... μου.

Ⴄ-ს (FG-ს) მუნ (ἐκεῖ) ხომ აკლია და აკლია. რასაც ახსნა არა აქვს; მას არ მოეპოვება აგრეთვე სხვა რედაქციების „ნაყოფი ჩემი“. მაგრამ ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს: ზოგ ბერძნულ გამოცემაში მის ნაცვლად შეტანილია τὸν σῖτον (იფქლი), ზოგან — τὰ γεννήματα ამ სიჭრელეს კარგად ასახავენ ჩვენი ხელნაწერებიც. ამის გამოა, რომ FG-ში აღარაა შეტანილი ეს საცილობელი „ნაყოფი ჩემი“.

ი. 3, 25. და იყო გამოძიებაჲ მოწაფეთაგან
იოვანესთა ჰურიათა თანა განწმედისათჳს B ——— M.
შდრ. μετὰ Ἰουδαίων.

თუ თანა არ იქნება (როგორც FGM-შია), სხვა აზრი გამოვა: დავა იყო იოვანეს მოწაფეებში ებრაელთა განწმედის შესახებ (თაობაზე). ნამდვილად კი ტექსტი ამბობს: დავა იყო იოვანეს მოწაფეებსა და ებრაელებს შორის (იოვანეს მოწაფეებისა ებრაელებთან) განწმედის შესახებ (თაობაზე). ეს ორაზროვნება გამოიწვია თანა თანდებულის დაკლებამ. C-ს თანა-ს ნაცვლად მიმართ აურჩევია (ჰურიათა მიმართ), რაც აგრეთვე სპობს ამ ორჭოფობას.

ი. 11, 39. ჰრქუა მას დამან მის ——— BM.
მკუდრისამან, მართა
შდრ. λέγει αὐτῷ ἡ ἀδελφὴ τοῦ τετελευτηκότος Μάρθα.

ეს ზოგ ბერძნულ ვერსიასაც ჰკლებია. აქედანაა ჩვენშიც ორი ვარიანტი: ნაკლული (Ⴄ) და სრული (CႢ). როცა ნაკლული ადგილის შევსება მოუსურვებიათ, იგი ზოგან მართა-ს წინ ჩაუსვამთ (ჰრქუა მას დამან მის მკუდრისამან, მართა C), ზოგან კი — მის შემდეგ (ჰრქუა მას მართა, დამან მის მკუდრისამან Ⴂ). ჩვენში, როგორც ვხედავთ, ეს სხვადასხვა რიგიც აისახა.

ი. 21. 13. მოვიდა და მოიღო პური იგი ———CBM.
შდრ. ἔρχεται Ἰησοῦς καὶ λαμβάνει τὸν ἄρτον.

მოვიდა, როგორც ვხედავთ, ბერძნულშიც არის (ἔρχεται), არის სხვა ენების თარგმანებშიც (სომხ.—რუს.—გერმ.—ინგლ.), აქვს CႢ რედაქციებს, აკლია მხოლოდ Ⴄ რედაქციას (FGBM ხელნაწერებს). მიზეზი არა ჩანს. ჩვენთვის-აქ მთავარია ის გარემოება, რომ ამითაც განსხვავდება იგი (Ⴄ რედაქცია) CႢ (წინა და მომდევნო) რედაქციებისაგან.

## E. გადასხმულია (~)

C ႤႢ

მ. 3, 9. ქვათა ამათგან აღდგინებად ~ აღდგინებად ქვათა ამათგან.
შდრ. ἐκ τῶν λίθων τούτων ἐγεῖραι (=C).

რატომ ცვლის Ⴄ(Ⴂ) სიტყვების რიგს? იმიტომ, რომ ქართულში დამატებები ჩვეულებრივ ზმნის მომდევნო ადგილებზე სჯობია.

მ. 3, 11. ჩემსა შემდგომად ~ შემდგომად ჩემსა CBM.
შდრ. ὀπίσω μου (=ႤႢ).
„—“ უძლიერეს არს ჩემსა ~ უძლიერეს ჩემსა არს CBM.
შდრ. ἰσχυρότερός μού ἐστιν (=ႤႢ).

უმჯობესია, რომ უფროობითი ხარისხის ფორმასთან იყოს შესადარებელი სახელი და ისინი ზმნით არ იყვნენ გათიშული, როგორც ეს გვაქვს CႤႢ-ში (C-ში გათიშულია).

მ. 4, 7. ხოლო იესუ ჰრქუა მას ~ ჰრქუა მას იესუ.

ორივე რიგი ერთადერთია. რიგის შეცვლა გამოწვეულია თავში ხოლო-ს დამატებით. თუ ეს ხოლო არა, აქაც გვექნებოდა „ჰრქუა მას იესუ" (ცალკე „იესუ ჰრქუა მას" უჩვეულოა ძველი ქართულისათვის).

მ. 5, 15. ქუეშე შედგიან იგი კუიმირსა ~ დადგიან კჳმირსა BM.

Ⴀ-ში თანდებული (ქუეშე) და სახელი (კუიმირსა) გათიშულია და არ ვარგა. ბერძნულში ისეთივე რიგი გვაქვს, როგორიც ႤႢ-შია (τιθέασιν αὐτὸν ὑπὸ τὸν μόδιον). იქ სხვანაირად არც შეიძლება: სახელს თანდებული ერთვის მხოლოდ წინ, წინდებულია.

„—" არამედ ზედა სასანთლესა ~ ... სასანთლესა ზედა CBM.

ზედა თანდებულის ადგილი ჩვეულებრივ სახელის ბოლოსაა. ბერძნულს, როგორც ვთქვით, იგი მხოლოდ წინ ერთვის (ἐπὶ τὴν λυχνίαν). C-ც მას მისდევს განუკითხავად.

მ. 9, 15. (ვიდრემდის) სიძჱ იგი მათ თანა არს C ~ ... მათ თანა არს სიძჱ BMႭ.

შდრ. μετ' αὐτῶν ἐστιν ὁ νυμφίος (=ႤႢ).

ორივენაირი წყობა შეიძლება, მაგრამ მაინც უმჯობესია, რომ გარემოებითი სიტყვები ზმნასთან იყოს ახლოს, როგორც ႤႢ-შია.

მ. 10, 40. (რომელმან) თქუენ შეგიწყნარნეს ~ ... შეგიწყნარნეს თქუენ CBMႭ.

შდრ. ὁ δεχόμενος ὑμᾶς (=ႤႢ).

რა თქმა უნდა, ქართულში სჯობია, ჯერ ზმნა იყოს, შემდეგ — (პირდაპირი) ობიექტი, როგორც გვაქვს კიდეც ႤႢ რედაქციებში (ბერძნულშიც ეს რიგია).

მ. 11, 8. (რომელნი) სამოსლითა ჩჩჳლითა (მოსილ არიან) ~ ... ჩჩჳლითა სამოსლითა...

აქ მოცემულია ႤႢ რედაქციების ენის ერთი დიდი თავისებურება — მსაზღვრელი წინ დაუყენოს საზღვრულს: არა სამოსლითა ჩჩჳლითა, როგორც Ⴀ-ს ჰქონდა, არამედ ჩჩჳლითა სამოსლითა. ეს არის ახალი ქართულისაკენ მისწრაფების ერთ-ერთი ძლიერი ტენდენცია თუ გამოხატულება, რომელიც ქვევით არაერთხელ შეგვხვდება. საინტერესოა, რომ ამავე მუხლში (ცოტა წინ) იგივე სინტაგმა ყველა ჩვენს 12 (BCDEFGHIKM A 88 A 136) ხელნაწერში პრეპოზიციური წყობითაა მოცემული (ჩჩჳლითა სამოსლითა), მაგრამ მეორედ, როგორც ენახეთ, DE ისევ ძველებურად პოსტპოზიციურ წყობას უბრუნდება (სამოსლითა ჩჩჳლითა). C-ს „სამოსლითა" სულ გამოუტოვებია და სინტაგმა აღარ გვაქვს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ FGBMႭ Ⴀ-ს „მოსილ"-ის ნაცვლად ზმნისწინიან „შემოსილ"-ს ხმარობს.

მ. 12, 2. (ხოლო ფარისეველთა მათ) რაჲ იხილეს ~ ... იხილეს რაჲ.

ეს თავისებური კონსტრუქცია ძველ ქართულში მტკიცედ იცავს ერთ წესს: ჯერ ზმნა იხმარება, მერმე — რაჲ: იხილეს რაჲ, მოვიდეს რაჲ, იტყოდა რაჲ, პოვოს რაჲ, ესმა რაჲ და სხვა. Ⴀ-ს რიგი არღვევს ამ წესს. იგი უჩვეულოა ძველი ქართულისათვის. ამიტომ შეცვალეს იგი Ⴄ და Ⴂ რედაქციების შემქმნელებმა (ეფთვიმემ და გიორგიმ). დავძენ აქვე, რომ თვით Ⴀ C-ს მისდევს, ხოლო C-ს ამგვარი და სხვა უცნაური თავისებურებანი კარგადაა ცნობილი ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში.

მ. 13, 7. ეკალნი აღმოსცენდეს ~ აღმოსცენდეს ეკალნი CBMႭ.

შდრ. ἀνέβησαν αἱ ἄκανθαι (=ႤႢ).

ეკლებზე ზემოთ არის ლაპარაკი (სხვა თესლი ჩავარდა ეკლებშიო), ამიტომ აქ წინადადების ზმნით დაწყება უკეთესია (თუ არ ვიტყვით, აუცილებელიაო).

მ. 18, 10. (ანგელოზნი მათნი) მარადის ცათა შინა (ჰხედვენ) ~ ...ცათა შინა მარადის (ხედვენ) CBMႭ.

შდრ. ἐν οὐρανοῖς διὰ παντὸς βλέπουσι (=ႤႢ).

ႤႢ-ში ბერძნულის რიგიც დაცულია და ზმნიზედაც ზმნასთანაა დაყენებული (მარადის ხედვენ). Ⴀ-ს რიგი უთუოდ ჩამორჩება მას თავისი ზმნისაგან დაშორებული ზმნიზედით (ზმნიზედა იმის ზმნიზედაა, რომ ზმნასთან უნდა იდგეს).

მ. 18, 31. ფრიად შეწუხნეს ~ შეწუხნეს ფრიად CBMႭ.

შდრ. ἐλυπήθησαν σφόδρα (=ႤႢ).

აქაც საქმე ზმნიზედის ადგილს ეხება. ორივეგან იგი ზმნასთანაა. მაგრამ სად სჯობს — წინ თუ უკან? პასუხი იქნება: უკან, ზმნის შემდეგ (შეწუხნეს ფრიად), როგორც აქვთ ႤႢ-სა და ადიშს (შეზრუნდეს ფრიად C). Ⴀ რედაქცია აქაც მოიკოჭლებს; ႤႢ მრავალრიცხოვანიცაა (FGBMႭ[1]HIK).

მ. 21, 27. ამას ვიქმ ~ ვიქმ ამას.

შდრ. ἐν ποίᾳ ἐξουσίᾳ ταῦτα ποιῶ (=Ⴀ).

ქართულში აქ ჯერ ზმნა სჯობდა, რადგან მასთან უფრო ახლო იქნებოდა კითხვითი სიტყვა (რომლითა) და მისი საზღვრული (ჴელმწიფებითა), რომლებიც ვითარების გარემოებას უახლოვდებიან (რა ძალაუფლებით, ე. ი. როგორ ვაკეთებ ამას). ამიტომ რიგის ამ შეცვლით და ბერძნულისაგან განდგომით ამაოდ არ დაშვრალა ჯერ Ⴄ და მერმე Ⴂ.

მ. 22. 5. (წარვიდეს: რომელიმე) აგარაკსა თჳსსა ~ თჳსსა აგარაკსა CBMႭ.

შდრ. εἰς τὸν ἴδιον ἀγρόν (=ႤႢ).

მაგრამ ეს არ არის ბერძნულის რიგის გავლენა: Ⴄ(Ⴂ) საერთოდ ცდილობს მსაზღვრელი წინ გადმოიტანოს, საზღვრული ბოლოს მოაქციოს (ახალი ქართულის წყობა). ამას ის მაშინაც აკეთებს, როცა ბერძნულის რიგი სხვაა და მისი შეცვლა უხდება.

მ. 23, 4. შეძრვად არა ჰნებავს ~ არა უნებნ შეძრვად CBMႭ.

შდრ. οὐ θέλουσιν κινῆσαι αὐτά (=ႤႢ).

ვითარებითში დასმული საწყისი პირიან ფორმებს ჩვეულებრივ ბოლოს ერთვის: იწყეს დავაკებად, იწყო სიტყუად. ჰელ-ყვეს აღწერად. არა ეძლო ზე აღხილვად და სხვა. ამიტომ ႤႢ-ს რიგი აქაც უფრო მოსაწონია.

მ. 23, 23. მოიღებთ ათეულსა ~ ათეულსა მოიღებთ BႭ.

შდრ. ἀποδεκατοῦτε. მაგრამ ეს ჩვენს ორივე სიტყვას უდრის. რომელი წინ, რომელი შემდეგ — ეს ისევ ქართულ ნიადაგზე უნდა გადაწყდეს. ქართულის რთულ ზმნებში ჯერ სახელადი ნაწილია, მერმე — ზმნური, მაგალითად: შეურაცხ-ჰყოფს, ნათელ-სცემს, თავყანის-სცემს, ამბორ-უყო, ნათელ-იღო. საინტერესოა ეს უკანასკნელი რთული ზმნა: აქაც ზმნურ ნაწილად ღ ე ბ ა გვაქვს და იგი ბოლოსაა მოქცეული. ამის კვალობაზე, მაშასადამე, „ათეულსა მოიღებთ“ უფრო შეეფერება ძველ (და ახალ) ქართულს, ვიდრე „მოიღებთ ათეულსა“. ეს პატარა დეტალიც კარგად გვიჩვენებს, თუ რა ღრმად სწვდებოდნენ და შორს იხედებოდნენ ჩვენი დიდი წინაპრები, სიტყვის უებრო ოსტატები — ეფთვიმე და გიორგი.

---

[1] (თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ) აქ ორი ხელნაწერით არის წარმოდგენილი — A88, A136.

მ. 23, 28. (შინაგან) ხართ სავსე ~ სავსე ხართ CBMႭ.

შდრ. ἔσωθεν δὲ ἐστε μεστοί (=ႷႢ).

ესეც ერთგვარი სიახლეა: ზედსართავი (მსაზღვრელი) წინაა გადმოტანილი. ესეც საერთო ხაზს აგრძელებს: განსაზღვრება წინ გადმოდის. მეორე მხრივ, შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი (შემასმენლისი) წინ დგას, ზმნური ნაწილი მას მოსდევს, როგორც დღეს გვაქვს ხოლმე: ჭიქა სავსეა, მაწონი მჟავეა, შაქარი ტკბილია და სხვა.

მ. 25, 19. (სიტყუა-ყო) მათ მონათა (თანა) ~ ... მონათა მათ (თანა )M.

C-ს წაკითხვა აშკარად უვარგისია: ძველ ქართულში არ შეიძლება ნაწევარი წინ უსწრებდეს სახელს. არის ერთადერთი, მკაცრად განსაზღვრული შემთხვევა, როცა ეს წესი თითქოს ირღვევა: ეს ხდება მაშინ, როცა ნაწევრიან სახელს ახლავს კიდევ წინ დასმული რაიმე განსაზღვრება: ერი იგი, მაგრამ უეჭველად: ყოველი იგი ერი; მთასა მას, მაგრამ: მაღალსა მას მთასა. „ყოველი ერი იგი“, „მაღალსა მთასა მას“ და მისთანანი შეუძლებელია ძველ ქართულში. შეუძლებელიაო, რომ ვამბობთ, ვგულისხმობთ ნორმალურ პირობებს, ნორმალურ ხელნაწერებს. შეცდომით შეიძლება კაცს შეხვდეს (და ჩვენც შეგვხვედრია) იშვიათი შემთხვევა, როცა ეს წესი თითქოს ირღვევა, მაგრამ ეს ისეთივე შეცდომაა, როგორც, მაგალითად, კოცი (მ. 26, 26D) კორცის ნაცვლად; მღელთ-მოძღუარნი (მ. 27,12 C, =მღდელთ-მოძღუარნი) და სხვა. მაგრამ ამის მიხედვით შორს მიმავალი დასკვნების გაკეთება არ შეიძლება.

თანაც, მათ მონათა შეცდომაა, რომელიც შეიძლება ასე აიხსნას: ამ გამოთქმაში თავიდანვე მონათა არც უნდა ყოფილიყო, რადგან ბერძნულში ამ ადგილას მონა არაა ნახსენები (ის ზემო წინადადებაში იყო მოხსენიებული). შდრ. καὶ συναίρει λόγον μετ' αὐτῶν, ე. ი. სიტყუა-ყო მათ თანაო. სწორედ ასეა წარმოდგენილი C-შიც (ყო სიტყუა მათ თანა). მონათა რაღაც საფუძველზე (უფრო აზრის დაკონკრეტების მიზნით: სახელდობრ ვისთან ყო სიტყვაო) მერმე ჩაუმატეს, მაგრამ ზოგმა (მაგ., C-მ) ჩაუმატა არა თავის ალაგას, მათ-ის წინ, არამედ მის შემდეგ, და ამ უყურადღებობით თუ უვიცობით მივიღეთ შეუძლებელი წყობა: მათ მონათა თანა. მერმე ეს რიგი დამკვიდრდა და წავიდა საქმე ასე. ეფთვიმემ დააბრუნა იგი თავის ადგილზე (მონათა მათ თანა) და სწორად აღადგინა შებღალული წაკითხვა, ხოლო გიორგიმ თავის რედაქციაში უყოყმანოდ შეიტანა ეფთვიმეს გასწორება.

მ. 25, 30. მონაჲ იგი უჴმარი CBM ~ უჴმარი იგი მონაჲ.

შდრ. καὶ τὸν ἀχρεῖον δοῦλον (=ႷႢ).

აქ მარტო ის კი არაა აღსანიშნავი, რომ ႷႢ ბერძნულის რიგს იცავს, არამედ, და უფრო მეტად, ისიც, რომ მსაზღვრელი წინ გადმოაქვს და პრეპოზიციურ წყობას იძლევა, ახლისაკენ იყურება, ახალს უღებს კარებს.

მ. 27, 15. (მიუტევის ერსა მას) პყრობილი ერთი ~ ...ერთი პყრობილი BႭ.

შდრ. ἀπολύειν ἕνα τῷ ὄχλῳ δέσμιον.

ბერძნულში გათიშულია ერთი და პყრობილი, მაგრამ რიგი მაინც პრეპოზიციურია დაცული.

ႷႢ აქაც, როგორც ბევრგან სხვაგან, ახალ რიგს იცავს — პრეპოზიციურს, მსაზღვრელი წინ გადმოაქვს.

მრ. 1, 34. ბოროტთა სენთაგან ~ ბოროტთაგან სენთა BM.

კვლავ და კვლავ ისმის კითხვა: რომელს დაერთოს თანდებული: მსაზღვრელს

თუ საზღვრულს? ორივე გვხვდება, ორივე შეიძლება; ႹႢ კი ჩვეულებრივ მსაზღვრელს ურთავს.

მრ. 5, 2. სული არაწმიდაჲ B ~ არაწმიდაჲ სული M.

შდრ. ἐν πνεύματι ἀκαθάρτῳ (=C).

ႹႢ-ს აქაც გადმოაქვს მსაზღვრელი წინ ამ თითქოს გაქვავებულ სინტაგმაში. ეს სიახლისადმი მიდრეკილება არაერთხელ აღგვინიშნავს ზემოთ.

მრ. 5, 3. საყოფლად აქუნდავე DBM ~ საყოფლადვე აქუნდა E.

ვ ე ნაწილაკი C-ში ზმნას ერთვის, რაც დიდი სიძველის ნიშანია; ႹႢ-ს ის სახელზე გადმოაქვს, რაც სიახლის მაჩვენებელია. დღეს ვ ე ნაწილაკი ზმნას აღარ ერთვის, მან საბოლოოდ მხოლოდ სახელებსა და ზმნიზედებში დაიმკვიდრა ბინა.

მრ. 5, 40. (სადა იდვა) ყრმაჲ იგი მკუდარი B ~ მკუდარი იგი ყრმაჲ M.

შდრ. ὅπου ἦν τὸ παιδίον ἀνακείμενον (=C).

ბერძნულს სხვანაირად არც აქ შეეძლო, ႹႢ კი უკუაგდებს C-ს რიგს და მსაზღვრელი წინ გადმოაქვს. დავძენ ბოლოს, რომ C-ს სულ არ მოეპოვება მსაზღვრელი (მკუდარი), რაც ასევე არა ჩანს ზოგ ბერძნულ გამოცემაშიც (უფრო ახლებში).

მრ. 8, 31. (ჯერ-არს ძისა კაცისაჲ) ვნებაჲ ფრიად ~ ფრიად ვნებაჲ CBM.

შდრ. πολλὰ παθεῖν (=ႹႢ).

მრ. 9, 7. ისმინეთ მაგისი CBM ~ მაგისი ისმინეთ.

შდრ. ἀκούετε αὐτοῦ. მაგრამ ზოგ სხვა გამოცემაში რიგი შებრუნებულია.

ქართულშიც ასეთივე ორი რიგია. ჩვენი აზრით, ბრძანებითში ზმნა წინ სჯობდა, როგორც C-ს აქვს.

მრ. 10, 1. (შეკრბებოდა) კუალად მისა (ერი) M ~ მისა კუალად B.

შდრ. καὶ συνπορεύονται πάλιν ὄχλοι πρὸς αὐτόν (=C).

თუმცა აქ ჩვენთვის საინტერესო სიტყვები გათიშულია (შუაში ჩართულია ὄχλοι). მაგრამ იმის გაუთვალისწინებლად ეს რიგი C-ს აქვს დაცული.

რომელი უფრო ახლოა (ორგანულად) შეკრბებოდა ზმნასთან: კუალად თუ მისა? მისა თითქოს ზმნაში შედის, მისი ნაწილია. ორპირიან შეჰკრბებოდა-ში (იგი მას) იგი თვით შედის, როგორც ირიბი ობიექტი. ამიტომ ამ მას-ის შთამომავალი მისა-ც უფრო ახლო უნდა იდგეს ზმნასთან, ვიდრე (გარეგანი) კუალად. ზემოთ თქმულის გამო უპირატესობა ႹႢ-ს წაკითხვას უნდა მიეცეს (შეკრბებოდა მისა კუალად ერი).

მრ. 10, 46. (ბრმაჲ ჯდა) მთხოველად გზასა თანა ~ ... გზასა თანა მთხოველად BM.

შდრ. τυφλὸς προσαίτης, ἐκάθητο παρὰ τὴν ὁδόν.

მაგრამ ბერძნულში ზოგან სხვანაირი (შებრუნებული) რიგიც გვაქვს:

ὁ τυφλὸς ἐκάθητο παρὰ τὴν ὁδὸν προσαιτῶν.

ეს სიჭრელე, როგორც ვნახეთ, ჩვენშიც არის.

რომელი რიგია უკეთესი ქართულისათვის? უმჯობესია: ჯერ სად (ადგილის გარემოება), მერმე როგორ, რა ვითარებაში (ვით. გარ.) ან რა მიზნით (მიზნის გარემოება). ასე აქეთ ჩვენში CႹႢ რედაქციებს.

მრ. 10, 51. მიუგო იესუ და ჰრქუა მას BM ~ მიუგო და ჰრქუა მას იესუ.

შდრ. καὶ ἀποκριθεὶς αὐτῷ ὁ Ἰησοῦς εἶπεν. მაგრამ ეს ერთადერთი რიგი არაა ბერძნულში. სხვაგან იქ გვხვდება: καὶ ἀποκριθεὶς λέγει αὐτῷ ὁ Ἰησοῦς.

ზმნები ერთად სჯობია (ႹႢ), რადგან ორივე ერთ ცნებას გამოხატავს (თქმას, პასუხს, მიგებას). C-ში კი ისინი გათიშულია იესუ-თი (C-ში სხვანაირადაა გა-

თიშული: მიუგო მას იესუ და ჰრქუა). სახარების ენაში ყველაზე გავრცელებულია ის რიგი, რომელიც ჩვენ სხვებზე უკეთესად მიგვაჩნია — ႹႢ-ს რიგი.

ამნაირი წინადადებები ოდნავი ვარიაციებით აქ ხშირად გვხვდება (ლ. 17, 20; ი. 8, 49; 9, 25, 36: **10**, 32, 34 და სხვა). ამიტომ მათ ქვევით ცალკე აღარ შევეხებით.

მრ. 12, 28. (მოუჴდა) მწიგნობართაგანი ერთი ~ ერთი მწიგნობართაგანი CBM.

შდრ. καὶ προσελθὼν εἷς τῶν γραμματέων (=ႹႢ).

ბერძნულის ეს რიგი ერთადერთია, ქართულის ორგვარი შესაძლებელი წყობიდან ႹႢ-მ აირჩია ისეთი, რომელშიც მსაზღვრელი წინაა გადმოტანილი.

მრ. 12, 37. (თჳთ იგი დავით) უფლით ჰხადის მას B ~ ... ჰხადის მას უფლით M.

შდრ. αὐτὸς Δαυὶδ λέγει αὐτὸν κύριον (=ႹႢ).

ჰხადის წარმოშობით სამპირიანი ზმნაა, რომელმაც შემდეგ ერთი პირი (პირდაპირი ობიექტი) დაკარგა. დაკარგული პირის საკომპენსაციოდ მას მჭიდროდ დაუკავშირდა სახელი (ოდესღაც ყოფილი პირდაპირი ობიექტი) გაუვრცობელნიშნიან მოქმედებით:ში. ამიტომ მისი ადგილი ჩვეულებრივ სამპირიან ზმნასთან პირდაპირი ობიექტის ადგილას უნდა იყოს, ე. ი. ზმნის შემდეგ, როგორც გვაქვს კიდეც ႹႢ-ში.

C-ს სხვა ზმნა აქვს ნახმარი (ეტყჳს); აქ სხვა ყველაფერი ისეა, როგორც ႹႢ-ში ვნახეთ.

მრ. 15, 21. მოიყვანეს პაჰრაკად (თანა-წარმავალი სჳმონ) B ~ პაჰრაკად მოიყვანეს (წარიყვანეს Ⴂ) M.

შდრ. καὶ ἀγγαρεύουσιν παράγοντά τινα Σίμωνα Κυρηναῖον.

ბერძნულში რთული ზმნაა, ქართულში იგი ორი სიტყვითაა გადმოცემული. ჩვენც რთული ზმნა რომ გვქონოდა, პაჰრაკად წინ უნდა ყოფილიყო, მოიყვანეს — შემდეგ. პაჰრაკად თანა-წარმავალი კი არა, არამედ პაჰრაკად მოიყვანეს, ე. ი. ძალად, იძულებით მოიყვანეს (სიმონ), რომ თან გაეყოლებინათ. ამგვარად, ႹႢ-ს რიგი უფრო შესაფერი და უკეთესია.

C-ს კარგი ზმნა შეურჩევია — წარიქციეს, რომელიც სწორედ ძალად წინ გაგდებას, ძალად გაყოლიებას ნიშნავს. მოვიგონოთ, დ. გურამიშვილის „დავითიანიდან“ ეს ადგილი:

ერთმან მტერმან ათს მათსა სცის,
ორმან წარიქციის ბევრი.

დ. გურამიშვილი, „დავითიანი“, 1955, 50,163,3.

ესაა ოღონდ, რომ პაჰრაკად აქაც (C-ში) დაუტოვებიათ და ეს აფუჭებს საქმეს, „პაჰრაკად“ აქ სულ არ იყო საჭირო, მისი შინაარსი ზმნის ფუძით იგულისხმება.

ლ. 5, 10. (ამიერითგან) კაცთა იყო (მონადირე) BM ~ ... იყო კაცთა ... C.

შდრ. ἀπὸ τοῦ νῦν ἀνθρώπους ἔσῃ ζωγρῶν (=C).

ႹႢ-ს რიგი ბევრად უკეთესია, რადგან ზმნა წინაა წამოწეული და „კაცთა მონადირე“ აღარაა გათიშული. ტექსტის მთავარი აზრი სწორედ ის არის, რომ მეთევზეებს ეუბნებიან: თქვენ, თევზის მონადირეები, ამიერიდან კაცთა მო-

ნადირებები იქნებითო (ე. ი. წარმართებს და სხვა ურჯულოებს ქრისტიანობაზე გადმოიყვანთ, გააქრისტიანებთო).

ლ. 7, 7. თქუ სიტყკთ BM ~ სიტყკთ ხოლო თქუ.

შდრ. ἀλλὰ εἰπὲ λόγῳ (=C).

შეიძლება რიგის შეცვლა ხოლო-ს ჩამატებით იყოს გამოწვეული, ჩამატების შემდეგ ყველაზე უკეთესი რიგია სიტყკთ ხოლო თქუ, უფრო ნაკლები გამომსახველობითი ძალისაა თქუ სიტყკთ ხოლო, ხოლო სრულებით უვარგისია თქუ ხოლო სიტყკთ.

თვით ხოლო-ს ჩამატება ენის ღრმად გრძნობის იშვიათი ნიმუშია, იგი ყოველმხრივ გამართლებულია: აქ იგრძნობა, რომ მთქმელი განუზომელი ძალის პატრონია, მას ყველაფერი ხელეწიფების; აქ იგრძნობა, რომ საკმარისია, მან მხოლოდ ერთი სიტყვა თქვას, და იგი მყისვე შესრულდება. ამაში მთხოვნელი ასისთავი ღრმადაა დარწმუნებული (ასისთავი ამბობს: მე რა ღირსი ვარ, რომ ჩემ ჭერქვეშ შემოხვიდე, მხოლოდ ერთი სიტყვა თქვი, და ჩემი ბავშვი (მსახური, მონა) მაშინვე მორჩებაო). მოკლედ რომ მოვჭრათ, ამ პატარა სიტყვის ჩამატებამ მეტისმეტად დიდი საქმე გააკეთა. მან ნათლად გამოავლინა აგრეთვე ქართული ენის კიდევ ერთი შინაგანი შესაძლებლობა და თარგმანის ტექსტს განუზომელი ექსპრესიული ძალა შემატა. და ყველა ეს სიკეთე გვიყო ერთი პატარა სიტყვის დამატებამ. ტყუილად კი არ ამბობდა ეფრემ მცირეჲ ეფთვიმეს (როგორც არავის) ჴელ-ეწიფებოდა სიტყჳსა შემატებაჲ და კლებაჲო. ამ აზრს ზემოთ განხილული პატარა ხოლო-ს დამატებაც კარგად ადასტურებს.

ლ. 7, 14. და მივიდა და შეახო ცხედარსა მას BM ~ და მივიდა ცხედარსა მას და შეახო C.

შდრ. καὶ προσελθὼν ἥψατο τῆς σοροῦ.

ႤႢ-ს წყობა აშკარად უვარგისია: ჯერ-ერთი, „შეახო“ წინადადების ბოლოშია გადატანილი; მეორე: ძველი ქართულისათვის სრულიად უჩვეულო გამოთქმაა „მივიდა ცხედარსა მას“: ერთპირიან ზმნასთან მიცემითი (უთანდებულოდ) არ შეიძლება; მესამე: ყველაფერი ეს იმის გამოა გამოწვეული, რომ „შეახო“-სა და „ცხედარსა მას“-ს ადგილები აქვს შენაცვლებული. ბერძნულშიც (როგორც ჩვენს C-ში) „შეახო“ წინაა, „ცხედარსა“ — შემდეგ. კიდევ ვიტყვით, C-ს წაკითხვას შეკეთება არ სჭირდება.

როგორც ჩანს, Ⴄ რედაქცია შეუმოწმებლად ენდო აქ ადიშურს და იქიდან ისესხა ეს უვარგისი წყობა (მარტო მოვიდა შეცვალა მივიდა-თი), ხოლო გიორგიმ ასევე დიდი ნდობით გაიმეორა Ⴄ-ს წანაკითხი.

ლ. 9, 7. მის მიერ რომელნი იქმნებოდეს B ~ რომელნი მის მიერ იქმნებოდეს C.

ბერძნულში მხოლოდ ერთი მიმღეობაა — τὰ γινόμενα (πάντα) და ეს რიგის გარკვევაში, ცხადია, ვერ დაგვეხმარება. ჩვეულებრივი და კარგი ႤႢ-ს წყობაა (რაც ადიშურისაგან არის ნასესხები), C-ს „მის მიერ რომელნი“ კი ძველი ქართულისათვის სრულიად უჩვეულო და კუზიანიაჲ დამოკიდებული წინადადება რომელნი წევრ-კავშირით უნდა დაიწყოს და არა „მის მიერ“-ით. C-ს წაკითხვა ამ ტიპის წინადადებათა შორეული წინაპარიაჲ დაინახა კაცები, ყანას რომ ხნავდნენ; მინდორში შენიშნა ბავშვი, პეპელას რომ დასდევდა. კარგია თუ არა ეს, აქ ამის გარჩევას არ შევუდგებით, ვიტყვით მხოლოდ, რომ იგი ძველი ქართულისათვის უჩვეულო და არაბუნებრივია.

ლ. 9, 25. ყოველი სოფელი ~ სოფელი ყოველი CBM.

შდრ. τὸν κόσμον ὅλον (=ႤႢ).

მოსალოდნელი იყო შებრუნებით: ႤႢ-ს ყოველი თავში გადმოესვა, მაგრამ ამ შემთხვევაში ვერ უკუაგდო ბერძნულის მყარი რიგი. დავძენთ ბოლოს, რომ ძველ ქართულში ყოველი მსაზღვრელად თითქმის თანაბრად გვხვდება საზღვრულის წინაც და შემდეგაც. ამიტომ მისი რიგის ჩვენებებს აქ აღძრული საკითხისათვის არა აქვს დიდი მნიშვნელობა.

ლ. 15, 14. (იყო სიყმილი ძლიერი) სოფელსა მას B ~ მას სოფელსა CM.

შდრ. ἐγένετο λιμὸς ἰσχυρὰ κατὰ τὴν χώραν ἐκείνην.

Ⴀ-ს ბერძნულის რიგი აქვს დაცული უბრალოდ, რაიმე გარემოების გაუთვალისწინებლად, ႤႢ კი ცვლის ამ რიგს, მას წინ გადმოაქვს. თითქოს გაუმართლებელია ამ შემთხვევაში ნაწევრის წინ გადმოტანა. მაგრამ არა: ႤႢ უფრო შორს იხედება, უფრო ღრმად სწვდება სათარგმნი მასალის აზრს. ბერძნულში ნაწევარი (τὴν) მართლაც წინ არის, მაგრამ ქართულის (სოფელსა) მას არა ამ τὴν-ის თარგმანია, არამედ ბოლოს დასმული ჩვენებითი ნაცვალსახელისა (ἐκείνην). ამიტომ, რომ განესხვავებინათ იგი ნაწევრისაგან, სახელის წინ გადმოიტანეს. ეს ჩვეულებრივი ხერხია ძველ ქართულში: როცა ჩვენებითი ნაცვალსახელის თარგმნა სურთ, მას სახელის წინ ურთავენ, თუნდაც მისი საზღვრული აქამდე სულ არ იყოს ნახსენები (ე. ი. ნაწევრის დართვა სულ არ იყოს საჭირო). ასე იქცევა ადიში, ასევე მოიქცა ჯერ Ⴄ (FGM), შემდეგ კი Ⴂ-ც.

ლ. 15, 29. (არასადა მომეც) თიკანი ერთი CBM ~ ერთი თიკანი.

შდრ. καὶ ἐμοὶ οὐδέποτε ἔδωκας ἔριφον.

ბერძნულში თიკანს ერთი არ ახლავს. საქმის შინაარსი კი ძალიან მოითხოვდა მის დამატებას: მე ამდენი წლებია (წელია) გემონები და მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთი თიკანიც კი არ მოგიცია ჩემთვისო. ეს ერთი კი დაურთეს ქართულში (და, ვიმეორებთ, ძალიან კარგადაც მოიქცნენ), მაგრამ სად დაურთეს? Ⴀ-მ, როგორც ძველმა რედაქციამ, სახელის შემდეგ, უფრო ძველი წესების დაცვით; ასევე მოიქცა ადიშიც. ხოლო Ⴄ-მ (ეფთვიმემ) იგი წინ გადმოიტანა, უფრო ახალი წესების მიხედვით და დღევანდელისებური რიგი მოგვცა — ერთი თიკანი.

ლ. 19, 18. (ვეცხლმან მან შენმან) ხუთილა სხუაჲ (სასწორი ყო) ~ ... სხუაჲლა ხუთი C.

შდრ. ἡ μνᾶ σου... ἐποίησεν πέντε μνᾶς.

ბერძნულში არც სხუაჲ გვაქვს და არც ლა ნაწილაკის შესატყვისი რამ. ქართულში ორივე დიდი ენობრივი ალღოთია დამატებული: სხუაჲ იმიტომ, რომ ამ მონას მისმა პატრონმა 5 მნაჲ დაუტოვა, მონამ კი ათი მნაჲ დაახვედრა. ამიტომ ეუბნება: შენმა ფულმა სხვა 5 მნაჲ შეიძინაო; ლა ნაწილაკი კი აქ ზედგამოჭრილია, ის ნიშნავს: კიდევ: 5 რომ ჰქონდა, დამატებით კიდევ სხვა ხუთი (შეიძინაო); ის ნიშნავს აგრეთვე: მხოლოდ, ე. ი. ერთი იმდენი, რაც დამიტოვეო. აქ მონის მიერ შენაძენი (5 მნაჲ) თითქოს ორმაგადაა გამოხატული: სხუაჲ (5 მნაჲ) და სხუაჲლა (5 მნაჲ). ესაა სწორედ ენის გრძნობა, ენის ფლობა, ენის შიგ შუაგულში ყოფნა, მისი დედის ტკბილი ხსენის წოვა და წოვება.

ლ. 22, 50. (სცა ვინმე) ერთმან მათგანმან (მონასა) ~ ... მათგანმან ერთმან.

როგორც უნდა იყოს ბერძნულში, ქართულში (ძველსა და ახალში) ისე უნდა იყოს, როგორც Ⴀ-ს აქვს (უფრო ადრე C-საც ასე ჰქონდა).

ლ. 23, 22. ესწავლო და განუტეო ეგე B ~ ესწავლო ეგე და განუტეო CM.
შდრ. παιδεύσας οὖν αὐτὸν ἀπολύσω (=ႩႢ).

ი. 4, 39. ყოველი, რაჲცა ვქმენ, მითხრა მე B ~ ყოველივე მითხრა მე, რავდენი ვქმენ M.
შდრ. εἶπέν μοι πάντα ἃ (ὅσα) ἐποίησα (=ႩႢ).

ი. 6, 13. (ხუთთა) მათგან პურთა B ~ (ხუთთა) მათ პურთაგან CM.

აქაც იგივე უნდა ვთქვათ, რაც ითქვა თანდებულის შესახებ განსაზღვრებიან სახელთან: ნაწევრიან სახელთანაც თანდებული ხან სახელს ერთვის, ხან — ნაწევარს.

ნაწევარი კი ჩვენს შემთხვევაში წინ იმიტომაა გადმოტანილი, რომ სახელს, გარდა ნაწევრისა, ერთვის კიდევ წინ დასმული განსაზღვრება (ხუთთა). ბერძნულის რიგი აქაც ვერას გვიშველის.

ი. 6, 40. დღესა მას უკუანაჲსკნელსა CB ~ უკუანაჲსკნელსა მას დღესა M.
შდრ. ἐν τῇ ἐσχάτῃ ἡμέρᾳ (=ႩႢ).

ი. 6, 61. ესე დაგაბრკოლებს თქუენა ~ ესე დაგაბრკოლებსა თქუენ BM.

ა კითხვითი ნაწილაკი ძველ ქართულში ჩვეულებრივ ზმნას ერთვის, როგორც ႩႢ-ში გვაქვს (დაგაბრკოლებსა), იშვიათად, მეტად იშვიათად სხვა მეტყველების ნაწილზეც გვხვდება, როგორც, მაგალითად, Ⴄ-ში (თქუენა). C-ს აღარ მოეპოვება ეს ა.

ი. 7, 42. (მიერვე) ქრისტე მოეიდეს ~ ... მოვიდეს ქრისტე BM.
შდრ. ἔρχεται ὁ Χριστός (=ႩႢ), მაგრამ სხვაგან: ὁ Χριστὸς ἔρχεται (=Ⴄ). აი იმის ტიპური ნიმუში, თუ როგორი ზუსტი შესატყვისი მოეპოვება ქართულის ორ (და მეტ) განსხვავებულ წაკითხვას ბერძნულ ორიგინალში.

ი. 8, 16. არა მარტოჲ ვარ B ~ არა ვარ მარტოჲ CM.
შდრ. μόνος οὐκ εἰμί (=Ⴄ).

Ⴄ ბერძნულის რიგს მისდევს განუკითხავად და არ ვარგა. არა უარყოფითი ნაწილაკი ზმნის წინ უნდა იდვეს: ... არა ვარ.

ი. 8, 50. (არს, რომელი) შჯის და ეძიებს ~ ეძიებს და შჯის BM.
შდრ. ἔστιν ὁ ζητῶν καὶ κρίνων (=ႩႢ).
C-საც ეს რიგი აქვს, ოღონდ სხვა მწკრივები შეურჩევია: იძიოს და საჯოს.

| | |
|---|---|
| ი. 12, 40. დაუბრმეს თუალნი მათნი, დაუსულბეს გულნი მათნი, რაჲთა ვერ იხილონ თუალითა და არცა გულისხმა-ყონ გულითა BDE | დაუბრმეს თუალნი მათნი, რაჲთა ვერ იხილონ თუალითა, და დაუსულბეს გულნი მათნი, რაჲთა ვერ გულისხმა-ყონ გულითა M. |

როგორც ვხედავთ, Ⴄ-ში თვალის დაბრმავება და გულის გაქვავება ერთად, გაუყოფლადაა მოცემული და ამას ასევე ერთად მოჰყვება რაჲთა და მომყოლი ახსნა-განმარტება თვალისა და გულის შესახებ.

ႩႢ-ში კი ეს დანაწევრებულია: ცალკეა თვალის დაბრმავება და მისი შესახები რაჲთა და მომყოლი სიტყვები, და ცალკეა გულის გაქვავება და მისი კუთვნილი რაჲთა მომყოლი სიტყვეპითურთ.

ბერძნულისა და სხვა ენების თარგმანებში Ⴄ-ს მსგავსი ვითარება გვაქვს, მაგრამ უნდა დავუშვათ, ႩႢ-ს რიგის შემცველი წაკითხვებიც უნდა ყოფილიყო, ალბათ, აგრეთვე ზოგ ბერძნულ ხელნაწერშიც, რომელთაც ეფთვიმე და მერმე გიორგი იყენებდნენ თავიანთი რედაქციებისათვის; ისე, თვითნებურად, მათ არ შეეძლოთ ტექსტის ამგვარად დანაწილება.

ეს რიგი მთლად გამოკვეთილად არც თვით ესაიას აქვს მოცემული (ეს. 6, 10), რომლისგანაც ეს ადგილი გადმოუტანიათ სახარებაში.

ი. 13, 30. განვიდა მეყსეულად B ~ მეყსეულად განვიდა M.

შდრ. εὐθέως ἐξῆλθεν, მაგრამ სხვაგან შებრუნებული რიგია: ἐξῆλθεν εὐθύς. კიდევ გავიმეორებთ: ასეთი ორგვარი (და სამგვარი...) წაკითხვის არსებობა უმეტეს შემთხვევაში უნდა დავუშვათ თვით ბერძნულში, საიდანაც სათავეს იღებს ქართულის ორგვარი (და სამგვარი...) ვარიანტები. თუ ახლა ეს ვარიანტები არა ჩანს ბერძნულში, ეს არ ნიშნავს, რომ საერთოდაც არ ყოფილა არასოდეს.

ი. 14, 16. (რაჲთა) დაადგრეს თქუენ თანა BM ~ ... თქუენ თანა დაადგრეს.

შდრ. ἵνα ᾖ (|| μένῃ) μεθ' ὑμῶν (=Ⴀ).

ადიშურს ზმნა გამოუცვლია, რიგით კი ႢႡ-ს მისდევს: რაჲთა თქუენ თანა დაიმკჳდროს.

ი. 19, 15. აღიღე ეგე და ჯუარს-აცუ B ~ აღიღე, აღიღე და ჯუარს-აცუ ეგე M.

შდრ. ἆρον ἆρον, σταύρωσον αὐτόν (=ႢႡ).

ი. 19, 40. (ვითარცა) არს ჩუეულებაჲ ~ ჩუეულებაჲ არს B.

შდრ. καθὼς ἔθος ἐστίν (=ႢႡ).

ႠႡ Ⴂ

მ. 12, 30. (იგი) მტერი ჩემი (არს) BM ~ ჩემი მტერი.

შდრ. κατ' ἐμοῦ ἐστιν.

ბერძნულში კარგად არა ჩანს „მტერი“, κατά წინააღმდეგ (მდგომი) თუ მოწინააღმდეგეა. მაინც საინტერესოა, რომ Ⴂ-ში ჩემი აქაც წინ არის გადმოტანილი ახლებურად.

მ. 13, 23. ქუეყანასა კეთილსა GCB ~ კეთილსა ქუეყანასა.

შდრ. ἐπὶ τὴν γῆν τὴν καλήν, მაგრამ იმავე ბერძნულში სხვაგან სხვა რიგია: ἐπὶ τὴν καλὴν γῆν.

რაღა გვეთქმის ქართულის შესახებ: ზოგი ერთ ბერძნულ რიგს იცავს, ზოგი —მეორეს. მაინც უნდა ითქვას, რომ F (ეფთვიმეს რედაქციის ერთ-ერთი ძირითადი ხელნაწერი) აქაც თავის საქმეს აკეთებს: მსაზღვრელი წინ გადმოაქვს. ესაა მისი ენის სიახლის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი.

მ. 23, 8. (ერთ არს) მოძღუარი თქუენი BM ~ თქუენი მოძღუარი C.

მსაზღვრელი აქაც წინაა გადმოტანილი, როგორც C-ს ადრევე ჰქონდა. წინ გადმოსმის საბაბი თვით ბერძნულშიც იყო.

მ. 23, 14 (=13). (შემავალთა) უტევებთ არა (შესლვად) M A 88 ~ ...არა უტევებთ... B A 136.

ქართულად სწორედ ისე უნდა, როგორც FGBA136 ხელნაწერებს (ეფთვიმეს რედაქციას) აქვს: არა უარყოფითი ნაწილაკი ზმნას წინ უნდა ედგეს. ბერძნულში „არც“ (οὐδέ) არის და, როგორც წესია, ის თავშია: οὐδὲ τοὺς εἰσερχομένους ἀφίετε εἰσελθεῖν. საკვირველია, როგორ არ მიიღო გიორგიმ ეფთვიმეს ეს კარგი შესწორება. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ გიორგიდან მეათე—მეთხუთმეტე გადამწერამდე დიდი მანძილია.

მრ. 1, 21. დღესა შაბათსა BM ~ შაბათსა დღესა.

ბერძნულში (C-შიც) დღესა არ მოიპოვება: τοῖς σάββασιν (შაბათ-

თა შინა C). მსაზღვრელი აქაც წინაა გადმოტანილი საკმაოდ მოულოდნელი, მაგრამ უეჭველად ახალი იერით (შდრ. დღევანდელი: შაბათ დღეს, კვირა დღეს...).

მრ. 4, 8. (სხუაჲ დავარდა) ქუეყანასა კეთილსა GBM ~ კეთილსა ქუეყანასა F.

შდრ. εἰς τὴν γῆν τὴν καλήν. F ხელნაწერი აქაც, როგორც მათეს თავში სათანადო ადგილას (მ. 13, 23), მსაზღვრელს წინ გადმოსვამს დაჟინებით (ნ. ზემოთ, გვ. 150). იქ აღნიშნული გვქონდა, რომ ბერძნულშიც ორგვარი რიგი დადასტურდა (ἐπὶ τὴν γῆν τὴν καλὴν და ἐπὶ τὴν καλὴν γῆν), აქ კი იმავე ბერძნულში მეორეგვარი რიგი არა ჩანს.

მრ. 15, 24. (განიგდებდეს) მას ზედა წილსა BM ~ ... წილსა მას ზედა.

შდრ. βάλλοντες κλῆρον ἐπ' αὐτά (=Ⴄ).

„წილის განგდება" (წილის ყრა) ერთი ცნებაა და მისი გათიშვა და შიგ სხვა სიტყვის ჩასმა არ შეიძლება (განიგდებდეს მას ზედა წილსა).

ლ. 10, 21. (იხარებდა) იესუ სულითა წმიდითა CB ~ სულითა წმიდითა იესუ M.

შდრ. ἠγαλλιάσατο τῷ πνεύματι τῷ ἁγίῳ ὁ Ἰησοῦς (=Ⴄ).

მაგრამ ზოგ ბერძნულ გამოცემაში იესუ სულ არ მოიპოვება. ასეთი სიჭრელე სხვა ენების თარგმანებშიც: ლათინურს არა აქვს, სომხურ-რუსულ-ინგლისურში არის იესუ, გერმანულში — er, მაგრამ ახლავს შენიშვნა: ბერძნულში იესუ არისო. ახლა გასაგებია, რატომაა იგი ქართულში სხვადასხვა ადგილას: ზოგმა თავში დაუმატა, ზოგმა ბოლოში. სჯობდა კი იხარებდა ზმნის უშუალოდ მომდევნო ადგილზე (Ⴀ).

ლ. 12, 46. (ნაწილი მისი) დადვას ურწმუნოთა თანა B ~ ურწმუნოთა თანა დადვას CM.

შდრ. καὶ τὸ μέρος αὐτοῦ μετὰ τῶν ἀπίστων θήσει (=Ⴄ).

ლ. 12, 49. (ცეცხლისა) მოვედ მიფენად B ~ ... მიფენად მოვედ CM.

შდრ. πύρ ἦλθον βαλεῖν (=ႠႢ).

Ⴀ-ში „ცეცხლისა მიფენად" გათიშულია და მათ შორის ზმნაა მოთავსებული. ეს გამოიწვია ბერძნულის რიგის ბრმად გადმოღებამ. რა თქმა უნდა, Ⴄ-ს რიგი ბევრად უკეთესია.

აქ ჩვენ შეგვეძლო კიდევ აღგვენიშნა ზოგი სხვა თავისებურებაც, რომლებიც ეფთვიმეს (Ⴄ) რედაქციას ახასიათებს, მაგრამ, ვფიქრობთ, აღნიშნულიც საკმარისია, რომ ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ ამ რედაქციაზე, მის ძირითად ნიშნებსა და მიმართულებებზე, როგორიცაა: თარგმანის სიზუსტე, მაქსიმალური სიახლოვე ბერძნულთან, ლექსიკისა და გრამატიკული ფორმების განახლება, მშობლიური ენის ბუნებრიობისა და თავისებურებების შეუბღალავად დაცვა, მისი გამომსახველობითი ძალის განვითარება და გაძლიერება, უცხო ენების კონსტრუქციების ბუნებრივად მორგება ქართულისათვის, ამ მიზნით დედაენაში ახალი და ახალი რესურსების გამოძებნა და მათი ფართოდ დანერგვა თარგმანის ენასა და, საერთოდ, ქართულ მწერლობაში და სხვა და სხვა. ამავე მიზნებით ეფთვიმე ხშირად უმატებს ან აკლებს სიტყვებს, უცვლის რიგს, გადასვამს მათ ბუნებრივ ადგილზე, რომ ტექსტის აზრი ზუსტად გადმოიცეს და ამავე დროს მიმზიდველი და საამო საკითხავი იყოს, მშობლიურ ხალხს შეაყვაროს წიგნი და მწერლობა.

ერთი სიტყვით, ეფთვიმემ ხანგრძლივი, დაუღალავი შრომით შექმნა ქართული ოთხთავის ახალი რედაქცია, რომელიც პატიოსნად და დიდი ქმედითი ძალით

დიდხანს ემსახურებოდა ქართველი ხალხის სულიერი კულტურის (და არა მარტო სულიერი კულტურის) დაცვის, მისი შემდგომი განვითარებისა და აყვავების დიდ მამულიშვილურ საქმეს, ქართული სახელმწიფოებრიობის გაძლიერების, მამულის სიყვარულის, მისი დაცვისა და მისთვის თავგანწირვის კეთილ საქმეს.

ოთხთავის ეს ეფთვიმესეული (Ⴕ) რედაქცია მერმე საფუძვლად დაედო გიორგი მთაწმიდლის ახალ, ბოლო რედაქციას, რომელზედაც ახლა გვექნება საუბარი.

# IV. ႢႨႭႰႢႨႱ ႰႤႣႠႵႺႨႠ

გიორგი მთაწმიდელი თავისი ლიტერატურულ-მთარგმნელობითი მუშაობისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა აგრეთვე სახარებასაც. მას არ აკმაყოფილებდა ქართული სახარების ის ტექსტი, რომელიც მის დროს იყო გავრცელებული, ვინაიდან ამ ტექსტში ხედავდა ბევრ ადგილს, რომლებიც არ შეესატყვისებოდა ბერძნულ ორიგინალს, არცთუ ქართული ენის მიხედვით იყო გამართული და ბევრ ადგილას ცოდავდა. ამიტომ მას განუზრახავს, საგულდაგულოდ შეეჯერებინა ქართული ტექსტი ბერძნულისათვის და, სადაც საჭიროდ დაინახავდა, შეესწორებინა და ახალი ვარიანტი მოეცა.

გიორგიმ საყრდენად აიღო ეფთვიმეს მიერ დადგენილი რედაქცია, რომელიც ბოლომდე არ იყო შეჯერებული ბერძნულთან: ეფთვიმემ ვერ მოასწრო მთელი ტექსტის გამოწვლილვით შედარება-შესწორება. ეტყობა, ბოლო ნაწილს (ლუკასა და იოვანეს) უფრო ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ყოველ შემთხვევაში, ტექსტი ბოლომდე ერთნაირი მოთხოვნით არ ჰქონდა შედარებული და გასწორებული. ამიტომ გიორგიმ სწორედ იმავე გზებითა და მეთოდებით, რომელთაც ეფთვიმე იყენებდა, თავიდან ბოლომდე გადასინჯა და შეუდარა იგი ბერძნულს და გაასწორა.

მისი მუშაობა, როგორც ეფთვიმესი, ძირითადად შემდეგი მიმართულებებით წარიმართა:

1. უპირველეს ყოვლისა, ზუსტად გადმოეღო ბერძნული ტექსტი, არ ყოფილიყო რაიმე შინაარსობრივი განსხვავება ორიგინალსა და თარგმანს შორის, სიზუსტე, აბსოლუტური სიზუსტე.

2. ამ სიზუსტის დასაცავად იგი უკან არ იხევდა, ქართულ ტექსტში ჩაემატებინა სიტყვა თუ სიტყვები, გამოექლო ისინი, შეეცვალა სიტყვათა რიგი წინადადებაში.

3. ამ ოპერაციების დროს მას მუდამ თვალწინ ჰქონდა მშობლიური, ქართული ენა, რომელიც ოდნავადაც არ უნდა შებღალულიყო, დიდი სიფრთხილით და სათუთად უნდა ყოფილიყო დაცული მისი ბუნებრივი თვისებები, გრამატიკულ-სტილისტური თავისებურებანი, გაეკეთებინა ყველაფერი დედაენის სიწმინდისათვის.

4. სახარებაში დაცული ბევრი ძველი ლექსიკური ერთეული და გრამატიკული ნორმა გიორგის დროს უკვე აღარ ესმოდათ კარგად. ამიტომ აუცილებელი გახდა ამათი განახლება: შედარებით ახალი ლექსიკა და გრამატიკული ფორმები — აი გიორგის თარგმანის ერთ-ერთი მთავარი მიზანი და თვისება.

გიორგი ეფთვიმეს მიერ ნასწორებ ადგილებს აბსოლუტურად უმრავლეს შემთხვევაში ტოვებდა (ზოგჯერ სადავო წაკითხვებსაც კი — იგი დიდი მოწიწებით და ნდობით უყურებდა სახელოვან წინაპარს), იშვიათად ცვლიდა; უფრო მეტ ყურადღებას უთმობდა ეფთვიმეს მიერ გაუსწორებლად დატოვებულ ადგილებს, რომელნიც კორექტივს საჭიროებდნენ. ასე დიდი შრომითა და რუდუნებით გამართა მან ქართული სახარება, რომელიც ამიერიდან უფრო გასაგები, საამო საკითხავი

და მოსასმენი, უფრო მიმზიდველი და დამატყვევებელი ფორმის სახალხო წიგნი გახდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული სახარების ეფთვიმესა და გიორგის მიერ შექმნილ და დაკანონებულ ტექსტს, მათეულ სახარებას, განუზომლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული კულტურის, ქართული ეროვნული დამოუკიდებლობის, პატრიოტიზმის გაღვივებისა და სამშობლოს დაცვის საქმეში.

სწორედ ეს წიგნი იყო, ზეპირად რომ იცოდნენ დიდი საქართველოს უპირველესმა შვილებმა (დავითმა, გიორგიმ, თამარმა, შოთამ), ხოლო ჩვენს სახელოვან მეფეებს, როცა ისინი სასტიკ ბრძოლაში მიდიოდნენ სამშობლოს დასაცავად, ცალ ხელში ბასრ მახვილთან ერთად ეს წმინდა წიგნი ეჭირათ და გამხნევებულნი მუსრავდნენ მომხდურ ურდოებს და იმარჯვებდნენ.

წიგნის დიდ შინაგან ღირსებასა და ძალაზე მეტყველებს ისიც, რომ XI საუკუნის ორმოციან წლებში შეჯერებულ-შესწორებული და გარანდულ-გაჩარხული დიდი ქმნილება დღესაც გასაგებად იკითხება და არ დასმულა საკითხი, ახალ ქართულზე თარგმნილიყო, როგორც ბევრ სხვა ძველ ენაში იძულებული გახდნენ, ხელახლა ეთარგმნათ იგი (ისე არ ესმოდათ).

თვით გიორგიც მოითხოვდა, რომ მისი თარგმანი ხელუხლებლად დაეცვათ, არ შეეცვალათ სიტყვები და გრამატიკული ფორმები, სინტაქსი. იგი გადამწერთ სთხოვდა: „ნუცა დონ-ანსა დააკლებთ, ნუცა რამეთუსა, ვინაჲთგან დონ-ანი ჩუენცა ვიცოდეთ, და თუმცა რას ავნებდა გინა იგი, გინა სხუაჲ რაჲცა სიტყუაჲ, არა დაუტეობდით, არცა აღმოვჰკოცდით“.

სხვაგან იგი მოკრძალებით იხსენიებს სახარების ძველ თარგმანებს, მაგრამ დაჟინებით მოითხოვს, რომ მისი თარგმანი ზუსტად დაიცვან და არსად არაფერი შეცვალონ: „ესე საცნაურ იყავნ, რამეთუ ესე წმიდაჲ ოთხთავი ახლად გჳთარგმნია ფრიადითა იძულებითა ძმათა ვიეთმე სულიერთაჲთა და ბერძულთა სახარებათადა შეგჳწამებია ფრიადითა გამოწულილვითა. და ვინცა ვინ დასწერდეთ, ვითა აქა ჰპოოთ, ეგრე დაწერეთ, თუ ამისგან ჯერ-გიჩნდეს დაწერაჲ, ღმრთისათჳს, სიტყუათა ნუ სცვალებთ, არამედ ვითარცა აქა სწერია, ეგრე დაწერეთ. და თუ არა რაჲმე გაშუნდეს, ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილნია და კეთილად — ხანმეტნიცა და საბაწმიდურნიცა, — მუნით დაწერეთ და, ღმრთისათჳს, ერთმანერთსა ნუ გაჰრევთ. და გლახაკისა გეორგისთჳს, რომელმან ესე ვთარგმნე, ლოცვა-ყავთ!“ (ვანის ოთხთავი, 266v).

თუ რაოდენი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა გიორგი თავის თარგმანს, ჩანს ერთი შენიშვნიდან, რომელიც დაურთავს მას მათეს სახარების ერთი ადგილის (24, 36) გადმოღებისას. ოპიზურ (C) და ეფთვიმესეულ (Ⴗ) რედაქციებში ეს მუხლი ასე იკითხება:

„ხოლო დღისა მისთჳს და ჟამისა არავინ იცის, არცა ანგელოზთა ცისათა, არცა ძემან, გარნა (არამედ Ⴗ) მამამან მხოლომან“. ეტრატის მარჯვენა არშიაზე ტექსტის ხელით წერია: „არცა ძემან“ — ესე სიტყუაჲ სამთა ბერძულთა სახარებათა არა ეწერა, არცა მე დავწერე“ (H 66r). მართალს ბრძანებს უფალი გიორგი, ეს სიტყვები მართლაც არ არის ზოგ ბერძნულ სახარებაში, მაგრამ ზოგში უკვე მოიპოვება. ამიტომ ვისაც ქართულში იგი უწერია (C, Ⴗ), ისინიც მართალნი არიან. მაგრამ აქ მთავარია სხვა რამე: დიდი მწერლის პასუხისმგებლობის გრძნობა. ასეთი პასუხისმგებლობით და მომთხოვნელობით არის ეს წმინდა წიგნი მის მიერ გასწორებული და რედაქტირებული.

სამწუხაროდ, ქართული ოთხთავის ეს ბოლო რედაქცია დღემდე მეცნიერულად დამუშავებული და გამოცემული არ ყოფილა.

ეფთვიმეს რედაქციაზე ჩვენ ზემოთ ვრცლად გვქონდა საუბარი. იგი რამდენადმე გიორგის რედაქციასაც ეხებოდა, სადაც ეფთვიმეს წაკითხვებს გიორგი იზიარებდა (ქვეთავებში: Ⴄ—ႧႢ). ამიტომ ქვემოთ გიორგის რედაქციის თავისებურებათა შესახებ უფრო მოკლედ მოვჭრით საკითხს.

აქაც ჩვენს მსჯელობაში გავყვებით ეფთვიმეს რედაქციაზე საუბრისას მიღებულ რიგსა და თანამიმდევრობას.

## A. ლექსიკა

Ⴂ        ႤႧ

მ. 2, 6. წინამძღუარი        მთავარი C.

შდრ. ἡγούμενος (=Ⴂ).

მ. 3, 15. შუენის ჩუენდა C        ჯერ-არს.

მ. 4, 10. სატანა        ეშმაკო C.

შდრ. σατανᾶ. გიორგიმ ეს სიტყვა უთარგმნელად დატოვა. სხვაგან (მ. 16, 23) ეფთვიმეც ასე მოიქცა.

მ. 4, 16. რომელნი სხდეს სოფელსა და ...        — ... ბნელსა და...

გიორგი ადიშს ეყრდნობა, ოღონდ ამ უკანასკნელს მრავლობითის ფორმა აქვს (სოფლებსა).

შდრ. ἐν χώρᾳ (=Ⴂ).

მ. 5, 13. არღარა შემძლებელ არნ C        —არღარა საკმარ არნ,

შდრ. εἰς οὐδὲν ἰσχύει ἔτι.

გიორგი უფრო ზუსტია, სხვა ყველა (CDEFG) მიახლოებით შესატყვისს ნახულობს.

მ. 5, 26. უკუანაჲსკნელი კოდრატი        დანგისა კოტორი.

შდრ. τὸν ἔσχατον κοδράντην.

გიორგიმ ეს სიტყვაც უთარგმნელად დატოვა. აღსანიშნავია, რომ F ხელნაწერში ჯერ დაუწერიათ „დანგისა კოტორი“, მაგრამ შემდეგ ის სხვა მელნითა და ხელით მსუბუქად გადაუხაზავთ და მის ნაცვლად დაუწერიათ „ო(ვ)კ(უანაჲსკნე)ლ(ი) კოდრატი“. ცხადია, ეს გვიანდელი გასწორება გიორგის წაკითხვას ეფუძნებოდა.

მ. 8, 21. უფალო C        მოძღუარ.

შდრ. κύριε (=Ⴂ). გიორგი აქაც ზუსტია: κύριε მხოლოდ უფალო-ა და არა მოძღუარ.

მ. 11, 30. ტჳრთი ჩემი სუბუქ არს        ...მცირე არს C.

მცირე ძველ ქართულში ზოგადი ცნებაა სიმცირის, სიპატარავის, ნაკლებობის, სიმჩატის... გამოსახატავად, მაგალითად: ჰასაკითა მცირე (ლ. 19, 3)— ტანად დაბალი, ტჳრთი მცირჱ — მჩატე, მსუბუქი ტვირთი. გიორგი პირველია, რომელმაც ეს კარგი შესატყვისი ფუძე მძიმის საპირისპიროდ გამოიყენა. აქ ცხადი კონკრეტულობაა. ეს სიტყვა ამ ადგილას შერმე საბოლოოდ დამკვიდრდა.

მ. 12, 29. გამოტყუენვად        გამოღებად.

შდრ. διαρπάσει (=Ⴂ).

გამოღებად ყოველთვის არ ნიშნავს წართმევას, მით უმეტეს, გაძარცვას, აკლებას. შდრ. ნაყოფი გამოიღო. „გამოტყუენვად“ ზედგამოჭრილი

ფორმაა ტექსტის შინაარსისათვის. კარგია აგრეთვე C-ს იავარის-ყოფაჲ. აშკარად არ ვარგა გამოღებად.

მ. 13, 36. გამოგჳთარგმანე· მითხარ (გჳთხარ C).

შდრ. διασάφησον (|| φράσον) (=Ⴂ).

მითხარ ცოტაა, ის არ გამოხატავს ტექსტის ნამდვილ აზრს. იესუს სთხოვენ: (არა უბრალოდ გვითხარი, არამედ) აგვიხსენი, განგვიმარტე ამ არაკის მნიშვნელობა, მისი მთავარი აზრიო. გიორგის გამოგჳთარგმანე ზუსტი და კონკრეტულია. ႠႣ-ს წაკითხვას ერთგვარად ამართლებს ზოგ ბერძნულ გამოცემაში ნახმარი მეორე ზმნა — φράσον, რომლის მთავარი მნიშვნელობაა თქმა, თხრობა.

მ. 13, 43. სასუფეველსა მამისა მათისასა ცათასა C.

შდრ. ἐν τῇ βασιλείᾳ τοῦ πατρὸς αὐτῶν (=Ⴂ).

საიდან გაჩნდა აქ ცათასა? მამის (ღმერთის) სასუფეველი ცა არის, ამიტომ „სასუფეველსა მამისასა“ და „სასუფეველსა ცათასა“ სინონიმებია, ხან ერთი იხმარება, ხან — მეორე. მაგრამ გიორგი ყველგან ზუსტია და ტექსტის შინაარსს ისე (იმ სიტყვებით) გადმოსცემს, როგორც ორიგინალშია წარმოდგენილი.

მ. 15, 6. მცნებაჲ სიტყუაჲ C.

შდრ. τὸν λόγον. ეს სიტყვას ნიშნავს და ႠႣ რედაქციას უჭერს მხარს. მაგრამ ნუ ვიჩქარებთ შეფასებაში. ბერძნულის სხვა გამოცემებში τὴν ἐντολήν იკითხება. გიორგის სწორედ ამ ფორმის შემცველი ხელნაწერიდან უთარგმნია. ასე რომ, აქაც ორ ქართულ წაკითხვას თვით ბერძნულში აქვს დასაყრდენი — იქაც ორი ასეთი წაკითხვა მოიპოვება.

სხვა ენების თარგმანებში თითქმის ყველგან არის მცნებაჲ, სომხურს კი, როგორც მოსალოდნელი იყო, ქართულის ძველი რედაქციების მსგავსად, დაცული აქვს სიტყუაჲ (զբանն). ასეთი ერთობა Ⴀ-სა და სომხურის წაკითხვებს შორის ბევრჯერ გვინახავს.

მ. 16, 8. პურნი არა მოიხუენით პური არა გაქუს.

შდრ. ἄρτους οὐκ ἔχετε (=ႠႣ). მაგრამ ბერძნულში სხვაგან არის ἐλάβετε (=Ⴂ). ამით ყველაფერი თქმულია. C-ს პირველი პირის ფორმა აქვს წარმოდგენილი (გუაქუნს).

მ. 17, 22. ეგულების ძესა კაცისასა ჯერ-არს ძჱ კაცისაჲ.

შდრ. μέλλει ὁ υἱὸς τοῦ ἀνθρώπου.

ბერძნულ μέλλω-ს ორივე ეს მნიშვნელობა აქვს (დაპირება, განზრახვა; ვალად დება — საჭიროა, უნდა...), ამიტომ ორივე ქართული წაკითხვა გამართლებულია (ნ. ზ. მ. 17, 12).

მ. 17, 27. სტატირი სასწორი C.

შდრ. στατῆρα (=Ⴂ).

გიორგის აქაც არ უთარგმნია ბერძნული სიტყვა. სხვაგან ეს სიტყვა ერთი ტარით არის გადმოცემული (სატირი) CႠႣ რედაქციებში (მ. 20, 2, 9, 10, 13C; ლ. 15, 8, 9 DEFG). თვით Ⴂ რედაქციის HI ხელნაწერებში ამ სიტყვის პირველ ტ-ს ზემოთ სამი წერტილი აქვს დასმული (სტატირი), რაც, ამ ხელნაწერებში მიღებული წესების მიხედვით, იმას ნიშნავს, რომ წერაში შეცდომაა დაშვებული, გაასწორეთო (=სატირი).

მ. 18, 6. წისქვლი ფქვილი, ქვაჲ G.

შდრ. μύλος.

გიორგის ზრუნვა და ეს ნაბიჯი გასაგებია: მანამდე ოთხთავებში წისქვილის ქვის, დოლაბის (жернов, Mühlstein) აღსანიშნავად „ფქვილი“ იხმარებოდა და ეს ქმნიდა საშიშროებას, აერიათ იგი იმავე ფორმის სხვა სიტყვაში (ფქვილი — დღევანდელი გაგებით, мука). ამ ძველი ტერმინის ასეთ არევას ჩვენს დროშიც ჰქონდა ადგილი (მ. კახაძე). წისქვილი ასეთი გაგებით აქ (გიორგის რედაქციაში) პირველად იხმარება. გიორგის ტერმინმა დღეს მნიშვნელობა გაიფართოვა და ყველას გვესმის, როგორც მარცვლეულის საფქვავი საგანგებო მოწყობილობა, **мельница**.

მ. 18, 35. ძმასა თჳსსა C          მოყუასსა თჳსსა.

შდრ. τῷ ἀδελφῷ αὐτοῦ.

ბერძნულში, როგორც ვხედავთ, და სხვა ენების თარგმანებშიც (სომხ.-ლათ.-რუს.-გერმ.-ინგლ.) ყველგან ძმა არის. საიდან გაჩნდა ქართულის ႣႧ რედაქციებში მოყუასი?

მ. 19, 17. რაჲსა მეტყჳ          რაჲსა მკითხავ
მე სახიერით?          მე კეთილისა საქმისათჳს?

ქართულის ამ ორგვარ წაკითხვას თვით ბერძნულშივე აქვს სათავე; იქაც სხვადასხვა გამოცემებში იკითხება: ა) τί με λέγεις ἀγαθόν და ბ) τί με ἐρωτᾷς περὶ τοῦ ἀγαθοῦ, რომელთაგან მეორე წყვილები ტექსტის აზრს ამახინჯებს. ამ ადგილის შინაარსია: რატომ მიწოდებ მე კეთილს? (არავინ არის კეთილი, თუ არა მხოლოდ ღმერთი). ამას კარგად გამოხატავს ბერძნული λέγεις და ქართული მეტყჳ; ორივეს, ძირითადი მნიშვნელობის გარდა, აქვს ასეთი გაგებაც: მიწოდებ, მეძახი, მარქმევ (სახელს). ამიტომ ქართულში ერთადერთი სწორი წაკითხვა სწორედ გიორგის შემოთავაზებული ვარიანტია.

სხვა ენების თარგმანებშიც ასეთივე ორგვარი აზრია გატარებული. რუსულად ძალიან კარგადაა თარგმნილი: что ты называешь меня благим? გერმანულად— ცუდად: was du fragst mich über das Gute?

მ. 19, 24; მრ. 10, 25. აქლემი          მანქანის(ა) საბელი, ზომთ საბელი C.

ბერძნულში ზოგან κάμηλον (აქლემი) იხმარება, ზოგან — κάμιλον (საბელი, მსხვილი თოკი). საინტერესოა, რომ მესამე შემთხვევაში (ლ. 18, 26) გიორგის ისევ ძველი „მანქანისა საბელი“ დაუტოვებია. ეს ორი სახელი (აქლემი და მანქანისა საბელი) ასე არეულია სხვა ენების თარგმანებში. ეს აღრევა უძველეს დროში მომხდარა და სწორედ იქიდან მომდინარეობს აღნიშნული ნაირ-ნაირი წაკითხვა[1].

მ. 20, 8. უფალმან სავენაჴისამან          სახლისა უფალმან.
უფალმან საყურძნისამან C

შდრ. ὁ κύριος τοῦ ἀμπελῶνος (=Ⴀ).

აქ ლაპარაკია ვენახის პატრონზე და არა ოჯახის უფროსზე. „სახლისა უფალი“ ბერძნულად არის οἰκοδεσπότης, ბ. ႣႧ-ს აზრით, სახლის უფროსი იმავე დროს ვენახის პატრონიც არის. ეს სწორია, მაგრამ ნაწილის ნაცვლად მთელის დასახელება მაინც არ ვარგა. გიორგის ზუსტად აქვს გადმოტანილი ὁ κύριος τοῦ ἀμπελῶνος როგორც „უფალი სავენაჴისაჲ“. შდრ. სხვა ენების თარგმანები: господин виноградника, der Herr des Weinberges...

მ. 21, 9. წინა-უვიდოდა          წინა-უძღოდა C.

შდრ. προάγοντες.

---

[1] უფრო ვრცლად ამის შესახებ იხ. ს. ყაუხჩიშვილი, ადიშის ხელნაწერის ბერძნიზმები: ენიმკის მოამბე, ტ. XIV, 1944, გვ. 103—106.

ეს სიტყვასიტყვით წინსვლაა. მაგრამ წინა-უძღოდა-ც ამასვე გამოხატავს: წინ სვლა სწორედ წინაძღოლაა. ორივე კარგია. თუ მაინცდამაინც რომელიმე სჯობია, ისევ მეორე: სპეციფიკური გამოთქმაა ასეთი შინაარსის გამოსახატავად.

მ. 21, 18. განთიად C ხვალისაგან

ცნობილი სინონიმებია.

მ. 21, 32. მეზუერეთა და მეძავთა C მეზუერეთა და ცოდვილთა.

შდრ. ...καὶ αἱ πόρναι.

საიდან გაჩნდა ႱႩ-ში ცოდვილთა? წინა (31-ე) მუხლშიც სწორედ ამ მეზუერეთა და მეძავთა შესახებ არის საუბარი და იქ ჩვენი ყველა ხელნაწერი ერთად დგას, ყველას მეძავნი უწერია (გამონაკლისია ერთადერთი D, რომელსაც აქაც ცოდვილნი მოეპოვება). აქ (21, 32) კი ႱႩ, არა ჩანს, რა მიზეზით, მეძავებს ცოდვილებით ცვლის. შეიძლება იმიტომ, რომ მეზუერეები და ცოდვილები ხშირად ერთად იხსენებიან (მ. 5, 46; 9, 10, 11, 19; მრ. 2, 15, 16; ლ. 5, 30; 7, 34; 15, 1) და აქაც ინერციით მეზუერეებს ცოდვილები მოაყოლეს. გიორგი აქაც უმართლეა.

მ. 23, 13. უმეტესი უდიდესი.

ესენიც ცნობილი სინონიმებია და ერთმანეთის საპირისპიროდ ხშირად ვხედავთ მათ.

მ. 23, 28. სჩანთ (წინაშე კაცთა) ჰგონიეთ (კაცთა).
უჩთ (კაცთა) C

მ. 23, 29. სამარებსა C მოსაჴსენებელსა.

პირველი ამ წყვილთაგანი (სამარე) ტერმინია (ПАМЯТНИК), მეორე მიმღეობაა — მოსაგონებელი. ბერძნული τὰ μνημεῖα ქართულის ორივე შესატყვისის გაგების ელემენტებს შეიცავს — სამარე; ძეგლი; მოსაგონებელი. შდრ. ბერძნ. μνεία — ხსოვნა, მოგონება.

მ. 24, 43. საჴუმილავსა ჟამსა C.

შდრ. ποίᾳ φυλακῇ, в какую стражу, zu welcher Nachtwache... ესაა არა დრო (ჟამი) საერთოდ, არც საათი, არამედ საგუშაგო, ჩვეულებრივად სამსაათიანი. ზოგადი ჟამსა აქ არ გამოდგება. გიორგი აქაც ზუსტია.

მ. 25, 1, 3, 4, 7, 8. ლამპარნი სანთელნი C.

შდრ. αἱ λαμπάδες (=Ⴂ).

მ. 25, 6. გამოვედით C აღდეგით.

შდრ. ἐξέρχεσθε (=Ⴂ). მაგრამ ზოგან ამის ნაცვლად ἐγείρεσθε ყოფილა, რაც სწორედ ႱႩ-ს აღდეგით იქნება. ამრიგად, ორ ქართულ წაკითხვას თვით ბერძნულშიც ორი ასეთივე წაკითხვა ჰქონია წინაპრად. სხვა ენების თარგმანებში უმთავრესად გამოვედით ფორმის შესატყვისი ერთეულია: выходите, heraus, ihm entgegen. ტექსტის შინაარსითაც უფრო გამოვედით არის გამართლებული: სიძე მოდის, გამოდით, მიეგებეთო.

მ. 25, 41. ანგელოზთა მისთათჳს მსახურთა ... C.

შდრ. ...καὶ τοῖς ἀγγέλοις αὐτοῦ.

გიორგის დაუტოვებია ბერძნული სიტყვა უთარგმნელად, სხვები თარგმნიან (ცუდად): ანგელოზი არის მაცნე, მაცნობებელი, ამბის მიმტანი, მოციქული, შიკრიკი. ႱႩ-ს მსახურად გადმოუღია. დავძენ ბოლოს, რომ სხვა ენების თარგმანებში ანგელოზი უთარგმნელადაა დატოვებული (ლათ.-რუს.-გერმ.-ინგლ.).

სომხურში ეს სიტყვა ყველგან (და ჩვენს შემთხვევაშიც) ნათარგმნია საკუთარი ენის ფუძით (*Հրեշտակ*).

მ. 20, 17, 18. პასქაჲ ენებაჲ.

აქაც ბერძნული τὸ *πάσχα* გიორგის უთარგმნელად აქეს გაშვებული, სხვები თარგმნიან (არც თუ ხეირიანად). C-ს სულ სხვა ფუძე უხმარია — ზატიკი.

მ. 27, 4. შენ ი ხ ი ლ ე შენ უწყი C.

შდრ. σὺ ὄψῃ. ὄψομαι არის სწორედ ხ ე დ ვ ა, ხ ი ლ ვ ა. გაფრხთილებისას (თუ დამუქრებისას) სწორედ ამ ზმნას ხმარობდნენ და ქართულში ი ხ ი ლ ე! ი ხ ი ლ ე თ! ფორმით გადმოჰქონდათ. შდრ. смотри сам, da siehe du zu. ამიტომ სწორია გიორგის ი ხ ი ლ ე, სხვების უ წ ყ ი შინაარსის მიახლოებითი გადმოღებაა.

მ. 27, 34. გემოჲ რაჲ იხილა მი-რაჲ-ილო.

ვითარ გემოჲ იხილა C

შდრ. καὶ γευσάμενος. γεύω სწორედ გემოს გასინჯვაა, отведывать. პირველი შეუდარებლად მაღლა დგას; მ ი - რ ა ჲ - ი ლ ო გაღარიბებული და გამომშრალი ზოგადი გამოთქმაა, რომელიც ყველაფრის მიღებაზე ითქმის (მი-რაჲ-ილო წიგნი იგი, სამოსელი, ჯამლი...).

მრ. 1, 4. ნათლის-ცემასა C ნათლის-ღებასა.

შდრ. ... βάπτισμα.

βαπτίζω ბერძნულში ნათლის-ცემაც არის და ნათლის-ღებაც (крестить, креститься). თუმცა ძველ ქართულში ეს ცნებები სხვადასხვა ფუძითაა გამოხატული, მაინც ხშირია შემთხვევა, როცა ისინი ერთმანეთს ენაცვლებიან.

ჩვენს შემთხვევაში ნამდვილად უნდა იყოს ნათლის-ცემასა (როგორც CԴ-ს აქვს), რადგან იოვანე უდაბნოში სხვებს ნათლავდა (ნათელ-სცემდა). შდრ. крестя в пустыне и проповедуя, so trat Jonannes als Täufer in der Wüste auf, und predigte.

მრ. 2, 1, 13. კუალად მერმე C

ცნობილი სინონიმებია, =πάλιν, опять, wieder. ხშირად ენაცვლებიან ერთმანეთს ორმხრივ (ნ. კ. მრ. 12, 5; 14, 39, 69; 15, 4; ი. 4, 13).

მრ. 2. 13. ყოველი ერი მ ო ვ ი დ ო დ ა მისა C ...მ ო ს დ ე ვ დ ა მას.

შდრ. καὶ πᾶς ὁ ὄχλος ἤρχετο πρὸς αὐτόν.

ἤρχομαι სვლაა და არა მიდევნება, შედგომა (ἀκολουθέω). ცოტა ქვემოთ, მე-14 მუხლში, იკითხება: და აღდგა იგი და მ ი ს დ ე ვ დ ა მას. ამ მ ი ს დ ე ვ დ ა-ს ბერძნულში შეესაბამება სწორედ ახლად ნახსენები ფუძის სათანადო ფორმა (ἠκολούθησεν). ამრიგად, გიორგი აქაც ზუსტად იცავს ბერძნული ტექსტის შინაარსს.

მრ. 3, 4. ცხოვნებაჲ ცხორებაჲ C.

ეს ერთი და იგივე ძირია რ-სა და ნ-ს შენაცვლებით. აქ ლექსიკურად განსხვავებული ფორმები არა გვაქვს. ორივე ფორმა აქ იქნება: ხსნა, გადარჩენა, σῶσαι, спасти, retten.

„—“ მოკლევაჲ წარწყმედაჲ C.

შდრ. ἀποκτεῖναι. ესაა სწორედ მ ო კ ლ ე ვ ა ჲ. წ ა რ წ ყ მ ე დ ა ჲ ყოველთვის სიკვდილს (მოკვლას) არ ნიშნავს.

მრ. 5, 3. შეკრვად C შებორკილებად.

შდრ. δῆσαι. ხოლო δέω არის შეკვრა, მიბმა; ბორკილის გაყრა. როგორც ეხედავთ, იგი ქართულის ორივე წაკითხვას ამართლებს: ერთმა ერთ მომენტს მია-

ქცია მთავარი ყურადღება, მეორემ — მეორეს. შდრ. სხვა ენების თარგმანების წაკითხვანი: связать, bündigen, bind...

მრ. 5, 33. (უთხრა მას ყოველივე) ჭეშმარიტი C      ბრალი.

ჭეშმარიტი უთხრა, ე. ი. რაც მოხდა ნამდვილად, ის უთხრა. მაგრამ რაც მოხდა, რაც იმ დედაკაცმა ჩაიდინა, ის მისი დანაშაული (ბრალი) იყო. ასე უნდა იყოს ჭეშმარიტი ბრალით შეცვლილი. მართლაც, ზოგი ბერძნული გამოცემის სქოლიოში τὴν ἀλήθειαν-ის პარალელურ ფორმად ნაჩვენებია τὴν αἰτίαν (ბრალი, დანაშაული).

მრ. 6, 21. (სერი უმზადა...) ათასისთავთა      ასისთავთა
მისთა C      მისთა.

შდრ. καὶ τοῖς χιλιάρχοις.

χιλίαρχος ათასისთავია, ასევეა აგრეთვე тысяченачальникам, *հազարապետաց* და სხვა. საიდან გაჩნდა სხვების ასისთავი? უბრალო გრაფიკული მსგავსების გამო ხომ არა: ათასისთავთა — [ათ]ასისთავთა? (ე. ი. სიტყვას ათ დააკლეს). სხვა ახსნა არა ჩანს.

მრ. 6, 45. აიძულა C      აწუევდა.

ეგენიც სინონიმებია. გიორგის აიძულა შედარებით უფრო ახალია და ადვილი გასაგებია. მთარგმნელთა დიდ ენობრივ ალღოზე უნდა ლაპარაკობდეს ის გარემოება, რომ ორივე ერთი განსაკუთრებული კონსტრუქციისაა: წარმოშობით სამპირიანია, ერთი პირი (პირდაპირი ობიექტი) დაკარგული აქვს და მხოლოდ ორი პირის ამარაა დარჩენილი — სუბიექტისა და ირიბი ობიექტის (რომელთა აწკეს მეფესა დაწერად განწესებაჲ იგი: კიმ. I, 73, 5; აიძულეს ბერსა ჭამად მფრინველისაჲ: ლიმ. 31, 25). აქ ერთი თავისებური ფორმა მეორე მოძმე ფორმამ შეცვალა.

მრ. 7, 5. უბანელითა (ჴელითა) C      შეგიხებულითა...

ამ ორგვარი წაკითხვის სათავე თვით ბერძნულში მოიპოვება: იქ გვაქვს ზოგან κοιναῖς χερσίν ხოლო ზოგან — ἀνίπτοις χερσίν, რომელთაგან პირველი (κοινός) ახალი აღთქმის წიგნებში არის: არაწმიდა, უწმიდური (ითქმის საჭმელზე, ადამიანზე), ხოლო მეორე (ἄνιπτος) — დაუბანელი, რომ არ დაიბანება. სხვა ენებზეც ზოგან ერთია, ზოგან — მეორე. ასე რომ, აქ ლექსიკურ მონაცვლეობაზე მხოლოდ პირობითად შეიძლება ვილაპარაკოთ.

მრ. 9, 50. (უკუეთუ მარილი) უმარილო      ...წბილ იყოს
იქმნეს      (განწბილდეს C).

„მარილი უმარილო იქმნეს“ ტავტოლოგიაა, ამას მეორე წაკითხვა სჯობია,

„—“ რაჲთა შეინელოს იგი      რაჲთა დაამარილოს,
რაჲ-მე შეამარილოს C.

შდრ. ἐν τίνι αὐτὸ ἀρτύσετε.

ἀρτύω შეკაზმვა, შენელებაა და არა დამარილება. აქ ტექსტს სწორედ ასეთი მნიშვნელობა უდგება. რამდენადაც ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, ეს სიტყვა (შენელება) ოთხთავში პირველად აქ უნდა გვხვდებოდეს. ოთხთავის გარეთ კი არის: „რაჲთა იქმნე მარილ და შეამარილო სული შენი და განსწმიდო გული შენი და მით შეანელო გონებაჲ შენი და სიტყუანი შენნი ... და განჰრცხე სულ-მყრალობაჲ ცოდვისაჲ“ (სწავ. 136, 4). აქ ჯერ შემარილებაცაა, როგორც უფრო დაბალი საფეხური, და მერ-

მე შენელებაც. როგორც უფრო მაღალი საფეხური, გამაერთიანებელი, შემადუღებელი და დამაგვირგვინებელი. სწორედ ესაა შენელება.

მრ. 11, 25. (უკუეთუ) გაქუნდეს (რაჲმე ბოროტი) გაჴსთვს.

ტექსტში ყველგან ქონებაზეა ლაპარაკი (ἔχετε, *ունիցիք*, имеете, habet...). საიდან გაჩნდა გაჴსოვს CՂ-ში, არა ჩანს. შეიძლება გააზრიანების შედეგი იყოს: თუ გულში გაქვს ცუდი რამე ვინმეზე — თუ რამ ბოროტი გახსოვს ვინმეზე.

მრ. 12, 12. ეძიებდეს (მას შეპყრობად) C ეგულებოდა (შეპყრობაჲ მისი).

შდრ. ἐζήτουν, რაც სწორედ ჩვენი ეძიებდეს არის (ცდილობდნენ, საშუალებებს ეძებდნენ). ეგულებოდა (=აპირებდნენ, სურდათ, განზრახული ჰქონდათ) ცოტაა. ისინი დაჟინებით ეძებდნენ (და არა მარტო აპირებდნენ შეპყრობას). ამიტომ CՂ-ს წაკითხვა ბევრად უკეთესია.

მრ. 12, 41. დაჯდა დადგა C.

შდრ. καθίσας, сел, setzte sich. მაგრამ ბერძნულის ზოგი გამოცემის ვარიანტებში დადგომაც ყოფილა დადასტურებული (ἑστώς).

მრ. 14. 4. დრტვინვიდეს ურთიერთას ჰრისხვიდეს თჳსაგან.

ბერძნულის ἀγανακτοῦντες, რომელიც აქა გვაქვს, ქართულის ორივე წაკითხვას ამართლებს. საქმის შინაარსს უფრო მაინც დრტვინვიდეს შეეფერება. C-ს სულ სხვა მასალა გამოუყენებია: გული უწყრებოდა.

მრ. 14, 18. ინაჴით-სხდეს დასხდეს.

შდრ. ἀνακειμένων. არა უბრალოდ დასხდნენ (თუ ისხდნენ), არამედ მხარ-თეძოზე წამოწოლილნი იყვნენ (ისხდნენ). возлежали. დასხდეს მთლად ვერ ამბობს სათქმელს. C ისევ გიორგისთან დგას: ინაჴ-ედგა.

მრ. 14, 72. ქათამმან იყივლა ... ჴმა-ყო.

მრ. 15, 2. შენ იტყჳ შენ სთქუ.

შდრ. σὺ λέγεις, ты говоришь. du sagst. აქ განსხვავებული წაკითხვა გვაქვს ლექსიკურადაც (იტყჳ—სთქუ) და გრამატიკული ფორმითაც: აწმყო—წყვეტილი. უნდა კი აწმყო, როგორც Ղ-ს აქვს.

მრ. 15, 6. რაჲ ყოველსა

დღესასწაულ დღესასწაულსა.

აქ ერთი და იმავე გრამატიკული კატეგორიის გამოსახატავად ორი სულ სხვადასხვაგვარი საშუალებაა გამოყენებული. პირველი შედარებით იშვიათია, მაგრამ ძალზე სპეციფიკურია ძველი ქართულისათვის. II გავრცელებულია ძველსა და ახალ ქართულში[1]. შდრ. κατὰ δὲ ἑορτήν.

მრ. 15, 7. მეშფოთეთა მეპომეთა.

შდრ. μετὰ τῶν στασιαστῶν.

ესაა მეამბოხე, მეჯანყე, ჩვენი მეშფოთე, мятежник, der Aufrührer. მეპომე (პომ-იდან=ომი) უკვე ძველ ქართულში არ ესმოდათ კარგად. ამიტომ იყო, რომ ჯრუჭის ოთხთავის გადამწერმა იგი მელომე-დ წაიკითხა და ასე ვადაწერა. გიორგის კარგად ესმოდა ეს სიძნელე და მოგვცა ბერძნულის მშვენიერი შესატყვისი მეშფოთე.

---

[1] ნ. ვოგუაძე, „რაჲ" ნაცვალსახელი განსაზღვრებითის ფუნქციით ძველ ქართულში": „მაცნე", № 1, 1968, გვ. 250—254; ვ. იმნაიშვილი, „მამათა ცხოვრებანი", 1975, გვ. 450—459.

ლ. 1, 52. დაამჴუნა (ძლიერნი საყდართაგან) გარდამოსთხინა C.

შდრ. καθεῖλεν δυνάστας ἀπὸ θρόνων. низложил, stürzt er vom Throne.

ორივე ქართული შესატყვისი კარგია; გარდამოსთხინა უფრო ზოგადია, დაამჴუნა — კონკრეტული.

ლ. 1, 71. ცხორებასა გამოჴსნასა (ჴსნად C).

ძველ ქართულში ორივე იხმარება, ახალში ხსნა, გამოხსნა გვაქვს. გიორგის აქ ძველი ქართულის სპეციფიკური და ძალიან გავრცელებული ფორმა დაუტოვებია.

ლ. 2, 29. მეუფეო უფალო C.

შდრ. δέσποτα (სხვაგან κύριε), владыко (სხვაგან: господи). გიორგი ბერძნულს უყურებს.

ლ. 2, 38. იერუსალჱმს შინა (გამოჴსნასა) ისრაჱლისასა C.

თვით ბერძნულში არის ორივე ეს წაკითხვა და იქიდან მოდის ჩვენშიც. სხვა ენების თარგმანებში ზოგან ერთია, ზოგან — მეორე. უფრო გავრცელებულია „იერუსალჱმს შინა“. გიორგისაც ის მიუჩნევია უკეთესად.

ლ. 3, 19. (ოთხთა) სამთავროთა (მთავარსა) საბრძანებელთა C.

გიორგიმდე საბრძანებელს იყენებდნენ, გიორგიმ შემოიღო სამთავრო, რომელიც შემდეგ ენაში გავრცელდა და დამკვიდრდა.

ლ. 4, 24. თჳსსა მამულსა თჳსსა სოფელსა C.

შდრ. ἐν τῇ πατρίδι αὐτοῦ.

ეს სიტყვა წინა (23-ე) მუხლშიც გვხვდება ამ სახით. გიორგის ორივესათვის მამულსა უწერია. CCЧ-ს კი პირველ შემთხვევაში (4, 23) მამულსა, მეორეში — სოფელსა. მართალია, თჳსსა სოფელსა (თავის მხარეში, თავის ქვეყანაში) არსებითად არის აგრეთვე თავის მამულში (თავის სამშობლოში), მაგრამ ერთი ბერძნული სიტყვა ორი ერთმანეთის მომდევნო მუხლში (4, 23; 4, 24) სხვადასხვაგვარად არ უნდა იქნეს გადმოღებული. გიორგი აქაც პრინციპული და თანამიმდევარია: ბერძნული πατρίς ორივეგან მამულად აქვს ნათარგმნი. დავძენთ ბოლოს, რომ ეს ორ ადგილას ნახმარი ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვაგვარად გადმოაქვთ აგრეთვე სხვა ენებზედაც, მაგალითად:

ლ. 4, 23. *ի քում գաւառի*, in deiner Vaterstadt.

ლ. 4, 24. *ի գաւառի իւրում*, in deiner Vaterland.

რუსულსა და ინგლისურში ორივეგან ერთი და იგივე სიტყვაა: в твоем (своем) отечестве, in ... country.

ლ. 5, 19. კეცი კაცი C.

შდრ. διὰ τῶν κεράμων.

ალილეს კაცი კი არა, არამედ ალილეს კეცი (კრამიტი) და იქიდან ჩაუშვეს საკაცეზე მდებარე (ავადმყოფი) კაცი. კეცის მნიშვნელობა რომ არ ესმოდათ, იგი კაცად გაიგეს. ამან გამოიწვია, რომ ორიგინალის „ახადეს სახურავი (აიღეს კრამიტი)“ CCЧ-ში აღარაა გადმოტანილი. გიორგი ასწორებს დიდი ხნის შეცდომას და ქართულ ტექსტს ზუსტად მართავს.

ლ. 5, 39. (ძუელი ღჳნოა) უმჯობეს არს ... უტკბილეს C.

შდრ. *ὁ παλαιὸς χρηστός* ( || *χρηστότερος*) *ἐστιν*.

სხვაგანაც ასეა: старое лучше, der alte besser ist, the old is better. მაშ საიდან გაჩნდა აქ ეს უტკბილესი? სომხურში იკითხება: *Հին քաղցրագոյն* է; (*քաղցր* —

ტკბილი). აი სად ყოფილა ძაღლის თავი დამარხული! ეს მოხდა, ალბათ, გაზრიანებით: ძველი ღვინო უფრო ტკბილია (აბა რა!). ხოლო სომხურისა და ჩვენი Ⴑ რედაქციის მჭიდრო ურთიერთობაზე ზემოთ არაერთხელ გვქონდა საუბარი. დავძენთ ბოლოს, რომ ბერძნულ γλυκύς ასევე უმართებულოდ ტკბილად არის გადმოტანილი აგრეთვე ორ სხვა ადგილას (მ. 11, 30: ლ. 6, 35), მაგრამ ეს ადგილები გაუსწორებლად დარჩენიათ.

ლ. 8, 23. ტბასა მას ზედა ზღუასა მას ზედა C.

შდრ. εἰς τὴν λίμνην. ტბა გვაქვს აგრეთვე სხვა ენების თარგმანებშიც. მაშ საიდან გაჩნდა Ⴑ-ში (აქედან Ⴕ-ში) ზღვა? სომხურის უყურადღებოდ წაკითხვით ხომ არა? (სომხურად ზღვა არის *ծով*. ხოლო ტბა *ծովակ* — პატარა ზღვა: *ծով-|-ակ*). ერთი სიტყვით, როგორც უნდა აიხსნას ქართულში ამ ადგილას ტბის ნაცვლად ზღვის გაჩენა, გიორგი ასწორებს შეცდომას და ტბას ამკვიდრებს თავის ადგილზე.

ტბისა და ზღვის მონაცვლეობის ასეთივე სურათი გვაქვს აგრეთვე ქვემოთაც (ლ. 8, 33), ამიტომ მასზე ცალკე არ შევჩერდებით.

ლ. 9, 12. ათორმეტნი იგი მოწაფენი C.

შდრ. οἱ δώδεκα, *երկոտասանքն*, двенадцать, die Zwölfe... მოწაფენი სხვაგან არსად არა ჩანს. ალბათ, 12 მოწაფე შემოკლებულად არის აღნიშნული ორნაირად: ათორმეტნი იგი და მოწაფენი იგი გიორგი ბერძნულის ერთგულია.

ლ. 10, 1. გამოირჩინა (სხუანი) გამოაჩინნა C.

შდრ. ἀνέδειξεν.

„—" სამეოც და ათნი სამეოც და ათორმეტნი C.

აღრევის სათავე თვით ბერძნულშია. იქაც ზოგან ἑβδομήκοντα (70) იკითხება, ზოგან კი — ἑβδομήκοντα δύο (72). უფრო გავრცელებულია 70. გიორგიც ამას უჭერს მხარს.

ლ. 12, 28. (ღმერთმან ესრეთ) შემოსის შეამკო C.

შდრ. ἀμφιάζει, одевает, kleidet...

შემოსის უფრო ახალია, თუმცა ძველ ქართულში შემკობასაც ზოგჯერ ჩაცმის მნიშვნელობა ჰქონდა, ხოლო სამკაულს — ტანისამოსისა. მაგრამ ახლა შემკობა სხვა რამეა, ხოლო შემოსვა დარჩა ძველი შინაარსით. გიორგი ასეთ ახალ ფორმებს ეძიებს და პოულობს.

ლ. 12, 58. მეხარკემან სეფეკაცმან CDE, სეფემან FG.

შდრ. ὁ πράκτωρ. ეს არის სწორედ გადასახადების ამკრეფი, მერმე (ამ ნიადაგზე) — დამსჯელი, მწვალებელი და ყოველგვარი უბედურების სათავე. ძველი სეფე და სეფეკაცი ამ დროს უკვე გაუგებარი იყო (ან სულ სხვანაირად ესმოდათ). გიორგის მეხარკე ახალი ტერმინია და ზუსტად შესაფერი საჭირო ცნებისათვის.

ლ. 14, 28. რაოდენი წარაგოს რაოდენი წარჴდეს C.

ბერძნულში წარგება თუ წარჴდომა პირიანი ფორმით არაა მოცემული. მაგრამ რადგანაც წინა ზმნა (ψηφίζει — აღრიცხვა, გამოანგარიშება) მოქმედებითის ფორმით არის წარმოდგენილი და ხარჯი—პირდაპირი ობიექტი აკუზატივშია (τὴν δαπάνην), ამიტომ სწორი უნდა იყოს გიორგის მიერ არჩეული მოქმედებითის ფორმა — წარაგოს. ვნებითი (წარჴდეს) აქ ნაკლებადაა გამართლებული. გარდა ამისა, წარჴდა — წარჴდეს და მსგავს ფორმებს უფრო სხვა მნიშვნელობა აქვს (წავიდა—წავიდეს). წარგება (წარაგო) კი სწორედ (და მხოლოდ) დახარჯვას, წაგებას, გაფლანგვას... აღნიშნავს.

ლ. 15, 14. წარაგო (ყოველივე)   წარწყმიდა C.

ამ ზმნაზე აქვე, ზემოთ, უკვე გვქონდა საუბარი. იგი აქაც დახარჯვას, გაფლანგვას, გაფანტვას აღნიშნავს. წარწყმიდა კი ყოველთვის ამ გაგებას არ შეიცავს (მისი მთავარი მნიშვნელობაა დაკარგვა, დაღუპვა). მოცემულ შემთხვევაში ტექსტის აზრისათვის წარაგო სწორედ მისწრებაა.

ლ. 15, 17. მოეგო რაჲ თავსა   განიზრახა D,
განიზრახეიდა E.

შდრ. εἰς ἑαυτὸν δὲ ἐλθών. ესაა სწორედ „მოეგო რაჲ თავსა თჳსსა“, როცა გონებაზე მოეგო, როცა გონებაზე მოვიდა. განიზრახა (განიზრახეიდა) სრულებითაც არ გამოხატავს ტექსტის მშვენიერ გამოთქმას: უბრალოდ კი არ განიზრახა, არამედ გონზე რომ მოვიდა, ჭკუაზე რომ მოვიდა.

ადიშსაც ძალიან კარგი შესატყვისი მოუნახავს: მოდგა გონებასა თჳსსა.

სხვა ენების თარგმანებსაც აქვთ კარგი შესატყვისები: придя (пришед) же в себя, jetzt kam er zu sich selber...

ლ. 15, 23. (ზუარაკი) ჭამებული   მსუქანი D, მსუქანჲ E.

მსუქანი (მსუქანჲ) ზუსტი არაა, არ გამოხატავს ტექსტის აზრს: ის ზვარაკი (მოზვერი) უბრალოდ მსუქანი კი არ იყო, არამედ განასუქარი (ნასუქი) იყო, მას სპეციალურად აჭმევდნენ, რომ გაესუქებინათ და მერმე (ასე განასუქები) დაეკლათ. ჭამებულიც ამას აღნიშნავს. შდრ. τὸν μόσχον τὸν σιτευτόν, откормленный, das Mastkalb. ყველგან ხაზგასმულია: ნაჭამი, ნასუქი. მსუქანში, როგორც ვთქვით, ეს მომენტი არა ჩანს.

ლ. 19, 22. (მონაო) ბოროტო   ურწმუნოო C.

შდრ. πονηρὲ δοῦλε. πονηρός კი ქართულად იქნება ცუდი (ძველი ქართულით ბოროტი), უვარგისი, წამხდარი, გაფუჭებული. CDE-ს ურწმუნო კი ბერძნულად არის ἄπιστος, რაც სახარების ამ სადავო ადგილას არსად არ გვხვდება.

სხვა ენებზედაც ისეა გადაღებული, როგორც გიორგის ესმის: лукавый раб, nichtswürdiger Knecht, wicked servant. მხოლოდ ისევ სომხურს აქეს ურწმუნოს შესაფერი წაკითხვა: *ծառայ անհաւատ*. შეიძლება სომხურისა და ჩვენი CDE-ს წაკითხვას (ურწმუნოო) ერთნაირი წარმოშობა ჰქონდეს. ამას სპეციალური კვლევა უნდა.

ლ. 21, 4. დადვეს   შეწირეს C.

შდრ. ἔβαλον. ქვევითაც, ქვრივ დედაკაცს რომ ეხება საქმე, ἔβαλεν წერია. აქედანაა ქართულში დადვეს, დასადებელსა. მაგრამ ბერძნულში ნათქვამია (ის საჩუქრები) დადვესო εἰς τὰ δῶρα (τοῦ θεοῦ), ე. ი. (ღმერთის) შესაწირავზე, შესაწირავ ადგილზე დადვესო. ასეთი დადება მართლაც შეწირვაა. აი სწორედ აქედანაა ჩვენშიც პარალელური შეწირეს და შეწირა. ერთი სიტყვით, ეს პარალელური ფორმები ბერძნულის ნიადაგზე უნდა აიხსნებოდეს. CDE უფრო თანამიმდევრულად იქცევა, როცა ორივე ადგილას ერთ ფუძეს იყენებს (შეწირეს, შეწირა), გიორგი კი აქ არათანამიმდევარია: დადვეს, მაგრამ: შეწირა.

აღსანიშნავია, რომ იმ ადგილს, სადაც დებენ თუ შეწირავენ, CDE-ში დასადებელი ჰქვია, Ⴂ-ში კი — შესაწირავი. გიორგი აქ ბერძნულს უყურებს: იქ ხომ, როგორც უკვე ვთქვით, εἰς τὰ δῶρα (τοῦ θεοῦ) იკითხება; δωρέω კი არის სწორედ ჩუქება, შეწირვა.

ლ. 21, 20. ერი მჴედრებისაჲ ერისაგან CჃ, ერი Ⴄ.

ერს ძველად ორი მნიშვნელობა ჰქონდა, ეს იყო ხალხი და ჯარი, войско. მაგრამ გიორგის დროს ერის მეორე მნიშვნელობა უკვე დაბნელებული იყო. ამიტომ დასაზუსტებლად უმატებს სპეციფიკურ სამხედრო მნიშვნელობის სიტყვას: ერი მჴედრებისაჲ (უბრალო ხალხი არ გეგონოთო). სხვა ენებში ნათელია საქმის ვითარება: ὑπὸ στρατοπέδων (ფორმით ეს იქნება CჃ-ს ერისაგან), войсками, von Kriegsheeren.

ლ. 24, 13. სამეოც უტევან ას სამეოც...C.

ბერძნულის უფრო გავრცელებულ გამოცემებში არის ἑξήκοντα (60), მაგრამ ზოგან მითითებულია, რომ სხვადასხვა ხელნაწერში ამ სიტყვას წინ ἑκατόν (ასი) ემატებაო (ე. ი. 160 ყოფილა). აი ქართულში არსებული ორგვარი წაკითხვის ორი სათავე თვით ბერძნულში.

ი. 1, 23. განჰმზადენით წარჰმართენით ჇჄ,
წრფელ ყავთ C.

შდრ. εὐθύνατε τὴν ὁδὸν κυρίου.

εὐθύνω — გასწორება, გამართვა, ძე. ქართულით წრფელ ყოფა. ამიტომ სამი ქართული წაკითხვიდან ყველას სჯობია C (წრფელ ყავთ გზაჲ), მერმე ჇჄ (წარჰმართენით გზანი), განჰმზადენით კი აქ არვარგა. განჰმზადენით ბერძნული ἑτοιμάσατε-ს თარგმანია (მ. 3, 3). Ⴂ-ს განჰმზადენით აქ, როგორც ჩანს, სწორედ მათეს თავიდან არის გადმოსული.

ი. 3, 19. (ნათელი) მოვიდა C მოივლინა.

შდრ. ἐλήλυθεν. ეს კი მოსვლაა (ἔρχομαι) და არა მოვლინება (πέμπω ან ἀποστέλλω), რომელთაგან მეორე ვნებითის ფორმით იქნებოდა ἀπεστάλη. ამიტომ სწორია C და Ⴂ, ხოლო Ⴃ და Ⴄ ცდებიან.

სრულიად ამგვარი მაგალითი გვაქვს აგრეთვე ერთ ადგილას ქვემოთაც: მოვედ (სოფლად) C — მოევლინე (ი. 16, 28) და სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ი. 4, 40. ევედრებოდეს C ეტყოდეს.

შდრ. ἠρώτων. ეს კი თხოვნაა და არა უბრალო თქმა. სხვა ენებზეც ასეა: աղաչէին, просили, baten (=Ⴂ).

ი. 4, 49. ძისა ჩემისა ყრმისა მის ჇჄ, ყრმაჲ იგი ჩემი C.

შდრ. τὸ παιδίον μου.

ბერძნული παῖς (→ παιδίον) არის ბავშვი, ბიჭი ან გოგო; მეორე გაგებით — ვაჟიშვილი (ვაჟი). ამ ფუძიდან ნაწარმოები παιδίον არის მხოლოდ და მხოლოდ ბავშვი (გოგოც, ბიჭიც). ამიტომ არაა გასაკვირი, თუ თარგმანში ხან ყრმაჲ გვხვდება, ხანაც — ძე. საერთოდ, აქ უფრო მიღებულია ძე, როგორც აქვს კიდეც გიორგის.

ი. 6, 40. მომავლინებელისა მამისა C.

შდრ. τοῦτο γάρ ἐστιν τὸ θέλημα τοῦ πατρός μου. აქედან გამოდის, რომ სწორია მამისა და არა მომავლინებელისა.

მაგრამ ბერძნულში სხვაგან იკითხება: τοῦτο δέ ἐστι(ν) τὸ θέλημα τοῦ πέμψαντός με. ეს კი მომავლინებელს უჭერს მხარს. მაშასადამე, ქართულის ორგვარ წაკითხვას ამ შემთხვევაშიც თვით ბერძნულში ჰქონია სათავე, იქაც არსებობს ორი ამგვარი წაკითხვა. ხოლო თვით ბერძნულში (და სხვაგანაც) ადვილი იყო, ხან მამაჲ ეხმარათ, ხან — მომავლინებელი, რადგან ორივე ერთსა და იმავე პირს წარმოადგენდა — ღმერთს.

ი. 6, 46. (არა თუ) ღმერთი (ვის უხილავს) ...მამაჲ... C.

ბერძნულშიც და სხვა ენების თარგმანებშიც ყველგან მამა იკითხება. რაღაც უბრალო ლაფსუსი უნდა იყოს. გამოცემაშიც სამართლიანად გასწორებულია და ტექსტში მამა არის დატოვებული.

ი. 7, 4. ეძიებნ (რაჲთამცა) ჰნებავნ... C, ჰგონებნ... Ч.

შდრ. ζητεῖ, ищет, sucht. მარტო სურვილი აქ ცოტაა. ტექსტშია: ცდილობსო, ეძებსო. არც C-ს წაკითხვაა მაინცდამაინც მოსაწონი: გამოაჩინებნ თავსა თჳსსა.

ი. 8, 38. რომელი იხილეთ გესმის C, გესმა CG,
გასმიეს F.

შდრ. καὶ ὑμεῖς οὖν ὃ ἑωράκατε. მაგრამ სხვა გამოცემებში არა ხილვაზე, არამედ სმენასა და მონასმენზეა ლაპარაკი: ἠκούσατε. ახლა კი ცხადია, საიდან მოდის ქართულში იხილეთ და გესმის (გესმა, გასმიეს): თურმე ბერძნულშიც ასე ორგვარი წაკითხვა ყოფილა და იქიდან ვრცელდება მერმე სხვაგან და სხვაგან.

ი. 8, 58. პირველ (აბრაჰამის ყოფადმდე) ვიდრე.

შდრ. πρίν, რომელიც ორივეს ამართლებს, უფრო კი პირველ არის მასთან ახლო. ასევე ახლო დგას ბერძნულთან ადიშის წინავე (წინავე აბრაამისა ყოფამდე).

სხვა ენების თარგმანებშია: прежде нежели, ehe.

ი. 12, 25. წარიწყმიდოს (სული) განუტევოს (თავი) C.

შდრ. ἀπολλύει, რაც Ղ-ს „წარწყმედის“ შესატყვისია და იქნება: დაღუპვა, მოკვლა (მოკვდინება), განადგურება, დაკარგვა. მაგრამ ბერძნულის სხვა გამოცემებში იკითხება ἀπολέσει, რაც ჩვენს განტევება-ს უდრის (=განუტევოს). ამას უნდა ეყრდნობოდნენ CCЧ რედაქციები. ტექსტის აზრს უფრო კარგად, რა თქმა უნდა, გიორგის ვარიანტი (წარიწყმიდოს) გამოხატავს. აქ დაპირისპირებულია დაღუპვა (წარწყმედა) და გადარჩენა, დაცვა, შენახვა (დამარხვა)· დატოვება. მიტოვება თუ გაშვება აქ უფრო მდარეა. მართალია, სულის განტევება იმავე დროს სულის დაღუპვა და სიკვდილია, მაგრამ, საერთოდ, განტევება არც ისე საშიში სიტყვაა (მაგალითად: განუტევა ცოლი, განუტევა მოყუასი იგი სახიდ თჳსა და სხვა). გიორგის აქაც უკეთესი შესატყვისი აქვს მოპოვებული და გამოყენებული.

ი. 12, 47. (რომელსა არა) ჰრწმენენ (რომელმან არა)
(სიტყუანი) დაიმარხნეს... C.

შდრ. καὶ μὴ πιστεύσῃ, и не поверит, nicht glaubt... აქ ყველგან რწმენაზეა ლაპარაკი.

მაგრამ სხვა ბერძნულ გამოცემებში ამის ნაცვლად იკითხება: καὶ μὴ φυλάξῃ. φυλάσσω კი მართლაც ძველი ქართულის დამარხვაა (დაცვა, შენახვა...), რომელიც გამოუყენებია ხელნაწერთა დიდ ჯგუფს (CDEFGBM...). სომხურსაც ეს ზმნა აქვს დაცული: *ոչ պահեսցէ*. სომხურსა და CDE-ს სხვა ჩვენებებითაც ხშირად ერთი გზა აქვთ გამოვლილი.

ი. 16, 30. გურწამს C ვიცით.

შდრ. πιστεύομεν. სხვა ენათა თარგმანებშიც რწმენაზეა საუბარი და არა ცოდნაზე: *հաւատամք*, веруем, glauben.

ი. 17, 9. (მე მათთჳს) გკითხავ გევედრები.

შდრ. ἐρωτῶ, რაც სწორედ კითხვა და თხოვნაა (უფრო ახალი აღთქმის წიგნებში). ეს ზმნა ამ მუხლში ორჯერ გვხვდება (მე მათთვს გკითხავ; არა თუ სოფლისათვს გკითხავ, არამედ მათთვს, რომელნი მომცენ მე). ბერძნულში ორივეგან ერთი და იგივე ფორმაა: ἐρωτῶ; ასევეა სომხურშიც (*աղաչեմ*, *աղաչեմ*) და რუსულშიც (молю, молю); გერმანულში ორჯერ აღარაა განმეორებული, მხოლოდ ერთჯერ არის წარმოდგენილი (bitte). ქართულში თანამიმდევრული მხოლოდ ადიში და გიორგია: პირველი ორივეგან იყენებს გლოცავ ფორმას (= გთხოვ, გევედრები), მეორეს აქვს გკითხავ (=გთხოვ); DEFG არათანამიმდევარია: ერთი და იმავე ბერძნული ფორმისათვის (ἐρωτῶ) პირველად გევედრები შეურჩევიათ, მეორედ — გკითხავ.

ი. 20, 4. სხუაჲ იგი (მოწაფე) ერთი იგი ... C.

შდრ. другой ученик. ეს ცნობილი სინონიმური წყვილია და შებრუნებული რიგითაც ხშირად გვხვდება.

ი. 20, 19. (იყვნეს) შეკრებულ C დამალულ.

შდრ. συνηγμένοι. ესაა სწორედ შეკრებული (=Ⴂ).

მაგრამ სხვა, უახლეს, გამოცემებში არც შეკრებულ და არც დამალულ არ არის წარმოდგენილი. კაცმა რომ თქვას, არ არის საჭირო არც ერთი და არც მეორე. ტექსტის მიხედვით ეს იგულისხმება. იქ ნათქვამია: „კარნი დაკშულ იყვნეს, სადა-იგი იყვნეს მოწაფენი".

თუ მოწაფეები აქ იყვნენ და კარები დაკეტილი ჰქონდათ, ცხადია, შეკრებილნიც იყვნენ და დამალულნიც. ალბათ, ეს ჰქონდათ მხედველობაში, რომ ზოგ გამოცემაში არც ერთი ეს სიტყვა (შეკრებულ, დამალულ) არ შეიტანეს.

ჩვენი ხელნაწერები ისეთ ვერსიებს ეყრდნობიან, რომლებშიც იყო ეს συνηγμένοι: ანდა დამალულ-ის ფარდი ბერძნული შესატყვისი.

სხვა ენების თარგმანებშიც (სომხ.-რუს.-გერმ.-ინგლ.) მხოლოდ შეკრებული გვაქვს, დამალული კი — არსად.

## Ⴁ. სხვადასხვა ფორმები

აქ გათვალისწინებულია ისეთი შემთხვევები, როცა ლექსიკა ორ (სამ) რედაქციაში ერთი და იგივეა, სხვადასხვაა გრამატიკული ფორმები: რიცხვი (სახელებსა და ზმნებში), ბრუნვა, (ზმნებში) პირი, მწკრივი, გვარი, ქცევა, კილო, და სხვა. აქ სანიმუშოდ აღვნიშნავთ მრავლიდან მხოლოდ რამდენიმეს, უფრო მეტად დამახასიათებელ და ფართოდ გავრცელებულ მოვლენას.

Ⴂ CႷ

მ. 2, 15. უწოდე უწოდო C, უწოდი Ⴗ.

შდრ. ἐκάλεσα (=Ⴂ).

მ. 15, 36. თევზნი C თევზი.

შდრ. καὶ τοὺς ἰχθύας (=Ⴂ).

სხვებსაც მრავლობითი აქვთ: рыбы, die Fische, the fishes.

მ. 17, 25. შევიდა იგი C შევიდეს იგინი.

შდრ. ἐλθόντα (|| εἰσῆλθεν).

სხვაგანაც მხოლობითია: вошел он, he was come...

მ. 19, 15. დაასხნა მათ ზედა ჴელნი დასდვა... ჴელი C.

შდრ. καὶ ἐπιθεὶς τὰς χεῖρας αὐτοῖς.

სხვა ენების თარგმანებშიც მრავლობითია: возложил руки, die Hände, hands...

მაშ მხოლობითი სხვაგან ალარსად არის? არის CႠ რედაქციების ძველ მოკავშირეში — სომხურში *եւ եդեալ ձեռն ի վերայ նորա.* ამათ ერთი საერთო საფუძველი უნდა ჰქონდეთ.

მ. 21, 45. იგავნი ესე იგავეი ესე.
იგავები იგი C

შდრ. τὰς παραβολάς, *զառակս*, притчи, seine Gleichnisse, parabeles.

მ. 23, 26. ფარისეველო ბრმაო ფარისეველნო ბრმანო C.
განწმიდე C განწმიდეთ.

შდრ. Φαρισαῖε τυφλέ, фарисей слепой, du blinder Pharisäer. სომხური ამ შემთხვევაში ალარ უდგას გვერდში CႠ-ს: *փարիսեցի կոյր.* აქ ႠႡ ცალკეა.

მიზეზი ადვილი ასახსნელია: მათეს სახარების ამ (23-ე) თავში ყველგან (ჩვენი მუხლის გამოკლებით), სადაც ფარისევლებისა და მწიგნობრების შეჩვენებაა (23, 13, 14, 15, 26, 27, 29), ეს სახელი მრავლობითშია (მწიგნობარნო და ფარისეველნო). ერთადერთ შემთხვევას წარმოადგენს ჩვენი მაგალითი, რომელშიც ეს სადაური სახელი მოცემულია მხოლობითის ფორმით. შეიძლება აქ მხოლობითი იმიტომაა, რომ ფარისეველთან ერთად ალარაა მოხსენიებული არც მწიგნობარი და არც ვინმე სხვა. ერთი სიტყვით, ყველა სხვა მრავლობითიანი მაგალითის მოძალებით გადამწერებმა ინერციით აქაც მრავლობითის ფორმით წარმოგვიდგინეს ეს მართლაც ფარისეველი.

მ. 26, 53. ანუ ჰგონებ C ანუ ჰგონებთ.

შდრ. ἢ δοκεῖς, *Թէ համարիս*, или думаешь, oder meinest du... სულ მარტოა ჩვენი DEFG.

მ. 27, 46. რაჲსათჳს დამიტევე მე დამიტევებ ႠႡ,
დამაგდებ C.

შდრ. ἵνατί με ἐγκατέλιπες. ეს აორისტია, ჩვენი წყვეტილი. ასევე აორისტის შესაფერი მწკრივებია სხვაგანაც: *Թողեր զիս*, для чего ты меня оставил, warum hast du mich verlassen. აწმყოს მწკრივის (ახლანდელი დროის) ფორმა აქ შეუძლებელია: ქრისტემ უკვე დაინახა, რომ ღმერთმა (მამამ) იგი მარტო დატოვა (მიატოვა). ეს ტექსტის მიხედვით უკვე მომხდარი ფაქტია. ამის შემდეგ შეუძლებელია ითქვას: რატომ მტოვებ მეო. ეს ანაქრონიზმია. აქ შეიძლება ითქვას მხოლოდ: რატომ დამტოვე (მიმატოვე) მეო, როგორც არის ბერძნულში, სხვებში და სხვებში, აგრეთვე გიორგის რედაქციაში.

მ. 28, 6. სადა დაიდვა (იდვა C) უფალი ...დადვეს იგი.

შდრ. ὅπου ἔκειτο (ὁ κύριος). *ուր կայր*, где лежал, wo der Herr gelegen... ყველგან ვნებითია, მხოლოდ ႠႡ-ს აქვს მოქმედებითი. გიორგი ბერძნულისა და სხვა მართებული წაკითხვების მხარეზეა.

მრ. 2, 16. რაჲსათჳს ...ჭამს და სუამს შჭამთ და ჰსუამთ C.

შდრ. ...ἐσθίει καὶ πίνει.

ზოგან ბერძნულში მარტო ჭამს (ἐσθίει) მოიპოვება, და სუამს (καὶ πίνει) ალარაა. მაგრამ ეს მთავარი არაა. რაც არის წარმოდგენილი, ის მხოლობითის მესამე პირშია დასმული (და არა მეორე პირის მრავლობითში). ასეა სხვა ენების თარგმანებშიც: ест и пьет, das doch euer Meister mit den Zöllner und Sündern essen und trinken kann. გერმანულ ტექსტს ახლავს შენიშვნა: euer Meister (მოძღუარი თქუენი) ბერძნულში არ არისო. მაშ საიდან გაჩნდა აქ (გერმანულ-

ში)? ეგევე ადგილი მოიპოვება მათეს თავშიც (9, 11). იქ მართლაც არის წარმოდგენილი გრამატიკული სუბიექტი: διὰ τί μετὰ τῶν τελωνῶν καὶ ἁμαρτωλῶν ἐσθίει ὁ διδάσκαλος ὑμῶν. აი ეს ὁ διδάσκαλος იგულისხმება ჩვენს შემთხვევაშიც. ამიტომ მხოლოდ მესამე პირის ფორმები უნდა (მხ. რ.) და არა მეორისა (მრ. რ.). აღრევა იქიდან უნდა წარმომდგარიყო, რომ ფორმალურად არ ჩანდა სუბიექტი, ხოლო მეზვერეები და ცოდვილები იესუს მოწაფეებს მიმართავდნენ. აქედან კი ერთი მოკლე ნაბიჯია, ფორმაში II პირიც (მრ. რ.) შეიყვანონ. ასეც მოხდა.

ჩვენთვის საინტერესო ადგილს მათეს თავში (9, 11) ერთვის შენიშვნა სქოლიოში: ἐσθίει-ს ნაცვლად ზოგან იკითხება ἐσθίετε καὶ πίνετε. აი თურმე სად ყოფილა ძაღლის თავი დამარხული! როგორც ჩანს, ჩვენი CDEFG ხელნაწერების შჭამთ და ჰსუამთ იმათი შთამომავლია. დავძენთ ბოლოს, რომ, როგორც ბევრგან სხვა შემთხვევაში, CDE-ს ახლაც ჰყავს მომხრე და ზურგის გამამაგრებელი სომხური ოთხთავის სახით, რომელშიც ამ ადგილას ეკითხულობთ: *ուտէք եւ ըմպէք.*

მრ. 8, 22. მოვიდა ბეთსაიდად მოვიდეს... C.

შდრ. ἔρχονται (|| ἔρχεται), приходит, he cometh. გერმანულ ტექსტში: nun kamen sie, რომელსაც ახლავს შენიშვნა: ბერძნულში არისო kam er. ჩანს, თავიდანვე იყო პარალელური წაკითხვები. ქართულის ვითარებაც ამას ასახავს. შეიძლება აქ მრავლობითის გაჩენა იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ ზემოთ მოყვანილ წინადადებას უშუალოდ მოსდევს: (და მოვიდა ბეთსაიდად) „და მოჰგუარეს მას ბრმაჲ და ევედრებოდეს, რაჲთა შეახოს მას“. ნაგულისხმევია, რომ ვინც მოჰგვარა და ევედრებოდა, იესუსთან ერთად იყო და მასთან ერთად მოვიდა. ამიტომო: იესუ და იგინი მოვიდეს. ასეა თუ ისე, ბერძნულში მხოლობითია, ეს მხოლობითია უფრო გავრცელებული და გიორგიც იმას გვთავაზობს (შეიძლება ამას სხვა ახსნა ჰქონდეს, მაგრამ ახლა ამაზე დაწვრილებით შეჩერება არ შეგვიძლია. ჩვენთვის თვით ფაქტის დადგენა იყო მთავარი, ფაქტი კი დადგენილია: ბერძნულში მხოლობითი გვაქვს, გიორგისაც ეს რიცხვი აურჩევია. სხვები (CCЧ) სხვა გზით მოდიან).

მრ. 15, 29. ყრიდეს თავთა ....თავსა C.

შდრ. κινοῦντες τὰς κεφαλάς, кивая головами, schüttelten ihre Köpfe... თუ ბევრნი იყვნენ და ყრიდეს (ხრიდეს C). თავიც მრავლობითში უნდა იყოს (ყველას თავ-თავისი თავი აქვს). „ყრიდეს (ხრიდეს) თავსა“ არც ისეთი მყარი იდიომატური გამოთქმაა, რომ კომპოზიტის მსგავს ერთეულად მივიჩნიოთ და მრავლობითში არ დავსვათ პირდაპირი ობიექტი. რომ ეს ასეა, იქიდანაც ჩანს, რომ იგივე ობიექტი პარალელურ რედაქციაში უკვე მეორე ზმნაშია ნახმარი: ხრიდეს თავსა. დღეს ამათ ნაცვლად თავის ქნევა იხმარება: თავებს აქნევდნენო.

გიორგიც სწორედ ამ მრავლობითს მიმართავს.

ლ. 6, 19. განჰკურნებდეს (ძალნი) განჰკურნებდა (იესუ) C.

აქ სხვადასხვა რიცხვი ტექსტის აზრის სხვადასხვანაირ გაგებაზეა დამოკიდებული. საქმის შინაარსი ასეთია: ხალხი (დიდი და პატარა) ცდილობდა, (ხელით) შეხებოდა იესუს, რადგან მისგან გამოდიოდნენ სასწაულთმოქმედი ძალები, და ყველას კურნავდა (კურნავდნენ). ვინ კურნავდა: თვით იესუ თუ მისგან გამომდინარე სასწაულთმოქმედი ძალები? ზოგი ვერსია სუბიექტად იესუს თვლის, ამიტომაც

ზმნის ფორმას მხოლობითში სვამს. ასე იქცევა გერმანული თარგმანი: und er heilte sie alle.

რუსულ თარგმანს საქმე სხვაგვარად ესმის: от него исходила сила и исцеляла всех. სუბიექტად იესუ რომ მიეჩნია, მაშინ გვექნებოდა исцелял.

ქართულშიც ასეა: გიორგის მიხედვით, იესუსგან გამომდინარე ძალნი განჰკურნებდეს ყოველთა (ამ სასწაულთმოქმედ ძალას ძველ ქართულში ჩვეულებრივ მრავლობითში სვამდნენ), სხვა რედაქციების თვალსაზრისით, ძალნი კი გამოვიდოდეს მისგან, მაგრამ ხალხს ამ ძალების დახმარებით თვით იესუ განჰკურნებდა. ასე რომ, აქ რიცხვის უბრალო შენაცვლებასთან არა გვაქვს საქმე. დავძენთ ბოლოს, რომ გიორგის ვარიანტში მისგან-ის შემდეგ მძიმე არ უნდა (ყოველი იგი ერი ეძიებდა შეახლებად მისა, რამეთუ ძალნი გამოვიდოდეს მისგან და განჰკურნებდეს ყოველთა). მეორე შემთხვევაში აუცილებელია მისგან-ის შემდეგ მძიმე დაიწეროს (… ძალნი გამოვიდოდეს მისგან, და [იესუ] განჰკურნებდა ყოველთა).

ლ. 7, 12. ვითარ მიეახლა ბჭეთა C … მიეახლნეს იგინი.

შდრ. ὡς δὲ ἤγγισεν τῇ πύλῃ τῆς πόλεως, он приблизился, als er dem Stadtthore sich nahete… მაშ მრავლობითი საიდან გამოჩნდა? წინა მუხლში, სადაც იესუს გამომგზავრებაზეა ლაპარაკი, მერმე ნათქვამია: თანა-უვიდოდეს მას მოწაფენი მისნი და ერი მრავალიო. აი ეს ხალხია მითვლილი, როცა ქალაქთან მიახლოებაზეა საუბარი. გიორგი ასეთ ცდუნებას არ აჰყვება და ბერძნულს მისდევს ერთგულად.

ლ. 10, 19. აჰა მიგცემ თქუენ ჴელმწიფებასა — … მიგეც თქუენ ჴელმწიფებაჲ C.

რატომაა ქართულში სხვადასხვა მწკრივი და სხვადასხვა დრო? იმიტომ, რომ თვით ბერძნულშიც ასეთივე ორგვარი წაკითხვაა: ἰδοὺ δίδωμι ὑμῖν τὴν ἐξουσίαν, მაგრამ ზოგან: … δέδωκα… ამათ ეყრდნობა ქართულის ორგვარი ვარიანტი: მიგცემ ჴელმწიფებასა და მიგეც ჴელმწიფებაჲ. ქართულში, ბუნებრივია, ამ ფორმებს შორის უფრო მეტი განსხვავებაა, ვიდრე ბერძნულ შესატყვისებში: ჩვენში, სხვადასხვა მწკრივის გარდა, სხვადასხვა ბრუნვის ფორმა აქვთ პირდაპირ დამატებებს: აწმყოსთან — მიცემითი (ჴელმწიფებასა), ხოლო წყვეტილთან — სახელობითი (ჴელმწიფებაჲ). სხვა ენების თარგმანებში უმეტესად აწმყოა: даю вам власть, ich gebe euch Macht, I give unto you power. გიორგიც ამ უფრო გავრცელებულ ვარიანტს ირჩევს.

ლ. 12, 27. განიცადენით შროშანნი C განიცადეთ შროშანი.

შდრ. κατανοήσατε τὰ κρίνα, посмотрите на лилии, betrachtet die Lilien, consider the lilies.

მაშ DE(FG) კვლავ მარტოა? არა, ახლაც მათთანაა მათი ძველი მოძმე სომხური, სადაც შროშანი მხოლობითშია (*շուշանն*).

ქართულში სხვებთან შედარებით ახლაც მეტია განსხვავება: ერთში ასახულია პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა (განიცადენით), მეორეში პირდაპირი ობიექტი მხოლობითშია (შროშანი) და, ცხადია, იგი ზმნაში კვალს ვერ დატოვებდა.

ლ. 12, 33. განყიდენით მონაგებნი თქუენნი განყიდეთ მონაგები თქუენი C.

შდრ. *πωλήσατε τὰ ὑπάρχοντα ὑμῶν.*

სხვა ენების თარგმანებში ზოგან მრავლობითია (*վաճառեցէք զինչս ձեր*, продавайте имения ваши...), ხოლო ზოგან — მხოლობითი (verkaufet eure Habe...).

ბუნებრივია, ამ ჭრელ სურათს გამოძახილი ეპოვა ქართულშიც. გიორგი აქაც ბერძნულს მისდევს და მრავლობითის ფორმას გვაწვდის. როგორც ზემორე მაგალითის განხილვისას იყო აღნიშნული, ქართულში პირდაპირი ობიექტის რიცხვის ცვლას სათანადო ცვლილება მოჰყვება ზმნაშიც. შდრ. განყიდეთ მონაგები თქუენი და განყიდენით მონაგებნი თქუენნი. მაგრამ ეს ჩვენი ენის თვისებაა, რომლის მსგავსიც ევროპულ ენებში არაფერი მოიპოვება.

ლ. 12, 39. მპარავი მოვალს          მპარავი მოვიდეს C.

შდრ. *ὁ κλέπτης ἔρχεται*, *գայ*, придет, zu welcher Stunde der Dieb käme.

გიორგის მოვალს აქ არის დღევანდელი მოვა — მომავალი დრო, იგი ნაწარმოებია ახლებურად, აწმყოზე ზმნისწინის დართვით. ეს უეჭველი სიახლეა, რომელიც საერთოდ ახასიათებს გიორგის ენას. სხვები (CDEFG) ძველებურად გამოხატავენ მომავალ დროს — მეორე კავშირებითის ფორმით — მოვიდეს.

ლ. 13, 7. არა ვჰპოვებ          არა ვპოვე.

შდრ. *οὐχ εὑρίσκω*, не нахожу. und finde keine.

ვპოვე (წყვეტილი) აქ გაუმართლებელია. კონტექსტის სხვა ზმნებიც აწმყოს ფორმით არის მოცემული: მოვალ, ვეძიებ და არა ვჰპოვებ (სამი წელია, რაც აქ მოვდივარ, ვეძებ და ვერ ვპოულობ).

ლ. 13, 9. მოჰკუეთე C          მოჰკუეთო.

შდრ. *ἐκκόψεις αὐτήν*, *հատցես զնա*, срубить ее, dann magst du ihn umhauen lassen.

ლ. 16, 31. უკუეთუ მოსესი არა ისმინონ C   — არა ისმინეს.

შდრ. ...*οὐκ ἀκούουσιν*, не слушают, nicht Gehör geben.

საქმის შინაარსი ასეთია: ჯოჯოხეთში მოხვედრილი მდიდარი სთხოვს აბრაჰამს: გაგზავნე ეგ (ღარიბი ლაზარე) ჩემს ოჯახში, რომ ეს ყველაფერი აცნობოს ჩემს 5 ძმას, რომ ისინიც ამ სატანჯველში არ მოვიდნენო. აბრაჰამმა უპასუხა: არ არის საჭირო, ჰყავთ მათ მოსე და წინასწარმეტყველები, იმათ მოუსმინონო. მდიდარმა უპასუხა: არა, იმათ (მოსეს და წინასწარმეტყველებს) არ დაუჯერებენ, ხოლო თუ ვინმე მკვდრეთით აღდგება და მივა, მხოლოდ მაშინ შეინანებენო. სწორედ ამას მოჰყვება აბრაჰამის მკაცრი განაჩენი: უკუეთუ მოსესი და წინაწარმეტყუელთაჲ არა ისმინონ, არცაღა, მკუდრეთით თუ ვინმე აღდგეს, ჰრწმენეს მათ. ე. ი. თუ მოსეს და წინასწარმეტყველების სიტყვებს არ მოისმენენ (არ შეისმენენ, არ დაუჯერებენ), არც მკვდრეთით ამდგარს იწამებენო. იმ ძმებს მოსეს სიტყვები არ მოუსმენიათ. ამიტომ წყვეტილის ფორმა აქ ყოვლად გაუმართლებელია. საქმის არცოდნის საფუძველზე შექმნილი ცდუნებაა მხოლოდ, თქვან: თუ მოსეს (უკვე) არ მოუსმინეს, სხვებს სულ არ იწამებენო. ასე რომ, გიორგი აქაც ზუსტად მიჰყვება ბერძნულს, მისი წაკითხვაც ერთადერთი და მართებულია.

ი. 5, 23. რომელმან არა პატივ-სცეს          რომელმან პატივ-სცეს ძესა,
ძესა, მან არა პატივ-სცა მამასა          მან პატივ-სცა მამასა.

ყველგან, სადაც ხელი მიგვიწვდება, ნეგატიური მსჯელობაა: ვინც ძეს პატივს არ სცემს, ის არც მამას სცემს პატივსო. ესაა სწორედ ტექსტის მთავარი აზრი: შვილს (ქრისტეს) უნდა სცემდნენ პატივსო (იგულისხმება, რომ მამას—ღმერთს—

ყველა სცემს პატივს). CՇԿ-ში დადებითი მსჯელობაა და ტექსტის სული და გული იკარგება. გიორგი, რა თქმა უნდა, ბერძნულს მიჰყვება და ნეგატიურად გადმოსცემს CԿՇ-ს პოზიტიურ მსჯელობას. მაინც საიდან გაჩნდა ეს პოზიტიური მსჯელობა? ამას სპეციალური ძიება სჭირდება.

| | |
|---|---|
| ი. 5, 36. საქმენი რომელნი | საქმე რომელი მომცა |
| მომცნა მე მამამან, რაჲთა | მე მამამან, რაჲთა |
| აღვასრულნე იგინი C | აღვასრულო იგი. |

შდრ. τὰ ἔργα, *զգործսն*, дела, die Taten, works. ყველგან მრავლობითი გვაქვს, გარდა ՇԿ რედაქციებისა. აქ მრავლობითი გამართლებულია შემდეგი წინადადებით (რომელიც ჩვენს მაგალითს მოჰყვება): ესევე საქმენი წამებენ ჩემთჳს. ეს წინადადება ყველას მოეპოვება გამოუკლებლივ (მათ შორის DEFG-საც). მაშასადამე, ზემოთ სწორედ საქმეებზე იყო ლაპარაკი და არა ერთ საქმეზე.

ი. 5, 43. არა შემიწყნარებთ C　　　არა შემიწყნარეთ.

შდრ. οὐ λαμβάνετέ με, *ոչ ընդունիք զիս*, и не принимаете меня, und ihr nehmet mich nicht auf.

წყვეტილი საიდან გაჩნდა ՇԿ-ში? შეიძლება აქ მაცდუნებელი იყოს წინა ზმნა წყვეტილის ფორმით: მე მოვედ სახელითა მამისაჲთა... (მე მოვედი და არ მიმიღეთ). ტექსტის აზრი კი ასეთია: მე მოვედი მამის (ღმერთის) სახელით და თქვენ არ მღებულობთ. ერთი სიტყვით, მხოლოდ აწმყო უნდა (როგორც გიორგის აქვს, ხოლო უფრო ადრე C-ს ჰქონდა). წყვეტილი გაუმართლებელია.

ი. 6, 26. რამეთუ იხილენით　　　რაჲთა იხილნეთ.

შდრ. ὅτι εἴδετε σημεῖα, *նշանս*, видели чудеса, ihr Wunder gesehen habt. რომ ნახოთ კი არა, არამედ უკვე ნახეთ (ნახული გაქვთ). ამიტომ იხილნეთ (II კავშ.=მომავალი დრო) აქ გაუმართლებელია.

| | |
|---|---|
| ი. 6, 68. სიტყუანი... გქონან | სიტყუაჲ... გაქუს |
| შენ | შენ C. |

შდრ. ῥήματα... ἔχεις, ты имеешь глаголы вечной жизни. ყველგან მრავლობითია. საიდან მოდის CՇԿ-ს მხოლობითი?

ი. 9, 34. ცოდვათა შინა შობილ ხარ შენ —— ცოდვასა შინა C.

შდრ. ἐν ἁμαρτίαις, *ի մեղս*, во грехах, in Sünden, in sins.

მაშ საიდან გაჩნდა CՇԿ-ში მხოლობითი (ცოდვასა შინა)? სომხურის ბრალი ხომ არ არის? სომხურში ცოდვას (ჩვეულებრივ) მხოლოდ მრავლობითის ფორმა აქვს (*մեղք*). ხომ არ იფიქრა ქართველმა გადამწერმა, რომელიც სომხურს უყურებდა: რა ქნან, იმათ მეტი საშუალება არა აქვთ, ამ სიტყვას ყველგან მრავლობითში ხმარობენ და აქაც ასე იქნებაო? შეიძლება ამის სხვა ახსნაც არსებობდეს, მაგრამ ერთი ცხადია: გიორგი აქაც უმართლეა, ხოლო CՇԿ ნამდვილად ცოდავს.

ი. 11, 3. რომელი გიყუარს C — რომელი-იგი გიყუარდა.

შდრ. ὃν φιλεῖς, кого ты любишь, den du lieb hast. მაშ უწყვეტელი საიდან მოდის? უწყვეტელია სომხურშიც: *զոր դուն սիրէիր*. აი სად გაუჩნდა DEFG-ს (უფრო ზუსტად: DE-ს, FG მერმე იმეორებს მას) მომხრე და თანამდგომი. ესენი აქაც ერთი გზით (სირიულით?) უნდა მიდიოდნენ.

ი. 12, 7. უტევე (მიუტევე C) მაგას —— უტევეთ მაგას.

შდრ. ἄφες αὐτήν, lass sie nur, მაგრამ: оставьте ее. ამ ბრძანებითის ფორმაში სუბიექტი ზოგან მხოლობითშია, ზოგან — მრავლობითში. ეს სიჭრელე

(რომელიც ძველი რედაქციებიდანვე მოდის) გასაგები იქნება, თუ გვეცოდინება, რა სიტუაციაში ამბობს ამას იესუ. ჯვარცმამდე 6 დღით ადრე იესუ მივიდა ბეთანიაში თავის ამხანაგ ლაზარესა და ამ უკანასკნელის დებთან—მართასა და მარიამთან. იქვე იყვნენ იესუს მოწაფეებიც. მოუმზადეს მათ ვახშამი. მარიამმა მოიტანა ძვირფასი ნელსაცხებელი, სცხო (დაასხა) იესუს ფეხებს და მერმე თავისი თმით შეუშრალა სველი ფეხები, სახლში კი დადგა ამ სურნელების საამო სუნი. იუდამ, რომელსაც განზრახული ჰქონდა იესუს გაცემა, გაკიცხა მარიამი: რატომ დაკარგე (დაღუპე) ამდენი ნელსაცხებელი ფუჭად, სჯობდა მისი გაყიდვა (სამას დრაჰკნად) და ალებული ფულის ღარიბებისათვის მიცემაო. აი ამაზე თქვა იესუმ: უტევე (უტევეთ) მაგას (ე. ი. დაანებე თავი, გაუშვი, აცალე მაგასო), მაგან კარგი საქმე ქნა (ჩაიდინა), ჩემი დასაფლავების დღისათვის შემინახა ესაო.

ვის მიმართა იესუმ? უფრო ძველი და გავრცელებული ხელნაწერები გულისხმობენ, რომ იუდას მიმართაო. ამიტომ არის სწორედ უტევე (შენ) მაგას (მარიამს); უფრო გვიანდელი წარმოშობის ნუსხებში ჩნდება მრავლობითი და ამით ნაგულისხმევია, რომ იესუმ ყველას (თავის თორმეტივე მოწაფეს) მიმართაო. ამის გამო გვაქვს უტევეთ მაგას[1].

უფრო მიღებულია პირველი შეხედულება.

დავძენთ აქვე, რომ ამ მუხლში მეორე სიტყვაცაა, რომელიც ჩვენს ყურადღებას იქცევს ამ თავში აღძრული საკითხის თვალსაზრისით. აქ გვაქვს:

დამიმარხა (წყვ.) და დამიმარხოს CЧ, დაჰმარხოს C
(II კავშ.).

ეს სხვადასხვაობაც ძველი დროიდან მომდინარეობს და დღესაც სხვადასხვა ენების თარგმანებში სხვადასხვანაირად ესმით. უფრო მიღებულია წყვეტილის (აორისტის) ფორმა, რადგან ფაქტია, რომ მარიამმა ნელსაცხებელი უკვე სცხო (დაასხა) და აქ რაღა მომავალ დროზე შეიძლება ლაპარაკი. ეს ზმნაც (დამიმარხა) ასევე წარსული დროის ფორმებით არის გადმოცემული ბერძნულსა და სხვა ენებში (τηρήσῃ. сберегла, sie hat dieses … behalten).

ი. 12, 28. ვადიდე —— გადიდე და კუალადცა
და კუალადცა ვადიდო —— გადიდო C.
შდრ. καὶ ἐδόξασα καὶ πάλιν δοξάσω

გადიდე, გადიდო შეუძლებელია. მამას (ღმერთს) სთხოვეს, შენი სახელი ადიდეო, აქ კი გამოდის, რომ მამამ არა თავისი სახელი, არამედ შვილი უნდა ადიდოს. რუსულ თარგმანში არა ჩანს ნათლად, ვინ უნდა ადიდონ (прославил и еще прославлю), მაგრამ გერმანულში კარგად ჩანს: ich habe ihn verherrlicht, und werde ihn ferner verherrlichen. აქ ihn არის სწორედ ის სახელი (den Namen).

პროფ. ა. პ. ლოპუხინი ამ სადავო ადგილს ნათლად განმარტავს: „Он прославит имя свое"[2].

ი. 14, 15. უკუეთუ გიყუარ მე, —— უკუეთუ გიყუარდე მე,
მცნებანი ჩემნი დაიმარხენით —— მცნებანი ჩემნი დაიმარხნეთ
შდრ. ἐὰν ἀγαπᾶτέ με, τὰς ἐντολὰς τὰς ἐμὰς τηρήσετε.

ჩვენს რედაქციებში აქ ორი ფორმაა განსხვავებული: გიყუარ — გიყუარდე და დაიმარხენით — დაიმარხნეთ.

---

[1] Толковая библия, комментарий… А. П. Лопухина, т. X, 1914, стр. 429.

[2] დასახელებული წიგნი, ტ. II, 1914, გვ. 433.

ა) გიყუარ აწმყოს ფორმაა. ასეა იგი წარმოდგენილი, ბერძნულის გარდა, სხვა ენების თარგმანებშიც: *սիրէք*, если любите меня, liebet ihr mich. ტექსტის აზრია: მე თუ გიყვარვარ (ახლა, და არა: მერმე თუ გეყვარები), ჩემი მცნებები დაიმარხეთო. ამიტომ I კავშირებითი აქ არც ერთი თვალსაზრისით არ არის გამართლებული. C აქ CЧ-ს ემხრობა.

ბ) ბრძანებითი უნდა თუ (II) კავშირებითი? II კავშირებითი მაშინ იქნებოდა მისაღები, თუ პირველი ზმნის ფორმად I კავშირებითი გამართლდებოდა. მაგრამ ზემოთ ჩვენ ვნახეთ, რომ იქ ერთადერთი სწორი აწმყოს ფორმაა — გიყუარ. ამიტომ აქაც II კავშირებითი მიუღებლად უნდა ჩავთვალოთ და II ბრძანებითი ვცნოთ მართებულად. აკი ბერძნულშიც (ნ. ზემოთ) და სხვა ენებშიც სწორედ ბრძანებითის ფორმები გვაქვს: *պահեսջիք*, соблюдите, behaltet meine Gebote. C ამ შემთხვევაში გიორგის მხარეზეა.

ი. 14, 31. აღდეგით და წარვიდეთ —— ...წარვედით... IK.
ამიერ HC

შდრ. ἄγωμεν ἐντεῦθεν, *գնասցուք*, пойдем, lasset uns von hier gehen, let us go hence.

აქ ყველგან I პირის ბრძანებითია მრავლობითში (წავიდეთ), II პირის ბრძანებითი (წადით) სრულიად გაუმართლებელია.

ი. 15, 6. განვარდეს (იგი) გარე ... და განჴმეს —— ... განჴმა C.

შდრ. καὶ ἐξηράνθη, засохнет, verdorren. განჴმა (წყვეტილი) სრულიად შეუფერებელია, რადგან ტექსტში ლაპარაკია მომავალ დროზე და არა წარსულზე (ვინც ჩემთან არ დარჩება, ის გარეთ გავარდება, როგორც ნასხლევი, და გახმებაო).

ი. 15, 23. რომელსა ვსძულდე მე, მამაჲცა —— სძულდეს.
ჩემი სძულს C

შდრ. ὁ ἐμὲ μισῶν καὶ τὸν πατέρα μου μισεῖ, ненавидящий меня ненавидит и отца, wer mich hasst, der hasst auch meinen Vater. მეორე ზმნა აქ ყველგან აწმყოშია, როგორც გიორგისაც აქვს წარმოდგენილი (უფრო ადრე C-ს ჰქონდა). სძულდეს შეიძლება ვსძულდე-ს ანალოგიით იყოს გაკეთებული. როგორც უნდა იყოს, ცხადია, რომ C რედაქცია აქაც ცოდავს (ამას იზიარებს მერმე FG-ც), ხოლო CԼ ზუსტად იცავს ბერძნულის წაკითხვას.

ი. 18, 38. არცა ერთსა ბრალსა          არცა ერთი ბრალი ვპოვე.
ვჰპოებ ამის თანა C

აქ ყველაფერი გამოწვეულია იმით, რომ ქართულის სხვადასხვა რედაქციაში სხვადასხვა სერიის გარდამავალი ზმნაა წარმოდგენილი აქედან გამომდინარე შეხამებით: ვჰპოებ ბრალსა — ვპოვე ბრალი. რომელია აქ გამართლებული? ბერძნულში აწმყოა მოცემული (εὑρίσκω), ამიტომ CԼ-ს ვჰპოებ არის აქ სწორი თარგმანი. ასევე აწმყო აქვთ აგრეთვე სხვა ენების თაგმანებსაც: *ոչ գտանեմ*, не нахожу, ich finde gar keine Schuld, I find.

ი. 19, 13. ესმა სიტყუაჲ ესე C —— ესმეს (ესმნეს FG)
სიტყუანი ესე.

თვით ბერძნულ გამოცემებშიც ასე ორგვარადაა წარმოდგენილი სახელის რიცხვი: ἀκούσας τοῦτον τὸν λόγον, მაგრამ სხვაგან: ἀκούσας τῶν λόγων τούτων. სხვა თარგმანებში უმეტესად მხოლობითია: услышав это слово, das Wort. მაგრამ *լուաւ զբանս զայս*. აქ კიდევ შესცდნენ ერთმანეთს ძველი მეგობრები: სომხური და DE(FG) ხელნაწერები. ვამბობთ DE, რადგან FG მას

ეყრდნობა და გაუსწორებლად ტოვებს. ასე რომ, აქაც ქართულის ორ წაკითხვას ბერძნულშივე აქვს საფუძველი, იქაც ასეთი ორი წაკითხვაა. საქმე ისაა მხოლოდ, რომელი ხელნაწერი (ხელნაწერები) რომელს ეყრდნობა, და ვინ ჰყავს გვერდით შიგნით (ქართულში) და გარეთ (სხვა ენებიდან).

ი. 19, 38. მოვიდა და აღიღო —— მოვიდეს და აღიღეს
გუამი მისი გუამი მისი.

აქაც თვით ბერძნულშია ორივე რიცხვი: ἦλθεν οὖν καὶ ἦρεν τὸ σῶμα αὐτοῦ, მაგრამ: ἦλθον... ἦραν.

ჩვეულებრივ მიღებულია, რომ იოსებ არიმათიელი მოვიდა. ამიტომ უმეტესად მხოლობითი გვაქვს: *Եկն եւ էառ զնա*. он пошел и снял, er ging also hin und nahm den Leichnam Jesu. ამ შემთხვევაში DE-ს განუდგა მისი ძველი მოკავშირე.

ი. 21, 18. რაჟამს დაჰბერდე, ...
განიპყრნე ჴელნი შენნი, განგიპყრნენ ჴელნი შენნი
და სხუამან შეგარტყას შენ და სხუათა შეგარტყან
და წარგიყვანოს შენ და წარგიყვანონ.

ბერძნულშიც ასეთი ორი სახეობა გვაქვს: სხუამან შეგარტყას და წარგიყვანოს (ἄλλος ζώσει σε καὶ οἴσει) და: სხუათა შეგარტყან შენ და წარგიყვანონ (ἄλλοι ζώσουσί σε καὶ ἀποίσουσιν). განსხვავება ერთია: ჩვენს C რედაქციას ინერციით სუბიექტი მრავლობითის ფორმით მოუყვანია აგრეთვე წინა ზმნაშიც: განგიპყრნენ (ჴელნი შენნი), რაც ბერძნულში არ არის, იქ სუბიექტი — II პირი — მხოლობითშია (ἐκτενεῖς τὰς χεῖράς σου) სწორედ ისე, როგორც გიორგის აქვს: განიპყრნე ჴელნი შენნი. ასე რომ, გიორგი აქაც კვალდაკვალ მისდევს ბერძნულის უფრო გავრცელებულ და მიღებულ ვარიანტს. DE (და მერმე FG) კი არჩევს მეორე ვარიანტს (მრ. რ.) და იმავე მრავლობითში სვამს წინა ზმნასაც (განგიპყრნენ...). \

როგორღაა საქმე სხვა ენების თარგმანებში? საერთოდ მხოლობითია წარმოდგენილი: другой препояшет тебя и поведет, ein Anderer wird dich gürten und hinführen... მრავლობითი? DE-ს მსგავსი მრავლობითი არავის მოეპოვება? როგორ არა, ისევ DE-ს ძველ ნაცნობსა და მეგობარს, სულ ერთად რომ მოდიან: *եւ այլք ածցեն քեզ գօտի եւ տարցին.*

## C. Ⴂ უმატებს (+)

Ⴂ CႨ

უმატებს აქ ნიშნავს: C(Ⴈ) რედაქციაზე მეტი აქვს. არსებითად კი Ⴂ არაფერს არ უმატებს ბერძნულ და, საერთოდ გავრცელებულ ტექსტს, ის მხოლოდ ბერძნულს მისდევს კვალდაკვალ და, თუ C(Ⴈ) რედაქციას რაიმე მიზეზით აკლია სიტყვა თუ სიტყვები, გიორგი აღადგენს მას ბერძნულის მიხედვით და სრულ, უნაკლულო (რომელსაც არ აკლია) ტექსტს გვთავაზობს. რადგანაც ჩვენ ამოსავლად მიღებული გვაქვს ოპიზური (C) რედაქცია (ჩვენს შემთხვევაში DE ხელნაწერებით წარმოდგენილი), იმის მიხედვით განვესაზღვრავთ დამატებას, დაკლებას, გადასმას.

მ. 3, 16. მეყსეულად ამოვიდა ...წყლისა მისგან ———.

შდრ. εὐθύς, *վաղվաղակի*, тотчас, sogleich. ყველგან გვაქვს ეს ზმნიზედა, DE-ს შემთხვევით უნდა აკლდეს, თუმცა ამ რედაქციაში საერთოდაც

შეიმჩნევა ამ სიტყვის დაკლება. C-ს ორჯერაც აქვს გამოყენებული (მუნქუესვე აღმოჴდა მიერ წყლით. და მეყსეულად განეხუნეს მას ცანი). მეყსეულად აქ შეიძლება καὶ ἰδού-ს ეკვივალენტი იყოს.

მ. 10, 8. უძლურთა განჰკურნებდით, მკუდართა აღადგინებდით ——— C.

შდრ. νεκροὺς ἐγείρετε, мертвых воскрешайте, machel... Todte lebendig... რიგი ყველგან ერთი არ არის: სადავო წინადადება ზოგან მეორე რიგშია, ზოგან—მესამეში, მაგრამ ყველგან კი არის. არ არის მხოლოდ (რამდენადაც ჩვენ ხელი მიგვიწვდება) სომხურში. CDE (FG) და სომხური აქაც ერთად დგანან და ერთი გზით მოემართებიან. ამ ერთობლივი გზის ამოსავალი პუნქტიც ერთი უნდა იყოს — სირიული. მაგრამ ამას სპეციალური ძიება სჭირდება.

მ. 13, 29. ხოლო მან ჰრქუა მათ: არა, ნუუკუე... C ———.

შდრ. ὁ δὲ φησιν· οὔ, μήποτε... ეს არა სხვა ენების თარგმანებშიც არის: ոչ, нет, nein, nay. არა აქვს მხოლოდ DEFG-ს. საჭირო კია: არა, ასე არ ქნათ, ვაითუ...

მ. 13, 56. ვინაჲ უკუე არს ამისა ესე ყოველი ———C.

შდრ. πόθεν οὖν τούτῳ ταῦτα πάντα.

„ყოველი“ არის CFG-ში, მაგრამ „უკუე“, რომელიც ბერძნული οὖν-ის შესატყვისია, მხოლოდ გიორგის მოეპოვება.

მ. 15, 4. სიკუდილით მოკუედინ C ———მოკუედინ.

შდრ. θανάτῳ τελευτάτω.

ეს ექსპრესიული პარონომაზიული გამოთქმა DE (FG)-ს გალარიბებული სახით აქვს მოცემული: პარონომაზიის პირველი წევრი (საწყისი მარტივნიშნიან მოქმედებითში) მოუხსნიათ. პარონომაზია სხვა ენების თარგმანებშიც ყველგანაა (ჩვენ აქ, ზემოთ და ქვემოთ, როცა სხვა ენების თარგმანებზე გვაქვს საუბარი, თუ სპეციალურად არაა მითითებული ეს სხვა ენა, მხედველობაში გვაქვს: ბერძნული, სომხური, ლათინური, რუსული, გერმანული და ინგლისური), არაა მხოლოდ, ვიმეორებთ, DE(FG) ხელნაწერებში. დასანანია.

მ. 17, 11. ელია მოვიდეს პირველად ———C.

ბერძნულშიც ზოგან არის ეს პირველად (πρῶτον), ზოგან — არა. დაკლების მიზეზი მისახვედრია. წინა მუხლში დასმულია კითხვა: როგორ ამბობენ მწიგნობრები, რომ ელია პირველად (უწინ) უნდა მოვიდესო? ამის პასუხია: ელია მოვიდეს პირველადო. რადგან პირველად კითხვაში უკვე იყო ნათქვამი, პასუხში აღარ გაიმეორეს.

მ. 18, 15. ხოლო უკუეთუ შეგცოდოს შენ ———C.
მ. 18, 16. ხოლო უკუეთუ არა ისმინოს ———C.
მ. 18, 17. ხოლო უკუეთუ მათიცა არა ისმინოს ———C.
„—“ ხოლო უკუეთუ კრებულისაჲცა არა ისმინოს ———C.

ბერძნულში ყველგან გვაქვს ორი კავშირი: ἐάν და δέ, გიორგისაც ორივე გადმოაქვს ქართულში, სხვა ქართული ხელნაწერები ხოლო-ს აკლებენ, გვგონია, სამართლიანად: ხოლო უკუეთუ არ ჟღერს კარგად. მარტო უკუეთუ უფრო ბუნებრივია ქართულისათვის.

მ. 18, 26. სულგრძელ იქმენ ჩემ ზედა, უფალო ———C.

უფალო (κύριε) ზოგ ბერძნულ გამოცემას არ მოეპოვება, ზოგან კი არის. სადაც არის, წინადადების თავშია (უფალო, სულგრძელ იქმენ. მაგრამ ეს უკვე

რიგის (გადასმის) საკითხია (ამაზე ქვემოთ). ეს ორი სახეობა ქართულშიც არის ასახული.

მ. 18, 30. ხოლო მან არა ისმინა მისი, არამედ წარვიდა C ———.
შდრ. ἀλλὰ ἀπελθών.

ეს წარვიდა სხვაგანაც არის: a пошел, sondern ging hin, but went. არ არის მხოლოდ სომხურში (DE=სომხ.).

მ. 18, 35. ... გულითა თქუენითა ცთომანი მათნი ———C.
შდრ. τὰ παραπτώματα αὐτῶν.

მაგრამ ეს სიტყვები ყველგან არ არის ბერძნულში, ზოგან არის, ზოგან—არა. სხვაგანაც ასეთი სიჭრელეა: არ მოეპოვება რუსულს, გერმანულს, ინგლისურს, მაგრამ აქვს სომხურს.

მ. 20, 7. (წარვედით თქუენცა ვენაჴსა ჩემსა,) და რაჲ-იგი
იყოს სამართალი, მიიღოთ ———C.
შდრ. καὶ ὃ ἐὰν ᾖ δίκαιον λήψεσθε.

ეს ადგილიც ბერძნულში ზოგან არის, ზოგან—არა. სხვა ენების თარგმანებშიც ასეთი ჭრელი სურათია; მაგალითად, სომხურს, რუსულს, ინგლისურს მოეპოვებათ, ლათინურსა და გერმანულს—არა. ამ უკანასკნელს იგი სქოლიოში ჩაუტანია და დაურთავს შენიშვნა: ამას ბერძნული უმატებსო. მაგრამ როგორც ვნახეთ, ბერძნულშიც არ არის იგი ყველგან.

მ. 21, 24. გკითხო მეცა თქუენ სიტყუაჲ
ერთი, რომელი უკუეთუ მითხრათ მე ———C.
შდრ. ὃν ἐὰν εἴπητέ μοι.

რომელი აქ უხერხულად და ქართულისათვის არაბუნებრივად არის ჩართული, მაგრამ გიორგი თარგმნისას ზუსტია, ორიგინალის სიტყვას არ ტოვებს. სხვა ენების თარგმანებში პევრგან გაშვებულია, სომხურს კი აქვს გადმოტანილო: *զոր եթէ*...

მ. 22, 7. ხოლო მეფე იგი განრისხნა, ესმა რაჲ ესე ———C.
შდრ. ἀκούσας δὲ ὁ βασιλεύς.

ეს ἀκούσας ზოგან ბერძნულშიც არ ყოფილა. ჩანს, რომ გიორგის ხელთ ჰქონდა უფრო სრული და ვრცელი ბერძნული ტექსტი. სადაც სხვას აკლია, უმეტესად (თითქმის ყოველთვის) იგი ავსებს დანაკლისს და უმატებს. შევნიშნავთ, რომ ეს დამატებები სხვა ენების თარგმანებშიც თითქმის ყველგანაა შეტანილი.

მ. 22, 30. ვითარცა ანგელოზნი ღმრთისანი ———C.
შდრ. ὡς ἄγγελοι τοῦ θεοῦ. მაგრამ ეს სიტყვა თვით ბერძნულშიც არ არის ყველგან. სხვაგან ყველგანაა, გარდა სომხურისა (ს.=C).

მ. 22, 35. ჰკითხა ერთმან მათგანმან
სჯულის-მოძღუარმან (შჯულის მდებელმან C) ———.

აქაც შესატყვისი სიტყვა (ὁ νομικός) ბერძნულში ყველგან არაა. არის სხვა ენებზეც, ძვლავ არ მოეპოვება იგი სომხურს (ს.=C).

მ. 23, 25. სასუმლისასა და პაროფსიდისასა
და პინაკისასა ———.

HI ხელნაწერებში ამის ნაცვლად პიტნაკისასა იკითხება. ეს გადამწერებისაგან უნდა იყოს დამახინჯებული: პიტნაკისასა ← პინაკისასა. ალბათ, ამით სურდათ „პაროფსიდის“ შეცვლა, მიუწერეს კიდეც გვერდით, მაგრამ პირველის ამოღება (წაშლა) დაავიწყდათ. მერმე გადამწერების საქმეა ყველაფერი. ბერძნულში ან სხვა ენების თარგმანებში, რა თქმა უნდა, ამის შესატყვისი არაფერია.

მ. 24, 2. არა ჰხედავთა ამას ყოველსა ———C.
შდრ. οὐ βλέπετε ταῦτα πάντα.

ქართულში არა-ს დაკლებას თითქოს რამდენადმე ა კითხვითი ნაწილაკი ანაზღაურებს. მაგრამ სულ სხვა ძალა აქვს ამ არა-ს ჩვენს მაგალითში და მისი ამოგდება დასანანია.

მ. 24, 26. აჰა უდაბნოსა არს C ———.
შდრ. ἰδοὺ ἐν τῇ ἐρήμῳ ἐστίν.

შეიძლება განმეორებას მოერიდნენ, რადგან ქვემოთ არის: აჰა ესერა საუხჯეთა შინა არს. ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივად (თუ გამოტოვებაა) მეორეს ტოვებენ ხოლმე. მაგრამ ამით არ გამართლდება დაკლება: ორჯერ იმიტომაა, რომ ხაზგასმულია მომდევნო სიტყვები (ბერძნული ἰδοὺ ქართულად ასე გადმოაქვთ: აჰა; აჰა ესერა; აჰა ეგერა; ესერა; ეგერა).

მ. 25, 9. არამედ უფროჲსღა წარვედით ———C.
სავაჭროდ და იყიდეთ
შდრ. πορεύεσθε μᾶλλον πρὸς τοὺς πωλοῦντας.

ჩვენი უფროჲსღა (μᾶλλον) არის: უკეთესია, უმჯობესია და ტექსტის აზრის გადმოცემისას ის არის წინადადების სული და გული, ნამდვილი გაჭირვების ტალკვესი. ტექსტის შინაარსი ასეთია: 5 ბრძენი და 5 სულელი ქალიშვილი ღამით ელოდნენ სიძის მოსვლას. სულელებს თან არ მოეტანათ ზეთი და სანთლებს ვერ ანთებდნენ. უთხრეს მათ ბრძენ ქალიშვილებს: მოგვეცით (გაგვინაწილეთ) ჩვენ ზეთიო. მათ მიუგეს: ვერა, ვაითუ არ გვეყოს ჩვენ და თქვენ, უკეთესია (უმჯობესია), წადით დუქანში და იყიდეთ თქვენთვისო. აქ ამ უფროჲსღა-ს გარეშე ბევრი რამ დააკლდება ამ მშვენიერ წინადადებას[1].

კარგი შესატყვისები აქვთ სხვა ენებსაც: лучше, lieber, rather. ეს სიტყვა არ მოეპოვება სომხურს და, როგორც თავშივეა აღნიშნული, ჩვენს CՇԿ რედაქციებს.

მ. 25, 13. არა იცით დღე იგი, არცა ჟამი,
რომელსა შინა ძე კაცისაჲ მოვიდეს ———C.
შდრ. ἐν ᾗ ὁ υἱὸς τοῦ ἀνθρώπον ἔρχεται.

მაგრამ ეს ადგილი ზოგან თვით ბერძნულშიც არ არის. სხვა ენებზეც ასეთივე სიჭრელეა.

მ. 25, 29. მო-ვე-ელის მისგან. (+) და ამას რაჲ
იტყოდა, ჴმა-ყო: რომელსა ასხენ ყურნი
სმენად, ისმინენ. ———C.

ასეთი წაკითხვა ბერძნულშიც ყოფილა. ზოგ გამოცემას იგი მოჰყავს სქოლიოში: ταῦτα λέγων ἐφώνει· ὁ ἔχων ὦτα ἀκούειν ἀκουέτω.

ქართულში აქაც აისახა ეს ორგვარი წაკითხვა. სხვა ენათაგან იგი არც სომხურს, არც რუსულს, არც გერმანულს და არც ინგლისურს არ გააჩნიათ.

მ. 26, 3. მაშინ შეკრბეს მღდელთ-მოძღუარნი იგი და
მწიგნობარნი ———C.

შდრ. ...καὶ οἱ γραμματεῖς. მაგრამ ეს ბერძნულშიც არ მოიპოვება ყველგან. სხვა ენების თარგმანებშიც ასეთი სიჭრელეა.

---

[1] სახარების ამ მოტივზე აქვს დაწერილი გ. ტაბიძეს მშვენიერი ლექსი „ათი ქალწული" (გ. ტაბიძე, ლექსები, 1927, გვ. 234), რომელშიც მძაფრად იგრძნობა 5 დაგვიანებული ქალწულის ტრაგედია.

მ. 26, 4. რაჲთა იესუ ზაკუვით
შეიპყრან და მოკლან C ———.

შდრ. ...καὶ ἀποκτείνωσιν. სხვაგანაც ყველგანაა.

მ. 27, 2. მისცეს იგი პონტიელსა პილატეს მთავარსა ———C.

შდრ. ...ποντίῳ Πιλάτῳ τῷ ἡγεμόνι.

პონტიელი ბერძნულშიც არ არის ყველგან. სხვა ენების თარგმანებში, სადაც ხელი მიგვიწვდება, ყველგანაა.

მ. 27, 41. ... მოხუცებულთა და ფარისეველთა ———C.

ფარისეველთა ზოგან ბერძნულშიც ყოფილა (ზოგი გამოცემის სქოლიოშია მითითებული). ამ ტიპის ხელნაწერიდან თარგმნის გიორგი. სხვა ენათაგან იგი მოეპოვება რუსულს, არა აქვს სომხურსა და სხვებს. ამ ჯგუფს მიეკედლება CC და Կ.

მრ. 1, 32. მეყსეულად დაუტევა იგი ———C.
მკურვალებამან მან

ბერძნულში ზოგან არის შესატყვისი εὐθέως, ზოგან — არა. ასეთ შემთხვევაში გიორგი, როგორც ბევრგან ვნახეთ, არ გამოტოვებს ხოლმე სადავო სიტყვას (თუ სიტყვებს) და გადმოაქვს ქართულში. მეყსეულად ბევრ სხვა ადგილასაც გვაქვს წარმოდგენილი ჩვენს ხელნაწერებში სრულად და (პარალელურად) ნაკლულად (მაგ.: მრ. 2, 2, 8; 5, 40; 8, 10; 14, 43; ი. 5, 9), მაგრამ ამაზე ახლა ცალკე ვერ შევჩერდებით (ამის შესახებ ამ თავის დასაწყისშიც ვამბობდით: გვ. 175).

მრ. 3, 8. იერუსალჱმით და იდუმიაჲთ C ———.

ეს სიტყვა არ მოიპოვება ზოგან ბერძნულშიც. სხვა ენებიდან ყველას აქვს, გარდა სომხურისა (ს. = C).

მრ. 3, 29. არა აქუს მიტევებაჲ უკუნისამდე C ———.

ეს უკუნისამდე (εἰς τὸν αἰῶνα) ბერძნულშიც არ ყოფილა ყველგან. სხვა თარგმანებში კი არის (*յաւիտեան*, вовек, in Ewigkeit...).

მრ. 4, 12. და მიეტეოს მათ ცოდვაჲ მათი ———C.

შდრ. τὰ ἁμαρτήματα.

მართალია, ბერძნულში მრავლობითია, ქართულში კი — მხოლობითი; ისიც მართალია, რომ ქართულში ამ ცოდვა-ს მსაზღვრელი ახლავს (ცოდვაჲ მათი), რომელიც ბერძნულში არ არის, მაგრამ მთავარი მაინც სხვაა: ბერძნულ გამოცემებში ბევრგან სულ არ მოიპოვება ეს სიტყვები, სხვა თარგმანებში კი ყველგან გვაქვს.

მრ. 6, 16. იგი აღდგომილ არს მკუდრეთით ———C.

შდრ. αὐτὸς ἠγέρθη ἐκ νεκρῶν, *'ի մեռելոց*, из мертвых, von den Toten... ეს კარგი, მაგრამ თვით ბერძნულში ზოგან არ ყოფილა იგი. ქართულის ორი ვარიანტი სწორედ იქიდან მოდის. ვინც პირველად დააკლო ეს სიტყვა, ალბათ, იმის გამო, რომ აღდგომილ არს (ჩვეულებრივ) იგულისხმება მკუდრეთით, რადგან აღდგა, ნათქვამია მკვდარ კაცზე (იოვანე ნათლისმცემელზე—იგი თვით ჰეროდემ მოაკვლევინა). გიორგი კი აქაც და ყველგან სიზუსტეს იცავს: რაც ბერძნულშია და საჭიროა (არ ბღალავს ქართულის ბუნებრივ თვისებებს), გადმოაქვს, მას არ გამოტოვებს.

მრ. 6, 23. (+) დაეფუცა მას, ვითარმედ:
რაჲცა მთხოო, მიგცე შენ C ———.

DEFG-ს ეს ადგილი არ მოეპოვება, ალბათ, იმის გამო, რომ მუხლის ბოლო სიტყვები „მიგცე შენ“ წინა (22-ე) მუხლის ბოლოსაც იკითხება (და მიგცე შენ), და როცა გადამწერმა ეს უკანასკნელი უკვე დაწერილი დაინახა, თვალი გადაუცურდა, ისინი 23-ე მუხლის იმავე სიტყვებად ჩათვალა და დანარჩენი დაუმატა (ვიდრე ზოგადმდე სამეუფოჲსა ჩემისა). ბერძნულში (და სხვებში), რა თქმა უნდა, ტექსტი მთლიანად (დაუკლებლად) არის წარმოდგენილი, და გიორგისაც ასე გადმოაქვს.

მრ. 7, 6. თქუენ ორგულთათჳს ვითარცა წერილ
არს C ———.

შდრ. ...ὡς γέγραπται, *որպէս ասաց*, как написано, wie geschrieben ist.

მრ. 7, 8. (მოძღურებაჲ კაცთაჲ) (+) განრცხაჲ
სასუმლებისაჲ და სტამნებისაჲ, და სხუასა
ესევითარსა მრავალსა ჰყოფთ ———C.

შდრ. βαπτισμοὺς ξεστῶν καὶ ποτηρίων, καὶ ἄλλα παρόμοια τοιαῦτα πολλὰ ποιεῖτε.

მაგრამ ეს არის ბერძნული ტექსტის ზოგ გამოცემაში, ზოგში კი ეს სიტყვები ტექსტში არაა შეტანილი, სქოლიოშია მოთავსებული. ეს „მეტი“ ადგილი მოეპოვებათ სომხურ, რუსულ, გერმანულ და სხვა თარგმანებსაც. გიორგის ორნაირი წაკითხვიდან, როგორც წესი, უფრო სრული გადმოაქვს.

მრ. 9, 16. და ჰკითხა მწიგნობართა მათ ———C.

შდრ. καὶ ἐπηρώτησεν τοὺς γραμματεῖς.

მაგრამ თვით ბერძნულში ზოგან ამის ნაცვლად არის αὐτούς, როგორც ჩვენს CDEFG ხელნაწერებში.

მრ. 9, 24. თქუა ცრემლით ———C.

შდრ. μετὰ δακρύων ἔλεγεν.

მაგრამ ეს სიტყვა თვით ბერძნულში ყველგან არაა, ზოგან მხოლოდ სქოლიოშია ჩატანილი—ამ ადგილას უმატებენო. სამაგიეროდ იგი სხვა ენების თარგმანებში ყველგან გვაქვს, მაგალითად: cum lacrymis, со слезами, mit Tränen, with tears; არ არის მხოლოდ სომხურში: *եւ ասէ. հաւատամ*. ასეც იყო მოსალოდნელი: სომხური და DE, როგორც ბევრჯერ აღვნიშნავს, კრიტიკულ მომენტებში ერთად დგანან და ერთი გზით მოემართებიან.

მრ. 9, 38. ვაყენებდით მას, რამეთუ არა
შეგვდგს ჩუენ ———C.

შდრ. ὅτι οὐκ ἠκολούθει ἡμῖν.

დაკლების მიზეზი ნათელია: ცოტა ზემოთ არის იგივე წინადადება: „რომელი ჩუენ არა შეგვდგს“. ამიტომ:

a) ან არ დაინახეს საჭიროდ, იქვე გაემეორებინათ იგი;

b) ანდა თვალი გადაუცურდათ, როცა უკვე დაწერილი დაინახეს იგი (I). ასეთი რამ ხშირად ხდება. გიორგიმ, რა თქმა უნდა, აღადგინა შემთხვევით დაკლებული ადგილი.

მრ. 9, 45, 47. გეჰენიასა, ცეცხლსა მას
უშრეტსა ———C.

შდრ. εἰς τὴν γέενναν, εἰς τὸ πῦρ τὸ ἄσβεστον (45); εἰς τὴν γέενναν τοῦ πυρός (47).

ბერძნულში ყველგან არ მოიპოვება ეს ადგილები (ზოგან არის, ზოგან—არა). ქართულშიც ეს სურათია ასახული. ეს დამატებანი სხვა ენების თარგმანებშიც არის, მხოლოდ სომხურს არ გააჩნია II შემთხვევაში (9, 45=სომხ. 9, 46).

მრ. 9, 49. და ყოველი შესაწირავი
მარილითა დაიმარილოს ———C.

შდრ. καὶ πᾶσα θυσία ἁλὶ ἁλισθήσεται.

არც ეს ადგილია ყველგან ბერძნულში. აქედანაა ქართულშიც ორი ვარიანტი, ნაკლული და სრული. ეს უკანასკნელი უფრო გავრცელებულია სხვა ენების თარგმანებში.

მრ. 11, 28 ...ჴელმწიფებაჲ ესე, რაჲთა ამას
იქმოდი ———C.

შდრ. ἵνα ταῦτα ποιῇς, делать это, so zu handeln.

აკლია მხოლოდ CDE (FG)-სა და სომხურს (ეს იმგვარი ადგილებია, რომლებშიც ეფთვიმე Ꞓ-ს ეყრდნობა, მაგრამ გიორგი არ ეთანხმება მათ, ასწორებს და ცალკე მიდის).

მრ. 11, 32. ვითარმედ ჭეშმარიტად
წინაწარმეტყუელი იყო C ———.

შდრ. ὄντως ὅτι προφήτης ἦν.

ბერძნულში, როგორც ჩანს, ყველგან არ ყოფილა, სხვაგან კი გვაქვს: точно, wirklich, indeed, არა აქვს ისევ და ისევ სომხურს.

მრ. 12, 27. არამედ ღმერთი ცხოველთაჲ ———C.

შდრ. ἀλλὰ θεός ζώντων.

ეს (მეორე) ღმერთი ბერძნულშიც არ ყოფილა ზოგან. სხვა ენებშიც ასეთი სიჭრელეა. სომხურს, რომელიც რედაქციულად DE-ს (Ꞓ-ს) მოძმეა, რა თქმა უნდა, არ მოეპოვება იგი.

მრ. 12, 29. პირველი ყოველთა მცნებაჲ ესე არს ———C.

შდრ. πρώτη πασῶν τῶν ἐντολῶν.

მცნებაჲ არ არის ზოგან ბერძნულშიც. დაკლება ძნელი მისახვედრი არ არის: წინა (28-ე) მუხლის ბოლო სიტყვებია (კითხვაა): რომელი არს ყოველთა პირველი მცნებაჲ. პასუხში იგი აღარ გაიმეორეს ცნობილი უხერხულობის გამო.

სხვა ენების თარგმანებში მცნების ბადალი სიტყვები გვაქვს, იგი არ მოეპოვება კვლავ სომხურს (ს.=Ꞓ).

ეგევე მცნებაჲ სრულიად ასეთ პირობებში გვხვდება აგრეთვე შემდგომს (30-ე) მუხლშიც, ამიტომ მასზე ცალკე არას ვიტყვით (ზემოთ თქმული მასაც ეხება).

მრ. 12, 33. შეყუარებად იგი ყოვლითა
გულითა და C ———.

შდრ. ...ἐξ ὅλης τῆς καρδίας.

ბერძნულში ეს ადგილი ყველგან არის. გვაქვს იგი აგრეთვე სხვა ენების თარგმანებშიც. DE-ს (და აქედან FG-ს) შემთხვევით უნდა აკლდეს იგი ისე, როგორც შემთხვევით აკლია C-ს „ყოვლითა სულითა“. ასეთი დაკლება უფრო ხშირია, როცა რამდენიმე მსგავსად შეერთებული სინტაგმაა ერთად თავმოყრილი. ჩვენს შემთხვევაში 4 ასეთი ერთეულია: 1. ყოვლითა გულითა, 2. ყოვლითა სულითა, 3. ყოვლითა ძალითა და 4. ყოვლითა გულისხმის-ყოფითა. ერთს ერთი (ყოვლითა გულითა) გამორჩა, მეორეს — მეორე (ყოვლითა სულითა).

მრ. 13, 9. ხოლო ეკრძალენით თქუენ თავთა
თქუენთა, რამეთუ მიგცემდენ თქუენ... ———C.

შდრ. βλέπετε δὲ ὑμεῖς ἑαυτούς· παραδώσουσιν ὑμᾶς...

ბერძნულში ყველგანაა ოდნავ შეცვლილი სახით, მაგრამ მაინც არის. აქვთ ის სხვა ენების თარგმანებსაც (но вы смотрите за собою, sehet euch indess wohl vor...). სომხური აქაც სოლიდარობას უცხადებს მოძმე DE-ს და სადავო ადგილს არ წარმოგვიდგენს.

მრ. 13, 11. ნუ ჰზრუნავთ, ნუცა იწურთით,
რასა იტყოდით ———C.

შდრ. μηδὲ μελετᾶτε.

მაგრამ ეს „μελετᾶτε" (რომელიც ჩვენს „იწურთით"-ს ნიშნავს — ნუ ფიქრობთ, ნუ ზრუნავთო) ბერძნულშიც არ არის ყველგან: ზოგან ტექსტშია შეტანილი, ზოგან — სქოლიოში. სხვა ენებში ზოგან გადმოუღიათ (მაგ., რუსულში), ზოგან—არა. გერმანულ თარგმანში ის არ მოიპოვება, მაგრამ სქოლიოშია მოყვანილი (denket auch nicht darüber nach) და ახლავს შენიშვნა: setzt hier das Griechische zu (ბერძნული უმატებსო). სომხური რაღას შვრება? მას ამ შემთხვევაში გადმოაქვს სადავო წაკითხვა და ამით სცილდება DE-ს.

მრ. 13, 14. ...მოოჳრებისაჲ. თქუმული დანიელ
წინაწარმეტყუელისაჲ ———C.

შდრ. τὸ ῥηθὲν ὑπὸ Δανιὴλ τοῦ προφήτου.

ზოგ ბერძნულ გამოცემას აღარ მოჰყავს ეს სიტყვები, სხვა ენებზეც ზოგს აქვს (რუსულს, ინგლისურს), ზოგს — არა, მათ შორის სომხურსაც. აქ ისევ შეიყარნენ სომხურისა და DE-ს გზები.

მრ. 13, 26. მომავალი ღრუბელთა ზედა C ———.

შდრ. ἐν νεφέλαις (ვარ. ἐπὶ τῶν νεφελῶν).

ბერძნულში ყველგანაა, მოიპოვება სხვა ენების თარგმანებში, მათ შორის სომხურშიც. არ არის მხოლოდ ჩვენს CDEFG ხელნაწერებში. გიორგიმ, როგორც საჭირო იყო, ჩაუმატა იგი თავის ადგილას.

მრ. 14, 22. მიიღეთ და ჭამეთ, რამეთუ ———C.

შდრ. λάβετε, φάγετε.

„და ჭამეთ" ბერძნულში ზოგან არის, ზოგან—არა. სხვებშიც ასეთივე სურათია. არა აქვს იგი სომხურს, რითაც კვლავ გვერდში უდგება DE-ს

მრ. 14, 27. და განიბნინენ ცხოვარნი
სამწყსოჲსა მისისანი ———C.

არც ბერძნულში, არც სხვა ენების თარგმანებში ეს სიტყვები არ მოიპოვება. ქართულში (იქნებ სადმე სხვაგანაც) გადმოტანილი უნდა იყოს (ზეპირად) მათეს სახარებიდან (26, 31), სადაც ეგევე ადგილია მოცემული. იქ კი სადავო სიტყვები ყველგან (ყველა ენაზე) არის წარმოდგენილი: განიბნინენ ცხოვარნი სამწყსოჲსა მისისანი, ...τὰ πρόβατα τῆς ποίμνης, овцы стада, die Schafe der Herde. დასამახსოვრებელი ადგილების ასე ზეპირად ცოდნა და შესაფერის (მსგავს) ადგილზე გადმოტანა არც თუ ისე იშვიათად გვხვდება.

მრ. 14, 43. ერი მრავალი ———C.

შდრ. ὄχλος πολύς, რომელიც ბერძნულ გამოცემებში ზოგან არის, ზოგან კი — არა. სხვაგან ყველგანაა, არ მოიპოვება მხოლოდ სომხურს. აქაც სომხური და (C)DE(FG) კვლავ და კვლავ ერთად არიან.

მრ. 14, 45. და მეყსეულად მოვიდა
და მოუჴდა მას ——C.

შდრ. καὶ ἐλθὼν, εὐθὺς προσελθὼν αὐτῷ. სხვებსაც ორ-ორი ზმნა აქვთ ნახმარი: и, придя, тотчас подошел к нему, sobald er ankam, ging er auf ihn zu. არა აქვს მხოლოდ სომხურს (ს.=DE).

მრ. 14, 65. იწყეს ... ნერწყუვად მისა
და დაბურვად პირსა მისსა ——.

შდრ. ...ἐμπτύειν αὐτῷ, καὶ περικαλύπτειν αὐτοῦ τὸ πρόσωπον.

დაბურვად ზოგან (იშვიათად) არც ბერძნულში ყოფილა. უიმისოდ კი ტექსტის აზრი იცვლება: პირზე კი არ აფურთხებდნენ, როგორც DEFG-ს მიხედვით ჩანს (იწყეს ვიეთმე ნერწყუვად პირსა მისსა), აფურთხებდნენ საერთოდ (სადაც მოხვდებოდათ), პირზე კი ფიჩვი ჩამოაფარეს (C), ცემა დაუწყეს და ეუბნებოდნენ: აბა გვითხარი, ვინ დაგარტყაო (ვინ არის, რომელმაც დაგარტყაო). პირი რომ არ დაებურათ, ისე ამ კითხვას რა აზრი ექნებოდა? ღია თვალებით ხომ ადვილად დაინახავდა, თუ ვინ სცემდა. გიორგის თარგმანი უფრო ზუსტია.

მრ. 14, 70. და რამეთუ გალილეველ ხარ,
და სიტყუაჲცა შენი გამოგაჩინებს ——C.

შდრ. καὶ ἡ λαλιά σου ὁμοιάζει.

მაგრამ ეს ადგილი თვით ბერძნულშიც და სხვა ენების თარგმანებშიც ზოგან არის, ზოგან კი — არა. (მაგ.: наречие твое сходно). გერმანულში იგი არ შეუტანიათ ტექსტში, სქოლიოში კი შენიშნულია: „deine Sprache verrät dich, liest man hier im Griechischen“. სომხურიც ამ შემთხვევაში ურთავს სადავო სიტყვებს და ისევ სცილდება DE-ს.

ეს სიჭრელე შეიძლება იმით აიხსნას, რომ მათეს თავში (26, 73) ეს სადავო ადგილი ბერძნულში (და იქიდან სხვებში) ყველგან გვაქვს. სწორედ იქიდან არის აქ გადმოტანილი ეს მეტად საინტერესო დეტალი: პეტრეს ეუბნებიან: კილოზე (ენაზე) გეტყობა, რომ შენც იმათგანი ხარ და ნამდვილად გალილეველი ხარო. საქმეში ჩახედულმა გადამწერებმა (და რედაქტორებმა) არ დაიზარეს და ეს მოხდენილი ნათქვამი აქაც გადმოიტანეს.

მრ. 14, 72. პირველ ქათმისა ჴმობადმდე მეორედ ——,

შდრ. πρὶν ἀλέκτορα δὶς φωνῆσαι.

„მეორედ“ (δὶς) ყველგან არაა თვით ბერძნულში, სხვაგან კი გვაქვს, მათ შორის სომხურშიც.

მრ. 15, 39. რამეთუ ესრეთ ღაღატ-ყო ——C.

შდრ. ὅτι οὕτως ἐξέπνευσεν (|| κράξας).

მაგრამ ეს სიტყვა ბერძნულშიც ზოგან სხვა სახითაა წარმოდგენილი, სხვა ენებშიც სიჭრელეა (ზოგან არის, ზოგან — არა), ქართულშიც, როგორც ვხედავთ, ასეა. გიორგი აქაც ზუსტად ბერძნულ სრულ ვერსიას მისდევს.

მრ. 15, 41. შეუდგეს მას და ჰმსახურებდეს ——C.

შდრ. καὶ διηκόνουν αὐτῷ.

ეს სიტყვაც ყველგან არა ჩანს ბერძნულში (აქა-იქ აკლია), სხვაგან კი ყველგანაა (*պաշտէին*, служили, bedient hatten...).

ლ. 1, 79. ბნელსა შინა ——C.

შდრ. ἐν σκότει.

გიორგის უყვარს თანდებულების დართვა, როცა ქართული რედაქციები უთანდებულო ფორმებს არჩევენ. ეს საერთოდ. ხოლო როცა ბერძნულში უკვე

გვაქვს თანდებულიანი სახელი, ის თითქმის ყოველთვის თანდებულითვე გადმოაქვს. ეს გიორგის ენის ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურებაა.

არსებითად ასეთივეა აგრეთვე ეს მაგალითიც:

ლ. 2, 9. ანგელოზი უფლისაჲ დაადგრა მათ ზედა ———C.

ზედა (ან რომელიმე სხვა თანდებული) არც ბერძნულშია (ἐπέστη αὐτοῖς) და არც სხვაგან. გიორგი კი ურთავს. ჯერ-ერთი, დაადგრა ერთპირიანად ესმით უკვე, ამიტომ მასთან თანდებულიც არის საჭირო; მეორე: გიორგი თანდებულიან ფორმებს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უფრო მეტად ეტანება.

ლ. 2, 11. იშვა დღეს თქუენდა მაცხოვარი C ———.

შდრ. σήμερον, *այսօր*, ныне, heute. საჭირო სიტყვა ყველგანაა, მხოლოდ ჩვენს DEFG-ს აკლიათ.

ლ. 2, 18. და ყოველთა, რომელთა ესმოდა, უკჳრდა C ———.

შდრ. καὶ πάντες, οἱ ἀκούσαντες.

მაგრამ ასეთი კონსტრუქციის შემთხვევებში ქართულში ხშირია ყოველთა-ს გამოტოვება: „ყოველთა რომელთა ესმოდა“ და „რომელთა ესმოდა“ არსებითად ერთნაირი ძალისაა და ერთნაირად იხმარება.

ლ. 2, 34. ბერძნული ἰδού-ს გადმოსაცემად DFG ხელნაწერები ჩვეულებრივ აჰა-ს სჯერდებიან, EHIK კი აჰა ესერა-ს ხმარობენ, ერთიც შეიძლება და მეორეც. ხან შებრუნებითაც არის. ამიტომ ამაზე დაყრდნობით რაიმე რედაქციულ თავისებურებებზე ლაპარაკი ძნელია და ქვევით აღარ შევეხებით.

ლ. 3, 3. მოჰელიდა ყოველსა მას გარემო სოფლებსა C ———.

შდრ. καὶ ἦλθεν εἰς πᾶσαν τὴν περίχωρον τοῦ Ἰορδάνου.

περίχωρος არის სწორედ „გარემო სოფლები“ და არა მხოლოდ „სოფლები“ (თუ „სოფელი“). კარგადაა თარგმნილი რუსულსა (по всей окрестной стране) და გერმანულში (in der ganzen Umgegend).

ლ. 3, 12. მოძღუარ, ჩუენ რაჲ-მე ვყოთ ———C.

სხვებში მხოლოდ რაჲ იკითხება. გიორგის რაჲ-მე ყოველმხრივ სრულყოფილია: მასწავლებელო, ჩვენ რაღა ვქნათო. აქ გათვალისწინებულია წინა კონტექსტის მთავარი აზრი. დავძენთ აქვე, რომ ცოტა წინ (3, 10) მე ნაწილაკიანი ფორმა ყველა ქართულ ხელნაწერს აქვს: და რაჲ-მე ვყოთ? გიორგი უფრო თანამიმდევარია და მეორეგანაც ასევე რაჲ-მე-ს იყენებს.

ლ. 3, 19. ცოლისა ფილიპეს ძმისა მისისა ———C.

შდრ. τῆς γυναικὸς Φιλίππου τοῦ ἀδελφοῦ αὐτοῦ.

აქ დაზუსტებულია, ჰეროდია (ჰეროდეს) რომელი ძმის ცოლი იყო (ფილიპეს ცოლი იყოო). ეს კარგი, მაგრამ სადავო სიტყვა „ფილიპეს“ ბერძნულშიც არ არის ყველგან და რა გასაკვირია, ქართულშიც არ აღმოჩნდეს ზოგან. გიორგი აქაც, როგორც ყველგან, უფრო სრულ ვარიანტს ირჩევს. სომხური ამ შემთხვევაშიც არ წარმოგვიდგენს სადავო სახელს და DE-ს უდგება გვერდში.

ლ. 4, 8. ჰრქუა მას: წარვედ მართლუკუნ
ჩემგან, ეშმაკო: წერილ არს ... ———C.

შდრ. ὕπαγε ὀπίσω μου, σατανᾶ· γέγραπται γάρ...

მაგრამ ეს სიტყვები ბერძნულშიც და სხვა ენების თარგმანებშიც ზოგან არის (მაგ., რუსულში: отойди от меня, сатана), ზოგან კი—არა. არ არის, კერძოდ, როგორც მოსალოდნელი იყო, სომხურში (ს.=DE).

ლ. 7, 33. არცა ჭამდა პურსა, არცა
სუმიდა ღჳნოსა ———C.

შდრ. μὴ ἐσθίων ἄρτον μήτε πίνων οἶνον.

პურსა და ღჳნოსა ბერძნულში ყველგან არ ყოფილა. ქართულშიც ეს ორი ვარიანტი გვაქვს. სხვებში ყველგანაა. გიორგი, რა თქმა უნდა, ორი ვარიანტიდან თითქმის ყოველთვის სრულს გვთავაზობს. ეს გასაგებიცაა: სრულად წარმოდგენილ ტექსტში შინაარსი უფრო ადვილი გასაგებია, ნაკლულში — ძნელი.

ლ. 8, 24. მოძღუარ, მოძღუარ, წარვწყმდებით ———C.

შდრ. ἐπιστάτα, ἐπιστάτα.

სხვაგანაც ყველგან ორ-ორია, გერმანულში კი — ერთი: Lehrer, მაგრამ სქოლიოში შენიშნულია, რომ ბერძნულში Lehrer, Lehrer არისო. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ გადამწერთ შეცდომა ჰგონებიათ და, მათი აზრით, გამოუსწორებიათ.

ლ. 8, 40. რამეთუ ყოველნივე მოელოდეს მას ———C.

შდრ. γὰρ πάντες προσδοκῶντες αὐτόν.

სხვა ენებზედაც ყველგან გვაქვს. ქართულში მისი გამოტოვება შეიძლება იმით აიხსნას, რომ ამას წინ უსწრებს „შეიწყნარა იგი ერმან მან, რამეთუ მოელოდეს მასო“. ერს კი ზმნას ხშირად მრავლობითში უწყობენ. მაგრამ ეს არ ამართლებს ამ საჭირო სიტყვის გამოტოვებას.

ლ. 8, 48. ნუ გეშინინ, ასულო ———C.

შდრ. θάρσει, θύγατερ.

ეს სიტყვა ზოგან ბერძნულშიც არ არის. აქედან მომდინარეობს ქართული ორი ვარიანტი. სხვა ენებზე არის შესატყვისი ფორმა, მათ შორის, სომხურშიც. მარტოა მხოლოდ CDEFG.

ლ. 9, 3. ნურაჲ გაქუნ გზასა ზედა, ნუცა კუერთხი ———C.

შდრ. μήτε ῥάβδον.

ეს კუერთხი ყველგანაა, გვაკლია მხოლოდ CCԿ რედაქციებში. შეიძლება ჩამოთვლისას გამორჩათ, მაგრამ მგზავრობისას ის ყველაზე საჭირო ნივთი რომ არის?

ლ. 9, 7. ყოველნი იგი საქმენი ———C.

შდრ. τὰ γινόμενα (ὑπ' αὐτοῦ) πάντα.

ქართულის ნაკლული რედაქციებიდანაც კარგად ჩანს, რომ საქმე მრავლობითში უნდა ყოფილიყო: ესმა ჰეროდეს... საქმჱ იგი, მის მიერ რომელნი იქმნებოდეს (DEFG). C-ს უწერია: ...საქმჱ იგი, რომელ მის მიერ იქმნებოდეს. რომელ კი არის მხოლობითში, მაგრამ ზმნა მაინც მრავლობითშია; რომელ აქ არის დღევანდელი რომ: მის მიერ რომ იქმნებოდნენ. ამიტომ გიორგის ყოველნი იგი საქმენი ყოველმხრივ გამართული და გამართლებულია. შდრ. რუს.: услышал... о всем, что делал Иисус; делал მოქმედებითია, ვნებითი რომ ყოფილიყო (როგორც ქართულშია), იგი მრავლობითში გადადგებოდა (делались). ყოველნი გერმანულშიც არის: von Allem.

ლ. 9, 23. და იტყოდა ყოველთა მიმართ ———C.

შდრ. ἔλεγεν δὲ πρὸς πάντας.

ეს კი დედნისადმი მეტისმეტი და გაუმართლებელი ერთგულებაა: როგორც უნდა იყოს, πρός თანდებული უნდა გადმოეტანოთ. რა თქმა უნდა, CDEFG ხელნაწერების წაკითხვა „და ეტყოდა ყოველთა“ ნამდვილი ქართული ბუნებისაა და ყოველმხრივ მოსაწონია. მაგრამ მაშინ თარგმანში πρός-ის შესატყვისი რომ

ალარ იქნებოდა? საბედნიეროდ, გიორგი სხვაგან ასეთ შემთხვევებში სწორედ ქართულისათვის ბუნებრივ ფორმებს არჩევს და ისინი შეაქვს თავის რედაქციაში.

ლ. 9, 41. ჵ ნათესავი ურწმუნოჲ და გულარძნილი ———C.

შდრ. ὦ γενεὰ ἄπιστος καὶ διεστραμμένη.

ეს ადგილი ადრე მათეს თავში გვხვდება (17, 17). ბერძნულში და სხვაგანაც ყველგან არის წარმოდგენილი ურწმუნოჲ, არა გვაქვს CCЧ რედაქციებში.

ლ. 10, 22. და მიექცა მოწაფეთა და ჰრქუა: ყოველივე მომეცა მე ———C.

შდრ. καὶ στραφεὶς πρὸς τοὺς μαθητὰς εἶπεν.

ხაზგასმული სიტყვები არა აქვს არც ზოგ ბერძნულ გამოცემას (ზოგში სქოლიოშია ჩატანილი) და არც სხვა ენების თარგმანებს, მათ შორის სომხურსაც (ს.=DE), მოეპოვება რუსულს. შეიძლება ეს დაკლება გამოწვეული იყოს იმით, რომ შემდგომი (23-ე) მუხლი იმავე სიტყვებით იწყება. შდრ. 22-ე: და მიექცა მოწაფეთა და ჰრქუა; 23-ე: და მიექცა მოწაფეთა მისთა თჳსაგან და ჰრქუა. გიორგის, უეჭველია, ხელთ ჰქონდა უფრო სრული დედანი, რომელთანაც აჯერებდა იგი მის მიერ შექმნილ რედაქციას.

ლ. 11, 2. იყავნ ნებაჲ შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა ———C.

შდრ. ὡς ἐν οὐρανῷ καὶ ἐπὶ τῆς γῆς.

ხაზგასმული ადგილი ზოგ ბერძნულ გამოცემაში არ მოიპოვება, ზოგში შეცვლილია მცირე სხვაობით, ზოგს კი სრულად აქვს წარმოდგენილი. ეს სიჭრელე ჩანს სხვა ენების თარგმანებშიც: მოეპოვებათ რუსულს, ინგლისურს; არ გააჩნიათ არც სომხურს (ასეც იყო მოსალოდნელი) და არც გერმანულს.

ეგევე ადგილი ადრე მათეს სახარებაშიც არის მოცემული (მ. 6, 10), მაგრამ იქ იგი ყველას უკლებლად და სრულად აქვს დაცული.

აქ მოყვანილი ლოცვის გაგრძელებაა შემდეგი ადგილიც:

ლ. 11, 4. და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიჴსნენ ჩუენ ბოროტისაგან. ———C.

შდრ. ... ἀλλὰ ῥῦσαι ἡμᾶς ἀπὸ τοῦ πονηροῦ.

არც ეს სიტყვებია ზოგ ბერძნულ გამოცემაში, აგრეთვე სხვა თარგმანებშიც სწორედ იმავე სახით, როგორც ზემორე მუხლში იყო აღნიშნული.

ლ. 11, 26. მაშინ წარვიდის ———C.

შდრ. τότε πορεύεται.

ყველგან, ყველგან არის, აკლია მხოლოდ ჩვენს CDEFG-ს.

ლ. 11, 33. დადგის ფარულად, გინა ჴჳმირსა ქუეშე ———C.

შდრ. οὐδὲ ὑπὸ τὸν μόδιον.

ბერძნულში ეს სიტყვები ზოგან არ ყოფილა ტექსტში, ზოგან სქოლიოშია ჩატანილი, ზოგსაც აქვს იგი. აღნიშნული სიტყვები ამ შემთხვევაში სომხურს აქვს და, ამრიგად, ჩვენი CDEFG მარტო რჩება.

ლ. 11, 44. ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო ———C.

შდრ. οὐαὶ ὑμῖν, γραμματεῖς καὶ φαρισαῖοι, ὑποκριταί.

ზოგან არის ბერძნულში, ზოგან—არა. ასევე სხვა ენების თარგმანებშიც. არა აქვს იგი სომხურსაც (ს.=DE).

ლ. 12, 18. და თქუა: ესე ვყო: დავარღჳნე ———C.

შდრ. καὶ εἶπεν, τοῦτο ποιήσω· καθελῶ...

აქაც ყველგან არის დამატებული სიტყვები, აკლია მხოლოდ CDEFG ხელნაწერებს.

ლ. 12, 42. ვინ იგი სარწმუნოჲ და გონიერი ———C.

შდრ. ὁ πιστὸς οἰκονόμος ὁ φρόνιμος.

ყველგან გვაქვს, ბერძნულშიც და სხვაგანაც. ბერძნულში ზოგან გონიერს ὁ ἀγαθός (კარგი, კეთილი) ემატება, რაც სხვაგან არ გვხვდება. ამრიგად, CDEFG აქაც მარტოა.

ლ. 13, 19. და იქმნა იგი ხე დიდ ———C.

შდრ. καὶ ἐγένετο εἰς δένδρον μέγα.

μέγα ბერძნულში არ არის ზოგან. იგი არ არის აგრეთვე სომხურშიც და, ამნაირად, სომხ. და DE კვლავ ერთად არიან.

ლ. 15, 12. მამაო, მომეც მე... ———C.

შდრ. πάτερ, δός μοι.

მამაო ყველგანაა, ბერძნულშიც და სხვა ენების თარგმანებშიც, აკლია მხოლოდ ჩვენს CDEFG ხელნაწერებს. გიორგი კი კვლავ და კვლავ დაბეჯითებით მისდევს ბერძნულს და იქიდან შემოაქვს თავის რედაქციაში ახალ-ახალი სიტყვები და მთელი პასაჟები.

ლ. 17, 23. ნუ განხუალთ; ნუცა შეუდგთ ———.

შდრ. ...μηδὲ διώξητε.

ეს ყველგანაა, კარგი; მაგრამ საიდან მოდის ადიშის ნუ გრწამნ?

ლ. 17, 25. შეურაცხ-ყოფად ნათესავისა ამისგან ———C.

შდრ. ἀπὸ τῆς γενεᾶς ταύτης.

გან (ἀπό) თანდებულის გარეშე აზრი იცვლება: ნათესავის (ხალხის, მოდგმის...) შეურაცხყოფა კი არა, არამედ ნათესავისაგან (ნათესავის მიერ) სხვისი (ქრისტეს) შეურაცხყოფა. ასეთი აზრი აქვს აქ ტექსტს. გიორგი კარგად ასწორებს ძველ შეცდომას.

ლ. 18, 24. ვითარცა იხილა იგი იესუ, რამეთუ
შეწუხნა, თქუა ———C.

შდრ. περίλυπον γενόμενον.

ბერძნულში მხოლოდ ზოგან მოიპოვება, სხვა ენების თარგმანებში — ყველგან, მათ შორის, სომხურშიც. არ არის ისევ და ისევ CDEFG-ში. მაშასადამე, ქართულშიც ისეთივე სურათი გვაქვს, როგორც ბერძნულში.

ლ. 19, 39. ეტყოდეს მას და ჰრქუეს ———C.

შდრ. εἶπαν.

სხვა ქართულ რედაქციებში აქ გვაქვს მხოლოდ ერთი ეტყოდეს. გიორგის კი სჩვევია, რომ უფრო სრულად წარმოგვიდგინოს ამნაირი გამოთქმები. თუნდაც ბერძნულში ან რომელიმე სხვა წყაროში არ აღმოჩნდეს, ვთქვათ, ეს „და ჰრქუეს", თვით გიორგი დაუმატებდა მას (როგორც ჩვენს შემთხვევაში). მისთვის დამახასიათებელია: მიუგო და ჰრქუა, ეტყოდეს და ჰრქუას, მიუგოს და ჰრქუას და სხვა.

ლ. 20, 3. გკითხო თქუენ მეცა სიტყუაჲ ერთი ———C.

შდრ. ἐρωτήσω ὑμᾶς κἀγὼ λόγον (|| ἕνα λόγον).

κἀγώ ყველგანაა (არა გვაქვს მხოლოდ ჩვენს CDEFG ხელნაწერებში), ხოლო ἕνα ბერძნულში ზოგან არის და ზოგან — არა. ამ სიტყვების გარეშე ძალიან

გალარიბდებოდა ქართული. სად „მეც გკითხავ თქვენ ერთ სიტყვას“ (და მიპასუხეთ) და სად გამომშრალი და უსისხლო „გკითხავ თქუენ სიტყვას“ (და მიპასუხეთ)!

ლ. 21, 4. შესაწირავსა ამას ღმრთისასა ———C.

შდრ. εἰς τὰ δῶρα τοῦ θεοῦ.

მართალია, ეს სიტყვა ბერძნულში ზოგან არის, ზოგან კი—არა, მაგრამ სხვა ენების თარგმანებში ყველგანაა. ეს ნიშნავს, რომ ამ თარგმანებს ისეთი დედნები ჰქონდათ, რომლებშიც τοῦ θεοῦ ეწერა (ისე, ყველა შეთქმულივით ხომ არ ჩაუმატებდა?). ამათ რიცხვს მიეკუთვნება გიორგის რედაქციაც. CDE(FG) კი აქაც მარტოა.

ლ. 22, 64. და სცემდეს პირსა ———C.

შდრ. ἔτυπτον αὐτοῦ τὸ πρόσωπον.

ბერძნულში ზოგან არც პირსა გვაქვს და, რაც მთავარია, არც სცემდეს. გარდა ამისა, ჩვენს რედაქციებში ზმნებიც სხვადასხვაა: გუემდეს FG (ჰგუემდეს D) — სცემდეს HIK. მაგრამ ეს ლექსიკის სფეროს განეკუთვნება და აქ არ გვაინტერესებს.

ლ. 23, 14. არარაჲ ვპოე ბრალი კაცისა
ამის თანა C. ———

შდრ. οὐδὲν εὗρον ἐν τῷ ἀνθρώπῳ τούτῳ αἴτιον.

სხვა ქართული რედაქციები ამბობენ: ვერაფერი ვერ ვ(ი)პოვეთ (ვერაფერს ვერ ვპოულობთ) ამ კაცთანო. რა ვერაფერი? სახელდობრ რა? გიორგი უმატებს: ვერავითარი დანაშაულიო. ახლა ყველაფერი ნათელია. დავძენთ ბოლოს, ბრალი (დანაშაული) ადრე ადიშურსაც ჰქონდა (ბრალ არაჲ ვპოე კაცისა მაგის თანა). გიორგიმ ეს წაკითხვა მოიწონა და განახლებული ფორმით (მორფ. და სინტ.) გამოიყენა.

ლ. 23, 21. ჯუარს-აცუ, ჯუარს-აცუ ეგე ———C.

შდრ. σταύρου, σταύρου αὐτόν (|| σταύρωσον, σταύρωσον αὐτόν).

მეტი ეფექტის მოსახდენად ყველგან ორჯერაა განმეორებული ეს საშინელი სიტყვა: распни, распни его, an's Kreuz, an's Kreuz mit ihm, crucify him, crucify him. ერთადერთი სომხურია, რომელსაც, CDEFG ხელნაწერების მსგავსად, მხოლოდ ერთჯერ უწერია: *Ի խաչ հան զդա*. ასეც იყო მოსალოდნელი (DE = ს.).

ლ. 23, 46 ...სულსა ჩემსა. დაესე რაჲ თქუა C ———.

შდრ. τοῦτο δὲ εἰπών (|| καὶ ταῦτα εἰπών).

შესატყვისი სიტყვები ყველგანაა, აკლებს მხოლოდ DEFG.

ლ. 24, 9. და მიიქცეს საფლავით დაუთხრეს
ესე ყოველი ———C.

შდრ. ...ἀπὸ τοῦ μνημείου.

ბევრ ბერძნულ გამოცემაში არის ეს ადგილი; ზოგან (იშვიათად) არ ყოფილა, მაგრამ ბევრს მერმე შეუტანია ტექსტში. ასეთი ჭრელი სურათია სხვა ენების თარგმანებშიც. სომხურს აქაც არ მოეპოვება იგი და ისევ და ისევ DE-ს უდგება გვერდით.

ლ. 24, 50. განიყვანნა იგინი გარე ———C.

შდრ. ...ἔξω.

მაგრამ ეს ἔξω ბერძნულში ყველგან არაა. ქართულიც ამ სურათს გვიჩვენებს. და რაკი ბერძნულში ზოგან მაინც არის, გიორგის იგი უყოყმანოდ გადმოაქვს.

ი. 1, 11. თჳსთა თანა მოვიდა ———C.

შდრ. εἰς τὰ ἴδια ἦλθεν.

სხვა ენებშიც ყველგან თანდებულიანი ფორმებია (к своим, in das Seinige, unto his own...), უთანდებულო აქვს მხოლოდ ჩვენს CDEFG-ს. გიორგი, რა თქმა უნდა, εἰς (და, საერთოდ, სხვა) თანდებულს არ გამოუშვებს (თანდებულიანი ფორმებისადმი გიორგის განსაკუთრებულ მიდრეკილებასა და სიყვარულზე ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი). ჩვენი მაგალითის მსგავს შემთხვევაში დღეს მუდამ თანდებულიან ფორმებს ვიყენებთ: მოვიდა თავისიანებთან, წავიდნენ ამხანაგებთან, მეგობრებთან, მეზობლებთან და სხვა; ე. ი. დღეს გიორგის ხაზი გრძელდება.

ი. 1, 27. მოსლვად არს, რომელი პირველ
ჩემსა იყო ———C.

შდრ. ὃς ἔμπροσθέν μου γέγονεν.

ი. 1, 29. ხვალისაგან იხილა იოვანე იესუ ———C.

შდრ. ...βλέπει ὁ Ἰωάννης τὸν Ἰησοῦν.

აი აქ კარგად ჩანს, ვინ ვინ იხილა. გიორგი სულ კვალში მისდევს ბერძნულს, უფრო — მის სრულ ვარიანტებს. დავძენთ აქვე, რომ თვით ბერძნულში სადაურო სახელი ზოგან არის ტექსტში, ზოგან სქოლიოშია ჩატანილი, ხოლო ზოგან—არც იქ და არც იქ. სხვა ენებზე ორივე საკუთარი სახელია მოცემული. მხოლოდ სომხური უწევს სოლიდარობას ჩვენს CDEFG ხელნაწერებს და სადაურო სახელს აღარ წარმოგვიდგენს. თვით ქართული ხელნაწერებიდან ცალკე უნდა გამოიყოს ადიშური, რომელიც უფრო მისახვედრად თარგმნის: „ხვალისაგან ხედვიდა იესუს“. აქ იესუს ობიექტია, სუბიექტად სხვა იგულისხმება — იგი (იოვანე). სხვების „ხვალისაგან იხილა იესუ“ ბუნდოვანია: იესუ შეიძლება გავიგოთ სუბიექტადაც (იხილა იესუმ) და ობიექტადაც (იხილა—იესუ მან, იოვანემ). ყველა ამ ორჭოფობასა და გაუგებრობას სპობს დალოცვილი გიორგის ნათელი ნახელავი: იოვანემ იესუ დაინახაო (იხილაო). აქ ორიგინალიც ზუსტად არის გადმოღებული და ქართულადაც ყველაფერი ცხადია.

ი. 3, 10. მიუგო იესუ და ჰრქუა მას C ———.

შდრ. ἀπεκρίθη Ἰησοῦς καὶ εἶπεν αὐτῷ.

ეს წყვილი სიტყვა (მიუგო და ჰრქუა) ყველგან გვაქვს, გვაკლია მხოლოდ ჩვენს DEFG ხელნაწერებში.

ი. 3, 13. ძე კაცისაჲ, რომელი არს ზეცათა შინა
რომელ არს ცათა შინა C ———.

შდრ. ὁ ὢν ἐν τῷ οὐρανῷ.

ბერძნულში ყველგან არაა, ჩვენშიც ასეა. სრული C-სა და გიორგის აქვთ, ნაკლული — სხვებს.

ი. 3, 15. რომელსა ჰრწმენეს იგი,
არა წარწყმდეს, არამედ ———C.

შდრ. μὴ ἀπόληται. ἀλλ'...

მაგრამ ეს ბერძნულში ზოგან არ მოიპოვება.

ი. 3, 18. ... ძისა ღმრთისა მხოლოდ-შობილისა C ———.

შდრ. ..τοῦ μονογενοῦς υἱοῦ τοῦ θεοῦ.

ეს მხოლოდ-შობილი ყველგანაა, ბერძნულშიც და სხვა ენების თარგმანებშიც, აკლია მხოლოდ ჩვენს DEFG-ს.

ი. 3, 23. და ნათელს-იღებდეს მისგან ———C.

ზოგ ბერძნულ გამოცემაში (სქოლიოში) ემატება πρὸς αὐτόν, ჩვეულებრივ კი არა გვაქვს არც ბერძნულში და არც სხვაგან. ეს კონკრეტიზმი ფრიად დამახასიათებელია გიორგის თარგმანებისათვის.

ი. 3, 29. ესე უკუჲ სიხარული ჩემი აღსრულებულ არს ———.

შდრ. αὕτη οὖν ἡ χαρὰ ἡ ἐμὴ πεπλήρωται.

ადიში ბერძნულს მისდევს სიტყვასიტყვით (აწ ესე სიხარული, რომელ ჩემი არს, აღსრულებულ არს). ეს, რა თქმა უნდა, კარგი თარგმანი არაა. გარდა ამისა, οὖν-ის შესატყვისად აქ (სხვაგანაც) არა უკუე, არამედ აწ გვაქვს.

ი. 3, 31. ხოლო ზეცით მომავალი ყოველთა
ზედა არს ———C.

შდრ. ἐπάνω πάντων ἐστίν.

ბერძნულში ზოგან არის მხოლოდ. დაკლების მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ ამავე მუხლის თავში იგივე სიტყვები იკითხება (ზეგარდამომავალი იგი ყოველთა ზედა არს). მეორედ წარმოდგენილი განმეორებად ჩათვალეს და გამოტოვეს.

ი. 4, 42. ესე არს მაცხოვარი სოფლისაჲ, ქრისტე ———C.

შდრ. ὁ σωτὴρ τοῦ κόσμου, ὁ Χριστός.

ქრისტე არ არის ყველგან არც ბერძნულში, არც სხვა ენების თარგმანებში, მათ შორის სომხურშიც (ს.=DE).

ი. 4, 43. გამოვიდა მიერ და წარვიდა გალილეად C ———.

შდრ. ...καὶ ἀπῆλθεν εἰς τὴν Γαλιλαίαν.

თვით ბერძნულში არ არის ყველგან, სხვაგანაც ასეთი სურათია. ამასვე ვხედავთ ქართულშიც. გიორგი კი აქაც სრულ წაკითხვას უჭერს მხარს და მის თარგმანს იძლევა.

ი. 5, 12. ვინ არს კაცი იგი C ———.

შდრ. τίς ἐστιν ὁ ἄνθρωπος.

ყველგანაა, ბერძნულშიც და სხვაგანაც. აკლია მხოლოდ DEFG-ს. ალბათ. იფიქრეს, კაცი თავისთავად იგულისხმებაო (ვინ არს კაცი იგი, რომელმან გრქუა შენ). მაგრამ თარგმანი თარგმანია, ასეთი სიტყვის გამოტოვება არ შეიძლება. გიორგი კვლავ] თავის საქმეს აკეთებსჲ ორიგინალის უფრო სრულ ტექსტს თარგმნის.

ი. 5, 16. (სდევნიდეს ... იესუს) (+) და ენება
მოკლვაჲ მისი ———C.

შდრ. καὶ ἐζήτουν αὐτὸν ἀποκτεῖναι.

ბერძნულში არ არის ზოგან. ასეთივე სურათია სხვაგანაც. არ მოეპოვება, კერძოდ, სომხურსაც (ს.=DE).

ი. 5, 30. არამედ ნებასა მომავლინებელისა
ჩემისა მამისასა ———C.

შდრ. ἀλλὰ τὸ θέλημα τοῦ πέμψαντός με πατρός.

აქაც ყველგან სიჭრელეა: ზოგან არის, ზოგან არა. არა აქვს სომხურსაც (ს =DE).

ეგევე უნდა ითქვას არსებითად აგრეთვე ი. 6, 38-ის შესახებაც, სადაც ეგევე ადგილი მეორდება (... არამედ ნებაჲ მომავლინებელისა ჩემისა მამისაჲ) და ქვევით მასზე ცალკე აღარას ვიტყვით.

ი. 5, 36. ეგევე საქმენი წამებენ ჩემთჳს,
რომელთა მე ვიქმ C ———.

შდრ. ...τὰ ἔργα ἃ ἐγὼ ποιῶ.

ოღონდ ბერძნულში „რომელთა მე ვიქმ“ ცოტა წინაა, მოსდევს ამას: „ესევე საქმენი“, რაც უფრო სწორია. სწორედ ამ უკეთესი რიგით აქვს გაწყობილი ადიშს. აქ გიორგის წყობა უარესია.

ი. 6, 11. იესუ... მისცემდა მოწაფეთა, და
მოწაფენი — მისცემდეს ერსა მას ——C.

შდრ. ...διέδωκε τοῖς μαθηταῖς, οἱ δὲ μαθηταὶ τοῖς ἀνακειμένοις.

არც ბერძნულში, არც სხვა ენების თარგმანებში ყველგან არ არის (ზოგან არის, ზოგან — არა). რუსულს, კერძოდ, აქაც აქვს სადავო ადგილი. რუსულ თარგმანზე უნდა ითქვას საერთოდ, რომ იგი გადმოღებულია ისეთი ბერძნული ვერსიიდან, რომელიც საზოგადოდ სრულ ტექსტს შეიცავდა. ამიტომაა, რომ ამ თავში (დამატება) რუსული თითქმის ყოველთვის გვერდში უდგას ბერძნულსა და გიორგის.

გერმანულს ეს ადგილი არ მოეპოვება, მაგრამ შენიშნავს: აქ ბერძნული ამა და ამ სიტყვებს უმატებსო. დავძენთ ბოლოს, რომ ეს სიტყვები, როგორც მოსალოდნელი იყო, არ გააჩნია სომხურსაც (ს. = DE).

ი. 6,51. უკუეთუ ვინმე ჰამდეს ამის პურისაგან. არა
მოკუდეს, არამედ ცხოვნდეს უკუნისამდე ——C.

არა მოკუდეს აქ არსად არაა, არც ბერძნულში, არც სხვაგან სადმე. იგი დამატებულია გიორგის მიერ ხაზგასასმელად, შთაბეჭდილების გასაძლიერებლად: ვინც ამ პურისაგან ჭამს, იგი არ მოკვდება, სამუდამოდ იცოცხლებსო. რა კარგად არის ერთმანეთს მიყოლებული ერთი და იმავე დიდი აზრის გამომხატველი ნეგატიური და პოზიტიური მსჯელობა: არ მოკვდება, სამუდამოდ იცოცხლებსო. ეს „არ მოკვდება“ გიორგის მიერ გამოგონილი კი არაა, იქვე, წინა (50-ე) მუხლის ბოლოდანაა გადმოტანილი, სადაც წერია: უკუეთუ ვინმე ჭამოს მისგანი (პურისაგანი), არა მოკუდეს. აი აქედან წაიღო და დიდი ძალით გაიმეორა არანაკლებ საჭირო ადგილას: ვინც იმ პურისაგან ჭამს, არ მოკვდება, სამუდამოდ იცოცხლებსო. აქ გაცილებით მეტია ნათქვამი, ვიდრე CႠႢ რედაქციებში.

ი. 7,26. ესე არს ჭეშმარიტად ქრისტე ——C.

შდრ. οὗτός ἐστιν ἀληθῶς ὁ Χριστός.

ბერძნულში ამ ადგილას ზოგან არის ეს ἀληθῶς (ჭეშმარიტად), ზოგან — არა. დაკლების მიზეზი ადვილი გასაგებია: ამავე მუხლში, ცოტა ზემოთ, უკვე არის ნახმარი ეს სიტყვა: ნუუკუე ჭეშმარიტად ცნეს მთავართა მათ, ვითარმედ... მისი მეორედ განმეორება აღარ ჩათვალეს საჭიროდ.

ი. 8,21. მეძიებდეთ მე და არა მპოოთ C ——.

ეს სიტყვები არც ბერძნულშია და არც სხვაგან რომელიმე ენის თარგმანში. აქ გადმოსული უნდა იყოს 7, 34, 36 მუხლებიდან, სადაც სწორედ ამნაირი წინადადებებია: „მეძიებდეთ მე და არა მპოვოთ (მპოოთ)“. ორივე მუხლში ასეა. და როდესაც ცოტა ქვემოთ კიდევ განმეორდა ამ წინადადების პირველი ნაწილი (მეძიებდეთ მე), მას მექანიკურად (მაგრამ აზრიანად) მიაყოლეს (ალბათ, ზეპირად დამახსოვრებული) მეორე ნაწილიც (და არა მპოოთ). ასეთი რამ ხშირად ხდება და ჩვენც არაიშვიათად აღგვინიშნავს.

ვინ დაუმატა: მთარგმნელმა (გიორგიმ) თუ გადამწერმა? ორივე შეიძლება დავუშვათ, მაგრამ მაინც უფრო საგულვებელია — გადამწერმა. გიორგი თავისი რედაქციის დადგენისას ყოველ სიტყვასა და ყოველ ასოს ამოწმებდა და უდარებდა ბერძნულს. ვიმეორებთ, თეორიულად გამორიცხული არც მთარგმნელის ხელია.

არის მესამე შესაძლებლობა: იქნებ სადმე ბერძნულშიც იყო ამ სიტყვების მქონე ძველი ხელნაწერი და გიორგის იქიდან (როგორც უფრო სრულიდან) აქვს გადმოღებული. არა ჩანსო? რა ვუყოთ, რომ ახლა არა ჩანს. ჩვენ რამდენი შემთხვევა ვიცით, რომ ადრე არ ჩანდა, დიდხანს არ ჩანდა, მაგრამ მერმე აღმოჩნდა. ერთი სიტყვით, ეს დაშვებაც არ არის უკუსაგდები.

ი. 8,29. არა დამიტევა მე მარტოჲ მამამან ———C.

შდრ. οὐκ ἀφῆκέν με μόνον ὁ πατήρ.

მამამან მხოლოდ ზოგან გვხვდება ბერძნულში, აგრეთვე სხვა ენების თარგმანებში. არის, როგორც წესი, რუსულში (отец не оставил меня одного) და არ არის, აგრეთვე როგორც წესი, სომხურში (ს.=DE).

ი. 8,44. თჳსისაგან გულისა იტყჳნ, რამეთუ
მტყუვარ არს (რამეთუ ცრუ არს C) ———.

შდრ. ὅτι ψεύστης ἐστίν.

ხაზგასმული სიტყვები ბერძნულშიც არის და სხვაგანაც. ოღონდ ბერძნულში მტყუვარ (ψεύστης) მეორედ (მამის მიმართ) აღარ არის წარმოდგენილი (ὅτι ψεύστης ἐστὶν καὶ ὁ πατὴρ αὐτοῦ), გიორგის კი ორჯერ აქვს ნახმარი ეშმაკისა და მისი მამის მიმართ (რამეთუ მტყუვარ არს, და მამაჲცა მისი მტყუვარი არს).

ორიგინალის წაკითხვა უფრო ზუსტად ადიშურს გადმოულია (რამეთუ ცრუ არს და მამაჲცა მისი). მეორე მტყუვარ-თან ერთად გიორგის მეორე რამეთუ-ც ჩაუმატებია (რამეთუ მამაჲცა მისი მტყუვარი არს).

ი. 9,11. წარვედ საბანელსა მას
სილოამისასა ———C.

შდრ. ὕπαγε εἰς τὴν κολυμβήθραν τοῦ Σιλωάμ.

ბერძნულში საბანელსა არ არის ზოგან, ამიტომაც სილოამი აკუზატივშია: εἰς τὸν Σιλωάμ, ასეა სომხურშიც: 'ի սիղովամ.

ი. 10, 26. (არა ხართ ცხოვართა ჩემთაგანნი.)
ვითარცა გარქუ თქუენ ———C.

შდრ. ...καθὼς εἶπον ὑμῖν.

მაგრამ ეს წინადადება თვით ბერძნულშიც არ არის ზოგან. ასეთივე ჭრელი სურათია სხვა ენებშიც: აქვთ რუსულს, ინგლისურს, არა აქვთ სომხურს, გერმანულს. ქართულშიც, როგორც ვნახეთ, ორივე სახეობაა ასახული: გიორგის, როგორც ყოველთვის, აქვს ეს დამატება; სხვებს, როგორც თითქმის ყოველთვის, აკლიათ იგი. სომხური და DE აქაც ერთად დგანან, გიორგი და ბერძნულის ვრცელი (სრული) ვარიანტი — ცალკე.

ი. 11,41. აღიღეს უკუე ლოდი იგი, სადა
მდებარე იყო მკუდარი იგი ———C.

ჯერ-ერთი, უკუე-ს შესატყვისი არაფერი აქვთ DE-ს (CFG-ს იგი ვითარცა-თი გადმოულიათ).

მეორე, CDEFG ხელნაწერებს აკლიათ ზემოთ მოყვანილი ხაზგასმული წინადადება, რომლის ბადლადაც ზოგ ბერძნულ გამოცემაში იკითხება: οὗ ἦν ὁ τεθνηκὼς κείμενος (ზოგს სულ არა აქვს ეს ადგილი). სხვა ენათაგან კვლავ რუსული და ინგლისური წარმოგვიდგენენ მას, ხოლო მეორე წყვილი — სომხური და გერმანული — არა. გიორგის პოზიცია კი ყველგან და ყოველთვის (ამ თავში) ერთი და იგივეა: იგი იძლევა ბერძნულის უფრო სრულ ვარიანტს.

ი. 12,11. მრავალნი ჰურიათაგანნი მისთჳს
მოვიდოდეს C ———.

შდრ. ...δι' αὐτόν.

ბერძნულში ყველგან გვაქვს, რუსულშიც (ради его), გერმანულშიც (seinetwegen)... არაფერია სომხურში, და ამით იგი კვლავ DE-ს ემხრობა. ტექსტის შინაარსის მიმდინარეობის მიხედვით მისთვის აქ ძალიან საჭიროა: მრავალი ებრაელი (სწორედ) იმის გამო, იმის გულისთვის მოდიოდა. ამიტომ მისი გამოტოვება ტექსტის შინაარსს ბევრად ენებს.

C-ს მისთჳს შეუცვლია მის გამო-თი, რომელიც, თუ უკეთესი არაა, არ ჩამოუვარდება Ⴂ-ს არჩევანს.

ი. 12, 16. მაშინ მოეჴსენა C ———.

შდრ. τότε ἐμνήσθησαν.

ბერძნულში ყველგან არის, აგრეთვე სხვა ენების თარგმანებშიც (յայնժամ, тогда, then), არა გვაქვს მხოლოდ DEFG-ში. ეს დაკლება შეიძლება გამართლდეს, რადგან იქვე წინ უსწრებს ოდესცა: ოდესცა იდიდა იესუ, მოეჴსენა (მოწაფეთა მისთა). მაშინ აქ თითქოს ზედმეტი და უხერხულიცაა. მაგრამ გიორგი არჩევს, არ გამოტოვოს ორიგინალის სიტყვა.

ი. 12,28. და ვადიდე და კუალადცა ვადიდო ———C.

შდრ. καὶ ἐδόξασα καὶ πάλιν δοξάσω.

პირველი καί აქ ქართული ცა ნაწილაკის შესატყვისია და შეიძლებოდა ჩვენი ცა ზმნას დამატებოდა: ვადიდეცა და... მაგრამ გიორგი ბერძნულს მისდევს ზუსტად და καί და-თი გადმოაქვს. ამ და-ს გამოტოვება კი, როგორც ეს CDE-ში გვაქვს, მიუტევებელია.

რაც შეეხება ვადიდე— გადიდე, ვადიდო—გადიდო ფორმათა მონაცვლეობას, ამაზე უკვე წინა თავში (გვ. 173) გვქონდა საუბარი და აქ აღარ გავიმეორებთ.

ი. 13, 15. რაჲთა ვითარცა-ესე მე გიყავ
თქუენ, ეგრეთვე თქუენცა ჰყოფდეთ ———C.

შდრ. ἵνα καθὼς ἐγὼ ἐποίησα ὑμῖν καὶ ὑμεῖς ποιῆτε.

CDE-ს სულ არ გადმოუღია ἵνα (რაჲთა), რასაც მძიმე შედეგი მოჰყვა: I კავშირებითის ნაცვლად უწყვეტელი გაჩნდა, თხრობითი კილო ბრძანებითმა შეცვალა. FG-ს ἵνα რამეთუ-თი გადმოუტანია, რაც, რა თქმა უნდა, შეცდომაა: რამეთუ ჩვენს წინადადებაში უხერხულად შეჩრილი კავშირია და სრულიად შეუწყნარებელია: რომ (რადგანაც?) როგორც მე გიყავი თქუენ, თქვენც ისე მოიქეცით (გააკეთეთ). ამგვარად, გიორგის მიერ აღდგენილი რაჲთა და ამის მიხედვით გამართული წინადადება ერთადერთი სწორი წაკითხვაა.

ი. 15,21. არამედ ესე ყოველი გიყონ თქუენ C ———.

შდრ. ἀλλὰ ταῦτα πάντα...

ყოველი არის ყველგან და აქ ძალიან საჭირო სიტყვაცაა. C-ს იგი შემოუტანია (ესე ყოველი ყონ თქუენდა მიმართ), მაგრამ თვით ზმნაა ხელყოფილი: „ყონ თქუენდა მიმართ“. რასაკვირველია, DE-ს „გიყონ თქუენ“ შეუდარებლად უკეთესია (ერთადერთია). მაგრამ ამ საკითხზე უკვე გვქონდა მსჯელობა ადრე (გვ. 107) და აქ დავიდუმებთ.

ი. 16, 8. ამხილოს სოფელსა ცოდვისათჳს და
სიმართლისათჳს და სასჯელისათჳს C.

შდრ. ...περὶ ἁμαρτίας καὶ περὶ δικαιοσύνης καὶ περὶ κρίσεως.

საქმე ეხება რამდენიმე ერთნაირად შეერთებულ სახელზე თანდებულის დართვას. ასეთ შემთხვევაში უფრო ხშირია, როცა თანდებული პირველ სახელს ერთვის, სხვები უთანდებულოდაა წარმოდგენილი. შეიძლება თანდებული რამდენიმეს ერთოდეს, რამდენიმეს — არა. ამ უკანასკნელ შემთხვევაზე უფრო ხშირია, როცა იგი ყველა სახელს ერთვის. ეს უფრო ძველ ვითარებას უნდა ასახავდეს. ძველ ქართულში სამივე შემთხვევიდან, როგორც ითქვა, ყველაზე ხშირია პირველი (როცა თანდებული I სახელს ერთვის მხოლოდ, სხვებს — არა). ჩვენს მაგალითშიც, როგორც ვნახეთ, თჳს თანდებული ყველა სახელს ერთვის. ამას, სხვათა შორის, ბერძნულიც უნდა განაპირობებდეს, იქაც περί თანდებული ყველა (სამივე) სახელს აქვს დართული. ამ სახით არის ეს მაგალითი წარმოდგენილი აგრეთვე სომხურშიც, გერმანულშიც, ინგლისურშიც.

ჩვენი ხელნაწერებიდან DEFG თანდებულს მხოლოდ პირველ სახელს ურთავს (ცოდვისათჳს), C და გიორგი კი — ყველას.

ი. 16,16. და მიხილოთ მე, რამეთუ მე მივალ
მამისა ჩემისა C ———.

შდრ. ...ὅτι ἐγὼ ὑπάγω πρὸς τὸν πατέρα.

ბერძნულში ზოგან არის, ზოგან — არა. სხვა ენების თარგმანებშიც არის ყველგან. გვაკლია მხოლოდ ჩვენს DEFG-ში.

ი. 17, 12. ოდეს ვიყავ მათ თანა სოფელსა შინა
სოფელსა ამას C ———.

შდრ. ἐν τῷ κόσμῳ.

ბერძნულში მხოლოდ ზოგან არის, სხვა ენებშიც არის, ისევ ჩვენს DEFG-ს აკლია. C-ს, მართალია, აქვს იგი დაცული ცოტა სხვა სახით (სოფელსა ამას), მაგრამ მას გამოუკლია მათ თანა (μετ' αὐτῶν). უნაკლოა მხოლოდ გიორგი.

ი. 18, 26. რომელსა-იგი პეტრე წარჰკუეთა ყური C ———.

შდრ. οὗ ἀπέκοψεν Πέτρος τὸ ὠτίον.

პეტრე ყველას ჰყავს დასახელებული, ჩვენში იგი მოეპოვება C-ს და, რა თქმა უნდა, გიორგის. FG უბრალოდ უშვებს ამ სიტყვას, DE-ს ვნებითი გვარის ზმნასთან, ბუნებრივია, არ შეეძლო იგი წარმოედგინა (წარეკუეთა ყური... (მონასა). საჭირო კი იყო იმ პირის ცოდნა (დასახელება), ვინც მღვდელმთავრის მონას წარჰკვეთა ყური.

ი. 18,40. კუალად უკუე ღაღად-ყვეს ყოველთა ———.

შდრ. ἐκραύγασαν οὖν πάλιν πάντες.

გიორგის ორივე სიტყვა აქვს ნათარგმნი (კუალად და უკუე), რომელთაგან ერთს (οὖν) ზოგჯერ არ თარგმნიან; πάλιν (კუალად) კი არ უნდა გამოეტოვებინათ.

ი. 19.25. ხოლო დგეს ჯუარსა მას თანა
იესუჲსსა C ———.

შდრ. παρὰ τῷ σταυρῷ τοῦ Ἰησοῦ.

ქართულში ისევ C და Ⴂ გვაძლევს ბერძნულში და სხვაგან ყველგან არსებულ აუცილებელ სიტყვას — იესუჲსსა. სხვები ისევ და ისევ დუმან.

ი. 21.20. რომელი უყუარდა იესუს, მისდევდა რაჲ
რამეთუ მისდევდა C ———.

შდრ. ἀκολουθοῦντα.

ბერძნულს ზოგან ჰკლებია, სხვაგანაც ასეთი ჭრელი სურათია. ისევ C და გიორგი უყურებენ ბერძნულს. სხვები კვლავ დუმან.

ი. 21,23. ვიდრე მოსლვად ჩემდამდე, შენდა რაჲ? ———C.

შდრ. ἕως ἔρχομαι, τί πρὸς σέ.

ქართულში მხოლოდ გიორგის აქვს ეს სიტყვები გადმოღებული. თვით ბერძნულში ზოგან (უფრო იშვიათად) არ ყოფილა. ასევეა სხვა ენების თარგმანებშიც: что тебе до этого, was geht es dich an, what is that to thee. სომხური? სომხური რაღასა იქმს? იგი დუმს და ამ დუმილით სოლიდარობას უცხადებს DE-ს.

### D. Ⴂ აკლებს (—)

CЧ Ⴂ

აკლებს აქაც ნიშნავს: გიორგის C(Ч) რედაქციაზე ნაკლები აქვს (ნ. ამის შესახებ ზემოთ, გვ. 175).

მ. 1,11. იოსია შვა იოაკიმ; იოაკიმ შვა[1] იექონია ———Ⴂ.

ეს ხაზგასმული სიტყვები არ არის აგრეთვე ბერძნული გამოცემების ტექსტში, მაგრამ იქ ზოგან სქოლიოში მითითებულია, ესა და ეს ხელნაწერები ამ სიტყვებს უმატებენო. იგი არ არის არც სომხურში, ლათინურში, გერმანულში, ინგლისურში. არის რუსულში. ასე რომ, გიორგის ის შემთხვევით არ დაუკლია.

მ. 2,1. იესუ ქრისტეს შობასა C ———Ⴂ.

ქრისტეს არ არის ბ. ს. ლ. რ. გ. ი. (ბერძნულ-სომხურ-ლათინურ-რუსულ-გერმანულ-ინგლისურში), შემდეგდროინდელი გადამწერების დამატებულია: მათთვის „იესუ ქრისტე“ განუყოფელი ცნება იყო.

მ. 2,12. მოიღეს ბრძანებაჲ ჩუენებით
ანგელოზისაგან ——— CႢ.

არ არის ბ. ს. ლ. რ. გ-ში. ინგლისურში არის of god, რაც არსებითად იგივეა, რაც ანგელოზისაგან. როგორც ჩანს, ინგლისურსა და ჩვენს DEFG-ს ერთი წყარო აქვთ. რაკი ბერძნულში არა ჩანს, გიორგისაც არ შეაქვს იგი თავის რედაქციაში.

სრულიად ასეთივე შემთხვევა გვაქვს აგრეთვე მ. 2, 22-შიც. ამიტომ აქ ამაზე არაფერს ვიტყვით.

მ. 3,15. მაშინ მიუშუა მას იოვანე ———CႢ.

შდრ. τότε ἀφίησιν αὐτόν. „იოვანე“ არ არის არც ს. ლ. გ. ი.-ში. იგი მოეპოვება მხოლოდ რუსულ თარგმანს. პირველად გაჩნდა, ალბათ, აზრის მეტი სიცხადისათვის: იოვანემ დართო ნებაო (დაუშვაო). სადავო სიტყვა არც ადიშს მოეპოვება. ცხადია, გიორგი მას ვერ შეიტანდა თავის რედაქციაში, უპირველეს ყოვლისა, იმის გამო, რომ თვით ბერძნულშიც არ ჩანდა.

მ. 4,12. იოვანე საპყრობილესა მიეცა
(საპყრობილედ CFG) ———Ⴂ.

შდრ. Ἰωάννης παρεδόθη.

ამ ზმნის მნიშვნელობაა გაცემა, მიცემა, предавать, выдавать. გიორგის სწორედ ასე გადმოაქვს ქართულად. აქ, როგორც ვხედავთ, საპყრობილე (φυλακή) არაა ნახსენები. ეს მერმეა დამატებული საქმის ვითარების უფრო კონკრეტულად წარმოდგენისათვის. „საპყრობილე“ ჩვენი CDEFG-ს მსგავსად ინგლისურშიც მოიპოვება (into prison). გერმანულში იგი დაპატიმრებით შეუცვლიათ (verhaftet worden). რუსულშიც ასეა (отдан под стражу) და სხვა.

---

[1] დაყოფით აწყობილი სიტყვა (სიტყვები) აკლია Ⴂ-ს.

საქმის არსებითი მხარე ყველგან ერთია, ფორმა კი — სხვადასხვა. გიორგი, როგორც ვნახეთ, აქაც ბერძნულს მიჰყვება კვალდაკვალ.

მ. 4,25. .. წიაღ-იორდანით, და განკურნნა იგინი ———Ղ.

ეს სიტყვები არაა ბ. ლ. რ. გ. ი-ში. არის მხოლოდ სომხურში. ამ შემთხვევაშიც (სიტყვების დამატებისას) DE-სა და სომხურს ერთი საერთო სათავე უნდა ჰქონდეთ (—სირიული?). რაკი ბერძნულში არა ჩანს მისი კვალი, გიორგისაც არ შეუტანია თავის რედაქციაში.

მ. 5,22. რაკა, რომელ არს საძაგელ ———CՂ.

ბ. ლ. გ. ი.-ში არის მხოლოდ რაკა და არავითარი სხვა რამ დამატება (ახსნა-განმარტება) არ ახლავს. რუსულში ახსნილია (სქოლიოში): пустой человек. როგორც ჩანს, ქართულის „რომელ არს საძაგელ" აგრეთვე რაკა-ს მნიშვნელობის განმარტებას უნდა წარმოადგენდეს. ასეთ შემთხვევებში სხვადასხვა თარგმანებში გაუგებარ სიტყვებს ზოგჯერ ხსნიდნენ (ტექსტსა თუ სქოლიოში), ზოგჯერ კი ხელუხლებლად ტოვებდნენ. ამის კარგი მაგალითი გვაქვს ქართულშიც (გიორგი — და სხვები). სომხურში რაკა-ს თარგმანია მხოლოდ მოცემული—*յիմար*, რაც ქართულად იქნება: სულელი, უჭკუო, განუსჯელი, უგუნური... საინტერესოა, რომ ჩვენს ადიშურსაც რაკა-ს სანაცვლოდ სწორედ ამგვარი (სომხურის მსგავსი) შინაარსის ქართული შესატყვისი გამოუძებნია — შესულებული. აქ სომხური და ადიშური დგანან ერთად.

მ. 5,25. ნუუკუე ...მსაჯულმან მიგცეს შენ მსახურთა ——— Ղ.

ბერძნული παραδῷ მეორედ ყველგან არის წარმოდგენილი; ასევეა სხვა ენებზეც: რუსულს (чтобы не отдал) ორჯერ აქვს ნახმარი, გერმანულს — ერთჯერ (übergeben). გიორგი გაურბის სიტყვის გამეორებას და მიგცეს შენ მხოლოდ ერთხელ აქვს გამოყენებული.

მ. 5, 27. ესმიეს, რამეთუ ითქუა პირველთა
მათ მიმართ. რამეთუ: არა იმრუშო ——— CՂ.

ბერძნულში τοῖς ἀρχαίοις ზოგან ტექსტშია შეტანილი, ზოგან ჩატანილია სქოლიოში, ხოლო ზოგან არც იქ არის და არც იქ. სხვა ენებიდან იგი არ მოეპოვება სომხურს, ხოლო დაცული აქვთ რუსულს, გერმანულს, ინგლისურს. ქართულშიც, როგორც ვხედავთ, ასეთივე ჭრელი სურათი გვაქვს: არა აქვთ C-სა და Ղ-ს, ხოლო წარმოდგენილი აქვთ DEFG-ს.

მ. 5,29. გეჰენიასა ცეცხლისასა ———CՂ.

შდრ. εἰς γέενναν. ასევე არაა ცეცხლისასა-ს შესატყვისი სხვა ენებშიც.

საიდან გაჩნდა ეს ცეცხლისასა DEFG-ში? ალბათ, იგი აქ შემოვიდა მ. 5,22-ის ასოციაციით. იქ იკითხება: თანა-მდებ არს იგი გეჰენიასა (მას ) ცეცხლისასა CՇЧՂ (ე. ი. ყველგან). ასევეა სხვა ენებშიც. იქიდან აქამდე კი სულ რაღაც შვიდიოდე ნაბიჯია: შვიდიოდე მუხლის შემდეგ გაცოცხლდა ეს ცეცხლისასა მსგავს გარემოცვაში. სათანადო ვითარებაში ხშირად ამოტივტივდება ხოლმე მჭიდრო კავშირით შეულლებული წყვილების დაკლებული ცალები.

მ. 5,41. რომელი წარგიქცევდეს შენ მძლურად
მილიონ ერთ, მივლე მის თანა ორიცა ———CՂ.

შდრ. καὶ ὅστις σε ἀγγαρεύσει μίλιον ἕν.

„წარქცევა" თავისთავად ნიშნავს წინ გაგდებას, წინ წამძღვარებას. ამიტომ „მძლურად" აქ ზედმეტია და არცა აქვს Ղ რედაქციას მთელი შემადგენლობით (HIK).

ადიშურში გვაქვს წარგიძლუანებდეს და, ცხადია, „მძლურად“ აქ არაა საჭირო, რადგან იგი ფორმალურადაც (მატერიალურადაც, ლექსიკურადაც) შესულია ზმნის ფორმაში: წარგიძლუანებდეს.

მ. 5,46. მეზუერენიცა დაცოდვილნი ამასვე
ჰყოფენ DE (იქმან FG) ———CႢ

შდრ. οὐχὶ καὶ οἱ τελῶναι τὸ αὐτὸ ποιοῦσιν.

ცოდვილნი არც სხვა ენების თარგმანებში გვაქვს. მაშ საიდან გაჩნდა ეს „ცოდვილნი“ DEFG ხელნაწერებში? მიზეზი ზემოთ აღნიშნული გარემოება უნდა იყოს: ხშირად, ძალიან ხშირად ამ ორი კატეგორიის უარყოფითი, საზიზღარი პირები ერთად გვხვდებიან, ისინი ერთნაირად ჩადიან საზარელ დანაშაულს, ერთნაირად თელავენ კანონსა და სამართალს, ერთნაირად ბილწავენ კაცის ღირსებას, მის სულსა და ხორცს, ერთნაირად უგულო, უსირცხვილო და უნამუსონი არიან. ამიტომ არაა გასაკვირი, ისინი თავიანთი ბინძური საქმიანობით ერთად იხსენიებოდნენ, მაგალითად: მრავალნი მეზუერენი და ცოდვილნი სხდეს იესუჲს თანა ინაჳით (მ. 9, 10; მრ. 2,15); მრავალნი მეზუერენი და ცოდვილნი წინა-გიძღოდიან თქუენ სასუფეველსა ღმრთისასა (მ. 21,31); იყვნეს ყოველნი მეზუერენი და ცოდვილნი მახლობელად მისა (ლ. 15, 1); მეზუერეთა და ცოდვილთა ჰრწმენა მისი (მ. 21, 32); რაჲსათჳს მეზუერეთა და ცოდვილთა თანა ჭამს და სუამს მოძლუარი თქუენი (მ. 9, 11); რაჲსათჳს მეზუერეთა და ცოდვილთა თანა შჭამთ და ჰსუამთ (მრ. 2,16; ლ. 5.30) და სხვა. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, როცა ძველ გადამწერთ, სადაც ერთ-ერთი ამათგანის სახელი ხვდებათ, იქვე აგონდებათ მეორეც და ამ წამხდარ ხალხს ბუნებრივად არ აცილებენ ერთმანეთს. ეს სრულებით ცხადი და გასაგებია: მეხსიერებაში ისინი რჩებიან ერთად და ყოველი ცალკე მათგანის ხსენება ბუნებრივი ასოციაციით იწვევს მეორის იქვე წარმოდგენასაც. ეს შეეძლო ყველა გადამწერს: ბერძენსაც და სომეხსაც, რუსსაც და გერმანელსაც, სირიელსაც და ქართველსაც. და ამ უკანასკნელმაც არ დააყაენა და „მეზუერის“ გადაწერისას იქვე დაუმატა მისი განუშორებელი „ცოდვილიც“.

C და გიორგი ფხიზლად არიან, ცალი თვალი მუდამ ბერძნულისაკენ უჭირავთ, ასეთ ანკესზე ადვილად არ წამოეგებიან და ზედმეტ სიტყვებს არ უმატებენ (არა მეზუერეთაცა ეგრე ყვიან? C; რამეთუ მეზუერეთაცა ეგრეთვე ყვიან Ⴂ).

მ. 6,8. იცის მამამან თქუენმან ზეცათამან ———CႢ.

„ზეცათამან“ არ არის ბ. ს. რ. გ. ი.-ში დამატების მიზეზი გასაგებია: როცა მამა ღმერთს აღნიშნავს, იციან, რომ ის ცაშია, და დასაზუსტებლად უმატებენ: (მამაჲ) ზეცათაჲ, ან: „რომელი არს ცათა შინა“, როგორც გვაქვს კიდევაც შემდგომს მუხლში (ოღონდ აქ ახლა ყველგანაა). ადიშურში არაა ეს „ზეცათამან“ და ამით ის გიორგის დასაყრდენი ხდება.

მ. 7, 6. ნუ მისცემთ სიწმიდესა ჩემსა ძაღლთა ———CႢ.

ჩემსა სხვა ენების თარგმანებში არა ჩანს. მაგრამ თვით ბერძნულშიც ზოგან ყოფილა და გამოცემის აპარატშიც არის აღნიშნული (τὸ ἅγιον μου). აი ასეთ ვერსიებს ეყრდნობოდა, ალბათ, ჩვენი DEFG-ს სათავეები.

მ. 9,9. ალდეგ და შემომიდეგ მე ———CFGႢ.

შდრ. ἀκολούθει μοι.

ალდეგ არც სხვა ენების თარგმანებშია. გიორგი ამ შემთხვევაში CFG-საც ემყარება, რომელთაც აგრეთვე არა აქვთ სადავო სიტყვა.

არას ვამბობთ სპეციალურად იმაზეც, რომ FGႢ-ს ზმნაც სხვა აქვთ გამოყენებული, „შემომიდეგ"-ის ცნობილი სინონიმი — მომდევდი (C ამ შემთხვევაში DE-ს ეკედლება — შემომიდეგ).

მ. 9, 11. ჭამს და სუამს ———CFGႢ.

სუამს არც ბერძნულშია ყველგან, სხვა ენებშიც სიჭრელეა. ქართულშიც ეს სურათი გვაქვს.

მ. 9, 13. მოვედ... ცოდვილთა, მოქცევად მათა ———CFGႢ.

შდრ. ἀλλὰ ἁμαρτωλοὺς εἰς μετάνοιαν.

მაგრამ თვით ბერძნულშიც არ არის იგი ყველგან. ასეთივე ჭრელი სურათია სხვა ენების თარგმანებშიც: მოქცევად მათა არა აქვთ სომხურს, გერმანულს. მოეპოვებათ რუსულსა (к покаянию) და ინგლისურს (to repentance).

მ. 9, 27. შემიწყალენ ჩუენ, უფალო, ძეო დავითისო ———CFGႢ.

უფალო არც ბერძნულშია და არც სხვა ენების თარგმანებში. რუსულს მის ნაცვლად იესუ უწერია (помилуй нас, Иисус, сын Давидов!); ქართულში გიორგიზე ადრე ადიშიც არ წარმოგვიდგენდა მას; ამ გზას გაჰყვა შემდეგ Ⴂ რედაქციაც.

მ. 10, 16. იყვენით თქუენ მეცნიერ CDE ———

——— იყვენით უკუე მეცნიერ FGႢ.

თქუენ არც ბერძნულში და არც სხვაგან არა გვაქვს, ზმნის მეორე პირის ფორმა მას თავისთავად გულისხმობს. ქართულში იგი ამაოდ დაუმატებიათ. სამაგიეროდ არ გადმოუტანიათ ბერძნულის οὖν (უკუე). (ეფთვიმე და) გიორგი აქაც ზუსტია: ზედმეტი სიტყვა არ შემოაქვს, დედნის საჭირო და აუცილებელ სიტყვას კი უთარგმნელად არ ტოვებს.

მ. 10,23. და მიერდა თუ გდევნიდენ
თქუენ, ივლტოდეთ სხუად ქერძო ———Ⴂ.

ქართულში ეს ადგილი შემოკლებულად (უამტექსტოდ) მხოლოდ გიორგის აქვს. ბერძნულ ტექსტშიც არაა ეს ადგილი (გიორგის სწორედ ამგვარი დედანი ჰქონდა ხელთ). მაგრამ ზოგი ბერძნული გამოცემა სქოლიოში იძლევა ზემოთ აღნიშნულ დამატებას: κἂν ἐκ ταύτης διώκωσιν ὑμᾶς, φεύγετε εἰς τὴν ἄλλην. აი აქედან მოდის CDEFG ხელნაწერთა ტექსტი.

რუსულში, ინგლისურში არ არის ეს ადგილი წარმოდგენილი; ის არც გერმანულის ტექსტშია, მაგრამ სქოლიოში შენიშვნაა გაკეთებული: Der griechische Text setzt zu: und vertreibet man euch aus dieser, so fliehet in eine andere.

სომხური რაღასა იქმს? ის სადა დგას? სომხური და ჩვენი CDE(FG) კვლავ ერთად დგანან, სომხურსაც ეს საღავო წაკითხვა სრულად აქვს დაცული.

ასე რომ, ბერძნული ტექსტის ორ რედაქციას ქართულშიც ასეთივე ორი რედაქცია ეხმაურება.

მ. 11, 24. ქუეყანაჲ იგი სოდომისაჲ და გომორისაჲ ———Ⴂ.

არც ბერძნულში და არც სხვა ენათა თარგმანებში არ არის ეს გომორისაჲ. ამათ მსგავსად გიორგისაც არ მოეპოვება იგი, სხვა ქართულ ხელნაწერებში ყველგან გვაქვს. რატომაა ასე? სხვაგან ეს ქალაქები (როგორც უწესო, ცუდი ყოფაქცევისა და გარყვნილების ადგილები) ერთად იხსენიება (მაგალითად: უმოლხინეს იყოს ქუეყანაჲ სოდომისაჲ და გომორისაჲ დღესა მას სასჯელისასა, ვიდრე ქალაქი იგი: მ. 10, 15). აქაც სოდომის (ცუდი აზრით) ხსენებაზე

გომორსაც უმატებენ, როგორც მისგან განუყოფელ მოძმესა და თანაზიარს[1] (ნ. ზემოთ ამის მსგავსი მაგალითი, გვ. 197).

მ. 11, 27. რომლისაჲ უნდეს ძესა გამოცხადების,
გამოუცხადოს ———Ղ.

გამოუცხადოს არ არის არც ბერძნულში და არც სხვა ენების თარგმანებში. ტექსტის აზრი კარგადაა გადმოცემული რუსულ თარგმანში: никто не знает сына кроме отца; и отца не знает никто, кроме сына, и кому сын хочет открыть. ასე რომ, გამოუცხადოს აქ არ იყო საჭირო და გაუმართლებელია.

მიზეზი? რამ გამოიწვია მაინც ამ ზმნის ჩამატება? გამოცხადების ჩვენს მაგალითში უცხო ენების ინფინიტივის გადმოსაცემად არის მოხმობილი. მართლაც, აქ ბერძნულშიც და სხვა ენათა თარგმანებშიც ყველგან ინფინიტივია ნახმარი: *ἀποκαλύψαι*, *յայտնել*, открыть, offenbaren, reveal...

ასეთი ინფინიტივები ძველ ქართულში ჩვეულებრივ ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისით გადმოიცემოდა: იწყეს მუსრვად თავისა ქოვილისა და ჭამად (მ. 12, 1C); იწყოს გუემად მონათა და მჴევალთა, ჭამად და სუმად და დათრობად (ლ. 12, 45); საქმედ არა ძალ-მიც, თხოვად მრცხუენის (ლ. 16, 3); იწყეს ვედრებად მისა წარსლვად საზღვრით მათით (მრ. 5,17 C) და სხვა.

მაგრამ ამის გვერდით ზოგჯერ იმავე საწყისს მარტივნიშნიან ნათესაობითში ჩასვამდნენ და იმას ავალებდნენ უცხო ენათა ინფინიტივის გადმოცემას, მაგალითად: მისცეს მას ძმარი ნავღლითა შეზავებული. და მი-რაჲ-იღო, არა უნდა სუმის (მ. 27, 34); რაქელ სტიროდა შვილთა თჳსთა და არა უნდა ნუგეშინის-ცემის, რამეთუ არა იყვნეს წინაშე მისსა (მ. 2, 18); და მას არა უნდა ჭამის (2 მეფ. 13,9); ხოლო მას ვერ ეძლო მიგების ნაგუემისა მისგან (ფებრ. Sin. 6, 196v, 12); უფალო, რაჲ არს, რამეთუ ჩუენდა გეგულების გამოცხადების და არა სოფელსა (ი. 14, 22C). ამ უკანასკნელ მაგალითში სწორედ ჩვენი სადავო ფორმაა მოცემული: გეგულების გამოცხადების=გეგულების გამოცხადებად (დღეს სახელობითი უნდა — გამოცხადება).

ამნაირი ინფინიტივი ძნელი გასაგები იყო და იგი მალეც ჩაკვდა[2]. აი ამ სიძნელისა და გაუგებრობის გამო, რომ ჩვენს მაგალითში, როცა მარტო „რომლისაჲ უნდეს ძესა გამოცხადების“ არ ესმოდათ, გასააზრიანებლად იმავე ზმნის პირიანი ფორმა ჩაუმატეს: რომლისაჲ უნდეს ძესა გამოცხადების, გამოუცხადოს.

მ. 15, 14. ბრმაჲ ბრმასა თუ წინა-უძღჳნ, შესცთიან
და ორნივე მთხრებლსა შთაცჳვიან ———Ղ.

ბერძნული გამოცემების ტექსტში არა გვაქვს შესცთიან-ის შესატყვისი, მაგრამ სქოლიოში მითითებულია, რომ ზოგან σφάλησεται: ემატებაო. ხოლო

---

[1] გურულ დიალექტში ამ ორი ბიბლიური ქალაქის სახელი ერთ რთულ სიტყვად არის ქცეული. როცა ცუდი გზაა და იქ გასვლა ძნელი და შეუძლებელია, ან როცა დამტვრეული, დამსხვრეული და განადგურებულია ყველაფერი, იტყვიან ხოლმე: სორომგორომოდ არის მოქცეული, სორომგორომოდ მოაქცია ყორიფელიო (აქ მხედველობაშია მიღებული ცნობილი ბიბლიური გადმოცემა: დაბ. 1, 1 — 38). სორომგორომოდ=სოდომად და გომორად აქცია, დაწვა, მოსპო, გაანადგურა.

[2] უფრო ვრცლად ამ საკითხზე იხ. ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957, გვ. 174—183.

ბერძნული σφάλλω მართლაც არის შეცდომა, დაბნევა, გზიდან გადახვევა. ეს სიტყვა არ არის არც რუსულ-გერმანულ-ინგლისურ თარგმანებში, ხოლო მოეპოვება ისევ და ისევ მეზობელ სომხურ თარგმანს (սխալ). ეს გარემოებაც (და ბევრი სხვა ამგვარი მასალა) სომხურ-DE-ს საერთო წარმომავლობის ერთ-ერთი საბუთთაგანია.

მ. 15, 31. ვითარ-იგი ყრუნი და უტყუნი იტყოდეს ———FGႢ.

ბერძნულის ტექსტში არის κωφός, რომელიც ყრუსაც აღნიშნავს და მუნჯსაც. სწორედ ამიტომაა, რომ ზოგ თარგმანში ყრუ იკითხება, ზოგში — უტყვ. ქართულში, როგორც ენახეთ, ზოგან ორივეა ერთსა და იმავე დროს. ზოგი ბერძნული გამოცემის სქოლიოში κωφός-ის შემდეგ ემატება ἀκούοντας — ესმოდათ. რაკი ქართულშიც იტყოდეს გვაქვს, ამას უფრო უტყუნი შეეფერებოდა, მაგრამ გიორგის (როგორც მის წინაპარ ეფთვიმეს) ყრუნი ჩაუთვლია უმჯობესად და ის დაუტოვებია.

მ. 15, 34. რაოდენი პური გაქუს აქა ———Ⴂ.

აქა არაა ბ. ს. რ. გ. ი.-ში. საიდან გაჩნდა იგი ქართულში? (სირიულიდან ხომ არ შემოსულა?).

მ. 16, 11... სადუკეველთაჲსა, რომელ არს
ორგულებაჲ ———CႢ.

არც ეს წინადადებაა ბ. ს. რ. გ. ი-ში. ქართულში იგი მხოლოდ DEFG-ს მოეპოვება. C და გიორგი ერთადაა. ეს დამატება აქაც იმავე გზით უნდა მოდიოდეს, რომლითაც გაჩნდა ზემორე მოყვანილ მაგალითში აქა.

მ. 16,12. მაშინ გულისხმა-ყვეს მოწაფეთა
მისთა ——— CFGႢ.

არც ეს სიტყვებია ბ. ს. რ. გ. ი.-ში. ამ ენათაგან ზოგში ნაცვალსახელები გვაქვს (они, sie, they — ისე არც შეიძლებოდა), ზოგან — არაფერი (ბ. ს.). ხომ არა გვაქვს საქმე ცდასთან — დააკონკრეტონ — მიხვდნენ მისი მოწაფეები და არა სხვა ვინმეო? გიორგი, რა თქმა უნდა, ბერძნულს ეყრდნობა და სუბიექტს არ ასახელებს, იგი ისედაც იგულისხმებაო. უფრო ადრე ასე მოიქცნენ გიორგის წინაპრებიც (CFG).

მ. 16, 24. რომელსა უნდეს ჩემდა შემოდგომად და
მოსლვად ———CႢ.

შდრ. ὀπίσω μου ἐλθεῖν. ეს გამოთქმა ქართულად არის: შემოდგომა, გამოყოლა. იგი ქართულში შეცდომით დაშლილია ორად: ὀπίσω — შემოდგომად, ხოლო ἐλθεῖν — მოსლვად. შდრ. სხვა თარგმანები: идти за мною, nachkommen. გიორგი სწორად იქცევა, ზუსტად გადმოსცემს დედნის აზრს. არა უშავს აგრეთვე C-საც: რომელსა ჰნებავს კუალსა ჩემსა შედგომად.

მ. 17, 25. ვითარცა შევიდეს იგინი სახიდ, უსწრო
იესუ და ჰრქუა პეტრეს ———CႢ.

ბერძნულშია: προέφθασεν αὐτὸν ὁ Ἰησοῦς λέγων. ამას სიტყვასიტყვით მისდევს გიორგი: უსწრო მას იესუ და ჰრქუა. პეტრეზე ლაპარაკი სწორედ ამის წინა მუხლში იყო და აქ მისი განმეორება არ იყო საჭირო. C-ს მხოლობითის ნაცვლად მრავლობითი წარმოუდგენია — მათ (შეასწრო სახლში პეტრესაც და სხვებსაცო); DEFG-ს მას კონკრეტულად გაუპიროვნებიათ და პეტრეს ჩაუსვამთ.

აღსანიშნავია, რომ გერმანულ თარგმანშიც er ნაცვალსახელია მოცემუ-

ლი, მაგრამ მას მოსდევს ფრჩხილებში ჩასმული Petrus: er (Petrus), თუმცა აქ შინაარსი ცოტა სხვანაირად არის გადმოცემული: als er (Petrus) nun zu Hause war, kam ihm Jesus zuvor, und sprach.

ერთი სიტყვით, პეტრე მას-ის ნაცვლად არის დაკონკრეტებული, იგი ორიგინალში არ მოიპოვება.

მ. 18, 30. არა ისმინა მისი, არამედ უფროჲსლა
აურვებდა მას. ——CႢ.

ხაზგასმული სიტყვები არაა ბ. ს. რ. გ. ი.-ში. თუ ისინი სადმე ბერძნულში რომელიმე ვერსიაში ანდა ხელნაწერში არაა საგულვებელი, უნდა დავუშვათ, რომ ამათაც ის გზა აქვთ გამოვლილი, რომელიც გამოვლეს ზემოთ განხილული მ. 15, 34 და მ. 16, 11 მუხლების მასალებმა (ნ. ზემოთ, გვ. 200).

მ. 19, 6. არღარა არიან იგინი ორ, არამედ ერთ ჴორც ———CႢ.

იგინი არაა ბ. და ს.-ში, რ. გ. ი.-ში კი გვაქვს. იგინი-ს დამატება ქართულს უხდება, ხოლო რუსულის, გერმანულისა და ინგლისურისათვის აუცილებელია. გიორგი აქაც ბერძნულს უყურებს და არ უმატებს მას. უფრო ადრე ასე მოიქცა C-ც.

მ. 19, 16. მო-ვინმე-უჴდა მას კაცი ერთი ———CႢ.

კაცი არსად არაა, ყველგან განუსაზღვრელი ნაცვალსახელია: εἷς, *unus*, некто, Jemand, one...). ასეთი ნაცვალსახელი ქართულში თვით ზმნაშია ჩართული ტმესის სახით: მო-ვინმე-უჴდა მას C, მო-ვინმე-ვიდა მისა Ⴂ, ერთი ვინმე (მოუჴდა მას C), ამიტომ დამატებით კაცის დართვა აღარ იყო საჭირო. მაგრამ რადგანაც კაცი ზოგჯერ სწორედ ამ (განუსაზღვრელი ნაცვალსახელის) მნიშვნელობითაც იხმარება, შეიძლება აქაც აზრის გასაძლიერებლად დაუმატეს.

მ. 19, 18. ჰრქუა მას: რომელნი მცნებანი? ———CႢ.

მცნებანი არ არის ბ. ს. რ. გ. ი.-ში. ის არცაა საჭირო: წინა მუხლის ბოლო სიტყვები იყო: დაიმარხენ მცნებანი. ამის კითხვაა ახალი (მე-18) მუხლის რომელნი. იგულისხმება, რა თქმა უნდა, მცნებანი. ზოგი კითხვაშიც იმეორებს ამ სიტყვას, რომ ცალკეც ნათელი იყოს კითხვის აზრი. ეფთვიმემ დატოვა C-ს მცნებანი, გიორგიმ ამოაგდო, რადგან იგი აქაც კვალდაკვალ მიჰყვება ბერძნულს.

მ. 20, 30. ჴმობდეს ჴმითა დიდითა ———CႢ.

ბერძნულშია ἔκραξαν λέγοντες. სხვაგან (მ. 8, 29) თვით E-ს იგივე ἔκραξαν λέγοντες გადმოტანილი აქვს „ღაღად-ყვეს და იტყოდეს“ სახით. ჴმითა დიდითა კი იქ არ დაუმატებიათ. მაშასადამე, ის არც ჩვენს შემთხვევაშია საჭირო. ჴმობდეს, ღაღად-ყვეს თავისთავად ნიშნავს მაღალი ხმით ლაპარაკს, ყვირილს, ძახილს. რაღა საჭიროა, რომ კიდევ ჴმითა დიდითა დაემატოს?

C-ს ჴმობდეს-ის ნაცვლად ღაღატ-ყვეს ურჩევია, მაგრამ ჴმითა დიდითა არ დაუმატებია (ღაღატ-ყვეს და თქუეს).

მ. 21, 15. რომელ-იგი ქმნნა იესუ სასწაულნი ———CႢ.

არც ბერძნულში, არც სომხურში იესუ ნახსენები არაა. რ. გ. ი.-ში სუბიექტად ნაცვალსახელებია წარმოდგენილი (სხვანაირად არც შეიძლებოდა). ქართულში (DEFG) დაკონკრეტებულია, თუ ვინ ჩაიდინა ეს საკვირველებანი. C და გიორგი კვლავ ერთად არიან.

მ. 22, 25. პირველმან მან შეირთო ცოლი ——FGႢ.

ბერძნულში არის γήμας (γαμήσας). γαμέω ბერძნულად ცოლის შერთ-

ვას ნიშნავს და იქ ცალკე ცოლის ხსენება არაა საჭირო. ქართული შერთვა, შეირთო უეჭველად ცოლის შერთვას (ცოლის მოყვანას) არ ნიშნავს. მაგალითად: ერთი მორწმუნჱ შეირთეს (სინ. 141, 21) = შეიერთეს; ამიერითგან ჩუენცა შეგჳრთნეს ყრმათა მათ და მოგუცნეს ქალნი (იქვე, 143,1) = შეგვიერთეს, შეგვიზიარეს, მათთან გაგვაერთიანეს. ამიტომ ქართულში სჯობია, რომ ცოლი დაემატოს (შეირთო ცოლი), როგორც აქვს DE-ს. ეფთვიმემ ამოაგდო ეს ცოლი (ბერძნულში არაა), ხოლო გიორგიმ უკრიტიკოდ მიიღო დიდი წინაპრის ახლებური წაკითხვა. C-ს ეს ადგილი (პირველმან მან შეირთო ცოლი) სულ არ მოეპოვება.

მ. 23, 27. რომელნი გარეშე ჩანედ კაცთა წინაშე
შუენიერ ———CႢ.

„კაცთა წინაშე“ არც ბერძნულშია და არც სხვაგან (ს. რ. გ. ი.-ში). იგი შეიძლება ქართულ ნიადაგზე იყოს დამატებული: კაცს ეჩვენებათ. მაშინ კაცი აქ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის მნიშვნელობით იქნება ნახმარი (შდრ. კაცს ეგონება, კაცი იფიქრებს, კაცმა რომ თქვას). დავძენთ ბოლოს, რომ გერმანული man (man sagt, man muss eilen...) ასევე der Mann-იდან არის მიღებული.

მ. 24, 18. ნუ უკუნიქცევინ კუალად აღებად... ———Ⴂ.

კუალად არაა ბერძნულში (არც სხვაგან): ის აქ არცაა საჭირო: ბერძნული ἐπιστρέφω სწორედ მობრუნებას ნიშნავს, ხოლო ὀπίσω ქართულში უკუნ ზმნისწინით არის გადმოცემული. მაშ რაღას აკეთებს აქ კუალად? C-ს მნიშვნელობის გასაძლიერებლად ზმნიზედა უკუმომართ დაუმატებია (ნუ უკუმოიქცევინ უკუმომართ), მაგრამ არც ეს ტავტოლოგია ამართლებს საქმეს: ქცევა (მიქცევა, მოქცევა...) სწორედ მობრუნებას აღნიშნავს. ესაა მისი პირვანდელი მნიშვნელობა. მიმართულების დასაზუსტებლად უკუნ ზმნისწინის დართვა სავსებით საკმარისია ორიგინალის აზრის გადმოსაცემად. ამიტომ გიორგი აქაც ზუსტია და მისი წაკითხვა — ერთადერთი.

მ. 24, 20. გინა დღესა შაბათსა ———CႢ.

შდრ. μηδὲ (ἐν) σαββάτῳ.

დღესა მხოლოდ ინგლისურს დაუმატებია (on the sabbath day), სხვებს არა აქვთ. ხოლო სომხურს არც შაბათი მოეპოვება. იქ მხოლოდ ზამთარია ნახსენები (*ձմերայնի*). დღესა არც ადიშს აქვს. ასე რომ, გიორგი აქაც ბერძნულის ერთგულია და ზედმეტი სიტყვა არ შეაქვს ტექსტში. აზრი უიმისოდაც ნათელია.

მ. 24, 36. არავინ იცის, არცა ანგელოზთა ცისათა,
არცა ძემან, არამედ მამამან მხოლომან ———Ⴂ.

ვანის ხელნაწერის (H) 66r-ს არშიაზე ტექსტის ხელით წერია: „არცა ძემან“ — ესე სიტყუაჲ სამთა ბერძულთა სახარებათა არა ეწერა, არცა მე დავწერე“. სულ ასევე წერია აგრეთვე ეჩმიაძინის ხელნაწერის (I) 66r-ს არშიაზეც[1]. შენიშვნა სწორია.

---

[1] ნ. ამის შესახებ ნ. მარი, Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию: Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, VII, С.-Петербург, 1911, стр. 190; ვ. თოფურია, ორმაგი უარყოფა ქართულში: „წელიწდეული“, I—II, 1923—1924, გვ. 87, შენ. 3; ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, პარიზი, 1938, გვ. 35—36; ი. შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, 1945, წინასიტყვაობა, გვ. 011; ქრ. შარაშიძე, საქართველოს სახ. მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A ფონდი), IV, 1954, გვ. 409; ც. ჭანკიევი, ვანის, ლაბსყალდისა და ეჩმიაძინის ოთხთავთა მიმართებისათვის: „მრავალთავი“, IV, 1975, გვ. 9—11.

მართლაც, ზოგ ბერძნულ გამოცემაში მოიპოვება ეს ადგილი (οὐδὲ ὁ υἱός), ზოგში — არა. ეს სიჭრელე კარგადაა ასახული ქართულშიც: CDEFGK-ს აქვს იგი წარმოდგენილი, ხოლო HI-ს — არა. ცხადია, პირველთ ერთი ტიპის („არცა ძემან“-ის შემცველი) ბერძნული ხელნაწერები ჰქონდათ ხელთ, მეორეთ — სხვა ტიპისა (სადაც ეს სიტყვები არ იყო).

ნახეთ, როგორი გულისყურით და პასუხისმგებლობით ეპყრობოდნენ ჩვენი ძველი მწერლები და გადამწერები ტექსტში ერთი სიტყვის შეტანისა და ტექსტიდან მისი ამოღების საკითხს[1].

როგორღაა საქმე სხვა ენების თარგმანებში? აქაც ჭრელი სურათია: სომხურს მოეპოვება იგი (*եւ ոչ որդի*). რ. გ. ი.-ს — არა.

მ. 25, 1. განვიდეს მიგებებად სიძისა და სძლისა ———Ⴂ.

ზოგ ბერძნულ გამოცემაში მხოლოდ სიძე იკითხება (... τοῦ νυμφίου), ზოგი ასევე სიძეს ტოვებს ტექსტში, მაგრამ სქოლიოში უმატებს სძალსაც (+ καὶ τῆς νύμφης). ქართულშიც ორივე ეს წაკითხვაა ასახული. ეს რყევა კარგად ჩანს თვით ერთსა და იმავე ხელნაწერშიც. ასე, მაგალითად, C-სა და D-ს ჯერ „სიძისა და სძლისა“ დაუწერიათ, მაგრამ შემდეგ სძლისა ამოუფხეკიათ! გიორგი მხოლოდ სიძეს ასახელებს, როგორც ბერძნულ სახარებათა ძირითად ტექსტებშია ხოლმე მოცემული (სქოლიოში დამატებულ სძლისა-ს უკუაგდებს).

ბუნებრივია, სხვა ენების თარგმანებშიც ასეთი ჭრელი სურათი გვქონდეს; ასე, მაგალითად, სომხურსა და გერმანულს სიძეც აქვთ და სძალიც, ხოლო რუსული და ინგლისური მხოლოდ სიძეს წარმოგვიდგენენ.

მ. 25, 13. იღვძებდით უკუე თქუენცა, რამეთუ... ———CႢ.

შდრ. γρηγορεῖτε οὖν, ὅτι...

თქუენ არც სხვა ენებზე გვაქვს, ის თავისთავად იგულისხმება ზმნის ფორმით. ამიტომ აუცილებელი არ არის, თუმცა მისი წარმოდგენით არაფერი დაშავდება. რაც შეეხება თქუენ-ზე ცა ნაწილაკის დამატებას, იგი, უნდა ითქვას, აქ მისწრებაა: თქვენც ისე ფხიზლად იყავით (მღვიძარე იყავით), როგორც ის 5 ბრძენი ქალწულიო. ეს სრულყოფილი აზრი ისე არ გამოვა, თუ თქუენცა არ აღდგა და არ გამოვიდა საგულვებელი მდგომარეობიდან და განცხადებულად არ შევიდა წინადადებაში, როგორც სრულუფლებიანი დამოუკიდებელი წევრი. მაგრამ რაკი ბერძნულში არაა იგი, გიორგისაც, სამწუხაროდ, არ შეაქვს თავის რედაქციაში. უფრო ადრე თქუენცა-ს ტექსტში შეტანაზე უარი თქვა ადიშმაც (მაგრამ მას მიაყოლა სრულიად საჭირო სიტყვა „უკუე“).

მ. 25, 16. და მეყსეულად წარვიდა ———Ⴂ.

ამ მაგალითში არც დაკლებაზე შეიძლება ვიმსჯელოთ და არც დამატებაზე. საქმე ისაა, რომ წინა (მე-15) მუხლიც იმავე სიტყვით თავდება, რომლითაც იწყება მომდევნო (მე-16). ესაა წარვიდა. სადაღაც მეყსეულად მათ შორის არის მოთავსებული. ამიტომ ზოგნი მას პირველ წარვიდა-ს (პატრონის წასვლას) უკავშირებენ და მე-15 მუხლში შეაქვთ, ზოგნი — მეორე წარვიდა-ს (პირველი მონის წასვლას) და ამიტომ მე-16 მუხლში აქვთ შეტანილი. ეს სხვადასხვაგვარი გაგება თვით ბერძნულშიც არის, ასეა იგი ქართულშიც. ამგვარი სიჭრელეა აგრეთვე სხვა ენების თარგმანებშიც: რუსულს, გერმანულსა და ინგლისურს იგი წინა, მე-15, მუხლში შეაქვთ (როგორც ქართულში გიორგის), ხოლო სომხურს,

---

[1] ამის შესახებ საუბარი გვქონდა უფრო ადრეც (გვ. 57—58).

როგორც მოსალოდნელი იყო, — მე-16-ში. როგორც მასთან ახლო მყოფ (C)DE (FG) ხელნაწერებს. დავძენთ ბოლოს, რომ C-ს სხვა ფუძის ზმნიზედა აქვს გამოყენებული — მუნქუესვე.

მ. 26, 19. ...პასქაჲ იგი, რომელ არს ვნებაჲ ———CႢ.

ეს არის პასქა-ს განმარტება და, ცხადია, იგი ბერძნულში, არც სხვა ენების თარგმანებში, არ არის (სხვა ენებს იგი ნათარგმანი აქვთ: *զատիկ*, Ostermahl, passover). ქართულში იგი მხოლოდ DE-ს მოეპოვება. აღსანიშნავია, რომ FG-ს ამასთან ერთად აკლია თვით პასქაჲ და უშუალოდ მის წინ მდგარი ზმნაც („მოუმზადეს პასქაჲ იგი“). ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ როცა ეფთვიმემ „რომელ არს ვნებაჲ“ უკუაგდო და წაშალა, გადამწერებმა უყურადღებობით მას მიაყოლეს მის წინ მდგარი ზმნაც (დაუმზადეს)?

ასეთივე სურათია აგრეთვე ქვევითაც (ლ. 2,41; ი. 11, 55; 13, 1), სადაც პასექის ასახსნელადაც მოცემულია იგივე „რომელ არს ვნებაჲ“. ამიტომ მათზე ცალკე არ შევჩერდებით.

მ. 26. 33. დაღათუ სხუანი ყოველნი დაბრკოლდენ ———CႢ.

შდრ. εἰ (καὶ) πάντες...

სხუანი არსად არ არის. ხომ არ არის იგი აქ ზოგ ბერძნულ გამოცემაში მოცემული καί-ს საზაღლო: ყველაცო, ყველანიცო, ყოველნიცო? მართლაც, ყველაც = ყველა სხვა. ქართულად ასე უფრო კარგად გამოდის: თუნდაც რომ სხვა ყველა შეცდეს (დაბრკოლდეს), მე მაინც არ შევცდები (არ დავბრკოლდები, არ გიღალატებო). მაგრამ რადგანაც ბერძნულში სხუანი არა გვაქვს. გიორგი მას უკუაგდებს. C-მ უფრო ადრე უარყო იგი. გიორგი ზოგჯერ C-საც უწევს ანგარიშს, განსაკუთრებით მაშინ, როცა სადავო წაკითხვას ბერძნულიც უჭერს მხარს.

მ. 26, 73. შემდგომად მცირედისა ჟამისა მოუჴდეს ———Ⴂ.

შდრ. μετὰ μικρὸν δὲ προσελθόντες, *սակաւ մի*, немного спустя, nach Kurzem... არსად ჟამი ან დროის აღმნიშვნელი სხვა ლექსიკური ერთეული არაა, მაგრამ კი იგულისხმება. და ის, რაც აუცილებლად იგულისხმება, სიტყვიერადაც დამატებულია ქართულში. Немного спустя, nach Kurzem ცნობილი იდიომატური გამოთქმებია ამ ენებში. დღეს ჩვენ ვიტყოდით: მცირე ხნის შემდეგ. ცოტა ხნის შემდეგ... მაგრამ რადგანაც ჟამი აქ ბერძნულში არ არის. გიორგიც უარს ამბობს მის შენარჩუნებაზე. ჩვენ გვგონია, „შემდგომად მცირედისა“ ბერძნულის მეტისმეტი ერთგულებაა და ქართულად ცოტა მოიკოჭლებს, სხვები, სადაც ჟამი გვაქვს, გაცილებით უკეთესია.

მ. 26. 74. მაშინ იწყო პეტრე შეჩუენებად ———CႢ.

არც ბერძნულში, არც სხვაგან პეტრე არსად არაა დასახელებული (ეს გასაგებიცაა: წინა მუხლებში სწორედ პეტრეზეა ლაპარაკი და დასახელებულიცაა: მ. 26, 69, 72, 73). ზოგან მხოლოდ ნაცვალსახელითაა წარმოდგენილი (он, er. he). ქართულში აზრის მეტი სიცხადისათვის პირდაპირ არის დასახელებული პიროვნება. ვინც ქრისტეს შეჩვენება დაიწყო. ესაა აზრის კონკრეტიზაცია, რაც დამახასიათებელია, სხვებთან ერთად, CDEFG ხელნაწერებისათვის (CႠႢ რედაქციებისათვის).

მ. 27, 5. და წარვიდა და შიშთვალ-იბა და მოკუდა ———CႢ.

მოკუდა არსად არ არის, არც უნდა: თუ თავი ჩამოიხრჩო (удавился, erhenkte sich...), ცხადია, მოკვდა კიდეც. ამიტომ მოკუდა, როგორც ზედმეტი სიტყვა, არ არის შეტანილი ტექსტში. მაგრამ მეტი სიცხადისათვის მაინც

დაუმატებიათ მოკუდაო. ეს, ალბათ, სადმე სხვაგანაც იქნებოდა (და იქნება[1]). ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მხოლოდ ქართულში ვიცით, ისიც DEFG-სა და მათი რედაქციის ხელნაწერებში (უფრო ზუსტად: C რედაქციის ნუსხებში. ეფთვიმემ ეს წაკითხვა ამჯობინა და სადაო მოკუდა შეიტანა თავის რედაქციაში).

C? C რაღას შვრება? მოკუდა არც მას მოეპოვება. ამით იგი აქაც გიორგის წინაპარი და წყაროა.

მ. 27, 7. და ზრახვა-ყვეს და მოიღეს ვეცხლი
იგი და მოიყიდეს მით აგარაკი მეკეცისაჲ ———CႢ.

შდრ. συμβούλιον δὲ λαβόντες ἠγόρασαν ἐξ αὐτῶν τὸν ἀγρὸν τοῦ κεραμέως.

არც აქ, როგორც ვხედავთ, არც სხვაგან (ს. რ. გ. ი.-ში) ვერცხლის მოტანაზე არაფერია ნათქვამი. ეს დამატება აზრის სიცხადის სურვილმა გამოიწვია: მოიტანეს ფული (იუდამ რომ მიუყარა მღვდელმთავრებს) და იმით მეკეცისაგან მიწა იყიდესო. ვინ დაუმატა ეს ვერცხლის მოტანა, ჯერ გარკვეული არაა. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით იგი ქართულში გვაქვს (DEFG-ში). C კი აქაც ცალკეა და მდუმარედ გიორგისთან დგას, როგორც მისი პირველწყარო.

მ. 27, 40. და იტყოდეს: ეჰა, რომელი დაჰხსნიდ
ტაძარსა მას ———Ⴂ.

შდრ. ὁ καταλύων τὸν ναόν.

ეჰა-ს შესატყვისი რამ არც რუსულშია, არც ინგლისურში. გერმანულში არის შორისდებული ei; ქართულთან უფრო ახლოა სომხური, სადაც გვაქვს ახალ ქართულში კარგად ცნობილი ვაჰ (վահ). ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს: ალბათ, სადღაც ბერძნულშიც იყო ამის შესატყვისი მასალა, რომელიც ახლა არა ჩანს. ისე ქართულ-სომხურ-გერმანული თარგმანები თვითნებურად ვერ შეიტანდნენ ტექსტში შორისდებულს. არადა კონტექსტის აზრი ისეთია, რომ უეჭველად საჭიროებს მას. C-ს აქ მ გამოუყენებია.

„—“ იჴსენ აწ თავი თჳსი ———CႢ.

შდრ. σῶσον σεαυτόν.

აწ, როგორც ვხედავთ, არა გვაქვს ბერძნულში, ის არც სხვა ენების თარგმანებშია. უხდება კი აზრის მიმდინარეობას: (აბა, თუ შეგიძლია.) ახლა იხსენი შენი თავიო.

საიდან გაჩნდა მაინც აქ ეს აწ? იგი აქ გადმოსული უნდა იყოს 42-ე მუხლიდან, სადაც იკითხება:

უკუეთუ მეუფჱ ისრაჱლისაჲ არს, გარდამოჴედინ აწ მაგიერ ჯუარით, და გურწმენეს ეგე!

აწ ამ ადგილას ყველგან არის (νῦν, այժմ, теперь, jetzt, now). მსგავსი სიტუაციაა ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ შემთხვევაშიც (მ. 27, 40), ამიტომ აქედან იქაც გადაიტანეს ეს სადავო აწ. ამის მსგავსი გადატან-გადმოტანა ჩვენ არა ერთი და ორი გვაქვს აღნიშნული წინა თავებში.

მ. 27, 64. აღდგა იგი მკუდრეთით ———Ⴂ.

შდრ. ἠγέρθη ἀπὸ τῶν νεκρῶν.

იგი არა გვაქვს არც სომხურსა და რუსულში. მოეპოვება გერმანულსა და ინგლისურს. აქ მისი გამოტოვება შეუძლებელიც არის. მაგრამ სათანადო ნაც-

---

[1] შიშთეილ-ობა სიტყვასიტყვით არის: თავის დასახრჩობი თოკი მოიბა. საბა ბრძანებს: „შიშთკლი არს საბელი სახრჩობელი“ (საბელი). თუ ასეა, შიშთეილ-ობა ყოველთვის არ ნიშნავს სიკვდილს (მოიბა, მაგრამ არ დაიხრჩო: ან გაწყდა თოკი, ან გადაარჩინეს). ამის გამო ხომ არ დაუმატეს: (არ გადარჩენილა,) მოკვდაო?

ვალსახელის დამატება ან დაკლება არ წარმოადგენს სარედაქციო საკითხების კვლევის მნიშვნელოვან საბუთს. ჩვენც ასეთ მაგალითებს ძალიან იშვიათად, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში მივმართავთ.

მრ. 2, 14. და მიერ წარმოვიდოდა და იხილა ———FGᲂ.

შდრ. καὶ παράγων εἶδεν.

παράγω ნიშნავს წასვლას, გავლას, ჩავლას, ახლო გავლას. ზოგან ამ მნიშვნელობით თანა-წარსლვა იხმარება (მრ. 2, 23; 9, 30 C; 11, 20; 15, 29 C). ბერძნულში ამ გაგებით მეორე ზმნაც გამოიყენება— παραπορεύομαι. მიერ აქ არც ერთ შემთხვევაში არ არის საჭირო.

FG-ს გადამწერებს, ალბათ, გრაფიკულ ხიადაგზე, მერმე დაუწერიათ (მიერ — მერმე). თქმა არ უნდა, გიორგის მარტივი წაკითხვა (მიერ-ის გამოკლება) სწორი და ერთადერთია.

მრ. 3, 5. განირათხ ჴელი შენი! და მან განირთხა ჴელი —Cᲂ.

შდრ. ἔκτεινον τὴν χεῖρα (σου). καὶ ἐξέτεινεν.

ჴელი კი (მეორედ) არც აქაა (ჱ.) და არც სხვაგან. საჭიროც არ იყო მისი განმეორება: იესუმ (ხელგამხმარ) ავადმყოფს უთხრა: გაშალე (გაჭიმე) შენი ხელით. და მან გაშალა (გაჭიმა). თავისთავად იგულისხმება, რომ ავადმყოფი ხელს გაშლიდა და არა ფეხს. გიორგი აქაც ზუსტია და ზედმეტ სიტყვას არ შეიტანს ტექსტში. დავძენთ კიდევ, რომ, როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, C აქაც პირველია: ჴელი არც მას დაუმატებია (და წარჱოირთხა).

მრ. 3, 9. რაჲთა არა შეეახლნენ მას და შეაიწრონ ———Cᲂ.

შდრ. ἵνα μὴ θλίβωσιν αὐτόν.

არ არის აგრეთვე ს. რ. გ. ი.-შიც. ქართულში (შეიძლება სხვაგანაც) ის, როგორც ჩანს, აზრის დაზუსტების მიზნით არის დამატებული: ახლოს მისვლით, მიწყდომით რომ არ შეევიწროებინათო.

მრ. 3, 18. მათეოზ მეზუერჱ და თომა ———ᲂ.

თვით ბერძნულში ეს მეზუერჱ ზოგან ყოფილა, რასაც უჩვენებს ზოგი ბერძნული გამოცემის სქოლიოში მოყვანილი ვარიანტები. სომხურში ეს სახელი (*մաքսաւոր*) თვით ტექსტშია შეტანილი ისე, როგორც ჩვენს CDE(FG) ხელნაწერებში (ს. = DE).

მრ. 6, 47. იყო კუალად ნავი იგი... ზღუასა მას ———Cᲂ.

ბერძნულში „კუალად"-ის შესატყვისი πάλιν არ არის. ამის ადგილას იქ გვაქვს გარეგნულად მსგავსი სიტყვა πάλαι, რაც ნიშნავს დიდხანს, დიდი ხნიდან. ეს უფრო უდგება ტექსტის აზრს, შესაძლებელია DE რედაქციის თარგმანში πάλαι და πάλιν სიტყვების ალრევასთან გვქონდეს საქმე. ბოლოს ისიც უნდა დავძინოთ, რომ ეს πάλαι გვხვდება ზოგი ბერძნული გამოცემის ვარიანტებში (სქოლიოში) და არა თვით ტექსტში. გიორგი ეყრდნობა კანონიკური ტექსტის წაკითხვას და ასეთ საეჭვო სიტყვას თავის რედაქციაში ადგილს არ უთმობს.

როგორღაა საქმე სხვა თარგმანებში? ს. რ. გ. ი. იმას არ იცნობს. იგი არ მოეპოვება ჩვენს C-საც და ამითაც გიორგის წყაროს წარმოადგენს.

„—" და იგი თავადი მარტოჲ იყო ქუეყანასა ———ᲂ.

შდრ. καὶ αὐτὸς μόνος ἐπὶ τῆς γῆς.

ეს იყო მარტო გერმანულს აქვს, სხვებს — არა. როგორც ჩანს, განმეორებას მორიდებიან (იყო... ნავი... თავადი იყო). ქართულში ეს მეორე იყო ტყუილად არ დაუმატებიათ: ამ ორ იყო-ს შორის კარგა დიდი მანძილია (11 სიტყვა) და განმეორების მწვავე სუსხი სრულებით არ იგრძნობა. გიორგი ცალი

თვალით ბერძნულს უყურებს და, რაკი იქ არ არის, თვითონაც უარს ამბობს ტექსტში ამ სიტყვის დატოვებაზე.

მრ. 10, 23. ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა: ამენ გეტყჳ
თქუენ —— —CႢ.

არა აქვთ ბ. ს. ლ. რ. გ. ი. ენებს. არც ბერძნულის ვარიანტებში ჩანს. მაშ საიდან გაჩნდა აქ ეს „ამენ გეტყჳ თქუენ“? იგი უნდა მომდინარეობდეს მათეს სახარებიდან, სადაც ეგევე არაკი უფრო ადრეა მოთხრობილი: „ხოლო იესუ ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა: ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ მდიდარი ძნიად შევიდეს სასუფეველსა ღმრთისასა“ (მ. 19, 23). ამ ადგილას ყველა ენაზე გვაქვს ეს სადავო სიტყვები: რა თქმა უნდა, ის იქ მოეპოვება გიორგისაც. და აი მარკოზის სახარებაში ამ მსგავსი სიტუაციის (სახარების ცნობილი არაკის) განმეორებისას გადმოიღეს ოთხთავის ენისათვის ესოდენ დამახასიათებელი სპეციფიკური გამოთქმა. C და გიორგი აქაც ფხიზლად დგანან და ზედმეტ სიტყვებს საიმედოდ უღობავენ კარებს.

მრ. 12, 7. ხოლო ქუეყანის-მოქმედთა მათ ვითარცა
იხილეს იგი მომავალი (მათა), თქუეს ურთიერთას ———Ⴂ.

შდრ. ἐκεῖνοι δὲ οἱ γεωργοὶ πρὸς ἑαυτοὺς εἶπαν.

ხაზგასმული სიტყვები არა აქვს აგრეთვე რუსულს, გერმანულს, ინგლისურს. მხოლოდ სომხური ეხმაურება მოძმე DE ვერსიას და წერს: *տեսեալ զնա թէ գայ.* რამდენადაც ხელი მიგვიწვდება, მხოლოდ ქართულსა და სომხურ ვერსიებს აქვთ ეს მეტი სიტყვები. მათი წარმომავლობის საერთო გზა აქაც ნათელია.

მრ. 12, 14. ჰკითხვიდეს მას ზაკუვით და ჰრქუეს ———Ⴂ.

ეს სიტყვებიც არა გვაქვს ბ. რ. გ. ი.-ში, არის მხოლოდ ისევ იმავე სომხურში: *հարցանէին ցնա նենգութ՛բ եւ ասէին.* აქაც იგივე ითქმის: ერთი საერთო სათავე ნათელი უნდა იყოს.

მრ. 12, 15. რაჲსა გამომცდით მე, ორგულნო ———Ⴂ.

შდრ. τί με πειράζετε.

ორგულნო არა აქვთ აგრეთვე რუსულს, ინგლისურს; ცოტა სხვანაირად, მაგრამ მაინც მოეპოვება გერმანულს შესატყვისი სიტყვა: warum fraget ihr mich so verfänglich. ზუსტი შესატყვისით იგი კვლავ სომხურს აქვს წარმოდგენილი: *կեղծաւորք.* კრიტიკულ მომენტებში ს. და DE ყველგან ერთად არიან. C-ს ამ შემთხვევაში ორგულის სინონიმი მზაკუვარი გამოუყენებია.

მრ. 13, 2. ამენ გეტყჳ თქუენ (შენ DFG):
არა დაშთეს... ———CႢ.

ეს სიტყვები არა გვაქვს ბ. რ. გ. ი.-ში, მაგრამ ზოგი ბერძნული გამოცემის სქოლიოში კი არის მითითებული. ჩანს, სადღაც-სადღაც ყოფილა, მაგრამ გამოცემის ტექსტში არაა შეტანილი. შეიძლება ასეთი ვერსიიდან მოდის ქართულში სადავო სიტყვები. მეორე მხრივ, უნდა აღინიშნოს შემდეგიც: ეგევე ეპიზოდი მათეს თავშიც არის მოცემული (24,2) და სწორედ იქ გვხვდება „ამენ ვეტყჳ თქუენ“. შეიძლება დავუშვათ, რომ მსგავს შემთხვევაში აქაც გაიმეორეს ისინი, თუმცა ბერძნულ ტექსტში არ იყო. მართალია, ბერძხულში ამ ადგილას არ იყო, მაგრამ ჩვენს განათლებულ მწერლებსა და გადამწერებს კარგად ახსოვდათ ისინი მათეს სახარებიდან (ბევრმა ზეპირადაც იცოდა ეს წმინდა წიგნი) და ახლა, როცა სათანადო სიტუაცია განმეორდა, ადრე შეხვედრილი „ამენ გეტყჳ თქუენ“ აქაც ჩასვეს თავის ადგილას. შევნიშნავთ, რომ FG, რომელიც C რედაქციას ეყრდნობა, მეორე პირს მხოლობითში წარმოგვიდგენს (ამენ გეტყჳ შენ). წინამავალი ზმნაც მხო-

ლობითის ფორმითაა (ხედავა); D და E განსხვავებულად იქცევიან: E-ს აქვს თქუენ (როგორც მათეს თავში იყო), D-ს კი — შენ, თუმცა ზმნა აქაც მრავლობითშია (როგორც მათეში) — ჰხედავთა. მაგრამ ეს წვრილმანია.

ახლა ვიკითხოთ: როგორღა იქცევა სომხური? იგი აქაც (უკვე მერამდენეჯერ!) DE-სთან დგას და ამ სადავო სიტყვებს უკლებლად წარმოგვიდგენს.

C და გიორგი აქაც ერთადაა, ბერძნულს მიჰყვებიან კვალდაკვალ.

მრ. 14, 13. წარვედით თქუენ ქალაქად და
შე-რაძ-ხკდოდით ქალაქად ———CFGῚ.

ეს ხაზგასმული სიტყვები არა გვაქვს ბ. რ. გ. ი.-ში. იგი სხვა ენებიდან მხოლოდ სომხურს მოეპოვება (*եւ իբրեւ մտանիցէք 'ի քաղաքն*). ამ დამატებას ქართულში მხარს უჭერს მხოლოდ ერთი — D ხელნაწერი. ამჯამად D და სომხურია ერთად.

„—“ წყალი ზე ედგას მკართა ———CFGῚ.

მკართა არა გვაქვს სხვაგან (ბ. რ. გ. ი.-ში), არის მხოლოდ სომხურში (*ջրոյ*). აქ სომხურთან ძველებურად მხოლოდ DE დგას; CFG და გიორგი, როგორც ზემორე მაგალითში, ერთად არიან.

მრ. 14, 14. სადა არს საყოფელი ჩემი ———Ὶ.

შდრ. ποῦ ἐστιν τὸ κατάλυμά μου.

მაგრამ ეს μου ზოგ ბერძნულ გამოცემაში აღარ არის. არ არის, ალბათ, იმის გამო, რომ იქვე მოსდევს განმარტება: სადა პასექი მოწაფეთა ჩემთა თანა ვჭამო. არც რუსულს, არც გერმანულს, არც ინგლისურს იგი არ მოეპოვებათ, აქ ყველგან ნაგულისხმევია, რომ სადავო საყოფელი (სავანე, ვანი) შემკითხველს (ქრისტეს) არ ეკუთვნის. მხოლოდ სომხურს აქვს იგი წარმოდგენილი (*իմ*) და ამით კვლავ DE-ს თან ერთად დგება.

მრ. 14, 16. და გამოვიდეს მომზადებად მოწაფენი ———FGῚ.

არც ეს სიტყვაა ბ. რ. გ. ი.-ში; არის მხოლოდ ისევ და ისევ სომხურში (*պատրաստել*). ამჯამად FG და HIK ერთად დგანან, გიორგი ღებულობს ეფთვიმეს წაკითხვას და ის შეაქვს თავის რედაქციაში.

მრ. 14, 29. ხოლო პეტრე მიუგო და ჰრქუა მას ———Ὶ.

შდრ. ὁ δὲ Πέτρος ἔφη αὐτῷ.

ასევე მოკლედ არის მოცემული აგრეთვე სხვა თარგმანებშიც (сказал, sprach, said). მხოლოდ სომხური ეხმაურება DE-ს უფრო სრულ წაკითხვას: *պատասխանի ետ Պետրոս եւ ասէ*. ამ შემთხვევაშიც სომხურიცა და DE-ც ბერძნულთან კი არ არიან მჭიდროდ დაკავშირებული, არამედ ცალკე დგანან, სხვა გზით მოდიან.

ეგევე მეორდება აგრეთვე შემდგომს მაგალითშიც:

მრ. 14, 62. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მას:
შენ იტყჳ, ვითარმედ მე ვარ ———Ὶ.

შდრ. ὁ δὲ Ἰησοῦς εἶπεν, ἐγώ εἰμι.

აქ დამატებული სიტყვები (თითქმის ორი მარტივი წინადადება) არც სხვა ენებზე გვაქვს, მაგალითად: Иисус сказал : я; darauf sprach Jesus zu ihm: ich bin es. მაგრამ გერმანულს აქ ახლავს შენიშვნა: „zu ihm“ fehlt im Griechischen. აქ შევნიშნავთ იმასაც, რომ მეორე წინადადება „შენ იტყჳ“ (შენ სთქუ C) თვით ბერძნულში არის, მაგრამ არა ტექსტში, არამედ ზოგი გამოცემის სქოლიოში (σὺ εἶπας ὅτι...). სომხური რაღას ამბობს? პირწმინდად მიჰყვება DE-ს: *պատասխանի ետ Յ՜ս եւ ասէ ցնա դու ասացեր թէ ես եմ*. სომხურ *ասացեր*-ს

ქართულში უფრო სთქუ შეეფერება, როგორც გვაქვს კიდეც C-ში. ამნაირად, აქაც სომხური და (C)DE ერთი გზით მოდიან და ერთად დგანან.

მრ. 15, 1. და მისცეს იგი პილატეს მთავარსა ———Ղ.

C-ს ეს ადგილი აკლია (მთავარსა არ არის ბ. ს. რ. გ. ი.-ში).

მრ. 15, 3. შეასმენდეს... ფრიად, და მან არარაჲ მიუგო ———Ղ.

არ არის ბ. რ. გ. ი.-ში, მოეპოვება სომხურსა (*ու նա ոչինչ տայր պատասխանի*) და ინგლისურს (but he answered nothing) (DE = ს.).

მრ. 15, 5. ვიდრემდე უკჳრდაცა პილატეს ფრიად ———Ղ.

ფრიად არა გვაქვს ბ. რ. გ. ი.-ში, იგი მოიპოვება მხოლოდ სომხურში (*յոյժ*).

მრ. 15, 40. იყვნეს ვინმე დედანიცა ———CՂ.

ვინმე არ არის ჰ. ს. რ. გ. ი.-ში. ჯერჯერობით მხოლოდ ქართულში (DEFG) ჩანს. შინაარსით ვინმე-ს დამატება არაა გასაკვირი: ის ქალები ტექსტის მიხედვით მანამდე არ იყვნენ ცნობილნი. მაგრამ გიორგი ზუსტი და მკაცრია: არ არის ბერძნულში (არც აუცილებელია), მაშასადამე, არ შევიტან ტექსტში, — აი მისი დევიზი. C-ს ამის ნაცვლად მუნ შეუტანია, მაგრამ ის სულ გაუმართლებელია.

მრ. 15, 46. მოაგორვა ლოდი და დასდვა იგი კარსა ზედა ———CՂ.

„დასდვა ივი" არ არის ბ. ს. რ. გ. ი.-ში, არცაა საჭირო: ბერძნულ ტექსტში ნათქვამია: მოაგორა ლოდი საფლავის კარზეო. თუ კარზე მოაგორა, დაუდვია და ის არის. ეს „დადვა იგი" მეტი კონკრეტულობისათვის არის დამატებული ქართულში (და, ალბათ, სადღაც სხვაგანაც).

ლ. 1, 54. მოჴსენებად წყალობისა თჳსისა CEFG ———Ղ.

ბერძნულსა და რუსულში იგი არა ჩანს. გერმანულს მოეპოვება, მაგრამ სქოლიოში შენიშნულია: „seines" fehlt im Griechischen. აქვს აგრეთვე ინგლისურს (his) და, რაც მთავარია, სომხურსაც (... *իւր*). D-ს შემთხვევით უნდა აკლდეს.

ლ. 1, 65. და მიმოითქუმოდეს ყოველნი ესე სიტყუანი E ———Ղ.

მართალია, ეს და აქ მხოლოდ ერთ ხელნაწერში (E) გვაქვს, მაგრამ გამოცემული ტექსტი სწორედ ამის კვალობაზეა გამართული. ეს და არაა ბ. ს. რ. გ. ი.-ში და არცაა საჭირო. ამ და-თი სულ იცვლება ტექსტის აზრი. თუ ის დარჩება, მაშინ შიშის ზარის დაცემა (შე)ეხება გარემო მკვიდრებსაც და ჰურიასტანის მთის მხარეებსაც; ხოლო თუ ეს და არ იქნება, შიში მხოლოდ გარემო მკვიდრებს მიეწერება, ჰურიასტანის მთის მხარეებს კი — ამ ამბის გავრცელება. ნამდვილადაც ეს მეორე ვარიანტია სწორი. CDFG და გიორგი ზუსტად მიჰყვებიან დედნის აზრს. E-ს რაღაც უბრალო ლაფსუსი უნდა მოსვლოდეს.

ლ. 1, 66. ჴელი უფლისაჲ იყო ყრმისა მის ზედა ———CՂ.

ყრმისა არსად არაა. ქართულში (DEFG) გვაქვს მხოლოდ აზრის დასაკონკრეტებლად: იმ ბავშვზეო (ამ მუხლის წინა ნაწილში ბავშვზეა ლაპარაკი). C და გიორგი აქაც ზუსტად იცავენ ბერძნულის წაკითხვას.

ლ. 2, 25. და იყო მუნ კაცი იერუსალჱმს ———CՂ.

მუნ არ მოიპოვება ბ. ს. რ. გ. ი.-ში. DEFG-ს მუნ კი დაუმატებიათ (უსაფუძვლოდ), მაგრამ (ასევე უსაფუძვლოდ) დაუკლიათ დედნის ἰδού-ს შესა-

ტყვისი: აჰა ესერა (აჰა; ესერა), რომელიც მოეპოვებათ სხვა თარგმანებს (ահա, siehe, behold).

C და გიორგი აქაც ხელიხელჩაკიდებული მოდიან ერთად: არც მუნ ჩაუმატებიათ, არცა აჰა დაუკლიათ (და აჰა იყო კაც ერთ C, და აჰა იყო კაცი Ⴂ).

ლ. 2, 40. ხოლო ყრმაჲ იგი იესუ აღორძნდებოდა ———Ⴂ.

იესუ არაა ბ. ს. რ. გ. ი.-ში; ქართულში ახლაც იმ ყრმის დასაკონკრეტებლად დაუმატესː ის ბავშვი იესუ იყოო.

ლ. 5, 20. და იხილა იესუ სარწმუნოებაჲ მათი ———Ⴂ.

იესუ სხვაგან არსად არაა, ზოგან მხოლოდ ნაცვალსახელია (он, er, he). ზოგან (ბ. ს.) არც ისაა. ქართულში ისევ კონკრეტიზაცია გვაქვს: იგი იესუ არისო.

ლ. 6, 26. კეთილსა გეტყოდიან თქუენ ყოველნი კაცნი ———Ⴂ.
შდრ. ...πάντες οἱ ἄνθρωποι.

მაგრამ თვით ბერძნულში ყველგან არ ყოფილა; იგი არც გერმანულს მოეპოვება. გიორგი ამ უკანასკნელი ჯგუფის ვერსიას ეყრდნობა.

ლ. 7, 17. განეფინა სიტყუაჲ ესე ყოველსა ჰურიასტანსა
მისთჳს და ყოველსა მას გარემო სოფლებსა მისთჳს ———CFGႢ.

ბერძნულში მისთჳს მხოლოდ ერთხელ (I) არის ნახმარი (περὶ αὐτοῦ. ესეც ყველგან არ ყოფილა), მეორეჯერ არსად არ გვხვდება. არც არის საჭირო. სტილისტურადაც უხერხულია 4—5 სიტყვის შემდეგ მისი განმეორება. ხომ არ ცდებიან აქ DE ხელნაწერების გადამწერები (არც ოპიზას, არც ბერთას ის არ მოეპოვებათ)? ბერძნულში ბოლო სიტყვებია: ...καὶ πάσῃ τῇ περιχώρῳ. περίχωρος არის окрестность, სანახები, „გარემო სოფლები“, როგორც ჩვენს ხელნაწერებს აქვთ გადმოთარგმნილი. ხომ არ დაშალეს ეს რთული შედგენილობის სიტყვა ორ ნაწილად: περί და χώρος, რომელთაგან χώρος არის ადგილი, მხარე; ველი, სოფელი; ხოლო περί-ს ერთ-ერთი მნიშვნელობა არის სწორედ: ...თვის, შესახებ. относительно, о (о нем), über. თუ ეს დაშვება სწორია, მაშინ გასაგები იქნება, საიდან გაჩნდა ეს მეორე მისთჳს (რომელიც აქ ყოვლად უმაქნისია): περίχωρος → περὶ χώρου — სოფლებისა მისთჳს.

ეს ზედმეტი მისთჳს ადრე უკუგდებული ჰქონდათ C-სა და FG-ს (ეფთვიმეს). გიორგი უყოყმანოდ უჭერს მხარს მათ წაკითხვას და უმაქნისი სიტყვა არ შეაქვს ტექსტში.

ლ. 9, 49. რამეთუ არა შეგჳდგს ჩუენ თანა ———CFGႢ.
შდრ. ὅτι οὐκ ἀκολουθεῖ μεθ' ἡμῶν.

რა თქმა უნდა, ორპირიან შეგჳდგს (შემოგჳდგს) ფორმას თანდებული არ უნდა. ეს ბერძნული μεθ' (μετά) თანდებულის გადმოტანის სურვილითაა გამოწვეული. სომხურშიც ისეა, როგორც ბერძნულში [იმასაც არა აქვს ორპირიანი (და სამპირიანი) ზმნა]: ընդ մեզ. „ընդ“ იგივე μετά და იგივე თანა არის. გიორგი სავსებით სამართლიანად ეყრდნობა C-სა და FG-ს (შემოგჳდგს ჩუენ).

ლ. 10, 21. გამოუცხადე იგი ჩჩჳლთა ყრმათა ———Ⴂ.
შდრ. καὶ ἀπεκάλυψας αὐτὰ νηπίοις.

νήπιος ჩჩჳლია, ხოლო ყრმათა არც ბერძნულში და არც სხვაგან სადმე (სადაც ხელი მიგვიწვდება) არ გვხვდება. ეს სიტყვები (ჩჩჳლი და ყრმაჲ) ცნობილი სინონიმებია და შესაძლებელია, ერთი მათგანის მეორით შეცვლა სურდათ, ახალი (შენაცვლებული) მიუწერეს გვერდით, ხოლო ძველის წაშლა და ამოღება დაავიწყდათ. და დარჩა ასე და მოდის და მოდის განუკითხავად.

არა გვგონია, ჩჩჳლთა მსაზღვრელი იყოს, ყრმათა — საზღვრული. საჭირო ცნებას ჩჩჳლი-ც კარგად გამოხატავდა და ყრმაჲ-ც. მთავარია მაინც, რომ ეს ყრმათა არც ბერძნულში და არც სხვაგან არ მოიპოვება, რადგან არც იყო საჭირო.

ლ. 11, 51. ზაქარიაჲსა, ძისა ბარაქისა ———Ⴂ.

ზოგი ბერძნული გამოცემის სქოლიოში მითითებულია, რომ ძისა ბარაქისა ყოფილა თვით ბერძნულში სადღაც და სადღაც. ბერძნულის ვითარება კარგადაა ასახული ქართულშიც; ეს სიტყვები ზოგში არის წარმოდგენილი (CDEFG), ზოგში კი — არა (HIK).

ლ. 13, 1. პილატე სისხლი შეჰრია მსხუერპლთა მათთა თანა ———Ⴂ.

შდრ. ... μετὰ τῶν θυσιῶν αὐτῶν.

ბერძნულში, რასაკვირველია, μετά (თანა) თანდებული უნდა, მაგრამ ქართულში ორ- და სამპირიან ზმნებთან თანა საჭირო არაა; სისხლი შეურია (შეჰრია) მას და არა მასთან. ამიტომ გიორგის ვარიანტი ერთადერთი და მართებული წაკითხვაა.

ლ. 13, 6. ეტყოდა იესუ იგავსა ამას ———CႢ.

იესუ არსად არაა. გერმანულსა და ინგლისურში ნაცვალსახელებია (er, he), ბ. ს. და რ.-ში არც ისაა. ქართულში ეს ნაცვალსახელი გაპიროვნებულია — იესუ. C და გიორგი ამჯობინებენ ბერძნულს გაჰყვნენ ბოლომდე; სუბიექტის ვინაობა ისედაც ნათელია; ზემოთ სულ იესუა სუბიექტი.

ამნაირი შემთხვევები (როცა ადვილად საგულისხმებელი სახელის ვინაობა კონკრეტულად არის დამატებული) სხვაც ბევრია. ქვევით მათ სპეციალურად აღარ შევეხებით.

ლ. 14, 12. ნუცა მოძმეთა შენთა მდიდართა (ჰხადი) ———Ⴂ.

შდრ. μηδὲ γείτονας πλουσίους.

ეს შენთა არც სხვა ენების თარგმანებში გვაქვს. აქ იგი მხოლოდ სომხურ ვერსიას მოეპოვება: *եւ մի՛ դրացիս քո*. სამაგიეროდ სომხურსაც აკლია მოძმეთა-ს მსაზღვრელი მდიდართა. ამის ნაცვლად ცალკე ერთეულად არის წარმოდგენილი დიდებულთა: *եւ մի՛ զմեծամեծս*. აი ამას კი არ ახლავს სადავო *քո* (შენთა). ასეა თუ ისე, სომხური და ჩვენი CDE (ამათზე დაყრდნობით FG-ც) აქაც ძმურად უდგანან ერთმანეთს გვერდში და ერთნაირ თავისებურებას ამჟღავნებენ.

ლ. 18, 28. ჩუენ დაუტევეთ ყოველივე თჳსი ———Ⴂ.

შდრ. ἡμεῖς ἀφέντες τὰ ἴδια.

ესაა სწორედ ქართული თჳსი — საკუთრება, ქონება. მაგრამ ზოგ ბერძნულ გამოცემაში ამის ნაცვლად იკითხება πάντα. ეს კი სწორედ ის ყოველია, რომელიც ქართულში ყველგან გვაქვს, როგორც წინადადების დამოუკიდებელი წევრი (HIK) და როგორც თჳსის მსაზღვრელი (CDEFG). სომხურშიც ორივეა ერთად, როგორც ჩვენს CDEFG-ში. ასე რომ, აქ ვიწრო (სპეციალური) გაგებით დამატება-დაკლებაზე ლაპარაკი არ შეიძლება.

ლ. 18, 30. ცხორებაჲ საუკუნოჲ დაიმკჳდროს ———CFGႢ.

ეს დაიმკჳდროს გვაქვს მხოლოდ DE-ში. აქ პირველი ზმნა (მიიღოს) არ ჩაუთვლიათ საკმარისად კარგა დიდი მანძილით დაშორებული სახელისათვის (მიიღოს... ცხორებაჲ საუკუნოჲ) და ახალი ზმნა დაუმატებიათ (ცხორებაჲ საუკუნოჲ დაიმკჳდროს). არც ბერძნულში, არც რუსულ-გერმანულ-ინგლისურში არა გვაქვს ეს დაიმკჳდროს. სამაგიეროდ იგი მოეპოვება DE-ს ძველ მეგო-

ბარს სომხურსა *ժառանգեսցէ*. კიდევ და კიდევ ვიმეორებთ: ამათ ერთი საერთო სათავე უნდა ჰქონდეთ (— სირიული?).

გიორგი აქ ნდობით უყურებს C-სა და ეფთვიმეს და სადავო სიტყვას ადგილს არ უთმობს თავის რედაქციაში, მით უფრო, რომ ეს სიტყვა ბერძნულში არ მოიპოვება.

ლ. 20, 41. ვითარ უკუე იტყკან თქუენგანნი ვინმე ———Ղ.

არც ბერძნულში და არც სხვაგან არა ჩანს ეს სიტყვები. შეიძლება განზოგადებული იტყკან აქ დაკონკრეტებული იყოს: როგორ ამბობენ თქვენები ამას. შდრ. გერმ.: wie kann man wohl sagen. სხვა ახსნა ჯერჯერობით არა ჩანს.

ლ. 21, 6. არამედ მოვლენან დღენი ———CՂ.

ეს არამედ არ არის ბ. ს. რ. გ. ი.-ში. არამედ აქ შეიძლება იმის გამოა დამატებული, რომ ოთხთავში აქ გამოთქმული აზრის გადმოცემისას ხშირად იხმარება: არამედ მოვლენან დღენი (მ. 9, 15; მრ. 2, 20; ლ. 5, 35 და სხვა) და იქიდან გადმოვიდა აქ როგორც ერთგვარი გაქვავებული ტექნიკური გამოთქმა.

გიორგის ასეთი რამ ვერ შეაცდუნებს, იგი ცალი თვალით სულ ბერძნულს უყურებს, მეორით თვით ქართულში ეძებს დასაყრდენს. და რაკი ბერძნულში არა ჩანს და ქართულშიც C-ს სახით აქვს დასაყრდენი, უყოყმანოდ უკუაგდებს მას.

ლ. 22. 61. უვარ-მყო მე, ვითარმედ არა მიცი მე ———Ղ.

ხაზგასმული სიტყვები არ არის ბერძნულის ტექსტში, არც რ. გ. ი.-ში. მაგრამ ზოგი ბერძნული გამოცემის სქოლიოში არის მითითება, რომ ზოგან ემატებაო (μὴ εἰδέναι με). სომხურში კი დაცულია ისე, როგორც CDE (FG)-ში. საიდან გაჩნდა აქ ეს სიტყვები (სულ ერთია, ბერძნულში თუ სხვაგან, სადაც არის)? მიზეზის მიხვედრა, გვგონია, ძნელი არ უნდა იყოს: ცოტა ზემოთ, იმავე თავში, სადაც ლაპარაკია იმ მომენტზე, როცა ქრისტე პეტრეს პირველად უწინასწარმეტყველებს (ასე და ასე იტყვი შენო), ნათქვამია: „გეტყჳ შენ, პეტრე: არღარა ეყივნოს ქათამსა დღეს, ვიდრემდე სამ გზის უვარ-მყო მე, ვითარმედ არა მიცი მე (22, 34). ასეა ეს ყველგან, ბერძნულშიც და სხვაგანაც. აი ეს სიტყვებია მოყვანილი სადავო ადგილას ცოტა შემოკლებით. ზოგმა გადამწერმა, რომელმაც ზეპირად იცოდა სახარების ეს ყველაზე ტრაგიკული ეპიზოდი მეორეგანაც (22, 61) ისე (სრულად) (გა)დაწერა, როგორც ცოტა ადრე (22, 34) ეწერა.

მაგრამ გიორგი ზუსტია და ბერძნულის ერთგულად მიმდევარი რაც ძირითად ტექსტში არ მოიპოვება, იგი არც თავის რედაქციაში შეაქვს.

ლ. 23, 26. და ვითარცა წარიყვანეს იგი
ჯუარ-ცუმად ———CFGՂ.

არ არის ბ. ს. რ. გ. ი.-ში. დამატებულია აზრის ცხადსაყოფად: ჯუარ-ცუმად, აბა ნადიმზე ხომ არ წაიყვანდნენო. აზრის ნათლად, ცხადად გამოთქმის სურვილი იწვევს ცხადსაყოფი სიტყვის დამატებას.

ი. 1, 18. ღმერთი არასადა ვინ იხილა, გარნა
მხოლოდ-შობილმან ძემან ———Ղ.

გარნა არაა ბ. რ. გ. ი.-ში, მაგრამ არის სომხურში — *բայց*, რაც სწორედ ჩვენი გარნაა (D-ს გარნა-ს სინონიმი არამედ დაუწერია) (ს.=DE).

ი. 1, 36. აჰა ქრისტე, ტარიგი ღმრთისაჲ ———Ղ.

ეს სიტყვაც არ არის ბ. რ. გ. ი.-ში, არის ისევ და ისევ სომხურში: *ահաւասիկ Ք՞ս գառն ա՞յ* (ს.=DE).

ი. 6, 42. ვითარ უკუე იტყჳს აწ ესე ———Ղ.

აწ (ახლა) არ არის ს. რ. გ. ი.-ში. ბერძნულში ზოგან οὖν იკითხება, ზოგან კი — νῦν. აი ამის გამოა, რომ ქართულშიც ზოგან უკუე (οὖν) გვაქვს (Ⴂ), ზოგან კი — აწ (νῦν) (CDEFG).

ი. 11, 34. უფალო, მოვედ და იხილე ———FGႢ.

უფალო ყველგანაა: κύριε, տէր, господи, Herr, lord.

გიორგის იმიტომ არა აქვს, რომ ეფთვიმეს ენდო უკრიტიკოდ. ხოლო რად არა აქვს თვით ეფთვიმეს (ან, უფრო სწორად: FG-ს)? უნდა ვიფიქროთ, შემთხვევით.

ი. 11. 55. იყო მახლობელ პასექი, დღესასწაული
იგი ჰურიათაჲ ———CႢ.

არაა ბ. ს. რ. ი.-ში. არც უნდა: „დღესასწაული“ აქ პასექის განსამარტავადაა ჩამატებული. გერმანულში სააღდგომო დღესასწაული ერთ სიტყვად არის მოცემული: Osterfest.

ი. 12, 1. რომელ-იგი აღადგინა იესუ ———CႢ.

ბერძნულის ზოგ გამოცემაში არის, ზოგში—არა. ქართულშიც ასეა. ს. რ. გ. ი.-ში არაა. მიზეზი გასაგებია: ამავე მუხლში, ცოტა ზემოთ, იესუ უკვე არის დასახელებული (სუბიექტად) და მეორედ მოხსენიება აღარ ჩათვალეს საჭიროდ. გიორგიც C-სთან ერთად უკუაგდებს მას.

ი. 12, 7. უტევეთ მაგას, რაჲთა დღედ... ———Ⴂ.

ბერძნულშიც ზოგან არის ეს რაჲთა (ἵνα), ზოგან — არა. ამის მიხედვით ზმნის ფორმებიც სხვადასხვა სახითაა წარმოდგენილი: τηρήσῃ, τετήρηκεν. ქართულშიც სწორედ ასეა: რაჲთა დამიმარხოს და დამიმარხა. სხვა ენებიდან რაჲთა (զի) და მასთან დაკავშირებული კონსტრუქცია მხოლოდ სომხურს აქვს დაცული. სომხური და ჩვენი (C)DE აქაც ერთად არიან.

ი. 13, 21. შეძრწუნდა სულითა თჳსითა . ———Ⴂ.

შდრ. τῷ πνεύματι, духом, im Geiste, in spiris.

აქ (საერთოდ) ძლიერ სულიერ შეძრწუნებაზეა ლაპარაკი და თჳსითა გაუგებრობით არის დამატებული. ეს თჳსითა მოეპოვება კიდევ მხოლოდ სომხურს, CDE-ს მონათესავეს, თანამოაზრეს, განუყრელ რედაქციულ მეგობარს: *յոգի իւր*.

ი. 16, 23. სთხოვოთ მამასა ჩემსა DEFG,
ითხოოთ მამისაგან ჩემისა C ———Ⴂ.

შდრ. ...αἰτήσητε τὸν πατέρα, отца, den Vater, the father. ჩემსა კი აქ არსადაა. იგი მხოლოდ ისევ და ისევ სომხურს მოეპოვება: *'ի Հօրէ իմմէ*. აი ერთგული რედაქციული ძმობილი!

ი. 17, 7. ყოველი, რომელი მომეც მე, მივეც
მათ. შენგანნი (შენგან FG) არიან ———Ⴂ.

ხაზგასმული სიტყვები არა ჩანს ბ. ს. რ. გ. ი.-ში. მაშ საიდან გაჩნდა აქ ეს მივეც მათ? გვგონია, ამავე (მე-17) თავის 22-ე მუხლიდან, სადაც სრულიად მსგავსი კონსტრუქცია მეორდება: დიდებაჲ, რომელი მომეც მე, მივეც მათ (მრავლ.: სიტყუანი შენნი, რომელნი მომცენ მე, მივსცენ მათ: ი. 17, 8). შდრ. ამათ ჩვენი (სადავო) მუხლის „ყოველი, რომელი მომეც მე, მივეც მათ“. ჩვენმა განსწავლულმა გადამწერებმა ეს ადგილები (მთელი პასაჟები, ზოგმა მთელი წიგნიც) ზეპირად იცოდნენ. ამიტომ ცალკე მუხლის მეტი სიტყვები დაუბრკოლებლად იჭერდნენ ადგილს მსგავსი კონსტრუქციის (განმეორებული არაკის, ამბის...) გამოთქმებში, რომელთაც თითო-ოროლა სიტყვა ნაკლები ჰქონდათ (ეს ასოციაციები, ასოციაციები!).

ი. 17, 8. სიტყუანნი შენნი ———Ⴂ.

შდრ. τὰ ῥήματα, զբանն, слова, die Lehren, the words. ამათ ყველას ერთი სათავე აქვთ — ზემოთ მოყვანილი ბერძნული წაკითხვა. მაგრამ, მეორე მხრივ, თვით ბერძნულში ყოფილა ვარიანტი, სადაც τὰ ῥήματα-ს ემატება სადავო σου (ეს სქოლიოშია აღნიშნული). აი აქედან მოდის ქართულშიც ორგვარი ვარიანტი. გიორგი უფრო გავრცელებულ და მიღებულ ნორმას იცავს, შენნი არ შეაქვს ტექსტში (C-ს ეს ადგილი აკლია).

ი. 19, 40. შეჰგრაგნეს იგი ტილოებითა, არდაგებითა
სულნელთა მათ თანა ———FGჂ.

აქ ერთ ცნებას (ὀθόνιον, τὸ) ორი სხვადასხვა სიტყვა გამოხატავს, რომელთა შინაარსი ერთი და იგივეა. თავიდანვე, ცხადია, ერთ-ერთი უნდა ყოფილიყო, მერმე ერთი მეორით შეცვალეს, ხოლო შემდეგ ტექსტში შემთხვევით ორივე დარჩა. ეს ადრე კარგად შეამჩნია ეფთვიმემ და ორიდან ერთი დატოვა (ტილოებითა). გიორგი ეთანხმება სახელოვან წინაპარს და მის შესწორებას უყოყმანოდ ღებულობს (ნ. ამის შესახებ ზემოთ, გვ. 138)

ი. 21, 12. იცოდეს, რამეთუ უფალი თჳთ იგი არს
... თჳთ უფალი არს FG ———CჂ.

შდრ. ...ὅτι ὁ κύριός ἐστιν.

თჳთ იგი (‖ თჳთ) სხვაგან არაა არსად, ქართულშია დამატებული: იცოდნენ, რომ თვითონ არის უფალიო. სტილისტურად უხდება კიდეც. ასეთ სტილისტურ ჩანამატებს არც C რედაქცია და არც ეფთვიმე არ ერიდებოდნენ. გიორგი კი თავს იკავებს ასეთი დამატებისაგან და ქართულ ტექსტში სიტყვასიტყვით გადმოაქვს ბერძნულის ზუსტი შესატყვისი: „უფალი არს“. თუმცა ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ გიორგის აქ ერთი სიტყვა მაინც დაუმატებია: იცოდეს ყოველთა. ეს ყოველთა სხვაგან არსად არა ჩანს (არც ბერძნულში, არც სხვაგან). სტილისტურად კი იგი ზედგამოჭრილია: ყველამ იცოდა, რომ უფალიაო. ასეა: მაგრამ რას იზამ? მოდი გულს უთხარ, — კარგ სანახავზე ნუ ხარ-თქო ხარბი! (ილია).

ი. 21, 19. ესე ვითარცა თქუა, მერმე ჰრქუა მას:
შემომიდეგ მე ———CჂ.

შდრ. καὶ τοῦτο εἰπὼν λέγει αὐτῷ.

მერმე არც სხვაგანაა (ს. რ. გ. ი.). იგი დამატებულია (სულ ერთია, სად და ვის მიერ) აზრის მეტი სიცხადისათვის: როცა ეს თქვა (თქვა რა ეს), მერმე, ამის შემდეგ უთხრა მასო. მაგრამ გიორგი ასეთ ცდუნებას არ აჰყვება, ის ბერძნულს უყურებს და, თუ აუცილებელი საჭიროება არ არის, ტექსტში ზედმეტ სიტყვას არ შეიტანს. გიორგის ამ შემთხვევაშიც (როგორც სხვა შემთხვევებშიც ძალიან ხშირად) რთული სადავო წაკითხვებიდან სწორი გზის არჩევაში გზის გამკვლევად წინ უძევს დიდებული ადიშის ოთხთავი, რომელიც თავად ასეთი საკითხების გადაჭრისას ხშირად, ძალიან ხშირად ერთადერთ სწორ გზას ირჩევს.

### E. გადასმულია (~)

„გადასვამს სიტყვას ან სიტყვებს“ აქაც ნიშნავს, რომ C რედაქციის სიტყვათა წყობას ცვლის, გადასვამს მათ და სიტყვათა სხვა რიგს გვაძლევს. ეს ხდება, ერთი მხრივ, ბერძნულთან მჭიდრო კავშირის დასაცავად, ბერძნული წყობის შენარჩუნების მიზნით. მეორე მხრივ, სიტყვათა გადასმას თვით ქართულის ბუნებრივი თა-

ვისებურება, წინადადებაში სიტყვათა განლაგების ბუნებრივი თანმიმდევრობა განაპირობებს. მოკლედ: ბერძნულთან მაქსიმალური სიახლოვე და ქართული ენის ბუნებრივი თავისებურებების მტკიცედ დაცვა — აი გიორგის დევიზი საკვლევი ობიექტის ამ მონაკვეთშიც.

მასალებს აქაც წინა თავებში მიღებული წესის მიხედვით განვიხილავთ.

C Ⴂ

მ. 2, 16. (მაშინ) ჰეროდე ვითარცა იხილა CFG ~ ... ვითარცა იხილა ჰეროდე.

ბერძნულის რიგი (τότε Ἡρῴδης ἰδὼν) CDE(FG)-სთანაა ახლო, მაგრამ ქართულის ბუნებრივი რიგი გიორგის აქვს დაცული: აქ ვითარცა-ს სწორედ ზმნა უნდა მოჰყვებოდეს და არა სახელი.

მ. 2, 22. შეეშინა მუნ მისლვად ~ მისლვად მუნ CFG.

თუმცა DE-ს რიგი ბერძნულს მისდევს (ἐφοβήθη ἐκεῖ ἀπελθεῖν), CFGႢ-ს წყობა უკეთესია: უმჯობესია ზმნას (შეეშინა) უშუალოდ მოჰყვებოდეს ის, რაც (რის გამოც) შეეშინა, ე. ი. მისლვად. ზმნიზედა მუნ ამის შემდეგაც კარგად გრძნობს თავს. როგორც ვხედავთ, ეფთვიმემ შეცვალა DE-ს რიგი და C-ს დაეყრდნო, ხოლო გიორგიმ უყოყმანოდ დატოვა CႤ-ს წყობა.

მ. 3, 9. შემძლებელ არს ღმერთი ქვათა ამათგან აღდგინებად C ~ ...აღდგინებად ქვათა ამათაგან FG.

უმჯობესია „შემძლებელ არს"-ს (საერთოდ ზმნის პირიან ფორმას) უშუალოდ მოჰყვებოდეს თვით საწყისი (რის შემძლებელიც არის), მერმე—სხვები. თუმცა CDE აქაც უფრო ახლოა ბერძნულთან (ἐκ τῶν λίθων τούτων ἐγεῖραι), მაგრამ ქართულის ბუნებრივი წყობა უფრო ႤႢ-ს აქვს დაცული.

მ. 3, 11. (რომელი-იგი) ჩემსა შემდგომად მოვალს ~ შემდგომად ჩემსა მოვალს FGႢ. შდრ. ὀπίσω μου. აქ ბერძნულის რიგიც დაცულია და ძველი ქართულის ბუნებრიობაც ხელუხლებელია. ძველ ქართულში სრულიად ჩვეულებრივი და ბუნებრივია ასეთი გამოთქმები: შემდგომად ჩემსა, შ. ამისა, შ. არამრავალთა დღეთა, შ. პარასკევისა, შ. მოწყუედისა, შ. ჴირისა მის, შ. აღდგომისა... ႤႢ რედაქციებში არც მწვადია დამწვარი და არც შამფური.

„—" უძლიერეს არს ჩემსა ~ უძლიერეს ჩემსა არს CFG.

„უძლიერეს ჩემსა" არ გაითიშება, განსაკუთრებით მაშინ, თუ გათვალისწინებული გვექნება ამგვარი (უფროობითი ხარისხის) ფორმების წარმოშობის ისტორია[1]. დავძენთ აქვე, რომ ბერძნულიც მათ ერთად (გაუთიშავად) წარმოგვიდგენს (ἰσχυρότερός μού ἐστιν). გიორგის აქაც თავისი წინაპრების (CFG-ს) სწორი რიგი შეაქვს თავის რედაქციაში.

მ. 4, 1. აღმოიყვანა სულისაგან უდაბნოდ C ~ აღმოიყვანა უდაბნოდ სულისაგან FG.

უნდა: ჯერ სად (გარემ.), მერმე: ვისგან, ვის მიერ (უბრ. დამატ.). ბერძნულშიც ასეა: εἰς τὴν ἔρημον ὑπὸ τοῦ πνεύματος.

მ. 5, 15. ქუეშე შედგიან იგი ჯუიმირსა C ~ დადგიან ქუეშე ჯჳმირსა FG.

ქუეშე ზმნიზედა თანდებულია; როცა იგი თანდებულის როლში გამოდის, სახელს უნდა ახლდეს, მათი გათიშვა შეუძლებელია. ბერძნულშიც იგი თანდებულია

---

[1] ა. შანიძე, პირის ნიშანი ბრუნეიან სიტყვასთან ქართველურ ენებში: თუშ, I, 1936, გვ. 333—340; გ. მაჭავარიანი, შედარებითი ხარისხის ფორმათა გენეზისისათვის ქართველურ ენებში: თუშ, ტ. 71, 1958, გვ. 119—131.

და უშუალოდ სახელთან (სახელის წინ) დგას: ὑπὸ τὸν μόδιον. ეფთვიმემ გაასწორა ეს უხერხულობა, გიორგიმ მიიღო და ასეთივე რიგით შეიტანა თავის რედაქციაში.

„—“ არამედ ზედა სასანთლესა (დადგიან) ~ სასანთლესა ზედა CFG.

თანდებული ბერძნულში ყოველთვის სახელის წინაა (წინდებულია, предлог). ამიტომ იგი ვერ დაგვეხმარება ქართული თანდებულის რიგის საკითხის გარკვევაში. ქართულში კი თანდებული ჩვეულებრივ სახელის შემდეგ დგას, ბოლოსდებულია (послелог). DE აქ ცოდავს, მონურად მისდევს ბერძნულს.

მ. 7, 9. ქვაჲ ნუ მისცეს მას C ~ ნუ ქვაჲ მისცეს(ა) მას FG.

ნუ აქ ნუთუ-ს ნიშნავს [ვინ არის თქვენ შორის ისეთი კაცი, რომელსაც შვილი პურს (რომ) მოსთხოვს, ნუთუ ქვას მისცემს მას?]. ნუთუ (ძველი ნუ) სწორედ იმ სახელის წინ უნდა იდგეს, რომელიც ტექსტის აზრით უარყოფილია (უარსაყოფია). აქ ხაზგასმა და მთელი სიმძიმე სახელს (ქვას) ეხება და არა ზმნას (მისცეს): მიცემა ორივე შემთხვევაში უცვლელია (პურს მისცემს თუ ქვას), ხოლო ქვა ორში ერთია და სრულებით არ არის ერთი, მშიერს საჭმელად პურს მისცემენ თუ ქვას. ბერძნულშიც, რა თქმა უნდა, ასეთივე რიგია მოცემული: μὴ λίθον ἐπιδώσει αὐτῷ.

ასეთივეა აგრეთვე შემდეგი მაგალითიც:

მ. 7, 10. გუელი ნუ მისცეს მას C ~ ნუ გუელი მისცეს მას FG.

შდრ. μὴ ὄφιν ἐπιδώσει αὐτῷ. რა თქმა უნდა, ეფთვიმე (და გიორგი) ერთადერთ სწორ რიგს ირჩევს.

მ. 7, 29. ვის აქუნ ჴელმწიფებაჲ ~ ვის ჴელმწიფებაჲ აქუნ FG.

DE-ს რიგი მაშინ იქნებოდა სწორი, აქ რომ კითხვითი წინადადება გვქონოდა, ე. ი. ვის კითხვითი ნაცვალსახელი ყოფილიყო (ვის აქვს ძალაუფლება?), მაგრამ ტექსტის ვის მიმართებითი ნაცვალსახელია (ვისაც ძალაუფლება აქვს ხოლმე). ამიტომ აქ FGႢ-ს რიგი სჯობია.

მ. 9, 15. ვიდრემდის სიძჱ იგი მათ თანა არს C ~ ვიდრემდე მათ თანა არს სიძე FG.

შდრ. ...μετ' αὐτῶν ἐστιν ὁ νυμφίος (=Ⴂ).

მ. 10, 22. რომელმან დაითმინოს იგი სრულიად, ცხონდეს FG ~ ხოლო რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხოვნდეს CႢ.

შდრ. ὁ δὲ ὑπομείνας εἰς τέλος, οὗτος σωθήσεται.

DE-ს გამოცემაში მძიმე არაა დასმული სწორად და ეს უცვლის ტექსტს შინაარსს.

ტექსტის პუნქტუაციით გამოდის:

ვინც მოითმენს, ის სრულიად, მთლად გადარჩება. ხოლო თუ მძიმეებს დავსვამთ, როგორც ზემოთ განსახილველ მაგალითშია, ტექსტის აზრი იქნება: ვინც ბოლომდე მთლად მოითმენს, ის გადარჩება. ნამდვილადაც ასეთი აზრი აქვს ბერძნულ ტექსტს. ყველას სჯობია C-სა და გიორგის რიგი, ის ბერძნულსაც მიჰყვება და ორაზროვნებასაც სპობს.

ამნაირივე მაგალითი გვაქვს კიდევ მრ. 13. 13-ში, ამიტომ მასზე ცალკე აღარ შევჩერდებით.

მ. 10, 37. ა) ჩემსა უფროჲს CF ~ უფროჲს ჩემსა G
ბ) „ „ C „ „ FG.

ჯერ უფროობითი ხარისხის ფორმა უნდა (მთავარი სათქმელი), შემდეგ — შესადარებელი საგანი. ბერძნულშიც სწორედ ასეა: ὑπὲρ ἐμέ.

მ. 12, 2. ხოლო ფარისეველთა მათ რაჲ იხილეს C ~ ...იხილეს რაჲ FG.

ბერძნული ἰδόντες ქართულის რიგის გარკვევაში ვერას გვიშველის. ძველი ქართულისათვის დამახასიათებელია ფორმულა: ზმნა + რაჲ (იხილეს რაჲ, ესმაჲ რაჲ, ვიდოდა რაჲ, ჯდა რაჲ, ითხევლიდეს რაჲ...). გარკვეულ შემთხვევებში რაჲ ზმნის წინა პოზიციაშიც გვხვდება. ეს უმეტესად მაშინ არის, როცა ამ რაჲ-ს წინ უძღვის დამატება, ხოლო უშუალოდ მოსდევს ზმნა (ამას რაჲ ეტყოდა...).

მ. 13, 7. და ეკალნი იგი აღმოსცენდეს ~ და აღმოსცენდეს ეკალნი CFG.

შდრ. καὶ ἀνέβησαν αἱ ἄκανθαι (=Ղ).

მ. 13, 31. დასთესა მტილსა თჳსსა C ~ დასთესა თჳსსა მტილსა FG.

შდრ. ἐν τῷ ἀγρῷ αὐτοῦ (=C).

მაგრამ ბერძნული აქ, რა თქმა უნდა, ვერას გვიშველის: ბერძნულს სიტყვათა განლაგების (მათ შორის მსაზღვრელ-საზღვრულის ადგილის დადგენის) თავისი საკუთარი წესი აქვს. ძველ ქართულში მსაზღვრელი (ატრიბუტულიცა და მართულ-შეთანხმებულიც) ჩვეულებრივად საზღვრულის შემდეგ დგას. ეფთვიმე და გიორგი ცდილობენ მსაზღვრელი წინ გადმოიტანონ და ის წესი განამტკიცონ, რომელიც დღევანდელ ენაში ბატონობს. ამიტომ ძველებური აგარაკსა თჳსსა ჯერ ეფთვიმემ შეცვალა ახლებურად: თჳსსა აგარაკსა, შემდეგ გიორგიმაც ამ წამოწყებას მხარი დაუჭირა და თავის რედაქციაში ამ ახალი წყობით შეიტანა. ენის განახლების ეს ტენდენცია ორივე მწერალს მკვეთრად განასხვავებს სხვათაგან.

რასაკვირველია, ამას ისინი ყოველთვის ვერ ახერხებდნენ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ბერძნულში მსაზღვრელი მკვიდრად ზის ბოლოში (საზღვრულის შემდეგ). მაგალითად: ἐν τῇ πατρίδι αὐτοῦ (მ. 13, 57) ეფთვიმეს იმავე რიგით გადმოუტანია, როგორც ბერძნულშია (სოფელსა თჳსსა), ხოლო შემდეგ გიორგისაც ამ სახით შეუტანია თავის რედაქციაში (იგი ეფთვიმეს უსაზღვროდ ენდობოდა). შეიძლება ორივე უყურებდა ადიშს, რომელსაც აქ ასეთივე რიგი აქვს დაცული. უცნაური მხოლოდ ისაა, რომ DE რედაქცია, რომელიც, ჩვეულებრივ, ძველ ტრადიციებს ერთგულად იცავს, ამ შემთხვევაში თვითონ გვთავაზობს ახალ რიგს: თჳსსა სოფელსა (!). აი ამაზე იტყვიან: ჩემი შენ გითხარიო...

მ. 14, 2. ესე იოვანე ნათლის-მცემელი არს ~ ესე არს იოვანე ნათლის-მცემელი FG.

შდრ. οὗτός ἐστιν Ἰωάννης ὁ βαπτιστής (=Ղ).

C-ს რიგი სულ უვარგისია: ესე იოვანე არს ნათლის-მცემელი. აქ იოვანე ნათლის-მცემელი გათიშულია ზმნით. რაც დაუშვებელია: იოვანე ნათლის-მცემელი ისეთივე სახელგვარული ერთეულია, როგორც ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, გიორგი ბრწყინვალე და სხვა.

მ. 16, 24. რომელსა უნდეს ჩემდა შემოდგომად ~ შემოდგომად ჩემდა FG.

შდრ. ...ὀπίσω μου ἐλθεῖν (=DE).

DE ბერძნულს მისდევს კვალდაკვალ. ეფთვიმე და გიორგი რიგს ცვლიან: ჯერ ზმნის ფორმა (შემოდგომად), შემდეგ — დამატება (ჩემდა). ეს ჩემდა მხოლოდ იმის შემდეგ არის გასაგები, რაც შემოდგომად ითქვა უკვე ადრე. ამიტომ ԿՂ-ს რიგს უნდა მივესალმოთ.

მ. 17, 2. სამოსელი მისი სპეტაკ იყო FG ~ იქმნა სპეტაკ C.

შდრ. ἐγένετο λευκά.

რიგი CԼ-სა და ბერძნულს ერთნაირი აქვთ. რადგანაც ქვემდებარე (სამოსელი) წინაა, რა თქმა უნდა, უკეთესია, მას შეღგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილი მოსდევდეს, როგორც CԼ-ს აქვთ (...იქმნა).

რაც შეეხება თვით ზმნის მნიშვნელობას, შეუდარებლად უმჯობესია იქმნა, ვიდრე იყო: მისი სამოსელი სპეტაკი კი არ იყო, არამედ მერმე გახდა, მერმე შეიქმნა. როცა იესუმ თავისი მოწაფეები (პეტრე, იაკობ და იოვანე) მაღალ მთაზე აიყვანა და უეცრად მათ წინაშე „იცვალა სხუად ფერად, და განბრწყინდა პირი მისი, ვითარცა მზჱ". აქ ყველგან მოქმედების პროცესია ნაჩვენები, და ამის მომდევნოდ, რა თქმა უნდა, იქმნა უფრო შეეფერება, ვიდრე იყო: სამოსელი მისი იქმნა, ვითარცა თოვლიო. სხვა ენებზეც ასეთი შინაარსით არის ნათარგმნი одежды же его сделались белыми, seine Kleider wurden weiss. ამიტომ CԼ-ს იქმნა ბევრად სჯობია DEFG-ს იყო-ს. ბერძნულის ფუძეს ორივე ეს მნიშვნელობა აქვს (ყოფნა და შექმნა), მაგრამ აქ მეორე უნდა ვიგულისხმოთ.

მ. 17,17. ვიდრემდის თქუენ თანა ვიყო C ~ ვიდრემდე ვიყო თქუენ თანა F.

ბერძნულში ორივე რიგია წარმოდგენილი, ზოგან ერთი, ზოგან მეორე. ქართულშიც ასეთივე სურათია: CDEG ერთს მისდევს, FHIK — მეორეს. ქართულად, ყოველ შემთხვევაში, უკეთესია, რომ ზმნიზედას (ვიდრემდის, ვიდრემდე) ზმნა მოჰყვებოდეს (ამიტომ ჰქვია მას ზმნიზედა, იგი ზმნასთან უნდა იყოს) და არა დამატება-გარემოებანი. მეორე, მომდევნო წინადადებაში ასეც არის ყველგან: ვიდრემდის თავს-ვიდებდე თქუენსა. ამ (II) ადგილას ბერძნულშიც ასეა ყველგან: ἕως πότε ἀνέξομαι ὑμῶν. ამიტომ CԼ-ს პოზიცია თანამიმდევრული და უკეთესია.

მ. 17, 19. მაშინ მოუჴდეს მოწაფენი იესუს C ~ მაშინ მოუჴდეს იესუს მოწაფენი.

CDE ბერძნულს მისდევს კვალდაკვალ, მაგრამ ქართულში ეს რიგი არ ვარგა. რაკი წინადადება (ზმნიზედის შემდეგ), ორპირიანი ზმნით იწყება, ზმნასთან ისევ ირიბი დამატება სჯობდა: მოუჴდეს იესუს მოწაფენი (სულ ერთია, ქვემდებარე პირველ ადგილზე მაინც არაა). FG-ს ერთპირიანი ზმნა (მოვიდეს) აქვს გამოყენებული და მისი წყობაც სულ სხვანაირია (მაშინ მოვიდეს მოწაფენი თჳსაგან და ჰრქუეს იესუს). აქ იესუს თანწყობილი წინადადების მეორე ზმნასთან არის მიკედლებული ისევ იმავე ირიბ დამატებად (...ჰრქუეს იესუს).

მ. 18, 5. ყრმაჲ ერთი CFG ~ ერთი ყრმაჲ.

კვლავ ახალი რიგია.

მ. 18, 10. ანგელოზნი მათნი მარადის ცათა შინა ჰხედვენ ~ ...ცათა შინა მარადის ხედვენ CFG.

DE-ს თავისებური რიგი არც ბერძნულშია (...ἐν οὐρανοῖς διὰ παντὸς βλέπουσι) და არც რაიმე მხრით არის გამართლებული. C-ს თავიდანვე სწორი წყობა ჰქონდა, შემდეგ იგი ეფთვიმემ მიიღო, ხოლო ბოლოს გიორგიმაც ამ სახით შეიტანა თავის რედაქციაში.

მ. 18, 31. იხილეს რაჲ მოყუასთა მისთა..., ფრიად შეწუხნეს ~ ...შეწუხნეს ფრიად CFG.

შდრ. ..ἐλυπήθησαν σφόδρα.

ქართულშიც, რასაკვირველია, ახალი წინადადების დასაწყისში თვით ზმნაა საჭირო, ზმნიზედა მას უნდა მოსდევდეს. ასე ჰქონდა ადრე C-ს, მერმე ეფთვიმეს და გიორგისაც.

მ. 20, 13. დრაჰკანი ერთი FG ~ ერთი დრაჰკანი.

ბერძნულში ერთი სულ არაა ნახსენები, არც ჩვენს ადიშში. გიორგი აქაც ახალ რიგს გვთავაზობს.

მ. 21, 7. დაასხეს სამოსელი მას ზედა C ~ დაასხეს მას ზედა სამოსელი FG.

შდრ. ...ἐπ' αὐτῶν τὰ ἱμάτια (=ႹႢ).

ქართულში ორივე რიგი შეიძლება, მაგრამ მაინც უმჯობესია ႹႢ-ს წყობა. ამას ერთგვარად განაპირობებს ამბის წინა ნაწილი: (იესუს) მოუყვანეს ჳირი და კჳიცი და დადვეს მასზე (მათზე) სამოსელით. აქ ხაზგასმულია ჳირი (და კჳიცი) და არა სამოსელი. ბერძნულშიც, როგორც ვნახეთ, მასზე (მათზე ἐπ' αὐτῶν) წინაა. ასე რომ, ბერძნულისა და ქართულის ბუნება ႹႢ-ს რიგს ამართლებს.

მ. 21, 35. ხოლო მოქმედთა მათ შეიპყრნეს ~ და შეიპყრნეს მოქმედთა მათ CFG.

შდრ. καὶ λαβόντες οἱ γεωργοὶ (=Ⴂ).

აქ ესა თუ ის რიგი გამართლდება იმის მიხედვით, თუ რით დაიწყება წინადადება. წინა მუხლში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ვენახის პატრონმა მიწის მუშებს მონები მიუგზავნა ნაყოფის (მოსავლის) წასაღებად. DE ახალ (35-ე) მუხლს ხოლო-თი იწყებს; ხოლო-სთან კი მოქმედნი სჯობია პირველად: ხოლო მოქმედთა მათ შეიპყრნეს. მეორე მხრივ, CFG და HIK წინადადებას და-თი იწყებენ; აქ კი პირველად (და-ს შემდეგ) ზმნა სჯობია: და შეიპყრნეს მოქმედთა მათ... (ცუდი რიგი იქნებოდა: ხოლო შეიპყრნეს მოქმედთა მათ, აგრეთვე: და მოქმედთა მათ შეიპყრნეს).

ახლა ახალი კითხვა ისმის: და თუ ხოლო? ბერძნულში და გვაქვს (καί), ქართულშიც ის სჯობია; ხოლო აქ არ არის გამართლებული. ამიტომ CFGHIK-ს (CႹႢ-ს) რიგი უნდა მივიჩნიოთ უმჯობესად.

მ. 22, 5. აგარაკსა თჳსსა ~ თჳსსა აგარაკსა FG, თჳსა აგარაკად C.

აქ ბერძნულშიც მსაზღვრელი წინაა: εἰς τὸν ἴδιον ἀγρόν. ესეც რომ არ ყოფილიყო, FG (ეფთვიმე) და, განსაკუთრებით, HIK (გიორგი) ისედაც ცდილობენ, მსაზღვრელ-საზღვრული ახალი რიგით წარმოგვიდგინონ. ამის მაგალითი არა ერთი ვნახეთ და ბევრსაც კიდევ ვიხილავთ.

მ. 22, 17. ხარკისა მიცემაჲ კეისარსა CFG ~ მიცემაჲ ხარკისაჲ კეისრისა.

შდრ. δοῦναι κῆνσον Καίσαρι (=Ⴂ).

მ. 22, 30. არცა ვანჰქორწინებდენ, არცა იქორწინებოდიან FG ~ არცა იქორწინებოდიან, არცა განჰქორწინებდენ.

შდრ. οὔτε γαμοῦσιν οὔτε γαμίζονται (=Ⴂ).

აქედან ჩანს, რომ საქმე ეხება ჯერ ცოლის მოყვანას, მერმე გათხოვებას, როგორც გვაქვს ბერძნულსა და გიორგის რედაქციაში. ასევეა ს. რ. გ. ი.-შიც. მაშ საიდან გაჩნდა DE-ში შებრუნებული რიგი: ჯერ გათხოვება, შემდეგ ცოლის მოყვანა? ამ კითხვაზე ზუსტი პასუხი ჯერ არ არსებობს. შესაძლებელია, სადმე ბერძნულში ან (უფრო მეტად) სირიულში წინ სწორედ გათხოვება იყო, მერმე ცოლის მოყვანა.

ადიშურს არა აქვს ძველ ქართულში ცნობილი კარგი ტერმინები, მაგრამ საქმის ვითარება ნათლად ჩანს: არცა ცოლს ისხმიდენ. არცა ქმრის ვიდოდიან, ე. ი. რიგით გიორგის წინაპარია.

თვით ტერმინები განქორწინება (განჰქორწინებენ) და ქორწინება (იქორწინებოდიან) არაა მოხერხებული: განქორწინებაზე კაცი კიდევ იფიქრებს, რომ აქ ქალის გათხოვებაზეა ლაპარაკი, მაგრამ ქორწინება

(იქორწინებოდიან) გარეგნულად, ენობრივი გარსით არ გვაფიქრებინებს, რომ საქმე ეხება მაინცდამაინც ვაჟების მიერ ცოლის მოყვანას (შერთვას). დღეს ამ ცნებით ორივე სქესის ახლაგაზრდათა შეუღლება (შეერთება) იგულისხმება: „იქორწინა მან“ იმასაც ნიშნავს, ვინც ცოლი მოიყვანა, და იმასაც, ვინც გათხოვდა. ეს ფორმობრივი უხერხულობა, ეტყობა, ძველადაც საგრძნობი ყოფილა და ცდილან, შეექმნათ უფრო შესაფერი და ადვილად გასაგები ტერმინი. და, მართლაც, ძველ ქართულში შექმნეს შემოქორწინება, ე. ი. ცოლის მოყვანა. შდრ. განქორწინება (განჰქორწინებენ) — ქალის გათხოვება და შემოქორწინება (შემოჰქორწინებენ) — ცოლის მოყვანა (ვაჟის ოჯახში შემოყვანა. აი ამის ერთი ნიმუში ძველი ქართულიდან:

ეგრჱთ იყო დღეთა მათ ნოვჱსთაჲ ჭამდეს და სუმიდეს, შემოჰქორწინებდეს და განჰქორწინებდეს, ივაჭრიდეს და განჰეაჭრობდეს, ვიდრემდის მოვიდა რღუნაჲ და წარწყმიდა ყოველი ერთბამად (Sin. 97, 8v= ი. ჯავ., ალწ., 1947, 277, 31). ესეც იმავე სახარების ცნობილი ადგილია (მ. 24, 37—38). ძალიან კარგი იქნებოდა, რომ ეს ტერმინი (შემოქორწინება) არ გადავარდნილიყო და დღესაც გვქონოდა.

დავძენთ აქვე, რომ ობლად დარჩენილმა განქორწინებამ, სწორედ მისი ნამდვილი შესაფერი ცალის დაკარგვის შემდეგ, დღეს სულ სხვა, სრულიად საწინააღმდეგო მნიშვნელობა მიიღო — დაქორწინებული ცოლ-ქმრის გაყრა, развод.

მ. 23, 4. თითითაცა ერთითა შეძრვად არა ჰნებავნ იგი ~ ...არა უნებნ (ჰნებავნ C) შეძრვად იგი CFG.

უკეთესია ჯერ პირიანი ფორმა, მერმე—საწყისი, როგორც ჯერ C-ს ჰქონდა, ხოლო შემდეგ ეფთვიმემ და გიორგიმ მიიღეს და გამოიყენეს თავიანთ რედაქციებში.

მ. 25, 2. ხოლო ხუთნი იგი მათგანნი იყვნეს სულელნი და ხუთნი — ბრძენნი CFG ~ ხოლო ხუთნი მათგანნი იყვნეს ბრძენნი და ხუთნი—სულელნი Ⴂ.

შდრ. πέντε δὲ ἐξ αὐτῶν ἦσαν μωραὶ καὶ πέντε φρόνιμοι. მაგრამ თვით ბერძნულშივე გვაქვს სხვაგან შებრუნებული რიგი: ჯერ φρόνιμοι (ბრძენნი), ხოლო შემდეგ — μωραί (სულელნი).

ახლა გასაგებია, საიდან მოდის ქართულში ეს ორგვარი წყობა. ასეთი ჭრელი სურათი გვაქვს სხვა ენების თარგმანებშიც: რ. გ. ი.-ში ჯერ ბრძენნია, მერმე—სულელნი; სომხურში, როგორც CDE-ს მონათესავე ვერსიაში, — ჯერ სულელნი (*յիմարք*), ხოლო შემდეგ — ბრძენნი (*իմաստունք*).

მ. 25, 30. მონაჲ იგი უჴმარი C ~ უჴმარი ეგე მონაჲ FG.

უჴმარის წინ გადმოტანა ორგვარადაა გამართლებული: ბერძნულსაც არ ღალატობს და (ეს მთავარია) ქართულადაც პერსპექტივიანი წყობაა (დღეს ჩვეულებრივ ამგვარი რიგი გვაქვს: მსაზღვრელი—წინ, საზღვრული—შემდეგ (უსარგებლო მონა, ახალი ხილი, წითელი დროშა, სოციალისტური ქვეყანა, მეცნიერული კომუნიზმი...). ასეთი ორმაგი ხასიათის შემთხვევაზე (მნიშვნელობაზე) იტყვის ჩვენი ანდაზა: კვიცსაც გავხედნი და მამიდასაც ენახავო.

დავძენთ აქვე, რომ DE-ს თანამიმდევრულად არა აქვს მოცემული ნაწევარი. 28-ე მუხლში იკითხება: მოუღეთ მაგისგან ქანქარი ეგე. ორივეგან II პირის შესაფერისი ეგე-ა მოხმობილი. ხოლო ორი მუხლის შემდეგ, ჩვენს შემთხვევაში, როგორც ვნახეთ, III პირის შესაფერი ნაწევარია წარმოდგენილი: მონაჲ იგი უჴმარი. ႩႢ-ს კი ორივეგან თანამიმდევრულად სწორი ფორმები აქვს ნახმარი: ა) მოუღეთ მაგას ქანქარი ეგე და ბ) უჴმარი ეგე მონაჲ. აი ეს არის

ენის გრძნობა, მისი ფლობა და მეუფება. აქ მიუწვდომელ ეტალონებად დგანან ჩვენი დიდი წინაპრები — ეფთვიმე და გიორგი.

მ. 26, 10. გულისხმა-ყო იესუ და ჰრქუა მათ FG ~ ხოლო იესუ გულისჴმა-ყო და ჰრქუა მათ.

შდრ. γνοὺς δὲ ὁ Ἰησοῦς... (=DE).

რიგის შეცვლა Ⴂ-ში იმით არის გამოწვეული, რომ აქ სწორად არის გადმოტანილი ბერძნული δέ (ხოლო) კავშირი. ამის შემდეგ კი აუცილებელი იყო იესუ დასმულიყო, ბოლოს — ზმნა. ხოლო-ს გარეშე, რა თქმა უნდა, DE-ს რიგი (გულისხმა-ყო იესუ) კარგი და თითქმის ერთადერთია. მაგრამ ხოლო-ს დაკლება არასაპატიოა. FG-მ უკრიტიკოდ მიიღო ეს წაკითხვა, ხოლო გიორგიმ, როგორც ეგებოდა, გაასწორა და ისე შეიტანა თავის რედაქციაში.

მ. 27, 19. მრავალი მევნო მე ჩუენებით დღეს მაგისთჳს ~ ...მე დღეს ჩუენებით მაგისთჳს C.

შდრ. σήμερον κατ' ὄναρ δι' αὐτόν (=Ⴂ).

FG-ს სხვა ცოდვაც აქვს: ბოლო სიტყვა (მაგისთჳს) ხაზგასმულ ფორმებს შორის ჩაურთავს: მრავალი მევნო მე ჩუენებით მაგისთჳს დღეს(?). მაგრამ გვგონია, რომ ეს უცნაური გადასმ-გადმოსმა შემთხვევითია და გადამწერთა უბრალო უყურადღებობით აიხსნება (ეფთვიმეს თარგმნისას ეს არ მოუვიდოდა).

მ. 27, 49. ვიხილოთ, უკუეთუ მოვიდეს ელია ~ ...უკუეთუ ელია მოვიდეს FG.

შდრ. ...εἰ ἔρχεται Ἠλίας (=DE).)

ისევ DE-ს რიგი სჯობია, რადგან უკეთესია, რომ კავშირს (უკუეთუ-ს) უშუალოდ ზმნა მოჰყვებოდეს. მაგრამ გიორგი ხშირად ენდობა ეფთვიმეს მაშინაც კი, როცა მისი (ეფთვიმეს) წაკითხვა სადავოა ან არ ვარგა.

მრ. 1, 25; 4, 39. დაიყავ პირი FG ~ პირი დაიყავ C.

ბერძნულის რიგი აქ ვერ დაგვეხმარება, რადგანაც იქ ეს ჩვენი ორსიტყვიანი ცნება ერთი სიტყვით არის გადმოცემული (φιμώθητι, πεφίμωσο). ისე, ბრძანებითში წინ ზმნა სჯობია, როგორც ႠႡ რედაქციებს აქვთ.

მრ. 2, 16. ვითარცა იხილეს მწიგნობართა მათ და ფარისეველთა ~ და მწიგნობართა მათ და ფარისეველთა ვითარცა იხილეს იგი FG.

თუმცა ႡႢ რედაქციები ბერძნულს მისდევენ, მაინც DE-ს წაკითხვა (რიგი) უნდა სჯობდეს: კავშირი ვითარცა თავში უნდა იყოს და მას უნდა მიჰყვებოდეს ზმნა-შემასმენელი. მაგრამ გიორგი აქაც ნდობით უყურებს დიდ წინაპარს. თვით ეფთვიმე კი ასევე დანდობით იმეორებს ბერძნულის რიგს (თუ, რა თქმა უნდა, ეს გადამწერების ნახელავი არაა. მაგრამ რამდენ გადამწერს უნდა დაბრალდეს ეს მძიმე წყობა, როცა BM ხელნაწერებშიც ასეა?).

მრ. 2, 20. ოდეს ალმაღლდეს მათგან სიძჱ იგი CFG ~ ...სიძე იგი მათგან.

შდრ. ἀπ' αὐτῶν ὁ νυμφίος (=Ⴀ).

თუმცა CႠႡ რედაქციები ბერძნულს მიჰყვებიან, გიორგი მაინც ცვლის რიგს: მისი აზრით, ჯერ ქვემდებარე უნდა იყოს, მერმე—დამატება. ეს სწორია, მაგრამ მათგან ზმნას უკავშირდება და შეიძლებოდა წინაც ყოფილიყო, როგორც CႠႡ-ს აქვთ.

მრ. 3, 27. არა თუ პირველად შეკრას ძლიერი იგი C ~ ...ძლიერი იგი შეკრას FG.

შდრ. …τὸν ἰσχυρὸν δήσῃ (=Ⴊ).

ეფთვიმესა და გიორგის ცალი თვალი ბერძნულისკენ აქვთ მიპყრობილი და ამიტომ ზმნა წინადადების ბოლოს გადააქვთ. მართალია, ამით ერთგვარი სიმეტრია იქმნება: ზმნა ამ შერწყმული წინადადების შემდგომს ცალშიც ბოლოსაა (და მაშინღა სახლი მისი გამოტყუენოს), მაგრამ შეკრას მაინც წინ სჯობდა, როგორც CDE-ს აქვს (არა თუ პირველად შეკრას ძლიერი იგი), რადგან წინამავალი გარემოებითი სიტყვები (არა თუ პირველად) მათთან უშუალოდ ახლოს სწორედ ზმნას მოითხოვს: თუ პირველად არ შეკრავს (და არა: თუ პირველად ძლიერს არ შეკრავს). ერთი სიტყვით, CDE-ს რიგი აქაც უკეთესია: ეფთვიმე ბერძნულს მიჰყვება უკრიტიკოდ, ხოლო გიორგი თავის დიდ წინაპარს უჯერებს.

მრ. 4, 1. ყოველი იგი ერი დგა ზღჳს კიდესა ქუეყანასა ~ …ზღჳს კიდესა ქუეყანასა ზედა დგა FG.

შდრ. …ἐπὶ τῆς γῆς ἦσαν (‖ ἦν) (=Ⴊ).

ႩႪ აქაც იმავე პრინციპებს მისდევს: ბერძნულის რიგი, ზმნა წინადადების ბოლოს. ზმნის ადგილი აქაც წინ არის, როგორც DE-შია.

მრ. 5, 2. სული არაწმიდაჲ C ~ არაწმიდაჲ სული FG.

შდრ. ἐν πνεύματι ἀκαθάρτω (=C).

FG-ს მსაზღვრელი წინ დაუსვამს, როგორც საერთოდ სჩვევიათ ეფთვიმესა და გიორგის, თუმცა ბერძნულში იგი საზღვრულის შემდეგ დგას. C-ს დაცული აქვს ბერძნულის რიგიცა და ბრუნვის შესაფერისი ფორმაც — მოქმედებითი (სულითა არაწმიდითა).

მრ. 5, 7. რაჲ არს შენი და ჩემი ~ რაჲ ძეს ჩუენი და შენი FG, რაჲ ძეს ჩემი და შენი CႪ.

შდრ. τί ἐμοὶ καὶ σοί (=Ⴊ).

ასევე სხვა ენებშიც ჯერ ჩემი არის, მერმე—შენი. მხოლოდ გერმანულს ორივეს (ჩემი და შენი) ნაცვლად ჩვენ აქვს: was haben wir miteinander zu schaffen. მაგრამ ეს wir შინაგანად შეიცავს მე-სა და შენ-ს (ჩემ-სა და შენ-ს). FG-ს ჩუენი კი არაფრით არ არის გამართლებული. გიორგის რიგი ერთადერთი და სწორია.

რაც შეეხება ზმნებს (არს, ძეს), ესენი ბერძნულში არაა და ქართულშია დამატებული, რადგან ქართულს უზმნო წინადადებები არ უყვარს. როგორც ვნახეთ, გერმანულსაც იდიომატურ გამოთქმაში აქვს ჩამატებული ასეთ შემთხვევაში სახმარებელი ზმნები (haben, schaffen).

მრ. 5, 17. საზღვართა გან მათთა ~ საზღვართა მათთა გან FG.

შდრ. ἀπὸ τῶν ὁρίων αὐτῶν.

ბერძნულში თანდებული სახელს წინ მიუძღვის და ქართულის რიგის გასარკვევად არ გამოგვადგება. ძველ ქართულში მსაზღვრელიან სახელს თანდებული შეიძლება თვით ახლდეს, შეიძლება მსაზღვრელს ერთოდეს. უფრო ხშირი და ჩვეულებრივია მეორე შემთხვევა, როგორც გვაქვს ႩႪ-ში.

მრ. 5, 21. შეკრბა ერი დიდძალი მისა CFG ~ … მისა ერი დიდძალი.

შდრ. συνήχθη ὄχλος πολὺς ἐπ' αὐτόν.

მისა-ს გადატანა ბოლოში არ ვარგა, იგი ზმნასთან უნდა იყოს, თითქოს მისი განუყოფელი ნაწილიაო. შდრ. შეჰკრბა მას (ერი მრავალი) — შეკრბა მისა. ნ. კ. მრ. 10. 1, სადაც ასეთივე შემთხვევაა.

მრ. 5, 40. (იდვა) ყრმაჲ იგი მკუდარი ~ მკუდარი იგი ყრმაჲ FG.

შდრ. ὅπου ἦν τὸ παιδίον ἀνακείμενον.

FG და მერმე გიორგი აქაც იმ წესს იცავენ, რომ მსაზღვრელი წინ გადმოიტანონ, თუმცა ბერძნულში იგი საზღვრულის შემდეგ დგას.

C-ში მსაზღვრელი (მკუდარი) სულ არ მოიპოვება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ იგი ბერძნულშიც არ არის. აქ მის ნაცვლად, როგორც ვნახეთ, იკითხება ἀνακείμενον. ἀνάκειμαι წოლას, დებას ნიშნავს. ზოგან ვარიანტში κατακείμενον გვაქვს, რაც იმავე წოლას აღნიშნავს; ხოლო ზოგ ბერძნულ გამოცემაში ამის ნაცვლად არაფერია. ახლა გასაგებია, რატომაა სხვა ენების თარგმანებში лежала (ავადმყოფი ბავშვი გოგო იყო), lag...

ეს, კარგი, ასეა, მაგრამ მკუდარი საიდანღა გაჩნდა? ეს იქიდან ხომ არ მოდის, რომ წინა მუხლებში ნათქვამია: „ასული შენი აღესრულა“ (5, 36), „ყრმაჲ ეგე არა მომკუდარ არს, არამედ სძინავს“ (5, 39)? ხალხი ასე ამბობდა, იესუს ასე უთხრეს, სანამ იესუ მოვიდოდა და ნახავდა, მკვდარი იყო თუ მკვდარი ეგონათ. ამის გამოძახილი უნდა იყოს, რომ ის ბავშვი ჩვენს შემთხვევაშიც მკვდრად არის მოხსენიებული (სადა-იგი იდვა ყრმაჲ იგი მკუდარი). მაგრამ ჩვენთვის აქ ახლა მთავარი სხვა საკითხია: მსაზღვრელი ႡႢ რედაქციებში საზღვრულის წინაა დასმული.

ი. 6, 1. სოფლად თჳსა C ~ თჳსა მამულად FG.

შდრ. εἰς τὴν πατρίδα αὐτοῦ (=Ⴀ).

მსაზღვრელი აქაც წინაა გადმოტანილი, თუმცა ბერძნულსა და ქართულშიც (CDE) ბოლოს ერთვის.

მრ. 6, 55. (იწყეს მოღებად) ცხედრებითა ყოველთა სნეულთა ~ ... ყოველთა სნეულთა ცხედრებითა FG.

შდრ. καὶ ἤρξαντο ἐπὶ τοῖς κραβάττοις τοὺς κακῶς ἔχοντας περιφέρειν.

ჯერ პირდაპირი დამატება (მოღებად ყოველთა სნეულთა), მერმე—უბრალო (ცხედრებითა): მოიღეს სნეული (მოიხუნეს სნეულნი) — იწყეს მოღებად (მოხუმად) სხეულსა (სნეულთა). ამ წესს იცავს ეფთვიმე (მერმე გიორგიც).

ი. 7, 33. დაასხნა თითნი მისნი და ჰნერწყუა ყურთა მისთა CFG ~ დაასხნა თითნი მისნი ყურთა მისთა და ჰნერწყუა.

შდრ. ἔβαλεν τοὺς δακτύλους αὐτοῦ εἰς τὰ ὦτα αὐτοῦ καὶ πτύσας (=Ⴂ).

გიორგი ასწორებს CDEFG-ს უზუსტობას; მათ უწერიათ: თითები დაადვა და დააფურთხა მის ყურებსო. აქ არა ჩანს, რას დაადვა თითები. ბერძნულსა და გიორგის ნათლად აქვთ ნათქვამი: თითები დაადვა მის ყურებს და (მერმე) დააფურთხაო. შდრ. რუს. თარგმანი: вложил персты свои в уши ему, и плюнув.... ეს სწორია. ასეა გერმანულშიც: legte seine Finger in seine Ohren.

მრ. 9, 4. ეჩუენა მათ ელია მოსეს თანა FG ~ ...მოსე ელიაჲს თანა.

შდრ. ...Ἠλίας σὺν Μωϋσεῖ (=DE).

ყველგან DE-ს რიგია: ელია მოსესთან. C-ც აქაა, თუმცა მას სხვა თანდებული უხმარია: ელია მოსჱთურთ. გერმანულ თარგმანში თანდებული სულ არაა, მაგრამ მაინც საყოველთაოდ მიღებული რიგი აქვს დაცული: Elias und Moses.

საიდან გაჩნდა Ⴂ-ში შებრუნებული რიგი? უნდა ვიფიქროთ, მათესა და ლუკას თავების გავლენით, სადაც პირველად მოსეა ნახსენები, მერმე — ელია (ეჩუენნეს მათ მოსე და ელია: მ. 17, 3); ...რომელნი იყვნეს მოსე და ელია (ლ. 9, 30). მარკოზს შეცვლილი აქვს ეს რიგი, შეიძლება, იმის გამო, რომ ქვევით (მრ. 9, 11, 12, 13) სწორედ ელიაზეა საუბარი. სადავო ადგილის მომდევნო (მე-5) მუხლში მარკოზიც მათესა და ლუკას რიგს უბრუნდება: ვქმნეთ აქა სამ ტალავარ: ერთი

შენთჳს, ერთი მოსესთჳს და ერთი ელიაჲსთჳს (შდრ. მ. 17, 4; ლ. 9, 33). გიორგიმ გაუსწორა მარკოზს გაღუნული ხაზი.

მრ. 9, 7. ისმინეთ მაგისი C ~ მაგისი ისმინეთ FG.

შდრ. ἀκούετε αὐτοῦ (=Ⴀ). მაგრამ იმავე ბერძნულში გვხვდება აგრეთვე შებრუნებული რიგიც αὐτοῦ ἀκούετε. აი რატომ არის ქართულშიც ზოგან „ისმინეთ მაგისი“ და ზოგან „მაგისი ისმინეთ“.

ისე, კაცმა რომ თქვას, ბრძანებითში წინ ზმნა სჯობდა („ისმინეთ მაგისი“, როგორც DE-ს აქვს), მაგრამ, მეორე მხრივ, როცა მაგისი წინაა დასმული, ეტყობა, განსაკუთრებული მახვილი სწორედ ამ სიტყვაზეაა მაგისი ისმინეთ და არა სხვისიო (მაგას უსმინეთ და არა სხვასო).

მრ. 9, 31. მიეცეს ძჱ კაცისაჲ ~ ძე კაცისაჲ მიეცემის Ⴂ,
„ მიეცეს FG.

შდრ. ὁ υἱὸς τοῦ ἀνθρώπου παραδίδοται (=Ⴂ).

მეორე რიგი სჯობია: აქ ქვემდებარე წინ არის, მას მოჰყვება თავისი განსაზღვრება და შემასმენელი.

მაგრამ აქ მეორე გარემოებაცაა აღსანიშნავი: DEFG-ს „მიეცეს“ გიორგის შეცვლილი აქვს მომავალი დროის წარმოების ახალი სისტემის მიხედვით: ... მიეცემის. აქ უკვე ზმნისწინს მოუპოვებია ძალა, აწმყოს ფუძეზე დართვით აწარმოოს მომავალი დრო: ძველი მიეცეს (II კავშ.) → ახალი მიეცემის.

მრ. 10, 25. (ვიდრე მდიდარი) სასუფეველსა ღმრთისასა შესლვად CFG ~ ... შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა.

შდრ. ...εἰς τὴν βασιλείαν τοῦ θεοῦ εἰσελθεῖν (=Ⴀ).

მართალია, ႠႡႢ ბერძნულის რიგს იცავენ, მაგრამ გარემოებითი სიტყვები (სასუფეველსა ღმრთისასა) უშუალოდ ზმნის (საწყისის) შემდეგ სჯობდა, როგორც გიორგის აქვს.

მრ. 10, 29. გინა დედაჲ, გინა მამაჲ ~ გინა მამაჲ, გინა დედაჲ CFG.

შდრ. ἢ μητέρα ἢ πατέρα (=Ⴀ), მაგრამ იქვეა აგრეთვე შებრუნებული რიგიც: ἢ πατέρα ἢ μητέρα. ახლა გასაგებია, თუ რატომ არის ასეთივე ნაირნაირობა ჩვენს ხელნაწერებში.

სხვა ენების თარგმანებში (ს. ლ. რ. გ. ი.) ყველგან ჯერ მამაა ნახსენები, მერმე — დედა.

მრ. 10, 32. იწყო მათა თხრობად FG (... სიტყუად C) ~ იწყო თხრობად მათა Ⴂ.

შდრ. ἤρξατο αὐτοῖς λέγειν (=Ⴀ).

იწყო-სთან ჯერ ზმნა (საწყისი) უნდა, მერმე—მათა: იწყო თხრობად მათა. ესაა ძველი ქართულის ჩვეულებრივი და ბუნებრივი წყობა. სხვაგან თვით DE-შიც ეს ბუნებრივი რიგია დაცული: იწყო იესუ სიტყუად მათა (მ. 13, 3); იწყო სწავლად მათა (მრ. 8, 31); იწყო პეტრე სიტყუად მისა (მრ. 10, 28); იწყო სიტყუად მათა (ლ. 4, 21; 11, 29); იწყო იგავით სიტყუად მათა (ლ. 20, 9) და მრავალი სხვა. გიორგი თანამიმდევარია: ამ კონსტრუქციას ასე ხმარობს ყველგან და ჩვენს შემთხვევაშიც.

მრ. 10, 37. რაჲთა დავსხდეთ ერთი მარჯუენით შენსა და ერთი მარცხენით შენსა C ~ რაჲთა ერთი მარჯუენით და ერთი მარცხენით შენსა დავსხდეთ FG.

შდრ. ἵνα εἷς σου ἐκ δεξιῶν καὶ εἷς ἐξ ἀριστερῶν καθίσωμεν (=Ⴂ).

ეფთვიმე და გიორგი ბერძნულის რიგს მისდევენ, ზმნა ბოლოს გადააქვთ. სჯობდა კი ზმნა რაჲთა-ს მიჰყოლოდა, რადგან მასთან უშუალო კავშირშია,

მრ. 10, 46. ბრმაჲ ჯდა მთხოველად გზასა თანა ~ ...გზასა თანა მთხოვლად FG (მთხოველად C).

შდრ. τυφλὸς προσαίτης, ἐκάθητο παρὰ τὴν ὁδόν.

ბერძნულში ასეა ზოგან, მაგრამ იქვე სხვაგან სხვანაირი რიგი გვაქვს: ὁ τυφλὸς ἐκάθητο παρὰ τὴν ὁδὸν προσαιτῶν. მაშასადამე, ჩვენშიც ასეთი ორი რიგია.

ქართულში ჯდა-ს უნდა მიჰყვებოდეს სწორედ „გზასა თანა“ — ადგილის გარემოება, შემდეგ — მთხოვ(ე)ლად — მიზნის გარემოება. ასე აქვს სწორედ ეფთვიმეს, მერმე — აქედან — გიორგის.

მრ. 11, 29. გკითხო თქუენ მეცა სიტყუაჲ ერთი FG ~ გკითხო მეცა თქუენ...

შდრ. ἐπερωτήσω ὑμᾶς κἀγὼ ἕνα λόγον.

ბერძნულში ზოგან მეცა (κἀγώ) სრულებით არ მოიპოვება, ქართულში ყველგან გვაქვს: DEFG-ში ობიექტის (თქუენ) შემდეგ (გკითხო თქუენ მეცა), გიორგისეულში — ობიექტის წინ (გკითხო მეცა თქუენ). უმჯობესია, რასაკვირველია, უკანასკნელი: მეცა აქ ქვემდებარეა და იგი წინ უნდა იყოს. გარდა ამისა, აქ ხაზი ესმება მე-ს (მეცა): ახლა მეც გკითხავ თქვენ [უფრო ადრე მას (იესუს) ჰკითხეს მათ — მღვდელთმოძღვართა, მწიგნობართა და ხუცესთა].

ამრიგად, გიორგის მიერ მიღებული რიგი ყოველმხრივ გამართლებული და მოსაწონია.

C-საც ეს რიგი აქვს წარმოდგენილი, ოღონდ სუბიექტსა და ობიექტს შორის ზმნა აქვს მოთავსებული (მეცა გკითხო თქუენ).

მრ. 12, 28. მწიგნობართაგანი ერთი ~ ერთი მწიგნობართაგანი CFG.

შდრ. εἷς τῶν γραμματέων (=Ղ).

მსაზღვრელი წინაა გადმოტანილი!

მრ. 12, 37. თჳთ იგი დავით უფლით ჰხადის მას ~ ...ჰხადის (ეტყჳს C) მას უფლით CFG.

შდრ. ...λέγει αὐτὸν κύριον (=Ղ).

მრ. 12, 42. ქურივი ერთი ~ ერთი ქურივი CFG.

შდრ. μία χήρα.

მარტო ბერძნულისადმი ერთგულებით არ ხდება, რომ C-ს, შემდეგ ეფთვიმეს, ხოლო ბოლოს გიორგის ასე დაჟინებით გადმოაქვთ მსაზღვრელი საზღვრულის წინ. ისინი უფრო დიდ საქმეს აკეთებენ, საფუძველს უყრიან ქართული ენის (ლექსიკისა და გრამატიკული ფორმების, სინტაქსის) განახლების გადაუდებელ საქმეს. ჩვენ აქაც, მსაზღვრელის წინ გადმოტანისას, ახალი ქართულის ცხელი სუნთქვა გვესმის.

მრ. 13, 20. უკუეთუმცა არა უფალმან შეამოკლნა დღენი იგი ~ არა თუმცა ღმერთმან Ղ; არა თუმცა შეამოკლნა დღენი იგი C.

შდრ. καὶ εἰ μὴ ἐκολόβωσεν κύριος τὰς ἡμέρας.

DE-ში არა უხერხულადაა ჩაჩრილი კავშირსა (უკუეთუმცა) და სახელს (ქვემდებარეს — უფალმან) შორის. არა კავშირის წინ უნდა იყოს (არა თუმცა), როგორც გვაქვს კიდევაც Ղ-ში; ანდა, თუ ამის შემდეგ იქნება, ზმნას უნდა უძღოდეს წინ (არა შეამოკლნა), როგორც C-ში არის (მაგრამ C-ში ქვემდებარე — უფალმან — გამოტოვებულია). ყოველ შემთხვევაში, DE-ს რიგი აშკარად უვარგისია, რაც კარგად გაასწორა გიორგიმ.

რაც შეეხება FG-ს, აქ ზმნა ერთპირიანი ვნებითის ფორმითაა გადმოცემული (შემოკლდეს). სხვა ხელნაწერთა ქვემდებარე (უფალმან) გამოგდებულია და სა-

დაეო არა ბუნებრივად ზმნის წინაა დასმული (უკუეთუმცა არა შემოკლდეს დღენი იგი).

ლ. 1, 41. აღივსო ელისაბედ სულითა წმიდითა C ~ ...სულითა წმიდითა ელისაბედ FG.

შდრ. καὶ ἐπλήσθη πνεύματος ἁγίου ἡ Ἐλισάβετ (=Ⴂ).

ეფთვიმე და გიორგი ბერძნულს მიჰყვებიან კვალდაკვალ, ამიტომაა, რომ ქვემდებარე სულ ბოლოსაა გადასროლილი. ქვემდებარე, რა თქმა უნდა, ზმნასთან სჯობდა (და აღივსო ელისაბედ...), როგორც DE-ს აქვს. გიორგი, ვთქვათ, ენდო ეფთვიმეს, მაგრამ ამ უკანასკნელმა რად დაუშვა ასეთი რიგი? იქნებ აქ გადამწერები ცოდავენ მხოლოდ. მართლაც, ეფთვიმეს რედაქციის შემცველი ოთხეულიდან ტბეთი DE-ს წაკითხვას გვაძლევს (აღივსო ელისაბეთ სულითა წმიდითა), მესტიას კი, როგორც FG-ს, ქვემდებარე ბოლოს გადააქვს (აღივსო სულითა წმიდითა ელისაბეთ).

ლ. 2, 25. და იყო კაცი ესე მართალი და მოშიში უფლისაჲ C ~ და კაცი ესე მართალი იყო და მოშიში უფლისაჲ Ⴂ, და კაცი ესე მართალი და მოშიში უფლისაჲ იყო FG.

შდრ. καὶ ὁ ἄνθρωπος οὗτος δίκαιος καὶ εὐλαβής.

ბერძნულში, როგორც ვხედავთ, ზმნა იყო (ἦν) აქ არ არის წარმოდგენილი, ის აღარ გაიმეორეს, რადგან წინა წინადადებაში არის უკვე ნახმარი (καὶ ἰδοὺ ἄνθρωπος ἦν ἐν Ἰερουσαλήμ). ქართულში აუცილებელია ამ იყო-ს განმეორება. მაგრამ სადაა მისი ადგილი? CDE-მ ის თავში დაუმატა (და იყო კაცი ესე მართალი და მოშიში უფლისაჲ), HIK-მ (გიორგიმ) — შუაში (და კაცი ესე მართალი იყო და მოშიში უფლისაჲ), ხოლო FG-მ (ეფთვიმემ) — ბოლოში (და კაცი ესე მართალი და მოშიში უფლისაჲ იყო). ეს ყველაფერი ქართულის საქმეა და აქ რიგის გარკვევაში ბერძნული ვერ დაგვეხმარება. ისე სამივე გზაა შესაძლებელი, მაგრამ სხვებზე უკეთესი მაინც CDE-ს მიერ არჩეული რიგი უნდა იყოს.

ლ. 3, 16. არა ღირს ვარ FG ~ არა ვარ ღირს C.

შდრ. οὐκ εἰμὶ ἱκανός (=Ⴂ).

გიორგის მოთხოვნაა, უარყოფითი ნაწილაკი (არა) ზმნის წინ იყოს დასმული (არა ვარ ღირს). და ეს სავსებით სამართლიანია, ასეცაა საჭირო.

ნ. ქ. მსგავსი მაგალითები: ლ. 7, 6; 15, 21; ი. 1, 27, რომლებზედაც ქვემოთ სპეციალურად აღარ შევჩერდებით.

ლ. 4, 3. (არქუ ქვასა ამას,) რაჲთა პურ იქმნეს F ~ ... რაჲთა იქმნენ პურ CG.

შდრ. ἵνα γένηται ἄρτος (=Ⴂ).

რაჲთა-ს ზმნა უნდა მოჰყვეს პირველ რიგში. რაც შეეხება სახელისა და ზმნის რიცხვს, იგი თვით ბერძნულში ორგვარადაა წარმოდგენილი: ზოგან მხოლობითია, ზოგან — მრავლობითი. ეს ქართულშიც ასეა ასახული: ქვასა ამას — იქმნეს და ქვათა ამათ — იქმნენ, მაგრამ ეს სხვა საკითხია.

ლ. 4, 4. არა ხოლო თუ პურითა ცხონდების კაცი C ~ არა პურითა ხოლო... FG.

შდრ. οὐκ ἐπ' ἄρτῳ μόνῳ (=Ⴂ).

ლ. 4, 6. (შენ მიგცე) ჴელმწიფებაჲ ამის ყოვლისაჲ ~ ...ამის ყოვლისა ჴელმწიფებაჲ CFG.

შდრ. ...τὴν ἐξουσίαν ταύτην ἅπασαν(=C).

DE ბერძნულის რიგს მიჰყვება და მსაზღვრელი ძველებურად ბოლოს აქვს დასმული. ამ ტრადიციულ რიგს არღვევს ადიშის ხელნაწერი, ადიშს შემდეგ ეფთვიმე ეყრდნობა, ხოლო ორივეს — გიორგი. სამივეს მსაზღვრელი წინ აქვს გადმოტანილი.

ლ. 4, 29. (რომელსა ზედა) დაშენებულ იყო ქალაქი იგი მათი ~ ...ქალაქი იგი მათი დაშენებულ იყო CFG.

შდრ. ἡ πόλις ᾠκοδόμητο αὐτῶν (=Ղ).

ზოგან ბერძნულში სხვა რიგიც არის: ἡ πόλις αὐτῶν ᾠκοδόμητο, მაგრამ ქალაქი ორივე შემთხვევაში მაინც წინაა.

ლ. 4, 39. დაუტევა იგი მეყსეულად CFG ~ მეყსეულად დაუტევა იგი.

შდრ. καὶ ἀφῆκεν αὐτήν· παραχρῆμα δὲ ἀναστάσα διηκόνει αὐτοῖς.

ქართულში სიტყვათა რიგი არც ერთ რედაქციას არა აქვს დაცული სწორად: აქ ისე გამოდის, რომ მეყსეულად „დაუტევა“-ს მიემართება: საჩქაროდ დატოვა იგი (სიმოხის სიდედრი) სიცხემო. ნამდვილად კი მეყსეულად სიდედრის მოქმედებას (ადგომას) უკავშირდება: (იმის შემდეგ, რაც სიდედრი სიცხემ დატოვა,) იგი (სიდედრი) საჩქაროდ ადგა და ემსახურებოდა მასო (მათო). ასეთია ტექსტის ჭეშმარიტი აზრი. შდრ. სხვა ენების თარგმანებით: *և վաղվաղակի յարեաւ, եւ սպասէր նոցա*, она тотчас встала и служила им, sogleich stand sie auf und diente ihnen.

რაც შეეხება ნაცვალსახელის რიცხვს (მას CD, მათ EFGHIK), ეს სიჭრელე თვით ბერძნულიდან მოდის, ვარიანტებში იქაც გვაქვს αὐτῷ და αὐτοῖς.

ლ. 5, 39. (არავინ სუამნ) ძუელსა ღჳნოსა CFG ~ ...ღჳნოსა ძუელსა.

ბერძნულში აქ ღვინო სულ არ არის ნახსენები (καὶ οὐδεὶς πιὼν παλαιὸν θέλει νέον). იგი იგულისხმება წინა (5, 37, 38) მუხლების მიხედვით. არა გვაქვს იგი არც სომხურში, სხვა ვერსიებში ყველგან მოიპოვება. ეტყობა, აზრის სიცხადის გულისთვის არის ჩამატებული (არ არის გამორიცხული, რომ ბერძნულშიც სადმე ყოფილიყო).

ქართულში მოსალოდნელი იყო, წინ გადმოტანილი მსაზღვრელი სწორედ გიორგის რედაქციაში გვქონოდა. აქ კი პირიქითაა. რა ვუყოთ, ეფთვიმე და გიორგი ძველი ქართველები არიან, ძველ ქართულზე არიან აღზრდილნი, ძველი ქართული ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი. როგორადაც უნდა ეცადონ ახლის გაღვივებასა და დანერგვას, ბავშვობიდანვე შესისხლხორცებული, შეჩვეული და შეყვარებული ძველი ფორმები მაინც ძნელი დასათმობია და ალაგ-ალაგ ძალად გაგახსენებს თავს, თითქოს გეუბნება: რაჲსათჳს დამიტევებთ ჩუენ. განმზადებულ ვართ, რაჲთა გმსახუროთო. ეს უნდა გვახსოვდეს.

ლ. 6, 32. (ცოდვილნიცა) ჰყუარობენ მოყუარეთა მათთა ~ ...მოყუარეთა მათთა ჰყუარობენ CFG.

შდრ. τοὺς ἀγαπῶντας αὐτοὺς ἀγαπῶσιν (ԿՂ).

ლ. 6, 33. (და უკუეთუ) კეთილსა უყოფდეთ კეთილის-მყოფელთა თქუენთა ~ ...კეთილის-მყოფელთა თქუენთა კეთილსა უყოფდეთ CFG.

შდრ. καὶ γὰρ ἐὰν ἀγαθοποιῆτε τοὺς ἀγαθοποιοῦντας ὑμᾶς (=C).

ბერძნულში ხან ზმნაა წინ (6, 33), ხან სახელი (მიმღეობაა 6, 32). ქართულში უფრო თანამიმდევრულად იქცევიან ხელნაწერები. DE ორივე შემთხვევაში ზმნას სვამს წინ, ამის შემდეგ — სახელს (მიმღეობას); CFGHIK, პირიქით, ორივე შემ-

თხევევაში ზმნას ბოლოს სვამენ, ხოლო სახელი (მიმღეობა) წინ გადმოაქვთ. ამიტომ ისინი ბერძნულის რიგს ერთ შემთხვევაში იცავენ, მეორეში — სცილდებიან.

ლ. 7, 7. თქუ სიტყჳთ C ~ სიტყჳთ ხოლო თქუ FG.

შდრ. εἰπὲ λόγῳ (=C).

ႤႢ-ს (ეფთვიმესა და გიორგის) დამატებული აქვთ ხოლო (სიტყჳთ ხოლო თქუ), რაც ტექსტის აზრს ზედმიწევნით მიესადაგება და უხდება: მხოლოდ სიტყვით თქვიო, მხოლოდ ერთი სიტყვა თქვიო (და მორჩება ჩემი მონა-მსახურიო). ამ შემთხვევაში ეს რიგი (სიტყჳთ ხოლო თქუ) აუცილებელია. ხოლო თუ ამ ხოლო-ს ამოვიღებდით, მაშინ DE-ს რიგი აჯობებდა, ძალა კი, ექსპრესიული ძალა პირველს განუზომლად დიდი აქვს.

საინტერესოა, რომ გერმანულ თარგმანშიც იგივე ხოლო (nur) დაუმატებიათ: sag'es nur mit einem Worte (so wird mein Knecht gesund werden). სწორედ ამნაირი შესაძლებლობის მოძებნა და პოვნა მშობლიური ენის რესურსებში, სწორედ ამნაირი ჩანამატებია, რომ ტექსტს მეტ მიმზიდველობასა და სიცოცხლეს მატებს, მეტ ექსპრესიულ ძალას ანიჭებს. სწორედ ენის ასეთ უბნებში მჟღავნდება მთარგმნელის (შემოქმედის) ენის გრძნობა, ხელმწიფება და მეუფება.

ლ. 7, 14. მივიდა და შეახო ცხედარსა მას ~ მივიდა ცხედარსა მას და შეახო CFG.

შდრ. καὶ προσελθὼν ἥψατο τῆς σοροῦ.

ასეა სხვა თარგმანებშიც: и, подойдя, прикоснулся к одру, trat er hinzu, und berührte die Bahre. ასე რომ, ჯერ მივიდა (არა ცხედართან) და მერმე შეახო ხელი ცხედარს. ამიტომ DE უფრო ზუსტად გადმოსცემს ტექსტის აზრს.

ლ. 8, 45. (ვითარცა) ყოველნი უვარებდეს CFG ~ ... უვარ-ჰყოფდეს ყოველნი.

შდრ. ἀρνουμένων δὲ πάντων (=Ⴂ).

როცა წინადადება ვითარცა-თი (=როცა) იწყება, მას ზმნა უნდა მოსდევდეს, როგორც აქვთ CႤႢ-ს.

ლ. 8, 52. არა მომკუდარ არს ყრმაჲ ეგე ~ ყრმაჲ ეგე არა მომკუდარ არს CFG.

„ყრმაჲ ეგე“ სულ არ არის ბერძნულში (წინა მუხლებში იყო მასზე ლაპარაკი და აქ აღარ გაიმეორეს), იგი არ მოიპოვება აგრეთვე სომხურშიც. ზოგან მას ნაცვალსახელი ცვლის (она, es, she). მაშ საიდან გაჩნდა აქ ეს სახელი? ეგევე ადგილი უფრო ადრე გვხვდება მათესა და მარკოზის თავებში. იქ კი ორივეგან ბერძნულშიც არის წარმოდგენილი სათანადო სახელი; მაგალითად: οὐ γὰρ ἀπέθανεν τὸ κοράσιον=არა მომკუდარ არს ყრმაჲ ეგე (მ. 9, 24); τὸ παιδίον οὐκ ἀπέθανεν=ყრმაჲ ეგე არა მომკუდარ არს (მრ. 5, 39) (ეგევე რიგია დაცული ყველა ქართულ ხელნაწერში). აი აქედან გადმოვიდა ჩვენს შემთხვევაშიც (ლ. 8, 52) ბერძნულში გამოტოვებული, მაგრამ ადვილად საგულისხმებელი ყრმაჲ ეგე.

DE-მ ეს სიტყვა (ქვემდებარე) შემასმენლის შემდეგ დაუმატა (არა მომკუდარ არს ყრმაჲ ეგე), როგორც ადრე მათეს ჰქონდა (9, 24), ხოლო CႤႢ-მ შემასმენელს წინ დაუყენა (ყრმაჲ ეგე არა მომკუდარ არს), როგორც ადრე მარკოზს ჰქონდა (5, 39).

ლ. 9, 5. (ფერჴთა გან თქუეხთა CFG ~ ფერჴთა თქუენთა გან.

შდრ. ἀπὸ τῶν ποδῶν ὑμῶν.

მაგრამ, როგორც აღნიშნული გვქონდა (გვ. 222), ბერძნული აქ (ქართულში სიტყვათა რიგის გასარკვევად) ვერ დაგვეხმარება: იქ თანდებული ცალკეა და ყოველთვის სახელის წინ დგას.

ქართულში ორივე სახეობა გვხვდება: ა) როცა თანდებული საზღვრულს ერთვის (როგორც ჩვენს შემთხვევაში CDEFG-ს აქვს წარმოდგენილი — ფერჴთაგან) და ბ) როცა ის მსაზღვრელს ახლავს (როგორც გიორგის რედაქციაში გვაქვს — თქუენთაგან). უფრო ხშირია, როცა თანდებული მსაზღვრელს ერთვის (როგორც გიორგის აქვს). მაგრამ რედაქციული საკითხების კვლევისას, კერძოდ, ამა თუ იმ რედაქციის სიტყვათა რიგის თავისებურების დადგენისას აქ აღძრულ საკითხს არა აქვს სერიოზული მნიშვნელობა და ჩვენც ქვემოთ მსგავს შემთხვევებზე ცალკე აღარ შევჩერდებით.

ლ. 9, 24. რომელსა უყუარდეს (უნდეს) თავი თჳსი განრინებად ∼ ...განრინებად სულისა თჳსისა.

შდრ. ...θέλῃ τὴν ψυχὴν αὐτοῦ σῶσαι (=C).

ძველ ქართულში ჩვეულებრივი და გავრცელებულია ისეთი რიგი, როცა ჯერ ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისია მოცემული (ესაა მთავარი სათქმელი), ხოლო მას მოჰყვება სხვა (არა მთავარი), საწყისზე დამოკიდებული სიტყვები (პირდაპირი თუ უბრალო დამატება. ასეთი რიგი გიორგის აქვს დაცული).

რაც შეეხება ამ რედაქციების ლექსიკურ სხვაობას (თავი თჳსი — სულისა თჳსისა), უნდა ითქვას, რომ თავი და სული ცნობილი და ძალიან ხშირად ერთმანეთის გვერდით ხმარებული სინონიმებია და სპეციალურ ყურადღებას არ საჭიროებს.

ასევე ხშირია ძველ ქართულში ვითარებით ბრუნვაში დასმულ საწყისთან სახელების სახელობითსა (თავი თჳსი — ეს უფრო ძველია) და ნათესაობითში (სულისა თჳსისა — ეს უფრო ახალია) დასმა.

ლ. 9, 54. გნებავს, ვთქუათ, რაჲთა ცეცხლი გარდამოჴდეს FG ∼ გნებავსა, რაჲთა ვთქუათ, და ცეცხლი გარდამოჴდეს.

შდრ. θέλεις εἴπωμεν πῦρ καταβῆναι.

ქართულში სიტყვათა რიგის სწორად დადგენის მთელი სიმძიმე რაჲთასათვის შესაფერი ადგილის მიჩენაში მდგომარეობს. ბერძნულში ეს რაჲთა (ἵνα) სულ არ არის. ქართულის ორგვარი წყობიდან გიორგისეული სჯობია. DEFG-ის წაკითხვაში (გნებავს, ვთქუათ) გადასვლა ერთი სიტყვიდან მეორეზე მძიმე და უხერხულია (ორი პირიანი ზმნა ერთად?). გიორგისაში ამ ალაგას კავშირია ჩასმული (გნებავსა. რაჲთა ვთქუათ) და ყველაფერი ბუნებრივად მიმდინარეობს. დაბრკოლება არც მერმეა: „ვთქუათ“ ზმნას კვლავ ახალი კავშირი მოსდევს (...და ცეცხლი გარდამოჴდეს) და აქაც ყველაფერი რიგზეა.

როგორ უნდა გვესმოდეს გიორგის ვარიანტში: „...და ცეცხლი გარდამოჴდეს ზეცით და აჴოცნეს იგინი“? უფრო კონკრეტულად: რა მნიშვნელობით არის აქ ნახმარი ეს და კავშირი? იგი აქ ნიშნავს: რომ, რათა, чтобы. ტექსტის შინაარსი იქნება: უფალო, გინდა, რომ ვთქვათ, რათა (რომ) ცეცხლი გადმოვიდეს ციდან და გაანადგუროს (ამოწყვიტოს, გაჟლიტოს, მოსპოს, მოსრას, გააქროს) იგინი? სწორედ ასე უნდა გვესმოდეს ეს ადგილი. და-ს ასეთი მნიშვნელობა სახარების ენაში კარგადაა ცნობილი. აი ორიოდე მაგალითი: სადა გნებავს, და მზაგიყოთ შენ ჭამად ზატიკი ესე (მ. 26, 17 — სად გინდა, რომ მოგიმზადოთ); რაჲ გნებავს ჩემგან, და გიყო თქუენ (მრ. 10, 36 — რა გნებავთ, რომ გაგიკეთოთ, შეგისრულოთ): ვინ გნებავს ორთაგანი, და მიგიტეო თქუენ (მ. 27, 17, 21); მო-

მართუთ მე დრაჰკანი, და ვიხილო (მრ. 12, 15 — რომ ვნახო, დავათვალიერო, გავსინჯო).

ამგვარად, გიორგის ეს ღრმად მოფიქრებული წაკითხვა ზუსტად გამოხატავს ტექსტის აზრს, არ სცილდება ბერძნული ორიგინალის მთავარ შინაარსს, შიგ მოხმობილია ქართული ენის ბუნებრივ თავისებურებათა იშვიათი რესურსები და დიდი ოსტატობით არის გამართული. არსად ძალდატანება და ხორკლები არა ჩანს, ყველაფერი მდინარის წყალივით დაუბრკოლებლად და ბუნებრივად მიმდინარეობს.

C-საც უგრძვნია უხერხულობა და სხვა კავშირი ჩაუმატებია (გნებავს, ვითარმცა ვთქუთ, რაჲთა გარდამოჴდეს ცეცხლი), მაგრამ ეს გიორგის ნახელავთან სად მოვა!

ლ. 10, 22. არავინ იცის, ვინ არს ძჱ, გარნა მამამან; და არავინ იცის, ვინ არს მამაჲ, გარნა ძემან C ~ არავინ იცის, ვინ არს მამაჲ, გარნა ძემან; და არცა ვინ იცის, ვინ არს ძე, გარნა მამამან FG.

ბ. ს. ლ. რ. გ. ი.-ში ისეთი წყობაა, როგორც ჩვენს CDE-ში, ე. ი. ჯერ შვილი, მერმე მამა: მაგრამ ზოგი ბერძნული გამოცემის სქოლიოში ნაჩვენებია ვარიანტი, რომელშიც სწორედ ისეთი რიგია დაცული, როგორც ႤႢ (ეფთვიმესა და გიორგის) რედაქციებს მოეპოვებათ: ჯერ მამა, მერმე შვილი. როგორც ჩანს, ეფთვიმეს ხელთ ჰქონდა სწორედ ამგვარი რიგის შემცველი ბერძნული დედანი, მისთვის მიუცია უპირატესობა და თავის რედაქციაში ის შეუტანია. გიორგიმაც შემდეგ ეს ვარიანტი ჩათვალა უმჯობესად. გარდა ამისა, იმ ბერძნულ ვარიანტში მუხლის წინ ყოფილა აგრეთვე „და მიექცა მოწაფეთა და ჰრქუა“, რაც გვაქვს ჩვენ კიდევაც მხოლოდ და მხოლოდ გიორგისეულ რედაქციაში.

ლ. 10, 37. შენცა ეგრევე ჰყოფდ ~ ჰყოფდ შენცა ეგრევე CFG.
შდრ. καὶ σὺ ποίει ὁμοίως (=Ⴂ).

ბერძნულში ზმნა ნაცვალსახელსა და ზმნიზედას შორისაა მოთავსებული. გიორგის ზმნა წინ გადმოუტანია, რაც ბევრად უკეთესია: ბრძანებითში ზმნა თავში უნდა იყოს.

ლ. 11, 45. მი-ვინმე-უგო შჯულის-მეცნიერმან CFG ~ მიუგო შჯულის-მეცნიერმან ვინმე.

ბერძნული აქ ვერას დაგვეხმარება. CDEFG-ს ტმესი აქვს, სხვებს — არა; ტმესიანი ფორმა აქ გამარტივებულია, ვინმე ცალკეა. ეს ახალი ვითარების მაჩვენებელია.

ლ. 11, 52. თქუენ შე-არა-ხუალთ CFG ~ თქუენ არა შეხუალთ.
აქაც სავსებით ისეთივე მდგომარეობაა.

ლ. 13, 13. (დაასხნა) ჴელნი მას ზედა CFG ~ ... მას ზედა ჴელნი.
შდრ. ἐπέθηκεν αὐτῇ τὰς χεῖρας (=Ⴂ).

ლ. 14, 21. (უთხრა) უფალსა თვსსა ესე CFG ~ ესე უფალსა თვსსა.
შდრ. ἀπήγγειλεν τῷ κυρίῳ αὐτοῦ ταῦτα (= C).

თუმცა CDE-ს (შემდეგ FG-საც) ბერძნულის რიგი კი აქვს დაცული, მაგრამ ქართული Ⴂ-ში გრძნობს თავს უფრო ბუნებრივად და ლაღად: ესე ნაცვალსახელი (პირდ. ობ.) სჯობია ზმნას უშუალოდ მოსდევდეს და არა წინადადების ბოლოს იყოს გადასროლილი, აქ იგი ქართველის ყურისათვის უჩვეულო და საჩოთიროა.

ლ. 14, 29. იწყონ მისა კიცხევად ~ ... კიცხევად მისა CFG.
შდრ. ἄρξωνται αὐτῷ ἐμπαίζειν.

მაგრამ ბერძნულში ზოგან სხვა რიგიც არის ...ἐμπαίζειν αὐτῷ. აი საიდან მოდის ქართულში ეს ორგვარი რიგი. სჯობია, როგორც ბევრჯერ გვითქვამს ამგვარი შემთხვევების გამო, მეორე წყების ხელნაწერთა (CFGႢ) რიგი: ჯერ ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისი (კიცხევად), მერმე — მისი დამატება.

ლ. 15, 29. თიკანი ერთი C ~ ერთი თიკანი FG.

ბერძნულში თიკანს სულ არ ახლავს რაიმე მსაზღვრელი (ἔριφον). ეფთვიმე და გიორგი ტოვებენ ერთს, მაგრამ მას წინიდან ურთავენ.

ლ. 16, 11. არა სარწმუნო იქმნხეთ C ~ სარწმუნო არა ექმნნეთ FG.

შდრ. πιστοὶ οὐκ ἐγένεσθε (=Ⴂ).

რა თქმა უნდა, არა ზმნის წინ სჯობია. აქ მარტო ბერძნულის მიდევნება არაა, აქ ქართული სული ფეთქავს.

ამჟამად ყურადღებას არ ვაქცევთ ზმნის სხვადასხვა ფორმებს, რომლებიც ხელნაწერებს აურჩევიათ (იქმნნეთ DEFG, ექმნნეთ HIK, იპოვენით C). ეს სხვა საკითხია. ჩვენ აქ სიტყვათა გადასმას ვეხებით მხოლოდ.

ლ. 16, 25. ესე აქა ნუგეშინის-ცემულ არს ~ აქა ესე FG.

შდრ. νῦν δὲ ὧδε (ὅδε).

ბერძნულში ორივე სიტყვის (ესე აქა) ნაცვლად ერთია მხოლოდ: ὧδε ან ὥδε (ზოგ გამოცემაში ერთი, ზოგში — მეორე). ὧδε-ს ძველი მნიშვნელობაა: ამგვარად, ამნაირად, ამ სახით. უფრო გვიან იგი აქა-ს აღნიშნავდა. ჩვენს შემთხვევაში იგი მეორე გაგებით უხმარიათ (აქა); ὅδε კი ქართულად არის „ესე", მესამე პირის ჩვენებითი ნაცვალსახელი, აქ მყოფი, აი ეს. ამ ბერძნული მსგავსი სიტყვების აღრევის ნიადაგზეა, რომ ქართულში და სხვაგანაც (სომხ., რუს...) ორივე ეს სიტყვაა ერთად გადმოტანილი (ესე აქა, *սա աստ*, он здесь...). ტექსტის აზრის მიხედვით კი უნდა ყოფილიყო ὅδε (ესე), რადგან ის დაპირისპირებულია შენ-თან: ეს (აქ) ნუგეშცემულია, ხოლო შენ იტანჯებიო.

C-ს მთარგმნელს (თუ გადამწერს) შებრუნებით გაუგია, ამოსავლად ὧδε (აქა) მიუჩნევია, „ესე", ბუნებრივია, აღარ შემოუტანია, სამაგიეროდ წინადადების მეორე ნაწილში აქა-ს საპირისპიროდ მანდა დაუმატებია (აწ ესერა ნუგეშინის-ცემულ არს და შენ მანდა იარები). სხვაგან მანდა-ს ბადალი სიტყვა არ გვხვდება[1].

ამ ვარაუდით ყველაფერი ეს ὧδε და ὅδε სიტყვების აღრევის ნიადაგზე უნდა იყოს გამოწვეული ჯერ თვით ბერძნულში და მერმე სხვა ენების თარგმანებში[2].

---

[1] შევნიშნავთ აქვე, რომ მანდა ძველ ქართულში არ ნიშნავს იქ-ს (там), იგი ჩვეულებრივ აქა-ს სინონიმია და ამ გაგებითაც იხმარება. მაგალითად: დასხედით მანდა, ვიდრემდე მე მივიდე იქი და ვილოცო (მ. 26, 36). აქ დაპირისპირებულია მანდა (აქა) და იქი. შდრ. *καθίσατε* αὐτοῦ, sedete hic, посадите тут, setzet euch hier; არიან ვინმე მანდა მდგომარეთაგანნი (ლ. 9, 27. შდრ. *εἰσίν τινες τῶν* αὐτοῦ *ἑστηκότων*, есть некоторые из стоящих здесь; ... die hier stehen)... თვით ამ ზმნიზედის აგებულებაც ამას უნდა უჩვენებდეს: მანდა (შდრ. აქა), მაგრამ: მუნ (იქ)... როგორც უნდა იყოს ამ საინტერესო სიტყვის ეტიმოლოგია, მაინც ფაქტია, რომ მანდა ძველ ქართულში არის აქა, здесь, hier და იგი აქა-ს საპირისპიროდ არ გამოდგება, იგი აქა-ს ერთგვარი სინონიმია. მაგრამ ამ საკითხზე ჩვენ სხვაგან გვაქვს უფრო ვრცელი საუბარი და ახლა აქ დავიდუმებთ.

[2] არ არის გამორიცხული მეორე დაშვებაც, რომ ბერძნულში თავიდანვე ორივე გარეგნულად მსგავსი სიტყვა ყოფილიყო ერთად: ὅδε ὧδε (ესე აქა). ამის სასარგებლოდ ილაპარაკებს ჩვენ მიერ მოყვანილი ციტატის გაგრძელება: ესე აქა ნუგეშინის-ცემულ არს, ხოლო შენ იტანჯები. ესე აქ ლაზარეს მიემართება, აქა სამოთხე და ედემია, ხოლო იქ, შორს, ტანჯვასა და ვაებაშია ყოფილი მდიდარი. ესე აქა ტექსტს ძალიან უდგება.

ლ. 17, 7. ვისმე თქუენგანსა ესუას მონაჲ C ~ ... მონაჲ ესუას FG.

შდრ. δοῦλον ἔχων (=Ⴂ).

გარდა იმისა, რომ Ⴗ და Ⴂ ბერძნულს მისდევენ, ამის გარეშეც ცდილობენ, ზმნა ბოლოს გადაიტანონ.

ლ. 17, 31. რომელი იყოს ველსა გარე ~ რომელი ველსა გარე იყოს FG.

შდრ. ὁ ἐν (τῷ) ἀγρῷ.

ბერძნულიდან არა ჩანს, სად იგულისხმება დაკლებული ზმნა. ეფთვიმე (და, განსაკუთრებით, გიორგი) ზმნას წინადადების ბოლოს აქცევს ხოლმე.

C-ს ასო-ასო გადმოუღია ბერძნულის რიგი და ზმნაც გამოუტოვებია (რომელი ველსა გარე).

ლ. 17, 34. ორნი იყვნენ ცხედარსა ერთსა CFG ~ ... ერთსა ცხედარსა.

შდრ. ἐπὶ κλίνης μιᾶς (=Ⴀ).

გიორგის მსაზღვრელი მაინც წინ გადმოაქვს, თუმცა ბერძნულში (და ქართულში სხვაგან) ბოლოს არის. ასეთია სიახლის ძალა.

ლ. 18, 4. არცა კაცთაგან მრცხუენის ~ კაცთაგან არა მრცხუენის CFG.

შდრ. οὐδὲ ἄνθρωπον ἐντρέπομαι, მაგრამ სხვაგან: καὶ ἄνθρωπον οὐκ ἐντρέπομαι.

საქმე ეხება არა უარყოფითი ნაწილაკის ადგილს. ამ მხრივ ორივეგან კარგადაა გაწყობილი სიტყვები და ეს ნაწილაკიც თავის ადგილზეა: DE-ში გვაქვს უარყოფა არცა-თი; ასეთ შემთხვევაში ეს არცა უეჭველად კაცთაგან-ის წინ უნდა იყოს (არ შეიძლება ითქვას: კაცთაგან არცა მრცხუენის: უარყოფა კაცებს — ადამიანებს ეხება; საპირისპიროა ღმერთი: „ღმრთისა არა მეშინისო“, ჩვენი მაგალითის ზემოთაა ნათქვამი). ხოლო როცა მხოლოდ არა გვაქვს (ცა ნაწილაკის გარეშე), მაშინ ეს არა მხოლოდ ზმნას უნდა უდგეს წინ (როგორც CFGႢ-შია წარმოდგენილი).

ლ. 18, 10. აღვიდოდეს ტაძარსა მას ლოცვად ~ ... ლოცვად ტაძარსა მას FG.

შდრ. εἰς τὸ ἱερὸν προσεύξασθαι.

გარემოებითს სიტყვებს ეფთვიმე და გიორგი ჩვეულებრივ ვითარებითში დასმული საწყისის შემდეგ სვამენ. ამ პრინციპს ისინი (განსაკუთრებით გიორგი) ერთგულად იცავენ. აქაც ასეა (საწყისს შეიძლება მოსდევდეს ადგილის გარემოება. სხვადასხვა სახის დამატება, უფრო — უბრალო).

ლ. 18, 25. (ვიდრე მდიდარი) სასუფეველსა ღმრთისასა შესლვად CFG ~ ... შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა.

შდრ. εἰς τὴν βασιλείαν τοῦ θεοῦ εἰσελθεῖν (=Ⴀ).

აქაც ისეა, როგორც ზემო მუხლებში ვნახეთ, ოღონდ ამ წესს აქ მხოლოდ გიორგი იცავს, ეფთვიმე ბერძნულსა და ქართულის CDE-ს მისდევს.

ლ. 19, 14. მეუფებაჲ მაგისი ~ მაგისი მეუფებაჲ CFG.

შდრ. τοῦτον βασιλεῦσαι (=Ⴂ).

ესეც რომ არ იყოს (ე. ი. ბერძნულშიც რომ არ იდგეს მსაზღვრელი წინ), გიორგის აქვს დიდი მიდრეკილება, რომ მსაზღვრელი საზღვრულის წინ გადმოიტანოს.

ლ. 19, 46. იყოს სახლი ჩემი სახლ სალოცველ CFG ~ სახლი ჩემი სახლ სალოცველ არს.

შდრ. καὶ ἔσται ὁ οἶκός μου οἶκος προσευχῆς. მაგრამ იქვეა ზოგან: ὁ οἶκός μου οἶκος προσευχῆς ἐστιν. სწორედ ასეა ქართულშიც. პირველ ვარიანტს მი-

ჰყვებიან CDEFG ხელნაწერები, მეორეს — HIK (Ղ). აქ რიგიც ბერძნულისაა და ზმნის ფორმაც: ἐστιν — არს (პირველ ვარიანტში სხვა მწკრივია: ἔσται — იყოს).

ლ. 20, 38. ღმერთი არა არს მკუდართაჲ (არამედ ცხოველთაჲ) FG ~ არა არს ღმერთი მკუდართაჲ.

შდრ. θεὸς δὲ οὐκ ἔστιν νεκρῶν, ἀλλὰ ζώντων.

ბერძნულის რიგი Ղ-ში შეგნებულად არის დარღვეული. გიორგი არ თიშავს ერთმანეთისაგან სინტაგმას „ღმერთი მკუდართაჲ“, უარყოფა ორივეს ერთად ეხება, როგორც ერთ ცნებას: არა არს „ღმერთი მკუდართაჲ“. CDEFG-ს წყობას შეიძლება საეჭვო გაგებაც გაუჩნდეს: ღმერთი არა არს მკუდართაჲ. ამიტომ გიორგიმ არ ჩათვალა მიზანშეწონილად ამ სინტაგმის ერთმანეთისაგან დაცილება და ახალი რიგი მოგვცა.

ზემოთ აღნიშნული ორპირობის ასაცილებლად რუსულსა და გერმანულს ღმერთი ორჯერ აქვთ განმეორებული: бог же не есть бог мертвых, но живых, Gott aber ist kein Gott der Todten, sondern der Lebendigen.

ლ. 22, 11. (არქუთ) უფალსა მას სახლისასა FG ~ ...სახლისა უფალსა მას.

შდრ. ...τῷ οἰκοδεσπότῃ τῆς οἰκίας (=C).

Ղ-ს „სახლისა უფალი“ კომპოზიტად არის გაგებული, DE-ში იგი დაშლილია. სამაგიეროდ „უფალს“ ბერძნული კომპოზიტად წარმოგვიდგენს (სახლის უფროსით), თუმცა იქვეა დამატებული „სახლისაჲ“. ჩანს, ამ დროს οἰκοδεσπότης მხოლოდ უფროსად, „პატრონად“ ესმოდათ და უხერხულად არ თვლიდნენ, მისთვის ისევ τῆς οἰκίας დაემატებინათ.

ლ. 22, 42. სასუმელი ესე თანა-წარსლვად (ჩემგან) ~ თანა-წარსლვად სასუმელი ესე CFG.

შდრ. παρένεγκε τοῦτο τὸ ποτήριον ἀπ' ἐμοῦ (=Ղ).

ბერძნულის (ასეთი) რიგიც რომ არ იყოს, გიორგი „სასუმელი ესე“-ს მაინც ვითარებითში დასმული საწყისის შემდეგ მოათავსებდა (თანა-წარსლვად სასუმელი ესე), როგორც საერთოდ სჩვევია მას (ნ. ამის შესახებ ზემოთ, გვ. 230—231; 232=ლ. 14, 29; ლ. 18, 10, 25).

ლ. 23, 20. ქუალად პილატე მოუწოდა მათ F ~ ქუალად უკუე მოუწოდა მათ პილატე G.

შდრ. πάλιν δὲ (|| οὖν) ὁ Πιλᾶτος προσεφώνησεν αὐτοῖς (=C).

ბერძნული πάλιν οὖν გიორგის გადმოტანილი აქვს (სწორად): ქუალად უკუე. ამის შემდეგ ქართულში უფრო ბუნებრივი იყო ზმნა — მოუწოდა (ქუალად და უკუე-ც სწორედ ზმნას მიემართება). ამიტომ გიორგის რიგი (ქუალად უკუე მოუწოდა მათ პილატე) უფრო შესაფერისია ქართულისათვის, ვიდრე DE-ს „ქუალად პილატე მოუწოდა მათ“ (კაცი იფიქრებდა: ადრე თვით პილატემ ან სხვა ვინმემ მოუწოდა მათ, ახლა კი პილატემ ისევ მოუწოდა მათო). როგორც ვხედავთ, ეს უკუე აქ რიგის არჩევაში დიდ როლს ასრულებს.

თუ οὖν-ის ნაცვლად δὲ-ს დავტოვებდით ტექსტში, მაშინ იგი ასე გაიმართებოდა: ხოლო პილატე ქუალად მოუწოდა მათ. სამწუხაროდ, CDEFG ხელნაწერებს არა აქვთ წარმოდგენილი ბერძნული οὖν (δὲ) სიტყვების შესატყვისი ფორმები.

ლ. 23, 22. ვსწავლო და განუტევო ეგე ~ ვსწავლო ეგე და განუტევო CFG.

შდრ. παιδεύσας οὖν αὐτὸν ἀπολύσω (=Ղ).

გიორგი ბერძნულ რიგსაც არ ღალატობს და ქართულადაც გაცილებით უკეთ გამოდის, ვიდრე DE-ს აქვს. ერთად ზედიზედ შეყრილი ორი ზმნა მძიმეა,

მათ შორის ეგე-ს ჩასმა და წინადადების ისევ ზმნით დაბოლოება პირდაპირ მისწრებაა. მეორე მხრივ, არ ვარგა, როცა ამ ტიპის წინადადება პაწაწკინტელა ეგე-თი ბოლოვდება.

ლ. 23, 34. მიუტევე ამათ, მამაო FG ~ მამაო, მიუტევე ამათ (მაგათ) C.

შდრ. πάτερ, ἄφες αὐτοῖς (=Ⴂ).

მამაო ყველგან თავშია. რად გადაიტანეს იგი ბოლოში?

ლ. 23, 38. მეუფე ჰურიათაჲ არს ესე FG ~ ესე არს იესუ, მეუფე ჰურიათაჲ C.

შდრ. οὗτός ἐστιν ὁ βασιλεὺς τῶν Ἰουδαίων (=Ⴂ). მაგრამ ბერძნულში ზოგან სხვა რიგია: ὁ βασιλεὺς τῶν Ἰουδαίων οὗτός (=Ⴀ).

ზმხა ἐστιν აქ არაა, უფრო ბოლოში იგულისხმება. ამიტომ სწორედ ამ ტიპის ხელნაწერები უნდა დასდებოდა საფუძვლად ႠႴ რედაქციებს.

ეს კარგი, მაგრამ საიდან გაჩნდა HIK-ში აქ იესუ? იგი ამ ადგილას არ არის არც ბერძნულში, არც ქართულში სხვაგან სადმე, არც სხვა ენების თარგმანებში. უნდა ვიფიქროთ, რომ იესუ აქ გადმოვიდა მათეს თავიდან, სადაც (27, 37) ეგევე ამბავია მოთხრობილი და იქ იესუც არის მოხსენიებული: „ესე არს იესუ, მეუფე ჰურიათაჲ“ (HIK). იესუ ამ ადგილას ყველგანაა: οὗτός ἐστιν Ἰησοῦς ὁ βασιλεὺς τῶν Ἰουδαίων. აი აქედან გადმოვიდა იესუ აგრეთვე ლუკას თავშიც, როცა იგივე ეპიზოდი განმეორდა.

ი. 3, 4. შესლვად და მეორედ შობად ~ შესლვად მეორედ და შობად CFG.

შდრ. δεύτερον εἰσελθεῖν καὶ γεννηθῆναι (=Ⴂ).

მეორედ შობად კი არა, როგორც DE-შია ნათქვამი, არამედ მეორედ შესლვად (დედის მუცელში) და (მერმე) შობად. C ყველაზე ნათლად და ზუსტად გადმოგვცემს სათქმელსა მეორედ შესლვად და გამოშობად. ცოტა სხვა ფორმით (შესლვად მეორედ) ამასვე ამბობენ ეფთვიმე და გიორგი. DE-ში ტექსტის აზრი ზუსტად და ნათლად არაა გადმოცემული.

ი. 3, 9. (ვითარ შესაძლებელ არს) ესე ყოფად CG ~ ... ყოფად ესე F.

შდრ. ταῦτα γενέσθαι (=Ⴀ).

მაგრამ გიორგის სჩვევია, ჯერ ვითარებითში დასმული საწყისი წარმოადგინოს, მერმე — სხვა სიტყვების დამატებანი, გარემოებანი (ნ. ამის შესახებ ზემოთ, გვ. 230—231; 232: 233).

ი. 3, 20. რომელი იქმნ ბოროტსა C ~ რომელი ბოროტსა იქმს FG.

შდრ. ὁ φαῦλα πράσσων (=Ⴂ).

ႴႢ რედაქციები ბერძნულის რიგსაც იცავენ და ზმნასაც ბოლოში აქცევენ. ესაა გიორგის დევიზი.

რაც შეეხება ზმნების სხვადასხვა მწკრივს (იქმნ — იქმს), ახლა ეს აქ არ გვაინტერესებს.

ი. 3, 34. (რომელი) ღმერთმან მოავლინა C ~ ...მოავლინა ღმერთმან FG.

შდრ. ὃν γὰρ ἀπέστειλεν ὁ θεός (=Ⴂ).

ႴႢ-ს არ სურთ, რომ ბერძნულის რიგს უღალატონ, თორემ ზმნას ბოლოს მოაქცევდნენ.

ი. 4, 9. დედაკაცისაგან სამარიტელისა C ~ სამარიტელისა დედაკაცისაგან FG.

შდრ. γυναικός Σαμαρείτιδος.

აქაც მსაზღვრელი სამარიტელისა წინაა გადმოტანილი.

ი. 4, 13. მერმეცა სწყუროდის C ~ სწყუროდის ჟუალადცა FG.

შდრ. διψήσει πάλιν (=Ⴂ).

FG-ს აქვს კუალად (ცა არ დაუმატებიათ). გიორგიმ ეფთვიმეს რიგი (=ბერძნ.) მიიღო, ხოლო თავის მხრივ კუალად-ს დაუმატა ცა ნაწილაკი, რომელიც ამ სიტყვას ძალიან კარგად ეხამება სტილისტურად, რადგან თვით ცა-ს დაახლოებით იგივე (კუალად-ის) მნიშვნელობა, ანუ იგივე ნიუანსი აქვს: ისევ, კიდევ (ისევ, კიდევ, კვლავ მოსწყურდებაო).

ი. 4, 18. რომელი აწ (გივის) C ~ აწ რომელი (გივის) FG.

შდრ. καὶ νῦν ὃν ἔχεις (=Ⴂ).

„—“ არა ქმარი შენი არს ~ არა არს ქმარი შენი CFG.

შდრ. οὐκ ἔστιν σου ἀνήρ (=Ⴂ).

DE-ს „არა ქმარი შენი არს“ ქართულისათვის უჩვეულო რიგია. ამის აზრი კაცმა შეიძლება სხვაგვარადაც გაიგოს: (ის, ახლა რომ გყავს ქმარი,) შენი ქმარი კი არ არის, არამედ ესა და ესაო. ეფთვიმესა და გიორგის რიგი ბერძნულსაც მიჰყვება და თავადაც ქართულია, კარგია.

ი. 4, 33. (იტყოდეს) ურთიერთას მოწაფენი იგი ~ ... მოწაფენი ურთიერთას CFG.

შდრ. ...οἱ μαθηταὶ πρὸς ἀλλήλους (=Ⴂ).

მაგრამ ბერძნულში ზოგან ყოფილა: (ἔλεγον νῦν) ἐν ἑαυτοῖς οἱ μαθηταί. აქედან ხათელია, რომ ჩვენს ორივენაირ რიგს თვით ბერძნულში აქვს სათავე. არ შეიძლება ითქვას, თუ რომელი მათგანი მისდევს ბერძნულს და რომელი — არა. ორივე მიჰყვება ბერძნულს, ოღონდ სხვადასხვანაირ ბერძნულს (თუ ვერსიას), სხვადასხვა რიგის მქონე ბერძნულს.

ი. 4, 37. ამით არს სიტყუაჲ იგი ჭეშმარიტ CFG ~ ამით არს ჭეშმარიტ სიტყუაჲ იგი.

შდრ. ἐν γὰρ τούτῳ ὁ λόγος ἐστὶν ἀληθινός (=C̄).

„არს ჭეშმარიტ“ შედგენილი შემასმენელია, მათი გათიშვა არ ვარგა. გიორგის იგინი ერთად მოუთავსებია; ასეც სჯობია, ადვილი გასაგებია.

ი. 4, 39. ყოველი, რაჲცა ვქმენ, მითხრა მე ~ ყოველივე მითხრა მე, რაოდენი ვქმენ CFG.

შდრ. εἶπέν μοι πάντα ἃ (ὅσα) ἐποίησα (=Ⴂ).

რაც შეეხება ႠႢ-ს რაოდენ-ს (რავდენი FG) და CDE-ს რაჲცა-ს, მათ თვით ბერძნულში აქვთ შესატყვისი (ὅσα და ἅ). მაგრამ ეს საკითხი ახლა აქ არ გვაინტერესებს.

ი. 4, 53. ცოცხალ არს ძჱ შენი ~ ძე შენი ცოცხალ არს CFG.

შდრ. ὁ υἱός σου ζῇ (=Ⴂ).

ი. 5, 9. იყო დღე იგი შაბათი ~ იყო შაბათი დღე იგი CFG.

შდრ. ἦν δὲ σάββατον ἐν ἐκείνῃ τῇ ἡμέρᾳ (=Ⴂ).

ი. 5, 47. უკუეთუ წიგნთა მისთაჲ (არა გრწამს) ~ ... მისთა წიგნთაჲ FG, მისთაჲ მათ დაწერილთაჲ C.

შდრ. εἰ δὲ τοῖς ἐκείνου γράμμασιν οὐ πιστεύετε (=Ⴂ).

მსაზღვრელი წინაა გადმოტანილი, როგორც ႠႢ-ს სჩვევია ხოლმე.

„—“ სიტყუათა ჩემთაჲ ~ ჩემთა (ამათ C) სიტყუათაჲ CFG.

შდრ. πῶς τοῖς ἐμοῖς ῥήμασιν πιστεύσετε (=Ⴂ).

მსაზღვრელი აქაც წინაა გადმოტანილი.

ი. 6, 61. ესე დაგაბრკოლებს თქუენა ~ ესე დაგაბრკოლებსა თქუენ FG.

აქ საქმე მხოლოდ ქართულ ტექსტს ეხება. ა კითხვითი ნაწილაკი ძველ ქარ-

თულში ჩვეულებრივ ზმნას ახლავს, რადგან იგი ზმნის შინაარსის განსაზღვრაში ღებულობს აქტიურ მონაწილეობას, გამოხატავს კითხვითობას, როცა წინადადებაში კითხვითი სიტყვა არ მოიპოვება. მაგალითად: შენ ხარა ქრისტე (მრ. 14, 61): არასადა აღმოგიკითხავსა (მ. 21, 16, 42); შენ გუასწავებაა ჩუენ (ი. 9, 34); სასუმელი... არა შევსუაა (ი. 18. 11); არა-მე უპყრასა და აღმოიქუას იგი (მ. 12, 11). ჩვენს შემთხვევაში DE-ს ეს ა ნაცვალსახელზე დაურთავს, რაც იშვიათია და ნაკლებად შეეფერება ძველი ქართულის ვითარებას. C-ს სულ არ მოეპოვება ეს ა. ეფთვიმეს ის, გავრცელებული წესის მიხედვით, ზმნაზე გადააქვს, ხოლო გიორგი ეფთვიმეს წაკითხვას ეყრდნობა და იმას იყენებს თავის რედაქციაში.

ი. 7, 39. არლა იყო სული წმიდაჲ მოცემულ ~ არლა მოცემულ იყო სული წმიდაჲ FG.

„მოცემულ იყო", „იყო მოცემულ" არ შეიძლება გაიყოს და გაითიშოს, DE კი თიშავს მათ და შუაში ათავსებს მთელ შესიტყვებას „სული წმიდაჲ". Ⴉ და Ⴂ კი ქართული ენის აღნიშნულ წესს წმინდად იცავენ და სადავო რიგის სიტყვებს ერთად წარმოგვიდგენენ (მოცემულ იყო).

ი. 7, 43. და იყო განწვალებაჲ (წვალებაჲ C) ~ განწვალებაჲ იყო FG.

შდრ. σχίσμα οὖν ἐγένετο ἐν τῷ ὄχλῳ δι' αὐτόν (=Ⴂ).

ოდნავი გადასმა თვით ბერძნულშიც გვაქვს: σχίσμα οὖν ἐν τῷ ὄχλῳ ἐγένετο δι' αὐτόν, მაგრამ ზმნა სულ თავში და „ერსა შორის" (ἐν τῷ ὄχλῳ) სულ ბოლოში, როგორც DE-შია წარმოდგენილი, არსად არ გვხედება.

ი. 8, 16. არა მარტოჲ ვარ D, მარტოჲ არა ვარ E ~ არა ვარ მარტოჲ CFG.

შდრ. μόνος οὐκ εἰμί (=E).

ქართულად არ ვარგა „არა მარტოჲ ვარ" (D); ამას შეიძლება სხვა აზრიც მიეცეს: არა მარტო ვარ, არამედ სხვაც არის (სხვებიც არიან) ჩემთანო. ყველას სჯობია „არა ვარ მარტოჲ" (CႩႢ — არა ზმნის წინ უნდა იდგეს), მერმე—„მარტოჲ არა ვარ" (E).

ი. 8, 50. (რომელი) შჯის და ეძიებს ~ ...ეძიებს და შჯის FG, (რომელმან) იძიოს და საჯოს C.

შდრ. ὁ ζητῶν καὶ κρίνων (=Ⴂ).

აი ამ რიგის შეცვლა კი ყოვლად შეუძლებელია: ჯერ ეძიებს, მერმე შჯის. ასეა ყველგან, სადაც ხელი მიგვიწვდება. ერთადერთი C რედაქციაა, რომელსაც უკუღმართი რიგი აქვს: ჯერ შჯის (ასამართლებს, განსჯის, განიკითხავს) და მხოლოდ მერმე ეძიებს. ასეა ოპიზის ოთხთავშიც, მაგრამ ბერთისაში რიგი უკვე გამოსწორებულია (რომელი ეძიებს და შჯის).

ი. 9, 19. ვითარ უკუე აწ ჰხედავს ~ აწ უკუე ვითარ ხედავს FG.

შდრ. πῶς οὖν βλέπει ἄρτι. მაგრამ იმავე ბერძნულში სხვაგან სხვა რიგია: ἄρτι βλέπει.

DE აქ სიტყვასიტყვით იღებს ბერძნულის II ვარიანტს. ქართულში აწ (ახლა) თავში სჯობდა, როგორც CႩႢ-ს აქვს: ახლა (უკვე) როგორ(ღა) ხედავს? C-ს უკუე (οὖν) სულ გამოუტოვებია, სხვა მხრივ ყველაფერი რიგზე აქვს. სწორედ ამას ეყრდნობა (უკუეთუ-ს აღდგენით) ეფთვიმე, ხოლო ეფთვიმეს წაკითხვა ხელუხლებლად გადატანილი აქვს გიორგის. ერთი სიტყვით, DE-ს რიგი შესასწორებელი იყო და შეასწორეს.

ი. 9, 28. (ჩუენ) მოსესნი ვართ მოწაფენი ~ ... მოწაფენი მოსესნი ვართ FGႢ, ... მოსეს მოწაფენი ვართ C.

შდრ. ἡμεῖς δὲ τοῦ Μωϋσέως ἐσμὲν μαθηταί (=C).

DE მონურად ემორჩილება ბერძნულს და ევარგის რიკს ღებულობს (მოსესნი ვართ მოწაფენი). ႤႢ-ს წყობა კარგია, ძველი ქართულია (მოწაფენი მოსესნი ვართ). ხოლო C გვაწვდის სულ ახალ, თანამედროვე ქართულის რიგს (ჩუენ მოსეს მოწაფენი ვართ). ასე გეგონება, დღევანდელი, XX საუკუნის ქართველი წერსო.

ი. 10, 33. რამეთუ შენ კაცი (კაც C) ხარ C ~ … კაცი ხარ შენ FG.

შდრ. καὶ ὅτι σὺ ἄνθρωπος.

ბერძნულში, როგორც ვხედავთ, ზმნა არ არის წარმოდგენილი. ქართულში აუცილებელი იყო მისი დამატება. ესაა ხარ. იგი CDE-მ ბოლოს დაუმატა (შენ კაცი ხარ), ხოლო Ⴄ მ — შუაში (კაცი ხარ შენ). გიორგიმ უკრიტიკოდ მიიღო ეფთჳმეს რიგი და ასე შეიტანა თავის რედაქციაში. ნამდვილად DE-ს რიგია უკეთესი: სულ წინ ქვემდებარე უნდა, შედგენილი შემასმენელი მას უნდა მიჰყვებოდეს (თვით შედგენილ შემასმენელში — ჯერ სახელადი ნაწილი, მერმე — ზმნური).

ი. 11, 7. (გუალე) კუალად წარვიდეთ ჰურიასტანად ~ (გუალეთ) წარვიდეთ კუალად ჰურიასტანად CFG.

შდრ. ἄγωμεν εἰς τὴν Ἰουδαίαν πάλιν.

ბერძნულში ზმნიზედა კუალად (πάλιν) წინადადების ბოლოშია მოქცეული. ქართულში იგი DE-მ თავში გადმოიტანა (კუალად წარვიდეთ), ხოლო FG-მ — ზმნის შემდეგ. რაღა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი წყობაა სწორი: ბრძანებითში პირველ ადგილზე ზმნა უნდა იყოს, ზმნიზედა კი მას უნდა მოჰყვებოდეს. ეს იდეალური რიგი აქვს დაცული FG-ს, რომელიც შემდეგ გიორგიმაც გამოიყენა.

C-ს სხვა სიტყვები შეურჩევია, მაგრამ რიგით, წყობით FG-ს წინაპარია (მოვედით, მივიდეთ მერმე ჰურიასტანდ).

ი. 11, 15. არა მუნ ვიყავ CFG ~ არა ვიყავ მუნ.

შდრ. οὐκ ἤμην ἐκεῖ (= Ⴂ).

გიორგის რიგი ბერძნულსაც მისდევს და ქართულადაც კარგია: არა ზმნას უნდა უძღოდეს წინ.

ი. 11, 16. გუალე მივიდეთ ჩუენცა, რაჲთა მოვსწყდეთ მის თანა CFG ~ მოგუალეთ, მივიდეთ, რაჲთა მოვსწყდეთ ჩუენცა მის თანა.

შდრ. ἄγωμεν καὶ ἡμεῖς, ἵνα ἀποθάνωμεν μετ' αὐτοῦ (= C).

ჩუენცა გიორგის სწორედ თავის ადგილას აქვს დასმული: მთავარია, რომ ჩვენცა მოვწყდეთ (მათთან ერთად) და არა ჩვენცა მივიდეთ. მისვლა, უბრალოდ, წინა საფეხურია. მთავარი მიზანია მათთან ერთად მოწყდომა (დახოცვა). ეს აზრი რუსულ თარგმანში ზედმიწევნით ზუსტად არის გამოთქმული: пойдем и мы умрем с ним. გიორგის მიერ გადასმული ჩუენცა იდეალური სიზუსტითა და დიდი ექსპრესიული ძალით გამოხატავს ტექსტის მთავარ სათქმელს.

ი. 12, 34. (ჯერ-არს) ძისა კაცისაჲ აღმაღლებაჲ ~ ამაღლებაჲ ძისა კაცისაჲ FG.

შდრ. δεῖ ὑψωθῆναι τὸν υἱὸν τοῦ ἀνθρώπου (= Ⴂ).

ჯერ-არს, ჰნებავს, ჰსურს და ამ ტიპის ზმნებთან ჯერ საწყისი უნდა, ხოლო ამის შემდეგ — სხვა წევრები. C-ს თვით ჯერ-არს გადაუტანია საწყისის შემდეგ და უცნაურად გაუთიშავს საზღვრული და მსაზღვრელი (აღმაღლებაჲ ჯერ-არს ძისა კაცისაჲ).

ი. 12, 35. რაჲთა არა ბნელი გეწიოს თქუენ ~ რაჲთა არა გეწიოს თქუენ ბნელი CFG.

შდრ. ἵνα μὴ σκοτία ὑμᾶς καταλάβῃ (= Ꞇ).

ქართულში საჭიროა არა ნაწილაკი უშუალოდ ზმნის წინ იდგეს (არა გეწიოს). სწორად იქცევა ჯერ C, შემდეგ — ეფთვიმე და ბოლოს — გიორგი. აქ არ ეწევა ანგარიში ბერძნულის რიგს, უფრო წინაა წამოწეული ქართულის ბუნება, მისი მოთხოვნა.

ი. 12, 38. რაჲთა სიტყუაჲ იგი ესაია წინაწარმეტყუელისაჲ აღესრულოს ~ რაჲთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი ესაია წინაწარმეტყუელისაჲ CFG.

შდრ. ἵνα ὁ λόγος Ἠσαΐου τοῦ προφήτου πληρωθῇ (= Ꞇ).

ქართულში რაჲთა კავშირს უშუალოდ ზმნა უნდა მოჰყვებოდეს (რაჲთა აღესრულოს), რადგან იგი (რაჲთა) მას ეკუთვნის, მასთან განუყოფლად არის დაკავშირებული, მისი შინაარსის განსაზღვრაში იღებს აქტიურ მონაწილეობას (რაჲთა აღესრულოს სხვაა და მარტო მდგომი აღესრულოს სულ სხვა). DE-ს კი ისინი გაუთიშავს: რაჲთა წინადადების თავში მოუქცევია, მერმე ჩაუყრია სხვა წევრები და წინადადების სულ ბოლოს დაუსვამს ზმნა. ეს დედნისადმი მონური მორჩილებაა. ბუნებრივია, რომ ეს რიგი უარყო ჯერ ეფთვიმემ და მერმე გიორგიმ (C-ს ადრე ჰქონდა სწორი წყობა). ამ სამთა რიგში ყველაფერი კარგადაა.

ი. 13, 23. (და იყო ერთი) მიყრდნობილ მოწაფეთა მისთაგანი ~ ...მოწაფეთა მისთაგანი (მოწაფეთაგანი FG) მიყრდნობილ FG.

შდრ. ἦν (δὲ) ἀνακείμενος εἷς ἐκ τῶν μαθητῶν αὐτοῦ ἐν τῷ κόλπῳ τοῦ Ἰησοῦ.

DE-ს რიგი სრულიად უვარგისია: აქ მჭიდრო სინტაგმა მეტად უხერხულად არის გათიშული მათ შორის მიმღეობის ჩასმით: და იყო ერთი მიყრდნობილ მოწაფეთა მისთაგანი (ეს იმასა ჰგავს, დიდი ილია რომ დასცინოდა შალვა ერისთავს: ხელი გავიქნიე ფეხი). Ч.-ს ბერძნულის რიგი კი დაურღვევია, სამაგიეროდ აქ ქართული არაა შელახული: და იყო ერთი მოწაფეთაგანი მიყრდნობილ წიაღთა თანა იესუჲსთა. აი სწორედ ეს არის ბუნებრივი ქართულის ძალდაუტანებელი, ლაღი მდინარება. ეფთვიმეს ეს კარგი წყობა, ცხადია, უცვლელად გადაიტანა გიორგიმაც.

C-ს მიყრდნობილ სულ არ მოეპოვება და მასზე საუბარი აღარც დაგვჭირდება.

ი. 13, 25. მიეყრდნა იგი ~ ხოლო იგი მიეყრდნა FG.

შდრ. ἀναπεσὼν (δὲ) ἐκεῖνος (= Ꞇ).

DE აქაც მისდევს ბერძნულის რიგს. მას არ მოეპოვება ხოლო, ბერძნული δὲ-ს შესატყვისი იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ იგი (δὲ) ზოგან თვით ბერძნულშიც არ არის. FG-ს, როგორც ეტყობა, ისეთი ბერძნული დედანი ჰქონია, რომელშიც ეს δὲ იყო, იგი გადმოუტანია ქართულში და სწორედ ამ მიზეზით რიგიც შეუცვლია: ხოლო იგი მიეყრდნა. ორივე რედაქცია სწორია: თუ ხოლო არ იქნება, მაშინ უეჭველად DE-ს რიგი უნდა (მიეყრდნა იგი), მაგრამ თუ ეს ხოლო შემოვა წინადადებაში, FG-ს რიგი ერთადერთია (ხოლო იგი მიეყრდნა).

ზოგან ბერძნულში δὲ-ს მაგივრად οὖν ყოფილა, მაგრამ ეს საქმის ვითარებას არა ცვლის.

C-ს დასაწყისში და დაუმატებია და, ბუნებრივია, რიგიც შეუცვლია (და იგი მიეყრდნა). გიორგი აქაც FG-ს წყობას იყენებს.

ი. 13, 29. გლახაკთა რაჲ მიცემად C ~ მიცემად რაჲმე გლახაკთა FG.

შდრ. ἢ τοῖς πτωχοῖς ἵνα τι δῷ (= Ꞇ).

დამატებითი სიტყვები ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისის შემდეგ — ასეთია ეფთვიმესა და გიორგის დევიზი. ამიტომ ბერძნული რიგის უეჭველად დაცვაზე მაინცდამაინც არ ზრუნავენ (ნ. ამის შესახებ ზემოთ, გვ. 230—231; 232; 233; 234).

ი. 13, 30. და განვიდა მეყსეულად ~ და მეყსეულად განვიდა FG.

შდრ. ἐξῆλθεν εὐθύς, მაგრამ ზოგან: εὐθέως ἐξῆλθεν.

რაღა გვეთქმის ქართულში, როცა თვით ბერძნულშიც ასეთივე ნაირ-ნაირი რიგია!

გიორგი ეფთვიმეს რიგს მიჰყვება.

ი. 14, 16. რაჲთა დაადგრეს თქუენ თანა უკუნისამდე ~ რაჲთა თქუენ თანა დაადგრეს უკუნისამდე FG.

შდრ. ἵνα ᾖ (μένῃ) μεθ' ὑμῶν εἰς τὸν αἰῶνα (=C).

ႣႤ-ში ჰარმონიულად არის განაწილებული გარემოებითი სიტყვები: ზოგი ზმნის წინაა დატოვებული (თქუენ თანა), ზოგიც ზმნის შემდეგაა გადატანილი (უკუნისამდე). გარემოებითი სიტყვების ერთად თავმოყრა ენას ამძიმებს. მეორე მხრივ, როცა თქუენ თანა წინაა გადმოტანილი, ამით ხაზი ესმება მათ: სწორედ თქვენთან (და არა სხვასთან) იქნება უკუნისამდეო. ამიტომ არის დარღვეული ბერძნულის რიგი და ამიტომ უშუალოდ არ უძღვის ზმნას კავშირი რაჲთა. გიორგი აქაც ეფთვიმესთანაა.

C-ს დაადგრეს ფორმის ნაცვლად დაიმკვდროს უწერია, რიგი კი ისეთივე აქვს, როგორც მის დიდ შთამომავლებს.

ი. 14, 24. (სიტყუანი) არა არიან ჩემნი, არამედ ~ არა ჩემნი არიან... FG.

შდრ. οὐκ ἔστιν ἐμὸς ἀλλά (=C).

აქ დაპირისპირებაა: ეს სიტყვები არა ჩემნი არიან, არამედ მომავლინებელისა ჩემისა მამისანიო. ასეთი დაპირისპირებისას სწორედ ეფთვიმეს (და გიორგის) მიერ მიღებული რიგია საჭირო; აქ ჩემ-ს ესმის ხაზი, ამიტომ არა-ც მის წინ დგას, საპირისპიროდ იქვე მოჰყვება არამედ. აღნიშნულის გამოა, რომ ეფთვიმე და გიორგი არღვევენ ბერძნულის რიგს. ქართულად სწორედ ასე იყო საჭირო.

ი. 14, 30. (ჩემ თანა) არარაჲ პოვოს FG ~ პოოს არარაჲ.

შდრ. καὶ ἐν ἐμοὶ οὐκ ἔχει οὐδέν (Ⴄ).

ეფთვიმეს ქართულისათვის DE-ს რიგი კარგად მიუჩნევია და ის შეუტანია თავის რედაქციაში, გიორგი ბერძნულს მისდევს. ორივე საესებით შესაძლებელია. მაგრამ თუ მაინცდამაინც რომელიმე მათგანი უფრო უკეთესად უნდა ჩავთვალოთ, ეს ისევ ეფთვიმესი იქნება: მართალია, აქ არარაჲ პირდაპირი დამატებაა, მაგრამ მისი მთავარი დანიშნულება უარყოფაა, უარყოფა კი ზმნის წინ სჯობია: ჩემთან ვერაფერს (ვერ) ნახავსო.

ქართულში გიორგის წინაპარი და პირველწყაროა ადიშის ხელნაწერი (ჩემ თანა არაჲ პოოს).

ი. 16, 12. არღა ძალ-გიც ტჳრთვად აწ ~ აწ არღარა ძალ-გიც ტჳრთვად FG.

შდრ. οὐ δύνασθε βαστάζειν ἄρτι (=C).

აწ სხვა ენების თარგმანებში უმეტესად ბოლოსაა, ზოგში, ამ ენების შინაგანი ბუნების მიხედვით, დაძრულია ბოლოდან და წინაა გადმოტანილი (სხვადასხვა ადგილას), მაგალითად: но вы теперь не можете вместить, aber ihr könnet es jetzt nicht tragen. ქართულში ეს გარემოებითი პატარა სიტყვა ძა-

ლიან შორს არის გადატანილი, წინადადების სულ ბოლოს. ეფთვიმე მონურად არ ემორჩილება ბერძნულის რიგს. აწ წინ გადმოაქეს და უფრო ბუნებრივ ადგილზე (წინადადების თავში) სვამს. ქართულს სწორედ ასე უხდება. გიორგი ღებულობს ამ რიგს.

ი. 16, 24. (რაჲთა სიხარული თქუენი) იყოს სავსებით ~ ... სავსებით იყოს FG.

შდრ. ἵνα ἡ χαρὰ ὑμῶν ᾖ πεπληρωμένη (=C).

ზმნა ბოლოში!

ი. 17, 18. ვითარცა მე მომავლინე სოფლად C ~ ... მომავლინე მე ... FG.

შდრ. καθὼς ἐμὲ ἀπέστειλας εἰς τὸν κόσμον (=C).

ქართულში (პირდაპირი) დამატება ზმნის შემდეგ უნდა, როგორც ԿԳ-ს აქვთ. რიგის შეცვლა შემთხვევითი სრულებით არ არის.

ი. 17, 24. (სადაცა მე ვიყო, იგინიცა) იყვნენ ჩემ თანა ~ ...ჩემ თანა იყვნენ CFG.

შდრ. κἀκεῖνοι ὦσιν μετ' ἐμοῦ (=C).

ეფთვიმესა და გიორგის (სხვა თანაბარ პირობებში) ზმნა წინადადების ბოლოს გადააქვთ ხოლმე. აქაც რთული წინადადების ორივე ნაწილში სიმეტრიულად ზმნა ბოლოსაა: სადაცა მე ვიყო, იგინიცა ჩემ თანა იყვნენ. C-საც ასე ჰქონდა ადრე. ეს კარგი წყობა მერმე მისმა დიდმა შთამომავლებმა გამოიყენეს.

ი. 18, 6. უკუნიქცეს გარე ~ გარეუკუნიქცეს FG.

შდრ. ἀπῆλθαν εἰς τὰ ὀπίσω (=C).

DE-ში გარე ზმნიზედად არის გაგებული და ზმნას მოსდევს; სხვებში გარე და უკუნ ერთადაა შეერთებული. ჩვეულებრივს გადასმასა და რიგის დადგენაზე აქ ზედმეტია ლაპარაკი.

ი. 18, 16. (განვიდა) მოწაფეჱ იგი სხუაჲ ~ ...ერთი (სხუაჲ C) იგი მოწაფჱ CFG.

შდრ. ...ὁ μαθητὴς ὁ ἄλλος (=C).

ძველი რიგი შეცვლილია. მიზეზი? — განახლებისაკენ სწრაფვა, მსაზღვრელი წინო! ადრე C-ც ასე მოიქცა (სხუაჲ იგი მოწაფჱ); ეფთვიმემ ეს რიგიც მიიღო და ძველი (ამ მნიშვნელობით) სხუაჲ ახალი ერთით შეცვალა. ესაა სრული განახლება. გიორგიმ ეს განახლებული ფორმა და წყობა თავის რედაქციაში დაამკვიდრა.

ი. 18, 34. თავით თჳსით შენ (მაგას იტყჳ) ~ შენ თავით თჳსით FG.

შდრ. ἀφ' ἑαυτοῦ σὺ τοῦτο λέγεις (=C).

DE ბრმად მისდევს ბერძნულის რიგს და სცოდავს ქართულს: შენ (ქვემდებარე) თავში იყო საჭირო, როგორც ԿԳ-ს აქვთ, აქ კი შუაშია გაჩხირული უხეშად (თავით თჳსით შენ მაგას იტყჳ). დღეს შეიძლებოდა მაგას-აც წინ გადმოგვეტანა: შენ მაგას შენით (შენი საკუთარი მოსაზრებით) ამბობ, თუ სხვებმა გითხრეს ჩემ შესახებ.

ამ გასწორების პრიორიტეტი აქაც ისევ C-ს ეკუთვნის, ოღონდ „თავით თჳსით“ მას შემოკლებულად უწერია (შენ თავით იტყჳ მაგას). შემდეგ ჩვეულებრივი გზით მიდის ყველაფერი: ეფთვიმე ჩარხავს წინადადებას, გიორგი უყოყმანოდ ღებულობს მას.

ი. 18, 38. კუალად გამოვიდა ჰურიათა და ჰრქუა მათ ~ კუალად გამოვიდა და ჰრქუა ჰურიათა მათ FG.

შდრ. πάλιν ἐξῆλθεν πρὸς τοὺς Ἰουδαίους, καὶ λέγει αὐτοῖς (=C).

აქედან ჩანს, რომ ორიგინალის აზრი ყველაზე კარგად DE-ს აქვს გაგებული და გადმოცემული: კვლავ გამოვიდა ებრაელებთან და უთხრა მათ, და არა: კვლავ გამოვიდა და უთხრა ებრაელებს. შდრ. სხვა ენების ზუსტი თარგმანები: опять вышел к Иудеям и сказал им, ging er wieder zu den Juden hinaus und sprach zu ihnen.

C-საც არა აქვს სწორად გადმოღებული: იგი უმატებს: გარეთ გამოვიდაო (ვისთან — ამაზე არაფერია ნათქვამი) და ებრაელებს უთხრაო (მერმე გამოვიდა გარე და ჰრქუა ჰურიათა მათ).

FG-ს ისე აქვს, როგორც C-ს, ოღონდ უმატებს პილატე-ს (კუალად გამოვიდა პილატე და ჰრქუა ჰურიათა მათ), რაზედაც ახლა აქ ვერ შევჩერდებით.

როგორ მოხდა მაინც ასეთი არევ-დარევა? C-ს უზუსტობანი გაასწორა ეფთვიმემ (მერმე შეცვალა კუალად-ით, გარე, რომელიც ბერძნულში არა გვაქვს, ამოაგდო); თავის მხრივ, აზრის დასაზუსტებლად პილატე დაუმატა და სხვა ყველაფერი ისევ ისე დატოვა.

გიორგი ენდო ეფთვიმეს, მხოლოდ ერთი, მის მიერ დამატებული პილატე ამოიღო, სხვა ყველაფერი უცვლელად დატოვა. არავის არ შეუხედავს C რედაქციისათვის (კერძოდ, DE-სთვის), რომელიც ამ შემთხვევაში (ისე, როგორც არაერთხელ სხვაგანაც) ყველაზე ერთგულად მიჰყვებოდა ბერძნულს და ზუსტად გადმოსცემდა ორიგინალის შინაარსს.

ი. 18, 40. და იყო ბარაბა ესე ავაზაკი FG ~ და იყო ესე ბარაბა ავაზაკი.

შდრ. ἦν δὲ ὁ Βαραββᾶς λῃστής.

გიორგიმ კარგად გადმოიღო ქართულად დედნის წაკითხვა: ესე წინ დაუსვა ადამიანის სახელსა უბრალო ნაწევრად არ გაიგოთ, ჩვენებითი ნაცვალსახელი არისო. ბერძნულისაგან განსხვავებით ადამიანის სახელს ნაწევარი (ბოლოში) ჩვეულებრივ არ დაესმის ან იშვიათად დაესმის. ამიტომ DEFG-ს „ბარაბა ესე“ უჩვეულოა ძველი ქართულისათვის. C? C რაღას შვრება? C-ც ისე იქცევა, როგორც DEFG, ოღონდ ესე-ს სხვა ნაცვალსახელით (ნაწევრით) ცვლის: და ბარაბა იგი იყო ავაზაკ.

ი. 19, 18. იმიერ და ამიერ CFG ~ ამიერ და იმიერ.

შდრ. ἐντεῦθεν καὶ ἐντεῦθεν.

ბერძნული არ უჩვენებს რიგს, იქ არა ჩანს, რომელი უნდა იყოს წინა იმიერ თუ ამიერ. ეს არც სხვაგან ჩანს, მაგ.: по ту и по другую сторону, zu beiden Seiten. ქართულში ჯერ მაინც ამიერ უნდა სჯობდეს, შემდეგ — იმიერ (ჯერ I პირთან ახლო მყოფი).

ი. 19, 19. (და დაწერა) ფიცარი პილატე C ~ პილატე ფიცარი FG.

შდრ. ἔγραψεν δὲ καὶ τίτλον ὁ Πιλᾶτος (=C).

ქვემდებარე წინ, პირდაპირი დამატება (უბრალო დამატება ან გარემოება C) — შემდეგ. რა თქმა უნდა, აქ შემთხვევითი გადასმა არ არის: ეფთვიმე და გიორგი უპირატესობას ანიჭებენ ისეთ რიგს, სადაც ქვემდებარე (სუბ.) წინ იქნება, პირდაპირი დამატება მას მოჰყვება. ეს არის ძველი ქართულის მთავარი კანონის ყრუ გამოძახილი, როცა ქვემდებარე და პირდაპირი დამატება ადამიანის სახელებით არის გამოხატული. ასეთ შემთხვევაში, როგორც ცნობილია, წინ (I ადგილზე) ქვემდებარე (სუბ.) უნდა იყოს უეჭველად, II ადგილზე — პირდაპირი დამატება (ობიექტი), მაგალითად: მაშინ მიიყვანა პილატე იესუ (ი. 19, 1); მაშინ

ჰეროდე შეიპყრა იოვანე (მ. 14, 3); აბრაჰამ შვა ისააკ; ისაკ შვა იაკობ; იაკობ შვა იუდა და ძმანი მისნი (მ. 1, 2). აი ეს კანონი გადააქვთ საზოგადო სახელებზედაც.

ი. 19, 20. ესე ფიცარი მრავალთა აღმოიკითხეს ჰურიათა ~ ...მრავალთა ჰურიათა აღმოიკითხეს FG.

შდრ. πολλοὶ ἀνέγνωσαν τῶν Ἰουδαίων (=Ⴀ).

DE კვლავ მონურად მიჰყვება ბერძნულის რიგს. აქ მსაზღვრელი და საზღვრული ზმნით არის გათიშული: მრავალთა აღმოიკითხეს ჰურიათა. ესეც რაღაც იმასა ჰგავს, „ხელი გავიქნიე ფეხიო“. ეფთვიმემ ეს უვარგისი რიგი გაასწორა ქრისტიანულად, ქართულად (მრავალთა ჰურიათა აღმოიკითხეს), ხოლო გიორგიმ ეს გასწორება უცვლელად შეიტანა თავის რედაქციაში.

C-ს სხვა რიგი აქვს, მაგრამ მაინც შესაძლებელი და ერთგვარად მისაღები: ივი ფიცარი წარიკითხეს ჰურიათა მრავალთა.

ი. 19, 21. (მან თქუა:) მეუფჱ ვარ ჰურიათაჲ — მეუფჱ ჰურიათაჲ ვარი (ვარ FG) მე FG.

შდრ. βασιλεύς εἰμι τῶν Ἰουδαίων (=Ⴀ).

DE აქაც უკრიტიკოდ მისდევს ბერძნულს და საზღვრულსა და მსაზღვრელს უხერხულად თიშავს. FG-ს ძველი „ვარი მე“-ს ნაცვლად უფრო ახალი „ვარ“ აქვს მოცემული (მე-ს დამატება აბსოლუტურად აუცილებელია, როცა წარმოშობით ხოლმეობითის ვარი გვაქვს), ხოლო C კიდევ უფრო ახლებურად აკეთებს: მე ვარ მეუფჱ ჰურიათაჲ (შდრ. მე ვარ არსენა ჯორჯიაშვილი).

ი. 20, 27. და დამდევ ჴელი შენი გუერდსა ჩემსა FG ~ და მოიღე ჴელი შენი და დამდევ გუერდსა ჩემსა.

შდრ. καὶ φέρε τὴν χεῖρά σου καὶ βάλε εἰς τὴν πλευράν μου (=Ⴂ.

აქ, გარდა რიგისა (რომელიც ბერძნულისას მისდევს), ისიც არის აღსანიშნავი, რომ ბერძნულის καὶ φέρε (II) DEFG-ს არ მოეპოვება (იქნებ იმის გამო, რომ ცოტა წინაც არის ნახმარი — განმეორების ასაცილებლად), C-სა და გიორგის კი აქვს (მოყავ C, მოიღე Ⴂ). ამ ზმნის გამოტოვებამ გამოიწვია სიტყვათა რიგის შეცვლაც.

ი. 20, 30. მრავალნი სასწაულნი სხუანიცა (ქმნნა) ~ მრავალნი სხუანიცა სასწაულნი ქმნნა FG.

შდრ. πολλὰ μὲν οὖν καὶ ἄλλα σημεῖα ἐποίησεν (=Ⴂ).

ბერძნულის რიგიც დაცულია და მსაზღვრელიც წინ არის გადმოტანილი. ეფთვიმეს ეს რიგი გიორგიმაც გამოიყენა.

C-ს მხოლობითში დაუსვამს მსაზღვრელიცა და საზღვრულიც. რიგი კი, რიგი აქაც ახლებურია (მრავალ სხუაცა სასწაულ ყო). რიგით სამივე რედაქცია (CႤႢ) უპირისპირდება Ⴀ-ს.

ი. 21, 7. შესამოსელი მოირტყა ~ მოირტყა შესამოსელი FG.

შდრ. τὸν ἐπενδύτην διεζώσατο (=Ⴀ).

ႤႢ-ში (როის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემდეგ მთავარი (წინადადება) შემასმენლით იწყება: ქვემდებარე აქ არაა წარმოდგენილი, ის პირველ (დამოკიდებულ) წინადადებაშია მოცემული — სიმონ-პეტრე. რაკი ქვემდებარე უკვე ნახსენებია, მთავარი წინადადება, რა თქმა უნდა, შემასმენლით (ზმნით) უნდა დაწყებულიყო, როგორც აქვთ კიდეც ႤႢ-ს. DE კი ამის ნაცვლად პირდაპირ დამატებას სვამს პირველ ადგილზე. ეს ბერძნულის გავლენაა. C-ს უფრო ადრე ჰქონდა ႤႢ-ს რიგი, მაგრამ მას სამოსლის ნაცვლად საბლარდნელი

გამოუყენებია. რიგი კი ქართულისათვის დამახასიათებელი და ბუნებრივია (მოირტყა საბლარდნელი).

ამგვარად, როგორც ზემოთ ჩატარებულმა ანალიზმა გვიჩვენა, გიორგიმ შექმნა ქართული ოთხთავის ახალი, ბერძნულთან გულდასმით შეჯერებულ-შეწამებული, შესწორებული და განახლებული რედაქცია, რომელიც ძირითადად წინა, ეფთვიმეს მიერ დამუშავებულ, ვერსიას ეყრდნობოდა და იმავე მიმართულებით ბოლომდე იყო მიყვანილი. აქ გიორგის ხელი შეეხო ოთხთავის ლექსიკას, გრამატიკულ ფორმებს, სინტაქსს, ერთი სიტყვით, მთელ ენობრივ ფრონტს. თუ, სახელდობრ, რა ხასიათისა იყო ის ცვლილებები, რომლებიც მან წიგნის რედაქციისას ცალკე დარგებში შეიტანა, ეს უკვე ვნახეთ ზემოთ. ეს იყო ქართული ოთხთავის ბოლო, უკანასკნელი რედაქცია, რომელიც XI საუკუნის ორმოციანი წლებიდან დღევანდლამდე მოვიდა და მისი შეცვლა და გადამუშავება საჭირო არ გამხდარა. ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს ოთხთავი, როგორც ქრისტიანული რელიგიის ძირითად კოდექსი და ეკლესიებსა და ცხოვრებაში ყოველდღიურად სახმარებელი წიგნი და არა მეცნიერულ-ფილოსოფიური დოგმების საკვლევი დოკუმენტი.

სახარების გიორგისეული რედაქცია ისე მაღალ დონეზეა დამუშავებული და აყვანილი, რომ შემდეგ. დიდი. დიდი ხნის განმავლობაში, როგორც ვთქვით, მას შეკეთება და შესწორება არ დასჭირვებია. მან პირნათლად მოიხადა თავისი პატრიოტული ვალი მშობლიური ქვეყნის წინაშე და ასე უცვლელად მოატანა ჩვენამდე.

და დგანან დღეს ეს დიდი წინაპრები ჩვენს წინაშე და თავმდაბლად გვეუბნებიან: რომელი-იგი თანა-გუედვა ყოფად, გკყოფიეს, შრომაჲ ჩუენი აღგკსრულებიეს, ღუაწლი დიდი მოგკლუაწებიეს და ძილი ტკბილი დაგკძინებიეს. სხვა თქვენ იცით.

ჩვენი ვალია, ეფთვიმესა და გიორგის ამ უძვირფასეს წიგნებს, რაც შეიძლება, ჩქარა ვაჩვენოთ (მათი მონატრებული საქართველოს) მზის სინათლე.

# V. ტექსტისათვის

ტექსტი, როგორც აღნიშნული გვაქვს და თვით აპარატიდანაც ნათლად ჩანს, გამოცემულია 5 ხელნაწერის მიხედვით. ესენია: ეფთვიმეს რედაქციისათვის — ურბნისისა (F) და პალესტინური (G) ოთხთავები, ხოლო გიორგის რედაქციისათვის — ვანის (H), ეჩმიაძინისა (I) და გელათის (K) ოთხთავები.

სხვა ლიტერების შესახებ მკითხველს მოვაგონებთ, რომ

A აღნიშნავს ოპიზის ოთხთავს (913 წ.),
B „ ტბეთისას (995 წ.),
C „ ადიშისას (897 წ.),
D „ ჯრუჭისას (936 წ.),
E „ პარხლისას (973 წ.).
L „ ქსნისას (X ს.),
M „ მესტიისას (1033 წ.),
N „ ალავერდისას (1054 წ.),
ბ „ ბერთისას (X ს.).

ყველა აღნიშვნა პირობითია და მათში რაიმე ქრონოლოგიური თანამიმდევრობა არ იგულისხმება.

როცა ტექსტში ორი (ან სამი) სახის განსხვავებული წაკითხვა გვხვდებოდა, გამოცემაში ვტოვებდით იმას, რომელიც, ჩვენი აზრით, უფრო ძველი, უფრო სწორი და ძველ ქართულში უფრო გავრცელებული იყო, სხვები სქოლიოში ჩაგვქონდა. ორი (ან სამი) დაახლოებით თანაბარი წაკითხვიდან უპირატესობა ეძლეოდა უფრო ძველ და უფრო სანდო ხელნაწერებს: ეფთვიმეს რედაქციისათვის—ურბნისისას, ხოლო გიორგის რედაქციისათვის — ვანისას.

ტექსტის დადგენის პროცესში წამოჭრილი საინტერესო და ზოგჯერ სადავო საკითხებიდან შეიძლება კონკრეტულად აღინიშნოს შემდეგი:

## ა) ეფთვიმეს რედაქციიდან

1. მ. 8, 13. აქ ჩვეულებრივად არსებულ ტექსტს FG ხელნაწერებში ემატება: „და ვითარცა მოვიდა ასისთავი იგი სახიდ თვსა, პოვა მონაჲ იგი მისი განკურნებული მას ჟამსა შინა“. ეს ადგილი არ მოიპოვება სხვა ენების თარგმანებში. იგი არ არის თვით ბერძნულ გამოცემებშიც. მაგრამ ზოგი ბერძნული გამოცემის ვარიანტებში (სქოლიოში) არის უკვე. შინაარსის მიმდინარეობის მიხედვითაც საჭიროა: მუხლის დასაწყისში იესუ ეუბნება იმ ასისთავს: წადი შინ და, როგორც გრწამს, ისე აგისრულდება (გაგიკეთდებაო). სახარების ავტორი იქვე დასძენს: და იმავე დღეს განიკურნა იმ ასისთავის მონაო. მაგრამ ეს ხომ არ იცის თვით ასისთავმა. ჩვენი სადავო დამატება გვეუბნება: როცა ასისთავი შინ მოვიდა, ნახა მისი მონა განკურნებული „მას ჟამსა შინაო“, ე. ი. სწორედ იმ დროს განკურნებულიყო, როცა მას იესუმ უთხრა: წადი შინ და შენი მონა მორჩებაო. იესუს ნათქვამის მაშინვე აღსრულების დასადასტურებლად ეს დამატება აუცილებელიც იყო. ეფთვი-

მას, როგორც ჩანს, ხელთ ჰქონია ისეთი ბერძნული ხელნაწერი, რომელშიც ეს დამატებაც იყო.

ქართულში, FG-ს გარდა, იგი მოეპოვება ალავერდის ოთხთავსაც (A434). ყველა ამიტომ ჩვენ ეს დამატება ტექსტში უყოყმანოდ დავტოვეთ.

2. მ. 20, 19. და მისცენ წარმართთა კიცხევად F (|| ...კიცხევად წარმართთა G). რომელი უნდა მოსდევდეს ზმნას უშუალოდ: ირიბი დამატება თუ მიზნის გარემოება? რა თქმა უნდა, ირიბი დამატება (ობიექტი), რომელიც ზმნასთან პირის ნიშნითაც არის დაკავშირებული. ეს რიგია დაცული აგრეთვე A88-შიც.

3. მ. 20, 20. ძეთა თანა მისთა F (|| ძეთა მისთა თანა G). როცა მსაზღვრელიან სახელს თანდებული ახლავს, ძველი ქართულისათვის უფრო ბუნებრივია, თანდებული მათ შორის ჩაერთოს, ე. ი. თანდებული პირდაპირ არსებითს მოსდევდეს, როგორც ჩვენს შემთხვევაში ურბნულს აქვს წარმოდგენილი. G-ს რიგი სქოლიოში გვაქვს ჩატანილი.

4. მ. 20, 26. რომელსა უნდეს თქუენ შორის დიდ ყოფაჲ, იყავნ იგი თქუენდა მსახურ F.

ურბნისის ხელნაწერის ძველი ბრძანებითის იყავნ G-ში შეცვლილია უფრო ახალი ფორმით იყოს. იყავნ მხოლოდ ბრძანებითია, იყოს კი უმეტესად კავშირებითის გაგებით იხმარება (მომავალ დროს გამოხატავს, თხრობითია). იყოს ბრძანებითად მერმე იქცა, როცა იყავნ ტიპის ბრძანებითი გადავარდა. ბუნებრივია, გამოცემაში აქ და ქვემოთ სხვაგანაც იყავნ და მისი ტიპის ფორმები დარჩა, ხოლო იყოს და მისთანანი სქოლიოში იქნა ჩატანილი. A88 ამ შემთხვევაში G-ს მიემხრო (იყოს).

5. მ. 23, 34. ამისთჳს აჰა ესერა მე მოვავლინენ თქუენდა წინაწარმეტყუელნი, ბრძენნი და მწიგნობარნი, და მათგანნი მოსწყჳდენით და ჯუარს-აცუენით, და მათგანნი სტანჯენით შესაკრებელთა შორის თქუენთა და სდევნენით (სდევნიდით F) ქალაქითი ქალაქად.

FG-ს ეს წყვეტილის (წარსული დროის) ფორმები შეცდომაა, ყველგან მომავალი დრო (II და I კავშირებითი) უნდა. არც ბერძნულში, არც სხვა ენების თარგმანებში, არც ქართულში სხვაგან ასეთი რამ არა გვაქვს. რატომ უნდა შეეცვალათ მომავალი წარსულით, II (I) კავშირებითი წყვეტილით (უწყვეტლით)? შეიძლება F-ის გადამწერი (იოვანე ტატანელი) შეაცდინა გამოთქმამ „აჰა ესერა“ (ἰδού), რომელთანაც ზმნა ჩვეულებრივ წარსულ დროში (ან ახლანდელში) იხმარება, მაგალითად: აჰა ესერა ვარსკულავი იგი ... წინა-უძღოდა მათ (მ. 2, 9); აჰა ესერა კეთროვანი ვინმე მოუჴდა (მ. 8, 21); აჰა ესერა ღრუბელი ნათლისაჲ აგრილობდა მათ (მ. 17, 5); აჰა ესერა ჩუენ ყოველი დაუტევეთ (მ. 19, 27; მრ. 10, 28); აჰა ესერა ორნი ბრმანი სხდეს (მ. 20, 10); აჰა ესერა სხუაჲ ხუთი ქანქარი შევსძინე (მ. 25, 20C); აჰა ესერა მოიწია მიმცემელი ჩემი (მ. 26, 46); აჰა ესერა გარქუ თქუენ (მ. 28, 7); აჰა ესერა მე მიგავლინებ თქუენ (მ. 10, 16; ლ. 10, 3); აჰა ესერა მოწაფენი შენნი იქმან (მ. 12, 2); აჰა ესერა აღვალთ იერუსალჱმდ (მ. 20, 18) ... გაცილებით ნაკლებად ასეთ გარემოცვაში II კავშირებითიც გვხვდება: აჰა ესერა მე წარვავლინო ანგელოზი ჩემი (მ. 11, 10); აჰა ესერა შენ მუცლად-იღო და შვე ძჱ (ლ. 1, 31); აჰა ესერა მე მოგივლინო თქუენ აღთქუმაჲ (ლ. 24, 49). მაგრამ ამნაირი შემთხვევები, ვიმეორებთ, გაცილებით ნაკლებია. აი შეიძლება ეს იყო მიზეზი, რომ F-ის გადამწერმა „აჰა ესერა“-სთან უფრო შეხამებული წარსული დროის ფორმები იხმარა. G-ს გადამწერი კი, როგორც ზემოთ არაერთხელ

გვაქვს შენიშნული, პირდაპირ იწერს F-იდან, ეს რაა, საოცრად შეუძლებელ ფორმებსაც. გამოცემაში, რა თქმა უნდა, ყველა ხაზგასმული ფორმა გასწორდა.

6. ლ. 9, 7. ესმა ჰეროდეს... საქმჱ იგი, რომელნი მის მიერ იქმნებოდეს FG.

აქ სხვა ხალნაწერებიც ცოდავენ. D-ს საქმენი უწერია და გაუგებრობაც მოხსნილია. E-ს მხოლობითის ფორმა აქვს (საქმჱ), მაგრამ დამოკიდებულ წინადადებაში უცნაური წყობა მიუღია: ესმა... საქმჱ, მის მიერ რომელნი იქმნებოდეს. არა, ეს დახვანჯული რიგი ვერ გაამართლებს რიცხვში უცნაურ შეწყობას (საქმჱ, რომელნი იქმნებოდეს). C-ს რომელ (=რომ) გამოუყენებია (ესმა საქმჱ, რომელ მის მიერ იქმნებოდეს), მაგრამ „საქმჱ... იქმნებოდეს“ მაინც უკანონობას ლაღადებს. ამიტომ სჯობს შეცდომა გასწორდეს: ესმნეს ჰეროდეს... საქმენი იგი. გიორგისაც მრავლობითი უხმარია და ყველაფერი რიგზე აქვს: ესმნეს ჰეროდეს... ყოველნი იგი საქმენი. ეს „ყოველნი“ (|| ყოველი — πάντα) რომ არ გამოეტოვებინათ, მაშინ რიცხვში შეწყობის საქმე უფრო გამარტივდებოდა (ესმა... საქმჱ იგი ყოველი, რომელნი...).

ჩვენც ისე გავასწორეთ, როგორც ზემოთ გვიწერია: ესმნეს... საქმენი იგი, რომელნი...

7. ლ. 11, 20. უკუეთუ მე თითითა ღმრთისაჲთა განვასხამ ეშმაკთა, მო-მე-წევნულ არსა თქუენ ზედა სასუფეველი ღმრთისაჲ?

აქ ნათლად გამოხატული კითხვითი წინადადება გვაქვს ორი კითხვითი ნაწილაკით (მო-მე-წევნულ არსა). კითხვითი წინადადებები აქვთ აგრეთვე ABCDEM ხელნაწერებს. არ უნდა კი. ბერძნულში და სხვა ენების თარგმანებშიც თხრობითი წინადადებებია: ἄρα ἔφθασεν ἐφ' ὑμᾶς ἡ βασιλεία τοῦ θεοῦ, *ապա հասեալ է ի վ՛ր ձեր արքայութ՛ի ա՛յ*, то, конечно, достигло до вас царствие божие, so ist ja das Reich Gottes zu euch gekommen... ასეა სხვაგანაც ყველგან, არსად კითხვითი წინადადება არა გვაქვს.

აბა რა მოხდა ქართულში, ყველგან კითხვითი ნაწილაკები (ა, მე) რომ იხმარეს, თხრობითი წინადადება კითხვითით რომ შეცვალეს? მიზეზი უნდა იყოს ბერძნული ἄρα ნაწილაკის შეცდომით გაგება. საქმე ისაა, რომ ἄρα ნაწილაკი ბერძნულში ნიშნავს: ასე, ამგვარად, ამნაირად, მაშასადამე (სადამე, სამე ძველი ქართულით). რუსულ ენაზე იმას ასე ხსნიან: итак, таким образом, следовательно. აი სწორედ ეს ნაწილაკია მოცემული ბერძნულში და მას სწორად თარგმნიან სომხურად, რუსულად, გერმანულად.

მაგრამ ბერძნულში არის გარეგნულად ამის მსგავსი მეორე ἆρα კითხვითი ნაწილაკი, რომელიც ძველ ქართულში გადმოაქვთ ა, მე კითხვითი ნაწილაკებით. სადავო ადგილის მთარგმნელსაც ἄρα ἆρα-ში აურევია და თხრობითი წინადადება კითხვითით შეუცვლია. ეს ძველი შეცდომა, რომელიც დიდხანს იყო შეუმჩნეველი, მხოლოდ გიორგიმ შენიშნა და გამოასწორა. მისი თარგმანია: „უკუეთუ მე თითითა ღმრთისაჲთა განვასხამ ეშმაკთა, მო-სამე-წევნულ არს თქუენ ზედა სასუფეველი ღმრთისაჲ“, ე. ი. თუ მე ღმერთის თითით (ხელით, საშუალებით) ვყრი (ვაძევებ, ვაგდებ) ეშმაკებს, მაშასადამე (ამრიგად, ამგვარად), უკვე მოსულია (მოსულა) თქვენზე (თქვენთან, თქვენამდე) ღმერთის სასუფეველი.

გიორგის (ἆρα-ს შესატყვისი) კითხვითი ნაწილაკები (მე, ა) სამართლიანად ამოუღია და ἄρα-ს შესაფერი სამე შემოუტანია. ესაა სწორედ დღევანდელი მაშასადამე და იგი ზედმიწევნით ზუსტად გადმოსცემს ბერძნული დედნის აზრს.

შევნიშნავთ აქვე, რომ ეს ადგილი უფრო ადრე მათეს სახარებაში გვხვდება (12, 28). იქ DE-ს და მერმე ეფთვიმეს ა კითხვითი ნაწილაკი აღარ მოეპოვებათ, მაგრამ მე მაინც დარჩენიათ: მო-მე-იწია. ადიში სწორად წარმოგვიდგენს საქმის ნამდვილ ვითარებას: უკუე მოწევნულ არს თქუენ ზედა სასუფეველი იგი ღმრთისაჲ. ეს უკუე წყვეტს საკითხს დადებითად: ღმერთის სასუფევლის მოსვლა უკვე ფაქტია და არა საეჭვიო და საკითხავი. სამწუხაროა, რომ ეგევე ადგილი ლუკას თავში ასე კარგად ვერ გადმოილეს.

8. ი. 3, 15. გიორგის რედაქციაში იკითხება: „რაჲთა ყოველსა რომელსა ჰრწმენეს იგი, არა წარწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ".

ხაზგასმული სიტყვები არ მოეპოვებათ FG ხელნაწერებს. ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს. იგი არა აქვთ აგრეთვე ABCDEM... ხელნაწერებსაც. ეს ზოგან ბერძნულშიც არ არის. სხვა ენების თარგმანებში არის, მაგალითად: სომხურში, ლათინურში, რუსულში, გერმანულსა და ინგლისურში. როგორც ვთქვით, იგი შეტანილი აქვს თავის რედაქციაში გიორგისაც. ჩანს, გიორგი ეყრდნობა ისეთ ბერძნულ ვერსიას, რომელსაც მოეპოვებოდა ეს ნაკლული სიტყვები. იმავე საფუძველს უნდა ემყარებოდნენ აგრეთვე ზემოთ მითითებული ენებიც.

ჩვენ აქ არ დავინახეთ საჭიროდ, რომ იგი შეგვეტანა ეფთვიმეს რედაქციის ამ გამოცემაში. და ეს არა მარტო იმიტომ, რომ ძველ ხელნაწერებს საერთოდ არ გააჩნიათ, არამედ უფრო მეტად იმიტომ, რომ ამ ნაკლულ ადგილს ვერ ეპოულობთ ეფთვიმეს რედაქციის კიდევ ორ ცნობილ ხელნაწერში — ტბეთისა და მესტიისაში. ჩანს, ამათ პირველწყაროებს სადაეო ადგილი არ ჰქონდათ და სათანადო ქართულ თარგმანებშიც არ გამოჩნდა. გვიანდელი დამატების ძალად შეჩხირვა ეფთვიმეს რედაქციაში გაუმართლებელი თვითნებობა იქნებოდა.

9. ი. 5, 26. რამეთუ ვითარცა-იგი მამასა აქუს ცხოველებაჲ თავისა თჳსისა თანა, ეგრეცა ძესა მოსცა, რაჲთა აქუნდეს ცხოველებაჲ თავისა თჳსისა თანა.

სხვა ქართულ ოთხთავებში ეს ფორმა არსად არ გვხვდება არც ძველ და არც, მით უმეტეს, მოგვიანო თარგმანებში. ყველგან ამის ნაცვლად არის ძველი ქართულის ცნობილი ცხორებაჲ, რომელიც აქ სიცოცხლეს ნიშნავს.

ბერძნულსა და სხვა ენების თარგმანებში აქ ჩვეულებრივი, ყველასათვის ცნობილი ფორმებია: ζωήν, *կեանս*, жизнь, das Leben, life და სხვა.

ცხორებას ძველ ქართულში ბევრი მნიშვნელობა აქვს. როგორც ჩანს, სწორედ ამის გამო, სხვა მნიშვნელობათაგან გასარჩევად სიცოცხლისათვის ეს მშვენიერი ტერმინი შეუქმნიათ თუ შემოუტანიათ.

ოთხთავში არა, მაგრამ სხვაგან ეს სახელი კი გვხვდება, მაგალითად: მას შინა იპოვების ძალი ცხოველებისაჲ თჳნიერ გრძნობისა (უძვ. რედ. 155, 19); ვითარ გინა ვინაჲთ დაემტკიცა თითოეული ასოჲ ცხოველებისათჳს და სიმდიდრისათჳს ცხოველებისა და შემდგომთა მათთჳსცა, ვითარ-იგი განვყავთ პირველად (იქვე, 229, 5—6); და გული განუყოფს სისხლსა მას ცხოველებისასა ყოველთა ნესტუთა გუამისათა (სწავ. 176, 29). მშვენიერი ტერმინია (ცხოველი—ცოცხალი, ცხოველება — სიცოცხლე) და სამწუხაროა, რომ იგი მანამდე ოთხთავში არ იყო გამოყენებული.

**10.** ი. 6, 71. იტყოდა იუდას სიმონის ისკარიოტელისასა.

სხვაგან გვაქვს უბრალო (ერთმაგი) მიცემითი: ისკარიოტელსა. მაგრამ შეიძლება ეს ორმაგი ბრუნვაც იქნეს გამართლებული: იუდას სიმონ (სიმონის)

ისკარიოტელისასაო, ე. ი. სიმონ ისკარიოტელის (შვილს) იუდასო. ისკარიოტელისასა გვაქვს კიდევ ეფთვიმეს რედაქციის ერთ-ერთ ძირითად ხელნაწერშიც — მესტიის ოთხთავშიც. ტბეთის ჩვეულებრივი ისკარიოტელსა აქვს დაცული.

11. ი. 16, 1—2. ამას გეტყოდე თქუენ, რაჲთა არა დაჰბრკოლდეთ, ოდეს კრებულისაგან განგასხნენ თქუენ, არამედ მოვალს ჟამი...

აქ სხვა აზრია გამოთქმული, ვიდრე სხვა რედაქციებში (ამას გეტყოდე თქუენ, რაჲთა არა დაჰბრკოლდეთ. კრებულისაგან განგასხნენ თქუენ, არამედ მოვალს ჟამი... HIK).

I-ს ასე ესმის ტექსტი:

ამას გეუბნებოდით მე თქვენ, რომ არ შეცდეთ, როცა სინაგოგიდან გაგყრიან თქვენ.

II-ს — ასე:

ამას გეუბნებოდით მე თქვენ, რომ არ შეცდეთ. სინაგოგიდან გაგყრიან თქვენ.

ბერძნულსა და იქიდან მომდინარე თარგმანებში II აზრია გატარებული. ამ მეორე გაგებისას ერთგვარი უხერხული გადასვლაა პირველი წინადადებიდან მეორეზე (ამას გეუბნებოდით მე თქვენ, რომ არ შეცდეთ. (?) სინაგოგიდან გაგყრიან თქვენ. ეს უგრძვნიათ FG ხელნაწერებს და ამ წინადადებებს შორის ოდეს ჩაუმატებიათ (ამას გეუბნებოდით მე თქვენ, რომ არ შეცდეთ, როცა სინაგოგიდან გაგყრიან თქვენ). აქ გადასვლა კარგია, მაგრამ ტექსტის აზრი ოდნავ იცვლება.

რედაქტორისა თუ გადამწერთა ეს სურვილი და ზრუნვა, რომ ტექსტი ქართულად ყოველმხრივ იყოს გამართული, ბევრგან ნათლად და მკაფიოდ გამოსჭვივის. ამიტომ მივუზღავთ მათ სათანადო საზღაურს და, რომ არ დარჩეს მათი კეთილი საქმე ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა, ამ თავისებურ წაკითხვას ვტოვებთ გამოცემაში. ეს სულ ერთი პატარა სიტყვის ჩამატებასა და წერტილის ნაცვლად მძიმის დასმას ეხება, მაგრამ აქედან აზრთა დიდი სხვადასხვაობა და ჭიდილი იბადება. დაე, ესე კრიტიკულად და გამოწვლილვით, ქართული ენის ბუნებრიობის დაცვის ასეთი სურვილით თარგმნონ დღეს სხვებმაც და სხვებმაც.

12. ი. 16, 16. მუხლის ბოლოს ქართულში ზოგიერთი ხელნაწერი (CHIK...) უმატებს: „რამეთუ (II და) მე მივალ მამისა ჩემისა“. FG-ს იგი არ გააჩნია. ეს დამატება ზოგან ბერძნულშიც არაა, მაგრამ ზოგან კი მოიპოვება: ὅτι ἐγὼ ὑπάγω πρὸς τὸν πατέρα (μου). სხვა ენების თარგმანებშიც (ს. ლ. რ. გ. ი.-ში...) ყველგან გვაქვს. როგორც უკვე ითქვა, ქართულში იგი არის ადიშისა და გიორგის რედაქციის ხელნაწერებში (HIK). გიორგის, საერთოდ. ასეთი დაკლებული ადგილები, თუკი ბერძნულში სადმე მოიპოვება, აქვს დაცული. მაგრამ რაკი ეს სიტყვები არაა უფრო ძველ (ABDEFGM...) ხელნაწერებში, არ დაგვინახავს საჭიროდ, რომ დაგვემატებინა, მით უმეტეს, რომ ისინი არ მოეპოვება ეფთვიმეს რედაქციის 4 ძირითად (FGBM) ხელნაწერს. ეს დაკლება, საერთოდ, იმით არის გამართლებული, რომ აღნიშნული წინადადება ზუსტად ამ სახით მეორდება შემდგომს (მე-17) მუხლში, და განმეორება არ მიიჩნიეს საჭიროდ, განსაკუთრებით, თავში, წინა მუხლში განმეორება.

13. ი. 18, 22. ჩვენი ხელნაწერები რაღაც გაუგებრობით სიტყვას უმატებენ: „ესრე სიტყუას-უგებ მღდელთ-მოძღუარსა ღმრთისასა?“ ეს ღმრთისასა არსად არაა არც ბერძნულში, არც ქართულში და არც სხვაგან. ის არცაა საჭირო: ამიტომ, ცხადია, გამოცემაში აღარ დაგვიტოვებია.

14. ი. 21, 9. ვითარცა გამოჴდეს ჴმელად ქუეყანად, იხილეს ნაკუერცხალი ცეცხლისაჲ.

აქ ერთი ცნებისათვის ორი, დაახლოებით ერთნაირი მნიშვნელობის, სახელია გამოყენებული — ჴმელად და ქუეყანად. სხვაგან ყველგან, ჩვენში და სხვა ენებზე, მხოლოდ ერთი ტერმინი (სიტყვა) გვაქვს: εἰς τὴν γῆν, ՚ի ցամաք, in terram, на землю, an's Land, to land. ქართულში C-ს აქვს მხოლოდ ჴმელად, სხვაგან ყველგან არის ქუეყანად. FG-ს მოუნდომებია ერთი მათგანი მეორით შეეცვალა, მაგრამ შემდეგ ორივე დარჩენილა ტექსტში (ნ. ამის შესახებ ზემოთ, გვ. 88—89, 130). ცხადია, რომ ორივე ერთად არაა საჭირო და ჩვენც ამოვიღეთ ჴმელად და სქოლიოში ჩავიტანეთ, ხოლო უფრო გავრცელებული ქუეყანად ტექსტში დავტოვეთ.

## ბ) გიორგის რედაქციიდან

1. მ. 6, 18. ... მოგაგოს შენ ცხადად.

ხაზგასმული სიტყვა (ცხადად) არ არის HIK ხელნაწერებში, თუმცა მანამდე არსებულში თითქმის ყველგან მოიპოვება (ABCDEFGM...). ბერძნულში ზოგან არის (ἐν τῷ φανερῷ), ზოგან — არა. ასეთი ჭრელი სურათია სხვა ენების თარგმანებშიც: აქვთ რუსულს, ინგლისურს (явно, openly), არა აქვთ სომხურს, ლათინურს, გერმანულს. ა. ლოპუხინი შენიშნავს, რომ ეს სიტყვა არ მოეპოვებაო 150-ზე მეტ მთავარ ბერძნულ ხელნაწერს. მისი აზრით, იგი რომელიღაც ძველი ხელნაწერის კიდეზე (არშიაზე) მინაწერიდან შემოვიდა ტექსტში[1].

რაკი გიორგის იგი არ მოეპოვება, აზრი არა ჰქონდა მის დამატებას.

2. მ. 10, 23. ... მიივლტოდეთ სხუად. და მიერღა თუ გდევნიდენ თქუენ, ივლტოდეთ სხუად კერძო.

ხაზგასმული სიტყვები არ არის გიორგის რედაქციაში, მანამდე არსებულთაგან კი ყველას (B?) მოეპოვება, თვით ეფთვიმეს რედაქციასაც. ბერძნულში ზოგან არის (κἂν ἐκ ταύτης διώκωσιν ὑμᾶς, φεύγετε εἰς τὴν ἄλλην), ზოგან (უმეტესად) — არა, სქოლიოშია ჩატანილი. სხვა ენების თარგმანებიდან აქვს მხოლოდ სომხურს, სხვებს (ლათ. რუს. გერმ. ინგლისურს) — არა. გერმანულ გამოცემას ახლავს შენიშვნა, ამ ადგილას ბერძნული უმატებსო: und vertreibet man euch aus dieser, so fliehet in eine andere.

ქართულში, როგორც აღვნიშნეთ, ყველას (B ?) მოეპოვება, გიორგის რედაქციის გარდა. ასეთი შემთხვევა იშვიათია, მაგრამ გიორგი მაინც ბერძნულს უყურებს უფრო და, რაკი იქ გავრცელებულ რედაქციებში არ მოიპოვება, თვითაც არ შეაქვს თავის რედაქციაში. ამ შემთხვევაში იგი ეფთვიმესაც არ ეთანხმება და მის წაკითხვასაც უკუაგდებს.

შეიძლება ამ ადგილის მიღებაზე უარს იმიტომ ამბობენ (ბ. ლ. რ. გ. ი...), რომ აქ არსებითად მეორდება ის დავალება, რასაც ქრისტე აძლევს თავის მოწაფეებს ამ მუხლის წინა ნაწილში. „რაჟამს გდევნიდენ თქუენ ამიერ ქალაქით, მიივლტოდეთ სხუად". რაღა საჭიროა ამის შემდეგ განმეორება: თუ ამ ქალაქიდანაც გდევნიდენ, სხვაში გაიქეცითო. ასეთი დავალება არ დაილევა: ხომ იქვეა დამატებული: ვერ დაასრულოთ ქალაქები ისრაჱლისაჲო. აი ამიტომ საკმარისად არის მიჩნეული პირველი დავალება: თუ ერთი ქალაქიდან გაგდევნიან, სხვაში გაიქეცითო. ამ-

---

[1] Толковая библия, т. IX, С.-Петербург, 1914, стр. 130.

გვარად. გიორგი სამართლიანად უჭერს მხარს ოთხთავის იმ რედაქციებს, რომლებიც მხოლოდ პირველი, ამომწურავი დავალებით კმაყოფილდებიან და უქმ განმეორებასა და საქმის გაჭიანურებას არიდებენ თავს. გიორგი კარგად იცნობდა ძველ ქართულ ოთხთავებს და ხშირად ესესხებოდა მათ საინტერესო წაკითხვებს. ამ შემთხვევაშიც საჭიროდ რომ მიეჩნია, იმ სადავო ადგილსაც შეიტანდა თავის რედაქციაში.

3. შეიძლებოდა გაგვესწორებინა მხოლობითში დასმულ პირის ნაცვალსახელთან ასეთი შეწყობა: უტევენით ეგე (მ. 15, 14 HIK.=უტევენით ეგენი), მაგრამ თავი შევიკავეთ: უძველეს ძეგლებში ხშირია შემთხვევა, როცა პირის ნაცვალსახელი, განსაკუთრებით ესე და ეგე, საჭიროების დროს ზმნას მრავლობითის ფორმით იწყობს. ეს უფრო ძველ ვითარებაზე მიუთითებს, როცა ესე, ეგე, ისი, იგი ნაცვალსახელებს მრავლობითი რიცხვის ფორმა არ გააჩნდათ. აი კიდევ ამ ტიპის ორიოდე მაგალითი: უფალსა მაგისსა უკმან ეგე (მ. 21, 3 HIK, ე. ი. ვირი და კიცუ); უკეთუ ჴელი შენი ანუ ფერჴი შენი გაცთუნებდეს შენ, მოიკუეთენ იგი და განაგდე შენგან (მ. 18, 8 HIK); და იგი არიან, რომელნი წამებენ ჩემთჳს (ი. 5, 39 HI; K: იგინი); ესე არიან, რომელნი-იგი გზასა ზედა (მრ. 4, 15 I). აქ ესე K-შიც ყოფილა თავიდანვე, მაგრამ მერმე ნი დაუმატებიათ. ვინ დაუმატა? ეს სულ ერთია: რჟევა და ყოყმანი მაშინაც იყო. ჩვენ აქ არ გავასწორეთ შემთხვევები, როცა სამივე ხელნაწერი ერთნაირად მხოლობითს გვიჩვენებს. ესეც უფრო ძველი კოლორიტის შესანარჩუნებლად და გამოსაჩენად, ვიდრე ღრმა პრინციპული მოსაზრებით[1].

4. მ. 26, 73. შემდგომად მცირედისა მოუკდეს მათ მდგომარენი იგი.

სხვა რედაქციებში ყველგან ქართული ენის ბუნების დასაცავად ჟამისა არის ჩამატებული: შემდგომად მცირედისა ჟამისა. ასე მოიქცა ეფთვიმეც. გიორგის ეს ჟამისა ამოუღია იმ მიზეზით, რომ ბერძნულში არ არისო (შდრ. μετὰ μικρόν). ზოგ ენაში ეს ნაკლულობა არ იგრძნობა: რუსული немного спустя, გერმანული nach Kurzem ჩვეულებრივი და კარგად გასაგები გამოთქმებია ამ ენებში, ხოლო ქართული შემდგომად მცირედისა მოუკდეს... კოჭლი და მუნჯია, რაღაც აკლია, ერთგვარი სიცარიელე იგრძნობა (შეიძლება მერმე ასეც გაგრძელდეს: შემდგომად მცირედისა... ჭირისა... დაბრკოლებისა... დაყოვნებისა...). ძველი წაკითხვა უეჭველად სჯობდა, მაგრამ ახლა მისი აღდგენა შეუძლებელია: ეს უკვე ახლად თარგმნის ცდა იქნებოდა.

5. მ. 27, 53. ამ მუხლის თარგმნისას ქართულში იმთავითვე ორგვარი აზრი ჩამოყალიბდა: ერთი მოცემულია ადიშისა და გიორგის რედაქციებში, მეორე— სხვებში.

გიორგის უწერია:

და გამოვიდეს საფლავით მათით და, შემდგომად აღდგომისა მისისა, შევიდეს წმიდასა ქალაქსა და გამოეცხადეს მრავალთა.

ამ თარგმანში ჯერ საფლავებიდან მკვდრების გამოსვლაა ნაჩვენები, ხოლო ქრისტეს აღდგომის შემდეგ—მათი შესვლა იერუსალიმში.

---

[1] ნ. ამ საკითხის შესახებ ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, 1963, გვ. 210; „მამათა ცხოვრებანი“, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ვ. იმნაიშვილმა, 1975, გვ. 437.

მეორეგვარი თარგმანის ნიმუშად ეფთვიმეს რედაქცია ავიღოთ. აქ ნათქვამია:

და გამოვიდეს საფლავით მათით შემდგომად აღდგომისა მისისა და შევიდეს წმიდასა ქალაქსა და ეჩუენნეს მრავალთა.

აქ კი პირველ რიგში ქრისტეს აღდგომაა დაყენებული. ამის შემდეგ მკვდრების გამოსვლა საფლავებიდან და იერუსალიმში შესვლა.

ამ დიდ შინაარსეულ განსხვავებას იწვევს გიორგის რედაქციაში და კავშირის გადაადგილება: მეორე და „შემდგომად“-ის წინ კი არა, არამედ „შევიდეს“-ის წინ რომ იყოს, ყველაფერი რიგზე იქნებოდა: და გამოვიდეს საფლავით მათით შემდგომად აღდგომისა მისისა და შევიდეს წმიდასა ქალაქსა. აი რა დიდი საქმე გააკეთა ამ პატარა და-მ. აქ ახლა იმას არა აქვს მნიშვნელობა, რომელი თარგმანი უფრო ახლოა დედანთან. ამის სწორება ახალი თარგმანის მოცემის ცდა იქნებოდა. მთავარია, რა სულ წვრილმანებს აქცევდნენ ყურადღებას ჩვენი დიდი წინაპრები. ბუნებრივია, ჩვენ ეს წაკითხვაც ხელუხლებლად დავტოვეთ.

6. მ. 28, 17—18. ამ მუხლების გაგებაში HI და K ხელნაწერებს შორის სხვაობაა.

K ჩვეულებრივ გაგებას მიჰყვება და წერს:

17. იხილეს იგი და თაყუანის-სცეს მას: ხოლო რომელნიმე შეორგულდეს. 18. მოუჴდა მათ იესუ...

H და I კი ამბობენ:

17. იხილეს იგი და თაყუანის-სცეს მას: ხოლო რომელნი შეორგულდეს, 18. მოუჴდა მათ იესუ...

ამ (მეორე) შემთხვევაში წინასწარ დაშვებულია, რომ ზოგიერთები შეეჭვდნენ. და ამიტომაა ნათქვამი: ხოლო რომლებიც შეეჭვდნენ, მათთან მივიდა იესუ.

ეს სხვადასხვაობა გამოიწვია მე ნაწილაკის დაკლებამ (რომელნიმე შეორგულდეს — რომელნი შეორგულდეს). ამის მიხედვით „შეორგულდეს“ შემდეგ წერტილი აღარ დაისმებოდა, უეჭველად მძიმე უნდა ყოფილიყო. მეორე მხრივ, ამ (მეორე) გაგებას ამართლებდა მე-18 მუხლის დასაწყისიდან და კავშირის ამოღება: „მოუჴდა მათ იესუ“ და არა „და მოუჴდა მათ იესუ“, როგორც გვაქვს ბერძნულში (καὶ προσελθὼν ὁ Ἰησοῦς) და ყველგან სხვაგან. ნამდვილად მართებული პირველი აზრია: იესუ მხოლოდ იმათთან კი არ მისულა, რომელნიც შეეჭვდნენ (რომელთაც შეეეჭვაო), არამედ ყველასთან, ვინც იქ იყო, და მათ (ყველას) უთხრა: 18. მომეცა მე ყოველი ჴელმწიფებაჲ ცათა შინა და ქუეყანასა ზედა. 19. წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით მათ.

D-შიც ამნაირი (HI-ის მსგავსი) წაკითხვაა: რომელნი, მაგრამ D-ს ასეთ გაგებას საქმეს უფუჭებს მათგან-ის დამატება: არ შეიძლება ითქვას: და რომელნი მათგანნი შეორგულდეს, და მოუჴდა მათ იესუ.

K ხელნაწერმა ცადა, პირველი გაგება შეენარჩუნებინა და რომელნი-ს მე დაურთო (რომელნიმე), მაგრამ მომდევნო მუხლის დასაწყისიდან და იმანაც ამოიღო, და ამის გარეშე შემდგომს მუხლზე გადასვლა არაბუნებრივი გახდა.

გასწორებაზე ლაპარაკი ზედმეტია (ჩვენ ახალ თარგმანს არ ვიძლეოდით). ეს თავისებური წაკითხვაც ხელუხლებელი დარჩა.

7. ლ. 16, 11. უკუეთუ სიცრუვისა ამას მამონასა სარწმუნო არა ექმნნეი, ჭეშმარიტი იგი ვინ გარწმუნოს თქუენ?

II კავშირებითის (მომავალი დროის) ნაცვლად სხვა ენებშიც და ქართულშიც ზოგან წარსული დროა მოცემული (не были верны, სარწმუნო არა იპოვენით C). ქართულისათვის, ყოველ შემთხვევაში, ორივე ასატანია, რადგან სა-

თანადი შინაარსს კარგად გადმოსცემს: თუ თქვენ უსამართლო სიმდიდრის საქმეში არ იქნებით მართალნი, ჭეშმარიტს ვინ დაგიჯერებთ თქვენ? ამიტომ გაძლო აქ ორივე მწკრივმა და ჩვენც არ შეგვისწორებია.

ზ. ი. 14, 31. აღდეგით და წარვიდეთ ამიერ H.

ორ სხვა (IK) ხელნაწერში II პირის ბრძანებითი გვაქვს: აღდეგით და წარვედით ამიერ. სხვა ქართული ხელნაწერებიც ასე ორგვარად გადმოგვცემენ ბრძანებითის ფორმას:

ა) პირველი პირისას (წარვიდეთ)ა ABCბ...

ბ) მეორე პირისას (წარვედით) DEFGMIK...

ნამდვილად ბრძანება ეხება პირველ პირსაც. იესუ ეუბნება თავის მოწაფეებს: აღდექით და წავიდეთ აქედანო. ასეა ბერძნულში (ἐγείρεσθε, ἄγωμεν ἐντεῦθεν), ასეა სხვა ენების თარგმანებშიც (*գնասցուք*, встаньте, пойдем отсюда, lasset uns von hier gehen, let us go hence...). შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ აქ II პირის ბრძანებითის არჩევანი განაპირობა წინა ზმნამ აღდეგით, რომელიც მართლაც II ბრძანებითის II პირის ფორმაა. მაგრამ აქ ბრძანება სწორედ II პირს (მოწაფეებს) ეხება — აღდექით თქვენო (ისინი ამ დროს ისხდნენ), ხოლო წასვლა, ხიფათისათვის თავის არიდება ყველას შეეხება, მათ შორის ქრისტესაც (I პირს). ამიტომაა სწორედ წარვიდეთო.

ამის გამო, რასაკვირველია, სათანადო ფორმა გასწორდა ორივე რედაქციაში.

ჱ. ი. 20, 29. ჰრქუა მათ იესუ, რამეთუ: მიხილე და გრწამს; ნეტარ არიან, რომელთა არა უხილავ და ვჰრწმენე.

აქ საქმე ეხება რამეთუ-ს შინაარსის დადგენას. ძველ ქართულში იგი ორი ძირითადი მნიშვნელობით იხმარება. ესენია: „რადგანაც“ და „რომ“, რომელი მნიშვნელობა აქვს მას ჩვენს მაგალითში? ჩვენი აზრით, ის აქ ნიშნავს „რომ“-ს: ჰრქუა მას იესუ, რამეთუ = უთხრა მას იესუმ, რომ (და მის შემდეგ იწყება ის, რაც უთხრა იესუმ თომას). რადგანაც აქ შეუძლებელია: ძველ ქართულში რამეთუ-თი (როცა ის „რადგანაც“ არის) არასოდეს არ იწყება წინადადება. წინადადების შინაარსი არ იცვლება, სულ ერთია, რამეთუ-ს „რომ“-ის გაგებით ვიხმართ თუ „რადგანაც“-ის: შენ მიხილე და გწამს; ნეტარი არიან ისინი, რომელთაც მე არ ვენახევარ და ვწამვარ.

რამეთუ-ს ასეთი გაგება („რადგანაც“) გამოწვეულია იმით, რომ სხვა ენებში „რადგანაც“-ის შესატყვისი სიტყვები მოიპოვება: ὅτι, զի, потому что, weil. მაგრამ ბერძნული ὅτι, როგორც ჩვენი რამეთუ, ორი შინაარსისაა: ა) რომ, что, ბ) რადგანაც, потому что. ეს შინაარსი ისედაც ჩანს ქართულში, ამიტომ რამეთუ აქ რომ-ის მნიშვნელობით უნდა გავიგოთ, მის წინ მძიმე დავსვათ და შემდეგ — ორწერტილი (ამ უკანასკნელ შემთხვევაში შეიძლება რამე სასვენი ნიშანი არც დავსვათ).

## გ) ოთხთავის წინა გამოცემიდან[1]

აქ გასწორდა ზოგიერთი ხარვეზი.

1. მ. 6, 5. ამენ გეტყჳ თქუენ FGHIK (იყო: არამედ D. E-ს ეს მუხლი არ მოეპოვება).

---

[1] ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით. გამოსცა ა. შანიძემ, 1945.

2. მ. 10, 22; მრ. 13, 13. რომელმან დაითმინოს იგი სრულიად, ცხოვნდეს FGHIK (იყო: რომელმან დაითმინოს, იგი სრულიად ცხონდეს DE). ამ წინადადების აზრია: ვინც (ყველაფერ) ამას სრულიად (ბოლომდე) მოითმენს (გაუძლებს, აიტანს), (ის) გადარჩება. „სრულიად“ ეხება მოთმენას და არა გადარჩენას. მძიმის გადმოსმა ტექსტს შინაარსს უცვლის.

ეგევე ადგილი კიდევ ერთხელ გვხვდება მათეს თავში (24, 13): რომელმან დაითმინოს სრულიად. იგი ცხოვნდეს. აქ არ ხერხდება მძიმის გადაადგილება და ამიტომ ყველა გამოცემაში ერთნაირად (სწორად) არის წარმოდგენილი.

3. მ. 13, 41. და შეკრიბნეს სუფევისაგან მისისა ყოველნი საცთურნი... ႠႢ (იყო: სოფლისაგან... DE). DE-ში „სუფევისაგან“ და „სოფლისაგან“ გრაფიკულ ნიადაგზე უნდა იყოს არეული: სჳესგნ — სჳლსგნ).

4. მ. 23, 2. საყდართა მოსესთა დასხდეს მწიგნობარნი და ფარისეველნი ႠႢ (იყო: დასხდენ DE). უნდა წყვეტილი. შდრ. ἐκάθισαν

5. მ. 26, 42. უკუეთუ ვერ შესაძლებელ არს სასუმელი ესე თანა-წარსლვად ჩემდა, რამთამცა არა შევსუ იგი, იყავნ ნებაჲ შენი ႠႢ (იყო: უკუეთუ შესაძლებელ არს, სასუმელი ესე თანა-წარსლვად ჩემდა... DE). აკლია ვერ, მძიმეც მეტია.

6. ლ. 6, 19. და ურვილნი იგი სულთაგან არაწმიდათა განიკურნებოდეს ႠႢ (იყო ... უძლურნი...DE).

შდრ. οἱ ἐνοχλούμενοι. ქართულში სხვაგანაც ყველგან ურეილნი იკითხება. აღრევა აქაც გრაფიკულ ნიადაგზე უნდა იყოს წარმომდგარი: ურვლნი — უძლრნი, რომელთაგან მეორე სახარებაში ძალიან ხშირად იხმარება, ხოლო ურეილნი მხოლოდ ამ ერთადერთ ადგილას გვაქვს (მხოლობითის ფორმაც — ურეილი — მხოლოდ ერთხელ გვხვდება: მრ. 7, 25).

7. ლ. 11, 39. აწ თქუენ ... გარეშჱ სასუმელისაჲ და პინაკისაჲ განსწმიდით G. ასეთივე ფორმა აქვს აგრეთვე E-საც, მაგრამ ტექსტში დატოვებულია D-ს გვიანდელი წაკითხვა გარეშე, ხოლო E-ს ძველებური გარეშჱ სქოლიოშია ჩატანილი. ასეთივე მდგომარეობაა აგრეთვე შემდგომს (მე-40) მუხლშიც: გარეშე D ტექსტში, გარეშჱ E სქოლიოში. ეს სიტყვა აქ არსებითის გაგებით არის ნახმარი (внешность), ამიტომ ტექსტს გარეშჱ უფრო მოუხდებოდა.

8. ი. 1, 47. იხილა რაჲ იესუ ნათანაელ, მომავალი მისა, და თქუა მისთჳს FGHIK. ძველ (1945 წ.) გამოცემაში ეს და ამოღებულია და ჩატანილია სქოლიოში აქაც და სხვა მსგავს ადგილებშიც (მრ. 15, 39; ლ. 20, 16; ი. 5, 7; 9, 1), ზოგან კი დატოვებულია თავის ადგილას (ლ. 5, 4; ი. 15, 7; 21, 4).

ეს თავისებური და საინტერესო სინტაქსური საკითხი შეისწავლა ს. ყაუხჩიშვილმა[1] და დამაჯერებლად აჩვენა, რომ იგი ჩვეულებრივი და დამახასიათებელი მოვლენაა ძველ ქართულში, აგრეთვე ძველ ბერძნულში. ამიტომ სათანადო შემთხვევებში (რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, როცა დამოკიდებული თავშია მიქცეული) ასეთი და (აგრეთვე ხოლო და ზოგი სხვა კავშირიც) ტექსტში უნდა დარჩეს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ადიშის ოთხთავი ამ მოვლენას ძალზე იშვიათად მიმართავს.

---

[1] ს. ყაუხჩიშვილი, ერთი უცნობი სინტაქსური მოვლენისათვის ძველ ქართულში: ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, IX, 1949, გვ. 111—119.

ეფთვიმე და გიორგი? ისინიც ძალიან ცდილობენ, ამ უძველეს სინტაქსურ მოვლენას გვერდი აუარონ და არ იხმარონ, თუმცა ამას ბოლომდე ვერ ახერხებენ. აი რა სურათს ვვიშლის თვალწინ ამ თვალსაზრისით, ერთი მხრივ, DE-სა და, მეორე მხრივ, FG, HIK-ს მონაცვლეობა:

| DE | FG. HIK |
|---|---|
| მრ. 15, 39 და ვითარცა იხილა ასისთავმან, | ... |
| ... და თქუა | ... თქუა. |
| ლ. 5, 4. და ვითარცა დასცხრა სიტყუად, | ... |
| და ჰრქუა სიმონს | ... ჰრქუა სიმონს. |
| ი. 5, 7. რაჟამს წყალი ესე აღირღუეს, | ... |
| და შთა-მცა-მაგდო საბანელსა მას | ...შთა-მცა-მაგდო FG<br>...და შთა-მცა-მაგდო HIK. |
| ი. 9, 1. ვითარცა წარვიდოდა იესუ, | ... |
| და იხილა კაცი | ...იხილა კაცი. |
| ი. 12, 12—13. ...რამეთუ ესმა, ვითარმედ იესუ | ... |
| მოვალს იერუსალჱმდ, და მოიღეს რტოჲ | ...მოიღეს ... |
| ი. 15, 7. რაჲ გინდეს, და ითხოვეთ, | ... ითხოვეთ |
| და გეყოს თქუენ | ... |
| ი. 21, 4. და ვითარცა განთენებოდა, | ... |
| და დგა იესუ კიდესა ზედა | ...დგა იესუ. |

მართალია, გამოცემაში დადგა ერთადაა დაბეჭდილი (დადგა), მაგრამ ყველაფრიდან ჩანს, რომ აქ დგა (იდგა) უნდა იგულისხმებოდეს. შდრ. ἔστη, կայր, стоял, stand....

მაგრამ:

ლ. 20, 16. ხოლო მათ ვითარცა ესმა ესე, და თქუეს ABDEFGMHIKბ. ადიში კი, ადიში აქაც თავისი შეხედულების ერთგული რჩება და ამ სადაეო და-ს სამსახურზე უარს ამბობს. ადიშის ოთხთავში ულტრაარქაული ფორმების გვერდით ახალი სიოს ქროლა კარგად არის ცნობილი ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში[1]. ამის შემდეგ რაღა გვეთქმის ეფთვიმესა და გიორგის ენობრივ სიახლეებზე, როცა ადიშსა და მათ შორის გრძელი 100, 150 წელი ძევს!

9. ლ. 22, 49. უფალო, უკუეთუ მოვსრნეთ ესენი მახჳლითა? FGHIK. აქ არ არის DE-ს მიერ დამატებული გნებავს: უკუეთუ გნებავს, მოვსრნეთ ესენი მახჳლითა. ამიტომ აქ არც კითხვითი წინადადებაა. მაგრამ ეს გნებავს მერმე უნდა იყოს დამატებული სტილისტურად გასამართავად (და, გვგონია, არა ფუქად). შდრ. გერმ. sollen wir mit dem Schwerte drein schlagen? ან ინგლ. shall we smite with the sword? მაგრამ ეს „გნებავს“ არსად არ არის (εἰ πατάξομεν ἐν μαχαίρῃ). ამიტომაა, რომ არც ეფთვიმეს და არც გიორგის ეს „გნებავს“ არ მიუღიათ. იგი არც C-ს მოეპოვება, გამოცემაში აღდგენილია DE-ზე დაყრდნობით.

10. ო́კე, უ́კე ჩვენ ყველგან გახსნილი გვაქვს როგორც უკუნისამდე (ძველ ქართულში მდე თანდებული ნათესაობითსაც ერთოდა). ამიტომ 1945 წლის გამოცემაში ჩარჩენილი უკუნისადმდე (ი. 12, 34 CDE; ი. 13,

---

[1] ი. იმნაიშვილი, ადიშის ოთხთავი რედაქციულად: თბილ. უნივ. შრომები, ტ. 28, 1946, გვ. 119—162; ტ. 30ბ, 1947, 183—236, განსაკუთრებით, გვ. 185—192.

18 CDE და სხვ.) აქ ყველგან უდონოდ გვიწერია (უკუნისამდე). როცა გადამწერები ამ სიტყვას მთლიანად, უქარაგმოდ წერდნენ, არსად სადაეო დ-ს არ ურთავდნენ.

11. ი. 13, 14. უკუეთუ მე დაგბანენ ფერჴნი, უფალმან და მოძღუარმან, და თქუენცა თანა-გაც ურთიერთას დაბანად ფერჴთა FGHIK. C-ში არის დაგბანნე (II კავშირებითი — მომავალი დრო: დაგბან), მაგრამ ეს შეცდომაა: ფაქტია, რომ ქრისტემ თავის მოწაფეებს უკვე დაბანა ფეხები (ი. 13, 5) და ახლა ეუბნება მათ: თუ მე, უფალმა და მასწავლებელმა, თქვენ დაგბანეთ ფეხები, თქვენც გევალებათ, ერთმანეთს დაბანოთ ფეხები. ჩვენი წყვეტილის ბადალი მწკრივები და დროებია ბერძნულსა და სხვა ენების თარგმანებშიც, მაგალითად: εἰ οὖν ἐγὼ ἔνιψα ὑμῶν τοὺς πόδας. если... я умыл ноги вам. ასეა სხვაგან ყველგან, ასეა აგრეთვე ქართულშიც: ABDFGMHIKა. დაგბანნე, ადიშის გარდა, კიდევ ერთ ხელნაწერს — E-ს მოეპოვება და გამოცემაშიც სწორედ ეს არის დატოვებული (ალბათ, C-ს გავლენით). ჩვენ აქ. რა თქმა უნდა, საყოველთაოდ მიღებული დაგბანენ დავტოვეთ ჩვენი გამოცემის ტექსტში.

## დ) დათქმული ნიშნები

თავ-თავის ადგილას აღნიშნული გვაქვს, მაგრამ აქაც გავიმეორებთ, რომ ამ წიგნში ნახმარი ქართული და ლათინური ლიტერები ასეთი მნიშვნელობისაა:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ⴍ | ლიტერით | ნაგულისხმევია | ოპიზური | რედაქცია, |
| ⴄ | „ | „ | ეფთვიმეს | „ |
| ⴂ | „ | „ | გიორგის | „ |
| A | „ | „ | ოპიზის | ოთხთავი, |
| B | „ | „ | ტბეთის | „ |
| C | „ | „ | ადიშის | „ |
| D | „ | „ | ჯრუჭის | „ |
| E | „ | „ | პარხლის | „ |
| F | „ | „ | ურბნისის | „ |
| G | „ | „ | პალესტინური | „ |
| H | „ | „ | ვანის | „ |
| I | „ | „ | ეჩმიაძინის | „ |
| K | „ | „ | გელათის | „ |
| L | „ | „ | ქსნის | „ |
| M | „ | „ | მესტიის | „ |
| N | „ | „ | ალავერდის | „ |
| ბ | „ | „ | ბერთის | „ |

# ქართული ოთხთავის ორი გოლო რედაქცია

(ტექსტი)

პირველი თავი:

## (F 5r, G 3r) სახარებაჲ მათეს თავისაჲ[1]

# 1

1. წიგნი შობისა[2] იესუ ქრისტესი, ძისა დავითისი, ძისა აბრაჰამისი.

2. აბრაჰამ შვა ისაკ; ისაკ შვა იაკობ; იაკობ შვა იუდა და ძმანი მისნი;

3. ხოლო იუდა შვა ფარეზ[3] და[4] ზარა თამარისგან; და ფარეზ შვა ესრომ; ესრომ შვა არამ;

4. არამ შვა ამინადაბ; ამინადაბ შვა naასომ; ნაასომ შვა სალმონ[5];

5. სალმონ[5] შვა ბოოს რექაბისგან; ბოოს შვა იობედ რუთისგან[6]; იობედ შვა იესე;

6. იესე შვა დავით მეფჱ; დავით მეფემან შვა სოლომონ ურიაჲს[7] ცოლისაგან;

7. სოლომონ შვა რობოამ; რობოამ შვა აბია; აბია შვა ასაფი;

8. ასაფი[8] შვა იოსაფატ; იოსაფატ შვა იორამ; იორამ შვა ოზია;

9. ოზია[9] შვა იოათამ; იოათამ შვა აქაზ; აქაზ შვა ეზეკია;

10. ეზეკია შვა მანასე; მანასე შვა ამონი; ამონი შვა იოსია;

11. იოსია შვა იოაკიმ; იოაკიმ შვა[10]

## (H 10r, I 9r, K 16r) სახარებაჲ მათეს თავისაჲ[1]

1. წიგნი შობისა იესუ ქრისტესი, ძისა დავითისი, ძისა აბრაჰამისი[2].

2. აბრაჰამ[2] შვა ისაკ; (K 16v) ისაკ შვა იაკობ; იაკობ შვა იუდა და ძმანი მისნი;

3. ხოლო იუდა შვა ფარეზ და ზარა თამარისგან; და ფარეზ შვა ესრომ; ესრომ შვა არამ;

4. არამ შვა ამინადაბ; ამინადაბ შვა ნაასონ; ნაასონ შვა სალმონ;

5. სალმონ შვა ბოოს რექაბისგან; ბოოს შვა იობედ რუთისგან; იობედ შვა იესე;

6. იესე შვა დავით მეფე; დავით მეფემან შვა სოლომონ ურიაჲს[3] ცოლისაგან;

7. სოლომონ შვა რობოამ; რობოამ შვა (I 9v) აბია; აბია შვა ასა;

8. ასა შვა იოსაფატ; (H 10v) იოსაფატ შვა იორამ; იორამ შვა ოზია; ოზია შვა იოათამ;

9. იოათამ შვა აქაზ; აქაზ შვა ეზეკია;

10. ეზეკია შვა მანასე; მანასე შვა ამონ; ამონ შვა იოსია;

11. იოსია შვა იექონია და ძმანი

---

[1] ჴ̃ა სახრ̃ბა თავი მ̃თესი G. [2] შობისაჲ F. [3] ფარეს F. [4] და]—G. [5] სალმუნ F. [6] ოუთისგ..ნ]—F; რო...]გ̃ნ G. [7] ჰურიაჲს F; G-ში ეს სიტყვა ამოფხეკილია და არ იკითხება. [8] ასვა FG. [9] ოზია იზია F. [10] იოაკიმ; იოაკიმ შვა] — F. F ხელნაწერში შემდეგ ჩაუმატებიათ მხოლოდ იოაკიმ", მაგრამ „იოაკიმ შვა" ისევ გამორჩენიათ. ბერძნულში იოაკიმის შესახებ არაფერია ნათქვამი.

[1] სახარებაჲ მატთეს თავი K. [2] I-ში ეს ადგილი გაცხოველებულია. გაცხოველებულ ტექსტში აბრამისი და აბრამ იკითხება, მაგრამ პირვანდელი ნაწერის კვალი მკრთალად ახლაც ჩანს (აბრაჰამისი, აბრაჰამ). [3] ურიის H, ჰურის I (გაცხოველებულია).

FG

იეკონია[1] და ძმანი მისნი ტყუეობასა მას (G 8ч/) ბაბილოვნელთაგან.

12. შემდგომად ტყუეობისა მის ბაბილოვნისა იეკონია შვა სალათიელ; სალათიელ შვა ზორობაბელ;

13. ზორ(F 6ч/)ობაბელ შვა აბიოდ; აბიოდ შვა ელიაკიმ; ელიაკიმ შვა აზორ;

14. აზორ შვა სადუკ; სადუკ შვა აქიმ[2]; აქიმ[2] შვა ელიუდ[3];

15. ელიუდ[3] შვა ელიაზარ; ელიაზარ შვა მატთან[4]; მატთან[4] შვა იაკობ;

16. იაკობ შვა იოსებ, ქმარი მარიამისი, რომლისაგან იშვა იესუ, რომელსა ჰრქჳან[5] ქრისტე[6].

17. ყოველი ნათესავი[7] აბრაჰამისითგან ვიდრე დავითისამდე ნათესავი ათოთხმეტ; და[8] დავითისითგან ვიდრე ტყუენვამდე ბაბილოვნელთაგან[9] ნათესავი ათოთხმეტ; და ტყუენვითგან ბაბილოვნისაჲთ ვიდრე ქრისტჱსამდე ნათესავი ათოთხმეტ.

18. ხოლო იესუ ქრისტეს[10] შობაჲ ესრეთ იყო, რამეთუჲ თხოვილ[11] იყო დედაჲ მისი მარიამ იოსებისა და ვიდრე შერთვადმდე[12] მათა[13] იპოა იგი მიდგომილ სულისაგან წმიდისა.

19. (G 4г) ხოლო იოსებ, ქმარი მისი, მართალი იყო და არა უნდა განმხილებაჲ[14] მისი, იზრახა ფარულად განტევებაჲ მისი.

20. და ვითარ იგი ამას განიზრახვიდა ოდენ, აჰა ანგელოზი უფლისაჲ ჩუენებით გამოუჩნდა მას და ჰრქუაჲ იოსებ, ძეო დავითისო, ნუ გეშინინ[15] მიყვანებად მარიამისა, ცოლისა შენისა, რამეთუ, რომელი-იგი მისგან იშვეს, სულისაგან წმიდისა არს.

HIK

მისნი ტყუეობასა[1] მას ბაბილოვნელთასა.

12. შემდგომად ტყუეობისა[2] მის ბაბილოვნისა იეკონია შვა სალათიელ; სალათიელ შვა ზორობაბელ; ზორობაბელ შვა აბიუდ;

13. აბიუდ შვა ელიაკიმ; ელიაკიმ შვა აზორ;

14. აზორ შვა სადუკ; სადუკ შვა აქიმ; აქიმ შვა ელიუდ;

15. ელიუდ შვა ელეაზარ; ელეაზარ შვა მატთან; მატთან შვა იაკობ;

16. იაკობ შვა იოსებ, ქმარი მარიამისი, რომლისაგან იშვა იესუ, რომელსა ჰრქჳან[3] ქრისტე.

17. (K 17г) ყოველი ნათესავი აბრაჰამისითგან[4] ვიდრე დავითისამდე[5] ნათესავი ათოთხმეტ; და დავითისითგან ვიდრე ტყუენვადმდე[6] ბაბილოვნისა ნათესავი ათოთხმეტ; და (I 10г) ტყუენვითგან[7] ბაბილოვნისაჲთ ვიდრე (H 11г) ქრისტესამდე ნათესავი ათოთხმეტ.

18. ხოლო იესუ ქრისტეს შობაჲ ესრეთ იყო, რამეთუჲ თხოვილ იყო დედაჲ მისი მარიამ იოსებისა და ვიდრე შერთვადმდე მათა იპოვა იგი მიდგომილ სულისაგან წმიდისა.

19. ხოლო იოსებ, ქმარი ამისი, მართალი იყო და არა უნდა განმხილებაჲ მისი, იზრახა ფარულად განტევებაჲ მისი.

20. და ვითარ იგი ამას განიზრახვიდა ოდენ, აჰა ანგელოზი უფლისაჲ ჩუენებით[8] გამოუჩნდა მას და ჰრქუაჲ იოსებ, ძეო დავითისო, ნუ გეშინინ მიყვანებად მარიამისა, ცოლისა შენისა, რამეთუ რომელი-იგი მისგან იშვეს, სულისაგან წმიდისა არს.

---

[1] იეკონიე F. [2] აქიზ F. [3] ელიოდ G. [4] G-ში ჯერ „მატათან“ დაუწერიათ (ორივეგან), მაგრამ შემდეგ მეორე ა ამოუფხეკიათ. [5] ჰქჳან F (უქარაგმოდ). [6] ქ̃ჱ FG. [7] ნათესავნი G. [8] და] — G. [9] ბაბილოვნისა G. [10] ქ̃ს FG. [11] თხოილ F. [12] შერთვამდე F. [13] მისა F. [14] განმხილებაჲ G. [15] G-ს გადამწერს ჯერ „გეშინ“ დაუწერია, ხოლო შემდეგ „ი“-ს ზემოთ ნ დაუმატებია, ო-ს დაწერა კი დავიწყებია (იკითხება გ ე შ ი ნ ნ, უნდა იყოს: გ ე შ ი ნ ი ნ).

[1] ტყუჱობასა HIK. [2] ტყუჱობისა HI. [3] ჰრქუან K. [4] აბრაჰამითგან K. შემდეგ ზემოდან „ის“ დაუმატებიათ (= აბრაჰამისითგან). ეს „ის“ ძალიან მკრთალად ჩანს ახლა. [5] დავითისადმდე HK. [6] ტყუჱნვადმდე HI, ტყუჱნვამდე K. [7] ტყუჱნვითგან HIK. [8] ჩუჱნებით HI.

FG

21. შევს ძჱ, და უწოდიან სახელი მისი იესუ, (F 6ⴐ) რამეთუ მან იჴსნეს ერი თჳსი ცოდვათა მათთაგან.

22. ესე ყოველი იქმნა, რაჲთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი უფლისაჲ პირითა წინაწარმეტყუელისაჲთა თქუმული:

23. აჰა ესერა ქალწული მიუდგეს და შვეს ძჱ, და უწოდიან სახელი მისი ევმანუელ[1], რომელ არს თარგმანებით: ჩუენ თანა ღმერთი.

24. განიღჳძა იოსებ ძილისა მისგან და ყო ეგრე, ვითარცა უბრძანა მას ანგელოზმან უფლისამან, და წარიყვანა ცოლი თჳსი.

25. და არა იცოდა იგი, ვიდრემდე შვა ძჱ[2] იგი მისი პირმშოჲ, და უწოდეს სახელი მისი იესუ.

HIK

21. შვეს ძე, და უწოდიან სახელი მისი იესუ, რამეთუ მან იჴსნეს ერი თჳსი ცოდვათა მათთაგან.

22. (K 17ⴅ) ესე ყოველი იქმნა, რაჲთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი უფლისაჲ პირითა წინაწარმეტყუელისაჲთა თქუმული:

23. აჰა ქალწული მიუდგეს და შვეს ძე, და უწოდიან სახელი მისი ემმანუელ[1], (I 10ⴅ) რომელ არს თარგმანებით: ჩუენ თანა ღმერთი.

24. განიღჳძა იოსებ ძილისა მისგან და ყო ეგრე, ვითარცა უბრძანა (H 11ⴅ) მას ანგელოზმან უფლისამან, და წარიყვანა ცოლი თჳსი.

25. და არა იცოდა იგი, ვიდრემდე შვა ძე იგი მისი პირმშოჲ და უწოდა სახელი მისი იესუ.

## 2

1. (G 4ⴅ) ხოლო იესუ ქრისტეს შობასა ბეთლემს ჰურიასტანისასა, დღეთა ჰეროდე მეფისათა, აჰა მოგუნი აღმოსავალით მოვიდეს იერუსალჱმდ და იტყოდეს:

2. სადა არს ახლად შობილი იგი მეუფჱ ჰურიათაჲ? რამეთუ ვიხილეთ ვარსკულავი მისი აღმოსავალით და მოვედით თაყუანის-ცემად მისა.

3. ვითარცა ესმა ესე ჰეროდეს მეფესა, შეძრწუნდა, და ყოველი იერუსალჱმი მის თანა.

4. და შეკრიბნა ყოველნი მღდელთ-მოძღუარნი და მწიგნობარნი ერისანი ჰეროდე[3] და იკითხვიდა მათგან: სადა შობად არს[4] ქრისტჱ?

5. ხოლო მათ ჰრქუეს: ბეთლემს ჰურიასტანისასა. (F 6ⴅ) რამეთუ ესრეთ[5] წერილ არს წინაწარმეტყუელისა მიერ:

6. და შენ, ბეთლემ, ქუეყანაჲ ეგე იუდაჲსი, არასადა უმრწემეს ხარ მთავართა

1. ხოლო იესუჲს შობასა ბეთლემს ჰურიასტანისასა, დღეთა ჰეროდე მეფისათა, აჰა მოგუნი აღმოსავალით მოვიდეს იერუსალჱმდ[2] და იტყოდეს:

2. სადა არს, რომელი-იგი იშვა მეუფე ჰურიათაჲ? რამეთუ ვიხილეთ ვარსკულავი მისი აღმოსავალით და მოვედით თაყუანის-ცემად მისა[3].

3. ვითარცა ესმა ესე ჰეროდეს მეფესა, შეძრწუნდა, და ყოველი იერუსალჱმი[4] მის თანა.

4. და შეკრიბნა ყოველნი მღდელთ-მოძღუარნი და მწიგნობარნი ერისანი[5] და[6] იკითხვიდა (K 18ⴐ) მათგან: სადა უკუე[7] შობად არს ქრისტე?

5. ხოლო მათ ჰრქუეს მას[8]: ბეთლემს ჰურიასტანისასა, რამეთუ ესრეთ წერილ არს წინაწარმეტყუელისა მიერ:

6. და შენ, ბეთლემ, (I 11ⴐ) ქუეყანაჲ ეგე იუდაჲსი, არასადა უმრწემეს

---

[1] ენმანუელ G. [2] ძე F. [3] ჰეროდჱ F. მაგრამ აქ ეს სიტყუა მერმე გადაუხაზავთ. [4] აქ F-ში რამდენიმე სიტყუა გაცხოველებულია, ჩამატებულია ჳკ̄ჱ (სადა [illegible] შობად ა). [5] ესრე G.

[1] ემმანუილ K. [2] ი̄ჱლმდ HIK. [3] მისსა K. [4] ი̄ჱლმი HI, ი̄ჱლომი K. [5] ერისანი] ჰრისტნისანი I (გაცხოველებულია). [6] და]—I. [7] უკუჱ HIK. [8] მას]—K.

FG

შორის იუდაჲსთა, რამეთუ შენგან გამოვიდეს მთავარი, რომელმან დამწყსოს ერი ჩემი ისრაჱლი.

7. მაშინ ჰეროდე იდუმალ მოუწოდა მოგუთა[1] მათ და გამოიკითხა მათგან ჟამი იგი გამოჩინებისა[2] მის ვარსკულავისაჲ.

8. და წარავლინნა[3] ბეთლემდ (G 6r) და ჰრქუა: მივედით და გამოიკითხეთ ჭეშმარიტად ყრმისა მისთჳს და რაჟამს ჰპოოთ იგი, მითხართ მე, რაჲთა მეცა მივიდე[4] და თაყუანის-ვსცე მას.

9. ხოლო მათ ვითარცა ესმა ესე მეფისა მისგან, წარვიდეს. და აჰა ვარსკულავი იგი, რომელი იხილეს აღმოსავალით, წინა-უძღოდა მათ, ვიდრემდე მოვიდა და დაადგრა ზედა[5] ადგილსა მას, რომელსა იყო ყრმაჲ იგი.

10. ხოლო მათ ვითარცა იხილეს ვარსკულავი იგი, განიხარეს სიხარულითა დიდითა ფრიად.

11. და ვითარცა შევიდეს სახლსა მას, და[6] იხილეს ყრმაჲ იგი მარიამის თანა დედისა თჳსისა, და[7] დავარდეს და თაყუანის-სცეს მას; და აღაღეს საფასე(F 7r)თა მათთა და შეწირეს მისა ძღუენი: ოქროჲ, გუნდრუკი და მური.

12. და მოიღეს ბრძანებაჲ ჩუენებით[8] ანგელოზისაგან, რაჲთა არა მიაქციონ ჰეროდესა, არამედ სხჳთ გზით წარვიდენ სოფლად თჳსა.

13. და ვითარცა განეშორნეს იგინი, აჰა ანგელოზი უფლისაჲ გამოუჩნდა ჩუენებით იოსებს და (G 6v) ჰრქუა: აღდეგ და წარიყვანე ყრმაჲ ეგე და დედაჲ მაგისი და ივლტოდე ეგჳპტედ და იყავ მუნ, ვიდრემდე გრქუა შენ, რამეთუ ეგულების ჰეროდეს მოძიებაჲ ყრმისა მაგის და წარწყმედად ეგე.

HIK

ხარ მთავართა შორის იუდაჲსთა, რამეთუ შენგან გამოვიდეს წინამძღუარი, რომელმან დამწყსოს ერი ჩემი ისრაჱლი[1].

7. (H 12r) მაშინ ჰეროდე იდუმალ მოუწოდა მოგუთა მათ და გამოიკითხა მათგან ჟამი იგი გამოჩინებულისა მის ვარსკულავისაჲ.

8. და წარავლინნა იგინი ბეთლემდ და (K 18v) ჰრქუა: მივედით და გამოიკითხეთ ჭეშმარიტად ყრმისა მისთჳს და რაჟამს ჰპოოთ იგი, მითხართ მე, რაჲთა მეცა მივიდე და თაყუანის-ვსცე მას.

9. ხოლო მათ ვითარცა ესმა ესე მეფისა მისგან, წარვიდეს. და აჰა ვარსკულავი იგი, რომელი იხილეს აღმოსავალით, წინა-უძღოდა[2] მათ, ვიდრემდე მოვიდა და დაადგრა ადგილსა მას, რომელსა იყო ყრმაჲ იგი.

10. ხოლო მათ ვითარცა იხილეს ვარსკულავი იგი, განიხარეს სიხარულითა დიდითა ფრიად.

11. და ვითარცა შევიდეს სახლსა მას, იხილეს ყრმაჲ იგი მარიამის თანა, დედისა თჳსისა, და და(I 11v)ვარდეს და თაყუანის-სცეს მას; და აღაღეს საუნჯეთა მათთა და შეწირეს მისა[3] ძღუენი[4]: ოქროჲ, გუნდრ(K 19r)უკი და მური.

12. და მოიღეს ბრძანებაჲ ჩუენებით[5], რაჲთა არა მიაქციონ ჰეროდესა[6], არამედ (H 12v) სხჳთ გზით წარვიდენ სოფლად თჳსა[7].

13. და ვითარცა განეშორნეს იგინი, აჰა ანგელოზი უფლისაჲ გამოუჩნდა ჩუენებით[8] იოსებს და ჰრქუა; აღდეგ და წარიყვანე ყრმაჲ ეგე და დედაჲ მაგისი და ივლტოდე ეგჳპტედ და იყავ მუნ, ვიდრემდე გრქუა შენ, რამეთუ ეგულების ჰეროდეს მოძიებად ყრმისა მაგის და წარწყმედად ეგე.

---

[1] მეგუთა F. [2] გამოჩინებისაჲ F. [3] წარავლინნა F. [4] მივიდჱ F. [5] ზედა] — G. [6] და] — G. [7] და] — F. [8] ჩუენებაჲ F.

[1] ი̄ჱლი HIK. [2] წინა-უძღო | H. [3] მისსა K. [4] ძღუჱნი H. [5] ჩუჱნებ.თ H. [6] ჰეროდესსა K. [7] თჳსსა K. [8] ჩუჱნებით HI.

| FG | HIK |
|---|---|
| 14. ხოლო იგი აღდგა და წარიყვანა ყრმაჲ იგი და დედაჲ მისი ღამე და წარვიდა ეგჳპტედ და იყო მუნ[1], ვიდრე აღსრულებადმდე[2] ჰეროდესა. | 14. ხოლო იგი აღდგა და წარიყვანა ყრმაჲ იგი და დედაჲ მისი ღამე და წარვიდა ეგჳპტედ და იყო მუნ, ვიდრე აღსრულებადმდე ჰეროდესა[1]. |
| 15. რაჲთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი უფლისაჲ, თქუმული წინაწარმეტყუელისა მიერ: ეგჳპტით უწოდი ძესა[3] ჩემსა. | 15. რაჲთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი უფლისაჲ, თქუმული წინაწარმეტყუელისა მიერ჻ ეგჳპტით უწოდე ძესა ჩემსა. |
| 16. მაშინ ჰეროდე ვითარცა იხილა, რამეთუ მოიკიცხა მოგუთა მათგან, განრისხნა ფრიად და[4] წარავლინნა[5] და მოწყუდა ყოველი ყრმები, რომელნი იყვნეს ბეთლემს და ყოველთა საზღვართა მისთა ორით წლითგანი[6] და უდარესი, მსგავსად მის ჟამისა, ვითარცა გამოიკითხა მოგუთა მათგან. | 16. მაშინ ვითარცა იხილა ჰეროდე, რამეთუ მოიკიცხა მოგუთა მათგან, განრისხნა ფრიად, წარა(I 13r)ვლინნა (K 10v) და მოსწყჳდა ყოველი ყრმები, რომელნი იყვნეს ბეთლემს და ყოველთა საზღვართა მისთა ორით წლითგანი და უდარესი, მსგავსად მის ჟამისა, ვითარცა გამოიკითხა მოგუთა მათგან. |
| 17. მაშინ (F 7v) აღესრულა თქუმული იგი იერემია წინაწარმეტყუელისაჲ჻ | 17. მაშინ აღესრულა თქუმული იგი იერემია (H 18r) წინაწარმეტყუელისაჲ, რომელსა იტყჳს჻ |
| 18. ჴმაჲ ჰრამაჲთ ისმა გოდებისაჲ[7] და ტირილისაჲ[8] და ღაღადებისაჲ ფრიად[9]; (G 6r) რაქელ სტიროდა შვილთა თჳსთა და არა უნდა ნუგეშინის-ცემის, რამეთუ არა არიან. | 18. ჴმაჲ ჰრამაჲთ ისმა გოდებისა და ტირილისა და ტყებისაჲ მრავალი; რაქელ სტიროდა შვილთა თჳსთა და არა უნდა ნუგეშინის-ცემის, რამეთუ არა არიან. |
| 19. ხოლო რაჟამს აღესრულა ჰეროდე, აჰა ანგელოზი უფლისაჲ გამოეცხადა[10] ჩუენებით იოსებს ეგჳპტეს[11] | 19. ხოლო რაჟამს აღესრულა ჰეროდე[2], აჰა ანგელოზი უფლისაჲ გამოეცხადა ჩუენებით[3] იოსებს ეგჳპტეს |
| 20. და ჰრქუა: აღდეგ და წარიყვანე ყრმაჲ ეგე და დედაჲ მაგისი და წარვედ ქუეყანად ისრაჱლისა, რამეთუ მოსწყდეს[12], რომელნი ეძიებდეს სულსა მაგის ყრმისასა. | 20. და ჰრქუა჻ აღდეგ და წარიყვანე ყრმაჲ ეგე და დედაჲ მაგისი და წარვედ ქუეყანად ისრაჱლისა, რამეთუ მოსწყდეს, რომელნი ეძიებდეს სულსა მაგის ყრმი(K 20r)სასა. |
| 21. ხოლო იგი აღდგა და წარმოიყვანა[13] ყრმაჲ იგი და დედაჲ მისი და მოვიდა ქუეყანად ისრაჱლისა. | 21. ხოლო იგი აღდგა და წარმოიყვანა ყრმაჲ იგი და დედაჲ მისი და მოვიდა ქუეყანად ისრაჱლისა. |
| 22. და ვითარცა ესმა, რამეთუ არქელაოზ მეფობს ჰურიასტანს[14] ჰეროდეს | 22. და ვითარცა ესმა, რამეთუ არქელაოს[4] მეფობს ჰურიასტანს ჰეროდეს |

---

[1] მონ G. [2] აღსრულებამდე F. [3] ძჱსა G. [4] და] — F. [5] წარავლინა F. [6] წლითგან F [7] გოდებისა G. [8] ტირილისა G. [9] და ღაღადებისაჲ ფრიად] F-ში ჩამატებულია სტრიქონის ზემოდან (ნუსხურით). [10] გამოეცხადა] გამოუჩნდა G. [11] ეგჳპტს F. სიტყუა მერმეა ჩამატებული ნუსხური ხელით (მელანიც სხვა უნდა იყოს). [12] მოწყდეს G. [13] F-ში „წარიყვანა“ ყოფილა პირველად, მაგრამ მერმე სხვა მელნითა და სხვა ხელით (ნუსხურით) მო ჩაუმატებიათ. [14] ჰურიასტანსა F.

ჰეროდესსა K. [2] ჰერუ̈დე HI (=ჰეროდე. სამი და ოთხი წერტილი აქ და ქვემოთ იმის ნიშანია, რომ გადაწერისას შეცდომაა დაშვებული და უნდა გასწორდესო). [3] ჩუჱნებით HI. [4] არქელაოზ I.

**FG**

წილ, მამისა თჳსისა, შეეშინა მისლვად მუნ, არამედ ბრძანებაჲ მოიღო ჩუენებით ანგელოზისაგან და წარვიდა ქუეყანად გალილეაჲსა.

23. და მივიდა და დაეშენა ქალაქსა მას, რომელსა ჰრქჳან[1] ნაზარეთ, რაჲთა აღესრულოს თქუმული იგი წინაწარმეტყუელისა მიერ, ვითარმედ: ნა(G 8ч/)ზარეველ ეწოდოს.

**HIK**

წილ, მამისა თჳსისა, (I 12ч/) შეეშინა მისლვად მუნ და ბრძანებაჲ მოიღო ჩუენებით[1] და წარვიდა კერძოთა გალილეაჲსათა.

23. და მივიდა[2] და დაეშენა ქალაქსა შინა, რომელსა ჰრქჳან ნაზარეთ, რაჲთა აღესრულოს თქუმული წინაწარმეტყუელისა მიერ, ვითარმედ: ნაზარეველ ეწოდოს.

# 3

**FG**

1. მათ დღეთა შინა მოვიდა იოვანე[2] ნათლის-მცემელი, ქადაგებდა უდაბნოსა მას[3] ჰურიასტანისასა

2. და იტყოდა: შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათაჲ.

3. (F 8რ) რამეთუ ესე არს, რომლისათჳს-იგი ითქუა ესაია[4] წინაწარმეტყუელისა მიერ და იტყოდა: ჴმაჲ ღაღადებისაჲ უდაბნოსა ზედა: განჰმზადენით[5] გზანი უფლისანი და წრფელ ყვენით ალაგნი მისნი.

4. ხოლო თავადსა იოვანეს[6] ემოსა სამოსლად მისა თმისაგან აქლემისა და სარტყელი ტყავისაჲ წელთა მისთა; ხოლო საზრდელად მისა იყო მკალი და თაფლი ველური.

5. მაშინ განვიდოდეს მისა იერუსალჱმელნი ყოველნი[7] და ჰურიასტანისანი და გარემო სოფლები იორდანისაჲ.

6. და ნათელ-იღებდეს[8] იორდანესა მდინარესა მისგან და აუარებდეს[9] ცოდვათა მათთა.

7. და ვითარცა იხილნა ფარისეველნი და სადუკეველნი[10], მო(G 7რ)მავალნი ნათლის-ღებად მისგან, ჰრქუა მათ: ნაშობნო იქედნეთანო, ვინ გიჩუენა თქუენ სივლტოლაჲ მერმისა მისგან მომავალისა რისხვისა?

**HIK**

1. მათ დღეთა შინა მოვიდა (H 18ч/) იოვანე ნათლის-მცემელი ქადაგებად უდაბნოსა მას ჰურიასტანისასა

2. და იტყოდა: შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათაჲ.

3. რამეთუ ესე არს, რომელ-იგი[3] თქუმულ არს ესაია წინაწარმეტყუელისა მიერ და იტყჳს: ჴმაჲ ღაღადებისაჲ უდაბნოსა ზედა: განჰმზადენით გზანი უფლისანი და წრფელ (K 20ч/) ყვენით ალაგნი მისნი.

4. ხოლო თავადსა იოვანეს ემოსა სამოსლად მისა[4] თმისაგან აქლემისა და სარტყელი ტყავისაჲ წელთა მისთა; ხოლო საზრდელად მისა[4] იყო მკალი და თაფლი ველური.

5. მაშინ განვიდოდა მისა[4] იერუსალიმი[5] და ყოველი ჰურიასტანი და გარემო სოფლები იორდანისაჲ.

6. და ნათელს-იღებდეს იო(I 13რ)რდანესა შინა მისგან და აღუვარებდეს[6] ცოდვათა მათთა.

7. და ვითარცა იხილნა მრავალნი ფარისეველნი და სადუკეველნი, მომავალნი ნათლის-ღებად მისგან, ჰრქუა მათ: ნაშობნო იქედნეთანო: ვინ გიჩუენა[7] თქუენ სივლტოლაჲ მერმისა მისგან რისხვისა?

---

[1] ჰქჳან F. [2] ი~ნჱ G. [3] მას] — G. ეს სიტყვა პირველად არც F-ში ყოფილა, მერმეა დამატებული სხვა ხელით და მელნით. [4] ესაჲა G. [5] განმზადენ~თ G. [6] ი~ნჱს G. [7] ~ ყოველნი იერუსალჱმელნი G. [8] ნათელს-იღებდეს F. [9] აუვარებდეს G. [10] სადოკეველნი F.

[1] ჩუჱნებით HIK. [2] მოვიდა K. [3] რომელი-იგი K. [4] მისსა K. [5] ასუა H (უქარაგმოდ); ი~ჱლმი IK. [6] აუჳარებდეს HI. [7] გიჩუჱნა HI.

| EG | HIK |
|---|---|
| 8. ყავთ უკუე აწ ნაყოფი, ღირსი სინანულისაჲ, | 8. ყავ(H 14ⴐ)თ უკუე[1] ნაყოფი, ღირსი სინანულისაჲ, |
| 9. და ნუ ჰგონებთ და იტყჳთ თავით თჳსით: მამაჲ გჳვის ჩუენ აბრაჰამი. ხოლო ამას გეტყჳ თქუენ, ვითარმედ: შემძლებელ არს ღმერთი აღდგინებად ქვათა ამათგან შვილად აბრაჰამისა. | 9. და ნუ ჰგონებთ და იტყჳთ თავით თჳსით: მამაჲ გჳვის (K 21ⴐ) ჩუენ აბრაჰამი. რამეთუ გეტყჳ თქუენ, ვითარმედ: შემძლებელ არს ღმერთი აღდგინებად ქვათა ამათგან შვილად აბრაჰამისა[2]. |
| 10. (F 8ⴅ/) რამეთუ აწვე ესერა ცული ძირთა თანა ხეთასა ძეს. ყოველმან ხემან რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოეკუეთოს და ცეცხლსა დაედვას. | 10. რამეთუ აწვე ესერა ცული ძირთა თანა ხეთასა ძეს. ყოველმან ხემან რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოეკუეთოს[3] და ცეცხლსა დაედვას[4]. |
| 11. აწ მე ნათელ-გცემ თქუენ წყლითა სინანულად. ხოლო[1] რომელი[2] შემდგომად ჩემსა მოვალს, უძლიერეს ჩემსა არს, რომლისა ვერ შემძლებელ ვარ მე ჴამლთა მისთა ტჳრთვად. მან ნათელ-გცეს თქუენ სულითა წმიდითა და ცეცხლითა. | 11. მე უკუე[1] ნათელ-გცემ თქუენ წყლითა სინანულად. ხოლო რომელი შემდგომად ჩემსა მოვალს, უძლიერეს ჩემსა არს, რომლისა ვერ შემძლებელ ვარ ჴამლთა მისთა ტჳრთვად. მან ნათელ-(I 18ⴅ/)გცეს თქუენ სულითა წმიდითა და ცეცხლითა. |
| 12. (G 7ⴅ/) რომლისა ნიჩაბი ჴელთა მისთა, განწმიდოს კალოჲ თჳსი და შეკრიბოს იფქლი საუნჯესა, ხოლო ბზჱ დაწუას ცეცხლითა მით უშრეტითა. | 12. რომლისა ნიჩაბი ჴელთა მისთა, განწმიდოს კალოჲ თჳსი და შეკრიბოს იფქლი საუნჯესა, ხოლო ბზე დაწუას ცეცხლითა მით უშრეტითა. |
| 13. მაშინ მოვიდა იესუ გალილეაჲთ იორდანედ იოვანესა[3] ნათლის-ღებად მისგან. | 13. მაშინ მოვიდა იესუ გალილეაჲთ იორდანედ იოვანესა[5] ნათლის-ღებად მისგან. |
| 14. ხოლო იოვანე[4] აყენებდა მას და ეტყოდა: მე მიჴმს შენ მიერ ნათლის-ღებაჲ, და შენ ჩემდა მოხუალა? | 14. ხოლო იოვანე აყენებდა მას და ეტყოდა: მე მიჴმს შენ მიერ ნათლის-ღებაჲ, და შენ ჩემდა მოხუალა? |
| 15. ხოლო[1] იესუ მიუგო[5] და ჰრქუა მას: აცადე აწ, რამეთუ ესრეთ ჯერ-არს აღსრულებად ჩუენდა[6] ყოველი სიმართლჱ[7]. მაშინ მიუშუა მას იოვანე[4]. | 15. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: აცადე აწ, რამეთუ ესრეთ შუენის[6] ჩუენდა აღსრ(H 14ⴅ/)ულებად ყოველი სიმართლე. მაშინ მიუშუა მას. |
| 16. და ნათელ-იღო იესუ. და რაჟამს აღმოვიდოდა წყლისა მისგან, და აჰა განეხუნეს მას ცანი, და იხილა სული ღმრთისაჲ, გარდამომავალი, ვითარცა ტრედი, მოვიდა და დაადგრა მას ზედა. | 16. და ნათელ-იღო იესუ. და მეყსეულად აღმოვიდა რაჲ წყლისა მის(K 21ⴅ/)გან, და აჰა განეხუნეს მას ცანი, და იხილა სული ღმრთისაჲ, გარდამომავალი, ვითარცა ტრედი, მოვიდა და დაადგრა მას ზედა. |

---

[1] ხოლო] — G. [2] რომელი] — FG. [3] ი̃ნჱსა G. [4] ი̃ნჱ G. [5] ~ მიუგო იესუ G. [6] ჩუენდა] — F. [7] სიმართლე F.

[1] უკუჱ HI. [2] აბრაჰამისსა K. [3] მოეკუჱთოს H. [4] დაიდვას H. [5] იოვანესსა K. [6] შუჱნის HI.

| FG | HIK |
|---|---|
| 17. და ჴმაჲ იყო ზეცით[1] და თქუა: ესე არს (F 8r) ძჱ[2] ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ. | 17. და ჴმაჲ იყო ზეცით და თქუა჻ ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ. |

## 4

| FG | HIK |
|---|---|
| 1. მას ჟამსა მიჰყვანდა იესუ უდა(G 8r)ბნოდ სულისაგან, რაჲთა გამოიცადოს ეშმაკისაგან. | 1. მაშინ იესუ აღმოიყვანა უდაბნოდ სულისაგან გამოცდად ეშმაკისაგან. |
| 2. და იმარხვიდა ორმეოც დღე[3] და ორმეოც ღამე[4] და მერმე შეემშია. | 2. და იმარხა ორმეოცი დღე და ორმეოცი ღა(I 14r)მე და მერმე შეემშია. |
| 3. და წარმოუდგა მას[5] გამომცდელი იგი და ჰრქუა:[6] უკუეთუ შენ ხარ ძჱ ღმრთისაჲ, თქუ, რაჲთა ქვანი ესე პურ იქმნნენ[7]. | 3. მოუჴდა მას გამომცდელი იგი და ჰრქუა[1]჻ უკუეთუ შენ (K 22r) ხარ ძე ღმრთისაჲ, თქუ, რაჲთა ქვანი ესე პურ იქმნნენ[2]. |
| 4. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა: ესრე წერილ არს, რამეთუ჻ არა პურითა ხოლო ცხოვნდების[8] კაცი, არამედ ყოვლითა სიტყჳთა, რომელი გამოვალს პირისაგან ღმრთისა. | 4. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა: წერილ არს, რამეთუ: არა პურითა ხოლო ცხოვნდების[3] კაცი, არამედ ყოვლითა სიტყჳთა, რომელი გამოვალს პირისაგან[4] ღმრთისა. |
| 5. მაშინ წარიყვანა[9] იგი ეშმაკმან მან წმიდასა ქალაქსა და დაადგინა იგი სართულსა მას ზედა ტაძრისასა | 5. მაშინ წარიყვანა იგი ეშმაკმან მან წმიდასა ქალაქსა და დაადგინა იგი სართულსა მას ზედა ტაძრისასა |
| 6. და ჰრქუა მას[10]჻ უკუეთუ ძჱ[2] ხარ ღმრთისაჲ, გარდაიგდე თავი შენი ამიერ ქუეყანად, რამეთუ წერილ არს, ვითარმედ: ანგელოზთა მისთა უბრძანებიეს შენთჳს, და ჴელთა ზედა აღგიღონ შენ, რაჲთა არა წარსცე ქვასა ფერჴი შენი. | 6. და ჰრქუა მას჻ უკუეთუ ძე ხარ ღმრთისაჲ, გარდაიგდე თავი შენი ამიერ ქუეყანად, რამეთუ წერილ არს, ვითარმედ჻ (H 15r) ანგელოზთა მისთადა უბრძანებიეს შენთჳს, და ჴელთა მათთა ზედა აღგიპყრან შენ, ნუსადა წარსცე ქვასა ფერჴი შენი. |
| 7. (G 8v) ჰრქუა მას იესუ჻ მერმე წერილ არს ესრე[11]: არა განსცადო უფალი ღმერთი შენი. | 7. ჰრქუა მას იესუ჻ კუალად წერილ არს: არა განსცადო უფალი ღმერთი შენი. |
| 8. კუალად წარიყვანა იგი ეშმაკმან მთასა ფრიად მაღალსა და უჩუენნა მას ყოველნი სუფევანი სოფლისანი და დიდებაჲ მათი | 8. კუალად წარიყვანა იგი ეშმაკმან მთასა ფრიად მაღალსა და უჩუენნა[5] მას ყოველნი სუფევანი სოფლისანი და დიდებაჲ მათი |
| 9. და ჰრქუა მას: ესე ყოველი მიგცე შენ, უკუე(F 8v)თუ დაჰვარდე და თაყუანის-მცე მე. | 9. და ჰრქუა მას჻ ესე ყოველი მიგცე შენ, უკუეთუ დაჰვარ(K 22v)დე და თაყუანის-მცე მე. |

---

[1] და ჴმაჲ იყო ზეცით] — F. [2] ძე F. [3] დღჱ G. [4] ღამჱ G. [5] მას] — F. [6] ჰრქუა მას G. [7] იქმნ~ნ FG. [8] ცხონდების F. [9] მოიყვანა F. [10] მას] — G. [11] ესრე] — F.

[1] თქუა K. [2] იქმნენ I. [3] ცხონდების H. [4] პირისაგ~ნ \| გ:ნ K. [5] უჩუენნა HI.

FG

10. მაშინ ჰრქუა მას იესუ჻ წარვედ ჩემგან მართლუკუნ, ეშმაკო, რამეთუ წერილ არს: უფალსა ღმერთსა შენსა თაყუანის-სცე და მას მხოლოსა ჰმსახურებდე.

11. მაშინ დაუტევა იგი ეშმაკმან მან, და ანგელოზნი მოვიდეს და ჰმსახურებდეს მას.

12. ვითარცა ესმა იესუს, რამეთუ იოვანე[1] მიეცა საპყრობილედ, განეშორა და წარვიდა გალილეად.

13. და დაუტევა ნაზარეთი და მოვიდა და დაემკჳდრა კაფარნაუმს[2], ზღჳს-კიდით ძერძო, საზღვართა მათ ზაბულონისათა[3] და ნეფთალემისათა[4],

14. რაჲთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი ესაია წინაწარმეტყუელი*სა მიერ თქუმული჻

15. ქუეყანაჲ ზაბულონისი და ქუეყანაჲ ნეფთალემისი, გზაჲ ზღჳსაჲ წიაღ-იორდანესა, გალილეაჲ წარმართთაჲ.

16. ერი რომელი სხდა ბნელსა, იხილეს ნათელი დიდი, და რომელნი სხდეს ბნელსა და აჩრდილთა სიკუდილისათა, ნათელი გამოუჩნდა მათ ზედა.

17. მიერითგან იწყო იესუ ქადაგებად და სიტყუად჻ შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათაჲ.

18. და იქცეოდა რაჲ იესუ ზღჳს-კიდესა მას გალილეაჲსასა, იხილნა ორნი ძმანი჻ სიმონ, რომელსა (F 10r) ერქუა პეტრე, და ანდრია, ძმაჲ მისი, ითხევლიდეს რაჲ სათხევლითა[5] ზღუასა მას, რამეთუ იყვნეს მესათხეველე.

HIK

10. (I 14v) მაშინ ჰრქუა მას იესუ჻ წარვედ[1] ჩემგან მართლუკუნ, სატანა, რამეთუ წერილ არს: უფალსა ღმერთსა შენსა თაყუანის-სცე და მას მხოლოსა ჰმსახურებდე.

11. მაშინ დაუტევა იგი ეშმაკმან მან, და ანგელოზნი მოვიდეს და ჰმსახურებდეს მას.

12. ხოლო ესმა რაჲ იესუს, ვითარმედ იოვანე მიეცა, განეშორა და წარვიდა გალილეად.

13. და დაუტევა ნაზარეთი და მოვიდა და[2] დაემკჳდრა კაპერნაუმს, საზღვართა ზაბულონისთა[3] და ნეფთალემისთა,

14. რაჲთა აღესრულოს თქუმული იგი ესაია წინაწარმეტყუელისაჲ, რომელსა იტყჳს჻

15. ქუეყანაჲ ზაბულონისი და (H 15v) ქუეყანაჲ ნეფთალემისი, გზაჲ ზღჳსაჲ წიაღ-იორდანესა, გალილეაჲ წარმართთაჲ.

16. ერი რომელი[4] სხდა ბნელსა, იხილა ნათელი დიდი, და რომელნი (K 28r) სხდეს სოფელსა და აჩრდილთა სიკუდილისათა, ნათელი აღმოუბრწყინდა მათ.

17. მიერითგან იწყო იესუ ქადაგებად და სიტყუად჻ შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სა(I 15r)სუფეველი ცათაჲ.

18. და იქცეოდა რაჲ იესუ ზღჳს-კიდესა მას გალილეაჲსასა, იხილნა ორნი ძმანი჻ სიმონ, რომელსა ეწოდა პეტრე, და ანდრეა[5], ძმაჲ მისი, ითხევლიდეს რაჲ სათხევლითა[6] ზღუასა მას, რამეთუ იყვნეს მესათხეველე.

---

[1] ი̄ნჱ G. [2] კაფარნაომს G. [3] ზაბილონისათა G. [4] ნეფთალემისთა G. [5] F-ში ჯერ „სათხეველითა“ დაუწერიათ, მაგრამ მერმე მეორე ე ამოუფხეკიათ და ახლა ასე იკითხება გაწყვეტილად: სა თხევლითა.

[1] წარვედ H (სამი წერტილის შესახებ ნ. ზემოთ, გვ. 263). [2] და]—HI. [3] ზაბულონისათა K. [4] რომელ K. [5] ანდრია H. [6] I-ის გადამწერს ჯერ „სათხეველითა“ დაუწერია, მაგრამ შემდეგ მეორე „ე“ ამოუფხეკიათ (სათხევ ლითა).

* აქედან G-ს აკლია ერთი ფურცელი (მ. 4, 14...სა თქუმული — 4, 25 — იერუსალ...).

| FG | HIK |
|---|---|
| 19. და ჰრქუა მათ: მოვედით, შემომიდეგით მე, და გყვნე თქუენ მესათხევლე კაცთა. | 19. და ჰრქუა მათ: მოვედით და შემომიდეგით მე, და გყვნე თქუენ მესათხევლე კაცთა. |
| 20. ხოლო მათ მეყსეულად დაუტევეს ბადე მათი და შეუდგეს მას. | 20. ხოლო მათ მეყსეულად დაუტევეს ბადე მათი და შეუდგეს მას. |
| 21. და წარმოვიდა მიერ და იხილნა სხუანი[1] ორნი ძმანი: იაკობ ზებედესი და იოვანე, ძმაჲ მისი, ნავსა შინა ზებედეს თანა, მამისა მათისა, გან-რაჲ-აგებდეს ბადეთა მათთა, და უწოდა მათ. | 21. და წარმოვიდა მიერ და იხილნა სხუანი ორნი ძმანი: იაკობ ზებედესი და იოვანე, ძმაჲ მისი, ნავსა შინა ზებედეს თანა, მამისა მათისა, გან-რაჲ-აგებდეს ბადეთა მათთა, და უწოდა მათ. |
| 22. ხოლო მათ მეყსეულად დაუტევეს ნავი იგი და მამაჲ მათი და[2] მისდევდეს მას. | 22. ხოლო მათ მეყსეულად დაუტევეს ნავი და იგი და (K 23v) მამაჲ მათი და მისდევდეს მას. |
| 23. და მოჰვლიდა[3] იესუ ყოველსა გალილეასა და ასწავებდა შესაკრებელსა შორის მათსა და ქადაგებდა სასუფეველსა და განჰკურნებდა ყოველსა უძლურებასა ერსა შორის. | 23. (H 16r) და მოჰვლიდა იესუ ყოველსა გალილეასა და ასწავებდა შესაკრებელთა შორის მათთა და ქადაგებდა სახარებასა სასუფეველისასა და განჰკურნებდა ყოველსა სენსა და ყოველსა უძლურებასა (I 16v) ერსა შორის. |
| 24. და განითქუა ჰამბავი მისი ყოველსა ქუეყანასა ასურასტანისასა. და მოჰგურიდეს მას ყოველთა ბოროტად სნეულთა თითო-სახეთაგან სენთა და გუემითა შეპყრობილთა და ეშმაკეულთა და ცისად-ცისად გუემულთა და განრღუეულთა, და განკურნნა[4] იგინი. | 24. და განითქუა ჰამბავი მისი ყოველსა ქუეყანასა ასურასტანისასა. და მოჰგურიდეს მას ყოველთა ბოროტად სნეულთა თითო-სახეთაგან[1] სენთა და გუემითა[2] შეპყრობილთა და ეშმაკეულთა და ცისად-ცისად გუემულთა[3] და განრღუეულთა[4], და განკურნნა იგინი. |
| 25. და მისდევდა მას ერი მრავალი გალილეაჲთ (F 10v) და ათქალაქით და (G 9r) * იერუსალჱმით და ჰურიასტანით და წიაღ-იორდანისაჲ, და განკურნნა[4] იგინი. | 25. და მისდევდა მას ერი მრავალი გალილეაჲთ და ათქალაქით და იერუსალჱმით[5] და ჰ(K 24r)ურიასტანით და წიაღ-იორდანით. |

# 5

| FG | HIK |
|---|---|
| 1. და ვითარცა იხილა იესუ ერი იგი, აღვიდა მთასა და დაჯდა იგი მუნ. და მოუჴდეს მას მოწაფენი მისნი. | 1. და ვითარცა იხილა იესუ ერი იგი, აღვიდა მთასა და დაჯდა იგი მუნ. და მოუჴდეს მას მოწაფენი მისნი. |
| 2. და აღაღო პირი თჳსი, ასწავებდა მათ და ეტყოდა: | 2. და აღაღო პირი თჳსი, ასწავებდა მათ და ეტყოდა: |
| 3. ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაჲ. | 3. ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაჲ. |

---

[1] სხუანი] — FG. [2] და | და F. [3] მოჰვლიდა F. [4] განკურნა F.

[1] თჳთო-სახეთაგან H. [2] გუჱმითა H. [3] გუჱმულთა H. [4] განრღუჱულთა H. [5] ი¯ჱლმით HIK (ეს სახელი ასეთი დაქარაგმებით არის წარმოდგენილი საერთოდ, ამიტომ შემდგომში აღარ აღვნიშნავთ).

*აქედან კვლავ იწყება G-ს ტექსტი.

FG

4. ნეტარ არიან[1] მგლოვარენი[2] გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინის-ცემულ იყვნენ.

5. ნეტარ არიან[1] მშჳდნი, რამეთუ მათ დაიმკჳდრონ ქუეყანაჲ.

6. ნეტარ არიან, რომელთა ჰშიოდის და სწყუროდის. სიმართლისათჳს, რამეთუ იგინი განძღენ.

7. ნეტარ არიან მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ.

8. ნეტარ არიან წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ.

9. ნეტარ არიან მშჳდობის-მყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღმრთისა იწოდნენ.

10. ნეტარ არიან[3] დევნულნი სიმართლისათჳს, (G 8v/) რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაჲ.

11. ნეტარ იყვნეთ თქუენ, რაჟამს გყუედრიდენ და გდევნიდენ და თქუან ყოველი სიტყუაჲ[4] ბოროტი თქუენდა მიმართ სიცრუვით[5] ჩემთჳს.

12. გიხაროდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქუენი ფრიად არს ცათა შინა, რამეთუ ეგრეთვე[6] დევნნეს[7] წინაწარმეტყუელნი (F 11r) უწინარეს თქუენსა.

13. თქუენ ხართ მარილნი ქუეყანისანი. უკუეთუ მარილი იგი განქარდეს, რაჲთა-მე[8] შეიმარილოს? არღარა საჴმარ არნ მიერითგან, არამედ განგდებად გარე და დათრგუნვად კაცთა მიერ.

14. თქუენ ხართ ნათელნი სოფლისანი. ვერ ჴელ-ეწიფების ქალაქსა დაფარვად, მთასა ზედა[9] დაშენებულსა.

15. არცა აღანთიან სანთელი და დადგიან ქუეშე ჴჳმირსა, არამედ სასანთლესა ზედა, და ჰნათობნ იგი ყოველთა, რომელნი არიედ[10] სახლსა შინა.

HIK

4. ნეტარ იყვნენ მგლოვარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინის-ცემულ იქმნნენ[1].

5. ნეტარ იყვნენ მშჳდნი, რამეთუ მათ დაიმკჳდრონ ქუეყანაჲ.

6. (H 16v/) ნეტარ იყვნენ, რომელთა ჰშიოდის და ს(I 16r)წყუროდის სიმართლისათჳს, რამეთუ იგინი განძღენ.

7. ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ.

8. ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ.

9. ნეტარ იყვნენ მშჳდობის-მყოფელნი, რამეთუ იგ(K 24v/)ინი ძედ ღმრთისად[2] იწოდნენ.

10. ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათჳს, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაჲ.

11. ნეტარ იყვნეთ თქუენ, რაჟამს გყუედრიდენ[3] და გდევნიდენ და თქუან ყოველი სიტყუაჲ ბოროტი თქუენდა მომართ სიცრუვით ჩემთჳს.

12. გიხაროდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქუენი ფრიად არს ცათა შინა, რამეთუ ეგრევე[4] დევნნეს წინაწარმეტყუელნი უწინარეს თქუენსა.

13. თქუენ ხართ მარილნი ქუეყანისანი. უკუეთუ მარილი იგი განქარდეს, რაჲთა-მე დაიმარილოს? არღარა შემძლებელ არნ მერმე, არამედ განგდებად გარე და დათრგუნვად კაცთა მიერ.

14. თქუენ ხართ ნათელნი სოფლისანი. ვერ ჴელ-(I 16v/)ეწიფების ქალაქსა დაფარვად, მთასა ზედა დაშენებულსა.

15. არცა აღანთიან სანთელი და დადგიან ქუეშე[5] ჴჳმირსა, არამედ (H 17r) სასანთლესა ზედა, და ჰნათობნ იგი ყოველთა, რომელნი იყვნიან სახლსა შინა.

---

[1] F-ში ჯერ „იყვნენ“ დაუწერიათ, მაგრამ შემდეგ გადაუკეთებიათ და „არიან“ გამოუყვანიათ (ქარაგმით: ნეტარ̃რ̃ნ). [2] მგლოარენი F. [3] F-ში ეს სიტყვა აქაც გადმოსწორებულია „იყვნენ“-იდან. [4] სიტყუაჲ]—F. [5] სიცრუით F. [6] ეგრევე G. [7] დევნეს F. [8] რაჲთა G. [9] მთი ზ̃ა F. [10] არიან G.

[1] იქმ̃ნნ H, იქმნენ I. [2] ღმრთისა HI. [3] გყუჱდრიდენ HI. [4] ეგრეთვე K. [5] ქუჱშჱ H, ქუჱშე I.

FG

16. [*]ეგრე ბრწყინევდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რაჲთა იხილნენ საქმენი თქუენნი[1] კეთილნი და ადიდებდენ მამასა თქუენსა ზეცათასა.

17. ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მოვედ დაჴსნად შჯულისა გინა წინაწარმეტყუელთა; არა მოვედ დაჴსნად, არამედ აღსრულებად.

18. ამენ გეტყჳ თქუენ: ვიდრემდე წარჴდეს ცაჲ და ქუეყანაჲ, იოტა მარტოჲ ერთი რქაჲ არა წარჴდეს შჯულისაგან და წინაწარმეტყუელთა, ვიდრემდე ყოველივე იყოს.

19. უკუეთუ ვინმე დაჰჴსნეს ერთი მცნებათა ამათგანი უმცირესთაჲ და ასწავებდეს ესრეთ კაცთა, უმცირეს ეწოდოს მას სასუფეველსა ცათასა; (**F 11v**) ხოლო რომელმან ყოს და ასწავოს, ამას დიდ ერქუას სასუფეველსა ცათასა.

20. ხოლო გეტყჳ თქუენ: უკუეთუ არა ემატოს სიმართლე თქუენი უფროჲს მწიგნობართა და ფარისეველთა, ვერ შეხჳდეთ სასუფეველსა ცათასა.

21. გასმიეს თქუენ, რამეთუ ითქუა პირველთა მათ მიმართ: არა კაც-ჰკლა; ხოლო რომელმან მოკლას, თანა-მდებ არს სიკუდილისა.

22. ხოლო მე გეტყჳ თქუენ, რამეთუ რომელი განურისხნეს ძმასა თჳსსა[2] ცუდად, თანა-მდებ არს საშჯელისა; და რომელმან ჰრქუას ძმასა თჳსსა რაკ, რომელ არს საძაგელ, თანა-მდებ არს კრებულისაგან განსლვად; და რომელმან ჰრქუას ძმასა თჳსსა[2] ცოფ, თანა-მდებ არს იგი გეჰენიასა ცეცხლისასა.

23. უკუეთუ შესწირვიდე შესაწირავსა საკურთხეველსა ზედა და მუნ მოგეჴსენოს შენ, ვითარმედ ძმაჲ შენი გულ-ძჳრ რაჲმე არს შენთჳს,

24. დაუტევე შესაწირავი იგი წინაშე საკურთხეველსა მას და მივედ პირველად

HIK

16. ეგრეთ ბრწყინევდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რაჲთა იხილნენ საქმენი თქუენნი კეთილნი და ადიდებდენ მამასა თქუენსა ზეცათასა.

17. (**K 25r**) ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მოვედ დაჴსნად[1] სჯულისა[2] გინა წინაწარმეტყუელთა; არა მოვედ დაჴსნად, არამედ აღსრულებად.

18. ამენ[3] გეტყჳ თქუენ: ვიდრემდე წარჴდეს ცაჲ და ქუეყანაჲ, იოტაჲ ერთი გინა რქაჲ ერთი არა წარჴდეს სჯულისაგან[4] და წინაწარმეტყუელთა, ვიდრემდის ყოველივე იქმნეს.

19. უკუეთუ ვინმე დაჰჴსნეს ერთი მცნებათა ამათგანი უმცირესთაჲ და ასწავოს[5] ესრეთ კაცთა, უმცირეს ეწოდოს მას სასუფეველსა ცათასა; ხოლო რომელმან ყოს და ასწავოს[5], ამას დიდ ერქუას სასუფეველსა ცათასა.

20. (**I 17r**) ხოლო გეტყჳ თქუენ: უკუეთუ არა აღემატოს სიმართლე თქუენი უფროჲს მწიგნობართა და ფარისეველთა, ვერ შეხჳდეთ სასუფეველსა ცათასა.

21. გესმა, რამეთუ ითქუა პირველთა მათ მიმართ: არა კაც-ჰკლა; ხოლო რომელმან მოკლას, თანა-მდებ არს სასჯელისა[6].

22. (**H 17v**) ხოლო მე გეტყჳ თქუენ, რამეთუ რომელი განურისხნეს ძმასა თჳსსა ცუდად, თანა-მდებ არს სასჯელისა[7]; და რომელმან ჰრქუას ძმასა თჳსსა რაკა[8], თანა-მდებ არს იგი (**K 26v**) კრებულისაგან განსლვად; და რომელმან ჰრქუას ძმასა თჳსსა ცოფ, თანა-მდებ არს იგი გეჰენიასა მას ცეცხლისასა.

23. უკუეთუ შესწირვიდე შესაწირავსა საკურთხეველსა ზედა და მუნ მოგეჴსენოს შენ, ვითარმედ ძმაჲ შენი გულ-ძჳრ რაჲმე არს შენთჳს,

24. დაუტევე შესაწირავი იგი წინაშე საკურთხეველსა მას და[9] მივედ და დაეგე

---

[1] თქ̄ნი F. [2] თჳსა F.

[1] დაჰჴსნად I. [2] შჯულისა HI. [3] ი̄ნ HK, ამინ I (სრულად). [4] შჯულისაგან HI. [5] ასწაოს HK. [6] საშჯელისა I. [7] საშჯელისა HI. [8] რაკკა K. [9] და]—HI.

[*] აქედან კვლავ აკლია G-ს ორი ფურცელი (მ. 5, 16—38).

| FG | HIK |
|---|---|
| და დაეგე ძმასა შენსა და მაშინ მოვედ და შეწირე შესაწირავი შენი. | პირველად ძმასა შენსა და მაშინ მოვედ და შეწირე შესაწირავი შენი. |
| 25. იყავ კეთილად მცნობელ წინამოსაჯულისა მის შენისა ადრე, ვიდრემდე ხარ მის თანა გზასა ზედა, ნუუკუე მიგცეს შენ წინამოსაჯულმან (F 12რ) მან შენმან მსაჯულსა და მსაჯულმან მან[1] მიგცეს შენ მსახურთა, და მათ შეგაგდონ საპყრობილესა. | 25. იყავ კეთილად მცნობელ წინამოსაჯულისა (I 17ვ) მის შენისა ადრე, ვიდრემდე ხარ მის თანა გზასა ზედა, ნუუკუე[1] მიგცეს შენ წინამოსაჯულმან მან შენმან მსაჯულსა და მსაჯულმან — მსახურსა, და საპყრობილედ შეჰვარდე. |
| 26. ამენ გეტყჳ შენ჻ ვერ გამოხჳდე მიერ, ვიდრე არა მისცე დანგისა კოტორი[2]. | 26. ამენ გეტყჳ შენ჻ ვერ გამოხჳდე მიერ, ვიდრე არა მისცე უკუანაჲსკნელი კოდრატი. |
| 27. გასმიეს სამე, რამეთუ ითქუა პირველთა მათ მიმართ჻ არა იმრუშო. | 27. გესმა, რამეთუ ითქუაჲ არა იმრუშო. |
| 28. ხოლო მე გეტყჳ თქუენ჻ ყოველი რომელი ხედვიდეს დედაკაცსა და გული-უთქუმიდეს მისთჳს, მუნთქუესვე იმრუშა მის თანა გულსა შინა თჳსსა. | 28. ხოლო მე გეტყჳ თქუენ, რამეთუ ყოველი რომელი ხედვი(H 18რ)დეს დედაკაცსა გულის-თქუმად მას, მუნვე იმრუშა მის თანა გულსა შინა თჳსსა. |
| 29. უკუეთუ თუალი შენი მარჯუენე[3] გაცთუნებდეს შენ, აღმოიღე და განაგდე იგი შენგან, რამეთუ უმჯობეს არს შენდა, რაჲთა წარწყმდეს ერთი ასოთა შენთაგანი, ვიდრე არა ყოველი გუამი შენი შთავრდომად გეჰენიასა მას ცეცხლისასა. | 29. უკუეთუ თუალი შენი მარჯუენე გაცთუნებდეს შენ, აღმოიღე იგი და განაგდე შენგან, რამეთუ უმჯობეს არს (K 28რ) შენდა, რაჲთა წარწყმდეს ერთი ასოთა შენთაგანი, ვიდრე არა ყოველი გუამი შენი შთავრდომად გეჰენიასა[2], |
| 30. და უკუეთუ მარჯუენე ჴელი შენი გაცთუნებდეს შენ, მოიკუეთე იგი და განაგდე შენგან, რამეთუ უმჯობეს არს შენდა, რაჲთა წარწყმდეს ერთი ასოთა შენთაგანი, და არა ყოველი გუამი შენი შთავარდეს გეჰენიასა. | 30. და უკუეთუ მარჯუენე ჴელი შენი გაცთუნებდეს შენ, მოიკუეთე[3] იგი და განაგდე შენგან, რამეთუ უმჯობეს არს შენდა, რაჲთა წარწყმდეს ერთი ასოთა შეთანგანი, და არა ყოველი გუამი შენი შთავარდეს გეჰენიასა[2]. |
| 31. თქუმულ არს, რამეთუ რომელმან განუტეოს ცოლი თჳსი, მიეცინ მას განსატევებელი. | 31. (I 18რ) თქუმულ არს, რამეთუ რომელმან განუტეოს ცოლი თჳსი, მიეცინ მას განსატევებელი. |
| 32. ხოლო მე გეტყჳ თქუენ, რამეთუ ყოველმან რომელმან განუტეოს ცოლი თჳსი თჳნიერ სიტყჳსა მის სიძვისა, მან ამრუშა იგი; (F 12ვ) და რომელმან განტევებული შეირთოს, მანცა იმრუშა. | 32. ხოლო მე გეტყჳ თქუენ, რამეთუ ყოველმან რომელმან განუტეოს ცოლი თჳსი თჳნიერ სიტყჳსა სიძვისა, მან ამრუშა იგი; და რომელმან განტევებული შეირთოს, მანცა იმრუშა. |
| 33. კუალად გასმიეს, რამეთუ ითქუა | 33. კუალად გესმა, რამეთუ ითქუა |

---

[1] მსაჯულმან მან] + ბჭესა და ბჭემან FG. [2] F-ში „დანგისა კოტორი“ გადახაზულია მსუბუქად და ზემოთ სხვა მელნითა და სხვა ხელით აწერია: „ო(ჳ)კ(უანაჲსკნე)ლ(ი) კოდრატი“. [3] ეს სიტყუა F-ში მერმეა დამატებული.

[1] ნუუკუჱ HIK. [2] გეჰჱნიასა I. [3] მოიკუჱთე H.

| FG | HIK |
|---|---|
| პირველთა მათ მიმართ: არა ცილი ჰფუცო, არამედ მიეც უფალსა ფიცისა შენისათჳს. | პირველთა მათ მიმართ: არა ცილი ჰფუცო, არამედ მისცე უფალსა ფიცი შენი. |
| 34. ხოლო მე გეტყჳ თქუენ არა ფუცვად ყოვლადვე ნუცა ცასა, რამეთუ საყდარი არს ღმრთისაჲ; | 34. ხოლო მე გეტყჳ თქუენ არა ფუცვად ყოვლადვე ნუცა ცასა, რამეთუ საყდარი არს ღმრთისაჲ; |
| 35. ნუცა ქუეყანასა, რამეთუ კუარცხლბერკი არს ფერჴთა მისთაჲ; ნუცა იერუსალჱმსა, რამეთუ ქალაქი არს მეუფისა დიდისაჲ. | 35. ნუცა ქუეყანასა, რამეთუ კუარცხლ(H 18v)ბეკი არს ფერჴთა მისთაჲ; ნუცა იერუსალჱმსა[1], რამეთუ ქალაქი არს მეუფისა დიდისაჲ. |
| 36. ნუცა თავსა შენსა ჰფუცავ, რამეთუ ვერ ძალ-გიც ერთისა თმისა განსპეტაკებად გინა დაშავებად. | 36. ნუცა თავსა შენსა ჰფუცავ, რამეთუ ვერ ძალ-გიც ერთისაცა[2] თმისა განსპეტაკებად გინა დაშავებად. |
| 37. არამედ იყავნ თქუენდა ჰჱ ჰე[1] და არაჲ არა. ხოლო უმეტესი ამათსა უკეთურისაგანი არს. | 37. არამედ იყავნ სიტყუაჲ (K 20v) თქუენი ჰჱ ჰე[3] და არაჲ[4] არა. ხოლო უმეტესი ამათსა უკეთურისაგან არს. |
| 38. გასმიეს, (G 10r) *რამეთუ თქუმულ არს: თუალი თუალისა წილ და კბილი კბილისა წილ. | 38. გესმა, რამეთუ თქუმულ არს: თუალი თუალისა წილ და კბილი კბილისა წილ. |
| 39. ხოლო მე გეტყჳ თქუენ: არა წინა-აღდგომად ბოროტსა, არამედ რომელმან გცეს შენ[2] ყურიმალსა შენსა მარჯუენასა, მიუპყარ ერთკერძოჲცა. | 39. ხოლო მე გეტყჳ თქუენ: არა წინა-აღდგომად ბოროტისა, (I 18v) არამედ რომელმან გცეს შენ ყურიმალსა შენსა მარჯუენესა[5], მიუპყარ მას ერთკერძოჲცა. |
| 40. და რომელსა უნდეს საშჯელად და[3] მიღებად კუართი შენი, მიუტევე მას სამოსელიცა[4] შენი. | 40. და რომელსა უნდეს სასჯელად[6] და მიღებად კუართი შენი, მიუტევე მას სამოსელიცა შენი. |
| 41. და რომელი წარგიქცევდეს შენ მძლურად მილიონ ერთ, მივლე მის თანა ორიცა. | 41. და რომელი წარგიქცევდეს შენ მილიონ ერთ, მივლე მის თანა ორიცა. |
| 42. და რომელი გთხოვდეს შენ, მიეც; და რომელსა უნდეს სესხებად შენგან[5], ნუ (F 13r) გარე-მიიქცევი. | 42. და რომელი გთხოვდეს შენ, მიეც; და რომელსა უნდეს სესხებად შენგან, ნუ გარე-მიიქცევი. |
| 43. გასმიეს, რამეთუ თქუმულ არს: შეიყუარო მოყუასი შენი და მოიძულო მტერი შენი. | 43. გესმა, რამეთუ თქუმულ არს: შეიყუარო მოყუასი შენი და მოიძულო მტერი შენი. |
| 44. ხოლო მე გეტყჳ თქუენ: გიყუარდედ[6] მტერნი თქუენნი[7] და აკურთხევდით მწყევართა თქუენთა და კეთილი უყავთ მოძულეთა თქუენთა და ულოცევდით მათ, | 44. ხოლო მე გეტყჳ თქუენ: გიყ(H 19r)უარდედ[7] მტერნი თქუენნი და აკურთხევდით მწყევართა თქუენთა და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენ- |

---

[1] ჰჱ F. [2] შენ] — G. [3] და] — G. [4] სამოსელიცა F. [5] შენდა F. [6] გიყუარდენ F, გიყუარდინ G. [7] თქ͞ნი F.

[1] ი͞ჱლიმსა H, ი͞ჱლემსა I, ი͞ჱლმსა K. [2] ერთისა HI. [3] ჰჱ ჰჱ HK, ჰე ჰე I. [4] არა HIK. [5] მარჯუჱნესა IK. [6] საშჯელად HI. [7] გიყუარდენ H.

* აქედან კვლავ იწყება G-ს ტექსტი.

**FG**

რომელნი გმძლავრობდენ თქუენ[1] და გდევნიდენ თქუენ[2].

45. რაჲთა იყვნეთ თქუენ შვილ (G 10v) მამისა თქუენისა ზეცათაჲსა[3], რამეთუ[4] მზე მისი მიჰფინის[5] ბოროტთა ზედა და კეთილთა, და აწჳმის მართალთა ზედა და ცოდვილთა.

46. უკუეთუ[6] გიყუარდენ მოყუარენი ხოლო[7] თქუენნი, რაჲ სასყიდელი გაქუს? რამეთუ მეზუერენიცა და ცოდვილნი ამასვე იქმან.

47. და უკუეთუ მოიკითხვიდეთ მეგობართა ხოლო თქუენთა, რასა უმეტესსა იქმთ? ანუ არა მეზუერეთაცა და ცოდვილთა ეგრევე ყვიან?

48. იყვენით თქუენ სრულ, ვითარცა მამაჲ თქუენი ზეცათაჲ სრულ არს.

**HIK**

თა და ულოცევდით მათ, რომელნი გმძლავრობდენ თქუენ და გდევნიდენ თქუენ.

45. რაჲთა იყვნეთ თქუენ შვილ მამისა თქუენისა ზეცათაჲსა, რამეთუ მზე მისი აღმოავლს ბოროტთა ზედა და კეთილთა, (K 27r) და წჳმს მართალთა ზედა და ცრუთა.

46. უკუეთუ გიყუარდენ მოყუარენი ხოლო თქუენნი, რაჲ სასყიდელი გა(I 19r)ქუს? რამეთუ მეზუერეთაცა[1] ეგრეთვე[2] ყვიან.

47. და უკუეთუ მოიკითხვიდეთ მეგობართა ხოლო თქუენთა, რასა უმეტეს[3] იქმთ? ანუ არა მეზუერეთაცა[4] ეგრეთვე[5] ყვიანა?

48. იყვენით თქუენ სრულ, ვითარცა მამაჲ თქუენი ზეცათაჲ სრულ არს.

## 6

1. ეკრძალენით ქველის-საქმესა თქუენსა, რაჲთა არა ჰყოთ წინაშე კაცთა სახედველად[8] მათა[9]; უკუეთუ არა, სასყიდელი არა გაქუნდეს მამისაგან თქუენისა[10] ზეცათაჲსა[11].

2. ხოლო რაჟამს იქმოდი[12] ქველის-საქმესა შენსა[13], ნუ (F 18v) ჰქადაგებ წინაშე შენსა, ვითარცა-იგი ორგულთა ყვიან (G 11r) შესაკრებელთა მათთა და უბანთა ზედა, რაჲთა იდიდნენ კაცთაგან. ამენ გეტყჳ თქუენ: მიუღებიეს სასყიდელი მათი.

3. ხოლო შენ რაჟამს ჰყოფდე ქველის-საქმესა შენსა[14], ნუ სცნობნ მარცხენაჲ[15] შენი, რასა იქმოდის მარჯუენაჲ შენი.

1. ეკრძალენით ქველის-საქმესა თქუენსა, რაჲთა არა ჰყოთ წინაშე კაცთა სახილველად მათა[6]; უკუეთუ არა, სასყიდელი არა გაქუნდეს[7] მამისა თქუენისაგან ზეცათაჲსა.

2. ხოლო რაჟამს იქმოდი ქველის-საქმესა, ნუ ჰქადაგებ წინაშე შენსა, ვითარცა-იგი ორგულთა ყვიან (H 10v) შესაკრებელთა მათთა და უბანთა ზედა, რაჲთა იდიდნენ კაცთაგან. ამენ გეტყჳ თქუენ: მიუღებიეს სასყიდელი მათი.

3. ხოლო შენ რაჟამს ჰყოფდე ქველის-საქმესა, ნუ სცნობნ მარცხენაჲ შენი, რასა იქმოდის მარჯუენაჲ შენი.

---

[1] თქუენ] — G. [2] „გდევნიდენ თქუენ“ F-ში მერმეა დამატებული. [3] ზც̄თსა F. [4] რამეთუ] — G. [5] მიეფინის F. [6] და უკუეთუ G. [7] ხოლო] — F. [8] სახედველად] სახილველად G. [9] მათდა G. [10] ~ მამისა თქუენისაგან G. [11] ზჱცათაჲსა G. [12] იქმოდით F. [13] თქუენსა F. [14] შენსა] — F. [15] მარცხენე F.

[1] მეზუჱრეთაცა H. [2] ეგრეთ HI. I-შიც პირველად „ეგრეთვე“ ყოფილა, მაგრამ შემდეგ „ვე“ ამოუფხეკიათ. [3] უმეტესსა IK. [4] მეზუჱრეთაცა HI. [5] ეგრ̄ეე H. [6] მათდა K. [7] გაქუს HI.

**FG**

4. რაჲთა იყოს ქველის-საქმჱ[1] შენი ფარულად; და მამამან შენმან, რომელი ჰხედავს[2] დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად.

5. და რაჟამს ილოცვიდე, არა იყო ეგრე, ვითარცა-იგი ორგულნი, რამეთუ უყუარნ შესაკრებელთა შორის და უბანთა ზედა დგომაჲ და ლოცვაჲ, რაჲთა უჩუენონ კაცთა. ამენ გეტყჳ თქუენ: მიუღებიეს სასყიდელი მათი.

6. ხოლო შენ რაჟამს ილოცვიდე, შევედ საუნჯესა შენსა და დაჰჴაშ კარი შენი და ილოცე მამისა შენისა მიმართ ფარულად; და მამაჲ შენი რომელი ხედავს დაფარულთა, (G 11v) მოგაგოს შენ ცხადად.

7. და რაჟამს ილოცვიდეთ, ნუ მრავალსა იტყჳთ, ვითარცა-იგი წარმართთაგანნი, რამეთუ ჰგონებედ, ვითარმედ მრავლის-მეტყუელებითა[3] მათითა ისმინოს მათი.

8. ხოლო თქუენ ნუ ემსგავსებით მათ, რამეთუ იცის მამამან თქუენმან ზეცათამან, (F 14r) რაჲ-იგი გიჴმს თქუენ, ვიდრე თხოვამდე[4] თქუენდა მისგან.

9. ხოლო თქუენ ესრეთ ილოცევდით: მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი,

10. მოვედინ სუფევაჲ შენი, იყავნ ნებაჲ შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყენასა ზედა.

11. პური ჩუენი არსობისაჲ მომეც ჩუენ დღეს

12. და მომიტევენ ჩუენ თანა-ნადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევებთ[5] თანა-მდებთა[6] ჩუენთა,

13. და[7] ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიჴსნენ ჩვენ ბოროტისაგან, რამეთუ შენი არს სუფევაჲ და

**HIK**

4. რაჲთა იყოს ქველის-საქმე შენი ფარულად; და მამამან შენმან, რომელი ჰხედავს[1] დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად.

5. (I 19v, K 27v) და რაჟამს ილოცვიდე, არა იყო ეგრე, ვითარცა-იგი ორგულნი, რამეთუ უყუარნ შესაკრებელთა შორის და უბანთა ზედა დგომაჲ და ლოცვაჲ, რაჲთა უჩუენონ[2] კაცთა. ამენ გეტყჳ თქუენ: მიუღებიეს სასყიდელი მათი.

6. ხოლო შენ რაჟამს ილოცვიდე, შევედ საუნჯესა შენსა და დაჰჴაშ კარი შენი და ილოცე მამისა შენისა მიმართ ფარულად; და მამაჲ შენი რომელი ჰხედავს[1] დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად.

7. და რაჟამს ილოცვიდეთ, ნუ მრავალსა იტყჳთ, ვითარცა-იგი წარმართთაგანნი, რამეთუ ჰგონებედ, ვითარმედ მრავლის-მეტყუელებითა[3] მათითა ისმინოს მათი.

8. ხოლო თქუენ ნუ ემსგავსებით მათ, რამეთუ იცის მამამან თქუენმან, რაჲ-იგი (H 20r) გიჴმს თქუენ, ვიდრე თხოვადმდე თქუენდა მისგან.

9. ხოლო თქუენ ესრეთ ილოცევდით: მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი,

10. მოვედინ სუფევაჲ შენი, იყავნ ნებაჲ შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა.

11. პური ჩუენი არსობისაჲ მომეც ჩუენ დღეს

12. და (I 20r) მომიტევენ ჩუენ თანა-ნადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანა-მდებთა მათ ჩუენთა,

13. და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიჴსნენ ჩუენ ბო(K 28r)როტისაგან, რამეთუ შენი არს სუფევაჲ

---

[1] ქველის-საქმე F. [2] ხედავს G. [3] მრავლისა-მეტყუელებითა G. [4] თხოადმდე F. [5] მიუტევნეთ F. [6] თანა-ნამებთა G (=თანა-ნადებთა). [7] და] — G.

[1] ხედავს IK. [2] უჩუჱნონ HI. [3] მრავლის-მეტყუჱლებითა I.

| FG | HIK |
|---|---|
| ძალი და დიდებაჲ საუკუნეთა მიმართ უკუნისამდე[1]. ამენ. | და ძალი და დიდებაჲ საუკუნეთა მიმართ. ამენ[1]. |
| 14. (G 12 r) უკუეთუ მიუტევნეთ თქუენ კაცთა შეცოდებანი მათნი, მოგიტევნეს თქუენცა მამამან თქუენმან ზეცათამან. | 14. რამეთუ უკუეთუ[2] მიუტევნეთ თქუენ კაცთა შეცოდებანი მათნი, მოგიტევნეს თქუენცა მამამან თქუენმან ზეცათამან. |
| 15. უკუეთუ არა მიუტევნეთ თქუენ კაცთა შეცოდებანი მათნი, არცა მამამან[2] თქუენმან მოგიტევნეს თქუენ შეცოდებანი თქუენნი. | 15. ხოლო უკუეთუ არა მიუტევნეთ კაცთა შეცოდებანი მათნი, არცა მამამან თქუენმან მოგიტევნეს თქუენ შეცოდებანი თქუენნი. |
| 16. და რაჟამს იმარხვიდეთ[3], ნუ იყოფით, ვითარცა-იგი ორგულნი, მწუხარე[4], რამეთუ განირყუნნიან[5] პირნი მათნი, რაჲთა ეჩუენნენ კაცთა მმარხველად. ამენ გეტყჳ თქუენ: მიუღებიეს სასყიდელი მათი. | 16. და რაჟამს იმარხვიდეთ, ნუ იყოფით, ვითარცა-იგი ორგულნი, მწუხარე, რამეთუ განირყუნნიან[3] პირნი მათნი, რაჲთა ეჩუენნენ[4] კაცთა მმარხველად. ამენ გეტყჳ თქუენ: მიუღებიეს სასყიდელი მათი. |
| 17. ხოლო შენ რაჟამს იმარხვიდე, იცხე თავსა შენსა და[6] დაიბანე პირი შენი, | 17. ხოლო შენ რაჟამს იმარხვიდე, (H 20v) იცხე თავი შენი და დაიბანე პირი შენი, |
| 18. რაჲთა (F 14v) არა ეჩუენო კაცთა მმარხველად, არამედ მამასა[7] შენსა ფარულად[8]; და მამაჲ შენი რომელი ხედავს დაფარულთა[9], მოგაგოს შენ ცხადად. | 18. რაჲთა არა ეჩუენო[5] კაცთა მმარხველად, არამედ მამასა შენსა დაფარულად; და მამამან შენმან, რომელი ხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ. |
| 19. ნუ იუნჯებთ თქუენ[10] საუნჯეთა თქუენთა[11] ქუეყანასა ზედა, სადა მღილმან და მჭამელმან განრყუნის[12], და (G 12v) სადა[13] მპარავთა დათხარიან და განიპარიან. | 19. (I 20v) ნუ იუნჯებთ თქუენ საუნჯეთა ქუეყანასა ზედა, სადა მღილმან და მჭამელმან განრყუნის, და სადა მპარავთა დათხარიან და განიპარიან. |
| 20. ხოლო თქუენ იუნჯებდით საუნჯეთა ცათა შინა, სადა არცა მღილმან, არცა მჭამელმან განრყუნის, და სადა არცა მპარავთა დათხარიან და განიპარიან. | 20. ხოლო თქუენ იუნჯებდით საუნჯეთა ცათა შინა, სადა არცა მღილმან, არცა მჭამელმან განრყუნის, და სადა არ(K 29v)ცა მპარავთა დათხარიან და განიპარიან. |
| 21. რამეთუ სადაცა არს საფასე თქუენი, მუნცა იყოს გული თქუენი. | 21. რამეთუ სადაცა არნ საუნჯე თქუენი, მუნცა იყოს გული თქუენი. |
| 22. სანთელი გუამისაჲ არს თუალი. უკუეთუ თუალი შენი განმარტებულ იყოს, ყოველი გუამი შენი ნათელ იყოს. | 22. სანთელი გუამისაჲ არს თუალი. უკუეთუ თუალი შენი განმარტებულ იყოს, ყოველი გუამი შენი ნათელ იყოს. |
| 23. უკუეთუ თუალი შენი ბოროტ იყოს, ყოველი გუამი შენი ბნელ იყოს. | 23. უკუეთუ[6] თუალი შენი ბოროტ იყოს, ყოველი გუამი შენი ბნელ იყოს. |

---

[1] F-ში უ̄კე მერმეა ჩამატებული. [2] მამამნ F (უქარაგმოდ). [3] იმარხვიდით G. [4] მწუხარჱ G. [5] განირყუნიან FG. [6] და] — G. [7] მა\|სა F. [8] დაფარულად G. [9] დაფარულსა G. [10] თქუენ] — G. [11] თქუენთა] — F. [12] განრყუნეს F. [13] სადა-იგი G.

[1] ამინ K (HI: ა̄ნ). [2] უკუჱთუ HK. [3] განირყუნიან HI. [4] ეჩუჱნნენ H. [5] ეჩუჱნო HI. [6] უკუჱთუ H.

**FG**

უკუეთუ ნათელი იგი შენ შორის ბნელ არს, ბნელი იგი რავდენ-მე?

24. ვერ ჴელ-ეწიფების კაცსა[1] ორთა უფალთა მონებად: ანუ ერთი იგი მოიძულოს და სხუაჲ იგი შეიყუაროს, ანუ ერთისაჲ მის თავს-იდვას და ერთი იგი შეურაცხ-ყოს. ვერ ჴელ-ეწიფების ღმრთისა მონებად (G 13r) და მამონაჲსა.

25. ამისთჳს გეტყჳ თქუენ: ნუ (F 15r) ზრუნავთ სულისა თქუენისათჳს, რაჲ შჭამოთ და სუათ; ნუცა ჴორცთა თქუენთათჳს, რაჲ შეიმოსოთ. ანუ არა სული უფროჲს არს საზრდელისა და გუამი — სამოსლისა[2]?

26. მიხედეთ მფრინველთა ცისათა, რამეთუ არა სთესვენ, არცა მკიან, არცა შეიკრებენ საუნჯესა, და მამაჲ თქუენი ზეცათაჲ ზრდის მათ. არა-მე უფროს[3] თქუენ უმჯობეს ხართ მფრინველთა?

27. ვინ-მე თქუენგანი ზრუნვიდეს და შემძლებელ არს[4] იგი შეძინებად ჰასაკსა თჳსსა[5] წყრთა ერთ?

28. და სამოსლისათჳს[6] რაჲსა ჰზრუნავთ[7]? განიცადენით შროშანნი ველისანი, ვითარ-იგი აღორძნდიან! არა შურებიან, არცა სთევენ[8].

29. ხოლო გეტყჳ თქუენ, რამეთუ[9] არცაღა სოლომონ ყოველსა მას დიდე-(G 13v)ბასა თჳსსა[10] შეიმოსა, ვითარცა[11] ერთი ამათგანი.

30. უკუეთუ თივაჲ იგი ველისაჲ, რომელი დღეს არს და სვალე[12] თორნესა შთაეგზნეს[13], ღმერთმან ესრეთ[14] შემოსის, არა-მე უფროჲს[15] თქუენა, მცირედ-მორწმუნენო?

31. ნუუკუე[16] ზრუნავთ და იტყჳთ[17], რაჲ ვჭამოთ, ანუ რაჲ ვსუათ, ანუ თუ[18] რაჲ შევიმოსოთ?

**HIK**

უკუეთუ[1] ნათელი იგი შენ შორის ბნელ არს, ბნელი იგი რაოდენ-მე?

24. ვერვის ჴელ-ეწიფების ორთა უფალთა მონებად: ანუ ერთი იგი მოიძულოს და სხუაჲ იგი შეიყუაროს, (H 21r) ანუ ერთისაჲ მის თავს-იდვას და ერთი იგი შეურაცხ-ყოს. ვერ[2] ჴელ-ეწიფების ღმრთისა მონებად და მამონაჲსა.

25. (I 21r) ამისთჳს გეტყჳ თქუენ: ნუ ჰზრუნავთ[3] სულისა თქუენისათჳს, რაჲ სჭამოთ[4] და რაჲ ჰსუათ; ნუცა ჴორცთა თქუენთათჳს, რაჲ შეიმოსოთ. ანუ არა სული უფროჲს არს საზრდელისა და გუამი — სამოსლისა?

26. მიჰხედენით[5] მფრინველთა ცისათა, რამეთუ არა[6] სთესვენ, არცა მკიან, არცა შეიკრებენ საუნჯეთა, და მამაჲ თქუენი ზეცათაჲ ზრდის მათ. არა-მე უფროჲს თქუენ უმჯობეს ხართა მფრინველთა?

27. ანუ ვინ-მე თქუენგანი ზრუნვი-(K 20r)დეს და შეუძლოს შეძინებად ჰასაკსა თჳსსა წყრთა ერთ?

28. და სამოსლისათჳს რაჲსა ჰზრუნავთ? განიცადენით შროშანნი ველისანი, ვითარ-იგი აღორძნდის! არა შურებინ, არცა სთავნ.

29. ხოლო გეტყჳ თქუენ, რამეთუ არცაღა სოლომონ ყოველსა მას დიდებასა მისსა შეიმო(H 21v)სა[7], ვითარცა ერთი ამათგანი.

30. უკუეთუ თივაჲ იგი ველისაჲ, რომელი დღეს არს და ხვალე თორნესა შთა(I 21v)ეგზნის, ღმერთმან ესრეთ შემოსის, არა-მე უფროჲს თქუენა[8], მცირედ-მორწმუნენო?

31. ნუ ჰზრუნავთ და იტყჳთ, რაჲ ვჭამოთ, ანუ რაჲ ვსუათ, ანუ რაჲ შევიმოსოთ?

---

[1] კაცსა] — G. [2] სამუსლისა F. [3] უფროს] — F. [4] შემძლებელრს F. [5] თჳსა F. [6] სამესლისათჳს F. [7] ზრუნავთ F. [8] სთევენ] სთესვენ F. [9] რამეთუ] — F. [10] თჳსსა] მისა F. [11] ვითარცა] — FG. [12] ხვალე G. [13] შთაეგზნის F. [14] ესრე G. [15] უფროს G. [16] ნუუკუე] ნუ G. [17] და იტყჳთ] — F. [18] თუ] — G.

[1] უკუეთუ H. [2] ვერვის K. [3] ზრუნავთ HI. [4] შჭამოთ HI. [5] მიჰხედეთ HI. [6] არცა I. [7] შეიმო | H. [8] თქუენი HI

FG

32. რამეთუ ამას ყოველსა წარმართნი ეძიებენ (F15v), რამეთუ იცის მამამან თქუენმან, რომელი გიჯმს ამათ ყოველთაგანი.

33. ხოლო თქუენ ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქუენ.

34. ნუ ზრუნავთ ხვალისა[1], რამეთუ ხვალემან იზრუნოს[2] თავისა თჳსისა[3]. კმა არს დღისა[4] მის სიბოროტე თჳსი.

HIK

32. რამეთუ ამას ყოველსა წარმართნი ეძიებენ, რამეთუ იცის მამამან თქუენმან, რაჲ გიჯმს ამათ ყოველთაგანი.

33. ხოლო თქუენ ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქუენ.

34. ნუ ჰზრუნავთ ხვალისათჳს, რამეთუ ხვალემან იზრუნოს თავისა თჳსისა. კმა არს დღისა მის სიბოროტე თჳსი.

## 7

1. ნუ განიკითხავთ, რაჲთა არა განიკითხნეთ,

2. რამეთუ რომლითა განკითხვითა განიკითხვიდეთ, განიკითხნეთ, და რომლითა საწყაულითა მიუწყოთ, (G14r) მოგეწყოს თქუენ.

3. ანუ რაჲსა ხედავ წუელსა თუალსა ძმისა შენისასა და დირესა თუალსა შიდა[5] შენსა არა განიცდი?

4. ანუ ვითარ ჰრქუა ძმასა შენსაჲ მიტევე, და აღმოგიღო წუელი თუალისაგან შენისა, და აჰა ეგერა დირჱ[6] თუალსა შიდა[5] შენსა!

5. ორგულო, აღმოიღე პირველად დირჱ[6] თუალისაგან შენისა და მაშინ იხილო აღმოღებად წუელი[7] თუალისაგან ძმისა შენისა.

6. ნუ მისცემთ სიწმიდესა ჩემსა ძაღლთა, ნუცა დაუფენთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღორთა, ნუუკუე დათრგუნონ იგი ფერჴითა მათითა და მოიქცენ და განგხეთქნენ თქუენ.

7. (F 16r) ითხოვდით, და მოგეცეს თქუენ; ეძიებდით და ჰპოოთ; ირეკდით, და განგეღოს თქუენ.

1. ნუ განიკითხავთ, რაჲთა არა განიკითხნეთ,

2. (K 29v) რამეთუ რომლითა განკითხვითა განიკითხვიდეთ, განიკითხნეთ, და რომლითა საწყაულითა მიუწყოთ, მოგეწყოს თქუენ.

3. ანუ რაჲსა ხედავ წუელსა[1] თუალსა შინა ძმისა შენისასა და დჳრესა თუალსა შინა შენსა არა განიცდი?

4. ანუ ვითარ ჰრქუა ძმასა შენსაჲ მაცადე, და აღმოგიღო წუელი[2] თუალი(H 22r)სა(I 22r)გან შენისა, და აჰა ეგერა დჳრე თუალსა შინა შენსა!

5. ორგულო, აღმოიღე პირველად დჳრე თუალისაგან შენისა და მაშინ იხილო აღმოღებად წუელი[2] თუალისაგან ძმისა შენისა.

6. ნუ მისცემთ სიწმიდესა ძაღლთა, ნუცა დაუფენთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღორთა, ნუუკუე[3] დათრგუნონ იგი ფერჴითა მათითა და მოიქცენ და განგხეთქნენ თქუენ.

7. ითხოვდით, და მოგეცეს თქუენ; ეძიებდით და ჰპოოთ; ირეკდით, და განგეღოს თქუენ.

---

[1] ხვალისათჳს G. [2] იზრურუნოს F. [3] თჳსისათჳს G. [4] დღისაჲ G. [5] შ͠ნა G. მეორე შემთხვევაში G-შიც „შიდა" ყოფილა, მაგრამ შემდეგ „იდ" ამოუფხეკიათ. [6] დირე F. [7] ~ წუელი აღმოღებად F.

[1] წუჱლასა HI, წუელასა K. [2] წუჱლი HI. [3] ნუუკუჱ HIK.

FG

8. რამეთუ ყოველი რომელი ითხოვდეს, მოიღოს; და რომელი ეძიებდეს, პოოს; და რომელი ირეკდეს, განეღოს.

9. (G 14v) ანუ ვინ არს თქუენგანი კაცი, რომელსა სთხოვდეს ძჱ[1] თჳსი პურსა, ნუ ქვაჲ მისცესა[2] მას?

10. გინა თუ თევზსა სთხოვდეს, ნუ გუელი მისცესა[2] მას[3]?

11. უკუეთუ თქუენ, უკეთურთა, იცით მისაცემელი კეთილი მიცემად შვილთა თქუენთა, რავდენ უფროჲს მამამან თქუენმან ზეცათამან[4] მოსცეს მათ[5] კეთილი, რომელნი სთხოვდენ მას!

12. ყოველი რომელი გინდეს თქუენ, რაჲთა გიყონ თქუენ კაცთა, ევრევე თქუენცა[6] ჰყვით მათა მიმართ, რამეთუ ესრეთ არს შჯული და წინაწარმეტყუელნი.

13. შევედით იწროჲსაგან ბჭისა, რამეთუ ვრცელ არს ბჭჱ[7] და ფართო არს გზაჲ, რომელსა მიჰყავს წარსაწყმედელად, და მრავალნი ელენან მას.

14. ვითარ-იგი იწრო არს ბჭჱ[7] და საჭირველ გზაჲ, რომელი მიიყვანებს ცხორებასა, და მცირედნი არიან, რომელნი ჰპოებენ მას.

15. ეკრძალენით ცრუ-წინაწარმეტყუელთაგან, რომელნი[8] მოვი(G15r)დოდიან თქუენდა სამოსლითა[9] ცხოვართაჲთა, ხოლო შინაგან იყვნენ მგელ მტაცებელ.

16. ნაყ(F10v)ოფთა მათთაგან იცნნეთ[10] იგინი. ნუუკუე შეკრიბიან ეკალთაგან ყურძენი ანუ კუროჲსთავთაგან[11] ლეღჳ?

17. ესრეთ ყოველმან ხემან კეთილმან ნაყოფი კეთილი გამოიღის, ხოლო ხემან ხენეშმან ნაყოფი ხენეში გამოიღის.

HIK

8. რამეთუ ყოველი რომელი ითხოვდეს, მოიღოს; და რომელი ეძიებდეს, პოვოს[1]; და რომელი ირეკდეს, განეღოს.

9. ანუ ვინ არს თქუენგანი[2] კაცი, რომელსა სთხოვდეს ძე თჳსი პურსა, ნუ ქვაჲ მისცესა[3] მას?

10. გინა თუ თევზსა სთხოვდეს, ნუ გუელი[4] მისცეს[5] მას?

11. (K 80r) უკუეთუ თქუენ, უკეთურთა, იცით მისაცემელი კეთილი მიცემად შვილთა თქუენთა, რაოდენ უფროჲსღა მამამან თქუენმან ზეცათამან მოსცეს (I 22v) კეთილი, რომელნი სთხოვდენ მას!

12. ყოველი რომელი გინდეს თქუენ, რაჲთა გიყონ კაცთა, ეგრეცა თქუენ ჰყვით მათა[6] (H 22v) მიმართ, რამეთუ ესრეთ არს სჯული[7] და წინაწარმეტყუელნი[8].

13. შევედით იწროჲსაგან ბჭისა, რამეთუ ვრცელ არს ბჭე და ფართო არს გზაჲ, რომელსა მიჰყავს წარსაწყმედელად, და მრავალნი ელენან მას ზედა.

14. ვითარ-იგი იწრო არს ბჭე და საჭირველ გზაჲ, რომელი მიიყვანებს ცხორებასა, და მცირედნი არიან, რომელნი ჰპოებენ მას.

15. ეკრძალენით ცრუ-წინაწარმეტყუელთაგან, რომელნი მოვიდოდიან თქუენდა სამოსლითა ცხოვართაჲთა, ხოხოლო შინაგან იყვნენ მგელ მტაცებელ.

16. ნაყოფთა მათთაგან იცნნეთ იგინი. ნუუკუე[9] შეკრიბიან ეკალთაგან ყურძენი ანუ კუროჲსთავთაგან ლეღჳ?

17. ესრეთ ყოველმან ხემან კეთილმან ნაყოფი კეთილი გამოიღის[10], ხოლო ხემან ხენეშმან ნაყოფი ხენეში გამოიღის.

---

[1] ძე F. [2] მისცეს G. [3] მას] — F. [4] ზეცათამან] — F. [5] მათ] — G. [6] ეგრეთვე თქუენ G. [7] ბჭე F. [8] რ̄ რ̄ნი F. [9] სამოსლთა F. [10] იცნეთ F. [11] კუროისთავისაგან F.

[1] პოოს K. [2] თქუენგანი] თქუენ K. [3] მისცეს K. [4] გუჱლი H. [5] HI-ში ბოლო ს-ს ზემოთ წერტილი (თუ მძიმე) უზის, რაც, ალბათ, იმას ნიშნავს, რომ აქ ა უნდა დაემატოსო (მისცესა). სწორედ მისცესა აქვს ურბნელ ხელნაწერს. [6] მათდა K. [7] შჯული HI. [8] წწ̄ყლნი IK, წინასწარმეტყ̄ლნი H. [9] ნუუკუჱ] HIK. [10] გამოიღოს K.

| FG | HIK |
|---|---|
| 18. ვერ ჴელ-ეწიფების ხესა კეთილსა ნაყოფისა ხენეშისა[1] გამოღებად და არცა ხესა[2] ხენეშსა ნაყოფი კეთილი ყოფად. | 18. ვერ ჴელ-ეწიფების (I 28r) ხე(K 30v)სა კეთილსა ნაყოფისა ხენეშისა გამოღებად და არცა ხესა ხენეშსა ნაყოფი კეთილი ყოფად. |
| 19. ყოველმან ხემან რომელმან არა ყოს ნაყოფი კეთილი, მოეკუეთოს და ცეცხლსა დაედვას. | 19. ყოველმან ხემან რომელმან არა ყოს ნაყოფი კეთილი, მოეკუეთოს[1] და ცეცხლსა დაედვას. |
| 20. საქმეთა მათთაგან სამე[3] იცნნეთ[4] იგინი. | 20. ნაყოფ(H 23r)თა სამე მათთაგან იცნნეთ იგინი. |
| 21. არა ყოველმან რომელმან მრქუას მე: უფალო, უფალო, და შევიდეს იგი სასუფეველსა ცათასა, არამედ რომელმან ყოს ნებაჲ მამისა ჩემისა ზეცათაჲსაჲ. | 21. არა ყოველმან რომელმან მრქუას მე: უფალო, უფალო, და შევიდეს იგი სასუფეველსა ცათასა, არამედ რომელმან ყოს ნებაჲ მამისა ჩემისა ზეცათაჲსაჲ. |
| 22. მრავალთა მრქუან მე მას დღესა შინა: უფალო, უფალო, არა (G 15v) სახელითა შენითა ვწინაწარმეტყუელებდითა და სახელითა შენითა ეშმაკნი განვასხენით და სახელითა შენითა ძალნი მრავალნი ვქმნენით? | 22. მრავალთა მრქუან მე მას დღესა შინა: უფალო, უფალო, არა სახელითა შენითა ეწინაწარმეტყუელებდითა[2] და სახელითა შენითა ეშმაკნი განვასხენით და სახელითა შენითა ძალნი მრავალნი ვქმნენით? |
| 23. მას ჟამსა ეჰრქუა მათ, ვითარმედ: არა გიცნი თქუენ, განმეშორენით ჩემგან ყოველნი მოქმედნი უშჯულოებისანი. | 23. მას ჟამსა ეჰრქუა მათ, ვითარმედ: არა გიცნი თქუენ, განმეშორენით ჩემგან ყოველნი მოქმედნი უსჯულოებისანი[3]. |
| 24. (F 17r) ყოველმან რომელმან ისმინნეს სიტყუანი ესე და ყვნეს იგინი, ემსგავსოს იგი კაცსა მას გონიერსა, რომელმან აღაშენა სახლი კლდესა ზედა. | 24. ყოველმან რომელმან ისმინნეს სიტყუანი ესე ჩემნი და ყვნეს იგინი, ვამსგავსო იგი კაცსა გონიერსა, რომელმან აღაშენა სახლი თჳსი კლდესა ზედა. |
| 25. და გარდამოჴდა წჳმაჲ, მოვიდეს მდინარენი, ქროდეს ქარნი და[5] ეკუეთნეს სახლსა მას, და არა დაეცა, რამეთუ დაფუძნებულ იყო კლდესა ზედა. | 25. და გარდამოჴდა წჳმაჲ, მოვიდეს მდინარენი, (I 29v) ქროდეს ქარნი და ეკუეთნეს[4] სახლსა მას, და არა დაეცა, რამეთუ დაფუძნებულ იყო კლდესა ზედა. |
| 26. და ყოველმან რომელმან ისმინნეს სიტყუანი ესე და არა ყვნეს იგინი[6], ემსგავსა იგი კაცსა მას ცოფსა, რომელმან აღაშენა სახლი თჳსი ქჳშასა ზედა. | 26. და ყოველმან რომელმან ისმინნეს სიტყუანი ესე ჩემნი და არა ყვ(K 31r)ნეს იგინი, ემსგავსოს იგი კაცსა ცოფსა, რომელმან აღაშენა სახლი თჳსი ქჳშასა ზედა. |
| 27. და გარდამოჴდა წჳმაჲ, მოვიდეს მდინარენი, ქროდეს ქარნი და ეკუეთნეს სახლსა (G10r) მას, და დაეცა. და იყო დაცემაჲ იგი მისი დიდ ფრიად. | 27. და გარდამო(H 23v)ჴდა წჳმაჲ, მოვიდეს მდინარენი, ქროდეს ქარნი და ეკუეთნეს[5] სახლსა მას, და დაეცა. და იყო დაცემაჲ იგი მისი დიდ ფრიად. |

---

[1] ნაყოფი ხენეში G. [2] ხესა ხესა F. [3] სამე] — G. [4] იცნეთ F. [5] და] — F. [6] იგი F.

[1] მოეკუჱთოს HI. [2] ეწინაჲსწარმეტყუებლითა K (ეწ῀წრყლებლითა H; ეწ῀წყლებლითა I). [3] უშჯულოებისანი HI. [4] ეკუჱთნეს H. [5] ეკუჱთნეს HK.

| FG | HIK |
|---|---|
| 28. და იყო რაჟამს დაასრულნა იესუ სიტყუანი ესე, და[1] განუკჳრდებოდა ერსა მას მოძღურებაჲ იგი მისი, | 28. და იყო რაჟამს დაასრულნა იესუ სიტყუანი ესე, განუკჳრდებოდა ერსა მას მოძღურებაჲ იგი მისი, |
| 29. რამეთუ იყო სწავლაჲ იგი მისი[2] მათა მიმართ, ვითარცა-იგი ვის ჴელმწიფებაჲ აქუნ, და არა ვითარ-იგი მწიგნობარნი მათნი. | 29. რამეთუ იყო სწავლაჲ იგი მისი მათა[1] მიმართ, ვითარცა-იგი ვის ჴელმწიფებაჲ აქუნ, და არა ვითარ-იგი მწიგნობარნი მათნი და ფარისეველნი. |

## 8

| FG | HIK |
|---|---|
| 1. და გარდამოვიდოდა[3] იგი მიერ მთით, და მოსდევდა მას ერი მრავალი. | 1. და გარდამოვიდოდა რაჲ იგი მიერ მთით, მოსდევდა მას[2] ერი მრავალი. |
| 2. და აჰა ესერა კეთროვანი[4] ვინმე მოუჴდა, თაყუანის-სცემდა მას და ეტყოდა: უფალო, უკუეთუ გინდეს, ძალ-გიც განწმედაჲ ჩემი. | 2. და აჰა ესერა კეთროვანი ვინმე მოუჴდა, თაყუანის-სცემდა მას და ეტყოდა: უფალო, უკუეთუ[3] გინდეს, ძალ-გიც განწმედაჲ ჩემი. |
| 3. (F 17v) და მიყო იესუ ჴელი თჳსი[5] და[1] შეახო მას და ჰრქუა: მნებავს, განწმიდენი! და მეყსეულად განწმიდნა იგი კეთროვნებისა მისგან[6]. | 3. (I 24r) და მიყო ჴელი თჳსი იესუ, შეახო მას და ჰრქუა: მნებავს, განწმიდენი! და მეყსეულად (K 31v) განწმიდნა იგი კეთროვნებისა მისგან. |
| 4. და ჰრქუა მას იესუ: იხილე, ნუვის უთხრობ, არამედ წარვედ და უჩუენე თავი შენი მღდელსა და შეწირე შესაწირავი შენი, რომელი ბრძანა მოსე საწამებელად მათა. | 4. და ჰრქუა მას იესუ: იხილე, ნუვის უთხრობ, არამედ წარვედ და უჩუენე[4] თავი შენი მღდელსა და შეწირე შესაწირავი შენი, რომელი ბრძანა მოსე საწამებელად მათა[1]. |
| 5. (G 10v) და შე-რაჲ-ვიდა იგი კაფარნაუმდ, მოუჴდა მას ასისთავი, ევედრებოდა მას | 5. და შე-რაჲ-ვიდა იგი კაპერნაუმდ, მოუჴდა მას ასისთავი, ევედრებოდა მას |
| 6. და ეტყოდა: უფალო, მონაჲ ჩემი დაცემულ არს სახლსა შინა ჩემსა განრღუეული და ძნიად იგუემების. | 6. და ეტყოდა: უფალო, მონაჲ ჩემი დაცემულ (H 24r) არს სახლსა შინა ჩემსა განრღუეული[5] და ფრიად იგუემების[6]. |
| 7. ჰრქუა მას იესუ: მე მოვიდე და განვკურნო იგი. | 7. ჰრქუა მას იესუ: მე მოვიდე და განვკურნო იგი. |
| 8. მიუგო[7] ასისთავმან მან და ჰრქუა: უფალო, არა ღირს ვარ მე[8], რაჲთამცა სართულსა ჩემსა ქუეშე შემოხუედ, არამედ სიტყჳთ ხოლო[9] თქუ, და განიკურნოს მონაჲ იგი ჩემი. | 8. მიუგო ასისთავმან მან და ჰრქუა: უფალო, არა ღირს ვარ მე, რაჲთამცა სართულსა ჩემსა ქუეშე[7] შემოხუედ[8] არამედ სიტყჳთ ხოლო თქუ, და განიკურნოს მონაჲ იგი ჩემი. |

---

[1] და] — G. [2] რამეთუ იყო სწავლაჲ იგი მისი] — G. გადამწერს თვალი გადასცურებია მომდევნო მსგავს სიტყვაზე (მისი ...მისი). [3] გარდამო-რაჲ-ვიდოდა G. [4] კეთროანი F. [5] ~ ჴელი თჳსი იესუ G. [6] კეთროვნებისა-გან G. [7] მიუგე G. [8] მე] — G. F-შიც მერმეა ჩამატებული. [9] ხოლო] — F.

[1] მათდა K. [2] მათ K. [3] უკუჱთუ H. [4] უჩუჱნე HI. [5] განრღუჱული HI. [6] იგუჱმების HI. [7] ქ⁻შჱ H. [8] შემოხუჱდ I (შემოხ⁻ედ H).

| FG | HIK |
|---|---|
| 9. რამეთუ მეცა კაცი ვარ ჴელმწიფებასა ქუეშე და მქონან ჩემ ქუეშე ერისაგანნი: და ვჰრქჳ[1] მას: წარვედ! და წარვიდის; და სხუასა: მოვედ! და მოვიდის; და მონასა ჩემსა: ქმენ ესე! და ქმნის. | 9. რამეთუ მეცა კაცი ვარ ჴელმწიფებასა ქუეშე[1] და მქონან ჩემ ქუეშე[2] ერისაგანნი; და ვჰრქჳ მას: წარვედ! და წარვიდის; და სხუასა: მოვედ! და მოვიდის; და მონასა ჩემსა: ქმენ ესე! და ქმნის. |
| 10. ესმა რაჲ ესე იესუს, დაუკჳრდა და ჰრქუა ერსა მას, რომელნი მისდევდეს მას[2]: ამენ გეტყჳ თქუენ: არცაღა[3] ისრაჱლსა შორის ესოდენი სარწმუნოებაჲ ვპოვე[4]. | 10. (I 24ზ) ესმა რაჲ ესე[3] იესუს, (K 32პ) დაუკჳრდა და ჰრქუა ერსა მას, რომელნი მისდევდეს მას: ამენ გეტყჳ თქუენ: არცაღა ისრაჱლსა შორის ესოდენი სარწმუნოებაჲ ვპოვე. |
| 11. (F 18პ, G 17პ) ხოლო მე გეტყჳ თქუენ, რამეთუ: მრავალნი მზისა-აღმოსავალით და დასავალით მოვიდოდიან და ინაჴ-იდგმიდენ აბრაჰამის თანა და ისაკის თანა და იაკობის თანა სასუფეველსა ცათასა[5]. | 11. ხოლო გეტყჳ თქუენ, რამეთუ: მრავალნი მზისა-აღმოსავალით და დასავალით მოვიდოდიან და ინაჴ-იდგმიდენ აბრაჰამის თანა და ისაკის თანა და იაკობის თანა სასუფეველსა ცათასა. |
| 12. ხოლო ძენი იგი სასუფეველისანი განითხინენ ბნელსა მას გარესკნელსა. მუნ იყოს ტირილი და კრჭენაჲ კბილთაჲ. | 12. ხოლო ძენი იგი სასუფეველისანი განითხინენ ბნელსა მას გარესკნელსა. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენაჲ კბილთაჲ. |
| 13. და ჰრქუა იესუ ასისთავსა მას: წარვედ და, ვითარცა გრწმენა, გეყავნ შენ. და განიკურნა მონაჲ იგი მისი მას დღესა შინა. და ვითარცა მოვიდა ასისთავი იგი სახიდ თჳსა, ჰპოვა მონაჲ იგი მისი განკურნებული მას ჟამსა შინა[6]. | 13. და ჰრქუა იესუ ასისთავ(H 24ზ)სა მას: წარვედ და, ვითარცა გრწმენა, გეყავნ შენ და განიკურნა მონაჲ იგი მისი მას ჟამსა შინა. |
| 14. და მოვიდა იესუ სახლსა პეტრესსა[7] და იხილა სიდედრი იგი მისი, დავრდომილი მჴურვალებითა. | 14. და მოვიდა იესუ სახლსა პეტრესსა და იხილა სიდედრი იგი მისი, დავრდომილი მჴურვალებითა. |
| 15. და შეახო ჴელსა მისსა, და დაუტევა იგი მჴურვალებამან მან[8], აღდგა (G17ზ) და ჰმსახურებდა მას. | 15. და შეახო ჴელსა მისსა, და დაუტევა იგი მჴურვალებამან, აღდგა და ჰმსახურებდა მას. |
| 16. და ვითარცა შემწუხრდა, მოჰგუარეს მას ეშმაკეულები მრავალი, და განასხა სულები იგი სიტყჳთა და ყოველნი რომელნი ბოროტად სნეულ იყვნეს, განკურნნა[9]. | 16. (K 82ზ) და ვითარცა შემწუხრდა, მოჰგუარეს მას ეშმაკეულები მრავალი, და განასხა (I 25პ) სულები იგი სიტყჳთა და ყოველნი, რომელნი ბოროტად სნეულ იყვნეს, განკურნნა. |

---

[1] ვრქჳ F. [2] „რომელნი მისდევდეს მას“ F-ში მერმეა ჩამატებული. [3] არცა F. [4] ვპოვ F. [5] ცათასა] ღმრთისასა F. მაგრამ გადანასწორები უნდა იყოს: ც-ს ფეხის ნაკვალევი ახლაც კარგად ჩანს. [6] უკანასკნელი წინადადება („და ვითარცა მოვიდა... მას ჟამსა შინა“) ბევრგან არ არის. ქართულში აქვს ალავერდის ოთხთავს (A 484); იგი მოიპოვება აგრეთვე ბერძნული გამოცემის ზოგიერთ ვარიანტში, ძირითად ტექსტში კი — არსად. ჩანს, იგი ბერძნულში ზოგიერთ ხელნაწერში ადრევე იყო შეტანილი. FG სწორედ მათ ეყრდნობა. [7] პეტრესა F. [8] მან] — F. [9] განკურნა FG.

[1] ქუჱშე HI. [2] ქ‾შჱ H, ქუჱშე I. [3] ~ესე რაჲ ესმა K.

| FG | HIK |
|---|---|
| 17. რაჲთა აღესრულოს თქუმული იგი ესაია წინაწარმეტყუელისაჲ, რომელ თქუა: მან უძლურებანი[1] ჩუენნი იტჳრთნეს და სნეულებანი ჩუენნი განკურნნეს[2]. | 17. რაჲთა აღესრულოს თქუმული იგი ესაია წინაწარმეტყუელისაჲ, რომელ თქუა: მან უძლურებანი ჩუენნი მიიხუნა და სნეულებანი ჩუენნი იტჳრთნა. |
| 18. (F 18ყ/) ვითარცა იხილა იესუ ერი მრავალი გარემო მისა,უბრძანა წიაღსლვაჲ მიერ კერძო. | 18. ვითარცა იხილა იესუ ერი მრავალი გარემო მისა[1], უბრძანა წიაღსლვაჲ მიერ კერძო. |
| 19. და მოუჴდა მას ერთი მწიგნობარი და ჰრქუა: მოძღუარ, მიგდევდე შენ, ვიდრეცა ხჳდოდი. | 19. და მოუჴდა მას ერთი მწიგნობარი და ჰრქუა: მოძღუარ, მიგდევდე შენ, ვიდრეცა ხჳდოდი. |
| 20. ჰრქუა მას იესუ: მელთა ჴურელი უჩნს და მფრინველთა ცისათა საყოფელი, ხოლო ძესა კაცისასა არა აქუს, სადა თავი მიიდრიკოს. | 20. ჰრქუა მას იესუ: მელთა ჴურელი უჩნს და მფრინველთა ცისათა საყოფელი, ხოლო ძესა კაცისასა არა აქუს, სადა თავი მიიდრიკოს. |
| 21. და ერთმან მოწაფეთა მისთაგანმან ჰრქუა მას: მოძღუარ, მიბრძანე მე პირველად მისლვად და დაფლვად მამისა ჩემისა. | 21. და სხუამან მოწაფეთა (H 25რო) მისთაგანმან ჰრქუა მას: უფალო, მიბრძანე მე პირველად მისლვად და დაფლვად მამისა ჩემისა. |
| 22. ხოლო იესუ ჰრქუა მას: შენ მომდევ(G 18რო)ლი მე და აცადენ მკუდარნი დაფლვად თჳსთა მკუდართა[3]. | 22. ხოლო იესუ ჰრქუა მას: შენ მომდევდი მე და აცადენ მკუდარნი დაფლვად (K 33რო) თჳსთა მკუდართა. |
| 23. და ვითარცა[4] აღვიდა იგი ნავსა, და[5] მისდევდეს მას[6] მოწაფენი მისნი. | 23. და აღვიდა იგი ნავსა, და მისდევდეს მოწაფენი მისნი. |
| 24. და აჰა ესერა ძრვაჲ იყო დიდ ზღუასა მას[6] ზედა, ვიდრე დაფარვადმდე[7] ნავისა ღელვათაგან. ხოლო თავადსა ეძინა. | 24. და აჰა ესერა აღძრვაჲ იყო დიდი ზღუასა შინა, ვიდრე დაფარ(I 25ყ/)ვადმდე ნავისა ღელვათაგან. ხოლო თავადსა ეძინა. |
| 25. და მოუჴდეს მას მოწაფენი მისნი და[5] აღადგინეს უფალი და ეტყოდეს: უფალო, მიჴსნენ ჩუენ, რამეთუ წარვწყმდებით. | 25. და მოუჴდეს მას მოწაფენი მისნი და აღადგინეს იგი და ეტყოდეს: უფალო, მიჴსნენ ჩუენ, რამეთუ წარვწყმდებით. |
| 26. და თავადმან ჰრქუა მათ: რაჲსა[8] შეშინდით, მცირედ-მორწმუნენო? მაშინ აღდგა და შეჰრისხნა ქართა მათ და ზღუასა[9]. და იქმნა მეყსეულად დაყუდება დიდ. | 26. და თავადმან ჰრქუა მათ: რაჲსა შეშინდით, მცირედ-მორწმუნენო? მაშინ აღდგა და შეჰრისხნა ქართა მათ და ზღუასა. და იქმნა მეყსეულად დაყუდება დიდ. |
| 27. ხოლო კაცთა მათ უკჳრდა დ(F 19რო)ა იტყოდეს: რაბამ ვინმე არს ესე, რამეთუ ქარნიცა და ზღუაჲცა[10] ერჩიან მას? | 27. ხოლო კაცთა მათ უკჳრდა და იტყოდეს: რაბამ ვინმე არს ესე, რამეთუ ქარნიცა და ზღუაჲ ერჩიან მას? |

---

[1] უძრულებანი G. [2] გნკ⁻რნს F. [3] ~ თჳსთა მკუდართა დაფლვად F. [4] ვითარცა] — G. [5] და] — F. [6] მას] — G. [7] დაფარვამდე F. [8] რაჲ G. [9] ზღუათა F. [10] ზღუაჲ F.

[1] მისსა K.

FG

28. და ვითარცა მოვიდა იგი მიერ კერძო სოფელსა მას გერგესეველთასა, შეემთხჳნეს მას ორნი ეშმაკეულნი, რომელნი გამოვიდოდეს საფლავებისაგან, ფრიად (G18v) ბოროტნი, ვითარმედ ვერვის ჴელ-ეწიფა წარსლვაჲ მიერ გზით.

29. და მათ ლაღად-ყვეს[1] და იტყოდეს: რაჲ ძეს ჩუენი და შენი, იესუ, ძეო ღმრთისაო? რამეთუ მოხუედ აქა უწინარეს ჟამისა ტანჯვად ჩუენდა.

30. და იყო შორს მათგან კოლტი ლორთაჲ მძოვარი.

31. ხოლო ეშმაკნი იგი ევედრებოდეს მას და ეტყოდეს: უკუეთუ განგუასხამ ჩუენ, მიბრძანე ჩუენ მისლვად კოლტსა იმას[2] ლორთასა.

32. და ჰრქუა მათ[3]: მივედით! ხოლო იგინი განვიდეს კაცთა მათგან და მიიმართეს კოლტსა მას ლორთასა. და მიიმართა კოლტმან მან ლორთამან კბოდესა მას ზღჳსასა[4] და მოსწყდეს იგინი წყალთა მათ შინა.

33. ხოლო მწყემსნი იგი ივლტოდეს და წარვიდეს ქალაქად და უთხრეს ყოველივე ეშმაკეულთა მათთჳს.

34. მაშინ ყოველი იგი ქალაქი გამოვიდა შემთხუევად იესუჲსა[5]. და იხილეს იგი და ევედრე(G 10r)ბოდეს, (F 19v) რაჲთა წარვიდეს საზღვართა მათთაგან.

HIK

28. და ვითარცა მოვიდა იგი მიერ კერძო სოფელსა მას (K 33v) გერგესეველთასა, შეემთხჳნეს მას ორნი ეშმაკეულნი, რომელნი გამოვიდოდეს საფლავებისაგან, ფრიად ბოროტნი, ვიდრე-ლა (H 25v) ვერვის ჴელ-ეწიფებოდა წარსლვაჲ მიერ გზით.

29. და ლაღად-ყვეს[1] და იტყოდეს: რაჲ ძეს ჩუენი და შენი, იესუ, ძეო ღმრთისაო? რამეთუ მოხუედ[2] აქა უწინარეს ჟამისა ტანჯვად ჩუენდა.

30. და[3] იყო შორს მათგან კოლტი ლორთაჲ მძოვარი.

31. ხოლო ეშმაკნი იგი ევედრებოდეს მას და ეტყოდეს: უკუეთუ განგ(I 26r)უასხამ ჩუენ, მიბრძანე ჩუენ მისლვად კოლტსა იმას ლორთასა.

32. და ჰრქუა მათ: მივედით! ხოლო იგინი განვიდეს კაცთა მათგან და მიიმართეს კოლტსა მას ლორთასა. და მიიმართა ყოველმან მან[4] კოლტმან ლორთამან კბოდესა მას ზღჳსასა და მოსწყდეს იგინი წყალთა მათ (K 34r) შინა.

33. ხოლო მწყემსნი იგი ივლტოდეს და წარვიდეს ქალაქად და უთხრეს ყოველივე ეშმაკეულთა მათთჳს.

34. მაშინ ყოველი იგი ქალაქი გამოვიდა შემთხუევად[5] იესუჲსა. და იხილეს იგი და ევედრებოდეს, რაჲთა წარვიდეს საზღვართა მათთაგან.

## 9

FG

1. და[6] შევიდა ნავსა და წიაღჴდა და[6] მოვიდა თჳსა[7] ქალაქად.

2. მაშინ მოართუეს მას განრღუეული ცხედარსა ზედა მდებარე. და იხილა იესუ სარწმუნოებაჲ იგი[8] მათი და ჰრქუა განრღუეულსა მას[9]: ნუ გეშინინ[10], შვილო, მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი.

HIK

1. და შევიდა ნავსა და წიაღჴდა და მოვიდა თჳსად[6] ქალაქად.

2. მაშინ მოართუეს[7] მას განრღ(H 26r)უეული[8] ცხედარსა ზედა მდებარე. და იხილა იესუ სარწმუნოებაჲ მათი და ჰრქუა განრღუეულსა[9] მას: ნუ გეშინინ, შვილო, მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი.

---

[1] ლაღატ-ყვეს F. [2] მას G. [3] მათ] მას F. [4] ზღჳსსა F (უქარაგმოდ). [5] ი˝ჳსა F. [6] და]—F. [7] თუსა G. [8] იგი] — F. [9] მას] — G. [10] გეშინინ] გეშინ შ̄ნ G.

[1] ლაღატ-ყვეს HI. [2] მოხუჱდ HI. [3] და]—HI. [4] მან]—I. [5] შემთხუჱვად HI. [6] თჳსა HI. [7] მოართუჱს HI. [8] განრღუჱული HI. [9] განრღუჱულსა HI.

| FG | HIK |
|---|---|
| 3. და მუნ ვინმე მწიგნობართაგანთა თქუეს გულთა თჳსთა[1], ვითარმედ[2]: ესე ჰგმობს[3]. | 3. და აჰა ესერა მწიგნობართაგანთა ვიეთმე თქუეს გულთა შინა მათთა, ვითარმედ: ესე გმობს. |
| 4. იცოდნა იესუ ზრახვანი მათნი და ჰრქუა მათ: რაჲსათჳს[4] თქუენ ბოროტსა ზრახავთ გულთა შინა თქუენთა? | 4. იცნოდა[1] იესუ (I 28v) ზრახვანი მათნი და ჰრქუა მათ: რაჲსა თქუენ ბოროტსა ჰზრახავთ გულთა შინა თქუენთა? |
| 5. რაჲ უადვილეს არს სიტყუად: მიგატევნენ შენ ცოდვანი შენნი, ანუ სიტყუად[5]: აღდეგ და ვიდოდე? | 5. რაჲ უადვილეს არს სიტყუად: მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენ(K 84v)ნი, ანუ სიტყუად: აღდეგ და ვიდოდე? |
| 6. ხოლო რაჲთა უწყოდით, რამეთუ ჴელმწიფებაჲ აქუს ძესა კაცისასა ქუეყანასა ზედა მიტევებად ცოდვათა, მაშინ ჰრქუა განრღუეულსა მას: აღდეგ და[6] აღიღე ცხედარი შენი და წარვედ (G 19v) სახედ შენდა! | 6. ხოლო რაჲთა უწყოდით, რამეთუ ჴელმწიფებაჲ აქუს ძესა კაცისასა ქუეყანასა ზედა[2] მიტევებად ცოდვათა, მაშინ ჰრქუა განრღუეულსა[3] მას: აღდეგ, აღიღე ცხედარი შენი და წარვედ სახედ შენდა! |
| 7. და იგი მეყსეულად აღდგა და წარვიდა სახედ თჳსა. | 7. და იგი მეყსეულად აღდგა და წარვიდა სახედ თჳსა. |
| 8. იხილა რაჲ ესე ერმან მან, დაუკჳრდა და ადიდებდეს ღმერთსა, რომელმან მოსცა ესევითარი ჴელმწიფებაჲ კაცთა. | 8. იხილა რაჲ ესე ერმან მან, დაუკჳრდა და ადიდებდეს ღმერთსა, რომელმან მოსცა ესევითარი ჴელმწიფებაჲ კაცთა. |
| 9. და წარვიდოდა მიერ იესუ (F 20r) და[6] იხილა კაცი, რომელი ჯდა საზუერესა, მათეოს სახელი მისი, და ჰრქუა მას: მომდევდი მე. და აღდგა და მისდეედა მას. | 9. და წარვიდოდა მიერ იესუ, იხილა კაცი, რომელი ჯდა საზუერესა[4], მატთეოს სახელი მისი, და ჰრქუა მას: მომდევდი მე. და აღდგა და მისდევდა მას. |
| 10. და იყო ჯდა რაჲ იგი ინაჴით სახლსა შინა, და მრავალნი მეზუერენი და ცოდვილნი თანა-სხდეს[7] ინაჴით სახლსა შინა[8] იესუს თანა[9]. | 10. და იყო ჯდა რაჲ იგი ინაჴით (H 28v) სახლსა შინა, და მრავალნი მეზუერენი[5] და ცოდვილნი თანა-სხდეს ინაჴით იესუჲს თანა და მოწაფეთა მისთა თანა. |
| 11. ვითარცა იხილეს ფარისეველთა მათ, ჰრქუეს მოწაფეთა მისთა: რაჲსათჳს მეზუერეთა და ცოდვილთა თანა ჰჭამს მოძღუარი თქუენი? | 11. და ვითარცა იხილეს ფარისეველთა მათ, ჰრქუეს მოწაფეთა მისთა: რაჲსათჳს მეზუერეთა[6] და (I 27r) ცოდვილთა თანა ჰჭამს მო(K 35r)ძღუარი თქუენი? |
| 12. ხოლო იესუს ვითარცა ესმა, ჰრქუა მათ: არა უჴმს ცოცხალთა მკურნალი, არამედ სნეულთა. | 12. ხოლო იესუს ვითარცა ესმა, ჰრქუა მას: არა უჴმს ცოცხალთა მკურნალი, არამედ სნეულთა. |

---

[1] თჳსთა] მათთა G. [2] ვითარმედ] — G. [3] ჰგმოს F, გმობს G. [4] რაჲსა G. [5] სიტყუა F. [6] და] — G. [7] თანა-სხდეს] სხდეს F. [8] სახლსა შინა] — G. [9] იესუს თანა] იესუჲსა და მოწაფეთა მისთა თანა G.

[1] იცოდნა K. [2] ზედა] — K. [3] განრღუჱულსა HI. [4] საზუჱრესა HI. [5] მეზუჱრენი HI. [6] მეზუჱრეთა HI.

| FG | HIK |
|---|---|
| 13. ხოლო თქუენ წარვედით და ისწავეთ, რაჲ არს: წყალობაჲ მნებავს და არა მსხუერპლი. არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა. | 13. ხოლო თქუენ წარვედით და ისწავეთ, რაჲ არს: წყალობაჲ მნებავს და არა მსხუერპლი. რამეთუ არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა. |
| 14. (G 20r) მაშინ მოუჴდეს მას მოწაფენი იოვანესნი[1] და ეტყოდეს: რაჲსათჳს ჩუენ და ფარისეველნი ვიმარხავთ ფრიად, ხოლო მოწაფენი შენნი არა იმარხვენ? | 14. მაშინ მოუჴდეს მას მოწაფენი იოვანესნი და ეტყოდეს: რაჲსათჳს ჩუენ და ფარისეველნი ვიმარხავთ ფრიად, ხოლო მოწაფენი შენნი არა იმარხვენ? |
| 15. ჰრქუა მათ იესუ: ჴელ-მე-ეწიფებისა ძეთა სიძისათა გლოვად[2], ვიდრემდე მათ თანა არს სიძჱ[3]? მოვლენან დღენი, რაჟამს ამაღლდეს მათგან სიძჱ[3] იგი, და მაშინ იმარხვიდენ. | 15. ჰრქუა მათ იესუ: ჴელ-მე-ეწიფებისა ძეთა სიძისათა გლოვად[1], ვიდრემდე მათ თანა არს სიძე? მოვლენან დღენი, რაჟამს ამაღლდეს მათგან სიძე იგი, და მაშინ იმარხვიდენ. |
| 16. არავინ დაადგის სა(F 20v)დგმელი უმურქნეელი[4] სამოსელსა[5] ძუელსა, რამეთუ აღიღის სავსებაჲ სამოსლისა[6] მისგან, და უფროჲსი[7] განხეთქილებაჲ შეიქმნის. | 16. არავინ დაადგის სადგმელი უმურქნეელი სამოსელსა ძუელსა[2], რამეთუ აღიღის სავსებაჲ სამოსლი(H 27r)სა[3] მისგან, და უფროჲსი განხეთქილებაჲ იქმნის. |
| 17. არცა შთაასხიან ღჳნოჲ ახალი თხიერთა ძუელთა, რაჲთა არა განსთქდენ თხიერნი, და ღჳნოჲ დაითხიოს, და თხიერნი წარწყმდენ. არამედ შთაასხიან ღჳნოჲ ახალი თხიერთა ახალთა, და ორნივე დაიმარხნიან[8]. | 17. არცა შთაასხიან ღჳნოჲ (K 85v) ახალი თხიერთა ძუელთა[4], რაჲთა არა განსთქდენ თხიერნი, და ღჳნოჲ დაითხიოს, და თხიერნი წარწყმდენ. არამედ შთაა(I 27v)სხიან ღჳნოჲ ახალი თხიერთა ახალთა, და ორნივე დაიმარხნიან. |
| 18. და ვითარცა იგი ამას ეტყოდა მათ, მაშინ მოვიდა მისა მთავარი ერთი, თაყუანის-სცემდა მას და ეტყოდა, ვითარმედ: ასული ჩემი აწლა აღესრულა; არამედ მოვედ და (G 20v) დასდევ ჴელი შენი[9] მას ზედა, და ცხოვნდეს[10]. | 18. და ვითარცა იგი ამას ეტყოდა მათ, მაშინ მოუჴდა მას მთავარი ერთი, თაყუანის-სცემდა მას და ეტყოდა, ვითარმედ: ასული ჩემი აწლა აღესრულა; არამედ მოვედ და დასდევ ჴელი შენი მას ზედა, და ცხოვნდეს[5]. |
| 19. და აღდგა იესუ და შეუდგა მას, და მოწაფენი მისნი მის თანა. | 19. და აღდგა იესუ და შეუდგა მას, და მოწაფენი მისნი მის თანა. |
| 20. და აჰა ესერა დედაკაცი ვინმე, რომელი იყო სისხლისა დინებასა ათორმეტ წელ, მოვიდა ზურგით და შეახო ფესუსა სამოსლისა[6] მისისასა. | 20. და აჰა ესერა დედაკაცი ვინმე, რომელი იყო სისხლისა დინებასა ათორმეტ წელ, მოუჴდა ზურგით და შეახო ფესუსა სამოსლისა მისისასა. |
| 21. რამეთუ იტყოდა გულსა თჳსსა[11]: | 21. რამეთუ იტყოდა გულსა თჳსსა, |

---

[1] ინ̄ჱსნი G. [2] გლოად F. [3] სიძე F. [4] უმურკეელი G. პირველად F-შიც ასე ყოფილა, მაგრამ მერმე ნ დაუმატებიათ ზემოდან. [5] სამუსელსა F. [6] სამუსლისა F. [7] უფ̄რსი G. [8] დაიმარხნენ G. [9] დასდევ ჴელი შენი] დაასხენ ჴელნი შენნი F. [10] ცხონდეს F. [11] თ̄სა F.

[1] გლოად HI. [2] ძუჱლსა HI. [3] სამოსლისაჲ K. [4] ძუჱლთა HI. [5] ცხონდეს HI.

| FG | HIK |
|---|---|
| შე-ხოლო თუ-ვახო სამოსელსა[1] მისსა, ვცხოვნდე[2]. | ვითარმედ: შე-ხოლო თუ-ვახო სამოსელსა მისსა, ვცხოვნდე[1]. |
| 22. ხოლო იესუ მიექცა, იხილა იგი და ჰრქუა მას: ნუ გეშინინ, ასულო, სარწმუ(F 21r)ნოებამან შენმან გაცხოვნა შენ. და განიკურნა დედაკაცი იგი მიერ ჟამითგან. | 22. ხოლო იესუ მიექცა, იხილა იგი და ჰრქუა მას: ნუ გეშინინ, ასულო, სარ(K 30r)წმუნოებამან შენმან (H 27v) გაცხოვნა შენ. და განიკურნა დედაკაცი იგი მიერ ჟამითგან. |
| 23. და მოვიდა იესუ სახლსა მის მთავრის-სა და იხილა მუნ მგოსნები და ერი კრებული და შფოთი | 23. და მოვიდა იესუ სახლსა მის მთავრისასა და იხილა მუნ მგოსნები და ერი კრებული და შფოთი |
| 24. და ჰრქუა მათ: განეშორენით, რამეთუ არა მომკუდარ არს ეგე, არამედ სძინავს. ხოლო იგინი ეკიცხევდეს მას. | 24. და ჰრქუა მათ: განეშორენით, რამეთუ არა მომკუდარ არს ეგე, არამედ სძინავს. ხოლო (I 28r) იგინი ეკიცხევდეს მას. |
| 25. და რაჟამს გამოასხა ერი იგი, შევიდა და უპყრა ჴელი მისი და აღადგინა ქალი იგი. | 25. და რაჟამს გამოასხა ერი იგი, შევიდა და უპყრა ჴელი მისი და აღადგინა ქალი იგი. |
| 26. და განჴდა ჰამბავი ესე ყოველსა მას ქუეყანასა. | 26. და განჴდა ჰამბავი მისი ყოველსა მას ქუეყანასა. |
| 27. (G 21r) და წარმო-რაჲ-ვიდოდა მიერ იესუ, მოსდევდეს მას ორნი ბრმანი, ღაღადებდეს და იტყოდეს: შემიწყალენ ჩუენ, უფალო, ძეო დავითისო! | 27. და წარმო-რაჲ-ვიდოდა მიერ იესუ, მოსდევდეს მას (K 36v) ორნი ბრმანი, ღაღადებდეს და იტყოდეს: შემიწყალენ ჩუენ, ძეო დავითისო! |
| 28. და ვითარცა შევიდა იესუ სახლსა, მოუჴდეს მას ბრმანი იგი, და ჰრქუა მათ იესუ: გრწამსა, ვითარმედ ძალ-მიც ყოფად ესე[3]? ჰრქუეს მას: ჰე, უფალო. | 28. და ვითარცა შევიდა იესუ სახლსა, მოუჴდეს მას ბრმანი იგი, და ჰრქუა მათ იესუ: გრწამსა, ვითარმედ ძალ-მიც ესე ყოფად? ჰრქუეს[2] მას: ჰე[3], უფალო. |
| 29. მაშინ შეახო თუალთა მათთა და ჰრქუა მათ: სარწმუნოებისაებრ თქუენისა გეყავნ თქუენ! | 29. მაშინ შეახო თუალთა მათთა და ჰრქუა მათ: სარწმუნოებისა თქუენისაებრ გეყავნ თქუენ! |
| 30. და მეყსეულად აღეხილნეს თუალნი მათნი. და შეჰრისხნა მათ იესუ და ჰრქუა: იხილეთ, ნუმცა ვინ[4] უწყის. | 30. და მეყსეულად აღეხუნეს თუალნი მათნი. და შეჰრისხნა მათ იესუ და ჰრქუა: იხილეთ, ნუმცა ვინ უწყის. |
| 31. ხოლო იგინი გამოვიდეს და მიმოდადევეს იგი ყოველსა მას ქუეყანასა. | 31. ხოლო იგინი გამოვიდეს და მიმოდადევეს იგი (H 28r) ყოველსა მას ქუეყანასა. |
| 32. და ვითარცა-იგი[5] გამო-ოდენ-ვიდეს, მოჰგუარეს მას კაცი ყრუი[6] და ეშმაკეული. | 32. და ვითარცა-იგი გამო-ოდენ-ვიდეს, მოჰგუარეს მას კაცი ყრუჲ და ეშმაკეული. |
| 33. (F 21v) და ვითარცა განჴადა ეშმაკი იგი, იტყოდა მრთელად ყრუი[6] იგი. და დაუკჳრდებოდა ერსა მას და იტყო- | 33. და ვითარცა განჴადა ეშმაკი (K 37r) იგი, იტყოდა ყრუჲ იგი. და დაუკჳრდებოდა ერსა მას და იტყოდეს: |

---

[1] სამუსელსა F. [2] ვცხონდე F. [3] ~ ესე ყოფად G. [4] ~ ნუ ვინმცა G. [5] ვითარცა-იგი] ვითარცა იგინი G. [6] ყრუჲ G.

[1] ვცხონდე HI. [2] ჰქ̄ჳს I. [3] ჰჱ K.

| FG | HIK |
|---|---|
| დეს, ვითარმედ: არასადა ისრაჱლსა შორის ესრეთ გამოჩნდა. | არასადა ისრაჱლსა (I 28*v*) შორის ესრეთ გამოჩნდა. |
| 34. (G 21*v*) ხოლო ფარისეველნი იგი იტყოდეს: მთავრითა ეშმაკთაჲთა[1] განასხამს ეშმაკთა. | 34. ხოლო ფარისეველნი იტყოდეს: მთავრითა ეშმაკთაჲთა განასხამს ეშმაკთა. |
| 35. და მოჰვლიდა[2] იესუ ქალაქებსა ყოველსა და დაბნებსა და ასწავებდა შესაკრებელთა შორის მათთა[3] და ქადაგებდა სახარებასა სასუფეველისასა და განჰკურნებდა ყოველთა სენთა[4] და უძლურებასა[5] ერსა შორის. | 35. და მოჰვლიდა იესუ ქალაქებსა ყოველსა და დაბნებსა და ასწავებდა შესაკრებელთა შორის მათთა და ქადაგებდა სახარებასა სასუფეველისასა და განჰკურნებდა ყოველთა სენთა და ყოველთა უძლურებათა ერსა შორის. |
| 36. და[6] ვითარცა იხილა ერი იგი, შეეწყალნეს იგინი, რამეთუ იყვნეს დამაშურალ და დაცჳვენებულ, ვითარცა ცხოვარნი, რომელთა არა აქუნ მწყემსი. | 36. და ვითარცა იხილა ერი იგი, შეეწყალნეს იგინი, რამეთუ იყვნეს დამაშურალ და დაცჳვენებულ, ვითარცა ცხოვარნი, რომელთა არა აქუნ მწყემსი. |
| 37. მაშინ ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა, ვითარმედ: სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი — მცირედ. | 37. მაშინ ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა, ვითარმედ: სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი — მცირედ. |
| 38. ევედრენით უფალსა სამკალისასა, რაჲთა გამოავლინნეს მოქმედნი სამკალსა თჳსსა. | 38. ევედრენით უფალსა სამკალისასა, რაჲთა გამოავლინნეს მოქმედნი სამკალსა თჳსსა. |

## 10

| | |
|---|---|
| 1. და მოუწოდა ათორმეტთა მოწაფეთა თჳსთა და მისცა მათ ჴელმწიფებაჲ სულთა ზედა არაწმიდათა, რაჲთა განასხმიდენ მათ და განჰკურნებდენ ყოველთა სენთა[4] და ყოველთა უძლურებათა[5]. | 1. და მოუწოდა ათორმეტთა მოწაფეთა თჳსთა და მისცა მათ (H 29*v*) ჴელმწიფებაჲ სულთა ზედა არაწმიდათა, რაჲთა განასხმიდენ მათ და განჰკურნებდენ ყოველთა სენთა და ყოველთა უძლურებათა. |
| 2. (G 22*r*) ხოლო ათორმეტთა მათ მოციქულთა[7] სახელები ესე არს: პირველად სიმონ, რომელსა ეწოდა პეტრე, და ანდრია, ძმაჲ მისი, იაკობ (F 22*r*) ზებედესი და იოვანე, ძმაჲ მისი. | 2. ხოლო ათორმეტთა მათ მოციქულთა სახელები ესე არს: პირველად სიმონ, რომელსა ეწოდა პეტრე, და (K 37*v*) ანდრეა, ძმაჲ მისი, (I 29*r*) იაკობ ზებედესი და იოვანე, ძმაჲ მისი, |
| 3. ფილიპე[8] და ბართლომე, თომა და მათეოს მეზუერჱ[9], იაკობ ალფესი და ლებეოზ[10], რომელსა ეწოდა თადეოზ[11], | 3. ფილიპე და ბართლომე, თომა და მატთეოს მეზუერე[1], იაკობ ალფესი და ლებეოს, რომელსა ეწოდა თადეოს, |
| 4. სიმონ კანანელი და იუდა ისკარიოტელი[12], რომელმანცა მისცა იგი. | 4. სიმონ კანანელი და იუდა[2] ისკარიოტელი, რომელმანცა განსცა იგი. |

---

[1] ეშმკთ‾თა F. [2] მოჳლიდა F. [3] შესაკრებელსა შორის მათსა F. [4] სნეულთა G. [5] უძრელებათა G. [6] და] — G. [7] მოციქულთაჲ G. [8] ფილიპჱ G. [9] მეზუერე F. [10] ლებეოს F. [11] თადეოს G. [12] სკარიოტელი G.

[1] მეზუჱრე HI. [2] იუდა] — H.

| FG | HIK |
|---|---|
| 5. ესე ათორმეტნი წარავლინნა იესუ, ამცნო მათ და ჰრქუა: გზასა მას[1] წარმართთასა ნუ მიხუალთ და ქალაქსა სამარიტელთასა ნუ შეხუალთ, | 5. ესე ათორმეტნი წარავლინნა იესუ, ამცნო მათ და ჰრქუა: გზასა წარმართთასა ნუ მიხუალთ და ქალაქსა სამარიტელთასა ნუ შეხუალთ, |
| 6. არამედ მივედით უფროჲს[2] ხოლო ცხოვართა[3] მათ[4] წარწყმედულთა სახლისა ისრაჱლისათა. | 6. არამედ მივედით უფროჲს ხოლო ცხოვართა მათ წარწყმედულთა სახლისა ისრაჱლისათა. |
| 7. და მი-რაჲ-ხჳდეთ, ქადაგებდით და იტყოდეთ[5], ვითარმედ: მოახლებულ[6] არს სასუფეველი ცათაჲ. | 7. და მი-რაჲ-ხჳდეთ, ქადაგებდით და იტყოდეთ, ვითარმედ: მოახლებულ არს სასუფეველი ცათაჲ. |
| 8. უძლურთა[7] განჰკურნებდით, კეთროვანთა[8] განსწმედდით, ეშმაკთა განასხემდით; უსასყიდ(G 22ⴁ)ლოდ მიიღეთ, უსასყიდლოდცა მისცემდით. | 8. უძლურთა განჰკურნებდით, მკუდართა აღადგინებდით, კეთროვანთა განსწმედდით, ეშმაკთა განასხემდით; უსას(**K** 38ⴀ)ყიდლოდ მიგიღებიეს, უსასყ(**H** 20ⴀ)იდლოდ მისცემდით. |
| 9. ნუ მიიღებთ[9] ოქროსა[10], ნუცა ვეცხლსა, ნუცა რვალსა სარტყელთა თქუენთა, | 9. ნუ მოიგებთ ოქროსა, ნუცა ვეცხლსა, ნუცა რვალსა სარტყელთა თქუენთა, |
| 10. ნუცა ვაშკარანსა გზასა ზედა, ნუცა ორსა სამოსელსა[11], ნუცა ჴამლსა, ნუცა კუერთხსა, რამეთუ ღირს არს მუშაკი სასყიდლისა თჳსისა. | 10. ნუცა ვაშკარანსა გზასა ზედა, ნუცა ორსა სამოსელსა, ნუცა ჴამლთა, ნუცა კუე(I 20ⴁ)რთხსა[1], რამეთუ ღირს არს მუშაკი სასყიდლისა თჳსისა. |
| 11. რომელსა ქალაქსა ანუ დაბასა შეხჳდეთ, გამოიკითხეთ; ვინ ღირს იყოს, მუნ დაადგერით ვიდრე მიერ[12] გამოსლვალმდე[13]. | 11. რომელსა ქალაქსა ანუ დაბასა შეხჳდეთ, გამოიკითხეთ; ვინ ღირს იყოს, მუნ დაადგერით ვიდრე გამოსლვადმდე. |
| 12. და შე-რაჲ-ხჳდოდით[14] სა(F 22ⴁ)ხლსა მას, მოიკითხეთ იგი და თქუთ: მშჳდობაჲ სახლსა ამას! | 12. და შე-რაჲ-ხჳდოდით სახლსა მას, მოიკითხეთ იგი და თქუთ: მშჳდობაჲ სახლსა ამას! |
| 13. უკუეთუ იყოს სახლი იგი ღირს, მოვედინ[15] მშჳდობაჲ თქუენი მას ზედა; უკუეთუ არა ღირს იყოს, მშჳდობაჲ თქუენი თქუენდავე მოიქეცინ. | 13. და უკუეთუ სახლი იგი ღირს იყოს, მოვიდეს მშჳდობაჲ თქუენი მას ზედა; უკუეთუ არა ღირს იყოს, მშჳდობაჲ თქუენი თქუენდავე მოიქეცინ. |
| 14. და უკუეთუ არავინ შეგიწყნარნეს თქუენ, არცა ისმინნეს სიტყუანი თქუენნი, გამო-რაჲ-ხჳდოდით მიერ სახლით გინა მიერ ქალაქით, განიყა(G 23ⴀ)რეთ მტუერი ფერჴთა თქუენთაჲ. | 14. და უკუეთუ არავინ შეგიწყნარნეს თქუენ და არცა ისმინნეს სიტყუანი თქუენნი, გამო-რაჲ-ხჳდოდით მიერ სახლით გინა მიერ ქალაქით, განიყარეთ მტუერი[2] ფერჴთა თქუენთაჲ. |
| 15. ამენ გეტყჳ თქუენ: უმოლხინეს იყოს ქუეყანაჲ იგი სოდომისაჲ და გო- | 15. ამენ გეტყჳ თქუენ: უმოლხინეს იყოს ქუეყანაჲ იგი სოდომისაჲ და გო- |

---

[1] მას] — F. [2] უფროს G. [3] ცხოართა F. [4] მათთჳს F. [5] ეტყოდეთ G. [6] მოხლებულ F. [7] უძრულთა G. [8] კეთროანთა F. [9] მოიღებთ G. [10] ოქროსა G. [11] სამუსელსა F. [12] მიერ] — F. [13] გამოსლვამდე G. [14] შე-რაჲ-ხჳდეთ G. [15] მოედინ F.

[1] კუჱრთხსა HI. [2] მტუჱრი HI.

| FG | HIK |
|---|---|
| მორისაჲ დღესა მას საშჯელისასა, ვიდრე ქალაქი იგი. | მორისაჲ დღესა მას სასჯელისასა[1], ვიდრე ქალაქი იგი. |
| 16. აჰა ესერა[1] მე მიგაელინებ თქუენ, ვითარცა ცხოვართა, შორის მგელთა. იყვენით უკუე მეცნიერ, ვითარცა გუელნი, და უბიწო, ვითარცა ტრედნი. | 16. (H 20v) აჰა მე მიგავლინებ თქუენ, ვითარცა ცხოვართა, შორის მგელთა. იყვენით უკუე[2] მეცნიერ, ვითარცა გუელნი[3], და უმანკო, ვითარცა (K 38v) ტრედნი. |
| 17. ეკრძალებოდეთ კაცთაგან, რამეთუ მიგცემდენ თქუენ კრებულსა და შორის შესაკრებელთა მათთა გტანჯვიდენ თქუენ. | 17. ეკრძალებოდეთ კაცთაგან, რამეთუ მიგცემდენ თქუენ კრებულსა და შორის შესა(I 80r)კრებელთა მათთა გტანჯვიდენ თქუენ. |
| 18. და მთავართა და მეფეთა[2] მიგიყვანნენ თქუენ ჩემთჳს საწამებელად მათა და წარმართთა. | 18. და წინაშე მთავართა და მეფეთა მიგიყვანნენ თქუენ ჩემთჳს საწამებელად მათდა და წარმართთა. |
| 19. და რაჟამს მიგცნენ თქუენ, ნუ ზრუნავთ, ვითარ ანუ რასა იტყოდით, რამეთუ მოგეცეს[3] თქუენ მას ჟამსა შინა, რასა-იგი იტყოდით. | 19. და რაჟამს მიგცნენ თქუენ, ნუ ჰზრუნავთ, ვითარ ანუ რასა იტყოდით, რამეთუ მოგეცეს თქუენ მას ჟამსა შინა, რასა-იგი იტყოდით. |
| 20. რამეთუ არა თქუენ იყვნეთ მეტყუელნი[4], არამედ სული მამისა თქუენისაჲ, რომელი იტყოდის თქუენ შორის. | 20. რამეთუ არა თქუენ იყვნეთ მეტყუელნი[4], არამედ სული მამისა თქუენისაჲ, რომელი იტყოდის თქუენ შორის. |
| 21. მისცეს ძმამან ძმაჲ (F 28r) სიკუდილდ და მამამან — შვილი; და აღდგენ შვილნი მამა-დედათა მათთა ზედა და მოჰკლ(G 28v)ვიდენ მათ. | 21. რამეთუ მისცეს ძმამან ძმაჲ სიკუდილდ[5] და მამამან — შვილი; და აღდგენ შვილნი მამა-დედათა ზედა და მოჰკლვიდენ მათ. |
| 22. და იყვნეთ თქუენ მოძულებულ ყოველთაგან სახელისა ჩემისათჳს. ხოლო რომელმან დაითმინოს იგი სრულიად, ცხონდეს. | 22. და იყვნეთ თქუენ მოძულებულ ყოველთაგან სახელისა ჩემისათჳს. ხოლო რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხოვნდეს[6]. |
| 23. რაჟამს გდევნიდენ თქუენ ამიერ ქალაქით, მიივლტოდეთ თქუენ სხუად; და მიერღა თუ გდევნიდენ თქუენ, ივლტოდეთ სხუად კერძო. ამენ გეტყჳ თქუენ: ვერ დაასრულოთ ქალაქები ისრაჱლისაჲ, ვიდრემდე ძჱ[5] კაცისაჲ მოვიდეს. | 23. რაჟამს გდევნიდენ თქუენ ამიერ ქალაქით, მიივლტოდეთ სხუად. ამენ გეტყჳ თქუენ: ვე(H 30r)რ დაასრულოთ ქალაქები ისრაჱლისაჲ, ვიდრემდის ძე კაცისაჲ მოვიდეს. |
| 24. არა არს მოწაფჱ უფროჲს მოძღურისა თჳსისა, არცა მონაჲ უფროჲს უფლისა თჳსისა. | 24. არა არს მოწაფე უფროჲს მოძღურისა თჳსისა, არცა მონაჲ უფროჲს უფლისა თჳსისა. |
| 25. კმა არს მოწფისა[6] მის, უკუეთუ იყოს, ვითარცა მოძღუარი თჳსი, და მო- | 25. კმა არს მოწფისა მის, უკუეთუ იყოს, ვითარცა მოძღუარი თჳსი, და |

---

[1] ესერა] — G. [2] მეფჱთა G. [3] მოგცეს G. [4] მეტყულნი G (უქარაგმოდ). [5] ძე F. [6] მოწ̄ფისა G.

[1] საშჯელისასა HI. [2] უკუჱ HIK. [3] გუჱლნი HI. [4] მეტყუჱლნი H (მეტყ̄ლნი I). [5] საკუდილად IK. [6] ცხორდეს H, ცხონდეს I.

| FG | HIK |
|---|---|
| ნაჲ იგი, ვითარცა უფალი თჳსი. უკუეთუ სახლისა უფალსა ბელზებულით[1] ჰხადოდეს[2], რავდენ უფროჲს სახლეულთა მისთა? | მონაჲ იგი, ვითარცა უფალი თჳსი. (I 80v) უკუეთუ სახლისა უფალსა ბელზებულით ჰხადოდ(K 30r)ეს, რაოდენ უფროჲს სახლეულთა მისთა? |
| 26. ნუუკუე გეშინინ მათგან[3], რამეთუ არა არს დაფარული, რომელი არა გამოჩნდეს, და არცა საიდუმლოჲ, რომელი არა გამოცხადნეს. | 26. ნუუკუე[1] გეშინინ მათგან, რამეთუ არა არს დაფარული, რომელი არა გამოჩნდეს, და არცა საიდუმლოჲ, რომელი არა გამოცხადნეს. |
| 27. რომელი გრქუან თქუენ ბნელსა შინა, თქუენ თქუთ ნათელსა შინა; და რომელი ყურთა გესმეს, ქადაგებდით ერდოთა ზედა. | 27. რომელი გარქუ თქუენ ბნელსა შინა, თქუენ თქუთ ნათელსა შინა; და რომელი ყურთა გესმა, ქადაგებდით ერდოთა ზედა. |
| 28. (G 24r) და ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოსწყკდნენ[4] კორცნი თქუენნი[5], ხოლო სულსა[6] ვერ ჴელ-ეწიფების მოკლვად. არამედ გეშინოდენ მისა უფროჲს, რომელი შემძლებელ არს სულისა და კორცთა წ(F 28v)არწყმედად გეჰენიასა შინა. | 28. და ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოსწყკდნენ კორცნი, ხოლო სულისა ვერ ჴელ-ეწიფების მოკლვად. არამედ გეშინოდენ მისა უფროჲს[2], რომელი შემძლებელ არს სულისა და კორცთა წარწყმედად გეჰენიასა შინა. |
| 29. ანუ არა ორი სირი ასარის განისყიდების? და ერთიცა მათგანი არა დავარდების ქუეყანასა ზედა თჳნიერ მამისა თქუენისა. | 29. ანუ არა ორი სირი ასარის განისყიდებისა? და ერთიცა (H 30v) მათგანი არა დავარდების ქუეყანასა ზედა თჳნიერ მამისა თქუენისა. |
| 30. ხოლო თქუენნი თავისა თმანიცა ყოველნი განრაცხილ არიან. | 30. ხოლო თქუენნი თავისა თმანიცა ყოველნი განრაცხილ არიან. |
| 31. ნუ გეშინინ მათა, რამეთუ მრავალთა სირთა უმჯობეს ხართ თქუენ. | 31. ნუ გეშინინ, რამეთუ მრავალთა სირთა უმჯობეს ხართ თქუენ[3]. |
| 32. ყოველმან რომელმან აღიაროს ჩემდამო წინაშე კაცთა, მეცა აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათაჲსა. | 32. ყოველმან რომელმან აღიაროს ჩემდამო წინაშე კაცთა, მეცა აღვიარო (I 81r) იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათაჲსა. |
| 33. და რომელმან უვარ-მყოს[7] მე წინაშე კაცთა, უვარ-ვყო[8] იგი მეცა წინაშე მამისა ჩემისა ზეცათაჲსა. | 33. და რომელმან უვარ-მყოს მე წინაშე კაცთა, უვარ-ვყო იგი მეცა წინაშე მამისა ჩემისა ზეცათაჲსა. |
| 34. ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მოვედ მე მიფენად მშჳდობისა ქუეყანასა ზედა; არა მოვედ მიფენად მშჳდობისა, არამედ მახჳლისა. | 34. ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მოვედ მე მიფენად მშჳდობისა ქუეყანასა ზედა; არა მოვედ მიფენად მშჳდობისა, არამედ მახჳლისა. |
| 35. რამეთუ მოვედ განყოფად კაცისა მამისაგან თჳსისა და ასული — დედისა- | 35. (K 30v) რამეთუ მოვედ განყოფად კაცისა მამისაგან თჳსისა და ასული— |

---

[1] ბერზებულით G. [2] სადოდეს G. [3] ნუუკუე გეშინინ მათგან] — G. ეს სიტყვები პირველად არც F-ში ყოფილა, მაგრამ შემდეგ დაემატებიათ ნესხერად. [4] მოწყკდნენ G. [5] თქუენნი] — F. [6] სულისა G. [7] უარ-მყოს F. [8] უარ-ვყო F.

[1] ნუუკუჱ HI. [2] ~ უფროჲს მისსა K. [3] თქუჱნ H.

| FG | HIK |
|---|---|
| (G 24ⴁ)გან თჳსისა და სძალი — დედამთილისაგან თჳსისა. | დედისაგან თჳსისა და სძალი — დედამთილისაგან თჳსისა. |
| 36. და მტერ იყვნენ კაცისა სახლეულნი თჳსნი. | 36. და მტერ იყვნენ კაცისა სახლეულნი თჳსნი. |
| 37. რომელსა უყუარდეს მამაჲ ანუ დედაჲ უფროჲს ჩემსა[1], იგი არა არს[2] ჩემდა ღირს; და რომელსა უყუარდეს ძჱ[3] ანუ ასული უფროჲს ჩემსა, იგი არა არს ჩემდა ღირს. | 37. რომელსა უყუარდეს მამაჲ ანუ დედაჲ უფროჲს ჩემსა, არა არს იგი ჩემდა ღირს; და რომელსა უყუარდეს ძე ანუ ასული უფროჲს ჩემსა, ივი არა არს ჩემდა ღირს. |
| 38. და რომელმან არა აღიღოს ჯუარი თჳსი და მომდევდეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს. | 38. და რომელმან არა აღიღოს ჯუარი თჳსი და შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს. |
| 39. რომელმან მოიპოოს თავი თჳსი, (F 24ⴀ) წარიწყმიდოს იგი; და რომელმან წარიწყმიდოს თავი თჳსი ჩემთჳს, მან პოოს იგი. | 39. (H 31ⴀ) რომელმან მოიპოოს სული თჳსი, წარიწყმიდოს იგი; და რომელმან წარიწყმიდოს სული თჳსი ჩემთჳს, მან პოოს იგი. |
| 40. რომელმან შეგიწყნარნეს თქუენ, მან მე შემიწყნარა; და რომელმან მე შემიწყნაროს[4], შეიწყნაროს[5] მომავალინებელი ჩემი. | 40. რომელმან შეგიწყნარნეს თქუენ, მე შემიწყნარა; და რომელმან მე შემიწყნა(I 81ⴁ)როს, შეიწყნაროს მომავლინებელი ჩემი. |
| 41. რომელმან შეიწყნაროს წინაწარმეტყუელი სახელად წინაწარმეტყუელისა, სასყიდელი წინაწარმეტყუელისაჲ მოიღოს[6]; და რომელმან შეიწყნაროს მართალი სახელად მართლისა, სასყიდელი მართლისაჲ მოიღოს. | 41. რომელმან შეიწყნაროს წინაწარმეტყუელი სახელად წინაწარმეტყუელისა, სასყიდელი წინაწარმეტყუელისაჲ მიიღოს; და რომელმან შეიწყნაროს მართალი სახელად მართლისა, სასყიდელი მართლისაჲ მიიღოს. |
| 42. და რომელმან ასუას ერთსა მცირეთაგანსა[7] სასუმელი ერთი წყალი[8] გრილი სახელად მოწფისა[9], ამენ (G 25ⴀ) გეტყჳ თქუენ, არა წარუწყმდეს სასყიდელი მისი. | 42. და რომელმან ასუას ერთსა მცირეთაგანსა სასუმელი ერთი წყალი გრილი სახელად მოწფისა, ამენ გეტყჳ თქუენ, არა წარუწყმდეს სასყიდელი მისი. |

# 11

| FG | HIK |
|---|---|
| 1. და იყო რაჟამს დაასრულნა იესუ ბრძანებანი ესე ათორმეტთა მიმართ მოწაფეთა მისთა, წარვიდა მიერ ქადაგებად და სწავლად ქალაქებსა მათსა. | 1. და იყო რაჟამს დაასრულნა იესუ ბრძანებანი ესე ათორმეტთა მიმართ მოწაფეთა მისთა, წარ(K 40ⴀ)ვიდა[1] მიერ ქადაგებად და სწავლად ქალაქებსა მათსა. |

---

[1] ~ ჩემსა უფროჲს F. [2] ~ არა არს იგი F. [3] ძე F. [4] შემიწყნაროს შემიწყნაროს F. [5] შეიწყნა G. [6] მიიღოს F. [7] ამათ მცირეთაგანსა F. ამათ მერმეა ჩამატებული. [8] ერთი წყალი]—G ეს სიტყვები პირველად არც F-ში ყოფილა, მერმე ჩაუმატებიათ. [9] მოწ¯ფისა G.

[1] წარ | რეიდა K.

| FG | HIK |
|---|---|
| 2. ხოლო იოვანეს[1] რაჲ ესმნეს საპყრობილესა შინა საქმენი იგი ქრისტესნი, მიავლინნა[2] მოწაფენი თჳსნი | 2. ხოლო იოვანეს რაჲ ესმნეს საპყრობილესა შინა საქმენი ქრისტესნი, მიავლინნა[1] ორნი მოწაფენი თჳსნი |
| 3. და ჰრქუა: შენ ხარა მომავალი იგი, ანუ სხუასა მოველოდით? | 3. და ჰრქუა: შენ ხარა მომავალი იგი, ანუ სხუასა მოველოდით? |
| 4. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ: მივედით და უთხართ იოვანეს[1], რომელი გესმის და ხედავთ: | 4. ხოლო იესუ მიუგო და (H 31v) ჰრქუა მათ: მივედით და უთხართ იოვანეს, რომელი გესმის და ჰხედავთ: |
| 5. ბრმანი აღიხილვენ, მკელობელნი ვლენან, კეთროვანნი[3] განწმდებიან, ყრუთა[4] ესმის, და მკუდარნი აღდგებიან და გლახაკთა ეხარების. | 5. ბრმანი აღიხილვენ, მკელობელნი ვლენან, კეთროვანნი განწმდებიან, და ყრუთა ესმის, და მკუდარნი აღდგებიან და გლა(I 32r)ხაკთა ეხარების. |
| 6. და[5] (F 24v) ნეტარ არს, რომელი არა დაბრკოლდეს ჩემდა მომართ. | 6. და ნეტარ არს, რომელი არა დაბრკოლდეს ჩემდა მომართ. |
| 7. და ვითარცა ესენი წარვიდეს, იწყო იესუ სიტყუად ერსა მას იოვანესთჳს[6]: რაჲსა გამოხუედით ხილვად? ლერწ(G 26v)მისა, ქარისაგან შერყეულისა? | 7. და ვითარცა ესენი წარვიდეს. იწყო იესუ სიტყუად ერსა მას იოვანესთჳს: რაჲსა გამოხუედით[2] უდაბნოდ ხილვად? ლერწმისა, ქარისაგან შერყეულისა? |
| 8. არამედ რაჲსა გამოხუედით ხილვად[7]? კაცისა, ჩჩჳლითა სამოსლითა[8] შემოსილისა[9]? აჰა ესერა რომელნი ჩჩჳლითა სამოსლითა[8] შემოსილ არიან, სახლთა შინა სამეუფოთა არიან. | 8. არამედ რა(K 40v)ჲსა გამოხუედით[3] ხილვად? კაცისა, ჩჩჳლითა სამოსლითა შემოსილისა? აჰა ესერა რომელნი ჩჩჳლითა სამოსლითა შემოსილ არიან, სახლთა შინა სამეუფოთა არიან. |
| 9. არამედ რაჲსა გამოხუედით ხილვად? წინაწარმეტყუელისა? ჰე[10], გეტყჳ თქუენ, და უმეტეს წინაწარმეტყუელისა. | 9. არამედ რაჲსა გამოხუედით[3] ხილვად? წინაწარმეტყუელისა? ჰე[4], გეტყჳ თქუენ, და უმეტეს წინაწარმეტყუელისა. |
| 10. რამეთუ ესე არს, რომლისათჳს წერილ არს: აჰა ესერა მე[11] წარვავლინო ანგელოზი ჩემი წინაშე შენსა, რომელმან განჰმზადნეს გზანი შენნი[12] წინაშე პირსა შენსა. | 10. რამეთუ ესე არს, რომლისათჳს წერილ არს: აჰა ესერა წარვავლინო ანგელოზი ჩემი წინაშე შენსა, რომელმან განჰმზადნეს გზანი შენნი წინაშე პირსა შენსა. |
| 11. ამენ გეტყჳ თქუენ: არა აღდგომილ არს ნაშობი დედათაჲ[13] უფროჲს იოვანეს[1] ნათლის მცემელისა; ხოლო უმცირესი სასუფეველსა ცათასა უფროჲს მისა[14] არს. | 11. ამენ გეტყჳ თქუენ: არა (H 32r) აღდგომილ არს ნაშობთაგანი დედათაჲ უფროჲს იოვანეს ნათლის-მცემელისა; ხოლო უმცირესი სასუფეველსა ცათასა უფროჲს მისა[5] არს. |

---

[1] ი̃ნჱს G. [2] მიავლინა F. [3] კეთროანნი F. [4] და ყრუთა G. [5] და \| და F. [6] ი̃ნჱსთჳს G. [7] ხილვად] — FG. [8] სამუსლითა F. [9] შემოსილითა G. [10] ჰე] აჰა FG. [11] მე] — F. [12] წინაშე შენსა, რომელმან განჰმზადნეს გზანი შენნი] — G. გადამწერს აქაც გადასცურებია თვალი მომდევნო განმეორებულ სიტყვებზე. [13] ნაშობი დედათაჲ] ნაშობთაგანი დედათაჲსა F. [14] მისსა F.

[1] მიავლინა K. [2] გამოხუჱდით H. [3] გამოხუჱდით HI. [4] ჰჱ IK. [5] მისსა K.

FG

12. რამეთუ დღითგან იოვანეს[1] ნათლის-მცემელისაჲთ ვიდრე აქამომდე სასუფეველი ცათაჲ იიძულების[2]; და რომელნი აიძულებდენ, მათ მიიტაცონ იგი.

13. რამეთუ ყოველნი წინაწარმეტყუელნი და შჯული ვიდრე იოვანესამდე[3] წინაწარმეტყუელებდეს.

14. და უკუეთუ გნებავს შეწყნარების, იგი არს ელია, რომელი მოვალს.

15. რომელსა (F 26r) ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!

16. (G 28r) აწ ვის ვამსგავსო ნათესავი ესე? მსგავს არს ყრმათა, რომელნი სხენედ უბანთა და მოუწესედ[4] მოყუასთა თჳსთა

17. და ეტყჳედ მათ: გისტკნევდით თქუენ, და არა ჰროკევდით; გიგოდებდით, და არა ეტყებდით.

18. რამეთუ მოვიდა იოვანე[5], არცა ჰამდა, არცა სუმიდა, და იტყჳან, ვითარმედ: ეშმაკეულ არს.

19. მოვიდა ძჱ[6] კაცისაჲ, ჰამს და სუამს, და იტყჳან: აჰა კაცი მჭამელი და ღჳნისა მსუმელი, მეგობარი მეზუერეთა და ცოდვილთაჲ. და განმართლდა სიბრძნე შვილთაგან თჳსთა[7].

20. მაშინ იწყო იესუ ყუედრებად ქალაქებისა მის, სადა-იგი ექმნეს უმრავლესნი ძალნი მისნი, რამეთუ არა შეინანეს:

21. ვაჲ შენდა, ქორაზინ, და[8] ვაჲ შენდა, ბეთსაიდა! რამეთუ ტჳროსს[9] თუმცა და სიდონს იქმნეს ძალნი, რომელნი იქმნნეს[10] თქუენ შორის, მაშინვე სამემცა ძაძითა ნაცარსა ზედა მსხდომარეთა შეინანეს.

22. ხოლო გეტყჳ თქუენ, რამეთუ ტჳროსი და სიდონი უმოლხინეს იყოს დღესა მას საშჯელისასა, (G 28v) ვიდრე თქუენ.

HIK

12. რამეთუ დღითგან იოვანე ნათლის-(I 32v)მცემელისაჲთ ვიდრე აქამომდე სასუფეველი ცათაჲ იიძულების; და რომელნი აიძულებდენ, მათ მიიტაცონ იგი.

13. რამეთუ ყოველნი წინაწარმეტყუელნი და სჯული[1] ვიდრე იოვანესამდე წინაწარმეტყუელებდეს.

14. და უკუეთუ[2] გნებავს შეწყნარების, იგი არს ელია, რომელი მოვალს.

15. რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!

16. აწ ვის ვამსგავსო ნათესავი ესე? მსგავს არს ყრმათა, რომელნი სხენედ უბანთა და მოუწესედ მოყუას(K 41r)თა თჳსთა

17. და ეტყჳედ მათ: გისტკნევდით თქუენ, და არა ჰროკევდით; გიგოდებდით, და არა იტყებდით.

18. რამეთუ მოვიდა იოვანე, არცა ჰამდა, არცა სუმიდა, და იტყჳან, ვითარმედ: ეშმაკეულ არს.

19. მოვიდა ძე კაცისაჲ, ჰამს და სუამს, და იტყჳან: აჰა კაცი მჭამელი და ღჳნის-მსუმელი, (H 82v) მეგობარი მეზუერეთა[3] და ცოდვილთაჲ. და განმართლდა სიბრძნე შვილთაგან თჳსთა.

20. მაშინ იწყო იესუ ყუედრებად[4] ქალაქებისა მის, სადა-იგი იქმნნეს[5] უმრავლესნი ძალნი (I 80r) მისნი, რამეთუ არა შეინანეს:

21. ვაჲ შენდა, ქორაზინ, და ვაჲ შენდა, ბეთსაიდა! რამეთუ ტჳროსს თუმცა და სიდონს იქმნნეს ძალნი, რომელნი იქმნნეს თქუენ შორის, მაშინვე სამემცა ძაძითა ნაცარსა ზედა მსხდომარეთა შეინანეს.

22. ხოლო გეტყჳ თქუენ, რამეთუ ტჳროსი და სიდონი უმოლხინეს იყოს დღესა მას სასჯელისასა[6], ვიდრე თქუენ.

---

[1] ი˜ნჱს G. [2] იძულების FG. [3] ი˜ნჱსამდე G. [4] მოუწეს G. [5] ი˜ნჱ G. [6] ძე F. [7] თ˜ს | სთა F. [8] და] — F. [9] ტჳროზს F. [10] იქმ˜ნეს G, იქმნეს F.

[1] შჯული HI. [2] უკუჱთუ HI. [3] მეზუჱრეთა HI. [4] ყუჱდრებად HI. [5] იქმნეს HI. [6] საშჯელისასა HI.

| FG | HIK |
|---|---|
| 23. ხოლო შენ, კაფარნაომ, ნუ ცამდე[1] აჰმაღლდები, არამედ ჯოჯოხეთამდე შთაჰჴდე, რამეთუ სოდომას[2] თუმცა იქმნნეს[3] ძალნი, რომელნი იქმ(F 25v)ნნეს[4] შენ[5] შორის, ჰგიანმცა დღენდელად დღედმდე[6]. | 23. ხოლო შენ, კაპერნაუმ, ნუ ცადმდე აჰმაღლდები, არამედ ჯოჯოხეთადმდე[1] შთაჰჴდე, რამეთუ სოდომს თუმცა იქმნნეს ძალნი, რომელნი იქმნნეს[2] შენ შორის, ჰგიანმცა დღენდელად დღედმდე. |
| 24. ხოლო გეტყჳ თქუენ, რამეთუ ქუეყენაჲ იგი სოდომისაჲ და გომორისაჲ უმოლხინეს იყოს დღესა მას საშჯელისასა, ვიდრე შენ. | 24. ხოლო გეტყჳ თქუენ, რამეთუ ქუეყანაჲ იგი სოდომისაჲ უმოლხინეს[3] იყ(K 41v)ოს დღესა მას სასჯელისასა[4], ვიდრე შენ. |
| 25. მას ჟამსა შინა იტყოდა იესუ და თქუა: აღგიარებ[7] შენ, მამაო, უფალო ცისა და ქუეყანისაო, რამეთუ დაჰფარე ესე ბრძენთაგან და მეცნიერთა და გამოუცხადე ესე ჩჩჳლთა. | 25. მას ჟამსა შინა იტყოდა იესუ და თქუა: აღგიარებ შენ, მამაო, უფალო ცისა და ქუეყანისაო, რამეთუ დაჰფა(H 38r)რე ესე ბრძენთაგან და მეცნიერთა და გამოუცხადე ესე ჩჩჳლთა. |
| 26. ჰე, მამაო, რამეთუ ესრეთ სათნო-იყო შენ წინაშე. | 26. ჰე[5], მამაო, რამეთუ ესრეთ სათნო-იყო შენ წინაშე. |
| 27. ყოველივე მომეცა მე მამისა ჩემისა მიერ; და არავინ იცის ძჱ, გარნა მამამან; არცა მამაჲ ვინ იცის, გარნა ძემან; და[8] რომლისაჲ უნდეს ძესა[9] გამოცხადების, გამოუცხადოს. | 27. ყოველივე მომეცა მე მამისა ჩემისა მიერ; და არავინ იცის ძე, გარნა მამამან; არცა მამაჲ ვინ იცის, (I 80v) გარნა ძემან, და რომლისაჲ უნდეს ძესა გამოცხადების. |
| 28. მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და რომელთა ტჳრთი მძიმე გეტჳრთა, და მე განგისუენო (G 27r) თქუენ. | 28. მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტჳრთმძიმენი, და მე განგისუენო[6] თქუენ. |
| 29. აღიღეთ უღელი ჩემი თქუენ ზედა და ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშჳდ ვარ და მდაბალ გულითა, და ჰპოოთ განსუენებაჲ სულთა თქუენთაჲ. | 29. აღიღეთ უღელი ჩემი თქუენ ზედა და ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშჳდ ვარ და მდაბალ გულითა, და ჰპოოთ განსუენებაჲ[7] სულთა თქუენთაჲ. |
| 30. რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს, და ტჳრთი ჩემი მცირე არს. | 30. რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს, და ტჳრთი ჩემი სუბუქ არს. |

## 12

| FG | HIK |
|---|---|
| 1. მას ჟამსა შინა წარვიდოდა იესუ დღესა შაბათსა ყანობირსა მათსა. ხოლო მოწაფეთა მისთა შეემშია და იწყეს მუსრეად თავსა ჴუვილისასა და ჭამად. | 1. მას ჟამსა შინა წარვიდოდა იესუ დღესა შაბათსა ყანობირსა მათსა. ხოლო მოწაფეთა მისთა შეემშია და იწყეს მუსრვად თავსა ჴუვილისასა და ჭამად. |

---

[1] ცა\|დე F. [2] სოდომასა F. პირველი ა მერმეა დამატებული ზემოდან. [3] იქმნეს F. [4] იქმ\|ნეს F. [5] შენ] თქუენ G. [6] დღემდე F. [7] აგიარებ F. [8] და] — F. [9] ძჱსა G.

[1] ჯოჯოხეთამდე HI. [2] იქმნეს HI. [3] ჳმოლხინჱს K. [4] საშჯელისასა HI. [5] ჰჱ IK. [6] განგისუჱნო HI. [7] განსუჱნებაჲ HI.

FG

2. ხოლო ფარისეველთა მათ იხილეს (F 26r) რაჲ, ჰრქუეს მას: აჰა ესერა მოწაფენი შენნი იქმან, რომელი არა ჯერ-არს შაბათსა შინა საქმედ.

3. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: არა აღმოგიკითხავსა, რაჲ-იგი ყო დავით, ოდეს-იგი შეემშია მას და მისთანათა მათ?

4. ვითარ-იგი შევიდა სახლსა ღმრთისასა და პურნი[1] იგი შესაწირავთანი[2] შეჭამნა[3], რომელთაჲ არა ჯერ-იყო ჭამად მისა, არცა მისთანათა[4] მათ, გარნა მღდელთა[5] ხოლო?

5. ანუ არა აღმოგიკითხავსა შჯულსა, რამეთუ შაბათსა შინა მღდელთა (G 27v) ტაძარსა მას შინა შაბათი შეურაცხ-ყვიან და უბრალო არიან?

6. ხოლო გეტყჳ თქუენ, ვითარმედ: ტაძრისა[6] უფროჲს არს აქა.

7. უკუეთუმცა გეცნა, რაჲ არს: წყალობაჲ მნებავს და არა მსხუერპლი, არამცა დასაჯენით უბრალონი.

8. რამეთუ უფალ არს ძჱ[7] კაცისაჲ შაბათისაცა.

9. და წარმოვიდოდა მიერ იესუ და მოვიდა შესაკრებელსა მათსა.

10. და იყო მუნ კაცი, რომელსა ჴელი განჴმელ ედგა. და ჰკითხვიდეს მას და ეტყოდეს: უკუეთუ ჯერ-არს შაბათსა კურნებაჲ? რაჲთამცა შეასმინეს იგი.

11. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: ვინ არს თქუენგანი კაცი, რომელსა ედგას ცხოვარი ერთი და შთავარდეს იგი დღესა შაბათსა ჭურღმუ(F 26v)ლსა, არა-მე უპყრასა და აღმოიქუას იგი?

12. რაოდენ უმჯობეს არს კაცი ცხოვრისა[8]? ამისთჳს ჯერ-არს შაბათსა შინა[9] კეთილისა საქმჱ[10].

13. მაშინ ჰრქუა იესუ კაცსა მას: განირთხ ჴელი შენი! და მან (G 28r) გა-

HIK

2. (K 42r) ხოლო ფარისეველთა მათ იხილეს რაჲ, ჰრქუეს[1] მას: აჰა მოწაფენი შენნი იქმან, რომელი არა ჯერ-არს შაბათსა შინა საქმედ.

3. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: (H 33v) არა აღმოგიკითხავსა, რაჲ-იგი ყო დავით, ოდეს-იგი შეემშია და მისთანათა მათ?

4. ვითარ-იგი შევიდა სახლსა ღმრთისასა და პურნი იგი შესაწირავთანი შეჭამნა, რომელთაჲ არა ჯერ-იყო ჭამად მისა[2], არცა მისთანათა მათ, გარნა მღდელთა ხოლო?

5. (I 34r) ანუ არა აღმოგიკითხავსა შჯულსა, რამეთუ შაბათთა შინა მღდელთა ტაძარსა მას შინა შაბათი შეურაცხ-ყვიან და უბრალო იყვნიან?

6. ხოლო გეტყჳ თქუენ, ვითარმედ: ტაძრისა უფროჲს არს აქა.

7. უკუეთუმცა გეცნა, რაჲ არს: წყალობაჲ მნებავს და არა მსხუერპლი, არამცა დასაჯენით უბრალონი.

8. უფალ არს ძე კაცისაჲ შაბათისაცა[3].

9. და წარმოვიდა მიერ იესუ და მოვიდა შესაკრებელსა მათსა.

10. და იყო მუნ კაცი ერთი, რომელსა ჴელი განჴმელ ედგა. ჰკითხვიდეს მას და ეტყოდეს: უკუეთუ ჯერ-არს შაბათსა კურნებაჲ? რაჲთამცა შეასმინეს იგი.

11. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: ვინ არს თქუენგანი კაცი, რომელსა ედგას ცხოვარი ერთი და შთავარ(H 34r)დეს იგი დღესა შაბათსა ჭურღ(K 42v)მულსა, არა-მე უპყრასა და აღმოიქუას იგი?

12. რაოდენ უმჯობეს არს კაცი ცხოვრისა? ამისთჳს ჯერ-არს შაბათსა შინა კეთილისა საქმე.

13. მაშინ ჰრქუა იესუ კაცსა მას: განირთხ ჴელი შენი! და მან განირთხა

---

[1] პური G. [2] შესაწირავთაჲ FG. [3] შეჭამა G. [4] მის[illegible] G. [5] მღდელთაჲ FG. [6] ტაძრი F. [7] ძე F. [8] საცხოვრისა G. [9] შინა] — F. [10] ს[illegible] F.

[1] ჰრქუეს I. [2] მისსა K. [3] შაბათისაცა K.

### FG

ნირთხა ჴელი, და კუალად მოეგო ცოცხალი, ვითარცა ერთი იგი.

14. ხოლო ფარისეველნი იგი გამოვიდეს და ზრახვა-ყვეს მისთჳს, რაჲთა წარწყმიდონ იგი. ხოლო იესუ გულისხმა-ყო[1] და განეშორა მიერ და წარვიდა.

15. და მისდევდა მას ერი მრავალი, და განკურნნა[2] იგი[3] ყოველნი.

16. და ამცნო მათ, რაჲთა არა გამოაცხადონ იგი.

17. რაჲთა აღესრულოს თქუმული იგი ესაია წინაწარმეტყუელისაჲ, რომელსა იტყჳს[4]:

18. აჰა ესერა ძჱ[5] ჩემი, რომელი მე სათნო-ვიყავ, საყუარელი ჩემი, რომელი სთნავს სულსა ჩემსა. და დავდვა სული ჩემი მის ზედა, და სამართალი წარმართთა მიუთხრას.

19. არა ჰკდებოდის[6], არცა ღაღადებდეს, არცა ესმეს ვის უბანთა ზედა ჴმაჲ მისი.

20. ლერწამი შემუსრვილი არა განტეხოს და პატრუკი[7] მბნდჳნვარე[8] არა დაშრიტოს, ვიდრემდე[9] გამოიღოს ძლევად საშჯელი.

21. და სახელსა მისსა წარმართნი ესვიდენ.

22. (G 26v) მაშინ მოჰგუარეს მას ეშმაკეული ბრმაჲ და ყრუჲ[10], (F 27r) და განკურნა იგი, ვითარმედ ყრუი[10] იგი და ბრმაჲ ხედვიდა და იტყოდა.

23. და განუკჳრდებოდა ერსა მას და იტყოდეს: ნუუკუე ესე არს ქრისტე[11], ძჱ დავითისი?

24. ხოლო ფარისეველთა მათ ვითარცა ესმა ესე, იტყოდეს: ესე არა განასხამს ეშმაკთა, გარნა ბელზებულითა[12], მთავრითა ეშმაკთაჲთა.

25. იცნოდა[13] იესუ ზრახვანი იგი გულისა მათისანი და ჰრქუა მათ: ყოველი

### HIK

ჴელი, და კუალად მოეგო ცოცხალი, ვითარცა ერთი იგი.

14. (I 34v) ხოლო ფარისეველნი იგი გამოვიდეს და ზრახვა-ყვეს მისთჳს, რაჲთა წარწყმიდონ იგი. ხოლო იესუ გულისჴმა-ყო და განეშორა მიერ და წარვიდა.

15. და მისდევდა მას ერი მრავალი, და განკურნნა იგი ყოველნი.

16. და ამცნო მათ, რაჲთა არა გამოაცხადონ იგი.

17. რაჲთა აღესრულოს თქუმული იგი ესაია წინაწარმეტყუელისაჲ, რომელსა იტყჳს:

18. აჰა ესერა ძე ჩემი, რომელი მე სათნო-ვიყავ, საყუარელი ჩემი, რომელი სთნავს სულსა ჩემსა. დავდვა სული ჩემი მის ზედა, და სამართალი წარმართთა მიუთხრას.

19. არა ჰკდებოდის, არცა ღაღადებდეს, არცა ესმეს ვის უბანთა (K 43r) ზედა ჴმაჲ მისი.

20. ლერწამი შემუსრვილი (H 34v) არა განტეხოს და პატრუკი მბნდჳნვარე არა დაშრიტოს, ვიდრემდე გამოიღოს ძლევად სასჯელი[1].

21. და სახელსა მისსა წარმართნი ესვიდენ.

22. მაშინ მოჰგუარეს მას ეშმაკეული ბრმაჲ და ყრუჲ, და განკურნა იგი, ვითარმედ ყრუჲ იგი და ბრმაჲ ხედვიდა და იტყოდა.

23. და განუკჳრდებოდა ერსა მას და იტყოდეს: ნუუკუე[2] ესე არს ძე დავითისი?

24. (I 35r) ხოლო ფარისეველთა მათ ვითარცა ესმა ესე, იტყოდეს: ესე არა განასხამს ეშმაკთა, გარნა ბელზებულითა, მთავრითა მით ეშმაკთაჲთა.

25. იცოდნა იესუ ზრახვანი იგი გულისა მათისანი და ჰრქუა მათ: ყოველი

---

[1] გულისჴმა-ყო F. [2] განკურნა F. [3] იგინი F. [4] იტყჳს G. [5] ძჱ] მონაჲ F. [6] ჰკდებოდის F, ჰკდებოდეს G. [7] პატრუკი F. [8] ბდჳნვარე G. [9] ვ͞დე G. [10] ყრომ G. [11] ქ͞ჱ F. [12] ბერზებულითა G. [13] იცნოდნა G.

[1] საშჯელი HI. [2] ნუუძჱ HI

FG

მეუფებაჲ, რომელი განეჳთის თავსა თჳსსა, ვერ დაემტკიცის[1]; და ყოველი ქალაქი გინა სახლი, რომელი განეჳთის თავსა თჳსსა, მოოჴრდის.

26. და უკუეთუ ეშმაკი ეშმაკთა განასხამს, თავსა თჳსსა განეჳთა; ვითარ-მე[2] მტკიცე არს მეუფებაჲ მისი?

27. და უკუეთუ მე ბელზებულითა[3] განვასხამ ეშმაკთა, ძენი თქუენნი (G 28r) რაჲთა განასხმენ? ამისთჳს იგინივე მსაჯულ თქუენდა იყვნენ.

28. უკუეთუ მე სულითა ღმრთისაჲთა[4] განვასხამ ეშმაკთა[5], მო-სამე-იწია[6] თქუენ ზედა სასუფეველი ღმრთისაჲ.

29. ანუ ვითარ ვის ჴელ-ეწიფების სახლსა ძლიერისასა[7] შესლვად და ჭურჭელი მისი გამოღებად, უკუეთუ არა პირველად შეკრას ძლიერი[8] იგი და მაშინღა[9] სახლი მისი იავარ-ყოს.

30. რომელი არა არს ჩემ თანა, იგი ჩემი მტერი არს; და რომელი არა შეკრებს (F 27v) ჩემ თანა, იგი განაბნევს.

31. ამისთჳს გეტყჳ თქუენ: ყოველი ცოდვაჲ და გმობაჲ მიეტეოს კაცთა, ხოლო სულისა წმიდისა გმობაჲ არა მიეტეოს კაცთა.

32. და რომელმან თქუას სიტყუაჲ ძისათჳს კაცისა[10], მიეტეოს მას; ხოლო რომელმან თქუას სულისა წმიდისათჳს, არა მიეტეოს მას არცა ამას სოფელსა, არცა მერმესა.

33. ანუ ყავთ ხე იგი კეთილ და ნაყოფიცა მისი კეთილ; ანუ ყავთ ხე იგი ხენეშ და ნაყოფიცა მისი ხენეშ; რამეთუ ნაყო(G 28v)ფისაგან ხე იგი საცნაურ არს.

34. ნაშობნო იქედნეთანო, ვითარ ჴელ-გეწიფების კეთილისა სიტყუად, რამეთუ თქუენ უკეთურნი ხართ? რამეთუ ნამეტავისაგან[11] გულისა პირი იტყჳნ[12].

HIK

მეუფებაჲ, რომელი განევლთის თავსა თჳსსა, მოოჴრდის; და ყოველი ქალაქი გინა სახლი, რომელი განევლთის თავსა თჳსსა, ვერ დაემტკიცოს.

26. და უკუეთუ ეშმაკი ეშმაკსა განჰკლის, თავსა თჳსსა გა(K 43v)ნევლთა; ვითარ დამტკიცნეს მეუფებაჲ მისი?

27. და უკუეთუ მე ბელზებულითა განვასხამ ეშმაკთა, ძენი თქუენ(H 35r)ნი რაჲთა განახსმენ? ამისთჳს იგინივე მსაჯულ თქუენდა იყვნენ.

28. უკუეთუ მე სულითა ღმრთისაჲთა განვასხამ ეშმაკთა, მო-სამე-იწია თქუენ ზედა სასუფეველი ღმრთისაჲ.

29. ანუ ვითარ ვის ჴელ-ეწიფების სახლსა ძლიერისასა შესლვად და ჭურჭელი მისი გამოტყუენვად[1], უკუეთუ არა პირველად შეკრას ძლიერი იგი და მაშინღა სახლი მისი იავარ-ყოს.

30. რომელი არა არს ჩემ თანა, (I 35v) იგი მტერი ჩემი არს; და რომელი არა შეჰკრებს ჩემ თანა, იგი განაბნევს.

31. ამისთჳს გეტყჳ თქუენ: ყოველი ცოდვაჲ და გმობაჲ მიეტეოს კაცთა, ხოლო სულისა წმიდისა გმობაჲ არა მიეტეოს კაცთა.

32. და რომელმან თქუას სიტყუაჲ ძისა კაცისათჳს, მიეტეოს მას; ხოლო რომელმან თქუას სულისა წმიდისათჳს, არა მიეტეოს მას არცა ამას სოფელსა, არცა მერმესა მას.

33. ანუ ყავთ ხე იგი კეთილ და ნაყოფიცა მისი კეთილ; ანუ ყავთ ხე იგი ხენეშ და ნაყოფიცა მისი ხენეშ; რამეთუ ნაყოფისაგან ხე იგი საცნაურ არს.

34. ნაშობნო იქედნეთანო, ვითარ ჴელ-გეწიფე(H 35v)ბის კეთილისა სიტყუად, რამეთუ თქუენ უკეთურნი ხართ? (K 44r) რამეთუ ნამეტავისაგან[2] გულისა პირი იტყჳნ.

---

[1] დაემტკიცოს F. [2] ვითარ G. [3] ბერზებულითა G. [4] ღმრთისაჲთა]—G. [5] ეშმაკთა]—G. [6] მო-მე-იწია FG. [7] ძრიელისასა FG. [8] ძრიელი FG. [9] მაშინ F. [10] ~ ძისა კაცისათჳს G. [11] ნამეტნავისაგან F. [12] იტყჳს G.

[1] გამოტყუენვად HI. [2] ნამეტნავისაგან K.

| FG | HIK |
|---|---|
| 35. კეთილმან კაცმან კეთილისაგან საუნჯისა გამოიღის კეთილი, და ბოროტმან კაცმან ბოროტისაგან საუნჯისა გამოიღის ბოროტი. | 35. კეთილმან კაცმან კეთილისაგან საუნჯისა გამოიღის კეთილი, და ბოროტმან კაცმან ბოროტისაგან საუნჯისა გამოიღის ბოროტი. |
| 36. ხოლო მე გეტყჳ თქუენ, რამეთუჲ ყოველი სიტყუაჲ უქმი რომელსა იტყოდიან კაცნი, მისცენ სიტყუაჲ მისთჳს დღესა მას საშჯელისასა. | 36. ხოლო მე გეტყჳ თქუენ, რამეთუჱ ყოველი სიტყუაჲ უქმი რომელსა იტყოდიან კაცნი, მისცენ სიტყუაჲ მისთჳს დღესა მას სასჯელისასა[1]. |
| 37. რამეთუ სიტყუათა შენთაგან განჰმართლდე და სიტყუათა შენთაგან დაისაჯო. | 37. რამეთუ (I 38r) სიტყუათა შენთაგან განჰმართლდე და სიტყუათა შენთაგან დაისაჯო. |
| 38. მაშინ მი-ვიეთმე-უგეს მწიგნობართაგანთა და ფარისეველთა და ჰრქუესჳ მოძღუარ, გუნებავს შენგან სასწაულისა ხილვაჲ. | 38. მაშინ მი-ვიეთმე-უგეს მწიგნობართაგან და ფარისეველთა და ჰრქუეს[2]ჳ მოძღუარ, გუნებავს შენგან სასწაულისა ხილვად. |
| 39. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: ნათესავი ბორ(F28r)ოტი და მემრუშე სასწაულსა ეძიებს, და სასწაული არა ეცეს მას, გარნა სასწაული იგი იონა[1] წინაწარმეტყუელისაჲ. | 39. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: ნათესავი ბოროტი და მემრუშე სასწაულსა ეძიებს, და სასწაული არა ეცეს მას, გარნა სასწაული იგი იონა წინაწარმეტყუელისაჲ[3]. |
| 40. (G 30r) რამეთუ ვითარცა-იგი იყო იონა[2] მუცელსა ვეშაპისასა სამ დღე[3] და სამ ღამე[4], ეგრეთ იყოს ძჱ[5] კაცისაჲ გულსა ქუეყანისასა სამ დღე და სამ ღამე. | 40. რამეთუ ვითარცა-იგი იყო იონა მუცელსა ვეშაპისასა სამ დღე და სამ ღამე, ეგრეთ იყოს ძე კაცისაჲ გულსა ქუეყანისასა სამ დღე და სამ ღამე. |
| 41. კაცნი იგი ნინეველნი აღდგენ საშჯელსა მას ნათესავისა ამის თანა და დაშჯიდენ მათ, რამეთუ შეინანეს ქადაგებასა მას იონაჲსსა[6]; და აჰა ესერა უდიდეს[7] იონაჲსა არს აქა. | 41. კაცნი იგი ნინეველნი აღდგენ სასჯელსა[4] მას ნათესავისა ამის თა(H 88r)ნა და დასჯიდენ[5] მათ, რამეთუ შეინანეს ქადაგებასა მას იონაჲსსა; და აჰა ესერა უფროჲს იონაჲსსა არს აქა. |
| 42. დედოფალი იგი სამხრისაჲ აღდგეს საშჯელსა მას[8] ნათესავისა ამის[9] თანა და დასაჯოს იგი, რამეთუ[10] მოვიდა იგი[11] კიდით ქუეყანისაჲთ სმენად სიბრძნესა სოლომონისსა[12]; და აჰა ესერა უდიდეს სოლომონისა არს აქა. | 42. დედოფალი იგი სამხრისაჲ აღდგეს სასჯელ(K 44v)სა[4] მას ნათესავისა ამის თანა და დასაჯოს იგი, რამეთუ მოვიდა კიდით ქუეყანისაჲთ სმენად სიბრძნესა სოლომონისსა; და (I 38v) აჰა ესერა უფროჲს სოლომონისსა არს აქა. |
| 43. ხოლო რაჟამს სული იგი არაწმიდაჲ განვიდის კაცისაგან, მიმოვალნ ურწყულთა ადგილთა და ეძიებნ განსუენებასა[13] და არა პოეის[14]. | 43. ხოლო რაჟამს სული იგი არაწმიდაჲ განვიდის კაცისაგან, მიმოვალნ ურწყულთა ადგილთა და ეძიებნ განსუენებასა[6] და არა პოვის. |

---

[1] იენა F. [2] ~ იონა იყო G. [3] დღე დღჱ F. [4] ღამჱ G. [5] ძე F. [6] იონ̄სა F. [7] უდიდეს F. [8] მას] — F. [9] ~ ამის ნათესავისა F. [10] რ̃მ \| რ́ F. [11] იგი] — F. [12] სოლომონისა F. [13] განსასუენებელსა G. [14] პოის F.

[1] საშჯელისასა HI. [2] ჰქ̄ჱს I. [3] წინაჲსწარმეტყუელისაჲ HI, წწყ̄ლისაჲ K. [4] საშჯელსა HI. [5] დაშჯიდენ HI. [6] განსუჱნებასა HIK.

| FG | HIK |
|---|---|
| 44. მაშინ თქჳს: მივიქცე სახედ ჩემდა, ვინაჲცა-იგი[1] გამოვედ; და[2] მოვიდის და პოვის იგი მოცალე[3], განშუენებული[4] და შემკული. | 44. მაშინ თქჳს: მივიქცე სახედ ჩემდა, ვინაჲცა გამოვედ; და მო-რაჲ-ვიდის, პოვის იგი მოცალე, განშუენებული[1] და შემკული. |
| 45. მაშინ წარვიდის და მო(G 80v)იყვანნის[5] მის თანა[6] სხუანი სულნი შჳდნი, უბოროტესნი[7] მისა[8], და მოვიდის და დაემკჳდრის მუნ. და იქმნის უკუანაჲსკნელი კაცისაჲ მის უძჳ(F 28v)რეს პირველისა მის[9]. ესრეთ ეყოს[10] ნათესავსა ამასცა უკეთურსა. | 45. მაშინ წარვიდის და მოიყვანნის მის თანა სხუანი შჳდნი სულნი, უბოროტესნი მისა[2], და მოვიდის და დაემკჳდრის მუნ. და იქმნის უკუანაჲსკნელი კაცისაჲ მის უძჳრეს პირველისა. ესრეთ ეყოს ნათესავსა ამასცა უკეთურსა. |
| 46. და იყო ვიდრე[11] იგი ეტყოდალა ერსა მას, აჰა ესერა დედაჲ მისი და ძმანი მისნი დგეს გარე და ეძიებდეს მას სიტყუად. | 46. და იყო ვიდრე იგი ეტყოდალა ერსა მას, აჰა ესერა დედაჲ მისი (H 38v) და ძმანი მისნი დგეს გარე და ეძიებდეს მას სიტყუად. |
| 47. მაშინ ჰრქუა ვინმე მას: აჰა დედაჲ შენი და ძმანი შენნი დგანან გარე და უნებს რაჲმე სიტყუად შენდა. | 47. მაშინ (K 45r) ჰრქუა ვინმე მას: აჰა დედაჲ შენი და ძმანი შენნი დგანან გარეშე და უნებს რაჲმე სიტყუად შენდა. |
| 48. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მეტყუელსა მას: ვინ არს დედაჲ ჩემი, ანუ ვინ არიან ძმანი ჩემნი? | 48. ხოლო იესუ მიუგო მეტყუელსა[3] მას და ჰრქუა: ვინ არს დედაჲ ჩემი, ანუ ვინ არიან ძმანი ჩემნი? |
| 49. და მიყო ჴელი თჳსი მოწაფეთა თჳსთა და თქუა[12]ჲ აჰა დედაჲ ჩემი და ძმანი ჩემნი! | 49. და მიყო ჴელი მისი მოწაფეთა მიმართ (I 87r) თჳსთა და თქუაჲ აჰა დედაჲ ჩემი და ძმანი ჩემნი! |
| 50. რამეთუ რომელმან ყოს ნებაჲ მამისა ჩემისა ზეცათაჲსაჲ[13], იგი არს ძმაჲ ჩემი[14] და დაჲ და დედაჲ ჩემი. | 50. რამეთუ რომელმან ყოს ნებაჲ მამისა ჩემისა ზეცათაჲსაჲ, იგი არს ძმაჲ და დაჲ და დედაჲ ჩემი. |

## 13

| | |
|---|---|
| 1. მას დღესა შინა გამოვიდა იესუ სახლისა მისგან და დაჯდა იგი ზღჳს-კიდესა. | 1. მას დღესა შინა გამოვიდა იესუ სახლისა მისგან და დაჯდა იგი ზღჳს-კიდესა. |
| 2. და შეკრბა მისა ერი მრავალი, ვიდრე შესლვადმდე (G 31r) მისა ნავად და დაჯდომად[15]. და ყოველი იგი ერი ზღჳს-კიდესა დგა. | 2. და შეკრბა მისა[2] ერი მრავალი, ვიდრე შესლვადმდე მისა[2] ნავად და დაჯდომად. და ყოველი იგი ერი ზღჳს-კიდესა დგა. |

---

[1] ვინაჲცა F. [2] და] — G. [3] მოცალედ G. [4] განშუენებულა G (= განშუენებულად. მომდევნო და-ს დ ორივეს ეკუთვნის: განშუენებულადა = განშუენებულად და). [5] მიიყვანნის G. [6] მის თანა] — F. [7] და უბოროტესნი G. [8] მისსა F. [9] მის] — F. [10] იყოს G. [11] ვიდრე] ვითარ F. [12] ჰრქუა F. [13] ზეცათაჲსა G. [14] ჩემი] — G. [15] და დაჯდომად] — G.

[1] განშუჱნებული HI. [2] მისსა K. [3] მეტყუჱლსა HI. [4] მისსა K.

| FG | HIK |
|---|---|
| 3. და ეტყოდა მათ[1] მრავალსა იგავით და ჰრქუა[2]: ესერა გამოვიდა მთესვარი თესვად. | 3. და ეტყოდა მათ მრავალსა იგავით და ჰრქუა: ესერა გამოვიდა მთესვარი თესვად. |
| 4. და თესვასა მას მისსა[3] რომელიმე დავარდა გზასა ზედა და მოვიდეს მფრინველნი ცისანი და შეჭამეს იგი. | 4. და თესვასა მას მისსა რომელიმე დავარდა გზასა ზედა. და მოვიდეს მფრინველნი ცისანი და შეჭამეს იგი. |
| 5. და სხუაჲ დავარდა კლდოანსა[4] ზედა. სადა არა იყო მი(F 29r)წაჲ ფრიად; და მეყსეულად აღმოსცენდა, და რამეთუ არა იყო სიღრმე მიწისაჲ, | 5. და სხუაჲ დავ(K 45v)არდა კლდოვანსა ზედა, სადა (H 37r) არა იყო მიწაჲ ფრიად; და მეყსეულად აღმოსცენდა, და რამეთუ არა იყო სიღრმე მიწისაჲ, |
| 6. მზჱ აღმოჰჴდა[5], და დაცხა[6], და[7] რამეთუ ძირნი არა დაებნეს, და[8] განჴმა. | 6. მზე რაჲ აღმოჰჴდა, დასცხა, და რამეთუ ძირნი არა დაებნეს, განჴმა. |
| 7. და სხუაჲ იგი დავარდა ეკალთა შორის, და აღმოსცენდეს ეკალნი და შეაშთვეს იგი. | 7. და სხუაჲ იგი დავარდა ეკალთა შორის, და აღმოსცენდეს ეკალნი და შეაშთვეს იგი. |
| 8. და რომელიმე დავარდა ქუეყანასა კეთილსა და მოსცემდა ნაყოფსა: რომელიმე ასსა, რომელიმე[9] სამეოცსა[10] და რომელიმე ოც და ათსა. | 8. და რომელიმე დავარდა ქუეყანასა კეთილსა და მოსცემდა ნაყოფსა: (I 87v) რომელიმე ასსა, რომელიმე სამეოცსა. რომელიმე ოც და ათსა. |
| 9. რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ: | 9. რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ! |
| 10. და მოუჴდეს მოწაფენი მისნი და ჰრქუეს მას[11]: რაჲსათჳს იგავით ეტყჳ მათ? | 10. და მოუჴდეს მოწაფენი და ჰრქუეს[1] მას: რაჲსათჳს იგავით ეტყჳ მათ? |
| 11. ხოლო იესუ ჰრქეა მათ: თქუენდა მოცემულ არს ცნობად საიდუმლოჲ (G 31v) სასუფეველისა ცათაჲსაჲ[12], ხოლო მათდა არა მიცემულ არს. | 11. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: თქუენდა მოცემულ არს ცნობად საიდუმლოჲ სასუფეველისა ცათაჲსაჲ, ხოლო მათდა არა მიცემულ არს. |
| 12. რამეთუ[13] რომელსა აქუნდეს, მიეცეს და მიემატოს[14]; და რომელსა არა აქუნდეს, და[9] რომელღა-იგი აქუნდეს, მო-ვე-ღოს მას. | 12. რამეთუ რომელსა აქუნდეს, მიეცეს და მიემატოს; და რომელსა არა აქუნდეს, და რომელღა-იგი აქუს[2], მო-ვე-ღოს მას. |
| 13. ამისთჳს იგავით ვეტყჳ მათ, რამეთუ ხედვენ და არა ხედვენ, ესმის და არა ესმის, არცაღა[15] გულისხმა-ყვიან[16]. | 13. ამისთჳს იგავით ვეტყჳ მათ, რამეთუ ხედვენ და არა ხედვენ, ესმის და არა ემის, არცა გულისჴმა-ყვიან. |
| 14. და აღესრულების მათ ზედა წინაწარმეტყუელებაჲ იგი ესაია წინაწარმეტყუელისაჲ[17]: სმენით გესმოდის და | 14. და აღესრულების მათ ზედა წინაწარმეტყუელებაჲ იგი ესაიაჲსი: სმენით გესმოდის და არა გულისჴმა-ჰყოთ, |

---

[1] მას F. [2] თქუა G. [3] მისა G. [4] კლდოანსა] კლდესა G. [5] აღმოჴდა F. [6] ახეა FG [7] და] — G. [8] და] — F. [9] და რომელიმე G. [10] სამეოცსა] ორმეოცსა G. [11] მას] — G. [12] ცათაჲსა G. [13] რამეთუ] — G. [14] და მიემატოს] — FG. [15] არცა F. [16] გულისჴმა-ყვიან F. [17] ესაიაჲ წინაწარმეტყუელისაჲ] ესაიაჲსი G.

[1] ჰქ̄ეს I. [2] აქოს K.

FG

არა გულისხმა-ჰყოთ[1], ხედვით ხედვიდეთ და არა[2] იხილოთ.

15. რამეთუ განზრქნა[3] გული ერისაჲ[4] ამის[5], და ყურითა მძიმედ ისმენდეს, და თუალ(F 29v)ნი მათნი დაიწუხნეს[6], ნუუკუე იხილონ თუალითა და ყურითა ისმინონ და გულითა გულისხმა-ყონ[7] და[8] მოიქცენ, და განვკურნნე[9] იგინი.

16. ხოლო თუალნი თქუენნი ნეტარ არიან, რამეთუ ხედვენ, და ყურნი[10] თქუენნი, რამეთუ ესმის.

17. ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ მრავალთა წინაწარმეტყუელთა და მართალთა გული-ეტყოდა ხილვად, რომელ(G 82r)სა თქუენ ხედავთ, და არა იხილეს, და სმენად, რომელი თქუენ გესმის, და არა ესმა.

18. ხოლო თქუენ ისმინეთ იგავი ესე მთესვარისაჲ.

19. ყოველსა რომელსა ესმეს[11] სიტყუაჲ სასუფეველისაჲ და არა გულისხმა-ყოს[12], მოვიდის[13] უკეთური იგი და მისტაცის თესლი იგი გულისაგან მისისა: ესე არს, რომელი-იგი გზასა ზედა დაეთესა.

20. ხოლო რომელი-იგი კლდოვანსა[14] ზედა დაეთესა, ესე არს: რომელმან სიტყუაჲ იგი ისმინის და მეყსეულად სიხარულით გულსა თჳსსა მიიღის იგი.

21. ხოლო ძირი არა აქუნ გულსა თჳსსა, არამედ საწუთროსა არნ. და რაჟამს არნ ჭირი ანუ[15] დევნაჲ სიტყჳსა მისთჳს, მეყსეულად დაბრკოლდჲან.

22. ხოლო რომელი-იგი ეკალთა შორის დაეთესა, ესე არს: რომელმან სიტყუაჲ იგი ისმინის, და ზრუნვამან ამის სოფლისამან და საცთურმან სიმდიდრისამან შეაშთჳის სიტყუაჲ იგი, (F 30r) და უნაყოფო იქმნის.

HIK

ხედვით ხედვი(H 87v)დეთ და არა იხილოთ.

15. რამეთუ განზრქნა[1] გული ერისაჲ ამის, და ყურითა მძიმედ ისმინეს, და თუალნი მათ(K 40r)ნი დაიწუხნეს, ნუუკუე[2] იხილონ თუალითა და ყურითა ისმინონ და გულითა გულისჴმა-ყონ და მოიქცენ, და მე განვკურნნე იგინი.

16. ხოლო თუალნი თქუენნი ნეტარ არიან, რამეთუ ხედვენ, და ყურნი თქუენნი, რამეთუ ესმის.

17. (I 88r) ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ მრავალთა წინაწარმეტყუელთა[3] და მართალთა გული-უთქუმიდა ხილვად, რომელსა თქუენ ხედავთ, და არა იხილეს, და სმენად, რომელი გესმის, და არა ესმა.

18. ხოლო თქუენ ისმინეთ იგავი ესე მთესვარისაჲ.

19. ყოველსა რომელსა ესმეს სიტყუაჲ სასუფეველისაჲ და არა გულისჴმა-ყოს, მოვიდის უკეთური იგი და მისტაცის დათესული იგი გულისაგან მისისა: ესე არს, რომელი-იგი გზასა ზედა დაეთესა.

20. ხოლო რომელი-იგი კლდოვანსა ზედა დაეთესა, ესე არს: რომელმან სიტყუაჲ იგი ისმინის და მეყსეულად სიხარულით მიიღის იგი.

21. ხოლო ძირი არა აქუნ გულსა თჳსსა, არამედ საწუთო[4] არნ. და რაჟამს (H 88r) არნ ჭირი ანუ დევნაჲ სიტყჳსა მისთჳს, მეყსეულად დაჰბრკოლდის იგი.

22. ხოლო რომელი-იგი ეკალთა შორის დაეთესა, ესე არს: რომელმან სიტყუაჲ იგი ისმინის, და ზრუნვამან ამის სოფლისამან და საცთურმან სიმდიდრისამან შეაშთ(K 40v)ჳის სიტყუაჲ იგი, და უნაყოფო იქმნის.

---

[1] გულისჴმა-ჰყოთ F. [2] არა] ვერ F. [3] განზრქა G. [4] ერისა G. [5] მის F. [6] დაიწუხნეს] დაიჭუხნეს F. [7] გულისჴმა-ყონ F. [8] და] — F. [9] განვკურნნე F. [10] ყორნი F. [11] ესმის F [12] გულისჴმა-ყოს F. [13] მოვიდეს G. [14] კლდოვნსა F. [15] ანო F.

[1] განზრქა HI. [2] ნუუკუჱ HIK. [3] წწყ̄ლთა IK, წინ̄ასწყლთა H. [4] საწუთრო K.

FG

23. ხოლო რომელ-იგი კეთილსა ქუეყანასა[1] დაეთესა, (G 92v) ესე არს, რომელმან სიტყუაჲ იგი ისმინა და გულისხმა-ყო[2], რომელმან გამოიღო ნაყოფი და ყო რომელმანმე ასი, რომელმანმე სამეოცი და[3] რომელმანმე ოც და ათი.

24. სხუაჲ იგავი დაუდგა მათ და ჰრქუა: ემსგავსა სასუფეველი ღმრთისაჲ კაცსა, რომელმან დასთესა თესლი კეთილი აგარაკსა თჳსსა.

25. და ვითარცა დაიძინეს კაცთა მათ, მოვიდა მტერი მისი და დასთესა ღუარძლი შორის იფქლსა მას[4] და წარვიდა.

26. ოდეს აღმოსცენდა ჭეჭლი იგი და ნაყოფი გამოიღო, მაშინ გამოჩნდა ღუარძლი იგი.

27. მოვიდეს მონანი იგი და უთხრეს სახლისა უფალსა მას და ჰრქუეს: უფალო, ანუ არა თესლი კეთილი დასთესეა[5] აგარაკსა შენსა[6]? ვინაჲ აღმოჴდა ღუარძლი?

28. ხოლო მან ჰრქუა: მტერმან კაცმან ყო ეგე. ხოლო მონათა მათ[7] ჰრქუეს მას: გნებავსა, რაჲთა მივიდეთ და გამოვარჩიოთ იგი?

29. ხოლო მან ჰრქუა მათ: ნუუკუე შეკრებასა ღუარძლისასა აღმო(G 88r)ჰფხერეთ მის თანა იფქლიცა.

30. აცადეთ იგი თანა-აღორძინებად ურთიერთას[8], ვიდრე ჟამამდე მკისა, და ჟამსა მკისასა უბრძანო მომკალთა მათ: შეკრიბეთ პირველად ღუარძლი იგი და შეკართ იგი (F 30v) ძნეულად, რაჲთა დაიწუეს იგი, ხოლო იფქლი იგი შეკრიბეთ საუნჯესა ჩემსა.

31. სხუასა იგავსა ეტყოდა მათ და ჰრქუა: მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ მარცუალსა მდოგჳსასა[9], რომელი[10] მოიღო კაცმან და[3] დასთესა თჳსსა[11] მტილსა,

32. რომელი უმცირეს არს ყოველთა თესლთა, ხოლო რაჟამს აღორძნდის,

HIK

23. ხოლო რომელი-იგი ქუეყანასა კეთილსა დაეთესა, (I 38v) ესე არს: რომელმან სიტყუაჲ იგი ისმინა და გულისჴმა-ყო, რომელმან გამოიღო ნაყოფი და ყო რომელმანმე ასი, რომელმანმე სამეოცი და რომელმანმე ოც და ათი.

24. სხუაჲ იგავი დაუდგა მათ და ჰრქუა: ემსგავსა სასუფეველი ღმრთისაჲ კაცსა, რომელმან დასთესა თესლი კეთილი აგარაკსა თჳსსა.

25. და ვითარცა დაიძინეს კაცთა მათ, მოვიდა მტერი მისი და დასთესა ღუარძლი შორის იფქლსა მას და წარვიდა.

26. და ოდეს აღმოსცენდა ჭეჭლი იგი და ნაყოფი გამოიღო, მაშინ გამოჩნდა ღუარძლი იგი.

27. მოვიდეს მონანი იგი და უთხრეს სახლისა უფალსა მას და ჰრქუეს[1]: უფალო, ანუ არა თესლი კეთილი დასთესეა[2] აგარაკსა შენსა? ვინაჲ (H 38v) აღმოსცენდა ღუარძლი?

28. ხოლო მან ჰრქუა: მტერმან კაცმან იყო იგი. ხოლო მონათა მათ ჰრქუეს[1] მას: გნებავსა, რაჲთა მივიდეთ და გამოვარჩიოთ იგი?

29. ხოლო მან ჰრქუა მათ: არა, ნუუკუე[3] შეკრებასა ღუარძლისასა აღმოჰფხურათ იფქლიცა.

30. აცადეთ იგი თანა-აღორძინებად ურთიერთას, (I 30r) ვიდრე ჟამადმდე მკისა, და ჟამსა მკისასა უბრძანო მომკალთა მათ: შეკრიბეთ (K 47r) პირველად ღუარძლი იგი და შეკართ ძნეულად, რაჲთა დაიწუას იგი, ხოლო იფქლი იგი შეკრიბეთ საუნჯესა ჩემსა.

31. სხუასა იგავსა ეტყოდა მათ და ჰრქუა: მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ მარცუალსა მდოგჳსასა, რომელი მოიღო კაცმან და დასთესა თჳსსა მტილსა,

32. რომელი უმცირეს არს ყოველთა თესლთა, ხოლო რაჟამს აღორძნდის,

---

[1] ∽ ქუეყანასა კეთილსა G. [2] გულისჴმა-ყო F. [3] და] — F. [4] მას] — F. [5] დასთესე G. [6] შენსა] შინა F. [7] მათ] — G. [8] ურთიერთარს F. [9] მდოგჳსსა F (უქარაგმოდ). [10] რომელ G. [11] თჳსა F. აქ ეს სიტყუა მერმეა ჩაწერილი ნუსხურად.

[1] ჰრქუის I. [2] დასთესე HI. [3] ნუუკუე HI.

### FG

უფროჲს ყოველთა მხალთა არნ იგი, და იქმნის იგი ხე[1] დიდ, ვითარმედ მოვიდიან მფრინველნი ცისანი და დაადგრიან[2] რტოთა მისთა.

33. მერმე სხუასა იგავსა ეტყოდა მათ და ჰრქუა: მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ ცომსა, რომელი მოიღო დედაკაც(G 88v)მან და შეჰრთო[3] იგი ფქვილსა სამსა საწყაულსა, ვიდრემდე აღაფუვნა იგი ყოვლად.

34. ამას ყოველსა ეტყოდა იესუ იგავით ერსა მას და თჳნიერ იგავისა არარას[4] ეტყოდა მათ,

35. რაჲთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი წინაწარმეტყუელისა თქუმული: აღვაღო იგავით პირი ჩემი და ვიტყოდი იგავთა დასაბამითგან სოფლისაჲთ.

36. მაშინ დაუტევა იესუ ერი იგი და მოვიდა სახლსა. და მოუჴდეს მას მოწაფენი მისნი და ჰრქუეს: მითხარ ჩუენ იგავი იგი ღუარძლისაჲ მის და აგარაკისაჲ.

37. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: რომელი სთესავს (F 31r) თესლსა კეთილსა, ძჱ[5] კაცისაჲ არს;

38. ხოლო აგარაკი იგი ესე სოფელი არს; ხოლო თესლნი იგი კეთილნი ესე არიან ძენი[6] სასუფეველისანი, და ღუარძლნი იგი[7] არიან ძენი უკეთურისანი[8].

39. ხოლო მტერი იგი, რომელმან დასთესა იგი, ეშმაკი[9] არს; და მკაჲ იგი არს აღსასრული ამის სო(G 34r)ფლისაჲ; და მომკალნი იგი არიან ანგელოზნი.

40. ვითარცა-იგი შეკრიბიან ღუარძლი და ცეცხლითა[10] დაწჳან, ეგრეთ[11] იყოს აღსასრული ამის სოფლისაჲ.

41. რამეთუ მოავლინნეს ძემან კაცისამან ანგელოზნი თჳსნი, და შეკრიბ-

### HIK

უფროჲს ყოველთა მხალთა არნ იგი, და იქმნის იგი ხე დიდ, ვიდრემდის მოვიდიან მფრინველნი ცისანი და დადგრიან რტოთა მისთა.

33. მერმე სხუასა იგავსა ეტყოდა მათ და ჰრქუა: მსგავს არს სასუფევე(H 80r)ლი ცათაჲ ცომსა, რომელი მოიღო დედაკაცმან და შეჰრთო იგი ფქვილსა სამსა საწყაულსა, ვიდრემდე აღაფუვნა იგი ყოვლად.

34. ამას ყოველსა ეტყოდა იესუ იგავით ერსა მას და თჳნიერ იგავისა არარას ეტყოდა მათ,

35. რაჲთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი წინაწარმეტყუელისა მიერ თქუმული: აღვაღო იგავით პი(I 38v)რი ჩემი და ვიტყოდი დაფარულთა დასაბამითგან სოფლისაჲთ.

36. მაშინ დაუტევა იესუ ერი იგი და მოვიდა სახლსა. და მოუჴდეს მას მოწაფენი მისნი და ჰრქუეს[1]: გამოგჳთარგმანე ჩუენ იგავი (K 47v) იგი ღუარძლისაჲ და აგარაკისაჲ.

37. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: რომელი სთესავს თესლსა კეთილსა, ძე კაცისაჲ არს;

38. ხოლო აგარაკი იგი ესე სოფელი არს; ხოლო თესლნი იგი კეთილნი ესე არიან ძენი სასუფეველისანი, და ღუარძლნი იგი არიან ძენი უკეთურისანი.

39. ხოლო მტერი იგი, რომელმან დასთესა იგი, ეშმაკი არს; და მკაჲ იგი არს აღსასრული ამის სოფლისაჲ; და მომკალნი იგი არიან ანგელოზნი.

40. (H 80v) ვითარცა-იგი შეკრიბიან ღუარძლი და ცეცხლითა დაწჳან, ეგრეთ იყოს აღსასრული ამის სოფლისაჲ.

41. რამეთუ მოავლინნეს ძემან კაცისამან ანგელოზნი თჳსნი, და შეკრიბნენ[2]

---

[1] ხჱ G. [2] დადგრიან F. [3] „მან და შეჰრთო“ G-ში გადალეულია და ძლივს იკითხება. [4] არას F. [5] ძე F. [6] ძჱნი G. [7] იგი | იგი G. [8] უკეთურებისანი F. [9] ეშმკი F. [10] ცეცხლისა G. [11] ეგრე G.

[1] ჰქ̄ჱს I. [2] შეკრიბნეს HIK.

**FG**

ნენ[1] სუფევისაგან მისისა ყოველნი საცთურნი და მოქმედნი უშჯულოებისანი

42. და შთასთსივნენ იგინი[2] საჴუმილსა მას ცეცხლისასა[3]. მუნ იყოს ტირილი[4] და ღრჭენაჲ კბილთაჲ.

43. მაშინ მართალნი გამობრწყინდენ, ვითარცა მზჱ, სასუფეველსა ცათასა. რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!

44. კუალად მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ საუნჯესა დაფარულსა ყანასა[5] შინა, რომელი პოვა კაცმან და დამალა და სიხარულითა მით[6] მისთჳს წარვიდა და განყიდა ყოველი, რაჲცა აქუნდა, და მოიყიდა აგარაკი იგი.

45. მერმე მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ კაც(F 81v)სა ვაჭ(G 04v)არსა, რომელი ეძიებნ კეთილსა მარგალიტსა.

46. და პოვის რაჲ ერთი მარგალიტი მრავალ-სასყიდლისაჲ, წარვიდა და განყიდა ყოველივე[7], რაჲცა ედვა, და მოიყიდა იგი.

47. მერმე მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ სათრომელსა ბადესა, რომელი სდვიან ზღუასა, რომელმან ყოველთაგან თევზთა შეიკრიბის.

48. და ოდეს აღივსის, გამოიღიან იგი და ზღჳს-კიდესა დაასხიან და შეკრიბიან კეთილი იგი ჭურჭელსა, ხოლო ჴერკუალი იგი გარე განსთხიიან[8].

49. ესრეთ იყოს აღსასრული ამის სოფლისაჲ: რამეთუ გამოვიდენ ანგელოზნი და განაშორნენ უკეთურნი იგი[9] შორის მართალთა

50. და შთასთხინენ იგინი[10] შორის საჴუმილსა[11] მას ცეცხლისასა. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენაჲ კბილთაჲ.

**HIK**

სუფევისაგან მისისა ყოველნი საცთურნი და მოქმედნი უსჯულოებისანი[1]

42. და შესთხინენ იგინი საჴუმილსა მას ცეცხლისასა. მუნ იყოს (I 40r) ტირილი და ღრჭენაჲ კბილთაჲ.

43. მაშინ მართალნი გამობრწყინდენ, ვითარცა მზე, სასუფეველსა მამისა მათისასა. რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!

44. კუალად მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ საუნჯესა დაფარულსა ყანასა შინა, რომელი პოვა კაცმან და დამალა და სიხარულითა მით მისთჳს წარვიდა და განყიდა ყოველი, რაჲცა (K 48r) აქუნდა, და მოიყიდა აგარაკი იგი.

45. მერმე მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ კაცსა ვაჭარსა, რომელი ეძიებნ კეთილთა მარგალიტთა.

46. და პოის* რაჲ ერთი მარგალიტი[2] მრავალ-სასყიდლისაჲ, წარვიდა* და განყიდა ყოველივე, რაჲცა ედვა, და მოიყიდა იგი.

47. მერმე მსგავს არს (H 40r) სასუფეველი ცათაჲ სათრომელსა ბადესა, რომელი სდვიან ზღუასა, რომელმან ყოველთაგან თევზთა შეკრიბის.

48. და ოდეს აღივსის, გამოიღიან იგი ზღჳს-კიდესა და დაასხიან და შეკრიბიან კეთილი იგი ჭურჭელსა, ხოლო ჴერკუალი იგი გარე განსთხიიან.

49. ესრეთ იყოს აღსასრული (I 40v) ამის სოფლისაჲ: რამეთუ გამოვიდენ ანგელოზნი და განაშორნენ უკეთურნი იგი შორის მართალთა

50. და შესთხინენ იგინი შორის საკუმილსა მას ცეცხლისასა. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენაჲ კბილთაჲ.

---

[1] შეკრიბნე- F, შეკრიბნ] ნეს G. [2] შთასთხინეს იგი F. [3] F-ში ეს სიტყვა გამორჩენიათ და მერმე მიუწერიათ არშიაზე. [4] ტირი F. [5] ყანა F. [6] მით] — F. [7] F-ში ეე მერმეა მიწერილი ქვემოდან. [8] განსთხიან F. [9] იგი] — F. [10] იგინი] — F. [11] საქმილსა G (უქარაგმოდ)

[1] უშჯულოებისანი HI. [2] მარგალი K.

* HI-ში ამ სიტყვების ბოლო ხმოვნებზე სამი წერტილია დასმული (პოის, წარვიდა), ალბათ, იმის აღსანიშნავად, რომ დროებში შეთანხმება არ არისო (=ან: პოის და წარვიდის, ან: პოა და წარვიდა). სწორი შენიშვნაა. შდრ. „ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქციის" რედაქტორის შენიშვნა სწორედ ამ ადგილის შესახებ (გვ. 47).

| FG | HIK |
|---|---|
| 51. ჰრქუა იესუ მოწაფეთა თჳსთა: გულისხმა-ჰყავთა[1] ესე ყოველი? ხოლო მათ ჰრქუეს მას[2]: ჰე, უფალო. | 51. ჰრქუა იესუ მოწაფეთა თჳსთა: გულისჴმა-ჰყავთა ესე ყოველი? ხოლო მათ ჰრქუეს[1] მას: ჰე[2], უფალო. |
| 52. (G 35r) და ჰრქუა მათ: ამისთჳს ყოველი მწიგნობარი, რომელი მოწაფე[3] ყოფილ არს სასუფეველსა ცათასა, მსგავს არს იგი კაცსა სახლისა უფალსა, რომელმან გამოიღის საუნჯისაგან თჳსისა ძუელი და ახალი. | 52. და ჰრქუა მათ: ამისთჳს ყოველი მწიგნობარი, დამოწაფებული სასუფეველსა ცათასა, მსგავს არს იგი კაცსა სახლისა უფალსა, რომელმან გამოიღის საუნჯისაგან თჳსისა (K 49v) ძუელი[3] და ახალი. |
| 53. (F 32r) და იყო რაჟამს დაასრულნა იესუ იგავნი ესე, წარვიდა მიერ. | 53. და იყო რაჟამს დაასრულნა იესუ იგავნი ესე, წარვიდა მიერ. |
| 54. და მოვიდა მამულად თჳსა და ასწავებდა მათ შესაკრებელთა შორის მათთა, ვითარმედ განუკჳრდებოდა მათ და იტყოდეს: ვინაჲ არს ამისა სიბრძნე ესე და ძალი? | 54. და მოვიდა მამულად თჳსად და ასწავებდა მათ შესაკრებელთა შორის მათთა, (H 40v) ვიდრემდის განუკჳრდებოდა მათ და იტყოდეს: ვინაჲ არს ამისა[4] სიბრძნე ესე და ძალი? |
| 55. ანუ არა ესე არსა[4] ხუროჲსა მის ძჱ? ანუ არა დედასა მისსა ჰრქჳან[5] მარიამ? და ძმანი მისნი იაკობ და იოსებ და სიმონ და იუდა? | 55. ანუ არა ესე არს ხუროჲსა[5] მის ძე? ანუ არა[6] დედასა მისსა ჰრქჳან მარიამ? და ძმანი მისნი იაკობ და იოსებ და სიმონ და იუდა? |
| 56. და დანი მისნი არა ყოველნი[6] ჩუენ შორის არიანა? ვინაჲ არს ამისა ესე ყოველი? | 56. და დანი მისნი არა ყოველნი ჩუენ შორის არიანა? (I 41r) ვინაჲ უკუე[7] არს ამისა[4] ესე ყოველი? |
| 57. და დაბრკოლდებოდეს მისთჳს. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: არა არს წინაწარმეტყუელი შეურაცხ, გარნა სოფელსა თჳსსა[7] და სახლსა შინა თჳსსა. | 57. და დაჰბრკოლდებოდეს მისთჳს. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: არა არს წინაწარმეტყუელი შეურაცხ, გარნა სოფელსა თჳსსა და სახლსა შინა თჳსსა. |
| 58. და არა ქმნნა[8] (G 35v) მუნ ძალნი მრავალნი ურწმუნოებისა მათისათჳს. | 58. და არა ქმნნა მუნ ძალნი მრავალნი ურწმუნოებისა მათისათჳს. |

## 14

| | |
|---|---|
| 1. მას ჟამსა შინა ესმა ჰეროდეს, ოთხთა მათ სამთავროთა მთავარსა, ჰამბაეი იესუჲსთჳს[9], | 1. მას ჟამსა შინა ესმა ჰეროდეს, ოთხთა მათ სამთავროთა მთავარსა, ჰამბავი იესუჲსი, |
| 2. და ჰრქუა მონათა თჳსთა: ესე არს იოვანე[10] ნათლის-მცემელი, იგი აღდგომილ არს მკუდრეთით, და მისთჳს იქმნებიან ძალნი ესე მის თანა. | 2. და ჰრქუა მონათა თჳსთა: ესე არს იოვანე ნათლის-მცემელი, იგი აღდგომილ არს მკუდრეთით, და მისთჳს იქმნებიან ძალნი ესე მის თანა. |

---

[1] გულისჴმა-ჰყავთ F, გულისხმა-ჰყავთ G. ეს ბრძანებითია, უნდა იყოს კი თხრობითი კილო. [2] მას] — F. [3] მოწაფჱ G. [4] არს G. [5] ჰქჳან F. [6] ~ ყოველნი არა F. [7] თჳსა F. [8] ქმნა FG. [9] ი̃ჳსთს F. [10] ი̃ნჱ G.

[1] ჰქ̃ჱს I. [2] ჰჱ HIK. [3] ძუჱლი H. [4] ამისსა K. [5] ხუროჲს K. [6] არა] — K. [7] უკუჱ HI.

| FG | HIK |
|---|---|
| 3. რამეთუ ჰეროდე მაშინ შეიპყრა იოვანე[1] და შებორკილა და საპყრობილესა შეაყენა ჰერო(F 32v)დიაჲსთჳს, ცოლისა ფილიპესა, ძმისა თჳსისა. | 3. რამეთუ ამან ჰეროდე შეიპყრა იოვანე და შებორკილა იგი და საპყრობილესა შეაყენა ჰეროდიაჲსთჳს, ცოლისა ფილი(H 41r)პეს, ძმისა თჳსისა. |
| 4. რამეთუ ეტყოდა მას იოვანე: არა ჯერ-არს შენდა, ვითარმცა გესუა იგი ცოლად. | 4. (K 40r) რამეთუ ეტყოდა მას იოვანე, ვითარმედ: არა ჯერ-არს შენდა, ვითარმცა გესუა იგი ცოლად. |
| 5. და უნდა ლათუ მისი მოკლვაჲ, ეშინოდა ერისა მის, რამეთუ ვითარცა წინაწარმეტყუელი ეპყრა იგი. | 5. და უნდა ლათუ მისი მოკლვაჲ, არამედ ეშინოდა ერისა მის, რამეთუ ვითარცა წინაწარმეტყუელი ეპყრა მათ იგი. |
| 6. და ვითარცა შობისა დღენი იყვნეს ჰეროდესნი, როკვიდა ასული ჰეროდიაჲსი[2] შორის, და სთნდა ჰეროდეს როკვაჲ იგი მისი. | 6. და ვითარცა შობისა დღენი იყვნეს ჰეროდესნი, როკვიდა ასული ჰეროდიაჲსი შორის, და სთნდა ჰეროდეს (I 41v) როკვაჲ იგი მისი. |
| 7. რომლისაგან ფიცით აღუთქუა მას მიცემად. რაჲცა ითხოოს. | 7. რომლისათჳს ფიცით აღუთქუა მას მიცემად, რაჲცა ითხოვოს[1]. |
| 8. ხოლო (G 30r) იგი წინაჲსწარ[3] ბირებულ იყო დედისაგან თჳსისა და ჰრქუა: მომეც მე აქა ლანკნითა[4] თავი იოვანე[5] ნათლის-მცემელისაჲ. | 8. ხოლო იგი წინაჲსწარ[2] ბირებულ იყო დედისაგან თჳსისა და ჰრქუა: მომეც მე[3] აქა ლანკნითა თავი იოვანესი[4], ნათლის-მცემელისაჲ. |
| 9. და[6] შე-ლათუ-წუხნა მეფე იგი ფიცისა მისთჳს და მის თანა[7] მეინაჴეთა, ბრძანა მიცემად იგი მას. | 9. და შე-ლათუ-წუხნა მეფე იგი, არამედ ფიცისა მისთჳს და მის თანა მეინაჴეთა ბრძანა მიცემად იგი მას. |
| 10. და მიავლინა და მოჰკუეთა თავი იოვანესი[8] საპყრობილესა შინა. | 10. და მიავლინა და მოჰკუეთა[5] თავი იოვანესი საპყრობილესა შინა. |
| 11. და მოართუეს თავი მისი ლანკნითა[4] და მისცეს ქალსა მას, და მან მიართუა დედასა თჳსსა. | 11. და მოართუეს[6] თავი მისი ლაკნითა და მისცეს ქალსა მას, და მან მიართუა დედასა თჳსსა. |
| 12. და მოვიდეს მოწაფენი მისნი და წარიღეს გუამი მისი და დაჰფლეს იგი და მოვიდეს და უთხრეს იესუს. | 12. და მო(K 40v)ვიდეს მოწაფენი მისნი და წარიღეს გუამი მისი და დაჰფლეს იგი და მოვიდეს და უთხრეს იესუს[7]. |
| 13. ხოლო ესმა რაჲ ესე იესუს, განეშორა მიერ ნავითა და წარვიდა უდაბნოსა ადგილსა თჳსა(F 33r)გან. და ვითარცა ესმა ერსა მას, მისდევდა მას მკჳრცხლ ქალაქებისაგან. | 13. ესმა რაჲ ესე იესუს, განეშორა მიერ ნავითა და (H 41v) წარვიდა უდაბნოსა ადგილსა თჳსაგან. და ვითარცა ესმა ერსა მას, მისდევდეს მას მკჳრცხლ ქალაქებისაგან. |
| 14. და გამოვიდა იესუ და იხილა მრავალი ერი და შეეწყალნეს იგინი და განკურნნა[9] სნეულნი[10] მათნი. | 14. და გამოვიდა იესუ და იხილა ერი მრავალი და შეეწყალნეს იგინი და განკურნნა სნეულნი მათნი. |

---

[1] ი̃ჲ G. [2] ეროდიაჲსი G. [3] წინასწარ F. [4] ლაკნითა G. [5] ი̃ჲსი G. [6] და] — F. [7] მის თანათა G. [8] ი̃ჲს G. [9] განკურნა F. [10] სნეულებანი F.

[1] ითხოვს K. [2] წ̃წ̃რ HIK. [3] მე] — K. [4] იოვანე K. [5] მოჰკუეთა HI. [6] მოართუეს HI. [7] იესს I (სრულად).

FG

15. და ვითარცა შემწუხ(G 36v)რდა[1], მოუჴდეს მოწაფენი მისნი და ჰრქუეს მას: უდაბნო არს ადგილი ესე, და ჟამი გარდასრულ არს: განუტევე ერი ესე, რაჲთა წარვიდენ გარემო დაბნებსა და იყიდონ თავისა თჳსისა საზრდელი.

16. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: არა უჴმს მათ წარსლვაჲ; თქუენ ეცით მაგათ ჭამადი.

17. ხოლო მათ ჰრქუეს მას: არა გუაქუს აქა, გარნა ხუთი პური და ორი თევზი.

18. ჰრქუა მათ იესუ: მომართჳთ მე იგი აქა!

19. და უბრძანა ერსა მას დასხდომაჲ თივასა ზედა. და მოიღო ხუთი იგი პური და ორი თევზი, აღიხილნა ზეცად და აკურთხა და განტეხა და მისცა პური იგი მოწაფეთა თჳსთა, და მოწაფეთა მათ მისცეს ერსა მას.

20. ჭამეს ყოველთა და განძღეს; და აღიღეს ნეშტი ნამუსრევი ათორმეტი გოდორი სავსე.

21. ხოლო იყვნეს, რომელთა-იგი[2] ჭამეს, მამა(G 37r)ნი ხოლო ხუთ ათას, თჳნიერ ყრმებისა და დედებისა.

22. (F 33v) და მეყსეულად აიძულა მოწაფეთა შესლვად ნავსა და წინა-წარძღუანებად მისა წიაღკერძო, ვიდრემდე განუტეოს ერი იგი.

23. და ვითარცა განუტევა ერი იგი, აღვიდა მთაჲსა ლოცვად თჳსაგან. და შე-რაჲ-მწუხრდა, მარტოჲ იყო მუნ.

24. ხოლო ნავი იგი განშორებულ იყო ქუეყანით მრავალ უტევან და იგუემებოდა ღელვაგან, რამეთუ იყო ქარი დიდი პირით.

25. და მეოთხესა საჴუმილავსა ღამისასა მოვიდა მათა იესუ სლვით ზღუასა მას ზედა.

HIK

15. და ვითარცა შემწუხრდა, მოუჴდეს მოწაფენი მისნი (I 42r) და ჰრქუეს[1] მას: უდაბნო არს ადგილი ესე, და ჟამი გარდასრულ არს: განუტევე ერი ესე, რაჲთა წარვიდენ გარემო დაბნებსა და იყიდონ თავისა თჳსისა საზრდელი.

16. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: არა უჴმს მათ წარსლვაჲ; თქუენ ეცით მაგათ ჭამადი.

17. ხოლო მათ ჰრქუეს[1] მას: არა გუაქუს აქა, გარნა ხუთი პური და ორი თევზი.

18. ჰრქუა მათ იესუ: მომართჳთ მე იგი აქა!

19. და უბრძანა ერსა მას დასხდომაჲ თივასა ზედა. და მოიღო ხუთი იგი პური და ორი თევზი, აღიხილნა ზეცად და აკურთხა და განტეხა და მისცნა პურნი იგი მოწაფეთა (K 50r) თჳსთა, და მოწაფეთა მათ მისცეს ერსა მას.

20. და ჭამეს ყოველთა და განძღეს; და აღიღეს ნეშტი ნამუსრევი ათორმეტი გოდორი სავსე.

21. (H 42r) ხოლო იყვნეს, რომელთა-იგი ჭამეს, მამანი ხოლო ხუთ ათას, თჳნიერ ყრმებისა და დედებისა.

22. და მეყსეულად აიძულა მოწაფეთა შესლვად ნავსა და წინა-წარძღუანებად მისა[2] წიაღკერძო, ვიდრემდე განუტეოს ერი იგი.

23. (I 42v) და ვითარცა განუტევა ერი იგი, აღვიდა მთასა ლოცვად[3] თჳსაგან. და შე-რაჲ-მწუხრდა, მარტოჲ იყო მუნ.

24. ხოლო ნავი იგი განშორებულ იყო ქუეყანით მრავალ უტ(K 50v)ევან და იგუემებოდა[4] ღელვათაგან, რამეთუ იყო ქარი იგი პირით კერძო.

25. და მეოთხესა საჴუმილავსა ღამისასა მოვიდა მათა იესუ სლვით ზღუასა მას ზედა.

---

[1] შემწუხრ|რდა G. [2] რომელთა G.

[1] ჰქ̃ჱს I. [2] მისსა K. [3] ლოცვად] ილოცვიდა HI. [4] იგუჱმებოდა H.

| FG | HIK |
|---|---|
| 26. ხოლო მოწაფეთა ვითარცა იხილეს იგი, ვიდოდა რაჲ ზღუასა მას ზედა, შეძრწუნდეს და თქუეს, ვითარმედ: საუცარ[1] რაჲმე არს, და შიშისაგან ღაღად-ყვეს[2]. | 26. ხოლო მოწაფეთა ვითარცა იხილეს, ვიდოდა რაჲ ზღუასა მას ზედა, შეძრწუნდეს და თქუეს: ვითარმედ: საოცარ[1] რაჲმე არს, და შიშისაგან ღაღად-ყვეს[2]. |
| 27. მეყსეულად ეტყოდა მათ იესუ და ჰრქუა: კადნიერ იყვენით, მე ვარ, ნუ გეშინინ! | 27. მეყსეულად ეტყოდა მათ იესუ და ჰრქუა: კადნიერ იყვენით, მე ვარ, ნუ გეშინინ! |
| 28. (G 37v) მიუგო პეტრე და ჰრქუა მას: უფალო, უკეთუ შენ ხარ, მიბრძანე მე მისლვად შენდა წყალთა ამათ ზედა. | 28. მიუგო პეტრე და ჰრქუა მას: უფალო, უკეთუ შენ ხარ, მიბრძანე მე მისლვად შენდა წყალთა ამათ ზედა. |
| 29. ხოლო მან ჰრქუა: მოვედ! და გარდამოვიდა პეტრე ნავით და ვიდოდა წყალთა მათ ზედა და მოვიდოდა[3] იესუჲსა[4]. | 29. ხოლო მან ჰრქუა: მოვედ! და გარდამოვიდა პეტრე ნავით და ვიდოდა (H 42v) წყალთა მათ ზედა და მოვიდოდა იესუჲსა[3]. |
| 30. და ვითარცა იხილა ქარი იგი ძლიერი[5], შეეშინა და იწყო დანთქმად, ღაღად-ყო[6] და თქუა: უფალო, მიჴსენ მე, რამეთუ წარვწყმდები[7]! | 30. და ვითარცა იხილა ქარი იგი ძლიერი, შეეშინა და იწყო დანთქმად, ღაღატ-ყო და თქუა: უფალო მიჴსენ მე! |
| 31. და მეყსეულად განყო ჴელი, უპყრა მას (F 34r) და ჰრქუა: მცირედ-მორწმუნეო, რაჲსა შეორგულდი? | 31. და მეყსეულად განყო ჴელი (K 61r) იესუ და[4] უპყრა მას და ჰრქუა: (I 43r) მცირედ-მორწმუნეო, რაჲსა შეორგულდი? |
| 32. და ვითარცა აღვიდეს იგინი ნავსა მას, დაცხრა ქარი იგი. | 32. და ვითარცა აღვიდეს იგინი ნავსა მას შინა, დაცხრა ქარი იგი. |
| 33. ხოლო რომელნი-იგი ნავსა მას შინა იყვნეს, მოუჴდეს და თაყუანის-სცეს მას და ეტყოდეს: ჭეშმარიტად ძე ღმრთისაჲ ხარ შენ. | 33. ხოლო რომელნი-იგი ნავსა მას შინა იყვნეს, მოუჴდეს და თაყუანის-სცეს[5] მას და ეტყოდეს: ჭეშმარიტად ძე ღმრთისაჲ ხარ შენ. |
| 34. და განვიდეს და მივიდეს ქუეყანასა მას გენესარეთისასა. | 34. და განვიდეს და მივიდეს მიერ ქუეყანასა მას გენესარეთისასა. |
| 35. და იცნეს იგი კაცთა მათ მის ადგილისათა და წარავლინნეს[8] ყოველსა მას სანახებსა და მოართუეს მას ყოველი ბოროტად ენებული | 35. და იცნეს იგი[6] კაცთა მათ მის ადგილისათა და წარავლინნეს[7] ყოველსა მას სანახებსა და მოართუეს[8] მას ყოველი ბოროტად ენებული |
| 36. და ევედრებოდეს (G 38r) მას, რაჲთა შე-ხოლო-ახონ ფესუსა სამოსლისა[9] მისისასა. და რაოდენთა შეახეს, ცხოვნდეს[10]. | 36. და ევედრებოდეს მას, რაჲთა შე-ხოლო-ახონ ფესუსა სამოსლისა მისისასა. და რაოდენთა შეახეს, ცხონდეს. |

---

[1] საუცარი F. [2] ღაღატ-ყუეს F. [3] მოვიდა F. [4] იჳსა F. [5] ძრიელი FG. [6] ღაღატ-ყო F. [7] რამეთუ წარვწყმდები] — G. [8] წარავლინეს F. [9] სამოსლისა F. [10] ცხონდეს F.

[1] საოცარი K. [2] ღაღატ-ყვეს HI. [3] იესუჲსა K. [4] და] — HI. [5] თაყუანისცეს HI. [6] იგი] — HI. [7] წარავლინეს K. [8] მოართუნეს HI.

# 15

| FG | HIK |
|---|---|
| 1. მაშინ მოუჴდეს იესუს იერუსალჱმით ფარისეველნი და მწიგნობარნი და ეტყოდეს: | 1. მაშინ მოუჴდეს იესუს[1] იერუსალჱმით ფარისეველნი და მწიგნობარნი და ეტყოდეს: |
| 2. რაჲსათჳს მოწაფენი შენნი გარდაჰვლენ[1] მოძღურებასა ხუცესთასა? რამეთუ არა დაიბანნიან ჴელნი, რაჟამს პურსა ჭამედ. | 2. რაჲსათჳს მოწაფენი შენნი გარდაჰვლენ მოძღურებასა ხუცესთასა? რამეთუ არა დაიბანნიან ჴელნი, რაჟამს (H 48r) პურსა ჭამედ. |
| 3. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ: და რაჲსათჳს თქუენცა გარდახუალთ მცნებასა ღმრთისასა მოძღურებითა თქუენითა? | 3. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ: და რაჲსათჳს (K 51v) თქუენცა გარდახუალთ[2] მცნებასა ღმრთისასა მოძღურებითა თქუენითა? |
| 4. რამეთუ ღმერთმან თქუა: პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა; და რომელმან თქუას ბოროტი მამისათჳს გინა დედისათჳს, მოკუედინ. | 4. რამეთუ ღმერთმან თქუა: პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა; და რომელმან თქუას ბოროტი (I 43v) მამისათჳს გინა დედისა, სიკუდილით მოკუედინ[3]. |
| 5. ხოლო თქუენ სთქჳთ[2]: რომელმან ჰრქუას მამასა თჳსსა გინა დ(F 34v)ედასა თჳსსა[3]: ნიჭი, რომელ ჩემგან სარგებელ გეყო, | 5. ხოლო თქუენ სთქუთ: რომელმან ჰრქუას მამასა თჳსსა გინა დედასა თჳსსა: ნიჭი, რომელი ჩემგან სარგებელ გეყო, |
| 6. და არა პატივ-სცეს მამასა ანუ დედასა თჳსსა, ესევითართა დაუმტკიცებელ ჰყავთ სიტყუაჲ ღმრთისაჲ მოძღურებითა თქუენითა. | 6. და არა პატივ-სცეს მამასა ანუ დედასა თჳსსა, ესევითართა დაუმტკიცებელ ჰყავთ მცნებაჲ ღმრთისაჲ მოძღურებითა თქუენითა[4]. |
| 7. (G 38v) ორგულნო, კეთილად წინაწარმეტყუელა[4] თქუენთჳს ესაია და თქუა: | 7. ორგულნო, კეთილად წინაწარმეტყუელებდა თქუენთჳს ესაია და თქუა: |
| 8. ერი ესე ბაგითა მათითა პატივ-მცემს მე, ხოლო გულნი მათნი შორად განშორებულ არიან ჩემგან; | 8. მახლობელ არს ჩემდა ერი ესე პირითა მათითა და ბაგითა მათითა პატივ-მცემს მე, ხოლო გულნი მათნი შორს განშორებულ არიან ჩემგან; |
| 9. ამაოდ მმსახურებენ[5] მე, რამეთუ ასწავებენ მოძღურებასა[6] და მცნებასა კაცთასა. | 9. ამაოდ მმსახურებენ მე, რამეთუ ასწავებენ მოძღურებასა და მცნებასა კაცთასა. |
| 10. და მოუწოდა ერსა მას და ეტყოდა მათ: ისმინეთ და გულისხმა-ყავთ[7]: | 10. და მოუწოდა ერსა მას და ეტყოდა: ისმინეთ და გულისჴმა-ყავთ: |
| 11. არა თუ პირად შემავალი შეაგინებს კაცსა, არამედ პირით გამომავალი შეაგინებს კაცსა. | 11. არა თუ პირით შემავალი შეაგინებს კაცსა, არამედ პირით გამო(H 43v)მავალი[5] შეაგინებს კაცსა. |

---

[1] გარდავჰლენ F. [2] სთქუთ F. [3] თჳსა F. [4] წინაწარმეტყუელებდა G. [5] მსახურებენ FG. [6] მოძღრებასა G (უქარაგმოდ). [7] გულისჴმა-ყავთ F.

[1] იესოს I (სრულად). [2] გარდაჰხუალთ K. [3] მოკუჱდინ HI. [4] თქუჱნითა H. [5] გამავალი I.

FG

12. მაშინ მოუჴდეს იესუს მოწაფენი მისნი[1] და ჰრქუეს მას: უწყია, რამეთუ ფარისეველთა რაჲ ესმა სიტყუაჲ იგი, დაბრკოლდეს[2]?

13. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: ყოველი ნერგი, რომელი არა დაჰნერგა მამამან ჩემმან ზეცათამან[3], ძირითურთ აღიფხუერინ.

14. უტევეთ[4] მათ, რამეთუ ბრმანი არიან და წინამძღუარნი ბრმათანი, რამეთუ ბრმაჲ (G 39r) ბრმასა თუ წინა-უძღჳნ, შესცთიან და ორნივე მთხრებლსა შთაცჳვიან.

15. (F 36r) მიუგო პეტრე და ჰრქუა მას: გამოგჳთარგმანე ჩუენ იგავი ეგე.

16. ხოლო იესუ ჰრქუა მას[5]: თქუენცა უგულისხმოვე[6] ხართა?

17. და არა გიცნობიეს, რამეთუ ყოველი, რომელი შევალს პირით, მუცლად შევალს და განსავალით განვალს?

18. ხოლო გამომავალი პირით გულისაგან გამოვალს და იგი შეაგინებს კაცსა.

19. რამეთუ გულისაგან გამოვლენ გულის-სიტყუანი ბოროტნი, კაცის-კლვანი. მრუშებანი, სიძვანი, პარვანი, ცილის-წამებანი, გმობანი.

20. ესენი[7] არიან, რომელნი შეაგინებენ კაცსა, ხოლო უბანელითა ჴელითა ჭამაჲ არა შეაგინებს კაცსა.

21. და წარვიდა მიერ იესუ და მივიდა ადგილთა ტჳროსისა[8] და სიდონისათა.

22. და აჰა ესერა დედაკაცი ქანანელი საზღვართა მათთაგან გამოვიდა, ღაღადებდა და იტყოდა: შემიწყალე მე, (G 39v) უფალო, ძეო დავითისო, რამეთუ ასული ჩემი ბოროტად ეშმაკეულ არს.

23. ხოლო იესუ არა მიუგო მას სიტყუაჲ. და მოუჴდეს მოწაფენი იესუს და ჰრქუეს მას: განუტევე ესე, რომელი ღაღადებს და შეგჳდგს[9] ჩუენ.

HIK

12. მაშინ მოუჴდეს იესუს[1] მოწაფენი მისნი და ჰრქუეს[2] მას: უწყია, რამეთუ ფარისეველთა რაჲ ესმა სიტყუაჲ იგი, დაჰბრკოლდეს?

13. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: ყოველი ნერგი, რომელი (K 58r) არა დაჰნერგა მა(I 44r)მამან ჩემმან ზეცათამან, ძირითურთ აღიფხურას.

14. უტევენით ეგე[3], რამეთუ ბრმანი არიან და წინამძღუარნი ბრმათანი. ხოლო ბრმაჲ ბრმასა თუ წინა-უძღჳნ, ორნივე მთხრებლსა შთაცჳვიან.

15. მიუგო პეტრე და ჰრქუა მას: გამოგჳთარგმანე ჩუენ იგავი ესე.

16. ხოლო იესუ ჰრქუა მას: თქუენ-ცა უგულისჴმოვე ხართა?

17. და არა გიცნობიეს, რამეთუ ყოველი, რომელი შევალს პირით, მუცლად შევალს და განსავალით განვალს?

18. ხოლო გამომავალი პირით გულისაგან გამოვალს და იგი შეაგინებს კაცსა.

19. რამეთუ გულისაგან გამოვლენ გულის-სიტყუანი ბოროტნი, კაცის-კლვანი, მრუშებანი, სიძვანი, პარვანი, ცილის-წამებანი, გმობანი.

20. ესენი არიან, რომელნი შეაგინებენ კაცსა, ხოლო უბანელითა ჴელითა ჭამაჲ არა შეაგინებს კაცსა.

21. (H 44r) და წარვიდა მიერ იესუ და მივიდა[4] ადგილთა ტჳროსისა და სიდონისათა.

22. და აჰა ესერა დედაკაცი ქანანელი საზღვართა მათგან გამოვიდა, ღაღადებდა (I 44v) და იტყოდა: შემიწყალე მე, უფალო, ძეო დავითისო, რამეთუ ასული ჩემი ბოროტად ეშმაკეულ არს.

23. ხოლო იესუ არა მიუ(K 59v)გო მას სიტყუაჲ. და მოუჴდეს მოწაფენი იესუს და ჰრქუეს[5] მას: განუტევე ესე, რომელი ღაღადებს და შეგჳდგს ჩუენ.

---

[1] თჳსნი G. [2] დაბრკულდეს G. [3] ზეცათამან] — F. [4] უტევენით F. [5] მათ F. [6] უგულისჴმოვე F. [7] ესე G. [8] ტჳროზისათა F. [9] შეგჳთქს G.

[1] ი~ჳ H. [2] ჰრქუჱს I. [3] ესე HIK. [4] მოეიდა K. [5] ჰქ~ეს I.

FG

24. ჰრქუა მათ იესუ: არა ვიდრემე მოვლინებულ ვარ, გარნა ცხოვართა მათ წარწყმედულთა სახლისა ისრაჱლისათა[1].

25. (F 86v) ხოლო იგი მოვიდა, თაყუანის-სცემდა მას და ეტყოდა: უფალო, შემიწყალე მე!

26. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მას: არა კეთილ არს მოღებად პური შვილთაგან და დადებად ძაღლთა.

27. ხოლო მან ჰრქუა: ჰე[2], უფალო, რამეთუ ძაღლნიცა ჭამედ ნაბიჭევისაგან, რომელ გარდამოცჳვინ ტაბლისაგან უფალთა მათთაჲსა.

28. მაშინ მიუგო იესუ და ჰრქუა მას: ჵ დედაკაცო! დიდ არს სარწმუნოებაჲ ეგე შენი; გეყავნ შენ, ვითარცა გნებავს. და განიკურნა ასული იგი მისი მიერ ჟამითგან.

29. და წარვიდა მიერ იესუ და მოვიდა ზღჳს-კიდესა გალილე(G 40r)აჲსასა და აღვიდა მთასა და დაჯდა მუნ.

30. და მოუჴდა მას ერი მრავალი, რომელთა ჰყვანდა მათ თანა მკელობლები, ბრმები, ყრუნი, ქუეწარმძრომელნი და სხუანი მრავალნი თითო-სახეთაგან სენთა შეპყრობილნი. და დასხნეს იგინი ფერჴთა თანა მისთა, და განკურნნა[3] იგინი.

31. არამედ უკჳრდაცა ერსა მას, ხედვიდეს რაჲ, ვითარ-იგი ყრუნი იტყოდეს, და მკელობელნი ვიდოდეს, და ღრეკილნი განიკურნებოდეს, და ბრმანი ხედვიდეს; და ადიდებდეს ღმერთსა ისრაჱლისასა.

32. ხოლო იესუ მოუწოდა მოწა(F 38r)ფეთა თჳსთა და ჰრქუა: მეწყალის ერი ესე, რამეთუ აწ ესერა სამი დღჱ[4] არს, და მელიან მე და არარაჲ აქუს, რაჲმცა ჭამეს; და განტევებაჲ მათი უზმათაჲ არა მნებავს[4], ნუუკუე დაცჳვენ გზასა ზედა.

HIK

24. ჰრქუა მათ იესუ: არა ვიდრე მოვლინებულ ვარ, გარნა ცხოვართა მათ წარწყმედულთა სახლისა ისრაჱლისათა.

25. ხოლო იგი მოუჴდა და თაყუანის-სცემდა მას და ეტყოდა: უფალო, შემიწყალე მე!

26. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მას: არა კეთილ არს მოღებად პური შვილთაგან და დაგებად ძაღლთა.

27. ხოლო მან ჰრქუა: ჰე[1]. უფალო, რამეთუ ძაღლნიცა ჭამედ ნაბიჭევისაგან, რომელ გარდამოცჳვინ ტაბლისაგან უფალთა მათთაჲსა.

28. მაშინ მიუგო იესუ და ჰრქუა მას: ჵ დედაკაცო! დიდ არს სარწმუნოებაჲ ეგე შენი; გეყავნ შენ, ვითარცა გნებავს. და განიკურნა ასული იგი მისი მიერ ჟამითგან.

29. (H 44v) და წარვიდა მიერ იესუ და მოვიდა ზღჳს-კიდესა მას გალილეაჲსასა და აღვიდა მთასა და დაჯდა მუნ.

30. და მოუჴდა მას (K 53r) ერი მრავალი, რომელთა ჰყვა მათ (I 45r) თანა მკელობლები, ბრმები, ყრუნი, ქუეწარმძრომელნი[2] და სხუანი მრავალნი თითო-სახეთაგან სენთა შეპყრობილნი. და დასხნეს იგინი[3] ფერჴთა თანა მისთა[4], და განკურნნა იგინი,

31. ვიდრე უკჳრდაცა ერსა მას, ხედვიდეს რაჲ, ვითარ-იგი ყრუნი იტყოდეს, და მკელობელნი ვიდოდეს, და ღრეკილნი განიკურნებოდეს, და ბრმანი ხედვიდეს; და ადიდებდეს ღმერთსა ისრაჱლისასა.

32. ხოლო იესუ მოუწოდა მოწაფეთა თჳსთა და ჰრქუა მათ: მეწყალის ერი ესე, რამეთუ აჰა ესერა სამი დღე არს, და მელიან მე და არარაჲ აქუს, რაჲმცა ჭამეს: და განტევებაჲ მათი უზმათაჲ არა მნებავს, ნუუკუე[5] დაცჳვენ გზასა ზედა.

---

[1] ისრაელისათა G (მთლიანად, უქარაგმოდ). [2] ჰჱ F. [3] განკურნა F. [4] დღე F. [5] მნებავს] მინებს G.

[1] ჰჱ IK. [2] ქუჱწარმძრომელნი HI. [3] იგი K. [4] მისთა] მის თანა K. [5] ნუუკუჱ HI.

| FG | HIK |
|---|---|
| 33. ჰრქუეს მას მოწაფეთა მისთა[1]: ვინაჲ ჩუენდა უდაბნოსა ზედა პური ესოდენი, ვითარმცა განძღა ერი ესოდენი[2]? | 33. ჰრქუეს[1] მას მოწაფეთა მისთა: ვინაჲ არს ჩუენდა უდა(K 63v)ბნოსა ზედა პური ესოდენი, ვითარმცა განძღა ერი. ესოდენი? |
| 34. ჰრქუა მათ იესუ: რაოდენი პური გაქუს (G 40v) აქა? ხოლო მათ ჰრქუეს მას: შჳდი პური და მცირედ[3] თევზი. | 34. ჰრქუა მათ იესუ: რაოდენი (H 46r) პური გაქუს? ხოლო მათ ჰრქუეს[1] მას: შჳდი პური და მცირედ თევზი. |
| 35. და უბრძანა ერსა მას დასხდომაჲ ქუეყანასა ზედა. | 35. და უბრძანა ერსა მას დასხდომაჲ ქუეყანასა ზედა. |
| 36. და მოიღო შჳდი იგი პური და თევზი და ჰმადლობდა და განტეხა და მისცემდა მოწაფეთა, და მოწაფენი იგი მისცემდეს ერსა მას. | 36. და მოიღო შჳდი იგი პური და თევზნი, (I 46v) ჰმადლობდა, განტეხა და მისცემდა მოწაფეთა, და მოწაფენი მისცემდეს ერსა მას. |
| 37. ჭამეს ყოველთა და განძღეს: და აღიღეს ნეშტი იგი ნამუსრევი შჳდი სფჳრიდი[4] სავსე. | 37. ჭამეს ყოველთა და განძღეს; და აღიღეს ნეშტი იგი ნამუსრევი შჳდი სფჳრიდი[2] სავსე. |
| 38. ხოლო რომელთა ჭამეს, იყვნეს ოთხ ათას მამანი ხოლო[5], თჳნიერ ყრმებისა და დედებისა. | 38. ხოლო რომელთა-იგი[3] ჭამეს, იყვნეს ოთხ ათას მამანი ხოლო, თჳნიერ ყრმებისა და დედებისა. |
| 39. და[6] განუტევა ერი იგი და აღვიდა იესუ ნავსა და მოვიდა საზღვართა მაგდალაჲსათა. | 39. და განუტევა ერი იგი და აღვიდა იესუ ნავსა და მოვიდა საზღვართა მაგდალოჲსათა[4]. |

## 16

| FG | HIK |
|---|---|
| 1. და მოუჴდეს მას ფარისეველნი და სადუკეველნი[7], გამოსცდიდეს მას, რაჲთა სასწაული ზეცით უჩუენოს მათ. | 1. (K 64r) და მოუჴდეს მას ფარისეველნი და სადუკეველნი, გამოსცდიდეს მას და ეტყოდეს, რაჲთა სასწაული ზეცით უჩუენოს[5] მათ. |
| 2. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: (F 80v) შე-რაჲ-მწუხრდის, სთქუთ: ყუდრო[8] იყოს, რამეთუ წითს ცაჲ. | 2. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: შე-რაჲ-მწუხრდის, სთქუთ: ყუდრო იყოს, რამეთუ წითს ცაჲ. |
| 3. და განთიად სთქუთ[9]: ზამთარი იყოს, რამეთუ კსინავს მწუხარედ ცაჲ. ორგულნო, პირი სამე ცისაჲ (G 41r) იცით ცნობად, ხოლო სასწაულნი ჟამთანი ვერ ძალ-გიც გულისხმის-ყოფად[10]. | 3. და განთიად სთქუთ: ზამთარი იყოს, რამეთუ კსინავს მწუხარედ ცაჲ. ორგულნო, პირი სამე ცისაჲ იცით ცნობად. ხოლო სასწაულნი ჟამთანი ვერ გიცნობიეს გულისჴმის-ყოფად. |

---

[1] მისთა] მათ G. [2] ვითარმცა განძღა ერი ესოდენი] — F. აქაც მომდევნო განმეორებული სიტყვის გამო. [3] მცირედი G. [4] სფურიდი G. [5] ხოლო] — G. [6] და] — G. [7] სადუკეველნი F. [8] მყუდრო F. [9] სთქუთ] — F. [10] გულისჴმის-ყოფად F.

[1] ჰრქუს I. [2] სფურიდი HI. [3] რომელთა HI. [4] მაღდალოჲსათა K. [5] უჩუენოს H, უჩ̃ნოს I.

FG

4. ნათესავი ბოროტი და მემრუშე სასწაულსა ეძიებს, და სასწაული არა ეცეს მას, გარნა სასწაული იონა წინაწარმეტყუელისაჲ. და დაუტევნა იგინი და წარვიდა.

5. და მოვიდეს მოწაფენი მისნი მიერ წიაღ და დაავიწყდა პური მიღებად.

6. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: ისილეთ და ეკრძალენით ცომისაგან ფარისეველთაჲსა და სადუკეველთაჲსა[1].

7. ხოლო იგინი განიზრახვიდეს გულსა თჳსსა და იტყოდეს, ვითარმედ: პური არ მოვიღეთ.

8. გულისხმა-ყო[2] იესუ და ჰრქუა მათ: რაჲსა ზრახავთ გულთა თქუენთა, მცირედ-მორწმუნენო, რამეთუ პური არა გაქუს?

9. არა გიცნობიეს, არცა მოიჴსენეთ ხუთთაჲ[3] მათ პურთაჲ და ხუთ ათასთაჲ მათ, და რაედენი გოდორი აღიღეთ?

10. არცა შჳდთაჲ მათ პურთაჲ და ოთხ ათასთაჲ მათ, (G 41ⴆ) და რაედენი სფჳრიდი[4] აღიღეთ?

11. ვითარ არა გიცნ(F 87ⴎⴐ)ობიეს, რამეთუ არა პურისათჳს გარქუ თქუენ: ეკრძალენით[5] ცომისაგან ფარისეველთაჲსა[6] და სადუკეველთაჲსა[7], რომელ არს ორგულებაჲ?

12. მაშინ გულისხმა-ყეეს[8], რამეთუ არა ჰრქუა მათ კრძალვაჲ[9] ცომისაგან, არამედ მოძღურებისაგან[10] ფარისეველთაჲსა და სადუკეველთაჲსა[7].

13. მო-რაჲ-ვიდა იესუ ადგილთა მათ კესარია ფილიპესთა, ჰკითხვიდა მოწაფეთა თჳსთა და ჰრქუა: რაჲ თქუან ჩემთჳს კაცთა, ძისა კაცისა ყოფაჲ[11]?

14. ხოლო მათ ჰრქუეს: რომელთამე იოვანე[12] ნათლის-მცემელი, რომელთამე ელია და სხუათა იერემია გინა ერთი წინაწარმეტყუელთაგანი.

HIK

4. ნათესავი ბოროტი და (H 15ⴆ) მემრუშე სასწაულსა ეძიებს. და სასწაული არა ეცეს მას, გარნა სასწაული იონა წინაწარმეტყუელისაჲ[1]. და დაუტევნა იგინი და წარვიდა.

5. და მო-რაჲ-ვიდეს მოწაფენი მისნი მიერ წიაღ, და (I 18ⴎⴐ) დაავიწყდა მათ პური მიღებად.

6. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: იხილეთ და ეკრძალენით ცომისაგან ფარისეველთაჲსა და სადუკეველთაჲსა.

7. ხოლო იგინი განიზრახვიდეს გულსა თჳსსა და იტყოდეს, ვითარმედ: პური არა მოვიღეთ.

8. გულისჴმა-ყო იესუ და ჰრქუა მათ: რაჲსა ჰზრახავთ გულთა შინა თქუენთა, მცირედ-მორწმუნენო, რამეთუ პურნი არა მოიხუენით[2]?

9. არა გიცნობიეს, არცა მოიჴსენეთ ხუთთა მათ პურთაჲ და ხუთ ათასთაჲ მათ, და რაოდენი გოდორი აღიღეთ?

10. და (K 54ⴆ) არცა შჳდთა მათ პურთაჲ და ოთხ ათასთაჲ მათ, და რაოდენი სფჳრიდი[3] აღიღეთ?

11. ვითარ არა გიცნობიეს, რამეთუ არა პურისათჳს გარქუ თქუენ: ეკრძალენით ცომისაგან ფარისეველთაჲსა და სადუკეველთაჲსა?

12. მაშინ გულისჴმა-ყეეს, რამეთუ არა ჰრქუა მათ კრძალვაჲ ცომისაგან პური(H 40ⴎⴐ)სა, არამედ მოძღურებისაგან ფარისეველთაჲსა და სადუკეველთაჲსა.

13. მო-რაჲ-ვიდა იესუ ადგილთა მათ კესარია ფილიპესთა, ჰკითხვიდა მოწაფეთა თჳსთა და ჰრქუა: რაჲ თქუან (I 46ⴆ) კაცთა ძისა კაცისა ყოფად?

14. ხოლო მათ ჰრქუეს[4]: რომელთამე იოვანე ნათლის-მცემელი, რომელთამე ელია და სხუათა იერემია გინა ერთი წინაწარმეტყუელთაგანი.

---

[1] სადოკეველთ~სა F. [2] გულისჴმა-ყო F. [3] ხუთთა F. [4] სფურიდი G. [5] ხ̃ ეკრძალენით FG. ხანმეტობის ნაშთი უნდა იყოს („ხოლო" უადგილოა აქ). [6] ფრსე~ლთსა F. [7] სადოკეველთაჲსა F. [8] გულისჴმა-ყეეს F. [9] კრძალეა F. [10] მოძღოურებისაგან G. [11] ყოფად G. [12] ი~ნე G.

[1] წინაჲსწარმეტყუელისაჲ K. [2] მოიხსენით HI. [3] სფურიდი HI. [4] ჰქ~ეს I.

FG

15. ხოლო მან ჰრქუა მათ: თქუენ ვინ გგონიე მე?

16. მიუგო სიმონ-პეტრე და ჰრქუა მას: შენ ხარ ქრისტე[1], ძჱ[2] ღმრთისა ცხოველისაჲ.

17. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: ნეტარ ხარ შენ, სიმონ, ბარ იონაჲსო, რამეთუ ჴორცთა და სისხლთა არა (G 42r) გამოგიცხადეს, არამედ მამამან ჩემმან ზეცათამან.

18. ხოლო მე გეტყჳ შენ, რამეთუ შენ ხარ კლდე, და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემი, და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას.

19. და მიგცნე შენ კლიტენი სასუფეველისა ცათაჲსანი; და რომელი შეჰკრა ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რომელი განჰჴსნე ქუეყანასა (F 37v) ზედა, ჴსნილ იყოს იგი ცათა შინა.

20. მაშინ ამცნო მოწაფეთა თჳსთა, რაჲთა არავის უთხრან, ვითარმედ იგი არს ქრისტჱ.

21. მიერითგან იწყო იესუ უწყებად მოწაფეთა თჳსთა, ვითარმედ: ჯერ-არს მისა[3] იერუსალჱმდ აღსლვაჲ და ფრიად ვნებაჲ მღდელთ-მოძღუართაგან და მწიგნობართა და მოხუცებულთა ერისათა, მოკლვაჲ და მესამესა დღესა აღდგომად.

22. და მოეჴდა მას პეტრე და იწყო ბრალობაჲ მისა და ჰრქუა[4]: შენდობაჲ[5] იყავნ შენდა, უფალო, არა იყოს ეგრე.

23. ხოლო თავადი მიექცა პეტრეს და ჰრქუა: წარვედ ჩემგან, (G 42v) სატანა, საცთურ ჩემდა ხარ, რამეთუ არა ზრახავ ღმრთისასა, არამედ კაცთასა.

24. მაშინ ჰრქუა იესუ მოწაფეთა თჳსთა: რომელსა უნებს შემოდგომად[6] ჩემდა და მოსლვად, უვარ-ყავნ[7] თავი თჳსი და[8] აღიღენ ჯუარი თჳსი და შემომიდეგნ მე.

HIK

15. ხოლო მან ჰრქუა მათ: თქუენ ვინ გგონიე მე ყოფად?

16. მიუგო სიმონ-პეტრე და ჰრქუა მას: შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისაჲ.

17. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: ნეტარ ხარ შენ, (K 66r) სიმონ, ბარ იონა, რამეთუ ჴორცთა და სისხლთა არა გამოგიცხადეს, არამედ მამამან ჩემმან ზეცათამან.

18. და მე გეტყჳ შენ, რამეთუ შენ ხარ კლდე, და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემი, და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას.

19. და მიგცნე შენ კლიტენი სასუფეველისა[1] ცათაჲსანი; და რომელი შეჰკრა ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რომელი განჰჴსნა ქუეყანასა ზედა, ჴსნილ იყოს იგი ცათა შინა.

20. მაშინ ამცნო მოწაფეთა თჳსთა, რაჲთა არავის (H 40v) უთხრან, ვითარმედ იგი არს იესუ[2] ქრისტე.

21. მიერითგან იწყო იესუ უწყებად მოწაფეთა თჳსთა, ვითარმედ: ჯერ-არს მისა[3] იერუსალჱმდ[4] აღსლვაჲ და ფრიად ვნებაჲ მღდელთ-მოძღუართაგან და მწიგნობართა (I 47r) და მოხუცებულთა, და მოკლვად და მესამესა დღესა აღდგომად.

22. და მოუჴდა მას პეტრე და იწყო ბრალობად მისა[3] და ჰრქუა: შენდობა იყავნ შენდა, უფალო, არა იყოს ეგრე.

23. ხოლო თავადი მიექცა პეტრეს და ჰრქუა: წარვედ ჩემგან, სატანა, საცთურ ჩემდა ხარ, რამეთუ არა ჰზრახავ ღმრთისასა, არამედ კაცთასა.

24. მაშინ ჰრქუა იესუ მოწაფეთა თჳსთა: რომელსა ჰნებავს შემოდგომად ჩემდა, უვარ-ყავნ თავი თჳსი და აღიღენ ჯუარი თჳსი და შემ(K 65v)ომიდეგნ მე.

---

[1] ქ͞ჱ F. [2] ძე F. [3] მისი G. [4] თქუა F. [5] შენდობაჲ F. [6] შედგომად G. [7] უარ-ყავნ F. [8] და — F.

[1] სასუფეველისანი I. [2] იესო I (სრულად). [3] მისსა K. [4] ი͞ჱლდ H, ი́ჱლმდ IK.

FG

25. უკუეთუ ვისმე უნდეს თავი თჳსი განრინებად, წარიწყმიდოს იგი; და რომელმან წარიწყმიდოს თავი თჳსი ჩემთჳს, მან პოოს იგი.

26. რაჲ სარგებელ ეყოს კაცსა, უკუეთუ სოფელი ყოველი[1] შეიძინოს და სული თჳსი იზღვიოს? ანუ რაჲ (F 88r) მისცეს კაცმან ნაცვალად სულისა თჳსისა?

27. რამეთუ მოსლვად არს ძჱ[2] კაცისაჲ დიდებითა მამისა თჳსისაჲთა და ანგელოზთა მისთა თანა, და მაშინ მიაგოს კაცად-კაცადსა საქმეთა მათთაებრ[3].

28. ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ[4] არიან ვინმე აქა მდგომარეთაგანნი, რომელთა არა იხილონ გემოჲ სიკუდილისაჲ, ვიდრემდე იხილონ ძჱ[3] კაცისაჲ მომავალი (G 43r) სუფევითა თჳსითა.

HIK

25. რამეთუ უკუეთუ ვისმე უნდეს სული თჳსი განრინებად, წარიწყმიდოს იგი; და რომელმან წარიწყმიდოს სული თჳსი ჩემთჳს, მან პოოს იგი.

26. რამეთუ რაჲ სარგებელ ეყოს კაცსა, უკუეთუ სოფელი ყოველი შეიძინოს და სული თჳსი იზღვიოს? ანუ რაჲ მისცეს კაცმან ნაცვალად სულისა თჳსისა?

27. (H 47r) რამეთუ მოსლვად არს ძჱ[1] კაცისაჲ დიდებითა მამისა თჳსისაჲთა ანგელოზთა მისთა თანა, და მაშინ მიაგოს კაცად-კაცადსა საქმეთა მათთაებრ.

28. ამენ[2] გეტყჳ თქუენ, რამეთუ, არიან ვინმე აქა მდგომარეთაგანნი, რომელთა არა იხილონ (I 47v) გემოჲ სიკუდილისაჲ, ვიდრემდე იხილონ ძე კაცისაჲ, მომავალი სუფევითა თჳსითა.

## 17

FG

1. და შემდგომად ექუსისა დღისა წარიყვანა იესუ პეტრე და[5] იაკობ და იოვანე[6], ძმაჲ მისი, და აღიყვანნა იგინი[7] მთასა მაღალსა თჳსაგან:

2. და[8] იცვალა მათ წინაშე სხუად ფერად, და განბრწყინდა პირი მისი, ვითარცა მზჱ. ხოლო სამოსელი[9] მისი სპეტაკ იყო, ვითარცა თოვლი.

3. და ეჩუენნეს მათ მოსე[10] და ელია მის თანა, და თანა-ზრახვიდეს მას.

4. მიუგო პეტრე და ჰრქუა იესუს: უფალო, კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფაჲ. გნებავსა[11], ვქმნეთ აქა სამ ტალავარ: ერთი შენდა და ერთი მოსესა და ერთი ელიაჲსა?

5. და ვიდრე იგი ამას იტყოდა ოდენ, აჰა ესერა ღრუბელი ნათლისაჲ ჰფარვიდა მათ, და ჴმაჲ იყო ღრუბლით გამო და თქუა: ესე არს ძჱ ჩემი საყუარელი, რო-

HIK

1. და შემდგომად ექუსისა დღისა წარიყვანნა იესუ პეტრე და იაკობ და იოვანე, ძმაჲ მისი, და აღიყვანნა იგინი მთასა მაღალსა თჳსაგან.

2. და იცვალა მათ წინაშე სხუად (K 56r) ფერად, და განბრწყინდა პირი მისი, ვითარცა მზე. ხოლო სამოსელი მისი იქმნა სპეტაკ, ვითარცა ნათელი.

3. და აჰა ეჩუენნეს[3] მათ მოსე და ელია მის თანა, და თანა-ზრახვიდეს.

4. მიუგო პეტრე და ჰრქუა იესუს: უფალო, კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფაჲ. და, თუ გნებავს, ვქმნეთ აქა სამ ტალავარ: ერთი შენდა და ერთი მოსესა[4] და ერთი ელიაჲსა[5].

5. და ვიდრეღა იგი ამას იტყოდა, აჰა ესერა ღრუბელი ნათლისაჲ აგრილობდა მათ, და აჰა ჴმაჲ იყო ღრუბლით გამო და თქუა: ესე არს ძე ჩემი საყუა-

---

[1] ყოველი] — F.
[2] ძე F.
[3] მათაებრ F.
[4] რამეთუ] — F.
[5] და] — G.
[6] ი̃ნჱ G.
[7] იგი F.
[8] და | და F.
[9] სამუსელი F.
[10] მოსჱ F.
[11] გნებავს F.

[1] ძე HI.
[2] ამინ I (სრულად).
[3] ეჩუჱნნეს H.
[4] მოსესსა K.
[5] ელიაჲსსა K.

**FG**

მელი მე სათ(F 29v)ნო-ვიყავ; მაგისი ისმინეთ.

6. ესმა რაჲ ესე მოწაფეთა, დავარდეს პირსა ზედა მათსა და შეეშინა ფრიად[1].

7. (G 43v) მოვიდა იესუ, შეახო მათ ჴელი და ჰრქუაჲ აღდეგით, ნუ გეშინინ!

8. და აღიხილნეს თუალნი მათნი და არავინ იხილეს, გარნა იესუ ხოლო.

9. და გარდამო-რაჲ-ვიდოდეს იგინი მიერ მთით, ამცნო მათ იესუ და ჰრქუაჲ ნუვის უთხრობთ ხილვასა ამას, ვიდრემდე ძე კაცისაჲ მკუდრეთით აღდგეს.

10. და ჰკითხვიდეს მას მოწაფენი და ეტყოდეს: ვითარ იტყჳან მწიგნობარნი იგი, ვითარმედ: ელიაჲსი[2] ჯერ-არს პირველად მოსლვაჲ?

11. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ ელია მოვიდეს და კუალად-აგოს ყოველი.

12. ხოლო გეტყჳ თქუენ, რამეთუ ელია აწვე მოვიდა, და არა იცნეს იგი, არამედ უყვეს მას, რაედენი უნდა. და[3] ეგრეცა ჯერ-არს ძისა კაცისაჲ ვნებად მათგან.

13. მაშინ გულისხმა-ყვეს[4] მოწაფეთა, რამეთუ იოვანე[5] ნათლის-მცემელისათჳს ჰრქუა მათ.

14. და ვითარცა მოვიდეს იგინი ერისა მის, მოვიდა მისა კაცი ერთი და მუჴლნი (G 44r) დაიდგნა მის წინაშე და ეტყოდა:

15. უფალო, შემიწყალე[6] ძე[7] ჩემი, რამეთუ ცისად-ცისად ბოროტად იგუემების[8], (F 30r) რამეთუ მრავალ-გზის შთავარდის იგი[9] ცეცხლსა და მრავალ-გზის წყალსა.

16. და მოვჰგუარე იგი მოწაფეთა

**HIK**

რელი, რომელი მე სათნო-(H 47v)ვიყავ; მაგისი ისმინეთ.

6. და ესმა რაჲ ესე მოწაფეთა, დავარდეს პირსა ზედა თჳსსა და შეეშინა ფრიად.

7. და მოუჴდა მათ იესუ, შეახო ჴელი და ჰრქუა: აღდეგით და ნუ გეშინინ!

8. და აღ-რაჲ-იხილნეს თუალნი მათნი, (I 48r) არავინ იხილეს, გარნა იესუ ხოლო მარტოჲ.

9. და გარდამო-რაჲ-ვიდოდეს იგინი მიერ მთით, ამცნო მათ იესუ და ჰრქუაჲ ნუვის უთხრობთ ხილვასა ამას, ვიდრემდის ძე კაცისაჲ მკუდრეთით აღდგეს.

10. და ჰკითხეს მას მოწაფეთა მისთა და ეტყოდეს: ვითარ უკუე[1] იტყჳან მწიგნობარნი, ვითარმედ: ელიაჲსი ჯერ-არს პირველად მოსლვაჲ?

11. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ: (K 50v) ელია მოვიდეს პირველად და კულად-აგოს ყოველი.

12. ხოლო გეტყჳ თქუენ, რამეთუ ელია აწვე მოვიდა, და არა იცნეს იგი, არამედ უყვეს მას, რაოდენი უნდა. და ეგრეთვე ძესაცა კაცისასა ეგულების ვნებად მათგან.

13. მაშინ გულისჴმა-ყვეს მოწაფეთა, რამეთუ იოვანე ნათლის-მცემელისათჳს ჰრქუა მათ.

14. და ვითარცა მოვიდეს იგინი ერისა მის, მოუჴდა მას კაცი ერთი, მუჴლნი დაიდგნა მის წინაშე და ეტყოდა:

15. უფალო, შეიწყა(H 48r)ლე ძე ჩემი[2], რამეთუ ცისად-ცისად ბოროტად იგუემების[3], რამეთუ მრავალ-გზის შთავარდის იგი ცეცხლსა და მრავალ-გზის წყალსა.

16. და მოვჰგუარე იგი მოწაფეთა

---

[1] და შეეშინა ფრიად] — F. [2] ელია|ისი F. [3] და] — F. [4] გულისჴმა-ყვეს F. [5] ი~ნეს G. [6] შეიწყალე G. [7] ძე F. [8] და იგუემების ბოროტად F. [9] იგი] — F.

[1] უკუე HIK. [2] ჩმი H (უქარაგმოდ). [3] იგუემების H.

FG

შენთა, და ვერ შეუძლეს განკურნებად მისა.

17. მიუგო[1] იესუ და ჰრქუა მას: ჵ ნათესავი ურწმუნოჲ და გულარძნილი, ვიდრემდე ვიყო თქუენ თანა[2]? ვიდრემდე თავს-ვიდებდე თქუენსა? მომგუარეთ მე იგი აქა!

18. და ვითარცა მოჰგუარეს, შეჰრისხნა მას იესუ, და განვიდა მისგან ეშმაკი იგი. და განიკურნა ყრმაჲ იგი მიერ ჟამითგან.

19. მაშინ მოვიდეს მოწაფენი თჳსაგან და ჰრქუეს იესუს[3]: რაჲსათჳს ჩუენ ვერ შეუძლეთ განძებად[4] მას?

20. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: მცირედ-მორწმუნეობითა თქუენითა. ამენ გეტყჳ თქუენ: უკუეთუ გაქუნდეს სარწმუნოებაჲ, ვითარცა მარცუალი მდოგჳსაჲ, ჰრქუათ (G 44v) მთასა ამას: მიიცვალე ამიერ იქი, და მიიცვალოს, და არარაჲ[5] შეუძლებელ არს თქუენ მიერ.

21. ხოლო ესე ნათესავი არა განვალს, გარნა ლოცვითა და მარხვითა.

22. და ვითარ იქცეოდეს იგინი გალილეას, ჰრქუა მათ იესუ, ვითარმედ: ჯერ-არს ძჱ[6] კაცისაჲ მიცემად ჴელთა კაცთასა,

23. და მოკლან იგი, და მესამესა დღესა აღდგეს. ხოლო იგინი შეწუხნეს ფრიად.

24. (F 30v) და ვითარცა მოვიდეს იგინი კაფარნაუმდ[7], მოვიდეს მისა, რომელნი-იგი დიდრაქმასა[8] შეჰკრებდეს, და ჰრქუეს პეტრეს: მოძღუარმან თქუენმან არა მოგუცესა[9] დიდრაქმაჲ?

25. ხოლო მან ჰრქუა: ჰე[10]. და ვითარცა შევიდეს იგინი სახედ[11], უსწრო იესუ და ჰრქუა პეტრეს: რასა ჰგონებ შენ, სიმონ: მეფენი ქუეყანისანი ვიეთგან მიი-

HIK

შენთა[1], და ვერ შეუძლეს განკურნებად მისა[2].

17. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: (I 48r) ჵ ნათესავი ურწმუნოჲ და გულარძნილი, ვიდრემდის ვიყო თქუენ თანა? ვიდრემდის თავს-ვიდებდე თქუენსა? მომგუარეთ მე იგი აქა!

18. და ვითარცა მოჰგუარეს, შეჰრისხნა მას იესუ. და განვიდა მისგან ეშმაკი იგი. და (K 67r) განიკურნა ყრმაჲ იგი მიერ ჟამითგან.

19. მაშინ მოუჴდეს იესუს მოწაფენი თჳსაგან და ჰრქუეს[3] მას[4]: რაჲსათჳს ჩუენ ვერ შეუძლეთ განჴდად მისა?

20. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: ურწმუნოებისა თქუენისათჳს. ამენ გეტყჳ თქუენ: უკუეთუ გაქუნდეს სარწმუნოებაჲ, ვითარცა მარცუალი მდოგჳსაჲ, ჰრქუათ მთასა ამას: მიიცვალე ამიერ იქი, და მიიცვალოს, და არარაჲ შეუძლებელ იყოს თქუენ მიერ.

21. ხოლო ესე ნათესავი არარაჲთ განვალს, გარნა ლოცვითა და მარხვითა.

22. და ვითარცა იქცეოდეს იგინი გალილეას, ჰრქუა მათ იესუ, ვითარმედ: ეგულების (H 48v) ძესა კ̃ცისასა მიცემად ჴელთა კ̃ცთასა,

23. და მოკლან იგი, და მესამესა დღესა აღდგეს. ხოლო იგინი შეწუხნეს ფრიად.

24. და ვითარცა მოვიდეს იგინი კაპერნაუმდ, მოუჴდეს მას, რომელნი-იგი[5] დიდრაქმასა შეჰკრებდეს, (I 49r) და ჰრქუეს[3] პეტრეს: მოძღუარმან თქუენმან არა მოგუცესა ხარკი?

25. ხოლო მან ჰრქუა: ჰე[6]. და ვითარცა შევიდა იგი სახიდ, უსწრო მას იესუ და ჰრქუა: რასა ჰგონებ შენ, სიმონ: მეფენი ქუეყანისანი ვიეთგან მიიღებენ

---

[1] და მიუგო F. [2] ~ თქუენ თანა ვიყო G. [3] იესუს] — F. [4] განძებად] განკურნებად G. [5] არაჲ G. [6] ძე F. [7] კაფარნაუმდ G. [8] დრაქმასა F. [9] მოგუეცეს F. [10] ჰჱ G. [11] სახლდ G.

[1] შენთა] — K. [2] მისსა K. [3] ჰქ~ეს I. [4] მას] — HI. [5] რ~ნი იგ~ნი I. [6] ჰჱ HIK.

FG

ღებენ ხარკსა ანუ ზუერსა: შვილთაგან ანუ უცხოთაგან?

26. (G 45 r) ჰრქუა მას პეტრე: უცხოთაგან. მიუგო და ჰრქუა მას იესუ: აწ უკუე თავისუფალ სამე არიან შვილნი.

27. ხოლო რაჲთა არა დავაბრკოლნეთ იგინი, წარვედ ზღუად და შთააგდე სამჭედური, და რომელი პირველად აღმოჴდეს თევზი, მოიღე და აღუღე[1] პირი მისი და[2] ჰპოო მას შინა სასწორი[3] და[2] მოიღე იგი და მიეც მათ შენთჳს და ჩემთჳს.

HIK

ხარკსა ანუ ზუერსა[1]: შვილთაგან ანუ უცხოთაგან?

26. ჰრქუა მას პეტრე: უცხოთაგან. (K 57 v) მიუგო იესუ და ჰრქუა მას: აწ უკუე[2] თავისუფალ სამე არიან შვილნი.

27. ხოლო რაჲთა არა დავაბრკოლნეთ იგინი, წარვედ ზღუად და შთააგდე სამჭედური, და რომელი პირველად აღმოჴდეს[3] თევზი, აღიღე და აღუღე პირი მისი და ჰპოო მის შორის სტატირი[4], მოიღე იგი და მიეც მათ შენთჳს და ჩემთჳს.

# 18

1. მაშინ მოუჴდეს იესუს მოწაფენი და ეტყოდეს: ვინ-მე უფროჲს იყოს სასუფეველსა ცათასა?

2. და მოუწოდა იესუ ყრმებსა და დაადგინნა[1] შორის მათსა

3. და ჰრქუა: ამენ გეტყჳ თქუენ: უკუეთუ არა მოიქცეთ და იქმნეთ, ვითარცა ყრმანი, ვერ შეხჳდეთ სასუფეველსა ცათასა.

4. რამეთუ რომელმან დაიმდაბლოს თავი თჳსი, ვითარცა ყრმაჲ ესე, (F 40 r) ესე უფროჲს[5] იყოს სასუფეველსა ცათასა.

5. და რომელმან შეიწყნაროს ყრმაჲ ერთი ესრე სახედ სახელითა ჩემითა, მან მე შემიწყნაროს.

6. (G 45 v) და რომელმან დააბრკოლოს ერთი მცირეთა[6] ამათგანი ჩემდა მომართ მორწმუნეთაჲ, უმჯობეს არს მისა, დამო-თუ-იკიდოს ფქვილი[7] ვირით საფქველი ქედსა და დაინთქას[8] იგი უფსკრულთა ზღჳსათა[9].

1. მას ჟამსა შინა[5] მოუჴდეს იესუს მოწაფენი და ეტყოდეს: ვინ-მე უფროჲს იყოს სასუფეველ(H 40 r)სა ცათასა?

2. და მოუწოდა იესუ ყრმასა და დაადგინა შორის მათსა

3. და ჰრქუა: ამენ გეტყჳ თქუენ: უკუეთუ არა მოიქცეთ და იქმნნეთ[6], ვითარცა ყრმანი, ვერ შეხჳდეთ სასუფეველსა ცათასა.

4. რამეთუ რომელმან დაიმდაბლოს თავი თჳსი, ვითარცა ყრმაჲ ესე, იგი უფროჲს (I 40 v) იყოს სასუფეველსა ცათასა.

5. და რომელმან შეიწყნაროს ერთი ყრმაჲ ესევითარი სახელითა ჩემითა, მე შემიწყნარებს[7].

6. და რომელმან დააბრკოლოს ერთი მცირეთა ამათგანი (K 68 r) ჩემდა მომართ მორწმუნეთაჲ, უმჯობეს არს მისა[8], დამო-თუ-იკიდოს წისქვლი ვირით საფქველი ქედსა და დაინთქას იგი უფსკრულსა ზღჳსასა.

---

[1] აღიღე G. [2] და] — G. [3] სასწორი F. [4] დაადგინა G. [5] უფრს G (უქარაგმოდ). [6] მცირეთა F. [7] ფქვილი] ქვაჲ G. [8] დაითქას G. [9] უფსკრულსა ზღჳსსა G („ზღჳსსა" უქარაგმოდ).

[1] ზუერსა HI. [2] უკუე] HIK. [3] აღმოჰკდეს K. [4] სტატირი HI (⁖ ნიშნით ამ ხელნაწერებში აღნიშნავენ, მათი აზრით, შეცდომებს. აქ პირველი „ტ" ზედმეტადაა მიჩნეული. ძველ ქართულში სატირი გვაქვს. მაგრამ შდრ. ბერძნ. στατήρ, რომელიც ამ ადგილას იხმარება). [5] შინა] — K. [6] იქმნეთ HI. [7] შემიწყნარა K. [8] მისსა K.

| FG | HIK |
|---|---|
| 7. ვაჲ სოფელსა ამას[1] საცთურთა მათგან, რამეთუ უნებლიაჲთცა მომავალ არს საცთური; ხოლო ვაჲ მის კაცისა, რომლისა მიერ[2] მოვიდეს საცთური იგი. | 7. ვაჲ სოფლისა ამის საცთურთა მათგან, რამეთუ უნებლიადცა მომავალ არიან საცთურნი; ხოლო ვაჲ მის კაცისა, რომლისაგან მოვიდეს საცთური. |
| 8. უკუეთუ ჴელი შენი ანუ ფერჴი შენი გაცთუნებდეს შენ, მოიკუეთე იგი და განაგდე შენგან: უმჯობეს არს შენდა შესლვად ცხორებასა მკელობელისაჲ გინა უჴელოჲსაჲ, ვიდრე ორნი ჴელნი და ორნი ფერჴნი თუ გესხნენ[3] და შთაჰვარდე ცეცხლსა მას საუკუნესა. | 8. უკუეთუ ჴელი შენი ანუ ფერჴი შენი გაცთუნებდეს შენ, მოიკუეთენ[1] იგი[2] და განაგდენ შენგან: უმჯობეს არს შენდა შესლვაჲ ცხორებასა მკელობელისა გინა უჴელოჲსაჲ, ვიდრე ორნი ჴელნი და ორნი ფერჴნი თუ გეს(H 40v)ხნენ და შთაჰვარდე ცეცხლსა მას საუკუნესა. |
| 9. და უკუეთუ თუალი შენი გაცთუნებდეს შენ, აღმოიღე[4] იგი და განაგდე შენგან: უმჯობეს არს შენდა ერთ-თუალისაჲ შესლვად ცხორებასა, ვიდრე ორ-(G 40r)თა თუალთა სხმასა[5] და შესლვად გეჰენიასა (F 40v) ცეცხლისასა. | 9. და უკუეთუ თუალი შენი გაცთუნებდეს შენ, აღმოიღე იგი და განაგდე შენგან: უმჯობეს არს შენდა ერთ-თუალისაჲ შესლვად ცხორებასა, ვიდრე ორთა თუალთა სხმასა და შთაგდებად (I 50r) გეჰენიასა[3] ცეცხლისასა. |
| 10. ეკრძალენით, ნუუკუე ვინმე შეურაცხ-ჰყოთ ერთი მცირეთა ამათგანი. გეტყჳ თქუენ, რამეთუ ანგელოზნი მათნი ცათა შინა მარადის ხედვენ პირსა მამისა ჩემისასა, რომელ არს ცათა შინა. | 10. ეკრძალენით, ნუუკუე[4] ვინმე შეურაცხ-ჰყოთ ერთი მცირეთა ამათგანი. გეტყჳ თქუენ, რამეთუ ანგელოზნი მათნი ცათა შინა მარადის ხედვენ პირსა მამისა ჩემისასა, რომელ არს ცათა შინა. |
| 11*. მოვიდა აწ ძჱ კაცისაჲცა ძიებად, რაჲთა იჴსნეს ცხოვარი წარწყმედული. | 11. რამეთუ მოვიდა ძე კაცისაჲ ცხორებად წარწყმედულისა. |
| 12. ვითარ ჰგონებთ თქუენ: კაცსა თუ ვისმე ედგას ასი ცხოვარი და შესცთეს ერთი მათგანი, არა-მე დაუტევნესა ოთხმეოც და ცხრამეტნი იგი მთათა გარე და წარვიდეს და მოიძიოს შეცთომილი იგი? | 12. ვითარ ჰგონებთ თქუენ: კაცსა თუ ვისმე ედგას ასი (K 58v) ცხოვარი და შესცთეს ერთი მათგანი, არა-მე დაუტევნესა ოთხმეოც და ათცხრამეტნი იგი მთათა ზედა და წარვიდეს და მოიძიოს შეცთომილი იგი? |
| 13. და რაჟამს პოვოს[6] იგი, ამენ გეტყჳ თქუენ: უფროჲს უხაროდის მის ზედა, ვიდრე ოთხმეოც და ათცხრამეტთა[7] მათ, რომელნი არა შეცთომილ იყვნეს. | 13. და რაჟამს პოოს იგი, ამენ გეტყჳ თქუენ: უფროჲს უხაროდის მის ზედა, ვიდრე ოთხმეოც და ათცხრამეტთა მათ, რომელნი არა შეცთომილ იყვნეს. |
| 14. ესრეთ არს ნებაჲ მამისა ჩემისა ზეცათაჲსაჲ[8], რაჲთა არა წარწყმდეს ერთი მცირეთა ამათგანი. | 14. ესრეთ არა არს ნებაჲ მამისა თქუენისა ზეცათაჲსაჲ, რაჲთა წარწყმდეს ერთი მცირეთა ამათგანი. |

---

[1] ამას] — F [2] რომლისა მიერ] რომლისაგან G. [3] ორნი ჴელნი და ორნი ფერჴნი თუ გესხნენ] ორნივე ჴელნი თუ გესხნენ და ორნი ფერჴნი F. [4] აღმოიღჱ G. [5] სხჳაჲ F. [6] პოოს F. [7] ...ცხრამეტთა F. [8] ზჱცათაჲსაჲ G.

[1] მოიკუჱთენ HI. [2] ასეა HIK. [3] გეჰჱნიასა I. [4] ნუუკუჱ HIK.

* მე-11 მუხლი FG ხელნაწერებში მოთავსებულია მე-14 მუხლის შემდეგ.

FG

15. უკუეთუ შეგცოდოს შენ ძმამან შენმან, (G 40v) მივედ და ამხილე მას, რაჟამს შენ და იგი ხოლო იყვნეთ. უკუეთუ ისმინოს შენი, შეიძინო ძმაჲ იგი შენი.

16. უკუეთუ შენი არა ისმინოს, მიიყვანე შენ თანა ერთი ანუ ორი სხუაჲ, რაჲთა პირითა ორისა და სამისა მოწამისაჲთა დაემტკიცოს ყოველი სიტყუაჲ.

17. უკუ(F 41r)ეთუ მათიცა არავე[1] ისმინოს, უთხარ კრებულსა; უკუეთუ კრებულისაჲცა არა ისმინოს, იყავნ იგი შენდა, ვითარცა ხარკის-მკრებელი და მეზუერჱ[2].

18. ამენ გეტყჳ თქუენ: რომელი შეჰკრათ ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რომელი განჰჴსნეთ ქუეყანასა ზედა, ჴსნილ იყოს იგი ცათა შინა.

19. მერმე გეტყჳ თქუენ: უკუეთუ ორნი თქუენგანნი შეითქუნენ ქუეყანასა ზედა ყოვლისავეთჳს საქმისა, რომელიცა ითხოონ, ეყოს მათ მამისა ჩემისაგან ზეცათაჲსა[3].

20. რამეთუ სადაცა იყვნენ ორნი გინა სამნი სახელისა ჩემისათჳს შეკრებულ, მუნ ვარ მე შორის მათსა.

21. მაშინ მოუჴდა იესუს პეტრე და ჰრქუა: უფალო, რავდენ-გზის შემცოდოს მე ძმამან ჩემმან, და მიუტეო მას? ვიდრე შჳდ-გზისამდეა?

22. (G 41r) ჰრქუა მას იესუ: არა გეტყჳ შენ ვიდრე შჳდ-გზისამდე, არამედ ვიდრე სამეოც და ათჯერ შჳდ-გზის.

23. ამისთჳს ემსგავსა სასუფეველი ცათაჲ კაცსა მეუფესა[4], რომელმან ინება სიტყჳსა განგებაჲ მონათა თჳსთა თანა.

24. და ვითარცა იწყო განგებად, წარმოუდგინეს მას ერთი თანა-მდები ბევრისა ტალანტისაჲ.

HIK

15. ხოლო უკუეთუ[1] შეგცოდოს შენ ძმამან შენმან, მივე(H 50r)დ და ამხილე მას, რაჟამს შენ და იგი ხოლო იყვნეთ მარტონი. უკუეთუ ისმინოს შენი, შეიძინე[2] ძმაჲ იგი შენი.

16. ხოლო უკუეთუ არა ისმინოს, მიიყვანე შენ თანა ერთი ანუ ორი სხუაჲ, (I 50v) რაჲთა პირითა ორისა და სამისა და მოწამისაჲთა დაემტკიცოს ყოველი სიტყუაჲ.

17. ხოლო უკუეთუ[1] მათიცა არა ისმინოს, უთხარ კრებულსა; ხოლო უკუეთუ კრებულისაჲცა არა ისმინოს, იყავნ იგი შენდა, ვითარცა მეზუერე[3] და წარმართი.

18. ამენ გეტყჳ თქუენ: რაოდენი შეჰკრათ ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რაოდენი განჰჴსნათ ქუეყანასა ზედა, ჴსნილ იყოს იგი ცათა შინა.

19. კუალად ამენ გეტყჳ თქუენ: უკუეთუ[1] ორნი თქუენგანნი შე(K 59r)ითქუნენ ქუეყანასა ზედა ყოვლისათჳსვე საქმისა, რომელიცა ითხოონ, ეყოს მათ მამისა ჩემისაგან ზეცათაჲსა.

20. რამეთუ სადაცა იყვნენ ორნი გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათჳს, მუნ ვარ მე შორის მათსა.

21. მაშინ მოუჴდა მას პეტრე და ჰრქუა: უფალო, რაოდენ-გზის შემცოდოს ძმამან ჩემმან, და მიუტეო მას? ვიდრე შჳდ-გზისამდეა?

22. (H 50v) ჰრქუა მას იესუ: არა გეტყჳ შენ ვიდრე შჳდ-გზისამდე, არამედ ვიდრე სამეოც და ათ შჳდ-გზის.

23. ამისთჳს ემსგავსა სასუფეველი ცათაჲ კაცსა მეუფესა, რომელმან ინება სიტყჳსა განგებაჲ მონათა თჳსთა თანა.

24. (I 51r) და ვითარცა იწყო განგებად, წარმოუდგინეს მას ერთი თანა-მდები ბევრისა ტალანტისაჲ.

---

[1] არა G. [2] მეზუერე F. [3] ზ͠ცთსა F. [4] მ͞ფსა F.

[1] უკუჱთუ H. [2] შეიძინო K. [3] მეზუჱრე HI.

| FG | HIK |
|---|---|
| 25. და ვითარ არარაჲ აქუნდა (F 41v) მას, რაჲმცა მისცა, უბრძანა უფალმან მისმან განსყიდაჲ ცოლისა მისისაჲ და შვილთა[1] მისთაჲ და რაჲცა აქუნდა მას, და გარდაჴდად იგი. | 25. და ვითარ არარაჲ აქუნდა მას, რაჲმცა მისცა, უბრძანა უფალმან მისმან განსყიდაჲ ცოლისა მისისაჲ და შვილთა მისთაჲ და რაჲცა აქუნდა მას, და გარდაჴდად იგი. |
| 26. დავარდა მონაჲ იგი, თაყუანის-სცემდა მას და ეტყოდა: სულგრძელ იქმენ ჩემ ზედა, და ყოველივე მიგცე შენ. | 26. დავარდა უკუე[1] მონაჲ იგი, თაყუანის-სცემდა მას და ეტყოდა: სულგრძელ იქმენ ჩემ ზედა, უფალო, და ყოველივე მიგცე შენ. |
| 27. შეეწყალა უფალსა მას მონაჲ იგი და განუტევა იგი და თანა-ნადებიცა იგი მიუტევა მას. | 27. შეეწყალა უფალსა მისსა მონაჲ იგი და განუტევა იგი და თანა-ნადებიცა იგი მიუტევა მას. |
| 28. და ვითარცა გამოვიდა მიერ მონაჲ იგი, პოვა ერთი მოყუასი თჳსი, რომელსა თანა-ედვა მისი ასი დრაჰკანი; შეიპყრა იგი და შეაშთობდა მას და ეტყოდა: მომეც, რაჲცა თანა-გაც. | 28. და ვითარცა გამოვ(K 58v)იდა მიერ მონაჲ იგი, პოვა ერთი მის თანა მონაჲ, რომელსა თანა-ედვა მისი ასი დრაჰკანი; შეიპყრა იგი და შეაშთობდა მას და ეტყოდა: მომეც, რაჲცა-იგი თანა-გაც. |
| 29. (G 47v) შეუვრდა მოყუასი იგი მისი, ევედრებოდა მას და ეტყოდა: სულგრძელ იქმენ ჩემ ზედა, და მიგცე შენ. | 29. შეუვრდა მას მოყუასი იგი მისი და ევედრებოდა მას და ეტყოდა: სულგრძელ იქ(H 51r)მენ ჩემ ზედა, და ყოველივე მიგცე შენ. |
| 30. ხოლო მან არა ისმინა მისი, არამედ უფროჲსად[2] აურევებდა მას და შეაგდო იგი საპყრობილესა, ვიდრემდე მისცეს მას თანა-ნადები იგი. | 30. ხოლო მან არა ისმინა მისი, არამედ წარვიდა და შეაგდო იგი საპყრობილესა, ვიდრემდე მისცეს მას თანა-ნადები იგი. |
| 31. იხილეს რაჲ მოყუასთა მათ მისთა საქმე ესე, შეწუხნეს ფრიად და მივიდეს და აუწყეს უფალსა მას მათსა ყოველივე, რაჲცა-იგი იყო[3]. | 31. ხოლო იხილეს რაჲ მის თანა მონათა მათ საქმე (I 51v) ესე, შეწუხნეს ფრიად; და მივიდეს და აუწყეს უფალსა მათსა ყოველივე იგი, რაჲცა იქმნა. |
| 32. მაშინ მოუწოდა მას უფალმან თჳსმან და ჰრქუა მას: მონაო ბოროტო, ყოველივე თანა-ნადები შენი მიგიტევე შენ, რამეთუ მევედრებოდე მე. | 32. მაშინ მოუწოდა მას უფალმან მისმან და ჰრქუა მას: მონაო ბოროტო, ყოველივე თანა-ნადები შენი მიგიტევე შენ, რამეთუ მევედრებოდე მე. |
| 33. არა ჯერ-ი(F 42r)ყოა შენდაცა, რაჲთამცა შეიწყალე მოყუასი იგი შენი, ვითარცა მე შეგიწყალე შენ? | 33. არა ჯერ-იყო შენდაცა, რაჲთამცა შეიწყალე შენ შენ თანა მონაჲ იგი, ვითარცა მე შენ შეგიწყალე? |
| 34. და განურისხნა მას უფალი იგი მისი[4] და მისცა იგი ჴელთა მტანჯველთასა, ვიდრემდე გარდაიჴადოს ყოველი იგი თანა-ნადები. | 34. და განურისხნა უფალი იგი მისი და მისცა იგი ჴელთა მტანჯველთასა, ვიდრემდის გარდაიჴადოს ყოველი იგი თანა-ნადები მისი. |

---

[1] შვილთა მისთაჲ] შვილთაჲ G. [2] უფროჲსღა G. [3] რაჲცა-იგი იყო] — F. [4] თჳსი G.
[1] უკუე HI.

FG

35. ეგრეცა მამამან თქუენმან ზეცათამან გიყოს თქუენ, უკუეთუ არა მიუტევნეთ კაცად-კაცადმან მოყუასსა თჳსსა ყოვლითა გულითა თქუენითა.

HIK

35. ეგრეთცა მამამან ჩემმან ზეცათამან გიყოს თქუენ, უკუეთუ არა მიუტევნეთ კაცად-კაცადმან ძმასა თჳსსა ყოვლითა გულითა თქუენითა ცთომანი მათნი.

## 19

1. (G 48r) და იყო ვითარცა დაასრულნა იესუ სიტყუანი ესე, წარვიდა გალილეაჲთ და მივიდა საზღვართა ჰურიასტანისათა, წიაღ-იორდანესა.

2. და მისდევდა მას ერი მრავალი, და განკურნნა[1] იგინი მუნ.

3. მაშინ მოვიდეს მისა ფარისეველნი, გამოსცდიდეს მას და ეტყოდეს: უკუეთუ ჯერ-არს კაცისა განტევებაჲ ცოლისა თჳსისაჲ ყოვლისათჳს ბრალისა?

4. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ: არა აღმოგიკითხავსა, რამეთუ რომელმან დაჰბადა დასაბამსა, მამაკაცად და დედაკაცად შექმნნა[2] იგინი?

5. და თქუა: ამისთჳს დაუტეოს კაცმან მამაჲ თჳსი და დედაჲ თჳსი და შეეყოს ცოლსა თჳსსა, და იყვნენ ორნივე იგი ერთ ჴორც,

6. ვითარმედ არღარა არიან იგინი ორ, არამედ ერთ ჴორც. რომელნი-იგი ღმერთმან (F 42v) შეაუღლნა, კაცნი ნუ განაშორებენ.

7. ხოლო მათ ჰრქუეს მას: (G 48v) რაჲსათჳს უკუე მოსე[3] ამცნო წიგნი განტევებისაჲ მიცემად და განტევებად?

8. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ, რამეთუ: მოსე გულ-ფიცხელობისა[4] თქუენისათჳს გიბრძანა თქუენ განტევებაჲ ცოლთა თქუენთაჲ, ხოლო დასაბამსა არა ეგრე იყო.

9. ხოლო მე გეტყჳ თქუენ, რამეთუ: რომელმან განუტეოს ცოლი თჳსი თჳნიერად სიძვისა და სხუაჲ შეირთოს, იმრუ-

1. და იყო ვითარცა დაასრულნა იესუ სიტყუანი ესე, წარვე(K 00r)და გალილეაჲთ და მივიდა საზღვართა ჰურიასტანისათა, წიაღ-იორდანესა.

2. და (H 61v) მისდევდა მას ერი მრავალი, და განკურნნა იგინი მუნ.

3. მაშინ მოუჴდეს მას ფარისეველნი, გამოსცდიდეს მას და ეტყოდეს: უკუეთუ ჯერ-არს კაცისა განტევებაჲ ცოლისა თჳსისაჲ ყოვლისა(I 52r)თჳს ბრალისა?

4. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ: არა აღმოგიკითხავსა, რამეთუ რომელმან დაჰბადა დასაბამსა, მამაკაცად და დედაკაცად შექმნნა იგინი?

5. და თქუა: ამისთჳს დაუტეოს კაცმან მამაჲ თჳსი და დედაჲ თჳსი და შეეყოს ცოლსა თჳსსა, და იყვნენ ორნივე იგი ერთ ჴორც,

6. ვითარმედ არღარა არიან ორ, არამედ ერთ ჴორც. აწ უკუე[1] რომელნი-იგი ღმერთმან შეაუღლნა, კაცი ნუ განაშორებს.

7. ხოლო მათ ჰრქუეს მას[2]: რაჲსათჳს უკუე[3] მოსე ამცნო წიგნი განტევებისაჲ მიცემად და განტევებად?

8. მიუგო იესუ და ჰრქუა (K 00v) მათ, რამეთუ: მოსე გულ-ფიცხელობისა თქუენისათჳს გიბრძანა განტევებაჲ ცოლთა თქუენთაჲ, ხოლო დასაბამსა არა ეგრე იყო.

9. ხოლო მე გეტყჳ თქუენ, რამეთუ: რომელმან განუტეოს ცოლი თჳსი თჳნიერ სიძვისა და სხუაჲ შეირთოს,

---

[1] განკურნა F. [2] შექმნა F. [3] მოსჱ F. [4] გულ-ფიცხლეობისა F.

[1] უკუჱ HI. [2] მას] — K. [3] უკუჱ HIK.

FG

შოს; და რომელმან განტევებული შეირთოს, მანცა იმრუშოს.

10. ჰრქუეს მას მოწაფეთა მისთა[1]: უკუეთუ ესოდენი ბრალი[2] არს კაცისა დედაკაცისა თანა, არა შეჰგავს ქორწინებაჲ.

11. ჰრქუა მათ იესუ: არა ყოველთა დაიტიონ სიტყუაჲ ეგე, არამედ რომელთადა[3] მიცემულ არს.

12. რამეთუ არიან საჭურისნი, რომელნი მუცლითგან დედისა თჳსისაჲთ საჭურისნი იშვნეს; და არიან საჭურისნი, რომელნი კაცთაგან გამოისაჭურისნეს; და არიან საჭუ(G 49r)რისნი, რომელთა გამოისაჭურისნეს თავნი თჳსნი სასუფეველისათჳს ცათაჲსა[4]. რომელი შემძლებელ არს დატევნად, დაიტიენ.

13. მაშინ მოჰგუარეს მას ყრმები, რაჲთამცა ჴელი დასდვა მათ და აკურთხნა იგინი. ხოლო მოწაფენი ჰრისხვიდეს მათ.

14. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: აცადეთ ყრმებსა (F 43r) მაგას მოსლვად ჩემდა და ნურას აყენებთ მაგათ, რამეთუ ეგევითართაჲ არს სასუფეველი ცათაჲ.

15. და დასდვა ჴელი მისი მათ ზედა. და ვითარცა წარვიდა მიერ,

16. აჰა მო-ვინმე-ვიდა მისა კაცი ერთი და ჰრქუა: მოძღუარო სახიერო, რაჲ-მე კეთილი ვქმნე, რაჲთა მაქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ?

17. ხოლო იესუ ჰრქუა მას: რაჲსა მკითხავ მე[5] კეთილისა საქმისათჳს? ერთი არს სახიერი — ღმერთი. ხოლო თუ გნებავს ცხორებასა შესლვაჲ, დაიმარხენ მცნებანი.

18. ჰრქუა მას: რომელნი მცნებანი? ხოლო იესუ ჰრქუა მას: ესე, ვითარმედ: არა კაც-ჰკლა, არცა[6] იმრუშო, არცა[6] იპარო, (G 40v) არცა ცილი სწამო;

19. პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა და შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თჳსი.

HIK

იმრუ(H 52r)შებს; და რომელმან განტევებული შეირთოს, იგიცა იმრუშებს.

10. ჰრქუეს[1] მას მოწაფეთა მისთა: უკუეთუ ესოდენი ბრალი არს კაცისაჲ დედაკაცისა თანა, არა შეჰგავს ქორწინებაჲ.

11. ჰრქუა მათ იესუ: (I 52v) არა ყოველთა დაიტიონ სიტყუაჲ ეგე, არამედ რომელთადა მიცემულ არს.

12. რამეთუ არიან საჭურისნი, რომელნი მუცლითგან დედისა თჳსისაჲთ საჭურისნი იშვნეს; და არიან საჭურისნი, რომელნი კაცთაგან გამოისაჭურისნეს; და არიან საჭურისნი, რომელთა გამოისაჭურისნეს თავნი თჳსნი სასუფეველისათჳს ცათაჲსა. რომელი შემძლებელ არს დატევნად, დაიტიენ.

13. მაშინ მოჰგუარეს მას ყრმები, რაჲთამცა ჴელი დასდვა მათ ზედა და აკურთხნა იგინი, ხოლო მოწაფენი ჰრისხვიდეს მათ.

14. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: აცადეთ ყრმებსა მაგას მო(K 01r)სლვად ჩემდა და ნუ აყენებთ მაგათ, რამეთუ ეგევითართაჲ არს სასუფეველი ცათაჲ.

15. და დაასხნა მათ ზედა ჴელნი. და ვითარცა წარვიდა მიერ,

16. აჰა მო-ვინმე-უჴდა მას და ჰრქუა: მოძღუარო სახიერო, რაჲ კეთილი ვქმნე, რაჲთა მაქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ?

17. ხოლო იესუ ჰრქუა მას: რაჲსა მეტყჳ მე სახიერით? არა(H 52v)ვინ არს სახიერი, გარნა მხოლოჲ ღმერთი. ხოლო უკუეთუ[2] გნებავს ცხორებასა შესლვაჲ, დაიმარხენ მცნებანი.

18. ჰრქუა მას: რომელნი? (I 53r) ხოლო იესუ ჰრქუა მას, ვითარმედ: არა კაც-ჰკლა, არა იპარო, არა იმრუშო, არა ცილი სწამო;

19. პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა და შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თჳსი.

---

[1] თჳსთა G. [2] ბალი F. [3] რომელთა G. [4] ც̃თსა F. [5] მე] — F [6] არა G.

[1] ჰქ̃ეს I. [2] უკუჱთუ H.

FG

20. ჰრქუა მას ჭაბუკმან მან: ეგე ყოველი დამიმარხავს სიყრმით ჩემითგან. რაჲღა მაკლს მე?

21. ჰრქუა მას იესუ: უკუეთუ გნებავს, რაჲთა სრულ ხოლო იყო, წარვედ და განყიდე ნაყოფი შენი და მიეც გლახაკთა და გაქუნდეს საუნჯჱ[1] ცათა შინა და მოვედ და შემომიდეგ მე.

22. და ვითარცა ესმა ესე ჭაბუკსა მას, წარვიდა მწუხარე, რამეთუ იყო იგი მდი(F 43v)დარ ფრიად.

23. ხოლო იესუ ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა: ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ მდიდარი ძნიად შევიდეს სასუფეველსა ცათასა.

24. და მერმე გეტყჳ თქუენ: უადვილეს არს მანქანისა საბელი განსლვად ჴურელსა ნემსისასა[2], ვიდრე მდიდარი შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა.

25. ვითარცა ესმა ესე მოწაფეთა მისთა, განუკჳრდებოდა ფრიად და იტყოდეს: ვის ჴელ-ეწიფების ცხორებად?

26. მიხედა იესუ და ჰრქუა (G 60r) მათ: კაცთაგან შეუძლებელ არს, ხოლო ღმრთისაგან[3] ყოველივე[4] შესაძლებელ არს.

27. მაშინ მიუგო პეტრე და ჰრქუა იესუს: უფალო, აჰა ესერა ჩუენ ყოველივე დაუტევეთ და შეგიდეგით შენ; რაჲ-მე იყოს ჩუენთჳს?

28. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ თქუენ, რომელნი-ეგე შემომიდეგით მე, მერმესა მას მოსლვასა, რაჟამს დაჯდეს ძჱ კაცისაჲ საყდართა დიდებისა თჳსისათა, დასხდეთ თქუენცა ათორმეტთა საყდართა განსჯად ათორმეტთა ნათესავთა ისრაჱლისათა.

29. და ყოველმან რომელმან დაუტეოს სახლი გინა ძმანი ანუ დანი ანუ მამაჲ ანუ დედაჲ ანუ ცოლი ანუ შვილნი ანუ

HIK

20. ჰრქუა მას ჭაბუკმან მან: ესე ყოველი დამიმარხავს სიყრმით ჩემითგან. რაჲღა მაკლს მე?

21. ჰრქუა მას იესუ: უკუეთუ გნებავს, რაჲთა სრულ იყო, წარვედ და განყიდე მონაგები შენი და მიეც გლ(K 61v)ახაკთა და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა და მოვედ და შემომიდეგ მე.

22. და ვითარცა ესმა სიტყუაჲ ესე ჭაბუკსა მას, წარვიდა მწუხარე, რამეთუ იყო იგი მდიდარ ფრიად.

23. ხოლო იესუ ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა: ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ მდიდარი ძნიად შევიდეს სასუფეველსა ცათასა.

24. და მერმე გეტყჳ თქუენ: უადვილეს არს აქლემი განსლვად ჴურელსა ნემსისა, ვიდრე მდიდარი შესლვად სასუფეველსა ცათასა.

25. ვითარცა ესმა ესე მოწაფეთა (H 63r) მისთა, განუკჳრდებოდა ფრიად და იტყოდეს: და ვის-მე ჴელ-ეწიფების ცხოვნებად?

26. მიჰხედა[1] იესუ და ჰრქუა მათ: კაცთაგან შეუძლებელ არს ესე, ხოლო ღმრთი(I 53v)სა მიერ ყოველივე შესაძლებელ არს.

27. მაშინ მიუგო პეტრე და ჰრქუა მას: აჰა ესერა ჩუენ ყოველი დაუტევეთ და შეგიდეგით შენ; რაჲ-მე იყოს ჩუენდა?

28. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ თქუენ, რომელნი-ეგე შემომიდეგით მე, მერმესა მას შობასა, რაჟამს დაჯდეს ძე კაცისაჲ საყდართა დიდებისა თჳსისათა, დასხდეთ თქუენცა ათორმეტთა საყდართა განსჯად[2] ათორმეტთა ტომთა ისრაჱლისათა.

29. და ყოველმან, რომელმან დაუტევა სახლი გინა ძმანი ანუ დანი ანუ მამაჲ ანუ დედაჲ ანუ ცოლი (K 62r)

---

[1] საუნჯე F. [2] ნემსისა F. [3] ღმრთისა მიერ G. [4] ყოველი F.

[1] მიხედა K. [2] განშჯად HI.

| FG | HIK |
|---|---|
| ქუეყანაჲ სახელისა ჩემისათჳს, ასი წილი მოიღოს და ცხორებაჲ საუკუნოჲ დაიმკჳდროს. | ანუ შვილნი ანუ აგარაკნი სახელისა ჩემისათჳს, ას წილად მიიღოს და ცხორებაჲ საუკუნოჲ დაიმკჳდროს. |
| 30. ხოლო მრავალნი იყვნენ პირველნი (F 44r) უკუანა, და უკუანანი წინა. | 30. ხოლო მრავალნი იყვნენ პირველნი უკუანა, და უკუანანი წინა. |

# 20

| | |
|---|---|
| 1. რამეთუ მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ კაცსა სახლისა უფალსა, რომელი განვიდა განთიად დადგინებად მუშაკთა (G 50v) ვენაჴსა თჳსსა. | 1. რამეთუ მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ კაცსა სახლისა უფალსა, რომელი განეიდა განთიად დადგინებად მუშაკთა ვენაჴსა (H 50v) თჳსსა. |
| 2. და აღუთქუა მათ თითოეულად სასყიდელი[1] დრაჰკანი დღესა და წარავლინნა[2] იგინი ვენაჴსა თჳსსა[3]. | 2. და აღუთქუა მათ სასყიდელი თითოეულსა დრაჰკანი დღესა შინა და წარავლინნა იგინი ვენაჴსა თჳსსა. |
| 3. და განვიდა მესამესა ჟამსა და იხილნა სხუანი, მდგომარენი უბანთა ზედა უქმად, | 3. და განვიდა იგი მესამესა (I 54r) ჟამსა და პოვნა სხუანი, მდგომარენი უბანთა ზედა უქმად, |
| 4. და ჰრქუა მათ: მივედით თქუენცა ვენაჴსა ჩემსა და, რაჲ-იგი იყოს სამართალი, მიგცე თქუენ. | 4. და ჰრქუა მათ: წარვედით თქუენცა ვენაჴსა ჩემსა და, რაჲ-იგი იყოს სამართალი, მიგცე თქუენ. |
| 5. ხოლო იგინი წარვიდეს. და მერმე განვიდა მეექუსესა და მეცხრესა ჟამსა და ყო ეგრეთვე. | 5. ხოლო იგინი წარვიდეს. და მერმე განვიდა მეექუსესა და მეცხრესა ჟამსა და ყო ეგრეთვე. |
| 6. ხოლო მეათერთმეტესა ჟამსა განვიდა და პოვნა სხუანი მდგომარენი და ჰრქუა მათ: რაჲსა სდეგით თქუენ აქა დღე[4] ყოველ უქმად? | 6. ხოლო მეათერთმეტესა ჟამსა განვიდა და პოვნა სხუანი მდგომარენი და ჰრქუა მათ: რაჲსა სდეგით თქუენ აქა დღე ყოველ უქმად? |
| 7. ხოლო მათ ჰრქუეს მას: არავინ დამიდგინნა[5] ჩუენ. ჰრქუა მათ: წარვედით თქუენცა ვენაჴსა ჩემსა. | 7. ხოლო მათ ჰრქუეს[1] მას, ვითარმედ: არავინ დამიდგინნა ჩუენ. ჰრქუა მათ: წარვედით თქუენცა ვენაჴსა ჩემსა და, რაჲ-იგი იყოს სამართალი, მიიღოთ. |
| 8. და ვითარცა შემწუხრდა, ჰრქუა სახლისა უფალმან ეზოჲს-მოძღუარსა თჳსსა: მოუწოდე მუშაკთა მათ და მიეც მათ სასყიდელი; იწყე[6] უკუანაჲსკნელითგან, ვიდრე პირველთამდე. | 8. და ვითარცა შემწუხრდა, ჰრქუა უფალმან სავენაჴისამან ეზოჲს-მოძღუარსა თჳსსა: მოუწოდე მუშაკთა მათ და მიეც მათ სასყიდელი; იწყე უკუანაჲსკნელ(K 69v)თაგან[2], ვიდრე პირველთამდე. |
| 9. მოვიდეს მეათერთმეტისა ჟამისანი (G 61r) იგი[7] და მიიღეს თითოჲ დრაჰკანი. | 9. მოვიდეს მეათერთ(H 64r)მეტისა ჟამისანი იგი და მიიღეს თითოჲ დრაჰკანი. |

---

[1] ~ სასყიდელი თითოეულად G. [2] წარავლინა F. [3] თჳსა F. [4] დღჱ FG. [5] დაგჳდგინნა G. [6] იწყო G. [7] იგი] — F.

[1] ჰქ̄ჱს I. [2] უკუანაჲსკნელ\|თაგან K.

FG

10. მოვიდეს პირველისანიცა იგი და ჰგონებდეს, ვითარმედ უფროჲს მიიღონ; და მიიღეს მათ(F 44v)ცა თითოჲ დრაჰკანი.

11. ხოლო მი-რაჲ-იღეს. დრტჳნვიდეს სახლისა უფლისა მისთჳს

12. და იტყოდეს, ვითარმედ: უკუანაჲსკნელთა მათ ერთი ხოლო[1] ჟამი დაყვეს. და სწორ ჩუენდა ჰყვენ იგინი, რომელთა ვიტჳრთეთ სიმძიმე დღისაჲ და სიცხჱ[2].

13. ხოლო მან მიუგო ერთსა მათგანსა და ჰრქუა[3]: მოყუასო. არას გავნებ შენ, ანუ არა დრაჰკანი ერთი აღმითქუ შენ?

14. მიიღე[4] შენი და ვიდოდე. ხოლო მე მნებავს უკუანაჲსკნელსა ამას მიცემად, ვითარცა შენ.

15. ანუ არა ჯერ-არსა[5] ჩემდა, რაჲცა მინდეს, ყოფად ჩემსა ზედა? არამედ თუალი შენი ვიდრემე ბოროტ არს. ხოლო მე სახიერ ვარ.

16. ესრეთ იყვნენ უკუანანი წინა, და წინანი უკუანა. მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ.

17. და ვითარცა აღვიდოდა იესუ იერუსალჱმდ, წარიყვანნა ათო(G 51v)რმეტნი იგი მოწაფენი თჳსაგან და მგზავრ ეტყოდა მათ:

18. აჰა ესერა აღვალთ ჩუენ[6] იერუსალჱმდ, და ძჱ[7] კაცისაჲ მიეცეს მღდელთ-მოძღუართა და მწიგნობართა, და დასაჯონ იგი სიკუდილად.

19. და მისცენ წარმართთა კიცხევად[8] და ტანჯვად და ჯუარ-ცუმად, და მესამესა დღესა აღდგეს.

20. (F 45r) მაშინ მოუჴდა იესუს დედაჲ ძეთა ზებედესთაჲ[9] ძეთა[10] თანა მისთა[11], თაყუანის-სცემდა მას და ითხოვდა რასმე მისგან.

HIK

10. მოვიდეს პირველისანიცა იგი და ჰგონებდეს, ვითარმედ უფროჲსი მიიღონ, და მიიღეს მათცა თითოჲ დრაჰკანი.

11. ხოლო მი-რაჲ-იღეს, დრტჳნვიდეს სახლისა უფლისა მისთჳს

12. (I 54v) და იტყოდეს, ვითარმედ: უკუანაჲსკნელთა მათ ერთი ხოლო ჟამი დაყვეს, და სწორ ჩუენდა ჰყვენ[1] იგინი, რომელთა ვიტჳრთეთ სიმძიმე დღისაჲ და სიცხე.

13. ხოლო მან მიუგო ერთსა მათგანსა და ჰრქუა: მოყუასო, არარას გავნებ შენ, ანუ არა ერთი დრაჰკანი აღმითქუ შენ?

14. მიიღე შენი და ვიდოდე. ხოლო მე მნებავს უკუანაჲსკნელსა ამას მიცემად, ვითარცა შენ.

15. ანუ არა ჯერ-არსა ჩემდა, რაჲცა მინდეს, ყოფად ჩემსა ზედა? არამედ თუალი შენი ვიდრემე ბოროტ არს, ხოლო მე სახიერ ვარ.

16. ესრეთ იყვნენ წინანი უკუანა, და უკუანანი წინა, რამეთუ მრავალნი არიან ჩინებულ, და მცირედნი რჩეულ.

17. და ვითარცა აღვიდოდა იესუ იერუსალჱმდ[2], წარიყვანნა ათორმეტნი იგი მოწაფენი თჳსაგან და მგზავრ ეტყოდა მათ:

18. (H 64v) აჰა ესერა აღვალთ[3] იერუსალჱმდ[4], და ძე კაცისაჲ მიეცეს მღდელთ-მოძღუართა და მწიგნობართა, და დასაჯონ იგი სიკუდილად.

19. (K 83r) და[5] მისცენ იგი წარმართთა კიცხევად და ტანჯვად და ჯუარ-ცუმად. და მესამესა დღესა აღდგეს.

20. (I 65r) მაშინ მოუჴდა იესუს დედაჲ ძეთა ზებედესთაჲ ძეთა მისთა თანა, თაყუანის-სცემდა მას და ითხოვდა რასმე მისგან.

---

[1] ~ ხოლო ერთი F. [2] სიცხე F. [3] და ჰრქუა] — F. [4] მიიღჱ G. [5] ჯერ-არს F. [6] ჩუენ] — F. [7] ძე F. [8] ~ კიცხევად წარმართთა G. [9] ზჱბედესთაჲ G. [10] ძჱთა G. [11] ~ მისთა თანა G.

[1] ყვენ I. [2] ი¯ჱლემდ HI, ი¯ჱლმდ K. [3] აღვალ¯ HI. [4] ი¯ჱლიმდ HI, ი¯ჱლმდ K. [5] და] — HI.

| FG | HIK |
|---|---|
| 21. ხოლო თავადმან ჰრქუა მას: რაჲ გნებავს? ჰრქუა მან: თქუ, რაჲთა დასხდენ ორნი ესე ძენი ჩემნი ერთი მარჯუენით შენსა და ერთი მარცხენით შენსა სასუფეეელსა შენსა. | 21. ხოლო თავადმან ჰრქუა მას: რაჲ გნებავს? ჰრქუა მას: თქუ, რაჲთა დასხდენ ორნი ესე ძენი ჩემნი ერთი მარჯუენით შენსა და ერთი მარცხენით შენსა სასუფეველსა შენსა. |
| 22. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: არა იცით, რასა ითხოვთ. ძალ-გიცა შესუმად სასუმელი, რომელი ჩემდა შესუმად არს, ანუ ნათლის-ღებაჲ, რომელი მე ნათელ-ვიღო, ნათლის-ღებად? ხოლო მათ ჰრქუეს: ძალ-გჳც. | 22. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: არა იცით, რასა ითხოვთ. ძალ-გიცა შესუმად სასუმელი, რომელი მე მეგულების შესუმად, ანუ ნათლის-ღებაჲ, რომელი მე ნათელ-ვიღო, ნათლის-ღებად? ხოლო მათ ჰრქუეს[1]: ძალ-გჳც. |
| 23. ჰრქუა მათ იესუ: სასუმელი სამე ჩემი შესუათ და ნათ(G 62r)ლის-ღებაჲ, რომელი მე ნათელ-ვიღო, ნათელ-იღოთ, ხოლო დაჯდომაჲ მარჯუენით ჩემსა და მარცხენით არა არს ჩემი მიცემაჲ, არამედ ვიეთა-იგი[1] განმზადებულ არს მამისა მიერ ჩემისა. | 23. ჰრქუა მათ იესუ: სასუმელი სამე ჩემი შესუათ და ნათლის-ღებაჲ, რომელი მე ნათელ-ვიღო, ნათელ-იღოთ, ხოლო დაჯდომაჲ მარჯუენით ჩემსა და მარცხენით არა არს ჩემი მიცემად, არამედ (H 65r) ვიეთდა განმზადებულ არს (K 08v) მამისა მიერ ჩემისა. |
| 24. ვითარცა ესმა ესე ათთა მათ, განრისხნეს ორთა მათ ძმათათჳს. | 24. ეითარცა ესმა ესე ათთა მათ, განრისხნეს ორთა მათ ძმათათჳს. |
| 25. ხოლო იესუ მოუწოდა მათ და ჰრქუა: უწყითა, რამეთუ მთავარნი წარმართთანი უფლებედ[2] მათ, და დიდ-დიდნი ჴელმწიფებედ[3] მათ ზედა? | 25. ხოლო იესუ მოუწოდა მათ და ჰრქუა: უწყითა, რამეთუ მთავარნი წარმართთანი უფლებენ მათ ზედა, და დიდ-დიდნი ჴელმწიფებენ მათ ზედა? |
| 26. ხოლო თქუენ ზედა არა ეგრე იყოს, არამედ რომელსა უნდეს თქუენ შორის დიდ ყოფაჲ, იყავნ[4] იგი თქუენდა მსახურ; | 26. (I 65v) ხოლო თქუენ შორის არა ეგრეთ იყოს, არამედ რომელსა უნებს თქუენ შორის დიდ ყოფაჲ, იყავნ თქუენდა მსახურ; |
| 27. და (F 45v) რომელსა უნდეს თქუენგანსა წინა ყოფაჲ, იყოს იგი[5] თქუენდა მონა. | 27. და რომელსა უნებს თქუენ შორის წინა ყოფაჲ, იყოს იგი თქუენდა მონა. |
| 28. ვითარცა ძჱ[6] კაცისაჲ არა მოვიდა, ვითარმცა ჰმსახურა ვინმე, არამედ მსახურებად და მიცემად სული თჳსი საჴსრად მრავალთათჳს[7]. | 28. ვითარცა ძე კაცისაჲ არა მოვიდა, რაჲთამცა იმსახურა, არამედ მსახურებაღ და მიცემად სული თჳსი საჴსრად მრავალთათჳს. |
| 29. და ვითარცა გამოეიდოდეს იგინი იერიქოჲთ, მისდევდა მას ერი მრავალი. | 29. და ვითარცა გამოვიდოდეს იგინი იერიქოჲთ, მისდევდა მას ერი მრავალი. |
| 30. და აჰა ესერა ორნი ბრმანი სხდეს გზასა ზედა. და ვითარცა (G 62v) ესმა, რამეთუ იესუ წარმოვალს, ჴმობდეს ჴმითა დიდითა: შემიწყალენ ჩუენ, იესუ, ძეო[8] დავითისო! | 30. და აჰა ესერა ორნი ბრმანი სხდეს გზასა ზედა. და ვითარცა ესმა, ვითარმედ იესუ წარმოვალს, ჴმობდეს და იტყოდეს: შემიწყალენ ჩუენ, უფალო, ძეო დავითისო! |

---

[1] ვიეთა G. [2] უფლებდენ F. [3] ჴელმწიფედ F. [4] იყოს G. [5] იგი] — G. [6] ძე F. [7] მრავალთა G. [8] ძჱო G.

[1] ჰრქუჱს I.

FG

31. ხოლო ერი იგი ჰრისხვიდა მათ, რაჲთა დადუმნენ. ხოლო იგინი უფროჲს ღაღადებდეს: შემიწყალენ ჩუენ, უფალო იესუ, ძეო[1] დავითისო!

32. და[2] დადგა იესუ და მოუწოდა მათ და ჰრქუა: რაჲ გნებავს, და გიყო თქუენ?

33. ჰრქუეს მას: უფალო, რაჲთა აღვიხილნეთ თუალნი ჩუენნი.

34. შეეწყალნეს იგინი იესუ', და შეახო თუალთა მათთა, და მეყსეულად აღეხილნეს თუალნი მათნი[3] და შეუდგეს მას.

HIK

31. ხოლო ერი იგი ჰრისხვიდა მათ, რაჲთა დადუმნენ. ხოლო იგინი უფროჲს ღაღადებდეს: შემიწყალენ ჩუენ, უფალო, ძეო (K 64r) დავითისო!

32. და დადგა იესუ, მოუწოდა მათ და ჰრქუა: რაჲ გნებავს, და გი(H 55v)-ყო თქუენ?

33. ჰრქუას მას: უფალო, რაჲთა აღვიხილნეთ თუალნი ჩუენნი.

34. შეეწყალნეს იგინი იესუს და შეახო თუალთა მათთა, და მეყსეულად აღიხილნეს და შეუდგეს მას.

# 21

FG

1. და ვითარცა მიეახლნეს იერუსალჱმდ და მოვიდეს ბეთბაგედ და ბეთანიად, მთასა მას ზეთისხილთასა, მაშინ წარავლინნა იესუ ორნი მოწაფეთა მისთაგანნი

2. და ჰრქუა მათ: წარვედით დაბასა მაგას, რომელ არს წინაშე თქუენსა, და მეყსეულად ჰპოოთ ვირი (F 40r) დაბმული და კიცჳ მის თანა; აჴსენით და მომგუარეთ მე იგი.

3. და უკუეთუ ვინმე გრქუას რაჲ (G 53r) თქუენ, არქუთ, ვითარმედ: უფალსა უკმს[4] ეგე, და მეყსეულად მოავლინნეს იგინი.

4. ესე ყოველი იქმნა, რაჲთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი წინაწარმეტყუელისაჲ, რომელ თქუა:

5. არქუთ ასულსა მაგას[5] სიონისასა: აჰა ესერა მეუფჱ შენი მოვალს შენდა მშჳდი და ზე[6] ზის იგი ვირსა და კიცუსა, ნაშობსა კარაულისასა[7].

6. ხოლო მოწაფენი იგი წარვიდეს და ყვეს ეგრე, ვითარცა უბრძანა მათ იესუ.

7. და მოჰგუარეს ვირი და კიცჳ[8] მის

HIK

1. და ვითარცა მიეახლნეს იერუსალჱმდ და მოვიდეს ბეთბაგედ და ბეთანიად, მთასა მას ზეთისხილთასა, მაშინ წარავ(I 50r)ლინნა იესუ ორნი მოწაფეთა მისთაგანნი

2. და ჰრქუა მათ: წარვედით დაბასა მაგას, რომელ არს წინაშე თქუენსა, და მეყსეულად ჰპოოთ ვირი დაბმული და კიცჳ მის თანა; აჴსენით და მომგუარეთ მე იგი.

3. და უკუეთუ ვინმე გრქუას რაჲმე თქუენ, არქუთ, ვითარმედ: უფალსა უკმან ეგე[1], და მეყსეულად მოავლინნეს იგინი.

4. ესე ყოველი იქმნა, რაჲთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი წინაწარმეტყუელისაჲ, რომელ თქუა:

5. არქუთ ასულსა სიონისასა: აჰა ესერა მეუფე შენი მოვალს შენდა მშჳდი და ზე ზის იგი ვირსა და კიცუსა, ნაშობსა კარაულისასა.

6. ხოლო მოწაფენი იგი წარვიდეს და ყვეს ეგრეთ, ვითარცა უბრძანა მათ იესუ.

7. და მოჰგუარეს ვირი (H 60r) იგი

---

[1] ძჱო G. [2] და] — G. [3] თუალნი მათნი] — G. [4] უკმ̄ნ F (=უკმან ეგე=უკმან ეგენი). [5] მაგას] — G. [6] ზჱ G. [7] კარაულისა G (უქარაგმოდ). [8] კიცუ G.

[1] ესე HIK.

FG

თანა და დაასხეს მას ზედა სამოსელი[1], და დაჯდა მას ზედა.

8. ხოლო უმრავლესი იგი ერი დაუფენდეს სამოსელსა[2] მათსა გზასა ზედა, და სხუანი მოჰკაფდეს რტოებსა ხეთაგან და დაუფენდეს გზასა ზედა.

9. და ერი იგი, რომელი წინა-უძღოდა და რომელი უკუანა შეუდგა, ღაღადებდეს და იტყოდეს: კურთხეულ არს მეუფჱ, ძჱ[3] დავითისი! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა[4]! (G 53უ/) კურთხეულ არს მეუფჱ, რომელ არს მაღალთა შინა!

10. და ვითარცა შევიდა იგი იერუსალჱმდ, შეიძრა ქალაქი იგი ყოველი და იტყოდეს: ვინ არს ესე?

11. ხოლო ერი იგი იტყოდა: ესე არს წინაწარმეტყუელი იესუ ნაზარეთით გალილეაჲსაჲთ.

12. (F 40უ/) და შევიდა იესუ ტაძარსა მას და გამოასხა ყოველი იგი განმსყიდელი და ყოველი, რომელი იყიდდა ტაძარსა შინა, და ტაბლები იგი მეკერმეთაჲ მათ დაამჴუა და დასასხდომელები იგი მსყიდელთაჲ მათ ტრედისათაჲ დაუქცია[5].

13. და ჰრქუა მათ: წერილ არს: სახლსა ჩემსა სახლ სალოცველ ეწოდოს, ხოლო თქუენ გიყოფიეს იგი ქუაბ ავაზაკთა.

14. და მოუჴდეს მას ბრმანი და მკელობელნი ტაძარსა მას შინა, და განკურნნა[6] იგინი.

15. და ვითარცა იხილეს მღდელთ-მოძღუართა მათ და მწიგნობართა, რომელ-იგი ქმნნა იესუ სასწაულნი[7], და ყრმები იგი, რომელ ღაღადებდეს[8] ტაძარსა მას შინა და იტყოდეს: ჵსანა[9] მაღალთა შინა[10] ძჱსა[11] დავითისსა,

16. განრისხნეს და ჰრქუეს მას: გესმისა, რასა-ესე იტყჳან? ხოლო იესუ ჰრქუა

HJK

და კიცუ მის თანა და დაასხეს მას ზედა სამოსელი, და დაჯდა მას ზედა.

8. ხოლო უმრ(K 61უ/)ავლესი[1] იგი ერი დაუფენდა სამოსელსა მათსა გზასა ზედა, და სხუანი მოჰკაფდეს რტოებსა ჴეთაგან და დაუფენდეს გზასა ზედა.

9. და ერი იგი, რომელი წინა-უვიდოდა და რომელი (I 58უ/) უკუანა შეუდგა, ღაღადებდეს და იტყოდეს: ოსანა ძესა დავითისსა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა! გუაცხოვნენ ჩუენ, რომელი ხარ მაღალთა შინა!

10. და ვითარცა შევიდა იგი იერუსალჱმდ, შეიძრა ქალაქი იგი ყოველი და იტყოდეს: ვინ არს ესე?

11. ხოლო ერი იგი ეტყოდა[2]: ესე არს წინაწარმეტყუელი იესუ ნაზარეთით გალილეაჲსაჲთ.

12. და შევიდა იესუ ტაძარსა მას ღმრთისასა და გამოასხა ყოველი იგი განმსყიდელი და ყოველი, რომელი იყიდდა ტაძარსა მას შინა, და ტაბლები იგი მეკერმეთაჲ მათ დაამჴუა და დასასხდომელები იგი ტრედის-მოფარდულ(K 66რო)თაჲ მათ დაუქცია.

13. და ჰრქუა მათ: წერილ არს: სახლსა ჩემსა სახლ სალოცველ ეწოდოს, ხოლო თქუენ გიყოფიეს იგი ქუაბ ავაზაკთა.

14. და მოუჴდეს მას ბრმანი და მკელობელნი ტაძარ(H 56უ/)სა მას შინა, და განკურნნა იგინი.

15. და ვითარცა იხილეს მღდელთ-მოძღუართა მათ და მწიგნობართა, რომელ-იგი ქმნნა სასწაულნი, და ყრმები იგი, რომელ ღაღადებდეს ტაძარსა მას შინა და იტყოდეს: ოსა(I 57რო)ნა[3] ძესა დავითისსა,

16. განრისხნეს და ჰრქუეს მას: გესმისა, რასა-ესე იტყჳან? ხოლო იესუ

---

[1] სამუსელი F. [2] სამუსელსა F. [3] ძე F. [4] ო̄ისთა F. [5] და დასასხდომელები იგი მსყიდელთაჲ მათ ტრედისათაჲ დაუქცია] — FG. [6] განკურნა F. [7] რომელი-იგი ქმნა იესუ სასწაული F. [8] ღაღადებდა G, ღაღადებდს F (უქარაგმოდ). [9] ოსანა G. [10] მაღალთა შინა] — G. [11] ძესა G.

[1] უმრა|ველესი K. [2] ეტყოდეს K. [3] ოსანნა K.

FG

მათ: ჰე[1]: არასადა აღმოგიკით(G 64r)ხავსა. რამეთუ პირისაგან ჩჩჳლთა მწოვართაჲსა დაემტკიცოს ქებაჲ?

17. და დაუტევნა იგინი და განვიდა გარე[2] ქალაქით ბეთანიად და იქცეოდა მუნ.

18. და ხვალისაგან, მო-რაჲ-ვიდოდა იგი[3] ქალაქად, შეემშია[4].

19. და იხილა ლეღჳ ერთი გზასა ზედა და მოვიდა მას და არარაჲ პოვა მას შინა, გარნა ფურცელი ხოლო. და ჰრქუა მას: ნუღარა იყოფინ ნაყოფი (F 47r) შენგან საუკუნოდ! და განჴმა ლეღჳ იგი მეყსეულად.

20. ვითარცა იხილეს მოწაფეთა მათ, დაუკჳრდა და იტყოდეს: ვითარ მეყსეულად განჴმა ლეღჳ ესე!

21. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ამენ გეტყჳ თქუენ: უკუეთუ გაქუნდეს სარწმუნოებაჲ და არა შეორგულდეთ, არა ხოლო თუ[5] ლეღჳსაჲ ამის ჰყოთ, არამედ ჰრქუათ თუ მთასა ამას: აღიფხუერ[6] ამიერ და შთავარდი ზღუასა! — იყოს ეგრე[7].

22. და ყოველსა რავდენსა ითხოვდეთ (G 54v) ლოცვასა შინა სარწმუნოებით, გეყოს თქუენ.

23. და მო-რაჲ-ვიდა იგი ტაძრად, მოუჴდეს მას მღდელთ-მოძღუარნი იგი და მოხუცებულნი ერისანი, ვითარ-იგი ასწავებდა ერსა, და ჰრქუეს მას: რომლითა ჴელმწიფებითა იქმ ამას[8], და ვინ მოგცა შენ ჴელმწიფებაჲ ესე[9]?

24. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: გკითხო თქუენ მეცა[10] სიტყუაჲ ერთი; უკუეთუ მითხრათ მე, მეცა გითხრა თქუენ, რომლითა ჴელმწიფებითა ვიქმ ამას.

25. ნათლის-ცემაჲ იოვანესი[11] ვინაჲ იყო: ზეცით[12] ანუ კაცთაგან? ხოლო იგინი განიზრახვიდეს თჳსაგან და იტყოდეს: უკუეთუ ვთქუათ: ზეცით, გურქუას

HIK

ჰრქუა მათ: ჰე[1]; არასადა აღმოგიკითხავსა, ვითარმედ: პირითა ყრმათა ჩჩჳლთა მწოვართაჲთა[2] დაამტკიცე ქებაჲ?

17. დაუტევნა იგინი და განვიდა გარე ქალაქით ბეთანიად და იქცეოდა მუნ.

18. და განთიად, მო-რაჲ-ვიდოდა ქალაქად, შეემშია.

19. და იხილა ლეღჳ ერთი გზასა ზედა და მოვიდა მისა[3] და არარაჲ პოვა მას შინა, გარნა ფურცელი ხოლო. და ჰრქუა მას: ნუღარა იყოფინ ნაყოფი შენგან საუკუნოდ! და განჴმა ლეღჳ (K 05v) იგი მეყსეულად.

20. ვითარცა იხილეს მოწაფეთა მათ, დაუკჳრდა და იტყოდეს: ვითარ მეყსეულად განჴმა ლეღჳ იგი!

21. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ამენ გეტყჳ თქუენ: უკუეთუ გაქუნდეს სარწმუნოებაჲ და არა შეორგულდეთ, არა ხოლო ლე(H 57r)ღჳსაჲ ამის ჰყოთ, არამედ ჰრქუათ თუ მთასა ამას: აღიფხუერ ამიერ და შთავარდი ზღუასა! — იყოს ეგრე.

22. და ყოველსა რაოდენსა ითხოვდეთ ლოცვასა შინა სარწმუნოებით, (I 57v) გეყოს თქუენ[4].

23. და მო-რაჲ-ვიდა იგი ტაძრად, მოუჴდეს მას მღდელთ-მოძღუარნი იგი და მოხუცებულნი ერისანი, ვითარ-იგი ასწავებდა ერსა, და ჰრქუეს მას: რომლითა ჴელმწიფებითა ამას იქმ, და ვინ მოგცა შენ ჴელმწიფებაჲ ესე?

24. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: გკითხო მეცა თქუენ სიტყუაჲ ერთი, რომელი უკუეთუ მითხრათ მე, მეცა გითხრა თქუენ, რომლითა ჴელმწიფებითა ვიქმ ამას.

25. ნათლის-ცემაჲ იოვანესი ვინაჲ იყო: ზეცით (K 60r) ანუ კაცთაგან? ხოლო იგინი განიზრახვიდეს თჳსაგან და

---

[1] ჰჱ G. [2] გარჱ G. [3] იგი] — G. [4] და შეემშია G. [5] თუ] — G. [6] აღიფხუერი FG. [7] ეგრჱ G. [8] ~ ამას იქმ G. [9] ესე] ეგე G. [10] ~ მე თქუენცა G. [11] ი̄ჱნჱსი G. [12] ზჱცით G.

[1] ჰჱ HIK. [2] მწოართაჲთა K. [3] მისსა K. [4] თქუჱნ HI.

| FG | HIK |
|---|---|
| ჩუენ: რაჲსა(F 47v°)თჳს არა გრწმენა მისი? | იტყოდეს: უკუეთუ ვთქუათ: ზეცით იყო, გურქუას ჩუენ: რაჲსათჳს უკუე[1] არა გრწმენა მისი? |
| 26. უკუეთუ ეთქუათ: კაცთაგან, გუეშინის ერისა ამის, რამეთუ ყოველთა ვითარცა წინაწარმეტყუელი უჰყრიეს იოვანე[1]. | 26. და უკუეთუ ვთქუათ: კაცთაგან, გუეშინის[2] ერისა ამის. რამეთუ ყოველთავე ვითარცა წინაწარმეტყუელი უჰყრიეს იოვანე. |
| 27. და მიუგეს იესუს და ჰრქუეს: არა უწყით. ჰრქუა მათ[2] მანცა: არცა მე გითხრა თქუენ, რომლითა ჴელმწიფებითა ვიქმ ამას. | 27. და მიუგეს იესუს და ჰრქუეს[3]: არა უწ(H 57v°)ყით. ჰრქუა მათ მანცა: არცა მე გითხრა თქუენ, რომლითა ჴელმწიფებითა ვიქმ ამას. |
| 28. (G 55r°) აწ ვითარ ჰგონებთ თქუენ? კაცსა ვისმე ესხნეს ორ ძე[3]; მოვიდა პირველისა მის და ჰრქუა: შვილო, წარვედ დღეს და იქმოდე ვენაჴსა ჩემსა. | 28. აწ ვითარ ჰგონებთ თქუენ? კაცსა ვისმე ესხნეს ორ ძე: მოვიდა პირველისა მის და ჰრქუა: შვილო, წარვედ (I 59r°) დღეს და იქმოდე ვენაჴსა ჩემსა. |
| 29. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: წარვიდე, უფალო; და არა წარვიდა. | 29. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: არა მნებავს. ხოლო უკუანაჲსკნელ შეინანა და წარვიდა. |
| 30. და მოვიდა მეორისა მის და ჰრქუა მას[4] ეგრევე. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: არა მნებავს, არა წარვიდე. ხოლო უკუანაჲსკნელ შეინანა და წარვიდა. | 30. და მოუჴდა მეორესა მას და ჰრქუა ეგრეთვე. ხოლო მან[4] მიუგო და ჰრქუა: წარვიდე, უფალო; და არა წარვიდა. |
| 31. ვინ ორთა ამათგანმან[5] ყო ნებაჲ მამისა თჳსისაჲ? ჰრქუეს მას: უკუანაჲსკნელმან მან. ჰრქუა მათ იესუ: ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ მეზუერენი და მეძავნი წინა-გიძღოდიან[6] თქუენ[7] სასუფეველსა ღმრთისასა. | 31. ვინ ორთა ამათგანმან ყო ნებაჲ მამისა თჳსისაჲ? ჰრქუეს[5] მას: პირველმან მან. ჰრქუა მათ იესუ: ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ მეზუერენი[6] და მეძავნი წინა-გიძღოდიან თქუენ სასუფეველსა ღმრთისასა. |
| 32. რამეთუ მოვიდა თქუენდა იოვანე[1] გზითა სიმართლისაჲთა[8], და არა გრწმენა მისი, ხოლო მეზუერეთა და ცოდვილთა ჰრწმენა მისი; ხოლო თქუენ იხილეთ და არა შეინანეთ უკუანაჲსკნელ, რაჲთამცა გრწმენა მისი. | 32. რამეთუ მოვიდა თქუენდა იოვანე გზითა სიმართლისაჲთა, და არა გრწმენა მისი, ხოლო მეზუერეთა[7] და მეძავთა ჰრწმენა მისი; ხოლო თქუენ იხილეთ და არა შეინანეთ უკუანაჲსკნელ, რაჲთამცა გრწმენა მისი. |
| 33. სხუაჲ იგავი ისმინეთ: კაცი ვინმე[9] იყო (G 56v°) სახლისა უფალი, რომელმან დაასხა ვენაჴი და (F 48r°) ზღუდე გარე-მოსდვა მას და ქმნა მას შინა საწნეხელი და აღაშენა გოდოლი და მისცა იგი მოქმედთა საქმედ და წარვიდა. | 33. (K 60v°) სხუაჲ იგავი ისმინეთ: კაცი ვინმე იყო სახლისა უფალი, რომელმან დაასხა ვენაჴი და ზღუდე გარე-მოსდვა მას და ქმნა მას შინა საწნეხე(H 58r°)ლი და აღაშენა გოდოლი და მისცა იგი მოქმედთა საქმედ და წარვიდა. |

---

[1] ი῀ნჱ G. [2] მათ] — F. [3] ძჱ FG. [4] მას] — F. [5] ორთაგანმან F. [6] წინა-გიძღუან G. [7] თქუენ ]—F. [8] სიმართლის῀თა F. [9] ვინმე] — FG.

[1] უკუჱ HI; უკუე] — K. [2] გუჱშინის H. [3] ჰქ῀ჱს I. [4] მან] — K. [5] ჰრქუჱს I. [6] მეზუჱრენი HIK. [7] მეზუჱრეთა HIK.

| FG | HIK |
|---|---|
| 34. და რაჟამს მოიწია ჟამი ნაყოფისაჲ, მიავლინნა მონანი მისნი მოქმედთა მათ მოღებად ნაყოფისა მისისა. | 34. და რაჟამს მოიწია ჟამი ნაყოფთაჲ, მიავლინნა მონანი მისნი მოქმედთა მათ მოღებად (I 58v) ნაყოფისა მისისა. |
| 35. და შეიპყრნეს მოქმედთა მათ მონანი იგი მისნი, რომელთამე სცეს, რომელნიმე მოწყკდნეს და რომელთამე ქვაჲ დაჰკრიბეს. | 35. და შეიპყრნეს მოქმედთა მათ მონანი იგი მისნი, რომელთამე სცეს, რომელნიმე მოსწყკდნეს და რომელთამე ქვაჲ დაჰკრიბეს. |
| 36. კუალად წარავლინნა სხუანი, უმრავლესნი მონანი პირველთასა, და მათცა ეგრეთვე უყვეს. | 36. კუალად წარავლინნა სხუანი მონანი, უმრავლესნი პირველთასა, და მათცა ეკრეთვე უყვეს. |
| 37. ხოლო უკუანაჲსკნელ[1] მიავლინა მათა[2] ძჱ თჳსი და თქუა: შეიკდიმონ თუ ძისა ჩემისაჲ[3]. | 37. ხოლო უკუანაჲსკნელ მიუვლინა მათ ძე თჳსი და თქუა: შე·ხოლო თუ-იკდიმონ ძისაგან ჩემისა. |
| 38. ხოლო ქუეყანის-მოქმედთა მათ, იხილეს რაჲ ძჱ იგი მისი, და თქუეს გულსა მათსა[4]: ესე არს მკკდრი, მოვედით და მოვკლათ იგი და დავიპყრათ სამკკდრებელი მისი. | 38. ხოლო ქუეყანის მოქმედთა მათ ვითარცა იხილეს ძე იგი მისი, და თქუეს[1] გულსა მათსა: ესე არს მკკდრი, მოვედით და მოვკლათ[2] იგი და დავიპყრათ სამკკდრებელი მისი. |
| 39. და შეიპყრეს იგი და მოკლეს და (G 56r) განაგდეს გარე ვენაჴისა მისგან. | 39. და შეიპყრეს იგი და განიყვანეს გარეშე ვენაჴისა მის და მოკლეს. |
| 40. რაჟამს უკუე მოვიდეს უფალი სავენაჴისაჲ მის, რაჲ-მე უკუე[5] უყოს ქუეყანის-მოქმედთა მათ? | 40. რაჟამს უკუე[3] მოვიდეს უფალი სავენაჴისაჲ მის, რაჲ-მე უყოს ქუეყანის-მოქმედთა მათ? |
| 41. ჰრქუეს მას: ბოროტნი იგი ბოროტად მოსწყკდნეს[6] და ვენაჴი იგი მისცეს სხუათა ქუეყანის-მოქმედთა[7], რომელთა მოსცენ მას ნაყოფი ჟამსა თჳსსა[8]. | 41. ჰრქუეს მას: ბოროტნი იგი ბოროტად წარწყმიდნეს და ვენაჴი იგი მისცეს სხუათა ქუეყანის-მოქმედთა, რომელთა მოსცენ მას ნაყოფი ჟამსა თჳსსა. |
| 42. ჰრქუა მათ იესუ: არა აღმოიკითხეთა წიგნთა შინა: (F 48v) ლოდი, რომელ შეურაცხ-ყვეს მაშენებელთა, ესე იქმნა თავ საკიდურთა. უფლისა მიერ იყო ესე და არს საკკრველ წინაშე თუალთა ჩუენთა. | 42. (H 58v) ჰრქუა მათ იესუ: არასადა აღმოგიკითხავსა წიგნ(K 67r)თა შინა: ლოდი, რომელ შეურაცხ-ყვეს მაშენებელთა, ესე იქმნა თავ კიდეთა. უფლისა მიერ იყო ესე (I 60r) და არს საკკრველ წინაშე თუალთა ჩუენთა[4]. |
| 43. ამისთჳს გეტყჳ თქუენ: მოგეღოს თქუენგან სასუფეველი ღმრთისაჲ და მიეცეს ნათესავსა[9], რომელნი ჰყოფდენ ნაყოფსა მისსა. | 43. ამისთჳს გეტყჳ თქუენ, ვითარმედ: მიგეღოს თქუენგან სასუფეველი ღმრთისაჲ და მიეცეს ნათესავსა, რომელნი ჰყოფდენ ნაყოფსა მისსა[5]. |
| 44. და რომელი დაეცეს ლოდსა მას[10] | 44. და რომელი დაეცეს ლოდსა მას |

---

[1] უკუანისკნელ F (უქარაგმოდ). [2] მათა] — F. [3] შეიკდიმონ ხოლო თუ ძისათჳს ჩემისა G. [4] მათსა] თჳსსა F. [5] უკუე] — G. [6] მოწყკდნეს G. [7] ქუეყანისა-მოქმედთა F. [8] თჳსა F. [9] ნათესესავსა F, ნათესავთა G. [10] ამას G.

[1] თქუჱს H. [2] მოვკლავთ K. [3] უკუჱ HIK. [4] ჩუჱნთა H. [5] მისა H.

FG

ზედა, შეიმუსროს; და რომელსა ზედა დაეცეს, განაქარვოს იგი.

45. და ესმა რაჲ მღდელთ-მოძღუართა მათ და ფარისეველთა იგავი ესე მისი, ცნეს, რამეთუ მათთჳს თქუა.

46. და ეძიებდეს მას (G 50v) შეპყრობად და ეშინოდა ერისა მის[1], რამეთუ ვითარცა წინაწარმეტყუელი აქუნდა მათ იგი.

HIK

ზედა, შეიმუსროს; და რომელსა ზედა დაეცეს, განანქრიოს იგი.

45. და ესმნეს რაჲ მღდელთ-მოძღუართა მათ და ფარისეველთა იგავნი ესე მისნი, ცნეს, რამეთუ მათთჳს თქუნა.

46. და ეძიებდეს მას შეპყრობად და ეშინოდა ერისა მისგან, რამეთუ ვითარცა წინაწარმეტყუელი აქუნდა მათ იგი.

## 22

FG

1. და მერმე მიუგო მათ იესუ იგავით და ჰრქუა[2]:

2. ემსგავსა სასუფეველი ღმრთისაჲ კაცსა მეუფესა[3], რომელმან ყო ქორწილი ძისა თჳსისაჲ.

3. და წარავლინნა მონანი თჳსნი მოწოდებად ჩინებულთა მათ ქორწილსა მას, და არა ინებეს მოსლვაჲ.

4. ქუალად წარავლინნა სხუანი მონანი და ჰრქუა: არქუთ ჩინებულთა მათ: აჰა ესერა პური ჩემი მზა-მიყოფიეს, ზუარაკები ჩემი და უსხები ჩემი დაკლულ არიან, და ყოველივე მზა არს, და[4] მოვედით ქორწილსა ჩემსა[5].

5. ხოლო მათ უდებ-ყვეს და (F 49r) წარვიდეს: რომელიმე თჳსსა[6] აგარაკსა და[4] რომელიმე სავაჭროსა თჳსსა.

6. ხოლო სხუათა შეიპყრნეს მონანი იგი მისნი, აგინნეს და მოსწყჳდნეს[7].

7. ხოლო მეუფჱ იგი განრისხნა და მიავლინა ერი თჳსი და მოსრ(G 67r)ნა კაცის-მკლველნი იგი და ქალაქი იგი მათი მოწუა ცეცხლითა.

8. მაშინ ჰრქუა მონათა თჳსთა: ქორწილი ესე მზა არს, ხოლო ჩინებულნი იგი არა ღირს იყვნეს.

9. წარვედით მებოძირთა გზათასა და რავდენიცა ჰპოოთ, მოუწოდეთ ქორწილსა ამას[8].

HIK

1. და მერმე მიუგო მათ იესუ იგავით და ჰრქუა:

2. ემსგავსა სასუფეველი ცათაჲ კაცსა მეუფესა, რომელმან ყო ქორწილი ძისა თჳსისაჲ.

3. და წარავლინნა მონანი თჳსნი მოწოდებად ჩინებულთა მათ ქორწილსა მას, და არა ინებეს მოსლვად.

4. ქუალად წარაელინნა სხუანი მონანი და ჰრქუა: არქუთ (H 69 r) ჩინებულთა მათ: აჰა ესერა პური ჩემი მზა-მიყოფიეს, ზუარაკები და უსხები ჩემი დაკლულ არიან, და ყოველივე მზა არს, მოვედით ქორწილსა ამას.

5. ხოლო მათ უდებ-(I 59v)ყვეს და წარვიდეს: რომელიმე თჳსსა აგარაკსა, რომელიმე სავაჭროსა თჳსსა.

6. ხოლო სხუ(K 07v)ათა შეიპყრნეს მონანი იგი მისნი, აგინნეს[1] და მოსწყჳდნეს.

7. ხოლო მეუფე იგი განრისხნა, ესმა რაჲ ესე, და მიაელინა ერი თჳსი და მოსრნა კაცის-მკლველნი იგი და ქალაქი იგი მათი მოწუა ცეცხლითა.

8. მაშინ ჰრქუა მონათა თჳსთა: ქორწილი ესე მზა არს, ხოლო ჩინებულნი იგი არა ღირს იყვნეს.

9. წარვედით მებოძირთა გზათასა და რაოდენიცა ჰპოოთ, მოუწოდეთ ქორწილსა ამას.

---

[1] მისთჳს G. [2] თქუა F. [3] მ⁓ფსა F. [4] და] — G. [5] ჩემსა]ამას G. [6] თჳსა F. [7] მოწყჳდნეს G. [8] მას F.

[1] აგინეს HI.

FG

10. და განვიდეს მონანი იგი მისნი გზათა ზედა და შეკრიბეს ყოველი, რავდენი პოვეს[1] ბოროტი და კეთილი. და აღივსო ქორწილი იგი მეინაჴითა.

11. და შე-რაჲ-ვიდა მეუფჱ იგი ხილვად მეინაჴეთა მათ, იხილა მუნ კაცი, რომელსა არა ემოსა სამოსელი[2] საქორწინე.

12. და ჰრქუა მას: მოყუასო, ვითარ შემოხუედ აქა, რამეთუ არა გმოსიეს სამოსელი[2] საქორწინე? ხოლო იგი დუმნა.

13. მაშინ ჰრქუა მეუფემან მან მსახურთა თჳსთა: შეუკრენით მაგას ჴელნი და ფერჴნი და გა(G 57v)ნაგდეთ ეგე[3] ბნელსა მას გარესკნელსა. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენაჲ კბილთაჲ.

14. რამეთუ მრავალნი არიან ჩი(F 49v)ნებულ და მცირედნი—რჩეულ[4].

15. მაშინ წარვიდეს ფარისეველნი იგი და ზრახვა-ყვეს მისთჳს, რაჲთა სიტყჳთა საფრჴე[5] უგონ მას.

16. და მიუვლინნეს მოწაფენი მათნი ჰეროდიანთა თანა და ჰრქუეს: მოძღუარ, ვიცით, რამეთუ ჭეშმარიტ ხარ და გზასა ღმრთისასა ჭეშმარიტად ასწავებ და არა ზრუნავ არავისთჳს, რამეთუ არა თუალ-აღებ პირსა კაცისასა.

17. აწ მარქუ ჩუენ, რაჲ გნებავს შენ: ჯერ-არსა ხარკისა მიცემაჲ კეისარსა ანუ არა?

18. გულისხმა-ყო[6] იესუ უკეთურებაჲ მათი და ჰრქუა: რაჲსა გამომცდით მე, ორგულნო?

19. მიჩუენეთ მე დრაჰკანი იგი ხარკისაჲ[7]! ხოლო მათ მოართუეს მას დრაჰკანი.

20. ჰრქუა მათ იესუ: ვისი არს ხატი ესე და[8] ზედაწერილი?

21. ჰრქუეს მას: კეისრისაჲ. მაშინ

HIK

10. და განვიდეს მონანი იგი მისნი გზათა ზედა და შეკრიბეს ყოველი, რაოდენი პოეს ბოროტი და კეთილი. და აღივსო ქორწილი იგი მეინაჴითა.

11. ხოლო შე-რაჲ-ვიდა მეუფე იგი ხილვად მეინაჴეთა მათ, იხილა მუნ კაცი, რომელსა არა ემოსა სამოსელი საქორწინე.

12. და ჰრქუა მას: (H 59v) მოყუასო, ვითარ შემოხუედ[1] აქა, რამეთუ არა გმოსიეს სამოსელი საქორწინე? ხოლო იგი დუმნა.

13. მაშინ ჰრქუა მეუფემან მან მსახურთა თჳსთა: (I 60r) შეუკრენით მაგას ჴელნი და ფერჴნი და განაგდეთ ეგე[2] ბნელსა მას გარესკნელსა. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენაჲ კბილთაჲ.

14. რამეთუ მრავალ არიან ჩინებულნი და მცირედ — რჩეულნი.

15. მაშინ წარვიდეს ფარისეველნი იგი და ზრახვა-ყვეს, რაჲთა სიტყჳთა საფრჴე უგონ მას.

16. და მიუვლინ(K 68r)ნეს მოწაფენი მათნი ჰეროდიანთა თანა და ჰრქუეს: მოძღუარ, ვიცით, რამეთუ ჭეშმარიტ ხარ შენ[3] და გზასა ღმრთისასა ჭეშმარიტად ასწავებ და არა ჰზრუნავ არავისთჳს, რამეთუ არა თუალ-აღებ პირსა კაცისასა.

17. აწ მარქუ ჩუენ, რაჲ გნებავს შენ: ჯერ-არსა მიცემაჲ ხარკისაჲ კეისრისა ანუ არა?

18. გულისჴმა-ყო იესუ უკეთურებაჲ მათი და ჰრქუა: რაჲსა გამომცდით მე, ორგულნო?

19. მიჩუენეთ[4] დრაჰკანი იგი ხარკისაჲ! ხოლო მათ[5] მოართუეს[6] მას დრაჰკანი.

20. ჰრქუა მათ იესუ: ვისი არს (H 60r) ხატი ესე ანუ ზედაწერილი?

21. ჰრქუეს მას: კეისრისაჲ. მაშინ

---

[1] პოეს F. [2] სამუსელი F. [3] იგი G. [4] მრავალ არიან ჩინებულნი და მცირედ რჩეულნი G. [5] საბრჴე F. [6] გულისჴმა-ყო F. [7] კინსონისაჲ ხარკისაჲ FG. [8] და] ანუ G.

[1] შემოხუჱდ HI. [2] იგი I. [3] შენ] — K. [4] მიჩუჱნეთ H. [5] მათ] — K. [6] მოართუჱს H.

| FG | HIK |
|---|---|
| ჰრქუა მათ იესუ: მიეცით კეისრისაჲ (G ō8r) კეისარსა და ღმრთისაჲ[1] ღმერთსა. | ჰრქუა მათ იესუ: მიეცით კეისრისაჲ კეისარსა და ღმრთისაჲ ღმერთსა. |
| 22. და ესმა[2] რაჲ ესე, უკჳრდა და დაუტევეს იგი და წარვიდეს. | 22. და ესმა რაჲ ესე, დაუკჳრდა და დაუტე(I 80r)ვეს იგი და წარვიდეს. |
| 23. მას დღესა მოუჴდეს მას სადუქეველნი[3] იგი და ეტყოდეს, ვითარმედ: არა არს აღდგომაჲ. და ჰკითხეს მას | 23. მას დღესა შინა მოუჴდეს მას სადუკეველნი, რომელნი იტყოდეს, ვითარმედ: არა არს აღდგომაჲ. ჰკითხეს მას |
| 24. და ეტყოდეს: მოძღუარ, მოსე ესრე თქუა: უკუეთუ ვინმე მოკუდეს[4] და არა ესუას მას[5] შვილი, ესიძენ (F ō0r) ძმაჲ მისი ცოლსა მისსა და აღუდგინენ თესლი ძმასა თჳსსა. | 24. და ეტყოდეს: მოძღუარ, მოსე ესრეთ თქუა: უკუეთუ[1] ვინმე მოკუდეს და არა ესუას შვილი, ესიძენ ძმაჲ მისი ცოლსა მისსა და აღუდგინენ თესლი ძმასა თჳსსა. |
| 25. იყვნეს ჩუენ შორის შჳდნი ძმანი. და პირველმან შეირთო და მოკუდა, და არა დაშთა ნათესავი მისი[6], და[7] დაუტევა ცოლი თჳსი ძმასა თჳსსა. | 25. იყვნეს უკუე[2] ჩუენ შორის შჳდნი ძმანი. და პირველმან მან შეირთო და მოკუდა, და არა დაშთა თესლი, და დაუტევა ცოლი თჳსი ძმასა თჳსსა. |
| 26. ეგრევე მეორემან და მესამემან ვიდრე მეშჳდედმდე[8]. | 26. ეგრეთვე მეორემან და მე(K 08v)სამემან ვიდრე მეშჳდედმდე. |
| 27. უკუანაჲსკნელ[9] ყოველთასა მოკუდა დედაკაციცა იგი. | 27. ხოლო უკუანაჲსკნელ ყოველთასა მოკუდა დედაკაციცა იგი. |
| 28. აწ აღდგომასა მას ვისა შჳდთა მათგანისა იყოს იგი ცოლად, რამეთუ ყოველთა ესუა იგი? | 28. აწ უკუე[2] აღდგომასა მას ვისა შჳდთა მათგანისა იყოს იგი ცოლად, რამეთუ ყოველთა ესუა იგი? |
| 29. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: სცთებით, რამეთუ არა იცით წიგნი, არცა ძალი ღმრთისაჲ, | 29. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: სცთებით, რამეთუ არა იცნით წიგნნი, არცა ძალი ღმრთისაჲ, |
| 30. რამეთუ აღდგომასა მას არცა განჰქორწინებდენ, არცა იქორწინებოდიან[10], (G ნ6v) არამედ, ვითარცა ანგელოზნი, იყვნენ ცათა შინა. | 30. რამეთუ აღდგომასა მას არცა იქორწი(H 00v)ნებოდიან, არცა განჰქორწინებდენ, არამედ, ვითარცა ანგელოზნი ღმრთისანი, იყვნენ ცათა შინა. |
| 31. ხოლო აღდგომისათჳს მკუდართაჲსა არა აღმოგიკითხავსა თქუმული იგი ღმრთისამიერი, რომელსა[11] იტყჳს: | 31. ხოლო აღდგომისათჳს მკუდართაჲსა არა აღ(I 81r)მოგიკითხავსა თქუმული იგი ღმრთისამიერი, რომელსა იტყჳს: |
| 32. მე ვარ ღმერთი აბრაჰამისი და ღმერთი ისაკისი და ღმერთი იაკობისი? არა არს ღმერთი მკუდართაჲ, არამედ ცხოველთაჲ. | 32. მე ვარ ღმერთი აბრაჰამისი და[3] ღმერთი ისაკისი და ღმერთი იაკობისი? არა არს ღმერთი — ღმერთი მკუდართაჲ, არამედ ცხოველთაჲ. |

---

[1] ღ´ისაჲ G. [2] ვითარცა ესმა FG. [3] სადოკეველნი F. [4] მოკდეს G (უქარაგმოდ). [5] მას] — G. [6] მისი] — G. [7] და] — F. [8] მეშჳდემდე F. [9] უკუანსკნელ F (უქარაგმოდ). [10] იქორწინებოდინ G. [11] რომელსა] რასა F.

[1] უკუჱთუ K. [2] უკუჱ HIK. [3] და] — K.

| FG | HIK |
|---|---|
| 33. და ესმა რაჲ ესე ერსა მას, დაუკჳრდებოდა მოძღურებაჲ[1] იგი მისი. | 33. და ესმა რაჲ ესე ერსა მას, დაუკჳრდებოდა მოძღურებაჲ იგი მისი. |
| 34. ხოლო ფარისეველთა რაჲ ესმა, რამეთუ დაუყო პირი სადუკეველთა[2] მათ, შეკრბეს ერთად. | 34. ხოლო ფარისეველთა რაჲ ესმა, რამეთუ დაუყო პირი სადუკეველთა მათ, შეკრბეს ერთად. |
| 35. და ჰკითხა ერთმან მათგანმან, გამოსცდიდა მას: | 35. და ჰკითხა ერთმან მათგანმან სჯულის-მოძღუარმან[1], გამოსცდიდა მას და ეტყოდა: |
| 36. მოძღუარ, რომელი მცნებაჲ უ(F 60v)ფროჲს არს შჯულსა შინა? | 36. მოძღუარ, რომელი მცნებაჲ უფროჲს არს სჯულსა[2] შინა? |
| 37. ხოლო იესუ ჰრქუა მას: შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა. | 37. ხოლო იესუ ჰრქუა მას: შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა. |
| 38. ესე არს დიდი და პირველი მცნებაჲ. | 38. ესე არს დიდი და პირველი მცნებაჲ. |
| 39. და მეორჱ[3], მსგავსი ამისი: შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი[4] თჳსი. | 39. (K 60r) და მეორე, მსგავსი ამისი: შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თჳსი. |
| 40. ამათ ორთა მცნებათა ყოველი შჯული და წინაწარმეტყუელნი გამოკიდებულ არიან. | 40. ამათ ორთა მცნებათა ყოველი სჯული[3] და წინაწარმეტყუელნი დამოკიდებულ არიან. |
| 41. (G 59r) შეკრებულ რაჲ იყვნეს ფარისეველნი იგი, ჰკითხვიდა[5] მათ იესუ | 41. შეკრებულ რაჲ იყვნეს (H 61r) ფარისეველნი იგი, ჰკითხა მათ იესუ |
| 42. და ჰრქუა: ვითარ ჰგონებთ თქუენ ქრისტესთჳს, ვისი ძჱ[6] არს იგი? ხოლო მათ ჰრქუეს: დავითისი. | 42. და ჰრქუა: ვითარ ჰგონებთ თქუენ ქრისტესთჳს, ვისი ძე არს? ხოლო მათ ჰრქუეს[4]: (I 61v) დავითისი. |
| 43. ჰრქუა მათ იესუ: ვითარ უკუე დავით სულითა ჰხადის[7] მას უფლით და იტყჳს: | 43. ჰრქუა მათ იესუ: ვითარ უკუე[5] დავით სულითა ჰხადის მას უფლად და იტყჳს: |
| 44. ჰრქუა უფალმან უფალსა ჩემსა: დაჯედ მარჯუენით ჩემსა, ვიდრემდე[8] დავსხნე მტერნი შენნი ქუეშე ფერჴთა შენთა? | 44. ჰრქუა უფალმან უფალსა ჩემსა: დაჯედ მარჯუენით ჩემსა, ვიდრემდის დაესხნე მტერნი შენნი ქუეშე[6] ფერჴთა შენთა? |
| 45. უკუეთუ დავით უფლით ჰხადის[7] მას, ვითარ ძჱ მისი არს? | 45. უკუეთუ დავით სულითა უფლად ხადის მას, ვითარ ძე მისი არს? |
| 46. და ვერვინ უძლო მას სიტყჳს-მიგებად, არცაღა იკადრა ვინ მიერ დღითგან კითხვად მისა არღარაჲ[9]. | 46. და ვერვის ეძლო სიტყჳს-მიგებად მისა[7], არცაღა ვინ იკადრა მიერ დღითგან კითხვად მისა[7] არღარაჲ. |

---

[1] მოძღრებაჲ G. [2] სადოკეველთა F. [3] მეორე F. [4] თათავი F. [5] ჰკითხა G. [6] ძე F. [7] ხადის G. [8] ვ̄ე F. [9] არღარა G.

[1] შჯულის-მოძღუარმან HI. [2] შჯულსა HI. [3] შჯული HI. [4] ჰქ̄ჱს I. [5] უკუჱ HI. [6] ქუჱშე H. [7] მისსა K.

# 23

| FG | HIK |
|---|---|
| 1. მაშინ ეტყოდა იესუ ერსა მას და მოწაფეთა თჳსთა | 1. მაშინ ეტყოდა იესუ ერსა მას და მოწაფეთა თჳსთა |
| 2. და ჰრქუა: საყდართა მოსესთა დასხდეს მწიგნობარნი და ფარისეველნი. | 2. და ჰრქუა: საყდართა მოსესთა დასხდეს მწიგნობარნი და ფარისეველნი. |
| 3. ყოველსა რავდენსა გეტყოდიან თქუენ[1], დაიმარხეთ (F 51r) და ყავთ, ხოლო საქმეთა მათთაებრ[2] ნუ იქმთ, რამეთუ თქჳან და არა ყვიან. | 3. ყოველსა უკუე[1] რაოდენსა გეტყოდიან თქუენ დამარხეად. დაიმარხეთ და ყავთ, ხოლო საქმეთა მათთაებრ ნუ იქმთ, რამეთუ თქჳან და არა ყვიან. |
| 4. რამეთუ შეკრიან[3] ტჳრთი მძიმჱ[4] და ძნიად სატჳრთავი (G 59v) და დასდეიან მჴართა ზედა კაცთასა, ხოლო მათ თითითა მათითა არა უნებნ შეძრვად იგი. | 4. რამეთუ შეკრიან ტჳრთი მძიმე და ძნიად სატჳრთავი და დასდეიან მჴართა ზედა კაცთასა, ხოლო მათ თითითაცა მათითა არა უნებნ შეძრვად იგი. |
| 5. და ყოველსა საქმესა მათსა იქმედ საჩუენებელად კაცთა; განივრცნიან საცონი მათნი და განადიდნიან ფესუნი სამოსლისა[5] მათისანი. | 5. და ყოველსა საქმესა მათსა იქმან საჩუენებელად[2] (K 89v) კაცთა; განი(H 91v)ვრცნიან საცონი მათნი და განიდიდნიან ფესუნი სამოსელთა მათთანი. |
| 6. უყუარნ ზემოჯდომაჲ სერსა ზედა და პირველდაჯდომაჲ შესაკრებელთა შორის | 6. უყუარს ზემოჯდომაჲ (I 92r) სერსა ზედა და პირველდაჯდომაჲ შესაკრებელთა შორის |
| 7. და მოკითხვაჲ უბანთა ზედა, და რაჲთა ჰხადოდიან[6] კაცნი: რაბი! რაბი! | 7. და მოკითხვაჲ უბანთა ზედა, და რაჲთა ხადოდიან კაცნი: რაბი, რაბი! |
| 8. ხოლო თქუენ ნუვის ჰხადით[7] რაბით, რამეთუ ერთი არს თქუენი მოძღუარი — ქრისტჱ, ხოლო თქუენ ყოველნი ძმანი ხართ. | 8. ხოლო თქუენ ნუ იწოდებით რაბბი, რამეთუ ერთი არს მოძღუარი თქუენი — ქრისტე, ხოლო თქუენ ყოველნი ძმანი ხართ. |
| 9. და მამით ნუვის ჰხადით[7] თქუენ ქუეყანასა ზედა, რამეთუ ერთი არს მამაჲ თქუენი, რომელ[8] არს ცათა შინა. | 9. და მამით ნუვის ხადით ქუეყანასა ზედა, რამეთუ ერთი არს მამაჲ თქუენი, რომელ არს ცათა შინა. |
| 10. ნუცა გერქუმინ თქუენ წინამძღუარ, რამეთუ ერთი არს წინამძღუარი თქუენი — ქრისტჱ. | 10. ნუცა გერქუმინ თქუენ წინამძღუარ, რამეთუ ერთი არს წინამძღუარი თქუენი — ქრისტე. |
| 11. ხოლო უდიდესი თქუენი იყოს თქუენდა მსახურ[9]. | 11. ხოლო უდიდესი თქუენი იყავნ თქუენდა მსახურ. |
| 12. და რომელმან აღიმაღლოს თავი თჳსი, იგი[10] დამდაბლდეს; და რომელმან დაიმდაბლოს თავი თჳსი, იგი ამაღლდეს. | 12. ხოლო რომელმან აღიმაღლოს თავი თჳსი, დამდაბლდეს; და რომელმან დაიმდაბლოს თავი თჳსი, იგი ამაღლდეს. |
| 13. (G 60r) ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, | 13. ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ შეს- |

---

[1] თქუენ] — F. [2] მათაებრ F. [3] შეკრიან] შეკრიბიან G. [4] მძიმე F. [5] სამოსლისა F. [6] ხადოდიან G. [7] ხადით G. [8] რომელი G. [9] მსახური G. [10] იგი] — G.

[1] უკუჱ HIK. [2] საჩუჱნებელად HI.

FG

რომელნი შეშჭამთ სახლებსა ქურივთასა და (F 51v) მიზეზით განგრძობილად ილოცვიდით. ამისთჳს მიიღოთ უდიდესი საშჯელი.

14. ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო[1] ორგულნო, რამეთუ დაჰჴაშთ სასუფეველი ცათაჲ წინაშე კაცთა; თქუენ არა შეხუალთ[2] და შემავალთა არა უტევებთ შესლვად.

15. ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ მიმოხუალთ ზღუასა ზედა და ჴმელსა, რაჲთამცა ჰყავთ[3] ვინმე ერთი მწირ; და რაჟამს არნ, ჰყვით იგი ნაშობ გეჰენიაჲსა ორ წილ თქუენსა.

16. ვაჲ თქუენდა მწიგნობარნო ბრმანო. რომელთა სთქუთ, ვითარმედ: რომელმან ფუცოს ტაძარსა ამას, არარაჲ არს: ხოლო რომელმან ფუცოს ოქროსა მას ტაძრისასა, ჯერ-არს.

17. ცოფნო და ბრმანო, რომელი უფროჲს არს: ოქროჲ ანუ ტაძარი, რომელი (G 60v) განსწმედს ოქროსა მას?

18. და სთქჳთ[4]: რომელმან ფუცოს საკურთხეველსა, არარაჲ არს; ხოლო რომელმან ფუცოს შესაწირავსა მას, რომელ არს საკურთხეველსა ზედა, ჯერ-არს.

19. ცოფნო და ბრმანო, რომელი უდიდეს არს: შესაწირავი ანუ საკურთხეველი, რომელი განსწმედს შესაწირავსა მას[5]?

20. ხოლო რომელმან ფუცა საკურთხეველსა მას. ფუცავს მას და ყოველი რომელი[6] არს მას ზედა.

21. და რომელმან ფუცა ტაძარსა მას, ფუ(F 52r)ცავს მას და რომელი დამკჳდრებულ არს მას შინა[7].

22. და რომელმან ფუცა ცასა, ფუცავს საყდარსა ღმრთისასა და რომელი ზის მას ზედა.

HIK

რომელნი შეშ[-]ჭამთ[1] სახლებსა ქურივთასა და მიზეზით განგრძობილად ილოცვიდით. ამისთჳს მიიღოთ უმეტესი სასჯელი[2].

14. ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ დაჰჴშავთ სასუფეველ(H 62r)სა ცათასა წინაშე კაცთა; თქუენ შე-არა-ხუალთ და შემავალთა უტევებთ არა შესლვად.

15. ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორ(K 70r)გულნო, რამეთუ მიმო(I 62v)ხუალთ ზღუასა ზედა და ჴმელსა, რაჲთა ჰყოთ ერთი ვინმე მწირ; და რაჟამს არნ, ჰყვით იგი ნაშობ გეჰენიისა[3] ორ წილ თქუენსა[4].

16. ვაჲ თქუენდა, წინამძღუარნო ბრმანო, რომელთა სთქუთ, ვითარმედ: რომელმან ფუცოს ტაძარსა ამას, არარაჲ არს; ხოლო რომელმან ფუცოს ოქროსა მას ტაძრისასა, ჯერ-არს.

17. ცოფნო და ბრმანო, რომელი უფროჲს არს: ოქროჲ ანუ ტაძარი, რომელი განსწმედს ოქროსა მას?

18. და სთქუთ: რომელმან ფუცოს საკურთხეველსა, არარაჲ არს: ხოლო რომელმან ფუცოს შესაწირავსა მას, რომელ არს საკურთხეველსა ზედა, ჯერ-არს.

19. ცოფნო და ბრმანო, რომელი უდიდეს არს: შესაწირავი ანუ საკურთხეველი, რომელი განსწმედს შესაწირავსა მას?

20. რამეთუ რომელმან ფუცოს საკურთხეველსა, ფუცავს მას და ყოველსა, რომელი[5] არს მას ზედა.

21. და რომელმან ფუცოს (H 62v) ტაძარსა, ფუცავს მას და რომელი დამკჳდრებულ არს მას შინა.

22. და რომელმან ფუცოს ცასა, ფუცავს საყდარსა ღმრთისასა და რომელი ზის მას ზედა.

---

[1] ფარისეველნო G (ქარაგმით). [2] არა შეხუალთ] შე-არა-ხუალთ G. [3] რაჲთამცა ჰყავთ] რაჲთა ჰყოთ G. [4] სთქუთ F. [5] მას] — F. [6] რომელი] რაჲ F. [7] შინა] ზედა F.

[1] შეშჭამთ HI. [2] საშჯელი HI. [3] გეჰენიისა I. [4] თქუენსა HI. [5] რომელ K.

FG

23. ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ ათეულსა მოიღებთ პიტნაკისასა და ცერეცოჲსასა და ძირაკისასა და დაგიტევებიეს უმჯობესი[1] შჯულისაჲ: სამართალი და წყალობაჲ და სარწმუნოებაჲ. ესე ჯერ-არს საქმედ და იგი (G 61r) არა დატევებად.

24. წინამძღუარნო ბრმანო, რომელნი დასწურავთ ჭურნაქსა და აქლემსა შთანსთქამთ[2]!

25. ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ განსწმედთ გარეშესა სასუმელისასა და პარაფსიდისასა, ხოლო შინაგან სავსე არს[3] ნატაცებითა და არაწმიდებითა.

26. ფარისეველნო ბრმანო, განწმიდეთ პირველად[4] შინაგანი იგი სასუმელისაჲ, რაჲთა იყოს გარეშეცა იგი წმიდა.

27. ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ მიმსგავსებულ ხართ საფლავთა განგოზილთა, რომელნი ჩანედ კაცთა წინაშე შუენიერ, ხოლო შინაგან სავსე არიედ[5] ძუალებითა მკუდართაჲთა[6] და ყოელითა არაწმიდებითა.

28. ეგრეცა თქუენ გარეშე ჰგონიეთ (F 62v) კაცთა მართალ, ხოლო შინაგან სავსე ხართ ორგულებითა და უშჯულოებითა.

29. (G 61v) ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ აშენებთ საფლავთა წინაწარმეტყუელთასა და შეამკობთ მოსაჴსენებელსა მართალთასა.

HIK

23. ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ ათე(I 63r)ულსა მიიღებთ პიტნაკისასა და ცერეცოჲსასა და ძირაკისასა და დაგიტევებიეს უმძიმესი შჯულისაჲ: სამართალი და წყალობაჲ და სარწმუნოებაჲ. ესე ჯერ-იყო საქმედ (K 70v) და იგი არა დატევებად.

24. წინამძღუარნო ბრმანო, რომელნი დასწურავთ ბურნაკსა, ხოლო აქლემსა შთანსთქამთ!

25. ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ განსწმედთ გარეშესა სასუმლისასა და პაროფსიდისასა[1], ხოლო შინაგან სავსე არიან[2] ნატაცებითა და არაწმიდებითა.

26. ფარისეველო ბრმაო, განწმიდე[3] პირველად შინაგანი იგი სასუმელისაჲ[4] და პაროფსიდისაჲ, რაჲთა იყოს გარეშეცა იგი მისი წმიდა.

27. ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველ(H 68r)ნო ორგულნო, რამეთუ მიმსგავსებულ ხართ საფლავთა განგოზილთა, რომელნი ჩანედ გარეშე შუენიერ[5], ხოლო შინაგან სავსე არიედ ძუალებითა მკუდართაჲთა და ყოვლითა არაწმიდებითა.

28. ეგრეცა თქუენ გარეშე სჩანთ[6] წინაშე კაცთა მართალ, ხოლო შინაგან სავსე (I 63v) ხართ ორგულებითა და უსჯულოებითა[7].

29. ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ აშენებთ საფლავთა წინაწარმეტყუელთასა და შეამკობთ სამარებსა მართალთასა,

---

[1] უმჯობესი] უმძიმესი G. [2] შთანთქამთ G. [3] შინაგანნი სავსე არიან G. [4] პირველად] —F. [5] არიან F. [6] მკუდართ¯თა F.

[1] პაროფსიდისასა] + პინაკისასა K, პიტნაკისასა HI. პაროფსიდი (παροψίς, ἡ) და პინაკი (πίναξ, ὁ) სინონიმებია (ყოველ შემთხვევაში, ახალი აღთქმის წიგნებში). როგორც ჩანს, ოთხთავის ამ ადგილას ჯერ ერთ-ერთი ამათგანი იყო, მოუნდომებიათ მისი შეცვლა მეორე სინონიმური ცალით, იგი მიუწერიათ გვერდში, მაგრამ პირველის წაშლა და ამოღება დავიწყებიათ. მერმე კი ყველაფერი უპრეტენზიო გადამწერების საქმეა. HI-ის პიტნაკისასა ადვილად აიხსნება: უცხო სიტყვა პინაკი მათ გააზრიანეს და პიტნაკით შეცვალეს. პიტნაკი კი მართლაც გვხვდება ოთხთავში ორგან: აქვე (მ. 23, 23) და ლუკას თავში (11, 42). [2] არნ K. [3] განიწმიდე I. [4] სასუმლისაჲ K. [5] შუენიე H, შუენიერ I. [6] ჰშჩანთ HI. [7] უშჯულოებითა HI.

FG

30. და სთქუთ: უკუეთუმცა ვიყვენით დღეთა მათ[1] მამათა ჩუენთასა, არამცა ვიყვენით მათ[2] თანა ზიარ სისხლსა მას წინაწარმეტყუელთასა.

31. ვითარმედ ამით სწამებთ თავით თჳსით, რამეთუ ნაშობნი ხართ მკლველთა წინაწარმეტყუელთანი.

32. და აწ თქუენცა აღავსეთ საწყაული მამათა თქუენთაჲ.

33. გუელნო და ნაშობნო იქედნეთანო, ვითარ-მე ვანერნეთ სატანჯველსა[3] გეჰენიისასა[4]?

34. ამისთჳს აჰა ესერა მე მოვავლინნე[5] თქუენდა წინაწარმეტყუელნი, ბრძენნი და მწიგნობარნი, და მათგანნი მოსწყჳდნეთ[6] და ჯუარს-აცუნეთ[7], და მათგანნი სტანჯნეთ[8] შესაკრებელთა შორის თქუენთა და სდევნიდეთ[9] ქალაქითი ქალაქად,

35. რაჲთა მოიწიოს თქუენ ზედა ყოველი სისხლი მართალი, დათხეული ქუეყანასა ზედა, სისხლითგან აბელის მართ(G 82r)ლისაჲთ, ვიდრე სისხლამდე ზაქარიაჲსა, ძისა ბარუქისა[10], რომელი მოჰკალთ შორის ტაძრისა და საკურთხეველისა.

36. ამენ გეტყჳ თქუენ: (F 81r) მოიწიოს ესე ყოველი ნათესავსა ამას[11] ზედა.

37. იერუსალჱმ, იერუსალჱმ, რომელმან მოსწყჳდენ წინაწარმეტყუელნი და ქვაჲ დაჰკრიბე მოვლინებულთა შენ ზედა, რავდენ-გზის ვინებე შეკრებად შვილთა შენთა, ვითარცა შეიკრიბნის მფრინველმან მართუენი თჳსნი ქუეშე ფრთეთა, და არა ინებეთ!

38. აჰა ესერა დაუტევებთ თქუენ სახლთა თქუენთა ოჴრად.

HIK

30. და იტყჳთ: უკუეთუმცა ვიყვენით დღეთა მათ მამათა ჩუენთასა, არამცა ვიყვენით მათ თანა ზიარ სი(K 71r)სხლსა მას წინაწარმეტყუელთასა.

31. ვინაჲცა ეწამებით თავთა თჳსთა, რამეთუ ნაშობნი ხართ მკლველთა წინაწარმეტყუელთანი.

32. და აწ თქუენცა აღავსეთ საწყაული მამათა თქუენთაჲ.

33. გუელნო[1], ნაშობნო იქედნეთანო, ვითარ-მე განერნეთ სასჯელსა[2] მას გეჰენიისასა[3]?

34. ამისთჳს აჰა ესერა მე მივავლინნე თქუენდა წინაწარმეტყუელნი, ბრძენნი და მწიგნობარნი, და მათგანნი მოსწყჳდნეთ და ჯუარს-აცუნეთ, (H 61v) და მათგანნი სტანჯნეთ შესაკრებელთა შორის თქუენთა და სდევნიდეთ ქალაქითი ქალაქად,

35. რაჲთა მოიწიოს თქუენ ზედა ყოველი სისხლი მართალი, დათხეული ქუეყანასა ზედა, სისხლითგან აბელ მართლისაჲთ, ვიდრე სისხლადმდე ზაქარიაჲსა, ძისა ბარუქისა, რომელი მოჰ(I 64r)კალთ შორის ტაძრისა და საკურთხეველისა.

36. ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ მოიწიოს ესე ყოველი ნათესავსა ამას ზედა.

37. იერუსალჱმ, იერუსალჱმ, რომელმან მოსწყჳდენ წინაწარმეტყუელნი და ქვაჲ დაჰკრიბე მოვლინებულთა შენ ზედა, რაოდენ-გზის ვინებე შეკრებაჲ შვილთა შენთაჲ, ვითარცა სახედ შეიკრიბნის მფრინველმან მართუენი[4] თჳსნი ქუეშე[5] ფრთეთა თჳსთა, და არა ინებეთ!

38. აჰა ესერა დაეტეოს თქუენგან სახლი თქუენი[6] ოჴრად.

---

[1] მათ] — F. [2] მათ] — G. მაშინ დაწარჩენი ორი სიტყუა კომპოზიტად უნდა გავიგოთ: თანაზიარ. [3] სატანჯველსა] საშჯელსა G. [4] გეჰენიაჲსასა G. [5] მოვავლინენ FG. [6] მოსწყჳდენით FG. [7] ჯუარს-აცუენით FG. [8] სტანჯენით FG. [9] სდევნიდით F, სდევნენით G. [10] ბარაქისა G. [11] ნათესავსამას F. ბოლოდან მეორე ა ორივე სიტყუას ეკუთვნის (ნათესავსა ამას).

[1] გუელნო HI. [2] საშჯელსა HI. [3] გეჰენიაჲსასა I. [4] მართჳენი HI. [5] ქუეშჱ H, ქუეშე I. [6] თქუენნი I.

| FG | HIK |
|---|---|
| 39 სოლო გეტყჳ თქუენ: არღარა მიხილოთ მე ამიერითგან, ვიდრემდე სთქუათ: კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა[1]. | 39. რამეთუ გეტყჳ თქუენ: არღარა მიხილოთ მე ამიერ(K 71v)ითგან, ვიდრემდე სთქუათ: კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა. |

## 24

| FG | HIK |
|---|---|
| 1. და გამოვიდა იესუ ტაძრისა მისგან და წარვიდოდა. და მოუჴდეს მას[2] მოწაფენი მისნი და უჩუენებდეს შენებულსა მას ტაძრისასა. | 1. და გამოვიდა იესუ ტაძრისა მისგან და წარვიდოდა. და მოუჴდეს მას მოწაფენი მისნი და უჩუენებდეს[1] შე(H 114r)ნებულსა მას ტაძრისასა. |
| 2. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ: ხედავთ სამე ამას ყოველსა? ამენ გეტყჳ (G 62v) თქუენ: არა დაშთეს ქვაჲ ქვასა ზედა, ვიდრემდე ყოველი დაირღუეს. | 2. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: არა ჰხედავთა[2] ამას ყოველსა? ამენ გეტყჳ თქუენ: არა დაშთეს აქა ქვაჲ ქვასა ზედა, რომელი არა დაირღუეს[3]. |
| 3. და ვითარცა დაჯდა იგი მთასა მას ზეთისხილთასა, მოუჴდეს მას მოწაფენი თჳსაგან და ეტყოდეს: მითხარ ჩუენ, ოდეს იყოს ესე, და რაჲ არს სასწაული იგი შენისა მის[3] მოსლვისაჲ და აღსასრული ამის სოფლისაჲ? | 3. და ვითარცა დაჯდა იგი მთასა მას ზეთისხილთასა, მოუჴდეს მას მოწაფენი თჳსაგან და ეტ(I 114v)ყოდეს: მითხარ ჩუენ, ოდეს იყოს ესე, და რაჲ არს სასწაული იგი შენისა მის მოსლვისაჲ და აღსასრული ამის სოფლისაჲ? |
| 4. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ეკრძალენით, ნუ ვინმე გაცთუნნეს თქუენ. | 4. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ეკრძალენით, ნუ ვინმე გაცთუნნეს თქუენ, |
| 5. რამეთუ მრავალნი მოვიდოდიან სახელითა ჩემითა[4] (F 63v) და იტყოდიან, ვითარმედ: მე ვარ ქრისტჱ[5], და მრავალთა აცთუნებდენ. | 5. რამეთუ მრავალნი მოვიდოდიან სახელითა ჩემითა და იტყოდიან, ვითარმედ: მე ვარ ქრისტე, და მრავალთა აცთუნებდენ. |
| 6. და გესმოდიან ბრძოლანი და ჰამბავნი ბრძოლათანი, იხილეთ და ნუ შესძრწუნდებით, რამეთუ ჯერ-არს ესე ყოფად, არამედ არღა არს აღსასრული. | 6. და გესმოდიან ბრძოლანი და ჰამბავნი ბრძოლათანი, იხილეთ და ნუ (K 72r) შესძრწუნდებით, რამეთუ ჯერ-არს ესე ყოველი ყოფად, არამედ არღა არს აღსასრული. |
| 7. აღდგეს ნათესავი ნათესავსა ზედა და მეუფებაჲ მეუფებასა ზედა, და იყვნენ სიყმილნი და სრვანი[6] და ძრვანი ადგილდ-ადგილდ, | 7. რამეთუ აღდგეს ნათესავი ნათესავსა ზედა და მეუფებაჲ მეუფებასა ზედა, და იყვნენ სიყმილნი და სრვანი და ძრვანი ადგილად-ადგილად. |
| 8. რამეთუ ესე ყოველი დასაბამი სალმობათაჲ არს. | 8. ხოლო ესე ყოველი დასაბამი სალ(H 114v)მობათაჲ არს. |
| 9. (G 63r) მაშინ მიგცნენ თქუენ ჭირსა და მოგწყჳდნენ თქუენ, და იყვ- | 9. მაშინ მიგცნენ თქუენ ჭირსა და მოგწყჳდნენ თქუენ, და იყვნეთ თქუენ |

---

[1] ო̄ისთა F. [2] მას] — F. [3] მის მის F. [4] ჩემით F. [5] ქრისტჱ] — F. [6] და სრვანი] — G.

[1] უჩუჱნებდეს H. [2] ხედავთა K. [3] დაირღუჱს H.

FG

ნეთ თქუენ მოძულებულ ყოველთაგან წარმართთა სახელისა ჩემისათჳს.

10. და მაშინ დაჰბრკოლდებოდიან მრავალნი და ურთიერთას[1] შინა-განსცემდენ და იძულებდენ ურთიერთას[2].

11. და მრავალნი ცრუ-წინაწარმეტყუელნი აღდგენ და აცთუნებდენ მრავალთა.

12. და განმრავლებითა უშჯულოებისაჲთა განჴმეს სიყუარული მრავალთაჲ.

13. ხოლო რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხოვნდეს[3].

14. და იქადაგოს სახარებაჲ ესე სასუფეველისაჲ ყოველსა სოფელსა საწამებელად ყოველთა წარმართთა. და მაშინ მოიწიოს[4] აღსასრული.

15. რაჟამს იხილოთ საძაგელი იგი მოოჴრებისაჲ[*], თქუმული დანიელ წინაწარმეტყუელისა მიერ, მდგომარე ადგილსა წმიდასა, რომელი აღმოიკითხვიდეს, გულისხმა-ყავნ.

16. მაშინ რომელი ჰურიასტანს იყოს, (G 83v) ივლტოდენ მთად.

17. და რომელი ერდოსა ზედა იყოს, ნუ გარდამოვალნ აღებად რაჲსამე სახლისაგან თჳსისა.

18. და რომელი ველსა გარე იყოს, ნუ უკუნიქცევინ კუალად აღებად სამოსლისა თჳსისა.

19. ხოლო ვაჲ მიდგომილთა და რომელნი აწოებდენ მათ დღეთა შინა!

20. არამედ ილოცევდით, რაჲთა არა იყოს სივლტოლაჲ თქუენი ზამთარსა შინა გინა დღესა შაბათსა.

21. რამეთუ იყოს მაშინ ჭირი დიდი, რომელი არა იყო დასაბამითგან სოფლისაჲთ, ვიდრე აქამდე, არცაღა ყოფად არს.

HIK

მოძულებულ ყოველთაგან წარმართთა სახელისა ჩემისათჳს.

10. და მაშინ დაჰბრკოლდებოდიან[1] მრავალნი და ურთიერთას შინა-განსცემდენ და სძულობდენ ურთიერთას.

11. და მრავალნი ცრუ-წინაწარმეტყუელ(I 85r)ნი აღდგენ და აცთუნებდენ მრავალთა.

12. და განმრავლებითა უსჯულოებისაჲთა[2] განჴმეს სიყუარული მრავალთაჲ.

13. ხოლო რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხოვნდეს[3].

14. და იქადაგოს სახარებაჲ ესე სასუფეველისაჲ ყოველსა სოფელსა საწამებელად ყოველთა წარმართთა, და მაშინ მოიწიოს აღსასრული.

15. რაჟამს იხილოთ საძაგელი იგი მოოჴრებისაჲ, თქუმული დანიელ წინაწარმეტყუელისა მიერ, მდგომარე ადგილსა წმიდასა, რომელი აღმოიკითხვიდეს, გულისჴმა-ყავნ.

16. მაშინ რომელნი ჰურიასტანს იყვნენ, ივლტოდედ მთად.

17. და რომელი ერდოსა ზედა იყოს, ნუ გარდამო(K 72v)ვალნ აღებად რასმე სახლისაგან თჳსისა.

18. (H 85r) და რომელი ველსა გარე იყოს, ნუ უკუნიქცევინ აღებად სამოსლისა თჳსისა.

19. ხოლო ვაჲ მიდგომილთა და რომელნი აწოებდენ მათ დღეთა შინა!

20. არამედ ილოცევდით, რაჲთა არა იყოს სივლტოლაჲ თქუენი ზამთარსა შინა გინა შაბათსა.

21. რამეთუ იყოს მაშინ ჭირი დიდი, რომელი არა იყო დასაბამითგან სოფლისაჲთ, ვიდრე აქამდე[1], არცაღა ყოფად არს.

---

[1] ურთიერთარს FG. [2] ურთიერთარს F. [3] ცხონდეს F. [4] მოიწიოს] მოვიდეს F.

[*] ამის შემდეგ F-ს აკლია ერთი ფურცელი (მ. 24, 15—32). ტექსტი მოგვყავს მხოლოდ G-ს მიხედვით. როგორც ჩანს, ხელნაწერს ფურცელი აკლებია (ძველი) პაგინაციის გაკეთებამდე, რადგან სათვალავი ამ ადგილას არ იცვლება.

[1] დაჰრკოლდებოდიან K. [2] უშჯულოებისაჲთა HI. [3] ცხონდეს HI. [4] აქამომდე K.

| FG | HIK |
|---|---|
| 22. და უკუეთუმცა არა შემოკლდეს დღენი იგი, არამცა განერა ყოველი ჴორციელი, ხოლო რჩეულთა მათთჳს შემოკლდენ დღენი იგი. | 22. (I 85v) და უკუეთუმცა არა შემოკლდეს დღენი იგი, არამცა განერა ყოველი ჴორციელი, ხოლო რჩეულთა მათთჳს შემოკლდენ დღენი იგი. |
| 23. მაშინ უკუეთუ ვინმე გრქუას თქუენ: აჰა აქა არს ქრისტჱ გინა თუ იქი, ნუ გრწამნ. | 23. მაშინ უკუეთუ ვინმე გრქუას თქუენ: აჰა აქა არს ქრისტე გინა თუ იქი, ნუ გრწამნ. |
| 24. რამეთუ აღდგენ ქრისტეს-მტყუვარნი და ცრუ-წინაწარმეტყუელნი და ჰყოფდენ სასწაულებსა (G 64r) დიდ-დიდსა და ნიშებსა, ვიდრე ცთუნებადმდე, უკუეთუმცა ვითარ შეუძლეს, რჩეულთა მათცა. | 24. რამეთუ აღდგენ ქრისტე-მტყუვარნი და ცრუ-წინაწარმეტყუელნი და ჰყოფდენ სასწაულებსა დიდ-დიდსა და ნიშებსა, ვიდრე ცთუნებადმდე, უკუეთუმცა ვითარ შეუძლეს, რჩეულთა მათცა. |
| 25. აჰა ესერა წინაჲსწარ გარქუ თქუენ. | 25. აჰა ესერა წინაჲსწარ[1] გარქუ თქუენ. |
| 26. უკუეთუ გრქუან თქუენ: უდაბნოს არს, ნუ განხუალთ; აჰა ესერა საუნჯეთა შინა არს, ნუ გრწამნ. | 26. უკუეთუ გრქუან თქუენ: აჰა უდაბნოსა[2] არს, ნუ განხუალთ; აჰა ესერა საუნჯეთა[3] შინა არს, ნუ გრწამნ. |
| 27. რამეთუ, ვითარცა ელვაჲ რაჲ გამობრწყინდის მზისა-აღმოსავალით და ჩანნ ვიდრე დასავალამდე, ეგრეთ იყოს მოსლვაჲ ძისა კაცისაჲ. | 27. რამეთუ, ვითარცა ელვაჲ რაჲ გა(H 65v)მობრწყინდის მზისა-აღმოსავალით და ჩანნ ვიდრე დასავალადმდე, ეგრეთ იყოს მოსლვაჲ ძისა კაცისაჲ. |
| 28. რამეთუ სადაცა მძორი იყოს. მუნცა შეკრბეს ორბები. | 28. (K 73r) რამეთუ სადაცა იყოს მძორი, მუნცა შეკრბეს ორბები. |
| 29. ხოლო მეყსეულად შემდგომად ჭირისა მის მათ დღეთაჲსა მზჱ დაბნელდეს, და მთოვარემან არა გამოსცეს ნათელი თჳსი, და ვარსკულავნი გარდამოცჳვენ ზეცით, და ძალნი ცათანი შეიძრნენ. | 29. ხოლო მეყსეულად შემდგომად ჭირისა მის მათ დღეთაჲსა მზე დაბნელდეს, და მთოვარემან არა გამოსცეს ნათელი თჳსი. და ვარსკულავნი დამოცჳვენ ზეცით, და ძალნი ცათანი შეიძრნენ. |
| 30. და მაშინ გამოჩნდეს სასწაული ძისა კაცისაჲ ცათა შინა, და მაშინ ეტყებდენ ყოველნი ტომნი ქუეყანისანი (G 64v) და იხილონ ძჱ კაცისაჲ მომავალი ღრუბელთა ზედა ცისათა ძალითა და დიდებითა მრავლითა. | 30. და (I 86r) მაშინ გამოჩნდეს სასწაული ძისა კაცისაჲ ცათა შინა, და მაშინ იტყებდენ ყოველნი ტომნი ქუეყანისანი და იხილონ ძე კაცისაჲ მომავალი ღრუბელთა ზედა ცისათა ძალითა და დიდებითა მრავლითა. |
| 31. და წარავლინნეს ანგელოზნი თჳსნი საყჳრითა დიდითა და შეკრიბნეს რჩეულნი მისნი ოთხთაგან ქართა კიდითგან ცისაჲთ, ვიდრე კიდედმდე მათა. | 31. და წარავლინნეს ანგელოზნი თჳსნი საყჳრითა ჴმისა დიდისაჲთა და შეკრიბნეს რჩეულნი მისნი ოთხთაგან ქართა კიდითგან ცათაჲთ, ვიდრე კიდედმდე მათა. |
| 32. ხოლო ლეღჳსაგან ისწავეთ იგავი: ვითარ-იგი რაჟამს რტონი მისნი და- | 32. ხოლო ლეღჳსაგან ისწავეთ იგავი: ვითარცა-იგი რაჟამს რტონი მისნი |

---

[1] წ¯წრ HIK. [2] უდაბნოსა HI (ა მეტია, „უდაბნოს“ უნდაო). [3] საუნჯესა K.

### FG

ჩუჩიან. და ფურცელი გამოეალნ, უწ(F 54ro)*ყოდეთ, რამეთუ ახლოს არს ზაფხული.

33. ეგრეცა თქუენ, ოდეს იხილოთ ესე ყოველი, უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არს, კართა ზედა.

34. ამენ გეტყჳ თქუენ: არა წარჴდეს ნათესავი ესე, ვიდრემდე ესე ყოველი იქმნეს.

35. ცანი და ქუეყანაჲ წარჴდენ, ხოლო სიტყუანი ჩემნი არა წარჴდენ.

36. ხოლო დღისა მისთჳს და ჟამისა არავინ იცის, არცა ანგელოზთა ცისათა, არცა ძემან, არამედ მამამან მხოლომან.

37. ვითარცა-იგი დღეთა მათ ნოესთა, ეგრე იყოს მოსლვაჲ (G 65ro) ძისა კაცისაჲ.

38. ვითარცა-იგი იყვნეს დღეთა მათ პირველ წყლით-რღუნისათა: ჭამდეს და სუმიდეს, იქორწინებოდეს და განჰქორწინებდეს მუნ დღედმდე, ვიდრემდე[1] შევიდა ნოვე[2] კიდობნად.

39. და ვერ ცნეს, ვიდრემდე მოიწია წყლით-რღუნაჲ იგი და წარიღო ყოველი. ესრეთ იყოს მოსლვაჲ ძისა კაცისაჲ.

40. მაშინ ორნი იყვნენ ველსა გარე: ერთი წარიყვანოს, და ერთი დაეტეოს.

41. ორნი ფქვიდენ ფქვილსა: ერთი წარიტაცოს, და ერთი დაეტეოს.

42. იღჳძებდით უკუე, რამეთუ არა იცით, რომელსა დღესა უფალი თქუენი მოვიდეს.

43. ხოლო ესემცა იცით: უკუეთუმცა უწყოდა სახლისა უფალმან, რომელსა ჟამსა მპარავი მოსლვად არს, იღჳძებდ(F 54vo)ამცა და არა უტევა დათხრად გუერდი სახლისა თჳსისაჲ.

### HIK

დაჩჩკან, და ფურცელი[1] გამოვალნ, უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არს ზაფხული.

33. ეგრეცა თქუენ, ოდეს იხილოთ ესე ყოველი, უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არს, კართა ზედა.

34. ამენ გეტყჳ თქუენ: არა წა(H 60ro)რჴდეს ნათესავი ესე, ვიდრემდე ესე ყოველი იქმნეს.

35. ცანი და ქუეყანაჲ წარჴდენ, ხოლო სიტყუანი ჩემნი არა წარჴდენ.

36. ხოლო დღისა მისთჳს და ჟამისა არავინ იცის, არცა ანგელოზთა ცისათა[2], გარნა მამამან მხოლომან.

37. ვითარცა-იგი დღეთა მათ ნოესთა[3], ეგრეთ იყოს მოსლვაჲ (K 73vo) ძისა კაცისაჲ.

38. რამეთუ ვითარცა-იგი იყვნეს დღეთა მათ შინა (I 60vo) პირველ წყლით-რღუნისათა[4]: ჭამდეს და სუმიდეს, იქორწინებდეს[5] და განჰქორწინებდეს მუნ დღედმდე, ვიდრემდე შევიდა ნოვე[6] კიდობნად.

39. და ვერ ცნეს, ვიდრემდე მოიწია წყლით-რღუნაჲ იგი და წარიღო ყოველი. ესრეთ იყოს მოსლვაჲცა ძისა კაცისაჲ.

40. მაშინ ორნი იყვნენ ველსა გარე: ერთი წარიყვანოს, და ერთი დაეტეოს.

41. ორნი ფქვიდენ ფქვილსა: ერთი წარიტაცოს, და ერთი დაეტეოს.

42. იღჳძებდით უკუე[7], რამეთუ არა იცით, რომელსა ჟამსა უფალი თქუენი მოვიდეს.

43. ხოლო ესემცა იცით: უკუეთუმცა უწყოდა[8] სახლისა უფალმან, რომელსა საჴუმილავსა მპარავი მოსლვად არს, იღჳძებდამცა და არა უტევა დათხრად სა(H 60vo)ხლისა თჳსისა.

---

[*] იქედან კვლავ იწყება F-ის ტექსტი.

[1] ვიდრე F. [2] ნოე F.

[1] ფურცელნი და K. [2] ცისათა] + არცა ძემან K. HI-ში ამ სიტყვის გასწვრივ მარჯვენა არშიაზე ტექსტის ხელით წერია: „არცა ძემან“ — ესე სიტყუაჲ სამთა ბერძულთა სახარებათა არა ეწერა, არცა მე დავწერე.“. [3] ნოესთა K. [4] წყლით-რღუნ-სა HIK. [5] ასეა HIK. ჩვეულებრივად არის ხოლმე ენებითის ფორმა „იქორწინებოდეს“. [6] ნოე K. [7] უკუჱ HIK. [8] უწყოდა] იცოდა HI.

FG

44. ამისთჳს თქუენცა იყვენით განმზადებულ, რამეთუ რომელსა ჟამსა არა ჰგონებდეთ, ძჱ[1] კაცისაჲ მოვიდეს.

45. (G 85v) ვინ-მე არს სარწმუნოჲ იგი მონაჲ და[2] ბრძენი, რომელი დაადგინოს უფალმან თჳსმან მსახურთა თჳსთა ზედა მიცემად საზრდელი მათი ჟამსა თჳსსა[3].

46. ნეტარ არს მონისა მის, რომლისაჲ[4] მოვიდეს უფალი თჳსი და პოვოს[5] ესრეთ მოქმედი.

47. ამენ გეტყჳ თქუენ, ვითარმედ ყოველსა ზედა მონაგებსა თჳსსა[6] დაადგინოს იგი.

48. უკუეთუ თქუას ბოროტმან მან მონამან გულსა თჳსსა: ყოვნის უფალი ჩემი მოსლვად,

49. და იწყოს გუემად მისთანათა მათ მონათა, ჭამდეს და სუმიდეს მომთრვალეთა თანა,

50. მოვიდეს უფალი იგი მონისაჲ მის დღესა, რომელსა არა ჰგონებდეს, და ჟამსა რომელსა[7] არა უწყოდის,

51. და ორგან განკუეთოს იგი და ნაწილი მისი დადვას ორგულთა თანა. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენაჲ კბილთაჲ.

HIK

44. ამისთჳს თქუენცა იყვენით განმზადებელ, რამეთუ რომელსა ჟამსა არა ჰგონებდეთ, ძე კაცისაჲ მოვიდეს.

45. ვინ-მე არს სარწმუნოჲ იგი მონაჲ და ბრძენი, რომელი დაადგინოს უფალმან თჳსმან მონათა თჳსთა ზედა მიცემად საზრდელი მათი ჟამსა თჳსსა.

46. ნეტარ არს მონისა[1] მის, რომლისაჲ მოვიდეს უფალი მისი და პოოს იგი (I 97r) ესრეთ მოქმედი.

47. ამენ გეტყჳ თქუენ, ვითარმედ ყოველთა ზედა მონაგებთა მისთა დაადგინოს იგი.

48. (K 74r) ხოლო უკუეთუ თქუას ბოროტმან მან მონამან გულსა თჳსსა: ჰყოვნის უფალი ჩემი მოსლვად,

49. და იწყოს გუემად[2] მისთანათა მათ მონათა და ჭამდეს და სუმიდეს მომთრვალეთა თანა,

50. მოვიდეს უფალი იგი მონისაჲ მის დღესა, რომელსა არა მოელოდის, და ჟამსა, რომელი არა უწყოდის,

51. და ორგან განკეეთოს[3] იგი და ნაწილი მისი დადვას ორგულთა თანა. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენაჲ კბილთაჲ.

## 25

FG

1. მაშინ ემსგავსოს სასუფეველი ცათაჲ ათთა ქალწულთა, რომელთა აღიხუნეს სანთელნი თჳსნი[8] და განვიდეს მიგებებად სიძისა და[9] სძლისა.

2. (G 86r) ხოლო ხუთნი იგი მათგანნი იყ(F 55r)ვნეს სულელნი და ხუთნი — ბრძენნი.

3. მიიხუნეს სულელთა მათ სანთელნი მათნი და არა მიიღეს მათ თანა ზეთი.

4. ხოლო ბრძენთა მათ მიიღეს მათ თანა ზეთი ჭურჭელთა მათთა სანთელთა მათთა თანა.

HIK

1. მაშინ ემსგავსოს სასუფეველი ცათაჲ ათთა ქალწულთა, რომელთა აღიხუნეს ლამპარნი თჳსნი და განვიდეს მიგებებად სიძისა.

2. (H 87r) ხოლო ხუთნი მათგანნი იყვნეს ბრძენნი და ხუთნი — სულელნი.

3. მიიხუნეს სულელთა მათ ლამპარნი მათნი და არა მიიღეს მათ თანა ზეთი.

4. ხოლო ბრძენთა მათ მიიღეს მათ თანა ზეთი ჭურჭელთა მათთა ლამპართა მათთა თანა.

---

[1] ძე F. [2] და] — G. [3] თჳსა F. [4] რომლისა F. [5] პოოს G. [6] ყოველთა ზედა მონაგებთა თჳსთა G. [7] რომელი G. [8] თჳსნი] — F. [9] და და G.

[1] მონისაჲ K. [2] გუჱმად HI. [3] განკუჱთოს HI.

| FG | HIK |
|---|---|
| 5. და დაყოვნებასა მას სიძისასა[1] მიერულა ყოველთა და დაიძინეს. | 5. და დაყოვნებასა მას სიძისასა მიერულა ყოველთა და დაიძინეს. |
| 6. შუვა-ღამეს[2] ოდენ ღაღადებაჲ იყო, ვითარმედ აჰა ესერა სიძჱ[3] შემოვალს, აღდეგით და მივეგებვოდით[4] მას. | 6. (I 67ა) ხოლო შუვა-ღამეს ოდენ ღაღადებაჲ იყო, ვითარმედ: აჰა ესერა სიძე მოვალს, გამოვედით მიგებებად მისა[1]. |
| 7. მაშინ აღდგეს ყოველნი იგი ქალწულნი და აღიგნეს[5] სანთელნი მათნი. | 7. მაშინ აღდგეს ყოველნი იგი ქალწულნი და აღიგნეს ლამპარნი მათნი. |
| 8. ხოლო სულელნი იგი ეტყოდეს ბრძენთა მათ: მეცით ჩუენ ზეთისაგან თქუენისა, რამეთუ სანთელნი ჩუენნი დაშრტებიან. | 8. ხოლო სულელნი იგი ეტყოდეს ბრძენთა მათ: მეცით ჩუენ ზეთისაგან თქუენისა, რამეთუ ლამპარნი ჩუენნი დაშრტებიან. |
| 9. მიუგეს ბრძენთა მათ და ჰრქუეს: ნუუკუე ვერ გუეყოს ჩუენ და თქუენ, არამედ წარვედით სავაჭროდ და იყიდეთ თავისა თქუენისა. | 9. მიუგეს ბრძ(K 74ა)ენთა მათ და ჰრქუეს: ნუუკუე[2] ვერ კმა-გუეყოს[3] ჩუენ და თქუენ, არამედ უფროჲსღა წარვედით სავაჭროდ და იყიდეთ თავისა თქუენისა. |
| 10. და ვითარცა წარვიდეს იგინი სყიდად, მოვიდა სიძჱ[3] იგი, და განმზადებულნი იგი შევიდეს სიძისა მის[6] თანა (G 66ა) ქორწილსა მას, და დაეჴშა კარი. | 10. და ვითარცა წარვიდეს იგინი სყიდად, მოვიდა სიძე იგი, და განმზადებულნი იგი[4] შევიდეს სიძისა თანა ქორწილსა მას, და დაეჴშა კარი. |
| 11. შემდგომად მათსა მოვიდეს სხუანიცა იგი ქალწულნი და იტყოდეს[7]: უფალო, უფალო, განგჳღე[8] ჩუენცა! | 11. შემდგომად მათსა მოვიდეს სხუანიცა იგი ქალწულნი და (H 67ა) იტყოდეს: უფალო, უფალო, განგჳღე ჩუენ! |
| 12. მიუგო და ჰრქუა მათ: ამენ გეტყჳ თქუენ: არა გიცნი თქუენ. | 12. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა მათ: ამენ გეტყჳ თქუენ: არა გიცნი თქუენ. |
| 13. იღჳძებდით უკუე თქუენცა, რამეთუ არა იცით დღჱ[9] იგი, არ(F 55ა)ცა ჟამი. | 13. იღჳძებდით უკუე[5], რამეთუ არა იცით დღე იგი, არცა ჟამი, რომელსა შინა ძე კაცისაჲ მოვიდეს. |
| 14. ვითარცა-იგი რაჟამს წარვალნ კაცი გზასა და მოუწესნ მონათა თჳსთა და მისცის მათ მონაგები თჳსი; | 14. ვითარცა-იგი რაჟამს წარვალნ კაცი და მოუწესის მონათა თჳსთა და მისცის მათ მონაგები თჳსი; |
| 15. და რომელსამე მისცა ხუთი ტალანტი, რომელ არს ქანქარი, და რომელსამე ორი ქანქარი და რომელსამე ერთი, კაცად-კაცადსა მსგავსად ძალისა თჳსისა, და წარვიდა. | 15. და რომელსამე (I 68ბ) მისცა ხუთი ქანქარი და რომელსამე[6] ორი ქანქარი და რომელსამე ერთი, კაცად-კაცადსა მსგავსად ძალისა თჳსისა, და მეყსეულად წარვიდა. |
| 16. და მეყსეულად წარვიდა, რომელმან-იგი ხუთი ქანქარი[10] მიიღო, აქმნია მას ზედა და შესძინა სხუაჲლა ხუთი. | 16. ხოლო წარვიდა, რომელმან-იგი ხუთი ქანქარი მიიღო, აქმნია მას ზედა და შესძინა სხუაჲლა ხუთი ტალანტი. |

---

[1] სძისსა G (უქარაგმოდ). [2] შუა-ღამეს F, შუვა-ღამესა G. [3] სიძე F. [4] მიეგებვოდით FG (მივეგებვოდით ЏM, S435). [5] აღაგნეს F. [6] მის] — G. [7] ეტყოდეს F. [8] განგჳღჱ G. [9] დღე F. [10] ქარი F.

[1] მისსა K. [2] ნუუკუჱ HIK. [3] კმა-გუჱყოს H. [4] იგინი K. [5] უკუჱ HIK. [6] რომელსა K

FG

17. ეგრევე, რომელმან-იგი ორი მიიღო, შესძინა სხუაჲ ორი.

18. ხოლო რომელმან-იგი ერთი მიიღო, წარვიდა და მოთხარა და დაჰფლა ქუეყანასა ვეცხლი იგი უფლისა თჳსისაჲ.

19. შემდგომად მრავლისა[1] ჟა(G 87r)მისა მოვიდა უფალი იგი მათ[2] მონათაჲ და სიტყუაჲ ყო მონათა მათ თანა.

20. და წარმოდგა, რომელმან-იგი ხუთი ქანქარი მიიღო, და მოართუა მას სხუაჲლა[3] ხუთი ქანქარი და ჰრქუა: უფალო, ხუთი ქანქარი მომეც მე, აჰა სხუაჲ ხუთი ქანქარი შევსძინე მას[4].

21. ჰრქუა მას უფალმან მისმან[5]: კეთილო მონაო, სახიერო და სარწმუნოო! მცირედსა ზედა სარწმუნო იქმენ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ; შევედ სიხარულსა უფლისა შენისასა.

22. მოვიდა, რომელსა-იგი ორი (F 58r) ქანქარი მიეღო, და ჰრქუა: უფალო, ორი ქანქარი მომეც მე, აჰა სხუაჲ ორი შევსძინე.

23. ჰრქუა მას უფალმან თჳსმან: კეთილო მონაო, სახიერო და სარწმუნოო! მცირედსა ზედა სარწმუნო იქმენ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ; შევედ სიხარულსა უფლისა შენისასა.

24. მოვიდა იგიცა, რომელსა ერთი ქა(G 87v)ნქარი მიეღო, და ჰრქუა: უფალო, უწყოდე, რამეთუ ფიცხელი კაცი ხარ შენ: მოიმკი, სადა არა დასთესი, და შეიკრიბი, სადა არა განაბნიი.

25. შემეშინა და წარვედ და დავჰფალ ტალანტი შენი ქუეყანასა. და[6] აჰა ესერა[7] შენი შენ თანა არს.

26. მიუგო უფალმან მისმან და ჰრქუა მას: ბოროტო მონაო და მედგარო! უწყოდე, რამეთუ მოვიმკი, სადა არა დავსთესი, და შევიკრიბი, სადა არა განმიბნევიედ.

HIK

17. ეგრეთვე, რომელმან-იგი ორი მიიღო, შესძინა სხუაჲ ორი.

18. ხოლო რომელმან-იგი ერთი მიიღო, წარვიდა და მოთსარა და დაჰფლა ქუეყანასა ვეცხლი იგი უფლისა თჳსისაჲ.

19. შემდგომად მრავლისა ჟამისა მოვიდა უფალი იგი მათ მონათაჲ და სიტყუაჲ ყო მონათა მათ თანა.

20. (K 75r) და წარმოდგა, რომელმან-იგი ხუთი ქანქარი მიიღო, და მოართუა მას სხუაჲლა ხუთი ქანქარი და ჰრქუა: უფალო, ხუთი ქანქარი მომეც მე, აჰა ესერა (H 88r) სხუაჲლა ხუთი ქანქარი შევსძინე.

21. ჰრქუა მას უფალმან მისმან: კეთილ, მონაო სახიერო და სარწმუნოო! მცირედსა ზედა სარწმუნო იქმენ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ; შევედ სიხარულსა უფლისა შენისასა.

22. მოვიდა იგიცა, რომელსა ორი ქანქარი (I 88v) მიეღო, და ჰრქუა: უფალო, ორი ქანქარი მომეც მე, აჰა სხუაჲ ორი ტალანტი შევსძინე.

23. ჰრქუა მას უფალმან მისმან: კეთილ, მონაო სახიერო და სარწმუნოო[1]! მცირედსა ზედა სარწმუნო იქმენ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ; შევედ სიხარულსა უფლისა შენისასა.

24. მოვიდა იგიცა, რომელსა ერთი ქანქარი მიეღო, და ჰრქუა: უფალო, უწყოდე, რამეთუ ფიცხელი კაცი ხარ შენ: მოიმკი, სადა არა დასთესი, და შეიკრიბი, სადა არა განგიბნევიედ.

25. და შემეშინა, წარვედ და დავმალე ქანქარი იგი შენი ქუეყანასა. აჰა ესერა შენი შენ თანა არს.

26. მიუგო უფალმან მისმან და ჰრქუა მას: ბოროტო მონაო და მედგარო! უწყოდე, რამეთუ მოვიმკი, სადა არა დავსთესი, და შევიკრიბი, სადა არა განმიბნევიედ.

---

[1] მრავლისა] რავდენისამე F. [2] მათ] F. [3] სხუაჲ G. [4] მას] — G. [5] მისმან] თჳსმან G. [6] და] — G. [7] ესერა] — F.

[1] სარწმუნოეო H.

FG

27. ჯერ-იყო შენდა დადებად ვეცხლი ჩემი სავაჭროსა და მო-მცა-ვედ და მივიღე ჩემი აღნადგინებითურთ[1].

28. მოუღეთ მაგას ქანქარი ეგე და მიეცით მას, რომელსა აქუს[2] ათი ტალანტი.

29. რამეთუ ყოველსა რომელსა აქუნდეს, მიეცეს და მიემატოს; და რომელსა არა აქუნდეს და რომელღა-იგი აქუნდეს, მო-ვე-ღოს მისგან.

30. (F პჱv) და უჴმარი ეგე მონაჲ განჴადეთ ბნელსა მას გარესკნელსა. მუნ (G ჟაr) იყოს ტირილი და ღრჭენაჲ კბილთაჲ.

31. რაჟამს მოვიდეს ძჱ[3] კაცისაჲ დიდებითა თჳსითა, და ყოველნი ანგელოზნი მისნი მის თანა, მაშინ დაჯდეს საყდართა ზედა[4] დიდებისა[5] თჳსისათა;

32. და შეკრბენ[6] წინაშე მისსა ყოველნი ნათესავნი, და განარჩინეს იგინი ურთიერთას[7], ვითარცა-იგი მწყემსმან განარჩინის ცხოვარნი[8] თიკანთაგან,

33. და დაადგინნის ცხოვარნი მარჯუენით მისსა და თიკანნი — მარცხენით მისა[9].

34. მაშინ ჰრქუას მეუფემან მან მარჯუენითთა მათ მისთა: მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო. და დაიმკჳდრეთ განმზადებული თქუენთჳს სასუფეველი დასაბამითგან სოფლისაჲთ.

35. რამეთუ მშიოდა, და მეცით მე ჭამადი; მწყუროდა, და მასუთ მე; უცხო ვიყავ. და შემიწყნარეთ მე;

36. შიშუელ[10] ვიყავ, და შემმოსეთ მე; სნეულ ვიყავ, და მომხედეთ მე; საპყრობილეს[11] ვიყავ, და მოხუედით ჩემდა.

HIK

27. ჯერ-იყო შენდა დადებად ვეცხლი ჩემი სავაჭრ(K ოევ)ოსა, (H ჲვv) და მო-მცა-ვედ და მოვიღე ჩემი იგი აღნადგინებითურთ.

28. მოუღეთ მაგას ქანქარი ეგე და მიეცით მას, რომელსა აქუს ათი ქანქარი.

29. რამეთუ ყოველსა, რომელსა აქუნდეს, მიეცეს და მიემა(I ჲთr)ტოს; და რომელსა არა აქუნდეს და რომელღა-იგი აქუნდეს, მო-ვე-ღოს მისგან. და ამას რაჲ იტყოდა, ჴმა-ყო: რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!

30. და უჴმარი ეგე მონაჲ განჴადეთ ბნელსა მას გარესკნელსა. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენაჲ კბილთაჲ.

31. ხოლო რაჟამს მოვიდეს ძე კაცისაჲ დიდებითა თჳსითა, და ყოველნი ანგელოზნი მისნი მის თანა, მაშინ დაჯდეს საყდართა დიდებისა თჳსისათა;

32. და შეკრბენ[1] წინაშე მისა[2] ყოველნი ნათესავნი, და განარჩინეს იგინი ურთიერთას, ვითარცა-იგი მწყემსმან რაჲ განარჩინის[3] ცხოვარნი თიკანთაგან,

33. და დაადგინნეს ცხოვარნი მარჯუენით[4] მისა და თიკანნი — მარცხენით.

34. მაშინ ჰრქუას მეუფემან[5] მარჯუენითთა (K ოვr) მათ მისთა: მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკჳდრეთ განმზადებული თქუენ(H ჲზr)თჳს სასუფეველი დასაბამითგან სოფლისაჲთ.

35. რამეთუ მშიოდა, და მეცით მე ჭამადი; მწყუროდა, და მასუთ მე; უცხო ვიყავ, და შემიწყნარეთ მე;

36. შიშუელ[6] ვიყავ, და შემმოსეთ მე; სნეულ ვიყავ, და მომ(I ჲთv)ხედეთ მე; საპყრობილეს ვიყავ, და მოხუედით[7] ჩემდა.

---

[1] აღნადგინებითთერთა G. [2] აქუნდეს G. [3] ძე F. [4] ზედა] — G. [5] დიდებისა G (უქარაგმოდ). [6] შეკრიბნეს F. [7] ერთიერთას F. [8] ცხოარნი F. [9] მისა] — G. [10] შიშულ G. [11] საპყრობილესა F.

[1] შეკრიბნეს K. [2] მისსა K. [3] განარჩინეს I. [4] მარჯუენით H. [5] მ̄ფმ̄ნ I. [6] შიშულ HI. [7] მოხედით HI.

| FG | HIK |
|---|---|
| 37. მაშინ მიუგონ მას (G 89v) მართალთა მათ და ჰრქუან: უფალო, ოდეს გიხილეთ შენ მშიერი და გამოგზარდეთ შენ[1]? ანუ წყურიელი და გასუთ შენ? | 37. მაშინ მიუგონ მას მართალთა მათ და ჰრქუან: უფალო, ოდეს გიხილეთ შენ მშიერი და გამოგზარდეთ? ანუ წყურიელი და გასუთ შენ? |
| 38. ოდეს გიხი(F 57r)ლეთ შენ უცხოდ და შეგიწყნარეთ? ანუ შიშუელი და შეგმოსეთ შენ? | 38. ოდეს გიხილეთ შენ უცხოდ და შეგიწყნარეთ? ანუ შიშუელი[1] და შეგმოსეთ შენ? |
| 39. ოდეს გიხილეთ შენ უძლური ანუ საპყრობილესა და მოვედით შენდა? | 39. ოდეს გიხილეთ შენ უძლური ანუ საპყრობილესა და მოვედით შენდა? |
| 40. და მიუგოს მეუფემან მან და ჰრქუას მათ: ამენ გეტყჳ თქუენ: რაოდენსა ზედა ჰყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, მე მიყავთ. | 40. და მიუგოს მეუფემან მან და ჰრქუას მათ: ამენ გეტყჳ თქუენ: რაოდენი[2] უყავთ ერთსა ამას[3] მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ. |
| 41. მაშინ ჰრქუას მარცხენითთა მათ: წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისათჳს და მსახურთა მისთა, | 41. მაშინ ჰრქუას მარცხენითთა მათცა: წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისათჳს და ანგელოზთა მისთათჳს, |
| 42. რამეთუ მშიოდა და არა მეცით მე ჭამადი; მწყუროდა, და არა მასუთ მე; | 42. რამეთუ მშიოდა, და არა მეცით მე ჭამადი; მწყუროდა, და არა მასუთ მე; |
| 43. უცხო ვიყავ, და არა შემიწყნარეთ მე; შიშუელ ვიყავ, და არა შემმოსეთ მე: უძლურ[2] ვიყავ და საპყრობილესა, და არა მოხუედით ჩემდა. | 43. უცხო ვიყავ, და არა შე(H 69v)მიწყნარეთ მე; შიშუელ[4] ვიყავ, და (K 70v) არა შემმოსეთ მე; უძლურ ვიყავ და საპყრობილესა, და არა მოხუედით[5] ჩემდა. |
| 44. (G 90r) მაშინ მიუგონ მათცა და ჰრქუან: უფალო, ოდეს გიხილეთ შენ მშიერი ანუ წყურიელი, ანუ[3] უცხოებასა, ანუ შიშულოებასა[4], ანუ უძლურებასა[5], ანუ საპყრობილესა და არა გმსახურეთ შენ? | 44. მაშინ მიუგონ მათცა და ჰრქუან: უფალო, ოდეს გიხილეთ შენ მშიერი ანუ წყურიელი, ანუ (I 70r) უცხოებასა, ანუ შიშულოებასა, ანუ უძლურებასა, ანუ საპყრობილესა და არა გმსახურეთ შენ? |
| 45. მაშინ მიუგოს მან და ჰრქუას მათ: ამენ გეტყჳ თქუენ: რაოდენსა არა უყავთ ერთსა მცირეთაგანსა, მე არა მიყავთ. | 45. მაშინ მიუგოს მან და ჰრქუას მათ: ამენ გეტყჳ თქუენ: რაოდენი[2] არა უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა, მე არა მიყავთ. |
| 46. (F 57v) და წარვიდენ ესენი სატანჯველსა საუკუნესა, ხოლო მართალნი — ცხორებასა საუკუნესა. | 46. და წარვიდენ ესენი სატანჯველსა საუკუნესა, ხოლო მართალნი—ცხორებასა საუკუნესა. |

---

[1] შენ] — G. [2] უძრულ G. [3] და ანუ F. [4] შიშლობასა G. [5] უძრულებასა G.

[1] შიშუჳლი HI. [2] რაედენი HI. [3] ამათ K. [4] შიშუჳლ HI. [5] მოხუჳდით HIK.

# 26

## FG

1. და იყო რაჟამს დაასრულნა იესუ ყოველნი ესე სიტყუანი. ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა[1]:

2. უწყითა. რამეთუ შემდგომად ორისა დღისა ვნებაჲ იგი იყოს, და ძჱ[2] კაცისაჲ მიეცეს ჯუარ-ცუმად?

3. მაშინ შეკრბეს მღდელთ-მოძღუარნი იგი და მოხუცებულნი ერისანი ეზოსა კაიაფაჲს მღდელთ-მოძღურისასა

4. და ზრახვა-ყვეს, რაჲთა იესუ ზაკუვით შეიპყრან.

5. ხოლო იტყოდეს: ნუ დღესასწაულსა ამას, რაჲთა არა შფოთი იყოს ერსა შორის.

6. (G 69Ⴣ) ხოლო იესუ იყო რაჲ ბეთანიას, სახლსა სიმონის კეთროვნისასა,

7. მივიდა მისა დედაკაცი, რომელსა აქუნდა ალაბასტრი ნელსაცხებელი მრავალ-სასყიდლისაჲ, და დაასხა თავსა მისსა ინაკით-მჯდომარესა.

8. იხილეს რაჲ მოწაფეთა, განრისხნეს და იტყოდეს: რაჲსათჳს იყო წარწყმედაჲ ნელსაცხებლისაჲ ამის?

9. შესაძლებელ იყო ესე განსყიდად[3] დიდძალის[4] და მიცემად გლახაკთა.

10. გულისხმა-ყო[5] იესუ და ჰრქუა მათ: რაჲსა შრომასა შეამთხუევთ დედაკაცსა მაგას? რამეთუ საქმჱ[6] კეთილი ქმნა ჩემდა მომართ*.

11. რამეთუ გლახაკნი მარადის თქუენ თანა არიან, ხოლო მე არა მარადის თქუენ თანა ვარ.

## HIK

1. და იყო რაჟამს დაასრულნა იესუ ყოველნი ესე სიტყუანი, ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა:

2. უწყითა, რამეთუ შემდგომად ორისა დღისა ვნებაჲ იყოს, და ძე კაცისაჲ მიეცეს ჯუარ-ცუმად?

3. მაშინ შეკრბეს მღდელთ-მოძღუარნი იგი და მწიგნობარნი და მოხუცებულნი ერისანი ეზოსა მას კაიაფა[1] მღდელთ-მოძღურისასა

4. და ზრახვა-ყვეს, რაჲთა იესუ ზაკუვით შეიპყრან და მოკლან.

5. ხოლო იტყოდეს: ნუ დღესასწაულსა ამას, რაჲთა არა შფოთი იქმნეს ერსა შორის.

6. (H 70Ⴐ) ხოლო იესუ იყო რაჲ ბეთანიას, სახლსა სიმონ კეთროვნისასა,

7. მოუჴდა დედაკაცი, რომელსა აქუნდა ალაბასტრი ნელსაცხებლ(K 77Ⴐ)ისა[2] მრავალ-სასყიდლისაჲ, და დაასხა თავსა მისსა ინაკით-მჯდომარესა.

8. (I 70Ⴣ) ხოლო იხილეს რაჲ მოწაფეთა, განრისხნეს და იტყოდეს: რაჲსათჳს იყო წარწყმედაჲ ნელსაცხებელისაჲ[3] ამის?

9. რამეთუ შესაძლებელ იყო ესე განსყიდად დიდძალის და მიცემად გლახაკთა,

10. ხოლო იესუ გულისჴმა-ყო და ჰრქუა მათ: რაჲსა შრომასა შეამთხუევთ[4] დედაკაცსა მაგას? რამეთუ საქმე კეთილი ქმნა ჩემდა მომართ.

11. რამეთუ გლახაკნი მარადის თქუენ თანა არიან, ხოლო მე არა მარადის თქუენ[5] თანა ვარ.

---

[1] თჳსთა] — F. [2] ძე F. [3] — განსყიდად ესე G. [4] და დიდძალის G. [5] გულისჴმა-ყო F. [6] საქმე F.

* ამის შემდეგ F-ს აკლია ერთი ფურცელი (მ. 26, 11—30). ტექსტი მხოლოდ G-ს მიხედვით მოგვყავს.

[1] კაიაჶა HI (=კაიაფა). [2] ნელსაცხებლისისა K. [3] ნელსაცხებლისაჲ K. [4] შეამთხუჱვთ HI. [5] თქუჱნ H.

FG

12. რამეთუ დამასხა მაგან ნელსაცხებელი ესე ჴორცთა ჩემთა, დასაფლავად ჩემდა ყო.

13. ამენ გეტყჳ თქუენ: სადაცა იქადაგოს სახარებაჲ ესე ყოველსა სოფელსა, ითქუმოდის, რომელცა-ესე ყო მაგან საჴსენებელად მაგისა.

14. (G 70r) მაშინ წარვიდა ერთი იგი ათორმეტთაგანი, რომელსა ერქუა იუდა ისკარიოტელი, მღდელთ-მოძღუართა მათ

15. და ჰრქუა: რაჲ გნებავს მოცემად ჩემდა, და მე მიგცე იგი? ხოლო მათ მიუწონეს[1] მას ოც და ათი ვეცხლი.

16. და მიერითგან ეძიებდა ჟამსა მარჯუესა, რაჲთა მისცეს იგი მათ.

17. ხოლო პირველსა მას დღესა უცომოებისასა მოვიდეს მოწაფენი იესუჲსა და ჰრქუეს მას: სადა გნებავს, და მოგიმზადოთ შენ ჭამად ვნებაჲ ესე?

18. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: წარვედით ქალაქად კაცისა ვისამე და არქუთ მას: მოძღუარმან ეგრე თქუა[2]: ჟამი ჩემი ახლოს არს, შენ თანა ვყო ვნებაჲ ესე მოწაფითურთ ჩემით.

19. და ყვეს ეგრე მოწაფეთა, ვითარცა უბრძანა მათ იესუ, და მოუმზადეს პასქაჲ იგი[3].

20. და ვითარცა შემწუხრდა, ინაჴით-ჯდა იესუ ათორმეტთა მათ თანა.

21. და ვითარცა ჭამდეს იგინი, ჰრქუა იესუ: ამენ გეტყჳ თქუენ: ერთმან თქუენგანმან მიმცეს მე.

22. ხოლო იგინი შეწუხნეს ფრიად; და იწყო (G 70v) კაცად-კაცადმან მათმან სიტყუად: ნუუკუე მე ვარ, უფალო?

23. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: რომელმან შთამოყოს ჩემ თანა ჴელი პინაკსა ამას, ამან მიმცეს მე.

HIK

12. რამეთუ დამასხა მაგან ნელსაცხებელი ესე ჴორცთა ჩემთა და დასაფლველად ჩემდა ყო.

13. ამენ გეტყჳ თქუენ჻ სადაცა იქადაგოს სახარებაჲ ესე ყოველსა სოფელსა, ითქუმოდის, რომელიცა ესე ყო მაგან საჴსენებელად მაგისა[1].

14. მაშინ წარვიდა ერთი იგი ათორმეტთაგანი, (K 77v) რომელსა ერქუა იუდა ისკარიოტელი, მღდელთ-მოძღუართა მათ

15. და ჰრქუა჻ რაჲ გნებავს მოცემად (H 70v) ჩემდა, და მე მიგცე იგი? ხოლო მათ მიუწონეს მას ოც და ათი ვეცხლი.

16. და მიერითგან ეძიებდა ჟამსა მარჯუესა[2]. რაჲთა მისცეს იგი მათ.

17. ხოლო პირველსა მას დღესა უცომოებისასა მოუჴდეს მოწაფენი იესუს და ჰრქუეს[3] (I 71r) მას჻ სადა გნებავს, და მოგიმზადოთ შენ ჭამად პასქაჲ ესე?

18. ხოლო იესუ ჰრქუა მათ჻ წარვედით ქალაქად კაცისა ვისამე[4] და არქუთ მას჻ მოძღუარი ეგრეთ იტყჳს჻ ჟამი ჩემი ახლოს არს, შენ თანა ვყო პასქაჲ ესე მოწაფითურთ ჩემით.

19. და ყვეს ეგრეთ მოწაფეთა, ვითარცა უბრძანა მათ იესუ, და მოუმზადეს პასქაჲ იგი.

20. და ვითარცა შემწუხრდა, ინაჴით-ჯდა იესუ ათორმეტთა მათ თანა.

21. და ვითარცა ჭამდეს იგინი, ჰრქუა იესუ჻ ამენ გეტყჳ თქუენ჻ ერთმან თქუენგანმან მიმცეს მე.

22. და იგინი შეწუხნეს ფრიად, (K 78r) და იწყეს კაცად-კაცადმან მათმან სიტყუად჻ ნუუკუე[5] მე ვარ, უფალო?

23. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ჻ რომელმან შთამოყოს ჩემ თანა ჴელი პინაკსა ამას, ამან მიმცეს[6] მე.

---

[1] მიუწნეს G. [2] თქუა] — G. [3] და მოუმზადეს პასქაჲ იგი] — FG. [illegible] არ გადმოიღეს ეს ადგილი „პასქის“ განმარტებას — რომელ არს „ვნებაჲ“? ამ განმარტების ამოგდება კი აუცილებელი იყო, რადგან ეფთჳმე (და გიორგი) არ ტოვებს ტექსტში ისეთ დამატებებს, რაც ბერძნულში არ არის.

[1] მაგისსა HIK. [2] მარჯუესა HI. [3] ჰრ̄ქეს I. [4] ვისსამე K. [5] ნუუკუე HK. [6] მიმცემს I. „ამან“-საც ეტყობა გადასწორების ცდა (ალბათ იგი-დ), მაგრამ პირველად ნაწერი ამ კარგად ჩანს.

FG

24. ძჱ სამე კაცისაჲ წარვალს, ვითარცა წერილ არს მისთჳს, ხოლო ვაჲ კაცისაჲ მის. რომლისა მიერ ძჱ კაცისაჲ მიეცეს. უმჯობეს იყო მისა, არა თუმცა შობილ იყო კაცი იგი.

25. მიუგო იუდა. რომელმანცა მისცა იგი. და ჰრქუა: ნუუკუე მე ვარ. მოძღუარ? ჰრქუა მას იესუ: შენ სთქუ.

26. და ვითარცა ჰჭამდეს იგინი, მოიღო იესუ პური, აკურთხა და განტეხა და მისცა მოწაფეთა თჳსთა და ჰრქუა მათ: მიიღეთ. ჰჭამეთ: ესე არს ჴორცი ჩემი.

27. და მიიღო სასუმელი და ჰმადლობდა. მისცა მათ და თქუა: სუთ ამისგანი ყოველთა.

28. ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქუმისაჲ, მრავალთათჳს დათხეული მისატევებელად ცოდვათა.

29. (G 71r) ხოლო გეტყჳ თქუენ: არღარა ვსუა ამიერითგან ნაყოფისაგან ამის ვენაჴისა, ვიდრე მუნ დღემდე, რაჟამს ვსუა იგი ახალი თქუენ თანა სასუფეველსა მამისა ჩემისასა.

30. და გალობაჲ წართქუეს (F 58r) *და განვიდეს იგინი მთასა მას ზეთისხილთასა[1].

31. მაშინ ჰრქუა მათ იესუ: თქუენ ყოველნი დაბრკოლებად ხართ ჩემდა მომართ ამას ღამესა, რამეთუ წერილ არს: დავსცემ მწყემსსა, და განიბნინენ ცხოვარნი სამწყსოჲსა მისისანი.

32. ხოლო შემდგომად აღდგომისა ჩემისა წინა-წარგიძღუე თქუენ გალილეად.

33. მიუგო პეტრე და ჰრქუა: დალათუ[2] სხუანი ყოველნი დაბრკოლდენ შენდა მიმართ[3], ხოლო მე არასადა დავჰბრკოლდე[4] შენდა მიმართ.

34. ჰრქუა მას იესუ: ამენ გეტყჳ შენ, რამეთუ ამას ღამესა, ვიდრე ქათმისა ჴმობადმდე[5], სამგზის უვარ-მყო[6] მე.

HIK

24. ძე სამე კაცისაჲ წარვალს, ვითარცა წერილ არს მისთჳს, ხოლო ვაჲ კაცისა მის, რომლისა მიერ ძე კაცისაჲ მიეცეს. (H 71r) უმჯობეს იყო მისა[1], არა თუმცა შობილ იყო კაცი იგი.

25. მიუგო იუდა, რომელმანცა მისცა იგი, და თქუა: ნუუკუე[2] მე ვარ, მოძღუარ? ჰრქუა მას იესუ: შენ სთქუ.

26. და ვითარცა ჰჭამდეს იგინი, (I 71v) მოიღო იესუ პური და ჰმადლობდა და განტეხა და მისცა მოწაფეთა თჳსთა და ჰრქუა მათ: მიიღეთ და ჰჭამეთ: ესე არს ჴორცი ჩემი.

27. და მოიღო სასუმელი და ჰმადლობდა და მისცა მათ და თქუა: სუთ ამისგანი ყოველთა:

28. ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქუმისაჲ, მრავალთათჳს დათხეული მისატევ(K 78v)ებელად ცოდვათა.

29. ხოლო გეტყჳ თქუენ, ვითარმედ: არღარა ვსუა მე ამიერითგან ნაყოფისაგან ამის ვენაკისა, ვიდრე მუნ დღედმდე, რაჟამს-იგი ვსუა თქუენ თანა ახალი სასუფეველსა მამისა ჩემისასა.

30. და გალობაჲ წართქუეს[3] და განვიდეს მთასა მას ზეთისხილთასა.

31. მაშინ ჰრქუა მათ იესუ: თქუენ ყოველნი დაბრკოლებად ხართ ჩემდა მომართ ამას ღამესა, რამეთუ წერილ არს: დავსცე მწყემსი, და განიბნინენ ცხოვარნი სამწყსოჲსა მისისანი.

32. ხოლო შემდგომად აღდგომისა ჩემისა წინა-წარგიძღუე[4] თქუენ გალილეას.

33. (H 71v) მიუგო პეტრე და ჰრქუა მას: დალათუ ყოველნი დაჰბრკოლდენ შენდა მომართ, ხოლო მე არასადა დავჰბრკოლდე.

34. ჰრქუა მას იესუ. ამენ გეტყჳ (I 72r) შენ, რამეთუ ამას ღამესა, ვიდრე ქათმისა ჴმობადმდე[5], სამ-გზის უვარ-მყო მე.

---

[1] ზეთისხილთასა F (უქარაგმოდ). [2] დალაცათუ F. [3] მომართ G. [4] დაებრკოლდე G. [5] ჴმობამდე F. [6] უარ-მყო FG.

* აქედან კვლავ გრძელდება F-ის ტექსტი.

[1] მისსა K. [2] ნუუკუჱ HIK. [3] წართქუჱს HI. [4] წინა-წარგიძღუჱ H. [5] ჴმობამდე H.

| FG | HIK |
|---|---|
| 35. ჰრქუა მას პეტრე: დაღათუ იყოს სიკუდილი ჩემი შენ თანა, არასადა (G71ზ) უვარ-გყო[1] შენ. და ეგრევე მსგავსად ყოველნი მოწაფენი იტყოდეს. | 35. ჰრქუა მას პეტრე: დაღაცათუ ჯერ-იყოს სიკუდილი ჩემი შენ თანა, არასადა უვარ-გყო[1] შენ. და ეგრეთვე მსგავსად ყოველნი მოწაფენი იტყოდეს. |
| 36. მაშინ მოვიდა იესუ მათ თანა დაბასა, რომელსა ჰქჳან[2] გესმანია[3], და ჰრქუა მათ: დასხედით მანდა, ვიდრემდე მივიდე იქი და ვილოცო. | 36. მაშინ მოვიდა იესუ მათ თანა ადგილსა. რომელსა ჰრქჳან გეთსიმანია, და ჰრქუა მათ: დასხედით მანდა, ვიდრემდე მივიდე იქი და ვილოცო. |
| 37. და წარიყვანნა[4] პეტრე და ორნი ძენი ზებედესნი[5] და იწყო მწუხარებად და ურვად. | 37. და წარიყვანნა[2] პეტრე და (K 70პ) ორნი ძენი ზებედესნი და იწყო მწუხარებად და ურვად. |
| 38. მაშინ ჰრქუა მათ იესუ: შეწუხებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკუდილმდე[6]; დაადგერით აქა და (F 68ზ) ილჳძებდით ჩემ თანა. | 38. მაშინ ჰრქუა მათ იესუ: შეწუხებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკუდილდმდე[3]; დაადგერით აქა და ილჳძებდით ჩემ თანა. |
| 39. და წარვიდა მცირედ და დავარდა პირსა ზედა თჳსსა, ილოცვიდა და იტყოდა: მამაო[7], უკუეთუ შესაძლებელ არს, თანა-წარმჴედინ ჩემგან სასუმელი ესე; ხოლო არა ვითარ მე მნებავს, არამედ ვითარცა შენ. | 39. და წარვიდა მცირედ და დავარდა პირსა ზედა თჳსსა, ილოცვიდა და იტყოდა: მამაო ჩემო, უკუეთუ[4] შესაძლებელ არს, თანა-წარმჴედინ ჩემგან სასუმელი ესე; ხოლო არა ვითარ მე მნებავს, არამედ ვითარცა შენ. |
| 40. და მოვიდა მოწაფეთა თანა და პოვნა იგინი მძინარენი და ჰრქუა პეტრეს: ესოდენ ვერ ძალ-გიც ჟამ ერთ მღჳძარებად ჩემ თანა? | 40. და მოვიდა მოწაფეთა თანა და პოვნა იგინი მძინარენი და ჰრქუა (H 72პ) პეტრესა ესოდენ ვერ უძლეთ[5] ჟამ ერთ მღჳძარებად ჩემ თანა? |
| 41. ილჳძებდით და ილოცევდით, რაჲთა არა შეხჳდეთ განსაცდელსა; (G 72პ) სული გულს-მოდგინე არს, ხოლო ჴორცნი უძლურ[8]. | 41. ილჳძებდით და ილოცევდით, რაჲთა არა (I 72ზ) შეხჳდეთ განსაცდელსა; სული გულს-მოდგინე არს, ხოლო ჴორცნი უძლურ. |
| 42. კუალად მეორედ წარვიდა და ილოცვიდა იესუ და თქუა: მამაო ჩემო, უკუეთუ ვერ შესაძლებელ არს სასუმელი ესე თანა-წარსლვად ჩემდა, რაჲთამცა არა[9] შევსუ იგი, იყავნ ნებაჲ შენი. | 42. კუალად მეორედ წარვიდა და ილოცვიდა და თქუა: მამაო ჩემო, უკუეთუ ვერ შესაძლებელ არს სასუმ(K 70ზ)ელი ესე თანა-წარსლვად ჩემდა, რაჲთამცა არა შევსჳ იგი, იყავნ ნებაჲ შენი. |
| 43. და მოვიდა კუალად და პოვნა იგინი მძინარენი, რამეთუ იყვნეს თუალნი მათნი დამძიმებულ. | 43. და მოვიდა და კუალად პოვნა იგინი მძინარენი, რამეთუ იყვნეს თუალნი მათნი დამძიმებულ. |
| 44. და დაუტევნა იგინი და მერმე | 44. და დაუტევნა იგინი[6] და კუალად |

---

[1] უარ-გყო F. [2] ასეა FG. [3] გესმანიაჲ F. [4] წარიყვანა F. [5] ზებედსნი F (უქარაგმოდ). [6] სიკუდილადმდე F. [7] მამო G (უქარაგმოდ). [8] უძრულ G. [9] რაჲთა არამცა G.

[1] უვარ-გო I. [2] წარიყვანა K. [3] სიკუდილადმდე K; სიკუდილდმდე HI (=სიკუდილადმდე). [4] უკუჱთუ H. [5] უძლე K. [6] იგი I.

FG

წარვიდა მესამედ და ილოცვიდა[1] და მასვე სიტყუასა იტყოდა.

45. მაშინ[2] მოვიდა მოწაფეთა თანა და ჰრქუა მათ: დაიძინეთ ამიერითგან და განისუენეთ. აჰა ესერა მოახლებულ არს (F 50 ro) ჟამი, და ძჱ[3] კაცისაჲ მიეცემის ჴელთა ცოდვილთასა.

46. აღდეგით, წარვიდეთ[4] ამიერ. აჰა ესერა მოიწია მიმცემელი ჩემი.

47. და ვიდრე იგი იტყოდაღა, აჰა ესერა იუდა, ერთი იგი ათორმეტთაგანი, მოვიდა, და მის თანა ერი მრავალი მა(G 72 vo)ხჳლებითა და წათებითა მღდელთ-მოძღუართაგან და მოხუცებულთა ერისათა.

48. ხოლო მიმცემელსა მას მისსა[5] მიეცა მცნებაჲ და ჰრქუა: რომელსა მე ამბორს-უყო, იგი არს, შეიპყართ იგი.

49. და მეყსეულად მოუჴდა იესუს და ჰრქუა: გიხაროდენ, მოძღუარ! და ამბორს-უყო მას.

50. ხოლო იესუ ჰრქუა მას: მოყუასო, რომლისათჳსცა მოსრულ ხარ? მაშინ მოუჴდეს და[6] დაასხნეს ჴელნი მათნი იესუს ზედა და შეიპყრეს იგი.

51. და ერთმან იესუჲსთანამან[7] მიყო ჴელი და იჴადა მახჳლი მისი და სცა მონასა მღდელთ-მოძღურისასა და წარჰკუეთა ყური მისი.

52. მაშინ ჰრქუა მას იესუ: მიაქციე მახჳლი ადგილსავე[8] თჳსსა, რამეთუ ყოველთა რომელითა აღიღონ მახჳლი, მახჳლითა წარწყმდენ.

53. ანუ ჰგონებთ, ვითარმედ ვერ ძალ-მიც ვედრებად მამისა ჩემისა, და წარმომიდგინოს მე აწ აქა უმრაველეს ათორმეტთა გუნ(G 73 ro)დთა ანგელოზთა[9]?

54. და ვითარ-მე აღესრულნენ წე(F 50 vo)რილნი იგი, რამეთუ ესრეთ[10] ჯერ-არს ყოფად?

HIK

წარვიდა მესამედ და ილოცვიდა[1] და მასვე სიტყუასა იტყოდა.

45. მაშინ მოვიდა მოწაფეთა და ჰრქუა მათ: დაიძინეთ ამიერითგან და განისუენეთ[2]. აჰა ესერა მოახლებულ არს ჟამი, და ძე კაცისაჲ მიეცემის ჴელთა ცოდვილთასა.

46. აღდეგით, წარვიდეთ[3] ამიერ. აჰა ესერა მოიწია მიმცემელი ჩემი.

47. და ვიდრე იგი იტყოდაღა, აჰა ესერა იუდა, ერთი იგი ათორმეტთაგანი, მოვიდა, და მის თანა ერი მრავალი მახჳლებითა და წათებითა მღდელთ-მოძღუართაგან და მოხუცებულთა ერისათა.

48. ხოლო მიმცემელსა მას მისსა მიეცა სასწაულად და ჰრქუა: რომელსა მე ამბორს-უყო, (H 72 vo) იგი არს, შეიპყართ (I 78 ro) იგი.

49. და მეყსეულად მოუჴდა იესუს და ჰრქუა: გიხაროდენ, მოძღუარ! და ამბორს-უყო მას.

50. ხოლო იესუ ჰრქუა მას: მოყუასო, რომლისათჳსცა მოსრულ ხარ? მაშინ მოუჴდეს და დაასხნეს ჴელნი მა(K 80 ro)თნი იესუს[4] ზედა და შეიპყრეს იგი.

51. და აჰა ერთმან იესუჲსთანამან მიყო ჴელი და იჴადა მახჳლი და სცა მონასა მღდელთ-მოძღურისასა და წარჰკუეთა[5] ყური მისი.

52. მაშინ ჰრქუა მას იესუ: მიაქციე მახჳლი ადგილსავე თჳსსა, რამეთუ ყოველთა რომელთა აღიღონ მახჳლი, მახჳლითა წარწყმდენ.

53. ანუ ჰგონებ, ვითარმედ ვერ ძალ-მიც ვედრებად მამისა ჩემისა, და წარმომიდგინოს მე აწ აქა უმრავლესი ათორმეტთა გუნდთა ანგელოზთაჲ?

54. და ვითარ-მე აღესრულნენ წერილნი, რამეთუ ესრეთ ჯერ-არს ყოფად?

---

[1] და ილოცვიდა]—F. [2] და მაშინ F. [3] ძე F. [4] წარვედით FG. [5] მისსა]—F. [6] და]და F. [7] იჳ̃სთანამან F. [8] ადგილსა F. [9] ანგელოზთაჲ G. [10] ესრე G.

[1] ილოცა HI. [2] განისუენეთ HI. [3] წარვედით HIK. [4] ი̄ჳს HIK. [5] წარჰკუეთა HI.

FG

55. მას ჟამსა ჰრქუა იესუ ერსა მას: ვითარცა ავაზაკსა ზედა გამოხუედით მახჳლითა და წათებითა შეპყრობად ჩემდა; დღითი-დღე[1] თქუენ თანა ტაძარსა მას შინა ვჯედ და გასწავებდ, და არა შემიპყართ მე.

56. ესე ყოველი იყო, რაჲთა აღესრულნენ წიგნნი[2] წინაწარმეტყუელთანი. მაშინ მოწაფეთა ყოველთა დაუტევეს იგი და ივლტოდეს.

57. ხოლო მათ შეიპყრეს იესუ და მიიყვანეს კაიაფაჲსა მღდელთ-მოძღურისა, სადა-იგი მწიგნობარნი და მოხუცებულნი ერისანი შეკრებულ იყვნეს.

58. ხოლო პეტრე მისდევდა მას შორით, ვიდრე ეზოდმდე მღდელთ-მოძღურისა, და შევიდა შინა და დაჯდა მსახურთა თანა ხილვად აღსასრულისა.

59. ხოლო მღდელთ-მოძღუარნი იგი და ყოველი კრებული ეძიებდეს ცრუ-მოწამეთა იესუჲსთჳს[3], რაჲთამცა მოკლეს იგი,

60. და (G 78ⴆ/) არა ჰპოებდეს, რამეთუ მრავალნი მოსრულ იყვნეს ცრუ-მოწამენი. უკუანაჲსკნელ[4] მო-ვინმე-ვიდეს ორნი

61. და თქუეს, ვითარმედ: ამან ესრეთ[5] თქუა: ძალ-მიც დარღუევად ტაძარი ესე ღმრთისაჲ და მესამესა დღესა აღშენებად.

62. მაშინ აღდგა მღდელთ-მოძღუარი იგი და ჰრქუა მას: (F 00ⴎ) არცაღა სიტყუასა რას[6] მიუგება, რასა-ესე შეგწამებენ შენ?

63. ხოლო იესუ დუმნა. მაშინ მღდელთ-მოძღუარმან მან ჰრქუა მას: გაფუცებ შენ ღმერთსა ცხოველსა, რაჲთა მითხრა ჩუენ, უკუეთუ შენ ხარ ქრისტე[7], ძჱ[8] ღმრთისაჲ?

HIK

55. მას ჟამსა ჰრქუა იესუ ერსა მას: ვითარცა ავაზაკსა ზედა გამოხუედით[1] მახჳლითა და წათებითა შეპყრობად ჩემდა; დღითი-დღე თქუენ თანა ტაძარსა მას შინა ვჯედ და გასწავებდ, და არა შემიპყართ მე.

56. ხოლო ესე ყოველი იქმნა, რაჲთა (I 73ⴆ/) ა(H 73ⴎ)ღესრულნენ წიგნნი წინაწარმეტყუელ(K 80ⴆ/)თანი[2]. მაშინ მოწაფეთა ყოველთა დაუტევეს იგი და ივლტოდეს.

57. ხოლო მათ შეიპყრეს იესუ და მიიყვანეს კაიაფაჲსა[3] მღდელთ-მოძღურისა[4], სადა-იგი მწიგნობარნი და მოხუცებულნი ერისანი შეკრებულ იყვნეს.

58. ხოლო პეტრე მისდევდა მას შორით, ვიდრე ეზოდმდე მღდელთ-მოძღურისა, და შევიდა შინა და დაჯდა მსახურთა თანა ხილვად აღსასრულისა.

59. ხოლო მღდელთ-მოძღუარნი იგი და მოხუცებულნი და ყოველი კრებული ეძიებდეს ცრუ-მოწამეთა იესუჲსთჳს, რაჲთამცა მოკლეს იგი,

60. და არა ჰპოებდეს; და მრავალნი მოსრულ იყვნეს ცრუ-მოწამენი, და არა პოვნეს. ხოლო უკუანაჲსკნელ მო-ვინმე-ვიდეს ორნი

61. და თქუეს[5], ვითარმედ: ამან ესრეთ თქუა: ძალ-მიც დარღუევად[6] ტაძარი ესე ღმრთისაჲ და მესამესა დღესა აღშენებად.

62. მაშინ აღდგა მღდელთ-მოძღუარი იგი და ჰრქუა მას: არარას მიუგება, რასა-ესე შეგწამებენ შენ?

63. ხოლო იესუ დუმნა. მაშინ მღდ(K 81ⴎ)ელთ-მოძღუარმან მან ჰრქუა მას: გაფუცებ შენ ღმრთისა ცხოველისა, რაჲთა მითხრა ჩუენ, უკუეთუ შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისაჲ?

---

[1] დღითი-დღჱ G. [2] წიგნი G. [3] ი´ჳსთჳს F. [4] უკუანასკნელ F (უქარაგმოდ). [5] ესრე G. [6] რას] — F. [7] ქრისტჱ F. [8] ძე G.

[1] გამოხუჱდით HI. [2] წ¯წყლ|ლთანი K. [3] კაიაფაჲსსა K. [4] მღდ¯ლთ-მძღრის¯სა HI, მღდელთ-მძღ¯რისასა K. [5] თქ¯ჱს I. [6] დარღუჱვად HI.

| FG | HIK |
|---|---|
| 64. ჰრქუა მას იესუ: შენ სთქუ. ხოლო გეტყჳ თქუენ: ამიერითგან იხილოთ ძჱ კაცისაჲ მჯდომარე მარჯუენით ძლიერებათა[1] და მომავალი ღრუბელთა თანა ცისათა. | 64. ჰრქუა მას იესუ: შენ სთქუ. (I 74r) ხოლო გეტყჳ თქუენ: ამიერითგან (H 78v) იხილოთ ძე კაცისაჲ მჯდომარე მარჯუენით ძლიერებასა და მომავალი ღრუბელთა თანა ცისათა. |
| 65. მაშინ მღდელთ-მოძღუარმან მან დაიპო სამოსელი[2] თჳსი[3] და თქუა: რაჲსალა გჳკმან მოწამენი? აჰა ესერა გესმა[4] გმობაჲ მაგისი[5]. | 65. მაშინ მღდელთ-მოძღუარმან მან დაიპო სამოსელი თჳსი და თქუა, ვითარმედ: გმო; აწ უკუე[1] რაჲსალა გჳკმან მოწამენი? აჰა ესერა გესმა გმობაჲ მაგისი. |
| 66. რაჲ გნებავს თქუენ? ხოლო მათ მიუგეს და ჰრქუეს: თანა-(G 74r)მდებ არს სიკუდილისა. | 66. რაჲ გნებაეს თქუენ? ხოლო მათ მიუგეს და ჰრქუეს[2]: თანა-მდებ არს სიკუდილისა. |
| 67. მაშინ ჰნერწყუვიდეს პირსა მისსა და ჴურთითა[6] სცემდეს თავსა მისსა, და რომელნიმე ყურიმალსა სცემდეს | 67. მაშინ ჰნერწყუვიდეს პირსა მისსა და ჴურთითა სცემდეს თავსა მისსა, და რომელნიმე ყურიმალსა სცემდეს |
| 68. და ეტყოდეს: გჳწინაწარმეტყუელებდ ჩუენ, ქრისტე[7], ვინ არს, რომელმან გცა შენ? | 68. და ეტყოდეს: გჳწინაწარმეტყუელებდ ჩუენ, ქრისტე, ვინ არს, რომელმან გცა შენ? |
| 69. ხოლო პეტრე ჯდა ეზოსა შინა. და მოუჴდა მას ერთი მჴევალი და ჰრქუა მას: შენცა იყავ იესუჲს[8] თანა, გალილეველისა. | 69. ხოლო პეტრე ჯდა გარეშე[3] ეზოსა შინა. მოუჴდა მას ერთი მჴევალი და ჰრქუა მას: და შენცა იყავ იესუჲს თანა, გალილეველისა. |
| 70. ხოლო მან უვარ-ყო[9] წინაშე ყოველთასა და თქუა: არა ვიცი, რასა იტყჳ. | 70. ხოლო მან უვარ-ყო წინაშე ყოველთასა და ჰრქუა: არა ვიცი, რასა იტყჳ. |
| 71. და ვითარცა გამოვიდა იგი გარეშე[10] ბჭეთა, იხილა იგი სხუამან და ჰრქუა მუნ მდგომარეთა (F 80v) მათ: ესე იყო იესუჲს[8] თანა, ნაზარეველისა. | 71. და ვითარცა გამოვიდა იგი გარეშე[3] ბჭეთა, იხილა იგი სხუამან და ჰრქუა მუნ მდგომარეთა მათ: ესეცა იყო იესუჲს თანა, ნაზარეველისა. |
| 72. და მერმეცა უვარ-ყო[9] პეტრე ფიცით და თქუა, ვითარმედ: არა ვიცი კაცი იგი. | 72. და მერმეცა უვარ-ყო პეტრე ფიცით და თქუა, (K 81v) ვითარმედ: არა ვიცი კაცი იგი. |
| 73. და შემდგომად მცირედისა ჟამისა მოუჴდეს მუნ მდგომარენი იგი პეტრეს და ჰრქუეს მას: ჭეშმარიტად შენცა მათგანი ხარ, რამეთუ სიტყუაჲცა შენი გამოგაჩინებს შენ. | 73. და შემდგომად მცირედისა მოუჴდეს მუნ მდგომა(I 74v)რენი იგი პეტრეს და ჰრქუეს[3] მას: ჭეშმარიტად შენცა მათგანი ხარ, და რამეთუ (H 74r) სიტყუაჲცა შენი გამოგაჩინებს შენ. |
| 74. მაშინ იწყო პეტრე შეჩუენებად და (G 74v) ფიცად, ვითარმედ: არა ვიცი კაცი იგი. და მეყსეულად ქათამი ყივა ხოლო. | 74. მაშინ იწყო შეჩუენებად[4] და ფიცად, ვითარმედ: არა ვიცი კაცი იგი. და მეყსეულად ქათამმან იყივლა. |

---

[1] ძლიერებათა FG. [2] სამოსელი F. [3] თჳსი] — F. [4] გუესმა F. [5] მაგისგან F. [6] ჴუერთითა G. [7] ქ~ჱ FG. [8] ი~ჳს F. [9] უარ-ყო F. [10] გარე G.

[1] უკუჱ HIK. [2] ჰქ~ჱს I. [3] გარეშჱ H. [4] შეჩუჱნებად HI.

| FG | HIK |
|---|---|
| 75. და მოეჴსენა პეტრეს სიტყუაჲ იგი იესუჲსი[1], რომელი ჰრქუა მას, ვითარმედ: ვიდრე არღა ეყივლოს ქათამსა, სამ-გზის უვარ-მყო[2] მე. და გამოვიდა პეტრე გარე[3] და ტიროდა მწარედ. | 75. და მოეჴსენა პეტრეს სიტყუაჲ იგი იესუჲსი, რომელი ჰრქუა მას, ვითარმედ: ვიდრე ქათმისა ჴმობადმდე სამ-გზის უვარ-მყო მე. და გამოვიდა გარე და ტიროდა მწარედ. |

## 27

| | |
|---|---|
| 1. და ვითარცა განთენა, ზრახვა-ყვეს[4] მღდელთ-მოძღუართა და მოხუცებულთა ერისათა იესუჲსთჳს[5], რაჲთა მოკლან იგი. | 1. და ვითარცა განთენა, ზრახვა-ყვეს ყოველთა მღდელთ-მოძღუართა და მოხუცებულთა ერისათა იესუჲსთჳს, რაჲთა მოკლან იგი. |
| 2. და შეკრეს იგი და მიიყვანეს და მისცეს იგი პილატეს მთავარსა. | 2. და შეკრეს იგი და მიიყვანეს და მისცეს იგი პონტიელსა პილატეს მთავარსა. |
| 3. მაშინ ვითარცა იხილა იუდა, რომელმანცა[6] მისცა იგი, რამეთუ დაისაჯა[7], შეინანა და მიაქცია ოც და ათი იგი ვეცხლი მღდელთ-მოძღუართა მათ და ხუცესთა | 3. მაშინ ვითარცა იხილა იუდა, რომელმანცა მისცა იგი, რამეთუ დაისაჯა, შეინანა და მიაქცია ოც და ათი იგი ვეცხლი მღდელთ-მოძღუართა მათ მიმართ და (K 82r) მოხუცებულთა |
| 4. და თქუა: ვცოდე, რამეთუ მიგცე სისხლი მართალი. ხოლო მათ ჰრქუეს მას: ჩუენდა რაჲ[8]? შენ უწყი! | 4. და თქუა: ვცოდე, რამეთუ მიგეც სისხლი მართალი. ხოლო მათ ჰრქუეს[1] მას: ჩუენდა რაჲ? შენ იხილე! |
| 5. და[9] დააბნია ვეცხლი იგი ტაძარსა მას შინა და განეშორა (F 61r) და წარვიდა მიერ და შიშთვილ-იბა და მოკუდა. | 5. და დააბნია ვეცხლი იგი ტაძარსა მას შინა და განეშორა და წარვიდა და შიშთვილ-იბა[2]. |
| 6. ხოლო მღდელთ-მოძღუართა მათ მოიღეს ვეცხლი იგი და თქუეს: არა ჯერ-არს (G 75r) ესე დადებად სიწმიდესა, რამეთუ სასყიდელი სისხლისაჲ არს. | 6. ხოლო მღდელთ-მოძღუართა მათ[3] მოიღეს ვეცხლი იგი და თქუეს: არა (I 75r)ჯერ-არს ესე დადებად სიწმი(H 74v)დესა, რამეთუ სასყიდელი სისხლისაჲ არს. |
| 7. და ზრახვა-ყვეს და მოიღეს ვეცხლი იგი და მოიყიდეს მით აგარაკი იგი[10] მეკეცისაჲ საფლავად უცხოთა. | 7. და ზრახვა-ყვეს და მოიყიდეს მითა[4] აგარაკი იგი მეკეცისაჲ საფლავად უცხოთა. |
| 8. ამისთჳს[11] ეწოდა აგარაკსა მას აგარაკი სისხლისაჲ ვიდრე აქა დღედმდე. | 6. ამისთჳს ეწოდა აგარაკსა მას აგარაკი სისხლისაჲ ვიდრე აქა დღედმდე. |
| 9. მაშინ აღესრულა თქუმული იგი იერემია წინაწარმეტყუელისაჲ, რომელსა იტყჳს: და მოვიღე ოც და ათი იგი ვეცხლი, სასყიდელი იგი[10] განსყიდულისაჲ | 9. მაშინ აღესრულა თქუმული იგი იერემია[5] წინაწარმეტყუელისაჲ, რომელსა იტყჳს: და მოვიღე ოც და ათი იგი ვეცხლი, სასყიდელი განსყიდულისაჲ მის, |

---

[1] ი̄ჳსი F. [2] უარ-მყო F. [3] ~ გარე პეტრე G. [4] ზრახეყეს F. [5] ი̄ჳსთჳს F. [6] რომელმან G. [7] რამეთუ დაისაჯა] — F. [8] რაჲ G. [9] და] — F. [10] იგი] — F. [11] და ამისთჳს G.

[1] ჰქ̄ჳს I. [2] შიშთვილ-იბა I. [3] მათ] — HI. [4] ასეა HIK. [5] იერემე I.

| FG | HIK |
|---|---|
| მის, რომელი მოიყიდეს ძეთა ისრაჱლისათა, | რომელი მოიყიდეს ძეთაგან ისრაჱლისათა, |
| 10. და მისცეს[1] იგი აგარაკისათჳს მეკეცისა, ვითარცა მიბრძანა მე უფალმან. | 10. და მისცეს იგი აგარაკისათჳს მეკეცისა, ვითარცა მიბრძანა მე უფალმან. |
| 11. ხოლო იესუ დგა წინაშე მთავრისა მის. და ჰკითხა მას მთავარმან მან და ჰრქუა: შენ ხარა მეუფჱ[2] ჰურიათაჲ? ხოლო იესუ ჰრქუა: შენ იტყჳ. | 11. ხოლო იესუ დადგა წინაშე მთავრისა მის. და ჰკითხა მას მთავარმან მან და ჰრქუა: შენ ხარა მეუფჱ[1] ჰურიათაჲ? ხოლო იესუ ჰრქუა მას: შენ იტყჳ. |
| 12. და შესმენასა მას მღდელთ-მოძღუართასა და მოხუცებულთასა არარაჲ მიუგო. | 12. და შესმენასა მას მღდელთ-მოძღუართასა და მოხუცებულთასა არარაჲ მიუგო. |
| 13. მაშინ ჰრქუა მას (G 75v) პილატე: არა გესმისა, რაოდენსა-ესე შეგწამებენ შენ? | 13. მაშინ ჰრქუა მას პილატე: არა გესმისა, რაოდენსა-ესე შეგწა(K 82v)მებენ შენ? |
| 14. და არარაჲ მიუგო მას არცა ერთისა სიტყჳსათჳს, ვიდრემდე[3] უკჳრდაცა მთავარსა მას ფრიად. | 14. და არარაჲ მიუგო მას არცა ერთისა სიტყჳსათჳს, ვიდრემდე უკჳრდაცა მთავარსა მას ფრიად. |
| 15. ხოლო დღესასწაულთა[4] ჩუეულ იყო მთავარი იგი: მიუ(F 61v)ტევის ერსა მას ერთი პყრობილი, რომელიცა უნებნ მათ. | 15. ხოლო დღესასწაულთა ჩუეუ(I 76v)ლ[2] იყო მთავარი იგი, (H 75r) და მიუტევის ერსა მას ერთი პყრობილი, რომელიცა უნებნ მათ. |
| 16. ხოლო იყო ვინმე მაშინ პყრობილი შესწავებული, რომელსა ერქუა ისუ[5] ბარაბაჲსი. | 16. ხოლო ჰყვა ვინმე მაშინ პყრობილი შესწავებული, რომელსა ერქუა ბარაბა. |
| 17. და ეითარ შეკრებულ იყვნეს იგინი, ჰრქუა მათ პილატე: ვინ გნებავს ორთა ამათგანი, და მიგიტეო თქუენ: ისუ[5] ბარაბაჲსი ანუ იესუ, რომელსა ჰრქჳან[6] ქრისტე[7]? | 17. და ვითარ შეკრებულ იყვნეს იგინი, ჰრქუა მათ პილატე: ვინ გნებავს ორთა ამათგანი, და მიგიტეო თქუენ: ბარაბა ანუ იესუ, რომელსა ჰრქჳან ქრისტე? |
| 18. რამეთუ უწყოდა, ვითარმედ შურით[8] მისცეს იგი. | 18. რამეთუ უწყოდა, ვითარმედ შურითა მისცეს იგი. |
| 19. და ვითარცა დაჯდა პილატე[9] საყდართა ზედა, მიუვლინა მას ცოლმან მისმან და ჰრქუა მას[10]: რაჲ ძეს შენი და მართლისაჲ მაგის? რამეთუ მრავალი მევნო მე ჩუენებით მაგისთჳს დღეს. | 19. და ვითარცა დაჯდა პილატე საყდართა ზედა, მიუვლინა მას ცოლმან მისმან და ჰრქუა მას: არარაჲ ძეს შენი და მართლისა მაგის კაცისაჲ, რამეთუ მრავალი მევნო მე დღეს ჩუენებით[3] მაგისთჳს. |
| 20. (G 76r) ხოლო მღდელთ-მოძღუართა მათ და მოხუცებულთა არწმუნეს ერსა მას, რაჲთა გამოითხოონ ბარაბაჲ, ხოლო იესუ წარწყმიდონ. | 20. ხოლო მღდელთ-მოძღუართა მათ და მოხუცებულთა არწმუნეს ერსა მას, რაჲთა გამოითხოონ ბარაბა, ხოლო იესუ წარწყმიდონ. |

---

[1] მისცეს] მიჲც FG. [2] მეუფე G. [3] ვიდრემდე] ვიდარმდე G. [4] დღესასწაულსა G. [5] ისო G. [6] ჰქჳან F. [7] ქ͞ჱ FG. [8] შურითა F. [9] პილატჱ F. [10] მას] — F.

[1] მეუფე HK. [2] ჩუეულ HI. [3] ჩუენებით H.

FG

21. მიუგო მთავარმან მან და ჰრქუა მათ[1]: ვინ გნებავს ორთა ამათგანი, და მიგიტეო თქუენ? მათ თქუეს: ბარაბაჲ.

22. ჰრქუა მათ პილატე: და[2] რაჲ ვყო იესუ, რომელსა ჰრქუან[3] ქრისტე[4]? ჰრქუეს მას ყოველთა: ჯუარს-ეცუ[5].

23. ხოლო მან ჰრქუა მათ: და რაჲ ბოროტი უქმნიეს? ხოლო იგინი უმეტეს ღაღადებდეს და იტყოდეს: ჯუარს-ეცუ[6].

24. ვითარცა იხილა პილატე[7], რამეთუ არარას არგებს მას, არამედ უფროჲსლა შფოთი იქმნების, მოითხოვა[8] წყალი და დაიბანნა ჴელნი წინაშე ერისა მის და (F 82r) თქუა: უბრალო ვარი[9] მე სისხლისაგან მაგისისა, თქუენ იხილეთ.

25. და მიუგო ყოველმან ერმან და თქუეს: სისხლი მაგისი ჩუენ ზედა და შვილთა ჩუენთა ზედა.

26. მაშინ მიუტევა მათ ბარაბა[10], ხოლო იესუს შოლტითა სცა და მისცა მათ რაჲთა (G 70v) ჯუარს-ეცუას[11].

27. მაშინ ერისაგანთა მათ მთავრისათა წარიყვანეს იესუ ტაძრად და შეკრიბეს მის ზედა ნათესავები იგი ყოველი.

28. და განძარცუეს იგი და ქლამინდი მეწამული შეჰმოსეს მას.

29. და შეთხზეს[12] გჳრგჳნი ეკალთაგან და დაადგეს თავსა მისსა და ლერწამი მისცეს მარჯუენესა[13] ჴელსა მისსა[14] და მუჴლნი დაიდგნეს[15] მის წინაშე, ემღერდეს მას და ეტყოდეს: გიხაროდენ, მეუფეო ჰურიათაო!

30. და ჰნერწყუვიდეს მას და მოიღეს ლერწამი და სცემდეს თავსა მისსა.

31. და ოდეს განკიცხეს იგი, განსძარცუეს მას ქალამინდი იგი და შეჰმოსეს მას თჳსივე იგი[16] სამოსელი[17] და წარიყვანეს იგი, რაჲთა ჯუარს-აცუან[18].

HIK

21. მიუგო მთავარმან მან და ჰრქუა მათ: ვინ გნებავს ორთა ამათგანი, და მიგიტეო თქუენ? ხოლო მათ ჰრქუეს[1]: ბარაბა.

22. ჰრქუა მათ პილატე: რაჲ უკუე[2] უყო იესუს, რომელსა ჰრქჳან ქრისტე? ჰრქუეს მას ყოველთა: ჯუარს-ეცუ.

23. ხოლო მთავარმან ჰრქუა მათ: და რაჲ ბოროტი უქმნიეს? ხოლო იგინი უმეტეს[3] ღაღადებდეს და იტყ(H 75v)ო(I 70r)დეს: ჯუარს-ეცუ.

24. (K 88r) ვითარცა იხილა პილატე, რამეთუ არარას[4] არგებს, არამედ უფროჲსლა შფოთი იქმნების, მოითხოვა წყალი და დაიბანნა ჴელნი წინაშე ერისა მის და თქუა: უბრალო ვარ მე სისხლისაგან მაგისისა, თქუენ იხილეთ.

25. და მიუგო ყოველმან ერმან და ჰრქუეს: სისხლი მაგისი ჩუენ ზედა და შვილთა ჩუენთა ზედა.

26. მაშინ მიუტევა მათ ბარაბა, ხოლო იესუს შოლტითა სცა და მისცა მათ. რაჲთა ჯუარს-ეცუას.

27. მაშინ ერისაგანთა მათ მთავრისათა წარიყვანეს იესუ ტაძრად და შეკრიბეს მის ზედა ნათესავები იგი ყოველი.

28. და განძარცუეს[5] იგი (K 83v) და ქლამინდი მეწამული შეჰმოსეს მას.

29. და შეთხზეს გჳრგჳნი ეკალთაგან და დაადგეს თავსა მისსა და ლერწამი მისცჳს მარჯუენესა ჴელსა მისსა და მუჴლნი დაიდგნეს მის წინაშე, ემღერდეს მას და ეტყოდეს: გიხაროდენ, მეუფეო[6] ჰურიათაო!

30. და ჰნერწყუვიდეს მას და მოიღეს ლერწამი და სცემდეს თავსა მისსა.

31. და ოდეს განკიცხეს იგი, განსძარცუეს[7] მას ქლამინდი იგი და შეჰმოსეს მას (I 70v) თჳსივე სამოსელი (H 76r) და წარიყვანეს იგი, რაჲთა ჯუარს-აცუან.

---

[1] მათ] — F. [2] და] — F. [3] ჰ˝ქჳან F. [4] ქრისტჱ FG. [5] ჯ̄რს-ცნ F. [6] ჯ̄რს-ცჳნ F. [7] პილატჱ F. [8] მოითხოა F. [9] ვარ G. [10] ბა რაბაა F. [11] ჯ˝რს-ცს F. [12] შეთ|ლსნეს F. [13] F-ში ჯ-ს მხოლოდ შვეული ხაზია გამოყვანილი. [14] მისა F. [15] დაიდგნიან F. [16] იგი] — G. [17] სამოსელი F. [18] ჯ˝რს-ცნ F.

[1] ჰრქჳეს I. [2] უკუჱ HIK. [3] უმეტესად HI. [4] არას HI. [5] განძარცჳეს HI. [6] მეუფჱ K. [7] განსძარცჳეს HI.

| FG | HIK |
|---|---|
| 32. და ვითარ გამოვიდეს იგინი მიერ, პოვეს[1] კაცი კჳრინელი, სახელით სიმონ. ესე წარიქციეს პაჰრაკად, რაჲთა აღიღოს ჯუარი მისი. | 32. და ვითარცა გამოვიდეს იგინი მიერ, პოვეს კაცი კჳრინელი, სახელით სიმონ. ესე წარიქციეს პაჰრაკად, რაჲთა აღიღოს ჯუარი მისი. |
| 33. და მოვიდეს ადგილსა მას, რომელსა ჰრქჳან გოლ(G 77r)გოთა[2], (F 92v) რომელ არს თხემისა ადგილი. | 33. და მოვიდეს ადგილსა მას, რომელსა ჰრქჳან[1] გოლგოთა, რომელ არს თხემისა ადგილი. |
| 34. და მისცეს მას ძმარი ნავღლითა[3] შეზავებული. და მი-რაჲ-იღო, არა უნდა სუმის. | 34. და მისცეს მას ძმარი ნავღლითა აღზავებული. და გემოჲ რაჲ იხილა, არა (K 84r) უნდა სუმის. |
| 35. და ვითარცა ჯუარს-აცუეს იგი, განიყვეს სამოსელი[4] მისი და განიგდეს წილი. რაჲთა აღესრულოს თქუმული წინაწარმეტყუელისა მიერ, რომელსა იტყჳს: განიყვეს სამოსელი[4] ჩემი მათ შორის და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი. | 35. და ვითარცა ჯუარს-აცუეს[2] იგი, განიყვეს სამოსელი მისი და განიგდეს წილი, რაჲთა აღესრულოს თქუმული იგი წინაწარმეტყუელისა მიერ, რომელსა იტყჳს: განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი. |
| 36. და სხდეს და სცვიდეს მას მუნ. | 36. და სხდეს მუნ და სცვიდეს მას. |
| 37. და დასდვეს თავსა მისსა ზედა ბრალად მისა დაწერილი: ესე არს იესუ, მეუფჱ ჰურიათაჲ. | 37. და დასდვეს თავსა მისსა ზედა ბრალი მისი დაწერილი: ესე არს იესუ, მეუფე ჰურიათაჲ. |
| 38. მაშინ ჯუარს-აცუნეს მის თანა ორნი ავაზაკნი[5]: ერთი მარჯუენით მისა[6] და ერთი მარცხენით. | 38. მაშინ ჯუარს-აცუნეს მის თანა ორნი ავაზაკნი: ერთი მარჯუენით მისა[3] და ერთი მარცხენით[4]. |
| 39. ხოლო თანა-წარმავალნი იგი ჰგმობდეს მას, ყრიდეს თავთა მათთა | 39. ხოლო თანა-წარმავალნი იგი ჰგმობდეს მას, ყრიდეს თავთა მათთა |
| 40. და იტყოდეს: ეჰა, რომელი დაჰჴსნიდ ტაძარსა მას და მესამესა დღესა აღაშენებდ, იჴსენ აწ თავი თჳსი; უკუეთუ ძჱ[7] ხარ ღმრთისაჲ, გარდამოჴედ (G 77v) მაგიერ ჯუარით! | 40. და იტყოდეს: რომელი დაჰჴსნიდ ტაძარსა ამას და მესამესა დღესა აღაშენებდ, იჴსენ თავი (I 77r) თჳსი; უკუეთუ ძე (H 78v) ხარ ღმრთისაჲ, გარდამოჴედ მაგიე(K 84v)რ ჯუარით! |
| 41. ეგრეთვე[8] მღდელთ-მოძღუარნი იგი იმღერდეს მწიგნობართა თანა და ხუცესთა და იტყოდეს: | 41. ეგრეთვე მღდელთ-მოძღუარნი იგი[5] ემღერდეს მწიგნობართა თანა და მოხუცებულთა და ფარისეველთა და იტყოდეს: |
| 42. სხუანი აცხოვნნა[9], თავი თჳსი ვერ ძალ-უც ცხოვნებად. უკუეთუ მეუფჱ ისრაჱლისაჲ არს, გარდამოჴედინ (F 93r) აწ მაგიერ ჯუარით, და გურწმენეს იგი. | 42. სხუანი აცხოვნნა, თავი თჳსი ვერ ძალ-უც ცხოვნებად. უკუეთუ მეუფჱ[6] ისრაჱლისაჲ არს, გარდამოჴედინ აწ მაგიერ ჯუარით, და გურწმენეს იგი. |
| 43. უკუეთუ ესვიდა ღმერთსა, იჴსენინ ეგე, უკუეთუ ჰნებავს ეგე, რამეთუ თქუა: ძჱ ღმრთისაჲ ვარი მე. | 43. უკუეთუ ესვიდა ღმერთსა, იჴსენინ იგი, უკუეთუ ჰნებავს იგი, რამეთუ თქუა, ვითარმედ: ძე ღმრთისაჲ ვარი მე. |

---

[1] პოჳს F. [2] გოლგოთაჲ F. [3] F-ში „ღ“ სანახევროდაა გამოყვანილი. [4] სამუსელი F. [5] ავაზკნი F (უქარაგმოდ). [6] მისსა G. [7] ძე F. [8] ეგრეჱ G. [9] აცხოვნა F.

[1] ჰქჳან HI (= ჰრქჳან). [2] ჯუარს-აცუჱს HI. [3] მისსა HIK. [4] მარცხენეთ I. [5] იგინი I. [6] მეუფე HK.

FG

44. ეგრევე ავაზაკნი იგი, მის თანა ჯუარ-ცუმულნი, აყუედრებდეს მას.

45. ხოლო ექუს ჟამითგან დაბნელდა ყოველი ქუეყანაჲ, ვიდრე მეცხრედ ჟამადმდე[1].

46. და მეცხრესა ოდენ ჟამსა ჴმა-ყო იესუ ჴმითა დიდითა და თქუა: ელი, ელი[2]! ლამა საბაქდანი? ესე არს: ღმერთო, ღმერთო ჩემო! რაჲსათჳს დამიტევებ მე?

47. და რომელთამე მუნ მდგომარეთა ესმა ესე და იტყოდეს: ელიას უჴმობს ესე.

48. და მეყსეულად მირბიოდა ერთი მათგანი და მოიღო ღრუბელი და აღავსო ძმრითა და (G 78 r) დაადგა ლერწამი და ასუმიდა მას.

49. ხოლო სხუანი იტყოდეს: აცადეთ, და ვიხილოთ, უკუეთუ ელია მოვიდეს ჴსნად მაგისა.

50. ხოლო იესუ კუალად ღაღად-ყო[3] ჴმითა დიდითა და განუტევა სული.

51. და აჰა კრეტსაბმელი იგი ტაძრისაჲ მის განიპო ორად ზეითგან[4], ვიდრე ქუემდე, და ქუეყანაჲ შეიძრა, და კლდენი განსთქდეს

52. და საფლავნი აღეხუნეს[5], და მრავალნი გუამნი შესუენებულთა წმიდათანი აღ(F 83 v)დგეს.

53. და გამოვიდეს საფლავით მათით[6] შემდგომად აღდგომისა მისისა და შევიდეს წმიდასა ქალაქსა და გამოეცხადნეს მრავალთა.

54. ხოლო ასისთავმან მან და მისთანათა და რომელნი სცვიდეს იესუს, იხილეს ძრვაჲ იგი და რაჲ-იგი იქმნა, შეეშინა ფრიად და იტყოდეს: ჭეშმარიტად ძჱ[7] ღმრთისაჲ იყო ესე.

55. იყვნეს მუნ დედანიცა მრავალნი, რომელნი შორით ხედვიდეს, რომელნი

HIK

44. ეგრეთვე ავაზაკნი იგი[1], მის თანა ჯუარ-ცუმულნი, აყუედრებდეს[2] მას.

45. ხოლო მეექუსით ჟამითგან დაბნელდა ყოველი ქუეყანაჲ, ვიდრე მეცხრედ ჟამადმდე.

46. და მეცხრესა ოდენ[3] ჟამსა ჴმა-ყო იესუ ჴმითა დიდითა და თქუა: ილი, ილი! ლიმა საბაქთანი? ესე არს: ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! რაჲსათჳს დამიტევე მე?

47. და რომელთამე მუნ მდგომარეთა ესმა ესე და იტყოდეს, ვითარმედ: ელიას უჴმობს ესე.

48. და მეყსეულად მირბიოდა ერთი მათგანი და მოიღო ღრუბელი და აღავსო ძმრითა და[4] დაადგა ლერწამსა და ასუმიდა მას.

49. ხოლო სხუანი (H 77 r) ეტყოდეს: აცადეთ, (I 77 v) და ვიხილოთ. უკუეთუ ელია მოვიდეს ჴსნად მისა[5].

50*. ხოლო იესუ კუალად ჴმა-ყო ჴმითა დიდითა და განუტევა სული.

51. და აჰა კრეტსაბმელი იგი ტაძრისაჲ მის განიპო ორად ზეითგან, ვიდრე ქუემდე[6], (K 85 r) და ქუეყანაჲ შეიძრა და კლდენი განსთქდეს,

52. და საფლავნი აღეხუნეს, და მრავალნი გუამნი შესუენებულთა[7] წმიდათანი აღდგეს

53. და გამოვიდეს საფლავით მათით და, შემდგომად აღდგომისა მისისა, შევიდეს წმიდასა ქალაქსა და გამოეცხადნეს მრავალთა.

54. ხოლო ასისთავმან მან და მისთანათა, რომელნი სცვიდეს იესუს, იხილეს რაჲ ძრვაჲ იგი და რაჲ-იგი იქმნა, შეეშინა ფრიად და იტყოდეს: ჭეშმარიტად ძე ღმრთისაჲ იყო ესე.

55. იყვნეს მუნ დედანიცა მრავალნი, რომელნი შორით ხედვიდეს, რომელნი

---

[1] ჟამაჲდე F. [2] ჱლი, ჱლი F. [3] ღაღატ-ყო F. [4] ზეთგან F. [5] აღხუნეს F. [6] მთით F (უქარაგმოდ). [7] ძე F.

[1] იგინი K. [2] აყუჱდრებდეს HK. [3] ოდეს K. [4] და] — I. [5] მისსა K. [6] ქუჱმდე HI. [7] შესუჱნებულთა HI.

* 50-ე მუხლი K-ს გადამწერს გამორჩენია, მაგრამ მერმე არშიაზე მიუწერია.

| FG | HIK |
|---|---|
| შეუდგეს იესუს გალილეაჲთ და ჰმსახურებდეს მას. | შეუდგეს იესუს გალილეაჲთ და ჰმსახურებდეს მას. |
| 56. (G 78ⴅ) რომელთა თანა[1] იყო მარიამ მაგდანელი[2] და მარიამ იაკობისი და იოსების დედაჲ და დედაჲ[3] ძეთა[4] ზებედესთაჲ. | 56. რომელთა თანა იყო მარიამ მაგდანელი[1] და მარიამ იაკობისი და იოსეს დედაჲ და დედაჲ ძეთა ზებედესთაჲ. |
| 57. და ვითარცა შემწუხრდა, მოვიდა კაცი მდიდარი არიმათიაჲთ, სახელით იოსებ, რომელ იგიცა მოწაფე[5] ყოფილ იყო იესუჲსა[6]. | 57. და ვითარცა შემწუხრდა, მოვიდა კაცი მდიდარი არიმათიაჲთ, სახე(H 77ⴅ)ლით იოსებ, რომელ[2] იგიცა მოწაფე ყოფილ იყო იესუჲსა. |
| 58. ესე მოვიდა პილატესა და გამოითხოვა[7] გუამი იგი იესუჲსი[8]. მაშინ პილატე უბრძანა მიცემად გუამი იგი მისი. | 58. (I 78ⴐ) ესე მოვიდა პილატესა და გამოითხოვა გუამი იესუჲსი. მაშინ პი(K 85ⴅ)ლატე უბრძანა მიცემად გუამი იგი მისი. |
| 59. და მოიღო გუამი იგი მისი იოსებ და შეგრაგნა იგი ამრენაკსა[9] წმიდასა | 59. და მოიღო გუამი იგი მისი იოსებ და წარგრაგნა იგი ამრენაკსა წმიდასა |
| 60. და დადვა იგი ახალსა მისსა საფლავსა, რომელი გამოეკუეთა კლდისა მისგან, და მოაგორვა ლოდი დიდი კარსა მას საფლავისასა და წარვიდა. | 60. და დადვა იგი ახალსა მისსა საფლავსა, რომელი გამოეკუეთა[3] კლდისაგან, და მიაგორვა ლოდი დიდი კარსა მას საფლავისასა და წარვიდა. |
| 61. იყო მუნ მარიამ მაგდანელი[2] და სხუაჲ იგი[10] მარიამ, და სხდეს[11] წინაშე საფლავსა მას. | 61. იყო მუნ მარიამ მაგდალენელი[1] და სხუაჲ იგი მარიამ, და სხდეს წინაშე საფლავსა მას. |
| 62. (F 84ⴐ) ხვალისაგან, რომელ არს შემდგომად პარასკევისა, შეკრბეს მღდელთ-მოძღუარნი იგი და ფარისეველნი პილატესა | 62. ხოლო[4] ხვალისაგან, რომელ არს შემდგომად პარასკევისა, შეკრბეს მღდელთ-მოძღუარნი იგი და ფარისეველნი პილატესა |
| 63. (G 79ⴐ) და ჰრქუეს: უფალო, მოვიჴსენეთ, რამეთუ მან მაცთურმან თქუა, ვიდრე ცოცხალღა იყო, ვითარმედ შემდგომად სამისა დღისა აღვდგე. | 63. და ჰრქუეს: უფალო, მოვიჴსენეთ, რამეთუ მან მაცთურმან თქუა, ვიდრე ცოცხალღა იყო, ვითარმედ შემდგომად სამისა დღისა აღვდგე. |
| 64. აწ ბრძანე დაკრძალვად საფლავი იგი, ვიდრე მესამედ დღედმდე, ნუუკუე მოვიდენ მოწაფენი მისნი და წარიპარონ იგი და უთხრან ერსა[12], ვითარმედ: აღდგა იგი მკუდრეთით. და იყოს უკუანაჲსკნელი[13] საცთური უძჳრეს პირველისა. | 64. აწ უკუე[5] ბრძანე დაკრძალვად საფლავი იგი, ვიდრე მესამედ დღედმდე. ნუუკუე[6] მოვიდენ მოწაფენი მისნი და წარიპარონ იგი და უთხრან ერსა, ვითარმედ: აღ(K 86ⴐ)დგა მკუდრეთით. და იყოს უკუანაჲსკნელი საცთური უძჳრეს პირველისა. |
| 65. ჰრქუა მათ პილატე[14]: გაქუს თქუენ დასისაგანი; წარვედით და დაჰკრძალეთ, ვითარცა იცით. | 65. ჰრქუა მათ პილატე: გა(I 78ⴅ)ქუს (H 78ⴐ) თქუენ დასი; წარვედით და დაჰკრძალეთ, ვითარცა იცით. |

---

[1] რ̃ლთა\|თათანა F. [2] მაგდალენელი G. [3] დედა F. [4] ძჱთა F. [5] მოწაფჱ F. [6] ი̃ჳსა F. [7] გამოითხოა F. [8] ი̃ჳსი F. [9] არმენაკსა F. [10] სხუაჲ იგი] ერთი იგი სხუაჲ G. [11] სხდს F. [12] ... ერსა უთხრან F. [13] უკუანასკნელი F. [14] ფილატე F

[1] მ.ღდალენელი K. [2] რომელი K; რ̃ლ̈ HI (=რომელი). [3] გამოეკუეთა HI. [4] ხოლო]—K. უკუჱ HIK. [6] ნუუკუჱ HIK.

FG

66. ხოლო იგინი წარმოვიდეს[1] და დაჰკრძალეს საფლავი იგი და დაჰბეჭდეს ლოდსა მას დასისა თანა.

HIK

66. ხოლო იგინი წარვიდეს და დაჰკრძალეს საფლავი იგი და დაჰბეჭდეს ლოდსა მას დასისა თანა.

# 28

1. მწუხრი შაბათსა, რომელი განთენებოდა ერთშაბათად, მოვიდა მარიამ მაგდანელი[2] და სხუაჲ იგი მარიამ ხილვად საფლავისა მის.

2. და აჰა ძრვაჲ იყო დიდ, რამეთუ ანგელოზი უფლისაჲ გარდამოჴდა ზეცით, მოვიდა და (G 78v) გარდააგორვა[3] ლოდი იგი კარისა მისგან საფლავისა და დაჯდა მას ზედა.

3. იყო ხილვაჲ მისი, ვითარცა ელვაჲ, და სამოსელი[4] მისი სპეტაკ, ვითარცა თოვლი.

4. (F 04v) ხოლო საშინელებისაგან მისისა შეძრწუნდეს მცველნი იგი და იქმნნეს[5], ვითარცა მკუდარნი.

5. მიუგო ანგელოზმან მან[6] და ჰრქუა დედათა მათ: ნუ გეშინინ თქუენ; ვიცი, რამეთუ იესუს[7] ნაზარეველსა ჯუარ-ცუმულსა ეძიებთ.

6. არა, არს აქა, რამეთუ აღდგა, ვითარცა თქუა. მოვედით და იხილეთ ადგილი, სადა დადვეს იგი.

7. და ადრე წარვედით და უთხართ მოწაფეთა მისთა, ვითარმედ: აღდგა და აჰა წინა-გიძღჳს თქუენ გალილეად, მუნ იხილოთ იგი. აჰა ეგერა გარქუ თქუენ.

8. ხოლო იგინი წარვიდეს ადრე მიერ საფლავით შიშითა და სიხარულითა დიდითა, მირბიოდეს თხრობად მოწაფეთა მისთა.

9. და აჰა იესუ შეემთხჳა მათ და ჰრქუა: გიხაროდენ! ხოლო იგინი მოუჴდეს[8] და შეუვრდეს ფერჴთა მისთა და თაყუანის-სცეს მას.

1. ხოლო მწუხრი შაბათთასა. რომელი განთენდებოდა ერთშაბათად, მოვიდა მარიამ მაგდალენელი[1] და სხუაჲ იგი მარიამ ხილვად საფლავისა მის.

2. და აჰა ძრვაჲ იყო დიდი, რამეთუ ანგელოზი უფლისაჲ გარდამოჴდა ზეცით, მოვიდა და გარდააგორვა ლოდი იგი კარისა მისგან საფლავისა და დაჯდა მას ზედა.

3. ხოლო იყო ხილვაჲ მისი, ვითარცა ელვაჲ, და სამოსელი მისი სპეტაკ, ვითარცა თოვლი.

4. ხოლო საშინელებისაგან მისისა შეძრწუნდეს მცველნი იგი და იქმნნეს[2], ვითარცა მკუდარნი.

5. მიუგო ანგელოზმან მან და ჰრქუა დედათა მათ: ნუ გეშინინ თქუენ; ვიცი, რამეთუ (K 88v) იესუს ნაზარეველსა ჯუარ-ცუმულსა ეძიებთ.

6. არა არს აქა, რამეთუ აღდგა, ვითარცა თქუა. მოვედით და იხილეთ ადგილი, სადა დაიდვა უფალი.

7. და ადრე წარვედით და უთხართ მოწაფეთა მისთა, ვითარმედ: აღდგა მკუდრეთით და (H 78v) აჰა წინა-გიძღჳს (I 70r) თქუენ გალილეას, მუნ იხილოთ იგი. აჰა ესერა გარქუ თქუენ.

8. ხოლო იგინი გამოვიდეს ადრე მიერ საფლავით შიშითა და სიხარულითა დიდითა, მირბიოდეს თხრობად მოწაფეთა მისთა.

9. და ვითარ-იგი მივიდოდეს თხრობად მოწაფეთა მისთა, და აჰა იესუ შეემთხჳა მათ და ჰრქუა: გიხაროდენ! ხოლო იგინი მოვიდეს და შეუვრდეს ფერჴთა მისთა და თაყუანის-სცეს მას.

---

[1] მოვიდეს G. [2] მაგდალენელი G. [3] გარდააგურვა G. [4] სამჳსელი F. [5] იქმნეს F. [6] მან] — F. [7] ი̄ჳსს F. [8] მოუჴდეს] მოვიდეს G.

[1] მაღდალენელი K. [2] იქმნეს HI.

| FG | HIK |
|---|---|
| 10. (G 60r) მაშინ ჰრქუა მათ იესუ: ნუ გეშინინ, წარვედით და უთხართ ძმათა ჩემთა, რაჲთა წარვიდენ გალილეად და მუნ მიხილონ მე. | 10. მაშინ ჰრქუა მათ იესუ: ნუ გეშინინ, წარვედით და უთხართ ძმათა ჩემთა, რაჲთა წარვიდენ გალილეას და მუნ მიხილონ მე. |
| 11. და ესენი ვითარცა წარვიდეს, და აჰა ესერა დასისა მისგანნი შევიდეს ქალაქად და უთხრეს მღდელთ-მოძღუართა მათ ყოველი ესე, რაჲცა იქმნა. | 11. და ესენი ვითარცა წარვიდეს, აჰა ესერა დასისა მისგანნი შევიდეს ქალაქად და უთხრეს მღდელთ-მო(K 87r)ძღუართა მათ ყოველი ესე, რაჲცა იქმნა. |
| 12. ხოლო იგინი შეკრბეს მოხუცებულთა თანა და ზრახვა-ყვეს, ვეცხლი დ(F 85r)იდძალი მისცეს ერისაგანთა მათ | 12. ხოლო იგინი შეკრბეს მოხუცებულთა თანა და ზრახვა-ყვეს, ვეცხლი დიდძალი მისცეს ერისაგანთა მათ |
| 13. და ჰრქუეს: ესრეთ[1] თქუთ, ვითარმედ: მოწაფენი მისნი მოვიდეს ღამე და წარიპარეს იგი, ვიდრე ჩუენ მეძინა. | 13. და ჰრქუეს[1]: ესრეთ თქუთ, ვითარმედ: მოწაფენი მისნი ღამე მოვიდეს და წარიპარეს იგი, ვიდრე ჩუენ მეძინა. |
| 14. უკუეთუ ესმეს ესე მთავარსა მას, ჩუენ ვარწმუნოთ და თქუენ უზრუნველ-გყვნეთ. | 14. უკუეთუ ესმეს ესე მთა(H 79r)ვარსა მას, ჩუენ ვარწმუნოთ და თქუენ უზრუნველ-გყვნეთ. |
| 15. ხოლო მათ მიიღეს ვეცხლი იგი და ყვეს ეგრე, ვითარცა ისწავეს მათგან. და განითქუა სიტყუაჲ ესე ჰურიათა შორის, ვიდრე დღენდელად დღედმდე. | 15. ხოლო მათ[2] მიიღეს ვეცხლი იგი და ყვეს (I 70v) ეგრე, ვითარცა ისწავეს მათგან. და განითქუა სიტყუაჲ ესე ჰურიათა შორის, ვიდრე დღენდელად დღეჲმდე. |
| 16. ხოლო ათერთმეტნი იგი მოწაფენი წარვიდეს გალილეად, მთასა მას, სადაცა უბრძანა მათ იესუ. | 16. ხოლო ათერთმეტნი იგი მოწაფენი წარვიდეს გალილეას, მთასა მას, სადაცა უბრძანა მათ იესუ. |
| 17. და იხილეს იგი და თაყუანის-სცეს მას; ხოლო რომელნიმე შეორგულ(G 80v)დეს. | 17. იხილეს იგი და თაყუანის-სცეს მას; ხოლო რომელნიმე[3] შეორგულდეს. |
| 18. მოვიდა მათა იესუ, ეტყოდა მათ და ჰრქუა: მომეცა მე ყოველი ჴელმწიფებაჲ ცათა შინა და ქუეყანასა ზედა. ვითარცა მომავლინა მე მამამან, მეცა წარგავლინებ თქუენ. | 18. მოუჴდა მათ იესუ, ეტყოდა და ჰრქუა: მომეცა მე ყოველი ჴელმწიფებაჲ ცათა შინა და ქუეყანასა ზედა. |
| 19. წარვედით და მოიმოწაფენით თქუენ[2] ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით მათ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა, | 19. წარვედით და მოიმოწაფენით (K 87v) ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით მათ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა, |
| 20. და ასწავებდით მათ[3] დამარხვად ყოველი. რავდენი გამცენ თქუენ. და აჰა ესერა მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულამდე[4] სოფლისა. | 20. და ასწავებდით მათ დამარხვად ყოველი, რაოდენი გამცენ თქუენ. და აჰა ესერა მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულადმდე[4] სოფლისა. |

---

[1] ესრე G. [2] თქუენ] — G. [3] მათ] — F. [4] აღსასრულმიდე G (უქარაგმოდ).

[1] ჰრქუს I. [2] მათ] — K. [3] რომელნი HI. [4] აღსასრულამდე K.

(F 68r, G 81r)

# ႱႠႾႠႰႤႡႠჂ ႫႠႰႩႭႦႨႱ ႧႠႥႨ[1]

## 1

1. დასაბამი სახარებისაჲ იესუ ქრისტჱსი[2], ძისა ღმრთისაჲ.

2. ვითარცა წერილ არს ესაია წინაწარმეტყუელსა: აჰა ესერა მე წარვავლინო ანგელოზი ჩემი წინაშე შენსა, რომელმან განჰმზადნეს[3] გზანი შენნი წინაშე შენსა.

3. ჴმაჲ ღაღადებისაჲ უდაბნოსა: განჰმზადენით[4] გზანი უფლისანი და წრფელ ყვენით ალაგნი მისნი.

4. იყო იოვანე[5] უდაბნოსა და ნათელ-სცემდა და ქადაგებდა ნათლის-ღებასა სინანულისასა მისატევებელად[6] ცოდვათა.

5. და განვიდოდა მისა ყოველი სოფლები ჰურიასტანისაჲ და იერუსალჱმელნი ყოველნი და ნათელ-იღებდეს[7] მისგან იორდანესა მდინარესა და აუვარებდეს ცოდვათა მათთა.

6. და ემოსა იოვანეს[8] სამოსლად[9] თმისაგან აქლემისა[10], და სარტყელი ტყავისაჲ წელთა მისთა, და ჰამდა მკალსა და თაფლსა ველისასა,

7. (G 81v) ქადაგებდა და იტყოდა: აჰა ესერა მოვალს უძლიერესი[11] ჩემსა შემდგომად ჩემსა, რომლისა ვერ ღირს ვარ განჴსნად საბელთა[12] ჴამლთა მისთასა.

8. მე ნათელ-გცემ თქუენ წყლითა, ხოლო მან ნათელ-გცეს თქუენ სულითა წმიდითა.

(H 82r, I 82r, K 92r)

# ႱႠႾႠႰႤႡႠჂ ႫႠႰႩႭႦႨႱ ႧႠႥႨ

1. დასაბამი სახარებისაჲ[1] იესუ ქრისტესი, ძისა ღმრთისაჲ.

2. ვითარცა წერილ არს ესაია[2] წინაწარმეტყუელსა: აჰა ესერა მე წარვავლინო ანგელოზი ჩემი წინაშე პირსა შენსა, რომელმან განჰმზადნეს გზანი შენნი წინაშე შენსა.

3. ჴმაჲ ღაღადებისაჲ უდაბნოსა: განჰმზადენით გზანი უფლისანი და წრფელ ყვენით ალ(K 92v)აგნი მისნი.

4. იყო იოვანე უდაბნოსა და ნათელ-სცემდა და ქადაგებდა ნათლის-ცემასა სინანულისასა მისატევებელად ცოდვათა.

5. და განვიდოდა მისა[3] ყოველი სოფლები ჰურიასტანისაჲ და იერუსალჱმელნი[4] და ნათელს-იღებდეს მისგან ყოველნი იორდანესა მდინარესა და აღუ(H 82v. I 82v)ვარებდეს ცოდვათა მათთა.

6. ხოლო ემოსა იოვანეს სამოსლად თმისაგან აქლემისა, და სარტყელი ტყავისაჲ წელთა მისთა, და ჰამდა იგი მკალსა და თაფლსა ველურსა,

7. ქადაგებდა და იტყოდა: ესერა მოვალს უძლიერესი ჩემსა შემდგომად ჩემსა, რომლისა ვერ ღირს ვარ განჴსნად საბელსა ჴამლთა მისთასა.

8. მე ნათელ-გცემ თქუენ წყლითა, ხოლო მან ნათელ-გცეს თქუენ სულითა წმიდითა.

---

[1] სხ῀რბჲ მ῀რკ თ῀ჱი F, სხ῀რბჲ მ῀რკზისი თავი G. [2] ქ῀სი F. [3] განმზადნეს G. [4] განმზადენით G. [5] ი῀ნჱ G. [6] მოსატევებელად G. [7] ნათელს-იღებდეს G. [8] ი῀ნჱს G. [9] სამოსლად F. [10] აქლემისაჲ G. [11] უძრიელესი G. [12] საბელსა G.

[1] სახარებისა K. [2] ესაჲა H (=ესაია). [3] მისი HI, მისსა K. [4] ი῀ჱლემელნი HIK.

**FG**

9. და იყო მათ დღეთა შინა მოვიდა იესუ ნაზარეთით გალილეაჲსაჲთ[1] და ნათელ-იღო იოვანესგან[2] იორდანესა.

10. და მეყსეულად აღმოსლევასა (F 68v°) მისსა მიერ წყლით იხილნა ცანი განხუმულნი და სული ღმრთისაჲ გარდამომავალი, ვითარცა ტრედი, მის ზედა.

11. და ჴმაჲ იყო ზეცით: შენ ხარ ძჱ[3] ჩემი საყუარელი, შენ სათნო-გიყავ.

12. და მეყსეულად სულმან განიყვანა იგი უდაბნოდ.

13. და იყო მუნ ორმეოც დღე[4] და გამოიცადებოდა ეშმაკისაგან და იყო მჴეცთა თანა, და ანგელოზნი[5] ჰმსახურებდეს მას.

14. და შემდგომად მიცემისა იოვანესისა მოვიდა იესუ გალილეად, (G 82r°) ქადაგებდა სახარებასა სასუფეველისა ღმრთისასა

15. და იტყოდა, რამეთუ: აღსრულებულ არს ჟამი და მოახლებულ არს სასუფეველი ღმრთისაჲ; შეინანეთ და გრწმენინ სახარებისაჲ.

16. და ვითარცა წარვიდოდა ზღუასა მას გალილეაჲსასა, იხილა სიმონ და ანდრია, ძმაჲ მისი, ითხევლიდეს რაჲ ზღუასა მას ზედა, რამეთუ იყვნეს იგინი[6] მესათხევლე[7].

17. და ჰრქუა მათ იესუ: მოვედით და შემომიდეგით მე, და გყვნე თქუენ მესათხევლე[7] კაცთა.

18. ხოლო მათ მეყსეულად დაუტევნეს ბადენი მათნი და მისდევდეს მას[8].

19. და მცირედ წარვიდა და იხილა იაკობ ზებედესი და იოვანე[9], ძმაჲ მისი, და იგინი განაგებდეს ბადეთა ნავსა შინა.

20. და უწოდა მათ. ხოლო მათ მეყსეულად (F 69r°) დაუტევეს ზებედე, მამაჲ მათი, ნავსა შინა მუშაკთა მისთა თანა და მისდევდეს მას.

**HIK**

9. და იყო მათ დღეთა შინა მოვიდა იესუ ნაზა(K 93r°)რეთით გალილეაჲსაჲთ[1] და ნათელ-იღო იოვანესგან იორდანესა.

10. და მეყსეულად აღმოსლვასა მისსა მიერ წყლით იხილნა ცანი განხუმულნი და სული ღმრთისაჲ გარდამომავალი, ვითარცა ტრედი, მის ზედა.

11. და ჴმაჲ იყო ზეცით: შენ ხარ ძე ჩემი საყუარელი, შენ[2] სათნო-გიყავ.

12. და მეყსეულად სულმან განიყვანა იგი უდაბნოდ.

13. და იყო მუნ ორმეოც[3] დღე და გამოიცადებოდა ეშმაკისაგან და იყო მჴეცთა თანა, და ანგელოზნი ჰმსახ(K 93v°)ურებდეს მას.

14. და შემდგომად მიცემისა იოვანესა[4] (H 83r°) მოვიდა იესუ გალილეად, ქადაგებდა სახარებასა (I 88r°) სასუფეველისა ღმრთისასა

15. და იტყოდა, ვითარმედ: აღსრულებულ არს ჟამი და მოახლებულ არს სასუფეველი ღმრთისაჲ; შეინანეთ და გრწმენინ სახარებისაჲ.

16. ხოლო ვიდოდა რაჲ ზღჳს-კიდესა მას გალილეაჲსასა, იხილნა სიმონ და ანდრეა, ძმაჲ მისი, ითხევლიდეს რაჲ ზღუასა მას ზედა, რამეთუ იყვნეს იგინი მესათხევლე.

17. და ჰრქუა მათ იესუ: მოვედით და შემომიდეგით მე, და გყვნე თქუენ მესათხევლე კაცთა.

18. ხოლო მათ მეყსეულად დაუტევნეს ბადენი მათნი და მისდევდეს მას.

19. და მცირედ წარვიდა და იხილა იაკობ ზებედესი და იოვანე, ძმაჲ მისი, და იგინი განაგებდეს ბადეთა ნავსა შინა.

20. და (K 94r°) უწოდა მათ. ხოლო მათ მეყსეულად დაუტევეს ზებედე, მამაჲ მათი, ნავსა შინა მუშაკთა მისთა თანა და მისდევდეს მას.

---

[1] გალილ̃ჲს F. გალ̃აჲსაჲთ G. [2] ი̃ნჱსგან G. [3] ძე F. [4] დღჱ FG. [5] ანგელოზი G. [6] იგ̃ნი] — F. [7] მესათხევლჱ G. [8] მათ F. [9] ი̃ნჱ G.

[1] გალილეაჲსაჲთა I. [2] და შენ I. [3] ორმეოცი I. [4] იოვანესსა K.

| FG | HIK |
|---|---|
| 21. და შევიდეს კაფარნაუმდ[1]. და შაბათსა დღესა შევიდა შესაკრებ(G 82v)ელსა მათსა და ასწავებდა მათ. | 21. და შევიდეს კაპერნაუმდ. და მეყსეულად დღესა შაბათსა შევიდა შესაკრებელსა მათსა და ასწავებდა მათ. |
| 22. და განუკჳრდებოდა ერსა მას მოძღურებაჲ იგი მისი, რამეთუ ასწავებდა მათ, ვითარცა-იგი ვის აქუნ ჴელმწიფებაჲ, და არა ვითარ-იგი მწიგნობარნი მათნი. | 22. და გ:ნუკჳრდებოდა ერსა მას მოძღურებაჲ იგი მისი, რამეთუ ასწავებდა მათ, ვითარცა-იგი ვის (H 83v) აქუნ ჴელმწიფებაჲ, და არა ვითარ-იგი (I 88v) მწიგნობარნი მათნი. |
| 23. და იყო კრებულსა მას შინა მათსა კაცი, რომლისა თანა იყო სული არაწმიდაჲ, ღალად-ყო[2] | 23. და იყო კრებულსა მას შინა მათსა კაცი. რომლისა თანა იყო სული არაწმიდაჲ, ღალატ-ყო |
| 24. და თქუა: ეჰა, რაჲ არს ჩუენი და შენი, იესუ ნაზარეველო? მოსრულ ხარ წარწყმედად ჩუენდა. გიცით[3] შენ, ვინ[4] ხარ, წმიდაჲ ეგე ღმრთისაჲ. | 24. და თქუა: ეჰა, რაჲ არს ჩუენი და შენი, იესუ ნაზარეველო? მოსრულ ხარ წარწყმედად ჩუენდა. გიცით შენ, ვინ ხარ, წმიდაჲ ეგე ღმრთისაჲ. |
| 25. შეჰრისხნა მას იესუ და ჰრქუა: დაიყავ პირი და განვედ მაგისგან! | 25. შეჰრისხნა მას იესუ და ჰრქუა: პირი დაიყავ და განვედ მაგისგან! |
| 26. და დასცა იგი სულმან მან[5] არაწმიდამან, და ჴმა-ყო ჴმითა დიდითა და განვიდა მისგან. | 26. და დასცა იგი სულმან მან ა(K 94v)რაწმიდამან, და ჴმა-ყო ჴმითა დიდითა და განვიდა მისგან. |
| 27. და დაუკჳრდებოდა ყოველთა, ვიდრე გამოძიებადმდე[6] ურთიერთას[7], და იტყოდეს: რაჲ არს მოძღურებაჲ[8] ესე ახალი, რამეთუ ჴელმწიფებით სულთაცა არაწმიდათა უბრძანებს, და ერჩიან მას? | 27. და დაუკჳრდებოდა ყოველთა, ვიდრე გამოძიებადმდე ურთიერთას, და იტყოდეს: რაჲ-მე არს მოძღურებაჲ ესე ახალი, რამეთუ ჴელმწიფებით სულთაცა არაწმიდათა უბრძანებს, და ერჩიან მას? |
| 28. და განჴდა ჰამბავი მისთჳს ყოველსა (G 88r) მას სოფელსა გალილეაჲსასა. | 28. და განჴდა ჰამბავი მისი ყოველსა მას სოფლებსა გალილეაჲსასა. |
| 29. (F 00v) და მიერ შესაკრებელით[9] გამოვიდა და მოვიდა სახლსა სიმონისსა და ანდრიაჲსსა[10] იოვანეს[11] და იაკობის თანა. | 29. და მიერ შესაკრებელით გამოვიდა და მოვიდა სახლსა სიმონისსა და ანდრეაჲსსა იოვანეს და იაკობის თანა. |
| 30. ხოლო სიდედრი სიმონისი დაერდომილ იყო მჴურვალებითა. და უთხრეს იესუს მისთჳს. | 30. ხოლო სიდედრი სიმონისი დავრდომილ იყო მჴურვალებითა. და უთხრეს იესუს მისთჳს. |
| 31. და მოვიდა და უპყრა ჴელი მისი და აღადგინა იგი; და დაუტევა იგი მჴურვალებამან მან, და აღდგა და ჰმსახურებდა მათ. | 31. და მოვიდა და უპყრა ჴელი მისი და აღადგინა იგი; (H 84r) და მეყსეულად დაუტევა იგი მჴურვალება(I 94r)მან მან, და აღდგა და ჰმსახურებდა მათ. |
| 32. და ვითარ შემწუხრდებოდა, და მზჱ დაჰვიდოდა, მოჰყვანდეს მისა ყოველნი სნეულნი და ეშმაკეულნი. | 32. (K 95r) და ვითარ შემწუხრდებოდა, და მზე დაჰვიდოდა, მოჰყვანდეს მისა[1] ყოველნი სნეულნი და ეშმაკეულნი. |

---

[1] კაფარნაომდ G [2] ღალატ-ყო F. [3] და გიცით F. [4] ვინაჲ G. [5] მან] — F. [6] გამოძიებამდე F. [7] ურთიერთარს F. [8] მოძღრებ¯ჲ G. [9] შესაკრებლით F. [10] ანდრიაჲსა F. [11] ი̃ნს G.

[1] მისსა K.

| FG | HIK |
|---|---|
| 33. და ყოველი ქალაქი შეკრებულ იყო წინაშე კართა. | 33. და ყოველი ქალაქი შეკრებულ იყო წინაშე კართა. |
| 34. და განკურნნა[1] ყოველნი ბოროტთაგან სენთა და თითო-სახეთაგან სნეულებათა და ეშმაკნი მრავალნი განასხნა და არა უტევებდა სიტყუად ეშმაკთა მათ, რამეთუ იცოდეს იგი, ვითარმედ ქრისტჱ არს. | 34. და განკურნნა ყოველნი ბოროტთაგან სენთა და თითო-სახეთაგან სნეულებათა და ეშმაკნი მრავალნი განასხნა და არა უტევებდა სიტყუად ეშმაკთა მათ, რამეთუ იცოდეს იგი, ვითარმედ ქრისტე არს. |
| 35. და განთიად რიჟურაჟუს[2] ოდენ ნიად აღდგა და გამოვიდა მიერ და განვიდა უდაბნოსა ადგილსა და (G 83v) მუნ ილოცვიდა. | 35. და განთიად რიჟურაჟუს ოდენ აღდგა და გამოვიდა მიერ და განვიდა უდაბნოსა ადგილსა და მუნ ილოცვიდა. |
| 36. და მისდევდეს მას სიმონ და მისთანანი იგი[3]. | 36. და მისდევდეს მას სიმონ და მისთანანი. |
| 37. და პოვეს იგი და ჰრქუეს მას, ვითარმედ: ყოველნი გეძიებენ შენ. | 37. და პოვეს იგი და ჰრქუეს[1] მას, ვითარმედ: ყოველნი გეძიებენ შენ. |
| 38. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: მოვედით და წარვიდეთ მახლობელსა დაბნებსა და ქალაქებსა, რაჲთა მუნ უქადაგო, რამეთუ ამისთჳს მოვიელინე. | 38. (K 95v) ხოლო იესუ ჰრქუა მათ: მოვედით და წარვიდეთ მახლობელსა დაბნებსა და ქალაქებსა, რაჲთა მუნ უქადაგოთ, რამეთუ ამისთჳს მოვიელინე. |
| 39. (F 70r) და ქადაგებდა შესაკრებელთა მათთა და ყოველსა გალილეასა და ეშმაკთა[4] განასხმიდა. | 39. და ქადაგებდა შესაკრებელთა მათთა და ყოველსა გალილეასა და ეშმაკთა განასხმიდა. |
| 40. მაშინ მოვიდა მისა ერთი განკეთრებული, ევედრებოდა მას და მუჴლნი დაიდგნა და ეტყოდა: უფალო, უკუეთუ გინდეს, ძალ-გიც განწმედად[5] ჩემდა. | 40. მაშინ მოუჴდა მას ერთი განკეთროვნებული, ევედრებოდა მას და მუჴლნი დაიდგნა და ეტყოდა: უფალო, (I 84v) უკუე(H 84v)თუ[2] გინდეს, ძალ-გიც განწმედად ჩემდა. |
| 41. ხოლო იესუს შეეწყალა იგი და[6] განყო ჴელი და[6] შეახო მას და ჰრქუა: მნებავს, განწმიდენ! | 41. ხოლო იესუს შეეწყალა იგი, განყო ჴელი, შეახო მას და ჰრქუა: მნებავს, განწმიდენ! |
| 42. და ვითარცა ესე თქუა, მეყსეულად განეშორა მას კეთროვნებაჲ, და განწმიდნა იგი. | 42. და ვითარცა ესე თქუა, მეყსეულად განეყარა მას კეთროვნებაჲ იგი, და განწმიდნა იგი |
| 43. და შეჰრისხნა მას და მეყსეულად გამოაძო იგი | 43. და შეჰრისხნა მას და მეყსეულად გამოაძო იგი |
| 44. და ჰრქუა მას: იხილე[7], ნუვის უთხრობ, არამედ მივედ და უჩუენე თავი შენი მღდელსა და შეწირე[8] განწმედისა შენისათჳს, რომელ-იგი ბრძანა მოსე[9] (G 84r) საწამებელად მათა. | 44. და ჰრქუა მას: იხილე, ნუვის უთხრობ, არამედ მივედ და უჩუენე[3] თავი შენი მღდელსა და შეწირე განწმედისა შენისათჳს, რომელი-იგი ბრძანა მოსე საწამებელად მათა[4]. |

---

[1] განკურნა FG. [2] რიჟურაჟუსა G. [3] იგი] — G. [4] ეშმკთა G (უქარაგმოდ). [5] განწმედად] განკურნებად F. [6] და] — G. [7] იხილჱ G. [8] შეწირჱ G. [9] მოსჱ F.

[1] ჰქ̃ჱს I. [2] უკუჱთუ H. [3] ეჩუჱნე H. [4] მათდა K.

| FG | HIK |
|---|---|
| 45. ხოლო იგი გამოვიდა მიერ და იწყო ქადაგებად ფრიად და მიმოდადებად სიტყჳსა მის, ვითარმედ[1] ვერღარა ჴელ-ეწიფა მას ცხადად ქალაქად შესლვად, არამედ გარე უდაბნოთა ადგილთა[2] იყოფეოდა[3]. და მოვიდოდეს მისა ყოვლით კერძო. | 45. (K 88 r) ხოლო იგი გამოვიდა მიერ და იწყო ქადაგებად ფრიად და მიმოდადებად სიტყჳსა მის, ვითარმედ ვერღარა[1] ჴელ-ეწიფა მას ცხადად ქალაქად შესლვად, არამედ გარე უდაბნოთა ადგილთა იყოფეოდა. და მოვიდოდეს მისა[2] ყოვლით კერძო. |

## 2

| | |
|---|---|
| 1. და შევიდა მერმე კაფარნაუმდ[4]; და შემდგომად მცირედთა[5] დღეთა ესმა, რამეთუ სახლსა შინა არს. | 1. და შევიდა კუალად კაპერნაუმდ შემდგომად მცირედთა დღეთა; და ესმა, რამეთუ სახლსა შინა არს. |
| 2. და შეკრბა მუნ სიმრავლე ერისაჲ, ვიდრემდე ვერ(F 70v)ღარა იტევდა წინაშე კართა მათ, და ეტყოდა მათ სიტყუასა. | 2. და მეყსეულად შეკრბა მუნ სიმრავლე ერისაჲ, ვიდრემდე ვერღარა იტევდა წინაშე კართა მათ, და ეტყოდა მათ სიტყუასა. |
| 3. და მოვიდეს მისა და მოაქუნდა განრღუეული, ზე-კიდებული ოთხთაგან. | 3. და მოვიდეს მისა[2] და მოაქუნდა განრღუეული[3], ზე-კიდებული ოთხთაგან. |
| 4. და ვითარ[6] ვერ შეუძლეს მიახლებად მისა ერისა მისგან, აღსძარცუეს სართული სახლისაჲ მის, სადა იყო იგი, და აღიღეს და გარდაუტევეს ცხედარი იგი, რომელსა ზედა იდვა განრღუეული იგი. | 4. და ვითარ (I 85r) ვერ შეუძლეს მიახლებად (H 85r) მისა[3] ერისა მისგან, აღსძარცუეს[4] სართული სახლისაჲ მის, სადა იგი იყო, და აღიღეს და გარდაუტევეს ცხედარი იგი, რომელსა ზედა იდვა განრღუეული[3] იგი. |
| 5. და იხილა იესუ სარწმუნოებაჲ იგი მათი და ჰრქუა განრღუეულსა მას: შვილო, მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი! | 5. და იხილა იესუ სარწმუნოებაჲ იგი მათი და ჰრქუა განრღუეულ(K 88v)სა[5] მას: შვილო, მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი! |
| 6. (G 84v) იყვნეს ვინმე მუნ მსხდომარენი მწიგნობართაგანნი და ზრახვიდეს გულთა მათთა და იტყოდეს, | 6. ხოლო იყვნეს ვინმე მუნ მსხდომარენი მწიგნობართაგანნი და ზრახვიდეს გულთა შინა მათთა და იტყოდეს, |
| 7. ვითარმედ: ესე გმობასა იტყჳს[7]; ვის ჴელ-ეწიფების მიტევებად ცოდვათა, გარნა მხოლოსა ღმერთსა? | 7. ვითარმედ: ესე გმობასა იტყჳს; ვის ჴელ-ეწიფების მიტევებად ცოდვათა, გარნა მხოლოსა ღმერთსა? |
| 8. ხოლო იესუ გულისხმა-ყო[8] სულითა, რამეთუ ესრეთ ზრახვენ გულთა მათთა, და ჰრქუა მათ: რაჲსა მაგას ზრახავთ გულთა თქუენთა? | 8. ხოლო იესუ მეყსეულად გულისჴმა-ყო სულითა, რამეთუ ესრეთ ზრახვენ გულთა შინა მათთა, და ჰრქუა მათ: რასა მაგას ჰზრახავთ გულთა შინა თქუენთა? |

---

[1] ვითარმედ] ვიდრემდის F. [2] უდაბნოსა ადგილსა F. [3] იყოფოდა G. [4] კაფარნაომდ G. [5] მცირეთა F. [6] ვითარ] — F. [7] ვითარმედ: ესე გმობასა იტყჳს] — FG. [8] გულისჴმა-ყო F.

[1] ვერღა H. [2] მისსა K. [3] განრღუჳლი HI. [4] აღსძარცუჳს HI. [5] განრღუჳლსა HI.

| FG | HIK |
|---|---|
| 9. რაჲ უადვილეს არს სიტყუად განრღუეულსა ამას჻ მიგეტევნენ ცოდვანი შენნი, ანუ რქუმად჻ აღდეგ და აღიღე[1] ცხედარი შენი და ვიდოდე? | 9. რაჲ უადვილეს არს სიტყუად განრღუეულისა[1] ამის[2]჻ მიგეტევნენ ცოდვანი შენნი, ანუ თქუმად჻ აღდეგ, აღიღე ცხედარი შენი და ვიდოდე? |
| 10. ხოლო რაჲთა უწყოდით, რამეთუ ჴელმწიფებაჲ აქუს ძესა[2] კაცისასა ქუეყანასა ზედა მიტევებად ცოდვათა, და ჰრქუა (F 71r) განრღუეულსა მას჻ | 10. ხოლო რაჲთა უწყოდით, რამეთუ ჴელმწიფებაჲ აქუს ძესა კაცისასა ქუეყანასა ზედა მიტევებად ცოდვათა, და ჰრქუა განრღუეულსა[3] მას჻ |
| 11. შენ გეტყჳ: აღდეგ და აღიღე ცხედარი შენი და წარვედ სახედ[3] შენდა! | 11. შენ გეტყჳ჻ აღდეგ და აღიღე ცხე(H 86v)და(I 85v)რი შენი და წარვედ სახიდ შენდა! |
| 12. და აღდგა იგი მეყსეულად და აღიღო ცხედარი იგი და გამოვიდა წინაშე ყოველთასა, ვითარმედ განუკჳრდებოდა ყოველთა და ადიდებდეს ღმერთსა და იტყოდეს, ვითარმედ: არასადა ესრეთ ვიხილეთ. | 12. და მეყსეულად აღდგა იგი და აღიღო ცხედარი თჳსი და გამოვიდა წინაშე ყოველთასა, ვითარმედ განუკჳრდებოდაცა ყოველთა და ადიდებდეს ღმერთსა და იტყოდეს, ვითარმედ჻ არასადა ესრეთ ვიხილეთ. |
| 13. (G 85r) და მერმე წარმოვიდოდა ზღჳს-კიდესა, და ყოველი იგი ერი მოსდევდა[4] მას, და მუნ ასწავებდა მათ. | 13. და კუალად განვიდა ზღჳს-კიდესა, და ყოველი ერი მოვიდოდა მისა[4], და მუნ ასწავებდა მათ. |
| 14. და მერმე წარმოვიდოდა და იხილა ლევი ალფესი, ჯდა რაჲ იგი საზუერესა ზედა, და ჰრქუა მას჻ მომდევდი მე. და აღდგა იგი და მისდევდა მას. | 14. და წა(K 87r)რ-რაჲ-ვიდოდა, იხილა ლევი ალფესი, მჯდომარე საზუერესა[5] ზედა, და ჰრქუა მას჻ მომდევდი მე. და აღდგა და მისდევდა მას. |
| 15. და იყო ვითარ ჯდა იგი სახლსა შინა მისსა, და მრავალნი მეზუერენი და ცოდვილნი სხდეს იესუჲს[5] თანა და მოწაფეთა მისთა თანა, რამეთუ იყვნეს მუნ მრავალნი და მისდევდეს მას. | 15. და იყო ვითარცა ინაჴით-ჯდა იგი სახლსა შინა მისსა, და მრავალნი მეზუერენი[6] და ცოდვილნი სხდეს იესუჲს თანა და მოწაფეთა მისთა თანა, რამეთუ იყვნეს მუნ მრავალნი და მისდევდეს მას. |
| 16. და მწიგნობართა მათ და ფარისეველთა ვითარცა იხილეს იგი, რამეთუ მეზუერეთა და ცოდვილთა თანა ჭამს, ჰრქუეს მოწაფეთა მისთა: რაჲსათჳს მეზუერეთა თანა და ცოდვილთა თანა შჭამთ და სუამთ? | 16. და მწიგნობართა მათ და ფარისეველთა ვითარცა იხილეს იგი, რამეთუ მეზუერეთა[7] და ცოდვილთა თანა ჭამს, ეტყოდეს მოწაფეთა მისთა: რაჲსათჳს მეზუერეთა[8] და ცოდვილთა თანა ჭამს და სუამს? |
| 17. და ესმა ესე იესუს და ჰრქუა მათ: არა უჴმს ცოცხალთა მკურნალი, არამედ სნეულთა. არა მოვედ წოდებად მართალთა, (F 71v) არამედ ცოდვილთა სინანულად. | 17. და ესმა ესე იესუს და ჰრქუა მათ: (K 87v) არა უჴმს ცოცხალთა მკურნალი, არამედ სნეულთა. არა მოვედ წოდებად (I 86r) მა(H 88r)რთალთა, არამედ ცოდვილთა სინანულად. |
| 18. (G 85v) და იყვნეს მოწაფენი | 18. და იყვნეს მოწაფენი იოვანესნი |

---

[1] ალღჱ G. [2] ძჱსა G. [3] სახიდ G. [4] მისდევედა F. [5] ი͞ჳს G.

[1] განრღუჱულისა HI. [2] მის I. [3] განრღუჱულსა HI. [4] მისსა K. [5] საზუჱრესა H. [6] მეზუჱრენი HI. [7] მეზუჱრეთა HI. [8] მეზუჱრეთა HIK.

FG

იოვანესნი[1] და ფარისეველთანი[2] მარხვასა შინა. და მოვიდეს მისა[3] და ჰრქუეს მას: რაჲსათჳს მოწაფენი იოვანესნი[1] და ფარისეველთანი იმარხვენ და მოწაფენი შენნი არა იმარხვენ?

19. ჰრქუა მათ იესუ: ვერ ჴელ-ეწიფების ძეთა სიძისათა, ვიდრე სიძე იგი მათ თანა არს, მარხვად.

20. არამედ მოვლენან დღენი, ოდეს ამაღლდეს მათგან სიძჱ იგი, და[4] მაშინ იმარხვიდენ მათ დღეთა[5] შინა.

21. არავინ სადგმელი ახალი დაადგის სამოსელსა[6] ძუელსა; უკუეთუ არა, მოაპის მისგან ცოცხალიცა იგი ახალმან მან ძუელისაჲ მის, და უძჳრესად განიპის.

22. და არავინ შთაასხის ღჳნოჲ ახალი თხიერსა ძუელსა, რაჲთა არა განხეთქოს ღჳნომან ახალმან თხიერი, და ღჳნოჲ დაითხიოს, და თხიერნი წარწყმდენ; არამედ ღჳნოჲ ახალი თხიერთა ახალთა შთაასხიან.

23. და იყო ვითარ-იგი თანა-წარჰვიდოდა შაბათსა ყანებისაგან, და მოწაფეთა მისთა იწყეს (G 80r) სლვად გზასა[7] და მუსრვად თავსა ჴუვილისასა[8].

24. ხოლო ფარისეველნი იგი ეტყოდეს მას: იხილე, რასა ზმენ მოწაფენი შენნი (F 72r) შაბათსა შინა, რომელი არა ჯერ-არს ყოფად!

25. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: არასადა აღმოგიკითხავსა, რაჲ-იგი ყო დავით, რაჟამს-იგი უჴმდა და შეემშია მას და მისთანათა?

26. ვითარ-იგი შევიდა სახლსა ღმრთისასა აბიათარ მღდელთ-მოძღურისა ზე[9] და პურნი იგი შესაწირავისანი[10] შეჭამნა და სცა მისთანათაცა, რომელი არა ჯერ-არს ჭამად, გარნა მღდელთა[11] ხოლო?

27. და ეტყოდა მათ: შაბათი კაცი-

HIK

და ფარისეველთანი[1] მარხვასა შინა. და მოვიდეს მისა[2] და ჰრქუეს[3] მას: რაჲსათჳს მოწაფენი იოვანესნი და ფარისეველთანი იმარხვენ და მოწაფენი შენნი არა იმარხვენ?

19. ჰრქუა მათ იესუ: ვერ ჴელ-ეწიფების ძეთა სიძისათა, ვიდრე[4] სიძე იგი მათ თანა არს, მარხვად.

20. არამედ მოვლენან დღენი, ოდეს ამაღლდეს სიძე იგი მათგან, და მაშინ იმარხვიდენ მას დღესა შინა.

21. არავინ სადგმელი ახალი დაადგის სამოსელსა ძუელსა[5]; უკუეთუ არა, მოაპის მისგან ცოცხალიცა იგი ახალმან მან ძუელისაჲ[6] მის, და უძჳრესად განიპის.

22. და არავინ შთაასხის ღჳნოჲ ახალი თხიერთა ძუელთა[7], რაჲთა არა განხეთქნეს ღჳნომან ახალმან თხიერნი იგი, და ღჳნოჲ დაითხიოს, და თხიერნი წარწყმდენ; არამედ ღჳნოჲ ახალი თხიერთა ახალთა შთაასხიან.

23. და იყო ვითარ-იგი[8] თანა-წარჰვიდოდა შაბათსა ყანებისაგან, და მოწაფეთა მისთა იწყეს გზასა სლვად (I 90v) და მუს(H 80v)რვად თავსა ჴუვილისასა.

24. (K 08r) ხოლო ფარისეველნი იგი ეტყოდეს მას: იხილე, რასა ზმენ მოწაფენი შენნი შაბათსა შინა, რომელი არა ჯერ-არს ყოფად!

25. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: არასადა აღმოგიკითხავსა, რაჲ-იგი ყო დავით, რაჟამს-იგი უჴმდა და შეემშია მას და მისთანათა?

26. ვითარ-იგი შევიდა სახლსა ღმრთისასა აბიათარ მღდელთ-მოძღურისა ზე და პურნი იგი შესაწირავთანი შეჭამნა და სცა მისთანათაცა, რომელთაჲ არა ჯერ-არს ჭამად, გარნა მღდელთა[9] ხოლო?

27. და ეტყოდა მათ: შაბათი კაცისა-

---

[1] ი̄ნჱსნი G. [2] ფარისეველნი G. [3] მისსა G. [4] და] — F. [5] მას დღესა G. [6] სამუსელსა F. [7] ∼ გზასა სლვად G. [8] ჴუეილისასა G. [9] ზჱ G. [10] შესაწირავნი F. [11] მღდელთაჲ F.

[1] ფარისეველნი HI. [2] მისსა K. [3] ჰქ́ჱს I. [4] ვიდრემდე K. [5] ძუჱლსა HI. [6] ძუჱლისაჲ HI. [7] ძუჱლთა HI. [8] ვითარცა-იგი K. [9] მღდელთაჲ HIK.

| FG | HIK |
|---|---|
| სათჳს დაებადა, და[1] არა თუ კაცი შაბათისათჳს. | თჳს დაებადა, და არა თუ კაცი შაბათისათჳს. |
| 28. არამედ უფალ არს ძჱ[2] კაცისაჲ შაბათისაცა[3]. | 28. ვინაჲცა უფალ არს ძე კაცისაჲ შაბათისაცა. |

# 3

| FG | HIK |
|---|---|
| 1. და მერმე შევიდა შესაკრებელსა. და იყო მუნ კაცი, რომელსა ჴელი განჴმელ ედგა. | 1. და მერმე შევიდა შესაკრებელსა. და იყო მუნ კაცი, რომელსა ჴელი განჴმელ ედგა. |
| 2. და უმზირდეს მას, უკუეთუ შაბათსა განკურნოს იგი[4], რაჲთა შეასმინონ იგი. | 2. და უმზირდეს მას, უკუეთუ შაბათსა განკურნოს იგი, რაჲთა შეასმინონ იგი. |
| 3. და მას ჟამსა ჰრქუა იესუ კაცსა მას, რომელსა ჴელი განჴმელ (G 88ლ) ედგა: აღდეგ და წარმოდეგ შორის! | 3. და მას ჟამსა (K 98ლ) ჰრქუა იესუ კაცსა მას, რომელსა ჴელი განჴმელ ედგა: აღდეგ და წარმოდეგ შორის! |
| 4. და ჰრქუა მათ იესუ: ჯერ-არსა შაბათსა კეთილისა საქმჱ[5] ანუ ბოროტისაჲ? სულისა ცხორებაჲ ანუ წარწყმედაჲ? ხოლო იგინი დუმნეს. | 4. და ჰრქუა მათ იესუ: ჯერ-არს შაბათსა შინა კეთილისა საქმე ანუ ბოროტისაჲ? სულისა ცხოვნებაჲ ანუ მოკლვაჲ? (H 87რ) ხოლო იგინი დუმნეს. |
| 5. და მიმოიხილა მათა რისხვით და მწუხარედ სიბრმისათჳს გულისა მათისა და ჰრქუა კაცსა მას: განირთხ ჴელი შენი! და მან განირთხა ჴელი, და კუალად მოეგო ჴელი იგი, ვითარცა ერ(F 72ლ)თი იგი. | 5. და მიმო(I 87რ)იხილა მათა რისხვით და მწუხარედ სიბრმისათჳს გულთა მათთაჲსა და ჰრქუა კაცსა მას: განირთხ ჴელი შენი! და მან განირთხა, და კუალად მოეგო ჴელი იგი, ვითარცა ერთი იგი. |
| 6. და ვითარცა გამოვიდეს მიერ ფარისეველნი იგი ჰეროდიანელთა თანა, ზრახვა-ყვეს მისთჳს, რაჲთა წარწყმიდონ იგი. | 6. და ვითარცა გამოვიდეს მიერ ფარისეველნი იგი ჰეროდიანელთა თანა, ზრახვა-ყვეს მისთჳს, რაჲთა წარწყმიდონ იგი. |
| 7. ხოლო იესუ მოწ̃აფითურთ[6] თჳსით განეშორა მათგან და მოვიდა ზღჳს-კიდედ. და მრავალი ერი შეუდგა მას[7] გალილეაჲთ და ჰურიასტანით | 7. ხოლო იესუ მოწფითურთ[1] განეშორა მათგან და მოვიდა ზღჳს-კიდედ. და მრავალი ერი შეუდგა მას გალილეაჲთ და ჰურიასტანით, |
| 8. და იერუსალჱმით და წიაღ-იორდანით, ტჳროსით-კერძონი და სიდონით. ესმა მრავალსა სიმრაელესა, რავდენსა-იგი იქმოდა, და მოვიდეს მისა. | 8. იერუსალჱმით[2] და იდუმიაჲთ, წიაღ-იორდანით და ტჳროსით კერძო და სიდონით. ესმა მრავალსა სიმრავლესა, რაო(K 99რ)დენსა-იგი იქმოდა, და მოვიდეს მისა[3]. |

---

[1] და] — F. [2] ძე F. [3] შაბათისათჳს G. [4] იგი] — F. [5] საქმე F. [6] მოწ̄ფითურთ FG. [7] შეუდგა მას] — FG.

[1] მოწფით̃ურთ H, მწ̄ფითურთ K. [2] ი̈ჱლმით HIK. [3] მისსა K.

| FG | HIK |
|---|---|
| 9. და ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა, რაჲთა ნავი განუ(G 87r)მზადონ მას ერისა მისთჳს, რაჲთა არა შეევახლნენ მას და შეაიწრონ. | 9. და ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა, რაჲთა ნავი განუმზადონ მას ერისა მისთჳს, რაჲთა არა შეაიწრონ იგი. |
| 10. რამეთუ მრავალთა განჰკურნებდა, ვითარმედ ზედაცა დაესხმოდა მას ერი იგი, რაჲთა შე-ოდენ-ეხნენ. და რაოდენთა[1] აქუნდა უძლურებაჲ[2] და შეეხნეს, განიკურნებოდეს. | 10. რამეთუ მრავალთა განჰკურნებდა, ვითარმედ ზედაცა დაესხმოდა მას ერი იგი, რაჲთა შე-ოდენ-ეხნენ. და რაოდენთა აქუნდა უძლურებაჲ და შეეხნეს, განიკურნებოდეს. |
| 11. და სულები იგი არაწმიდაჲ ხედვიდეს მას და შეუვრდებოდეს მას[3], ღაღადებდეს და იტყოდეს: შენ ხარ ძჱ ღმრთისაჲ. | 11. და სულები იგი არაწმიდაჲ ხედვიდეს მას და შეუვრდებოდეს, (H 87v) ღაღადებდეს და იტყოდეს: შენ ხარ ძე ღმრთისაჲ. |
| 12. და ფრიად შეჰრისხნა მათ, რაჲთა არა გამოაცხადონ იგი. | 12. და ფრიად (I 87v) შეჰრისხნა მათ იესუ, რაჲთა არა გამოაცხადონ იგი. |
| 13. და აღვიდა მთასა და მოუწოდა, რომელთაჲ უნდა მას; და მოვიდეს მისა[4]. | 13. და აღვიდა მთასა და მოუწოდა, რომელთაჲ უნდა მას; და მოვიდეს მისა. |
| 14. და ყვნა ათორმეტნი იგი, რაჲთა იყვნენ მის თანა და წარავლინნეს იგინი ქადაგებად | 14. და ყვნა ათორმეტნი იგი, რაჲთა იყვნენ მის თანა და წარავლინნეს იგინი ქადაგებად |
| 15. და აქუნდეს მათ ჴელ(F 78r)-მწიფებაჲ განსხმად ეშმაკთა. | 15. და რაჲთა აქუნდეს ჴელმწიფებაჲ განსხმად ეშმაკთა. |
| 16. და დასდვა სახელი: სიმონს პეტრე, | 16. და დასდვა სახელებიჲ სიმონს პეტრე, |
| 17. და იაკობ ზებედესი და იოვანე[5], ძმაჲ[6] იაკობისი; და დასდვა მათ სახელები: ბანერეგეს, რომელ არს ძენი ქუხილისანი; | 17. და იაკობ ზებედესი და იოვანე, ძმაჲ იაკობისი; (K 89v) და დასდვა მათ სახელები ბანერგეს, რომელ არს: ძენი ქუხილისანი; |
| 18. და ანდრია და (G 87v) ფილიპე[7], ბართლომე და მათეოს მეზუერე[8] და თომა და იაკობ ალფესი და თადეოს და სიმონ კანანელი | 18. ანდრეა და ფილიპე, ბართლომე და მატთეოს, თომა და იაკობ ალფესი, თადეოს და სიმონ კანანელი |
| 19. და იუდა ისკარიოტელი, რომელმანცა[9] მისცა იგი. | 19. და იუდა ისკარიოტელი, რომელმანცა მისცა იგი. |
| 20. და მოვიდეს სახლსა, და შეკრბა კუალად მისა ერი, და ვერ ჴელ-ეწიფებოდა მათ ვერცა პურისა ჭამად. | 20. და მოვიდეს სახლსა, და შეკრბა კუალად მისა[1] ერი, ვიდრემდის ვერ ჴელ-ეწიფებოდა მათ ვერცაღა პურისა ჭამად. |
| 21. და ესმა მის კერძოთა და გამოვიდეს შეპყრობად მისა, რამეთუ იტყოდეს, ვითარმედ: განკრთომილ არს. | 21. და ესმა მის კერძოჲსათა და გამოვიდეს შეპყრობად მისა[1], რამეთუ იტყოდეს, ვითარმედ: განკრთომილ არს. |
| 22. და მწიგნობარნი იგი, რომელნი იერუსალჱმით შთასრულ იყვნეს, იტყო- | 22. და მწიგნობარნი იგი, რომელნი იერუსალჱმით[2] შთამოსრულ იყვნეს, |

---

[1] რაოდენთა G. [2] უძრულებაჲ G. [3] მას] — G. [4] მისსა F. [5] ი̃ნჱ G. [6] ძმაო F. [7] ფილიპჱ F. [8] მეზუერჱ G. [9] რომელმან G.

[1] მისსა K. [2] ი̃ჱლომით HI, ი̃ჱლმით K.

| FG | HIK |
|---|---|
| დეს, ვითარმედ: ბელზებული[1] მის თანა არს, და მთავრითა ეშმაკთაჲთა[2] განასხამს ეშმაკთა. | იტყოდეს, (H 86r) ვითარმედ: ბელზებული მის თანა არს, და მთავრითა ეშმაკთაჲთა განასხამს ეშმაკთა. |
| 23. და მოუწოდა მათ და იგავით ეტყოდა: ვითარ ჴელ-ეწიფების ეშმაკსა ეშმაკისა განსხმაჲ? | 23. (I 86r) და მოუწოდა მათ და იგავით ეტყოდა: ვითარ ჴელ-ეწიფების ეშმაკსა ეშმაკისა განჴდად? |
| 24. და უკუეთუ მეუფებაჲ მეუფებასა განევთას, ვერ ჴელ-ეწიფების დამტკიცებად მეუფებაჲ იგი. | 24. და უკუეთუ მეუფებაჲ მეუფებასა განევლთას, ვერ ჴელ-ეწიფების დამტკიცებად მეუფებაჲ იგი. |
| 25. და უკუეთუ სახლი სახლსა განევთას, ვერ ჴელ-ეწიფე(G 88r)ბის სახლი იგი დამტკიცებად. | 25. და უკუეთუ სახლი სახლსა განევლთას, ვერ ჴელ-ეწიფების სახლი იგი დამტკიცებად. |
| 26. და უკუეთუ ეშმაკი თავსა თჳსსა ზედა აღდგომილ არს და განყოფილ არს, (F 73v) ვერ ჴელ-ეწიფების დამტკიცებად, არამედ აღსასრული აქუს. | 26. და (K 100r) უკუეთუ ეშმაკი თავსა თჳსსა ზედა აღდგომილ არს და განყოფილ არს, ვერ ჴელ-ეწიფების დამტკიცებად. არამედ აღსასრული აქუს. |
| 27. და არცა ვის ჴელ-ეწიფების შესლვად სახლსა ძლიერისასა[3] და ჭურჭელი მისი გამოტყუენვად, არა თუ პირველად ძლიერი[4] იგი შეკრას და მაშინღა სახლი მისი გამოტყუენოს. | 27. და არცა ვის ჴელ-ეწიფების შესლვად სახლსა ძლიერისასა და ჭურჭელი მისი გამოტყუენვად[1], არა თუ პირველად ძლიერი იგი შეკრას და მაშინღა სახლი მისი გამოტყუენოს[2]. |
| 28. ამენ გეტყჳ თქუენ, ვითარმედ ყოველი მიეტეოს ძეთა კაცთა ცოდვანი და გმობანი, რავდენსაცა ჰგმობდენ. | 28. ამენ გეტყჳ თქუენ, ვითარმედ ყოველივე მიეტეოს ძეთა კაცთა ცოდვანი და გმობანი, რაოდენსაცა ჰგმობდენ; |
| 29. ხოლო რომელმან გმობაჲ თქუას სულისა წმიდისათჳს, არა აქუს მიტევებაჲ[5], არამედ თანა-მდებ არს საუკუნოჲსა საშჯელისა. | 29. ხოლო რომელმან თქუას გმობაჲ სულისა წმიდისათჳს, არა აქუს მიტევებაჲ უკუნისამდე, არამედ თანა-მდებ არს საუკუნოჲსა სასჯელისა[3]. |
| 30. რამეთუ იტყოდეს, ვითარმედ: სული არაწმიდაჲ თანა არს. | 30. რამეთუ იტყოდეს, ვითარმედ: სული არაწმიდაჲ არს მის თანა. |
| 31. და მოვიდეს ძმანი მისნი და დედაჲ მისი და გარეშე დგეს და მიუვლინეს მას და გამოჰხადოდეს[6]. | 31. (H 88v) მოვიდეს უკუე[4] ძმანი მისნი და დედაჲ მისი (I 88v) და გარეშე დგეს და მოუვლინეს მას და გამოხადოდეს. |
| 32. და სხდა გარემო მისა ერი მრავალი; და ვითარცა ჰრქუეს მას: აჰა დედაჲ შენი (G 88v) და ძმანი შენნი გარე დგანან და გელიან[7] შენ, | 32. და სხდა გარემო მისა ერი მრავალი; და ვითარცა ჰრქუეს[5] მას: აჰა დედაჲ შენი და ძმანი შენნი (K 100v) გარე დგანან და გეძიებენ შენ, |
| 33. მიუგო მათ იესუ და ჰრქუა: ვინ არს დედაჲ ჩემი ანუ ძმანი ჩემნი? | 33. მიუგო იესუ და ჰრქუა: ვინ არს დედაჲ ჩემი ანუ ძმანი ჩემნი? |

---

[1] ბერზებელ G. [2] ეშმ͞კთთა F. [3] ძრიელისასა FG. [4] ძრიელი FG. [5] მიტევებაჲ F. [6] გამოხადოდეს G. [7] გელიან] გეძიებენ G. „გელიან" იკითხება აგრეთვე ტბეთის ოთხთავშიც.

[1] გამოტყუენვად HI. [2] გამოტყუენოს HI. [3] საშჯელისა HI. [4] უკუე HIK. [5] ჰქუს I.

FG

34. და მიმოიხილა გარემო მისა[1] მოწაფეთა თჳსთა მსხდომარეთა და ჰრქუა: აჰა დედაჲ ჩემი და ძმანი ჩემნი!

35. რამეთუ რომელმან ყოს ნებაჲ ღმრთისაჲ, ესე არს ძმაჲ ჩემი და დაჲ ჩემი და დედაჲ ჩემი.

HIK

34. და მიმოიხილა გარემო მისა[1] მოწაფეთა თჳსთა მსხდომარეთა და ჰრქუა: აჰა დედაჲ ჩემი და ძმანი ჩემნი!

35. რამეთუ რომელმან ყოს ნებაჲ ღმრთისაჲ, ესე არს ძმაჲ ჩემი და დაჲ ჩემი და დედაჲ ჩემი.

## 4

FG

1. მერმე კუალად იწყო სწავ(F 74r)ლად ზღჳს-კიდესა ზედა; და[2] შეკრბა მისა ერი მრავალი, ვიდრე შესლვადმდე[3] მისა ნავად, და დაჯდა იგი ნავსა მას ზღუასა შინა; და ყოველი იგი ერი ზღჳს-კიდესა ქუეყანასა ზედა დგა.

2. და ასწავებდა მათ იგავით ფრიად და ეტყოდა მათ სწავლასა მას მისსა:

3. ისმინეთ ესე: გამოვიდა მთესვარი თესვად.

4. და იყო თესვასა მას მისსა რომელიმე დავარდა გზასა ზედა, და მოვი(G 80r)დეს მფრინველნი და შეჭამეს იგი.

5. და სხუაჲ დავარდა კლდოვანსა[4] ზედა, სადა-იგი არა იყო მიწაჲ ფრიად, და მეყსეულად აღმოსცენდა, და რამეთუ არა იყო სიღრმჱ[5] მიწისაჲ,

6. და ვითარცა მზჱ აღმოჰჴდა[6] და დასცხა[7], და რამეთუ ძირნი არა დაებნეს, განჴმა.

7. და სხუაჲ დავარდა ეკალთა შორის[8]; და აღმოსცენდეს ეკალნი და შეაშთვეს იგი, და ნაყოფი ვერ გამოიღო.

8. და სხუაჲ დავარდა კეთილსა ქუეყანასა[9] და მოსცემდა ნაყოფსა, აღმოვიდოდა და აღორძნდებოდა და მოაქუნდა ოცდაათეული, სამოცეული და ასეული.

9. და ეტყოდა: რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!

10. და ოდეს იყო იგი თჳსაგან, ჰკითხეს მას მოწაფეთა მისთა: რაჲ არს იგა(F 74v)ვი ესე?

HIK

1. მერმე კუალად იწყო სწავლად ზღჳს-კიდესა; და შეკრბა მისა[1] ერი მრავალი, ვიდრე შესლვადმდე მისა[1] ნავად, და დაჯდა იგი ნავსა მას ზღუასა შინა; და ყოველი იგი ერი ზღჳს-კიდესა ქუეყანასა ზედა დგა.

2. და ასწავებდა მათ იგავით ფრიად და ეტყოდა მათ სწავლასა მას მისსა:

3. ისმინეთ ესე: გამოვიდა მთესვარი თესვად.

4. და იყო თესვასა მას[2] მისსა რომელიმე დავარდა გზასა ზედა, მოვიდეს მფ(K 101r)რინველნი და შეჭამეს იგი.

5. და სხუაჲ დავარდა კ(H 89r)ლდოვანსა ზედა, სადა არა იყო მიწაჲ ფრიად, და მეყსეულად აღმოს(I 80r)ცენდა, და რამეთუ არა იყო სიღრმე მიწისაჲ,

6. და ვითარცა მზე აღმოჰჴდა და დასცხა, და რამეთუ ძირნი არა დაებნეს, განჴმა.

7. და სხუაჲ დავარდა ეკალთა შორის; და აღმოსცენდეს ეკალნი და შეაშთვეს იგი, და ნაყოფი ვერ გამოიღო.

8. და სხუაჲ დავარდა ქუეყანასა[3] კეთილსა და მოსცემდა ნაყოფსა, აღმოვიდოდა და აღორძნდებოდა და მოაქუნდა ოცდაათეული, სამოცეული და ასეული.

9. და ეტყოდა: რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!

10. და ოდეს იყო იგი თჳსაგან, ჰკითხეს მას მოწაფეთა მისთა: რაჲ არს იგავი ესე?

---

[1] მისსა G. [2] და] — G. [3] შესლვამდე F. [4] კლდოანსა F. [5] სღრმე F. [6] აღმოჴდა F, [7] დაცხა G. [8] შორის] შინა G. [9] ~ ქუეყანასა კეთილსა G.

[1] მისსა K. [2] მას] — K. [3] ქუჱყანასა I.

| FG | HIK |
|---|---|
| 11. ხოლო იგი ეტყოდა მათ: თქუენდა მოცემულ არს ცნობად საიდუმლოჲ იგი სასუფეველისა ღმრთისაჲ, ხოლო მათ გარეშეთა — ყოველივე იგავით სიტყუად. | 11. ხოლო იგი ეტყოდა მათ: თქუენდა მოცემულ არს ცნობად საიდუმლოჲ[1] იგი სასუფეველისა ღმრთისაჲ, ხოლო გარეშეთა მათ — ყოველივე იგავით სიტყუად. |
| 12. რაჲთა ხედვით ხედვიდენ და არა იხილონ და სმენით ესმო(G 89v)დის და ვერ გულისხმა-ყონ[1], ნუუკუე მოიქცენ და მიეტეოს მათ. | 12. რაჲთა ხედვით ხედვიდენ და არა იხილონ და სმენით ესმოდის და ვერ გულისჴმა-ყონ, ნუუკუე[2] მოიქცენ და მიეტეოს მათ ცოდვაჲ მათი. |
| 13. და ჰრქუა მათ: არა იცითა იგავი ესე? და ვითარ უკუე ყოველნი იგავნი გულისხმა-ჰყვნეთ[2]? | 13. და ჰრქუა მათ: არა იცი(**H 89v**)თა იგავი ესე? და ვითარ უკუე[3] ყოველნი იგავნი გულისჴმა-ჰყვნეთ[4]? |
| 14. რომელი-იგი სთესავს, სიტყუასა მას სთესავს. | 14. (**I 80v, K 101v**) რომელი-იგი სთესავს, სიტყუასა[5] მას სთესავს. |
| 15. ხოლო ესენი არიან, რომელნი-იგი გზასა ზედა, სადა-იგი დაეთესის სიტყუაჲ; და რაჟამს ისმინიან სიტყუაჲ იგი მისი, მოვიდის ეშმაკი და მოუღის მათ სიტყუაჲ იგი დათესული მათა[3] მიმართ. | 15. ხოლო ესენი[6] არიან, რომელნი-იგი გზასა ზედა, სადა-იგი დაეთესის სიტყუაჲ; და რაჟამს ისმინიან, მეყსეულად მოვიდის ეშმაკი და მიუღის მათ სიტყუაჲ იგი გულთაგან მათთა. |
| 16. და ესენი არიან კლდოვანსა[4] მას დათესულნი, რომელთა-იგი რაჟამს ისმინიან სიტყუაჲ, მეყსეულად სისარულით მიიღიან[5]; | 16. და ესენი არიან კლდოვანსა მას დათესულნი, რომელთა-იგი რაჟამს ისმინიან სიტყუაჲ, მეყსეულად სიხარულით მიიღიან; |
| 17. და არა უბნ ძირი მათ შორის, არამედ საწუთო[6] არიედ; და რაჟამს მოიწიის ჭირი გინა დევნულებაჲ სიტყჳსა მისთჳს, მეყსეულად დაბრკოლდიან. | 17. და რამეთუ არა უბნ ძირი მათ შორის, არამედ საწუთო არიედ; და რაჟამს მოიწიის ჭირი ანუ დევნულებაჲ სიტყჳსა მისთჳს, მეყსეულად დაჰბრკოლდიან. |
| 18. და რომელნი ეკალთა შინა დაეთესნეს, ესენი არიან, რომელთა სიტყუაჲ იგი ისმინიან, | 18. და რომელნი ეკალთა შორის დაეთესნეს, ესენი არიან, რომელთა სიტყუაჲ იგი ისმინიან, |
| 19. და ზრუნვანი ამის სოფლისანი და საცთური სიმდიდრისაჲ შეუჴდის, და შეაშთვიან სიტყუაჲ (**F 75r**) იგი, და უნაყოფო იქმნის. | 19. და ზრუნვანი ამის სოფლისანი და საცთური სიმდიდრისაჲ შეუჴდის, და შეაშთვიან სიტყუაჲ იგი, და უნაყოფო იქმნის. |
| 20. (**G 90r**) და ესენი[7] არიან, რომელნი კეთილსა ქუეყანასა დაეთესნეს, | 20. და ესენი არიან, რომელნი კეთილსა ქუეყანასა დაეთესნეს, რომელთა |

---

[1] გულისჴმა-ყონ F. [2] გულისჴმა-ჰყვნეთ F [3] მათდა F. [4] კლდოანსა F. [5] მიიხიან F [6] საწუთრო F. [7] ესენი] — FG.

[1] სჲდუმლოჲ H (=საიდუმლოჲ). [2] ნუუკუჱ HIK. [3] უკუჱ HI. [4] გულისჴმა-ჰყავნით HI. [5] სიტყუა K. [6] ესე I. „ესე" K-შიც ყოფილა თავიდანვე, მაგრამ შემდეგ „ნი" დაუმატებიათ წვრილი ნუსხურით.

| FG | HIK |
|---|---|
| რომელთა ისმინიან სიტყუაჲ იგი და შეიწყნარიან და ნაყოფი გამოიღიან ოცდაათეული და სამოცეული და ასეული. | ისმინიან სიტყუაჲ იგი და შეიწყნარიან და ნაყოფი გამოიღიან ოცდაათეული და[1] სამოცეული და ასეული. |
| 21. და ეტყოდა მათ: ნუ სანთელი მოიღიან და ჴჳმირსა ქუეშე შედგიან ანუ ცხედარსა ქუეშე დადგიან? ანუ არა სასანთლესა ზედა დადგიან? | 21. და ეტყოდა მათ: ნუ სან(H 00r)თელი მოიღიან და ჴჳმირსა ქუეშე[2] შედგიან ანუ ცხედარ(I 80r)სა ქუეშე[3] დადგიან? ანუ არა სასანთლესა ზედა დადგიან? |
| 22. რამეთუ არა არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს, არცა იყოს საიდუმლოჲ. არამედ რაჲთა განცხადებულად მოვიდეს. | 22. რამეთუ არა არს დაფარული, (K 102r) რომელი არა გამოცხადნეს, არცა იყოს საიდუმლოდ[4], არამედ რაჲთა განცხადებულად მოვიდეს. |
| 23. რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ! | 23. რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ! |
| 24. და ეტყოდა მათ: იხილეთ, რაჲ-ესე გესმის: რომლითა საწყაულითა მიუწყოთ, მოგეწყოს თქუენ და ზედა დაგერთოს თქუენ, რომელთა-ეგე გესმის. | 24. და ეტყოდა მათ: იხილეთ, რაჲ-ესე გესმის: რომლითა საწყაულითა მიეწყოთ, მოგეწყოს თქუენ და ზედა დაგერთოს თქუენ, რომელთა-ეგე გესმის. |
| 25. რომელსა აქუნდეს, მიეცეს მას; და რომელსა არა აქუნდეს და რომელღა-იგი აქუნდეს, მო-ვე-ეღოს მას. | 25. რამეთუ რომელსა აქუნდეს, მიეცეს მას, და რომელსა არა აქუნდეს[5] და რომელღა-იგი აქუნდეს, მო-ვე-ეღოს მას. |
| 26. და ეტყოდა მათ: ესრეთ არს სასუფეველი ღმრთისაჲ, ვითარცა-იგი კაცმან დასთესის თესლი ქუეყანასა | 26. და ეტყოდა მათ: ესრეთ არს სასუფეველი ღმრთისაჲ, ვითარცა-იგი კაცმან დასთესის თესლი ქუეყანასა |
| 27. (G 00v) და დაიძინის; და აღდგის ღამე და დღე[1], და თესლი იგი აღმოსცენდის და განორძნდებინ, ვითარ-იგი მან არა უწყინ, | 27. და დაიძინის; და აღდგის ღამე და დღე, და თესლი იგი აღმოსცენდის და განორძნდებინ, ვითარ-იგი მან არა უწყინ, |
| 28. რამეთუ თჳსით თავით ქუეყანაჲ ნაყოფსა გამოიღებნ: პირველად წუელი, მერმე თავი და მაშინღა სავსე იფქლი თავსა მას შინა. | 28. რამეთუ თჳსით თავით[6] ქუეყანაჲ ნაყოფსა გამოიღებს: პირველად წუელი[7], მერმე თავი, მაშინღა სავსე იფქლი თავსა მას შინა. |
| 29. და რაჟამს (F 76v) მოსცის ნაყოფი, მეყსეულად მოავლინის მანგალი, რამეთუ მოიწია მკაჲ. | 29. და რაჟამს მოსცის ნაყოფი, მეყსეულად მოა(H 00v)ვლინის მანგალი, რამეთუ მოიწია მკაჲ. |
| 30. და იტყოდა: რასა ვამსგავსოთ[2] სასუფეველი ღმრთისაჲ? ანუ რომელი იგავი მოვიღოთ[3] მისთჳს? | 30. და ეტყოდა: რასა ვამსგავსოთ[8] სასუფეველი (I 90v) ღმრთისაჲ? ანუ რომელი იგავი მოვიღოთ მისთჳს? |

---

[1] დღჱ FG. [2] ვამსგავსო FG. [3] მოვიღო F.

[1] და]—HI. [2] ქუჱშე HI. [3] ქუჱშჱ H, ქუჱშე I. [4] საჲდუმლოდ H (= საიდუმლოდ, რაც I-ს გადამწერს, რომელიც H-დან უნდა იწერდეს, ასეც გაუსწორებია, ხოლო ასოს თავზე დასმული სამი წერტილი მექანიკურად გადმოუტანია). [5] აქუს HI. [6] ~ თავით თჳსით K. [7] წუჱლი HIK. [8] ვამსგავსო K.

FG

31. ვითარცა მდოგჳსა მარცუალი[1], რომელი დაეთესის ქუეყანასა, უმცირეს არს იგი ყოველთა თესლთა, რომელნი არიან ქუეყანასა ზედა.

32. და ოდეს დაეთესის, აღმოჴდის და იქმნის იგი უფროჲს ყოველთა მხალთა და გამოიხუნის რტონი დიდ-დიდნი, ვითარმედ შესაძლებელ არნ ქუეშე საგრილსა მისსა მფრინველთა ცისათა დადგრომად.

33. და ესევითარითა იგავითა ეტყოდა მათ (G 91r) სიტყუასა, ვითარცა შემძლებელ იყვნეს იგინი სმენად.

34. და თჳნიერ იგავისა არას ეტყოდა მათ; ხოლო თჳსაგან მოწაფეთა გამოუთარგმანის იგი ყოველი.

35. მას დღესა შინა, ვითარცა შემწუხრდა, ჰრქუა მათ: წიაღვჴდეთ მიერ კერძო.

36. და დაუტევეს ერი იგი და წარიყვანეს იგი მოწაფეთა, ვითარცა იყო ნავსა მას შინა, და სხუაჲცა ნავები, რომელი იყო მის თანა.

37. და იყო მეყსეულად ბორბალი ქარისაჲ დიდი და ღელვასა მას შთაასხმიდა ნავსა, ვითარმედ აღ-ცა-ივსებოდა ნავი იგი.

38. და თავადი იყო პირით კერძო თავსა მის ნავისასა და ეძინა. და განაღჳ(F 78r)ძებდეს[2] მას და ეტყოდეს: მოძღუარ, არას ზრუნავა, რამეთუ წარვწყმდებით?

39. და აღდგა და შეჰრისხნა ქარსა მას და ზღუასა და[3] ჰრქუა: დადუმენ და დაიყავ პირი! და დასცხრა ქარი იგი, და იქმნა (G 91v) დაყუდება დიდ.

40. და ჰრქუა მათ: რაჲსა ესოდენ მოშიშ ხართ? ვითარ არა გაქუს სარწმუნოებაჲ?

41. და შეეშინა მათ შიშითა დიდითა და იტყოდეს ურთიერთას[4]: ვინ-მე არს ესე, რამეთუ ქარნიცა და ზღუაჲცა ერჩიან მას?

HIK

31. ვითარცა მდოგჳსა მარცუალი, რომელი დაეთესის ქუეყანასა, რამეთუ უმცირეს არს იგი ყოველთა თესლთა, რომელნი არიან ქუეყანასა ზედა.

32. და ოდეს დაეთ(K 102v)ესის, და აღმოჴდის და იქმნის იგი უფროჲს ყოველთა მხალთა და გამოიხუნის რტონი დიდ-დიდნი, ვითარმედ შესაძლებელ არნცა ქუეშე[1] საგრილსა მისსა მფრინველთა ცისათა დადგრომად.

33. და ესევითარითა იგავითა[2] ეტყოდა მათ სიტყუასა, ვითარცა შემძლებელ იყვნეს იგინი სმენად.

34. და თჳნიერ იგავისა არარას ეტყოდა მათ; ხოლო თჳსაგან მოწაფეთა გამოუთარგმანის იგი ყოველი[3].

35. მას დღესა შინა, ვითარცა შემწუხრდა, ჰრქუა მათ: წიაღვჴდეთ მიერ კერძო.

36. და დაუტევეს ერი იგი და წარიყვანეს იგი მოწაფეთა, ვითარცა იყო ნავსა მას შინა, და სხუაჲცა ნავები, რომელ იყო მის თანა.

37. და იყო მეყსეულად ბორბალი ქარისაჲ დიდი და ღელვასა (H 81r) მას შთაასხმიდა ნავსა, ვითარმედ აღ-ცა-ივსებოდა ნავი იგი.

38. და თავადი იყო (K 108r) პირით (I 81r) კერძო თავსა მის ნავისასა და ეძინა. და განაღჳძებდეს მას და ეტყოდეს: მოძღუარ, არას ჰზრუნავ, რამეთუ წარვწყმდებით?

39. და აღდგა და შეჰრისხნა ქარსა მას და ზღუასა და ჰრქუა: დადუმენ და პირი დაიყავ! და დასცხრა ქარი იგი, და იქმნა დაყუდება დიდ.

40. და ჰრქუა მათ: რაჲსა ესოდენ მოშიშ ხართ? ვითარ არა გაქუს სარწმუნოებაჲ?

41. და შეეშინა მათ შიშითა დიდითა და იტყოდეს ურთიერთას: ვინ-მე არს ესე, რამეთუ ქარნიცა და ზღუაჲცა ერჩიან მას?

---

[1] მარცუალსა FG. [2] განაღჳძჱბდეს G. [3] და] — G. [4] ურთიერთარს F.

[1] ქუჱ H, ქუჱშე I. [2] ესევითართა იგავთა K. [3] ~ ყოველი იგი K.

## ე̃

### FG

1. და მოვიდა წიაღ ზღუასა მას, სოფელსა მას გერგესეველთასა.

2. და ვითარცა გამოვიდა იგი ნავით, მეყსეულად მოეგებოდა მას საფლავებისაგან კაცი, რომლისა[1] თანა იყო არაწმიდაჲ სული,

3. რომელსა საყოფლადვე აქუნდა საფლავები. და არცაღა ჯაჭუებითა[2] ვის ჴელ-ეწიფა შებორკილებად იგი.

4. რამეთუ მრავალ-გზის ჯაჭჳთა და ბორკილითა შეკრულ იყო იგი და განხეთქის და შემუსრის იგი[3], და არავის ეძლო დაყენებად[4] მისა.

5. და მარადის ღამე და დღე[5] საფლავებსა და მთათა გარე იქცევინ და ღაღადებნ და დაიკოდნ[6] თავსა (G 92r) თჳსსა ლოდითა.

6. და ვითარცა იხილა მან იესუ შორით, მორბიოდა[7] და[8] თაყუანის-სცა[9] მას

7. და ღაღადებდა ჴმითა დიდითა და იტყოდა: რაჲ ძეს (F 76v) ჩუენი და შენი, იესუ, ძეო[10] ღმრთისა მაღლისაო? გაფუცებ შენ ღმერთსა, ნუ მტანჯავ მე.

8. რამეთუ ეტყოდა მას იესუ: სული ეგე არაწმიდაჲ, განვედ კაცისა მაგისგან!

9. და ჰკითხა მას: რაჲ არს სახელი შენი? და ჰრქუა მას: ლეგეონ არს სახელი ჩემი, რამეთუ მრავალ ვართ.

10. და ევედრებოდეს მას ფრიად, რაჲთა არა განასხნეს იგინი გარეშე სოფელსა.

11. და იყო მუნ კოლტი ღორთაჲ დიდძალი, მთასა გარე მძოვარი.

12. და ევედრებოდეს მას ყოველნი იგი ეშმაკნი და ეტყოდეს: მიმავლინენ ჩუენ ღორებსა იმას, რაჲთა მათა შევიდეთ.

### HIK

1. და მოვიდეს წიაღ ზღუასა მას, სოფელსა მას ღადარინელთასა.

2. და ვითარცა გამოვიდა იგი ნავით, მეყსეულად მოეგებოდა მას საფლავებისაგან კაცი, რომლისა თანა იყო არაწმიდაჲ სული,

3. რომელსა საყოფლადვე აქუნდა საფლავები და არცაღა ჯაჭუებითა[1] ვის ჴელ-ეწიფა შეკრვად იგი.

4. რამეთუ მრვალ-გზის ჯაჭჳთა და ბორკილითა შეკრულ იყო იგი და განხეთქის (H 91v) და შემუსრის, და არავის ეძლო დაყენებად მისა[2].

5. და მარადის ღამე და დღე საფლავებსა და მთათა გარე იქცევინ, (I 91v) ღაღადებნ და დაიკო(K 103v)დნ თავსა თჳსსა ლოდითა.

6. და ვითარცა იხილა მან იესუ შორით, მორბიოდა და თაყუანის-სცა,

7. ღაღადებდა ჴმითა დიდითა და იტყოდა: რაჲ ძეს ჩემი და შენი, იესუ. ძეო ღმრთისა მაღლისაო? გაფუცებ შენ ღმერთსა, ნუ მტანჯავ მე.

8. რამეთუ ეტყოდა მას იესუ: სული ეგე არაწმიდაჲ, განვედ კაცისა მაგისგან!

9. და ჰკითხა მას: რაჲ არს სახელი შენი? და ჰრქუა მას: ლეგეონ არს სახელი ჩემი, რამეთუ მრავალ ვართ.

10. და ევედრებოდა მას ფრიად, რაჲთა არა განასხნეს იგინი გარეშე სოფელსა.

11. და იყო მუნ კოლტი ღორთაჲ დიდძალი, მთასა გარე მძოვარი.

12. და ევედრებოდეს მას ყოველნი იგი[3] ეშმაკნი და ეტყოდეს: მიმავლინენ ჩუენ ღორებსა იმას, რაჲთა მათა შევ(K 104r)იდეთ.

---

[1] რ̃ლი] G. [2] ჯაჭჳთა F. [3] იგი] — G. [4] მეყენებად G. [5] ღ̃ჱ და დღჱ G. [6] და დაიკოდნ] დაიკ̃დნ F (= და დაიკოდნ). [7] მირბიოდა F. [8] და] — F. [9] თაყუანი̃სცა F. [10] ძჱო G.

[1] ჯაჭუჱბითა HI. [2] მისსა K. [3] იგინი I.

| FG | HIK |
|---|---|
| 13. და უბრძანა მათ. და განვიდა სულები იგი არაწმიდაჲ კაცისა მისგან და შევიდა ღორებსა მას. და მიჰმართა[1] კოლტმან მან ღორებისამან კბოდესა მას[2] ზღუად, რამეთუ იყვნეს (G 92v) ვითარ ორ ათას, და დაიშთვნეს ზღუასა მას შინა. | 13. და უბრძანა მათ. და განვიდა სულები იგი არაწმიდაჲ კაცისა მისგან და შევიდა ღორებსა მას. და მიიმართა კოლტმან მან ღორებისამან კბოდესა მას ზღუად. რამეთუ იყვნეს ვითარ ორ ათას, და (H 92r) დაიშთვნეს ზღუასა მას შინა. |
| 14. ხოლო მწყემსნი იგი მათნი ივლტოდეს და უთხრეს ქალაქსა და დაბნებსა. და გამოვიდეს ხილვად, რაჲ-ძი არს, რომელი-იგი იქმნა. | 14. ხოლო მწყემსნი იგი მათნი ივლტოდეს და უთხრეს ქალაქსა და დაბნებსა. და გამოვიდეს (I 92r) ხილვად, რაჲ-ძი არს, რომელი-იგი იქმნა. |
| 15. და მოვიდეს იესუჲსა[3] და იხილეს ეშმაკეული იგი მჯდომარჱ[4], შემოსილი და გონიერი, რომლისა-იგი თანა[5] ყოფილ იყო ლეგეონი, და შეეშინა. | 15. და მოვიდეს იესუჲსა[1] და იხილეს ეშმაკეული იგი მჯდომარჱ, შემოსილი და გონიერი, რომლისა თანა-იგი ყოფილ იყო ლეგეონი, და შეეშინა. |
| 16. და უთხრობდეს მათ, რომელთა-იგი ეხილვა, ვითარ-იგი იქმნა ეშმაკეულისა მისთჳს და ღო(F 77r)რებისა მისთჳს. | 16. და უთხრობდეს მათ, რომელთა-იგი ეხილვა, ვითარ-იგი იქმნა ეშმაკეულისა მისთჳს და ღორებისა მისთჳს. |
| 17. და ევედრებოდეს მას, რაჲთა წარვიდეს საზღვართა მათთაგან. | 17. და ევედრებოდეს მას, რაჲთა წარვიდეს საზღვართა მათთაგან. |
| 18. და აღ-რაჲ-ვიდა იესუ ნავსა, ევედრებოდა მას, რომელი-იგი იყო პირველ ეშმაკეულ[6], რაჲთა მის თანა იყოს. | 18. და აღ-რაჲ-ვიდა იესუ ნავსა, ევედრებოდა მას, რომელი-იგი იყო პირველ ეშმაკეული, რაჲთა მის თანა იყოს. |
| 19. და არა უტევა იგი, არამედ ჰრქუა მას: წარვედ სახედ[7] შენდა თჳსთა შენთა და უთხარ მათ, რაოდენი გიყო შენ უფალმან და შეგიწყალა შენ. | 19. და არა უტევა იგი, არამედ ჰრქუა მას: წარვედ სახიდ შენდა თჳსთა შენთა თანა და უთხარ მათ, რაოდენი გიყო შენ უფალმან და შეგიწყალა. |
| 20. და[8] წარვიდა იგი და იწყო ქადაგებად[9] ათქალაქთა მათ[10], (G 93r) რაოდენი უყო მას იესუ; და უკჳრდა ყოველთა[11]. | 20. და წარვიდა იგი და იწყო ქადაგებად ათქალაქსა მას, რაოდენი უყო მას იესუ; და ყოველთა უკჳრდა. |
| 21. და წიაღ-რაჲ-ჴდა ჴუალად იესუ მიერ კერძო, შეკრბა ერი დიდძალი მისა[12]. და იყო ზღჳს-კიდესა. | 21. (K 104v) და წიაღჴდა რაჲ ჴუალად იესუ მიერ კერძო, შეკრბა მისა[2] ერი დიდძალი. და იყო ზღჳს-კიდესა. |
| 22. და აჰა მო-ვინმე-ვიდა მისა ერთი შესაკრებლის-მთავარი[13], სახელი მისი იაიროს; და იხილა იგი და შეუვრდა ფერჴთა მისთა | 22. (H 92v) და აჰა მო-ვინმე-ვიდა მისა[2] ერთი შესაკრებლის-მთავარი, სახელი მისი იაროს; იხილა იგი და შეუვრდა ფერჴთა მის(I 92v)თა |
| 23. და ევედრებოდა მას ფრიად და ეტყოდა, ვითარმედ: ასული ჩემი აღეს- | 23. და ევედრებოდა მას ფრიად და ეტყოდა, ვითარმედ: ასული ჩემი აღეს- |

---

[1] მიიმართა G. [2] მას] — F. [3] იჳსა F. [4] მჯდომარე F. [5] რომლისა თანა-იგი G. [6] ეშმაკეული F. [7] სახიდ G. [8] და] — F. [9] ქადაგებდ G (უქარაგმოდ). [10] ათქალაქსა მას G. [11] ∼ ყოველთა უკჳრდა G. [12] მისა] — F. [13] შესაკრებელის-მთავარი G.

[1] იესუჲსსა K. [2] მისსა K.

| FG | HIK |
|---|---|
| რულების, რაჲთა მოხჳდე და დაასხნე ჴელნი მას, და განერეს[1] და ცხოვნდეს[2]. | რულების, რაჲთა მოხჳდე და დაასხნე ჴელნი მას[1] ზედა, და განერეს და ცხოვნდეს[2]. |
| 24. და წარვიდა იესუ მის თანა. და მისდევდა მას ერი მრავალი და შეაურვებდა მას. | 24. და წარვიდა იესუ მის თანა. და მისდევდა მას ერი მრავალი და შეაურვებდეს მას. |
| 25. და დედაკაცი იყო მუნ, რომელი იყო წყაროჲთა სისხლისაჲთა[3] გუემულ ათორმეტ წელ. | 25. და დედაკაცი ვინმე იყო მუნ, რომელი იყო წყაროჲთა სისხლისაჲთა გუემულ[3] ათორმეტ წელ. |
| 26. და ფრიად ვნებულ იყო მრავალთაგან მკურნალთა და წარაგო ყოველი მონაგები თჳსი[4], და არარაჲ სარგებელ ეყო, არამედ უფროჲსად უძჳრესსა[5] მოვიდა. | 26. და ფრიად ვნებულ იყო იგი მრავალთაგან მკურნალთა და წარეგო ყოველივე მისი, და არარაჲ სარგებელ ეყო, არამედ უფროჲსად უძჳრესად მოვიდა. |
| 27. და ვითარცა ესმა (F 77ზ) იესუჲსთჳს[6], მოუჴდა (G 93ზ) მას ერისა მას შორის ზურგით კერძო და შეახო სამოსელსა[7] მისსა, | 27. და ვითარცა ესმა (K 105პ) იესუჲსთჳს, მოუჴდა მას ერსა მას შორის ზურგით კერძო და შეახო სამოსელსა მისსა, |
| 28. რამეთუ იტყოდა გულსა თჳსსა: დაღათუ სამოსელსა[7] ოდენ მისსა შევახო, ვცხოვნდე[8]. | 28. რამეთუ იტყოდა გულსა შინა თჳსსა: დაღათუ სამოსელსა ოდენ მისსა შევეხო, ვცხონდე. |
| 29. და ვითარცა შეახო[9], მეყსეულად განჴმა წყაროჲ იგი სისხლისაჲ მის, და ცნა ჴორცთაგან, რამეთუ განიკურნა გუემულებისაგან. | 29. და ვითარცა შეეხო, მეყსეულად განჴმა წყაროჲ იგი სისხლისაჲ მის, და ცნა ჴორცთა(H 93პ)გან, რამეთუ განიკურნა გუემულებისაგან[4]. |
| 30. ხოლო იესუ გულისხმა-ყო[10] თავით თჳსით განსრული იგი ძალი მისგან, მოიქცა ერისა მის და ჰრქუა: ვინ შემახო სამოსელსა[7] ჩემსა? | 30. ხოლო იესუ გულისჴმა-ყო მეყსეულად თავით თჳსით განსრული იგი ძალი მისგან. მოიქცა ერისა მის და თქუა: ვინ შემახო (I 98პ) სამოსელსა ჩემსა? |
| 31. ხოლო მოწაფენი მისნი ეტყოდეს მას: ხედავ ერსა ამას, რამეთუ შეგაჰირვებენ შენ, და შენ იტყჳ: ვინ შემახო მე? | 31. ხოლო მოწაფენი მისნი ეტყოდეს მას: ხედავ ერსა ამას, რამეთუ შეგაჰირვებენ შენ, და შენ იტყჳ: ვინ შემახო მე? |
| 32. და მიმოხედვიდა, რაჲთა იხილოს, რომელმან ესე ყო. | 32. და მიმოხედვიდა, რაჲთა იხილოს, რომელმან ესე ყო. |
| 33. ხოლო დედაკაცსა მას შეეშინა და ძრწოდა[11], უწყოდა, რაჲ-იგი იქმნა მის ზედა, მოვიდა და შეუვრდა მას და უთხრა მას ყოველივე ბრალი. | 33. ხოლო დედაკაცსა მას შეეშინა და ძრწოდა, უწყოდა, რაჲ-იგი იქმნა მის ზედა, მოვიდა და შეუვრდა მას და უთხრა მას ყოველივე ჭეშმარიტი. |

---

[1] გ̃ნერს G. [2] ცხონდეს F. [3] სისხლი̃სთა F. [4] ყოველი მონაგები თჳსი] ყოველივე მისი G. [5] უძჳრესა FG. [6] ი̃ჳსთჳს F. [7] სამუსელსა F. [8] ვცხონდე F. [9] შახო G. [10] გულისჳმა-ყო F. [11] ძწოდა F.

[1] K-ს გადამწერს ჯერ მის დაუწერია, მაგრამ მერმე ი-ს ზემოთ ა დაუმატებია (- მას). [2] ცხონ-დეს HI. [3] გუმეულ H. [4] გუმეულებისაგან HI.

## FG

34. ხოლო თავადმან ჰრქუა მას: ასულო, სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ, წარვედ სახედ[1] შენდა მშჳდობით (G 94ⴐ) და იყავ შენ ცოცხალ გუემულებისაგან შენისა.

35. და ვითარ იგი ამას იტყოდა, მოვიდეს შესაკრებლის-მთავრისანი[2] მის და ეტყოდეს: ასული შენი აღესრულა, რაჲსაღა აშრომებ მოძღუარსა?

36. ხოლო იესუს ვითარ ესმნეს[3] სიტყუანი ესე, რომელსა ეტყოდეს, ჰრქუა შესაკრებელთ-მთავარსა (F 78ⴐ) მას: ნუ გეშინინ, გარნა გრწმენინ ხოლო.

37. და არავინ უტევა მიდევნებად მის თანა, გარნა პეტრე და იაკობ და იოვანე[4], ძმაჲ იაკობისი.

38. და მოვიდეს სახლსა მას შესაკრებელთ-მთავრისასა და იხილეს შფოთი და ტირილი და ღაღადებაჲ ფრიადი.

39. და შევიდა და ჰრქუა მათ: რაჲსა აღშფოთებულ ხართ და სტირთ? ყრმაჲ ეგე არა მომკუდარ არს, არამედ სძინავს.

40. და იგინი ჰბასრობდეს მას. ხოლო თავადმან გამოასხა ყოველი იგი შფოთი და მიიყვანა[6] მამაჲ მის ყრმისაჲ და დედაჲ და მისნი მოწაფენი (G 94ⴅ) და შევიდა, სადა-იგი[7] იდვა მკუდარი იგი ყრმაჲ.

41. და უპყრა ჴელი ყრმისაჲ მის და ჰრქუა მას[7]: ტალითა კუმი! რომელ არს თარგმანებაჲ: შენ გეტყჳ, ყრმაო, აღდეგ!

42. და მეყსეულად აღდგა ქალი იგი და იწყო სლვად, რამეთუ იყო იგი[8] ათორმეტის წლის ოდენ. და განუკჳრდებოდა მათ განკჳრვებითა დიდითა ფრიად.

43. და ამცნებდა მათ ფრიად, რაჲთა არავინ აგრძნას ესე, და უბრძანა მათ, რაჲთა სცენ მას ჭამადი.

## HIK

34. ხოლო თავადმან ჰრქუა მას: ასულო, სარწმუნოებამან შენმან გაცხო(K 105ⴅ)ვნა შენ, წარვედ მშჳდობით და იყავ შენ ცოცხალ გუემულებისაგან[1] შენისა.

35. და ვითარ იგი ამას იტყოდა, მოვიდეს შესაკრებელის-მთავრისანი მის და ეტყოდეს: ასული შენი აღესრულა, რაჲსაღა აშრომებ[2] მოძღუარსა?

36. ხოლო იესუს ვითარ ესმნეს სიტყუანი ესე, რომელსა ეტყოდეს, ჰრქუა შესაკრებელთ-მთავარსა მას: ნუ გეშინინ, გარნა გრწმენინ ხოლო.

37. და არავინ უტევა მიდევნებად (H 93ⴅ) მის თანა, გარნა პეტრე და იაკობ და იოვანე, ძმაჲ იაკობისი.

38. და მოვიდა სახლსა მას შესაკრებელთ-მთავრისასა და იხილა შფოთი და ტირილი და ღაღადებაჲ ფრიადი.

39. და (I 93ⴅ) შევიდა და ჰრქუა მათ: რაჲსა აღშფოთებულ ხართ და სტირთ? ყრმაჲ ეგე არა მომკუდარ არს, არამედ სძინავს.

40. და იგინი ჰბასრობდეს მას. ხოლო თავადმან გამოასხა ყოველი იგი შფოთი და მიიყვანა[3] მამაჲ მის ყრმისაჲ და დედაჲ და მოწაფენი მისნი და შევიდა, სადა-იგი იდვა მკუდარი იგი ყრმაჲ.

41. და უპყრა ჴელი ყრმისაჲ მის და ჰრქუა მას: ტალითა კუმი! რომელ არს თარგმანებით: შენ გეტყჳ, ყრმაო, აღდეგ!

42. და მეყსეულად აღდგა ქალი იგი და იწყო სლ(K 106ⴐ)ვად, რამეთუ იყო იგი ათორმეტის წლის ოდენ. და განუკჳრდებოდა მათ განკჳრვებითა დიდითა ფრიად.

43. და ამცნებდა მათ ფრიად, რაჲთა არავინ აგრძნას ესე, და უბრძანა მათ, რაჲთა სცენ მას ჭამადი.

---

[1] სახიდ G. [2] შესაკრებელის-მთავერისანი G. [3] ესმეს G. [4] ი̃ნე G. [5] მოიყვანა F. [6] სადა F. [7] მას] — F. [8] იგი] — F.

[1] გუშელებისაგან HI. [2] აშრომებ] აშრობ K. [3] მოიყვანა K.

# 6

| FG | HIK |
|---|---|
| 1. და გამოვიდა მიერ და მოვიდა თჳსა მამულად, და მოსდევდეს მას მოწაფენი მისნი. | 1. და გამოვიდა მიერ და მოვიდა თჳსა[1] მამულად, და მოსდევდეს მას მოწაფენი მისნი. |
| 2. და იყო შაბათი, და იწყო (F 78v) შესაკრებელსა მათსა[1] სწავლად მათა. და მრავალთა, რომელთა ესმოდა, განუკჳრდებოდა და იტყოდეს: ვინაჲ არს ესე ამისა? ანუ რაჲ არს სიბრძნე ესე მოცემული ამისა, და ძალი ესოდენი, ჴელთაგან ამისთა რომელნი იქმნებიან[2]? | 2. და იყო შაბათი, და იწყო (H 94r) შესაკრებელსა მათსა სწავლად მათა[2]. და მრავალთა, რომელთა ესმოდა, განუკჳრდებოდა და იტყოდეს: ვინაჲ არს ესე ამი(I 94r)სა[3]? ანუ რაჲ არს სიბრძნე ესე მოცემული ამისა[3], და ძალნი ესოდენნი, ჴელთაგან ამისთა რომელნი იქმნებიან[4]? |
| 3. (G 95r) ანუ არა ესე არს ხუროჲსაჲ მის და ძჱ მარიამისი, ძმაჲ იაკობისი და იოსებისი, იუდაჲსი[3] და სიმონისი, და დანი მისნი ყოველნი ჩუენ თანა არიან? და დაბრკოლდებოდეს[4] მისა მიმართ. | 3. ანუ არა ესე არსა ხუროჲსაჲ[5] მის და ძე მარიამისი და ძმაჲ იაკობისი და იოსესი, იუდაჲსი და სიმონისი, და დანი მისნი ყოველნი ჩუენ თანა არიან? და დაჰბრკოლდებოდეს[6] მისა[7] მიმართ. |
| 4. ხოლო იესუ ეტყოდა: არა არს წინაწარმეტყუელი შეურაცხ, გარნა თჳსსა სოფელსა და ნათესავთა შორის მისთა და სახლსა შინა თჳსსა. | 4. ხოლო იესუ ეტყოდა: არა არს წინაწარმეტყუელი (K 108v) შეურაცხ, გარნა თჳსსა სოფელსა და ნათესავთა შორის მისთა და სახლსა შინა თჳსსა. |
| 5. და არა ქმნა მუნ ძალი არცა ერთი, გარნა მცირედთა სნეულთა ჴელი დასდვა და განკურნნა[5] იგინი. | 5. და არა ქმნა მუნ ძალი არცა ერთი, გარნა მცირედთა სნეულთა ჴელი დასდვა და განკურნნა იგინი. |
| 6. და დაუკჳრდა ურწმუნოებაჲ იგი მათი. და მიმოიქცეოდა გარემო სოფლებსა მას და ასწავებდა მათ. | 6. და დაუკჳრდა ურწმუნოებაჲ იგი მათი და მიმოიქცეოდა გარემო სოფლებსა[8] მას და ასწავებდა მათ. |
| 7. და მოუწოდა ათორმეტთა მათ და იწყო წარვლინებად მათა ორ-ორისა და მისცემდა მათ ჴელმწიფებასა სულთა ზედა არაწმიდათა. | 7. და მოუწოდა ათორმეტთა მათ და იწყო წარვლინებად მათა[8] ორ-ორისა და მისცემდა ჴელმწიფებასა სულთა ზედა არაწმიდათა. |
| 8. და ამცნებდა მათ[6], რაჲთა არარაჲ მიიღონ გზასა ზედა, გარნა კუერთხი ხოლოჲ ნუცა ვაშკარანი, ნუცა პური, ნუ(G 95v)ცა სარტყელსა[7] რვალი. | 8. და ამცნებდა მათ, რაჲთა არარაჲ მიიღონ გზა(H 94v)სა ზედა, გარნა კუერთხი[9] ხოლო: ნუცა ვაშკარანი, ნუცა პური, ნუცა სარტყელსა რვალი. |
| 9. და რაჲთა ესხნენ ს(F 79r)ანდალნი, და ნუცა შემოსად ორი სამოსელი[8]. | 9. და რაჲთა (I 94v) ესხნენ სანდალნი. და ნუცა შემოსად ორი სამოსელი. |

---

[1] შესაკრებელთა მათთა F. [2] რომელნი იქმნებიან] — F. ხელნაწერში „ამისთას“ შემდეგ გაკეთებულია კვადრატული ფრჩხილები [ ], რომელშიც რაღაც გაურკვეველი ნიშანია, რომელიც შეიძლება სწორედ ამ დაკლებას და ნაკლულის დამატების საჭიროებას უჩვენებდეს. [3] იოდაჲსი G. [4] დაბრკოლდეს G. [5] განკურნა F. [6] მათ] — F. [7] სარტყელთა G. [8] სამესელი F.

[1] თჳსად K. [2] მათდა K. [3] ამისსა K. [4] ~ ჴელთაგან რ῀ნი იქმნებიან ამისთა K. გადამწერს შეცდომა შეუმჩნევია და სიტყვებზე ნომრების დასმით რიგი გაუსწორებია. [5] ხუროჲსა HI. [6] დაბრკოლდებოდეს HI. [7] მისსა K. [8] სოფ῀ლსა H, სფ῀ლსა I. [9] კუჱრთხი HI.

FG

10. და ეტყოდა მათ: ვიდრეცა შეხკდეთ სახლსა, მუნ დაადგერით, ვიდრე მიერ გამოსლვადმდე[1].

11. და რავდენთა[2] არა შეგიწყნარნენ თქუენ და[3] არცა ისმინონ თქუენი, ვამო-რაჲ-ხვდოდით მიერ, განიყარეთ მტუერი ფერჴთაგან თქუენთა საწამებელად მათა[4].

12. და გამოვიდეს და ქადაგებდეს, რაჲთა შეინანონ.

13. და ეშმაკნი მრავალნი განასხნეს და სცხებდეს ზეთსა მრავალთა სნეულთა, და განიკურნებოდეს.

14. და ესმა ჰეროდეს მეფესა, რამეთუ განცხადნა სახელი მისი, და იტყოდეს, ვითარმედ: იოვანე[5] ნათლის-მცემელი მკუდრეთით აღდგომილ არს, და მისთჳს იქმნებიან ძალნი მის თანა.

15. და სხუანი იტყოდეს, ვითარმედ: ელია არს; ხოლო სხუანი იტყოდეს, ვითარმედ[6]: წინაწარმეტყუელი არს გინა ერთი წინაწარმეტყუელთაგანი პირველთაჲ.

16. ესმა რაჲ ჰეროდეს, თქუა, ვითარმედ: რომელსა მე თავი მოვჰკუეთე იოვანეს[7], იგი აღდგომილ არს[8].

17. (G 98r) რამეთუ ამან ჰეროდე მიავლინა და შეიპყრა იოვანე[5] და[9] შებორკილა იგი და შესუა საპყრობილედ ჰეროდიადაჲსთჳს[10], ცოლისა ფილიპესა[11], ძმისა მისისა, რამეთუ იგი შეერთო ცოლად.

18. და ეტყოდა იოვანე[5] ჰეროდეს, ვითარმედ: არა ჯერ-არს შენდა, ვითარმცა ცოლად გესუა ძმის-ცოლი შენი.

HIK

10. და ეტყოდა მათ: ვიდრეცა შეხკდეთ სახლსა, მუნ დაადგერით, ვიდრე მიერ გამოსლვადმდე.

11. (K 107r) და რაოდენთა[1] არა შეგიწყნარნენ თქუენ და არცა ისმინონ თქუენი, გამო-რაჲ-ხვდოდით მიერ, განიყარეთ მტუერი[2] ფერჴთაგან თქუენთა საწამებელად მათა[3]. ამენ გეტყჳ თქუენ: უმოლხინეს იყოს სოდომისა და გომორისა დღესა მას სასჯელისასა[4], ვიდრე ქალაქისა მის.

12. და გამოვიდეს და ქადაგებდეს, რაჲთა შეინანონ.

13. და ეშმაკნი მრავალნი განასხნეს და სცხებდეს ზეთსა მრავალთა სნეულთა და განჰკურნებდეს.

14. და ესმა ჰეროდეს მეფესა, რამეთუ განცხადნა სახელი მისი, და იტყოდა, ვითარმედ: იოვანე ნათლის-მცემელი მკუდრეთით აღდგომილ არს, და მისთჳს იქმნებიან ძალნი მის თანა.

15. და სხუანი იტყოდეს: ელია არს გინა ვითარცა ერთი წინაწარმეტყუელთაგანი პირველთაჲ.

16. ესმა რაჲ ჰე(H 95r)როდეს, თქუა, ვითარმედ: რომელსა მე თავი მოვჰკუეთე[5] იოვანეს, იგი აღდგომილ არს მკუდრეთით.

17. რამეთუ ამან ჰეროდე მიავლინა და შეიპყრა (I 95r) იოვანე და[6] შებორკილა იგი და შესუა საპყრობილედ ჰეროდიადაჲსთჳს, ცოლისა ფილიპესა[7], ძმისა მისისა, რამეთუ იგი შეირთო ცოლად.

18. რამეთუ ეტყოდა იოვანე ჰეროდეს, ვითარმედ: არა ჯერ-არს შენდა, ვითარმცა ცოლად გესუა ძმის-ცოლი შენი.

---

[1] გამოსლვამდე F. [2] რავდენთა] რომელთა F. [3] და] — F. [4] მათდა F. [5] ი̃ნე G. [6] ვითარმედ... ვითარმედ] — G. ეს ადგილი პირველად არც F-ს ჰქონია, მაგრამ შემდეგ დაუმატებიათ ხაზებს შორის და არშიაზე. [7] ი̃ნეს G. [8] არსა G. [9] და] — G. [10] ჰეროდიასთჳს F. [11] ფილიპესსა F.

[1] რავოდენთა HI. [2] მტჳერი HI. [3] მათდა K. [4] სამჯელისასა HI. [5] მოვკუეთე HI. [6] და] — HI. [7] ფილიპესსა K.

| FG | HIK |
|---|---|
| 19. ხოლო ჰეროდიადას გულსა[1] (F 79ⴁ) დაედვა მისთჳს და უნდა მოკლვაჲ მისი და ვერარაჲ[2] ჴელ-იწიფა. | 19. ხოლო ჰეროდ(K 107ⴁ)იას გულსა დაედვა მისთჳს და უნდა მოკლევაჲ მისი და ვერ ჴელ-ეწიფა. |
| 20. რამეთუ ჰეროდეს ეშინოდა იოვანესა[3] და[4] იცოდა იგი, რამეთუ კაცი მართალი და წმიდაჲ არს, და სცვიდა მას და ისმინის მისი და მრავალსა პატივსა უყოფდა და ჯეროვნად ისმენდა მისსა. | 20. რამეთუ ჰეროდეს ეშინოდა იოვანესა[1] და იცოდა იგი, რამეთუ კაცი მართალი და წმიდაჲ არს, და სცვიდა მას და ისმინის მისი და მრავალსა პატივსა უყოფდა და ჯეროვნად ისმენდა მისსა. |
| 21. და ვითარცა იყო დღჱ[5] მარჯუე, ოდეს ჰეროდე ქამსა შობისა მისისასა[6] სერი უმზადა მთავართა მისთა[7] და ასისთავთა მისთა და აზნაურთა გალილეაჲსათა[8], | 21. და ვითარცა იყო დღე მარჯუჱ[2], ოდეს ჰეროდე ქამსა შობისა მისისასა სერი უმზადა მთავართა მისთა და ათასისთავთა მისთა და აზნაურთა გალილეაჲსათა, |
| 22. და შევიდა ასული იგი[9] ჰეროდიადაჲსი და როკვიდა; და სთნდა ჰეროდეს და მის თანა მეინაჴეთა. და ჰრქუა ჰეროდე მეფემან (G 98ⴁ) ქალსა მას: მთხოვე მე, რაჲცა გნებავს, და მიგცე შენ, | 22. და შევიდა ასული ჰეროდიაჲსი და როკვიდა; და სთნდა ჰეროდეს და მის თანა მეინაჴეთა. და ჰრქუა ჰეროდე მეფემან ქა(H 95ⴁ)ლსა მას: მთხოვე, რაჲცა გნებავს, და მიგცე შენ. |
| 23. ვიდრე ზოგისამდე სამეუფოჲსა ჩემისა. | 23. და ეფუცა მას, ვითარმედ: რაჲცა ითხოო[3], მიგცე შენ, ვიდრე ზოგადმდე მეფობისა ჩემისა. |
| 24. ხოლო იგი გამოვიდა და ჰკითხა დედასა თჳსსა, ვითარმედ: რაჲ ვითხოვო[10]? ხოლო მან ჰრქუა მას: თავი იოვანე[11] ნათლის-მცემელისაჲ. | 24. (I 95ⴁ) ხოლო იგი გამოვიდა და ჰკითხა დედასა თჳსსა, ვითარმედ: რაჲ ვითხოო? ხოლო მან ჰრქუა მას: თავი იოვანე ნათლის-მცემელისაჲ. |
| 25. და შევიდა ქალი იგი მწრაფლ[12] მეფისა და ჰრქუა: მნებავს, რაჲთა აწვე მომცე მე[13] ლანკლითა[14] თავი იოვანე[11] ნათლის-მცემელისაჲ. | 25. და შევიდა ქალი იგი მსწრაფლ მეფისა და ჰრქუა: მნებავს, რაჲთა აწვე მომცე მე[4] ლაკნითა თავი იოვანე ნათლის-მცემელისაჲ. |
| 26. და მწუხარე იქმნა ჰეროდე მეფჱ, ხოლო ფიცისა მისთჳს და მის თანა მეინაჴთა არა ინება შეურაცხებაჲ ქა(F 80ⴀ)ლისაჲ მის. | 26. და მწუხარე იქმნა ჰეროდე მეფე, ხოლო ფიცისა მისთჳს და მის თანა მეინაჴეთა არა ინება შეურაცხ-ყოფაჲ ქალისაჲ მის. |
| 27. და მეყსეულად წარავლინა მეჴრმლჱ[15] მისი და უბრძანა მოღებად თავი მისი. | 27. და მეყსეულად წარავლინა მეჴრმლე მისი და უბრძანა მოღ(K 108ⴀ)ებად თავი მისი. |
| 28. და წარვიდა და მოჰკუეთა თავი საპყრობილესა შინა და მოიღო თავი მისი ფეშხუემითა[16] და მისცა ქალსა მას, | 28. ხოლო იგი წარვიდა და მოჰკუეთა[5] თავი საპყრობილესა შინა და მოიღო თავი მისი ფეშხუენითა[6] და მისცა |

---

[1] გულსა] გულსა F. [2] ვერაჲ F. [3] ი῀ნჱსა G. [4] და] — F. [5] დღე F. [6] მისისა G. [7] თჳსთა F. [8] გლლ῀სთა F, გალილიაჲსათა G. [9] იგი] — F. [10] ვითხოო F. [11] ი῀ნჱსი G. [12] მსწრაფლ F. [13] მე] — F. [14] ლაკნითა G. [15] მეჴრმლე F. [16] ფეშხუენითა G.

[1] იოვანესსა K. [2] მარჯუე K. [3] ითხოო K. [4] მე] — HI. [5] მოჰკუჱთა HIK. [6] ფეშხუჱნითა HI.

FG

და ქალმან მან მიართუა[1] დედასა თჳსსა[2].

29. და ესმა მისი[3] მოწაფეთა მისთა და მოვიდეს და შემოსეს გუამი მისი და დაჰფლეს საფლავსა.

30. (G 97r) და მოვიდეს და შემოკრბეს მოციქულნი იესუჲსა[4] და უთხრეს მას ყოველი, რავდენი ქმნეს და ასწავეს.

31. და ჰრქუა მათ იესუ: მოვედით თქუენ თჳსაგან უდაბნოსა ადგილსა და განისუენეთ მცირედ. რამეთუ იყვნეს მომავალნი და წარმავალნი მრავალ და არცალა პურისა ჭამად აცალებდეს.

32. და წარვიდეს უდაბნოსა ადგილსა ნავითა თჳსაგან.

33. და იხილა იგი ერმან მან, წარ-ლა-ვიდოდეს, და გულისხმა-ყვეს[5] მრავალთა, და მკჳრცხლ ყოვლისაგან ქალაქებისა შეკრბა მუნ და მოვიდეს მათა[6].

34. და გამოვიდა იესუ და იხილა ერი მრავალი და შეეწყალნეს იგინი, რამეთუ იყვნეს, ვითარცა ცხოვარნი, რომელთა არა აქუნ მწყემსი. და იწყო სწავლად მათა[7] ფრიად.

35. და ვითარ მრავალი ჟამი წარსრულ იყო, მოუჴდეს მას მოწ(F 80v)აფენი მისნი და ეტყოდეს მას, (G 07v) ვითარმედ: უდაბნო არს ადგილი ესე, და ჟამი არსლა ფრიად.

36. განუტევე ერი ესე, რაჲთა წარვიდენ გარემო სოფლებსა და[8] სანახებსა და იყიდონ თავისა მათისა, რაჲ-იგი ჭამონ.

37. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: ეცით თქუენ მაგათ[9] ჭამადი. ხოლო მათ ჰრქუეს მას[10]: წარვიდეთ და

HIK

ქალსა მას, და ქალმან მან მიართუა დედასა თჳსსა.

29. და ესმა მოწაფეთა მისთა, მოვიდეს და შემოსეს[1] გუამი მისი და დაჰფლეს საფლავსა.

30. და მოვიდეს და შემოკრბეს მოციქულნი იესუჲსა[2] და უთხრეს მას ყოველი, რაოდენი ქმნეს და ასწავეს.

31. (H 00r) და ჰრქუა მათ იესუ: მოვედით თქუენ თჳსაგან უდაბნოსა ადგილსა და განისუენეთ[3] მცირედ. რამეთუ იყვნეს მომავალნი და წარმა(I 08r)ვალნი მრავალ და არცალა პურისა ჭამად აცალებდეს.

32. და წარვიდეს უდაბნოსა ადგილსა ნავითა თჳსაგან.

33. და იხილა ერმან მან, წარ-ლა-ვიდოდეს, და გულისჴმა-ყვეს მრავალთა, და მკჳრცხლ ყოვლისაგან ქალაქებისა შეკრბა მუნ და მოვი(K 108v)დეს მათა[4].

34. და გამოვიდა იესუ და იხილა ერი მრავალი და შეეწყალნეს იგინი, რამეთუ იყვნეს, ვითარცა ცხოვარნი, რომელთა არა[5] აქუნ[6] მწყემსი. და იწყო სწავლად მათდა ფრიად.

35. და ვითარ მრავალი ჟამი წარსრულ იყო, მოვიდეს მოწაფენი მისნი და ეტყოდეს მას, ვითარმედ: უდაბნო არს ადგილი ესე, და ჟამი არსლა ფრიად.

36. განუტევე ერი ესე, რაჲთა წარვიდენ გარემო სოფლებსა და სანახებსა და იყიდონ თავისა მათისა საზრდელი, რამეთუ რაჲმცა ჭამეს, არა[7] აქუს.

37. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: ეცით თქუენ მაგათ ჭამადი. ხოლო მათ ჰრქუეს[8] მას: წარვიდეთ და

---

[1] მიართუა] მისცა F. [2] თჳსა F. [3] მისი] — F. [4] ი̄ჳსა F. [5] გულისჴმა-ყვეს F. [6] მათდა F. [7] მათა] — F. [8] სოფლებსა და] — FG. ბერძნულში არის ორივე: *εἰς τοὺς κύκλῳ ἀγροὺς καὶ κώμας*. ასევეა ქართულშიც სხვაგან: დაბნებსა და სანახებსა DE, აგარაკებსა და დაბნებსა C, სოფლებსა და სანახებსა HIK. [9] ~ მაგათ თქუენ F. [10] მას] — F

[1] მოსეს I. [2] იესუჲსსა K. [3] განისუჱნეთ HI. [4] მათდა K. [5] K-ში „არა" მერმეა ზემოდან დამატებული, ახლა ოდნავ ჩანს. [6] აქუს K. [7] არაჲ K. [8] ჰქ̄ჳს I.

FG

ვიყიდოთ ორასისა დრაჰკნისა პური და ვსცეთ მაგათ[1] ჭამადი.

38. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: რავდენი გაქუს პური? მივედით და იხილეთ. და იხილეს და ჰრქუეს: ხუთი პური და ორი თევზი.

39. და უბრძანა მან დასხდომაჲ მათ ყოველთაჲ პურისმტედ-პურისმტედ მწუანვილსა[2] ზედა თივასა[3].

40. და დასხდა მწყობრად-მწყობრად ას-ასი და ერგასის-ერგასისი.

41. და მოიღო ხუთი იგი პური და ორი თევზი და აღიხილნა ზეცად და აკურთხა და დამუსრა პური იგი და მისცემდა მოწაფეთა თჳსთა, რაჲთა დაუგონ მათ; და ორი იგი თევზი ეგრევე განუყო ყოველთა.

42. და ჭამეს (G 98r) ყოველთა და განძღეს.

43. და აღიღეს ნეშტი ნამუსრევი ათორმეტი გოდორი სავსებით; და თევზისა მისგანიცა.

44. და იყვნეს, რავდენთა-იგი ჭამეს, ვითარ ხუთ ათას ოდენ[4] კაცნი.

45. და მეყსეულად აწუევდა მოწაფეთა შესლვად ნა(F 81r)ვსა, რაჲთა წინა-წარუძღუენ მას წიაღკერძო ზღუასა მას ბეთსაიდად, ვიდრემდე განუტეოს[5] მან ერი იგი.

46. და უჯმნა მათ და აღვიდა მთასა ლოცვად.

47. და ვითარცა შემწუხრდა, იყო ქუალად ნავი იგი შუეა[6] ოდენ ზღუასა მას, და იგი თავადი მარტოჲ იყო ქუეყანასა.

48. და იხილნა იგინი, რამეთუ იურვოდეს ვნებასა მას ნავისასა, რამეთუ იყო ქარი იგი პირით მათსა. და მეოთხესა საჴუმილავსა ღამისასა მოვიდა მათა იესუ სლვით ზღუასა ზედა და უნდა თანა-წარსლვად მათგან.

HIK

ვიყიდოთ ორასი(H 90v)სა დრაჰკნისა პური და ვსცეთ მათ ჭამადი.

38. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: რაოდენი (I 90v) გაქუს პური? მივედით და იხილეთ. და იხილეს და ჰრქუეს: ხუთი პური და ორი თევზი.

39. და უბრძანა მან დასხდომაჲ მათ ყოველთაჲ პურისმტედ-პურისმტედ მწუანვილსა ზედა თივისასა.

40. და დასხდა მწყობრად-მწყობრად ას-ასი და ერგასის-ერგასისი.

41. (K 109r) და მოიღო ხუთი იგი პური და ორი თევზი და აღიხილნა ზეცად და აკურთხა და დამუსრა პური იგი და მისცემდა მოწაფეთა თჳსთა, რაჲთა დაუგონ მათ; და ორი იგი თევზი ეგრეთვე განუყო ყოველთა.

42. და ჭამეს ყოველთა და განძღეს.

43. და აღიღეს ნეშტი ნამუსრევი ათორმეტი გოდორი სავსებით; და თევზისა მისგანცა.

44. და იყვნეს, რაოდენთა-იგი ჭამეს, ვითარ ხუთ ათას კაცნი.

45. და მეყსეულად აიძულა მოწაფეთა შესლვად ნავსა, რაჲთა წინა-წარუძღუენ[1] მას წიაღკერძო ზღუასა მას ბეთსაიდად, ვიდრემდე განუტეოს მან ერი იგი.

46. და უჯმნა (K 100v) მათ და აღვიდა მთასა ლოცვად.

47. (H 97r) და ვითარცა შემწუხრდა, იყო ნავი იგი შუა (I 97r) ოდენ ზღუასა მას, და იგი თავადი — მარტოჲ ქუეყანასა.

48. და იხილნა იგინი[2], რამეთუ იურვოდეს სლვასა მას ნავისასა, რამეთუ იყო ქარი იგი პირით კერძო მათსა. და მეოთხესა საჴუმილავსა ღამისასა მოვიდა მათა[3] იესუ სლვით ზღუასა ზედა და უნდა თანა-წარსლვად მათგან.

---

[1] მაგათ] მათ G. [2] მწოანეილსა G. [3] თივისასა G. [4] ოდენ] — G. [5] გ̃ნოტეოს G. [6] შოეა F.

[1] წინა-წარუძღუჱნ HI. [2] იგი HIK. HI-ში შეცდომით „იურვოდეს" სიტყვის ი-ზეა დასმული ოთხი წერტილი (⁘), რაც აქ ნიშნავს: ნი უნდა დაემატოსო. უნდა დაესვათ იგი-ს ბოლო ი-ზე. [3] მათდა K.

| FG | HIK |
|---|---|
| 49. ხოლო მათ იხილეს იგი, ვიდოდა რაჲ ზღუასა ზედა, ჰგონებდეს, ვითარმედ საუცარ რაჲმე არს, და ღაღად-ყვეს[1]. | 49. ხოლო მათ ვითარცა იხილეს იგი, ვიდოდა რაჲ ზღუასა ზედა, ჰგონებდეს, ვითარმედ საოცარი[1] რაჲმე არს და ღაღად-ყეეს[2]. |
| 50. რამეთუ ყოველთა იხილეს იგი და (G 98v) შეძრწუნდეს. მეყსეულად ეტყოდა მათ და ჰრქუა: გულ-პყრობილ იყვენით, მე ვარ, ნუ გეშინინ! | 50. რამეთუ ყოველთა იხილეს იგი და შეძრწუნდეს. და მეყსეულად ეტყოდა მათ და ჰრქუა: გულ-პყრობილ იყეენით, მე ვარ, ნუ გეშინინ! |
| 51. და აღვიდა მათ თანა ნავსა, და დასცხრა ქარი იგი; და უმეტესად დაუკჳრდებოდა მოწაფეთა მისთა. | 51. და აღვიდა მათ თანა ნავსა, და დასცხრა ქარი (K 110r) იგი; და უმეტესად დაუკჳრდებოდა მოწაფეთა მისთა. |
| 52. რამეთუ ვერ გულისხმა-ყვეს[2] პურთა მათ ზედა, რამეთუ იყვნეს გულნი მათნი დასულებულ. | 52. რამეთუ ვერ გულისჴმა-ყეეს პურთა მათ ზედა, რამეთუ იყვნეს გულნი მათნი დასულებულ. |
| 53, და წიაღჴდეს და მოვიდეს ქუეყანად გენესარეთად[3]. | 53. და წიაღჴდეს და მოეიდეს ქუეყანად გენესარეთად[3]. |
| 54. და ვითარ გამო-ოდენ-ვიდეს მიერ ნავით, მეყსეულად იცნეს იგი კაცთა მის ად(F 81v)გილისათა. | 54. და ვითარ გამო-ოდენ-ვიდეს მიერ ნავით, მეყსეულად იცნეს იგი კაცთა მათ მის ადგილისათა. |
| 55. და მიმორბიოდეს ყოველსა მას სოფლებსა და იწყეს მოღებად ყოველთა მათ[4] სნეულთა ცხედრებითა, სადაცა ესმის, ვითარმედ მუნ არს. | 55. და მიმორბიოდეს ყოველსა მას სოფლებსა და (H 07v) იწყეს მოღებად ყოველთა სნეულთა (I 97v) ცხედრებითა, სადაცა ესმის, ვითარმედ მუნ არს. |
| 56. და ვიდრეცა შევიდოდა დაბნებსა და ქალაქებსა და აგარაკებსა, უბანთა ზედა დასდგმიდეს უძლურთა[5] მათთა და ევედრებოდეს მას, რაჲთა ფესუსა ოდენ სამოსლისა[6] მისისასა შეახონ. და რავდენნი შეეხებოდეს, ცხოვნდებოდეს[7]. | 56. და ვიდრეცა შეეიდოდა დაბნებსა და ქალაქებსა და, აგარაკებსა, უბანთა ზედა დასდგმიდეს უძლურთა მათთა და ევედრებოდეს მას, რაჲთა ფესუსა ოდენ სამოსლისა მისისასა შეახონ. და რაოდენნი შეეხებოდეს, ცხონდებოდეს. |

## 7

| FG | HIK |
|---|---|
| 1. (G 99r) და შეკრბეს მისა ფარისეველნი და რომელნიმე მწიგნობართაგანნი, რომელნი მოსრულ იყვნეს იერუსალჱმით. | 1. და შეკრბეს მისა[4] ფარისეველნი და რომელნიმე[5] მწიგნობართაგანნი, რომელნი მოსრულ იყვნეს იერუსალჱმით. |
| 2. და იხილნეს ვინმე მოწაფეთა მისთაგანნი შეგინებულითა ჴელითა, ესე იგი არს, უბანელითა ჴელითა ჰამდეს პურსა, და ჰგმობდეს. | 2. და იხილნეს ვინმე მოწაფეთა მისთაგანნი შეგინებუ(K 110v)ლითა ჴელითა, ესე იგი არს, უბანელითა ჴელითა ჰამდეს პურსა, და ჰგმობდეს. |

---

[1] ღაღატ-ყვეს F. [2] გულისჴმა-ყვეს F. [3] გენესარეთა G [4] მათ] — G. [5] უძრულთა G. [6] სამოსლისა F. [7] ცხონდებოდეს F.

[1] საუცარი K. [2] ღაღატ-ყუეს K. [3] გენესარეთა HI. [4] მისსა K. [5] K-ში „მე“ მერმეა დამატებული ზემოდან ძალზე პატარა ასოებით. ახლა ძლივს ჩანს.

| FG | HIK |
|---|---|
| 3. რამეთუ ფარისეველთა და ყოველთა ჰურიათა, უკუეთუ არა იდაყჳთგან დაიბანნიან ჴელნი, არა ჭამიან, რამეთუ ეპყრა მათ მოცემული იგი მოძღურებაჲ[1] ხუცესთაჲ. | 3. რამეთუ ფარისეველთა და ყოველთა ჰურიათა. უკუეთუ არა იდაყჳთგან დაიბანნიან ჴელნი, არა ჭამიან, რამეთუ ეპყრა მათ მოცემული იგი მოძღურებაჲ ხუცესთაჲ. |
| 4. და უბანთაგან რაჲ შევიდიან, უკუეთუ არა იბანნიან, არა ჭამიან. და სხუაჲცა მრავალ[2] არს, რომელი მოეღო პყრობად: განრცხაჲ სასუმლებისაჲ და სტამნებისაჲ[3] და ქუაბებისაჲ[4] და ცხედრებისაჲ. | 4. და უბანთაგან რაჲ შევიდიან, უკუეთუ არა იბანნიან, არა ჭამიან და სხუაჲცა მრავალი არს, რომელი მოეღო პყრობად: განრცხაჲ სასუმლებისაჲ და სტამნებისაჲ და ქუაბებისაჲ და ცხედრებისაჲ. |
| 5. მაშინ ჰკითხეს მას ფარისეველთა მათ და მწ(F 82r)იგნობართა: რაჲსათჳს მოწაფენი შენნი არა ვლენან[5] მოძღურებისაებრ ხუცესთაჲსა, არამედ შეგინებულითა ჴელითა ჭამენ პურსა? | 5. (H 98r. I 08r) მაშინ ჰკითხეს მას ფარისეველთა მათ და მწიგნობართა: რაჲსათჳს მოწაფენი შენნი არა ვლენან[1] მოძღურებისაებრ ხუცესთაჲსა, არამედ უბანელითა ჴელითა ჭამენ პურსა? |
| 6. (G 09v) ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ, რამეთუ: კეთილად თქუა ესაია წინაწარმეტყუელმან თქუენ ორგულთათჳს, ვითარმედ: ერი ესე ბაგითა მათითა პატივ-მცემს მე, ხოლო გულნი მათნი შორად განშორებულ არიან ჩემგან. | 6. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ, რამეთუ: კეთილად თქუა ესაია[2] წინაწარმეტყუელმან თქუენ ორგულთათჳს, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: ერი ესე ბაგითა მათითა პატივ-მცემს მე, ხოლო გულნი მათნი შორად განშორებულ არიან ჩემგან. |
| 7. ამაოდ მმსახურებენ[6] მე, ასწავებენ მოძღურებასა და მცნებასა კაცთასა. | 7. ამაოდ მმსახურებენ მე, ასწავებენ მცნებასა და მოძღურებასა კაცთასა. |
| 8. და დაგიტევებიეს მცნებაჲ ღმრთისაჲ და გიპყრიეს მოძღურებაჲ კაცთაჲ. | 8. და დაგიტევებიეს მცნებაჲ ღმრთისაჲ და გიპყრიეს მოძღურებაჲ კაცთაჲ: განრცხაჲ სა(K 111r)სუმლებისაჲ[3] და სტამნებისაჲ, და სხუასა ესევითარსა მრავალსა ჰყოფთ. |
| 9. და ეტყოდა მათ: კეთილად შეურაცხ-ჰყოფთ მცნებასა ღმრთისასა, რაჲთა მოძღურებაჲ თქუენი დაამტკიცოთ. | 9. და ეტყოდა მათ! კეთილად შეურაცხ-ჰყოფთ მცნებასა ღმრთისასა, რაჲთა მოძღურებაჲ თქუენი დაამტკიცოთ. |
| 10. რამეთუ მოსე თქუა: პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა; და რომელმან ბოროტი თქუას მამისათჳს და დედისათჳს, სიკუდილით მოკუედინ. | 10. რამეთუ მოსე თქუა: პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა; და რომელმან ბოროტი თქუას მამისათჳს გინა დედისათჳს, სიკუდილით მოკუედინ[4]. |
| 11. ხოლო თქუენ სთქუთ: უკუეთუ ჰრქუას კაცმან მამასა და დედასა კორბან[7], რომელ არს ნიჭი, რომელი რაჲ ჩემგან სარგებელ გეყოს, | 11. ხოლო თქუენ სთქუთ: უკუეთუ ჰრქუას კაცმან მამასა ანუ დედასა კორბან. რომელ არს ნიჭი, რომელი (I 08v) რაჲ ჩემგან სარგებელ (H 98v) გეყოს, |

---

[1] მოძღრებ̄ჲ G. [2] მრავალი G. [3] სასუმლებისაჲ და სტამნებისაჲ] სტამნებისაჲ და სამუსლისაჲ F, სამოსლისაჲ და სტამნებისაჲ G. [4] ქუბებისაჲ G. [5] ვლენ G. [6] მსახურებენ FG. [7] კურბან G.

[1] ვლენ K. [2] ესაჲა H (=ესაია). [3] სასუმლებისა K. [4] მოკუდინ HI.

| FG | HIK |
|---|---|
| 12. და არას უტევებთ მათ მამასა და დედასა ყოფად. | 12. და არა უტევებთ მათ მამასა და დედასა ყოფად. |
| 13. და დაუმტკიცებელ გიყოფიეს სიტყუაჲ ღმრთისაჲ მოძღურებითა მაგით თქუენითა, რომელსა (G 100r) ასწავებთ, და მსგავსსა ამათსა მრავალსა ჰყოფთ. | 13. და დაუმტკიცებელ გიყოფიეს სიტყუაჲ ღმრთისაჲ მოძღურებითა მაგით თქუენითა, რომელსა ასწავებთ, და მსგავსსა ამათსა მრავალსა ჰყოფთ. |
| 14. (F 82v) და მოუწოდა ყოველსა მას ერსა და ეტყოდა მათ: ისმინეთ ჩემი ყოველთა და გულისმა-ყავთ[1]. | 14. და მოუწოდა ყოველსა მას ერსა და ეტყოდა მათ: ისმინეთ ჩემი ყოველთა და გულისჴმა-ყავთ. |
| 15. არარაჲ არს კაცისაჲ შინაგან შემავალი მისა, რომელმანმცა შეაგინა იგი; არამედ რომელიცა გამოვალს მისგან, იგი არს, რომელიცა[2] შეაგინებს კაცსა. | 15. არარაჲ არს კაცისა გარეთ შემავალი მისა[1], რომელმანმცა შეაგინა იგი; არამედ რომელი გამოვალს მისგან, იგი არს, რომელი შეაგინებს კაცსა. |
| 16. რომელსა ასხენ ყურნი სმენად· ისმინენ! | 16. რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ! |
| 17. და ოდეს შევიდა სახედ[3] ერისა მისგან, ჰკითხვიდეს მას მოწაფენი მისნი იგავისა მისთჳს. | 17. და ოდეს შევიდა სახიდ ერისა მისგან, ჰკი(K 111v)თხვიდეს მას მოწაფენი მისნი იგავისა მისთჳს. |
| 18. და ჰრქუა მათ: ეგრევე თქუენცა უგულისხმოებ[4] ხართა და არა გიცნობიეს, რამეთუ ყოველი გარეშე შემავალი კაცსა არა შეაგინებს? | 18. და ჰრქუა მათ: ეგრეთვე თქუენცა უგულისჴმოებ ხართა და არა გიცნობიეს, რამეთუ ყოველი გარეშე შემავალი კაცსა არა შეაგინებს? |
| 19. რამეთუ არა შევალს გულსა, არამედ მუცლად და განსავალით განვალს და განსწმედს ყოველსა ჭამადსა. | 19. რამეთუ არა შევალს გულსა, არამედ მუცლად და განსავალით განვალს და განსწმედს ყოველსა ჭამადსა. |
| 20. და იტყოდა, ვითარმედ: კაცისაგან გამომავალი შეაგინებს კაცსა, | 20. და იტყოდა, ვითარმედ: კაცისაგან გამომავალი შეაგინებს კაცსა, |
| 21. რამეთუ შინაგან გულისაგან კაცთაჲსა[5] გამოვლენან გულის-სიტყუანი ბოროტნი, მრუშებანი, სიძვანი, პარვანი, კაცის-კლვანი, | 21. რამეთუ შინაგან გულისაგან კაცთაჲსა გამო(I 89r)ვლენ(H 99r)ან გულის-სიტყუანი ბოროტნი, მრუშებანი, სიძვანი, პარვანი, კაცის-კლვანი, |
| 22. ანგა(G 100v)ჰრებანი და უკეთურებანი, ზაკუვანი და[6] არაწმიდებანი, თუალი ბოროტი, გმობანი, ამპარტავანებანი, უგუნურებანი[7]. | 22. ანგაჰრებანი და უკეთურებანი. ზაკუვანი, არაწმიდებანი, თუალ-ბოროტებანი, გმობანი, ამპარტავანებანი, უგუნურებანი. |
| 23. ესე[8] ყოველნი ბოროტნი შინაგან გამოვლენ და შეაგინებენ კაცსა. | 23. ესე ყოველნი ბოროტნი შინაგან გამოვლენ და შეაგინებენ კაცსა. |
| 24. (F 88r) და მიერ აღდგა და წარვიდა საზღვართა ტჳროზისა[9] და სიდონისათა. და შევიდა სახლსა და არა უნდა, რაჲთამცა აგრძნა ვინმე, და ვერ ჴელ-ეწიფა დაფარვად. | 24. და მიერ აღდგა და წარვიდა საზღვართა ტჳროსისა და სიდონისათა და შევიდა სახლსა და არა უნდა, რაჲთამცა აგრძნა ვინმე, და ვერ ჴელ-ეწიფა დაფარვად. |

---

[1] გულისჴმა-ყავთ F. [2] რომელი G. [3] სახიდ G. [4] უგულისჴმოებ F. [5] კცთ̄სა F. [6] და] — G. [7] უგუნურებნი G (უქარაგმოდ). [8] ესე] — FG. [9] ტჳრჲსა G.

[1] მისსა K.

| FG | HIK |
|---|---|
| 25. რამეთუ ესმა ვისმე დედაკაცსა მისთჳს, რომელსა ესუა ასული სულითა არაწმიდითა ურვილი, და მოვიდა და შეუვრდა ფერჴთა მისთა. | 25. რამეთუ ესმა ვისმე დედაკაცსა მისთჳს, რომელსა ესუა ასული სულითა არაწმიდითა ურვეული, და მოვიდა და შეუერდა ფერჴთა მისთა. |
| 26. ხოლო დედაკაცი იგი იყო წარმართი, ნათესავით ასური, ზღჳს-კიდელი, და ევედრებოდა მას, რაჲთა განჴადოს ეშმაკი იგი ასულისაგან მისისა. | 26. ხოლო დედაკაცი იგი (K 112r) იყო წარმართი, ნათესავით ასური ფინიკელი, ზღჳს-კიდით, და ევედრებოდა მას, რაჲთა განჴადოს ეშმაკი იგი ასულისაგან მისისა. |
| 27. ხოლო იესუ ჰრქუა მას: მაცადე პირველად განძღებად შვილთა, რამეთუ არა კეთილ არს მოღებაჲ პურისაჲ შვილთაგან და დადებად ძაღლთა. | 27. ხოლო იესუ ჰრქუა მას: მაცადე პირველად განძღებად შვილთა, რამეთუ არა კეთილ არს მოღებაჲ პურისაჲ შვილთაგან და დაგე(I 89v)ბად ძაღლთა. |
| 28. (G 101r) ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: უფალო, რამეთუ[1] ძაღლნიცა ტაბლასა ქუეშე ჭამედ ბიჭისაგან შვილთაჲსა. | 28. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: უფალო, რამეთუ ძაღლნიცა ტაბ(H 90v)ლასა ქუეშე[1] ჭამედ ნამუსრევისაგან შვილთაჲსა. |
| 29. ხოლო იესუ ჰრქუა მას: მაგის სიტყჳსათჳს ვიდოდე! განსრულ არს ეშმაკი ასულისაგან შენისა. | 29. ხოლო იესუ ჰრქუა მას: მაგის სიტყჳსათჳს ვიდოდე! განსრულ არს ეშმაკი ასულისაგან შენისა. |
| 30. და წარვიდა დედაკაცი იგი სახედ[2] თჳსად[3] და პოვა, რამეთუ ეშმაკი იგი განსრულ იყო, და ასული იგი მისი შემოსილი და მჯდომარჱ[4] ცხედარსა ზედა. | 30. და წარვიდა დედაკაცი იგი სახიდ თჳსა[2] და პოვა, რამეთუ ეშმაკი იგი განსრულ იყო, და ასული იგი მისი შემოსილი, მჯდომარე ცხედარსა ზედა. |
| 31. და მერმე კუალად[5] გამოვიდა საზღვართაგან ტჳროსისა[6] და სიდონისათა და მოვიდა ზღუასა მას გალილეაჲსასა[7] შორის საზღვართა ათქალაქისათა. | 31. და მერმე კუალად გამოვიდა საზღვართაგან ტჳროსისა და სიდონისათა და მოვიდა ზღუასა მას გალილეაჲსასა, შორის საზღვართა ათქალაქისათა. |
| 32 (F 83v) და მოართუეს მას ყრუჲ[8] და ძნიად მეტყუელი და ევედრებოდეს მას, რაჲთა ჴელი დასდვას მას ზედა. | 32. (K 112v) და მოართუეს[3] მას ყრუჲ და ძნიად მეტყუელი[4] და ევედრებოდეს მას, რაჲთა ჴელი დასდვას მას ზედა. |
| 33. და განიყვანა იგი თჳსაგან ერისა მისგან და დაასხნა თითნი მისნი და ჰნერწყუა ყურთა მისთა და შეახო ენასა მისსა | 33. და განიყვანა ერისა მისგან თჳსაგან და[5] დაასხნა თითნი მისნი ყურთა მისთა და ჰნერწყუა და შეახო ენასა მისსა |
| 34. და აღიხილნა ზეცად და[9] სულთ-ითქუნა და ჰრქუა მას: ეფფათა! რომელ არს: განეხუენ[10]! | 34. და აღიხილნა ზეცად და სულთ-ითქუნა და ჰრქუა მას: ეფფათა! რომელ არს: განეხუენით[6]! |

---

[1] რამეთუ] — F. [2] სახიდ G. [3] თჳსა G. [4] მჯდომარე F. [5] ეს სიტყვა ორივე ხელნაწერში მერმეა დამატებული ზემოდან. [6] ტჳროზისათა F. [7] გალილეაჲსსა G. [8] ყროი F, ყროჲ G. [9] და] — F. [10] განეხჳენ F.

[1] ქუჱშე HI. [2] თჳსად K. [3] მოართუჱს HI. [4] მეტყუჱლი HIK. [5] და] — K. [6] განეხჳენით HIK.

| FG | HIK |
|---|---|
| 35. და მეყსეულად განეხუნეს მას (G 101ⴆ) სასმენელნი, და განჴსნდა კრულებაჲ ენისა მისისაჲ, და იტყოდა მართლ. | 35. და მეყსეულად განეხუნეს მას სასმენელნი, და განჰჴსნდა კრულებაჲ ენისა მისისაჲ, და იტყო(I 100ⴐ)და მართლად. |
| 36. და ამცნო მათ, რაჲთა არავის უთხრან. და რავდენ იგი ამცნებდა მათ, იგინი უფროჲს მიმოდასდებდეს. | 36. და ამცნო მათ, რაჲთა (H 100ⴐ) არავის უთხრან. და რაოდენ იგი ამცნებდა მათ, იგინი უფროჲს მიმოდასდებდეს. |
| 37. და უმეტესად განუკჳრდებოდა და იტყოდეს: ყოველსავე კეთილსა იქმს: ყრუთა ასმენს და უტყუთა ატყუებს. | 37. და უმეტესად განუკჳრდებოდა და იტყოდეს: ყოველსავე კეთილსა იქმს: ყრუთა ასმენს და უტყუთა[1] ატყუებს[2]. |

## 8

| FG | HIK |
|---|---|
| 1. მათ დღეთა შინა მერმე კუალად ერი მრავალი იყო და არარაჲ აქუნდა, რაჲმცა ჭამეს; და[1] მოუწოდა მოწაფეთა თჳსთა და ჰრქუა მათ: | 1. მათ დღეთა შინა მერმე კუალად ერი მრავალი იყო და არარაჲ აქუნდა, რაჲმცა ჭამეს; მო(K 118ⴐ)უწოდა მოწაფეთა თჳსთა და ჰრქუა მათ: |
| 2. მეწყალის ერი ესე, რამეთუ სამი დღჱ[2] არს, ვინაჲთგან მელიან მე, და არარაჲ აქუს, რაჲ ჭამონ. | 2. მეწყალის მე ერი ესე, რამეთუ სამი დღე არს, ვინაჲთგან მელიან მე, და არარაჲ აქუს, რაჲ ჭამონ. |
| 3. და უკუეთუ განუტევნე უზმანი ვანად მათა, დაჰჴსნდენ გზასა ზედა, რამეთუ რომელნიმე მათგანნი შორით მოსრულ არიან. | 3. და უკუეთუ განუტევნე უზმანი ვანად მათა[3], დაჰჴსნდენ გზასა ზედა, რამეთუ რომელნიმე მათგანნი შორით მოსრულ არიან. |
| 4. (F 84ⴐ) და მიუგეს მოწაფეთა მისთა და ჰრქუეს: ვინაჲ ძალ-გჳც განძღებად აქა პურითა ესოდენი ერი უდაბნოსა ზედა? | 4. და მიუგეს მოწაფეთა მისთა და ჰრქუეს: ვინაჲ ძალ-გჳც განძღებად აქა პურითა ესოდენისა ერისა უდაბნოსა ზედა? |
| 5. და ჰკითხა მათ: რავდენი გაქუს პური? ხოლო მათ ჰრქუეს: შჳდი. | 5. და ჰკითხა მათ: რაოდენი გაქუს პური? ხოლო მათ ჰრქუეს[4]: შჳდი. |
| 6. (G 102ⴐ) და უბრძანა ერსა მას დასხდომაჲ ქუეყანასა და მოიღო შჳდი იგი პური, ჰმადლობდა და განტეხა და მისცემდა მოწაფეთა თჳსთა, რაჲთა დაუგონ მათ; და დაუგეს ერსა მას. | 6. და უბრძანა ერსა მას დასხდომაჲ ქუეყანასა და მოიღო შჳდი იგი პური, ჰმადლობდა და განტეხა და მისცემდა მოწაფეთა თჳსთა, (H 100ⴆ, I 100ⴆ) რაჲთა დაუგონ მათ; და დაუგეს ერსა მას. |
| 7. და აქუნდა თევზიცა მცირედ[3], და[4] იგიცა აკურთხა და უბრძანა მათ დაგებაჲ. | 7. და აქუნდა თევზიცა მც(K 113ⴆ)ირედ, და იგიცა აკურთხა და უბრძანა მან დაგებად. |
| 8. და ჭამეს და განძღეს; და აღიღეს ნეშტი იგი ნამუსრევი შჳდი სფჳრიდი[5]. | 8. და ჭამეს და განძღეს; და აღიღეს ნეშტი იგი ნამუსრევი შჳდი სფჳრიდი. |

---

[1] და] — G. [2] დღე G. [3] ~ მცირედ თევზიცა F. [4] და] — F. [5] ფსჳრიდი F.

[1] უტყჳთა K. [2] ატყჳებს HI. [3] მათდა K. [4] ჰქ̄ჳს I.

| FG | HIK |
|---|---|
| 9. და იყვნეს, რომელთა-იგი ჭამეს, ეითარ ოთხ ათას ოდენ; და განუტევნა იგინი. | 9. და იყვნეს, რომელთა-იგი ჭამეს, ვითარ ოთხ ათას ოდენ; და განუტევნა იგინი. |
| 10. და შევიდა იესუ ნავსა მოწაფეთა მისთა თანა და წარვიდა ადგილთა მაგდალაჲსათა. | 10. და მეყსეულად შევიდა იესუ ნავსა მოწაფეთა მისთა თანა და წარვიდა ადგილთა მაგდალოჲსათა[1]. |
| 11. და მოვიდეს ფარისეველნი და იწყეს გამოძიებად მის თანა და ითხოვდეს მისგან სასწაულსა ზეცით და გამოსცდიდეს მას. | 11. და გამოვიდეს ფარისეველნი და იწყეს გამოძიებად მის თანა და ითხოვდეს მისგან სასწაულსა ზეცით და გამოსცდიდეს მას. |
| 12. და სულთ-ითქუნა სულითა თჳსითა და თქუა: რაჲ არს ნათესავი ესე, რამეთუ ეძიებს სასწაულსა? ამენ გეტყჳ თქუენ: არა ეცეს ნათესავსა ამას სასწაული. | 12. და სულთ-ითქუნა სულითა თჳსითა და თქუა: რაჲ არს ნათესავი ესე, რამეთუ ეძიებს სასწაულსა? ამენ გეტყჳ თქუენ: არა ეცეს ნათესავსა ამას სასწაული. |
| 13. და დაუტევნა იგინი და კუალად შევიდა (G 102ч/) ნავსა და წარვიდა მიერ კერძო. | 13. და დაუტევნა იგინი და კუალად შევიდა ნავსა და წარვიდა მიერ კერძო. |
| 14. და დაავიწყდა მიღებად პური, და ერ(F 84ч/)თი ხოლო პური აქუნდა ნავსა შინა. | 14. და დაავიწყდა მიღებად პური, და ერთი ხოლო პური აქუნდა მათ ნავსა შინა. |
| 15. და ამცნებდა მათ იესუ და ეტყოდა: იხილეთ და ეკრძალენით ცომისაგან ფარისეველთაჲსა და ცომისაგან ჰეროდიანთაჲსა. | 15. და ამცნებდა მათ იესუ და ეტყოდა: იხილეთ და ეკრძალენით ცო(H101m)მისაგან ფარისეველთაჲ(I 101m)სა და ცომისაგან ჰეროდიანთაჲსა. |
| 16. ხოლო იგინი განიზრახვიდეს ურთიერთას[1] და იტყოდეს, ვითარმედ: პური არა გუაქუს. | 16. ხოლო იგინი განიზრახვიდეს ურთიერთას და იტყოდეს, ვითარმედ: პური არა გუაქუს. |
| 17. და გულისხმა-ყო[2] და ჰრქუა მათ: რაჲსა ზრახავთ გულთა თქუენთა, მცირედ-მორწმუნენო, რამეთუ პური არა გაქუს? არღა გიცნობიეს, არცა გულისჴმა-ჰყავთ[3], რამეთუ დაბრმობილნი გულნი გქონან თქუენ? | 17. და გულისჴმა-ყო იესუ და ჰრქუა მათ: რაჲსა ჰზრახავთ გულთა თქუენთა, მცირედ-მორწმუნენო, რამეთუ პური არა გაქუს? (K 114m) არა გიცნობიეს, არცა მოიჴსენეთ, რამეთუ დაბრმობილნი გულნი გქონან თქუენ[2]? |
| 18. თუალ გასხენ და არა ხედავთ, ყურ გასხენ და არა გესმის, არა გიცნობიეს, არცა მოიჴსენეთ? | 18. თუალ გასხენ და არა ხედავთ, და ყურ გასხენ და არა გესმის, არცა გიცნობიეს, არცა მოიჴსენეთ? |
| 19. ოდეს-იგი ხუთი პური განვტეხე ხუთ ათასთათჳს, და რავდენი გოდორი[4] | 19. ოდეს-იგი ხუთი პური განვტეხე ხუთ ათასთათჳს, და რაოდენი გოდორი |

---

[1] ერთიერთარს F. [2] გულისჴმა-ყო F. [3] გულისჴმა-ჰყავთ\| მოიჴსენეთ G. [4] გუდორი G.

[1] მაგდალოჲსათა HI. ამ სიტყვის გასწერივ არშიაზე ორივე ხელნაწერში წერია „დალმანუთაჲსათა“. როგორც ჩანს, ამით სურდათ შეეცვალათ მათთვის მიუღებელი სიტყვის წაკითხვა „მაგდალოჲსათა“. მართლაც, ბერძნულში, სომხურსა და სხვა ოთხთავებში, აგრეთვე ჩვენს ადიშურშიც „დალმანუთა“ ფუძე იკითხება. [2] თქუჱნ H.

| FG | HIK |
|---|---|
| სავსე ნამუსრევი აღიღეთ? და[1] მათ ჰრქუეს: ათორმეტი. | სავსე ნამუსრევითა აღიღეთ? ხოლო მათ ჰრქუეს[1]: ათორმეტი. |
| 20. და ოდეს-იგი შჳდი (G 103r) ოთხ ათასთათჳს[2], რავდენი სფჳრიდი ნამუსრევი აღიღეთ? და მათ ჰრქუეს: შჳდი. | 20. და ოდეს-იგი შჳდი ოთხ ათასთა, რაოდენი სფჳრიდი ნამუსრევი აღიღეთ? და მათ ჰრქუეს: შჳდი. |
| 21. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: ვითარ არა გულისხმა-ჰყავთ[3]? | 21. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: ვითარ არა გულისჴმა-ჰყავთ? |
| 22. და მოვიდეს ბეთსაიდად, და მოჰგუარეს მას ბრმაჲ და ევედრებოდეს მას, რაჲთა შეახოს მას. | 22. და მოვიდა ბეთსაიდად, და მოჰგუარეს მას ბრმაჲ და ევედრებოდეს მას, რაჲთა შეახოს მას. |
| 23. და უპყრა ჴელი მისი და განიყვანა იგი გარეშე დაბასა და ჰნერწყუა თუალთა მი(F 86r)სთა და დასდვა მას ჴელი მისი და ჰკითხა მას, რასა-ძი ხედავს? | 23. და უპყრა ჴელი მისი და განიყ(H 101v)ვანა იგი გარეშე (I 101v) დაბასა და ჰნერწყუა თუალთა მისთა და დასდვა ჴელი მისი და ჰკითხა მას, რასა-ძი ჰხედავს[2]? |
| 24. და აღიხილნა და იტყოდა: ვხედავ კაცთა, ვითარცა ხეთა, მიმომავალთა. | 24. და აღიხილნა და იტყოდა: ვხედავ კაცთა, ვითარცა (K 114v) ხეთა, მიმომავალთა. |
| 25. და მერმე კუალად დაასხნა ჴელნი თუალთა მისთა და აღუხილნა; და მან აღიხილნა და კუალად მოეგო და ხედვიდა ბრწყინვალედ ყოველთა. | 25. და მერმე კუალად დაასხნა ჴელნი თუალთა მისთა და აღუხილნა; და მან აღიხილნა და კუალად მოეგო და ხედვიდა ბრწყინვალედ ყოველთა. |
| 26. და წარავლინა იგი სახედ[4] თჳსა და ჰრქუა: წარვედ სახიდ შენდა; და დაბად რაჲ შეხჳდე, ნურას ვის უთხრობ დაბასა შინა. | 26. და წარავლინა იგი სახიდ თჳსა და ჰრქუა: წარვედ სახიდ შენდა; და დაბად რაჲ შეხჳდე, ნურას ვის უთხრობ დაბასა შინა. |
| 27. და გამოვიდა იესუ და მოწაფენი მისნი დაბნებსა მას კესარია ფილიპეჲსასა[5]. და გზასა ზედა ჰკითხვიდა (G 103v) მოწაფეთა თჳსთა და ეტყოდა მათ: რაჲ თქუან ჩემთჳს კაცთა ყოფაჲ? | 27. და გამოვიდა იესუ და მოწაფენი მისნი დაბნებსა მას კესარია ფილიპესსა, და გზასა ზედა ჰკითხვიდა მოწაფეთა თჳსთა და ეტყოდა მათ: რაჲ თქუან კაცთა ჩემთჳს ყოფაჲ? |
| 28. ხოლო მათ მიუგეს და ჰრქუეს მას: იოვანე[6] ნათლის-მცემელი, და სხუათა: ელია. და სხუათა: ერთი წინაწარმეტყუელთაგანი. | 28. ხოლო მათ მიუგეს და ჰრქუეს მას: იოვანე ნათლის-მცემელი, და სხუათა: ელია, და სხუათა: ერთი წინაწარმეტყუელთაგანი. |
| 29. ჰრქუა მათ იესუ: თქუენ რაჲ სთქუთ ჩემთჳს, ვინ ვარი[7] მე? მიუგო მას პეტრე და ჰრქუა: შენ ხარ ქრისტჱ. | 29. ჰრქუა მათ იესუ: თქუენ რაჲ სთქუთ ჩემთჳს, ვინ ვარ მე? მიუგო მას პეტრე და ჰრქუა: შენ ხარ ქრისტე. |
| 30. და შეჰრისხნა მათ, რაჲთა არავის უთხრან მისთჳს. | 30. და შეჰრისხნა მათ, რაჲთა არავის უთხრან მისთჳს. |
| 31. და იწყო სწავლად მათა, ვითარმედ: ჯერ-არს ძისა კაცისაჲ[8] ფრიად ვნე- | 31. (H 102r) და იწყო სწავლად მათა[3], ვითარმედ: ჯერ-ა(I 102r)რს ძისა |

---

[1] და] ხოლო G. [2] ოთხ ათასთა G. [3] გულისჴმა-ჰყავთ F. [4] სახიდ G. [5] ფილიპჱსსა G.
[6] იოანე G. [7] ვარ G. [8] კაცისა G.

[1] ჰრქუეს I. [2] ხედავს K. [3] მათდა K

FG

ბაჲ და შეურაცხ-ყოფად მოხუცებულთაგან და მღდელთ-მოძღუართა და მწიგნობართა და¹ მოკლვად და მესამესა დღესა აღდ(F 85v)გომად.

32. და განცხადებულად სიტყუასა ამას იტყოდა. და გან-რე-იყვანა² იგი³ პეტრე და იწყო ბრალობად მისა ამის სიტყჳსათჳს.

33. ხოლო თავადი მიექცა⁴ და იხილნა მოწაფენი თჳსნი, შეჰრისხნა პეტრეს და ჰრქუა მას⁵: წარვედ ჩემგან მართლუკუნ, ეშმაკო, რამეთუ არა ზრახავ ღმრთისასა, არამედ კაცთასა.

34. და მოუწოდა ერსა მას მოწაფეთა თჳსთა⁶ თანა და (G 104r) ჰრქუა მათ: რომელსა უნდეს⁷ შემდგომად⁸ ჩემსა⁹ მოსლვაჲ, უვარ-ყავნ¹⁰ თავი თჳსი და¹ აღიღენ ჯუარი თჳსი და შემომიდეგინ მე.

35. რომელსა უნდეს სულისა თჳსისა განრინებაჲ, წარიწყმიდოს იგი: და რომელმან წარიწყმიდოს თავი თჳსი ჩემთჳს გინა სახარებისათჳს, მან აცხოვნოს იგი.

36. რაჲ სარგებელ არს კაცისა, უკუეთუ შეიძინოს სოფელი ესე ყოველი და სული თჳსი იზღვიოს?

37. და რაჲ მისცეს კაცმან ნაცვალად სულისა თჳსისა?

38. რამეთუ რომელსა სირცხჳლ უჩნდეს ჩემი და სიტყუათა ჩემთაჲ, ნათესავსა ამას მემრუშესა¹¹ და ცოდვილსა, ძემანცა¹² კაცისამან არცხჳნოს მას, რაჟამს მოვიდეს დიდებითა მამისა თჳსისა თანა და ანგელოზთა თანა წმიდათა.

HIK

კაცისაჲ ფრიად ვნებაჲ და შეურაცხ-ყოფად მოხუცებულთაგან და მღდელთ-მოძღუართა და მწიგნობართა და მოკლვად და მესამესა დღესა აღდგომად.

32. (K 115r) და განცხადებულად სიტყუასა ამას ეტყოდა¹. და გან-რე-იყვანა იგი პეტრე და იწყო ბრალობად მისა² ამის სიტყჳსათჳს.

33. ხოლო თავადი მიექცა და იხილნა მოწაფენი თჳსნი, შეჰრისხნა პეტრეს და ჰრქუა მას: წარვედ ჩემგან მართლუკუნ, ეშმაკო, რამეთუ არა ჰზრახავ ღმრთისასა, არამედ კაცთასა.

34. და მოუწოდა ერსა მას მოწაფეთა მისთა თანა და ჰრქუა მათ: რომელსა უნებს შემდგომად ჩემსა მოსლვაჲ, უვარ-ყავნ თავი თჳსი და³ აღიღენ ჯუარი თჳსი და შემომიდეგინ მე.

35. რამეთუ რომელსა უნდეს სულისა თჳსისა განრინებაჲ, წარიწყმიდოს იგი; და რომელმან წარიწყმიდოს სული თჳსი ჩემთჳს გინა სახარებისათჳს, მან აცხოვნოს იგი.

36. რაჲ სარგებელ არს კაცისა, უკუეთუ შეიძინოს სოფელი (I 102v) ესე ყოველი და (H 102v) სული თჳსი იზღვიოს?

37. ანუ რაჲ მისცეს კაცმან ნაცვალად სულისა თჳსისა?

38. (K 115v) რამეთუ რომელსა-იგი სირცხჳლ უჩნდეს ჩემი და სიტყუათა ჩემთაჲ, ნათესავსა ამას მემრუშესა და ცოდვილსა. ძემანცა კაცისამან არცხჳნოს მას, რაჟამს მოვიდეს დიდებითა მამისა თჳსისაჲთა ანგელოზთა თანა წმიდათა.

## 9

1. და ეტყოდა მათ: ამენ გეტყჳ (F 86r) თქუენ, რამეთუ არიან ვინმე აქა მდგომარეთაგანნი, რომელთა არა იხი-

1. და ეტყოდა მათ: ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ არიან ვინმე აქა მდგომარეთაგანნი, რომელთა არა იხილონ გემოჲ

---

[1] და] — F. [2] გა-რე-იყვანა G. [3] იგი] — F. [4] მიიქცა F. [5] მას] — F. [6] მისთა G. [7] უნდეს] უნებს G. [8] შემოდგომად F, შედგომად G. [9] ჩემდა F. [10] უარ-ყავნ F. [11] მომრუშესა G. [12] ძემან G.

[1] იტყოდა I. [2] მისსა K. [3] და] — K.

| FG | HIK |
|---|---|
| ლონ გემოჲ სიკუდილისაჲ, ვიდრემდე იხილონ სასუფეველი ღმრთისაჲ, მომავალი ძალითა. | სიკუდილისაჲ, ვიდრემდე იხილონ სასუფეველი ღმრთისაჲ, მომავალი ძალითა. |
| 2. (G 104v) და შემდგომად ექუსისა დღისა წარიყვანნა იესუ პეტრე და იაკობ და იოვანე[1] და აღიყვანნა[2] იგინი მთასა მაღალსა თჳსაგან მარტოდ და იცვალა სხუად ხატად წინაშე მათსა. | 2. და შემდგომად ექუსისა დღისა წარიყვანნა იესუ პეტრე და იაკობ და იოვანე და აღიყვანნა იგინი მთასა მაღალსა თჳსაგან მარტონი და იცვალა სხუად ხატად წინაშე მათსა. |
| 3. და სამოსელი[3] მისი იქმნა ბრწყინვალე და სპეტაკ ფრიად, ვითარცა თოვლი, რომელი ყოველსავე მურნკვანსა[4] ქუეყანასა ზედა ვერ ჴელ-ეწიფების ეგრეთ განსპეტაკებად. | 3. და სამოსელი მისი იქმნა ბრწყინვალე და სპეტაკ, ვითარცა თოვლი, რომელ ყოველსავე მმურკნველსა ქუეყანასა ზედა ვერ ჴელ-ეწ(K 110r)იფების ეგრეთ[1] განსპეტაკებად[2]. |
| 4. და ეჩუენა მათ ელია მოსეს თანა, და იყვნეს იესუჲს[5] თანა და ზრახვიდეს. | 4. და ეჩუენა[3] მათ მოსე ელიაჲს თანა, და იყვნეს იესუჲს თანა და ზრახვიდეს. |
| 5. და მიუგო პეტრე და ჰრქუა იესუს: რაბი, კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფაჲ; ვქმნეთ აქა სამ ტალავარ: ერთი შენთჳს, ერთი მოსესთჳს და ერთი ელიაჲსთჳს[6]. | 5. და (I 108r) მიუგო პეტრე და ჰრქუა იესუს: რაბი, კეთილ არს ჩუენდა (H 103r) აქა ყოფაჲ; ვქმნეთ აქა სამ ტალავარ: ერთი შენთჳს, ერთი მოსესთჳს და ერთი ელიაჲსთჳს. |
| 6. რამეთუ არა იცოდა, რაჲმცა მიუგო, რამეთუ იყვნეს შეშინებულ. | 6. რამეთუ არა[4] იცოდა, რაჲმცა მიუგო, რამეთუ იყვნეს შეშინებულ. |
| 7. და იყო ღრუბელი და აგრილობდა მათ, და ჴმაჲ იყო ღრუბლით გამო და თქუა: ესე არს ძჱ ჩემი საყუარელი, მაგისი ისმინეთ. | 7. და იყო ღრუბელი და აგრილობდა მათ, და ჴმაჲ იყო ღრუბლით გამო და თქუა: ესე არს ძე ჩემი საყუარელი, მაგისი ისმინეთ. |
| 8. და მეყსეულად მიმოიხილეს და არავინ (G 105r) იხილეს, გარნა იესუ ხოლო მათ თანა. | 8. და მეყსეულად მიმოიხილეს და არავინ იხილეს, გარნა იესუ ხოლო მათ თანა. |
| 9. და გარდამო-რაჲ-ვიდოდეს მიერ მთით, ამცნო მათ, რაჲთა არავის უთხრან, (F 88v) რაჲ-იგი იხილეს, გარნა ოდეს ძჱ კაცისაჲ მკუდრეთით აღდგეს. | 9. და გარდამო-რაჲ-ვიდოდეს მიერ მთით, ამცნო მათ, რაჲთა არავის უთხრან, რაჲ-იგი იხილეს, გარნა ოდეს ძე კაცისაჲ მკუდრეთით აღდგეს. |
| 10. და სიტყუაჲ იგი დაიმარხეს თავისა თჳსისა თანა და გამოეძიებდეს ურთიერთას[7], ვითარმედ: რაჲ არს იგი: ოდეს მკუდრეთით აღდგეს? | 10. და სიტყუაჲ იგი დაიმარხეს თავისა თჳსისა თანა და გამოეძიებდეს ურთიერთას, ვითარმედ: რაჲ არს იგი: ოდეს მკუდრეთით აღდგეს? |
| 11. და ჰკითხვიდეს[8] მას და ეტყოდეს: ვითარ-მე[9] იტყჳან მწიგნობარნი: ელიაჲსი ჯერ-არს პირველად მოსლვაჲ? | 11. და ჰკითხვიდეს მას და ეტყოდეს: ვითარ-მე[5] იტყჳან მწიგნობარნი[6]: ელიაჲსი ჯერ-არს პირველად მოსლვაჲ? |

---

[1] იჲ̃ნ G. [2] აღიყვნა F. [3] სამუსელი F. [4] მურნვანსა F. [5] იჳ̃ს F. [6] ელიაისთჳს F. [7] ურთიერთარს FG. [8] ჰკითხეს F. [9] ვ̃დ FG.

[1] ეგრე K. [2] განსპეტაკებაჲ K. [3] ეჩუენა HI. [4] არაჲ HIK. [5] ვითარმედ HIK. [6] K-ში ეს სიტყვა გამორჩენილია და მერმე მიწერილი არშიაზე სხვა ხელით.

| G | HIK |
|---|---|
| 12. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: ელია მოვიდეს პირველად და კუალად-მოაგოს ყოველი; და ვითარცა წერილ არს ძისა კაცისათჳს, რაჲთა ფრიად ევნოს და შეურაცხ იქმნეს. | 12. ხოლო თავადმან მიუგო (I 103ⴎ) და ჰრქუა მათ: ელია მოვიდეს და კუალად-აგოს ყოველი; და ვითარ წერილ არს ძისა (K 110ⴎ) კაცისა(H 103ⴎ)თჳს, რაჲთა ფრიად ევნოს და შეურაცხ იქმნეს. |
| 13. არამედ გეტყჳ თქუენ, რამეთუ ელია მოვიდა, და უყვეს მას, რავდენი უნდა, ვითარცა წერილ არს მისთჳს. | 13. არამედ გეტყჳ თქუენ, რამეთუ ელია მოვიდა, და უყვეს მას, რაოდენი უნდა, ვითარცა წერილ არს მისთჳს. |
| 14. და მოვიდა მოწაფეთა მისთა თანა[1] და იხილა ერი გარემო მათსა, და მწიგნობარნი გამოეძიებდეს მათ თანა. | 14. და მოვიდა მოწაფეთა მისთა თანა, იხილა ერი გარემო მათსა, და მწიგნობარნი გამოეძიებდეს მათ თანა. |
| 15. და მეყსეულად ყოველმან ერმან იხილა იგი და დაუკკრდა და მორბიოდეს და მოიკითხეს იგი. | 15. და მეყსეულად ყოველმან ერმან იხილა იგი და დაუკკრდა და მორბიოდეს და მოიკითხეს იგი. |
| 16. (G 105ⴎ) და ჰკითხა მათ და ჰრქუა: რასა გამოეძიებთ ურთიერთას[2]? | 16. და ჰკითხა მწიგნობართა მათ და ჰრქუა: რასა გამოეძიებთ ურთიერთას? |
| 17. და მი-ვინმე-უგო ერთმან ერისაგანმან და ჰრქუა: მოძღუარ, მოვიყვანო ძჱ[3] ჩემი შენდა, რომლისა თანა არს სული უტყუებისაჲ. | 17. და მი-ვინმე-უგო მას ერთმან მის ერისაგანმან და ჰრქუა: მოძღუარ, მოვიყვანე ძე ჩემი შენდა, რომლისა თანა არს სული უტყუებისაჲ[1]. |
| 18. და სადაცა[4] დააპყრის იგი, დაჰკუეთის[5], და პეროვინ და ილრჭენნ კბილთა და განჴმებინ. და უთ(F 87ⴆ)ხარ მოწაფეთა შენთა, რაჲთა განაძონ იგი, და ვერ შეუძლეს. | 18. და სადაცა დააპყრის იგი, დააკუეთის[2], და პეროინ და ილრჭენნ კბილთა და განჴმებინ. და უთხარ მოწაფეთა შენთა, რაჲთამცა განკურნეს, და ვერ შეუძლეს. |
| 19. მიუგო იესუ და ჰრქუა: ჵ ნათესავი ურწმუნოჲ! ვიდრემდე ვიყო თქუენ თანა? ვიდრემდე თავს-ვიდებდე თქუენსა? მომგუარეთ[6] მე იგი აქა! | 19. მიუგო იესუ და ჰრქუა: ჵ ნათესავი ურწმუნოჲ! (I 104ⴆ) ვიდრემდე ვიყო თქუენ თანა? ვიდრემდე თავს-ვიდებდე თქუენსა? მომგუარეთ მე იგი აქა! |
| 20. და მოჰგუარეს იგი მას. და იხილა იგი, და მეყსეულად სულმან მან არაწმიდამან დაჰკუეთა[7] იგი; და და-რაჲ-ეცა ქუეყანასა, გორვიდა და პეროოდა. | 20. და მოჰგუარეს იგი მას. და იხილა რაჲ იგი, (H 104ⴆ) მეყსეულად სულმან არაწმიდამან დააკუეთა[3] იგი; და და-რაჲ-ე(K 117ⴆ)ცა ქუეყანასა, გორვიდა და პეროოდა. |
| 21. და ჰკითხა იესუ მამასა მისსა: რავდენი ჟამი არს, ვინაჲთგან შეემთხჳა ესე ამას? ხოლო მან ჰრქუა: სიყრმითგან. | 21. და ჰკითხა იესუ მამასა მისსა: რაოდენი[4] ჟამი აქუს, ვინაჲთგან შეემთხჳა ესე? ხოლო მან ჰრქუა: სიყრმითგან. |
| 22. და[8] მრავალ-გზის ცეცხლსა შთააგდო ეგე და წყალსა, რაჲთამცა წარწყ- | 22. და მრავალ-გზის ცეცხლსა შთააგდო ეგე და წყალსა, რაჲთამცა წარწყმი- |

---

[1] მისთანა F. [2] ურთიერთართს F. [3] ძე G. [4] სადა F. [5] დააკუეთის G. [6] მომმგუარეთ G. [7] დააკ´უეთა G. [8] და] — F.

[1] უტყუჱბისაჲ HI. [2] დააკუჱთის HI. [3] დააკუჱთა HI. [4] რაედენი HI.

EG

მიდა ეგე. არამედ (G 100r) რაჲ ძალ-გიც, შემეწიე[1] ჩუენ, უფალო, და წყალობა-ყავ ჩუენთჳს.

23. ხოლო იესუ ჰრქუა მას: რაჲ ძალ-გიც, ყოველივე შესაძლებელ არს მორწმუნისათჳს[2].

24. და მეყსეულად ჴმა-ყო მამამან მის ყრმისამან და თქუა[3]: მრწამს, შემეწიე ურწმუნოებასა ჩემსა.

25. ვითარცა იხილა იესუ, რამეთუ შეკრბების ერი მის ზედა, შეჰრისხნა სულსა მას და ჰრქუა უტყუსა და ყრუსა სულსა: მე გიბრძანებ შენ: განვედ მაგისგან და ნუღარა შეხუალ მაგისა!

26. და ღაღად-ყო[4], ფრიად გორვიდა და განვიდა მისგან; და იქმნა იგი, ვითარცა მკუდარი, ვითარმედ (F 87v) მრავალნი იტყოდესცა, ვითარმედ: მოკუდა.

27. ხოლო იესუ უპყრა ჴელი მისი და აღადგინა იგი, და აღდგა.

28. და ვითარცა შევიდა იესუ სახედ[5], მოწაფეთა მისთა თჳსაგან ჰკითხეს მას: რაჲსათჳს ჩუენ ვერ შეუძლეთ განძებაჲ მას?

29. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: ესე ნათესავი ვერ შესაძლებელ არს განსლვად, გარნა ლოცვითა და მარხვითა.

30. და მიერ გამოვიდეს (G 108v) და წარმოჳვლიდეს გალილეასა; და არა უნდა, რაჲთამცა აგრძნა ვინ.

31. რამეთუ ასწავებდა მოწაფეთა თჳსთა და ეტყოდა მათ, რამეთუ: ძე კაცისაჲ მიეცეს ჴელთა კაცთასა, და მოკლან იგი; და მო-რაჲ-კუდეს, მესამესა დღესა აღდგეს.

32. ხოლო იგინი უმეცარ იყვნეს სიტყუასა მას და ეშინოდა კითხვად მისა.

33. და მოვიდა კაფარნაუმდ[6]. და ვითარცა შევიდა იგი სახლსა, და[7] ჰკითხ-

HIK

და ეგე[1]. არამედ რაჲ ძალ-გიც, შემეწიე ჩუენ[2] და წყალობა-ყავ ჩუენთჳს[3].

23. ხოლო იესუ ჰრქუა მას: უკუეთუ ძალ-გიც რწმუნებად, ყოველივე შესაძლებელ არს მორწმუნისა.

24. და მეყსეულად ჴმა-ყო მამამან მის ყრმისამან და თქუა ცრემლით: მრწამს, უფალო[4], შემეწიე ურწმუნოებასა ჩემსა.

25. და ვითარცა იხილა იესუ, რამეთუ შეკრბებოდა ერი მის ზედა, შეჰრისხნა სულსა მას და ჰრქუა უტყუსა და ყრუსა სულსა: მე გიბრძანებ შენ: განვედ მაგისგან და ნუღარა შეხუალ (I 104v) მაგისა[5]!

26. და ღაღატ-ყო და ფრიად გორვიდა და განვიდა მისგან; და იქმნა იგი, ვითარცა მკუდარი, ვითარმედ (K 117v) მრავალნი იტყოდესცა, ვითარმედ: მოკუდა.

27. ხოლო იესუ უპყრა ჴელი მისი და აღადგინა იგი, და აღდგა.

28. (H 104v) და ვითარცა შევიდა იესუ სახიდ. მოწაფეთა მისთა თჳსაგან ჰკითხეს მას: რაჲსათჳს ჩუენ ვერ შეუძლეთ განძებად მას?

29. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: ესე ნათესავი ვერ შესაძლებელ არს განსლვად, გარნა ლოცვითა და მარხვითა.

30. და მიერ განვიდეს და წარმოჳვლიდეს[6] გალილეასა; და არა უნდა, რაჲთამცა აგრძნა ვინ.

31. რამეთუ ასწავებდა მოწაფეთა თჳსთა და ეტყოდა მათ, რამეთუ: ძე კაცისაჲ მიეცემის ჴელთა კაცთასა, და მოკლან იგი; და მო-რაჲ-კუდეს, მესამესა დღესა აღდგეს.

32. ხოლო იგინი უმეცარ იყვნეს სიტყუასა ამას და ეშინოდა კითხვად მისა[7].

33. და მოვიდა კაპერნაუმდ. და ვითარცა შევიდა იგი სახლსა, და ჰკითხვი-

---

[1] შემეწიუნ FG. [2] მორწმუნისა G. [3] და თქუა] — F. [4] ღაღატ-ყო F. [5] სახიდ G. [6] კაფარნაუმდ G. [7] და] — F.

[1] ეგე ეგე I. [2] ჩუენ] + უფალო HI. [3] ჩუენთჳს I. [4] უფალო] — HI. [5] მაგისსა K. [6] წარმოვლიდეს H. [7] მისსა K.

FG

ვიდა მათ: რასა-იგი იცილობდით[1] ურთიერთას[2] გზასა ზედა?

34. ხოლო იგინი დუმნეს, რამეთუ ურთიერთას[2] იტყოდეს გზასა ზედა, ვითარმედ: ჩუენგანი ვინ-მე უდიდეს იყოს?

35. და დაჯდა და მოუწოდა ათორმეტთა მათ და ჰრქუა: ვის უნდეს თქუენგანსა პირველ ყოფაჲ, იყოს იგი ყოველთა მრწემ[3] და ყოველთა მსახურ.

36. და მოიყვანა ყრმაჲ და დაადგინა იგი შორის (F 88რ) მათსა და მკლავთა თჳსთა[4] მიიქუა იგი და ჰრქუა მათ:

37. რომელმან (G 107რ) ამათგანი ყრმაჲ შეიწყნაროს სახელისა ჩემისათჳს, მე შემიწყნაროს; და რომელმან მე შემიწყნაროს, არა მე შემიწყნაროს, არამედ მომავლინებელი ჩემი.

38. მიუგო მას იოვანე[5] და ჰრქუა: მოძღუარ, ვიხილეთ ვინმე, რომელი სახელითა შენითა ეშმაკთა განასხმიდა, რომელი ჩუენ არა შეგჳდგს[6], და ეაყენებდით მას.

39. ხოლო თავადმან ჰრქუა მას[7]: ნუ აყენებთ მას, რამეთუ არავინ არს, რომელმან ქმნეს ძალი სახელითა ჩემითა და ჴელ-ეწიფოს ბოროტის-სიტყუად ჩუენდა.

40. რამეთუ რომელი არა ჩუენდა მტერ არს, იგი ჩუენ კერძო არს.

41. რომელმან გასუას თქუენ სასუმელი წყლისაჲ სახელად ჩემდა[8], რამეთუ ქრისტესნი ხართ, ამენ გეტყჳ თქუენ, არა წარუწყმდეს სასყიდელი მისი.

42. და რომელმან დააბრკოლოს ერთი მცირეთაგანი[9] მორწმუნეთაჲ[10] ჩემდა მომართ, უმჯობეს არს მისა, გამო-თუმცა-იბა ქედსა მისსა ვირით საფქველი და შთაეარდეს ზღუასა.

HIK

და მათ, რასა-იგი იცილებოდეს[1] ურთიერთას გზასა ზედა.

34. ხოლო იგი(I 105რ)ნი დუმნეს, რამეთუ ურთიერთას იტყოდეს გზასა ზედა, ვითარმედ: ჩუენგანი ვინ-მე უდიდეს იყოს?

35. და დაჯდა და მოუწოდა ათორმეტთა მათ და ჰრქუა: ვის უნდეს თქუენგანსა პირველ ყოფაჲ, იყოს იგი ყოველთა მრწემ და ყოველთა მსახურ.

36. (H 105რ) და მოიყვანა ყრმაჲ და დაადგინა იგი შორის მათსა და (K 118რ) მკლავთა მიიქუა იგი და ჰრქუა მათ:

37. რომელმან ერთი ამათგანი ყრმაჲ შეიწყნაროს სახელისა ჩემისათჳს, მე შემიწყნაროს; და რომელმან მე შემიწყნაროს, არა მე შემიწყნაროს, არამედ მომავლინებელი ჩემი.

38. მიუგო მას იოვანე და ჰრქუა: მოძღუარ, ვიხილეთ ვინმე, რომელი სახელითა შენითა ეშმაკთა განასხმიდა, რომელი ჩუენ არა შეგჳდგს, და ვაყენებდით მას, რამეთუ არა შემიდგს[2] ჩუენ[3].

39. ხოლო თავადმან ჰრქუა: ნუ აყენებთ მას, რამეთუ არავინ არს, რომელმან ქმნეს ძალი სახელითა ჩემითა და ჴელ-ეწიფოს ბოროტის-სიტყუად ჩემდა.

40. რამეთუ რომელი არა ჩუენდა მტერ არს, იგი ჩუენ კერ(I 105ვ)ძო არს.

41. რომელმან გასუას თქუენ სასუმელი წყლისაჲ სახელად ჩემდა, რამეთუ ქრისტესნი ხართ, ამენ გეტყჳ თქუენ, არა წარუწყმდეს სასყიდელი მისი.

42. და რომელმან დააბრკოლოს (K 118ვ) ერთი მცირეთაგანი მორწმუნეთაჲ ჩემდა მომართ, უმჯობეს არს მისა[4], გამო-თუმცა-იბა ქედსა მისსა წისქჳლის[5] ქვაჲ (H 105ვ) ვირით საფქველი და შთავარდა ზღუასა.

---

[1] იცილოდით F. [2] ურთიერთარს F. [3] მწემ F. [4] თჳსთა] — G. [5] ი̃ნჱ G. [6] შეგჳთქს F. [7] მას] — G. [8] ჩემდა] — FG. [9] მცირედთაგანი F. [10] მორწმუნე F.

[1] იცილობოდეს K. [2] შეჳითქს HI. [3] ჩუჱნ I. [4] მისსა K. [5] წისქჳლისა HI.

| FG | HIK |
|---|---|
| 43. (G 107ვ) და უკუეთუ დაგაბრკოლებდეს ჴელი შენი, მოიკუეთე იგი: უმჯობეს არს შენდა უჴელოჲსაჲ[1] შესლვად[2] ცხორებასა, ვიდრე ორთა ჴელთა სსმასა და შეს(F 93ვ)ლვად გეჰენიასა, ცეცხლსა მას უშრეტსა. | 43. და უკუეთუ დაგაბრკოლებდეს ჴელი შენი, მოიკუეთე[1] იგი: უმჯობეს არს შენდა უჴელოჲსაჲ შესლვად ცხორებასა, ვიდრე ორთა ჴელთა სხმასა და შესლვად გეჰენიასა[2], ცეცხლსა მას უშრეტსა. |
| 44. | 44. სადა-იგი მატლი მათი არა მოაკლდების, და ცეცხლი არა დაშრტების. |
| 45. და უკუეთუ ფერჴი შენი დაგაბრკოლებდეს შენ, მოიკუეთე იგი: უმჯობეს არს შენდა მკელობელისაჲ შესლვად ცხორებასა, ვიდრე ორითა ფერჴითა შესლვად გეჰენიასა. | 45. და უკუეთუ ფერჴი შენი დაგაბრკოლებდეს შენ, მოიკუეთე[1] იგი: უმჯობეს არს შენდა მკელობელისაჲ შესლვად ცხორებასა, ვიდრე ორითა ფერჴითა შთაგდებად გეჰენიასა[2], ცეცხლსა მას უშრეტსა. |
| 46. | 46. სადა-იგი მატლი მათი არა დაესრულების, (I 106რ) და ცეცხლი არა დაშრტების. |
| 47. და უკუეთუ თუალი შენი გაცთუნებდეს შენ, აღმოიღე იგი: უმჯობეს არს შენდა ერთითა თუალითა შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა, ვიდრე ორითა თუალითა შთაგდებად გეჰენიასა. | 47. და უკუეთუ თუალი შენი გაცთუნებდეს შენ, აღმოიღე იგი: უმჯობეს არს შენდა ერთითა თუალითა შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა, ვიდრე ორითა თუალითა შთაგდებად გეჰენიასა[2] ცეცხლისა უშრეტისასა. |
| 48. სადა-იგი მატლი მათი არა დაესრულების, და ცეცხლი არა დაშრტების. | 48. სადა-იგი მატლი მათი არა დაესრულების, და ცეცხლი არა დაშრტების. |
| 49. რამეთუ ყოველი ცეცხლითა დაიმარილოს. | 49. რამეთუ (K 118რ) ყოველივე ცეცხლითა (H 100რ) დაიმარილოს, და ყოველი შესაწირავი მარილითა დაიმარილოს. |
| 50. კეთილ არს მარილი; უკუეთუ მარილი წბილ იყოს, რაჲთა დაიმარილოს? გაქუს თავისა თქუენისა მარილი და მშჳდობით იყვენით ურთიერთას. | 50. კეთილ არს მარილი; ხოლო უკუეთუ მარილი უმარილო იქმნეს, რაჲთა-ლა შეინელოს იგი? გაქუს თავისა თქუენისა მარილი და მშჳდობით იყვენით ურთიერთას. |

## 10

| FG | HIK |
|---|---|
| 1. და აღდგა მიერ იესუ და (G 108რ) მოვიდა საზღვართა ჰურიასტანისათა, წიაღ-იორდანესა, და შეკრბებოდა მისა კუალად ერი, და[3], ვითარცა ჩუეულ იყო, კუალად ასწავებდა მათ. | 1. და აღდგა მიერ იესუ და მოვიდა საზღვართა ჰურიასტანისათა, წიაღ-იორდანესა, და შეკრბებოდა მისა[3] კუალად ერი, და, ვითარცა ჩუეულ[4] იყო, კუალად ასწავებდა მათ. |

---

[1] უჴელოჲსა G. [2] შესლვაჲ G. [3] და] — F.

[1] მოჰკუეთე HI. [2] გეჰენიასა I. [3] მისსა K. [4] ჩუეულ HI.

FG

2. ხოლო ფარისეველნი იგი მოვიდეს და ჰკითხვიდეს მას: უკუეთუ ჯერ-არს კაცისა ცოლისა თჳსისა განტევებაჲ? და გამოსცდიდეს მას.

3. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: ვითარ გამცნო თქუენ მოსე?

4. ხოლო მათ (F 89r) ჰრქუეს[1]: მოსე ბრძანა წიგნი განშორებისაჲ მიცემად და განტევებად.

5. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: გულ-ფიცხელობისა თქუენისათჳს დაწერა მოსე[2] მცნებაჲ ეგე.

6. ხოლო დასაბამითგან დაბადებისაჲთ მამაკაცად და დედაკაცად შექმნნა[3] იგინი ღმერთმან და თქუა:

7. ამისთჳს დაუტეოს კაცმან მამაჲ თჳსი და დედაჲ თჳსი და შეეყოს იგი ცოლსა თჳსსა,

8. და იყვნენ ორნივე ერთ ჴორც. ვითარმედ არღარა არიან ორ, არამედ ერთ ჴორც.

9. რომელნი ღმერთმან შეაუღლნა, კაცნი ნუ განაშორებენ.

10. და მერმე სახლსა შინა რაჲ[4] იყო, ქუალად მაგისვე სიტყჳსა(G 108v)თჳს ჰკითხვიდეს მოწაფენი მისნი[5].

11. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: უკუეთუ განუტეოს ქმარმან ცოლი თჳსი და შეირთოს სხუაჲ, მან იმრუშა.

12. და ცოლი თუ განვიდეს ქმრისაგან და შეერთოს სხუასა, მანცა იმრუშა.

13. და მოჰგურიდეს მას ყრმებსა, რაჲთა ჴელი დასდვას მათ; ხოლო მოწაფენი აყენებდეს მათ, რომელნი-იგი მოჰგურიდეს.

14. ვითარცა იხილა იგი იესუ, შეჰრისხნა მათ და ჰრქუა: აცადეთ ყრმებსა მაგას მოსლვად ჩემდა და ნუ აყენებთ მაგათ, რამეთუ ეგევითართაჲ არს სასუფეველი ცათაჲ.

15. (F 89v) ამენ გეტყჳ თქუენ: რომელმან არა შეიწყნაროს სასუფევე-

HIK

2. ხოლო ფარისეველნი იგი მოუჴდეს და ჰკითხვიდეს მას: უკუეთუ ჯერ-არს კაცისა ცოლისა თჳსისა[1] განტევებაჲ? და (I 100v) გამოსცდიდეს მას.

3. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: ვითარ გამცნო თქუენ მოსე?

4. ხოლო მათ ჰრქუეს[2]: მოსე ბრძანა წიგნი განშორებისაჲ მიცემად და განტევებად.

5. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: გულ-ფიცხელობისა თქუენისათჳს დაწერა მოსე მცნებაჲ ეგე.

6. ხოლო დასაბამითგან დაბადებისაჲთ მამაკაცად და დედაკაცად შექმნნა იგინი ღმერთმან და თქუა:

7. ამისთჳს დაუტევეოს[3] კაცმან მამაჲ თჳსი და დედაჲ თჳსი და შეეყოს (H 108v) ცოლსა თჳსსა,

8. და იყვნენ ორნივე იგი ერთ ჴორც. ვითარმედ არღარა არიან ორ, არამედ ერთ ჴორც.

9. რომელნი ღმერთმან შეაუღლნა, კაცი ნუ განაშორებნ.

10. (K 119v) და მერმე სახლსა რაჲ შინა იყო, ქუალად მისვე სიტყჳსათჳს ჰკითხვიდეს მას მოწაფენი მისნი.

11. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: უკუეთუ განუტეოს ქმარმან ცოლი თჳსი და შეირთოს სხუაჲ, მან იმრუშა.

12. და ცოლი თუ განვიდეს ქმრისაგან და შეერთოს სხუასა, მანცა იმრუშა.

13. და მოჰგურიდეს მას ყრმებსა, რაჲთა ჴელი დასდვას მათ; ხოლო მოწაფენი აყენებდეს მათ, რომელნი(I 107r)-იგი მოჰგურიდეს.

14. ვითარცა იხილა იესუ, შეჰრისხნა მათ და ჰრქუა: აცადეთ ყრმებსა მაგას მოსლვად ჩემდა და ნუ აყენებთ მაგათ, რამეთუ ეგევითართაჲ არს სასუფეველი ცათაჲ.

15. ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ: რომელმან არა შეიწყნაროს სასუფეველი

---

[1] ჰქ̄ს G. [2] მოსჱ F. [3] შექმნა F. [4] ~ რაჲ შინა G. [5] მისნი] ამისთჳს FG.

[1] თჳსისაჲ K. [2] ჰქ̄ჱს I. [3] დაუტეოს K. დაუტევ̈ეოს HI (= დაუტეოს).

| FG | HIK |
|---|---|
| ლი ღმრთისაჲ, ვითარცა ყრმაჲ, ვერ შევიდეს მას. | ღმრთისაჲ, ვითარცა ყრმაჲ, ვერ შევიდეს მას. |
| 16. და შეიტკბობდა მათ და დაასხმიდა მათ ზედა ჴელთა და აკურთხევდა მათ. | 16. და შეიტკბობდა მათ და დაასხმიდა მათ ზედა ჴელთა და აკურთხევდა მათ. |
| 17. და ვითარცა გამოვიდა იგი გზასა, ესერა მდიდარი ვინმე მორბიოდა მისა და მუჴლნი დაიდგნა მის წინაშე, ევედრებოდა მას და ეტყოდა: მოძღუარო სახიერო, რომელი (G 109r) საქმე ექმნე[1], რაჲთა ცხორებაჲ საუკუნოჲ დავიმკჳდრო? | 17. (H 107r) და ვითარცა გამოვიდა იგი გზასა, ესერა მდიდარი ვინმე მო(K 120r)რბიოდა მისა[1] და მუჴლნი დაიდგნა მის წინაშე, ევედრებოდა მას და ეტყოდა: მოძღუარო სახიერო, რომელი საქმე ექმნე, რაჲთა ცხორებაჲ საუკუნოჲ დავიმკჳდრო? |
| 18. ხოლო იესუ ჰრქუა მას: რაჲსა მეტყჳ მე სახიერით? არავინ არს სახიერ, გარნა მხოლოჲ ღმერთი[2]. | 18. ხოლო იესუ ჰრქუა მას: რაჲსა მეტყჳ მე სახიერით? არავინ არს სახიერ, გარნა ღმერთი მხოლოჲ. |
| 19. მცნებანი იცნი: ნუ კაც-ჰკლავ, ნუ იპარავ, ნუ ცილსა სწამებ, პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა. | 19. მცნებანი იცნი: ნუ კაც-ჰკლავ, ნუ იპარავ, ნუ ცილსა სწამებ, ნუ დააკლებ კეთილის ყოფად, პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა. |
| 20. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა მას: ესე ყოველი ვყავ სიჭაბუკით ჩემითგან. რაჲღა მაკლს მე? | 20. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა მას: ესე ყოველი ვყავ სიჭაბუკით ჩემითგან. რაჲღა მაკლს მე? |
| 21. ხოლო იესუ მიჰხედა[3] და შეუყუარდა იგი და ჰრქუა მას: უკუეთუ გნებავს სრულ ყოფაჲ, ერთიღა გაკლს შენ: წარვედ და, რავდენი გაქუს, განყიდე და მიეც გლახაკთა და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა, მოვედ და შემომიდეგ მე. | 21. (I 107v) ხოლო იესუ მიჰხედა[2] და შეუყუარდა იგი და ჰრქუა მას: უკუეთუ გნებავს სრულ ყოფაჲ, ერთიღა გაკლს შენ: წარვედ და, რაოდენი გაქუს, განყიდე და მიეც გლახაკთა და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა, აღიღე ჯუარი და[3] მოვედ და შემომიდეგ მე. |
| 22. ხოლო იგი შეწუხნა ამის[4] სიტყჳსათჳს და წარვიდა მწუხარე, რამეთუ აქუნდა მონაგები ფრიად. | 22. ხოლო იგი შეწუხნა ამის სიტ(K 120v)ყჳსათჳს და წარ(H 107v)ვიდა მწუხარე. რამეთუ აქუნდა მონაგები ფრიად. |
| 23. და მიმოიხილა იესუ და ჰრქუა მოწაფეთა თჳსთაჲ: (F 110r) ამენ გეტყჳ თქუენ: ვითარ ძნიად შევიდენ სასუფეველსა ღმრთისასა, რომელთა აქუს საფასე! | 23. და მიმოიხილა იესუ და ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა, ვითარმედ: ძნიად შევიდენ სასუფეველსა ღმრთისასა, რომელთა აქუს საფასე. |
| 24. ხოლო მოწაფეთა დაუკჳრდებოდა (G 108v) სიტყუასა მას ზედა, ხოლო იესუ კუალად მიუგო და ჰრქუა მათ: | 24. ხოლო მოწაფეთა დაუკჳრდებოდა სიტყუასა ამას ზედა, ხოლო იესუ კუალად მიუგო და ჰრქუა მათ: რაოდენ ძნელ |

---

[1] ვქმნე G. [2] — ღმერთი მხოლოჲ G. [3] მიხედა G. [4] ამის F.

[1] მისა] — K. ეს სიტყვა არც I-ს ჰქონია, მაგრამ მერმე დაუწერიათ ზემოდან. [2] მიხედნა K.
[3] და] — HI.

FG

შვილნო, რავდენ ძნელ არს, რომელნი საფასეთა[1] ესევ, შესლვაჲ სასუფეველსა ღმრთისასა!

25. უადვილეს არს მანქანისა საბელი ჴურელსა ნემსისასა[2] განსლვად[3], ვიდრე მდიდარი სასუფეველსა ღმრთისასა შესლვად.

26. ხოლო მათ უმეტესად დაუკჳრდებოდა[4] და იტყოდეს ურთიერთას[5]: და ვის ჴელ-ეწიფების ცხორებად?

27. მიჰხედა[6] მათ იესუ და ჰრქუა: კაცთა მიერ შეუძლებელ არს ესე, არამედ არა ღმრთისაგანცა, რამეთუ[7] ყოველივე შესაძლებელ არს ღმრთისა მიერ.

28. იწყო პეტრე სიტყუად მისა და ჰრქუა: აჰა ესერა ჩუენ დაუტევეთ ყოველივე და შეგიდეგით შენ.

29. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ამენ გეტყჳ თქუენ: არავინ არს, რომელმან დაუტევა სახლი გინა ძმანი, გინა დანი, გინა მამაჲ, გინა დედაჲ, გინა ცოლი, გინა შვილნი, გინა აგარაკი ჩემთჳს და სახარებისა ამისთჳს,

30. უკუეთუ არა მოიღოს ასი წილი აწ ჟამსა ამას სახლი და ძმანი და დანი და დედაჲ და (G 110r°) შვილნი და აგარაკნი[8] შემდგომად დევნულებისა[9] და საუკუნესა მას (F 90v°) მომავალსა ცხორებაჲ საუკუნოჲ.

31. ხოლო მრავალნი იყვნენ პირველნი უკუანაჲსკნელ, და უკუანაჲსკნელნი პირველ.

32. და იყვნეს იგინი გზასა ზედა და აღვიდოდეს[10] იერუსალჱმდ; და იესუ წინა-უძღოდა მათ, და დაუკჳრდებოდა მოწაფეთა. ხოლო იგინი მოსდევდეს მას და ეშინოდა კითხვად მისა. და წარმოიყვანნა კუალად ათორმეტნი იგი და იწყო მათა თხრობად მერმისა, რომელი შემთხუევად იყო მისა,

HIK

არს, რომელნი საფასეთა ესევ, შესლვაჲ სასუფეველსა ღმრთისასა!

25. უადვილეს არს აქლემი ჴურელსა ნემსისასა განსლვად, ვიდრე მდიდარი შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა.

26. ხოლო მათ უმეტესად განუკჳრდებოდა და იტყოდეს ურთიერთას: და ვის ძალ-უც ცხორებად?

27. მიჰხედა მათ იესუ და ჰრქუა: კაცთა მიერ შეუძლებელ არს, არამედ (I 108r°) არა ღმრთისაგანცა, რამეთუ ყოველივე შესაძლებელ არს ღმრთისა მიერ.

28. იწყო პეტრე სიტყუად მისა[1] და ჰრქუა: აჰა ესერა ჩუენ დაუტევეთ ყოველივე და შეგიდეგით შენ.

29. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ამენ გეტყჳ თქუენ: არავინ არს, რომელმან დაუტევა სახლი გინა ძმანი, გინა (H 109r°) დანი, გინა მამაჲ, გინა დედაჲ, გინა ცოლი, გინა შვილნი, გინა აგარაკნი ჩემთჳს და სახარებისა ამისთჳს,

30. უკუეთუ არა მოიღოს ასი წილი აწ ჟამსა (K 121r°) ამას სახლი და ძმანი და დანი, მამაჲ და დედაჲ და შვილნი და აგარაკნი შემდგომად დევნისა და საუკუნესა მას მომავალსა[2] ცხორებაჲ საუკუნოჲ.

31. ხოლო მრავალნი იყვნენ პირველნი უკუანაჲსკნელ, და უკუანაჲსკნელნი პირველ.

32. და იყვნეს გზასა ზედა და აღვიდოდეს იერუსალჱმდ[3]; და იესუ წინა-უძღოდა მათ, და დაუკჳრდებოდა მოწაფეთა. ხოლო იგინი მისდევდეს მას და ეშინოდა. და წარმოიყვანნა კუალად ათორმეტნი იგი და იწყო თხ(I 108v°)რობად მათა მერმისა მისთჳს, რომელი შემთხუევად[4] იყო მისა[1],

---

[1] საფასესა G. [2] ნემსისსა F (უქარაგმოდ). [3] განსლვაჲ G. [4] განუკჳრდებოდა G. [5] ურთიერთარს F. [6] მიხედა G. [7] რამეთუ] — G. [8] აგარაკი F. [9] დევნისა G. [10] აღვიდოდეს] ÷ იყვნი F.

[1] მისსა K. [2] მომავალსა K. [3] ი҃ჱლიმდ HI, ი҃ჱლმდ K. [4] შემთხუჱვად HI.

| FG | HIK |
|---|---|
| 33. რამეთუ: აჰა ესერა აღვალთ იერუსალჱმდ, და ძჱ კაცისაჲ მიეცეს მღდელთ-მოძღუართა და მწიგნობართა, და დასაჯონ იგი სიკუდილდ და მისცენ იგი წარმართთა: | 33. ვითარმედ: აჰა ესერა აღვალთ იერუსალჱმდ[1], და ძე კაცისაჲ მიეცეს მღდელთ-მოძღუართა და მწიგნობართა, და დასაჯონ იგი სიკუდილდ[2] და მისცენ იგი წარმართთა; |
| 34. და ეკიცხევდენ მას და ტანჯონ იგი და ჰნერწყუვიდენ და მოკლან იგი, და მესამესა დღესა აღდგეს. | 34. და ეკიცხევდენ მას და ტანჯონ და ჰნერწ(H 108ჸ/)ყუვიდენ მას და მოკლან იგი, და მესამესა დღესა აღდგეს. |
| 35. და მოვიდეს მისა იაკობ და იოვანე[1], ძენი ზებედესნი, და ჰრქუეს: მოძღუარ, ვუნებავს, რაჲთა, (G 110ჸ/) რომელი გთხოვოთ[2], მიყო ჩუენ. | 35. და მოვიდეს (K 121ჸ/) მისა[3] იაკობ და იოვანე, ძენი ზებედესნი, და ჰრქუეს[4]: მოძღუარ, ვუნებავს, რაჲთა, რომელი გთხოვოთ, მიყო ჩუენ[5]. |
| 36. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: რაჲ გნებავს ჩემგან, და გიყო თქუენ? | 36. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: რაჲ გნებავს ჩემგან, რაჲთა გიყო თქუენ? |
| 37. ხოლო მათ ჰრქუეს მას: მომეც ჩუენ, რაჲთა ერთი მარჯუენით და ერთი მარცხენით შენსა დავსხდეთ დიდებასა შენსა. | 37. ხოლო მათ ჰრქუეს მას: მომეც ჩუენ, რაჲთა ერთი მარჯუენით შენსა[6] და ერთი მარცხენით შენსა დავსხდეთ დიდებასა შენსა. |
| 38. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: არა იცით, რასა ითხოვთ. ძალ-გიცა სასუმელი შესუმად, რომელი (F 91 ო) მე შევსუა, და ნათლის-ღებაჲ, რომელი მე ნათელ-ვიღო, ნათელ-იღოთ? | 38. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: არა იცით, რასა ითხოვთ. ძალ-გიცა სასუმელსა რომელსა მე შევსუამ, შესუმად, და ნათლის-ღებასა რომელსა მე ნათელ-ვიღებ, ნათლის-ღებად? |
| 39. ხოლო მათ ჰრქუეს მას: ძალ-გჳც. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: სასუმელი სამე, რომელი[3] მე შევსუა, შესუათ, და ნათლის-ღებაჲ, რომელი მე ნათელ-ვიღო, ნათელ-იღოთ, | 39. ხოლო მათ ჰრქუეს მას: ძალ-გჳც. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: სასუმელი სამე, რომელსა მე ვსუამ, სუათ, და ნათლის-ღებაჲ, რომელი მე (I 100ო) ნათელ-ვიღო, ნათელ-იღოთ, |
| 40. ხოლო დაჯდომაჲ მარჯუენით ჩემსა და მარცხენით არა არს ჩემი მიცემაჲ, არამედ ვიეთდაცა[4] განმზადებულ არს. | 40. ხოლო დაჯდომაჲ მარჯუენით ჩემსა და მარცხენით არა არს ჩემი მიცემად[7], არამედ ვიეთდა განმზადებულ არს. |
| 41. და ესმა ესე ათთა მათ და[5] იწყეს რისხვად იაკობისა და იოვანესა. | 41. და ესმა რაჲ ესე ათთა მათ, იწყეს რისხვად იაკობისა და იოვანესა[8]. |
| 42. ხოლო იესუ მოუწოდა და ჰრქუა მათ: უწყითა, რამეთუ რომელნი-იგი ჰგონებედ მთავრად წარმართთა, უფლე-(G 111ო)ბედ მათ ზედა, და დიდ-დიდნი მათნი ჴელმწიფებედ მათ ზედა? | 42. ხოლო იესუ მოუწოდა და ჰრქუა მათ: უწ(H 100ო)ყითა, რამეთუ რომელნი-იგი ჰგონებედ მთავრად წარმართთა, უფლებედ მათ ზედა, და დიდ-დიდნი მათნი ჴელმწიფებედ[9] მათ ზედა? |
| 43. ხოლო არა ეგრე იყოს თქუენ შორის, არამედ რომელსა უნდეს დიდ | 43. ხოლო არა ეგრე იყოს თქუენ[10] შორის, არამედ რომელსა უნდეს დიდ |

---

[1] ი̃ჱნ G. [2] გთხოვოთ F. [3] რომელ G. [4] ვითარცა F. [5] და] — G.

[1] ი̃ლჱმდ HIK. [2] სიკუდილად I. [3] მისსა K. [4] ჰ̃ქ̃ს I. [5] ჩუჱნ H. [6] შენსა] — HI. [7] მიცემაჲ K. მაგრამ მერმე ჲ-ს ზემოთ „დ" დაუწერიათ (= მიცემად). [8] იოვანესსა K. [9] K-ს ტექსტში „ჴელმწიფებედ" იკითხება. მაგრამ შემდეგ ბოლო ე-ს ზემოთ „ნ" დაუწერიათ. [10] თქუჱნ H.

FG

ყოფაჲ თქუენ შორის, იყოს თქუენდა მსახურ;

44. და რომელსა უნდეს თქუენ შორის პირველ ყოფაჲ, იყავნ[1] იგი[2] ყოველთა მონა.

45. და რამეთუ ძჱ კაცისაჲ არა მოვიდა, ვითარმცა იმსახურა ვისგანმე[3], არამედ მსახურებად და მიცემად სული თჳსი საჴსრად მრავალთა.

46. და მოვიდეს იერიქოდ. და ვითარცა გამოვიდოდა იესუ და მოწაფენი მისნი იერიქოჲთ და ერი მრავალი მათ თანა, ძჱ ტიმესი ბარტიმეოს, ბრმაჲ, ჯდა გზასა თანა მთხოვლად.

47. და ესმა რაჲ, რამეთუ იესუ ნაზარეველი (F 91v) არს, იწყო ღაღადებად და სიტყუად: ძეო დავითისო, შემიწყალე მე!

48. და ჰრისხეიდეს მას მრავალნი, რაჲთა დადუმნეს; ხოლო იგი უფროჲს ღაღადებდა და იტყოდა[4]: ძეო დავითისო, შემიწყალე[5] მე!

49. დადგა იესუ და ბრძანა მიწოდებაჲ (G 111v) მისი. და მოუწოდეს ბრმასა მას და ეტყოდეს: ნუ გეშინინ, აღდეგ, გიწესს შენ.

50. ხოლო მან დააბნია სამოსელი[6] თჳსი, აღდგა და მოვიდა მისა.

51. მიუგო და ჰრქუა მას იესუ: რაჲ გნებავს, და გიყო შენ? ხოლო ბრმამან მან ჰრქუა მას: რაბი, რაჲთა აღვიხილნე თუალნი ჩემნი.

52. ხოლო იესუ ჰრქუა მას: გუალე, ვიდოდე, სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ. და მეყსეულად აღიხილნა[7] და მისდევდა მას გზასა ზედა.

HIK

ყოფაჲ თქუენ შორის, იყოს თქუენდა მსახურ;

44. და რომელსა უნდეს თქუენ შორის პირველ ყოფაჲ, იყოს ყოველთა მონა.

45. (K 122r) და რამეთუ ძე კაცისაჲ არა მოვიდა, ვითარმცა იმსახურა, არამედ მსახურებად და მიცემად სული თჳსი საჴსრად მრავალთა.

46. და მოვიდეს იერიქოდ. და ვითარცა გამოვიდოდა იესუ და მოწავენი მისნი იერიქოჲთ და ერი მრავალი მათ თანა, ძე ტიმესი ბარტიმეოს, ბრმაჲ, ჯდა გზასა თანა მთხოველად[1].

47. და ესმა რაჲ, რამეთუ იესუ ნაზარეველი არს, იწყო ღაღადებად და სიტყუად: (I 100v) იესუ, ძეო დავითისო, შემიწყალე მე!

48. და ჰრისხვიდეს მას მრავალნი, რაჲთა დადუმნეს; ხოლო იგი უფროჲს ღაღადებდა: ძეო დავითისო, შემიწყალე მე!

49. დადგა იესუ და ბრძანა მოწოდებაჲ მისი. და მოუწოდდეს[2] ბრმა(H 100v)სა მას და ეტყოდეს: ნუ გეშინინ, აღდეგ, გიწესს შენ.

50. ხოლო მან დააბნია სამოსელი თჳსი და აღდგა და მოვიდა მისა[3].

51. მიუგო და ჰრქუა მას იესუ: რაჲ გნებავს, და გიყო შენ? ხოლო ბრმამან (K 122v) მან ჰრქუა მას: რაბი, რაჲთა აღვიხილნე თუალნი ჩემნი.

52. ხოლო იესუ ჰრქუა მას: გუალე, ვიდოდე, სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ. და მეყსეულად აღიხილნა და მისდევდა მას გზასა ზედა.

## 11

1. და რაჟამს მიეახლნეს იერუსალჱმდ, ბეთბაგედ და ბეთანიად, მთასა თანა ზე-

1. და რაჟამს მიეახლნეს იერუსალჱმდ, ბეთბაგედ და[4] ბეთანიად, მთასა

---

[1] იყოს G. [2] იგი] — G. [3] ვისგან G. [4] იტყდა G (უქარაგმოდ). [5] შემიწყალჱ G. [6] სამუსელი F. [7] აიხილნა G.

[1] მთხოველად K. I-ს გადამწერსაც პირველად „მთხოველად" დაუწერია, მაგრამ ვ მერმე ამოუფხეკია საფუძვლიანად. ახლა ეს სიტყვა გაწყვეტილია ორ ნაწილად. [2] მოუწოდეს K. [3] მისსა K. [4] და] — K.

FG

თისხილთასა, წარავლინნა ორნი მოწაფეთაგანნი

2. და ჰრქუა მათ: წარვედით დაბასა მას, რომელ არს წინაშე თქუენსა; და შე-რაჲ-ხჳდოდით მას, ჰპოოთ კიცჳ დაბმული, რომელსა კაცი არღა დაჯდომილ არს, ალჰკსენით[1] იგი და მომგუარეთ მე.

3. და უკუეთუ ვინმე გრ(F 92r)ქუას რაჲ თქუენ, არქუთ, ვითარმედ: უფალსა უჴმს ეგე. (G 112r) და მეყსეულად მოავლინოს იგი აქა.

4. ხოლო იგინი წარვიდეს და პოვეს კიცჳ იგი დაბმული კართა თანა გარეშე[2] შესავალთა და აჰკსნეს იგი.

5. ხოლო მუნ მდგომარენი ვინმე ეტყოდეს მათ: რასა ზამთ და აჰკსნით კიცუსა მაგას?

6. ხოლო მათ ჰრქუეს, ვითარცა-იგი უბრძანა მათ იესუ; და მიუტევეს მათ.

7. და მოჰგუარეს კიცჳ იგი იესუს და დაასხეს მას სამოსელი[3], და დაჯდა მას ზედა.

8. და მრავალნი სამოსელსა[4] მათსა დაუფენდეს გზასა ზედა, და სხუანი მოჰკაფდეს რტოთა ხეთაგან და დაუფენდეს გზასა ზედა.

9. და რომელნი წინა-უძღოდეს და რომელნი უკუანა შეუდგეს, ღაღადებდეს და იტყოდეს: ჵსანა მაღალთა შინა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა!

10. კურთხეულ არს მოსლვაჲ მეუფისაჲ დავითის, მამისა ჩუენისაჲ! მშჳდობაჲ ზეცათა და დიდებაჲ მაღალთა შინა!

11. და შევიდა იერუსალჱმდ იესუ ტაძარსა მას და მიმოხედვიდა ყოველსა, რამეთუ მწუხრი იყო ჟამი იგი. და (G 112v) განვიდა ბეთანიად ათორმეტთა თანა.

HIK

თანა ზეთისხილთასა, წარავლინნა ორნი მოწაფეთაგანნი

2. და ჰრქუა მათ: წარვედით დაბასა მაგას, რომელ არს წინაშე თქუენსა; და შე-რაჲ-ხჳდოდით მას შინა, ჰპოოთ კიცჳ დაბმული, რომელსა კაცი არღა[1] დაჯდომილ არს, აჰკსენით იგი და მომგუარეთ.

3. და უკუეთუ ვინმე (I 110r) გრქუას რაჲ თქუენ, არქუთ, ვითარმედ: უფალსა უჴმს ეგე, და მეყსეულად მოავლინოს იგი აქა.

4. ხოლო იგინი წარვიდეს და პოვეს[2] კიცჳ იგი დაბმული კართა თანა გარეშე შესავალ(H 110r)თა და აჰკსნეს იგი.

5. ხოლო მუნ მდგომარენი ვინმე ეტყოდეს მათ: რასა ჰზამთ და ალჰკსნით[3] კიცუსა მაგას?

6. ხოლო მათ ჰრქუეს[4], ვითარცა-იგი[5] უბრძანა მათ იესუ; და მიუტევეს მათ.

7. და მოიყვანეს კიცჳ იგი იესუჲსა[6] და დაასხეს მას ზედა სამოსელი მათი, და დაჯდა მას ზედა.

8. და მრავალნი სამოსელსა მათსა დაუფენდეს გზასა ზედა, და სხუანი მოჰკაფდეს (K 123r) რტოთა ხეთაგან და დაუფენდეს გზასა ზედა.

9. და რომელნი წინა-უძღოდეს და რომელნი უკუანა შეუდგეს, ღაღადებდეს და იტყოდეს: ოსანა[7] მაღალთა შინა! კურთხეულ არს მომავალი მეუფე სახელითა უფლისაჲთა!

10. კურთხეულ არს მოსლვაჲ მეუფისა დავითის, მამისა ჩუენისაჲ! გუაცხოვნენ ჩუენ,. რომელი ხარ მაღალთა შინა!

11. და შევიდა იესუ იერუსალჱმდ[8] (I 110v) და ტაძარსა მას და მიმოხედვიდა ყოველსა, რამეთუ მწუხრი იყო ჟამი იგი. და განვიდა ბეთანიად ათორმეტთა თანა.

---

[1] აჰკსენით F. [2] გარე G. [3] სამუსელი F. [4] სმ̄სლსა F.

[1] არა K. [2] პოეს HI. [3] აჰკსნით K. [4] ჰქ̄ჱს I. [5] ვითარცა K. [6] იესუჲსსა K. [7] ოსანნა K. [8] ი̄ჱლმდ HI, ი̄ჱლომდ K.

| FG | HIK |
|---|---|
| 12. და ხვალისაგან, ვითარ გამოვიდეს იგინი ბეთანია(F 92v)ჲთ, შეემშია. | 12. და ხვალისაგან, ვითარ გამოვიდეს იგინი ბეთანიაჲთ, შეემშია. |
| 13. და იხილა ლეღჳ შორით, რომელსა ესხა ფურცელი ხოლო, და მოვიდა, უკუეთუმცა რაჲმე პოვა[1] მას შინა. და მოვიდა მისა და არარაჲ პოვა[1], გარნა ფურცელი ხოლო, რამეთუ არა იყო ჟამი ლეღჳსაჲ. | 13. და იხილა ლეღჳ ერთი შორით, რომელსა ესხა ფურცელი, და მ(K 123v)ო(H 110v)ვიდა, უკუეთუმცა რაჲმე პოვა მას შინა. და მოვიდა რაჲ მისა[1], არარაჲ პოვა, გარნა ფურცელი ხოლო, რამეთუ არა იყო ჟამი ლეღჳსაჲ. |
| 14. და ჰრქუა მას: ნუღარამცა ვინ ჭამს უკუნისამდე შენგან ნაყოფსა. და ესმოდა სიტყუაჲ ესე მოწაფეთა მისთა. | 14. და ჰრქუა მას: ნუღარამცა ვინ ჭამს უკუნისამდე შენგან ნაყოფსა. და ესმოდა ესე მოწაფეთა მისთა. |
| 15. და მოვიდა იესუ იერუსალჱმდ და შევიდა ტაძარსა მას და იწყო გამოსხმად განმსყიდელთა და მომსყიდელთა მიერ ტაძრით; და ტაბლები იგი მეკერმეთაჲ განუბნია და დასასხდომელები იგი მსყიდელთაჲ[2] მათ ტრედისათაჲ დაუმკუა. | 15. და მოვიდეს იერუსალჱმდ, და შევიდა იესუ ტაძარსა მას და იწყო გამოსხმად განმსყიდელთა მათ და მომსყიდელთა მიერ ტაძრით; და ტაბლები იგი მეკერმეთაჲ მათ და დასასხდომელები[2] იგი მსყიდელთაჲ მათ ტრედისათაჲ დაუმკუა. |
| 16. და არა უტევებდა, რაჲთა გან-ვინმე-ილოს ჭურჭელი მიერ ტაძრით. | 16. და არა უტევებდა, რაჲთა გან-ვინმე-ილოს ჭურჭელი მიერ ტაძ(K 124r)რით. |
| 17. და ასწავებდა და ეტყოდა, რამეთუ: წერილ არს: სახლსა ჩემსა სახლ სალოცველ ეწოდოს (G 118r) ყოველთა მიერ წარმართთა, ხოლო თქუენ გიყოფიეს ქუაბ ავაზაკთა. | 17. და ასწავებდა და ეტყოდა, ვითარმედ: წერილ არს: სახლსა ჩემსა სახლ სალოცველ ეწოდოს ყოველთა მიერ წარმართთა, (I 111r) ხოლო თქუენ გიყოფიეს იგი ქუაბ ავაზაკთა. |
| 18. და ესმა ესე მღდელთ-მოძღუართა მათ და მწიგნობართა და ეძიებდეს, ვითარმცა წარწყმიდეს იგი; და ეშინოდა მისა, რამეთუ ყოველი ერი განკჳრვებულ იყო მოძღურებასა მას მისსა. | 18. და ესმა ესე მღდელთ-მოძღუართა მათ და მწიგნობართა და ეძიებდეს, ვითარმცა წარწყმიდეს იგი; და ეშინოდა მისა[1], რამეთუ ყოველი ერი განკჳრვებულ იყო მოძღურებასა მას[3] მისსა. |
| 19. (F 93r) და ვითარცა იყო მწუხრი, განვიდოდა გარეშე ქალაქსა. | 19. და ვითარცა იყო მწუხრი, (H 111r) განვიდოდა[4] გარეშე ქალაქსა. |
| 20. და ვითარცა თანა-წარჰვიდოდეს ვანთიად, იხილეს ლეღჳ იგი განჴმელი ძირითგან. | 20. და ვითარცა თანა-წარჰვიდოდეს განთიად, იხილეს ლეღჳ იგი განჴმელი ძირითგან. |
| 21. და მოეჴსენა პეტრეს და ჰრქუა მას: რაბი, აჰა ლეღჳ იგი, რომელსა სწყევე, განჴმა. | 21. და მოეჴსენა პეტრეს და ჰრქუა მას: რაბი, აჰა ლეღჳ იგი, რომელსა სწყევე, განჴმა. |
| 22. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: | 22. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: |

---

[1] პოა F. [2] მსყიდელთა F.

[1] მისსა K. [2] დასასხდომლები HI. [3] მას] ზედა HI. [4] განვიდოდეს HIK. აქ იესუ მარტო იყო. შემდგომი მუხლიდან უკვე იესუსთან მოწაფეებიც არიან და ზმნის ფორმები მრავლობითშია. ამის გავლენით გადამწერს მრავლობითის ფორმა წინა მუხლშიც გადმოუტანია.

| FG | HIK |
|---|---|
| 23. გაქუს სარწმუნოებაჲ ღმრთისაჲ. ამენ გეტყჳ თქუენ, ვითარმედ: რომელმან ჰრქუას მთასა ამას: აღიფხუერ და შთავარდი ზღუად! და არა შეორგულდეს გულსა თჳსსა, არამედ ჰრწმენეს, რამეთუ რომელი თქუან[1], იქმნეს, და იყოს ეგრეთ[2]. | 23. გაქუნდინ სარწმუნოებაჲ ღმრთისაჲ. ამენ გეტყჳ თქუენ, ვითარმედ: რომელმან ჰრქუას მთასა ამას: აღიფხუარ და შთავარდი ზღუად! და არა შეორგულდეს გულსა თჳსსა, არამედ ჰრწმენეს, რამეთუ რომელი თქუას, იქმნეს, და იყოს ეგრე. |
| 24. ამენ გეტყჳ თქუენ: ყოველსა რომელსა ლოცვასა შინა ითხოვდეთ, გრწმენინ, რამეთუ მოიღოთ, და (G 113ⴁ) გეყოს თქუენ. | 24. ამისთჳს გეტყჳ თქუენ: ყოველსა რომელსა ლოცვასა შინა ითხოვდეთ, გრწმენინ, რამეთუ მოიღოთ, და გეყოს თქუენ. |
| 25. და რაჟამს სდგეთ ლოცვასა შინა, მიუტევეთ, უკუეთუ გაჴსოვს რაჲმე ბოროტი ვისთჳსმე, რაჲთა მამამანცა თქუენმან, რომელ არს ცათა შინა, მოგიტევნეს შეცოდებანი თქუენნი. | 25. და რაჟამს სდგეთ ლოცვასა შინა, მიუტევეთ, უკუეთუ გაქუნდეს რაჲმე ბოროტი ვისთჳს(I 111ⴁ)მე, რაჲთა მამამანცა თქუენმან, რომელ არს ცათა (K 124ⴁ) შინა, მოგიტევნეს შეცოდებანი თქუენნი[1]. |
| 26. | 26. |
| 27. და მოვიდეს კუალად იერუსალჱმდ. და ვითარცა იქცეოდა იგი ტაძარსა მას შინა, მოვიდეს მისა მღდელთ-მოძღუარნი იგი და მწიგნობარნი და მოხუცებულნი | 27. და მოვიდეს კუალად იერუსალჱმდ[2]. და ვითარცა იქცეოდა იგი ტაძარსა მას შინა, მოვიდეს მისა[3] მღდელთ-მოძღუარნი იგი და მწიგნობარნი და მოხუცებულნი |
| 28. და ეტყოდეს მას: რომლითა ჴელმწიფებითა იქმ ამას, და ვინ მოგცა შენ ჴელმწიფებაჲ ესე? | 28. და ეტყოდეს მას: რომლითა ჴე(H 111ⴁ)ლმწიფებითა იქმ ამას, და ვინ მოგცა შენ ჴელმწიფებაჲ ესე, რაჲთა ამას იქმოდი? |
| 29. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ: გკითხო თქუენ მეცა სიტყუაჲ ერთი, და თქუენ მომიგეთ მე, და მე გითხრა თქუენ, (F 98ⴁ) რომლითა ჴელმწიფებითა ვიქმ ამას: | 29. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ: გკითხო მეცა თქუენ სიტყუაჲ ერთი, და თქუენ მომიგეთ მე, და მე გითხრა თქუენ, რომლითა ჴელმწიფებითა ვიქმ ამას: |
| 30. ნათლის-ცემაჲ იოვანესი[3] ზეცით იყო ანუ კაცთაგან? მითხართ მე. | 30. ნათლის-ცემაჲ იოვანესი ზეცით იყო ანუ კაცთაგან? მითხართ მე. |
| 31. ხოლო იგინი ზრახვიდეს თჳსაგან და იტყოდეს: უკუეთუ ვთქუათ: ზეცით იყო, გურქუას ჩუენ: რაჲსათჳს არა გრწმენა მისი? | 31. ხოლო იგინი განიზრახვიდეს თჳსაგან და იტყოდეს: უკუეთუ ვთქუათ: ზეცით იყო, გურქუას ჩუენ: რაჲსათჳს უკუე[4] არა გრწმენა მისი? |
| 32. და უკუეთუ ვთქუათ: კაცთაგან, გუეშინის ერისა, რამეთუ ყოველთა (G114ⴀ) იცოდეს იოვანე[4], რამეთუ[5] წინაწარმეტყუელი იყო. | 32. და უკუეთუ ვთქუათ: კაცთაგან, გუეშინის[5] ერისა ამის, რამეთუ ყოველთა იცოდეს იოვანე, ვითარმედ ჭეშმარიტად წინაწარმეტყუელი იყო. |

---

[1] თქუა F. [2] ეგრჱ G. [3] ი̃ნჱსი G. [4] ი̃ნჱ G. [5] რამეთუ] — F.

[1] თქუჱნნი I. [2] ი̃ჱლემდ H, ი̃ჱლმდ I, ი̃ჱლჲმდ K. [3] მისსა K. [4] უკუჱ HI. [5] გუჱშინის HI.

FG

33. და მიუგეს მათ იესუს და ჰრქუეს: არა ვიცით. და მიუგო მათ იესუ და ჰრქუა: არცა მე გითხრა თქუენ, რომლითა ჴელმწიფებითა ამას ვიქმ.

HIK

33. და მიუგეს და ჰრქუეს მათ იესუს: არა ვიცით. და მიუგო მათ იესუ და ჰრქუა: არცა მე გითხრა თქუენ, რომლითა (I 112r) ჴელმწიფებითა ამას ვიქმ.

# 12

1. და იწყო მათა იგავით სიტყუად: კაცმან ვინმე დაასხა ვენაჴი და ზღუდე გარე-მოადგა და ქმნა საწნესელი და აღაშენა გოდოლი და მისცა იგი ქუეყანის-მოქმედთა[1] და წარვიდა.

2. და მიავლინა ქუეყანის-მოქმედთა მათ ჟამსა ნაყოფისასა მონაჲ. რაჲთა მოიღოს ნაყოფი ვენაჴისაჲ მის.

3. ხოლო მათ შეიპყრეს[2] და გუემეს იგი და წარავლინეს ცალიერი[3].

4. მერმე კუალად წარავლინა სხუაჲ მონაჲ, და მასცა კუალად გამო-ვე-ეწყუნეს და წარავლინეს იგი გინებული.

5. და მერმე სხუაჲ მიავლინა, და იგიცა მოკლეს; და სხუანი მრავალნი— რომელთამე სტანჯეიდეს და რომელთამე მოჰკლვიდეს.

6. უკუანაჲსკნელ. ერთი ძე (F 94r) ესუა საყუარელი თჳსი, მიავლინა მათა, რამეთუ თქუა. ვითარმედ: შეიკდიმონ (G 114v) ძისა ჩემისათჳს.

7. ხოლო ქუეყანის-მოქმედთა მათ ვითარცა იხილეს იგი მომავალი მათა, თქუეს ურთიერთას[4]: ესე არს მკჳდრი მისი, მოვედით და მოვკლათ ესე, და ჩუენდა იყოს სამკჳდრებელი იგი.

8. და შეიპყრეს იგი და მოკლეს და გამოაგდეს იგი მიერ[5] სავენაჴით.

9. აწ რაჲ უყოს მათ უფალმან მის ვენაჴისამან? მოვიდეს და მოსრნეს ქუეყანის-მოქმედნი იგი და ვენაჴი იგი მისცეს სხუათა.

10. არცაღა ესე წიგნი აღმოგიკით-

1. და იწყო იგავით მათა სიტყუად: კაცმან ვინმე დაასხა ვენაჴი და ზღუდე გარე-მოსდვა და ქმნა საწნეხელი და აღაშენა გოდოლი (K 125r) და მისცა იგი ქუეყანის-მოქმედთა და წარვიდა.

2. და მიავლინა ქუეყანის(H 112r)-მოქმედთა მათ მიმართ ჟამსა ნაყოფისასა მონაჲ, რაჲთა მოიღოს[1] ნაყოფი ვენაჴისაჲ მის.

3. ხოლო მათ შეიპყრეს და გუემეს[2] იგი და წარავლინეს ცალიერი.

4. მერმე კუალად წარავლინა სხუაჲ მონაჲ, და მასცა კუალად გამო-ვე-ეწყუნეს, გუემეს[2] და წარავლინეს გინებული.

5. და კუალად სხუაჲ მიავლინა, და იგიცა მოკლეს; და სხუანი მრავალნი— რომელთამე სტანჯვიდეს და რომელთამე მოჰკლვიდეს.

6. უკუანაჲსკნელ, ერთი ძე ესუა საყუარელი თჳსი, მიავლინა მათა, რამეთუ თქუა, ვითარმედ: შეიკდიმონ ძისა ჩემისათჳს.

7. ხოლო ქუეყანის-მოქმედთა მათ თქუეს[3] ურთიერთას: ესე არს მკჳდრი მისი, მოვედით[4] და მოვკლათ იგი, და ჩუენდა იყოს სამკჳდ(I 112v)რებელი ესე.

8. და შეიპყრეს იგი და მოკლეს და გამოაგდეს იგი მიერ სავენაჴით.

9. აწ რაჲ უყოს მათ უფალმან მის ვენაჴისამან? მოვიდეს და მოსრნეს ქუეყანის-მოქმედნი იგი და ვენაჴი იგი მისცეს სხუათა.

10. არცაღა ესე წიგნი აღმოგიკითხავ-

---

[1] ქუეყანისა-მოქმედთა G. [2] შეიპყრნეს F. [3] ცალიელი G. [4] ურთიერთარს F. [5] მიერ]— F.
[1] მიიღოს K. [2] გუმეს HI. [3] თქუჱს I. [4] ვდ̄ით H.

FG

ხავსა: ლოდი, რომელ შეურაცხ-ყვეს მაშენებელთა, იგი იქმნა თავ კიდეთა?

11. უფლისა მიერ იყო ესე და არს საკჳრველ წინაშე თუალთა ჩუენთა.

12. და ეგულებოდა შეპყრობაჲ მისი და ეშინოდა ერისა მის, რამეთუ ცნეს, ვითარმედ მათთჳს თქუა იგავი იგი. და დაუტევეს იგი და წარვიდეს.

13. და მი-ვინმე-ავლინნეს მისა ფარისეველნი და ჰეროდიანნი, რაჲთა მონადირონ იგი (G 115r°) სიტყჳთა.

14. ხოლო იგინი მოვიდეს და ჰკითხვიდეს მას ზაკუვით და ჰრქუეს: მოძღუარ, ვიცით, რამეთუ ჭეშმარიტ ხარ და არარაჲ ზრუნვაჲ გიც ვისთანავე, რამეთუ არა ხედავ პირსა კაცისასა, არამედ ჭეშმარიტად გზასა ღმრთისასა ასწავებ. (F 94v°) მარქუ ჩუენ: ჯერ-არს ჩუენდა ხარკისა მიცემად კეისარსა, ანუ არა მივსცეთ?

15. ხოლო თავადმან იცოდა ორგულებაჲ მათი და ჰრქუა მათ: რაჲსა გამომცდით, მე, ორგულნო? მომართჳთ მე დრაჰკანი, და ვიხილო.

16. ხოლო მათ მოართუეს. და ჰრქუა მათ იესუ: ვისი არს ხატი ესე და ზედაწერილი? ხოლო მათ ჰრქუეს: კეისრისაჲ.

17. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: მიეცით კეისრისაჲ კეისარსა და ღმრთისაჲ ღმერთსა. და დაეკვრდა[1] ამას ზედა და წარვიდეს.

18. და მოვიდეს მისა სადუკეველნი[2], რომელნი იტყოდეს, ვითარმედ: აღდგომაჲ არა არს, და ჰკითხვიდეს მას და ეტყოდეს:

19. მოძღუარ, მოსე[3] ესრეთ დამიწერა ჩუენ: (G 115v°) უკუეთუ ვისმე მოუკუდეს[4] ძმაჲ და ესუას მას ცოლი, და შვილი არა დაშთეს, რაჲთა შეირთოს

HIK

სა: ლოდი, რომელ შეურაცხ-ყ(H 112v°)ვეს მაშენებელთა, ესე იქმნა თავ კიდეთა?

11. უფლისა მიერ იყო ესე და არს საკჳრველ წინაშე თუალთა ჩუენთა.

12. (K 125v°) და ეძიებდეს მას შეპყრობად და ეშინოდა ერისა მისგან, რამეთუ ცნეს, ვითარმედ მათთჳს თქუა იგავი იგი. და დაუტევეს იგი და წარვიდეს.

13. და მი-ვინმე-ავლინნეს მისა[1] ფარისეველნი და ჰეროდიანნი, რაჲთა მონადირონ იგი სიტყჳთა.

14. ხოლო იგინი მოვიდეს და ჰკითხვიდეს მას: მოძღუარ, ვიცით, რამეთუ ჭეშმარიტ ხარ და არარაჲ ზრუნვაჲ გაქუს ვისთჳსვე, რამეთუ არა ხედავ პირსა კაცისასა, არამედ ჭეშმარიტად[2] გზასა ღმრთისასა ასწავებ. ჯერ-არსა ხარკი მიცემად კეისარსა ანუ არა? მივსცეთ ანუ არა მივსცეთ?

15. (I 113r°) ხოლო თავადმან იცოდა ორგულებაჲ მათი და ჰრქუა მათ: რაჲსა გამომცდით მე? მომართჳთ მე დრაჰკანი, რაჲთა ვიხილო.

16. ხოლო მათ მოართუეს[3]. და ჰრქუა მათ: ვისი არს ხატი ესე და ზედაწერილი? ხოლო მათ ჰრქუეს: კეისრისაჲ.

17. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: მიეცით კეისრისაჲ (H 113r°) კეისარსა და ღმრთისაჲ ღმერთსა. და დაეკვრდა ამას ზედა და წარვიდეს.

18. და მოვიდეს მისა[1] სადუკეველნი, რომელნი იტყჳან, ვითარმედ: აღდგომაჲ არა არს, და ჰკითხვიდეს მას და ეტყოდეს:

19. მოძღუარ, მოსე ესრეთ დამიწერა ჩუენ: უკუეთუ ვისმე მოუკუდეს ძმაჲ და (K 120r°) ესუას მას ცოლი, და შვილი არა დაშთეს, რაჲთა შეირთოს ძმამან

---

[1] დაეკვრვებოდა G. [2] სადუკეველნი F. [3] მოსე F. [4] ვისიმე მოკუდეს F.

[1] მისსა K. [2] ჭეშმარიტსა HI. [3] მოართუეს HI.

FG

ძმამან მისმან ცოლი იგი მისი[1] და აღუდგინოს თესლი ძმასა თჳსსა.

20. აწ შჳდნი ძმანი იყვნეს ჩუენ შორის. და პირველმან შეირთო ცოლი და მოკუდა, და არა დაშთა შეილი.

21. და მეორემან შეირთო იგი და მოკუდა, და არა დაშთა შეილი. და მესამემან ეგრევე,

22. ვიდრე მეშჳდედმდე, და არა დაუშთა შეილი. უკუანაჲსკნელ[2] ყოველთა მოკუდა დედაკაციცა იგი.

23. აწ უკუე აღდგ(F 95r)ომასა მას, ოდეს აღდგენ, ვისა მათგანისა იყოს იგი ცოლ, რამეთუ შჳდთავე მათ ესუა იგი ცოლად?

24. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ამისთჳს უკუე სცთებით თქუენ, რამეთუ არა იცით წიგნი, არცა ძალი ღმრთისაჲ.

25. რაჟამს მკუდრეთით აღდგენ, არცა იქორწინებოდიან, არცა განჰქორწინებდენ, არამედ იყვნენ ვითარცა ანგელოზნი ცათა შინა.

26. (G 118r) ხოლო ამისთჳს, რამეთუ აღდგენ მკუდარნი, არა აღმოგიკითხავსა წიგნსა მოსესსა[3], მაყულოვანსა[4] ზედა ვითარ-იგი ღმერთი ეტყოდა მას: მე ვარ ღმერთი აბრაჰამისი და ღმერთი ისააკისი[5] და ღმერთი იაკობისი?

27. არა არს ღმერთი მკუდართაჲ, არამედ ცხოველთაჲ. ხოლო თქუენ ფრიად სცთებით.

28. და მოვიდა მისა ერთი მწიგნობართაგანი, ესმოდა რაჲ მათი, ვითარ-იგი გამოეძიებდეს მის თანა სიტყუასა მას, იცოდა, რამეთუ კეთილად მიუგო მათ, ჰკითხა მას მანცა, ვითარმედ: რომელი არს პირველი მცნებაჲ?

29. ხოლო იესუ ჰრქუა მას: ყოვლისა პირველად ესე არს: ისმინე, ისრაჱლ: უფალი ღმერთი შენი უფალი ერთ არს;

HIK

მისმან ცოლი იგი მისი და აღუდგინოს თესლი ძმასა თჳსსა.

20. აწ შჳდნი ძმანი იყვნეს ჩუენ შორის. და პირველმან შეირთო ცოლი და მოკუდა, და არა დაშთა შეილი.

21. და მეორემან შეირთო იგი და მოკუდა, და არა დაშთა შეილი. და მესამემან ეგრეთვე,

22. ვიდრე მეშჳდედმდე, და არა დაუშთა შეილი. (I 113v) უკუანაჲსკნელ ყოველთასა მოკუდა დედაკაცი იგი.

23. აწ უკუე[1] აღდგომასა მას, ოდეს აღდგენ, ვისა[2] მათგანისა იყოს იგი ცოლ, რამეთუ შჳდთავე მათ ესუა იგი ცოლად?

24. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: არა ამისთჳს სცთებითა, რამეთუ არა იცნით წიგნნი, არცა ძალი ღმრთისაჲ?

25. (H 113v) რამეთუ რაჟამს მკუდრეთით აღდგენ, არცა იქორწინებოდიან, არცა განჰქორწინებდენ, არამედ იყვნენ ვითარცა ანგელოზნი ცათა შინა.

26. ხოლო ამისთჳს, რამეთუ აღდგენ მკუდარნი, არა აღმოგიკითხავსა წიგნსა მოსესსა, მაყულოვანსა ზედა ვითარ-იგი ღმერთი ეტყოდა მას და ჰრქუა: მე ვარ ღმერთი აბრაჰამისი, ღმერთი ისაკისი და ღმერთი იაკობისი?

27. არა არს ღმერთი მკუდართაჲ, არამედ ღმერთი ცხოველთაჲ. ხოლო თქუენ ფრიად სცთებით.

28. (K 128v) და მოვიდა მისა[3] ერთი მწიგნობართაგანი, ესმოდა რაჲ მათი, ვითარ-იგი გამოეძიებდეს მის თანა, იცოდა, რამეთუ კეთილად მიუგო მათ, ჰკითხა მას მანცა, ვითარმედ: რომელი არს ყოველთა პირველი მცნებაჲ?

29. ხოლო იესუ ჰრქუა მას: პირველი ყოველ(I 114r)თა მცნებათაჲ ესე არს: ისმინე, ისრაჱლ: უფალი ღმერთი შენი უფალი ერთ არს;

---

[1] ~ ცოლი მისი ძმამან მისმან F. [2] უკუანსკნელ F (უქარაგმოდ). [3] მოსესა F. [4] მაყლოანსა F. [5] ისაკისი G.

[1] უკუჱ HIK. [2] ვის HI. [3] მისსა K.

FG

30. და შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა. ესე არს პირველი.

31. და მეორე, მსგავსი ამისი: შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა (F 115v) თავი თჳსი. უფროჲს ამათსა სხუაჲ (G 116v) მცნებაჲ არა არს.

32. ჰრქუა მას მწიგნობარმან მან: კეთილად, მოძღუარ, ჭეშმარიტად სთქუ, რამეთუ ერთ არს ღმერთი, და არავინ[1] არს სხუაჲ მისა გარეშე;

33. და შეყუარებად იგი ყოვლითა სულითა და ყოვლითა ძალითა და ყოვლითა გულისხმის-ყოფითა[2]. და შეყუარებად მოყუასი, ვითარცა თავი თჳსი; უფროჲს[3] არს ესე ყოველთა მსხუერპლთა და შესაწირავთა.

34. და იესუ იხილა, რამეთუ გონიერად მოუგო[4], და ჰრქუა მას: არა შორს ხარ სასუფეველსა ღმრთისასა. და არღარავინ იკადრა კითხვად მისა.

35. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ და ასწავებდა ტაძარსა მას შინა: ვითარ უკუე იტყჳან მწიგნობარნი, რამეთუ: ქრისტე ძჱ არს დავითისი?

36. თჳთ იგი დავით იტყჳს სულითა წმიდითა[5]: ჰრქუა უფალმან უფალსა ჩემსა: დაჯედ მარჯუენით ჩემსა, ვიდრემდე[6] დავსხნე მტერნი შენნი ქუეშე ფერჴთა შენთა.

37. თჳთ იგი დავით ჰხადის[7] მას უფალით, და (G 117r) ვითარ ძჱ მისი არს? და მრავალი ერი ისმენდა მისსა[8] ტკბილად.

38. და იტყოდა სწავლასა მას მისსა: ეკრძალენით მწიგნობართა მათგან, რომელთა ჰნებავს სამკაულითა სლვაჲ და მოკითხვაჲ უბანთა ზედა,

HIK

30. და შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა. ესე არს პირველი მცნებაჲ.

31. და მეორე, მსგავსი ამისი: შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თჳსი. (H 114r) უფროჲს ამათსა სხუაჲ მცნებაჲ არა არს.

32. ჰრქუა მას მწიგნობარმან მან: კეთილად, მოძღუარ, ჭეშმარიტად სთქუ, რამეთუ ერთ არს ღმერთი, და არავინ არს სხუაჲ მისა[1] გარეშე;

33. და შეყუარებად იგი ყოვლითა გულითა და ყოვლითა სულითა და ყოვლითა ძა(K 137r)ლითა და ყოვლითა გულისჴმის-ყოფითა, და შეყუარებად მოყუასი, ვითარცა თავი თჳსი; უფროჲს არს ესე ყოველთა მსხუერპლთა და შესაწირავთა.

34. და იხილა იესუ, რამეთუ გონიერად მიუგო, ჰრქუა მას: არა შორს ხარ სასუფეველისაგან ღმრთისა. და არღარავინ იკადრა კითხვად მისა.

35. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ და ასწავებდა (I 114v) ტაძარსა მას შინა: ვითარ უკუე[2] იტყჳან მწიგნობარნი, ვითარმედ: ქრისტე ძე არს დავითისი?

36. რამეთუ თჳთ იგი დავით იტყჳს სულითა წმიდითა: ჰრქუა უფალმა უფალსა ჩემსა: დაჯედ მარჯუენით ჩემსა, ვიდრემდის დავსხნე მტერნი შენნი ქუეშე[3] ფერჴთა შენთა.

37. თჳთ იგი დავით ჰხადის[4] მას უფლით, და ვითარ ძჱ[5] მისი არს? და მრავალი ერი ისმენდა მისსა ტკბილად.

38. და ეტყოდა მათ სწავლასა მას შინა მისსაჲ ეკრძალენით მწიგნობა(H 114v)რთა მათგან, რომელთა ჰნებავს სამკაულითა სლვაჲ და მოკითხვაჲ უბანთა ზედა,

---

[1] არ̄ავინ G. [2] გულისჴმის-ყოფითა F. [3] უფ̄რს F, უფროს G. [4] მიუგო G. [5] სულითა წმიდითა] — F. [6] ვ̄ე F. [7] ხადის G. [8] მისა F.

[1] მისსა K. [2] ჳკუე HIK. [3] ქუეშე HI. [4] ხადის K. [5] ძე HI.

FG

39. და ზემოჯდომაჲ კრებულსა შორის და პირველ ინაჯით-ჯდომაჲ სერსა ზედა,

40. (F 86r) რომელნი შეშჭამენ სახლებსა ქურივთასა და მიზეზით მყოვარ ილოცვედ, რომელთა მიიღონ უმეტესი საშჯელი.

41. დადგა იესუ წინაშე ფასის-საცავსა მას და ხედვიდა, ვითარ-იგი ერი[1] დასდებდა რვალსა ფასის-საცავსა მას. და მრავალთა მდიდართა დადვეს ფრიად.

42. და მოვიდა ერთი ქურივი გლახაკი და დასხნა ორნი მწულილნი[2], რომელ არს კოდრანტე[3].

43. და მოუწოდა იესუ მოწაფეთა თჳსთა და ჰრქუა მათ: ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ ქურივმან ამან გლახაკმან (G 117v) უფროჲს ყოველთასა დადვა ფასის-საცავსა.

44. რამეთუ ყოველთა ნამეტავისაგან[4] მათისა დადვეს, ხოლო ამან ნაკლულევანებისაგან თჳსისა ყოველი, რაჲცა აქუნდა, შემოწირა საცხორებელი თჳსი.

HIK

39. და ზემოჯდომაჲ კრებულსა შორის და პირველ ინაჯით-ჯდომაჲ სერსა ზედა,

40. რომელნი შესჭამენ[1] სახლებსა ქურივთასა და მიზეზით მყოვარ ჟამ ილოცვენ, რომელთა მიიღონ უმეტესი საშჯელი[2].

41. და დაჯდა იესუ წინაშე ფასის-საცავსა მას და ხედვიდა, ვითარ-იგი ერი დასდებდა რ(K 127v)ვალსა[3] ფასის-საცავსა მას. და მრავალთა მდიდართა დადვეს ფრიად.

42. და მოვიდა ერთი ქურივი გლახაკი და და(I 115r)სხნა ორნი მწულილნი[4], რომელ არს კოდრანტე.

43. და მოუწოდა იესუ მოწაფეთა თჳსთა და ჰრქუა მათ: ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ ქურივმან ამან გლახაკმან უფროჲს ყოველთასა დადვა ფასის-საცავსა მას.

44. რამეთუ ყოველთა ნამეტავისაგან[5] მათისა დადვეს, ხოლო ამან ნაკლულევანებისაგან თჳსისა ყოველი, რაჲცა აქუნდა, დადვა საცხორებელი თჳსი.

## 13

1. და გამო-რაჲ-ვიდოდა იგი ტაძრით, ჰრქუა მას ერთმან მოწაფემან მისმან: მოძღუარ, იხილე, რაბამი ქვები არს და რაბამი შენებულებაჲ!

2. მიუგო იესუ და ჰრქუა: ხედავა ამათ დიდ-დიდთა შენებულებათა[5]? ამენ გეტყჳ შენ: არა დაშთეს ქვაჲ ქვასა ზედა, რომელი არა დაირღუეს.

3. და დაჯდა რაჲ იგი მთასა მას ზეთისხილთასა წინაშე ტაძარსა მას, ჰკითხვიდეს მას თჳსაგან პეტრე და იაკობ და იოვანე[6] და ანდრია:

4. (F 90v) მითხარ ჩუენ, ოდეს ყო-

1. და გამო-რაჲ-ვიდოდა იგი ტაძრით, ჰრქუა (H 115r) მას ერთმან მოწაფემან მისმან: მოძღუარ, იხილე, რაბამი ქვები არს და რაბამი შენებულებაჲ!

2. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: ხედავა ამათ დიდ-დიდთა შენებულთა? არა დაშთეს ქვაჲ ქვასა ზედა, რომელი არა დაირღუეს[6].

3. (K 128r) და დაჯდა რაჲ იგი მთასა მას ზეთისხილთასა წინაშე ტაძარსა მას, ჰკითხვიდეს მას თჳსაგან პეტრე და იაკობ და იოვანე და ანდრეა:

4. მითხარ ჩუენ, ოდეს ყოფად არს

---

[1] ~ ვითარ ერი იგი F. [2] წულილნი FG. [3] კოდრანტე G. [4] ნამეტნავისაგან F. [5] დიდთა შენებულთა G. [6] ი̄ნე G.

[1] შეშჭამენ HI. [2] საშჯელი HI. [3] რვალსა K. [4] წურილნი HI (=წულილნი — მწულილნი). [5] ნამეტნავისაგან K. [6] დაირღუჱს HI.

| FG | HIK |
|---|---|
| ფად არს ესე, და რაჲ იყვნენ სასწაულნი, ოდეს-ესე აღესრულნენ? | ესე, და რაჲ იყვნენ სასწაულნი, ოდეს ესე ყოველნი აღესრულნენ? |
| 5. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ეკრძალენით, ნუუკუე ვინმე გაცთუნნეს თქუენ. | 5. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ეკრძალენით, ნუუკუე[1] ვინმე (I 115v) გაცთუნნეს თქუენ. |
| 6. რამეთუ მრავალნი მოვიდოდიან (G 118r) სახელითა ჩემითა და იტყოდიან[1], ვითარმედ: მე ვარ ქრისტჱ, და მრავალთა აცთუნებდენ. | 6. რამეთუ მრავალნი მოვიდოდიან სახელითა ჩემითა და იტყოდიან, ვითარმედ: მე ვარ, და მრავალთა აცთუნებდენ. |
| 7. რაჟამს გესმოდიან ბრძოლანი და ჰამბავნი ბრძოლათანი, ნუ შესძრწუნდებით, რამეთუ ჯერ-არს ყოფად, არამედ არღა არს აღსასრული. | 7. რაჟამს გესმოდიან ბრძოლანი და ჰამბავნი ბრძოლათანი, ნუ შესძრწუნდებით, რამეთუ ჯერ-არს ესე ყოფად, არამედ არღა არს აღსასრული. |
| 8. რამეთუ აღდგეს ნათესავი ნათესავესა ზედა და მეუფებაჲ[2] მეუფებასა ზედა, და იყვნენ ძრვანი ადგილ-ადგილ, და იყვნენ სიყმილნი და სრვანი. ესე ყოველი დასაბამი სალმობათაჲ არს. | 8. რამეთუ აღდგეს ნათესავი ნათესავესა ზედა და მეუფებაჲ მეუფებასა ზედა, და იყვნენ ძრვანი ადგილ-ადგილ, (H 115v) და იყვნენ სიყმილნი და შფოთნი. ესე ყოველი დასაბამი სალმობათაჲ არს. |
| 9. და მიგცემდენ თქუენ შესაკრებელთა და კრებულთა შორის გტანჯვიდეს თქუენ, და წინაშე მთავართა და მეფეთა წარსდგეთ ჩემთჳს საწამებელად მათა და ყოველთა წარმართთა. | 9. ხოლო ეკრძალენით თქუენ თავთა თქუენთა, რამეთუ მიგცემ(K 128v)დენ თქუენ შესაკრებელთა და კრებულთა შორის გტანჯვიდენ თქუენ, და წინაშე მეფეთა და მთავართა წარსდგეთ ჩემთჳს საწამებელად მათა და ყოველთა წარმართთა. |
| 10. ხოლო პირველად ჯერ-არს ქადაგებად სახარებაჲ ესე. | 10. ხოლო პირველად ჯერ-არს ქადაგებად სახარებაჲ ესე. |
| 11. და რაჟამს მიგიყვანნენ თქუენ მიცემად მათა, ნუ წინაჲსწარ[3] ჰზრუნავთ[4], რასა იტყოდით, არამედ რაჲ-იგი მოგეცეს[5] თქუენ მას ჟამსა შინა, მას[6] იტყოდეთ, რამეთუ არა თქუენ ხართ მეტყუელნი, არამედ სული წმიდაჲ. | 11. და რაჟამს მიგიყვანნენ თქუენ მიცემად მათა, ნუ წინაჲსწარ[2] ჰზრუნავთ, ნუცა იწურთით, რასა იტყოდით; არამედ რაჲ-იგი მოგეცეს თქუენ მას ჟამსა შინა, მას იტყოდეთ, რამეთუ არა თქუენ (I 116r) ხართ მეტყუელნი[3], არამედ სული წმიდაჲ. |
| 12. (G 118v) ხოლო მისცეს ძმამან ძმაჲ სიკუდილად და მამამან შვილი, და აღდ(G 119r)გენ შვილნი მამა-დედათა ზედა და მოჰკლვიდენ მათ. | 12. ხოლო მისცეს ძმამან ძმაჲ სიკუდილად და მამამან შვილი, და აღდგენ შვილნი მამა-დედათა ზედა და მოჰკლვიდენ მათ. |
| 13. და იყვნეთ თქუენ მოძულებულ ყოველთაგან სახელისა ჩემისათჳს; ხო- | 13. და იყვნეთ თქუენ მოძულებულ ყოველთაგან სახელისა ჩემისათჳს; ხო- |

---

[1] იტყოდიან] — F. [2] მეუფუნებაჲ G. [3] წინასწარ F. [4] ზრუნავთ F. [5] მოგცეს G. [6] მს F (უქარაგმოდ).

[1] ნუუკუე HIK. [2] წ~წრ HIK. [3] მეტყუელნი HI

**FG**

ლო რომელმან დაითმინოს იგი სრულიად, ცხოვნდეს[1].

14. ოდეს იხილოთ საძაგელი იგი მოოჴრებისაჲ მდგომარე, სადა-იგი არა ჯერ-არს, — რომელი-იგი[2] აღმოიკითხვიდეს, სცნობდინ, — მაშინ რომელნი იყვნენ ჰურიასტანს, ივლტოდედ[3] მთად.

15. და რომელი ერდოსა ზედა იყოს, ნუ გარდამოვალნ სახიდ და ნუცა შევალნ აღებად რაჲსმე სახლისაგან თჳსისა.

16. და რომელი ველსა გარე იყოს, ნუ უკუნიქცევინ აღებად სამოსლისა[4] თჳსისა.

17. ხოლო ვაჲ მუცელ-ქმნულთა და რომელნი აწოებდენ მათ დღეთა შინა!

18. არამედ ილოცევდით, რაჲთა არა იყოს ესე ზამთარსა.

19. რამეთუ იყვნენ დღენი იგი ჭირისანი, რომელი არასადა იქმნა ესევითარი დასაბამითგან, (G 119რ) რომელ დაჰბადა ღმერთმან, ვიდრე აქამომდე, არცაღა იყოს.

20. და უკუეთუმცა არა შემოკლდეს დღენი იგი, არამცა ცხოვნდა[5] ყოველი ჴორციელი; ხოლო რჩეულთა მათთჳს, რომელნი გამოირჩინა, შეამოკლნა დღენი იგი.

21. მაშინ უკუეთუ ვინმე გრქუას თქუენ: აჰა აქა არს ქრისტჱ გინა იქი, ნუ გრწამნ.

22. რამეთუ აღდგენ ქრისტჱს-მტყუარნი[6] და ცრუ-წინაწარმეტყუელნი და ჰყოფდენ სასწაულებსა და (G 117ვ) ნიშებსა, რაჲთა აცთუნნენ, უკუეთუმცა შეუძლეს, რჩეულთაცა.

23. ხოლო თქუენ იხილეთ, აჰა ესერა წინაჲსწარ[7] გითხარ თქუენ ყოველი.

**HIK**

ლო რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხონდეს.

14. ხოლო ოდეს იხილოთ საძაგელი იგი მოოჴრებისაჲ, თქუმული დანიელ წინაწარმეტყუელისაჲ, მდგომარე, სადა-იგი არა ჯერ-არს, — (H 116რ) რომელი-იგი აღმოიკითხვიდეს, სცნობდინ, — მაშინ რომელნი იყვნენ ჰურიასტანს, ივლტოდედ მთად.

15. და რომელი ერდოსა ზედა იყოს, ნუ გარდამოვალნ სახიდ და ნუცა შევალნ აღებად რაჲსმე სახლისაგან თჳსისა.

16. და რომელი ველსა გარე იყოს, ნუ უკ(K 128რ)უნიქცევინ აღებად სამოსლისა თჳსისა.

17. ხოლო ვაჲ მუცელ-ქუმულთა და რომელნი აწოებდენ მათ დღეთა შინა!

18. არამედ ილოცევდით, რაჲთა არა იყოს სივლტოლაჲ თქუენი ზამთარსა.

19. რამეთუ იყვნენ დღენი იგი ჭირისანი, რომელი[1] არასადა იქმნა ესევითარი დასაბამითგან, რომელ დაჰ(I 110ვ)ბადა ღმერთმან, ვიდრე აქამომდე, და არცაღა იყოს.

20. და არა თუმცა ღმერთმან შეამოკლნა დღენი იგი, არამცა ცხოვნდა[2] ყოველი ჴორციელი; არამედ რჩეულთა მათთჳს, რომელნი გამოირჩინა, შეამოკლნა დღენი იგი.

21. მაშინ უკუეთუ ვინმე გრქუას თქუენ: აჰა აქა არს ქრისტე გინა იქი, ნუ გრწამნ.

22. რამეთუ აღდგენ ქრისტე-მტყუვარნი და ცრუ-წინაწარმეტყუელნი და ჰყოფდენ სასწაულებსა და ნიშებსა, რაჲთა აცთუნნენ, უკუე(H 110ვ)თუმცა[3] შეუძლეს, რჩეულთაცა.

23. ხოლო თქუენ იხილეთ და ეკრძალენით, აჰა ესერა წინაჲსწარ[4] გითხარ თქუენ[5] ყოველი.

---

[1] ცხონდეს F. [2] რომელი F. [3] ივლტოდენ FG. [4] სვ̄სლისა F. [5] ცხონდა F. [6] ქრისტეს-მტყოვარნი G. [7] წნ̄სწრ F.

[1] რომელ K. [2] ცხონდა HI. [3] უკუჱ|თუმცა H. [4] წ̄წრ HIK. [5] თქუჱნ H.

| FG | HIK |
|---|---|
| 24. არამედ მათ დღეთა შინა შემდგომად ჭირისა მის მზჱ¹ დაბნელდეს, და მთოვარემან არა გამოსცეს ნათელი თჳსი; | 24. არამედ მათ დღეთა შინა შემდგომად ჭირისა მის მზე დაბნელდეს, და მთოვარემან არა გამოსცეს ნათელი თჳსი; |
| 25. და ვარსკულავნი ზეცით გარდამოცჳვენ, და ძალნი, რომელნი იყვნენ ცათა შინა, შეიძრნენ. | 25. და ვარსკულავნი ზეცით გარდამოცჳვენ, და ძალნი, რომელნი იყვნენ ცათა შინა, შეიძრნენ. |
| 26. და მაშინ იხილონ ძჱ კაცისაჲ, მომა(G 119v)ვალი ძალითა და დიდებითა მრავლითა. | 26. და მაშინ იხილონ ძე კაცისაჲ, მომავალი ღრუბელ(K 120v)თა ზედა ძალითა და დიდებითა მრავლითა. |
| 27. და მაშინ წარავლინნეს ანგელოზნი მისნი და შეკრიბნეს რჩეულნი იგი ოთხთაგან ქართა კიდითგან ქუეყანისაჲთ, ვიდრე კიდედმდე² ცისა. | 27. და მაშინ წარავლინნეს ანგელოზნი მისნი და შეკრიბნეს რჩეულნი თჳსნი ოთხთაგან (I 117r) ქართა კიდითგან ქუეყანისაჲთ, ვიდრე კიდედმდე ცისა. |
| 28. ხოლო³ ლეღჳსაგან ისწავეთ იგავი ესე: რაჟამს რტონი მისნი დაჩუჩჳან⁴, და გამოვალნ ფურცელი, უწყოდეთ⁵, რამეთუ ახლოს არს ზაფხული. | 28. ხოლო ლეღჳსაგან ისწავეთ იგავი ესე: რაჟამს-იგი რტონი მისნი დაჩჩჳან, და გამოვალნ ფურცელი, უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არს ზაფხული. |
| 29. ეგრეცა თქუენ, რაჟამს იხილოთ ესე ყოველი ყოფილი, უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არს, კართა ზედა. | 29. ეგრეცა თქუენ, რაჟამს იხილოთ ესე ყოველი ყოფილი, უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არს, კართა ზედა. |
| 30. ამენ გეტყჳ თქუენ: არა წარჴდეს ნათესავი ესე, ვიდრემდე ესე ყოველი იქმნეს. | 30. ამენ გეტყჳ თქუენ: არა წარჴდეს ნათესავი ესე, ვიდრემდე ესე ყოველი იქმნას. |
| 31. ცაჲ და ქუეყანაჲ წარჴდენ, ხოლო სიტყუანი ჩემნი არა წარჴდენ. | 31. ცანი (H 117r) და ქუეყანაჲ წარჴდენ, ხოლო სიტყუანი ჩემნი არასადა წარჴდენ. |
| 32. ხოლო დღისა მისთჳს და ჟამისა არავინ იცის, არცა ანგელოზთა ცათა შინა, არცა ძემან, გა(F 98r)რნა მამამან მხოლომან. | 32. ხოლო დღისა მისთჳს და ჟამისა არავინ იცის, არცა ანგელოზთა ცათა შინა, არცა ძემან, არამედ მამამან. |
| 33. არამედ იხილეთ და მღჳძარე იყვენით და ილოცევდით⁶, რამეთუ არა იცით, ოდეს იყოს ჟამი იგი. | 33. არამედ იხილეთ და მღჳძარე იყვენით და ილოცევდით, რამეთუ არა იცით, ოდეს იყოს ჟამი იგი. |
| 34. ვითარცა-იგი კაცმან გზად წარმავალმან დაუტევის სახლი თჳსი და მისცის მონათა თჳს(G 120r)თა მონაგები თჳსი და ჴელმწიფებაჲ და კაცად-კაცადსა საქმჱ⁷ თჳსი და მეკარესა ამცნო, რაჲთა მღჳძარე იყოს. | 34. ვითარცა-იგი კაცმან გზად წარმავალმან დაუტევის სახლი თჳსი და მისცის მონათა თჳსთა ჴელმწიფებაჲ და კაცად-კაცადსა საქმე თჳსი და მეკარესა ამცნის, რაჲთა მღჳძარე იყოს. |
| 35. ხოლო იღჳძებდით უკუე, რამეთუ არა იცით, ოდეს უფალი იგი სახლი- | 35. იღჳძებდით უკუე¹, რამეთუ არა იცით, ოდეს-(I 117v)იგი უფალი სახ- |

---

[1] მზე G. [2] კიდეჲთ F. [3] ხოლო] — G. F-შიც მერმეა ჩამატებული. [4] დაჩჩჳან G. [5] უწყოდით F. [6] და ილოცევდით] — F. [7] [illegible] F.

[1] უკუე HI.

| FG | HIK |
|---|---|
| საჲ მის მოვიდეს[1]: მწუხრი ანუ შოვა-ღამეს[2], ანუ ქათმისა ჴმობასა, ანუ განთიად. | ლისაჲ მის მოვიდეს: მწუხრი ანუ შუვა-ღამეს, ანუ ქათმისა ჴმ(K 130r)ობასა, ანუ განთიად. |
| 36. ნუუკუე მოვიდეს მეყსეულად და გპოვნეს თქუენ მძინარენი. | 36. ნუუკუე[1] მოვიდეს მეყსეულად და გპოვნეს თქუენ მძინარენი. |
| 37. რომელსა მე გეტყჳ, ყოველთა ვეტყჳ: მღჳძარე[3] იყვენით. | 37. ხოლო რომელსა ესე გეტყჳთ თქუენ, ყოველთა გეტყჳ: მღჳძარე იყვენით. |

# 14

| | |
|---|---|
| 1. და იყო პასქაჲ იგი, რომელ არს ვნებაჲ უცომოებისაჲ, შემდგომად ორისა დღისა. და ეძიებდეს[4] მღდელთ-მოძღუარნი იგი და მწიგნობარნი იესუს, ვითარმცა ზაკუვეით[5] შეიპყრეს იგი და მოკლეს. | 1. ხოლო იყო პასქაჲ იგი, რომელ არს ვნებაჲ, და უცომოებაჲ შემდგომად ორისა დღისა. და ეძიებდეს მღდელთ-მოძღუარნი იგი და მწიგნობარნი იესუს, ვითარმცა ზაკუვეით შეიპყრეს იგი და მოკლეს. |
| 2. და იტყოდეს: ნუ დღესასწაულსა ამას, ნუუკუე შფოთი იქმნეს ერისაჲ. | 2. ხოლო იტ(H 117v)ყოდეს: ნუ დღესასწაულსა ამას, ნუუკუე[2] შფოთი იქმნეს ერისაჲ. |
| 3. და ვითარცა იყო იესუ ბეთანიას, სახლსა სიმონის კეთროვნისასა[6] და (G 120v) ინაჴით-ჯდა იგი, მოვიდა დედაკაცი და აქუნდა ალამბასტრითა ნელსაცხებელი ნარდისა სარწმუნოჲსაჲ, (F 98v) ფრიადისა სასყიდლისაჲ, და შემუსრა ალამბასტრი იგი და დაასხა თავსა მისსა. | 3. და ვითარცა იყო იესუ ბეთანიას, სახლსა სიმონ კეთროვნისასა და ინაჴით-ჯდა იგი, მოვიდა დედაკაცი და აქუნდა ალაბასტრითა ნელსაცხებელი ნარდისა სარწმუნოჲსაჲ, მრავალ-სასყიდლისაჲ, და შემუსრა ალაბასტრი იგი და დაასხა თავსა მისსა. |
| 4. იყვნეს ვინმე, რომელნი ჰრისხვიდეს თჳსაგან და იტყოდეს: რაჲსათჳს იქმნა წარწყმედაჲ ნელსაცხებლისაჲ ამის? | 4. იყვნეს ვინმე, რომელნი დრტჳნვიდეს ურთიერთას და იტყოდეს: (K 130v) რაჲსათჳს იქმნა წარწყმედაჲ ნელსაც(I 116r)ხებლისაჲ[3] ამის? |
| 5. რამეთუ შესაძლებელ იყო ესე განსყიდად უფროჲს[7] სამასისა დრაჰკნისა და მიცემად გლახაკთა. და ჰრისხვიდეს მას[8]. | 5. რამეთუ შესაძლებელ იყო ესე განსყიდად უფროჲს სამასისა დრაჰკნისა და მიცემად გლახაკთა. და ჰრისხვიდეს მას. |
| 6. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: აცადეთ მაგას, რაჲსა შრომასა შეამთხუევთ მას? რამეთუ საქმე კეთილი ქმნა ჩემ ზედა. | 6. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: აცადეთ მაგას, რაჲსა შრომასა შეამთხუევთ[4]? რამეთუ საქმე კეთილი ქმნა ჩემ თანა. |
| 7. რამეთუ გლახაკნი მარადის თქუენ თანა არიან. უკუეთუ გინდეს, ძალ-გიც | 7. რამეთუ გლახაკნი მარადის თქუენ თანა არიან. უკუეთუ გინდეს, ძალ-გიც |

---

[1] ჲს მოვიდს F (უქარაგმოდ). [2] შოა-ღამეს F. [3] მღჳძარჱ G. [4] ეძიებდეს|+მას (მ~ს) F. [5] ზაკუვეით F. [6] კეთროვნისსა G (უქარაგმოდ). [7] უფრ~ს F, უფროს G. [8] ჰრისხვიდეს მას| — F.

[1] ნუუკუჱ HI. [2] ნუუკუჱ HIK. [3] ნელსაცხებლისაჲ K. [4] შეამთხუჳეთ HI.

### FG

კეთილის-ყოფად მათა, ხოლო მე არა მარადის თქუენ თანა ვარ.

8. რომელი აქუნდა, ყო, უსწრო ნელსაცხებლითა ცხებად ჴორცთა ჩემთა დასაფლავად ჩემდა.

9. ხოლო ამენ გეტყჳ თქუენ: სადაცა იქადაგოს სახარებაჲ ესე ყოველსა სოფელსა, და რომელცა-ესე (G 121r) ქმნა, ითქუმოდის საჳსენებელად მაგისა.

10. და იუდა სკარიოტელი, ერთი ათორმეტთაგანი, წარვიდა მღდელთ-მოძღუართა მათ თანა, რაჲთა მისცეს იგი მათ.

11. ხოლო მათ ვითარცა ესმა ესე მისგან, განიხარეს და აღუთქუეს მას მიცემად ვეცხლი. და ეძიებდა, ვითარმცა ჟამსა მარჯუესა მისცა იგი მათ.

12. და პირველსა მას დღესა უცომოებისასა, ოდეს პ(F 89r)ასექსა მას დაჰკლვიდეს, ჰრქუეს იესუს მოწაფეთა თჳსთა: სადა გნებავს, წარვიდეთ და მოგიმზადოთ შენ, რაჲთა შჭამო ვნებაჲ ესე?

13. და წარავლინნა[1] ორნი მოწაფეთა მისთაგანნი და ჰრქუა მათ: წარვედით თქუენ ქალაქად, და შეგემთხჳოს თქუენ კაცი, რომელსა ლაგჳნითა წყალი ზე[2] ედგას, და შეუდეგით მას, ვიდრეცა შევიდეს.

14. და არქუთ სახლისა უფალსა, ვითარმედ: მოძღუარი იტყჳს: სადა არს საყ(G 121v)ოფელი ჩემი, სადა-იგი პასექი მოწაფეთა ჩემთა თანა ვჭამო?

15. და მან გიჩუენოს თქუენ ქორი დიდი დაგებული და მომზადებული; მუნ მზა-მიყავთ ჩუენ.

16. და გამოვიდეს მოწაფენი და მოვიდეს ქალაქად და პოვეს[3] ეგრე, ვითარცა ჰრქუა მათ იესუ, და მომზადეს ვნებაჲ იგი.

17. და ვითარცა მწუხრი იყო, მოვიდა ათორმეტთა თანა.

### HIK

კეთილის-ყოფად მათა[1], ხოლო მე არა მარადის თქუენ[2] თანა ვარ.

8. რომელი აქუნდა, ყო, უსწრო ნელსაცხებელითა[3] ცხებად ჴორცთა ჩემთა დასაფლავად ჩემდა.

9. ამენ გეტყჳ თქუენ: (H 118r) სადაცა იქადაგოს სახარებაჲ ესე ყოველსა სოფელსა, და რომელცა-ესე ქმნა, ითქუმოდის საჳსენებელად მაგისა.

10. და იუდა ისკარიოტელი, ერთი ათორმეტთაგანი, წარვიდა მღდელთ-მოძღუართა მათ მიმართ, რაჲთა მისცეს იგი მათ.

11. ხოლო მათ ვითარცა ესმა ესე მისგან, განიხარეს და აღუთქუეს[4] მას მიცემად ვეცხლი. და ეძიებდა, ვითარმცა ჟამსა მარჯუესა[5] მისცა იგი მათ.

12. (I 118v) და პირველსა მას დღესა უცომოებისასა, ოდეს პასექსა[6] მას დაჰკლვიდეს, ჰრქუეს იესუს მოწაფეთა მისთა: სადა გნებავს, წარვიდეთ და მოგ(K 181r)იმზადოთ შენ, რაჲთა სჭამო[7] ვნებაჲ ესე?

13. და წარავლინნა ორნი მოწაფეთა მისთაგანნი[8] და ჰრქუა მათ: წარვედით ქალაქად, და შეგემთხჳოს თქუენ კაცი, რომელსა ლაგჳნითა წყალი ზე ედგას, და შეუდეგით მას, ვიდრეცა შევიდეს.

14. და არქუთ სახლისა უფალსა მას, ვითარმედ: მოძღუარი იტყჳს: სადა არს სავანე, სადა-იგი პასექი მოწაფეთა ჩემთა თანა ვჭამო?

15. (H 118v) და მან გიჩუენოს[9] თქუენ ქორი დიდი დაგებული და მომზადებული; მუნ მზა-მიყავთ ჩუენ.

16. და გამოვიდეს მოწაფენი მისნი და მოვიდეს ქალაქად და პოვეს ეგრეთ, ვითარცა ჰრქუა მათ იესუ, და მოჰმზადეს[10] ვნებაჲ იგი.

17. და ვითარცა მწუხრი იყო, მოვიდა ათორმეტთა მათ თანა.

---

[1] წარავლინა F. [2] ზჱ G. [3] პოეს F.

[1] მათდა K. [2] თქუჱნ H. [3] ნელსაცხებლითა HI. [4] აღუთქუჱს HI. [5] მარჯუჱსა HI. [6] პასქასა K. [7] შჭამო HI. [8] მისთაგ̄ნი K. [9] გიჩუჱნოს HI. [10] მომზადეს HI.

FG

18. და ვითარ დასხდეს იგინი და ჭამდეს, თქუა იესუ: ამენ გეტყჳ თქუენ, ვითარმედ: ერთმან თქუენგანმან მიმცეს მე, რომელი ჭამს ჩემ თანა.

19. ხოლო მათ იწყეს მწუხარებად და სიტყუად მისა თითოეულმან[1]: ნუუკუე მე ვარ? და სხუამან თქუს: ნუუკუე მე ვარ?

20. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ: ერთმან ათორმეტთაგანმან, რომელმან შთამოყოს (F 90v°) პინაკსა ამას ჴელი ჩემ თანა, იგი მიმცემს მე.

21. ძჱ[2] სამე კაცისაჲ წარვალს, ვითარცა წერილ არს მისთჳს, ხოლო ვაჲ (G 122r°) არს მის კაცისა, რომლისაგან ძჱ კაცისაჲ მიეცემის; უქეთეს იყო მისა, უკუეთუმცა არა შობილ იყო კაცი იგი.

22. და[3] ჭამდეს რაჲ იგინი, მოიღო პური, აკურთხა და განტეხა და მისცემდა მათ და ჰრქუა: მიიღეთ, ესე არს ჴორცი ჩემი.

23. და მოიღო სასუმელი, ჰმადლობდა და მისცა მათ, და სუეს მისგანი ყოველთა.

24. და ჰრქუა მათ: ესე არს სისხლი ჩემი ახლისა შჯულისაჲ, მრავალთათჳს დათხეული.

25. ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ არღარა ვსუა ნაყოფისაგან ამის[4] ვენაჴისა, ვიდრე მუნ დღედმდე, რაჟამს-იგი ვსუა ახალი სასუფეველსა ღმრთისასა.

26. და გალობაჲ წართქუეს და განვიდეს მთასა მას ზეთისხილთასა.

27. და ჰრქუა მათ იესუ, ვითარმედ: ყოველნი დაბრკოლებად ხართ ჩემდა მომართ ამას ღამესა, რამეთუ წერილ არს: დავსცე მწყემსი[5], და განიბნინენ ცხოვარნი[6].

28. არამედ შემდგომად (G122v°) აღდგომისა ჩემისა წარგიძღუე თქუენ გალილეად[7].

HIK

18. და ვითარ ინაჴით-სხდეს და ჭამდეს, ჰრქუა იესუ: ამენ გეტყჳ თქუენ, ვითარმედ: ერთმან თქუენგანმან მიმცეს მე, რომელი ჭამს ჩემ თანა[1].

19. (I 119r°) ხოლო მათ იწყეს მწუხარებად (K 131v°) და სიტყუად მისა[2] თითოეულმან[3]: ნუუკუე[4] მე ვარ? და სხუამან თქუს: ნუუკუე[5] მე ვარ?

20. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ: ერთმან ათორმეტთაგანმან, რომელმან შთამოყოს პინაკსა ამას ჴელი ჩემ თანა, იგი მიმცემს მე.

21. ძე სამე კაცისაჲ წარვალს, ვითარცა წერილ არს მისთჳს, ხოლო ვაჲ არს მის კაცისა, რომლისაგან ძე კაცისაჲ მიეცემის; უქეთეს იყო მისა, უკუეთუმცა[6] არა შობილ იყო კაცი იგი.

22. და ჭამდეს რაჲ იგინი[7], მოიღო იესუ პური, აკურთხა, განტეხა და მისცა მათ და ჰრქუა: მიი(H 110r°)ღეთ და ჭამეთ, რამეთუ ესე არს ჴორცი ჩემი.

23. და მოიღო სასუმელი, ჰმადლობდა და მისცა მათ, და სუეს[8] მისგან ყოველთა.

24. და ჰრქუა მათ: ესე არს სისხლი ჩემი ახლისა შჯულისაჲ, მრავალთათჳს დათხეული.

25. ხოლო ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ არღარა ვსუა ნაყოფისა ამისგან ამის ვენაჴისა, ვიდრე მუნ დღედმდე, რაჟამს-იგი ვსუა ახალი სასუფეველსა ღმრთისასა.

26. და გალობაჲ წართქუეს[9] (I 110v°) და განვიდეს მთასა მას ზეთისხილთასა.

27. და ჰრქუა მათ იესუ, ვითარმედ: ყოველნი დაბრკოლებად ხართ ჩემდა მომართ ღამესა ამას, რამეთუ წერილ არს: დავსცე მწყემსი, და განიბნინენ ცხოვარნი (K 182r°) სამწყსოჲსა მისისანი.

28. არამედ შემდგომად აღდგომისა ჩემისა წარგიძღუე[10] თქუენ გალილეად[11].

---

[1] თითუეულმან G. [2] ძე F. [3] და] + ვითარცა FG. [4] ნაყოფისა ამისგან G. [5] მწყემსი იგი G. [6] ცხოარნი F. [7] გალილეას F.

[1] ჩ̄მთ̄ნა K. [2] მისსა K. [3] თჳთოეულმან H. [4] ნუუკუჱ HIK. [5] ნუუკუჱ H. [6] უკუჱთუმცა H. [7] იგი HIK. [8] სუჱს HI. [9] წართქჱს I. [10] წარგიძღუჱ HI, წინა-წარგიძღუე K. [11] გალილეას K.

| FG | HIK |
|---|---|
| 29. ხოლო პეტრე მიუგო და ჰრქუა მას: დაღათუ ყოველნი დაბრკოლდენ, არამედ მე არასადა დაეჰბრკოლდე[1]. | 29. ხოლო პეტრე ჰრქუა მას: დაღათუ ყოველნი დაჰბრკოლდენ, არამედ მე არასადა დაეჰბრკოლდე. |
| 30. ჰრქუა მას (F100r) იესუ: ამენ გეტყჳ შენ, ვითარმედ: შენ დღეს ამას ღამესა, ვიდრე ქათმისა მეორედ ჴმობადმდე, სამ-გზის უვარ-მყო[2] მე. | 30. ჰრქუა მას იესუ: ამენ გეტყჳ შენ, ვითარმედ: შენ დღეს ამას ღამესა, ვიდრე ქათმისა მეორედ ჴმობადმდე, სამ-გზის უვარ-მყო[1] მე. |
| 31. ხოლო პეტრე უმეტესღა უფროჲს იტყოდა: დაღათუ იყოს სიკუდილი ჩემი შენ თანა, არასადა უვარ-გყო[3] შენ. და ეგრეევე მსგავსად ყოველნი იტყოდეს. | 31. ხოლო პეტრე უმეტესღა უფროჲს იტყოდა: დაღაცა(H 119v)თუ იყოს სიკუდილი ჩემი შენ თანა, არასადა უვარ-გყო[2] შენ. და ეგრეთვე მსგავსად ყოველნი იტყოდეს. |
| 32. და მოვიდეს დაბასა, რომლისაჲ სახელი გესამანია. და ჰრქუა იესუ მოწაფეთა თჳსთა: დასხედით აქა, ვიდრემდე[4] ვილოცო. | 32. და მოვიდეს დაბასა, რომლისაჲ[3] სახელი გეთსამანიაჲ[4]. და ჰრქუა იესუ მოწაფეთა თჳსთა: დასხედით აქა, ვიდრემდე ვილოცო. |
| 33. და წარიყვანნა[5] პეტრე და იაკობ და იოვანე[6] მის თანა და იწყო დასულებად და ურვად. | 33. და წარიყვანნა პეტრე და იაკობ და იოვანე მის თანა, იწყო დასულებად და ურვად. |
| 34. და ჰრქუა მათ: მწუხარე არს სული ჩემი, ვიდრე სიკუდილადმდე[7]; დაადგერით აქა და ილჳძებდით. | 34. და ჰრქუა მათ: მწუხარე (I 120r) არს სული ჩემი, ვიდრე სიკუდილადმდე; დაადგერით აქა და ილჳძებდით. |
| 35. და წარვიდა მცირედ და დავარდა (G123r) ქუეყანასა და ილოცვიდა: უკუეთუ ჯერ-არს, რაჲთა თანა-წარჰჴდეს ჟამი იგი მისგან. | 35. და წარვიდა მცირედ და დავარდა ქუეყანასა და ილოცვიდა: უკუეთუ შესაძლებელ არს, რაჲთა თანა-წარჰჴდეს ჟამი იგი მისგან. |
| 36. და იტყოდა: აბბა მამაო ჩემო, ყოველივე შესაძლებელ არს შენ მიერ თანა-წარსლვად სასუმელი ესე ჩემგან. არამედ არა რაჲ-იგი მე მნებავს, არამედ რაჲცა შენ გნებავს. | 36. და იტყოდა: აბბა მამაო, ყოველივე შესაძლებელ არს შენ მიერ თანა-წარსლვად სასუმელი ესე ჩემგან. არამედ არა რაჲ-იგი მე მნებავს, არამედ რაჲცა შენ გნებავს. |
| 37. და მოვიდა და პოვნა იგინი მძინარენი და ჰრქუა პეტრეს: სიმონ, გძინავსა? და ვერ უძლე ჟამ ერთ განღჳძებად ჩემ თანა? | 37. და მოვიდა და პოვნა იგინი მძინარენი და ჰრქუა (K 182v) პეტრეს: სიმონ, გძინავსა? და ვერ უძლე ჟამ ერთ მღჳძარებად ჩემ თანა? |
| 38. ილჳძებდით და ილოცევ(F100v)დით, რაჲთა არა შეხჳდეთ განსაცდელსა. სული ვიდრემე[8] გულს-მოდგინე არს, ხოლო ჴორცნი უძლურ[9]. | 38. იღჳძებდით და ილოცევდით, რაჲთა არა შეხ(H 120r)ჳდეთ განსაცდელსა. სული გულს-მოდგინე არს, ხოლო ჴორცნი უძლურ. |
| 39. და მერმე წარვიდა და ილოცვიდა და[10] იგივე სიტყუაჲ თქუა. | 39. და კუალად წარვიდა და ილოცვიდა და იგივე სიტყუაჲ თქუა. |

---

[1] დაებრკოლდე G. [2] უარ-მყო F. [3] უარ-გყო F. [4] ვ̄ე F. [5] წარიყვანა F. [6] ი̄ნჱ G.
[7] სკ̄ილამდე F, სიკუდილ̄დმდე G. [8] ვიდრემე] — G. [9] უძრულ FG. [10] და] — G.

[1] უარ-მყო K. [2] უარ-გყო K. [3] რომლისა K. [4] გესამანიაჲ HI.

FG

40. და მოიქცა კუალად და პოვნა იგინი მძინარენი, რამეთუ იყვნეს თუალნი მათნი დამძიმებულ, და არარაჲ იცოდეს, რაჲმცა სიტყუაჲ მიუგეს მას.

41. და მოვიდა მერმე მესამედ და ჰრქუა მათ: დაიძინეთ (G 123v) ამიერითგან და განისუენეთ. მოიწია დასასრული, და მოვიდა ჟამი. აჰა ესერა მიეცემის ძჱ კაცისაჲ ჴელთა ცოდვილთასა.

42. აღდეგით და წარვიდეთ ამიერ. აჰა ესერა მიმცემელი ჩემი მოახლებულ არს.

43. და ვიდრე იგი იტყოდა, მოვიდა იუდა სკარიოტელი, ერთი ათორმეტთაგანი, და მის თანა ერი მახჳლითა და წათებითა მღდელთ-მოძღუართაგან და მწიგნობართა და მოხუცებულთა.

44. რამეთუ მიეცა სასწაული მიმცემელსა მას მისსა და ჰრქუა მათ: რომელსა მე ამბორს-უყო, იგი არს, შეიპყართ იგი და წარიყვანეთ კრძალულად.

45. და მეყსეულად მოვიდა და ჰრქუა მას: გიხაროდენ, მოძღუარი! და ამბორს-უყო მას.

46. ხოლო მათ დაასხნეს მას ჴელნი (F 101r) და შეიპყრეს იგი.

47. და ერთმან ვინმე წინაშე მდგომელმან იჴადა მახჳლი და სცა მონასა მღდელთ-მოძღურისასა და წარჰ(G124r)კუეთა ყური მისი.

48. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ვითარცა ავაზაკსა ზედა გამოხუედით თქუენ მახჳლითა და წათებითა შეპყრობად ჩემდა.

49. დღითი-დღედ თქუენ თანა ვიყავ ტაძარსა შინა და გასწავებდ, და არა შემიპყართ მე; არამედ რაჲთა აღესრულნენ წიგნნი[1], წერილნი წინაწარმეტყუელთანი.

50. მაშინ მოწაფეთა მისთა ყოველთა დაუტევეს იგი და ივლტოდეს.

HIK

40. და მოიქცა კუალად და პოვნა იგინი მძინარენი, რამეთუ იყვნეს თუალნი მათნი დამძიმებულ, და არარაჲ იცოდეს, რაჲმცა მიუგეს მას.

41. და მოვიდა მესამედ და ჰრქუა მათ: დაიძინეთ ამიერითგან და განისუენეთ[1]. (I 120v) მოიწია დასასრული, და მოვიდა ჟამი. აჰა ესერა მიეცემის ძე კაცისაჲ ჴელთა ცოდვილთასა.

42. აღდეგით და წარვიდეთ[2] ამიერ. აჰა ესერა მიმცემელი ჩემი (K 133r) მოახლებულ არს.

43. და მეყსეულად, ვიდრე იგი იტყოდაღა, მოვიდა იუდა ისკარიოტელი, ერთი ათორმეტთაგანი, და მის თანა ერი მრავალი მახჳლებითა და წათებითა მღდელთ-მოძღუართაგან და მწიგნობართა და მოხუცებულთა.

44. ხოლო მიეცა მათა[3] სასწაული მიმცემელსა მას მისსა და ჰრქუა მათ: რომელსა მე ამბორს-უყო, იგი არს, შეიპყართ იგი და წარიყვანეთ კრძალულად.

45. (H 120v) და მეყსეულად მოვიდა და მოუჴდა მას და ჰრქუა: რაბი! რაბი! და ამბორს-უყო მას.

46. ხოლო მათ დაასხნეს მას ზედა ჴელნი და შეიპყრეს იგი.

47. და ერთმან ვინმე წინაშე მდგომელმან იჴადა მახჳლი და სცა მონასა მღდელთ-მოძღურისასა და წარჰკუეთა[4] მას ყური მისი.

48. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ვითარცა ავ(K 133v)აზაკსა ზედა გამოხუედით[5] თქუენ (I 121r) მახჳლითა და წათებითა შეპყრობად ჩემდა.

49. დღითი-დღე თქუენ თანა ვიყავ ტაძარსა შინა, გასწავებდ, და არა შემიპყართ მე; არამედ რაჲთა აღესრულნენ წიგნნი.

50. მაშინ მოწაფეთა მისთა ყოველთა დაუტევეს იგი და ივლტოდეს.

---

[1] წიგნი G.

[1] განისუჳნეთ HI. [2] წარვედით HIK. [3] მათდა K. [4] წარჰკუჳთა HI. [5] გამოხუჳდით HI.

FG

51. და ერთი ხოლო ვინმე ჭაბუკი მისდევდა მას და შეემოსა[1] არდაგი შიშულივ. ხოლო სხუათა მათ ჭაბუკთა შეიპყრეს იგი.

52. და მან დაუტევა არდაგი იგი და ივლტოდა მათგან შიშუელი[2].

53. და მიიყვანეს იესუ კაიაფაჲსა[3] მღდელთ-მოძღურისა. და შეკრბეს ყოველნი მღდელთ-მოძღუარნი და მწიგნობარნი და მოხუცებულნი.

54. ხოლო პეტრე შორით მისდევდა მას, ვიდრე შინა ეზოდმდე მღდელთ-მოძღურისა, და დაჯდა იგი მსახურთა თანა **(G 124v)** და ტფებოდა ნათელსა ცეცხლსა[4] წინაშე.

55. ხოლო მღდელთ-მოძღუარნი იგი და ყოველი კრებული ეძი**(F 101v)**ებდეს იესუჲსთჳს[5] მოწამეთა, რაჲთა მოკლან იგი, და არა ჰპოებდეს.

56. რამეთუ მრავალნი ცრუსა წამებდეს მისთჳს, და სწორ[6] არა იყვნეს წამებანი მათნი.

57. და სხუანი ვინმე აღდგეს და ცრუსა წამებდეს მისთჳს და იტყოდეს,

58. რამეთუ: ჩუენ გუესმოდა მაგისი სიტყუაჲ, ვითარმედ: მე დავარღუო ტაძარი ესე ჴელით-ქმნული[7] და მესამესა დღესა აღვაშენო ჴელით-უქმნელი.

59. და არცა ესრეთ ერთ იყვნეს წამებანი მათნი.

60. და აღდგა მღდელთ-მოძღუარი იგი შორის, ჰკითხვიდა[8] იესუს და ჰრქუა: არარას მიუგება, რასა-ესე შეგწამებენ შენ?

61. ხოლო იესუ დუმნა და არარაჲ[9] მიუგო მათ სიტყუაჲ. და მერმე ჰკითხვიდა მას მღდელთ-მოძღუარი იგი მეორედ და ჰრქუა მას: შენ ხარა ქრისტე, ძე კურთხეულისაჲ?

62. ხოლო იესუ მი**(G 125r)**უგო და ჰრქუა მას: შენ იტყჳ, ვითარმედ მე ვარ.

HIK

51. და ერთი ვინმე ჭაბუკი მისდევდა მას და შეემოსა არდაგი შიშულივ. ხოლო სხუათა მათ ჭაბუკთა შეიპყრეს იგი.

52. და მან დაუტევა არდაგი და ივლტოდა მათგან შიშუელი[1].

53. და მიიყვანეს იესუ კაიაფაჲს მღდელთ-მოძღურისა. და შეკრბეს ყოველნი მღდელთ-მოძღუარნი და მწიგნობარნი და მოხუცებულნი.

54. **(H 121r)** ხოლო პეტრე შორით მისდევდა მას, ვიდრე შინა ეზოდმდე მღდელთ-მოძღურისა, და[2] დაჯდა იგი მსახურთა თანა და ტფებოდა წინაშე ნათელსა ცეცხლისასა.

55. **(K 134r)** ხოლო მღდელთ-მოძღუარნი იგი და ყოველი კრებული ეძიებდეს იესუჲსთჳს მოწამეთა, რაჲთა მოკლან იგი, და არა ჰპოებდეს.

56. რამეთუ მრავალნი ცრუსა წამებდეს მისთჳს, **(I 121v)** და სწორ არა იყვნეს წამებანი მათნი.

57. და სხუანი ვინმე აღდგეს და ცრუსა წამებდეს მისთჳს და იტყოდეს,

58. ვითარმედ: ჩუენ გუესმა[3] მაგისგან სიტყუაჲ, ვითარმედ: მე დავარღუო ტაძარი ესე ჴელით-ქმნული და მესამესა დღესა აღვაშენო სხუაჲ, ჴელით-უქმნელი.

59. და არცა ესრეთ ერთ იყვნეს წამებანი მათნი.

60. და აღდგა მღდელთ-მოძღუარი იგი შორის და ჰკითხა იესუს და ჰრქუა: არარას მიუგება, რასა-ესე შეგწამებენ შენ?

61. ხოლო იესუ დუმნა და არარაჲ მიუგო მათ. და მერმე ჰკითხვიდა მას მეორედ მღდელთ-მოძღუარი იგი და ეტყოდა: შენ ხარა ქრისტე, ძე კურთხეულისაჲ?

62. ხოლო იესუ მიუგო მას, ვითარმედ: მე ვარ. და ამიერითგან იხილოთ (H

---

[1] შეიმოსა FG. [2] შიშეული G. [3] კაიაფაჲსსა G. [4] ცეცხლისასა G. [5] იესჳსთჳს F. [6] სწორს FG. [7] ჴელით-ქმნილი G. [8] ჰკითხ G. [9] არაჲ F.

[1] შიშული HI. [2] და] — IK. [3] გუესმა HI.

FG

და ამიერითგან იხილოთ ძჱ კაცისაჲ მარჯუენით მჯდომარჱ[1] ძლიერებათა[2] და მომავალი ღრუბელთა თანა ცისათა.

63. ხოლო მღდელთ-მოძღუარმან მან დაიპო სამოსელი[3] თჳსი და თქუა: რაჲსაღა გჳჴმან მოწამენი?

64. გესმა ყოველთა გმობაჲ პირისაგან მაგისისა. ვითარ გნებავს თქუენ? მაშ(F 102*r*)ინ ყოველთა დასაჯეს იგი თანა-მდებად სიკუდილისა.

65. და იწყეს ვიეთმე ნერწყუვად პირსა მისსა და ქურთითა[4] ცემად მისა[5] და ეტყოდეს: გჳწინაწარმეტყუელებდ ჩუენ, ქრისტე[6], ვინ არს, რომელმან გცა შენ? და მსახურთა მათ მოიყვანეს[7] ყურიმლის-ცემად იგი.

66. და ვითარცა პეტრე იყო ეზოსა მას შინა, მოვიდა ერთი მჴევალთაგანი მღდელთ-მოძღურისათაჲ.

67. და ვითარცა იხილა იგი, ტფებოდა რაჲ, მიხედა მას და ჰრქუა: შენცა იყავ იესუჲს[8] თანა (G 125*v*) ნაზარეველისა.

68. ხოლო მან უვარ-ყო[9] და თქუა: არა ვიცი და[10] არცა უწყი, რასა-ეგე იტყჳ შენ. და გამოვიდა პეტრე გარეშესა მას ეზოსა, და ქათამმან ჴმა-ყო.

69. მერმე კუალად სხუამან მჴევალმან იხილა იგი და იწყო სიტყუად წინაშე მდგომელთა მათ, ვითარმედ: ესეცა მათგანივე არს.

70. ხოლო მან კუალად უვარ-ყო[9]. და მერმე შემდგომად მცირედისა ჟამისა წინაშე მდგომელნი იგი ეტყოდეს პეტრეს: ჭეშმარიტად მათგანი ხარ და რამეთუ გალილეველ ხარ.

71. ხოლო პეტრე იწყო შეჩუენებად და ფიცად, ვითარმედ: არა ვიცი კაცი ესე[11], რომელსა იტყჳთ.

HIK

121*v*) ძე კაცისაჲ მარჯუენით მჯდომარე ძლიერებათა და მომავალი ღრუბელთა თანა ცისათა.

63. ხოლო მღდელთ-მოძღუარმან მან დაიპო სამოსელი თჳსი და თქუა: რაჲსაღა გჳჴმან მოწამენი?

64. გესმა ყოველთა გმობაჲ მაგისგან. ვითარ გნებავს თქუენ? მაშინ ყოველთა დასაჯეს (I 122*r*) იგი თანა-(K 134*v*)-მდებად სიკუდილისა.

65. და იწყეს ვიეთმე ნერწყუვად მისა[1] და დაბურვად პირსა მისსა და ქურთითა ცემად მისა[1] და ეტყოდეს: გჳწინაწარმეტყუელებდ ჩუენ, ქრისტე, ვინ არს, რომელმან გცა შენ? და მსახურთა მათ მოიყვანეს იგი ყურიმლის ცემად.

66. და იყო რაჲ პეტრე ეზოსა მას შინა, მოვიდა ერთი მჴევალთაგანი მღდელთ-მოძღურისათაჲ.

67. და ვითარცა იხილა იგი, ტფებოდა რაჲ, მიჰხედა[2] მას და ჰრქუა: და შენცა იყავ იესუჲს თანა ნაზარეველისა.

68. ხოლო მან უვარ-ყო და თქუა: არა ვიცი და არცა უწყი, რასა-ეგე იტყჳ შენ[3]. და გამოვიდა პეტრე გარეშესა მას ეზოსა, და ქათამმან ჴმა-ყო.

69. და კუალად იხილა იგი (H 122*r*) მჴევალმან მან და იწყო სიტყუად წინაშე მდგომარეთა მათ, ვითარმედ: ესეცა მათგანივე არს.

70. ხოლო მან კუალად უვარ-ყო. და შემდგომად მცირედისა ჟამისა წინაშე მდგომელნი იგი ეტყოდეს პეტრეს: ჭეშმარიტად მათგანი ხარ და (K 135*r*) რამეთუ გალილეველ ხარ, და სიტყუაჲცა შენი გამოგაჩინებს.

71. (I 122*v*) ხოლო პეტრე იწყო შეჩუენებად[4] და ფიცად, ვითარმედ: არა ვიცი კაცი ესე, რომელსა იტყჳთ.

---

[1] მჯდომარე F. [2] ძრიელებათა FG. [3] სამუსელი F. [4] ქუერთითა G. [5] მისი G. [6] ქ̄ჱ FG. [7] მოიყვანეს] + იგი F. [8] ი̃ჳს F. [9] უარ-ყო F. [10] და] — F. [11] ესე] იგი F.

[1] მისსა K. [2] მიხედა K. [3] I-ს გადამწერს დაუწერია „შენ იტყჳ" (შებრუნებული რიგით), მაგრამ შემდეგ შეუმჩნევია შეცდომა და გასწორების მიზნით „შენ"-ის თავზე ა (=ერთი, პირველი) დაუწერია, „იტყჳს"-ს თავზე კი — ბ (= ორი, მეორე). მაგრამ ამ გასწორებაშიც, როგორც ვხედავთ, შეცდომაა დაშვებული: „შენ"-ს ბ უნდა სწერებოდა თავზე, ხოლო „იტყჳ"-ს — ა. მაინც საინტერესოა, რომ ასეთ წვრილმანებს აქცევდნენ ყურადღებას და ასწორებდნენ. [4] შეჩუჱნებად H.

| FG | HIK |
|---|---|
| 72. და მეყსეულად მეორედ ქათამმან ჴმა-ყო. და მოეჴსენა პეტრეს სიტყუაჲ იგი, რომელი ჰრქუა მას იესუ, ვითარმედ: პირველად ქათმისა (F 102v) ჴმობადმდე სამ-გზის უვარ-მყო[1] მე და იწყო ტირილად. | 72. და მეყსეულად მეორედ ქათამმან იყივლა. და მოეჴსენა პეტრეს სიტყუაჲ იგი, რომელი ჰრქუა მას იესუ, ვითარმედ: პირველ ქათმისა ჴმობადმდე მეორედ სამ-გზის უვარ-მყო[1] მე. და იწყო ტირილად. |

## 15

| | |
|---|---|
| 1. და მეყსეულად განთენა, და ზრახვა-ყვეს მღდელთ-მოძღუართა მათ მოხუცებულთა თანა და მწიგნობართა და ყოველმან კრებულმან და შეკრეს იესუ და წარიყვანეს და მისცეს (G 126r) იგი პილატეს მთავარსა. | 1. და მეყსეულად განთიად ზრახვა-ყვეს მღდელთ-მოძღუართა მათ მოხუცებულთა თანა და მწიგნობართა და ყოველმან კრებულმან. და შეკრეს იესუ და წარიყვანეს და მისცეს იგი პილატეს. |
| 2. ჰკითხვიდა მას პილატე და ჰრქუა: შენ ხარა მეუფჱ ჰურიათაჲ? ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მას: შენ სთქუ. | 2. და ჰკითხა მას პილატე და ჰრქუა: შენ ხარა მეუფე ჰურიათაჲ? ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მას: შენ იტყჳ. |
| 3. და შეასმენდეს მას[2] მღდელთ-მოძღუარნი იგი ფრიად, და მან არარაჲ მიუგო. | 3. და შეასმენდეს მას მღდელთ-მოძღუარნი იგი ფრიად. |
| 4. ხოლო პილატე მერმე ჰკითხვიდა[3] მას და ჰრქუა: არას მიუგება? აჰა რავდენსა შეგასმენენ შენ! | 4. ხოლო პილატე კუალად ჰკითხა მას და ჰრქუა: (H 122v) არარას (K 135v) მიუგება? აჰა რაოდენსა[2] შეგწამებენ შენ! |
| 5. ხოლო იესუ არარაჲ მიუგო, ვიდრემდე[4] უკჳრდაცა პილატეს ფრიად. | 5. ხოლო იესუ არარაჲ მიუგო, ვიდრემდის უკჳრდაცა პილატეს. |
| 6. და ყოველსა დღესასწაულსა[5] მიუტევის მათ ერთი პყრობილი, რომელიცა გამოითხოვიან[6] მათ. | 6. და რაჲ დღესასწაულ მიუტევის მათ ერთი პყრობილი, რომელიცა გამოითხოიან. |
| 7. ხოლო იყო ვინმე ბარაბა მეჰომეთა თანა კრული, რომელთა[7] შფოთსა შინა კაცი ეკლა. | 7. ხოლო იყო ვინმე ბარაბა მეშფოთეთა თანა კრული, რომელთა (I 123r) შფოთსა შინა კაცი ეკლა. |
| 8. და ღაღად-ყო[8] ერმან მან გამოთხოვად მისა, ვითარცა-იგი მიჰმადლის მათ მარადის. | 8. და ღაღატ-ყო ერმან მან გამოთხოვად მისა[3], ვითარცა-იგი მიჰმადლის მათ მარადის. |
| 9. ხოლო პილატე მიუგო და ჰრქუა მათ: გნებავსა, რაჲთა მიგიტეო თქუენ მეუფჱ ჰურიათაჲ? | 9. ხოლო პილატე მიუგო და ჰრქუა მათ: გნებავსა, რაჲთა მიგიტეო თქუენ მეუფჱ[4] ჰურიათაჲ? |
| 10. იცოდა, რამეთუ შურით მისცეს იგი მღდელთ-მოძღუართა მათ. | 10. რამეთუ იცოდა, ვითარმედ შურითა მისცეს იგი მღდელთ-მოძღუართა მათ. |

---

[1] უარ-მყო F. [2] მას] — G. [3] ჰკითხა G. [4] ვ́რემდე F. [5] დღჱსასწაულსა G. [6] გამოითხოიან F. [7] რომელსა F. [8] ღაღატ-ყო F.

[1] უარ-მყო K. [2] რავდენსა HI. [3] მისსა K. [4] მეუფე HK.

| FG | HIK |
|---|---|
| 11. (G 126v) ხოლო მღდელთ-მოძღუართა მათ (F 103r) აღძრეს ერი იგი, რაჲთა ბარაბა მიუტეოს მათ. | 11. ხოლო მღდელთ-მოძღუართა მათ აღძრეს ერი იგი, რაჲთა ბარაბა მიუტეოს მათ. |
| 12. ხოლო პილატე მერმეცა მიუგო და ჰრქუა მათ: და რაჲ ვყო მეუფჱ ესე ჰურიათაჲ? | 12. ხოლო პილატე მერმეცა მიუგო და ჰრქუა მათ: და რაჲ უკუე[1] გნებავს ყოფად, რომელსა-ესე იტყჳთ მეუფედ ჰურიათად[2]? |
| 13. ხოლო იგინი კუალად ღაღადებდესვე ბირებითა მღდელთ-მოძღუართაჲთა და იტყოდეს: ჯუარს-აცუ ეგე· | 13. ხოლო მათ კუალად ღაღად-ყვეს და[3] ჰრქუეს: ჯუარს-აცუ ეგე· |
| 14. ხოლო პილატე ეტყოდა მათ: რაჲ ბოროტი უქმნიეს? და იგინი უმეტესად ღაღადებდეს და იტყოდეს: ჯუარს-ეცუნ[1] ეგე· | 14. ხოლო პილატე ეტყოდა მათ: რაჲ ბოროტი უქმნიეს? და იგინი უმეტესად ღაღადებდეს და იტყოდეს: ჯუარს-აცუ ეგე· |
| 15. ხოლო პილატეს უნდა ერისა მის მომაღლებაჲ, მიუტევა მათ ბარაბა, ხოლო იესუს სცა შოლტითა და მისცა მათ, რაჲთა ჯუარს-აცუან. | 15. (H 123r) ხოლო პილატეს (K 130r) უნდა ერისა მის მომაღლებაჲ, მიუტევა მათ ბარაბა, ხოლო იესუს სცა შოლტითა და მისცა მათ, რაჲთა ჯუარს-აცუან. |
| 16. ხოლო სტრატიოტთა მათ შეიყვანეს იგი შინაგან ეზოსა მას, რომელ არს ტაძარი, და შეკრიბეს ყოველივე იგი თესლები. | 16. ხოლო სტრატიოტთა მათ შეიყვანეს იგი შინაგან ეზოსა მას, რომელ არს ტაძარი, და შეკრიბეს ყოველივე იგი თესლები. |
| 17. და შეჰმოსეს მას ძოწეული და დაადგეს შეთხზული ეკალთაგან გჳრგჳნი. | 17. და შეჰ(I 123v)მოსეს მას ძოწეული და დაადგეს შეთხზული ეკალთაგან გჳრგჳინი. |
| 18. და იწყეს მოკითხვად მისა და სიტყუად: გიხაროდენ, მეუფეო ჰურიათაო! | 18. და იწყეს მოკითხვად მისა[4] და იტყოდეს: გიხაროდენ, მეუფეო ჰურიათაო! |
| 19. და სცემ(G 127r)დეს მას[2] თავსა ლერწმითა და ჰნერწყუვიდეს მას და დაიდგნიან მუჴლნი და თაყუანის-სცემედ მას. | 19. და სცემდეს მას თავსა ლერწმითა და ჰნერწყუვიდეს მას და დაიდგნიან მუჴლნი და თაყუანის-სცემედ მას. |
| 20. და ოდეს განკიცხეს იგი, განსძარცუეს მას ძოწეული იგი და შეჰმოსეს თჳსივე სამოსელი[3] და განიყვანეს იგი, რაჲთა ჯუარს-აცუან. | 20. და ოდეს განკიცხეს იგი, განსძარცუეს[5] მას ძოწეული იგი და შეჰმოსეს თჳსივე სამოსელი და განიყვანეს იგი, რაჲთა ჯუარს-აცუან. |
| 21. და პაჰრაკად მოიყვანეს თანა-წარმავალი სიმონ ვინმე კჳრინელი, მომავალი ველით, მამაჲ ალე(F 103v)ქსანდრესი და როფესი, რაჲთა აღიკიდოს ჯუარი მისი. | 21. და პაჰრაკად წარიყვანეს თანა-წარმავალი სიმონ ვინმე კჳრინელი, მომავალი ველით, მამაჲ ალექ(K 130v)სანდრესი და როფესი, რაჲთა აღიღოს ჯუარი მისი. |

---

[1] ჯ̄რსცჳნ F. ჯ̄რსეცჳნ G. [2] მას] — F. [3] სამუსელი F.

[1] უკუჱ HIK. [2] ჰურიათა K. [3] და და H. [4] მისსა K. [5] განსძარცუჱს HI.

FG

22. და მოიყვანეს იგი გოლგოთისა ადგილსა, რომელ არს გამოთარგმანებით: თხემისა ადგილი.

23. და მისცემდეს მას სუმად შემურვილსა ღჳნოსა, ხოლო მან არა მიიღო.

24. და ჯუარს-აცუეს იგი და განიყოფდეს სამოსელსა[1] მისსა და განიგდებდეს წილსა მას ზედა[2], ვინ-ჲ რაჲ აღიღოს.

25. ხოლო იყო ჟამი მესამე, და ჯუარს-აცუეს იგი.

26. (G 127ვ) და დაწერილი ბრალისა მისისაჲ იყო ესრეთ დაწერილ: ესე არს მეუფჱ ჰურიათაჲ.

27. და მის თანა ჯუარს-აცუნეს ორნი ავაზაკნი: ერთი მარჯუენით და ერთი მარცხენით მისა.

28. მაშინ აღესრულა წერილი იგი, რომელი იტყჳს, ვითარმედ: უშჯულოთა თანა შეირაცხა.

29. და თანა-წარმავალნი იგი ჰგმობდეს მას და ყრიდეს თავსა და იტყოდეს: ეჰა, რომელი დაარღუევდ ტაძარსა მას და მესამესა დღესა აღაშენებდ,

30. იჴსენ თავი თჳსი და გარდამოჴედ მაგიერ ჯუარით.

31. ეგრევე მღდელთ-მოძღუარნი იგი იმღერდეს[3] ურთიერთას[4] მწიგნობართა თანა და იტყოდეს: სხუანი აცხოვნნა[5], თავი თჳსი ვერ ძალ-უცა ცხოვნებად ქრისტესა, მეუფესა ისრაჱლისასა?

32. გარდამოჴედინ აწ ჯუარით, რაჲთა ვიხილოთ და გურწმენეს იგი. (F 104რ) და მის თანა ჯუარ-ცუ(G 128რ)მულნი იგი ეგრევე აყუედრებდეს მას.

33. და ვითარცა იყო ჟამი მეექუსე, ბნელი იყო ყოველსა ქუეყანასა, ვიდრე მეცხრედ ჟამადმდე[6].

34. და მეცხრესა ჟამსა ჴმა-ყო იესუ ჴმითა დიდითა და თქუა: ელოი, ელოი[7], ლამა საბაქთანი? რომელ არს თარგმა-

HIK

22. და მოიყვანეს იგი გოლგოთას, ადგილსა, რომელ არს გამოთარ(H 123ვ)გმანებით: თხემისა ადგილი.

23. და მისცემდეს მას სუმად შემურვილსა ღჳნოსა, ხოლო მან არა მიიღო.

24. და ჯუარს-აცუეს[1] იგი და განიყოფდეს სამოსელსა მისსა და განიგდებდეს მას ზედა წილსა, ვინ-ძი რაჲ აღი(K 137რ)ღოს.

25. ხოლო იყო ჟამი მესამე, და (I 124რ) ჯუარს-აცუეს[1] იგი.

26. და იყო ზედაწერილი ბრალისა მისისაჲ ესრეთ დაწერილ: ესე არს მეუფჱ[2] ჰურიათაჲ.

27. და მის თანა ჯუარს-აცუნეს ორნი ავაზაკნი: ერთი მარჯუენით და ერთი მარცხენით მისა[3].

28. და აღესრულა წერილი იგი, რომელი იტყჳს, ვითარმედ: უსჯულოთა[4] თანა შეირაცხა.

29. და თანა-წარმავალნი იგი ჰგმობდეს მას და ყრიდეს თავთა და იტყოდეს: ეჰა, რომელი დაარღუევდ[5] ტაძარსა ამას და მესამესა დღესა აღაშჱნებდ[6],

30. იჴსენ თავი თჳსი და გარდამოჴედ[7] მაგიერ ჯუარით.

31. ეგრეთვე მღდელთ-მოძღუარნი იგი იმღერდეს მწიგნობართა თანა და იტყოდეს: სხუანი აცხოვნნა, თავი თჳსი ვერ ძალ-უც ცხოვნებად ქრისტესა, მეუფესა ისრაჱლისასა!

32. გა(H 124რ)რდამოჴედინ აწ ჯუარით, რაჲთა ვიხილოთ და გურწმენეს. და მის თანა ჯუარ-ცუმულნიცა იგი ეგრეთვე აყუედრებდეს[8] მას.

33. და ვითარცა იყო ჟამი მეექუსე, ბნელი იყო ყოველსა ქუეყანასა, ვიდრე მეცხრედ ჟამადმდე.

34. და მეცხრესა ჟამსა (I 124ვ) ჴმა-ყო იესუ ჴმითა დიდითა და თქუა: ელოი, ელოი, ლიმა საბაქთანი? რომელ

---

[1] სამესელსა F. [2] ~ მას ზედა წილსა G. [3] იმღერდს F (უქარაგმოდ). [4] ურთიერთარს F. [5] აცხოვნა F. [6] ჟამამდე F. [7] ელოჲ, ელოჲ G.

[1] ჯუარს-აცუჱს HI. [2] მეუფე K. [3] მისსა HIK. [4] უშჯულოთა HI. [5] დაარღუჱვედ HI. [6] აღაშენებდ IK. [7] გარდამოჴედინ K. [8] აყუჱდრებდეს HIK.

FG

ნებით: ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რაჲსათჳს დამიტევებ მე?

35. და რომელთამე მუნ წინაშე მდგომელთა ესმა და იტყოდეს: აჰა ელიას ჰხადის[1].

36. და მირბიოდეს და აღავსეს ღრუბელი ძმრითა და დაადგეს ლერწამი და ასუმიდეს მას და იტყოდეს: უტევეთ, და ვიხილოთ, უკუეთუ მოვიდეს ელია გარდამოჴსნად მაგისა.

37. ხოლო იესუ ჴმა-ყო ჴმითა დიდითა და განუტევა სული.

38. და კრეტსაბმელი[2] იგი ტაძრისაჲ მის განიპო ორგან ზჱთგან[3], ვიდრე ქუედმდე[4].

39. და ვითარცა იხილა ასისთავმან მან, რომელი წინაშე დგა მისა[5], რამეთუ ღაღად-ყო[6] და განუ(G 128ⴀ)ტევა სული, თქუა: ჭეშმარიტად კაცი ესე ძჱ ღმრთისაჲ იყო.

40. იყვნეს ვინმე დედანიცა, რომელნი შორით ხედვიდეს, რომელთა თანა იყო მარიამ მაგდანელი[7] და მარიამ იაკობისი მცირისაჲ და იოსტოსის[8] დედაჲ და სალომე,

41. რომელნი-იგი, ოდესმე იყო გალილეას იესუ, შეუდგეს მას, და სხუანი მრავალნი, (F 104ⴀ) რომელნი მის თანა აღმოსრულ იყვნეს იერუსალჱმდ.

42. და ვითარცა შემწუხრდებოდა,— რამეთუ პარასკევი იყო, რომელ არს უწინარეს შაბათისა, —

43. მოვიდა იოსებ არიმათიელი, შუენიერი მზრახვალი, რომელი-იგიცა მოელოდა სასუფეველსა ღმრთისასა[9], იკადრა და შევიდა პილატესა და მოითხოვა[10] გუამი იგი იესუჲსი[11].

44. ხოლო პილატეს უკჳრდა, უკუეთუ აწვე მოკუდა[12], და მოუწოდა ასისთავ-

HIK

არს თარგმანებით: ღმერთო, ღმერთო ჩემო, რაჲსათჳს (K 137ⴀ) დამიტეობ მე?

35. და რომელთამე წინაშე მდგომელთა ესმა[1] და იტყოდეს: აჰა ელიას ხადის.

36. და მირბიოდა ერთი და აღავსო ღრუბელი ძმრითა და დაადგა ლერწამსა და ასუმიდა და იტყოდა: უტევეთ, ვიხილოთ, უკუეთუ[2] მოვიდეს ელია გარდამოჴსნად მავისა[3].

37. ხოლო იესუ ჴმა-ყო ჴმითა დიდითა და განუტევა სული.

38. და კრეტსაბმელი იგი ტაძრისაჲ მის განიპო ორად ზეითგან, ვიდრე ქუედმდე[4].

39. და ვითარცა იხილა ასისთავმან მან, რომელი დგა წინაშე მისსა, რამეთუ ესრეთ ღაღატ-ყო და განუტევა სული, თქუა: ჭეშმარიტად კაცი ესე ძე ღმრთისაჲ იყო.

40. (H 124ⴀ) ხოლო იყვნეს დედანიცა, რომელნი შორით ხედვიდეს, რომელთა თანა იყო მარიამ მაგდალენელი[5] და მარიამ იაკობისი მცირისაჲ და იოსეს დედაჲ და სალომე,

41. რომელნი, ოდეს იგი იყო გალილეას, შეუდგეს მას და ჰმსახურებ(I 125ⴁ)დეს, და სხუანი მრავალნი, რომელნი მის თანა აღსრულ იყვნეს იერუსალჱმდ.

42. და ვითარცა შემწუხრდებოდა.— რამეთუ პარასკევი იყო, რომელ არს უწინარეს შაბათისა,—

43. მოვიდა იოსებ არიმათიელი, შუენიერი[6] მზრახვალი, რომელი-იგიცა მოელოდა სასუფეველსა ღმრთისასა, იკადრა და შევიდა პილატესა[7] და მოითხოვა გუამი იესუჲსი.

44. ხოლო პილატეს დაუკ(K 188ⴁ)ჳრდა, უკუეთუ აწვე მოკუდა, და მოუ-

---

[1] ხადის F. [2] კრეღსაბმელი G. [3] ზეთგან F, ზჱთგან G. [4] ქუემდე F. [5] მისსა F. [6] ღაღატ-ყო F. [7] მაგდალენელი G. [8] იოსჱტოსის F, იოსტოსეს G. [9] ღ̃ისსა F. [10] მოითხოა F. [11] ი̃ჳსი F. [12] მოკდა G.

[1] ესმოდა K. [2] უკუჱთუ H. [3] მავისსა K. [4] ქუჱდმდე HK. [5] მაღდალენელი K. [6] შუჱნიერი HI. [7] პილატესსა HIK.

| FG | HIK |
|---|---|
| სა მას და ჰკითხა, უკუეთუ ადრევე მოკედა[1]. | წოდა ასისთავსა მას და ჰკითხა, უკუეთუ ადრევე მოკუდა. |
| 45. და ისწავა ასისთავისა მისგან ესე და მიჰმადლა გუამი იგი მისი იოსებს. | 45. და ისწავა ასისთავისა მისგან ესე და მიჰმადლა გუამი იგი მისი იოსებს. |
| 46. (G 129r) და მან იყიდა არდაგი და გარადმოჰჴსნა იგი ჯუარისა მისგან და შემოსა იგი არდაგითა მით და დადვა იგი საფლავსა[2], რომელი გამოკუეთილ იყო კლდისაგან, და მოაგორვა ლოდი და დასდვა იგი კართა[3] ზედა მის საფლავისათა. | 46. და მან იყიდა არდაგი და გარდამოჰჴსნა იგი ჯუარისა მისგან და წარგრაგნა იგი არდაგითა მით და დადვა (H 126r) იგი საფლავსა, რომელი იყო გამოკუეთილ[1] კლდისაგან, და მიაგორვა ლოდი კარსა ზედა მის საფლავისასა. |
| 47. იყო მუნ მარიამ მაგდანელი[4] და მარიამ იოსტოსისი[5] და ხედვიდეს, სადა დასდებდეს მას. | 47. იყო მუნ მარიამ მაგდალენელი[2] და მარიამ იოსესი და ხედვიდეს, სადა-იგი და(I 125v)სდებდეს მას. |

# 16

| FG | HIK |
|---|---|
| 1. და ვითარცა გარდაჴდა შაბათი იგი, მარიამ მაგდანელმან[6] და[7] მარიამ იაკობისმან და სალომე იყიდეს ნელსაცხებელი, რაჲთა მოვიდენ და სცხონ მას. | 1. და ვითარცა გარდაჴდა შაბათი იგი, მარიამ მაგდალენელმან[3] და მარიამ იაკობისმან და სალომე იყიდეს (K 188v) ნელსაცხებელი, რაჲთა მოვიდენ და სცხონ მას. |
| 2. და ნიად განთიადსა მას ერთშაბათისასა[8] მოვიდეს საფლავსა მას ზედა მერმე აღმოსლვასა ოდენ მზ(F 105r)ისასა | 2. და ნიად განთიადსა მას ერთშაბათისასა მოვიდეს საფლავსა მას ზედა მერმეცა აღმოსლვასა ოდენ მზისასა |
| 3. და იტყოდეს ურთიერთას[9]: ვინ გარდაგჳგორვოს ჩუენ ლოდი იგი კარისა მისგან საფლავისა? | 3. და იტყოდეს ურთიერთას: ვინ გარდაგჳგორვოს ჩუენ ლოდი იგი კარისა მისგან საფლავისა? |
| 4. და მიხედეს და იხილეს, რამეთუ გარდაგორვებულ იყო ლოდი იგი, რომელი (G 129v) იყო დიდ ფრიად. | 4. და მიჰხედეს[4] და იხილეს, რამეთუ გარდაგორვებულ იყო ლოდი იგი, რომელი იყო დიდ ფრიად. |
| 5. და შე-რაჲ-ვიდეს საფლავსა მას, იხილეს ჭაბუკი მჯდომარჱ[10] მარჯუენით კერძო[11], შემოსილი სამოსლითა[12] სპეტაკითა, და განჰკრთეს. | 5. და შე-რაჲ-ვიდეს საფლავსა მას, იხილეს ჭაბუკი მჯდომარე მარჯუენით კერძო, შემოსილი სამოსლითა სპეტაკითა, და განჰკრთეს. |
| 6. ხოლო მან ჰრქუა მათ: ნუ განჰკრთებით! იესუს ეძიებთ ნაზარეველსა, ჯუარ-ცუმულსა; აღდგა, არა არს აქა. აჰა ადგილი, სადა დადვეს იგი. | 6. ხოლო მან ჰრქუა მათ: ნუ განჰკრთებით! იესუს ეძიებთ ნაზარეველსა, ჯუარ-ცუმულსა; აღდგა, (H 126v) არა არს აქა. აჰა ადგილი, სადა დადვეს იგი. |

---

[1] მოკუდა G. [2] საფლავსა] — F. [3] კარსა G. [4] მაგდალენელი G. [5] იოსტოსესი G. [6] მაგდალენელმან G. [7] და] — F. [8] ერთშაბათისსა F (უქარაგმოდ). [9] ურთიერთარს F. [10] მჯდომარე F. [11] კერძუ G. [12] სამუსლითა F.

[1] გამოკუჱთილ HIK. [2] მაღდალენელი K. [3] მაღდალენელმან K. [4] მიხედეს K.

| FG | HIK |
|---|---|
| 7. არამედ წარვედით და უთხართ მოწაფეთა მისთა და პეტრეს, ვითარმედ: აჰა ეგერა წინა-გიძღჳს თქუენ გალილეად, მუნ იხილოთ იგი, ვითარცა გრქუა[1] თქუენ. | 7. არამედ წარვედით და უთხართ მოწაფეთა მისთა და პეტრეს, ვითარმედ: აჰა ეგერა წინა-გიძღჳს თქუენ (K 130r) გალი(I 120r)ლეას, მუნ იხილოთ იგი, ვითარცა გრქუა[1] თქუენ[2]. |
| 8. და მათ ვითარცა ესმა ესე, გამოეიდეს და ივლტოდეს მიერ საფლავით, რამეთუ შეძრწუნებულ იყვნეს და დაკკრვებულ და არარაჲ ვის უთხრეს, რამეთუ ეშინოდა. | 8. და მათ ვითარცა ესმა ესე, გამოეიდეს და ივლტოდეს მიერ საფლავით, რამეთუ შეძრწუნებულ იყვნეს და დაკკრვებულ და არარაჲ ვის უთხრეს, რამეთუ ეშინოდა. |
| 9. ხოლო აღდგა განთიად პირველსა მას შაბათთასა[2] და ეჩუენა პირველად მარიამს მაგდანელსა[3], რომლისაგან განსრულ იყო შჳდი ეშმაკი. | 9. ხოლო აღ-რაჲ-დგა განთიად პირველსა მას შაბათსა, ეჩუენა[3] პირველად მარიამს მაგდალენელსა[4], რომლისაგან განსრულ იყვნეს შჳდნი ეშმაკნი. |
| 10. იგი წარვიდა და უთხრა მის თანა მყოფთა მათ, რომელნი (G 130r) იგლოვდეს და ტიროდეს. | 10. იგი წარვიდა და უთხრა მის თანა[5] მყოფთა მათ, რომელნი იგლოვდეს და ტიროდეს. |
| 11. ხოლო მათ რაჲ ესმა, რამეთუ ცხოველ არს და ეჩუენა მას, მათ არა ჰრწმენა. | 11. და მათ რაჲ ესმა, რამეთუ ცხოველ არს და ეჩუენა[6], მათ არა ჰრწმენა. |
| 12. ამისა შემდგომად ორთა მათგანთა სლვასა შინა გამოეცხადა სხჳთა (F 105v) ხატითა, მი-რაჲ-ვიდოდეს დაბასა. | 12. ხოლო ამისა[7] შემდგომად ორთა მათგანთა სლვასა შინა გამოეცხადა სხჳთა ხატითა, მი-რაჲ-ვიდოდეს დაბასა. |
| 13. და იგინი[4] მოვიდეს და უთხრეს სხუათა მათ, და არცა მათი ჰრწმენა. | 13. და იგინი მოვიდეს და უთხრეს სხუათა მათ, და არცა მათი ჰრწმენა. |
| 14. უკუანაჲსკნელ მსხდომარეთა ათერთმეტთა მათ ეჩუენა და აყუედრა ურწმუნოებაჲ მათი და გულ-ფიცხელობაჲ, რამეთუ რომელთა იგი იხილეს აღდგომილი, მათი არა ჰრწმენა. | 14. (H 120r) უკუანაჲსკნელ მსხდომარეთა ათერთმ(K 130v)ეტთა მათ ეჩუენა[8] და აყუედრა[8] ურწმუნოებაჲ მათი და გულ-ფიცხელობაჲ, რამეთუ რომელთა იგი იხილეს აღდგომილი, მათი არა ჰრწმენა. |
| 15. და ჰრქუა მათ: წარვედით ყოველსა სოფელსა და უქადაგეთ სახარებაჲ ესე ყოველთა დაბადებულთა. | 15. და ჰრქუა მათ: წარვე(I 120v)დით ყოველსა სოფელსა და უქადაგეთ სახარებაჲ ესე ყოველსა დაბადებულსა. |
| 16. რომელსა ჰრწმენეს და[5] ნათელ-იღოს[6], ცხონდეს; და რომელსა არა ჰრწმენეს, დაისაჯოს[7]. | 16. რომელსა ჰრწმენეს და ნათელ-იღოს, ცხოვნდეს[9]; და რომელსა არა ჰრწმენეს, დაისაჯოს. |

---

[1] გარქუ F. [2] F-ის გადამწერს პირველად „შაბათსა" დაუწერია, მაგრამ შემდეგ შეცდომა შეუმჩნევია, თ-ს ზემოთ მეორე თ დაუმატებია, ა კი მაინც გამორჩენია. [3] მაგდალენელსა G. [4] იგი F. [5] და] — G. [6] ~ ნათელ-იღოს და F. [7] და რომელსა არა ჰრწმენეს, დაისაჯოს] — F. ეს ადგილი პირველად არც G-ს ჰქონია, მაგრამ მერმე ჩაუმატებიათ. ეტყობა, F-ის გადამწერს გამორჩა ის, G-ს გადამწერმაც აქედან ასევე ნაკლულად გადაწერა, მაგრამ შემდეგ შეამჩნია (თუ შეამჩნიეს) და დაუმატა.

[1] გარქუა HI. [2] თქუენ HI. [3] ეჩუენა HIK. [4] მაღდალენელსა K. [5] თანაჲა K. [6] ეჩუენა H. [7] ამისსა K. [8] აყუედრა HIK. [9] ცხონდეს HI.

| FG | HIK |
|---|---|
| 17. ხოლო სასწაული მორწმუნეთა ესე შეუდგეს: სახელითა ჩემითა ეშმაკთა განასხმიდენ, ენათა ახალთა იტყოდიან. | 17. ხოლო სასწაული მორწმუნეთა მათ ესე შეუდგეს: სახელითა ჩემითა ეშმაკთა განასხმიდენ, ენათა ახალთა იტყოდიან. |
| 18. (**G 130ⴁ**) გუელი ჴელითა აიქუან; დალათუ სასიკუდინე რაჲმე სუან, არარაჲ ავნოს მათ; სნეულთა ზედა ჴელი დასდვან, და განცოცხლდენ. | 18. გუელთა[1] შეიპყრობდენ; დალათუ სასიკუდინე რაჲმე სუან, არარაჲ ავნოს მათ; სნეულთა ზედა ჴელსა დასდებდენ, და განცოცხლდებოდიან. |
| 19. ხოლო უფალი შემდგომად სიტყჳსა ამის მათა მიმართ ამაღლდა ზეცად და დაჯდა მარჯუენით ღმრთისა. | 19. ხოლო უფალი შემდგომად სიტყუათა ამათ მათდა მი(**K 140ⴀ**)მართ ამაღლდა ზეცად და დაჯდა მარჯუენით[2] ღმრთისა. |
| 20. ხოლო იგინი გამოვიდეს და ქადაგებდეს ყოველსა ქუეყანასა უფლისა შეწევნითა და სიტყჳსა მის დამტკიცებითა მის მიერ, რომელნი-იგი შეუდგეს მას სასწაულნი. ამენ. | 20. ხოლო იგინი გამოვიდეს და ქადაგებდეს ყოველსა ქუეყანასა უფლისა შეწევნითა და სიტყჳსა ამის დამტკიცებითა მის მიერ, რომელნი-იგი[3] შეუდგეს მას სასწაულნი. |

---

[1] გუელთა HI. [2] მარჯუენით IK. [3] რომელნი HI.

# ႱႠႾႠႰႤႡႠჂ ႪႳႩႠჂႱ ႧႠႥႨ[1]

## (F 109r, G 131r)

# 1

1. რამეთუ მრავალთა ჴელი შეყვეს აღწერად მითხრობად გულს-მოდგინედ სარწმუნოებისათჳს ჩუენ შორის საქმეთა აღსრულებულთა[2],

2. ვითარცა-იგი მომცეს ჩუენ, რომელნი დასაბამითგან თჳთ-მხილველ და მსმენელ ყოფილ იყვნეს სიტყჳსა მის,

3. ჯერ-მიჩნდა მეცა, რომელი შეუდეგ პირველითგან ყოველთა ჭეშმარიტად შემდგომითი შემდგომად[3] მიწერად შენ-და, მჴნეო ღმრთის-მოყუარეო,

4. რაჲთა სცნა, რომლისათჳს ისწავე სიტყუათა მათ კრძალულებაჲ.

5. იყო დღეთა მათ ჰეროდე[4] მეფისა ჰურიასტანისათა მღდელი ვინმე, რომლისა სახელი ზაქარია, შემდგომად დღითი-დღედ მსახურებისა მის აბიაჲსა, და ცოლი მისი ასულთაგან აჰრონისთაჲ, და სახელი მისი ელისაბედ.

6. და იყვნეს ორნივე ესე წინაშე ღმრთისა მართალ და ვიდოდეს ყოველთა მცნებათა სიმართლისა უფლისათა უბიწონი.

7. და (G 131v) არა ესუა მათ შვილი, რამეთუ ელისაბედ იყო ბერწ, და ორნივე გარდასრულ იყვნეს დღეთა მათთა.

8. და იყო მღდელობასა მას მისსა, წესსა მას დღითი-დღედისასა წინაშე ღმრთისა,

# ႱႠႾႠႰႤႡႠჂ ႪႳႩႠჂႱႨ ႧႠႥႨ[1]

## (H 131r, I 131r, K 145r)

1. ვინაჲთგან უკუე[2] მრავალთა ჴელ-ყვეს აღწერად მითხრობისა საქმეთათჳს გულსავსე-ქმნილთა ჩუენ[3] შორის,

2. ვითარცა-იგი მომცეს ჩუენ, რომელნი დასაბამითგან თჳთ-მხილველ და მსახურ ყოფილ იყვნეს სიტყჳსა მის[4],

3. ჯერ-მიჩნდა მეცა, რომელი შეუდეგ პირველითგან ყოვლითა ჭეშმარიტებითა შემდგომითი შემდგომად მიწერად შენდა, მჴნეო ღმრთის-მოყუარეო თეოფილე,

4. რაჲთა სცნა, რომელთათჳს-იგი ისწავე სიტყუათა მათ კრძალულებაჲ.

5. იყო დღეთა მათ ჰეროდე მეფისა ჰურიასტანისათა მღდელი ვინმე, რომლისა (I 131v) სახელი ზაქარია, შემდგომად დღითი-დღედ[5] მსახურებისა მის აბიაჲსა[6], (H 131v) და ცოლი მისი ასულთაგან აჰრონისთაჲ[7], და სახელი მისი ელისაბედ.

6. და იყვნეს ორნივე ესე[8] წინაშე ღმრთისა მართალ და ვიდოდეს ყოველთა მცნებათა სიმართლისა უფლისათა უბიწონი.

7. და‿არა ესუა მათ შვილი, რამეთუ ელისაბედ იყო ბერწ, და ორნივე გარდასრულ იყვნეს დღეთა მათთა.

8. (K 145v) და იყო მღდელობასა მას მისსა, წესსა მას დღითი-დღედისა მისისასა წინაშე ღმრთისა,

---

[1] სხ̃რბჲ თ̃ი ლკ̃ჲსი G. [2] აღსრულებულთაჲ G. [3] შემდგომითი შემდგომად] — F. [4] ეროდე G.

[1] თავი] — K. K-ში ლუკას თავის პირველი ფურცელი სხვა ხელითაა ნაწერი. [2] უკუჱ HIK. [3] ჩუჱნ H. [4] ამის K. [5] დღითი-დღე K. [6] აბიაჲსსა K. [7] აჰრონისთაა K. [8] ესე] — K.

| FG | HIK |
|---|---|
| 9. მსგავსად ჩუეულებისა მღდელობისა ჰხუდა მას საკუმეველისა[1] კუმევაჲ და შევიდა ტაძარსა უფლისასა. | 9. მსგავსად ჩუეულებისა[1] მღდელობისა ჰხუდა[2] მას საკუმეველისა კუმევაჲ და შევიდა ტაძარსა უფლისასა. |
| 10. და ყოველი სიმრავლე ერისაჲ ილოც(F 109v)ვიდა გარეშე ჟამსა მას[2] საკუმეველისა[3] კუმევისასა. | 10. (K 140r) და ყოველი სიმრავლე ერისაჲ ილოცვიდა გარეშე ჟამსა მას საკუმეველისა კუმევისასა. |
| 11. და ეჩუენა მას ანგელოზი უფლისაჲ, მდგომარჱ[4] მარჯუენით საკურთხეველისა მის საკუმეველისაჲსა[5]. | 11. და ეჩუენა[3] მას ანგელოზი უფლისაჲ, მდგომარე მარჯუენით[4] საკურთხეველისა მის საკუმეველთაჲსა. |
| 12. და შეძრწუნდა ზაქარია, იხილა რაჲ იგი, და შიში დაეცა მას ზედა. | 12. და შეძრწუნდა[5] ზაქარია, იხილა რაჲ იგი, და შიში დაეცა მას ზედა. |
| 13. ჰრქუა მას ანგელოზმან მან: ნუ გეშინინ, ზაქარია, რამეთუ შეესმნეს ვედრებანი შენნი, და ცოლმან შენმან ელისაბედ გიშვეს შენ ძჱ, და უწოდიან სახელი მისი იოვანე[6]. | 13. ჰრქუა მას ანგელოზმან მან: ნუ გეშინინ, ზაქარია, რამეთუ შეისმნეს[6] ვედრებანი შენნი, და ცოლმან (I 132r) შენმან ელისაბედ გიშვეს შენ ძე, და უწოდი სახელი მისი იოვანე. |
| 14. და იყოს შენდა სიხარულ და მხიარულება, და მრავალთა შობასა მისსა განიხარონ. | 14. და (H 132r) იყოს შენდა სიხარულ და მხიარულება, და მრავალთა შობასა მისსა განიხარონ. |
| 15. (G 132r) რამეთუ იყოს დიდ წინაშე უფლისა და ღჳნოჲ და თაფლუჭი არა სუას და სულითა წმიდითა აღივსოს მიერვე დედის მუცლით მისითგან. | 15. რამეთუ იყოს დიდ წინაშე უფლისა და ღჳნოჲ და თაფლუჭი არა სუას და სულითა წმიდითა აღივსოს მიერვე დედის[7] მუცლით მისითგან. |
| 16. და მრავალნი ძეთა[7] ისრაჱლისათაგანნი მოაქცინეს უფლისა, ღმრთისა მათისა. | 16. და მრავალნი ძეთა ისრაჱლისათაგანნი მოაქცინეს უფლისა, ღმრთისა მათისა. |
| 17. და იგი თავადი პირველად[8] განვიდეს წინაშე მისა[9] სულითა და ძალითა ელიაჲსითა მოქცევად გულნი მამათანი შვილთა მიმართ და ურჩნი გონებითა მართალთაჲთა განმზადებად უფლისა ერი მომზადებული. | 17. და იგი თავადი პირველად განვიდეს წინაშე მისსა სულითა და (K 140v) ძალითა ელიაჲსითა მოქცევად გულნი მამათანი შვილთა მიმართ და ურჩნი[8] გონებითა მართალთაჲთა განმზადებად უფლისა ერი მომზადებული. |
| 18. და ჰრქუა ზაქარია ანგელოზსა მას: რაჲთა ვცნა ესე, რამეთუ მე მოხუცებულ ვარ, და ცოლი ჩემი გარდასრულ არს[10] დღეთა მისთა? | 18. და ჰრქუა ზაქარია ანგელოზსა მას: რაჲთა ვცნა ესე, რამეთუ მე მოხუცებულ ვარ, და ცოლი ჩემი გარდასრულ არს დღეთა მისთა? |
| 19. მიუგო ანგელოზმან მან[11] და ჰრქუა: (F 110r) მე ვარ გაბრიელ, წინაშე მდგომელი პირსა ღმრთისასა, და მოვივლინე[12] სიტყუად შენდა და ხარებად ამას. | 19. მიუგო ანგელოზმან მან და ჰრქუა: მე ვარ გაბრიელ, წინაშე მდგომელი პირსა ღმრთისასა, და მოვივლინე სიტყუად შენდა და ხარებად ამას. |

---

[1] საკუმეველისა F. [2] მას] — F. [3] საკუმ̃ვლისა F. [4] მდგომარე F. [5] საკუმეველის̃სა F. [6] ი̃ნჱ G. [7] ძ̃თა F. [8] პირველ G. [9] მისსა G. [10] გარდასრულ F. [11] მან] — F. [12] მოვილინე G.

[1] ჩუჱულებისა HIK. [2] ხუდა K. [3] ეჩ̃ნა HIK. [4] მარჯუენით IK. [5] შეძრწნდა HI. [6] შეისმეს HI. [7] დედთა K. [8] ურჩნი K.

FG

20. და აჰა იყო შენ დადუმებულ და ვერ შემძლებელ სიტყუად, ვიდრე დღედმდე ყოფად ამისა ამისთჳს, რამეთუ არა გრწმენეს[1] სიტყუანი ჩემნი, რომელნი აღივსნენ ჟამსა თჳსსა.

21. (G 102v) და დგა ერი იგი და ელოდა ზაქარიას და უკჳრდა დაყოვნებაჲ იგი მისი ტაძარსა მას შინა.

22. და გამო-რაჲ-ვიდა, ვერ ეძლო სიტყუად მათა, და ცნეს, რამეთუ ჩუენებაჲ რაჲმე იხილა ტაძარსა მას შინა; და იგი წამ-უყოფდა მათ და დაადგრა უტყუად.

23. და ვითარცა აღესრულნეს დღენი იგი მსახურებისა მისისანი, წარვიდა სახედ[2] თჳსა.

24. და შემდგომად დღეთა მათ მიუდგა ელისაბედ, ცოლი მისი და იფარვიდა თავსა თჳსსა ხუთ თუე და იტყოდა,

25. ვითარმედ: ესრეთ მიყო მე უფალმან დღეთა ამათ, რომელთა მოხედვა-ყო მოსპოლვად ყუედრებაჲ ჩემი კაცთა შორის.

26. და თუესა მეექუსესა მოივლინა გაბრიელ ანგელოზი ღმრთისა მიერ ქალაქად გალილეაჲსა[3], რომლისა სახელი ნაზარეთ,

27. ქალწულისა, თხოვილისა[4] ქმრისა, რომლისა სახელი იოსებ, სახლისაგან და ტომისა დავითისა, და სახელი ქალწულისაჲ მის მარიამ.

28. (F 110v, G 133r) და შევიდა ანგელოზი იგი მისა და ჰრქუა: გიხაროდენ, მიმადლებულო! უფალი შენ თანა. კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის.

29. ხოლო მან რაჲ იხილა, შეძრწუნდა სიტყუასა მას მისსა[5] და განიზრახვიდა: ვითარ-მე არს მოკითხვაჲ ესე?

HIK

20. და აჰა იყო შენ დადუმებულ და ვერ შემძლებელ სიტყუად, (I 132v). ვიდრე დღედმდე ყოფად ამისა[1] ამისთჳს, რამეთუ არა გრწმენეს[2] სიტყუანი ჩემნი, რომელნი ა(H 132v)ღესრულნენ ჟამსა თჳსსა.

21. და დგა ერი იგი და ელოდა ზაქარიას და უკჳრდა დაყოვნებაჲ იგი მისი ტაძარსა მას შინა.

22. და გამო-რაჲ-ვიდა, ვერ ეძლო სიტყუად მათდა, და ცნეს, რამეთუ ჩუენებაჲ[3] რაჲმე იხილა ტაძარსა მას შინა: და იგი წამ-უყოფდა მათ და დაადგრა უტყუად.

23. და ვითარცა აღესრულნეს დღენი იგი მსახურებისა მისისანი, წარვიდა სახიდ თჳსა.

24. და შემდგომად დღეთა მათ მიუდგა ელისაბედ, ცოლი მისი, და იფარვიდა თავსა თჳსსა ხუთ თუე[4] და იტყოდა,

25. ვითარმედ: ესრეთ მიყო მე უფალმან დღეთა ამათ, რომელთა მოხედ(K 147r)ვა-ყო მოსპოლვად ყუედრებაჲ[5] ჩემი კაცთა შორის.

26. და თუესა[6] მეექუსესა მოივლინა გაბრიელ ანგელოზი ღმრთისა მიერ ქალაქად გალილეაჲსა, რომლისა სახელი ნაზარეთ,

27. ქალწულისა, თხოილისა ქმრისა, რომლისა სახელი იოსებ, სახლისაგან და ტომისა დავითისა, და სახელი (I 133r) ქალწულისაჲ მის მარიამ.

28. და შევიდა ანგელოზი იგი მისა[7] და ჰრქუა: გიხაროდენ, მიმადლებულო! (H 133r) უფალი შენ თანა. კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის.

29. ხოლო მან რაჲ იხილა, შეძრწუნდა სიტყუასა მას მისსა ზედა და განიზრახვიდა: ვითარ-მე არს მოკითხვაჲ ესე?

---

[1] გრწმენნეს F, გრწმენის G. [2] სახიდ G. [3] გლ̃ლსა F, გალილეასა G. [4] თხოილისა F. [5] მისა G.

[1] ამისსა K. [2] გრწმენნეს HIK. [3] ჩუჱნებაჲ HIK. [4] თუჱ HI. [5] ყუჱდრებაჲ HI. [6] თუჱსა HI. [7] მისსა K.

| FG | HIK |
|---|---|
| 30. და ჰრქუა მას ანგელოზმან მან[1]: ნუ გეშინინ, მარიამ, რამეთუ ჰპოვე[2] მადლი წინაშე ღმრთისა. | 30. და ჰრქუა მას ანგელოზმან მან: ნუ გეშინინ, მარიამ, რამეთუ ჰპოვე[1] მადლი წინაშე ღმრთისა. |
| 31. და აჰა ესერა შენ მუცლად-იღო და შვე ძჱ, და უწოდიან სახელი მისი იესუ. | 31. და აჰა ესერა შენ მუცლად-იღო და ჰშვე ძე და უწოდი[2] სახელი მისი იესუ. |
| 32. ესე იყოს დიდ და ძე[3] მაღლის ეწოდოს, და მოსცეს მას უფალმან ღმერთმან საყდარი დავითისი, მამისა თჳსისაჲ. | 32. ესე იყოს დიდ და ძე მაღლის ეწოდოს, და მისცეს მას უფალმან ღმერთმან საყდარი დავითის, მამისა თჳსისაჲ, |
| 33. და მეუფებდეს სახლსა ზედა იაკობისსა საუკუნოდ, და სუფევისა მისისაჲ არა იყოს დასასრულ. | 33. და მეუფებდეს სახლსა ზედა იაკობისსა საუკუნოდ, და სუფევი(K 147v)სა მისისაჲ[3] არა იყოს დასასრულ. |
| 34. ჰრქუა მარიამ ანგელოზსა მას: ვითარ-მე იყოს ესე ჩემდა, რამეთუ მე მამაკაცი არა ვიცი? | 34. ჰრქუა მარიამ ანგელოზსა მას: ვითარ-მე იყოს ესე ჩემდა, რამეთუ მე მამაკაცი არა ვიცი? |
| 35. მიუგო ანგელოზმან მან და ჰრქუა მას: სული წმიდაჲ მოვიდეს შენ ზედა, და ძალი მაღლისაჲ გფარვიდეს შენ; ამისთჳსცა შობილსა მას წმიდა ეწოდოს და ძე მაღლის[4]. | 35. მიუგო ანგელოზმან მან და ჰრქუა მას: სული წმიდაჲ მოვიდეს შენ ზედა, და ძალი მაღლისაჲ გფარვიდეს შენ; ამისთჳსცა შობილსა მას წმიდა ეწოდოს და ძე მაღლის. |
| 36. (G 138v) და აჰა ესერა ელისაბედ, ნათესავი შენი, იგიცა მიდგომილ არს ძესა[5] სიბერესა თჳსსა, და ესე მეექუსე თუე არს მისი, რომელსა-იგი ერქუა ბერწ. | 36. და აჰა ელისაბედ, ნათესავი შენი, იგიცა მიდგომილ[4] არს (I 103v) ძესა სიბერესა თჳსსა, და ესე მეექუსე თუჱ[5] არს მისი, რომელსა-იგი ერქუა ბერწ. |
| 37. რამეთუ არარაჲ შეუძლებელ არს წინაშე ღმრთისა სიტყუაჲ. | 37. რამეთუ (H 188v) არა შეუძლებელ არს წინაშე ღმრთისა ყოველი სიტყუაჲ. |
| 38. ჰრქუა მას მარიამ: აჰა მჴევალი უფლისაჲ; მეყავნ მე სიტყჳსაებრ შენისა! და წარვიდა მისგან ანგელოზი იგი. | 38. ჰრქუა მას მარიამ: აჰა მჴევალი უფლისაჲ; მეყავნ მე სიტყჳსაებრ შენისა! და წარვიდა მისგან ანგელოზი იგი. |
| 39. და აღდგა მარიამ მათ დღეთ(F 111r)ა შინა და წარვიდა მთად კერძო მწრაფლ[6] ქალაქად იუდაჲსა. | 39. და აღდგა მარიამ მათ დღეთა შინა და წარვიდა მთად კერძო მსწრაფლ ქალაქად იუდაჲსა[6]. |
| 40. და შევიდა სახლსა ზაქარიაჲსსა[7] და მოიკითხა ელისაბედ. | 40. და შევიდა სახლსა ზაქარიაჲსსა და მოიკითხა ელისაბედ. |
| 41. და იყო ვითარცა ესმა ელისაბედს[8] მოკითხვაჲ მარიამისი, ჰკრთებოდა ყრმაჲ იგი მუცელსა მისსა. და აღივსო სულითა წმიდითა ელისაბედ | 41. და იყო ვითარცა (K 148r) ესმა ელისაბედს მოკითხვაჲ მარიამისი, ჰკრთებოდა ყრმაჲ იგი მუცელსა მისსა. და აღივსო სულითა წმიდითა ელისაბედ |

---

[1] მან]—F. [2] ჰპოე F. [3] ძჱ FG. [4] ძჱ მაღლი F. [5] ძჱსა G. [6] მწრაფლ F. [7] ზქ̃რსა F. [8] ელისაბეთს F.

[1] ჰპოე HI. [2] უწოდე HI. [3] მისისა HI. [4] მიდგომლი I. [5] თუე K. [6] იუდაჲსსა K.

| FG | HIK |
|---|---|
| 42. და ჴმა-ყო ჴმითა დიდითა და თქუა: კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის, და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისაჲ! | 42. და ჴმა-ყო ჴმითა დიდითა და თქუა: კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის, და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისაჲ! |
| 43. და ვინაჲ ჩემდა ესე, რაჲთა მოვიდეს დედაჲ უფლისა ჩემისაჲ ჩემდა? | 43. და ვინაჲ ჩემდა ესე[1], რაჲთა მოვიდეს დედაჲ უფლისა ჩემისაჲ ჩემდა? |
| 44. რამეთუ აჰა ესერა ვითარცა იყო ჴმაჲ მოკითხვისა შენისაჲ ყურთა მომართ ჩემთა, ჰკრთებოდა ყრმაჲ ესე (G 134r) სიხარულით მუცელსა ჩემსა. | 44. რამეთუ აჰა ესერა ვითარცა იყო ჴმაჲ მოკითხვისა შენისაჲ ყურთა მომართ ჩემთა, ჰკრთებოდა ყრმაჲ ესე სიხარულით მუცელსა ჩემსა. |
| 45. და ნეტარ არს, რომელსა ჰრწმენეს, რამეთუ იყოს აღსრულებაჲ თქუმულთაჲ[1] მათ მისა მიმართ უფლისა მიერ. | 45. და ნეტარ არს, რომელსა ჰრწ(I 134r)მენეს, რამეთუ იყოს აღსრულებაჲ თქუმულთაჲ მათ მისა[2] მიმართ უფლისა მიერ. |
| 46. და თქუა მარიამ: ადიდებს სული ჩემი უფალსა, | 46. და თქუა მარიამ: (H 134r) ადიდებს სული ჩემი უფალსა, |
| 47. და განიხარა სულმან ჩემმან ღმრთისა მიმართ, მაცხოვრისა ჩემისა, | 47. და განიხარა სულმან ჩემმან ღმრთისა მიმართ, მაცხოვრისა ჩემისა, |
| 48. რამეთუ მოჰხედა[2] სიმდაბლესა ზედა მჴევლისა თჳსისასა; აჰა ესერა ამიერითგან მნატრიდენ მე ყოველნი ნათესავნი; | 48. რამეთუ მოხედნა სიმდაბლესა ზედა მჴევლისა თჳსისასა; რამეთუ აჰა ესერა ამიერითგან მნატრიდენ მე ყოველნი ნათესავნი; |
| 49. რამეთუ მიყო მე დიდებული ძლიერმან[3], და წმიდა არს სახელი მისი, | 49. რამეთუ ყო ჩემ თანა დიდებული ძლიერმან, და წმიდა არს სახელი მისი, |
| 50. და წყალობაჲ მისი ნათესავითი ნათესავად მოშიშთა მისთა ზედა; | 50. და წყალობაჲ მისი ნათესავითი ნათესავადმდე მოშიშთა მისთა ზედა; |
| 51. ყო სიმტკიცითა მკლავისა მისისაჲთა; განაბნინა ამპარტავანნი გონებითა გულთა მათთაჲთა[4]; | 51. ყო სიმტკიცე მკლავითა თჳსითა; განაბნინა[3] ამპარტავანნი გონებითა გულთა მათთაჲთა; |
| 52. (F 111v) გარდამოსთხინა ძლიერნი[5] საყდრებით მათით, აღამაღლნა მდაბალნი; | 52. დაამჴუნა ძლიერნი საყდართაგან და აღამაღლნა მდაბალნი; |
| 53. მშიერნი აღავსნა კეთილითა და მდიდარნი განავლინნა ცუდნი; | 53. მშიერნი აღავსნა კეთილითა და მდიდარნი გა(K 148v)ნავლინნა ცუდნი; |
| 54. შეეწია ისრაჱლსა, მონასა თჳსსა, (G 184v) მოჴსენებად წყალობისა თჳსისა. | 54. შეეწია ისრაჱლსა, მონასა თჳსსა, მოჴსენებად წყალობისა. |
| 55. ვითარცა ეტყოდა მამასა ჩუენსა აბრაჰამსა და ნათესავსა მისსა საუკუნოდ. | 55. ვითარცა ეტყოდა მამათა ჩუენთა აბრაჰამსა და ნათესავსა მისსა საუკუნოდ. |

---

[1] თქუმულთა F. [2] მოხედა G. [3] ძრიელმან FG. [4] მ̄თთა F. [5] ძრიელნი FG.

[1] .⌣ ესე ჩემდა I. მაგრამ გადამწერს იქვე შეუმჩნევია და ამ სიტყვების თავზე შესაბამისად დაუწერია ბ და ა, რაც ნიშნავს: რიგი შეცვალეთო (ჩემდა ესე). [2] მისსა K. [3] და განაბნინა I.

| FG | HIK |
|---|---|
| 56. და დაადგრა მარიამ ელისაბედის თანა სამ თუე და წარვიდა სახედ[1] თჳსა. | 56. და დაადგრა მარიამ ელისაბედის თანა სამ თუე[1] და წარვიდა სახიდ თჳსა[2]. |
| 57. ხოლო ელისაბედისნი აღივსნეს ჟამნი შობისა მისისანი, და შვა ძჱ. | 57. ხოლო ელისაბედისნი (I 184v) აღივსნეს ჟამნი შობისა მისისანი, და შვა ძე. |
| 58. და ესმა გარემოთა და ნათესავთა, რამეთუ განადიდა უფალმან წყალობაჲ თჳსი მის თანა, და მის თანა იხარებდეს. | 58. და ესმა გარემოთა და ნათესავთა, რამეთუ განადიდა უფალმან წყალობაჲ (H 184v) თჳსი მის თანა, და მის თანა იხარებდეს. |
| 59. და იყო მერვესა დღესა და მოვიდეს წინადაცჳეთად ყრმისა მის და ვითარმცა უწოდეს მას სახელი სახელად მამისა თჳსისა ზაქარიაჲსა[2]. | 59. და იყო მერვესა დღესა და მოვიდეს წინადაცუეთად[3] ყრმისა მის და რაჲთამცა უწოდეს მას სახელად მამისა მისისა ზაქარია. |
| 60. და მიუგო დედამან მისმან და ჰრქუა: არა[3], არამედ ეწოდენ[4] მაგას იოვანე[5]. | 60. და მიუგო დედამან მისმან და ჰრქუა: არა, არამედ ეწოდოს მაგას იოვანე. |
| 61. და ჰრქუეს მას, რამეთუ: არავინ არს ნათესავსა შენსა, რომელსა ჰრქჳან[6] სახელი ეგე. | 61. და ჰრქუეს მას, ვითარმედ: არავინ არს ნათესავსა შენსა, რომელსა ჰრქჳან სახელი ეგე. |
| 62. და თუალთ-უყოფდეს მამასა მისსა, რაჲ-ძი უნდეს სახელის-დებად მისა? | 62. და წამ-უყოფდეს მამასა მისსა, რაჲ-ძი უნ(K 140r)დეს სახელის-დებად მისა[4]. |
| 63. და მოითხოვა ფიცარი და დაწერა და თქუა: (G 185r) იოვანე[6] არს სახელი (F 112r) მისი. და დაუკჳრდა ესე ყოველთა. | 63. და მოითხოვა ფიცარი და დაწერა და თქუა: იოვანე არს სახელი მისი. და დაუკჳრდა ესე ყოველთა. |
| 64. და მეყსეულად აღეღო პირი მისი და ენაჲ, და იტყოდა და აკურთხევდა ღმერთსა. | 64. და მეყსეულად აღეღო პირი მისი და ენაჲ, და იტყოდა და აკურთხევდა ღმერთსა. |
| 65. და იყო შიში დიდი ყოველთა ზედა გარემო მკჳდრთა მისთა: და ყოველთა მათ მთით კერძოთა[7] ჰურიასტანისათა მიმოითქუმოდეს ყოველნი ესე სიტყუანი. | 65. და იყო შიში დიდი ყოველთა ზედა გარემო მკჳდრთა მისთა; და ყოველთა მათ მთით კერძოთა ჰურიასტანისათა მიმოითქუმოდეს ყოველნი ესე სიტყუანი. |
| 66. და დაიდვეს გულსა, რომელთა ესმოდა ესე, და იტყოდეს: რაჲ-მე ყოფად არს[8] ყრმაჲ ესე? და ჴელი უფლისაჲ იყო ყრმისა მის ზედა. | 66. და დაიდვეს გულსა, რომელთა ესმოდა ესე, და იტყოდეს: რაჲ-მე იყოს ყრმაჲ ესე? (I 185r) და ჴელი უფლისაჲ იყო მის (H 136r) ზედა. |
| 67. და მამაჲ მისი ზაქარია აღივსო სულითა წმიდითა, წინაწარმეტყუელებდა და თქუა: | 67. და მამაჲ მისი ზაქარია აღივსო სულითა წმიდითა, წინაწარმეტყუელებდა[5] და თქუა: |

---

[1] სახიდ G. [2] ზქ̄რსა F. [3] არა] — F. [4] ეწოდოს F. [5] ი̄ნე G. [6] ჰქჳან F. [7] კერძოთა F. [8] ყოფად არს] იყოს G.

[1] თჳე HI. [2] თჳსსა HI. [3] წინადაცჳეთად HIK. [4] მისსა K. [5] წინაწარმეტყუელებდა H, წინაჲსწარმეტყუელებდა K.

| FG | HIK |
|---|---|
| 68. კურთხეულ არს უფალი ღმერთი ისრაჱლისაჲ, რამეთუ მოგუხედნა[1] და ყო ჴსნაჲ ერისა თჳსისაჲ; | 68. კურთხეულ არს უფალი ღმერთი ისრაჱლისაჲ, რამეთუ მოჰხედნა[1] და ყო ჴსნაჲ ერისა თჳსისაჲ; |
| 69. და აღმიდგინა[2] ჩუენ რქაჲ ცხორებისაჲ შორის სახლსა მას დავითის, მონისა თჳსისასა; | 69. და აღმიდგინა ჩუენ რქაჲ ცხორებისაჲ შორის სახლსა მას დავითის, მონისა თჳსისასა[2]; |
| 70. ვითარცა იტყოდა პირითა წმიდათაჲთა საუკუნითგან[3] წინაწარმეტყუელთა მისთაჲთა, | 70. ვითარცა ეტყოდა პირითა წმიდათაჲთა საუკუნითგან წინაწარმეტყუელთა[3] მისთაჲთა, |
| 71. გამოჴსნაჲ მტერთაგან ჩუენთა და ჴელისაგან ყოველთა მაჴირვებელთა ჩუენთაჲსა[4]; | 71. ცხორებასა მტერთა ჩუენთაგან და ჴელისაგან ყოველთა მოძულეთა ჩუენთაჲსა[4]; |
| 72. (**G 135ვ**) ყოფად წყალობისა მამათა ჩუენთა თანა და მოჴსენებად შჯულისა წმიდისა მისისა; | 72. ყოფად წყალობისა მამათა ჩუენთა თანა და მოჴსენებად აღთქუმისა წმიდისა მისისა; |
| 73. ფიცით, რომელ ეფუცა აბრაჰამსა, მამასა ჩუენსა, მოცემად ჩუენდა | 73. ფიცით, რომელ ეფუცა აბრაჰამსა, მამასა ჩუენსა, მოცემად ჩუენდა |
| 74. უშიშად ჴსნად ჴელთაგან მტერთა ჩუენთაჲსა[5], | 74. უშიშად (**K 140ვ**) ჴსნად ჴელთაგან მტერთა ჩუენთაჲსა, |
| 75. მსახურებად მისა ღირსებით და სიმართლით (**F 112ვ**) წინაშე მისა[6] ყოველთა დღეთა ცხორებისა ჩუენისათა. | 75. მსახურებად მისა[5] ღირსებით და სიმართლით წინაშე მისსა ყოველთა დღეთა ცხორებისა ჩუენისათა. |
| 76. და შენ, ყრმაო, წინაწარმეტყუელ მაღლის გეწოდოს, რამეთუ წარსძლუე წინაშე პირსა უფლისასა[7] განმზადებად გზათა მისთა, | 76. და შენ, ყრმაო, წინაწარმეტყუელ მაღლის იწოდო, რამეთუ წარსძლუე[6] შენ წინაშე პირსა უფლისასა განმზადებად გზათა მისთა, |
| 77. მიცემად მეცნიერებაჲ ცხორებისაჲ ერსა თჳსსა მოტევებითა ცოდვათა ჩუენთაჲთა[8], | 77. მიცემად მეცნიერებაჲ ცხორებისაჲ ერ(**H 185ვ, I 186ვ**)სა თჳსსა მოტევებითა ცოდვათა მათთაჲთა, |
| 78. მოწყალებითა და წყალობითა ღმრთისა ჩუენისაჲთა, რომელთა მომხედნა[9] ჩუენ აღმომავალმან მაღლით | 78. მოწყალებითა წყალობისა ღმრთისა ჩუენისაჲთა, რომელთა მიერ მომხედნა ჩუენ აღმოსავალმან მაღლით |
| 79. გამოჩინებად მათ ზედა, რომელნი სხენან ბნელსა და აჩრდილთა სიკუდილისათა, და წარმართებად ფერჴთა ჩუენთა გზასა მშჳდობისასა. | 79. გამოჩინებად მათ ზედა, რომელნი სხენან ბნელსა შინა და აჩრდილთა სიკუდილისათა, და წარმართებად ფერჴთა ჩუენთა გზასა მშჳდობისასა. |
| 80. ხოლო ყრმაჲ იგი აღორძნდებოდა და განმტკიცნებოდა სულითა და იყო იგი უდაბნოსა, ვიდრე (**G 136რ**) გამოცხადებად მისა ისრაჱლისა მიმართ. | 80. ხოლო ყრმაჲ იგი აღორძნდებოდა და განმტკიცნებოდა სულითა. და იყო უდაბნოს, ვიდრე გამოცხადებადმდე მისა ისრაჱლისა მიმართ. |

---

[1] მოგუხედა G. [2] აღგჳდგინა F. [3] საუკუნოჲთგან G. [4] მაჴირებ¯ლთა ჩ¯ნთსა F. [5] ჩ¯ნთსა F. [6] მისსა F. [7] უფლისა F. [8] ჩ¯ნთთა F. [9] მომხედა G.

[1] მოხედნა K. [2] თჳსსა HI. [3] წინაჲსწ¯რმეტყუელთა H. [4] ჩუჱნთაჲსა H. [5] მისსა K. [6] წარსძლეუე HIK.

# 2

| FG | HIK |
|---|---|
| 1. და იყო მათ დღეთა შინა გამოჴდა ბრძანებაჲ აგჳსტოს კეისრისაგან აღწერად ყოვლისა სოფლისა. | 1. და იყო მათ დღეთა შინა გამოჴდა ბრძანებაჲ აგჳსტოს კეისრისაგან აღწერად ყოვლისა სოფლისა. |
| 2. ესე აღწერაჲ პირველი იყო მთავრობასა ასურეთს კჳრინესსა[1]. | 2. ესე აღწერაჲ პირველი იყო მთავრობასა ასურეთს კჳრინესსა. |
| 3. და წარვიდოდეს ყოველნი აღწერად კაცად-კაცადი თჳსა ქალაქად. | 3. და წარვიდოდეს ყოველნი აღწერად კაცად-კაცადი თჳსსა ქალაქსა. |
| 4. აღმოვიდა იოსებცა გალილეაჲთ[2], ქალაქით ნაზარეთით, ჰურიასტნად[3], ქალაქად დავითისა[4], რომელსა ჰრქჳან[5] ბეთლემ, რამეთუ იყო იგი სახლისაგან და ტომისა დავითისა, | 4. აღმოვიდა იოსებცა გალილეაჲთ, ქალაქით ნაზარეთით, ჰურიასტანად[1], ქალაქად დავითისა, **(K 150r)** რომელსა ჰრქჳან ბეთლემ, რამეთუ იყო იგი სახლისაგან და ტომისა დავითისა, |
| 5. აღწერად მარიამის თანა, რომელი თხოეილ[6] იყო მისა, და იყო იგი მიდგომილ. | 5. აღწერად მარიამის თანა, რომელი მითხოეილ[2] იყ**(H 186r)**ო მისა[3], და იყო იგი მიდგომილ. |
| 6. **(F 118r)** და იყო ვიდრე იყვნეს იგინი მუნ, აღივსნეს დღენი იგი შობისა მისისანი. | 6. **(I 138r)** და იყო ვიდრე იყვნესღა იგინი მუნ, აღივსნეს დღენი იგი შობისა მისისანი. |
| 7. და შვა ძჱ იგი მისი პირმშოჲ და შეხჳა იგი სახუეველითა და მიაწვინა იგი ბაგასა, რამეთუ არა იყო მათა ადგილ სავანესა მას. | 7. და შვა ძე იგი მისი პირმშოჲ და შეხჳა იგი სახუეველითა[4] და მიაწვინა იგი ბაგასა, რამეთუ არა იყო მათა ადგილ სავანესა მას. |
| 8. და მწყემსნი იყვნეს მასვე სოფელსა, ველთა[7] დგებოდეს და ჴუმილვიდეს **(G 186v)** ჴუმილვასა ღამისასა სამწყსოსა მათსა. | 8. და მწყემსნი იყვნეს მასვე სოფელსა, ველთა დგებოდეს და ჴუმილვიდეს საჴუმილავსა ღამისასა სამწყსოსა მათსა. |
| 9. და აჰა ანგელოზი უფლისაჲ დაადგა მათ, და დიდებაჲ უფლისაჲ გამობრწყინდა[8] მათ ზედა, და შეეშინა მათ შიშითა დიდითა. | 9. და აჰა ანეგელოზი უფლისაჲ დაადგრა მათ ზედა, და დიდებაჲ უფლისაჲ გამოუბრწყინდა მათ, და შეეშინა მათ შიშითა დიდითა. |
| 10. და ჰრქუა მათ ანგელოზმან მან[9] უფლისამან჻ ნუ გეშინინ თქუენ, რამეთუ აჰა ესერა გახარებ თქუენ სიხარულსა დიდსა, რომელი იყოს ყოვლისა ერისაჲ | 10. და ჰრქუა მათ ანგელოზმან მან უფლისამან჻ ნუ გეშინინ, რამეთუ აჰა ესერა გახარებ **(K 150v)** თქუენ სიხარულსა დიდსა, რომელი იყოს ყოვლისა ერისაჲ |
| 11. რამეთუ იშვა თქუენდა მაცხოვარი, რომელ არს ქრისტჱ უფალი, ქალაქსა დავითისსა[10]. | 11. რამეთუ იშვა დღეს თქუენდა მაცხოვარი, რომელ არს ქრისტე უფალი, ქალაქსა დავითისსა. |

---

[1] კჳრინესა F. [2] გალ~ლაით F. [3] ჰურიასტან~დ G. [4] დავითისა] ღმრთისა G. [5] ჰქჳან F. [6] თხოილ F. [7] ველსა F. [8] გამოუბრწყინდა F. [9] მან] — F. [10] დ~თისა F.

[1] ჰურიასტ~ნად H. [2] მითხოილ K. [3] მისსა K. [4] სახუჱლითა HI.

| FG | HIK |
|---|---|
| 12. და ესე იყოს თქუენდა სასწაულად: ჰპოვოთ[1] ყრმაჲ იგი შეხუეული და მწოლარე ბაგასა. | 12. და ესე იყოს თქუენდა სასწაულად: ჰპოოთ ყრმაჲ იგი შეხუეული[1] და მწოლარე ბაგასა. |
| 13. და მეყსეულად იყო ანგელოზისა მის თანა სიმრავლე ერთა ცისათაჲ, აქებდეს ღმერთსა და იტყოდეს: | 13. და მეყსეულად იყო ანგელოზისა მის თანა სიმრაელე ერთა ცისათაჲ, აქებდეს ღმერთსა და იტყოდეს: |
| 14. დიდებაჲ მაღალთა შინა ღმერთსა, და ქუეყანასა ზედა მშჳდობაჲ, და კაცთა შორის სათნოებაჲ. | 14. დიდებაჲ მაღალთა შინა (H 130v/) ღმერთსა, და ქუეყანასა ზედა მშჳ(I 130v/)დობაჲ, და კაცთა შორის სათნოებაჲ. |
| 15. და იყო ვითარცა აღვიდეს ანგელოზნი იგი ზეცად, მწყემსთა მათ თქუეს ურთიერთას[2]: განვიდეთ ჩუენ ვიდრე ბეთლემდმდე[3] და ვიხილოთ სიტყუაჲ ესე, (F 113v/) რომელი იყო ჩუენდა მომართ, რომელი-იგი (G 137r) უფალმან მაუწყა ჩუენ. | 15. და იყო ეითარცა აღვიდეს ანგელოზნი იგი ზეცად, მწყემსთა მათ თქუეს[2] ურთიერთას: განვიდეთ ჩუენ ვიდრე ბეთლემადმდე[3] და ვიხილოთ სიტყუაჲ ესე, რომელი იყო ჩუენდა მომართ, რომელი-იგი უფალმან მაუწყა ჩუენ[4]. |
| 16. და მოვიდეს მწრაფლ[4] და პოვეს[5] მარიამ და იოსებ და ყრმაჲ იგი, მწოლარჱ[6] ბაგასა. | 16. და მოვიდეს მსწრაფლ და პოვეს[5] მარიამ და იოსებ და ყრმაჲ იგი, მწოლარე ბაგასა. |
| 17. და ვითარცა იხილეს, გულისხმა-ყვეს[7] სიტყუაჲ იგი, რომელი ითქუა მათა მიმართ ყრმისა მისთჳს[8]. | 17. და ვითარცა იხილეს, გულისჴმა-ყვეს სიტყუაჲ იგი, რომელი ითქუა მათა მიმართ ყრმისა მისთჳს. |
| 18. და რომელთა ესმოდა, უკჳრდა სიტყუაჲ იგი მწყემსთაჲ მათ მათა მიმართ. | 18. და ყოველთა, რომელთა ესმოდა, უკჳრდა სიტყუაჲ იგი მწყემსთაჲ მათ მათდა მიმართ. |
| 19. ხოლო მარიამს დაემარხნეს სიტყუანი ესე და დაედვა გულსა თჳსსა. | 19. ხოლო მარიამს დაემარხნეს სიტყუანი ესე და დაედვა გულსა თჳსსა. |
| 20. და მიიქცეს და წარეიდეს მწყემსნი იგი, ადიდებდეს და აქებდეს და აკურთხევდეს ღმერთსა ამას ყოველსა ზედა, რომელი ესმა და იხილეს, ვითარცა-იგი[9] ითქუნეს მათა მიმართ. | 20. და მიიქცეს და წარვიდეს მწყემსნი იგი, ადიდებდეს და აქებდეს ღმერთსა ამას ყოველსა ზედა, რომელი ესმა და იხილეს, ვითარცა-იგი ითქუნეს მათდა მიმართ. |
| 21. და ვითარცა აღესრულნეს დღენი იგი რვანი წინადაცუეთისა მისისანი, და უწოდეს სახელი მისი იესუ, რომელ-იგი ეწოდა ანგელოზისა მისგან, ვიდრე ყოფადმდე მისა მუცელსა დედისა თჳსისასა. | 21. და ეითარცა აღესრულნეს დღენი იგი რვანი წინადა(K 151r)ცუეთისა[6] მისისანი, და უწოდეს სახელი მისი იესუ, რომელ-იგი ეწოდა ანგელოზისა მისგან, (I 107r) ვიდრე (H 137r) ყოფადმდე მისა[7] მუცელსა დედისა თჳსისასა. |

---

[1] ჰპოოთ F. [2] ურთიერთარს F. [3] ბეთლედმდე F. [4] მსწრაფლ F. [5] პოეს F. [6] მწოლარე F. [7] გულისჴმა-ყვეს F. [8] ყრმისა მისთჳს] — F. [9] ეითარცა F.

[1] შეხუჱული HI. [2] თქუჱს I. [3] ასეა HIK. [4] ჩუჱნ H. [5] პოეს HI. [6] წინა დაცუჱთისა HI. [7] მისსა K.

| FG | HIK |
|---|---|
| 22. და რაჟამს აღესრულნეს დღენი იგი განწმედისა მათისანი შჯულისა[1] მისებრ მოსესისა, აღმოიყვანეს (G 137v) ყრმაჲ იგი იესუ[2] იერუსალჱმდ წარდგინებად წინაშე უფლისა, | 22. და რაჟამს აღესრულნეს დღენი იგი განწმედისა მათისანი სჯულისა[1] მისებრ მოსესისა, აღმოიყვანეს ყრმაჲ იგი იერუსალჱმდ წარდგინებად წინაშე უფლისა, |
| 23. ვითარცა წერილ არს შჯულსა უფლისასა, რამეთუ: ყოველმან წულმან რომელმან განაღოს საშოჲ[3], წმიდა უფლისა ეწოდოს; | 23. ვითარცა წერილ არს შჯულსა უფლისასა, რამეთუ: ყოველმან წულმან რომელმან განაღოს საშოჲ, წმიდა უფლისა ეწოდოს[2]; |
| 24. და მოსცეს შესაწირავი, ვითარცა თქუმულ არს შჯულსა (F 114r) უფლისასა, ორნი გურიტნი ანუ ორნი მართუენი ტრედისანი. | 24. და მიცემად შესაწირავი, ვითარცა თქუმულ არს სჯულსა[3] უფლისასა, ორნი გურიტნი ანუ ორნი მართუენი[4] ტრედისანი. |
| 25. და მენ იყო კაცი იერუსალჱმს, რომლისა[4] სახელი სჳმეონ. და კაცი ესე მართალი და მოშიში უფლისაჲ იყო და მოელოდა გამოჴსნასა ისრაჱლისასა; და სული წმიდაჲ იყო მის ზედა. | 25. და აჰა იყო კაცი იერუსალჱმს[5], რომლისა სახელი სჳმეონ. და კაცი ესე მართალი იყო და მოშიში უფლისაჲ და მოელოდა ნუგეშინის-ცემასა ისრაჱლისასა; და სული წმიდაჲ იყო მის ზედა. |
| 26. და იყო მისა უწყებულ სულისაგან წმიდისა არა ხილვად სიკუდილი, ვიდრემდე იხილოს ცხებული უფლისაჲ. | 26. და იყო მისა[6] უწყებულ სულისაგან წმიდისა არა ხილვად სიკუდილი, ვიდრემდე იხილოს ცხებული უფლისაჲ. |
| 27. და მოვიდა სულითა წმიდითა ტაძრად უფლისა. და შეყვანებასა მას მამა-დედისა მიერ ყრმისა მის იესუჲსა[5] ყოფად მათა მსგავსად ჩუეულებისა მის შჯულისა მისა მიმართ, | 27. და მოვიდა სულითა წმიდითა ტაძრად უფლისა. და შეყვანებასა მას მამა-დედისა მიერ ყრმისა მის იესუჲსა[7] ყოფად მათა[8] მსგავსად ჩუეულებისა[9] მისებრ შჯულისა მისა[6] მიმართ, |
| 28. და ამან მოიქუა იგი მკლავეთა თჳსთა ზედა, აკურთხევდა ღმერთსა და თქუა: | 28. (I 137v) და ამან მიიქუა იგი (H 137v) მკლავეთა თჳსთა ზედა (K 151v) და აკურთხევდა ღმერთსა და თქუა: |
| 29. აწ განუტევე მონაჲ შენი, უფალო, სიტყჳსაებრ შენისა (G 138r) მშჳდობით, | 29. აწ განუტევე მონაჲ შენი, მეუფეო, სიტყჳსაებრ შენისა მშჳდობით, |
| 30. რამეთუ იხილეს თუალთა ჩემთა მაცხოვარებაჲ შენი, | 30. რამეთუ იხილეს თუალთა ჩემთა მაცხოვარებაჲ[10] შენი, |
| 31. რომელ განუმზადე წინაშე პირსა ყოვლისა ერისასა, | 31. რომელ განუმზადე წინაშე პირსა ყოვლისა ერისასა, |
| 32. ნათელი გამობრწყინვებად[6] წარმართთა ზედა და დიდებად ერისა შენისა ისრაჱლისა. | 32. ნათელი გამობრწყინვებად წარმართთა ზედა და დიდებად ერისა შენისა ისრაჱლისა[11]. |

---

[1] რჩულისა G. [2] იესუ] — G. F-შიც მერმეა დამატებული. [3] საშუჲ G. [4] რომლისაჲ G. [5] ი̃ჳსა F. [6] გამობრწყინვებაჲ G.

[1] შჯულისა HI. [2] იწოდოს HI. [3] შჯულსა HI. [4] მართუჱნი HI. [5] ი̃ჱლმს K, ი̃ჱლჱმს I, იერუსალჱმს H (მთლიანად, უქარაგმოდ). [6] მისსა K. [7] იესუჲსსა K. [8] მათდა K. [9] ჩუჱულებისა HI. [10] მაცხ̃რბაჲ K. [11] H-ში მთლიანად წერია, უქარაგმოდ, IK: ი̃ჱლისა.

| FG | HIK |
|---|---|
| 33. და იყვნეს მამაჲ მისი და დედაჲ მისი დაკჳრვებულ სიტყუათა მათ ზედა მისთჳს. | 33. და იყვნეს იოსებ და დედაჲ მისი დაკჳრვებულ სიტყუათა მათ ზედა მისთჳს. |
| 34. და აკურთხნა იგინი სჳმეონ და ჰრქუა მარიამს, დედასა მისსა: აჰა ესერა დგას დაცემად და აღდგინებად (F 114v/) მრავალთა ისრაჱლსა შორის და სასწაულად სიტყჳს-მგებელთა. | 34. და აკურთხნა იგინი სჳმეონ და ჰრქუა მარიამს, დედასა მისსა: აჰა ესერა ესე დგას დაცემად და აღდგინებად მრავალთა ისრაჱლსა შორის და სასწაულად სიტყჳს-საგებელად[1]. |
| 35. და თჳთ შენსაცა სულსა განვიდეს მახჳლი, რაჲთა განცხადნენ მრავალთაგან გულთა ზრახვანი. | 35. და თჳთ შენსაცა სულსა განვიდეს მახჳლი, რაჲთა განცხადნენ მრავალთაგან გულთა ზრახვანი. |
| 36. და იყო ანა წინაწარმეტყუელი, ასული ფანოელისი[1], ტომისაგან ასერისი. ესე გარდასრულ იყო დღეთა მრავალთა და ცხორებულ იყო ქმრისა თჳსისა[2] თანა შჳდ წელ სიქალწულითგან თჳსით[3]. | 36. და იყო ანნა წინაწარმეტყუელი, ასული ფანოელისი, ტომისაგან ასერისა. ესე გარდასრულ იყო (K 152r) დღეთა მრავალთა და ცხორებულ იყო ქმრისა თანა შჳდ წელ სიქალწულითგან თჳსით. |
| 37. და ესე იყო ქურივ ვითარ[4] ოთხ(G 138v/)მეოც და ოთხ წელ, რომელი არა განეშორებოდა ტაძრისა მისგან მარხვითა და ვედრებითა და მსახურებითა ღამე[5] და დღე[6]. | 37. და ესე იყო ქურივ (I 188r) ვითარ ოთხმეოც და ოთხის წლის, რომელი არა განეშორებოდა (H 138r) ტაძრისა მისგან მარხვითა და ვედრებითა და მსახურებითა ღამე და დღე. |
| 38. ესე მასვე ჟამსა შინა მოიწია და აღუარებდა[7] ღმერთსა და ეტყოდა მისთჳს ყოველთა, რომელნი მოელოდეს გამოჴსნასა ისრაჱლისასა. | 38. ესე მასვე ჟამსა შინა მოიწია და აღუვარებდა[2] ღმერთსა და ეტყოდა მისთჳს ყოველთა, რომელნი მოელოდეს გამოჴსნასა იერუსალჱმს[3] შინა. |
| 39. და ვითარცა აღასრულეს მის ზედა ყოველივე მსგავსად შჯულისა მის, მოიქცეს და წარვიდეს გალილეად, ქალაქად თჳსა — ნაზარეთად[8]. | 39. და ვითარცა აღასრულეს მის ზედა ყოველივე მსგავსად შჯულისა უფლისა, მოიქცეს და წარვიდეს გალილეად, ქალაქად თჳსა — ნაზარეთად. |
| 40. ხოლო ყრმაჲ იგი იესუ აღორძნდებოდა და განმტკიცნებოდა სულითა და აღივსებოდა სიბრძნითა, და მადლი[9] ღმრთისაჲ იყო მის ზედა. | 40. ხოლო ყრმაჲ იგი აღორძნდებოდა და განმტკიცნებოდა სულითა და აღივსებოდა სიბრძნითა, და მადლი ღმრთისაჲ იყო მის ზედა. |
| 41. და აღმოვიდიან მამა-დედანი მისნი წლითი წლად იერუსალჱმდ დღესასწაულსა[10] მას პასექისასა, რომელ არს ენებაჲ. | 41. და აღმოვიდიან მამა-დედანი მისნი წლითი წლად იერუსალჱმდ[4] დღესასწაულსა მას პასექისასა. |
| 42. და იყო რაჲ იგი ათორმეტის წლის, აღმოვიდეს იერუსალჱმდ, ვითარცა | 42. და იყო რაჲ იგი ათორმეტის წლის, აღმოვიდეს იგინი იერუსალჱმდ[5], |

---

[1] ფანოველისი G. [2] თჳსისა] — G. [3] მისით F. [4] ვითარ] — F. [5] ღამჱ G. [6] დღჱ FG. [7] აუვარებდა G [8] ნაზარეთა G. [9] მდლი F. [10] დღჱსასწაულსა G.

[1] საგებელად HI. ამ სიტყვის გასწვრივ ორივე ხელნაწერში არშიაზე წერია „საცილობელად". ეს ნიშნავს: „საგებელად" სიტყვის ნაცვლად უნდა „საცილობელად". [2] აღვაარებდა HI. [3] ი̄ჱლჲმს HI, ი̄ჱლიმს K. [4] ი̄ჱლმდ HI, ი̄ჱლიმდ K. [5] ი̄ჱლემდ HIK.

| FG | HIK |
|---|---|
| (F 115r) ჩუეულ იყვნეს, დღესასწაულსა[1] მას. | ვითარცა ჩუეულ[1] იყვნეს, დღესასწაულსა მას. |
| 43. და აღასრულნეს დღენი იგი, (G 139r) და წარსლვასა მას მათსა დაშთა იესუ ყრმაჲ იერუსალჱმს, და არა უწყოდეს მამა-დედათა მისთა, | 43. და აღასრულნეს დღენი იგი, და წარსლვასა მას მათსა დაშთა იესუ ყრმაჲ იერუსალჱმს, და არა უწყოდეს იოსებ (I 136v) და დედამან მისმან, |
| 44. ჰგონებდეს მისა[2], ვითარმედ მოგზაურთა თანა არს იგი. და მოვიდეს დღისა ერთისა გზასა და ეძიებდეს მას ნათესავთა შორის მათსა და მეცნიერთა | 44. ჰგონებდეს მისა[2], ვითარმედ მოგზაურთა თანა არს იგი. (H 138v) და მოვიდეს დღისა ერთისა (K 152v) გზასა და ეძიებდეს მას ნათესავთა შორის და მეცნიერთა |
| 45. და არა პოვეს იგი. და მოიქცეს იგინი იერუსალჱმდ და ეძიებდეს მას. | 45. და არა პოეს იგი. და მოიქცეს იგინი იერუსალჱმდ და ეძიებდეს მას. |
| 46. და იყო შემდგომად სამისა დღისა პოვეს[3] იგი ტაძარსა მას შინა მჯდომარჱ[4] შორის მოძღუართა, და ისმენდა მათსა და ჰკითხვიდა მათ[5]. | 46. და იყო შემდგომად სამისა დღისა პოეს იგი ტაძარსა მას შინა მჯდომარე შორის მოძღუართა, ისმენდა მათსა და ჰკითხვიდა მათ. |
| 47. განუკჳრდებოდა მათ ყოველთა, რომელთა ესმოდა მისი გულისხმის-ყოფაჲ[6] იგი და სიტყჳს-მიგებაჲ მისი. | 47. განუკჳრდებოდა მათ ყოველთა, რომელთა ესმოდა მისი გულისჴმის-ყოფაჲ იგი და სიტყჳს-მიგებაჲ მისი. |
| 48. და იხილეს იგი და განუკჳრდა. ჰრქუა მას დედამან მისმან: შვილო, რაჲსა ესრეთ მიყავ ჩუენ? აჰა ესერა მე და მამაჲ შენი ვრორინებთ და გეძიებთ შენ. | 48. და იხილეს იგი და განუკჳრდა. ჰრქუა მას დედამან მისმან: შვილო, რაჲ ესე მიყავ ჩუენ ესრეთ? აჰა ესერა მე და მამაჲ შენი ვრორინებთ და გეძიებთ შენ. |
| 49. და მან ჰრქუა მათ: და რაჲსა მეძიებთ მე? (G 139v) არა უწყითა, რამეთუ მამისა ჩემისა თანა ჯერ-არს ჩემი ყოფაჲ? | 49. და მან ჰრქუა მათ: და რაჲსა მეძიებთ მე? არა უწყითა, რამეთუ მამისა ჩემისა თანა ჯერ-არს ჩემი ყოფაჲ? |
| 50. და მათ ვერ გულისხმა-ყვეს[7] სიტყუაჲ იგი, რომელი ჰრქუა მათ. | 50. და მათ ვერ გულისჴმა-ყვეს სიტყუაჲ იგი, რომელი ჰრქუა მათ. |
| 51. და წარვიდა მათ თანა და მოვიდა ნაზარეთად[8] და იყო დამორჩილებულ მათა[9]. ხოლო დედასა მისსა დაე(F 115v)მარხნეს ყოველნი ესე სიტყუანი გულსა თჳსსა. | 51. და წარვიდა მათ თანა და მოვიდა ნაზარეთად და იყო დამორჩილებულ მათდა. ხოლო დედასა მისსა და(I 137r)ემარხნეს ყოველნი ესე სიტყუანი გულსა თჳსსა. |
| 52. და იესუ წარემატებოდა სიბრძნითა და ჰასაკითა და მადლითა წინაშე ღმრთისა და კაცთა. | 52. (H 139r) და იესუ წარემატებოდა სიბრძნითა და ჰასა(K 153r)კითა და მადლითა წინაშე ღმრთისა და კაცთა. |

---

[1] დღესასწაულსა G. [2] მისსა G. [3] პოეს F. [4] მჯდომარე F. [5] მ̃თს F. ზემო სტრიქონზე მოთავსებული -მ̃თს(ა)ა-ს გავლენით. [6] გულისჴმის-ყოფაჲ F. [7] გულისჴმა-ყვეს F. [8] ნაზარეთს G. [9] მათდა F.

[1] ჩუეულ HI. [2] მისსა K.

# 3

**FG**

1. წელსა მეათხუთმეტესა[1] ტიბერიის[2] კეისრისასა, მთავრობასა პონტოელისა[3] პილატესსა[4] ჰურიასტანს, და მეოთხედ მთავრობასა გალილეას ჰეროდესსა[5], და ფილიპესსა[6], ძმისა მისისა[7] მეოთხედ მთავრობასა იტურეას და ტრაქონელთა სოფელსა, და ლუსანისსა[8] მეოთხედ მთავრობასა აბილენესა[9],

2. მღდელთ-მოძღურებასა[10] ანაჲსსა[11] და კაიაფაჲსსა[12] იყო სიტყუაჲ უფლისაჲ იოვანესა[13] მიმართ, ძისა (G 140r) ზაქარიაჲსა, უდაბნოს.

3. და მოჰვლიდა[14] ყოველსა მას სოფლებსა იორდანისასა და ქადაგებდა ნათლის-ცემასა სინანულისასა მისატევებელად ცოდვათა.

4. ვითარცა წერილ არს წიგნსა მას სიტყუათა ესაია წინაწარმეტყუელისათა და იტყჳს: ჴმაჲ ღაღადებისაჲ უდაბნოსა: განჰმზადენით გზანი უფლისანი და წრფელ ყვენით ალაგნი მისნი.

5. ყოველი ჴევნები აღმოივსოს, და ყოველნი მთანი და ბორცუნი დამდაბლდენ; და იყოს გულარძნილი იგი მართლ[15] და ფიცხელი იგი გზად წრფელად.

6. და იხილოს ყოველმან ჴორციელმან მაცხოვარებაჲ[16] ღმრთისაჲ.

7. (F 110r) და ეტყოდა[17] განმავალსა მას მისა[18] ერსა ნათლის-ღებად მისგან[19]: ნაშობნო იქედნეთანო, ვინ გიჩუენა თქუენ სივლტოლაჲ მერმისა მისგან რისხვისა?

**HIK**

1. წელსა მეათხუთმეტესა ტიბერის[1] კეისრისასა, მთავრობასა პონტიელისა პილატესსა[2] ჰურიასტანს, და მეოთხედ მთავრობასა გალილეას ჰეროდესსა, ხოლო ფილიპეს, ძმისა მისისა[3] მეოთხედ მთავრობასა იტურეას[4] და ტრაქონელთა სოფელსა, და ლჳსანიისსა[5] მეოთხედ მთავრობასა აბილინესა[6],

2. მღდელთ-მოძღურებასა ანნაჲსსა და კაიაფაჲსსა[7] იყო სიტყუაჲ უფლისაჲ იოვანეს მიმართ, ძისა ზაქარიაჲსა[8], უდაბნოს.

3. და მოჰვლიდა[9] ყოველსა მას გარემო სოფლებსა იორდანისასა და ქადაგებდა ნათლის-ცემასა სინანულისასა მისატევებელად ცოდვათა.

4. ვითარცა წერილ არს წიგნსა მას სიტყუათა ესჲია[10] წინაწარმეტყუელისათა და იტყჳს: ჴმაჲ ღაღადებისაჲ უდაბნოსა: განჰმზადენით გზანი უფლისანი და წრფელ ყვენით (I 138v/) ალაგ(K 153v/)ნი მისნი.

5. ყოველი ჴევნები აღმოივსოს, და ყოველნი მთანი და ბორცუნი დამდაბლდენ; (H 130v/) და იყოს გულარძნილი იგი მართალ და ფიცხელი იგი გზად წრფელად.

6. და იხილოს ყოველმან ჴორციელმან მაცხოვარებაჲ[11] ღმრთისაჲ.

7. და ეტყოდა განმავალსა მას მისა[12] ერსა ნათლის-ღებად მისგან: ნაშობნო იქედნეთანო, ვინ გიჩუენა[13] თქუენ სივლტოლაჲ მერმისა მისგან რისხვისა?

---

[1] მეათხუთმეტსა F. [2] ტიბერის F. [3] პონტიელისა G. [4] პილატესა FG. [5] ჰეროდესა F. [6] ფილიპესა F. [7] მისისასა F. [8] ლუსანისასა G. [9] აბილჱნესა G. [10] მღდელთ-მძღ̄რ̄ბსა F, მღდელთ-მოძღ̄რ̄ჲსა G. [11] ანაჲსა FG. [12] კაიაფაჲსა FG. [13] ი̄ნჱსა G. [14] მოვიდა FG. [15] მართლად G. [16] მცხ̄რბჲ F, მცხ̄რბაჲ G. [17] ეტყდა G (უქარაგმოდ). [18] მისსა F. [19] მისგან] — F.

[1] ტიბერისა I. [2] პილატესა HI. [3] მისისასა K. ბოლო სა მერმეა დამატებული. [4] იტჳრეას HIK. [5] ლჳსანის̄სა I, ლჳსანისასა K. ამ უკანასკნელში ბოლო სა მერმეა დამატებული. [6] აბილენესსა HIK. [7] კაჲაფაჲსსა HI (=კაიაფაჲსსა). [8] ზაქარიაჲსსა HIK. [9] მოვიდა K, მოვიდა HI (=მოჰვლიდა). [10] ესჲია HI (=ესაია). [11] მცხ́რებაჲ K. [12] მისსა K. [13] გიჩუჱნა HI.

| FG | HIK |
|---|---|
| 8. ყავთ უკუე აწ ნაყოფი, ღირსი (G 140ც/) სინანულისაჲ. და ნუ ჰგონებთ და იტყჳთ გულთა თქუენთა: მამაჲ გჳვის ჩუენ აბრაჰამი. გეტყჳ თქუენ, რამეთუ ძალ-უც ღმერთსა აღდგინებად ქვათა ამათგან ნაშობად აბრაჰამისა. | 8. ყავთ უკუე[1] აწ[2] ნაყოფი, ღირსი სინანულისაჲ, და ნუ ჰგონებთ და იტყჳთ გულთა თქუენთა: მამაჲ გჳვის ჩუენ აბრაჰამი. გეტყჳ თქუენ, რამეთუ ძალ-უც ღმერთსა აღდგინებად ქვათა ამათგან ნაშობად აბრაჰამისა[3]. |
| 9. რამეთუ აწვე ცული ძირთა თანა ხეთასა[1] ძეს: ყოველმან ხემან რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოეკუეთოს და ცეცხლსა დაედვას. | 9. რამეთუ აწვე ცული ძირთა თანა ხეთასა ძეს; ყოველმან ხემან რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოეკუეთოს[4] და ცეცხლსა დაედვას. |
| 10. და ჰკითხვიდა მას ერი იგი და ეტყოდეს: და რაჲ-მე ვყოთ? | 10. და ჰკითხვიდეს მას ერი იგი და ეტყოდეს: და რაჲ-მე უკუე[1] ვყოთ? |
| 11. მიუგო და ჰრქუა მათ: რომელსა აქუნდეს ორი სამოსელი[2], მიეცინ, რომელსა არა აქუნდეს; და რომელსა აქუნდეს საზრდელი, ეგრევე[3] მსგავსად ყავნ. | 11. მიუგო და ჰრქუა მათ: რომელსა აქუნდეს ორი სამოსელი, მიეცინ, რომელსა არა (I 140ր) აქუნდეს; და საზრდელიცა ეგრეთვე მსგავსად ყავნ. |
| 12. მოვიდეს მისა[4] მეზუერენიცა ნათლის-ღებად და ჰრქუეს მას: მოძღუარ, ჩუენ რაჲ ვყოთ? | 12. (K 154ր) მოვიდეს მისა[5] მეზუერენიცა[6] ნათლის-ღებად და ჰრქუეს მას: (H 140ր) მოძღუარ, ჩუენ რაჲ-მე ვყოთ? |
| 13. ხოლო მან ჰრქუა მათ: ნურას უფროჲს განწესებულისა თქუენისა იქმთ. | 13. ხოლო მან ჰრქუა მათ: ნურარას უფროჲს განწესებულისა თქუენისა იქმთ. |
| 14. ჰკითხვიდეს მას ერად განწესებულნიცა იგი (G 141ր) და ეტყოდეს: და ჩუენ რაჲ-მე ვყოთ? და მან ჰრქუა მათ: ნუვის აჴირვებთ[5], ნუცა ცილსა შესწამებთ და კმა-გეყავნ როჭიკი თქუენი. | 14. ჰკითხვიდეს მას მჴედრად განწესებულნიცა იგი და ეტყოდეს: და ჩუენ რაჲ-მე ვყოთ? და მან ჰრქუა მათ: ნუვის აჴირვებთ, ნუცა ცილსა შესწამებთ და კმა-გეყავნ როჭიკი თქუენი[7]. |
| 15. და ვითარცა მოელოდა ერი იგი, და განიზრახვიდეს ყოველნი გულთა მათთა იოვანესთჳს[6], ნუუკუე იგი არს ქრისტე. | 15. და ვითარცა მოელოდა ერი იგი, და განიზრახვიდეს ყოველნი გულთა მათთა იოვანესთჳს, ნუუკუე[8] იგი არს ქრისტე. |
| 16. (F 118ც/) მიუგო ყოველთა და ეტყოდა: მე ნათელ-გცემ[7] თქუენ წყლითა: მოვალს უძლიერესი[8] ჩემსა, რომლისა არა[9] ღირს ვარ კამლთა მისთა ტჳრთვად; მან ნათელ-გცეს[10] თქუენ სულითა წმიდითა და ცეცხლითა. | 16. მიუგო ყოველთა იოვანე და ეტყოდა: მე ნათელ-გცემ თქუენ წყლითა, ხოლო მოვალს უძლიერესი ჩემსა, რომლისა არა ვარ ღირს კამლთა მისთა ტჳრთვად; მან ნა(K 154ც/)თელ-გცეს თქუენ სულითა წმიდითა და ცეცხლითა. |
| 17. რომლისა ნიჩაბი ჴელთა შინა მისთა, და განწმიდოს კალოჲ თჳსი და შეკრიბოს იფქლი საუნჯესა თჳსსა, ხოლო ბზჱ[11] დაწუას ცეცხლითა უშრეტითა. | 17. რომლისა ნიჩაბი ჴელთა შინა მისთა, განწმიდოს კალოჲ თჳსი და შეკრიბოს იფქლი საუნჯესა თჳსსა, ხოლო ბზე დაწუას ცეცხლითა უშრეტითა. |

---

[1] ხეთა G. [2] სამოსელი F. [3] ეგრეთვე G. [4] მისსა G. [5] აჴირებთ F. [6] ი̄ნესთჳს G. [7] ნათელ-გცემ F. [8] უძლიერეჲ G. [9] რომლისა არა] რ̄ისა არა F. [10] ნათელ-ეცეს F. [11] ბზე F.

[1] უკუე HIK. [2] აწ] — HI. [3] აბრაჰამისსა K. [4] მოეკუეთოს HI. [5] მისსა K. [6] მეზუერენიცა HI. [7] თქუენნი HI. [8] ნუუკუე HI.

| FG | HIK |
|---|---|
| 18. და ფრიად სხუასაცა მრავალსა ჰლოცვიდა და ახარებდა ერსა მას. | 18. (I 140v) და ფრიად სხუასაცა მრავალსა ჰლოცვიდა და ახარებდა ერსა მას. |
| 19. ხოლო ჰეროდეს, ოთხთა საბრძანებელთა მთავარსა, რამეთუ ამხილებდა მას ჰერო(G 141v)დიაჲსთჳს, ცოლისა ძმისა მისისა, და ყოვლისა მისთჳს, რომელი ქმნა ბოროტი ჰეროდე[1], | 19. ხოლო ჰეროდე, ოთხთა სამთავროთა მთავარმან, რამეთუ ამხილე(H 140v)ბდა მას[1] ჰეროდიაჲსთჳს, ცოლისა ფილიპეს, ძმისა მისისა, და ყოვლისა მისთჳს, რომელი ქმნა ბოროტი ჰეროდე, |
| 20. შესძინა ესეცა მას ყოველსა ზედა და შეაყენა იოვანე[2] საპყრობილესა. | 20. შესძინა ესეცა მას ყოველსა ზედა და შეაყენა იოვანე საპყრობილესა. |
| 21. და იყო ნათლის-ღებასა მას ყოვლისა ერისასა და იესუცა ნათელ-იღო და ილოცვიდა; განეხუნეს ცანი, | 21. და იყო ნათლის-ღებასა მას ყოვლისა ერისასა და იესუცა ნათელ-იღო და ილოცვიდა; და განეხუნეს ცანი, |
| 22. და გარდამოჴდა სული წმიდაჲ ჴორციელითა ხილვითა, ვითარცა ტრედი, მის ზედა; და ჴმაჲ იყო ზეცით და თქუა: შენ ხარ ძჱ ჩემი საყუარელი, შენ სათნო-გიყავ. | 22. და გარდამოჴდა სული წმიდაჲ ჴორციელითა ხილვითა, ვითარცა ტრედი, მის ზედა; და ჴმაჲ იყო ზეცით და თქუა: შენ (K 156r) ხარ ძე ჩემი საყუარელი, შენ სათნო-გიყავ. |
| 23. და თავადსა იესუს ეწყო ოდენ ყოფად მეოცდაათესა წელსა, რომელი საგონებელ იყო ძედ იოსებისა, იაკობისა[3], ელისა[4], | 23. და თავადსა იესუს ეწყო ოდენ ყოფად მეოცდაათესა წელსა, რომელი საგონებელ იყო ძედ იოსებისა[2], ელისა[3], |
| 24. მატთანისა, ლევისა[5], მელქისა, იანესა, იოსებისა, | 24. მატათანისა[4], ლევისა[5], მელქისა, იანესა[6], იოსებისა[7], |
| 25. (F 117r) მატათისა, ამოსისა[6], ნაუმისა[7], ესლისა[8], ნაგესა[9], | 25. მატათისა[8], ამოსისა[9], ნაომისა[10], ესლისა[11], ნაგესა[12], |
| 26. მაათისა, მატათისა, სემისა, იოსებისა, იუდაჲსა, | 26. მაათისა[13], მატათისა[8], სემისა[14], იოსებისა[15], იუდაჲსა[16], |
| 27. ოანნაჲსა, რესაჲსა, ზორობაბელისა[10], სალათიელისა[11], ნერისა, | 27. იონანისა[17], რესაჲსა[18], ზორობაბელისა, სა(I 141r)ლათიელისა[19], ნერისა[20], |
| 28. მელქისა[12], ადადისა, კოსომისა, ელმოდადისა[13], (G 142r) ერისა, | 28. მელქისა[21], ადდისა[22], კოსამისა[23], ელმოდადისა[24], ერისა[25], |
| 29. იესუჲსა[14], ელიეზერისა, იორამისა, მატათისა, ლევისა, | 29. იოსისა[26], ელიეზერისა[27], იორა(H 141r)მისა[28], მატტათისა[29], ლევისა[30], |

---

[1] ჰრ̄დჱ F. [2] ი̄ნჱ G. [3] G-ში ჩამატებულია ტექსტის ხელით. [4] ჱლისა F. [5] ლევისსა G. [6] ამოსისა] — F. [7] ნაომისა G. [8] ელისსა G. [9] ნაგესსა G. [10] ზორობაბელისსა G. [11] სალათიელისსა G. [12] მელქისსა G. [13] ელმოდადისსა G. [14] ი̄ჳსა F, ჲესოჲსა G (უქარაგმოდ).

[1] მათ K. [2] იოსებისსა HIK. [3] ელისსა HIK. [4] მატათანისსა K. [5] ლევისსა HIK. [6] იანესსა K. [7] იოსებისსა HI. [8] მატათისსა K. [9] ამოსისსა K. [10] ნაომისსა K. [11] ესლისა] ელისა HIK. [12] ნაგესსა K. [13] მაათისსა K. [14] სემისსა K. [15] იოსებისსა K. [16] იუდაჲსსა HI, იუდაისსა K. [17] იონანისსა K. [18] რესაჲსსა K. [19] სალათიელისსა HIK. [20] ნერისსა K. [21] მელქისსა K. [22] ადდისსა K. [23] კოსამისსა K. [24] ელმოდადისსა K. [25] ერისსა K. [26] იოსისსა K. [27] ელიეზერისსა K. [28] იორამისსა K. [29] მატტათისსა K. [30] ლევისსა K.

FG

30. სჳმეონისა, იუდაჲსა, იოსებისა, იონანისა, ელიაკიმისა,

31. მელეაჲსა, მენანისა, მატთანისა, ნათანისა, დავითისა,

32. იესესა[1], იობედისა. ბოოსისა, სალმუნისა, ნაასონისა,

33. ამინადაბისა, არამისა, ესრომისა, ფარეზისა, იუდაჲსა,

34. იაკობისა, ისააკისა[2], აბრაჰამისა, თარაჲსა, ნაქორისა,

35. სერუქისა, რაგავისა, ფალეგისა, ებერისა, სალაჲსა,

36. კაინანისა[3], არფაქსადისა, სემისა, ნოესა, ლამექისა,

37. მათუსალაჲსა, ენუქისა, იარედისა, მალელეელისა[4], კაინანისა,

38. ენოსისა, სეჲთისა, ადამისა და ღმრთისა.

HIK

30. სჳმეონისა[1], იუდაჲსა[2], იოსებისა, იონანისა[3], ელიაკიმისა[4],

31. მელეაჲსა[5], მაინანისა[6], მატათანისა[7], ნათანისა[8], დავითისა[9],

32. იესესა[10], იობედისა[11], ბოოსისა[12], სალმუნისა[13], ნაასონისა[14],

33. ამინადაბისა[15], არამისა[16], ესრომისა[17], ფარეზისა[18], იუდაჲსა[19],

34. იაკობისა[20]. ისაკისა[21], აბრაჰამისა[22], თარაჲსა[23], ნაქორისა[24],

35. სერუქისა[25], რაგავისა[26], ფალეგისა[27], ებერისა[28], სალაჲსა[29],

36. კაინანისა[30], არფაქსადისა[31], (K 155r) სემისა[32], ნოესა[33], ლამექისა[34],

37. მათუსალაჲსა[35], ენუქისა[36], იარედისა[37], მალელეილისა[38], კაინანისა[30],

38. ენოსისა[39], სეითისა[40], ადამისა[41] და ღმრთისა.

## 4

FG

1. (G 142r) ხოლო იესუ, სავსე სულითა წმიდითა, მოიქცა იორდანით, და მოჰყვანდა სულსა უდაბნოდ.

2. და ორმეოც დღე გამოიცადებოდა ეშმაკისაგან და არარაჲ ჭამა მათ დღეთა შინა. და აღ-რაჲ-ესრულნეს დღენი (F 117r) იგი, შეემშია.

3. ჰრქუა მას ეშმაკმან მან: უკუეთუ ძჱ ხარ ღმრთისაჲ, არქუ ქვათა ამათ, რაჲთა პურ იქმნენ[5].

4. მიუგო იესუ და ჰრქუა მასა: წერილ არს: არა პურითა ხოლო ცხოვნდების[6]

HIK

1. ხოლო იესუ, სავსე სულითა წმიდითა, მოიქცა იორდანით, და მოჰყვანდა სულსა უდაბნოდ.

2. და ორმეოც დღე გამოიცადებოდა ეშმაკისაგან (I 141r) და არარაჲ ჭამა მათ დღეთა შინა. და აღ-რაჲ-ესრულნეს დღენი იგი, შეემშია.

3. და ჰრქუა მას ეშმაკ(H 141r)მან მან: უკუეთუ ძე ხარ ღმრთისაჲ, არქუ ქვათა ამათ, რაჲთა იქმნნენ[42] პურ.

4. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: წერილ არს: არა პურითა ხოლო ცხოვნ-

---

[1] იესესსა G. [2] ისაკისა G. [3] კაჲნანისა G. [4] მალელელისა F. [5] ~ იქმნენ პურ G. [6] ცხონდებისა F.

[1] სჳმეონისსა K. [2] იუდაჲსსა HIK. [3] H-ში „იოანანისა" დაუწერიათ, მაგრამ პირველი „ი" ოდნავ ამოუფხეკიათ, ახლაც კარგად იკითხება. [4] ელიაკიმისსა HIK. [5] მელეაჲსსა K. [6] მაჲნანისა HI (-მაინანისა), მაინანისსა K. [7] მატათანისსა K. [8] ნათანისსა K. [9] დავითისსა HI. [10] იესესსა HIK. [11] იობედისსა K. [12] ბოოსისსა K. [13] სალმუნისსა K. [14] ნაასონისსა K. [15] ამინადაბისსა K. [16] არამისსა K; არამისა]+იორამისა HI, იორამისსა K. [17] ესრომისსა K. [18] ფარეზისსა K, თარაზისა I. [19] იუდაისა I, იუდაისსა K. [20] იაკობისსა K. [21] ისაკისსა K. [22] აბრაამისა I, აბრაჰამისსა K. [23] თარაჲსსა K. [24] ნაქორისსა K. [25] სერუქისსა IK. [26] რაგავისსა K. [27] ფალეგისსა K. [28] ებერისსა K. [29] სალაჲსსა K. [30] კაინანისსა K. [31] არფაქსადისსა K. [32] სემისსა K. [33] ნოესსა K. [34] ლამექისსა K. [35] მათუსალაჲსსა K. [36] ენუქისსა K. [37] იარედისსა K. [38] მალელეილისსა K. [39] ენოსისსა K. [40] სეითისსა K. [41] ადამისსა K. [42] იქმნენ HI.

FG

კაცი, არამედ ყოვლითა სიტყჳთა ღმრთისაჲთა.

5. და აღიყვანა იგი მთასა მაღალსა და უჩუენნა[1] მას[2] ყოველნი სუფევანი სოფლისანი გამოხატვითა ჟამთაჲთა[3]

6. და ჰრქუა მას ეშმაკმან მან: შენ მიგცე ამის ყოვლისა ჴელმწიფებაჲ და დიდებაჲ მათი, რამეთუ ჩემდა მოცემულ არს, და რომელსა[4] მინდეს, მივსცე იგი;

7. უკუეთუ შენ თაყუანის-მცე[5] ჩემ წინაშე, იყოს შენდა ყოველი.

8. (G 143r) მიუგო იესუ და ჰრქუა მას: წერილ არს: უფალსა ღმერთსა შენსა თაყუანის-სცე და მას მხოლოსა ჰმსახურებდე.

9. და მოიყვანა იგი იერუსალჱმდ და დაადგინა იგი ფრთესა მას ზედა მის ტაძრისასა და ჰრქუა მას: უკუეთუ ძჱ ხარ ღმრთისაჲ, გარდაიგდე თავი შენი აქიერ ქუეყანად,

10. რამეთუ წერილ არს, ვითარმედ: ანგელოზთა მისთა უბრძანებიეს შენთჳს დაცვად შენდა,

11. და ჴელითა მათითა აღგიპყრან შენ, რაჲთა არა წარსცე ქვასა ფერჴი შენი.

12. მიუგო იესუ და ჰრქუა მას, რამეთუ: თქუმულ არს: არა განსცადო უფალი ღმერთი შენი.

13. და აღასრულნა ყოველნი გან(F 118r)საცდელნი ეშმაკმან მან და განეშორა მას ვიდრე ჟამ რავდენადმდე[6].

14. და მოიქცა იესუ ძალითა სულისა წმიდისაჲთა გალილეად; და ჰამბავი განჴდა მისთჳს ყოველსა მას გარემო სოფლებსა.

15. და იგი თავადი ასწავებდა შესაკრებელთა მათთა და იდიდებოდა ყოველთაგან.

HIK

დების[1] კაცი, არამედ ყოვლითა სიტყჳთა ღმრთისაჲთა.

5. და აღიყვანა იგი მთასა მაღალსა და უჩუენნა[2] მას ყოველნი სუფევანი სოფლისანი გამოხატვითა ჟამთაჲთა

6. და ჰრქუა მას ეშმაკმან მან: (K 158r) შენ მიგცე ამის ყოვლისა ჴელმწიფებაჲ და დიდებაჲ მათი, რამეთუ ჩემდა მოცემულ არს, და რომლისა მინდეს, მივსცე იგი;

7. უკუეთუ[3] შენ თაყუანის-მცე ჩემ წინაშე, იყოს შენდა ესე ყოველი.

8. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: წარვედ მართლუკუნ ჩემგან, ეშმაკო; წერილ არს: უფალსა ღმერთსა შენსა თაყუანის-სცე და მას მხოლოსა ჰმსახურებდე.

9. და მოიყვანა იგი იერუსალჱმდ და დაადგინა იგი ფრთესა მას ზედა მის ტაძრისასა და ჰრქუა მას: უკუეთუ ძე ხარ ღმრთისაჲ, გარდაიგდე თავი შენი აქიერ ქუეყანად,

10. რამეთუ წერილ არს, (I 142r) ვითარმედ: ანგელოზთა მისთადა უბრძანებიეს შენთჳს დაცვად შენდა,

11. ჴელთა მათთა ზედა აღგიპყრან (H 142r) შენ, ნუსადა წარსცე ქვასა ფერჴი შენი.

12. (K 158v) მიუგო იესუ და ჰრქუა მას, რამეთუ: თქუმულ არს: არა განსცადო უფალი ღმერთი შენი.

13. და აღასრულნა ყოველნი განსაცდელნი ეშმაკმან მან და განეშორა მას ვიდრე ჟამადმდე.

14. და მოიქცა იესუ ძალითა სულისა წმიდისაჲთა გალილეად; და ჰამბავი განჴდა მისთჳს ყოველსა მას გარემო სოფლებსა.

15. და იგი თავადი ასწავებდა შესაკრებელთა მათთა და იდიდებოდა ყოველთაგან.

---

[1] უჩუენა F. [2] მას] მან F. [3] ჟამისაჲთა G. [4] რომლისაჲ G. [5] თაყუანის-მცე] + მე G. [6] რავდენამდე F.

[1] ცხონდებოს HI. [2] უჩუჱნნა HI. [3] უკუჱთუ H.

FG

16. (G 148v) და მოვიდა ნაზარეთა, სადაცა აღზრდილ იყო, და შევიდა, ვითარცა ჩუეულ იყო იგი, დღესა შაბათსა შესაკრებელსა მათსა.

17. და მოსცეს მას წიგნი ესაია[1] წინაწარმეტყუელისაჲ, და აღდგა კითხვად და განყო წიგნი იგი და პოვა[2] ადგილი, რომელსა წერილ იყო:

18. სული უფლისაჲ ჩემ ზედა, რომლისათჳს მცხო მე მახარებელად გლახაკთა, მომავლინა[3] მე განკურნებად შემუსრვილთა გულითა, ქადაგებად ტყუეთა განტევებისა და ბრმათა ახილევად[4], განვლინებად მომსრვალთა[5] განტევებითა,

19. და ქადაგებად წელიწადი უფლისაჲ შეწყნარებული.

20. და შეყო წიგნი იგი და მისცა მსახურსა და დაჯდა; და თუალნი ყოვლისა კრებულისანი მას ხედვიდეს.

21. და იწყო სიტყუად მათა, ვითარმედ: დღეს აღესრულა წერილი ესე ყურთა მიმართ თქუენთა.

22. და ყოველნი ეწამებოდეს მას და უკკრდა სიტყუათა მათ ზედა მისთა მადლი(G 144r)სათა, (F 118v) რომელნი გამოვიდოდეს პირისაგან მისისა, და იტყოდეს: ანუ არა ესე არს ძჱ[6] იოსებისი?

23. და თავადმან ჰრქუა მათ: მრქუათ სამე იგავი ესე: მკურნალო, განიკურნე[7] თავი შენი. და ჰრქუეს მას: რაოდენი გუესმა საქმე კაფარნაუმს, ქმენ აქაცა, მამულსა შენსა.

24. ხოლო თავადმან ჰრქუა: ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ არავინ წინაწარმეტყუელი შეწყნარებულ არს თჳსსა სოფელსა.

25. ხოლო ჭეშმარიტად გეტყჳ თქუენ, რამეთუ მრავალნი ქურივნი იყვნეს დღეთა მათ ელიაჲსთა ისრაჱლსა შორის, ოდეს-იგი დაეჴშა[8] ცაჲ სამ წელ და

HIK

16. და მოვიდა ნაზარეთად, სადაცა აღზრდილ იყო, და შევიდა, ვითარცა ჩუეულ[1] იყო იგი, დღესა შაბათსა შესაკრებელსა მათსა.

17. და მოსცეს მას წიგნი ესაია[2] წინაწარმეტყუელისაჲ, (K 157r) და აღდგა კითხვად და განყო წიგნი იგი და პოვა ადგილი, რომელსა წერილ იყო:

18. სული უფლისაჲ ჩემ ზედა, რომლისათჳს მცხო მე მახარებელად[3] გლახაკთა, მომავლინა მე განკურნებად (I 142v) შემუსრვილთა გულითა, ქადაგებად ტყუეთა[4] განტევებისა და (H 142v) ბრმათა ახილვად, განვლინებად მომსრვალთა განტევებითა,

19. და ქადაგებად წელიწადი უფლისაჲ შეწყნარებული.

20. და შეყო წიგნი იგი და მისცა მსახურსა და დაჯდა; და თუალნი ყოვლისა კრებულისანი მას ხედვიდეს.

21. და იწყო სიტყუად მათა[5], ვითარმედ: დღეს აღესრულა წერილი ესე ყურთა მომართ თქუენთა[6].

22. და ყოველნი ეწამებოდეს მას და უკკრდა სიტყუათა ამათ ზედა მისთა მადლისათა, რომელნი გამოვიდოდეს პირისაგან მისისა, და (K 157v) იტყოდეს: ანუ არა ესე არსა ძე იოსებისი?

23. და თავადმან ჰრქუა მათ: მრქუათ სამე იგავი ესე: მკურნალო, განიკურნე თავი შენი. და ჰრქუეს მას: რაოდენი[7] გუესმა[8] საქმე კაპერნაუმს, ქმენ აქაცა, მამულსა შენსა.

24. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ არავინ წინაწარმეტყუელი შეწყნარებულ არს თჳსსა მამულსა.

25. ხოლო ჭეშმარიტად გეტყჳ თქუენ, რამეთუ (I 140r) მრავალნი ქურივნი იყვნეს დღეთა მათ ელიაჲსთა ისრაჱლსა შორის, ოდეს-იგი და(H 143r)-

---

[1] ესაჲა G. [2] პოა F. [3] მომავლინა F. [4] ახილვად F. [5] მომსრვეულთა G. [6] ძე F. [7] განიკურნე G. [8] დაეჴსა G.

[1] ჩჳეულ HI. [2] ესაჲა HI. [3] და მახარებელად HIK. [4] ტყუჱთა HI. [5] მათდა K. [6] თქუჱნთა H. [7] რაჲდენი HI. [8] გუჱსმა HI.

FG

ექუს თუე, რაჟამს-იგი იყო სიყმილი დიდი ყოველსა ქუეყანასა ზედა[1].

26. და არავისა[2] მათგანისა მიივლინა[3] ელია, გარნა სარეფთად, სიდონიაჲსა, დედაკაცისა ქურივისა.

27. და მრავალნი კეთროვანნი[4] იყვნეს ისრაჱლსა შორის ელისეს ზე, წინაწარმეტყუელისა, და არა(G 144v)ვინ მათგანი განიკურნა, გარნა ნემან ასური.

28. და აღივსნეს ყოველნი გულის-წყრომითა, რომელნი-იგი[5] იყვნეს შესაკრებელსა მას შინა, ესმოდა რაჲ ესე.

29. და აღდგეს და განაძეს იგი გარეშე ქალაქისა მისგან და მოიყვანეს იგი ვიდრე წუერადმდე მის მთისა, რომელსა ზედა ქალაქი იგი მათი დაშენებულ იყო, რაჲთა გარდააგდონ იგი.

30. ხოლო თავად(F 110r)მან განვლო შორის მათსა და წარვიდა.

31. და შთავიდა კაფარნაუმდ, ქალაქსა გალილეაჲსასა, და ასწავებდა მათ შაბათსა შინა.

32. და უკჳრდა მოძღურებაჲ იგი მისი, რამეთუ ჴელმწიფებით იყო სიტყუაჲ მისი.

33. და იყო შესაკრებელსა მათსა კაცი, რომლისა თანა იყო სული არაწმიდაჲ, და[6] ღაღად-ყო[7] ჴმითა დიდითა:

34. ეჰა, რაჲ არს ჩუენი და შენი, იესუ ნაზარეველო? მოხუედ წარწყმედად ჩუენდა; გიცით, ვინ[8] ხარ შენ[9], წმიდაჲ ეგე ღმრთისაჲ.

35. (G 146r) და შეჰრისხნა მას იესუ და ჰრქუა: პირი დაიყავ[10] და განვედ მაგისგან! და[11] დასცა იგი შორის მათსა ეშმაკმან მან და განვიდა მისგან და არარაჲ ავნო მას.

HIK

ეჴშა ცაჲ სამ წელ და ექუს თუე[1], რაჟამს-იგი იყო სიყმილი დიდი ყოველსა ქუეყანასა[2].

26. და არავისა[3] მათგანისა მიივლინა ელია, გარნა სარეფთად, სიდონისა[4], დედაკაცისა ქურივისა.

27. და მრავალნი კეთროვანნი იყვნეს ისრაჱლსა შორის ელისეს ზე[5], წინაწარმეტყუელისა, და არავინ მათგანი განიკურნა, გარნა ნემან ასური.

28. და აღივსნეს ყოველნი გულის-წყრომითა, რომელნი-იგი იყვნეს შესაკრებელსა მას შინა, ესმოდა რაჲ ესე.

29. და აღდგეს და განაძეს იგი გარეშე[6] ქალაქისა მისგან და მოიყვანეს იგი ვიდრე წუერადმდე[7] მის მთისა, რომელსა ზედა ქალაქი იგი მათი დაშენებულ იყო, (K 168r) რაჲთა გარდააგდონ იგი.

30. ხოლო თავადმან განვლო შორის მათსა და წარვიდა.

31. და შთავიდა კაპერნაუმდ, ქალაქსა გალილეაჲსასა, და ასწავებდა (I 143v) მათ შაბათსა შინა.

32. და უკჳრდა მოძღურებაჲ იგი მისი, რამეთუ ჴელმწიფებით იყო სიტყუაჲ იგი მისი.

33. და იყო შესაკრებე(H 143v)ლსა მათსა კაცი, რომლისა თანა იყო სული არაწმიდაჲ, და ღაღატ-ყო ჴმითა დიდითა:

34. ეჰა, რაჲ არს ჩუენი და შენი, იესუ ნაზარეველო? მოხუედ[8] წარწყმედად ჩუენდა; გიცი[9] შენ, ვინ ხარ, წმიდაჲ ეგე ღმრთისაჲ.

35. და შეჰრისხნა მას იესუ და ჰრქუა: პირი დაიყავ და განვედ მაგისგან! და დასცა იგი შორის მათსა ეშმაკმან მან და განვიდა მისგან და არაჲ ავნო მას[10].

---

[1] ზედა] — G. [2] არავის F. [3] მიავლინა G. [4] კეთროვანნი F. [5] რომელნი F. [6] და] — F. [7] ღაღატ-ყო F. [8] ვინ] ვინაჲ G. [9] ~ შენ, ვინაჲ ხარ G. [10] დაიყავნ G. [11] და] — G.

[1] თუჱ HI. [2] ქუჱყანასა I. [3] არავისსა K. [4] სიდონიისა K. [5] ზჱ K. [6] გარეშჱ HI. [7] წუჱრადმდე HI. [8] მოხუჱდ HI. [9] გიცით K. [10] და არარაჲ ავნო მას] K-ში მერმე დამატებული ძალზე წვრილი ნუსხურით.

| FG | HIK |
|---|---|
| 36. და იყო განკკრვებაჲ მათ ყოველთა ზედა, და ზრახვიდეს ურთიერთას[1] და იტყოდეს: რაჲ არს სიტყუაჲ ესე, რამეთუ ჴელმწიფებითა და ძალითა უბრძანებს სულთა არაწმიდათა, და განვლენ? | 36. და იყო განკკრვებაჲ მათ ყოველთა ზედა, და ზრახვიდეს ურთიერთას და იტყოდეს: რაჲ არს სიტყუაჲ ესე, რამეთუ ჴელმწიფ(K 158v/)ებითა და ძალითა უბრძანებს სულთა არაწმიდათა, და განვლენ? |
| 37. და მიმოეფინებოდა ჰამბავი მისთჳს ყოველთა მათ ადგილთა გარემო მის სოფლებისათა. | 37. და მიმოეფინებოდა ჰამბავი მისთჳს ყოველთა მათ ადგილთა გარემო მის სოფლებისათა. |
| 38. და აღდგა მის კრებულისაგან და შევიდა სახლსა სიმონისსა; ხოლო სიდედრი სიმონისი შეპყრობილ იყო სიცხითა დიდითა. და უთხრეს მას მისთჳს. | 38. და აღდგა მის კრებულისაგან და შევიდა სახლსა სიმონისსა: ხოლო სიდედრი სიმონისი შეპყრობილ იყო სიცხითა დიდი(I 144r)თა. და უთხრეს მას მისთჳს. |
| 39. და დაადგა მას ზედა და შეჰრისხნა სიცხესა მას. და დაუტევა იგი მეყსეულად, და აღდგა და (F 119v/) ჰმსახურებდა მათ. | 39. და დაადგა[1] მას ზედა და შეჰრისხნა სიცხესა მას. და მეყსეულად დაუტევა იგი, და (H 144r) აღდგა და ჰმსახურებდა მათ. |
| 40. და დასლვასა ოდენ მზისასა ყოველთა რავდენთა აქუნდა უძლურები თითო-(G 145v/)სახეთაგან სენთა, მოიყვანნეს მისა. ხოლო თავადმან კაცად-კაცადსა მათსა დასდვა ჴელი და განკურნნა[2] იგინი. | 40. და დასლვასა ოდენ მზისასა ყოველთა რაოდენთა[2] აქუნდა უძლურები თითო-სახეთაგან[3] სენითა, მოიყვანნეს მისა[4]. ხოლო თავადმან კაცად-კაცადსა მათსა დასდვა ჴელი და განკურნნა იგინი. |
| 41. და განვიდოდეს ეშმაკნი მრავალთაგან, ღაღადებდეს და იტყოდეს, ვითარმედ: შენ ხარ ქრისტჱ, ძჱ ღმრთისა ცხოველისაჲ. და არა უტევებდა მათ სიტყუად, რამეთუ იცოდეს, ვითარმედ ესე არს ქრისტჱ. | 41. (K 160r) და განვიდოდეს ეშმაკნი მრავალთაგან, ღაღადებდეს და იტყოდეს, ვითარმედ: შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისაჲ. და არა უტევებდა მათ სიტყუად, რამეთუ იცოდეს, ვითარმედ იგი არს ქრისტე. |
| 42. და ვითარცა განთენა, გამოვიდა მიერ და წარვიდა უდაბნოსა ადგილსა, და ერი იგი ეძიებდა მას და მოვიდეს მისა და იყენებდეს მას, რაჲთამცა არა წარვიდა მათგან. | 42. და ვითარცა განთენა, გამოვიდა მიერ და წარვიდა უდაბნოსა ადგილსა, და ერი იგი ეძიებდა მას და მოვიდეს მისა[4] და იყენებდეს მას, რაჲთამცა არა წარვიდა მათგან. |
| 43. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ, ვითარმედ: სხუათაცა ქალაქთა ჯერ-არს ჩემდა[3] ხარებად სასუფეველი ღმრთისაჲ, რამეთუ ამისთჳს მოვივლინე. | 43. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ, ვითარმედ: სხუათაცა ქალაქთა ჯერ-არს ჩემდა ხარებად სასუფეველი ღმრთისაჲ, რამეთუ ამისთჳს მოეივლინე. |
| 44. და ქადაგებდა ყოველთა შესაკრებელთა გალილეაჲსათა. | 44. და ქადაგებდა ყოველთა შესაკრებელთა გალილეაჲსათა. |

---

[1] ერთიერთას F. [2] განკურნა F. [3] ჩემდა] — G.

[1] დაჲდგა HI (= დაადგა), დადგა K. [2] რავდენთა HI. [3] თჳთო-სახეთაგან HI. [4] მისსა K.

# ე̃

## FG

1. და იყო ვითარ ერი იგი დაესხმოდა მას სმენად სიტყუასა ღმრთისასა, და თავადი იდგა კიდესა თანა ტბისა მის გენესარეთისასა[1].

2. და იხილნა ორნი ნავნი, მდგომა-(G 146r)რენი[2] კიდესა მის ტბისასა; ხოლო მესათხევლენი იგი გამოვიდეს ნავისა მისგან და განჰრცხიდეს ბადეთა.

3. და შევიდა ერთსა მას ნავსა, რომელი იყო სიმონისი, და უბრძანა მათ ქუეყანით შე-რე-დგინებაჲ (F 120r) მცირედ და დაჴდა და ასწავებდა ნავით გამო ერსა მას.

4. და ვითარცა დასცხრა სიტყუად, ჰრქუა სიმონს: შეავლინე ღრმად და სდეეით ბადე თქუენი ნადირობად.

5. მიუგო სიმონ და ჰრქუა: მოძღუარ, ღამე ყოველ დავშუერით და არარაჲ მოვიღეთ: ხოლო სიტყჳთა შენითა გარდაუტეოთ ბადე.

6. და ესე ყვეს და შეაყენეს თევზისა სიმრაველჱ[3] დიდი, და განსთქდებოდეს ბადენი მათნი.

7. და წამ-უყოფდეს[4], რომელნი-იგი იყვნეს ერთსა მას ნავსა, რაჲთა მოვიდენ და შეეწინენ მათ. და მოვიდეს და აღავსნეს ორნივე იგი ნავნი, ვიდრემდე დაი-(G 140v)ნთქმოდეს იგინი.

8. ვითარცა იხილა სიმონ-პეტრე, შეუვრდა მუჴლთა იესუჲსთა[5] და ჰრქუა მას: განვედ ჩემგან, რამეთუ კაცი ცოდვილი ვარი მე, უფალო.

9. რამეთუ განკჳრვებამან შეიპყრა იგი და ყოველნი მისთანანი ნადირობასა მას თევზისასა, რომელი შეაყენეს.

10. ეგრეთვე[6] იაკობ და იოვანე[7], ძენი ზებედესნი, რომელნი იყვნეს ზიარნი სიმონისნი. და იესუ ჰრქუა სიმონს: ნუ გეშინინ, სიმონ! ამიერითგან იყო კაცთა მონადირე[8].

## HIK

1. (I 144v) და იყო ვითარ ერი იგი დაესხმოდა მას სმენად სიტყუასა ღმრთისასა, და თავადი დგა კიდე(H 144v)სა თანა ტბისა მის გენესარეთისასა.

2. და იხილნა ორნი ნავნი, მდგომარენი კიდესა მის ტბისასა: ხოლო მესათხევლენი იგი გამოვიდეს ნავისა (K 150v) მისგან და განჰრცხიდეს ბადეთა.

3. და შევიდა ერთსა მას ნავსა, რომელი იყო სიმონისი, და უბრძანა მათ ქუეყანით შე-რე-დგინებაჲ მცირედ და დაჴდა და ასწავებდა ნავით გამო ერსა მას.

4. და ვითარცა დასცხრა სიტყუად, ჰრქუა სიმონს: შეავლინე ღრმად და სდეეით ბადე თქუენი[1] ნადირობად.

5. მიუგო სიმონ და ჰრქუა: მოძღუარ, ღამე ყოველ დავშუერით[2] და არარაჲ მოვიღეთ, ხოლო სიტყჳთა შენითა გარდაუტეოთ ბადე.

6. და ესე რაჲ ყვეს, შეაყენეს თევზისა სიმრაველე დიდი, და განსთქდებოდეს ბადენი მათნი.

7. და წამს-უყოფდეს, რომელნი-იგი იყვნეს ერთსა მას ნავსა, რაჲთა მოვიდენ და შეეწინენ მათ. (K 100r) და მოვიდეს და აღავსნეს ორნივე (I 145r) იგი ნავნი, ვიდრემდე დაინთქმოდეს იგინი.

8. და ვითარცა იხილა სიმონ-(H 145r)-პეტრე, შეუვრდა მუჴლთა იესუჲსთა და ჰრქუა მას: განვედ ჩემგან, რამეთუ კაცი ცოდვილი ვარ, უფალო.

9. რამეთუ განკჳრვებამან შეიპყრა იგი და ყოველნი მისთანანი ნადირობასა მას თევზისასა, რომელი შეაყენეს.

10. ეგრეთვე იაკობ და იოვანე, ძენი ზებედესნი, რომელნი იყვნეს ზიარნი სიმონისნი[3]. და იესუ ჰრქუა სიმონს: ნუ გეშინინ, სიმონ! ამიერითგან იყო კაცთა მონადირე.

---

[1] გენესარეთისსა G. [2] მდგომარენი] — F. [3] სიმრაველე F. [4] წამს-უყოფდეს G. [5] ი̃ჳსთა F. [6] ეგრევე G. [7] ი̃ნჱ G. [8] მონადირჱ G.

[1] თქუჱნი H. [2] დავშუჱრით HI. [3] სიმონისანი K.

| FG | HIK |
|---|---|
| 11. და გამოადგინეს ნავი იგი ქუეყანად და დაუტევეს ყოველი და მისდევდეს მას. | 11. და გამოადგინეს ნავი იგი ქუეყანად და დაუტევეს ყოველი და მისდევდეს მას. |
| 12. და იყო ვითარცა შევიდა იგი ერთსა ქალაქთაგანსა, და აჰა კაცი სავსე კეთრ(F 120vo)ოვნებითა. ვითარცა იხილა მან იესუ, დავარდა პირსა ზედა თჳსსა, ევედრებოდა მას და ეტყოდა: უფალო, უკუეთუ გინდეს, ძალ-გიც განკურნებად ჩემდა. | 12. და იყო ვითარცა შევიდა იგი ერთსა ქალაქთაგანსა, და აჰა კაცი სავსე კეთროვნებითა. ვითარცა იხილა მან იესუ, დავარდა პირსა ზედა თჳსსა, ევედრებოდა მას და ეტყოდა: უფალო, უკუეთუ გინდეს, ძალ-გიც განკურნებად ჩემდა. |
| 13. და განყო ჴელი და[1] შეახო მას და ჰრქუა: მნებავს, განწმიდენ! და მეყსეულად განეშორა (G 147ro) კეთროვნებაჲ იგი მისგან. | 13. და განყო ჴელი, შეა(K 100vo)ხო მას და ჰრქუა: მნებავს, განწმიდენ! და მეყსეულად განეშორა კეთროვნებაჲ იგი მისგან. |
| 14. და თავადმან ამცნო მას, რაჲთა არავის უთხრას, არამედ: წარვედ და უჩუენე თავი შენი მღდელსა და შეწირე განწმედისა შენისათჳს, ვითარცა უბრძანა მოსე[2], საწამებელად მათა. | 14. და თავადმან ამცნო მას, რაჲთა არავის უთხრას, არამედ: წარ(H 145vo)ვედ (I 145vo) და უჩუენე[1] თავი შენი მღდელსა და შეწირე განწმედისა შენისათჳს, ვითარცა უბრძანა მოსე, საწამებელად მათა[2]. |
| 15. და უფროჲსად მიმოეღუებოდა მისთჳს სიტყუაჲ იგი. და შეკრბებოდა მისთჳს ერი მრავალი სმენად და განკურნებად უძლურებათა მათთაგან. | 15. და უფროჲსად მიმოედებოდა მისთჳს სიტყუაჲ იგი. და შეკრბებოდა ერი მრავალი სმენად და განკურნებად უძლურებათა მათთაგან მის მიერ. |
| 16. ხოლო თავადი განეშორის უდაბნოდ და ილოცავნ. | 16. ხოლო თავადი განეშორის უდაბნოდ და ილოცავნ. |
| 17. და იყო ერთსა შინა დღესა, და თავადი ასწავებდა მათ. და სხდეს მუნ ფარისეველნი და შჯულის-მოძღუარნი, რომელნი მოსრულ იყვნეს ყოვლისაგან დაბნებისა გალილეაჲსა[3] და ჰურიასტანისა[4] და იერუსალჱმისა[5]. და ძალი უფლისაჲ იყო განკურნებად მათა. | 17. და იყო ერთსა შინა დღესა, და თავადი იესუ ასწავებდა მათ. და სხდეს მუნ ფარისეველნი და სჯულის-მოძღუარნი[3], რომელნი მოსრულ იყვნეს ყოვლისაგან დაბნებისა გალილეაჲსა და ჰურიასტანისა და იერუსალჱმისა, და ძალი ღმრთისაჲ იყო განკურნებად მათდა. |
| 18. და აჰა ესერა კაცთა მოაქუნდა ცხედრითა კაცი, რომელი იყო განრღუეულ, და უნდა შეღებაჲ მისი და (G 147vo) დადგმაჲ წინაშე მისსა. | 18. და აჰა ესერა კაცთა მოაქუნდა ცხედრითა კაცი, რომელი იყო განრღუეულ[4], და უნდა შეღებაჲ მისი და დადგმაჲ წინაშე მისა[5]. |
| 19. და ვერ პოვეს[6], ვინაჲმცა შეიღეს იგი (F 121ro) ერისა მისგან; აღჴდეს ერდოსა ზედა და აღიღეს კაცი[7] იგი | 19. და ვერ პოვეს, ვინაჲმცა შეიღეს იგი ერისა მისგან; აღჴდეს ერდოსა ზედა და აღიღეს კაცი და შთაუტევეს კაცი იგი |

---

[1] და] — G. [2] მოსჱ FG. [3] გალილეაჲსა G. [4] ჰურიასტანისაჲ G. [5] იერუსალჱმისაჲ FG. [6] პოვეს F. [7] კ~ცი FG (აქ ამ ხელნაწერებში = კაცი. შდრ. აქვე: კ~ცთა, კ~ცი, 5,18 = კაცთა, კაცი; კ~ცსა, კ~ცო 5,20 = კაცსა, კაცო).

[1] უჩუენე HK. [2] მათდა K. [3] სჯულის-მოძღუარნი HI. [4] განრღუეულ HI. [5] მისსა K.

| FG | HIK |
|---|---|
| და შთაუტევეს ცხედრითერთ შორის[1] წინაშე იესუჲსა[2]. | ცხედრითურთ წინაშე (K 161r) იესუჲ(H 148r)სა. |
| 20. და იხილა იესუ სარწმუნოებაჲ მათი და ჰრქუა კაცსა მას: კაცო, მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი. | 20. და იხილა რაჲ სარწმუნოებაჲ (I 148r) მათი, ჰრქუა მას: კაცო, მიგეტევნენ ცოდვანი შენნი. |
| 21. და იწყეს განზრახვად მწიგნობართა მათ და ფარისეველთა და იტყოდეს: ვინ არს ესე, რომელი იტყჳს გმობასა? ვის ჴელ-ეწიფების მიტევებაჲ ცოდვათაჲ, გარნა მხოლოსა ღმერთსა? | 21. და იწყეს განზრახვად მწიგნობართა მათ და ფარისეველთა და იტყოდეს: ვინ არს ესე, რომელი იტყჳს გმობასა? ვის ჴელ-ეწიფების მიტევებაჲ ცოდვათაჲ, გარნა მხოლოსა ღმერთსა? |
| 22. გულისხმა-ყენა[3] იესუ გულის-ზრახვანი მათნი, მიუგო და ჰრქუა მათ: რასა ეგრე[4] ზრახავთ გულთა თქუენთა? | 22. გულისჴმა-ყენა იესუ გულის-ზრახვანი მათნი, მიუგო და ჰრქუა მათ: რასა ეგრე[1] ჰზრახავთ გულთა თქუენთა? |
| 23. რაჲ უადვილეს არს[5] სიტყუად: მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი, ანუ რქუმად: აღდეგ და ვიდოდე? | 23. რაჲ უადვილეს არს სიტყუად: მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი, ანუ რქუმად: აღდეგ და ვიდოდე? |
| 24. არამედ რაჲთა უწყოდით, რამეთუ ჴელმწიფებაჲ აქუს ძესა[6] კაცისასა ქუეყანასა ზედა მიტევებად ცოდვათა, და ჰრქუა განრღუეულსა მას: შენ გეტყჳ, აღდეგ, (G 148r) აღიღე ცხედარი შენი და წარვედ სახედ შენდა! | 24. არამედ რაჲთა უწყოდით, რამეთუ ჴელმწიფებაჲ აქუს ძესა კაცისასა ქუეყანასა ზედა[2] მიტევებად ცოდვათა, და ჰრქუა განრღუეულსა[3] მას: შენ გეტყჳ, აღდეგ და აღიღე ცხედარი შენი და წარვედ სახედ[4] შენდა! |
| 25. და მეყსეულად აღდგა წინაშე მათსა და აღიღო ცხედარი, რომელსა ზედა იდვა, და წარვიდა სახედ თჳსა და ადიდებდა ღმერთსა. | 25. და მეყსეულად აღდგა წინაშე მათსა და აღიღო ცხედარი, რომელსა ზედა იდვა, და (K 161v) წარვიდა სახედ თჳსა[5] და ადიდებდა ღმერთსა. |
| 26. და განკჳრვებამან შეიპყრნა ყოველნი და ადიდებდეს ღმერთსა. და შიში დაეცა მათ ზედა და იტყოდეს, რამეთუ: ვიხილეთ უდიდესი დიდებაჲ დღეს. | 26. განკჳრვებამან შეიპყრნა[6] ყოველნი და ადი(H 148v)დებდეს ღმერთსა. და შიში დაეცა მათ ზედა (I 148v) და იტყოდეს, რამეთუ: ვიხილეთ უდიდებულესი დიდებაჲ დღეს. |
| 27. და ამისა შემდგომად (F 121v) გამოვიდა და იხილა მეზუერჱ[7], სახელით ლევი, მჯდომარჱ[8] საზუერესა ზედა, და ჰრქუა მას: მომდევდი მე. | 27. და ამისა[7] შემდგომად გამოვიდა და იხილა მეზუერე[8], სახელით ლევი, მჯდომარე საზუერესა[9] ზედა, და ჰრქუა მას: მომდევდი მე. |
| 28. და მან დაუტევა ყოველი და აღდგა და მისდევდა მას. | 28. და მან დაუტევა ყოველი და[10] აღდგა და მისდევდა მას. |
| 29. და[9] დაუმზადა ლევი პური დიდი იესუს სახლსა შინა თჳსსა. და იყო კრებული დიდი მეზუერეთაჲ[10] და სხუათაჲ, | 29. და დაუმზადა ლევი პური დიდი იესუს სახლსა შინა თჳსსა. და იყო კრებული დიდი მეზუერეთაჲ[11] და სხუათაჲ, |

---

[1] შორის] — G. [2] ი̅ჳსა F. [3] გულისჴმა-ყენა F. [4] რასა ეგე F. [5] ~ არს უადვილეს G. [6] ძჱსა G. [7] მეზუერე F. [8] მჯდომარე F. [9] და] — FG. [10] ~ მეზუერეთაჲ დიდი F.

[1] ეგე HIK. [2] K-ში ეს სიტყვა გამორჩენიათ და მერმე დაუწერიათ ზემოდან ძალიან წვრილი ნუსხურით. ახლა ოდნავ მოჩანს. [3] განრღუჱულსა HI. [4] სახიდ K. [5] თჳსად K. [6] შეიპყრა HI. [7] ამისსა K. [8] მეზუჱრე HIK. [9] საზუჱრესა HIK. [10] და] — K. [11] მეზუჱრეთაჲ HI.

| FG | HIK |
|---|---|
| რომელნი იყვნეს მათ თანა ინაჴით-მსხდომარენი. | რომელნი იყვნეს მათ თანა ინაჴით-მსხდომარენი. |
| 30. და დრტჳნვიდეს ფარისეველნი და მწიგნობარნი მათნი მოწაფეთა მისთა თანა და იტყოდეს: რაჲსათჳს მეზუერეთა და ცოდვილთა თანა ჰჭამთ[1] და სუამთ? | 30. და დრტჳნვიდეს ფარისეველნი და მწიგნობარნი მათნი მოწაფეთა მისთა თანა და იტყოდეს: რაჲსათჳს მეზუერეთა[1] და ცოდვილთა თანა სჭამთ[2] და ჰსუამთ? |
| 31. (G 148v) მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: არა უჴმს ცოცხალთა მკურნალი, არამედ რომელნი ბოროტსა სენსა[2] შინა არიან. | 31. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: არა უჴმს ცოცხალთა მკურნალი. (K 102r) არამედ რომელნი ბოროტსა სენსა შინა არიან. |
| 32. არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა, რაჲთა შეინანონ. | 32. არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა, რაჲთა შეინანონ. |
| 33. ხოლო მათ ჰრქუეს მას: რაჲსათჳს მოწაფენი იოვანესნი[3] იმარხვენ ზედაჲს-ზედა[4] და ვედრებასა ჰყოფენ, და ფარისეველთანი, ხოლო მოწაფენი შენნი ჭამენ და სუმენ? | 33. ხოლო მათ ჰრქუეს მას: რაჲსათჳს მოწაფენი იოვანესნი (H 147r) იმარხვენ ზედაჲს-ზედა და ვედრებასა ჰყოფენ, და ეგრეთვე ფარისეველთანი, ხოლო მოწაფენი შენნი ჭამენ და სუმენ? |
| 34. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: ნუუკუე ჴელ-ეწიფების ძეთა[5] სიძისათა, ვიდრემდე[6] სიძჱ[7] მათ თანა არს, რაჲთა ამარხვებდეს მათ? | 34. (I 147r) ხოლო იესუ ჰრქუა მათ: ნუუკუე[3] ჴელ-ეწიფების ძეთა სიძისათა, ვიდრემდე სიძე მათ თანა არს, რაჲთა ამარხვებდეს მათ? |
| 35. მოვლენან დღენი, ოდეს ამაღლდეს მათგან სიძჱ, და მაშინ იმარხვიდენ მათ დღეთა შინა. | 35. ხოლო მოვლენან დღენი, და ოდეს ამაღლდეს მათგან სიძე იგი, მაშინ იმარხვიდენ მათ დღეთა შინა. |
| 36. (F 122r) და ეტყოდა მათ იგავითცა, ვითარმედ: არავინ სადგმელი სამოსლისა[8] ახლისაჲ დაადგის სამოსელსა[9] ძუელსა, რაჲთა არა ახალი იგი განაპოს; და ძუელსა მას ვერ შეჰგავს სადგმელი ახლისა სამოსლისაჲ[10]. | 36. და ეტყოდა მათ იგავითცა, ვითარმედ: არავინ სადგმელი სამოსლისა ახლისაჲ დაადგის სამოსელსა ძუელსა[4], რაჲთა არა ახალიცა იგი განაპოს; და ძუელსა[4] მას ვერ შეჰგ(K 102v)ავს სადგმელი ახლისა სამოსლისაჲ. |
| 37. და არავინ შთაასხის (G 149r) ღჳნოჲ ახალი თხიერთა ძუელთა, რაჲთა არა განსთქდენ თხიერნი იგი და ღჳნოჲ დაითხიოს, და თხიერნი წარწყმდენ. | 37. და არავინ შთაასხის ღჳნოჲ ახალი თხიერთა ძუელთა[5], რაჲთა არა განხეთქნეს ღჳნომან ახალმან თხიერნი იგი, და ღჳნოჲ დაითხიოს, და თხიერნი წარწყმდენ. |
| 38. არამედ ღჳნოჲ ახალი თხიერთა ახალთა ჯერ-არს შთასხმად, და ორნივე დაიმარხნენ. | 38. არამედ ღჳნოჲ ახალი თხიერთა ახალთა ჯერ-არს შთასხმად, და ორნივე დაიმარხნენ[6]. |

---

[1] ჭამთ G. [2] სნებასა G. [3] ი̄ნჱსნი G. [4] ზჱდაჲს-ზედა G. [5] ძჱთა G. [6] ვ̄ე F. [7] სიძე F. [8] სამუსლისა F. [9] სამუსელსა F. [10] სამუსლისაჲ F.

[1] მეზუჱრეთა HI. [2] ჭამთ HI. [3] ნუუკუჱ HIK. [4] ძუჱლსა HI. [5] ძუჱლთა HI. [6] დაიმარხნიან K.

| FG | HIK |
|---|---|
| 39. და არავინ სუამნ ძუელსა ღჳნოსა და მეყსეულად ჰნებავნ[1] ახალი, რამეთუ თქჳს, ვითარმედ ძუელი უტკბილეს არს. | 39. (H 147v) და არავინ სუამნ ღჳნოსა ძუელსა[1] და მეყსეულად ჰნებავნ ახალი, რამეთუ თქჳს: ძუელი[2] უმჯობეს არს. |

# 6

| FG | HIK |
|---|---|
| 1. და იყო შაბათსა მეორესა და განვიდოდა თავადი თესულისაგან ყანისა. ხოლო მოწაფენი მისნი მოშჭრიდეს თავსა ჴუვილისასა, მუსრვიდეს[2] ჴელითა და ჭამდეს. | 1. და იყო შაბათსა მე(I 147v)ორე-პირველსა[3] და განვიდოდა თავადი თესულისაგან ყანისა. ხოლო მოწაფენი მისნი მოსჭრიდეს[4] თავსა ჴუვილისასა, მუსრვიდეს ჴელითა და ჭამდეს. |
| 2. ხოლო რომელთამე ფარისეველთა ჰრქუეს მათ: რასა ჰზამთ[3] შაბათსა შინა, რომელი არა ჯერ-არს? | 2. ხოლო რომელთამე ფარისეველთა ჰრქუეს მათ: რაჲსა ჰზამთ შაბათსა შინა, რომელი არა ჯერ-არს? |
| 3. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: არცაღა ესე აღმოგიკითხავსა, რომელი-იგი[4] ყო დავით, ოდეს-იგი შეემშია მას და მისთანათა, | 3. (K 103r) მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: არცაღა ესე აღმოგიკითხავსა, რომელ-იგი ყო დავით, ოდეს-იგი შეემშია მას და მისთანათა, |
| 4. ვითარ-იგი შევიდა (G 140v) ტაძარსა ღმრთისასა და პურნი იგი შესაწირავისანი (F 122v) შეჭამნა და სცა მისთანათაცა, რომელთაჲ არა ჯერ-არს ჭამაჲ, გარნა მღდელთაჲ ხოლო? | 4. ვითარ-იგი შევიდა ტაძარსა ღმრთისასა და პურნი იგი შესაწირავისანი შეჭამნა და სცა მისთანათაცა, რომელთაჲ არა ჯერ-არს ჭამაჲ, გარნა მღდელთაჲ ხოლო? |
| 5. და ეტყოდა მათ: უფალ არს ძჱ კაცისაჲ შაბათისაცა[5]. | 5. და ეტყოდა მათ: უფალ არს ძე კაცისაჲ შაბათისაცა. |
| 6. და იყო სხუასაცა შაბათსა, და შევიდა შესაკრებელსა მათსა თავადი და ასწავებდა. და იყო მუნ კაცი, რომელსა ჴელი მისი მარჯუენჱ[6] განჴმელ ედგა. | 6. და იყო სხუასაცა შაბათსა, და შთავიდა თავადი შესაკრებელსა მათსა და ასწავებდა მათ. და იყო მუნ კაცი, (H 148r) რომელსა ჴელი მისი მარჯუენე განჴმელ ედგა. |
| 7. და უმზირდეს მას მწიგნობარნი და ფარისეველნი, უკუეთუმცა შაბათსა განკურნა, რაჲთა პოვონ[7], ვითარმცა შეასმინეს იგი. | 7. უმზირდეს მას მწიგნობარნი და ფარისეველნი, უკუეთუმცა[5] შაბათსა განკურნა, რაჲთა პოონ, ვითარმცა შეასმინეს იგი. |

---

[1] ჰნებენ F. [2] მოსრვიდეს F. [3] ზამთ F. [4] რომელ-იგი G. [5] შაბათისცა F. [6] მარჯუენე F. [7] პოონ F.

[1] ძუჱლსა HI. [2] ძუჱლი HI. [3] ასე იკითხება K-ში, ასევე გასწორებული და არშიაზე გატანილი I-ში (თვით ტექსტში მხოლოდ „მე|ორესა" არის). H-ში, „მეორე" რომ დაუწერიათ, შენიშვნა გაუკეთებიათ („მეორესა"), მაგრამ მერმე ეს სიტყვა ამოუფხეკიათ, ხოლო მის გასწვრივ არშიაზე მიუწერიათ: „:: მეორე-პირველსა", ბოლოს, ეს „მეორეც" ამოუშლიათ და მხოლოდ „პირველსა" დაუტოვებიათ. როგორც ჩანს, ეს „მეორე-პირველსა" ბერძნული δευτεροπρώτῳ-ს სიტყვასიტყვითი თარგმანია. [4] მოშჭრიდეს HI. [5] უკუჱთუმცა K.

FG

8. ხოლო თავადმან იცნოდა ზრახვანი მათნი და ჰრქუა კაცსა მას, რომელსა ჴელი განჴმელ ედგა: აღდეგ და წარმოდეგ შორის! ხოლო იგი აღდგა და დადგა შორის.

9. და იესუ ჰრქუა მათ: გკითხო თქუენ სიტყუაჲ: რაჲ ჯერ-არს შაბათსა: კეთილისა საქმჱ[1] ანუ ბოროტისაჲ[2], სულისა ცხორებაჲ ანუ მოკლევაჲ?

10. (G 150r) და მიხედა მათ ყოველთა და ჰრქუა კაცსა მას: განირთხ ჴელი შენი! ხოლო მან განირთხა, და მოეგო ჴელი მისი, ვითარცა სხუაჲ იგი[3].

11. ხოლო იგინი აღივსნეს მანკიერებითა და განიზრახვიდეს ურთიერთას[4], უკუეთუმცა უყვეს რაჲ იესუს.

12. და იყო მათ დღეთა[5] შინა და განვიდა თავადი მთად კერძო ლოცვად და ღამესა ათევდა ლოცვითა[6] ღმრთისა მიმართ.

13. (F 123r) და რაჟამს განთენა დღჱ, მოუწოდა მოწაფეთა თჳსთა და გამოირჩინა[7] ათორმეტნი მათგანნი, რომელთაცა მოციქულად უწოდა:

14. სიმონ, რომელსა ჰრქვან[8] პეტრე, და ანდრია, ძმაჲ მისი, იაკობ და იოვანე[9], ფილიპე[10] და ბართლომე[11],

15. მათეოს და თომა და იაკობ ალფესი და[12] სიმონ, რომელსა ერქუა მოშურნე[13],

16. და იუდა იაკობისი და იუდა ისკარიოტელი, რომელი-იგი იყო განმცემელი.

17. (G 150v) და გარდამოვიდა მათ თანა და დადგა ადგილსა ველსა, და ერი იგი მოწაფეთა მისთაჲ, და სხჳსა ერისა[14] სიმრავლჱ[15] ფრიადი ჰურიასტანით და იერუსალჱმით და ზღჳს-კიდისაჲ, ტჳროსით[16] და სიდონით,

HIK

8. (I 146r) ხოლო თავადმან იცნოდა[1] ზრახვანი მათნი და ჰრქუა კაცსა მას, რომელსა ჴელი განჴმელ ედგა: აღდეგ და წარმოდეგ შორის! ხოლო იგი აღდგა და დადგა შორის.

9. და იესუ ჰრქუა მათ: გკითხო თქუენ სიტყუაჲ: რაჲ ჯერ-არს შაბათსა: კეთილისა საქმე ანუ ბოროტისა ყოფაჲ? სულისა ცხორებაჲ ანუ მოკლევაჲ?

10. და მიხედა მათ ყოველთა და ჰრქუა (K 163v) კაცსა მას: განირთხ ჴელი შენი! ხოლო მან განირთხა, და მოეგო ჴელი მისი, ვითარცა სხუაჲ იგი.

11. ხოლო იგინი აღივსნეს მანკიერებითა და განიზრახვიდეს ურთიერთას, უკუეთუმცა[2] უყვეს რაჲ იესუს[3].

12. და იყო მათ დღეთა შინა და განვიდა თავადი მთად კერძო ლოცვად და ღამესა ათევდა ლოცვითა ღმრთისა მიმართ.

13. და ვითარცა განთენა დღე, მოუწოდა მოწაფეთა თჳსთა და გამოირჩინა ათორმეტნი (H 148v) მათგანნი, რომელთაცა მოციქულად უწოდა:

14. (K 164r) სიმონ, რომელსა უწოდა[4] პეტრე, და ანდრეა, ძმაჲ მისი, იაკობ და იოვანე, ფილიპე და ბართლომე,

15. მატ(I 146v)თეოს და თომა და იაკობ ალფესი და სიმონ, რომელსა ერქუა მოშურნე,

16. და იუდა იაკობისი და იუდა ისკარიოტელი[5], რომელი-იგი იქმნა განმცემელ.

17. და გარდამოვიდა მათ თანა და დადგა ადგილსა ველსა, და ერი იგი მოწაფეთა მისთაჲ, და სხჳსა ერისა სიმრავლე ფრიადი ჰურიასტანით და იერუსალჱმით[6] და ზღჳს-კიდისაჲ, ტჳროსით და სიდონით,

---

[1] საქმე F. [2] ბოროტისაჲ] ბოროტისა ყოფაჲ G. [3] ~ იგი სხუაჲ G. [4] ურთიერთარს F. [5] დღჱთა G. [6] ლოცვათა F. [7] გამოირჩინა F. [8] ჰქჳა F. [9] იოვანჱ G. [10] ფილიპჱ FG. [11] ბართლომჱ G. [12] და] — G. [13] მოშურნჱ G, რომელსა ერქუა მოშურნე] — F. [14] ერისაჲ F. [15] სიმრავლე F. [16] ტჳროზით F.

[1] იცოდნა K. [2] უკუეთუმცა H. [3] იესოს K. [4] უწოდა K [5] ისკარიუტელი HI (= ისკარიოტელი). [6] იერუსალჱმით H. იერუსალიმით IK.

FG

18. რომელნი მოსრულ იყვნეს სმენად მისგან და განკურნებად ყოველთა[1] უძლურებათაგან[2] მათთა; და ურვილნი იგი სულთაგან არაწმიდათა განიკურნებოდეს.

19. და ყოველი იგი ერი ეძიებდა შეხლებად მისა[3], რამეთუ ძალნი გამოვიდოდეს მისგან, და განჰკურნებდა ყოველთა.

20. და თავალმან აღიხილნა თუალნი მისნი მოწაფეთა მიმართ და ეტყოდა: ნეტარ ხართ გლახაკნი სულითა, რამეთუ თქუენი არს სასუფეველი ღმრთისაჲ;

21. ნეტარ ხართ თქუენ, რომელთა გმშიის[4] აწ, რამეთუ განსძღეთ; (F 123v) ნეტარ ხართ, რომელნი სტირთ აწ, რამეთუ იცინოდით:

22. ნეტარ იყვნეთ, რაჟამს მოგიძულნენ თქუენ კაცთა და ოდეს[5] გამოგასხ(G 151r)ნენ თქუენ და გაყუედრებდენ და განჴადონ სახელი თქუენი, ვითარცა ბოროტთაჲ, ძისათჳს კაცისა.

23. გიხაროდენ მას დღესა შინა და მხიარულ იყვენით, რამეთუ აჰა ესერა სასყიდელი თქუენი დიდ არს ცათა შინა, რამეთუ ესრეთვე[6] უყოფდეს წინაწარმეტყუელთა მამანი მათნი.

24. ხოლო ვაჲ თქუენდა, მდიდარნო, რამეთუ მიგიღებიეს ნუგეშინის-ცემაჲ თქუენი.

25. ვაჲ თქუენდა, განმაძღარნო აწ, რამეთუ გმშიოდის[7]; ვაჲ თქუენდა, რომელნი იცინით აწ, რამეთუ იგლოვდეთ და სტიროდით[8].

26. ვაჲ თქუენდა, რაჟამს კეთილსა გეტყოდიან თქუენ ყოველნი კაცნი, რამეთუ ესრეთვე[6] უყოფდეს ცრუ-წინაწარმეტყუელთა მამანი თქუენნი.

27. არამედ თქუენ გეტყჳ, რომელთა ეგე გესმისა გიყუარდედ მტერნი

HIK

18. რომელნი მოსრულ იყვნეს სმენად მისგან და განკურნებად სნეულებათაგან მათთა: და ურვილნი იგი სულთაგან არაწმიდათა განიკურნებოდეს.

19. და ყოველი იგი ერი ეძიებდა შეახლებად მისა[1], რამეთუ ძალნი გამოვიდოდეს მისგან და განჰკურნებდეს ყოველთა.

20. და თავალმან აღიხილნა თუალნი მისნი მოწაფეთა მიმართ და ეტყოდა: ნეტარ ხართ (H 140r) გლა(K 104v)ხაკნი სულითა, რამეთუ თქუენი არს სასუფეველი ღმრთისაჲ;

21. ნეტარ ხართ თქუენ, რომელთა გშიის აწ, რამეთუ განსძღეთ; ნეტარ ხართ, რომელნი სტირთ აწ, რამეთუ იცინოდით:

22. ნეტარ იყვნეთ, რაჟამს მოგიძულნენ თქუენ (I 140r) კაცთა და ოდეს გამოგასხნენ თქუენ და გაყუედრებდენ[2] და განჴადონ სახელი თქუენი, ვითარცა ბოროტთაჲ, ძისათჳს კაცისა.

23. გიხაროდენ მას დღესა შინა და მხიარულ იყვენით. რამეთუ აჰა ესერა სასყიდელი თქუენი მრავალ არს ცათა შინა, რამეთუ ესრეთვე უყოფდეს წინაწარმეტყუელთა მამანი მათნი.

24. ხოლო ვაჲ თქუენდა, მდიდარნო, რამეთუ მიგიღებიეს ნუგეშინის-ცემაჲ თქუენი[3].

25. ვაჲ თქუენდა, განმაძღარნო აწ, რამეთუ გშიოდის; ვაჲ თქუენდა, რომელნი იცინით აწ, რამეთუ იგლოვდეთ და სტიროდით.

26. ვაჲ თქუენდა, რაჟამს კეთილსა გეტყოდიან თქუენ კაცნი, რამეთუ ეგრეთვე უყოფდეს ცრუ-წინაწარმეტყუელთა[4] მამანი მათნი.

27. არამედ თქუენ გეტყჳ, რომელთა-ეგე გესმის: გიყ(H 140v)უარდედ

---

[1] ყოველთა] — G. [2] უძლურებათაგან] სნეულებათაგან G. [3] მისა] მისგან F. [4] გშის F, გშიის G. [5] უდეს G. [6] ესრევე G. [7] გშიოდის F. [8] სტიროდეთ F.

[1] მისსა K. [2] გაყუდრებდენ HIK. [3] თქუენნი H. [4] ცრუ-წინაჲსწარმეტყუელთა H.

FG

თქუენნი და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა.

28. და[1] აკურთხევდით მწყევართა თქუენთა და ილოცევდით მათთჳს, რომელნი გმძ(G 151v)ლავრობდენ თქუენ.

29. რომელმან გცეს ყურიმალსა შენსა, მიუპყარ ერთკერძოჲცა; და რომელი მიგიღებდეს შენ სამოსელსა[2] შენსა, კუართსაცა შენსა ნუ აყენებ.

30. (F 124r) ყოველი რომელი გთხოვდეს, მიეც; და რომელი მიგიღებდეს შენ, ნუ მოჰკდი.

31. და ვითარცა-იგი თქუენ გნებავს, რაჲთა გიყონ კაცთა, და[1] თქუენცა ეგრეთვე[3] მსგავსად უყოფდით მათ.

32. და უკუეთუ გიყუარდენ თქუენ მოყუარენი თქუენნი, რაჲ არს მადლი თქუენდა? რამეთუ ცოდვილნიცა მოყუარეთა მათთა ჰყუარობედ.

33. და უკუეთუ კეთილის-მყოფელთა თქუენთა კეთილსა უყოფდეთ, რომელი მადლი არს თქუენდა? რამეთუ ცოდვილნიცა ამას ჰყოფედ[4].

34. და უკუეთუ ავასხებდეთ მათ, რომელთაგან ესავთ კუალად მოღებასა, რომელი მადლი არს თქუენდა? რამეთუ ცოდვილნიცა ცოდვილთა ავასხებედ[5], რაჲთა მოიღონ სწორი.

35. ხოლო თქუენ გიყუარდედ მტერნი თქუენნი (G 152r) და კეთილსა უყოფდით[6] და ავასხებდით და ნურას უსასო ჰყოფთ, და იყოს სასყიდელი თქუენი მრავალ, და იყვენით ძე[7] მაღლის, რამეთუ იგი თავადი ტკბილ არს უმადლოთათჳსცა და უკეთურთა.

36. იყვენით თქუენ მოწყალე[8], ვითარცა მამაჲ თქუენი მოწყალე არს.

37. ნუ განიკითხავთ, რაჲთა არა განიკითხნეთ; და[9] ნუ დასჯით[10], რაჲთა არა დაისაჯნეთ; მიუტევეთ, რაჲთა მოგეტევნენ.

HIK

მტერნი თქუენნი და[1] კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა.

28. და აკურთხევდით მწყევართა თქუენთა და ილოცევდით მათთჳს, რომელნი გმძლავრობდენ თქუენ[2].

29. რომელმან გცეს ყურიმალსა შენსა, მიუპყარ ერთკერძოჲცა; (I 140v) და რომელი (K 106r) მიგიღებდეს შენ სამოსელსა შენსა, კუართსაცა შენსა ნუ აყენებ.

30. ყოველი რომელი გთხოვდეს, მიეც; და რომელი მიგიღებდეს შენ, ნუ მოჰკდი.

31. და ვითარცა-იგი თქუენ გნებავს, რაჲთა გიყონ კაცთა, და თქუენცა ეგრეთვე მსგავსად უყოფდით მათ.

32. და უკუეთუ გიყუარდენ თქუენ მოყუარენი თქუენნი, რაჲ არს მადლი თქუენდა? რამეთუ ცოდვილნიცა მოყუარეთა მათთა ჰყუარობენ.

33. და უკუეთუ კეთილის-მყოფელთა თქუენთა კეთილსა უყოფდეთ, რომელი მადლი არს თქუენდა? რამეთუ ცოდვილნიცა ამას ჰყოფენ.

34. და უკუეთუ ავასხებდეთ მათ, რომელთაგან ესავთ კუალად მოღებასა, რომელი მადლი არს თქუენდა? რამეთუ ცოდვილნიცა ცოდვილთა (H 160r) ავასხებენ, რაჲთა მოიღონ სწორი.

35. ხოლო თქუენ გიყუარდედ[3] მტერნი თქუენნი და კეთილსა უყოფდით და ავასხებდით და ნურარას უსასო ჰყოფთ, და იყოს სასყიდელი თქუენი მრავალ, და იყვენით ძე მაღლის, რამეთუ იგი თავადი ტკბილ (I 150r) არს უმადლოთათჳსცა და უკეთურთა.

36. იყვენით თქუენ მოწყალე[4], ვითარცა მამაჲ თქუენი მოწყალე არს.

37. ნუ განიკითხავთ და არა განიკითხნეთ; და[1] ნუ დასჯით[5] და არა დაისაჯნეთ; მიუტევეთ და (K 106v) მოგეტევნენ.

---

[1] და]—F. [2] სამოსელსა F. [3] ეგრეთვე F. [4] ჰყოფენ F. [5] ავასხებენ G. [6] უყოფდიდით G [7] ძე FG. [8] მოწყალე G. [9] და] — G. [10] დამჯით G.

[1] და] — K. [2] თქუენ HI. [3] გიყუარდენ K. [4] მოწყალე H. [5] დამჯით I.

FG

38. მიეცით, და მოგეც(F 124v)ეს თქუენ. საწყაული კეთილი და[1] შეხრილი და დატენილი და ზელაგარდათხეული მოგცენ წიაღთა თქუენთა; მითვე[2] საწყაულითა, რომლითა მიუწყოთ, კუალად მოგეწყოს თქუენ.

39. ეტყოდა მათ იგავსაცა[3]: ნუ ჴელ-ეწიფების ბრმასა ბრმისა წინა-ძღუანვად[4]? არა-მე ორნივე[5] ჯურღმულსა შთაცჳვენ?

40. (G 152v) არა არს მოწაფჱ უფროჲს მოძღურისა თჳსისა, ხოლო განკრძალული იგი ყოველი იყავნ, ვითარცა მოძღუარი თჳსი.

41. რაჲსა ხედავ წუელსა[6] თუალსა შინა[7] ძმისა შენისასა[8] და დირესა თუალისა თჳსისასა[9] არა განიცდი?

42. ანუ ვითარ ჴელ-გეწიფების რქუმად ძმასა შენსა: ძმაო, მიტევე, და აღმოგიღო წუელი თუალისაგან შენისა, და შენ დირესა თუალსა შიდა შენსა არა ჰხედავ[10]? ორგულო, აღმოიღე პირველად დირჱ[11] თუალისაგან შენისა და[1] მერმე იხილო აღმოღებად წუელი თუალისაგან ძმისა შენისა.

43. რამეთუ არა არს ხჱ[15] კეთილი, რომელმან გამოიღის ნაყოფი ხენეში; არცა კუალად ხე ხენეში, რომელმან ყვის ნაყოფი კეთილი.

44. რამეთუ[13] თითოეული[14] ხჱ[12] თჳსისაგან ნაყოფისა საცნაურ არნ; რამეთუ არა ეკალთაგან შეკ(F 125r)რიბიან ლეღჳ, არცა მაყუალთაგან მოისთულიან[16] ყურძენი.

45. (G 158r) კეთილმან კაცმან კეთილისაგან საუნჯისა გულისა თჳსისა გამოიღის კეთილი, და ბოროტმან კაცმან ბოროტისაგან საუნჯისა[16] გულისა თჳსისა[17] გამოიღის ბოროტი; რამეთუ ნამეტავისაგან[18] გულისა იტყჳნ პირი მისი.

HIK

38. მიეცით, და მოგეცეს თქუენ. საწყაული კეთილი და შეხრილი და დატენილი და ზელაგარდათხეული მოგცენ წიაღთა თქუენთა; მითვე საწყაულითა, რომლითა მიუწყოთ, კუალად მოგეწყოს თქუენ.

39. ეტყოდა მათ იგავსაცა: ნუ ჴელ-ეწიფების ბრმასა ბრმისა წინა-ძღუანვად? არა-მეა ორნივე ჯურღმულსა შთაცჳვენ?

40. არა არს მოწაფე უფროჲს მოძღურისა თჳსისა, ხოლო განკრძა(H 150v)ლული იგი ყოველი იყავნ, ვითარცა მოძღუარი თჳსი.

41. რაჲსა ჰხედავ წუელსა[1] თუალსა შინა ძმისა შენისასა და დჳრესა თუალსა შინა თჳსსა არა განიცდი?

42. ანუ ვითარ ჴელ-გეწიფების რქუმად ძმასა შენსა: (I 150v) ძმაო, მიტევე, და აღმოგიღო წუელი[2] თუალისაგან შენისა, და შენ დჳრესა თუალსა შინა შენსა არა ხედავ? ორგულო, აღმოიღე პირველად დჳრე თუალისაგან შენისა და მერმე იხილო აღმოღებად წუელი[2] თუალისაგან ძმისა შენისა.

43. რამეთუ არა არს ხე კეთილი, რომელმან გამოიღოს ნაყოფი ხენეში; არცა კუალად ხე ხენეში, რომელმან ყვის ნაყოფი კეთილი.

44. რამეთუ თითოეული[3] ხჱ[4] თჳსისაგან ნაყ(K 100r)ოფისა საცნაურ არნ; რამეთუ არა ეკალთაგან შეკრიბიან ლეღჳ, არცა მაყუალთაგან მოისთულიან ყურძენი.

45. კეთილმან კაცმან კეთილისაგან საუნჯისა გულისა თჳსისა გამოიღის კეთილი, და ბოროტმან კაცმან ბოროტისაგან საუნჯისა გულისა თჳსისა (H 151r) გამოიღის ბოროტი; რამეთუ ნამეტავისაგან[5] გულისა იტყჳნ პირი მისი.

---

[1] და] — F. [2] მით F. [3] იგავსა F. [4] წინა-ძღუანვაჲ F. [5] ორნივე G. [6] წულსა F. [7] შიდა G. [8] შენისასა] თჳსისასა G. [9] თჳსისა G. [10] ხედავ F. [11] დირე F. [12] ხე F. [13] რამეთუ] — G. [14] თითუეული G. [15] მოისთულიან F. [16] საუნჯისა] — FG. [17] თჳსისა] — FG. [18] ნამეტნავისაგან F.

[1] წუჱლსა HIK. [2] წუჱლი HI. [3] თჳთოეული H. [4] ხჱ̈ HI. [5] ნამეტნავისაგან K.

FG

46. რაჲსა მეტყჳთ მე: უფალო, უფალო! და არა ჰყოფთ, რომელსა მე გეტყჳ თქუენ?

47. ყოველი რომელი მოვალს ჩემდა და ისმენს სიტყუათა ჩემთა და ჰყოფს მათ, გიჩუენო თქუენ, ვისა იყოს იგი მსგავს.

48. მსგავს არს იგი კაცსა, რომელი აშენებნ სახლსა, რომელმან მოთხარა და დააღრმო და დადვა საფუძველი კლდესა ზედა; და დიდროვაჲ[1] რაჲ იყო, ეკუეთა მდინარე[2] იგი სახლსა მას და ვერ შეუძლო შეძრვად მას, რამეთუ დაფუძნებულ იყო კლდესა ზედა.

49. ხოლო რომელმან ისმინა და არა ყოს[3], მსგავს არს იგი კაცსა, რომელმან აღაშენა სახლი მიწასა ზედა თჳნიერ საფუძვე(G 150v)ლისა, რომელსა ეკუეთა მდინარე, და მეყსეულად დაეცა; და იყო დაცემაჲ სახლისაჲ მის[4] დიდ.

HIK

46. რაჲსა მეტყჳთ მე: უფალო, უფალო! და არა ჰყოფთ, რომელსა მე გეტყჳ თქუენ[1]?

47. ყოველი რომელი მოვალს ჩემდა და ისმენს სიტყუათა ჩემთა და ჰყოფს მათ, გიჩ(I 151r)უენო[2] თქუენ, ვისა[3] იყოს მსგავს.

48. მსგავს არს იგი კაცსა, რომელი აშენებნ სახლსა, რომელმან მოთხარა და დააღრმო და დადვა საფუძველი კლდესა ზედა; და დიდროაჲ რაჲ იყო, ეკუეთა[4] მდინარე იგი სახლსა მას და ვერ შეუძლო შეძრვად მისა[5], რამეთუ დაფუძნებულ იყო კლდესა ზედა.

49. ხოლო რომელმან ისმინა და არა ყოს, მსგავს არს იგი კაცსა, რომელმან აღაშენა სახლი მიწასა ზედა თჳნიერ საფუძველისა, რომელსა ეკუეთა[4] მდინარე, და მეყსეულად დაეცა; და იყო დაცემაჲ სახლისაჲ მის დიდ.

## 7

FG

1. და ვითარცა დაასრულნა იესუ სიტყუანი ესე სასმენელთა მიმართ ერისათა, შევიდა კაფარნაუმდ.

2. (F 125v) და ასისთავისა ვისიმე[5] მონაჲ სნეულ იყო და მიახლდა აღსრულებად, რომელი იყო მისა პატიოსან.

3. და ესმა მას იესუჲსთჳს[6] და მიავლინნა მისა[7] მოხუცებულნი ჰურიათანი ვედრებად მისა[7], რაჲთა მოვიდეს და განკურნოს მონაჲ იგი მისი.

4. ხოლო რომელნი-იგი მივიდეს იესუჲსა[8], ჰლოცვიდეს მას მწრაფლ[9] და ეტყოდეს, ვითარმედ: ღირს არს[10], რომელი-ესე ჰყო მისთჳს,

5. რამეთუ უყუარს ნათესავი ჩუენი და შესაკრებელი მან აღმიშენა ჩუენ.

6. და იესუ წარვიდა მათ თანა. ხოლო თავადი ვითარ მიახლებულ იყო სახლსა

HIK

1. და ვითარცა დაასრულნა იესუ სიტყუანი ესე სასმენე(K 106v)ლთა მიმართ ერისათა, შევიდა კაპერნაუმს.

2. და ასისთავისა ვისმე მონაჲ სნეულ იყო (H 151v) და მიახლდა აღსრულებად, რომელი იყო მისა[5] პატიოსან.

3. და ესმა მას იესუჲსთჳს და მიავლინნა მისა[5] მოხუცებულნი ჰურიათანი ვედრებად მისა[5], რაჲთა მოვიდეს და განკურნოს მონაჲ იგი მისი.

4. (I 151v) ხოლო რომელნი იგი მივიდეს იესუჲსა[6], ჰლოცვიდეს მას მსწრაფლ და ეტყოდეს, ვითარმედ: ღირს არს, რომელი-ესე ჰყო მისთჳს,

5. რამეთუ უყუარს ნათესავი ჩუენი და შესაკრებელი მან აღმიშენა ჩუენ.

6. და იესუ წარვიდა მათ თანა. ხოლო თავადი ვითარ მიახლებულ იყო სახლ-

---

[1] დიდროაჲ F. [2] მდინარე F. [3] ყო F. [4] სახლისაჲ მის] მისი G. [5] ვისმე G. [6] იჳსთჳს F. [7] მისსა G. [8] იჳსა F. [9] მსწრაფლ F. [10] არს] — F.

[1] თქუენ I. [2] გიჩუენო HI. [3] ვისა K. [4] ეკუეთა HI. [5] მისსა K. [6] იესუჲსსა K.

| FG | HIK |
|---|---|
| მას, მიუვლინნა[1] ასისთავმან მან მეგობარნი და ჰრქუა: უფალო, ნუ მოშურები, რამეთუ (G 154r) არა ვარ ღირს, რაჲთა სართულსა ქუეშე[2] სახლისა ჩემისასა შემოხჳდე. | სა მას, მიუვლინნა ასისთავმან მან მეგობარნი და ჰრქუა: უფალო, ნუ მოშურები, რამეთუ არა ვარ ღირს, რაჲთა სართულსა სახლისა ჩემისასა შემოხჳდე. |
| 7. რომლისაგან არცა თავი ჩემი ღირს მიჩნდა მისლვად შენდა, არამედ სიტყჳთ ხოლო თქუ, და განიკურნოს მონაჲ ესე ჩემი. | 7. რომლისაგან არცა თავით ჩემით ღირს მიჩნდა მისლვად შენდა: არამედ სიტყჳთ ხოლო თქუ, და განიკურნოს მონაჲ ესე ჩემი. |
| 8. რამეთუ მეცა კაცი ვარ ჴელმწიფებასა ქუეშე განწესებული და მქონან ჩემ ქუეშე ერისა-კაცნი; და ვჰრქ[3] მას: წარვედ! და წარვიდის: და სხუასა: მოვედ! და მოვიდის: და მონასა ჩემსა: ყავ ესე! და ყვის. | 8. რამეთუ მეცა კაცი ვარ ჴელმწიფებასა ქუეშე[1] განწესებული და მქონან ჩემ ქუეშე[2] ერისა-კაცნი; და ვჰრქჳ მას: წარვედ! და წარვიდის; და სხუასა: მოვედ! და მოვიდის; და მონასა (H 152r) ჩემსა: ყავ ესე! და ყვის. |
| 9. ვითარცა ესმა ესე იესუს, უკჳრდა სარწმუნოებაჲ იგი მისი, მიექცა ერსა მას (F 120r) და ჰრქუა: ამენ გეტყჳ თქუენ, არცაღა ისრაჱლსა შორის ვპოვე[4] ესევითარი სარწმუნოებაჲ. | 9. (K 107r) ხოლო ვითარცა ესმა ესე იესუს, დაუკჳრდა სარწმუნოებაჲ მისი, მიექცა ერსა მას და (I 162r) ჰრქუა: ამენ გეტყჳ თქუენ, არცაღა ისრაჱლსა შორის ვპოვე ესევითარი სარწმუნოებაჲ. |
| 10. და მიიქცეს, რომელნი-იგი მოსრულ იყვნეს, სახედ[5] მისა და პოვეს[6] მონაჲ იგი მისი ცოცხალი. | 10. და მიიქცეს, რომელნი-იგი მოსრულ იყვნეს, სახიდ მისა[3] და პოვეს[4] მონაჲ იგი მისი ცოცხალი. |
| 11. და იყო ამისა[7] შემდგომად და წარვიდოდა ქალაქად, რომელსა ჰრქჳან[8] ნაიდ, და თანა-უვიდოდეს მას მოწაფენი მისნი და ერი მრავალი. | 11. და იყო ამისა[5] შემდგომად და წარვიდოდა ქალაქად, რომელსა ჰრქჳან ნაინ, და თანა-უვიდოდეს მას მოწაფენი მისნი და ერი მრავალი. |
| 12. და ვითარცა მიეახლნეს ბჭეთა მის (G 154v) ქალაქისათა, და აჰა ესერა გამოაქუნდა მკუდარი, ძჱ მხოლოდ-შობილი[9] დედისა თჳსისაჲ, და იყო იგი ქურივ: და ერი მრავალი იყო მის თანა ქალაქისაჲ[10]. | 12. და ვითარ მიეახლა ბჭეთა ქალაქისათა, და აჰა ესერა გამოაქუნდა მკუდარი, ძე მხოლოდ-შობილი დედისა თჳსისაჲ, და იგი იყო ქურივ; და ერი მრავალი იყო ქალაქისაჲ მის თანა. |
| 13. და იხილა დედაკაცი იგი იესუ და შეეწყალა იგი და ჰრქუა მას: ნუ სტირ! | 13. და იხილა დედაკაცი იგი იესუ და შეეწყალა იგი და ჰრქუა მას: ნუ სტირ! |
| 14. და მივიდა ცხედარსა მას და შეახო. ხოლო რომელთა აქუნდა ცხედარი იგი, დადგეს. და ჰრქუა მას: ჭაბუკო, შენ გეტყჳ, აღდეგ! | 14. და მივიდა ცხედარსა მას და შეახო. ხოლო რომელთა აქუნდა ცხედარი იგი, დადგეს. და (K 107v) ჰრქუა მას: ჭაბუკო, შენ გეტყჳ, აღდეგ! |

---

[1] მიუვლინა FG. [2] ქუეშე]—G. [3] ვჰქ F. [4] ვპოე F. [5] სახიდ G. [6] ჰოეს F. [7] ამისსა G. [8] ჰქჳან F. [9] მხოლოდ-შობილი G. [10] — ქალაქისაჲ მის თანა G.

[1] ქუშე HI. [2] ქუე H, ქუშე I. [3] მისსა K. [4] ჰოეს HI. [5] ამისსა K.

| FG | HIK |
|---|---|
| 15. და ზე[1] წარმოჯდა მკუდარი იგი და იწყო სიტყუად: და მისცა იგი დედასა თჳსსა. | 15. და ზე[1] წარმოჯდა მკუდარი იგი და იწყო სიტყუად; და მისცა იგი დედასა თჳსსა. |
| 16. შიში დაეცა მათ ყოველთა ზედა, და ადიდებდეს ღმერთსა და იტყოდეს, ვითარმედ: წინაწარმეტყუელი დიდი აღდგომილ არს ჩუენ შორის. და რამეთუ მოხედა უფალმან ერსა თჳსსა. | 16. (H 152v) და შიში დაეცა მათ ყოველთა ზედა, და ადიდებდეს ღმერთსა და იტყოდეს, (I 152v) ვითარმედ: წინაწარმეტყუელი დიდი აღდგომილ არს ჩუენ შორის, და რამეთუ მოხედნა ღმერთმან ერსა თჳსსა. |
| 17. და განეფინა სიტყუაჲ ესე ყოველსა ჰურიასტანსა მისთჳს და ყოველსა მას გარემო სოფლებსა. | 17. და განეფინა სიტყუაჲ ესე ყოველსა ჰურიასტანსა მისთჳს და ყოველსა მას გარემო სოფლებსა. |
| 18. და უთხრეს იოვანეს[2] მოწაფეთა მისთა ამის ყოვლისათჳს. | 18. და უთხრეს იოვანეს მოწაფეთა მისთა ამის ყოვლისათჳს. |
| 19. (F 128v) და მოუწოდა იოვანე[3] ორთა მოწ(G 155r)აფეთა[4] თჳსთა[5] და მიავლინნა[6] იესუჲსა[7] და ჰრქუა: შენ ხარა[8] მომავალი იგი[9], ანუ სხუასა მოველოდით? | 19. და მოუწოდა იოვანე ორთა მოწაფეთა თჳსთა და მიავლინნა იესუჲსა[2] და ჰრქუა: შენ ხარა მომავალი, ანუ სხუასა მოველოდით? |
| 20. და მი-რაჲ-ვიდეს მისა[10] კაცნი იგი, ჰრქუეს[11]: იოვანე[3] ნათლის-მცემელმან მომავლინნა ჩუენ შენდა და თქუა: შენ ხარა[8] მომავალი, ანუ სხუასა მოველოდით? | 20. და მი-რაჲ-ვიდეს მისა[3] კაცნი იგი, ჰრქუეს: იოვანე ნათლის-მცემელმან მომავლინნა ჩუენ შენდა და თქუა: შენ ხარა მომავალი, ანუ სხუასა მოველოდით? |
| 21. მას ჟამსა შინა განკურნნა[12] მრავალნი სნეულებათაგან და სალმობათა და სულთაგან უკეთურთა და მრავალთა ბრმათა მიჰმადლა ხედვაჲ. | 21. მას ჟამსა შინა განკურნნა მრავალნი სნეულებათაგან და სალმობათა და სულთაგან უკეთურთა და მრავალთა ბრმათა მიჰმადლა ხედვაჲ. |
| 22. და მიუგო და ჰრქუა მათ იესუ: მივედით და უთხართ იოვანეს[2], რაჲ-ესე იხილეთ და გესმა: ბრმანი აღიხილვენ, მკელობელნი ვლენან, კეთროვანნი[13] განწმდებიან, ყრუთა ესმის, მკუდარნი აღდგებიან, და[14] გლახაკთა ეხარების. | 22. და მიუგო და ჰრქუა მათ იესუ: მივედით და უთხართ იოვანეს, რაჲ-ესე იხილეთ და გესმა: ბრმანი აღიხილვენ, მკელობელნი ვლე(H 158r)ნან, (K 108r) კეთროვანნი განწმდებიან, ყრუთა ესმის, მკუ(I 153r)დარნი აღდგებიან, და გლახაკთა ეხარების. |
| 23. და ნეტარ იყოს, რომელი არა დაჰბრკოლდეს ჩემდა მომართ. | 23. და ნეტარ იყოს, რომელი არა დაჰბრკოლდეს[4] ჩემდა მომართ. |
| 24. და ვითარცა წარვიდეს მოციქულნი იგი იოვანესნი[15], იწყო სიტყუად იესუ ერისა (G 155v) მის მიმართ იოვა- | 24. და ვითარცა წარვიდეს მოციქულნი იგი იოვანესნი, იწყო სიტყუად იესუ ერისა მის მიმართ იოვანესთჳს: რაჲსა |

---

[1] ზჱ G. [2] ი‾ნჱს G. [3] ი‾ნჱ G. [4] მოწფ‾თა G. [5] თჳსთა G. [6] მიავლინა FG. [7] ი‾ჳსა F. [8] ხარ G. [9] იგი]—G. [10] მისა]—F. [11] ჰქეს F (უქარაგმოდ). [12] განკურნა F. [13] კეთროვანნი F. [14] და]—F. [15] ი‾ნჱსნი G.

[1] ზჱ K. [2] იესუჲსსა K. [3] მისსა K. [4] დაბრკოლდეს HI.

| FG | HIK |
|---|---|
| ნესთჳს: რაჲსა გამოხუედით უდაბნოდ ხილვად? ლერწმისა, ქარისაგან შერყეულისა? | გამოხუედით[1] უდაბნოდ ხილვად? ლერწმისა, ქარისაგან შერყეულისა? |
| 25. არამედ რაჲსა გამოხუედით ხილვად? კაცისა, სამოსლითა[1] ჩჩჳლითა შემოსილისა? აჰა ესერა რომელნი სამოსლითა[1] დიდებულითა და საშუებლითა არიან, სამეუფოთა შინა არიან. | 25. არამედ რაჲსა გამოხუედით[1] ხილვად? კაცისა, სამოსლითა ჩჩჳლითა მოსილისა? აჰა ესერა რომელნი სამოსლითა დიდებულითა და საშუებლითა[2] არიან, სამეუფოთა შინა არიან. |
| 26. (F 127r) არამედ რაჲსა გამოხუედით ხილვად? წინაწარმეტყუელისა? ჰე, გეტყჳ თქუენ, და უმეტეს წინაწარმეტყუელისა. | 26. არამედ რაჲსა გამოხუედით[1] ხილვად? წინაწარმეტყუელისა? ჰე[3], გეტყჳ თქუენ, და უმეტეს წინაწარმეტყუელისა. |
| 27. რამეთუ ესე არს, რომლისათჳს-იგი წერილ არს: აჰა ესერა მე წარევავლინო ანგელოზი ჩემი წინაშე შენსა, რომელმან განჰმზადნეს[2] გზანი შენნი წინაშე შენსა. | 27. რამეთუ ესე არს, რომლისათჳს-იგი წერილ არს: აჰა ესერა მე წარევავლინო ანგელოზი ჩემი წინაშე პირსა შენსა, რომელმან განჰმზადნეს გზანი (K 168v) შენნი წინაშე შენსა. |
| 28. გეტყჳ თქუენ: უფროჲსი შობილთა შორის დედათაჲსა იოვანესა[3] წინაწარმეტყუელისა არავინ არს, ხოლო უმცირესი სასუფეველსა ღმრთისასა უფროჲს მისა[4] არს. | 28. რამეთუ გეტყჳ თქუენ: უფროჲსი შობილთა შორის დედათაჲსა იოვანე ნათლის-მცემელისა წინაწარმეტყუელი[4] არავინ არს, ხოლო უმცირესი (I 158v) სასუფეველსა ღმრთისასა (H 153v) უფროჲს მისა[5] არს. |
| 29. და ყოველსა ერსა ესმა და მეზუერეთა და[5] განამართლეს ღმერთი და ნათელ-იღეს ნათლის-ცემითა[6] იოვანესითა[7]. | 29. და ყოველსა ერსა ესმა და მეზუერეთა[6], განამართლეს ღმერთი და ნათელ-იღეს ნათლის-ცემითა იოვანესითა. |
| 30. ხოლო ფარისეველთა (G 156r) და შჯულისაგანთა ზრახვაჲ ღმრთისაჲ შეურაცხ-ყვეს თავისა თჳსისა, რამეთუ არა ნათელ-იღეს მისგან. | 30. ხოლო ფარისეველთა და სჯულის-მოძღუართა[7] ზრახვაჲ ღმრთისაჲ შეურაცხ-ყვეს თავისა თჳსისა, რამეთუ არა ნათელ-იღეს მისგან. |
| 31. ვის ვამსგავსნე კაცნი ამის ნათესავისანი[8], და ვისა არიან მსგავს? | 31. ვის ვამსგავსნე კაცნი ამის ნათესავისანი, და ვისა[8] არიან მსგავს? |
| 32. მსგავს არიან ყრმათა, უბანთა ზედა მსხდომარეთა, რომელნი მოუწესედ[9] მოყუასთა მათთა და ეტყჳედ: გისტკჳნევდით თქუენ, და არა ჰროკევდით: გიგოდებდით თქუენ, და არა სტიროდეთ. | 32. მსგავს არიან ყრმათა, უბანთა ზედა მსხდომარეთა, რომელნი მოუწესედ მოყუასთა მათთა და ეტყჳედ: გისტკჳნევდით თქუენ, და არა ჰროკევდით; გიგოდებდით თქუენ, და არა სტიროდეთ. |
| 33. რამეთუ მოვიდა იოვანე[10] ნათლის-მცემელი, არცა[11] ჭამდა, არცა სუმიდა, და იტყჳთ[12]: ეშმაკეულ არს. | 33. რამეთუ მოვიდა იოვანე ნათლის-მცემელი, არცა ჭამდა პურსა, არცა სუმიდა ღჳნოსა, და იტყჳთ: ეშმაკეულ არს. |

---

[1] სამუსლითა F. [2] განმზადნეს F. [3] ი̃ნესსა G. [4] მისსა G. [5] და] — F. [6] ნათლის-ღებითა F. [7] ი̃ნესითა G. [8] ნათესავისნი F (უქარაგმოდ). [9] მოუწესდ FG. [10] ი̃ნე G. [11] არა F. [12] იტყჳთ] იტყოდეთ G.

[1] გამოხუედით HI. [2] საშუებლითა HI. [3] ჰჱ HI. [4] წინაჲსწ̃ყელი H. [5] მისსა K. [6] მეზუერეთა HI. [7] შჯულის-მოძღუართა HI. [8] ესსა K.

FG

34. მოვიდა ძჱ კაცისაჲ, ჭამს და სუამს, და იტყჳთ: აჰა კაცი მჭამელი და მსუმელი (F 127v) ღჳნისაჲ და მეგობარი მეზუერეთაჲ და ცოდვილთაჲ.

35. და განმართლდა სიბრძნჱ¹ შვილთაგან თჳსთა.

36. ევედრებოდა ვინმე მას ფარისეველთაგანი, რაჲთა ჭამოს პური მის თანა: და შევიდა სახლსა მას ფარისეველისასა (G 150v) და დაჯდა.

37. და იყო დედაკაცი ვინმე ქალაქსა მას შინა, რომელი იყო ცოდვილ. ესმა, რამეთუ არს იგი სახლსა შინა ფარისეველისასა, მოიღო ალამბასტრი ნელსაცხებელისაჲ²

38. და დადგა ფერჴთა თანა მისთა და³ ტიროდა და იწყო დალტობად ცრემლითა ფერჴთა მისთა და თმითა თავისა მისისაჲთა⁴ წარჴოცად⁵ და ამბორს-უყოფდა ფერჴთა მისთა და სცხებდა ნელსაცხებელსა.

39. ვითარცა იხილა ფარისეველმან მან, რომელმანცა-იგი ხადა მას, და⁶ თქუა გულსა თჳსსა: ესე უკუეთუმცა იყო წინაწარმეტყუელი, უწყოდამცა, ვინ და რაბამი⁷ დედაკაცი შეეხების მას, რამეთუ ცოდვილ არს.

40. მიუგო იესუ და ჰრქუა: სიმონ, მაქუს რაჲმე შენდა სიტყუად. ხოლო მან თქუა: მოძღუარ, იტყოდე!

41. და თქუა: ორნი თანა-მდებნი იყვნეს მასესხებელისაჲ ვისიმე: ერთსა თანა-ედვა ხუთასი დრაჰ(G 157r)კანი, ხოლო ერთსა მას — ერგასისი.

42. და ვითარ არარაჲ აქუნდ(F 128r)ა მათ, ორთავე მიუტევა. აწ თქუ შენ: ვინ უფროჲს შეიყუაროს იგი?

43. მიუგო სიმონ და თქუა: მე ეგრე ვჰგონებ, ვითარმედ რომელსაცა-იგი უფროჲსი მიუტევა⁸. ხოლო თავადმან ჰრქუა მას: მართლიად ჰსაჯე⁹.

HIK

34. მოვიდა ძე კაცისაჲ, ჭამს და სუამს, და იტყჳთ: აჰა კაცი მჭამელი და მსუმელი ღჳნისაჲ და მეგობარი მეზუერეთა¹ და ცოდვილთაჲ.

35. და განმართლდა სიბრძნე ყოველთაგან შვილთა² თჳსთა.

36. (I 154r) ევედრებოდა ვინმე (K 169r) მას ფარისეველთაგანი, (H 154r) რაჲთა ჭამოს პური მის თანა; და შევიდა სახლსა მის ფარისეველისასა და დაჯდა.

37. და იყო დედაკაცი ვინმე ქალაქსა მას შინა, რომელი იყო ცოდვილ. ესმა, რამეთუ არს იგი სახლსა შინა³ მის ფარისეველისასა, მოიღო ალაბასტრი ნელსაცხებელისაჲ⁴

38. და დადგა ფერჴთა თანა მისთა, ტიროდა და იწყო დალტობად ცრემლითა ფერჴთა მისთა და თმითა თავისა მისისაჲთა წარჰჴოცდა და ამბორს-უყოფდა ფერჴთა მისთა და სცხებდა ნელსაცხებელსა.

39. ვითარცა იხილა ფარისეველმან მან, რომელმანცა-იგი ხადა მას, თქუა გულსა თჳსსა: ესე უკუეთუმცა იყო წინაწარმეტყუელი, უწყოდამცა, ვინ და რაბამი დედაკაცი შეეხების მას, რამეთუ ცოდვილ არს.

40. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: სიმონ, მაქუს რაჲმე შენდა სიტყუად. ხოლო მან თქუა: მოძღუარ, იტყოდე!

41. (K 169v) და თქუა: ორნი თანა-მდებნი (I 154v) იყვნეს მასესხებელისა ვისნიმე: ერთსა თანა-ედვა ხუთასი დრაჰკანი, ხოლო ერთსა მას — ერგასისი.

42. და ვითარ არარაჲ ა(H 154v)ქუნდა მათ, ორთავე მიუტევა. აწ თქუ შენ: ვინ უფროჲს შეიყუაროს იგი?

43. მიუგო სიმონ და თქუა: მე ეგრე ვჰგონებ, ვითარმედ რომელსაცა-იგი უფროჲსი მიუტევა. ხოლო თავადმან თქუა: სამართლად საჯე.

---

[1] სიბრძნე F. [2] ნელსაცხებლისაჲ G. [3] და] — G. [4] თჳსისა F (უქარაგმოდ). [5] წარჰჴოცად G. [6] და] — F. [7] რაბამ G. [8] მიუტევა F. [9] საჯე F, ჰსაჯე G.

[1] მეზუერეთა HI. [2] შვილთაგან HIK. [3] I-ში ეს სიტყვა მერმეა დამატებული სხვა ხელითა და სხვა მელნით (შნა). [4] ნელსაცხებლისაჲ K.

FG

44. და მიექცა დედაკაცსა მას და სიმონს ეტყოდა: ხედავა ამას დედაკაცსა? შემოვედ სახლსა შენსა, წყალი ფერჴთა ჩემთა არა მეც, ხოლო ამან ცრემლითა დაალტვნა ფერჴნი ჩემნი და თმითა თჳსითა წარმჴოცნა;

45. ამბორის-ყოფაჲ[1] არა მომეც მე, ხოლო ესე, ვინაჲთგან შემოვიდა, არა დასცხრების ამბორის-ყოფითა[2] ფერჴთა ჩემთაჲთა[3];

46. ზეთი თავსა ჩემსა არა მცხე[4], ხოლო ამან ნელსაცხებელი მცხო.

47. რომლისა მადლისათჳს გეტყჳ შენ: მიეტევნენ მაგას ცოდვანი მაგისნი მრავალნი, რამეთუ შეიყუარა[5] ფრიად. (G 167v) ხოლო რომელსა მცირედ მიეტეოს, მცირედღა[6] შეიყუაროს.

48. და ჰრქუა მას: მიგეტევნენ შენ[7] ცოდვანი შენნი!

49. და იწყეს თანა-მეინაჴეთა მათ სიტყუად გულთა შინა[8] მათთა: ვინ არს ესე, რომელი ცოდვათა მიუტევებს?

50. ჰრქუა დედაკაცსა მას: სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ. გუალე, ვიდოდე მშჳდობით!

HIK

44. და მიექცა დედაკაცსა მას და სიმონს ეტყოდა: ხედავა ამას დედაკაცსა? შემოვედ სახლსა შენსა, წყალი ფერჴთა ჩემთა არა მეც, ხოლო ამან ცრემლითა დაალტვნა ფერჴნი ჩემნი და თმითა თჳსითა წარჰჴოცნა[1];

45. ამბორის-ყოფაჲ არა მომეც მე, ხოლო ესე, ვინაჲთგან შემოვიდა, არა დასცხრების ამბორის-ყოფითა ფერჴთა ჩემთაჲთა;

46. ზეთი თავსა ჩემსა არა მცხე, ხოლო ამან ნელსაცხებელი სცხო ფერჴთა ჩემთა.

47. რომლისა მადლისათჳს გეტყჳ შენ: მიეტევნენ მაგას ცოდვანი მაგისნი მრავალ(I 155r)ნი, რამეთუ შეიყუარა ფრიად. ხოლო რომელსა მცირედი მიეტეოს, მცირედღა შეიყუაროს.

48. და ჰრქუა (H 155r) მას: მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი!

49. და იწყეს თანა-მეინაჴეთა (K 170r) მათ სიტყუად გულთა შინა მათთა: ვინ არს ესე, რომელი ცოდვათა მიუტევებს?

50. ჰრქუა დედაკაცსა მას: სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ. გუალე, ვიდოდე მშჳდობით!

## 8

FG

1. და იყო ამისა შემდგომად და თავადი ვიდოდა ქალაქად-ქალაქად და დაბად-დაბად, ქადაგებდა და ახარ(F 128v)ებდა სასუფეველსა ღმრთისასა; და ათორმეტნი მოწაფენი მის თანა.

2. და დედანი ვინმე, რომელნი განძურნებულ იყვნეს სულთაგან არაწმიდათა და უძლურებათა[9]: მარიამ, რომელსა ერქუა მაგდანელი[10], რომლისაგან შჳდნი ეშმაკნი განსრულ იყვნეს,

3. და იოჰანა, ცოლი ქოზაჲსი, ეზოჲს-მოძღურისა[11] ჰეროდესი, და სუსანა[12]

HIK

1. და იყო ამისა[2] შემდგომად თავადი ვიდოდა ქალაქად-ქალაქად და დაბად-დაბად, ქადაგებდა და ახარებდა სასუფეველსა ღმრთისასა; და ათორმეტნი მოწაფენი მის თანა.

2. და დედანი ვინმე, რომელნი განძურნებულ იყვნეს სულთაგან არაწმიდათა და უძლურებათა: მარიამ, რომელსა ერქუა მაგდალენელი, რომლისაგან შჳდნი ეშმაკნი განსრულ იყვნეს,

3. იოანნა, ცოლი ქოზაჲსი, ეზოჲს-მოძღურისა ჰეროდესი, და სუსანნა და

---

[1] ამბოერის-ყოფაჲ G. [2] ამბოერის-ყოფითა G. [3] ჩემთ¯თა F. [4] მცხჱ G. [5] შემიყუარა F. [6] მცირ|ედედღა G. [7] შენ] — G. [8] შიდა G. [9] უძრულებათა G. [10] მაგდალენელი G. [11] ეზოჲს-მოძღურისაჲ G. [12] სოსანა G.

[1] წარჴ ც|ჴოცნა H, წარჴოცნა K. [2] ამისსა K.

| FG | HIK |
|---|---|
| და სხუანი მრავალნი, რომელნი ჰმსახურებდეს მას ნაყოფთაგან მათთა. | სხუანი მრავალნი, რომელნი ჰმსახურებდეს მას ნაყოფთაგან მათთა. |
| 4. (G 158r) ხოლო რომელნი-იგი მის თანა იყვნეს ერნი მრავალნი და ქალაქად-ქალაქად რომელნი მოვიდოდეს მისა, ეტყოდა მათ იგავით: | 4. ხოლო რომელნი-იგი მის თანა იყვნეს ერნი მრავალნი და ქალაქად-(I 156v)ქალაქად რომელნი მოვიდოდეს მისა[1], ეტყოდა მათ იგავით: |
| 5. გამოვიდა მთესვარი თესვად თესლისა თჳსისა; და თესვასა მას მისსა რომელიმე დავარდა გზასა ზედა და დაითრგუნა, და მფრინველთა ცისათა[1] შეჭამეს იგი. | 5. გამოვიდა მთესვარი თესვად თესლისა თჳსისა; და (H166v) თესვ(K170v)ასა მას მისსა რომელიმე დავარდა გზასა ზედა და დაითრგუნა, და მფრინველთა ცისათა შეჭამეს იგი. |
| 6. და სხუაჲ დავარდა კლდესა ზედა, აღმოსცენდა და განჴმა, რამეთუ არა იყო სიღრმე მიწისაჲ. | 6. და სხუაჲ დავარდა კლდესა ზედა, აღმოსცენდა და განჴმა, რამეთუ არა იყო სიღრმე მიწისაჲ. |
| 7. და რომელიმე დავარდა შორის ეკალთა; და აღმოსცენდეს ეკალნი და შეაშთვეს იგი. | 7. და რომელიმე დავარდა შორის ეკალთა; და აღმოსცენდეს ეკალნი და შეაშთვეს იგი. |
| 8. და სხუაჲ დავარდა ქუეყანასა კეთილსა და აღმოსცენდა და ყო ნაყოფი ასი წილი. ამას ეტყოდა ჴმითა: რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ. | 8. და სხუაჲ დავარდა ქუეყანასა კეთილსა და აღმოსცენდა და ყო ნაყოფი ასი წილი. ამას ეტყოდა ჴმითა: რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ. |
| 9. ჰკითხვიდეს მას მოწაფენი, ვითარმედ: რაჲ არს იგავი ესე? | 9. ჰკითხვიდეს მას მოწაფენი მისნი, ვითარმედ: რაჲ არს იგავი ესე? |
| 10. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: თქუენდა მოცემულ არს ცნობად საიდუმლოჲ სასუფეველისა ღმრთისაჲ, (F 129r) ხოლო სხუათა — იგავით, რაჲთა ხედვიდენ და ვერ იხილონ და ესმოდის და ვერ გულისხმა-ყონ[2]. | 10. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: თქუენდა მოცემულ არს ცნობად საიდუმლოჲ[2] სასუფეველისა ღმრთისაჲ, ხოლო სხუათა — იგავით, რაჲთა ხედვიდენ და ვერ იხილონ და ესმოდის და ვერ გულისჴმა-ყონ. |
| 11. (G 158v) ხოლო იგავი იგი ესე არს: თესლი იგი არს სიტყუაჲ ღმრთისაჲ. | 11. ხოლო იგავი იგი ესე არს: თესლი იგი არს სიტყუაჲ ღმრთისაჲ. |
| 12. ხოლო გზასა ზედა იგინი არიან, რომელთა ესმის, მერმე მოვიდის ეშმაკი და მოუღის სიტყუაჲ იგი გულისაგან მათისა, რაჲთა არა ჰრწმენეს და ცხონდენ. | 12. ხოლო გზასა ზედა იგინი არი(I 150r)ან, რომელთა ესმის, მერმე მოვიდის ეშმაკი და მოუღის სიტყუაჲ იგი გულისაგან მათისა, რაჲთა ა(H 168r)რა ჰრწმენეს და ცხონდენ. |
| 13. ხოლო რომელ-იგი კლდესა ზედა, — რომელთა-იგი რაჟამს ისმინიან, სიხარულით შეიწყნარიან სიტყუაჲ იგი, და ამათ[3] ძირი არა უბნ, რომელთა-იგი ჟამ ერთ ჰრწამნ და ჟამსა განსაცდელისასა განდგიან. | 13. ხოლო რომელ-იგი კლდესა ზედა, — რომელთა-იგი რაჟამს ისმინიან, სიხარულით შეიწყნარიან სიტყუაჲ იგი, და ამათ ძირი არა უბნ, რომელთა-იგი ჟამ ერთ ჰრწამნ და ჟამსა განსაცდელისასა განდგიან. |

---

[1] ცისათა\|ცისათი F. [2] გულისჴმა-ყონ F. [3] მათ F.

[1] მისსა K. [2] საიდუმლოჲ H.

FG

14. ხოლო რომელი-იგი ეკალთა შინა დავარდა, ესე არიან, რომელთა ისმინიან სიტყუაჲ და ზრუნვისაგან და სიმდიდრისა და გემოთაგან ამის სოფლისათა ვლენედ და შეაშთვიან და არა ნაყოფიერ იქმნიან.

15. ხოლო რომელ-იგი კეთილსა ქუეყანასა დაეთესა, — რომელთა გულითა კეთილითა და სახიერითა ისმინიან სიტყუაჲ და შეიკრძალიან და ნაყოფი გამოიღიან მოთმინებითა.

16. არავინ სანთელი აღანთის და დაფარის ჭურჭლითა, გინა ქუეშე ცხედარსა შედგიან, არამედ სასანთლესა ზედა (G 150r) დადგიან, რაჲთა შემავალნი იგი ნათელსა ჰხედვიდენ[1].

17. რამეთუ არა არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს, არცა სიადუმლოჲ, რომელი (F 128v) არა საცნაურ იყოს და ცხადად მოვიდეს.

18. იხილეთ უკუე, ვითარ-ეგე ისმენთ: რომელსა აქუნდეს, მიეცეს მას, და რომელსა არა აქუნდეს, და რომელ-ლა-იგი ჰგონიეს, ვითარმედ აქუს, მო-ვე-ღოს მას.

19. მოვიდეს მისა დედაჲ და ძმანი მისნი და ვერ ეძლო შემთხუევად მისა ერისა მისგან.

20. უთხრეს მას და ეტყოდეს: დედაჲ შენი და ძმანი შენნი გარეშე დგანან და ხილვაჲ[2] შენი ჰნებავს.

21. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: დედაჲ ჩემი და ძმანი ჩემნი ესენი არიან, რომელთა სიტყუაჲ ღმრთისაჲ ისმინონ და ყონ იგი.

22. და იყო ერთსა შინა დღესა[3] და თავადი შევიდა ნავსა, და მოწაფენი მისნი მის თანა, და ჰრქუა მათ: განვიდეთ წიაღკერძო ტბასა მას; და აღვიდეს.

HIK

14. ხოლო რომელი-იგი ეკალ(K 171r)თა შინა დავარდა, ესე არიან, რომელთა ისმინიან სიტყუაჲ და ზრუნვისაგან და სიმდიდრისა და გემოთაგან ამის სოფლისათა ვლენედ და შეაშთვიან და არა ნაყოფიერ იქმნიან.

15. ხოლო რომელი-იგი კეთილსა ქუეყანასა დაეთესა, ესე არიან, რომელთა გულითა კეთილითა და სახიერითა ისმინიან სიტყუაჲ და შეიკრძალიან და ნაყოფი გამოიღიან მოთმინებითა.

16. არავინ სანთელი აღანთის და დაფარის ჭურჭლითა, გინა ქუეშე[1] ცხედარსა შედგიან, არამედ სასანთლესა ზედა დადგიან, რაჲთა შემა(I 168v)ვალნი იგი ნათელსა ხედვიდენ.

17. რამეთუ არა არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს, არცა საიდუმლოჲ[2], რომელი (H 150v) არა საცნაურ იყოს და ცხადად მოვიდეს.

18. იხილეთ უკუე[3], ვითარ-ეგე ისმენთ: რომელსა აქუნდეს, მიეცეს მას, და რომელსა არა აქუნდეს, და რომელღა-იგი ჰგონიეს, ვითარმედ აქუს, მო-ვე-ღოს მას.

19. მოვიდეს მისა[4] დედაჲ და ძმანი მისნი და ვერ ეძლო შემთხუევად[5] (K 171v) მისა[4] ერისა მისგან.

20. უთხრეს მას და ეტყოდეს: დედაჲ შენი და ძმანი შენნი გარე დგანან და ხილვაჲ შენი ჰნებავს.

21. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: დედაჲ ჩემი და ძმანი ჩემნი ესე არიან, რომელთა სიტყუაჲ ღმრთისაჲ ისმინონ და ყონ იგი.

22. და იყო ერთსა შინა დღესა და თავადი შევიდა ნავსა, და მოწაფენი მისნი[6] მის თანა, და ჰრქუა მათ: განვიდეთ წიაღკერძო ტბასა მას; და აღვიდეს.

---

[1] ხედვიდენ G. [2] ხილვაჲ F. [3] დღჱსა G.

[1] ქ~შჱ HK, ქუჱშე I. [2] სა̈დუმლოჲ H, სი̈დუმლოჲ I. I-ს საჲ̈დუმლოჲ გაუსწორებია და სწორი საიდუმლოჲ დაუწერია, მაგრამ გასწორებისას იმანი (:) მექანიკურად დაეწერია უკვე გასწორებულ ი-ზე (საი̈დუმლოჲ). აქედან ჩანს, რომ I H-დან იწერს. [3] უკუჱ HIK. [4] მისსა K. [5] შემთხუჱვად I. [6] K-ში ეს სიტყვა გამორჩენიათ და მერმე ზემოდან დაუწერიათ ძალიან წვრილი ნუსხურით.

| FG | HIK |
|---|---|
| 23. და მი-რაჲ-ვი(G 169v)დოდეს იგინი ნავითა, მიეძინა. და გარდამოქდა არმური ქარისაჲ ზღუასა მას ზედა, და აღივსებოდა ნავი იგი, და იურვოდეს. | 23. და მი-რაჲ-ვიდოდეს[1] იგინი ნავითა, მიეძინა. და გარდამოჴდა არმური ქარისაჲ ტბასა მას ზედა, და ა(I 167r)ღივსებოდა ნავი იგი, და იურვოდეს. |
| 24. და მოვიდეს და განაღჳძეს და ეტყოდეს: მოძღუარ, წარვწყმდებით. ხოლო თავადი აღდგა და შეჰრისხნა ქარსა მას და ღელვასა წყალთასა; და დასცხრეს, და იყო დაყუდებაჲ დიდი. | 24. და მოვიდეს და განაღჳძეს და ეტყოდეს: მოძღუარ, მოძღუარ, წარვწყმდებით. ხოლო (H 167r) თავადი აღდგა და შეჰრისხნა ქარსა მას და ღელვასა წყალთასა; და დასცხრეს, და იყო დაყუდებაჲ დიდი. |
| 25. და ჰრქუა მათ: სადა არს (F 130r) სარწმუნოებაჲ თქუენი? ხოლო მათ შეეშინა და დაუკჳრდა[1] და იტყოდეს ურთიერთას[2]: ვინ-მე არს ესე, რამეთუ ქართაცა უბრძანებს და წყალთა, და ერჩიან მას? | 25. და ჰრქუა მათ: სადა არს სარწმუნოებაჲ თქუენი? ხოლო მათ შეე(K 172r)შინა და დაუკჳრდა და იტყოდეს ურთიერთას: ვინ-მე არს ესე, რამეთუ ქართაცა უბრძანებს და წყალთა, და ერჩიან მას? |
| 26. და განვიდეს სოფელსა მას გერგესეველთასა[3], რომელი არს წიაღკერძო გალილეასა. | 26. და განვიდეს სოფელსა მას გადარინელთასა[2], რომელ არს წიაღკერძო გალილეასა. |
| 27. და ვითარცა განვიდეს იგინი ქუეყანად, მო-ვინმე-ეგებეოდა კაცი ქალაქისაგან, რომლისა თანა იყვნეს ეშმაკნი, და მრავალ ჟამ სამოსელი[4] არა შეემოსა და სახლსა შინა არა იყოფოდა, არამედ საფლავებსა. | 27. და ვითარცა განვიდეს იგინი ქუეყანად, მო-ვინმე-ეგებეოდა კაცი ქალაქისაგან, რომლისა თანა იყვნეს ეშმაკნი; და მრავალ ჟამ სამოსელი არა შეემოსა და სახლსა შინა არა იყოფოდა, არამედ საფლავებსა. |
| 28. და ვითარცა იხილა მან იესუ, ღაღად-ყო[5] და შეუვ(G 160r)რდა ფერჴთა იესუჲსთა[6] და ჴმითა დიდითა იტყოდა: რაჲ ძეს[7] ჩემი და შენი, იესუ, ძეო ღმრთისა მაღლისაო? გევედრები, ნუ მტანჯავ მე. | 28. და ვითარცა იხილა მან იესუ, ღაღატ-ყო და შეუვრდა ფერჴთა მისთა და ჴმითა დიდითა იტყოდა: რაჲ ძეს ჩემი და შენი, იესუ, ძეო ღმრთისა მაღლისაო? (I 167v) გევედრები, ნუ მტანჯავ მე. |
| 29. რამეთუ უბრძანა სულსამ ას არაწმიდასა განსლვად კაცისა მისგან; რამეთუ მრავალ-გზის წარიტაცის იგი, და შებორკილიან იგი ჯაჭუთა და საკრეველითა და სცვედ, და განხეთქნის საკრეველნი და იდევნებინ ეშმაკისაგან უდაბნოდ. | 29. რამეთუ უბრძანა სულსა მას არაწმიდასა განსლვად კაცისა მისგან; რამეთუ მრავალ-გზის წარიტაცის იგი, და შებორკი(H 167v)ლიან იგი ჯაჭუთა და საკრეველითა (K 172v) და სცვედ, და განხეთქნის საკრეველნი და იდევნებინ ეშმაკისა მისგან უდაბნოთა. |
| 30. ჰკითხა მას იესუ: რაჲ არს სახელი შენი? ხოლო მან თქუა: ლეგეონ, რამეთუ ეშმაკნი მრავალნი შესრულ იყვნეს მისა. | 30. ჰკითხა მას იესუ: რაჲ არს სახელი შენი? ხოლო მან ჰრქუა: ლეგეონ, რამეთუ ეშმაკნი მრავალნი შესრულ იყვნეს მისა[3]. |

---

[1] უკჳრდა F. [2] ურთიერთარს F. [3] გერგესეველთა F. [4] სამუსელი F. [5] ღაღატ-ყო F. [6] ი̃ჳსთა F. [7] ძეს] არს F.

[1] მი-რაჲ-ვიდეს HI. [2] ღადარინელთასა K. [3] მისსა K.

| FG | HIK |
|---|---|
| 31. და ევედრებოდეს მას, რაჲთა არა უბრძანოს მათ უფსკრულთა შთასლვაჲ. | 31. და ევედრებოდეს მას, რაჲთა არა უბრძანოს მათ უფსკრულთა შთასლვაჲ. |
| 32. და იყო მუნ კოლტი[1] ღო(F 180v)რთაჲ მრავალი, მძოვარი[2] მთასა ზედა; და ევედრებოდეს მას, რაჲთა უბრძანოს მათ ღორებსა მას შესლვაჲ. და თავადმან უბრძანა მათ. | 32. და იყო მუნ კოლტი ღორთაჲ მრავალი, მძოვარი მთასა ზედა; და ევედრებოდეს მას, რაჲთა უბრძანოს მათ ღორებსა მას შესლვაჲ. და თავადმან უბრძანა მათ. |
| 33. და გამოვიდეს ეშმაკნი იგი კაცისა მისგან და შევიდეს ღორთა მათ. და მი(G 160v)იმართა ყოველმან მან კოლტმან კბოდესა ზღუად და დაიშთვნეს. | 33. და გამოვიდეს ეშმაკნი იგი კაცისა მისგან და შევიდეს ღორთა მათ. და მიიმართა ყოველმან მან კოლტმან კბოდესა მას ტბად და დაიშთვნეს. |
| 34. ვითარცა იხილეს მწყემსთა მათ საქმჱ[3] ესე, ივლტოდეს და შევიდეს და უთხრეს ქალაქსა და დაბნებსა. | 34. ვითარცა იხილეს მწყემსთა მათ საქმე ესე, ივლტოდეს და შევიდეს და უთხრეს (I 158r) ქალაქსა და დაბნებსა. |
| 35. და გამოვიდეს ხილვად, რომელი-იგი[4] იქმნა, და მოვიდეს იესუჲსა[5] და იხილეს კაცი იგი მჯდომარჱ[6], რომლისაგან ეშმაკნი იგი განსრულ იყვნეს, შემოსილი და გონიერი, ფერჴთა თანა იესუჲსთა[7], და შეეშინა. | 35. და გამოვიდეს ხილვად, რომელი-იგი იქმნა, და მოვიდეს იესუჲსა და იხილეს კაცი იგი მჯდომარე, რომლისაგან ეშმაკნი იგი განსრულ იყვნეს, შემ(H 158r)ოსილი და გონიერი, ფერჴთა თანა იესუჲსთა, და შეეშინა. |
| 36. რამეთუ უთხრეს, რომელთა-იგი ეხილვა, ვითარ-იგი ცხოვნდა[8] ეშმაკეული. | 36. რამეთუ უთხრეს, რომელთა-იგი ეხილვა, ვითარ-იგი ცხოვნდა[1] ეშმაკეული. |
| 37. და ევედრებოდა მას ყოველი იგი სიმრავლე გარემო სოფლებისაჲ[9] მის გერგესეველთაჲსაჲ[10], რაჲთა წარვიდეს საზღვართაგან მათთა, რამეთუ შიშითა დიდითა შეპყრობილ იყვნეს. ხოლო თავადი შევიდა ნავსა და მიიქცა მუნვე. | 37. და ევედრებოდეს მას ყოველი იგი სიმრავლე გა(K 170r)რემო სოფლებისაჲ მის გადარინელთაჲსაჲ[2], რაჲთა წარვიდეს მათგან, რამეთუ შიშითა დიდითა შეპყრობილ იყვნეს. ხოლო თავადი შევიდა ნავსა და მიიქცა მუნვე. |
| 38. ევედრებოდა მას კაცი იგი, რომლისაგან ეშმაკნი განსრულ[11] იყვნეს, რაჲთა იყოს მის თანა. ხოლო თავადმან განუტევა იგი და ჰრქუა: | 38. ევედრებოდა მას კაცი იგი, რომლისაგან ეშმაკნი განსრულ იყვნეს, რაჲთა იყოს მის თანა. ხოლო თავადმან განუტევა იგი და ჰრქუა: |
| 39. მიიქეც სახიდ შენ(G 161r)და და მიუთხარ, რაოდენი[12] გიყო შენ ღმერთმან. და წარვიდა (F 181r) და ყოველსა მას ქალაქებსა ქადაგებდა, რაჲ-იგი უყო მას[13] იესუ. | 39. მიიქეც სახიდ შენდა და მიუთხარ, რაოდენი გიყო შენ ღმერთმან. და წარვიდა ყოველსა მას ქალაქებსა და ქადაგებდა, რაჲ-იგი ყო მისთჳს იესუ. |

---

[1] კულტი G. [2] მძოარი F. [3] საქმე F. [4] რომელ-იგი G. [5] ი͞ჳსა F. [6] მჯდომარე F. [7] ი͞ჳსთა F. [8] ცხონდა G. [9] სოფლებისა G. [10] გერგესეველთაჲსა FG. [11] განსრულ] განსხმულ G. [12] რავდენი F. [13] უყო მას] ყო მისთჳს G.

[1] ცხონდა K. [2] ღადარინელთაჲსაჲ K.

| FG | HIK |
|---|---|
| 40. და მიქცევასა მას იესუჲსსა[1] მუნვე შეიწყნარა იგი ერმან მან, რამეთუ მოელოდეს მას. | 40. და იყო მიქცევასა მას იესუჲსსა[1] მუნვე შეიწყნარა იგი (**I 158ⴅ**) ერმან მან, რამეთუ ყოველნივე მოელოდეს მას. |
| 41. და აჰა ესერა მოვიდა კაცი, და სახელი მისი იაჲროს, და ესე მთავარი იყო შესაკრებლისაჲ[2]; და დავარდა ფერჴთა თანა იესუჲსთა[3] და ევედრებოდა მას, რაჲთა შევიდეს სახედ[4] მისა. | 41. და აჰა ესერა მოვიდა კაცი, და სახელი მისი იაიროს[2], და ესე მთავარი იყო შესაკრებელისაჲ; და დავარდა ფერჴთა თანა იესუჲსთა და ევედრებოდა მას, (**H 158ⴅ**) რაჲთა შევიდეს სახლსა მისსა. |
| 42. რამეთუ ასული მარტოჲ ესუა მას, რომელი იყო ათორმეტის წლის, და იგი მოკუდებოდა. და მისლვასა მას მისსა ერი იგი შეკრბებოდა მისა. | 42. რამეთუ ასული მარტოჲ ესუა მას, რომელი იყო ათორმეტის წლის, და იგი მო(**K 173ⴅ**)კუდებოდა. და მისლვასა მას მისსა ერი იგი შეკრბებოდა მისა[3]. |
| 43. და იყო ვინმე დედაკაცი წყაროჲთა სისხლისაჲთა ათორმეტით წლითგან, რომელი ვერვისგან განიკურნა. | 43. და იყო ვინმე დედაკაცი წყაროჲთა სისხლისაჲთა ათორმეტით წლითგან, რომელსა ყოველი მონაგები მისი წარეგო მკურნალთა ზედა, და ვერვის განეკურნა. |
| 44. და მოვიდა ზურგით კერძო და შეახო ფესუსა სამოსლისა[5] მისისასა. და მეყსეულად დასცხრა (**G 101ⴅ**) წყაროჲ იგი სისხლისა მისისაჲ[6]. | 44. და მოვიდა ზურგით კერძო და შეახო ფესუსა სამოსლისა მისისასა. და მეყსეულად დასცხრა წყაროჲ იგი სისხლისა მისისაჲ. |
| 45. და თქუა იესუ: ვინ შემახო მე? და ვითარცა ყოველნი უვარებდეს, ჰრქუა პეტრე: მოძღუარ, ერნი გარე მოგადგან შენ და შეგაიწრებენ შენ[7], და შენ იტყჳ: ვინ შემახო მე? | 45. და[4] თქუა იესუ: ვინ შემახო მე? და ვითარცა უვარ-ჰყოფდეს ყოველნი, ჰრქუა პეტრე და მისთანათა: მოძღუარ, ერნი გარე მოგადგან და შეგაიწრებენ შენ, და შენ იტყჳ: ვინ შემახო მე? |
| 46. ხოლო იესუ ჰრქუა: შე-ვინმე-მახო[8] მე, რამეთუ მე ვცან ძალი, განსრული ჩემგან. | 46. ხოლო იესუ ჰრქუა: შე-ვინმე-(**I 150ⴐ**)მახო მე, რამეთუ მე ვცან ძალი, განსრული ჩემგან. |
| 47. და იხილა რაჲ დედაკაცმან მან[9], რამეთუ არა დაეფარა, მოვიდა ძრწოლით და შეუვრდა მას და რომლისა ბრალისათჳს შეახო, უთხრა წინაშე ყოველისა ერისა, (**F 131ⴅ**) და ვითარ-იგი მეყსეულად განიკურნა. | 47. და იხილა რაჲ დედაკაცმან მან, რამეთუ არა დაეფარა, მოვიდა ძრწოლით და შეუვრდა მას და, რომლისა ბრალისათჳს შე(**K 174ⴐ**)ახო, უთხრა წინაშე ყოველი(**H 160ⴐ**)სა ერისა, და ვითარ-იგი მეყსეულად განიკურნა. |
| 48. ხოლო იესუ ჰრქუა მას: ასულო, სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ, ვიდოდე მშჳდობით! | 48. ხოლო იესუ ჰრქუა მას: ნუ გეშინინ, ასულო, სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ, ვიდოდე მშჳდობით! |
| 49. და ვითარ იგი ეტყოდა ოდენ, მო-ვინმე-ვიდა შესაკრებლის-მთავრისაჲ[10] | 49. და ვითარ იგი ეტყოდა ოდენ, მო-ვინმე-ვიდა შესაკრებელის-მთავრი- |

---

[1] ი˜ჳსა F, ი˜ჳჲსა G. [2] შესაკრებელისაჲ G. [3] ი˜ჳსთა F. [4] სახიდ G. [5] სამუსლისა F. [6] მისისაჲ G (უქარაგმოდ). [7] შენ] — G. [8] შე-ვინ-მახო F. [9] მან] — F. [10] შესკ˜რ˜ბლის-მთავრისა F, შესაკრებელის-მთავრისა G.

[1] იესუჲსა HI. [2] იაიროს K. [3] მისსა K. [4] და] — K. [5] დ˜ არა ჩანს, არც დიდი და არც პატარა

FG

მის და ჰრქუა მას, ვითარმედ: ასული შენი მოკუდა, ნუ დააშურობ[1] მოძღუარსა.

50. ხოლო იესუს ვითარცა ესმა, ჰრქუა მას: ნუ გეშინინ, გარნა გრწმენინ, და ცხონდეს იგი.

51. (G 162r) და ვითარცა მოვიდა იესუ სახლსა მას, არავინ უტევა შესლვად მის თანა, გარნა პეტრე და იაკობ და იოვანე[2] და მამაჲ და დედაჲ მის ყრმისაჲ.

52. სტიროდეს მას ყოველნი და ეტყებდეს. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: ნუ სტირთ, რამეთუ ყრმაჲ ეგე არა მომკუდარ არს, არამედ სძინავს.

53. ხოლო იგინი ჰბასრობდეს მას, უწყოდეს, რამეთუ მომკუდარ იყო.

54. და თავადმან გამოასხა ყოველი და უპყრა ჴელი ყრმისაჲ მის და ჴმა-უყო[3]: ყრმაო, აღდეგ!

55. და მოიქცა სული მისი, და მეყსეულად აღდგა. და უბრძანა, რაჲთა სცენ მას ჭამადი.

56. და განუკჳრდებოდა მამა-დედათა მისთა. ხოლო თავადმან ამცნო მათ, რაჲთა არავის უთხრან საქმჱ[4] იგი.

HIK

საჲ[1] მის და ჰრქუა მას, ვითარმედ: ასული შენი მოკუდა, ნუ დააშრობ მოძღუარსა.

50. ხოლო იესუს ვითარცა ესმა, ჰრქუა მას: ნუ გეშინინ, გარნა გრწმენინ, და ცხონდეს იგი.

51. და ვითარცა მოვიდა იესუ სა˜ლსა მას, არავინ უტევა შესლვად მის თანა, გარნა პეტრე და იაკობ და იოვანე და მამაჲ და დედაჲ მის ყრმისაჲ.

52. სტიროდეს მას ყოველნი და ეტყებდეს. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: ნუ სტირთ, რამეთუ ყრმაჲ ეგე არა მომკუდარ არს, არამედ სძინავს.

53. ხოლო იგინი ჰბასრობდეს მას, უწყოდეს, რამეთუ (I 160v) მომკუდარ იყო.

54. და თავადმან გამოასხა ყოველი და უპყრა ჴელი ყრ(K 174v)მისაჲ მის და ჴმა-უყო: ყრმაო, აღდეგ!

55. და მოიქცა სული მისი, და მეყსეულად აღდგა. და უბრძანა, რაჲთა სცენ მას ჭამადი.

56. (H 159v) და განუკჳრდებოდა მამა-დედათა მისთა. ხოლო თავადმან ამცნო მათ, რაჲთა არავის უთხრან საქმე იგი.

## 9

1. და მოუწოდა ათორმეტთა მათ და მისცა ძალი და ჴელმწიფებაჲ[5] ყოველთა ზედა ეშმაკთა და (F 132r) სენთა განკურნებაჲ.

2. და წარავლინნა იგინი ქადაგებად სასუფეველსა ღმრთისასა და განკურ(G 162v)ნებად უძლურთა.

3. და ჰრქუა მათ: ნურარაჲ[6] გაქუნ გზასა ზედა, ნუცა ვაშკარანი, ნუცა პური, ნუცა ვეცხლი, ნუცა ორი სამოსელი[7] გაქუნ.

1. და მოუწოდა იესუ ათორმეტთა მათ მოწაფეთა თჳსთა და მისცა მათ ძალი და ჴელმწიფებაჲ ყოველთა ზედა ეშმაკთა და სენთა განკურნებაჲ.

2. და წარავლინნა იგინი ქადაგებად სასუფეველსა ღმრთისასა და განკურნებად უძლურთა.

3. და ჰრქუა მათ: ნურარაჲ გაქუნ გზასა ზედა, ნუცა კუერთხი[2], ნუცა ვაშკარანი, ნუცა პური, ნუცა ვეცხლი, ნუცა ორი სამოსელი გაქუნ.

---

[1] დააშრობ F. [2] ი˜ნჱ G. [3] ჴმა-ყო G. [4] საქმე F. [5] ჴელმწიფჱბაჲ G. [6] ნურაჲ G. [7] სამუსელი F.

[1] შესაკრებლის-მთავრისაჲ K. [2] კუჱრთხი HI.

| FG | HIK |
|---|---|
| 4. და რომელსაცა სახლსა შეხჳდეთ, მუნ დაადგერით და მიერ გამოვედით[1]. | 4. და რომელსაცა სახლსა შეხჳდეთ, მუნ დაადგერით და მიერ გამოვედით. |
| 5. და რაოდენთა[2] არა შეგიწყნარნენ თქუენ, და გამო-რაჲ-ხჳდოდით მიერ ქალაქით, მტუერი ფერჴთაგან თქუენთა განიყარეთ საწამებელად მათა. | 5. და რაოდენთა[1] არა შეგიწყნარნენ თქუენ, გამო-რაჲ-ხჳდოდით მიერ ქალაქით, მტუერი[2] ფერჴთა თქუენთაგან განიყარეთ საწამებელად მათა[3]. |
| 6. და გამო-რაჲ-ვიდეს, მიმოვიდოდეს დაბნებსა მას და ახარებდეს და განჰკურნებდეს სნეულთა ყოველთა ადგილთა. | 6. (I 160r) და გამო-რაჲ-ვიდეს, მიმოვიდოდეს დაბნებსა მას და ახარებდეს და განჰკურნებდეს სნეულთა ყოველთა ადგილთა. |
| 7. ესმნეს[3] ჰეროდეს მეოთხედ მთავარსა საქმენი[4] იგი, რომელნი მის მიერ იქმნებოდეს, და განიზრახვიდა[5], რამეთუ იტყოდეს ვინმე, ვითარმედ: იოვანე[6] ნათლის-მცემელი აღდგომილ არს მკუდრეთით. | 7. ესმნეს ჰეროდეს მეოთხედ მთავარსა ყოველნი (H 160r) იგი საქმენი, რომელნი მის მიერ იქმნებ(K 175r)ოდეს, და განიზრახვიდა, რამეთუ იტყოდეს ვინმე, ვითარმედ: იოვანე ნათლის-მცემელი აღდგომილ არს მკუდრეთით. |
| 8. ხოლო რომელნიმე იტყოდეს: ელია გამოჩნდა; და სხუანი იტყოდეს: წინაწარმეტყუელი ვინმე პირველთაგანი აღდგომილ არს. | 8. ხოლო რომელნიმე იტყოდეს: ელია გამოჩნდა; და სხუანი იტყოდეს: წინაწარმეტყუელი ვინმე პირველთაგანი აღდგომილ არს. |
| 9. (G 103r) ხოლო ჰეროდე თქუა: იოვანეს[7] მე თავი მოვჰკუეთე, ხოლო ესე ვინ არს, რომლისათჳს ესევითარი მესმის, არა ვიცი. და უნდა ხილვაჲ მისი. | 9. ხოლო ჰეროდე თქუა: იოვანეს მე თავი მოვჰკუეთე[4], ხოლო ესე ვინ არს, რომლისათჳს ესევითარი მესმის, არა ვიცი. და უნდა ხილვაჲ მისი. |
| 10. და მოიქცეს მოციქულნი და უთხრეს იესუს, რაოდენი[8] (F 132v) ქმნეს. და წარიყვანნა იგინი და განეშორა თჳსაგან ადგილსა ქალაქისასა, რომელსა ჰრქჳან[9] ბეთსაიდა. | 10. და მოიქცეს მოციქულნი და უთხრეს იესუს, რაოდენი ქმნეს. და წარიყვანნა იგინი და განეშორა თჳსაგან ადგილსა უდაბნოსა ქალაქისასა, რომელსა ჰრქჳან ბეთსაიდაჲ[5]. |
| 11. ხოლო ერმან მან აგრძნა და მისდევდეს მას. და შეიმთხჳნნა[10] იგინი და ეტყოდა მათ სასუფეველისათჳს ღმრთისაჲსა[11], და რავდენთა უჴმდა განკურნებაჲ, განჰკურნებდა. | 11. ხოლო ერმან მან აგრძნა და მისდევდეს მას. და შეიმთხჳნა იგინი და ეტყოდა მათ სასუფეველისათჳს ღმრთისა, და რაოდენთა უჴმდა განკურნებაჲ, განჰკურნებდა. |
| 12. და ვითარცა იწყო დღემან[12] მიდრეკად, მოვიდეს მოწაფენი და ჰრქუეს მას: განუტევე ერი ესე, რაჲთა წარვიდენ გარემო დაბნებსა და აგარაკებსა და დაადგრენ მუნ და პოვონ[13] საზრდელი თავისა მათისა, რამეთუ აქა უდაბნოსა ადგილსა ვართ. | 12. და ვითარცა იწყო დღე(I 160v)მან მიდრეკად, მოვიდეს ათორმეტნი იგი და ჰრქუეს მას: განუტევე ერი ესე, რაჲთა წარვიდენ გარემო დაბნებსა და აგარაკებსა და დაადგრენ მუნ და პოონ საზრ(H 160v)დელი თავისა მათისაჲ, რამეთუ აქა უდაბნოსა ადგილსა ვართ. |

---

[1] და მიერ გამოვედით] — G. [2] რავდენთა F. [3] ესმა FG. [4] საქმე F, საქმჱ G. [5] განიზრახვიდეს F. [6] ი̅ნჱ G. [7] ი̅ნჱს G. [8] რავდენი F. [9] ჰქჳან F. [10] შეიმთხჳნა F. [11] ღმრთისა G. [12] დღჱმან G. [13] პოონ F.

[1] რავდენთა HI. [2] მტუჱრი HI. [3] მათდა K. [4] მოჰკუეთე HI. [5] ბჱთსაიდაჲ H.

| FG | HIK |
|---|---|
| 13. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: თქუენ (G103v) ეცით მაგათ ჭამადი. და მათ ჰრქუეს: არა არს ჩუენ თანა უფროჲს, გარნა ხუთი კუეზაჲ პური და ორი თევზი; გარნა თუ ჩუენ წარვიდეთ და უყიდოთ ყოველსა ამას ერსა საზრდელი? | 13. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: თქუენ ეცით მაგათ ჭამადი. და მათ ჰრქუეს: არა არს ჩუენ თანა უფროჲს, გარნა ხუთი კუეზაჲ[1] პური და ორი თევზი; (K 175v) გარნა თუ ჩუენ წარვიდეთ და უყიდოთ ყოველსა ამას ერსა საზრდელი? |
| 14. რამეთუ იყვნეს კაცნი ვითარ ხუთ ათას ოდენ. ჰრქუა იესუ მოწაფეთა თჳსთა: დასხით კაცები ეგე პურისმტედ-პურისმტედ[1] ერგასისეული. | 14. რამეთუ იყვნეს კაცნი იგი ვითარ ხუთ ათას ოდენ. ჰრქუა იესუ მოწაფეთა თჳსთა: დასხით კაცები ეგე პურისმტედ-პურისმტედ ერგასეული. |
| 15. და[2] მათ ყვეს ეგრე[3] და დასხეს იგი ყოველი. | 15. და მათ ყვეს ეგრე და დასხეს ყოველი იგი ერი. |
| 16. ხოლო თავადმან მოიღო ხუთი იგი პური და ორი თევზი და აღიხილნა თუალნი ზეცად და აკურთხნა იგინი და დამუ(F133r)სრა[4] და მისცემდა მოწაფეთა, რაჲთა დაუგონ ერსა მას. | 16. ხოლო თავადმან მოიღო ხუთი იგი პური და ორი თევზი და აღიხილნა თუალნი ზეცად და აკურთხნა იგინი და დამუსრა და მისცემდა მოწაფეთა, რაჲთა დაუგონ ერსა მას[2]. |
| 17. და ჭამეს და განძღეს ყოველნი; და აღიღეს, რომელ-იგი დაუშთა მათ ნამუსრევი, ათორმეტი გოდორი. | 17. და ჭამეს და განძღეს ყოველნი; და აღიღეს, რომელ-იგი დაუშთა მათ ნამუსრევი, ათორმეტი გოდორი. |
| 18. და იყო ლოცვასა მას მისსა თჳსაგან, და[5] მის თანა იყვნეს მოწაფენი. და ჰკითხვიდა მათ და ჰრქუა: ვინ ვჰგონიე მე ერსა ამას? რაჲ თქუან ჩემთჳს ყოფად? | 18. (I 101r) და იყო ლოცვასა მას მისსა თჳსაგან მის თანა იყ(K 176r)ვნეს მოწაფენი. ჰკითხვიდა მათ და ჰრქუა: ვინ ვჰგონიე მე ერსა ამას (H 101r) და რაჲ თქუან ჩემთჳს ყოფად? |
| 19. ხოლო მათ მიუგეს და (G104r) ჰრქუეს: იოვანე[6] ნათლის-მცემელი; და სხუათა—ელია; და რომელნიმე იტყჳან: წინაწარმეტყუელი ვინმე პირველთაგანი აღდგომილ არს. | 19. ხოლო მათ მიუგეს და ჰრქუეს[3]: იოვანე ნათლის-მცემელი; და სხუათა—ელია; და რომელნიმე იტყჳან: წინაწარმეტყუელი ვინმე პირველთაგანი აღდგომილ არს. |
| 20. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: თქუენ ვინ გგონიე მე? მიუგო პეტრე და ჰრქუა: ცხებული ღმრთისაჲ. | 20. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: თქუენ ვინ გგონიე მე? მიუგო პეტრე და ჰრქუა: ცხებული ღმრთისაჲ. |
| 21. ხოლო თავადმან შეჰრისხნა მათ და ამცნო, რაჲთა არავის უთხრან ესე. | 21. ხოლო თავადმან შეჰრისხნა მათ და ამცნო, რაჲთა არავის უთხრან ესე. |
| 22. და ჰრქუა ვითარმედ: ჯერ-არს ძისა კაცისა ფრიად ვნებაჲ და შეურაცხ-ყოფაჲ მოხუცებულთაგან და მღდელთ-მოძღუართა და მწიგნობართა და მოკლვად და მესამესა დღესა აღდგომად. | 22. და ჰრქუა მათ, ვითარმედ: ჯერ-არს ძისა კაცისაჲ ფრიად ვნებაჲ და შეურაცხ-ყოფაჲ მოხუცებულთაგან და მღდელთ-მოძღუართა და მწიგნობართა და მოკლვად და მესამესა დღესა აღდგომად. |
| 23. და ეტყოდა ყოველთა: რომელსა უნებს შემოდგომად ჩემდა, უვარ-ყავნ[7] | 23. და იტყოდა ყოველთა მიმართ: რომელსა უნებს შემოდგომად ჩემდა, |

---

[1] პურისტედ-პურისტედ FG. შდრ. მრ. 6,39. [2] და] — F. [3] ეგრჱ G. [4] დამუსრნა G. [5] და] — G. [6] ი̄ნჱ G. [7] უარ-ყავნ F.

[1] კუჱზაჲ HI. [2] მას] — HI. [3] ჰკ́ჱს I.

| FG | HIK |
|---|---|
| თავი თჳსი და აღიღენ ჯუარი თჳსი დღითი-დღედ და მომდევდინ მე. | უვარ-ყავნ თავი თჳსი და აღიღენ ჯუარი თჳსი და მომდევდინ მე. |
| 24. რამეთუ რომელსა უნდეს თავი თჳსი განრინებად, წარიწყმიდოს იგი; და რომელმან წარიწყმიდოს თავი თჳსი ჩემთჳს, მან პოვოს[1] იგი. | 24. რამეთუ რომელსა უნდეს განრინებად სულისა თჳსისა, წარიწყმიდოს იგი; და რომელმან წარიწყმიდოს სული თჳსი ჩემთჳს, მან პოოს იგი. |
| 25. (**F 133v**) რაჲ სარგებელ არს კაცისა, შე-თუ-იძინოს სო(**G 164v**)ფელი ყოველი და თავი თჳსი წარიწყმიდა, გინა იზღვია? | 25. რაჲ სარგებელ არს (**I 161v**) კაცისა, შე-თუ-იძინოს სოფელი ყოველი და თავი თჳსი წარიწყმიდოს, გინა იზღვიოს? |
| 26. რომელსა სირცხჳლ უჩნდეს ჩემდა მომართ და სიტყუათა ჩემთაჲ, ამას ძემან კაცისამან არცხჳნოს, ოდეს მოვიდეს დიდებითა თჳსითა[2] და მამისაჲთა[3] და წმიდათა ანგელოზთაჲთა[4]. | 26. რომელსა სირცხჳლ უჩნ(**H 101v**)დეს ჩემდა მომართ და სიტყუათა ჩემთაჲ, (**K 170v**) ამას ძემანცა კაცისამან არცხჳნოს, ოდეს მოვიდეს დიდებითა თჳსითა და მამისაჲთა და წმიდათა ანგელოზთაჲთა. |
| 27. გეტყჳ თქუენ ჭეშმარიტად: არიან ვინმე მანდა მდგომარეთაგანნი, რომელთა არა იხილონ გემოჲ სიკუდილისაჲ, ვიდრემდე იხილონ სასუფეველი ღმრთისაჲ. | 27. გეტყჳ თქუენ: არიან ვინმე აქა მდგომარეთაგანნი, რომელთა არა იხილონ გემოჲ სიკუდილისაჲ, ვიდრემდე იხილონ სასუფეველი ღმრთისაჲ. |
| 28. და იყო შემდგომად სიტყუათა ამათ ვითარ რვა ოდენ დღე[5], და წარიყვანნა იესუ პეტრე და იაკობ და იოვანე[6] და აღვიდა მთასა ლოცვად. | 28. და იყო შემდგომად სიტყუათა ამათ ვითარ რვა ოდენ დღე, და წარიყვანნა იესუ პეტრე და იაკობ და იოვანე და აღვიდა მთასა ლოცვად. |
| 29. და იყო ლოცვასა მას მისსა ხილვაჲ პირისა მისისაჲ სხუა, და სამოსელი[7] მისი სპეტაკ[8] და[9] ელვარე[10]. | 29. და იყო ლოცვასა მას მისსა[1] ხილვაჲ პირისა მისისაჲ სხუა, და სამოსელი მისი სპეტაკ და ელვარე. |
| 30. და აჰა ესერა ორნი კაცნი მის თანა ზრახვიდეს, რომელნი იყვნეს მოსე და ელია, | 30. და აჰა ესერა ორნი კაცნი მის თანა ზრახვიდეს, რომელნი იყვნეს მოსე და ელია. |
| 31. რომელნი გამოჩნდეს დიდებითა და იტყოდეს განსლვასა მას[11] მისსა, რომელი[12] (**G 165r**) ეგულებოდა აღსრულებად იერუსალჱმს. | 31. რომელნი გამოჩნდეს დიდებითა და იტყოდეს განსლვასა მას მისსა, რომელი ეგულებ(**K 177r**)ოდა აღსრულებად იერუსალჱმს[2]. |
| 32. ხოლო პეტრე და მისთანანი დამძიმებულ იყვნეს ძილითა; ხოლო განრაჲ-ილჳძეს, იხილეს დიდებაჲ მისი და ორნი კაცნი მის თანა მდგომარენი. | 32. ხოლო პეტრე და მისთანანი დამძიმებულ იყვნეს ძილითა; ხოლო განრაჲ-ილჳძეს, იხილეს დიდებაჲ (**I 162r**) მისი და ორნი კაცნი მის თანა მდგომარენი. |

---

[1] პოოს F. [2] თჳსი G. [3] მამს̃თა F. [4] ანგლზთ̃თა F. [5] დღჱ G. [6] ი̃ნჱ G. [7] სამუსელი F. [8] სპეტკ F (უქარაგმოდ). [9] და] — F. [10] ელვარჱ G. [11] მას] — F. [12] რომელი] რამეთუ FG.

[1] მისა HI. [2] ი̃ჱლემს HI, ი̃ჱლმს K.

| FG | HIK |
|---|---|
| 33. და იყო განშორებასა მას მათსა მისგან ჰრქუა პეტრე იესუს: მოძღუარ, კეთილ არს (F 134r) ჩუენდა აქა ყოფაჲ, ვქმნეთ აქა სამ ტალავარ: ერთი შენდა, ერთი მოსესა და ერთი ელიაჲსა, — რამეთუ არა იცოდა, რასა იტყოდა. | 33. და იყო განშორებასა მას[1] მათსა მისგან ჰრქუა (H 102r) პეტრე იესუს: მოძღუარ, კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფაჲ, და ვქმნეთ აქა სამ ტალავარ: ერთი შენდა და ერთი მოსესა[2] და ერთი ელიაჲსა[3], — რამეთუ არა იცოდა, რასა იტყოდა. |
| 34. და ვითარცა ამას იტყოდა, აჰა ღრუბელი აგრილობდა მათ, და შეეშინა მათ შესლვად ღრუბელსა მას. | 34. და ვითარცა ამას იტყოდა, აჰა ღრუბელი აგრილობდა მათ, და შეეშინა მათ შესლვად ღრუბელსა მას. |
| 35. და ჴმაჲ იყო ღრუბლით გამო: ესე არს ძჱ[1] ჩემი საყუარელი[2], ამისი ისმინეთ. | 35. და ჴმაჲ იყო ღრუბლით გამო: ესე არს ძე ჩემი საყუარელი, ამისი ისმინეთ. |
| 36. და ესე რაჲ იყო ჴმაჲ, იპოვა[3] იესუ მარტოჲ და მათ დაიდუმეს და არაჲ ვის[4] უთხრეს მათ დღეთა შინა, რომელ-იგი იხილეს. | 36. და ესე რაჲ იყო ჴმაჲ, იპოვა[4] იესუ მარტოჲ. და მათ დაიდუმეს და არაჲ ვის უთხრეს მათ დღეთა შინა, რომელ-იგი იხილეს. |
| 37. და იყო მერმესა დღესა გარდამოსლვასა მათსა მიერ მთით მოეგებვოდა მას ერი მრავალი. | 37. და იყო მერმესა დღესა გარდამოსლვასა მათსა მიერ მთით მოეგებვოდა მას ერი მრავალი. |
| 38. (G 165v) და აჰა კაცმან ვინმე ღალად-ყო[5] ერსა მას შორის და თქუა: მოძღუარ, გევედრები შენ, მოიხილე ძესა ზედა ჩემსა, რამეთუ ეგე ხოლო მარტოჲ მივის. | 38. და აჰა კაცმან ვინმე ღაღატ-ყო ერსა მას შორის და თქუა: მოძღუარ, გევედრები შენ, მოიხილე ძესა ზედა ჩემსა, რამეთუ ესე ხოლო მარტოჲ მივის. |
| 39. და სულმან უკეთურმან შეიპყრა ეგე, და მეყსეულად ღალად-ყვის[6], და[7] დაჰკუეთის ეგე[8], და პეროვინ[9], და ძნიად განეშორის[10] მისგან და შემუსრის იგი. | 39. და სულმან უკეთურმან შეიპყრის იგი, და მეყსეულად ღაღატ-ყვის, და დააკუეთის[5] იგი, (I 102v) და პერონ, (K 177v) და ძნიად განეშორის მისგან და შემუსრის იგი. |
| 40. და ვევედრე მოწაფეთა შენთა, რაჲთამცა განაშორეს[11] იგი, და ვერ შეუძლეს. | 40. და ვევედრე მოწაფეთა შენთა, რაჲთამცა განაშო(H 102v)რეს იგი, და ვერ შეუძლეს. |
| 41. ხოლო იესუ თქუა: ჵ ნათესავი გულარძნილი! ვიდრემდე ვიყო თქუენ თანა და თავს-ვიდებდე თქუენსა? (F 134v) მომგუარე[12] მე აქა ძჱ შენი! | 41. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა: ჵ ნათესავი ურწმუნოჲ და გულარძნილი! ვიდრემდე ვიყო თქუენ თანა და თავს-ვიდებდე თქუენსა? მომგუარე მე აქა ძე შენი! |
| 42. და ვიდრე იგი მოვიდოდა, დაჰკუეთა იგი ეშმაკმან მან და აძრწოლებდა მას. | 42. და ვიდრე იგი მოვიდოდა, დააკუეთა[6] იგი ეშმაკმან მან და აძრწოლებდა |

---

[1] ძე F. [2] საყუარელი] რჩეული G. [3] იპოვ F. [4] არაჲ ვის] არავის G. [5] ღაღატ-ყო F. [6] ღაღატ-ყვის F. [7] და\|და F. [8] იგი G. [9] პერონ F. [10] განეშოვრის G. [11] განაშოვრეს G. [12] მომგუარჱ G.

[1] მას] — K. [2] მოსესსა K. [3] ელიაჲსსა K. [4] იპოვ HI. [5] დააკუეთის HI. [6] დააკუეთა HI.

| FG | HIK |
|---|---|
| შეჰრისხნა იესუ სულსა მას არაწმიდასა, და განიკურნა ყრმაჲ[1] იგი, და მისცა იგი მამასა თჳსსა. | მას. შეჰრისხნა იესუ სულსა მას არაწმიდასა და განკურნა ყრმაჲ იგი და მისცა მამასა თჳსსა. |
| 43. და განუკკრდებოდა[2] ყოველთა დიდებასა მას ზედა ღმრთისასა, და ყოველნი დაკკრვებულ იყვნეს ყოველსა მას ზედა, რომელსა იქმოდა იესუ. (G 166r) ხოლო იესუ ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა: | 43. და განუკკრდებოდა ყოველთა დიდებასა მას ზედა ღმრთისასა, და ყოველნი დაკკრვებულ იყვნეს ყოველსა მას ზედა, რომელსა იქმოდა იესუ[1]. ხოლო იესუ ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა. |
| 44. დაისხენით თქუენ სიტყუანი ესე ყურთა თქუენთა, რამეთუ ძჱ კაცისაჲ მიცემად არს ჴელთა კაცთასა. | 44. დაისხენით თქუენ[2] სიტყუანი ესე[3] ყურთა თქუენთა, რამეთუ ძე კაცისაჲ მიცემად არს ჴელთა კაცთასა. |
| 45. ხოლო იგინი უმეცარ იყვნეს სიტყუასა ამას ზედა, და იყო დაფარულ მათგან, რაჲთა ვერ გულისხმა-ყონ[3] იგი, და ეშინოდა მათ კითხვად მისა სიტყჳსა ამისთჳს. | 45. ხოლო იგინი უმეცარ იყვნეს სიტყუასა ამას ზედა, და იყო დაფარულ მათგან, რაჲთა ვერ გულისჴმა-ყონ იგი, და ეშინო(K 178r)და მათ კითხვად მისა[4] სიტყჳსა ამისთჳს[5]. |
| 46. შევიდა მათა გულის-სიტყუაჲცაჲ: ვინ-ძი იყოს უდიდეს შორის მათსა[4]? | 46. შევიდა მათდა გულის(I 108r)-სიტყუაჲცაჲ: ვინ-ძი უდიდეს იყოს შორის მათსა? |
| 47. ხოლო იესუ იცნოდა გულის-ზრახვანი მათნი და მოიყვანა ყრმაჲ და დაადგინა იგი წინაშე მისა[5] | 47. ხოლო იესუ იცნოდა[6] გულის-ზრახვანი მათნი (H 168r) და მოიყვანა ყრმაჲ და დაადგინა იგი წინაშე მათსა |
| 48. და თქუა: რომელმან შეიწყნაროს ესე ყრმაჲ სახელითა ჩემითა, მე შემიწყნარა; და რომელმან მე შემიწყნაროს, შეიწყნაროს მომაელინებელი ჩემი. ხოლო უმცირესი თქუენ ყოველთა შორის იგი არს დიდ. | 48. და ჰრქუა მათ: რომელმან შეიწყნაროს ესე ყრმაჲ სახელითა ჩემითა, მე შემიწყნარა; და რომელმან მე შემიწყნაროს, შეიწყნაროს მომავლინებელი ჩემი. ხოლო უმცირესი თქუენ ყოველთა შორის იგი არს დიდ. |
| 49. მიუგო იოვანე[6] და ჰრქუა: მოძღუარ, ვიხილეთ ვინმე, რომელი სახელითა შენითა ეშმაკთა განასხმიდა, და ჩუენ ვაყენებდით მას[7], რამეთუ (F 185r) არა შემოგჳდგს[8] ჩუენ თანა. | 49. მიუგო იოვანე და ჰრქუა: მოძღუარ, ვიხილეთ ვინმე, რომელი სახელითა შენითა ეშმაკთა განასხმიდა, და ჩუენ ვაყენებდით მას, რამეთუ არა შემოგჳდგს ჩუენ. |
| 50. (G 166v) ჰრქუა მას იესუ: ნუ აყენებთ, რამეთუ რომელი არა არს ჩუენდა მტერ, იგი ჩუენ კერძო არს. | 50. ჰრქუა მას იესუ: ნუ აყენებთ, რამეთუ რომელი არა[7] არს ჩუენდა მტერ, იგი ჩუენ[8] კერძო არს. |
| 51. და იყო აღსრულებასა მას დღეთა მაღლებისა მისისათა და თავადმან დაამ- | 51. და იყო აღსრულებასა მას დღეთა ამაღლებისა მისისათა და თავადმან |

---

[1] ყრმაჲ]—F. [2] განუკერდებოდა G. [3] გულისჴმა-ყონ F. [4] მათ F. [5] მისსა G. [6] ი̃ნჱ G. [7] მას] — F. [8] შემოგკუთქს A, შეგკუთქს G.

[1] იესო I (სრულად, უქარაგმოდ). [2] თქუნ H. [3] ესე] ეგე K. [4] მისსა K. [5] მისთჳს K. [6] იცოდნა K. [7] არა არი I. [8] ჩუენ H.

| FG | HIK |
|---|---|
| ტკიცა პირი თჳსი აღსლვად იერუსალჱმდ. | დაამტკიცა პირი თჳსი აღსლვად იერუსალჱმდ[1]. |
| 52. და წარავლინნა მოციქულნი წინაშე მისა[1]. და იგინი წარვიდეს და შევიდეს დაბასა სამარიტელთასა, რაჲთა მო-რაჲმე-უმზადონ მას. | 52. და წარავლინნა მოციქულნი წინაშე მისა[2]. და იგინი წარვიდეს და შევიდეს დაბასა სამარიტელთასა, რაჲთა მო-რაჲმე-უმზადონ მას. |
| 53. და არა შეიწყნარნეს იგინი, რამეთუ პირი მისი იყო მისლვად იერუსალჱმდ. | 53. და არა შეიწყნარნეს იგინი, რამეთუ პირი მისი იყო მისლვად იერუსალჱმდ[3]. |
| 54. და ვითარცა იხილეს მოწაფეთა მისთა იაკობ და იოვანე[2], თქუეს: უფალო, გნებავს, ვთქუათ, რაჲთა ცეცხლი გარდამოჴდეს ზეცით და აჴოცნეს იგინი? | 54. **(I 108ჟ/)** ვითარცა იხილეს მოწაფეთა მისთა იაკობ და იოვანე, თქუეს: უფალო, გნებავსა, **(H 103ჟ/)** რაჲთა ვთქუათ, და ცეცხლი გარდამოჴდეს ზეცით და აჴ**(K 178ჟ/)**ოცნეს იგინი, ვითარცა ელია ყო? |
| 55. მიექცა იესუ და შეჰრისხნა მათ.* | 55. მიექცა იესუ და შეჰრისხნა მათ და ჰრქუა: არა იცითა[4], რომლისა სულისანი ხართ თქუენ? |
| 56. და წარვიდეს სხუასა დაბასა.* | 56. რამეთუ ძე კაცისაჲ არა მოვიდა წარწყმედად სულსა კაცთასა, არამედ ცხორებად. და წარვიდეს სხუასა დაბასა. |
| 57. და იყო სლვასა მას მათსა გზასა ზედა ჰრქუა ვინმე მას: მიგდევდე შენ, ვიდრეცა მიხუალ. | 57. და იყო სლვასა მას მათსა გზასა ზედა ჰრქუა ვინმე მას: მიგდევდე შენ, ვიდრეცა მიხუალ. |
| 58. ჰრქუა მას იესუ: მელთა ჴურელი უჩნს[3] და მფრინველთა ცისათა საყოფელი, **ხოლო ძესა კაცისასა არა აქუს, სადა თავი მიიდრიკოს. | 58. ჰრქუა მას იესუ: მელთა ჴურელი უჩნს და მფრინველთა ცისათა საყოფელი, ხოლო ძესა კაცისასა არა აქუს, სადა თავი მიიდრიკოს. |
| 59. ხოლო სხუასა ჰრქუა: მომდევდი მე და მან ჰრქუა: უფალო, მიბრძანე მე პირველად მისლვად და დაფლვად მამისა ჩემისა. | 59. ხოლო სხუასა ჰრქუა: შენ მომდევდი მე. და მან ჰრქუა: უფალო, მიბრძანე მე პირველად მისლვად და დაფლვად მამისა ჩემისა. |
| 60. ჰრქუა მას იესუ: აცადენ მკუდარნი დაფლვად თჳსთა მკუდართა, **(F 186ჟ/)** ხოლო შენ წარვედ და მიმოსდევ სასუფეველი ღმრთისაჲ. | 60. ჰრქუა მას იესუ: აცადენ მკუდარნი დაფლვად თჳსთა მკუდართა, ხოლო შენ წარვედ და მიმოსდევ სასუფეველი ღმრთისაჲ. |
| 61. ჰრქუა მას სხუამანცა: მიგდევდე შენ, უფალო, ხოლო პირველად მიბრძანე მე ჯმნაჲ სახლეულთა ჩემთაგან. | 61. ჰრქუა მას სხუამან: მეცა მიგდევდე შენ, უფალო, ხოლო პირველად მიბრძანე მე ჯმნაჲ სახლეულთა ჩემთაგან. |

---

[1] მისსა G. [2] ი̄ნჱ G. [3] უჩს G.

* ამ მუხლების დაკლებული ადგილები ბერძნულშიც არაა ზოგან.

** აქედან G-ს აკლია ერთი ფურცელი (ლ. 9,58 — 10,8).

[1] ი́ჱლმდ K, ი́ჱლიმდ HI (=იერუსალჱმდ ან: იერუსალემდ?). [2] მისსა K. [3] ი̄ჱლმდ K, ი́ჱლემდ I, იერუსალემდ H (სრულად). [4] იცით HI.

| FG | HIK |
|---|---|
| 62. ჰრქუა მას იესუ: არავინ დასდვის ჴელი საჴნეველსა და ხედავნ იგი გარეუკუნ და წარმართებულ არს სასუფეველსა ღმრთისასა. | 62. ჰრქუა მას იესუ: ა(**H 104r**)რა(**I 104r**)ვინ დასდვის ჴელი საჴნეველსა და ხედავნ იგი გარეუკუნ და წარმართებულ არნ სასუფეველსა ღმრთისასა. |

## 10

| FG | HIK |
|---|---|
| 1. და ამისა შემდგომად გამოაჩინნა უფალმან სხუანი სამეოც და ათორმეტნი და წარავლინნნა იგინი ორ-ორი წინაშე მისა ყოველსა ქალაქებსა და დაბნებსა, ვიდრეცა ეგულებოდა მას მისლვად. | 1. და ამისა[1] შემდგომად გამოირჩინა უფალმან სხუანი სამეოც და ათნი და წარავლინნნა იგინი ორ-ორი წინაშე მისსა ყოველსა ქალაქებსა და დაბნებსა, ვიდრეცა ეგუ(**K 179r**)ლებოდა მას მისლვად. |
| 2. და ეტყოდა მათ: სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი[1] მცირედ. ევედრენით უკუე უფალსა სამკალისასა, რაჲთა მოავლინნეს მუშაკნი სამკალსა თჳსსა. | 2. და ეტყოდა მათ: სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი მცირედ. ევედრენით უკუე[2] უფალსა სამკალისასა, რაჲთა მოავლინნეს მუშაკნი სამკალსა თჳსსა. |
| 3. წარვედით! აჰა ესერა მე მიგავლინებ თქუენ, ვითარცა კრავთა შორის მგელთა. | 3. წარვედით! აჰა ესერა მიგავლინებ თქუენ, ვითარცა კრავთა შორის მგელთა. |
| 4. ნუ წარგაქუნ ბალანტი, ნუცა ვაშკარანი, ნუცა შესასხმელი ფერჴთაჲ და ნუვის გზასა ზედა მოიკითხავთ. | 4. ნუ წარგაქუნ ბალანტი, ნუცა ვაშკარანი, ნუცა შესასხმელი ფერჴთაჲ და ნუცა ვის გზასა ზედა მოიკითხავთ. |
| 5. და რომელსაცა სახლსა შეხჳდეთ, პირველად თქუთ: მშჳდობაჲ სახლსა ამას! | 5. და რომელსაცა სახლსა შეხჳდეთ, პირველად თქუთ: მშჳდობაჲ სახლსა ამას! |
| 6. და უკუეთუ იყოს მუნ ძჱ მშჳდობისაჲ, განისუენოს მის ზედა მშჳდობამან თქუენმან, უკუეთუ არა — თქუენდავე მოიქცეს. | 6. და უკუეთუ იყოს მუნ ძჱ[3] მშჳდობისაჲ, განისუენოს[4] მის ზედა მშჳდობამან თქუენმან, უკუეთუ არა—თქუენდავე მოიქცეს. |
| 7. (**F 198r**) მასვე სახლსა შინა იყვენით, ჭამდით და სუემდით მათ თანა, რამეთუ ღირს არს მუშაკი[2] სასყიდლისა თჳსისა, ნუ მიხუალთ სახლითი სახლად. | 7. მასვე სახლსა შინა (**I 164v**) იყვენით, ჭამდით და (**H 104v**) სუემდით[6] მათ თანა, რამეთუ ღირს არს მუშაკი სასყიდლისა თჳსისა, ნუ მიხუალთ სახლითი სახლად. |
| 8. და რომელსა ქალაქსა შეხჳდეთ, და შეგი(**G 187r**)*წყნარნენ თქუენ, ჭამდით წინა-დაგებულსა თქუენსა | 8. და რომელსა ქალაქსა შეხჳდეთ, და შეგიწყნარნენ (**K 179v**) თქუენ, ჭამდით წინა-დაგებულსა თქუენსა |
| 9. და განჰკურნებდით მას შინა უძლურთა და ეტყოდეთ მათ: მოახლებულ არს თქუენ ზედა სასუფეველი ღმრთისაჲ. | 9. და განჰკურნებდით მას შინა უძლურთა და ეტყოდეთ მათ: მოახლებულ არს თქუენ ზედა სასუფეველი ღმრთისაჲ. |

---

[1] მუშკნი F (უქარაგმოდ). [2] მუშაკი] + საზრდელისა F.

* აქედან კვლავ იწყება G-ს ტექსტი.

[1] ამისსა K. [2] უკუჱ HIK. [3] ძე HI. [4] განისუჱნოს HIK. [6] სუჱმდით HI.

### FG

10. და რომელსა ქალაქსა შეხჳდეთ, და არა შეგიწყნარნენ თქუენ, გამო-რაჲ-ხჳდოდით უბანთა მისთა, არქუთ მათ:

11. აჰა ესერა მტუერი რომელი[1] აღეკრა ფერჴთა ჩუენთა ქალაქისაგან თქუენისა, განვიყრით თქუენ ზედა; გარნა ესემცა უწყით, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ღმრთისაჲ.

12. გეტყჳ თქუენ: სოდომელთა უმოლხინეს იყოს მას დღესა[2] შინა, ვიდრე ქალაქისა მის.

13. ვაჲ შენდა, ქორაზინ, და ვაჲ შენდა, ბეთსაიდა, რამეთუ ტჳროსს და სიდონს თუმცა იქმნნეს[3] ძალნი, რომელ იქმნნეს[4] თქუენ შორის, პირველვემცა ძაძითა[5] (G 167v/) და ნაცარსა ზედა მსხდომარეთა შეინანეს.

14. ხოლო ტჳროსსა და სიდონსა უმოლხინეს[6] იყოს საშჯელსა მას, ვიდრე თქუენ.

15. და შენ, კაფარნაუმ[7], ნუ ცადმდე[8] აჰმაღლდები, (F 138v/) არამედ ვიდრე ჯოჯოხეთამდე შთაჰჴდე.

16. რომელმან თქუენი ისმინოს, ჩემი ისმინა; და რომელმან თქუენ შეურაცხ-გყვნეს, მან მე შეურაცხ-მყოს; და რომელმან მე შეურაცხ-მყოს[9], შეურაცხ-ყოს მომავლინებელი ჩემი.

17. და მოიქცეს სამეოც და ათორმეტნი[10] იგი სიხარულითა და იტყოდეს: უფალო, ეშმაკნიცა დაგუემორჩილებიან სახელითა შენითა.

18. ჰრქუა მათ იესუ: ვხედევდ[11] ეშმაკსა, ვითარცა ელვასა, ზეცით[12] გარდამოვრდომილსა.

19. აჰა მიგეც თქუენ ჴელმწიფებაჲ დათრგუნვად გუელთა და ღრიაკალთა და ყოველსა ზედა ძალსა მტერისასა, და არარაჲ თქუენ გევნოს.

### HIK

10. და რომელსა ქალაქსა შეხჳდეთ, და არა შეგიწყნარნენ თქუენ, გამო-რაჲ-ხჳდოდით უბანთა მისთა, არქუთ მათ:

11. აჰა ესერა მტუერი[1] რომელ აღეკრა ფერჴთა ჩუენთა ქალაქისაგან თქუენისა, განვიყრით თქუენ ზედა; გარნა ესემცა უწყით, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ღმრთისაჲ.

12. გეტყჳ თქუენ: სოდომელთაჲ უმოლხინეს იყოს მას დღესა შინა, ვიდრე ქალაქისა მის.

13. ვაჲ შენდა, ქორაზინ, და ვაჲ შენდა, ბეთსაიდა, რამეთუ ტჳროსს და სიდონს თუმცა იქმნნეს ძალნი, რომელ იქმნნეს თქუენ შორის, პირველვემცა ძაძითა და ნაცარსა ზედა მსხდომარეთა შეინანეს.

14. (H 105r, I 105r) ხოლო ტჳროსი და სიდონი უმოლხინეს იყოს საშჯელსა[2] მას, ვიდრე თქუენ.

15. და შენ, კაპერნაუმ, ნუ ცადმდე აჰმაღლდები, არამედ ჯოჯოხეთადმდე შთაჰჴდე.

16. რომელმან თქუენი ისმინოს, ჩემი ისმინა; და რომელმან თქუენ შეურაცხ-გყვნეს, მე შეურაცხ-მყოფს; და რომელმან მე შეურაცხ-მყოს, შეურაცხ-ჰყოფს მომავლინებელსა ჩემსა.

17. და მოიქცეს სამეოც და ათნი იგი (K 180r) სიხარულითა და იტყოდეს: უფალო, ეშმაკნიცა დაგუემორჩილებიან[3] სახელითა შენითა.

18. ჰრქუა მათ იესუ: ვხედევდ[4] ეშმაკსა, ვითარცა ელვასა, ზეცით გარდამოვრდომილსა.

19. აჰა მიგცემ თქუენ ჴელმწიფებასა დათრგუნვად გუელთა[5] და ღრიაკალთა და ყოველსა ზედა ძალსა მტერისასა, და თქუენ არარაჲ გევნოს.

---

[1] რომელ G. [2] დღჱსა G. [3] იქმნ҃ს F. [4] იქმნს F (უქარაგმოდ). [5] ძაძი] G. [6] უმოლხინე G. [7] კაფარნაომ G. [8] ცამდე F. [9] და რომელმან მე შეურაცხ-მყოს] — G. [10] სამეოც და ათნი G. [11] ეხედავე G. [12] ზჱცით G.

[1] მტუჱრი HI. [2] სამჯელსა HI. [3] დაგუჱმორჩილებიან HIK. [4] ეხედ´ე H, ეხედავ I. [5] გუჱლთა HI.

| FG | HIK |
|---|---|
| 20. ხოლო ამას ზედა ნუ გიხარინ, რამეთუ სულნი უკეთურნი და(G 108r)გემორჩილებიან, არამედ გიხაროდენ, რამეთუ სახელები თქუენი დაიწერა ცათა შინა. | 20. ხოლო ამას ზედა ნუ გიხარინ, რამეთუ სულნი უკეთურნი დაგემორჩილებიან, არამედ გიხაროდენ, რამეთუ სახელები თქუენი დაიწერა ცათა შინა. |
| 21. მას ჟამსა შინა იხარებდა სულითა წმიდითა იესუ და თქუა: აღგიარებ შენ, მამაო, უფალო ცისა და ქუეყანისაო, რამეთუ დაჰფარე ესე ბრძენთაგან და მეცნიერთა და გამოუცხადე იგი ჩჩჳლთა ყრმათა. ჰე, მამაო, რამეთუ ესრეთ[1] სათნო-იყო შენ წინაშე. | 21. მას ჟამსა შინა იხარებდა იესუ სულითა და თქუა჻ აღგიარებ შენ, მამაო, (H 165v) უფალო ცისა და ქუეყანისაო[1], რამეთუ დაჰფარე ესე ბრძენთაგან (I 105v) და მეცნიერთა და გამოუცხადე ესე ჩჩჳლთა. ჰე[2], მამაო, რამეთუ ესრეთ სათნო-იყო შენ წინაშე. |
| 22. ყოველივე მომეცა მე მამისა ჩემისა მიერ, და არავინ იცის, ვინ არს მამაჲ, გარნა ძემან; და არცა ვინ[2] იცის, ვინ არს ძჱ, გარნა მამამან; და ვისა უნდეს ძესა[3] გა(F 187r)მოცხადებად[4], გამოუცხადოს. | 22. და მიექცა მოწაფეთა და ჰრქუა჻ ყოველივე მომეცა მე მამისა ჩემისა მიერ, და არავინ იცის, ვინ არს მამაჲ, გარნა ძემან; და არცა ვინ იცის, ვინ არს ძე, გარნა მამამან; და ვისა[3] უნდეს ძესა გამოცხადების, გამოუცხადოს. |
| 23. და მიექცა მოწაფეთა მისთა[5] თჳსაგან და ჰრქუა: ნეტარ არიან თუალნი, რომელნი ხედვენ, რომელსა თქუენ ხედავთ, და ყურნი, რომელსა[6] ესმის, რომელ თქუენ გესმის. | 23. და მიექცა მოწაფეთა მისთა თჳსაგან და ჰრქუა჻ ნეტარ არიან თუალნი, რომელნი ხედვენ, რომელსა თქუენ ხედავთ, და ესმის, რომელი თქუენ გესმის. |
| 24. ხოლო გეტყჳ თქუენ, რამეთუ჻ მრავალთა წინაწარმეტყუელთა და მეფეთა უნდა ხილვაჲ, რომელსა (G 108v) თქუენ[7] ხედავთ, და ვერ იხილეს, და სმენად, რომელი თქუენ გესმის, და ვერ ესმა. | 24. ხოლო გეტყჳ თქუენ, რამეთუ჻ მრავალთა წინაწარმეტყუელთა და მეფეთა უნდა ხილვაჲ, (K 180v) რომელსა თქუენ ხედავთ, და ვერ იხილეს, და სმენად, რომელი თქუენ გესმის, და ვერ ესმა. |
| 25. და აჰა ესერა შჯულის-მეცნიერი ვინმე აღდგა და გამოსცდიდა იესუს და ეტყოდა: მოძღუარ, რაჲ ვქმნე, რაჲთა ცხორებაჲ საუკუნოჲ დავიმკჳდრო? | 25. და აჰა ესერა სჯულის-მეცნიერი[4] ვინმე აღდგა და გამოსცდიდა იესუს და ეტყოდა: მოძღუარ, რაჲ ვქმნე, რაჲთა ცხორებაჲ საუკუნოჲ დავიმკჳდრო? |
| 26. ხოლო თავადმან ჰრქუა მას჻ შჯულსა ვითარ წერილ არს? ვითარ აღმოიკითხე? | 26. ხოლო თავადმან ჰრქუა მას჻ სჯულსა[5] ვითარ წერილ (H 166r) არს? ვითარ აღმოიკითხავ? |
| 27. ხოლო მან ჰრქუა: შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა, და მოყუასი შენი— ვითარცა თავი თჳსი. | 27. ხოლო მან ჰრქუა჻ შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა (I 106r) შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა, და მოყუასი შენი — ვითარცა თავი თჳსი. |

---

[1] ეგრეთ G. [2] არცა ვინ] არავინ F. [3] ძისა G. [4] გამოცხადების G. [5] თჳსთა G. [6] ყურნი, რომელსა] — G. [7] თქუენ] — G.

[1] ქუეყანისაო I. [2] ჰჱ K. [3] ვისსა K. [4] შჯულის-მეცნიერი HI. [5] შჯულსა HI.

| FG | HIK |
|---|---|
| 28. ჰრქუა მას იესუ: მართლ მომიგე, მაგას იქმოდე და სცხონდე. | 28. ჰრქუა მას იესუ: მართლ მომიგე, მაგას იქმოდე და სცხონდე. |
| 29. ხოლო მას უნდა განმართლებად თავი თჳსი და ჰრქუა იესუს: და[1] ვინ არს მოყუას ჩემდა? | 29. ხოლო მას უნდა განმართლებად თავი თჳსი და ჰრქუა იესუს: და ვინ არს მოყუას ჩემდა? |
| 30. მიუგო იესუ და ჰრქუა: კაცი ვინმე გარდამოვიდოდა იერუსალჱმით იერიქოდ, და ავაზაკნი დაესხნეს, განძარცუეს იგი, (G 169r) დაწყლეს და წარვიდეს და დაუტევეს მწყდარი[2]. | 30. მიუგო იესუ და ჰრქუა: კაცი ვინმე გარდამოვიდოდა იერუსალჱმით იერიქოდ, და ავაზაკნი დაესხნეს, განძარცუეს[1] იგი, დაწყლეს და წარვიდეს და (K 181r) დაუტევეს მწყდარი. |
| 31. მღდელი ვინმე შთავიდოდა მასვე გზასა და მიემთხჳა, იხილა იგი და თანა-წარჰჴდა. | 31. ხოლო დამთხუევით[2] მღდელი ვინმე შთავიდოდა მასვე გზასა და იხილა იგი და თანა-წარჰჴდა. |
| 32. (F 137v) და ეგრეთვე[3] ლევიტელი მასვე ადგილსა მოვიდა, იხილა იგი და თანა-წარჰჴდა. | 32. და ეგრეთვე ლევიტელი მასვე ადგილსა მოვიდა და[3] იხილა იგი და თანა-წარჰჴდა. |
| 33. მერმე სამარიტელი ვინმე წარვიდოდა, მოვიდა[4] მასვე ადგილსა, იხილა იგი და შეეწყალა. | 33. მერმე სამარიტელი ვინმე წარვიდოდა. მოვიდა მასვე ადგილსა, იხილა იგი და შეეწყალა. |
| 34. და მოვიდა მისა და შეუხჳა წყლული იგი და დაასხა ზეთი და ღჳნოჲ და აღსუა იგი კარაულსა თჳსსა და მოიყვანა იგი ყოველთასა მას სადგურსა და იღუაწა იგი. | 34. და მოვიდა მისა[4] და შეუხჳა წყლული იგი და[3] დაასხა ზეთი და ღჳნოჲ (H 166v) და აღსუა იგი კარაულსა თჳსსა და მო(I 166v)იყვანა იგი ყოველთასა მას სადგურსა და იღუაწა იგი. |
| 35. და ხვალისაგან, გამო-რაჲ-ვიდოდა, ორი დრაჰკანი მისცა ყოველთა სადგურისა მოღუაწესა მას და ჰრქუა: იღუაწე ეგე და, სხუაჲ თუ რაჲმე წარაგო უმეტესი, მო-რაჲ-ვიდე, მიგცე შენ. | 35. და ხვალისაგან, გამო-რაჲ-ვიდოდა, ორი დრაჰკანი მისცა ყოველთა სადგურისა მოღუაწესა მას და ჰრქუა: იღუაწე ეგე და, სხუაჲ თუ რაჲმე წარაგო უმეტესი, მო-რაჲ-ვიდე, მიგცე შენ. |
| 36. (G 169v) ვინ ამათ სამთაგანი გგონიეს შენ მოყუას მისა, რომელ-იგი შეევარდა ავაზაკთა მათ? | 36. ვინ უკუე[5] ამათ სამთაგანი[6] გგონიეს შენ მოყუას მისა[7], რომელ იგი შევარდა ავაზაკთა მათ? |
| 37. ხოლო მან თქუა: რომელმან ყო წყალობაჲ მის თანა. ჰრქუა მას იესუ: ვიდოდე და ჰყოფდ შენცა ეგრევე. | 37. ხოლო მან თქუა: რომელმან ყო წყალობაჲ მის თანა. ჰრქუა მას იესუ: ვიდოდე და ჰყოფდ შენცა ეგრევე. |
| 38. და ვითარცა წარვიდეს ესენი, და თავადი შევიდა დაბასა რომელსამე და იყო ვინმე დედაკაცი, რომლისა სახელი მართა, და შეიყვანა თავადი სახლდ[5] თჳსა. | 38. და იყო ვითარცა წარვიდეს ესენი, და თავადი შევიდა დაბასა რომელსამე. და იყო ვინმე მუნ დედაკაცი, რომლისა სახელი მართა, და შეიყვანა თავადი სახიდ თჳსა[8]. |
| 39. და იყო დაჲ მისი, რომელსა ერქუა მარიამ, რომელი დაჯდა ფერჴთა | 39. და იყო დაჲ მისი, რომელსა ერქუა (K 181v) მარიამ, რომელი დაჯდა[9] |

---

[1] და] — G. [2] მომწყდარი G. [3] ეგრევე G. [4] მოვიდა] — G. [5] სახიდ G.

[1] განძარცჳჱს HI. [2] დამთხუჱვით HI. [3] და] — HI. [4] მისსა K. [5] უკუჱ HIK. [6] — სამთა ამათგანი K. [7] მისსა HIK. [8] თჳსად K. [9] ჯდა K.

FG

თანა იესუჲსთა[1] და ისმენდა სიტყუათა მისთა.

40. ხოლო მართა მიმოდაზრუნ(F 138r)ეიდა[2] მრავლისა მსახურებისათჳს. ზედა მიადგა და ჰრქუა: უფალო, არა იღუწი, რამეთუ დამან ჩემმან მარტოჲ დამიტევა მე მსახურებად. არქუ მას[3], რაჲთა შემეწეოდის მე.

41. მიუგო იესუ. და ჰრქუა მას: მართა, მართა! ჰზრუნავ[4] და შფოთ ხარ (G 170r) მრავლისათჳს,

42. აქა მცირედი არს საჴმარ. ხოლო მარიამ კეთილი ნაწილი გამოირჩია, რომელი არასადა მიეღოს მისგან.

HIK

ფერჴთა თანა იესუჲსთა და ისმენდა სიტყუათა მისთა.

40. ხოლო მართა მიმოდაზრუნვიდა მრავლისა მსახურებისათჳს, ზედა მიადგა და ჰრქუა: უფალო, არა იღუწი, რამეთუ დამან ჩემმან მარტოჲ დამიტევა მე მსახუ(H 107r)რებად. არქუ მას, რაჲთა შემეწეოდის მე.

41. (I 107r) მიუგო იესუ და ჰრქუა მას: მართა, მართა! ზრუნავ და შფოთ ხარ მრავლისათჳს,

42. აქა ერთისაჲ არს საჴმარ. ხოლო მარიამ კეთილი ნაწილი გამოირჩია, რომელი არასადა მიეღოს მისგან.

# 11

FG

1. და იყო ადგილსა რომელსამე თავადი და ილოცვიდა. და ვითარცა დასცხრა ლოცვისაგან, ჰრქუა ვინმე მას მოწაფეთაგანმან: უფალო, გუასწავე ჩუენ ლოცვაჲ. ვითარცა-იგი იოვანე[5] ასწავა მოწაფეთა თჳსთა.

2. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: რაჟამს ილოცვიდეთ, თქუთ: მამაო ჩუენო ზეცათაო, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევაჲ შენი, იყავნ ნებაჲ შენი.

3. პური ჩუენი თანა-არსობისაჲ მომეც ჩუენ დღითი-დღედ.

4. და მომიტევენ[6] ჩუენ ცოდვანი ჩუენნი, და რამეთუ ჩუენცა მიუტევებთ ყოველთა თანა-მდებთა ჩუენთა, და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა.

5. (G 170v) და ეტყოდა მათ: ვის თქუენგანსა ესუას[7] მეგობარი და მივიდეს[8] მისა შოვა-ღამეს[9] და ჰრქუას მას: მეგობარო, მავასხენ მე სამნი პურნი,

6. რამეთუ მეგობარი მოვიდა ჩემდა

HIK

1. და იყო ადგილსა რომელსამე თავადი ილოცვიდა. და ვითარცა დასცხრა ლოცვისაგან, ჰრქუა ვინმე მას მოწაფეთაგანმან: უფალო, გაუსწავე ლოცვაჲ, ვითარცა იოვანე ასწავა მოწაფეთა თჳსთა.

2. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: რაჟამს ილოცვიდეთ, თქუთ: მამაო ჩუენო. რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევაჲ (K 182r) შენი, იყავნ ნებაჲ შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა.

3. პური ჩუენი არსობისაჲ მომეც ჩუენ დღითი-დღედ.

4. და მომიტევენ ჩუენ ცოდვანი ჩუენნი, და რამეთუ ჩუენცა მიუტევებთ ყოველთა თანა-მდებთა ჩუენთა, და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიჴსნენ ჩუენ ბოროტისაგან.

5. და ეტყოდა მათ: ვის თქუენგანსა ესუას მეგობარი და მივიდეს მისა[1] შუვა-ღამეს[2] და ჰრქუას მას: მეგობა(H 107v)რო, მაესხენ მე სამნი პურნი,

6. (I 107v) რამეთუ მეგობარი მო-

---

[1] თჳსთა F. [2] მიმოდაზრუნვიდა F. [3] მას] — F. [4] ზრუნავ F. [5] იოვანე G. [6] მოგჳტევენ F. [7] ესუ G. [8] მოვიდეს F. [9] შუა-ღამეს F.

[1] მისსა K. [2] შუა-ღამეს H, შუვა-ღამესა K.

| FG | HIK |
|---|---|
| გზით, და არა(F 138v)ჲ[1] მაქუს, რაჲ დაუგო მას. | ვიდა ჩემდა გზით, და არარაჲ მაქუს, რაჲ დაუგო მას. |
| 7. მან მიუგოს შინაჲთ გამო და ჰრქუას: ნუ შრომასა შემამთხუევ მე, რამეთუ კარი დაჴშულ არს, და ყრმანი ჩემნი ჩემ თანა არიან სარეცელსა ზედა; ვერ ძალ-მიც აღდგომად და მიცემად შენდა. | 7. მან მიუგოს შინაჲთ გამო და ჰრქუას: ნუ შრომასა შემამთხუევ[1] მე, რამეთუ კარი დაჴშულ არს, და ყრმანი ჩემნი ჩემ თანა არიან სარეცელსა ზედა; ვერ ძალ-მიც აღდგომად და მიცემად შენდა. |
| 8. გეტყჳ თქუენ: დაღათუ არა ეძლოს მას აღდგომად და მიცემად, რამეთუ არს იგი მეგობარ მისა, წყინებისა მისთჳს მისისა აღდგეს და მისცეს, რაოდენი[2] უჴმდეს მას. | 8. გეტყჳ თქუენ: დაღაცათუ არა ეძლოს მას აღდგომად და მიცემად, რამეთუ არს იგი მეგობარ მისა, წყინებისა მისთჳს მისისა აღდგეს და მისცეს, რაოდენი უჴმდეს მას. |
| 9. ხოლო მე გეტყჳ თქუენ: ითხოვდით და მოგეცეს თქუენ, ეძიებდით და ჰპოვოთ[3], ირეკდით და განგეღოს თქუენ, | 9. ხოლო მე გეტყჳ თქუენ: ითხოვდით და მოგეცეს თქუენ, ეძიებდით და ჰპოოთ, ირეკდით და განგეღოს თქუენ, |
| 10. რამეთუ ყოველი რომელი ითხოვდეს, მოიღოს, და რომელი ეძიებდეს, ჰპოვოს[4], და რომელი ირეკდეს, (G 171r) განეღოს. | 10. რამეთუ ყოველი რომელი ითხოვდეს, მოიღოს, და რომელი ეძიებდეს[2], პოოს, და რომელი ირეკდეს, განეღოს. |
| 11. ვის უკუე თქუენგანსა მამასა სთხოვდეს ძჱ პურსა, ნუუკუე ქვაჲ მისცეს მას? გინა თუ თევზსა სთხოვდეს, ნუუკუე თევზისა წილ გუელი მისცეს მას? | 11. (K 182v) ვის უკუე[3] თქუენგანსა მამასა სთხოვდეს ძე პურსა, ნუუკუე[4] ქვაჲ მისცეს მას? გინა თუ თევზსა სთხოვდეს, ნუუკუე[4] თევზისა წილ გუელი[5] მისცესა მას? |
| 12. გინა თუ კუერცხსა სთხოვდეს, ნუუკუე ღრიაკალი მისცეს მას? | 12. გინა თუ კუერცხსა[6] (H 109r) სთხოვდეს, ნუუკუე[4] ღრიაკალი მისცესა მას? |
| 13. უკუეთუ თქუენ უკეთურთა იცით მისაცემელი კეთილი მიცემად შვილთა თქუენთა, რაოდენ[5] უფროჲს მამამან ზეცით მოსცეს სული წმიდაჲ, რომელნი სთხოვდენ მას. | 13. უკუეთუ თქუენ უკე(I 108r)თურთა იცით მისაცემელი კეთილი მიცემად შვილთა თქუენთა, რაოდენ უფროჲს მამამან ზეცით მოსცეს სული წმიდაჲ, რომელნი სთხოვდენ მას. |
| 14. და კაცისა ვისგანმე განაძო ეშმაკი, რომელი იყო ყრუჲ[6]. და იყო განსლვასა მას ეშმაკისასა იტყოდა ყრუჲ[6] იგი. (F 139r) და უკჳრდა ყოველსა მას ერსა. | 14. და კაცისა ვისგანმე განაძო ეშმაკი, რომელი იყო ყრუჲ. და იყო განსლვასა მას ეშმაკისასა იტყოდა ყრუჲ იგი. და უკჳრდა ყოველსა მას ერსა. |
| 15. ხოლო რომელთამე მათგანთა თქუეს: ბელზებულითა[7], მთავრითა მით ეშმაკთაჲთა, განასხამს ეშმაკთა. | 15. ხოლო რომელთამე მათგანთა თქუეს: ბელზეპულითა, მთავრითა მით ეშმაკთაჲთა, განასხამს ეშმაკთა. |

---

[1] არარაჲ G. [2] რაოდენნი F. [3] ჰპოოთ F. [4] პოოს F. [5] რაოდენ F. [6] ყრუი F. [7] ბერზებულითა G.

[1] შემაშთხუევ HI. [2] ეძიებდე H. [3] უკუჱ HIK. [4] ნუუკუჱ HIK. [5] გუჱლი HIK. [6] კუჱრცხსა HIK.

| FG | HIK |
|---|---|
| 16. და სხუანი ვინმე გამოცდით სასწაულსა ზეცით ითხოვედ(G 171v)ეს მისგან. | 16. და სხუანი ვინმე გამოცდით სასწაულსა ზეცით ითხოვდეს მისგან. |
| 17. ხოლო თავადმან იცნოდა ზრახვანი მათნი და[1] ჰრქუა მათ: ყოველი მეუფებაჲ, რომელი თავსა თჳსსა განევთის, მოოჴრდის. და[2] სახლი სახლსა ზედა დაეცის. | 17. ხოლო თავადმან იცნოდა[1] ზრახვანი მათნი და ჰრქუა მათ: ყოველი მეუფებაჲ, რომელი თავ(K 180r)სა თჳსსა განეელთის[2], მოოჴრდის, და სახლი სახლსა ზედა დაეცის. |
| 18. და უკუეთუ ეშმაკი თავსა თჳსსა განევთა, ვითარ დამტკიცნეს[3] მეუფებაჲ მისი? რამეთუ იტყჳთ თქუენ ჩემთჳს, ვითარმედ ბელზებულითა[4] განვასხამ ეშმაკთა. | 18. და უკუეთუ ეშმაკი თავსა თჳსსა განეელთა[3], ვითარ დამტკიცნეს მეუფებაჲ მისი? რამეთუ იტყჳთ ჩემთჳს, ვითარმედ ბელზებულითა განვასხამ ეშმაკთა. |
| 19. უკუეთუ მე ბელზებულითა[4] განვასხამ ეშმაკთა, ძენი თქუენნი რაჲთა განასხმენ? ამისთჳს იგინივე მსაჯულ გექმნენ თქუენ. | 19. უკუეთუ მე ბელზებულითა განვასხამ ეშმაკთა, ძენი თქუენ(H 104v)ნი[4] რაჲთა განასხმენ? ამისთჳს იგინივე მსაჯულ გექმნენ[5] თქუენ. |
| 20. უკუეთუ მე თითითა ღმრთისაჲთა განვასხამ ეშმაკთა, მო-სამე-წევნულ არს[5] თქუენ ზედა სასუფეველი ღმრთისაჲ. | 20. (I 106v) უკუეთუ მე თითითა ღმრთისაჲთა განვასხამ ეშმაკთა, მო-სამე-წევნულ არს თქუენ ზედა სასუფეველი ღმრთისაჲ. |
| 21. რაჟამს შეჭურვილი ძლიერი[6] სცვიდეს ეზოსა თჳსსა, მშჳდობით არს ნაყოფი მისი. | 21. რაჟამს ძლიერი შეჭურვილი სცვიდეს ეზოსა თჳსსა, მშჳდობით არნ მონაგები მისი. |
| 22. და ოდეს უძლიერესი[7] მისსა ზედა-მოუჴდეს და სძლოს მას, საჭურველი მისი მოუღის, რომელსა-(G 172r)იგი ესვიდა, და ნატყუენავი მისი განუყვის. | 22. და ოდეს უძლიერესი მისი ზედა-მოუჴდის, სძლის მას და საჭურველი მისი მოუღის, რომელსა-იგი ესვიდა, და ნატყუენავი[6] მისი განუყვის. |
| 23. რომელი არა არს ჩემ თანა, მტერი ჩემი არს; და რომელი არა შეჰკრებს ჩემ თანა[8], იგი განაბნევს. | 23. რომელი არა არს ჩემ თანა, მტერი ჩემი არს; და რომელი არა შეჰკრებს ჩემ თანა, იგი განაბნევს. |
| 24. რაჟამს სული არაწმიდაჲ განვიდ(F 134v)ის კაცისაგან, მიმოვალნ ურწყულთა ადგილთა და ეძიებნ განსასუენებელსა[9] და არა პოვის და თქჳს: მივიქცე სახლსა ჩემსა, ვინაჲცა გამოვედ. | 24. რაჟამს სული არაწმიდაჲ განვიდის კაცისაგან, მიმოვალნ ურწყულთა ადგილთა და ეძიებნ განსუენებასა[7] და არა პოვის, თქჳს: მივიქცე სახლსავე ჩემსა, ვინაჲცა გამოვედ. |
| 25. და მოვიდის და პოვის იგი განშუენებული და შემკული. | 25. და მოვიდის (K 183v) და პოვის[8] იგი განშუენებული[9] და შემკული. |

---

[1] და] — FG. [2] და] და G. [3] დამტკიცნეს F. [4] ბერზებულითა G. [5] მო-სამე-წევნულ არს] მო-სამე-წევნულ არს FG. [6] ძლიერი FG. [7] უძლიერესი G. [8] ჩემ თანა] + მტერი ჩემი არს. და რომელი არა შეჰკრებს ჩემ თანა G. [9] განსუენებისა G.

[1] იცოდნა K. [2] განევთის HI (= განეელთის. როგორც გვაქვს კიდევაც ამ ხელნაწერებში სხვა ადგილებში: მ. 12, 25, 26; მრ. 3, 24, 25). [3] განევთა HI (= განეელთა). [4] თქ͞ნ] H. ნი [illegible] არის, [illegible] აქ ორი სამი წერტილია დასმული (∴ ∴), რაც ნიშნავს: დაკლებული [illegible]. [5] გექმნენ HI. [6] ნატყუენავი HI. [7] განსუენებასა HI. [8] პოვის HK. [9] განშუენებული HI.

26. წარვიდის და მოიყვანნის სხუანი შჳდნი სულნი, უბოროტესნი მისა[1], და შევიდის და დაემკჳდრის მას შინა, და იქმნის უკუანაჲსკნელი კაცისაჲ მის უძჳრეს პირველისა.

27. და იყო ვიდრე იტყოდაღა იგი ამას, აღ-ვინმე-ილო დედაკაცმან ჴმაჲ ერსა მას[2] (**G 172ვ**) შორის და ჰრქუა მას: ნეტარ არს მუცელი, რომელმან გიტჳრთა შენ, და ძუძუნი, რომელთა სწოვდი.

28. ხოლო თავადმან თქუა: არამედ ნეტარ არიან, რომელთა ისმინონ სიტყუაჲ ღმრთისაჲ და დაიმარხონ.

29. და ვითარცა შეჰკრბებოდა მას ერი იგი, იწყო სიტყუად მათა: ნათესავი ესე ნათესავი ბოროტი არს და[3] სასწაულსა ითხოვს, და სასწაული არა ეცეს მას, გარნა სასწაული იონაჲსი.

30. ვითარცა-იგი ექმნა იონა სასწაულ ნინეველთა, ეგრე ეყოს[4] ძჱ კაცისაჲ ნათესავსა ამას.

31. დედოფალი იგი სამხრისაჲ აღდგეს საშჯელსა მას კაცთა თანა ამის ნათესავისათა და დაჰჯიდეს[5] მათ, რამეთუ მოვიდა კიდით ქუეყანისაჲთ სმენად სიბრძნესა სოლომონისსა; და აჰა ესერა[6] უფროჲს სოლომონისსა არს აქა.

32. (**F 140რ, G 173რ**) კაცნი იგი ნინეველნი აღდგენ საშჯელსა მას ნათესავისა ამის თანა და დაჰჯიდენ[7] მათ, რამეთუ შეინანეს ქადაგებასა მას იონაჲსსა; და აჰა ესერა უფროჲს იონაჲსსა[8] არს აქა.

33. არავინ აღანთის სანთელი და დადგის ფარულად, არამედ სასანთლესა ზედა, რაჲთა შემავალნი ხედვიდენ ნათელსა.

34. სანთელი გუამისაჲ არს თუალი შენი: ოდეს თუალი შენი განმარტებულ არს, ყოველი გუამი შენი ნათელ იყოს.

26. მაშინ წარვიდის და მოიყვანნის სხუანი შჳდნი სულნი, უბოროტესნი მისსა, და შევიდის და დაიმკჳდრის მას შინა, და იქმნის უკუანაჲს(**H 169რ**)კნელი კაცისაჲ მის უძჳრეს პირველისა.

27. და იყო ვიდრე იტყოდაღა (**I 169რ**) იგი ამას, აღ-ვინმე-ილო დედაკაცმან ჴმაჲ ერსა მას შორის და ჰრქუა მას: ნეტარ არს მუცელი, რომელმან გიტჳრთა შენ, და ძუძუნი, რომელთა სწოვდი.

28. ხოლო თავადმან თქუა: არამედ ნეტარ არიან, რომელთა ისმინონ სიტყუაჲ ღმრთისაჲ და დაიმარხონ იგი.

29. და ვითარცა შეკრბებოდა ერი იგი, იწყო სიტყუად მათდა: ნათესავი ესე ნათესავი ბოროტი არს, სასწაულსა ითხოვს, და სასწაული არა ეცეს მას, არამედ სასწაული იონა წინაწარმეტყუელისაჲ[1].

30. ვითარცა-იგი ექმნა იონა სასწაულ ნინეველთა, ეგრეთ ეყოს[2] ძე კაცისაჲ ნათესავსა ამას.

31. დედოფალი[3] იგი სამხრისაჲ აღდგეს სასჯელსა[4] მას კაცთა თანა ამის ნათესავისა(**K 184რ**)თა და დასჯიდეს[5] მათ, რამეთუ მოვიდა კიდით ქუეყანისაჲთ სმენად სიბრძნესა სოლომონისსა; და აჰა ესერა უფროჲს სოლომონისსა არს აქა.

32. კაცნი იგი ნინეველნი აღდგენ სასჯელსა[4] მას ნათესავისა ამის თანა და დასჯიდენ[6] მათ, რამეთუ შეინანეს ქა(**H 169ვ**)დაგებასა მას იონაჲ(**I 169ვ**)სსა; და აჰა ესერა უფროჲს იონაჲსსა არს აქა.

33. არავინ აღანთის სანთელი და დადგის ფარულად გინა კჳმირსა ქუეშე[7]; არამედ სასანთლესა ზედა, რაჲთა შემავალნი ხედვიდენ ნათელსა.

34. სანთელი გუამისაჲ არს თუალი; ოდეს თუალი შენი განმარტებულ იყოს, ყოველი გუამი შენი ნათელ იყოს. და

---

[1] მისსა G. [2] მას] — G. [3] და] — G. [4] იყოს FG. [5] დაშჯიდეს G. [6] ესერა] — F. [7] დაშჯიდენ G. [8] ~ იონაჲსსა უფროჲს G.

[1] წინაჲსწარმეტყ̃ლსა H, წინაჲსწარმეტყ̃ელისა I. [2] იყოს HIK. [3] დედ̃ფლი HIK. [4] საშჯელსა HI. [5] დაშჯიდეს HI. [6] დაშჯიდენ HI. [7] ქუეშე HI.

| FG | HIK |
|---|---|
| და უკეთუ თუალი შენი ბოროტ იყოს, ყოველი გუამი შენი ბნელ იყოს. | უკეთუ თუალი შენი ბოროტ იყოს, ყოველი გუამი შენი ბნელ იყოს. |
| 35. იხილე, ნუუკუე ნათელი იგი შენ შორის ბნელ იყოს. | 35. იხილე, ნუუკუე[1] ნათელი იგი შენ შორის ბნელ იყოს. |
| 36. უკეთუ ყოველი გუამი შენი ნათელ არს და არარაჲ აქუნდეს ადგილი რაჲმე ბნელისაჲ, იყოს იგი ყოვლად ნათელ, ვითარცა-იგი სანთელი ელვითა განგანათლოს შენ. | 36. უკეთუ ყოველი გუამი შენი ნათელ არს და არარაჲ[2] აქუნდეს ადგილი რაჲმე ბნელისაჲ, იყოს იგი ყოვლად ნათელ, ვითარცა-იგი[3] სანთელი ელვითა განგანათლოს შენ. |
| 37. (G 173v) და ვითარცა თავადი იტყოდა ამას, ჰლოცვიდა ვინმე ფარისეველი, რაჲთა პური ჭამოს მის თანა; და შევიდა და დაჯდა. | 37. და ვითარცა იტყოდა ამას თავადი, ჰლოცვიდა ვინმე ფარისეველი, რაჲთა პური ჭამოს მის თანა; და შევიდა და დაჯდა. |
| 38. ხოლო ფარისეველმან მან ვითარცა იხილა, უკჳრდა, რამეთუ პირველად არა იბანა, ვიდრე სადილობადმდე[1]. | 38. ხოლო ფარისეველმან მან ვითარცა იხილა, უკჳრდა, რამეთუ პირველად არა იბანა, ვიდრე სადილობად(K 184v)მდე. |
| 39. ჰრქუა მას უფალმან: აწ თქუენ, ფარისეველთა, გარეშჱ[2] სასუმელისაჲ და პინაკისაჲ განსწმიდით, და შინაგანი თქუენი სავსე არს ნატაცებითა და უკეთურებითა. | 39. ჰრქუა მას უფალმან: აწ თქუენ, ფარისეველთა, გარეშე სასუმლისაჲ და პინაკისაჲ განსწმიდით, და შინაგანი თქუენი (I 170r) სავსე არნ ნატაცე(H 170r)ბითა და უკეთურებითა. |
| 40. უგუნურნო[3], ანუ არა (F 140v) რომელმან-იგი გარეშე შექმნა, მანცა შინაგანი შექმნა? | 40. ორგულნო, ანუ არა რომელმან-იგი გარეშე შექმნა, მანვე შინაგანი შექმნა[4]? |
| 41. გარნა ესე, რომელი ჯერ-არს, მიეცით მოწყალებაჲ, და აჰა ყოველი თქუენი წმიდა არს. | 41. გარნა ესე, რომელი ჯერ-არს, მიეცით მოწყალებაჲ, და აჰა თქუენი ყოველი წმიდა არს. |
| 42. არამედ ვაჲ თქუენდა, ფარისეველნო, რამეთუ ათეულსა აღიღებთ[4] პიტნაკისასა და ტეგანისასა და ყოვლისა მხლისასა და თანა-წარჰვალთ სამართალსა და სიყუარულსა ღმრთისასა. (G 174r) ესე ჯერ-არს ყოფად და იგი არა დატევებად. | 42. არამედ ვაჲ თქუენდა, ფარისეველნო, რამეთუ ათეულსა აღიღებთ პიტნაკისა და ტეგანისასა და ყოვლისა მხლისასა და თანა-წარჰვალთ[5] სამართალსა და სიყუარულსა ღმრთისასა. ესე ჯერ-იყო ყოფად და იგი არა დატევებად. |
| 43. ვაჲ თქუენდა, ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ გიყუარს თქუენ ზემოჯდომაჲ შესაკრებელთა შორის და მოკითხვაჲ უბანთა ზედა. | 43. ვაჲ თქუენდა, ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ გიყუარს თქუენ ზემოჯდომაჲ შესაკრებელთა შორის და მოკითხვაჲ უბანთა ზედა. |
| 44. ვაჲ თქუენდა, რამეთუ ხართ თქუენ, ვითარცა საფლავნი უჩინო- | 44. ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველ(K 185r)ნო ორგულნო, რა- |

---

[1] სადილობამდე F. [2] გარეშე F. [3] უგუნურნო] ორგულნო G. [4] აღიღებთ F.

[1] ნუუკუე HI. [2] არაჲ K. ორი ასოს ადგილი დაუწერელია მეორე ა-სა და ჲ-ს შორის.

[3] ვითარცა-იგი H. [4] შექმნა HI (=შექმნაა). [5] K-ში ჰ გამორჩენიათ და მერმე დაუწერიათ ზემოდან.

FG

ნი, და კაცნი ზედა ვლენან[1] და არა იციან[2].

45. მი-ვინმე-უგო შჯულის-მეცნიერმან და ჰრქუა მასჳ მოძღუარ, მაგას რაჲ იტყჳ, ჩუენცა გუაგინებ.

46. ხოლო თავადმან ჰრქუა მასჳ და თქუენდაცა[3], შჯულის-მეცნიერთა, ვაჲ არს, რამეთუ აჰკიდით კაცთა ტჳრთი ძნიად სატჳრთავი და თქუენ ერთითა თითითა არა შეახით ტჳრთსა მას.

47. ვაჲ თქუენდა, რამეთუ აშენებთ საფლავებსა წინაწარმეტყუელთასა, ხოლო მამათა თქუენთა მოწყჳდნეს იგინი.

48. ეწამებით სამე და თანა-სათნო-ეყოფით საქმესა მამათა თქუენთასა, (G 174v) რამეთუ მათ მოწყჳდნეს[4] იგინი, და თქუენ საფლავთა მათთა აშენებთ.

49. ამისთჳსცა-იგი სიბრძნემან ღმრთისამან თქუა: მოვავლინ(F 141r)ნე მათა წინაწარმეტყუელნი და მოციქულნი, მათგანნი მოწყჳდნენ და დევნნენ[5].

50. რაჲთა იძიოს სისხლი ყოველთა წინაწარმეტყუელთაჲ, დათხეული დასაბამითგან სოფლისაჲთ ნათესავისა ამისგან,

51. სისხლითგან აბელისით, ვიდრე სისხლადმდე[6] ზაქარიაჲსა[7], ძისა ბარაქისა, რომელი წარწყმდა შორის საკურთხეველისა მის და ტაძრისა. ჰე[8], გეტყჳ თქუენ, იძიოს ნათესავისა ამისგან.

52. ვაჲ თქუენდა, შჯულის-მოძღუარნო, რამეთუ დაჰმალენით კლიტენი მეცნიერებისანი; თქუენ შე-არა-ხუალთ და შემავალთა აყენებთ.

53. და ვითარცა ეტყოდა მათ თავადი ამას წინაშე ყოელისა მის ერისა, იწყეს მწიგნობართა მათ და ფარისეველთა გან-

IIK

მეთუ ხართ, ვითარცა საფლავნი უჩინონი, და კაცნი ზედა ვლენან[1] და არა იციან.

45. მიუგო შჯულის-მეცნიერმან ვინმე და ჰრქუა მას: მოძღუარ, მაგას რაჲ იტყჳ, ჩუენცა გუაგინებ.

46. ხოლო თავადმან ჰრქუა მას: თქუენდაცა, სჯულის-მეცნიერთა[2], ვაჲ არს, რამეთუ აღჰკიდით კაცთა ტჳრთი ძნიად სატჳ(I 170v)რთავი და თქუენ ერ-(H 170v)თითაცა თითითა არა შეახით ტჳრთსა მას.

47. ვაჲ თქუენდა, რამეთუ აშენებთ საფლავებსა[3] წინაწარმეტყუელთასა, ხოლო მამათა თქუენთა მოსწყჳდნეს იგინი.

48. ეწამებით სამე[4] და თანა-სათნო-ეყოფვით საქმესა მამათა თქუენთასა, რამეთუ მათ მოსწყჳდნეს იგინი, და თქუენ საფლავთა მათთა[5] აშენებთ.

49. ამისთჳსცა-იგი სიბრძნემან ღმრთისამან თქუა: მოვავლინნე მათა წინაწარმეტყუელნი და მოციქულნი, და მათგანნი მოსწყჳდნენ და დევნნენ[6].

50. რაჲთა იძიოს სისხლი ყოველთა წინაწარმეტყუელთაჲ, დათხეული დასაბამითგან სოფლისაჲთ ნათესავისა ამისგან,

51. სისხლითგან აბელისით, ვიდრე სისხლადმდე ზაქარიაჲსა[7], რომელი წარწყმდა შორის საკუთრხეველისა მის და ტაძრისა. ჰე[8], გეტყჳ თქუენ, იძიოს ნათესავისა ამისგან.

52. (K 193v) ვაჲ თქუენდა, სჯულის-მოძღუარნო[9], რამეთუ დაჰმალენით კლიტენი მეცნიერებისანი; თქუენ არა შეხუალთ[10] და შემავალთა აყენებთ.

53. და ვითარ-იგი თავადი ეტ(H 171r)ყოდა მათ ამას წინაშე (I 171r) ყოველისა მის ერისა, იწყეს მწიგნობართა

---

[1] ვლენ G. [2] და არა იციან] — F. [3] თქუენცა G. [4] მოწყჳდნს F (უქარაგმოდ). [5] დევნენ F. [6] სისხლამდე F. [7] ზაქარიაჲსა F. [8] ჰჱ F.

[1] ვლენ HI. [2] შჯულის-მეცნიერთა HI. [3] საფლავსა K. [4] სადმე K. [5] მათ HI. [6] დევნენ K. [7] ზაქარიაჲსსა K. [8] ჰჱ IK. [9] შჯულის-მოძღუარნო HI. [10] არა შეხუალთ] შე-არა-ხუალთ K.

| FG | HIK |
|---|---|
| ზრახვად ბოროტისა (G 175r) და უძნდა სიტყუაჲ იგი და ჰგმობდეს მას მრავლისათჳს სიტყჳსა. | მათ და ფარისეველთა განზრახვად ბოროტისა და უძნდა სიტყუაჲ იგი და ჰგმობდეს მას მრავლისა მისთჳს სიტყჳსა. |
| 54. და უმზირდეს მას პოვნად რასმე სიტყუასა პირისაგან მისისა, რაჲთა შეასმინონ იგი. | 54. და უმზირდეს მას პოვნად რასმე[1] სიტყუასა პირისაგან მისისა, რაჲთა შეასმინონ იგი. |

# 12

| | |
|---|---|
| 1. რომელთა ზედა შეკრებულ იყო ბევრეული ერი. ვიდრემდე დასთრგუნვიდეს ურთიერთას[1]. იწყო პირველად სიტყუად მოწაფეთა თჳსთა: ეკრძალენით თავთა თქუენთა ცომისაგან ფარისეველთაჲსა. რომელ არს ორგულებაჲ. | 1. რომელთა ზედა შეკრებულ იყო ბევრეული ერი, ვიდრემდე დასთრგუნვიდეს ურთიერთას. იწყო პირველად სიტყუად მოწაფეთა თჳსთა და ჰრქუა: ეკრძალენით თავთა თქუენთა ცომისაგან ფარისეველთაჲსა, რომელ არს ორგულებაჲ. |
| 2. ხოლო არარაჲ არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს, და დამალული. რომელი არა საცნაურ იყოს. | 2. ხოლო არარაჲ არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს, და დამალული, რომელი არა საცნაურ იყოს. |
| 3. ამისთჳს რომელი ბნელსა შინა ს(F 141v)თქუათ, ნათელსა ისმეს. და რომელსა ყურსა ეტყოდით საუნჯეთა შინა, იქადაგოს ერდოთა ზედა. | 3. ამისთჳს რომელი ბნელსა შინა სთქუათ, ნათელსა შინა ისმეს, და რომელსა ყურსა ეტყოდით საუნჯეთა შინა, იქადაგოს ერდოთა ზედა |
| 4. ხოლო გეტყჳ თქუენ, მეგობართა ჩემთა: ნუ გეშინინ მათგან. რომელთა მოსწყჳდნენ[2] ჴორცნი და ამისა (G 175v) შემდგომად ვერარაჲ აქუს უმეტესი, რაჲ გიყონ თქუენ. | 4. ხოლო გეტყჳ თქუენ, მეგობართა ჩემთა: ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოსწყჳდნენ ჴორცნი და ამისა[2] შემდგომად ვე(H 171v)რარაჲ აქუს უმე(I 171v)ტესი[3], რაჲ გიყ(K 180r)ონ თქუენ. |
| 5. ხოლო გიჩუენო თქუენ, ვისა გეშინოდის: გეშინოდენ მისა, რომელსა შემდგომად მოწყუედისა ჴელ-ეწიფების შთაგდებად გეჰენიასა[3]. ჰე, გეტყჳ თქუენ, მისა გეშინოდენ. | 5. ხოლო გიჩუენო[4] თქუენ, ვისა[5] გეშინოდის: გეშინოდენ მისა[6], რომელსა შემდგომად მოწყუედისა[7] ჴელ-ეწიფების შთაგდებად გეჰენიასა[8]. ჰე[9], გეტყჳ თქუენ, მისა[6] გეშინოდენ. |
| 6. ანუ არა ხუთი სირი განიყიდების[4] ორის ასარის? და ერთიცა[5] მათგანი არა არს დაფარულ წინაშე ღმრთისა. | 6. ანუ არა ხუთი სირი განისყიდების ორის ასარის? და ერთიცა მათგანი არა არს დაფარულ წინაშე ღმრთისა. |
| 7. არამედ თმანიცა თავისა თქუენისანი ყოველნი განრაცხილ არიან. ნუუკუე[6] გეშინინ, რამეთუ მრავალთა სირთა უმჯობეს ხართ. | 7. არამედ თმანიცა თავისა თქუენისანი ყოველნი განრაცხილ არიან. ნუუკუე[10] გეშინინ, რამეთუ მრავალთა სირთა უმჯობეს ხართ. |
| 8. ხოლო გეტყჳ თქუენ: ყოველმან რომელმან აღიაროს ჩემდა მომართ წი- | 8. ხოლო გეტყჳ თქუენ: ყოველმან რომელმან აღიაროს ჩემდა მომართ წი- |

---

[1] ურთიერთარს F. [2] მოწყჳდნენ G. [3] გეჴსნისა F. [4] განისყიდების G. [5] ერთი F. [6] ნუ F.

[1] რასჲე K. [2] ამისსა K. [3] უმეტი K. [4] გიჩუჱნო HI. [5] ვისსა K. [6] მისსა K. [7] მოწყუედისა HI. [8] გეჴსენისა I. [9] ჰჱ HIK. [10] ნუუკჱ HIK.

FG

ნაშე კაცთა, ძემანცა[1] კაცისამან აღიაროს იგი წინაშე ანგელოზთა ღმრთისათა.

9. და რომელმან უვარ-მყოს[2] მე წინაშე კაცთა, უვარ-ვყო[3] იგიცა წინაშე ანგელოზთა ღმრთისათა.

10. და ყოველმან რომელმან თქუას სიტყუაჲ ძისა მიმართ კაცისა, მიეტეოს მას. ხოლო სულისა წმიდისა მგმობარსა (G 178r) არა მიეტეოს[4].

11. და ოდეს შეგიყვანნენ თქუენ შესაკრებელთა წინაშე და[5] მთავართა და ჴელმწიფეთა, ნუ ჰზრუნავთ[6], ვითარ ანუ რაჲ სიტყუაჲ მიუგოთ, ანუ რაჲ სთქუათ,

12. (F 142r) რამეთუ სულმან წმიდამან გასწაოს თქუენ მას ჟამსა შინა, რაჲ-იგი სთქუათ.

13. ჰრქუა ვინმე მას მის ერისაგანმან: მოძღუარ, არქუ ძმასა ჩემსა, რაჲთა განმეყოს მე სამკჳდრებელსა.

14. ხოლო თავადმან ჰრქუა მას: კაცო, ვინ დამადგინა მე მსაჯულად და განმყოფელად თქუენდა?

15. და ეტყოდა მათ: ეკრძალენით და დაიცევენით თავნი თქუენნი ყოვლისაგან ანგაჰრებისა, რამეთუ არა ნამეტავისაგან[7] ვისამე არს ცხორებაჲ მისი ნაყოფთა მათგან.

16. და ეტყოდა მათ იგავსაცა და ჰრქუა მათ: კაცისაჲ ვისიმე[8] მდიდრისაჲ ნაყოფიერ იყო აგარაკი.

17. და განიზრახვიდა გულსა თჳსსა (G 178v) და თქუა: რაჲ-მე ვყო, რამეთუ არა მაქუს, სადა დავიკრიბო ნაყოფი ჩემი?

18. დავარღუნე საუნჯენი ჩემნი და უფროჲსნი აღვაშენნე და შევკრიბო ყოველი კეთილი ჩემი.

19. და ვჰრქუა სულსა ჩემსა: სულო, გაქუს მრავალი კეთილი დაუნჯებული

HIK

ნაშე კაცთა, ძემანცა კაცისამან აღიაროს იგი წინაშე ანგელოზთა ღმრთისათა.

9. და რომელმან უვარ-მყოს მე წინაშე კაცთა, უვარ იქმნეს იგიცა წინაშე ანგელოზთა ღმრთისათა.

10. და ყოველმან რომელმან თქუას სიტყუაჲ ძისა მიმართ კაცისა, მიეტეოს მას, ხოლო სულისა წმიდისა მგმობარსა არა მიეტეოს.

11. და ოდეს შეგიყვანნენ თქუენ შესაკრებელთა და წინაშე[1] მთავართა და ჴელმწიფეთა, ნუ ჰზრუნავთ[2], ვითარ ანუ რაჲ სიტყუაჲ (H 172r) მიუგოთ, ანუ რაჲ სთქუათ,

12. (I 172r) რამეთუ სულმან წმიდამან გასწაოს თქუენ მას ჟამსა შინა, რაჲ-იგი სთქუათ.

13. ჰრქუა ვინმე მას მის ერისაგანმან: მოძღუარ, არქუ ძმასა ჩემსა, რაჲთა განმეყოს მე სამკჳდ(K 188v)რებელსა.

14. ხოლო თავადმან[3] ჰრქუა მას: კაცო, ვინ დამადგინა მე მსაჯულად და განმყოფელად თქუენდა?

15. და ეტყოდა მათ: ეკრძალენით და დაიცევენით თავნი თქუენნი ყოვლისაგან ანგაჰრებისა, რამეთუ არა ნამეტნავისაგან[4] ვისამე[5] არს ცხორებაჲ მისი ნაყოფთა მისთაგან.

16. და ეტყოდა მათ იგავსაცა და ჰრქუა მათ: კაცისაჲ ვისიმე[6] მდიდრისაჲ ნაყოფიერ იყო აგარაკი.

17. და განიზრახვიდა გულსა შინა თჳსსა და თქუა: რაჲ-მე ვყო, რამეთუ არა მაქუს, სადა შევიკრიბო[7] ნაყოფი ჩემი?

18. და თქუა: ესე ვყო: დავარღუნე საუნჯენი ჩემნი და უფროჲსნი აღვაშენნე და შევიკრიბო მუნ ყოველი ნაყოფი და კეთილი ჩემი.

19. და ვჰრქუა სულსა ჩემსა: სულო, გაქუს მრავალი კეთილი დაუნჯებული

---

[1] ძჳმანცა G. [2] უარ-მყოს F. [3] უარ-ყოს F. [4] მიეტე F. [5] და] — F. [6] ზრუნავთ G. [7] ნამეტნავეისაგან F. [8] ჳისმე G.

[1] წინაშე] — HI. [2] ზრუნავთ HI. [3] თავად H (ასევეა E-შიც). [4] ნამეტნავე HIK. [5] ჳისამე K. [6] ჳისმე K. [7] შევკრიბო HI.

| FG | HIK |
|---|---|
| მრავალთა წელთაჲ[1]: განისუენე, ჭამე და[2] სუ და იხარებდ. | მრავალთა წელთაჲ: განისუენე[1], ჭამე და სუ და იხარებდ. |
| 20. ჰრქუა მას ღმერთმან: უგუნურო, ამას ღამესა მიგიღონ[3] სული შენი შენგან: ეგე, რომელ მოიმზადე, ვისა იყოს? | 20. (H 172v) ჰრქუა მას ღმერთმან: უგუნუ(I 172v)რო, ამას ღამესა მიგიღონ სული შენი შენგან; ეგე, რომელ მოიმზადე, ვისა იყოს? |
| 21. ეგრეცა რომელი იუნჯებდეს თავისა თჳსისა და არა ღმრთისა მიმართ განმდიდრდებოდის. | 21. ეგრეცა რომელი იუნჯებდეს თავისა თჳსისა და არა ღმრთისა მიერ განმდიდრდებოდის. |
| 22. (F 142v) და ჰრქუა იესუ მოწაფეთა თჳსთაჲ: ამისთჳს გეტყჳ თქუენ: ნუ ჰზრუნავთ[4] სულისა თქუენისა, რაჲ შჭამოთ, და ნუცა ჴორცთა თქუენთა, რაჲ შეიმოსოთ. | 22. და ჰრქუა იესუ მოწაფეთა თჳსთაჲ: ამისთჳს გეტყჳ თქუენ: ნუ ჰზრუნავთ სულისა თქუენისა, რაჲ (K 187r) სჭამოთ[2], და ნუცა ჴორცთა თქუენთა, რაჲ შეიმოსოთ. |
| 23. რამეთუ სული უფროჲს არს საზრდელისა და ჴორცნი სამოსლისა[5]. | 23. რამეთუ სული უფროჲს არს საზრდელისა და ჴორცნი სამოსლისა. |
| 24. განიცადენით ყორანნი, რამეთუ არა (G 177r) სთესვენ, არცა მკიან, რომელთა არა აქუს საუნჯე, ანუ სადა შეიკრიბონ, და ღმერთი ზრდის[6] მათ. რაოდენ[7] თქუენ უმჯობეს ხართ მფრინველთა? | 24. განიცადენით ყორანნი, რამეთუ არა სთესვენ, არცა მკიან, რომელთა არა აქუს საუნჯე, ანუ სადა შეიკრიბონ, და ღმერთი ზრდის მათ. რაოდენ თქუენ უმჯობეს ხართ მფრინველთა? |
| 25. ვინ-მე უკუე თქუენგანი ზრუნვიდეს და შეუძლოს შეძინებად ჰასაკსა თჳსსა[8] წყრთა ერთ[9]? | 25. ვინ-მე უკუე[3] თქუენგანი ზრუნვიდეს და შეუძლოს შეძინებად ჰასაკსა თჳსსა წყრთა ერთ? |
| 26. უკუეთუ არცა უმცირესსა შემძლებელ ხართ, რაჲსაღა სხუასა მას ჰზრუნავთ[10]? | 26. უკუეთუ[4] არცა უმცირესსა შემძლებელ ხართ, რაჲსაღა სხუასა მას ჰზრუნავთ[5]? |
| 27. განიცადეთ შროშანი, ვითარ-იგი აღორძნდის[11]: არცა[12] შურების, არცა სთავს[13]. ხოლო გეტყჳ თქუენ, რამეთუ: არცა სოლომონ ყოველსა დიდებასა თჳსსა შეიმოსა, ვითარცა ერთი ამათგანი. | 27. განიცადენით შროშანნი, ვითარ-იგი აღორძნდის: არცა შურების, არცა სთავს. ხოლო გეტყჳ თქუენ, რამეთუ: არცა სოლომონ ყოველსა დი(H 173r)დებასა თჳსსა შეიმოსა, ვითარცა ერთი ამათგანი. |
| 28. უკუეთუ ველსა გარე, რომელი დღეს თივაჲ არს და ხვალე თორნესა შთაეგზნეს, ღმერთმან ესრეთ შეამკო, რაოდენ[7] უფროჲს[14] თქუენ, მცირედ-მორწმუნენო? | 28. უ(I 178r)კუეთუ[6] ველსა გარე, რომელი დღეს თივაჲ არს და ხვალე თორნესა შთაეგზნეს, ღმერთმან ესრეთ შემოსის, რაოდენ უფროჲს თქუენ[7], მცირედ-მორწმუნენო? |
| 29. და თქუენ ნუ ეძიებთ, რაჲ ჰჭა- | 29. და თქუენ ნუ ეძიებთ, რაჲ სჭა- |

---

[1] წელით G. [2] და] — F. [3] მიგიღონ G. [4] ზრუნავთ F. [5] სამოსლისა F. [6] ჰზრდის G. [7] რავდენ F. [8] თჳსა F. [9] ერთი G. [10] ზრუნავთ G. [11] განიცადენით შროშანნი, ვითარ-იგი აღორძნდეს F. [12] არა F. [13] სთავს] სთესავს FG. [14] უფროჲს] — FG.

[1] განისუენე I. [2] შჭამოთ HI. [3] უკუე HI. [4] უკუეთუ H. [5] ზრუნავთ HI. [6] უკუეთუ I. [7] თქ́ე H.

| FG | HIK |
|---|---|
| მოთ[1] და რაჲ სუათ, და ნუცა განსცხრებით. | მოთ[1] და რაჲ ჰსუათ[2], და ნუცა განსცხრებით, |
| 30. რამეთუ ამას ყოველსა ნათესა(G 177v)ენი სოფლისანი ეძიებენ, ხოლო მამამან თქუენმან იცის, რომელი[2] გიჴმს ამათ ყოველთა(F 143r)განი. | 30. რამეთუ ამას ყოველსა ნათესავენი სოფლისანი ეძიებენ, ხოლო მამამან თქუენმან იცის, რაჲ გიჴმს ამათ ყოველთაგანი. |
| 31. გარნა ეძიებდით სასუფეველსა ღმრთისასა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქუენ: | 31. გარნა ეძიებდით სასუფეველსა ღმრთისასა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქუენ. |
| 32. ნუ გეშინინ[3] მცირესა მაგას სამწყსოსა, რამეთუ სათნო-იყო მამამან თქუენმან მოცემად თქუენდა სასუფეველი. | 32. (K 187v) ნუ გეშინინ მცირესა მაგას სამწყსოსა, რამეთუ სათნო-იყო მამამან თქუენმან ზეცათამან მოცემად თქუენდა სასუფეველი. |
| 33. განყიდეთ მონაგები თქუენი და მიეცით ქველის-საქმჱ[4] თქუენი და ყავთ თავისა თქუენისა საფასჱ[5], რომელი არა დაძუელდეს, და[6] საუნჯჱ[7] მოუკლებელი[8] ცათა შინა. სადა-იგი მპარავი არა მიეხების, არცა[9] მღილმან განრყუნის. | 33. განყიდენით მონაგებნი თქუენნი და მიეცით ქველის-საქმე და ყავთ თავისა თქუენისა საფასჲ, რომელი არა დაძუელდეს[3], და საუნჯე მოუკლებელი ცათა შინა, სადა-იგი მპარავი არა მიეჰხების, არცა მღილმან განრყუნის. |
| 34. სადაცა არს საუნჯჱ[10] თქუენი, მუნცა იყოს გული თქუენი. | 34. სადაცა არს საუნჯე თქუენი, მუნცა იყოს გული თქუენი. |
| 35. იყვნედ წელნი თქუენნი მორტყმულ და სანთელნი აღნთებულ. | 35. იყვნედ წელნი თქუენნი მორტყმულ და (H 173v) სანთელნი თქუენნი აღნთებულ. |
| 36. და თქუენ ემსგავსენით კაცთა მათ[11], რომელნი მოელიედ უფალსა თჳსსა, ოდეს მოვიდეს ქორ(G 178r)წილისაგან, რაჲთა, რაჟამს მოვიდეს და ირეკოს, და[6] მეყსეულად განუღონ მას. | 36. და თქუენ ემსგავსენით კაცთა მათ, (I 173v) რომელნი მოელიედ უფალსა თჳსსა, ოდეს მოვიდეს ქორწილისაგან, რაჲთა, რაჟამს მოვიდეს და ირეკოს, მეყსეულად განუღონ მას. |
| 37. ნეტარ იყვნენ იგი მონანი, რომელთაჲ[12] მოვიდეს უფალი მათი და პოვნეს იგინი მღჳძარენი. ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ მოირტყნეს და დასხნეს იგინი და წარმოუდგეს და ჰმსახურებდეს მათ. | 37. ნეტარ იყვნენ იგი მონანი, რომელთაჲ მოვიდეს უფალი მათი და პოვნეს იგინი მღჳძარენი. ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ მოირტყნეს და დასხნეს იგინი, წარმოუდგეს და ჰმსახურებდეს მათ. |
| 38. დაღათუ მეორესა საჴუმილავსა და მესამესა მოვიდეს და პოვნეს ესრეთ, ნეტარ იყვნენ იგინი. | 38. დაღათუ მეორესა საჴუმილავსა და მესამესა მოვიდეს და პოვნეს ესრეთ, ნეტარ იყვნენ იგინი. |
| 39. ხოლო ესემცა უწყით: უკუეთუმცა[13] იცოდა სახლისა უფალმან, რომელსა ჟამსა მპარავი მოვიდეს, იღჳძებდამცა | 39. ხოლო ესემცა უწყით: უკუეთუმცა[4] იცოდა სახლისა უფალმან, რომელსა ჟამსა მპარავი მოვალს, იღჳ(K 188r)- |

---

[1] მჭამოთ F. [2] რ̄ი-გი G. [3] გეშინნ G. [4] ქველის-საქმე F. [5] საფასე F. [6] და] — F. [7] საუნჯე F. [8] მაუკლებელი F. [9] აცა G. [10] საუნჯე G. [11] კაცსა მას F. [12] რომელთა G. [13] უკ-უეთუმცა G (უქარაგმოდ).

[1] შჭამოთ HI. [2] ჰსუათ HI. [3] დაძუელდეს HI. [4] უკუჱთუმცა H.

| FG | HIK |
|---|---|
| და არა (F 143v) უტევა დაითხრად გუერდი სახლისა თჳსისაჲ. | ქუაბდამცა და არა უტევა დათხრად სახლისა თჳსისა. |
| 40. და თქუენცა იყვენით განმზადებულ. რამეთუ ჟამსა. რომელსა არა ჰგონებდეთ. ძჱ კაცისაჲ მოვიდეს. | 40. და თქუენცა იყვენით განმზადებულ, რამეთუ ჟამსა, რომელსა არა ჰგონებდეთ, ძე კაცისაჲ მოვიდეს. |
| 41. ჰრქუა მას პეტრე: უფალო. ჩუენდა მომართ ხოლო იტყჳ იგავსა ამას, ანუ სხუათა ყოველთა მიმართ? | 41. ჰრქუა მას პეტრე: უფალო, ჩუენდა მომართ ხოლო იტყჳ იგავსა ამას, ანუ სხუათა ყოველთა მიმართ? |
| 42. და ჰრქუა იესუ: (G 178v) ვინ-მე იყოს მნჱ[1] იგი სარწმუნოჲ, რომელი დაადგინოს უფალმან მონათა თჳსთა ზედა მიცემად იფქლი ჟამსა თჳსსა[2]? | 42. და ჰრქუა იესუ: ვინ-მე არს მნე იგი სარწმ(H 174r)უნოჲ და გონიერი, რომელი დაადგინოს უფალმან მონათა თჳსთა ზედა მიცემად იფქლი ჟამსა თჳსსა? |
| 43. ნეტარ არს იგი მონაჲ, რომლისაჲ მოვიდეს უფალი მისი და ჰპოვოს[3] იგი ესრეთ მოქმედი. | 43. (I 174r) ნეტარ არს იგი მონაჲ, რომლისაჲ მოვიდეს უფალი მისი და პოოს იგი ესრეთ მოქმედი. |
| 44. ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ ყოველთა ზედა მონაგებთა მისთა დაადგინოს იგი. | 44. ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ ყოველთა ზედა მონაგებთა მისთა დაადგინოს იგი. |
| 45. უკუეთუ თქუას მონამან მან გულსა თჳსსა: ყოვნის უფალი ჩემი მოსლვად, და იწყოს გუემად მონათა და მჴევალთა, ჭამად და სუმად და დათრობად, | 45. უკუეთუ თქუას მონამან მან გულსა შინა თჳსსა: ყოვნის უფალი ჩემი მოსლვად, და იწყოს გუემად[1] მონათა და მჴევალთა და ჭამად და სუმად და დათრობად, |
| 46. მოვიდეს უფალი იგი მონისაჲ მის დღესა, რომელსა არა მოელოდის, და ჟამსა[4], რომელი არა იცის, და ორგან განკუეთოს იგი და ნაწილი მისი ურწმუნოთა თანა დადვას. | 46. მოვიდეს უფალი იგი მონისაჲ მის დღესა, რომელსა არა მოელოდის, და ჟამსა, რომელი არა იცის, და ორგან განკუეთოს[2] იგი და ნაწილი მისი დადვას ურწმუნოთა თანა. |
| 47. ხოლო მონამან მან რომელმან იცის ნებაჲ უფლისა თჳსისაჲ და არა განემზადოს ნებისაებრ[5] მისისა, იტანჯოს იგი ფრიად. | 47. ხოლო მონამან რომელმან იცის ნებაჲ უფლისა[3] თჳსისაჲ და არა განემზადოს ნებისაებრ მისისა, იტანჯოს იგი ფრიად. |
| 48. ხოლო რომელმან არა იცის და ქმნეს რაჲმე ღირსი ტანჯვისაჲ, იგუემოს მცირედ, (F 144r) რამეთუ ყოველსა რომელსა მიეცა დიდად, დიდადცა იძიოს მისგან, და რომელსა მიეცა ფრიად, (G 179r) უმეტეს მოჰკადოს[6] მას. | 48. ხოლო რომელმან არა იცის და ქმნეს რაჲმე ღირსი ტანჯვისაჲ, (K 188v) იგუემოს[4] მცირედ, რამეთუ ყოველსა რომელსა მიეცა დიდად, დიდადცა იძიოს მისგან, და რომელსა მიეცა ფრიად, უმეტესი მოჰკადონ მას. |
| 49. ცეცხლისა მიფენად მოვედ ქუეყანასა და რაჲ მნებავს, რაჲთა აწვე აღეგზნეს! | 49. (H 174v) ცეცხლისა მოვედ მიფენად ქუეყანასა ზედა და რაჲ მნებავს, რაჲთა აწვე აღეგზნეს[5]! |

---

[1] მნე F. [2] იფქლი ჟამსა თჳსსა] იფქლი ჟამსა საწყაული F (=ჟამსა იფქლისა საწყაული). [3] ჰპოვოს F. [4] ჟამი F. [5] ნებისაებრ G. [6] ასჯა AFG.

[1] გულმად HI. [2] განკუეთის HI. [3] უფლისა K. [4] იგუემის HI. [5] აღეგზნას K.

FG

50. ხოლო ნათლის-ღებაჲ მაქუს ნათლის-ღებად და ვითარ შეურვებულ ვარ, ვიდრემდე[1] აღესრულოს!

51. ეგრე ჰგონებთ, მშჳდობისა მოვედ მიფენად ქუეყანასა ზედა? არა, გეტყჳ თქუენ, არამედ განყოფად.

52. რამეთუ იყვნენ ამიერითგან ხუთნი სახლსა შინა ერთსა განყოფილ: სამნი ორთაგან და ორნი სამთაგან.

53. და განყოფად მამაჲ ძისაგან და ძჱ[2] მამისაგან; დედაჲ ასულისაგან და ასული დედისაგან; დედამთილი[3] ძის-ცოლისაგან მისისა და სძალი დედამთილისაგან.

54. ეტყოდა იესუ ერსაცა მას: რაჟამს იხილით ღრუბელი აღმომავალი დასავალით, მეყსეულად სთქუთ, ვითარმედ: წჳმაჲ მოაქუს, და არნ ეგრეთ.

55. და რაჟამს სამხრით ქარი ქრინ, სთქუთ, ვითარმედ: სიცხე იყოს, (G 179v°) და არნ ეგრეთ[4].

56. ორგულნო, პირი სამე ქუეყანისაჲ და ცისაჲ იცით გამოცდად, ხოლო ჟამი ესე ვითარ არა გამოიცადეთ[5]?

57. ანუ რაჲსა თავით თჳსით (F 144v°) არა შჯით სამართალსა?

58. რამეთუ ოდეს მიხუალ მოსაჯულისა შენისა თანა მთავრისა წინაშე გზასა ზედა, მიეც საქმარი განთავისუფლებად მისგან, ნუუკუე მიგიყვანოს შენ მსაჯულისა, და მსაჯულმან მიგცეს შენ სეფესა კაცსა[6], და სეფემან კაცმან[7] მიგცეს შენ საპყრობილედ.

59. გეტყჳ შენ: არა გამოხჳდე მიერ, ვიდრემდე უკუანაჲსკნელიცა იგი მი-ვე-სცე შენ მწულილი[8].

HIK

50. ხოლო ნათლის-ღებაჲ მაქუს (I 174v°) ნათლის-ღებად და ვითარ შეურვებულ ვარ, ვიდრემდე აღესრულოს!

51. ეგრე ჰგონებთ, ვითარმედ მშჳდობისა მოვედ მიფენად ქუეყანასა ზედა? არა, გეტყჳ თქუენ, არამედ განყოფად.

52. რამეთუ იყვნენ ამიერითგან ხუთნი სახლსა შინა ერთსა განყოფილ: სამნი ორთაგან და ორნი სამთაგან.

53. განყოფად მამაჲ ძისაგან და ძე მამისაგან: და[1] დედაჲ ასულისაგან და ასული დედისაგან; დედამთილი[2] ძის-ცოლისაგან მისისა და სძალი დედამთილისაგან.

54. ეტყოდა იესუ ერსაცა მას: რაჟამს იხილოთ ღრუბელი აღმომავალი დასავალით, მეყსეულად სთქჳთ[3], ვითარმედ: წჳმაჲ მოაქუს, და არნ ეგრეთ.

55. და რაჟამს სამხრით ქარი ქრინ, სთქჳთ[3], ვითარმედ: სიცხე იყოს, და არნ ეგრეთ[4].

56. ორგულნო, პირი სამე ქუეყანისაჲ და ცისაჲ იცით გამოცდად. ხოლო ჟამი ესე ვითარ არა გამოიცადეთ?

57. ანუ (H 175r°) რაჲსა თავით თჳსით არა სჯით[5] სამართალსა?

58. (K 189r°) რამეთუ ოდეს მიხუალ მოსაჯულისა შენისა თანა მთავრისა წინაშე გზასა ზედა, მიეც საქმარი განთავისუფლებად მისგან, (I 175r°) ნუუკუე[6] მიგიყვანოს შენ მსაჯულისა, და მსაჯულმან მიგცეს შენ მეხარკესა, და მეხარკემან მიგცეს შენ საპყრობილედ.

59. გეტყჳ შენ: ვერ გამოხჳდე მიერ, ვიდრემდე უკუანაჲსკნელიცა იგი მი-ვე-სცე მწულილი.

## 13

1. მო-ვინმე-სრულ იყვნეს მას ჟამსა ოდენ და უთხრეს მას გალილეველთა

1. მო-ვინმე-სრულ იყვნეს მას ჟამსა[7] ოდენ და უთხრეს მას გალილეველთა

---

[1] ვ̃ე F. [2] ძე G. [3] და დედამთილი F. [4] ეგრე G. [5] გამოიცადეთ G. [6] სეფე-კაცსა G [7] სეფე-კაცმან G. [8] წულილი FG.

[1] და] — HI. [2] და დედამთილი K. [3] სთქუთ K. [4] ეგრე HI. [5] შჯით HI. [6] ნუუკუჱ HI. [7] ჟამსა] + შინა K.

FG

მათთჳს, რომელთაჲ-იგი[1] სისხლი პილატე შეჰრია მსხუერპლთა მათთა თანა.

2. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ეგრე გგონიეს, ვითარმედ გალილ(G 180r)ეველნი ესე უფროჲს ყოველთა გალილეველთა იყვნეს ცოდვილ, რამეთუ ესევითარი ევნო მათ?

3. გეტყჳ თქუენ: არა; არამედ უკუეთუ არა შეინანოთ, ეგრეცა სახედ ყოველნი წარსწყმდეთ.

4. ანუ იგი, რომელ ათრვამეტთა[2] ზედა სილოამს[3] გოდოლი დაეცა და მოწყჳდნა, ჰგონებთ, ვითარმედ იგინი ხოლო თანა-მდებ იყვნეს უფროჲს ყოველთა კაცთა, რომელნი მკჳდრ არიან იერუსალჱმს?

5. გეტყჳ თქუენ: არა; არამედ უკუეთუ არა შეინანოთ, ყოველნივე ეგრეთ წარსწყმდეთ.

6. და იტყოდა იესუ იგავსა (F 145r) ამას: ლეღჳ ვისმე ედგა ნერგი სავენაჴესა თჳსსა, და მოვიდა და ეძიებდა ნაყოფსა მისგან და არა პოვა[4].

7. და ჰრქუა ვენაჴის-მოქმედსა[5] მას: აჰა ესერა სამი წელი არს, ვინაჲთგან მოვალ და ვეძიებ ნაყოფსა ლეღუსა[6] ამას შინა და არა ვპოვე[7]. (G 180v) მოჰკუეთე ეგე, რაჲსათჳს ქუეყანაჲცა დაუპყრიეს უქმად?

8. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: უფალო, უტევე ეგე ამასცა წელსა, ვიდრემდე მოუთოჴნო მას გარემო და სკორე დაუდვა,

9. ყოს ხოლო თუ ნაყოფი; უკუეთუ[8] არა, მერმე მოვჰკუეთო ეგე.

10. და ასწავებდა მათ იესუ შესაკრებელსა ერთსა შაბათსა შინა.

11. და აჰა ესერა დედაკაცი იყო, რომლისა თანა იყო სული უძლურებისაჲ ათურამეტით[9] წლითგან; და იყო იგი დალო-

HIK

მათთჳს, რომელთაჲ-იგი სისხლი პილატე შეჰრია მსხუერპლთა[1] მათთა.

2. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ეგრე გგონიეს, ვითარმედ გალილეველნი ესე უფროჲს ყოველთა გალილეველთა იყვნეს ცოდვილ, რამეთუ ესევითარი ევნო მათ?

3. გეტყჳ თქუენ: არა; არამედ უკუეთუ არა შეინანოთ, ეგრევე სახედ ყოველნი წარსწყმდეთ.

4. ანუ იგი, რომელ ათრვამეტთა ზედა[2] სილოამს გოდოლი დაეცა და მოსწყჳდნა იგინი, (H 175v) ჰგონებთ, ვითარმედ იგინი ხოლო თანა-მდებ იყვნეს უფროჲს ყოველთა კაცთა, რომელნი მკჳდრ არიან იერუსალჱმს?

5. გეტყჳ თქუენ: არა; არამედ უკუეთუ არა შეინანოთ, ყოველნივე ეგრეთ წარსწყმდეთ.

6. (I 176v) და ეტყოდა მათ იგავსა ამას: ლეღჳ ვისმე ედგა ნერგი სავენაჴესა (K 189v) თჳსსა, მოვიდა და ეძიებდა ნაყოფსა მისგან და არა პოვა.

7. და ჰრქუა ვენაჴისა-მოქმედსა მას: ესერა სამი წელი არს, ვინაჲთგან მოვალ და ვეძიებ ნაყოფსა ლეღუსა ამას შინა და არა ვჰპოვებ[3]. მოჰკუეთე[4] ეგე, რაჲსათჳს ქუეყანაჲცა დაუპყრიეს უქმად?

8. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: უფალო, უტევე ეგე ამასცა წელსა[5], ვიდრემდე მოუთოჴნო მას გარემო და სკორე დაუდვა,

9. ყოს ხოლო თუ ნაყოფი; უკუეთუ არა, მერმე მოჰკუეთე[4] იგი.

10. და ასწავებდა მათ იესუ შესაკრებელსა ერთსა შაბათსა შინა.

11. და აჰა ესერა დედაკაცი იყო, რომლისა თანა იყო სული უძლურებისაჲ ათრვამეტ წლითგან; და იყო იგი დალონე-

---

[1] რომელთა-იგი G. [2] ათურამეტთა F. [3] სილოვამს G. [4] პოა F. [5] ვენაჴისა-მოქმედსა G. [6] ლეღჳსა G (= ლეღუსა). [7] ვპოე F. [8] უკუე G (უქარაგმოდ). [9] ათურამეტით F.

[1] მსხუერპლთა HI. [2] ზედა] მათ K. [3] ვჰპოებ K. [4] მოჰკუეთე HI. [5] წელსა] წელიწადსა K.

FG

ნებულ და ვერ ეძლო ზე ახილვად ყოვლითურთ.

12. იხილა იგი[1] იესუ, მოუწოდა[2] და ჰრქუა მას: დედაკაცო, განტევებულ ხარ უძლურებისაგან შენისა.

13. და დაასხნა ჴელნი მას ზედა, და მეყსეულად აღემართა და ჳიდოდა და ადიდებდა ღმერთსა.

14. მიუგო შესაკრებლის-მთავარმან[3] მან რისხვით, რამეთუ შაბათსა განკურნა იგი იესუ, და ეტყოდა ერსა მას: (G 181r) ექუ(F 145v)სნი დღენი არიან, რომელთა შინა ჯერ-არს საქმედ; მათ შინა მომავალნი განიკურნებოდეთ და ნუ დღესა შაბათსა.

15. მიუგო მას იესუ და ჰრქუა: ორგულო, კაცად-კაცადმან თქუენმან არა აღჰჴსნისა[4] შაბათსა ჴარი გინა ვირი ბაგათაგან მათთა და წარიბის და ასჳს[5] წყალი?

16. ხოლო ესე ასული აბრაჰამისი იყო, რომელი შეეკრა ეშმაკსა, აჰა ესერა ათრვამეტი[6] წელი არს; არა ჯერ-იყოა განჴსნად საკრველთაგან მისთა დღესა[7] შაბათსა?

17. და ამას რაჲ იტყოდა თავადი, ჰრცხუენოდა ყოველთა წინა-აღმდგომთა მისთა; და ყოველსა მას ერსა უხაროდა ყოველთა მათ ზედა დიდებულებათა მისთა, რომელნი იქმნებოდეს მის მიერ.

18. და იტყოდა უფალი: რასა ვამსგავსო[8] სასუფეველი ღმრთისაჲ, და ვისა მსგავს არს იგი?

19. მსგავს არს იგი მარცუალსა მდოგჳსასა, რომელი (G 181v) მოიღო კაცმან და დასთესა იგი მტილსა თჳსსა; და აღორძნდა და იქმნა იგი ხე[9], და მფრინველთა ცისათა დაიმკჳდრეს რტოთა მისთა.

HIK

(H 170r)ბულ და ვერ ეძლო ზე ახილვად ყოვლითურთ.

12. იხილა იგი იესუ, მოუწოდა და ჰრქუა მას: დედაკაცო, განტევებულ ხარ უძლურე(I 176r)ბისაგან შენისა.

13. და დაასხნა მას ზედა ჴელ(K 190r)ნი, და მეყსეულად აღემართა და ვიდოდა და ადიდებდა ღმერთსა.

14. მიუგო შესაკრებლის-მთავარმან მან რისხვით, რამეთუ შაბათსა განკურნა იგი იესუ, და ეტყოდა ერსა მას: ექუსნი დღენი არიან, რომელთა შინა ჯერ-არს საქმედ; მათ[1] შინა მომავალნი განიკურნებოდეთ[2] და ნუ დღესა შაბათსა.

15. მიუგო მას იესუ და ჰრქუა: ორგულო, კაცად-კაცადმან თქუენმან არა აჴსნისა[3] შაბათსა შინა ჴარი გინა ვირი ბაგათაგან მათთა და წარიბის და ასჳს მას წყალი?

16. ხოლო ესე ასული აბრაჰამისი იყო, რომელი შეეკრა ეშმაკსა, აჰა ესერა ათრვამეტი წელი არს; არა ჯერ-იყოა განჴსნად საკრველთაგან მისთა დღესა შაბათსა?

17. და ამას რაჲ იტყოდა თავადი, ჰრცხუენოდა[4] ყოველთა წინა-აღ(H 170v)მდგომთა მისთა; და ყოველსა მას ერსა უხაროდა ყოველთა მათ ზედა დიდებულებათა მისთა, რომელნი იქმნებოდეს მის მიერ.

18. (I 176v) და იტყოდა: რასა ვამსგავსო სასუფეველი ღმრთისაჲ, და ვისა[5] მსგავს არს იგი?

19. მსგავს არს იგი მარცუალსა მდოგჳსასა, რომელი მოიღო კაცმან და დასთესა იგი მტილსა თჳსსა; და აღორძნდა[6] და იქმნა იგი ხე დიდ, და მფრინველთა ცისათა დაიმკჳდრეს რტოთა მისთა.

---

[1] იგი] — F. [2] მოუწოდა] — G. [3] შესაკრებელის-მთავარმან G. [4] აჰჴსნისა F. [5] ასჳს G. [6] ათურამეტი F. [7] დღჱსა G. [8] ვამგავსო G. [9] ხჱ FG.

[1] მას I. [2] განიკურნებოდეს HIK. შეიძლებოდა ასეც გასწორებულიყო: განიკურნებოდედ (ბრძ. მე-3 პირისა). [3] აჴსნისა HI (= აჴსნისა). [4] ჰრცხუენოდა HI. [5] ვისსა K. [6] I-ში „და აღორძნდა" გამოუტოვებიათ და მერმე დაუწერიათ ზემოდან მეტად წვრილი ნუსხურით.

| FG | HIK |
|---|---|
| 20. მერმე კუალად თქუა: რასა ვამსგავსო[1] სასუფეველი ღმრთისაჲ? | 20. მერმე კუალად თქუა: რასა ვამსგავსო სასუფეველი ღმრთისაჲ? |
| 21. ვამსგავსო იგი ცომსა, რომელი მოიღო დედაკაცმან და შეჰრთო იგი (F 148r) ფქვილსა სამსა საწყაულსა, ვიდრემდე[2] ალაფუენოს[3] ყოველი. | 21. (K 190v) ვამსგავსო იგი ცომსა, რომელი მოიღო დედაკაცმან და შეჰრთო იგი ფქვილსა სამსა საწყაულსა, ვიდრემდე ალაფუენოს ყოველი. |
| 22. და მიმოვიდოდა ქალაქებსა და დაბნებსა და ასწავებდა და წარიგზავნებოდა[4] იერუსალჱმდ. | 22. და მიმოვიდოდა ქალაქებსა და დაბნებსა და ასწავებდა და წარიგზავნებოდა იერუსალჱმდ[1]. |
| 23. და ჰრქუა ვინმე მას: უფალო. უკუეთუ მცირედ არიან ცხორებულნი? ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: | 23. და ჰრქუა ვინმე მას: უფალო, უკუეთუ მცირედ არიან ცხორებულნი? ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: |
| 24. ილუაწეთ შესლვად იწროჲსა მისგან კარისა. ხოლო გეტყჳ თქუენ: მრავალნი ეძიებდენ შესლვად და ვერ უძლონ. | 24. ილუაწეთ შესლვად იწროჲსა მისგან კარისა. ხოლო გეტყჳ თქუენ: მრავალნი ეძიებდენ შესლვად და ვერ უძლონ. |
| 25. ვინაჲთგან აღდგეს სახლისა უფალი და დაჰკშას კარი. და გარეშე სდგეთ და იწყოთ (G 182r) რეკად კარსა და იტყოდით: უფალო, უფალო, განგჳღე ჩუენ! და მოგიგოს და გრქუას თქუენ: არა გიცნი თქუენ[5], ვინანი ხართ. | 25. (H 177r) ვინაჲთგან აღდგეს სახლისა უფალი და დაჰკშას კარი, და გარეშე სდგეთ და იწყოთ რეკად კარსა და იტყოდით: უფალო, უფალო, განგჳღე ჩუენ! (I 177r) მოგიგოს და გრქუას თქუენ: არა გიცნი თქუენ[2], ვინანი ხართ. |
| 26. მაშინ იწყოთ სიტყუად[6]: ვჭამდით წინაშე შენსა და ვსუემდით, და უბანთა ჩუენთა ზედა გუასწავებდ. | 26. მაშინ იწყოთ სიტყუად: ვჭამდით წინაშე შენსა და ვსუემდით[3], და უბანთა ჩუენთა ზედა გუასწავებდ. |
| 27. და გრქუას: არა გიცნი, ვინანი ხართ, განმეშორენით ჩემგან ყოველნი მოქმედნი უშჯულოებისანი. | 27. და გრქუას: არა გიცნი, ვინანი ხართ, განმეშორენით ჩემგან ყოველნი მოქმედნი უსჯულოებისანი[4]. |
| 28. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენაჲ კბილთაჲ, რაჟამს იხილოთ აბრაჰამი, ისაკი და იაკობი და ყოველნი წინაწარმეტყუელნი სასუფეველსა ღმრთისასა და თქუენ განსხმულნი გარე[7]. | 28. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენაჲ კბილთაჲ, რაჟამს იხილოთ აბრაჰამი, ისაკი და იაკობი და ყოველნი წინაწარმეტყუელნი სასუფეველსა ღმრთისასა და თქუენ[5] განსხმულნი[6] გარეშე[7]. |
| 29. და მოვიდოდიან მზისა-აღმოსავალით და მზის-დასავალით[8] და[9] ჩრდილოჲთ და სამხრით და ინაჴ-იდგმიდენ სასუფეველსა ღმრთისასა. | 29. და მოვიდოდიან მზისა-აღმოსავალით და მზისა-დასავალით, ჩრდილოჲთ და სამხრით და ინაჴ-იდგმიდენ სა(K 191r)სუფეველსა ღმრთისასა. |
| 30. და აჰა ესერა არიან უკუანაჲსკნელნი, რომელნი იყვნენ პირველ, და არიან პირველნი, (G 182v) რომელნი იყვნენ უკუანაჲსკნელ. | 30. და აჰა ესერა არიან უკუანაჲსკნელნი, რომელნი იყვნენ პირველ, და არიან პირველნი, რომელნი იყვნენ უკუანაჲსკნელ. |

---

[1] ვამგავსო G. [2] ვ⁻ე F. [3] ალაფუვნოს F. [4] წარეგზავნებოდა G. [5] თქუენ\| — F. [6] სიტყუაჲ G. [7] გარეშე G. [8] მზისა-დასავალით F. [9] და\| — G.

[1] იერუს⁻ლჱმდ H, იერუსალჱმდ I, ი⁻ლმდ K. [2] თქუენ I. [3] ვსუმდით HI. [4] უშჯულოებისანი HI. [5] თქუენ H. [6] განსხმულნი HI. [7] გ⁻რეშე H.

**FG**

31. მას დღესა შინა მო-ვინმე-ვიდეს იესუჲსა[1] ფარისეველნი (F 140ვ) და ეტყოდეს მას: განვედ და წარვედ ამიერ, რამეთუ ჰეროდე გეძიებს შენ მოკლვად.

32. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: მივედით და არქუთ მელსა მას: აჰა ესერა განვასხამ ეშმაკთა და კურნებათა აღვასრულებ დღეს და ხვალე[2], და ზეგე[3] აღვესრულები.

33. რამეთუ ჯერ-არს ჩემდა დღეს და ხვალე[2] და ზეგე[3] წარსლეად, რამეთუ ვერ ეგების წინაწარმეტყუელი გარეშე იერუსალჱმსა წარწყმედად.

34. იერუსალჱმ, იერუსალჱმ, რომელმან მოსწყჳდენ[4] წინაწარმეტყუელნი და ქეაჲ დაჰკრიბე მოვლინებულთა შენდა[5], რავდენ-გზის მინდა შეკრებაჲ შეილთა შენთაჲ, ვითარცა სახედ მფრინველმან თჳსნი მართუენი ფრთეთა ქუეშე, და არა ინებეთ!

35. აჰა ესერა დაუტევნეთ თქუენ სახლნი თქუენნი (G 183რ) ოკრად[6]. გეტყჳ თქუენ: არღარა მიხილოთ მე ამიერითგან, ვიდრემდე სთქუათ: კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა.

**HIK**

31. მას დღესა შინა მო-ვინმე-ეიდეს იესუჲსა ფარისეველნი და ეტყოდეს (H 177ვ) მას: განვედ და წერვედ ამიერ, რამეთუ ჰეროდე გეძიებს შენ მოკლვად.

32. ხოლო თავადმან[1] მიუგო და ჰრქუა მათ: მივედით და არქუთ მელსა მას: აჰა (I 177ვ) ესერა განვასხამ ეშმაკთა და კურნებათა აღვასრულებ დღეს და ხვალე, და ზეგე აღვესრულები.

33. რამეთუ ჯერ-არს ჩემდა დღეს და ხვალე და ზეგე წარსლვად, რამეთუ ვერ ეგების წინაწარმეტყუელი გარეშე იერუსალჱმსა წარწყმედად.

34. იერუსალჱმ[2], იერუსალჱმ[3], რომელმან მოსწყჳდენ წინაწარმეტყუელნი და ქვაჲ დაჰკრიბე მოვლინებულთა შენდა, რაოდენ-გზის[4] მინდა შეკრებაჲ შვილთა შენთაჲ, ვითარცა სახედ მფრინველმან თჳსნი მართუენი[5] ფრთეთა ქუეშე[6], და არა ინებეთ!

35. აჰა ესერა დაუტევნეთ თქუენ სახლნი თქუენნი ოკრად. გეტყჳ თქუენ: არღარა მიხილოთ მე ამიერითგან, ვიდრემდე სთქუათ: კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა.

## 14

**FG**

1. და იყო მო-რაჲ-ვიდა იესუ სახლსა ვისამე მთავრისა[7] ფარისეველისასა დღესა[8] შაბათსა ჭამად პურისა, და იგინი უმზირდეს მას.

2. და აჰა ესერა იყო ვინმე კაცი წყლით მანკიერი წინაშე მისსა.

3. (F 147რ) მიუგო იესუ და ჰრქუა შჯულის მოძღუართა მათ და ფარისეველთა: უკუეთუ ჯერ-არს შაბათსა განკურნებაჲ?

4. ხოლო იგინი დუმნეს. და მოიყვანა კაცი იგი, განკურნა და განუტეეა იგი[9].

**HIK**

1. და იყო მო-რაჲ-ვიდა იესუ სახლსა ვისმე მთავრისა ფარისეველისასა დღესა შა(H 178რ)ბათსა ჭამად პურ(K 191ვ)ისა, და იგინი უმზირდეს მას.

2. და აჰა ესერა იყო ვინმე კაცი წყლით მანკიერი წინაშე მისსა.

3. მიუგო იესუ და ჰრქუა სჯულის-მოძღუართა[7] (I 178რ) მათ და ფარისეველთაჲ უკუეთუ ჯერ-არს შაბათსა განკურნებაჲ?

4. ხოლო იგინი დუმნეს. და მოიყვანა კაცი იგი, განკურნა და განუტევა.

---

[1] ი̃ჳსა F. [2] ხვალჱ G. [3] ზჱგე G. [4] მოწყჳდენ G. [5] შენთა F. [6] უკრად F. [7] ∼ მთავრისა ვისამე F. [8] დღჱსა G. [9] იგი] — G.

[1] თავად H. [2] ი̃ჱლიმ HIK. [3] ი̃ჱლმ H, ი̃ჱლიმ IK. [4] რავდენ-გზის HI. [5] მართუჱნი HI. [6] ქუჱშე HI. [7] შჯულის-მოძღუართა HI.

| FG | HIK |
|---|---|
| 5. და ჰრქუა მათ: ვისი თქუენგანისაჲ შვილი გინა ჴარი შთავარდეს ჯურღმულსა, არა-მე მეყსეულად აღმოიქუას იგი დღესა შაბათსა? | 5. და ჰრქუა მათ: ვისი[1] თქუენგანისაჲ შვილი გინა ჴარი შთავარდეს ჯურღმულსა[2], არა-მე მეყსეულად აღმოიქუას იგი დღესა შაბათსა? |
| 6. და ვერარაჲ მიუგეს მას ამისთჳს. | 6. და ვერარაჲ მიუგეს მას ამისთჳს. |
| 7. და ეტყოდა ჩინებულ(G 183v)თა მათ იგავსა და შეასწავებდა, ვითარ-იგი ზემოჯდომასა ირჩევდეს, და ეტყოდა მათ: | 7. და ეტყოდა ჩინებულთა მათ იგავსა და შეასწავებდა, ვითარ-იგი ზემოჯდომასა ირჩევდეს, და ეტყოდა მათ: |
| 8. რაჟამს გხადოს ვინმე ქორწილსა, ნუ დასჯდები[1] პირველსა საინაჴესა, ნუუკუე უპატიოსნესი შენსა იყოს ჩინებულ მისგან; | 8. რაჟამს გხადოს ვინმე ქორწილსა, ნუ დასჯდები პირველსა საინაჴესა, ნუუკუე[3] უპატიოსნესი შენსა იყოს ჩინებული მისგან; |
| 9. და მოვიდეს, რომელმან-იგი შენ და მას გხადა, და გრქუას შენ: ადგილ-ეც ამას! მაშინ იწყო[2] სირცხჳლით უკუანაჲსკნელსა ადგილსა[3] დაპყრობად. | 9. და მოვიდეს, რომელმან-იგი შენ და მას გხადა, (K 102r) და გრქუას შენ: ადგილ-ეც ამას! მაშინ იწყო სირცხჳლით უკუანაჲსკნელსა ადგილსა დაპ(H 178v)ყრობად. |
| 10. არამედ ოდეს გხადოს ვინმე, მივედ და დაჯედ უკუანაჲსკნელსა ადგილსა, რაჲთა მოვიდეს, რომელმან-იგი გხადა შენ, და გრქუას: მეგობარო, აღდეგ, გუალე ზემოკერძო! მაშინ იყოს შენდა დიდება წინაშე ყოველთა მეინაჴეთა შენთა თანა. | 10. არამედ ოდეს გხადოს ვინმე, მივედ და დაჯედ უკუანაჲსკნელსა ადგილსა, რაჲთა მოვიდეს, რომელმან-იგი გხადა შენ, და გრქუას: მეგობარო, აღმოგუალე ზემოკერძო! მაშინ იყოს შენდა (I 178v) დიდება წინაშე ყოველთა მეინაჴეთა შენთა თანა. |
| 11. რამეთუ ყოველმან რომელმან აღიმაღლოს თა(F 147v)ვი თჳსი, დამდაბლდეს; და რომელმან დაიმდაბლოს თავი თჳსი, ამაღლდეს. | 11. რამეთუ ყოველმან რომელმან აღიმაღლოს თავი თჳსი, იგი დამდაბლდეს; და რომელმან დაიმდაბლოს თავი თჳსი, ამაღლდეს. |
| 12. (G 184r) ეტყოდა მასცა, რომელმან-იგი ჰხადა[4] მას: ოდეს ჰყოფდე სადილსა გინა სერსა, ნუ ჰხდი[5] მეგობართა შენთა, ნუცა ძმათა შენთა, ნუცა ნათესავთა შენთა, ნუცა მოძმეთა შენთა მდიდართა, ნუუკუე მათცა კუალად გხადონ შენ, და გექმნეს შენ მოსაგებელ. | 12. ეტყოდა მასცა, რომელმან-იგი ხადა მას: ოდეს ჰყოფდე სამხარსა გინა სერსა, ნუ ჰხდი[4] მეგობართა შენთა, ნუცა ძმათა შენთა, ნუცა ნათესავთა შენთა. ნუცა მოძმეთა მდიდართა, ნუუკუე[3] მათცა კუალად გხადონ შენ, და გექმნეს შენ მოსაგებელ. |
| 13. არამედ ოდეს ჰყოფდე შენ სადილსა, ჰხადე[6] გლახაკთა უმეცართა, მკელობელთა და ბრმათა, | 13. არამედ ოდეს ჰყოფდე შენ სამხარსა, ჰხადე გლახაკთა უმეცართა, მკელობელთა და ბრმათა, |
| 14. და ნეტარ იყო, რამეთუ არარაჲ აქუს, რაჲმცა მოგაგეს შენ, და მოგეგოს შენ აღდგომასა[7] მას მართალთასა. | 14. და ნეტარ იყო, რამეთუ არარაჲ აქუს, რაჲმცა მოგაგეს შენ, და მოგეგოს შენ აღდგომასა მას მართალთასა. |

---

[1] დამჯდები G. [2] იწყო] იყოს G. [3] უკუანაჲსკნელისა ადგილისა F. [4] ხადა F. [5] ხადი G. [6] ხადე F. [7] აღდგომასა F.

[1] ვის HI. [2] ჯურღუმელსა K. [3] ნუუკუე HIK. [4] ასე: HIK. ძველ ქართულში ჩვეულებრივია ჰხადი.

## FG

15. ესმა ვისმე მის თანა მეინაჴესა ესე[1]. და ჰრქუა მას: ნეტარ არს, რომელმან ჭამოს პური სასუფეველსა ღმრთისასა!

16. ხოლო თავადმან ჰრქუა მას: კაცმან ვინმე ყო პური დიდი და მოუწოდა მრავალთა.

17. და წარავლინა მონაჲ თჳსი ჟამსა პურისასა, რაჲთა ჰრქუას ჩინებულთა მათ მოსლ(G 184v)ვად, რამეთუ: აჰა ესერა პური ჩემი მზა არს ყოველი.

18. და იწყო თითოეულმან[2] ყოველმან ჯმნად. პირველმან მან ჰრქუა მას: აგარაკი ვიყიდე და უნებელი ზედა-მაც მისლვად და ხილვად იგი. გლოცავ შენ, განმიტევე, ჯმნულმცა ვარ შენგან.

19. (F 148r) და სხუამან თქუა: უღლეული ჴართაჲ ვიყიდე ხუთი და მივალ გამოცდად მათა. გლოცავ შენ, ჯმნულმცა ვარ.

20. და მერმე სხუამან თქუა: ცოლი შევირთე და მის გამო ვერ ჴელ-მეწიფების მოსლვად[3].

21. და მოვიდა მონაჲ იგი და უთხრა უფალსა თჳსსა[4] ესე. მაშინ განრისხნა სახლისა უფალი იგი და ჰრქუა მონასა მას თჳსსა: განვედ ადრე უბანთა და ყურეთა ქალაქისათა და გლახაკთა და უცხოთა და ბრმათა და მკელობელთა შემოხადე აქა.

22. და თქუა მონამან მან: უფალო, იქმნა ბრძანებაჲ შენი, და ადგილი არსღა.

23. (G 185r) და ჰრქუა უფალმან მან მონასა მას: განვედ[5] გზათა ზედა და ფოლოცთა და აიძულე[6] შემოსლვად, რაჲთა[7] აღივსოს სახლი ჩემი.

24. ხოლო გეტყჳ თქუენ: არავინ მათ კაცთაგანმან გემოჲ[8] იხილოს სერობისა ამისგან ჩემისა.

## HIK

15. ესმა ვისმე მის თანა მეინაჴესა ესე, და ჰრქუა მას: ნეტარ არს, (H 179r) რომელმან ჭამოს პური სასუფეველსა ღმრთისასა!

16. ხოლო თავადმან ჰრქუა მას: კაცმან ვინმე ყო პური დი(K 192v)დი და მოუწოდა მრავალთა.

17. და წარავლინა მონაჲ თჳსი ჟამსა პურისასა, რაჲთა ჰრქუას ჩინებულთა (I 170r) მათ მოსლვად, რამეთუ: აჰა ესერა პური ჩემი მზა არს ყოველი.

18. და იწყო თითოეულმან ყოველმან ჯმნად. პირველმან მან ჰრქუა მას: აგარაკი ვიყიდე და უნებელი ზედა-მაც მისლვად და ხილვად იგი. გლოცავ შენ, განმიტევე, ჯმნულმცა ვარ შენგან.

19. და სხუამან თქუა: უღლეული ჴართაჲ ვიყიდე ხუთი და მივალ გამოცდად მათა. გლოცავ შენ, ჯმნულმცა ვარ.

20. და მერმე სხუამან ჰრქუა: ცოლი შევირთე და მის გამო ვერ ჴელ-მეწიფების მოსლვად.

21. და მოვიდა მონაჲ იგი და უთხრა ესე უფალსა თჳსსა. მაშინ განრისხნა სახლისა უფალი იგი და ჰრქუა მონასა მას თჳსსა: განვედ ადრე უბანთა და ყურეთა ქალაქისათა და გლახაკთა და უცხოთა და ბრმათა და მკე(H 179v)ლობელთა შემოხადე აქა.

22. და თქუა მონამან მან: უფალო, იქმნა ბრძანებაჲ შენი, და ადგილი არსღა.

23. და ჰრქუა უფალმან მან მონასა მას: განვედ გზათა ზედა და ფოლოცთა და აიძულე (I 170v) შემოსლვად, რაჲთა აღივსოს სახლი ჩემი.

24. ხოლო გეტყჳ თქუენ: არავინ მათ კაცთაგანმან გემოჲ იხილოს სერობისა ამის ჩემისაჲ, რამეთუ მრავალნი არიან (K 198r) ჩინებულ და მცირედნი რჩეულ.

---

[1] ესე] — G. [2] თითუეულმან G. [3] მისლვად G. [4] თჳსა F. [5] განვედ] — F. [6] აიძულე G. [7] რაჲთა] — G. [8] გემოი F.

| FG | HIK |
|---|---|
| 25. და შეკრბებოდა მისა ერი მრავალი; და მიექცა და ჰრქუა მათ: | 25. და შეკრბებოდა მისა[1] ერი მრავალი; მიექცა და ჰრქუა მათ: |
| 26. რომელი მოვალს ჩემდა და არა მოიძულოს მამაჲ თჳსი და დედაჲ თჳსი და ცოლი და შვილნი[1] და ძმანი და დანი და მერმე კუალად თავიცა თჳსი, ვერ ჴელ-ეწიფების მოწაფე ყოფად ჩემდა. | 26. რომელი მოვალს ჩემდა და არა მოიძულოს მამაჲ თჳსი და დედაჲ თჳსი და ცოლი და შვილნი და ძმანი და დანი და მერმე კუალად სულიცა თჳსი, ვერ ჴელ-ეწიფების მოწაფე ყოფად ჩემდა. |
| 27. და რომელმან არა აღიღოს ჯუარი თჳსი და შემომიდგეს მე, ვერ ჴელ-ეწიფების მოწაფე[2] ყოფად ჩემდა. | 27. და რომელმან არა აღიღოს ჯუარი თჳსი და შემომიდგეს მე, ვერ ჴელ-ეწიფების მოწაფე ყოფად ჩემდა. |
| 28. **(F 148ⴗ/)** ვის-მე უკუე თქუენგანსა უნდეს გოდოლი[3] შენებად, არა-მეა პირველად დაჯდეს და აღირაცხოს, რავდენი წარჴდეს, უკუეთუ აქუს, რაჲთა **(G 185ⴗ/)** კმა-ეყოს მას[4] ვიდრე[5] აღსრულებადმდე[6]. | 28. ვის-მე უკუე[2] თქუენგანსა უნდეს გოდოლი[3] შენებად, არა-მეა პირველად დაჯდეს და აღირაცხოს, რაოდენი წარაგოს, უკუეთუ[4] აქუს, რაჲთა **(H 180ⴐ)** კმა-ეყოს მას აღსრულებადმდე. |
| 29. ნუუკუე დადვას საფუძველი და ვერ შეუძლოს აღსრულებად მისა, და ყოველნი რომელნი ხედვიდენ მას, იწყონ კიცხევად მისა | 29. ნუუკუე[5] დადვას საფუძველი და ვერ შეუძლოს აღსრულებად მისა[1], და ყოველნი რომელი ხედვიდენ მას, იწყონ კიცხევად მისა[1] |
| 30. და თქუან, ვითარმედ: კაცმან ამან იწყო შენებად და ვერ შეუძლო აღსრულებად. | 30. და თქუან, ვითარმედ: კაცმან ამან იწ**(I 180ⴐ)**ყო შენებად და ვერ შეუძლო აღსრულებად. |
| 31. ანუ რომელი მეუფჱ მიუვალნ სხუასა მეუფესა ბრძოლად, არა-მე პირველად დაჯდეს და განიზრახოს, უკუეთუ შემძლებელ არს ათითა ათასითა შემთხუევად ოცითა ათასითა მომავალსა მის ზედა? | 31. ანუ რომელი მეფე მივალნ სხჳსა მეფისა ბრძოლად, არა-მე პირველად დაჯდის და განიზრახის, უკუეთუ შემძლებელ არს ათითა ათასითა შემთხუევად[6] ოცითა ათასითა მომავალსა მის ზედა? |
| 32. უკუეთუ არა, ვიდრე შორსღა იყოს, მოციქული მიუვლინოს და მოიკითხოს იგი მშჳდობით. | 32. უკუეთუ[4] არა, ვიდრე შორსღა არნ, მოციქული მიუვლინის და მოიკითხის იგი მშჳდობით. |
| 33. ეგრეცა ყოველმანვე თქუენგანმან რომელმან არა იჯმნეს ყოვლისაგან მონაგებისა თჳსისა, ვერ ჴელ-ეწიფების მოწაფე[7] ყოფად ჩემდა. | 33. **(K 108ⴗ/)** ეგრეცა ყოველმანვე თქუენგანმან რომელმან არა იჯმნეს ყოვლისაგან მონაგებისა თჳსისა, ვერ ჴელ-ეწიფების მოწაფე ყოფად ჩემდა. |
| 34. **(G 180ⴐ)** კეთილ არს მარილი. უკუეთუ მარილი იგი განქარდეს, რაჲთა დაიმარილოს? | 34. კეთილ არს მარილი. უკუეთუ[7] მარილი იგი განქარდეს, რაჲთა დაიმარილოს? |

---

[1] შეი F. [2] მოწაფჱ FG. [3] გოდლისა F. [4] მას] — F. [5] ვიდრე] — G. [6] აღსრულებამდე F. [7] მოწაფჱ FG.

[1] მისსა K. [2] უკუჱ HIK. [3] გოდლისა K. [4] უკუჱთუ H. [5] ნუუკუჱ HIK. [6] შემთხუჱვად HI. [7] უკუჱთუ H, უკუეთო K.

| FG | HIK |
|---|---|
| 35. არცა ქუეყანასა, არცა სკორესა სარგებელ არს, არამედ გარე[1] განდევან იგი. რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ესმოდენ! | 35. არცა ქუეყანასა, არცა სკორესა სარგებელ არს, არამედ გარე განდევან იგი. რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ესმოდენ! |

# 15

| | |
|---|---|
| 1. და იყვნეს ყოველნი მეზუერენი და ცოდვილნი მახლ(**F 149რ**)ობელად მისა[2] და ისმენდეს მისსა[3]. | 1. (**H 180ვ**) და იყვნეს ყოველნი მეზუერენი[1] და ცოდვილნი მახლობელად მისა[2] და ისმენდეს მისსა. |
| 2. და დრტჳნვიდეს ფარისეველნი და მწიგნობარნი და იტყოდეს, ვითარმედ: ესე ცოდვილთა შეიწყნარებს და მათ თანა ჭამს და სუამს. | 2. და დრტჳნვიდეს ფარისეველნი და მწიგნობარნი და იტყოდეს, ვითარმედ: ესე ცოდვილთა შეიწყნარებს და მათ (**I 180ვ**) თანა ჭამს და სუამს. |
| 3. და ეტყოდა მათ იგავსა ამას და ჰრქუა: | 3. და ეტყოდა მათ იგავსა ამას და ჰრქუა: |
| 4. ვის თქუენგანსა კაცსა ედგას ასი ცხოვარი[4] და წარუწყმდეს მას ერთი მათგანი, არა-მე დაუტევნესა ოთხმეოც და ათცხრამეტნი[5] იგი უდაბნოსა ზედა და წარვიდეს წარწყმედულისა მისთჳს, (**G 186ვ**) ვიდრემდე პოვოს[6] იგი? | 4. ვის თქუენგანსა კაცსა ედგას ასი ცხოვარი და წარუწყმდეს მას ერთი მათგანი, არა-მე დაუტევნესა ოთხმეოც და ათცხრამეტნი იგი უდაბნოსა ზედა და წარვიდეს წარწყმედულისა მისთჳს, ვიდრემდე პოოს იგი? |
| 5. და პოვოს[6] რაჲ იგი, დაისუას მჴართა თჳსთა ზედა სიხარულით: | 5. და პოოს რაჲ, დაისუას იგი მჴართა თჳსთა ზედა სიხარულით; |
| 6. და მო-რაჲ-ვიდეს იგი[7] სახედ[8] თჳსა, მოუწოდის მეგობართა და მოძმეთა და ჰრქუას მათ: ჩემ თანა გიხაროდენ, რამეთუ ვპოვე[9] ცხოვარი წარწყმედული. | 6. და მო-რაჲ-ვიდეს იგი სახედ თჳსა, მოუწოდის მეგობართა და მოძმეთა და ჰრქუას მათ: ჩემ თანა გიხაროდენ, რამეთუ ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. |
| 7. გეტყჳ თქუენ: ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა ერთისათჳს ცოდვილისა, რომელმან შეინანოს, ვიდრელა არა[10] ოთხმეოც და ათცხრამეტთა[11] მათ მართალთა, რომელთა არა უჴმს სინანული. | 7. გეტყჳ თქუენ: ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა ერთისათჳს ცოდ(**K 194რ**)ვილისა. რომელმან შეინანოს, ვიდრელა არა[3] ოთხმეოც და ათცხრამეტთა მათ მართალთა, რომელთა არა უჴმს სინანული. |
| 8. გინა დედაკაცსა რომელსა აქუნდა დრაქმე ათი, რომელ არს სატირი, და წარწყმიდოს ერთი სატირი, არა-მე აღანთოსა სანთელი და მონახოს სახლი და ეძიებდეს გულს-მოდგინედ, ვიდრემდე პოოს იგი. | 8. (**H 181რ**) გინა დედაკაცსა რომელსა აქუნდა დრაქმაჲ ათი და წარწყმიდის ერთი, არა-მე აღანთისა სანთელი და მოჰმართის სახლი და ეძიებნ გულს-მოდგინედ, ვიდრემდე პოის იგი? |

---

[1] გარჱ G. [2] მისსა G. [3] მისა F. [4] ცხოარი F. [5] ცხრამეტნი G. [6] პოოს F. [7] იგი]— F. [8] სახიდ G. [9] ვპოე F. [10] ვ́ელარა F. [11] ცხრამეტთა G.

[1] მეზუჱრენი IK (H: მეზუ[ე]რენი). [2] მისა K. [3] ვიდრელარა HIK.

| FG | HIK |
|---|---|
| 9. **(F 149v)** და პოვოს[1] რაჲ, მოუწოდის მეგობართა და მოძმეთა და ჰრქუას მათ: ჩემ თანა გიხაროდენ, რამეთუ ვპოვე[2] სატირი **(G 157r)** იგი, რომელი წარმიწყმდა. | 9. და პოის რაჲ, მოუწოდის მეგობართა და მოძმეთა **(I 181r)** და ჰრქჳს მათ: ჩემ თანა გიხაროდენ, რამეთუ ვპოვე[1] დრაქმაჲ იგი, რომელი წარვწყმიდე. |
| 10. გეტყჳ თქუენ: ესრეთ იყოს სიხარული წინაშე ანგელოზთა ღმრთისათა ერთსა ზედა ცოდვილსა, რომელმან შეინანოს. | 10. გეტყჳ თქუენ: ესრეთ იყოს სიხარული წინაშე ანგელოზთა ღმრთისათა ერთსა ზედა ცოდვილსა, რომელმან შეინანოს. |
| 11. მერმე ეტყოდა და ჰრქუა[3]: კაცსა ვისმე ესხნეს ორ ძე[4]. | 11. მერმე იტყოდა და თქუა: კაცსა ვისმე ესხნეს ორ ძე. |
| 12. და ჰრქუა უმრწემესმან[5] მან მამასა თჳსსაჲ მომეც მე, რომელი მხუდების ნაწილი სამკჳდრებელისაჲ. და განუყო მათ საცხოვრებელი[6] იგი. | 12. და ჰრქუა უმრწემესმან მან მამასა თჳსსაჲ მამაო, მომეც მე, რომელი მხუდების ნაწილი სამკჳდრებელისაჲ. და განუყო მათ საცხორებელი იგი. |
| 13. და შემდგომად არა მრავალთა დღეთა შეიკრიბა ყოველი უმრწემესმან[7] მან ძემან და წარვიდა შორსა სოფელსა და მუნ განაბნია ნაყოფი იგი მისი, რამეთუ ცხოვნდებოდა[8] იგი არაწმიდად. | 13. და შემდგომად არა მრავალთა დღეთა შეიკრიბა ყოველი უმრწემესმან მან[2] ძემან და წარვიდა შორსა სოფელსა და მუნ განაბნია ნაყოფი იგი მისი. რამეთუ ცხოვნდებოდა[3] იგი არაწმიდებით. |
| 14. და ვითარცა წარწყმიდა მან ყოველივე მისი, იყო სიყმილი ძლიერი[9] მას სოფელსა, და იწყო მან მოკლებად. | 14. და ვითარცა წარაგო[4] მან ყოველივე მისი, იყო სიყმი**(H 181v)**ლი ძლიერი მას სოფელსა, და იწყო მან მოკლებად. |
| 15. და მივიდა და შეუდგა ერთსა მოქალაქესა მის სოფლისასა, ხოლო მან წარავლინა იგი ველად თჳსა ძოვნად ღორთა. | 15. და მივიდა და შეუდგა ერთსა მოქალაქესა მის სოფლისასა, **(K 104v)** ხოლო მან წარავლინა იგი ველად თჳსა[5] ძოვნად ღორთა. |
| 16. **(G 187v)** და გული-ეტყჳნ[10] განძღებად მუცლისა რქისა მისგან[11], რომელსა-იგი ჭამედ ღორნი, და არავინ სცის მას. | 16. და გული-ეტყოდა განძღებად მუცლისა რქისა მისგან, რომელსა ჭამედ ღორნი, და **(I 181v)** არავინ სცის მას. |
| 17. განიზრახვიდა თავსა თჳსსა და თქუაჲ: რავ**(F 150r)**დენთა[12] სასყიდლით-დადგინებულთა მამისა ჩემისათა ჰმატს პური, და მე აქა სიყმილითა წარვწყმდები. | 17. და მოეგო რაჲ თავსა თჳსსა, თქუაჲ: რაოდენთა[6] სასყიდლით-დადგინებულთა მამისა ჩემისათა ჰმატს პური, და მე აქა სიყმილითა წარვწყმდები. |
| 18. აღვდგე და წარვიდე მამისა ჩემისა და ვჰრქუა მას: მამაო, ვცოდე ცად მიმართ და წინაშე შენსა, | 18. აღვდგე და წარვიდე მამისა ჩემისა და ვჰრქუა მას: მამაო, ვცოდე ცად მიმართ და წინაშე შენსა, |

---

[1] პოოს F. [2] ვპოე F. [3] თქუა G. [4] ძჱ FG. [5] უმწემესმან F. „რ" თავიდან არც G-ში ყოფილა, მაგრამ შემდეგ ზემოდან ჩაუმატებია გადამწერს (ხელი და მელანი ტექსტისაა). [6] საცხორებელი F. [7] უმწემესმან F. ურწემესმან G. [8] ცხონდებოდა F. [9] ძრიელი FG. [10] გულ-ეტყოდა G. [11] რქისა მის FG. [12] რაოდენთა G.

[1] ვპოე HK. [2] მან] — K. [3] ცხონდებოდა HI. [4] წარა\|რაგო K. [5] თჳსსა HIK. [6] რაუდენთა HI.

FG

19. და არღარა ღირს ვარ მე წოდებად ძედ შენდა, არამედ მყავ მე ვითარცა ერთი მუშაკთაგანი.

20. და აღდგა იგი და მივიდა[1] მამისა თჳსისა. და ვიდრე შორსღა იყო, იხილა იგი მამამან თჳსმან და შეეწყალა. და მირბიოდა იგი და დავარდა ქედსა ზედა მისსა და ამბორს-უყოფდა მას.

21. ჰრქუა მას ძემან მან: მამაო, ვცოდე ცად მიმართ და წინაშე შენსა და არღარა[2] ვარ მე ღირს (**G 188**r) წოდებად ძედ შენდა.

22. ჰრქუა მამამან მისმან მონათა თჳსთა: გამოიღეთ სამოსელი[3] პირველი და შეჰმოსეთ მას და[4] შეაცჳთ ბეჭედი ჴელსა მისსა და ჴამლნი ფერჴთა მისთა.

23. და მოიბით[5] ზუარაკი იგი მსუქანჱ[6] და დაკალთ, და ვჭამოთ და ვიხარებდეთ,

24. რამეთუ ძჱ ესე ჩემი მომკუდარ იყო და განცოცხლდა, წარწყმედულ იყო და იპოვა[7]. და იწყეს განცხრომად.

25. და იყო ძჱ იგი მისი უხუცესი ველსა გარჱ[8]. (**F 150**v) და ვითარცა მოვიდოდა და მოეახლა სახლსა მას, ესმა ჴმაჲ სიხარულისა და განცხრომისაჲ.

26. და მოუწოდა ერთსა მონათაგანსა და ჰკითხვიდა, ვითარმედ: რაჲ არს ესე?

27. ხოლო მან ჰრქუა მას, რამეთუ: ძმაჲ შენი მოსრულ არს, და მამამან შენმან დაკლა ზუარაკი იგი ჰამებული, რამეთუ ცოცხლებით მოვიდა იგი.

28. ხოლო იგი განრისხნა და არა (**G 188**v) უნდა შინა შესლეად. ხოლო მამაჲ მისი გამოვიდა და ჰლოცვიდა მას.

29. და მან მიუგო და ჰრქუა მამასა თჳსსა: აჰა ესერა ესოდენნი წელნი გმონენ შენ და არასადა მცნებასა შენსა

HIK

19. და არღარა ღირს ვარ მე წოდებად ძედ შენდა, არამედ მყავ მე ვითარცა ერთი მუშაკთაგანი.

20. და აღდგა და მოვიდა იგი მამისა თჳსისა. და ვიდრე შორსღა იყო, იხილა იგი მამამან მისმან და შეეწყალა. და მირბიოდა იგი და დავარდა ქედსა ზედა მისსა და ამბორს-უყოფდა მას.

21. და ჰრქუა მას ძემან მან: მამაო, ვცოდე ცად (**H 182**r) მიმართ და წინაშე შენსა და არღარა ვარ მე ღირს წოდებად ძედ შენდა.

22. ჰრქუა მამამან მისმან მონათა თჳსთა: გამოიღეთ სამოსელი პირველი და შეჰმოსეთ მას და შეაცუთ[1] ბეჭედი ჴელსა მისსა და ჴამლნი ფერჴთა მისთა.

23. და მოიბთ ზუარაკი იგი ჰამებული და (**I 182**r) დაკალთ, და ვჭამოთ და ვიხარებდეთ,

24. რამეთუ ძე ესე ჩემი მომკ(**K 195** r)უდარ იყო და განცოცხლდა, წარწყმედულ[2] იყო და იპოვა. და იწყეს განცხრომად.

25. და იყო ძე იგი მისი უხუცესი ველსა გარე. და ვითარცა მოვიდოდა და მოეახლა სახლსა მას, ესმა ჴმაჲ სიხარულისა და განცხრომისაჲ.

26. და მოუწოდა ერთსა მონათაგანსა და ჰკითხვიდა, ვითარმედ: რაჲ არს ესე?

27. ხოლო მან ჰრქუა მას, რამეთუ: ძმაჲ შენი მოსრულ არს, და მამამან შენმან დაკლა ზუარაკი იგი ჰამებული, რამეთუ ცოცხლებით მოვიდა იგი.

28. ხოლო იგი განრისხნა და არა უნდა შინა შესლვად. ხოლო მამაჲ მისი გამოვიდა და ჰლოცვიდა (**H 182**v) მას.

29. და მან მიუგო და ჰრქუა მამასა თჳსსა: აჰა ესერა ესოდენნი წელნი გმონენ შენ და არასადა მცნებასა შენსა გარ-

---

[1] ~ და აღდგა და მივიდა იგი G. [2] არა F. [3] სამუსელი F. [4] და და F. [5] ასეა FG. [6] მსუქანე F. [7] იპოა F. [8] გარჱ G.

[1] შეაცუთ HI (=შეაცუთ. მაგრამ ეს უკვე არ შეეფერება ძველი ქართულის ნორმებს). [2] წარწყმედილ HI.

FG

გარდავჰკედ; და მე არასადა მომეც ერთი თიკანი, რაჲთამცა მეგობართა ჩემთა თანა ვიხარე[1].

30. და ოდეს ძჱ ესე შენი მოვიდა, რომელმან შეჭამა საცხოვრებელი[2] შენი მეძავთა თანა, დაუკალ მას ზუარაკი იგი ჭამებული.

31. ხოლო მან ჰრქუა მას: შვილო, შენ მარადის ჩემ თანა ხარ, და ყოველი ჩემი შენი არს.

32. ხოლო აწ მხიარულებაჲ და სიხარული ჯერ-არს, რამეთუ ძმაჲ ესე შენი მომკუდარ იყო და განცოცხლდა, წარწყმედელ იყო და იპოვა[3].

HIK

დავჰკედ, და მე არასადა მომეც ერთი თიკანი, რაჲთამცა მეგობართა ჩემთა თანა ვიხარე.

30. და ოდეს ძე ესე შენი მოვიდა, რომელმან (I 182v) შეჭამა საცხორებელი შენი მეძავთა თანა, დაუკალ მას ზუარაკი იგი ჭამებული.

31. ხოლო მან ჰრქუა მას: შვილო, შენ მარადის ჩემ თანა ხარ, და ჩემი ყოველი შენი არს.

32. ხოლო აწ მხიარულებაჲ და სიხარული ჯერ-არს, რამეთუ ძმაჲ ესე შენი მომკუდარ იყო და განცოცხლდა, წარწყმედ(K 195v)ულ იყო და იპოვა.

# 16

FG

1. და ეტყოდა მოწაფეთაცაჲ კაცი ვინმე იყო მდიდარი, რომელსა ესუა მნჱ[4]. და ესე შეასმინეს მას, (F 161r) ვითარმედ განაბნია ნაყოფი მისი.

2. და მოუწოდა და (G 189r) ჰრქუა მას: რაჲ არს ესე, რომელი მესმის შენთჳს? მომეც მე სიტყუაჲ სამნოჲსა[5] შენისაჲ, რამეთუ არღარა ჴელ-გეწიფების ამიერითგან მნეობად[6].

3. ხოლო მნემან მან თქუა გულსა თჳსსა: რაჲ ვყო, რამეთუ უფალი ჩემი მიმიღებს სამნოსა ჩემსა? საქმედ არა ძალ-მიც, თხოვად[7] მრცხუენის.

4. უწყი, რაჲ ვყო, რაჲთა[8] რაჟამს გარდამადგინებდეს მე მნეობისაგან, შემიწყნარონ სახლეულთა მათთა.

5. და მოუწოდა კაცად-კაცადსა თანა-მდებსა უფლისა თჳსისასა და ჰრქუა პირველსა მას: რაოდენი[9] თანა-გაც უფლისა ჩემისაჲ?

6. ხოლო მან თქუა: ასი საწნეხელი ზეთისაჲ. და ჰრქუა მას: მიიღე[10] ჴელით-

HIK

1. და ეტყოდა მოწაფეთაცაჲ კაცი ვინმე იყო მდიდარი, რომელსა ესუა მნე. და ესე შეასმინეს მას, ვითარმედ განაბნია ნაყოფი მისი.

2. და მოუწოდა და ჰრქუა მას: რაჲ არს ესე, რომელ მესმის შენთჳს? მომეც მე სიტყუაჲ სამნოჲსა შენისაჲ, რამეთუ არღარა ჴელ-გეწიფების ამიერითგან მნეობად.

3. ხოლო მნემან მან თქუა გულსა თჳსსა: რაჲ ვ(H 183r)ყო, რამეთუ უფალი ჩემი მიმიღებს სამნოსა ჩემსა? საქმედ არა ძალ-მიც, თხოვად მრცხუენის[1].

4. უწყი, რაჲ ვყო, რაჲთა, რაჟამს გარდავდგე მნეობისაგან, შემიწყნარონ[2] მე სახლთა მათთა.

5. და მოუწოდა კაცად-კაცადსა თანა-მდებსა უფლისა თჳსისასა და ჰრქუა პირველსა მას: რა(I 183r)ოდენი თანა-გაც უფლისა ჩემისაჲ?

6. და მან თქუა: ასი საწნეხელი ზეთისაჲ. და ჰრქუა მას: მიიღე ჴელით-

---

[1] ვიხარჱ G. [2] საცხორჳბელი F. [3] იპოა F. [4] მნე F. [5] სამნეთჲსა G. [6] მნობად G. [7] თხოად F. [8] რაჲთა] — F. [9] რაჳდენი F. [10] მიიღჱ G.

[1] მრცხუჱნის HI. [2] შემიწყარონ I.

FG

-წერილი შენი და[1] დაჯედ აღრე[2] და დაწერე ერგასისი.

7. მერმე სხუასა ჰრქუა: შენ რავდენი თანა-გაც? ხოლო მან თქუა: ასი ოცდაათეული იფქლისაჲ. ჰრქუა მასცა: მიილე[3] ჴელით-წე(G 189v)რილი შენი და დაწერე ოთხმეოცი[4].

8. და აქო უფალმან მნჱ[5] იგი სიცრუვისაჲ[6], რამეთუ გონიერად ყო. ხოლო ძენი[7] ამის სოფლისანი უგონიერეს არიან უფროჲს ძეთა ნათლისათა ნათესავსა შორის მათსა.

9. და მე გეტყჳ თქუენ: ისხენით თავისა თქუენისა მეგობარნი მამონაჲსა (F 161v) ამისგან სიცრუვისა[8], რაჲთა, რაჟამს მოაკლდეთ თქუენ ამიერ სოფლით, შეგიწყნარნენ თქუენ საუკუნეთა მათ საყოფელთა.

10. სარწმუნოჲ იგი მცირესა ზედა და მრავალსა ზედაცა სარწმუნო არს; და რომელი მცირესა ზედა ცრუ[9] არს, მრავალსა ზედაცა ცრუ არს.

11. უკუეთუ სიცრუვისასა[10] ამას მამონასა სარწმუნო არა იქმნნეთ[11], ჭეშმარიტი იგი ვინ გარწმუნოს თქუენ?

12. და უკუეთუ სხჳსასა ამას სარწმუნო არა (G 190r) იქმნენით, თქუენი იგი ვინ მოგცეს?

13. არავის მონასა ჴელ-ეწიფების ორთა უფალთა მონებად: ანუ ერთი იგი მოიძულოს და ერთი შეიყუაროს, ანუ ერთისაჲ თავს-იდვას და ერთი შეურაცხ-ყოს. ვერ ჴელ-ეწიფების ღმრთისა მონებად და მამონაჲსა.

14. ესმოდა ესე ყოველი ფარისეველთაცა, რამეთუ ვეცხლის-მოყუარე იყვნეს და შეურაცხ-ჰყოფდეს მას.

15. და ეტყოდა მათ: თქუენ ხართ, რომელნი განიმართლებთ თავთა თჳსთა წინაშე კაცთა, ხოლო ღმერთმან იცნის

HIK

-წერილი შენი და დაჯედ ადრე და დაწერე ერგასისი.

7. მერმე სხუასა ჰრქუა: შენ რაოდენი თანა-გაც? ხოლო მან თქუა: ასი სათოელი იფქლისაჲ. ჰრქუა მასცა: მიიღე ჴელით-წერილი[1] შენი და დაწერე ოთხმეოცი.

8. და აქო უფალმან მნე იგი სიცრუვისაჲ, რამეთუ გონიერად ყო. რამეთუ ძენი ამის სოფლისანი უგონიერეს არიან უფროჲს ძეთა ნათლისათა ნათესავსა შორის მათსა.

9. და მე გეტყჳ თქუენ: ისხენით (K 106r) თავისა თქუენისა[2] მეგობარნი მამონაჲსა მისგან სიცრუეისა, რაჲთა, რაჟამს მოაკლდეთ თქუენ (H 188v) ამიერ, შეგიწყნარნენ თქუენ საუკუნეთა მათ[3] საყოფელთა.

10. სარწმუნოჲ იგი მცირესა ზედა და მრავალსა ზედაცა სარწმუნო არს; და რომელი მცირესა ზედა ცრუ არს, მრავალსაცა ზედა ცრუ არს.

11. უკუეთუ სიცრუეისა ამას მამონასა (I 188v) სარწმუნო არა იქმნნეთ[4], ჭეშმარიტი იგი ვინ გარწმუნოს თქუენ?

12. და უკუეთუ სხჳსასა ამას სარწმუნო არა იქმნნეთ, თქუენი იგი ვინ მოგცეს თქუენ?

13. არავის მონასა ჴელ-ეწიფების ორთა უფალთა მონებად: ანუ ერთი იგი მოიძულოს და ერთი შეიყუაროს, და ანუ ერთისაჲ თავს-იდვას და ერთი შეურაცხ-ყოს. ვერ ჴელ-ეწიფების ღმრთისა მონებად და მამონაჲსა.

14. ესმოდა ესე ყოველი ფარისეველთაცა, რამეთუ ვეცხლის-მოყუარე იყვნეს და შეურა(K 106v)ცხ-ჰყოფდეს[5] მას.

15. და ეტყოდა მათ: თქუენ ხართ, რომელნი განიმართლებთ თავთა თჳსთა წინაშე კაცთა. ხოლო ღმერთმან იცნის

---

[1] და] — G. [2] ადრჱ G. [3] მიიღჱ G. [4] ოთხმეცი G. [5] მნე F. [6] სიცრუისაჲ F. [7] ძჱნი G. [8] სიცრუისა F. [9] ცრო F. [10] სიცრუისასა F. [11] იქმნეთ F.

[1] ჴ̄ლ-წერილი I. [2] თქუჱნისა K. [3] მათ] — K. [4] იქმნნეთ HIK. [5] შეურაცხ-ჰყოფეს H.

FG

გულნი თქუენნი, რამეთუ კაცთა შორის მაღალი საძაგელ არს წინაშე ღმრთისა.

16. რამეთუ შჯული და წინაწარმეტყუელნი ვიდრე იოვანესამდე[1]: მიერითგან სასუფეველი ღმრთისაჲ ეხარების, და ყოველი ვინვე მისა მიმართ (F 152r) იიძულების.

17. უადვილეს არს ცისა და ქუეყანისა (G 100v) წარსლვაჲ, ვიდრელა შჯულისაგანი ერთი გამოხატული დავრდომად.

18. ყოველმან რომელმან განუტეოს ცოლი თჳსი და შეირთოს სხუაჲ[2], მან იმრუშა; და რომელმან განტევებული ქმრისაგან შეირთოს, მანცა იმრუშა.

19. კაცი ვინმე იყო მდიდარი და იმოსებოდა ძოწეულითა და ბისონითა და იხარებდა დღითი-დღედ[3] ბრწყინვალედ.

20. გლახაკი ვინმე, სახელით ლაზარე. დავრდომილ იყო წინაშე ბჭეთა მისთა და ქუე ძურებოდა.

21. და გული-ეტყოდა განძღებად ბიჭისაგან გარდამოცჳვნებულისა ტაბლისაგან მის მდიდრისა. არამედ ძაღლნიცა მოვიდოდეს და ჰლოშნიდეს წყლულსა მას მისსა.

22. იყო სიკუდილი გლახაკისაჲ მის და მიიყვანა იგი ანგელოზთაგან წიაღთა აბრაჰამისთა. (G 101r) მოკუდა მდიდარიცა იგი და დაეფლა.

23: და ჯოჯოხეთს შინა[4] აღიხილნა[5] თუალნი თჳსნი, იყო რაჲ იგი ტანჯვასა შინა, და იხილა[6] აბრაჰამი შორით[7] და ლაზარე წიაღთა მისთა.

24. და მან ჴმა-ყო და თქუა: მამაო აბრაჰამ, შემიწყალე მე და მოავლინე ლაზარე[8], რაჲთა დააწოს მწუერვალი თით(F 152v)ისა მისისაჲ წყალსა და განმიგრილოს ენაჲ ჩემი, რამეთუ ვი-

HIK

გულნი თქუენნი, რამეთუ კაცთა შორის მაღალი საძაგელ არს წინაშე ღმრთისა.

16. (H 184r) რამეთუ სჯული[1] და წინაწარმეტყუელნი ვიდრე იოვანესამდე: მიერითგან სასუფეველი ღმრთისაჲ ეხარების, და ყოველივე მისა[2] მიმართ იიძულების.

17. უადვილეს არს ცისა და ქუეყანისა წარსლვაჲ, ვიდრელა სჯულისა[3] ერთი რ(I 184r)ქაჲ დავრდომად.

18. ყოველმან რომელმან განუტეოს ცოლი თჳსი და სხუაჲ შეირთოს, მან იმრუშა; და რომელმან განტევებული ქმრისაგან შეირთოს, მანცა იმრუშა.

19. კაცი ვინმე იყო მდიდარი და იმოსებოდა ძოწეულითა და ბისონითა და იხარებდა დღითი-დღე ბრწყინვალედ.

20. გლახაკი ვინმე იყო, სახელით ლაზარე, დავრდომილი[4] წინაშე ბჭეთა მისთა და ქუე[5] ძურებოდა.

21. და გული-ეტყოდა გან(K 107r)ძღებად ნამუსრევისაგან გარდამოცჳვნებულისა[6] ტაბლისაგან მის მდიდრისა. არამედ ძაღლნიცა მოვიდოდეს და ჰლოშნიდეს წყლულსა მას მისსა.

22. და იყო სიკუდილი გლახაკისაჲ მის და მიიყვანა იგი ანგელოზთაგან წიაღთა აბრაჰამისთა. მოკუდა მდიდარიცა იგი და დაეფლა.

23. და ჯოჯოხეთს შინა აღიხილ(H 184v)ნა თუალნი თჳსნი, იყო რაჲ იგი ტანჯვასა შინა, და იხილა აბრაჰამი შორით და ლაზარე წიაღთა მისთა.

24. და მან ჴმა-ყო და თქუა: მამაო (K 107v) აბრაჰამ, (I 184v) შემიწყალე მე და მოავლინე ლაზარე. რაჲთა დააწოს მწუერვალი[7] თითისა მისისაჲ წყალსა და განმიგრილოს ენაჲ ჩემი, რა-

---

[1] ი̄ნჱსამდჱ G. [2] ~ სხუაჲ შეირთოს G. [3] დღითი-დღჱ F. [4] G-ში პირველად „შიდა“ წერებულა, მაგრამ შემდეგ „იდ“ ამოუფხეკიათ, შორიშორ დარჩენილი შ და ა უქარაგმოდ დაუტოვებიათ. [5] ~ დაეფლა ჯოჯოხეთს შინა და აღიხილნა F. [6] იხილალა F. [7] შოვრით G. [8] ლაზარჱ G.

[1] შჯული HI. [2] მისსა K. [3] შჯულისა HI. [4] დავდომილი K. [5] ქუჱ HI. [6] გარდამოცვნებულისა K. [7] მწჳჱრვალი HI.

FG

ტანჯები მე ალითა ამით[1] ცეცხლისაჲთა.

25. ხოლო აბრაჰამ ჰრქუა მას: შვილო, მოიჴსენე, რამეთუ მიიღე ქეთილი შენი ცხორებასა შენსა, და ლაზარე ეგრევე მსგავსად ბოროტი. და აწ ესერა აქა ესე ნუგეშინის-ცემულ არს, ხოლო შენ იტანჯები.

26. და ამას ყოველსა თანა შორის ჩუენსა და შენსა დანახეთქი დიდი დამტკიცებულ არს, რაჲთა რომელთა უნდეს (G 101v) წიაღსლვად ამიერ თქუენდა, ვერ ჴელ-ეწიფების, არცა მაგიერ ჩუენდა წიაღმოსლვად.

27. ხოლო მან ჰრქუა: გლოცავ შენ, მამაო, მიავლინე ეგე სახლსა მამისა ჩემისასა,

28. რამეთუ მისხენ ხუთნი ძმანი, რაჲთა აუწყოს მათ, და არა მოვიდენ იგინიცა ადგილსა ამას სატანჯველისასა.

29. ჰრქუა მას აბრაჰამ: ჰქონან მოსე და წინაწარმეტყუელნი, ისმინონ მათი.

30. ხოლო მან თქუა: არა, მამაო აბრაჰამ, არამედ უკუეთუ ვინმე მკუდრეთით აღდგეს და მიეიდეს მათა, შეინანონ.

31. ჰრქუა მას აბრაჰამ: უკუეთუ მოსესი და წინაწარმეტყუელთაჲ არა ისმინეს, არცაღა, მკუდრეთით თუ ვინმე აღდგეს, და ჰრწმენეს მათ.

HIK

მეთუ ვიტანჯები მე ალითა ამით ცეცხლისაჲთა.

25. ხოლო აბრაჰამ ჰრქუა მას: შვილო, მოიჴსენე, რამეთუ მიიღე კეთილი შენი ცხორებასა შენსა, და ლაზარე ეგრევე[1] მსგავსად ბოროტი. და აწ ესერა აქა ესე ნუგეშინის-ცემულ[2] არს, ხოლო შენ იტანჯები.

26. და ამას ყოველსა თანა შორის ჩუენსა და შენსა დანახეთქი დიდი დამტკიცებულ არს, რაჲთა, რომელთა უნდეს წიაღსლვად ამიერ თქუენდა, ვერ ჴელ-ეწიფოს, არცა მაგიერ ჩუენდა (K 198r) წიაღმოსლვად.

27. ხოლო მან ჰრქუა: გლოცავ შენ, მამაო, მიავლინე ეგე სახლსა მამისა ჩემისასა,

28. რამეთუ მისხენ ხუთნი ძმანი, რაჲთა აუწყოს მათ, და არა მოვიდენ იგინიცა (H 185r) ადგილსა ამას სატანჯველისასა.

29. ჰრქუა მას აბრაჰამ: ჰქონან მოსე და წინაწარმეტყუელნი[3], მათი ისმინონ.

30. ხოლო მან თქუა: არა, მამაო აბრაჰამ, არამედ უკუეთუ ვინმე მკუ-(I 185r)დრეთით აღდგეს და მივიდეს, მათ შეინანონ.

31. ჰრქუა მას აბრაჰამ: უკუეთუ მოსესი და წინაწარმეტყუელთაჲ არა ისმინონ, არცაღა, მკუდრეთით თუ ვინმე აღდგეს, ჰრწმენეს მათ.

# 17

FG

1. ჰრქუა იესუ მოწაფეთა თჳსთა: შეუძლებელ არს (F 158r) საცთურისა არა მოსლვაჲ, ხოლო ვაჲ, ვისგან მოვიდეს.

2. (G 192r) უადვილეს არს მისა, უკუეთუმცა ლოდი ფქვილისაჲ[2] ზედა

HIK

1. ჰრქუა იესუ მოწაფეთა თჳსთა: შეუძლებელ არს საცთურისა არა მოსლვაჲ, ხოლო ვაჲ, ვისგან მოვიდეს!

2. უადვილეს არს მისა[4], უკუეთუმცა ლოდი ვირით საფქველისაჲ ზედა ედვა

---

[1] მით F. [2] „ლოდი ფქვილისაჲ" F-ში გადანაფხეკ ადგილზეა ჩაწერილი სხვა ხელით (ნუსხურად). „ლო" გაცხოველებულია მთავრულად.

[1] ეგრეთვე K. [2] ნუგეშინის-ცემულ K. [3] წინაჲსწარმეტყ~ლნი H, წ~წყლნი IK. [4] მისსა K.

| FG | HIK |
|---|---|
| ედვა ქედსა და შთავრდომილ იყო ზღუასა, ვიდრე არა დაბრკოლებასა ერთსა ამას[1] მცირეთაგანსა. | ქედსა მისსა და შთავრდომილ იყო ზღუასა, ვიდრე არა დაბრკოლებად ერთსა ამას მცირეთაგანსა. |
| 3. არამედ ეკრძალენით თავთა თქუენთა. უკუეთუ შეგცოდოს შენ ძმამან შენმან, შეჰრისხენ მას; და უკუეთუ შეინანოს, მიუტევე მას. | 3. არამედ ეკრძალენით თავთა თქუენთა. უკუეთუ შეგცოდოს შენ ძმამან შენმან, შეჰრისხენ მას; და უკუეთუ[1] შეინანოს, მიუტევე მას. |
| 4. დაღათუ შჳდ-გზის დღესა შინა შეგცოდოს და შჳდ-გზის დღესა შინა[2] მოაქციოს და გრქუას შენ: შევინანე, მიუტევე მას. | 4. დაღათუ შჳდ-გზის დღესა შინა შეგცოდოს და შჳდ-გზის მოაქციოს და გრქუას შენ: შევინანე, მიუტევე მას. |
| 5. ჰრქუეს მოციქულთა უფალსა: შემძინე ჩუენ სარწმუნოებაჲ! | 5. (**H 185v/**) და ჰრქუეს მოციქულთა უფალსა: შემძინე ჩუენ სარწმუნოებაჲ! |
| 6. ჰრქუა მათ იესუ: უკუეთუ გაქუნდეს სარწმუნოებაჲ, ვითარცა მარცუალი მდოგჳსაჲ, არქუთმცა ლეღუსულელსა ამას: აღიფხუერ და დაენერგე ზღუასა შინა, ისმინამცა თქუენი. | 6. ჰრქუა მათ იესუ: უკუეთუ გაქუნდეს სარწმუნოებაჲ, (**K 193v/**) ვითარცა მარცუალი მდოგჳსაჲ, არქუთ(**I 185v/**)მცა ლეღუსულელსა ამას: აღიფხუერ და დაენერგე ზღუასა შინა, ისმინამცა თქუენი[2]. |
| 7. ვის-მე თქუენგანსა მონაჲ ესუას მჴნეველი გინა მწყემსი, რომელიმცა (**G 192v/**) მოვიდა ველით, და მეყსეულად ჰრქუა მას: წარმოჯედ და დაჯედ! | 7. ვის-მე თქუენგანსა მონაჲ ესუას მჴნეველი გინა მწყემსი, რომელიმცა მოვიდა ველით, და მეყსეულად ჰრქუა მას: წარმოჯედ და დაჯედ! |
| 8. არამედ ჰრქუას მას: მზა-მიყავ მე, რაჲთა ვისერო, და მოირტყენ და მმსახურებდ[3] მე, ვიდრემდე[4] ვჭამო და ვსუა, და ამისა შემდგომად ჭამე და სუ (**F 158v/**) შენცა? | 8. ანუ არა-მე ჰრქუასა მას: მზა-მიყავ მე, რაჲთა ვისერო, და მოირტყენ და მმსახურებდ მე, ვიდრემდე ვჭამო და ვსუა, და ამისა[3] შემდგომად ჭამე და სუ შენცა? |
| 9. ნუუკუე მადლ-იპყრას[5] მონისაჲ მის, რამეთუ ყო ბრძანებაჲ მისი? არა ვჰგონებ. | 9. ნუუკუე[4] მადლ-იპყრასა[5] მონისაჲ მის, რამეთუ ყო ბრძანებაჲ მისი? არა ვჰგონებ. |
| 10. ეგრეცა თქუენ, ოდეს ჰყოთ ბრძანებული თქუენდა, თქუთ, ვითარმედ: მონანი ვართ უჴმარნი; რომელი თანა-გუედვა ყოფად, ვყავთ. | 10. ეგრეცა თქუენ, ოდეს ჰყოთ ბრძანებული თქუენდა, თქუთ, ვითარმედ: მონანი ვართ უჴმარნი; რომელი თანა-გუედვა[6] ყოფად, ვყავთ. |
| 11. და იყო მისლვასა მას მისსა იერუსალჱმდ და თავადი განვიდოდა შორის სამარიასა და გალილეასა. | 11. და იყო მისლვასა მას მისსა იერუსალჱმდ და თავადი განვიდოდა შორის სამარიასა და გალილეასა. |
| 12. და შე-რაჲ-ვიდა იგი დაბასა რომელსამე, და მოეგებვოდეს მას ათნი კეთ- | 12. და შე-რაჲ-ვიდა იგი დაბასა რომელსამე, მოეგებე(**H 186r**)ოდეს მას ათ- |

---

[1] ამა G. [2] დღესა შინა] — G. [3] მსახურებდ FG. [4] ვ͞ე F. [5] მადლი-იპყრას F.

[1] უკუეთუ H. [2] თქუენნი I. [3] ამისსა K. [4] ნუუკუე HIK. [5] მადლი-იპყრას K. [6] თანა-გუედვა HI.

FG

ლოვანნი[1] კაცნი[2], რომელნი[3] დადგეს შორის.

13. და მათ აღიმაღლეს ჴმაჲ მათი და იტყოდეს: იესუ მოძღუარ, შემიწყალენ ჩუენ!

14. და თავადმან ვითარცა იხილნა იგინი, ჰრქუა მათ: წარვედით და უჩუენენით (G 108r) თავნი თქუენნი მღდელთა. და იყო ვითარცა წარ-ოდენ-ვიდეს იგინი მისგან, განწმიდნეს კეთროვნებისა მისგან.

15. ხოლო ერთმან მათგანმან იხილა, რამეთუ განიკურნა, მოიქცა და ჴმითა დიდითა ადიდებდა ღმერთსა.

16. და დავარდა წინაშე ფერჴთა მისთა და ჰმადლობდა მას. და ესე იყო სამარიტელი.

17. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: არა ათნივე განიკურნნესა[4]? და ცხრანი იგი სადა არიან?

18. ვერ იპოვნეს ეგოდენ, რაჲთამცა მოიქცეს და მისცეს დიდებაჲ ღმერთსა, გარნა უცხო-თესლი ხოლო ესე?

19. და ჰრქუა მას: აღდეგ (F 154r) და წარვედ! სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ.

20. ჰკითხეს მას ფარისეველთა: ოდეს მოიწიოს სასუფეველი ღმრთისაჲ? მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: არა მოვიდეს სასუფეველი ღმრთისაჲ ზმნით;

21. არცა თქუან: აჰა აქა, ანუ იქი. აჰა ეგერა სასუფეველი ღმრთისაჲ შორის (G 108v) თქუენსა არს.

22. და ჰრქუა მოწაფეთაჲ მოვლენან დღენი, ოდეს გული-გითქუმიდეს თქუენ დღეთათჳს ძისა კაცისათა ხილვად და არა იხილოთ.

23. და გრქუან თქუენ: აჰა აქა არს, და: აჰა იქი არს, — ნუ განხუალთ.

HIK

ნი კეთროვანნი კაცნი, რომელნი დადგეს შორს.

13. და მათ აღიმაღლეს ჴმაჲ მათი და იტყოდეს: იესუ მოძღუარ, შე(K199r)მიწყალენ (I 180r) ჩუენ!

14. და თავადმან ვითარცა იხილნა იგინი, ჰრქუა მათ: წარვედით და უჩუენენით[1] თავნი თქუენნი[2] მღდელთა. და იყო ვითარცა წარ-ოდენ-ვიდეს იგინი მისგან, განწმიდნეს[3] კეთროვნებისა მისგან.

15. ხოლო ერთმან მათგანმან იხილა, რამეთუ განიკურნა, მოიქცა და ჴმითა დიდითა ადიდებდა ღმერთსა.

16. და დავარდა წინაშე ფერჴთა იესუჲსთა და ჰმადლობდა მას. და ესე იყო სამარიტელი.

17. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: არა ათნივე განიკურნნესა? და ცხრანი იგი სადა არიან?

18. ვერ იპოვნეს ეგოდენ, რაჲთამცა მოიქცეს და მისცეს დიდებაჲ ღმერთსა, გარნა უცხო-თესლი ხოლო ესე?

19. და ჰრქუა მას: აღდეგ და[4] წარვედ! სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ.

20. ჰკითხეს მას ფარისეველთა: ოდეს მოიწიოს სასუფეველი ღმრთისაჲ? მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: არა მოვიდეს სასუფეველი ღმრთისაჲ ზმნით;

21. არცა (H 186v) თქუან: აჰა აქა, ანუ იქი. აჰა ეგერა სასუფეველი ღმრთისაჲ შორის თქუენსა არს.

22. და ჰრქუა მოწაფეთა: მოვლენან დღენი, ოდეს გული-გითქუმიდეს თქუენ (I 180v) დღეთათჳს ძისა კაცისათა ხილვად და არა იხილოთ.

23. და გრქუან თქუენ: აჰა აქა არს, და: აჰა იქი არს,—ნუ განხუალთ, ნუცა შეუდგთ.

---

[1] კეთროანნი F. [2] კაცნი] — G. [3] რომელნი] — G. [4] განიკურნესა FG.

[1] უჩუჱნენით HI. [2] თქუჱნნი H. [3] განწმდეს K. მაგრამ მერმე ზემოდან მეტად წვრილი ნუსხურით მ-ს შემდეგ „ი“, ხოლო დ-ს შემდეგ „ნ“ დაუმატებიათ (=განწმიდნეს). [4] და] — K.

| FG | HIK |
|---|---|
| 24. რამეთუ ვითარცა ელვაჲ რაჲ ელავნ ქუეშე ცისაჲთგან, ვიდრე ქუეშე ცისამდე ბრწყინავნ, ეგრეთ[1] იყოს ძჱ[2] კაცისაჲ დღეთა მისთა. | 24. რამეთუ ვითარცა ელვაჲ რაჲ ელავნ ქუეშე[1] ცისაჲთგან, ვიდრე (K 199v) ქუეშე[2] ცისამდე ბრწყინავნ, ესრეთ[3] იყოს ძე კაცისაჲ დღეთა მისთა. |
| 25. ხოლო პირველად ჯერ-არს მისა ფრიად ვნებად და შეურაცხ-ყოფად ნათესავისა ამის. | 25. ხოლო პირველად ჯერ-არს მისა[4] ფრიად ვნებად და შეურაცხ-ყოფად ნათესავისა ამისგან. |
| 26. და ვითარცა-იგი იყო დღეთა მათ ნოესთა, ეგრეთ იყოს დღეთა მათ ძისა კაცისათაჲ: | 26. და ვითარცა-იგი იყო დღეთა მათ ნოესთა, ეგრეთ იყოს დღეთა მათ ძისა კაცისათაჲ: |
| 27. ჭამდეს და სუმიდეს, იქორწინებოდეს და განჰქორწინებდეს ვიდრე დღედმდე შესლვად ნოესა კიდობნად. და მოიწია წყლით-რღუნაჲ და წარწყმიდნა ყოველნი. | 27. ჭამდეს და სუმიდეს, იქორწინებოდეს[5] და განჰქორწინებდეს ვიდრე დღედმდე შესლვად ნოესა[6] კიდობნად. და მოიწია წყლით-რღუნაჲ და წარწყმიდნა ყოველნი. |
| 28. (G 194r) და ეგრევე ვითარცა-იგი იყო დღეთა[3] ლოთისთაჲ: ჭამდეს და სუმიდეს, იყიდდეს და განჰყიდდეს, ნერგსა ასხმიდეს და აშენებდეს; | 28. და ეგრევე[7] ვითარცა-იგი იყო დღეთა ლოთისთაჲ: ჭამდეს და სუმიდეს, იყიდდეს და (H 187r) განჰყიდდეს, ნერგსა ასხმიდეს და აშენებდეს; |
| 29. და რომელსა დღესა განვიდა ლოთ სოდომით, (F 154v) აწჳმა ცეცხლი და წუნწუბი[4] ზეცით და წარწყმიდნა ყოველნი. | 29. და რომელსა დღესა განვიდა ლოთ სოდომით, აწჳმა ცეცხლი და წუნწუბაჲ[8] ზეცით და წარწყმიდნა ყოველნი. |
| 30. ესრეთვე[5] იყოს დღჱ იგი, ოდეს ძჱ კაცისაჲ გამოჩნდეს. | 30. ესრეთვე[9] იყოს დღე იგი, ოდეს ძე კაცი(I 187r)საჲ გამოჩნდეს. |
| 31. მას დღესა შინა რომელი იყოს ერდოსა ზედა, და ჭურჭელი მისი სახლსა შინა დგეს, ნუ გარდამოვალნ აღებად მისა; და რომელი ველსა გარე იყოს, ნუ გარე-მოიქცევინ კუალად. | 31. მას დღესა შინა რომელი იყოს ერდოსა ზედა და ჭურჭელი მისი სახლსა შინა, ნუ გარდამოვალნ აღებად მისა[10]; და რომელი ველსა გარე იყოს, ნუ გარე-მოიქცევინ კუალად. |
| 32. მოიჴსენეთ ცოლისა მის ლოთისი. | 32. მოიჴსენეთ ცოლისა მის ლოთისი. |
| 33. რამეთუ[6] რომელსა უნდეს თავისა თჳსისა განრინებაჲ, წარიწყმიდოს იგი; და რომელმან წარიწყმიდოს, მან აცხოვნოს იგი. | 33. რომელსა უნდეს სულისა თჳსისა განრინებაჲ, წარიწყმიდოს იგი; და რომელმან წარიწყმიდოს, მან აცხოვნოს იგი: |
| 34. გეტყჳ თქუენ: მას ღამესა ორნი იყვნენ ცხედარსა ერთსა: ერთი იგი წარიტაცოს, და ერთი იგი დაეტეოს; | 34. გეტყჳ თქუენ: მას ღამესა ორნი იყვნენ ერთსა ცხედარსა: ერთი იგი წარიტაცოს, და ერთი იგი დაეტ(K 200r)ეოს. |
| 35. ორნი ფქვიდენ ერთად: ერთი იგი წარიტა(G 194v)ცოს, და ერთი იგი დაშთეს. | 35. ორნი ფქვიდენ ერთად: ერთი იგი წარიტაცოს, და ერთი იგი დაშთეს. |

---

[1] ესრეთ G. [2] ძე F. [3] დღჱთა F [4] წუწუბი F. [5] ეგრეთვე G. [6] რამეთუ] — F.

[1] ქუჱშე HI. [2] ქუ\|ეშჱ H, ქუჱშე I. [3] ესრეთ] ეგრეთ K. [4] მისსა K. [5] იქორწინებდეს HK. [6] ნოესსა K. [7] ეგრეთვე K. [8] წუნწრობაჲ HI (=წუნწუბაჲ). [9] ესრეთ K. [10] მისსა K.

| FG | HIK |
|---|---|
| 36. | 36. |
| 37. და მიუგეს და ჰრქუეს მას: ვიდრე, უფალო? ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: სადაცა ჴორცი, მუნცა ორბები შეკრბეს. | 37. და მიუგეს და ჰრქუეს[1] მას: ვიდრე, უფალო? ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: სადაცა ჴორცი, მუნცა ორბები შეკრბეს. |

# 18

| FG | HIK |
|---|---|
| 1. ეტყოდა მათ იგავსაცა, ვითარ-იგი ჯერ-არს მათა მარადის ლოცვაჲ და რაჲთა არა ეწყინებოდის ლოცვასა შინა. | 1. ეტყოდა მათ იგავსაცა, (H 187v) ვითარ-იგი ჯერ-არს მათა[2] მარადის ლოცვაჲ და რაჲთა არა ეწყინებოდის ლოცვასა შინა. |
| 2. და იტყოდა: მსაჯული ვინმე იყო ქალაქსა შინა, ღმრთისა არა ეშინოდა და კაცთაგან არა ჰრცხუენოდა. | 2. და იტყოდა: მსაჯული ვინმე იყო ქალაქსა შინა, ღმრთისა არა ეშინოდა და კაცთაგან არა ჰრცხუენოდა[3]. |
| 3. და ქურივი ვინმე იყო მასვე ქალაქსა. და მოვიდის მისა და ეტყჳს: მისაჯე[1] მე წინამოსაჯულისაგან ჩემისა. | 3. და ქურივი ვინმე იყო (I 187v) მასვე ქალაქსა შინა. და მოვიდის მისა[4] და ეტყჳს: მისაჯე მე წინამოსაჯულისაგან ჩემისა. |
| 4. და არა ისმინის მისი, ვიდრე რომლად ჟამადმდე. (F 155r) ამისა შემდგომად თქუა გულსა თჳსსა: დაღათუ[2] ღმრთისა არა მეშინის და კაცთაგან არა მრცხუენის, | 4. და არა ისმინის მისი, ვიდრე რომლად ჟამადმდე. ამისა[5] შემდგომად თქუა გულსა შინა თჳსსა: დაღათუ ღმრთისა არა მეშინის და კაცთაგან არა მრცხუენის[6], |
| 5. ამისთჳს, რამეთუ შრომასა შემამთხუევს მე მარადის ქურივი ესე, უსაჯო მას, რაჲთა არა მარადის მოვიდოდის და მაწყინებდეს მე. | 5. ამისთჳს, რამეთუ შრომასა შემამთხუევს[7] მე მარადის ქურივი ესე, უსაჯო მას, რაჲთა არა მარადის მოვიდოდის და მაწყინებდეს მე. |
| 6. და ჰრქუა მათ უფალმან: ისმინეთ, რასა-იგი მსაჯული სიცრუ(G 106r)ვისაჲ[3] იტყჳს. | 6. და ჰრქუა მათ უფალმან: ისმინეთ, რასა-იგი მსაჯული სიცრუვისაჲ იტყჳს. |
| 7. ხოლო ღმერთმან არა-მე ყოსა შურის-გებაჲ რჩეულთა მისთაჲ, რომელნი ღაღადებეხ მისა[4] დღე[5] და ღამე[6], და სულგრძელ არს მათ ზედა? | 7. ხოლო ღმერთმან არა-მე ყოსა შურის-გებაჲ რჩეულთა მისთაჲ, რომელნი ღაღადებენ მისა[4] დღე და ღამე, და სულგრძელ არს მათ ზედა? |
| 8. გეტყჳ თქუენ: ყოს შურის-გებაჲ მათთჳს ადრე[7]. ხოლო მო-რაჲ-ვიდეს ძჱ კაცისაჲ, პოვოს-მეა[8] სარწმუნოებაჲ ქუეყანასა ზედა? | 8. გეტყჳ თქუენ: ყოს შურის-გებაჲ მათთჳს ადრე. ხოლო მო-რაჲ-ვიდეს ძე კაცისაჲ, პოვოს-მეა[8] სარწმუნოებაჲ ქუეყანასა ზედა? |
| 9. თქუა ვიეთამე მიმართ იგავი ესე, რომელნი ესვენ თავთა თჳსთა, ვითარ- | 9. (H 188r, K 200v) თქუა ვიეთამე მიმართ იგავი ესე, რომელნი ესვენ |

---

[1] მისაჯჱ G. [2] დაღაცათუ G. [3] სიცრუისაჲ F. [4] მისა მისა|რთ F (= მისა მიმართ?). [5] დღჱ FG. [6] ღამჱ G. [7] ადრჱ FG. [8] პოოს-მეა F.

[1] ჰქ̄ჱს I. [2] მათდა HI. [3] ჰრცხუჱნოდა HI. [4] მისსა K. [5] ამისსა K. [6] მრცხუჱნის HI. [7] შემამთხუჱვს HI. [8] პოოს-მეა K.

FG

მედ მართალ არიან, და შეურაცხ-ჰყოფენ სხუათა,

10. ვითარმედ: ორნი კაცნი აღვიდოდეს ლოცვად ტაძარსა მას: ერთი ფარისეველი და ერთი მეზუერჱ[1].

11. ფარისეველი იგი წარდგა და ამას ილოცვიდა თჳსაგანა ღმერთო, გმადლობ შენ, რამეთუ არა ვარ, ვითარცა სხუანი კაცნი, მტაცებელ, ცრუ და მემრუშე[2], გინა ვითარცა ესე მეზუერჱ[1].

12. ვიმარხავ ორ-გზის შაბათსა შინა და ათეულსა შევსწირავ ყოველი(**G 195v**)საგან მონაგებისა ჩემისა.

13. ხოლო მეზუერჱ[1] იგი შორს დგა და არა იკადრებდა თუალთაცა ზე ახილ(**F 155v**)ვად, არამედ იცემდა მკერდსა და იტყოდა: უფალო[3], მილხინე ცოდვილსა ამას.

14. გეტყჳ თქუენ: გარდამოვიდა ესე განმართლებული საჴედ[4] თჳსა, ვიდრე ფარისეველი იგი, რამეთუ[5] რომელმან აღიმაღლოს თავი თჳსი, იგი დამდაბლდეს; და რომელმან დაიმდაბლოს თავი თჳსი, იგი ამაღლდეს.

15. მოჰგურიდეს მას ყრმებსაცა, რაჲთა მიეახლნენ მას. და ვითარცა იხილეს მოწაფეთა, აყენებდეს მათ.

16. ხოლო იესუ მოუწოდა მათ და ჰრქუა: აცადეთ ყრმებსა მაგას მოსლვად ჩემდა და ნუ აყენებთ მაგათ, რამეთუ ეგევითართაჲ არს სასუფეველი ღმრთისაჲ.

17. ამენ გეტყჳ თქუენ: რომელმან არა შეიწყნაროს სასუფეველი ღმრთისაჲ, ვითარცა ყრმაჲ, ვერ შევიდეს მას.

18. და ჰკითხა ვინმე მას მთავარმან (**G 196r**) და ჰრქუა: მოძღუარო სახიერო, რაჲ საქმჱ[6] ვქმნე, რაჲთა ცხორებაჲ საუკუნოჲ დავიმკჳდრო?

19. ჰრქუა მას იესუ: რაჲსა მეტყჳ

HIK

თავთა თჳსთა, ვითარმედ მართალ არიან, და შეურაცხ-ჰყოფენ სხუათა,

10. ვითარმედ: ორნი კაცნი აღვიდოდეს ლოცვად ტაძარსა მას: ერთი ფარისეველი და ერთი (**I 188r**) მეზუერე[1].

11. ფარისეველი იგი წარდგა და ამას ილოცვიდა თჳსაგან: ღმერთო, გმადლობ შენ, რამეთუ არა ვარ, ვითარცა სხუანი კაცნი, მტაცებელ, ცრუ და მემრუშე, გინა ვითარცა ესე მეზუერე[2],

12. ვიმარხავ ორ-გზის შაბათსა შინა და ათეულსა შევსწირავ ყოვლისაგან მონაგებისა ჩემისა.

13. ხოლო მეზუერე[2] იგი შორს დგა და არა იკადრებდა თუალთაცა ზე ახილვად, არამედ იცემდა მკერდსა და იტყოდა: ღმერთო, მილხინე ცოდვილსა ამას.

14. გეტყჳ თქუენ: გარდამოვიდა ესე განმართლებული სახედ[3] თჳსა, ვიდრე ფარისეველი იგი, რამეთუ ყოველმან რომელმან აღიმაღლოს თავი თჳსი, იგი დამდაბლდეს; და რომელმან დაიმდაბლოს თავი თჳსი, იგი ამაღლდეს.

15. მოჰგურიდეს მას ყრმებსაცა, რაჲთა მიეახლნენ[4] მას. და ვითარცა იხილეს (**H 188v**) მოწაფეთა, აყენებდეს მათ.

16. ხოლო იესუ მოუწოდა მათ და ჰრქუა: აცადეთ ყრმებსა მაგას მოსლვად ჩემდა და ნუ აყენებთ მაგათ, რამეთუ ეგევითართაჲ არს სასუფეველი ღმრთისაჲ.

17. (**I 188v**) ამენ გეტყჳ თქუენ: რომელმან არა შეიწყნაროს სასუფეველი ღმრთისაჲ, ვითარცა ყრმაჲ, ვერ შევიდეს მას შინა.

18. (**K 201r**) და ჰკითხა ვინმე მას მთავარმან და ჰრქუა: მოძღუარო სახიერო, რაჲ საქმე ვქმნე, რაჲთა ცხორებაჲ საუკუნოჲ დავიმკჳდრო?

19. ჰრქუა მას იესუ: რაჲსა მეტყჳ

---

[1] მეზუერე F. [2] მომრუშე G. [3] უფალო] ღმერთო G. [4] სახიდ G. [5] რამეთუ] — G. [6] საქმე F.

[1] მეზუჱრე HIK. [2] მეზუჱრე HI. [3] სახიდ HI [4] მიეახლენ K.

FG

მე სახიერით? არავინ არს სახიერ, გარნა მხოლოჲ ღმერთი.

20. მცნებანი იცნი: ნუ იმრუშებ[1], ნუ კაც-ჰკლავ, ნუ იპარავ, ნუ ცილსა სწამებ, პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა.

21. ხოლო მან თქუა: ეგე ყოველი დავიმარხე სიყრმით ჩემითგან.

22. (F 150r) ესმა რაჲ ესე იესუს, ჰრქუა მას: ერთილა გაკლს შენ: ყოველი, რაჲ გაქუს, განყიდე და მიეც გლახაკთა და გაქუნდეს საუნჯჱ[2] ცათა შინა და მოვედ და შემომიდეგ მე.

23. და ვითარცა ესმა ესე მას, მწუხარე[3] იქმნა, რამეთუ იყო იგი მდიდარ ფრიად.

24. ვითარცა იხილა იგი იესუ, თქუა: ვითარ ძნიად შეეიდენ სასუფეველსა ღმრთისასა, რომელთა აქუნდეს საფასჱ[4]!

25. უადვილეს არს მანქანისა საბელი ჴურელსა (G 190v) ნემსისასა განსლვად, ვიდრე მდიდარი სასუფეველსა ღმრთისასა შესლვად.

26. ხოლო რომელთა-იგი ესმა, ჰრქუეს: და ვის-მე ჴელ-ეწიფების ცხორებად[5]?

27. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ[6]: შეუძლებელი კაცთაგან შესაძლებელ არს ღმრთისა მიერ.

28. ჰრქუა მას პეტრე: აჰა ესერა ჩუენ დაუტევეთ ყოველივე თჳსი და შეგიდეგით შენ.

29. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ არავინ არს, რომელმან დაუტევა სახლი გინა მამაჲ, გინა დედაჲ, გინა ძმანი, გინა ცოლი, გინა შვილნი სასუფეველისათჳს ღმრთისაჲსა,

30. რომელმან არა მიიღოს[7] მრავალი წილი ჟამსა ამას და საუკუნესა მას მომავალსა ცხორებაჲ საუკუნოჲ[8].

HIK

მე სახიერით? არავინ არს სახიერ, გარნა მხოლოჲ ღმერთი.

20. მცნებანი იცნი: ნუ იმრუშებ, ნუ კაც-ჰკლავ, ნუ იპარავ, ნუ ცილსა სწამებ, პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა.

21. ხოლო მან თქუა: ეგე ყოველი დავიმარხე სიყრმით ჩემითგან.

22. ესმა რაჲ ესე იესუს, ჰრქუა მას: ერთილა გაკლს შენ: ყოველი, რაჲცა გაქუს, განყიდე და მიეც გლახაკთა და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა და მოვედ და შემომიდეგ მე.

23. (H 189r) და ვითარცა ესმა ესე მას, მწუხარე იქმნა, რამეთუ იყო იგი მდიდარ ფრიად.

24. ვითარცა იხილა იგი იესუ, რამეთუ შეწუხნა, თქუა: ვითარ ძნიად შევიდენ სასუფეველსა ღმრთისასა, რომელთა აქუნდეს საფასე!

25. უადვილეს არს მანქანისა[1] საბელი ჴურელსა ნემსისასა განსლ(I 189r)ვად, ვიდრე მდიდარი შესლვად (K 201v) სასუფეველსა ღმრთისასა.

26. ხოლო რომელთა-იგი ესმა, ჰრქუეს მას: და ვის ჴელ-ეწიფების ცხორებად?

27. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: შეუძლებელი კაცთაგან შესაძლებელ არს ღმრთისა მიერ.

28. ჰრქუა მას პეტრე: აჰა ესერა ჩუენ დაუტევეთ ყოველი და შეგიდეგით შენ.

29. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ არავინ არს, რომელმან დაუტევა სახლი გინა მამაჲ, გინა დედაჲ, გინა ძმანი, გინა ცოლი, გინა შვილნი სასუფეველისათჳს ღმრთისა,

30. რომელმან არა მიიღოს მრავალი წილი ჟამსა ამას და საუკუნესა მომავალსა ცხორებაჲ საუკუნოჲ.

---

[1] ჰმრუშებ G. [2] საუნჯე F. [3] მწუხარჱ G. [4] საფასე F. [5] ცხორებად F. [6] მათ] — G. [7] მოიღოს G. [8] ს̄კნჱ F.

[1] მანქანისა HI. ამ სიტყვის გასწვრივ ორივე ხელნაწერში არშიაზე გაკეთებულია ცნობილი ნიშანი (::) და ქვემოთ მიწერილია „აქლემი", ე. ი. „მანქანისა საბელი" უნდა შევცვალოთ „აქლემ"-ით.

FG

31. და წარიყვანნა ათორმეტნი იგი და ჰრქუა მათ჻ აჰა ესერა აღვალთ იერუსალჱმდ, და აღესრულნენ ყოველნი წერილნი[1] წინაწარმეტყუელთანი ძესა[2] ზედა კაცისასა:

32. რამეთუ მიეცეს ჴელთა წარმ(F 150v)ართთასა, და (G 107r) ეკიცხევდენ მას, და იგინოს, და ჰნერწყუვიდენ

33. და ტანჯონ და მოკლან იგი, და მესამესა დღესა აღდგეს.

34. და მათ არარაჲ გულისხმა-ყვეს[3] ესე, არამედ იყო დაფარულ სიტყუაჲ იგი[4] მათგან, და არა იცოდეს თქუმული იგი.

35. და იყო ვითარცა მიეახლნეს იერიქოდ, ბრმაჲ ვინმე ჯდა გზასა ზედა მთხოვლად[5].

36. ვითარცა ესმა, რამეთუ ერი წარმოვალს, იკითხვიდა: რაჲ-მე არს ესე?

37. და უთხრეს მას, ვითარმედ჻ იესუ ნაზარეველი წარმოვალს.

38. და მან ღაღად-ყო[6] და თქუა჻ იესუ, ძეო[7] დავითისო, შემიწყალე მე!

39. ხოლო რომელნი წინა-უძღოდეს, ჰრისხვიდეს მას, რაჲთა დადუმნეს. ხოლო იგი უფროჲს ღაღადებდა და იტყოდა჻ იესუ, ძეო[7] დავითისო, შემიწყალე მე!

40. და[8] დადგა იესუ და ბრძანა მოწოდებაჲ მისი. და ვითარცა მოეახლა იგი, ჰკითხა მას:

41. რაჲ გნებავს, და გიყო შენ? (G 107v) ხოლო მან თქუა: უფალო, რაჲთა აღვიხილნე თუალნი.

42. ხოლო იესუ ჰრქუა მას: აღიხილენ! სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ.

43. და მეყსეულად აღიხილნა და მისდევდა მას და ადიდებდა ღმერთსა. და ყოველმან მან[9] ერმან ვითარცა იხილეს, აქებდეს ღმერთსა.

HIK

31. და წარიყვანნა ათორმეტნი იგი და ჰრქუა მათ჻ აჰა ესერა აღვალთ იერუსალჱმდ, და აღესრულნენ ყოველნი წერილნი წინაწარმეტყუელთანი (H 189v) ძესა ზედა კაცისასა჻

32. რამეთუ მიეცეს ჴელთა წარმართთასა, და ეკიცხევდენ მას, და იგინოს, და ჰნერწყუვიდენ

33. და ტანჯონ და მოკლან იგი, და მესამესა დღესა აღდგეს.

34. (I 188v) და მათ არარაჲ გულისჴმა-ყვეს ესე, არამედ იყო სიტყუაჲ იგი დაფარულ მათგან, და არა იცოდეს თქუმული იგი.

35. და იყო ვითარცა მიეახლნეს იერიქოდ, ბრმაჲ ვინმე ჯდა გზასა ზედა მთხოველად[1].

36. ვითარცა ესმა, ვითარმედ ერი წა(K 202r)რმოვალს, იკითხვიდა჻ რაჲ-მე არს ესე?

37. უთხრეს მას, ვითარმედ჻ იესუ ნაზარეველი წარმოვალს.

38. და მან ღაღატ-ყო და თქუა჻ იესუ, ძეო დავითისო, შემიწყალე მე!

39. ხოლო რომელნი წინა-უძღოდეს, ჰრისხვიდეს მას, რაჲთა დადუმნეს. ხოლო იგი უფროჲს[2] ღაღადებდა და იტყოდა჻ იესუ, ძეო დავითისო, შემიწყალე მე!

40. და[3] დადგა იესუ და ბრძანა მოწოდებაჲ მისი. და ვითარცა მოეახლა იგი, ჰკითხა მას჻

41. რაჲ გნებავს, და გიყო შენ? ხოლო მან ჰრქუა჻ უფალო, რაჲთა აღვიხილნე თუალნი.

42. ხოლო იესუ ჰრქუა მას჻ აღიხილენ! (H 190r) სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ.

43. და მეყსეულად აღიხილნა და მისდევდა მას და ადიდებდა ღმერთსა. და ყოველმან ერმან იხილეს და აქებდეს ღმერთსა.

---

[1] დაწერილნი G. [2] ძჱსა G. [3] გულისჴმა-ყვეს F. [4] ~ სიტყუაჲ იგი დაფარულ G. [5] მთხოვ̄ლდ G. [6] ღაღატ-ყო F. [7] ძჱო G. [8] და] — G. [9] მან] — F.

[1] მთხოვლად K. [2] უფროჲსად HI [3] და] — K.

# 19

| FG | HIK |
|---|---|
| 1. და შევიდა და განვიდოდა იერიქოჲთ. | 1. და შევიდა და განვიდოდა იერიქოჲთ. |
| 2. და აჰა ესერა კაცი ვინმე, და სახ-(F 167r)ელი მისი ზაქე[1]. და იყო იგი მთავარი მეზუერეთაჲ, და ესე იყო მდიდარ[2] ფრიად. | 2. და აჰა ესერა კაცი (I 190r) ვინმე, და სახელი მისი ზაქე. და იყო იგი მთავარი მეზუერეთაჲ[1], და ესე იყო მდიდარ ფრიად. |
| 3. და უნდა ხილვაჲ იესუჲსი[3]. ვინ-ძი არს და ვერ უძლო[4] ხილვად ერისა მისგან, რამეთუ ჰასაკითა იყო მცირე[5]. | 3. და უნდა ხილვაჲ იესუჲსი, ვინ-ძი არს, (K 202v) და ვერ უძლო ხილვად ერისა მისგან, რამეთუ ჰასაკითა იყო მცირე. |
| 4. და წარრბიოდა[6] წინა და აღჴდა[7] ლეღუსულელსა, რაჲთა იხილოს იგი, რამეთუ მიერ წარსლვად იყო. | 4. და წარრბიოდა წინა და აღჴდა ლეღუსულელსა, რაჲთა იხილოს იგი, რამეთუ მიერ წარსლვად იყო. |
| 5. და მოვიდა ადგილსა მას, მიხედა იესუ და ჰრქუა მას: ზაქე[1], ისწრაფე[8] და გარდამოჴედ, რამეთუ დღეს სახლსა შინა შენსა ჯერ-არს ჩემი ყოფაჲ. | 5. და მოვიდა ადგილსა მას, მიხედა იესუ და ჰრქუა მას: ზაქე[2], ისწრაფე და გარდამოჴედ, რამეთუ დღეს სახლსა შინა შენსა ჯერ-არს ჩემი ყოფაჲ. |
| 6. (G 198r) და ისწრაფა და გარდამოჴდა და შეიყვანა იგი სიხარულით. | 6. და ისწრაფა და გარდამოჴდა და შეიყვანა იგი სიხარულით. |
| 7. და იხილეს ყოველთა და დრტჳნვიდეს და იტყოდეს[9], ვითარმედ: ცოდვილისა კაცისა თანა შევიდა დადგრომად. | 7. და იხილეს ყოველთა და დრტჳნვიდეს და იტყოდეს, ვითარმედ: ცოდვილისა კაცისა თანა შევიდა დადგომად. |
| 8. აღდგა ზაქე[1] და ჰრქუა უფალსა: აჰა, უფალო, ზოგი ნაყოფთა ჩემთაჲ მივსცე გლახაკთა; და უკუეთუ ვისმე ცილი დავსდევ, მივაგო ოთხი წილი. | 8, აღდგა ზაქე[2] და ჰრქუა უფალსა: აჰა, უფალო, ზოგი ნაყოფთა ჩემთაჲ მივსცე გლახაკთა; (H 190v) და უკუეთუ ვისმე ცილი დავსდევ, მივაგო ოთხი წილი. |
| 9. ჰრქუა მას იესუ: დღეს იქმნა ცხორებაჲ სახლისაჲ ამის, რამეთუ ესეცა ნათესავი აბრაჰამისი არს. | 9. ჰრქუა მას იესუ: დღეს იქმნა ცხორებაჲ სახლისაჲ ამის, რამეთუ ესეცა შვილი აბრაჰამისი არს. |
| 10. რამეთუ მოვიდა ძჱ კაცისაჲ მოძიებად და ცხორებად წარწყმედულისა. | 10. რამეთუ მოვიდა ძე კაცისაჲ მოძიებად და ცხორებად (I 190v) წარწყმედულისა. |
| 11. და ვითარცა ესმოდა ესე ერსა მას, შესძინა და თქუა იგავი ამისთჳს, რამეთუ მოახლებულ იყო იგი იერუსალჱმსა, და ჰგონებდეს იგინი, ვითარმედ (F 167v) მეყსეულად გამოჩნდეს სასუფეველი ღმრთისაჲ. | 11. (K 203r) და ვითარცა ესმოდა ესე ერსა მას, შესძინა და თქუა იგავი ამისთჳს, რამეთუ მოახლებულ იყო იგი იერუსალჱმსა[3], და ჰგონებდეს იგინი, ვითარმედ მეყსეულად გამოჩნდეს სასუფეველი ღმრთისაჲ. |

---

[1] ზაქჱ G. [2] მდიდარი G. [3] ი̄ჳსი F. [4] ეძლო G. [5] მცირჱ G. [6] წარბიოდა G. [7] აჴდა F. [8] ისწრაფჱ G. [9] და იტყოდეს] — G.

[1] მეზუჱრეთაჲ HI. [2] ზაკქე K. [3] ი̄ჱლიმსა HI, ი̄ჱლმსა K.

| FG | HIK |
|---|---|
| 12. და ჰრქუა მათ჻ კაცი ვინმე აზნაური (**G 188v**) წარვიდა შორსა სოფელსა მოღებად თავისა თჳსისა მეუფებისა[1] და მოქცევად. | 12. და ჰრქუა მათ: კაცი ვინმე აზნაური წარვიდა შორსა სოფელსა მოღებად თავისა თჳსისა მეუფებისა და მოქცევად. |
| 13. და მოუწოდა ათთა მონათა თჳსთა[2] და მისცა მათ ათი მნაჲ[*] და ჰრქუა მათ჻ ვაჭრობდით ამას, ვიდრემდე მოვიდე. | 13. და მოუწოდა ათთა მონათა თჳსთა და მისცა მათ ათი მნაჲ და ჰრქუა მათ჻ ვაჭრობდით ამას, ვიდრემდე მოვიდე. |
| 14. ხოლო მოქალაქეთა მისთა სძულდა იგი და მიავლინნეს მოციქულნი შემდგომად მისა[3] და ჰრქუეს მას჻ არა გუნებავს მაგისი მეუფებაჲ ჩუენ ზედა. | 14. ხოლო მოქალაქეთა მისთა სძულდა იგი და მიავლინნეს მოციქულნი შემდგომად მისა[1] და ჰრქუეს[2] მას჻ არა გუნებავს მაგისი მეუფებაჲ ჩუენ ზედა. |
| 15. და იყო მოქცევასა მას მისსა, მო-რაჲ-აქუნდა მეუფებაჲ თჳსი, და ბრძანა მოწოდებაჲ მათ მონათაჲ, რომელთა მიეცა ვეცხლი იგი, რაჲთა უწყოდეს, რაჲ-იგი ივაჭრეს. | 15. და იყო მოქცევასა მას მისსა, მო-რაჲ-აქუნდა მეუფებაჲ თჳსი, და ბრძანა მოწოდებაჲ მათ მონა(**H 101r**)თაჲ, რომელთადა მიეცა ვეცხლი იგი, რაჲთა უწყოდის, რაჲ-იგი ივაჭრეს. |
| 16. და მოვიდა პირველი იგი და თქუა: უფალო, შენმან მან[4] ვეცხლმან ათი სხუაჲ შესძინა სასწორი. | 16. და მოვიდა პირველი იგი და ჰრქუა჻ უფალო, შენმან ვეცხლმან ათი სხუაჲ შესძინა სასწორი. |
| 17. ჰრქუა მას: კეთილ, სახიერო მონაო, რამეთუ მცირესა ზედა სარწმუნო იქმენ, იყავ შენ ჴელმწიფე[5] ათთა ზედა ქალაქთა. | 17. ჰრქუა მას: კეთილ, სახიერო მონაო, რამეთუ მცირედსა ზედა სარწმუნო იქმენ, (**I 181r**) იყავ შენ ჴელმწიფე ათთა ზედა ქალაქთა. |
| 18. (**G 189r**) და მოვიდა მეორე იგი და თქუა: უფალო, ვეცხლმან მან შენმან სხუაჲღა ხუთი სასწორი ყო. | 18. და მოვიდა მეორე იგი და ჰრქუა჻ უფალო, ვეცხლმან შენმან სხუაჲღა ხუთი სასწორი ყო. |
| 19. ჰრქუა მასცა: და შენცა იყავ ხუთთა ზედა ქალაქთა. | 19. ჰრქუა მასცა჻ და შენცა იყავ ხუთთა ზედა ქალაქთა. |
| 20. და მესამე იგი მოვიდა და თქუა[6]჻ უფალო, აჰა ვეცხლი შენი, რომელი მაქუნდა (**F 158r**) დაკრძალული სუდარსა[7], | 20. (**K 208v**) და მესამე იგი მოვიდა და ჰრქუა: უფალო, აჰა ვეცხლი შენი, რომელი მაქუნდა დაკრძალული სუდარსა, |
| 21. რამეთუ შემეშინა, ვითარმედ კაცი ჴარ სასტიკი჻ მოიღი, სადა არა დასდვი, და მოიმკი, სადა არა დასთესი. | 21. რამეთუ შემეშინა, ვითარმედ კაცი ჴარ სასტიკი჻ მოიღი, სადა არა დასდვი, და მოიმკი, სადა არა დასთესი. |
| 22. ჰრქუა მას჻ პირისა შენისაგან გსაჯო შენ, მონაო ურწმუნოო; იცოდე, რამეთუ მე კაცი ვარ სასტიკი჻ მოვიღი, | 22. ჰრქუა მას჻ პირისა შენისაგან გსაჯო შენ, მონაო ბოროტო; იცოდე, რამეთუ მე კაცი ვარ სასტიკი჻ მოვიღი, |

---

[1] მეუფჱბისა G. [2] თჳსთა] — F. [3] მისსა G. [4] მან] — F. [5] ჴელმწიფჱ G. [6] თქუა] ჰრქუა G. [7] სუდარითა F.

[*] F-ში არშიაზე „მნაჲ“-ს გასწვრივ ლამაზი ნუსხურით (ტექსტის ხელითა და მელნით) წერია: „მნაჲ არს ლიტრაჲ ა͠ და ლიტრისა მეორე ნაწილი“.

[1] მისსა K. H-ის გადამწერსაც პირველად ორი სანი დაუწერია, მაგრამ მერმე ერთი მათგანი ამოუფხეკია. [2] ჰქ͞ჱს I.

| FG | HIK |
|---|---|
| სადა არა დავდევი, და მოვიმკი, სადა არა დავსთესი. | სადა არა დავდევი, და მოვიმკი, სადა არა დავსთესი. |
| 23. და რაჲსათჳს არა დასდევ ვეცხლი ჩემი სავაჭროსა, და მო-მცა-ვედ მე და ვახშითურთ ვქმენ იგი? | 23. და რაჲსათჳს არა დასდევ ვეცხლი ჩემი სავაჭროსა, და მო-მცა-ვედ მე და ვახში(H 101v)თურთ[1] ვქმენ იგი? |
| 24. და ჰრქუა წინაშე მდგომელთა მათ: მოუღეთ ვეცხლი იგი და მიეცით, რომელსა-იგი აქუს ათი სასწორი (G 199v) ვეცხლი. | 24. და ჰრქუა წინაშე მდგომელთა მათ: მოუღეთ ვეცხლი იგი და მიეცით, რომელსა-იგი აქუს ათი სასწორი ვეცხლი. |
| 25. და მათ ჰრქუეს მას: უფალო, აქუს ათი სასწორი. | 25. და მათ ჰრქუეს მას: უფალო, აქუს ათი სასწორი. |
| 26. ხოლო გეტყჳ თქუენ: რომელსა აქუნდეს, მიეცეს; ხოლო რომელსა არა აქუნდეს და რომელღა-იგი აქუნდეს, მო-ვე-ეღოს მისგან. | 26. გეტყჳ თქუენ, ვითარმედ: ყოველსა (I 191v) რომელსა აქუნდეს, მიეცეს; ხოლო რომელსა არა აქუნდეს და რომელღა-იგი აქუნდეს, მო-ვე-ეღოს მისგან. |
| 27. ხოლო მტერნი იგი ჩემნი, რომელთა-იგი არა უნდა მეუფებაჲ ჩემი მათ ზედა, მომგუარენით მე აქა და მოწყჳდენით წინაშე ჩემსა. | 27. ხოლო მტერნი იგი ჩემნი, რომელთა-იგი არა უნდა მეუფებაჲ ჩემი მათ ზედა, მომგუარენით მე აქა და მოს-წყჳდენით წინაშე ჩემსა. |
| 28. და ვითარცა ესე წართქუა, ვიდოდა წინაშე მათსა და აღვიდოდა[1] იერუსალჱმდ[2]. | 28. და ვითარცა ესე წართქუა, ვიდოდა წინაშე მათსა და აღვიდოდა იერუსალჱმდ[2]. |
| 29. და იყო ვითარცა მიეახლა ბეთბაგედ და ბეთანიად, მთასა თანა, რომელსა ჰრქჳან[3] ზეთისხილთაჲ, წარავლინნა ორნი მოწაფეთაგანნი. | 29. და იყო ვითარცა მიეახლა ბეთბაგედ და ბეთანიად, მთასა თანა, რომელსა ჰრქჳან ზეთისხილთაჲ, წა(K 204r)რავლინნა ორნი მოწაფეთაგანნი. |
| 30. და ჰრქუა მათ: (F 158v) წარვედით წინაშე დაბასა მაგას, რომელსა შეხჳდეთ და ჰპოვოთ[4] კიცჳ დაბმული, რომელსა კაცი არღავინ დაჯდომილ არს; აღჰჴსენით[5] და მომგუარეთ მე. | 30. და ჰრქუა მათ: წარვედით წინაშე დაბასა მაგას, რომელსა შეხჳდეთ და ჰპოოთ კიცჳ დაბმული, რომელსა კაცი არღავინ[3] დაჯდომილ არს; აჴსენით და მომგუარეთ მე. |
| 31. და უკუეთუ ვინმე გკითხვიდეს: (G 200r) რაჲსათჳს აღჰჴსნით[6]? ესრეთ არქუთ, ვითარმედ: უფალსა უჴმს ეგე. | 31. და უკუეთუ ვინმე გკითხვიდეს: რაჲსათჳს აჴს(H 193r)ნით? ესრეთ[4] არქუთ, ვითარმედ: უფალსა უჴმს ეგე. |
| 32. და ვითარცა წარვიდეს, რომელნი-იგი მიავლინნა, პოვეს[7] ეგრე, ვითარცა-იგი ჰრქუა მათ. | 32. და ვითარცა წარვიდეს, რომელნი-იგი მიავლინნა, პოვეს[5] ეგრეთ, ვითარცა-იგი ჰრქუა მათ. |
| 33. და აღ-რაჲ-ჰჴსნიდეს იგინი კიცუსა მას, ჰრქუეს მათ უფალთა მათ მისთაჲ: რაჲსათჳს აღჰჴსნით[6] კიცუსა მაგას? | 33. და აღ-რაჲ-ჰჴსნიდეს იგინი კიცუსა მას, ჰრქუეს მათ უფალთა მათ მის(I 193r)თაჲ: რაჲსათჳს აჴსნით კიცუსა მაგას? |

---

[1] აღვიდა G. [2] ი̄ლჱმდ G. [3] ჰქჳან F. [4] ჰპოოთ F. [5] აჴსენით F. [6] აჴსნით F. [7] პოეს F.

[1] ვაშხითურთ HI (=ვახშითურთ). [2] ი̄ლჱმდ H, იერუსალემდ I, იერუსალიმდ K (ორივე მთლიანად წერია). [3] არავინ K. [4] ესრე HI. [5] პოეს HI.

FG

34. ხოლო მათ ჰრქუეს, ვითარმედ: უფალსა უჴმს ეგე.

35. და მოჰგუარეს იგი იესუს და დაასხეს სამოსელი[1] კიცუსა მას, და დაჯდა იესუ მას ზედა.

36. და ვითარ შევიდოდა იგი, დაუფენდეს სამოსელსა[2] მათსა გზასა ზედა.

37. და ვითარცა მიიწია იგი შთასავალსა მას მთისა მის[3] ზეთისხილთაჲსა, იწყო ყოველმან მან სიმრავლემან მოწაფეთამან სიხარულით ქებად მისა ჴმითა დიდითა ყოველთა მათთჳს, რომელნი იხილნეს ძალნი,

38. და იტყოდეს: კურთხეულ არს მომავალი მეუფჱ (G 200ᵛ) სახელითა უფლისაჲთა! მშჳდობაჲ ცათა ზედა და დიდებაჲ მაღალთა შინა!

39.● და ფარისეველნი ვინმე ერისა მისგანნი ეტყოდეს მას: მოძღუარ, შეჰრისხენ მოწაფეთა შენთა!

40. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ: გეტყჳ თქუენ: (F 159ʳ) დაღათუ ესენი დუმნენ, ქვანი ღაღადებდენვე.

41. და ვითარცა მიეახლა, იხილა ქალაქი იგი და ტიროდა მას[4] ზედა

42. და იტყოდა, ვითარმედ: უკუეთუმცა გეცნა შენ დღესა ამას მშჳდობად შენდა! ხოლო აწ დაეფარა[5] თუალთაგან შენთა.

43. რამეთუ მოვლენან დღენი შენ ზედა, და მოგადგან შენ მტერთა შენთა ლაშქარი და გარე-მოგადგჳენ შენ და შეგკრიბონ შენ ყოვლით კერძო

44. და დაგარღჳონ შენ, და შჳლნი შენნი შენ შორის დაეცნენ, და არა დაშთეს ქვაჲ ქვასა ზედა შენ შორის ამისთჳს, რამეთუ არა გულისხმა-ჰყავ[6] ჟამი მოხედვისა შენისაჲ.

45. და ვითარცა შევიდა ტაძარსა მას, და იწყო გამოსხმად, რომელნი ჰყიდდეს ტრედებსა,

HIK

34. ხოლო მათ ჰრქუეს, ვითარმედ: უფალსა უჴმს ეგე.

35. და მოჰგუარეს იგი იესუს და დაასხეს სამოსელი კიცუსა მას, და დაჯდა იესუ მას ზედა.

36. და ვითარ შევიდოდა იგი, დაუფენდეს სამოსელსა მათსა გზასა ზედა.

37. და ვითარცა მიიწია იგი შთასავალსა მას მთისა მის ზეთისხილთაჲსა, იწყო (K 204ᵛ) ყოველმან სიმრავლემან მოწაფეთამან სიხარულით ქებად ღმრთისა ჴმითა დიდითა ყოველთა მათთჳს, რომელნი იხილნეს ძალნი,

38. და იტყოდეს: კურთხეულ არს მომავალი მეუფე სახელითა უფლისაჲთა! მშჳდობაჲ ცათა ზედა და დიდებაჲ მაღალთა შინა!

39. და ფარისეველნი ვინმე ერისა მისგანნი ეტყოდეს მას და ჰრქუეს: მოძღუარ, შეჰრისხენ მოწაფეთა შენთა!

40. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ: გეტყჳ თქუენ: დაღათუ ესენი დუმნენ, ქვანი ღაღადებდენვე.

41. (H 192ᵛ) და ვითარცა მიეახლა, იხილა ქალაქი იგი და ტიროდა მას ზედა

42. და იტყოდა, ვითარმედ: უკუეთუმცა გეცნა შენ დღესა ამას მშჳდობად შენდა! ხოლო აწ დაეფარა თუალთაგან შენთა.

43. (I 102ᵛ) რამეთუ მოვლენან დღენი შენ ზედა, და მოგადგან შენ მტერთა შენთა ლაშქარი და გარე-მოგადგჳენ შენ და შეგკრიბონ შენ ყოვლით კერძო

44. და დაგარღჳონ შენ, და შვილნი შენნი შენ შორის დაეცნენ, და არა დაშთეს ქვაჲ ქვასა ზედა შენ შორის ამისთჳს, რამეთუ არა გულისჴმა-ჰყავ ჟამი მოხედვისა შენისაჲ.

45. და ვითარცა შევიდა ტაძარსა მას, იწყო გამოსხმად მსყიდელთა მათ და მომსყიდელთა

---

[1] სამუსელი F. [2] სამუსელსა F. [3] მის] — G. [4] მის G. [5] დაეფა|რა F. [6] გულისჴმა-ჰყავ F.

● მუხლები 39 და 40 აკლია G-ს.

| FG | HIK |
|---|---|
| 46. და ჰრქუა მათ: წერილ არს: იყოს სახლი ჩემი სახლ სალოცველ, ხოლო თქუენ ჰყავთ იგი ქუაბ ავაზაკთა. | 46. და ჰრქუა მათ: წერილ არს: სახლი ჩემი სახლ სალოცველ არს, ხოლო თქუენ ჰყავთ იგი ქუაბ ავაზაკთა. |
| 47. და იყო მუნ და ასწავებდა დღითი-(G 201r)დღედ[1] ტაძარსა მას შინა. ხოლო მღდელთ-მოძღუარნი იგი და მწიგნობარნი და მთავარნი იგი ერისანი ეძიებდეს მას წარწყმედად | 47. (K 205r) და იყო მუნ და ასწავებდა დღითი-დღედ ტაძარსა მას შინა. ხოლო მღდელთ-მოძღუარნი იგი და მწიგნობარნი და მთავარნი ერისანი ეძიებდეს მას წარწყმედად. |
| 48. და ვერარას[2] ჰპოვებდეს[3], რაჲ უყონ მას, რამეთუ ყოველი ერი დამორჩილებულ იყო სმენად მისგან. | 48. და ვერარას ჰპოვებდეს, რაჲ უყონ მას, რამეთუ ყოველი ერი დამორჩილებულ იყო სმენად მისგან. |

## 20

| | |
|---|---|
| 1. და იყო მათ დღეთა შინა, ასწავებდა რაჲ ერსა მას და ახარებდა ტაძარსა მას[4] შინა, ზედა-მიუჴდეს მღდელთ-მოძღუარნი იგი და მწიგნობარნი მოხუც-(F 159v)ებულითურთ[5], | 1. (H 103r) და იყო მათ დღეთა შინა, ასწავებდა რაჲ ერსა მას და ახარებდა ტაძარსა შინა, ზედა-მიუჴდეს[1] მღდელთ-მოძღუარნი იგი და მწიგნობარნი მოხუცებულითურთ, |
| 2. ეტყოდეს მას და ჰრქუეს: მითხარ ჩუენ, რომლითა ჴელმწიფებითა ამას იქმ, ანუ ვინ მოგცა შენ ჴელმწიფებაჲ ესე? | 2. ეტყოდეს მას და ჰრქუეს: (I 198r) გჳთხარ ჩუენ, რომლითა ჴელმწიფებითა ამას იქმ, ანუ ვინ მოგცა შენ ჴელმწიფებაჲ ესე? |
| 3. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: გკითხო თქუენ სიტყუაჲ, და მითხართ მე: | 3. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: გკითხო თქუენ მეცა სიტყუაჲ ერთი, და მითხართ მე: |
| 4. ნათლის-ცემაჲ იოვანესი[6] ზეცით იყო ანუ კაცთაგან? | 4. ნათლის-ცემაჲ იოვანესი ზეცით იყო ანუ კაცთაგან? |
| 5. ხოლო იგინი შეიზრახნეს ურთიერთას[7] და იტყოდეს: უკუეთუ ვთქუათ, ვითარმედ: ზეცით იყო, მრქუას ჩუენ: რაჲსათჳს არა გრწმენა მისი? | 5. ხოლო იგინი შეიზრახნეს ურთიერთას და იტყოდეს: უკუეთუ ვთქუათ, ვითარმედ: ზეცით იყო, მრქუას ჩუენ: რაჲსათჳს არა გრწმენა მისი? |
| 6. და უკუეთუ ვთქუათ: (G 201v) კაცთაგან, ყოველმან ერმან ქვაჲ დამკრიბოს ჩუენ, რამეთუ სარწმუნო არს იოვანე[8] წინაწარმეტყუელად. | 6. და უკუეთუ[2] ვთქუათ: კაცთაგან, ყოველმან ერმან ქვაჲ დამკრიბოს ჩუენ, რამეთუ სარწმუნო არს იოვანე წინაწარმეტყუელად[3]. |
| 7. და მიუგეს და ჰრქუეს: არა ვიცით, ვინაჲ იყო. | 7. და მიუგეს და ჰრქუეს: არა ვიცით, ვინაჲ იყო. |
| 8. და იესუ ჰრქუა მათ: არცა მე გითხრა თქუენ, რომლითა ჴელმწიფებითა ამას ვიქმ. | 8. და იესუ[4] ჰრქუა მათ: არცა მე გითხრა თქუენ, რომლითა ჴელმწიფებითა ამას ვიქმ. |

---

[1] დღითი-\|დღჱდ G. [2] ვერას G. [3] ჰპოებდეს F. [4] მას] — G. [5] მოხუც\|ბლთურთ F. [6] ი̃ნჱსი G. [7] ურთიერთარს F. [8] ი̃ნჱ G.

[1] ზედა-მოუქდეს K. [2] უკუჱთუ H. [3] წინაჲსწარმ̃ტყლად H. [4] იესუ] — I.

**FG**

9. და იწყო იგავით სიტყუად მათა: კაცმან ვინმე დაასხა ვენაჴი და მისცა იგი მოქმედთა და წარვიდა მრავალთა ჟამთა.

10. და ჟამსა თჳსსა მიუვლინა[1] მოქმედთა მათ მონაჲ, რაჲთა ნაყოფისა მისგან მოსცენ მას. ხოლო მოქმედთა მათ სცეს და ტანჯეს და წარავლინეს იგი ცალიერი[2].

11. და შესძინა მივლინებად სხუაჲ მონაჲ. ხოლო მათ იგიცა გუემეს და წარავლინეს ცუდი.

12. მერმე კუალად მიავლინა მესამჱ[3]. ხოლო მათ შეიპყრეს და დასდვეს მას წყლულებაჲ (F 160r) და გამოაძეს იგი.

13. და თქუა უფალმან მის ვენაჴისამან: რაჲ ვყო? მივავლინო ძჱ[4] ჩემი საყ(G 202r)უარელი, ვინ უწყის, შეიკდიმონ.

14. ხოლო ეითარცა იხილეს იგი ქუეყანის-მოქმედთა[5] მათ, ზრახვა-ყვეს ურთიერთას[6] და თქუეს: ესე არს მკკდრი, მოვედით და მოვკლათ იგი, რაჲთა ჩუენდა იყოს სამკკდრებელი.

15. და განიყვანეს იგი გარეშე[7] სავენაჴესა მას და მოკლეს. აწ რაჲ უყოს მათ უფალმან მან სავენაჴისამან?

16. მოვიდეს და წარწყმიდნეს ქუეყანის-მოქმედნი[8] იგი და მისცეს ვენაჴი იგი სხუათა. ხოლო მათ ესმა ესე და თქუეს: ნუ იყოფინ.

17. ხოლო თავადმან მიჰხედნა[9] მათ და ჰრქუა: ვითარ არს წერილი ესე: ლოდი, რომელ შეურაცხ-ყვეს მაშენებელთა, იგი იქმნა თავ საკიდურისა?

18. ყოველი, რომელი დაეცეს ლოდსა მას ზედა, შეიმუსროს; და რომელსა ზედა დაეცეს, განაქარვოს იგი.

19. და უნდა მღდელთ-მოძღუართა მათ და მწიგნობართა[10] (G 202v) დასხმად ჴელთა მათთა მას ჟამსა შინა და ეშინო-

**HIK**

9. და იწყო იგავით სიტყუად მათა: კაცმან ვინმე დაას(K 205v)ხა ვენაჴი და მისცა იგი მოქმედთა და წარ(H 103v)ვიდა მრავალთა ჟამთა.

10. და ჟამსა თჳსსა მიუვლინა მოქმედთა მათ მონაჲ, რაჲთა ნაყოფისა მისგან მოსცენ მას. ხოლო მოქმედთა მათ სცეს და ტანჯეს და წარავლინეს იგი ცალიერი.

11. და შესძინა (I 193v) მივლინებად სხუაჲ მონაჲ. ხოლო მათ იგიცა გუემეს[1] და წარავლინეს ცუდი.

12. მერმე კუალად მიავლინა მესამე. ხოლო მათ შეიპყრეს და დასდვეს მას წყლულებაჲ და გამოაძეს იგი.

13. და თქუა უფალმან მის ვენაჴისამან: რაჲ ვყო? მივავლინო ძე ჩემი საყუარელი, ვინ უწყის, შეიკდიმონ.

14. ხოლო ვითარცა იხილეს იგი ქუეყანის-მოქმედთა[2] მათ[3], ზრასვა-ყვეს ურთიერთას და თქუეს[4]; ესე არს მკკდრი, მოვედით და მოვკლათ იგი, რაჲთა ჩუენდა იყოს სამკკდრებელი.

15. და განიყვანეს იგი გარეშე სავენაჴესა მას და მოკლეს. აწ რაჲ უყოს მათ უფალმან სავენაჴისამან?

16. მოვიდეს და წარწყმიდნეს ქუეყანის-მოქმედნი იგი და მისცეს ვენაჴი იგი სხუათა. ხოლო მათ ესმა ესე და თქუეს[4]: ნუ იყოფინ.

17. ხოლო თავადმან (H 104r) მიხედა მათ და ჰრქუა: ვითარ არს წერილი ესე: ლოდი, რომელ შეურაცხ-ყვეს მაშენებელთა, იგი იქმნა თავ კიდეთა?

18. ყოველი, რომელი დაეცეს ლოდსა მას ზედა, შეიმუსროს; და რომელსა ზედა (I 194r) დაეცეს, განანქრიოს იგი.

19. (K 206r) და უნდა მღდელთ-მოძღუართა მათ და მწიგნობართა დასხმადე ჴელთა მათთა მას ჟამსა შინა და ეში-

---

[1] მიავლინა G. [2] ცარიელი G. [3] მესამე F. [4] ძე F. [5] ქყ̄ნი-მოქმედთა G. [6] ურთიერთარს F. [7] გარეშჱ G. [8] ქუეყანისა-მოქმედნი G. [9] მიხედა F. [10] და მწიგნობართა მათ F

[1] გუჱმეს HI. [2] ქუჱყანის-მოქმედთა H. [3] მათ] — K [4] თქ̄ჱს I.

FG

და ერისა მის, რამეთუ გულისხმა-ყვეს[1], ვითარმედ მათთჳს თქუა იგავი ესე.

20. და მზირ-უყვეს მას და მიავლინნეს მზირნი ორგულნი, რომელნი მართლად იტყოდეს თავთა თჳსთა, რაჲთა პოვონ[2] რაჲმე სიტყუაჲ (F 160v) მის თანა და მისცენ იგი მთავრობასა და ჴელმწიფებასა მთავრისასა.

21. და ჰკითხეს მას და ეტყოდეს: მოძღუარ, ვიცით, რამეთუ მართალსა იტყჳ და ასწავებ და არავის თუალთ-ღებ[3], არამედ ჭეშმარიტად გზასა ღმრთისასა ასწავებ.

22. ჯერ-არსა კეისარსა[4] ხარკისა მიცემად ანუ არა?

23. და ვითარცა გულისხმა-ყო[5] ზაკულებაჲ იგი მათი, ჰრქუა მათ: რაჲსათჳს გამომცდით მე?

24. მიჩუენეთ მე დრაჰკანი! ვისი არს ხატი და ზედაწერილი? ხოლო მათ მიუგეს და ჰრქუეს: კეისრისაჲ.

25. და იესუ ჰრქუა მათ: აწ უკუე მიეცით (G 203r) კეისრისაჲ კეისარსა და ღმრთისაჲ ღმერთსა.

26. და ვერარაჲ უპოვეს[6] სიტყჳს-გებად წინაშე ერისა მის. და უკჳრდა სიტყჳს-მიგებაჲ იგი მისი და დადუმნეს.

27. მო-ვინმე-უჴდეს მას[7] მას ჟამსა შინა სადუკეველნი, რომელნი აცილობენ, ვითარმედ აღდგომაჲ არა არს, და ჰკითხეს მას და ეტყოდეს:

28. მოძღუარ, მოსე ესრე დამიწერა ჩუენ: უკუეთუ ვისმე ძმაჲ მოუკუდეს[8] და ესუას მას ცოლი და იგი უშვილოჲ იყოს, რაჲთა შეირთოს ცოლი იგი მისი ძმამან მისმან და აღუდგინოს თესლი ძმასა თჳსსა[9].

29. შვიდნი ძმანი იყვნეს ჩუენ შორის.

HIK

ნოდა ერისა მის, რამეთუ გულისჴმა-ყვეს, ვითარმედ მათთჳს თქუა იგავი ესე.

20. და მზირ-უყვეს მას და მიავლინნეს მზირნი ორგულნი, რომელნი მართლად იტყოდეს თავთა თჳსთა, რაჲთა პოონ რაჲმე სიტყუაჲ მის თანა და მისცენ იგი მთავრობასა და ჴელმწიფებასა მთავრისასა.

21. და ჰკითხეს მას და ეტყოდეს: მოძღუარ, ვიცით, რამეთუ მართალსა იტყჳ და ასწავებ და არავის თუალ-ღებ პირსა, არამედ ჭეშმარიტად[1] გზასა ღმრთისასა ასწავებ.

22. ჯერ-არსა კეისრისა ხარკისა მიცემად ანუ არა?

23. და ვითარცა გულისჴმა-ყო ზაკულებაჲ იგი მათი, ჰრქუა მათ: რაჲსა გამომცდით მე?

24. მიჩუე(H 194v)ნეთ[2] მე დრაჰკანი! ხოლო მათ უჩუენეს[3]. და ჰრქუა: ვისი არს ხატი და ზედაწერილი? ხოლო მათ მიუგეს და ჰრქუეს: კეისრისაჲ.

25. და იესუ ჰრქუა მათ: აწ უკ(I 194v)უე[4] მიეცით კეისრისაჲ კეისარსა და ღმრთისაჲ ღმერთსა.

26. და ვერარაჲ პოვეს[5] მისთჳს სიტყჳს-გებაჲ წინაშე ერისა მის. და უკჳრდა სიტყჳს-მიგებაჲ იგი მისი და დადუმნეს.

27. მო-ვინმე-უჴდეს მას მას ჟამსა შინა სადუკეველნი, რომელნი აცილობენ, ვითარმედ აღდგომაჲ არა არს, (K 208v) და ჰკითხეს მას და ეტყოდეს:

28. მოძღუარ, მოსე ესრეთ დამიწერა ჩუენ: უკუეთუ[6] ვისმე ძმაჲ მოუკუდეს[7] და ესუას მას ცოლი და იგი უშვილო[8] იყოს, რაჲთა შეირთოს ცოლი იგი მისი ძმამან მისმან და აღუდგინოს თესლი ძმასა თჳსსა.

29. შჳდნი უკუე[4] ძმანი იყვნეს ჩუენ

---

[1] გულისჴმა-ყვეს F. [2] პოონ F. [3] თუალ-ღებ F. [4] კეისრისა G. [5] გულისჴმა-ყო F. [6] უპოეს F. [7] მას] — F. [8] ვისმე ძმაჲ მოკუდეს F. [9] თჳსა F.

[1] ჭეშმარიტსა HI. [2] მიჩუჱნეთ HI. [3] უჩუჱნეს H. [4] უკუჱ HI. [5] პოეს HI. [6] უკუჱთუ H. [7] ვისმე ძმაჲ მოკუდეს K. [8] უშვილოჲ HI.

| FG | HIK |
|---|---|
| და პირველმან მან შეირთ(**F 101r**)ო ცოლი და მოკუდა უშვილოჲ. | შორის. და პირველმან მან შეირთო ცოლი და მოკუდა უშვილოჲ. |
| 30. და მეორემან და მესამემან[1], | 30. და მეორემან და მესამემან, |
| 31. და მოსწყდეს[2] უშვილონი. და ეგრევე შჳდთა მათ, და არა დაშთა შვილი. | 31. და მოსწყდეს უშვილონი. და ეგრეთვე ვიდრე მეშჳდედმდე, და არა დაშთა შვილი. |
| 32. შემდგომად მათსა მოკუდა დედაკაციცა იგი. | 32. შემდგომად მათ ყოველთაჲსა მოკუდა დედაკაციცა იგი. |
| 33. აწ უკუე აღ(**G 203v**)გომასა მას მკუდართასა ვისა[3] მათგანისა იყოს იგი[4] ცოლ, რამეთუ შჳდთავე მათ ესუა იგი ცოლად? | 33. (**H 105r**) აწ უკუე[1] აღდგომასა მას მკუდართასა ვისა მათგანისა იყოს ცოლ, რამეთუ შჳდთავე მათ ესუა იგი ცოლად? |
| 34. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ნაშობნი ამის სოფლისანი იქორწინებიან და განჰქორწინებენ; | 34. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ (**I 105r**) ნაშობნი ამის სოფლისანი იქორწინებიან და განჰქორწინებენ; |
| 35. ხოლო რომელნი-იგი ღირს იქმნენ საუკუნესა მას მიმთხუევად და აღდგომასა მას მკუდრეთით, არცა იქორწინებიან, არცა განჰქორწინებენ, | 35. ხოლო რომელნი-იგი ღირს იქმნნენ[2] საუკუნესა მას მიმთხუევად[3] და აღდგომასა მას მკუდრეთით, არცა იქორწინებოდიან[4], არცა განჰქორწინებდენ, |
| 36. არცაღა მერმე სიკუდილდ[5] ჴელ-ეწიფების, რამეთუ სწორ ანგელოზთა არიან და ძენი ღმრთისანი და აღდგომისანი[6] არიან. | 36. არცაღა მერმე სიკუდილად ჴელ-ეწიფების, რამეთუ სწორ ანგელოზთა არიან და ძენი ღმრთისანი და აღდგომისანი არიან. |
| 37. ხოლო რამეთუ აღდგენ მკუდარნი, მოსეცა აუწყა მაყულოვანსა[7] მას ზედა, ვითარცა-იგი იტყჳს უფალსა ღმერთსა აბრაჰამისსა[8] და ღმერთსა ისაკისსა და ღმერთსა იაკობისსა. | 37. ხოლო რამეთუ აღდგენ მკუდარნი, მოსეცა აუწყა მაყულოვანსა[6] მას ზედა, ვითარცა-იგი (**K 207r**) იტყჳს უფალსა ღმერთსა აბრაჰამისსა და ღმერთსა ისაკისსა და ღმერთსა იაკობისსა. |
| 38. რამეთუ ღმერთი არა არს მკუდართაჲ, არამედ ცხოველთაჲ, რამეთუ ყოველნი ცხოველ არიან მის წინაშე. | 38. რამეთუ არა არს ღმერთი მკუდართაჲ, არამედ ცხოველთაჲ, რამეთუ ყოველნი ცხოველ არიან მის წინაშე. |
| 39. (**G 204r**) მი-ვიეთმე-უგეს მწიგნობართა და ჰრქუეს: მოძღუარ, კეთილად სთქუ. | 39. მი-ვიეთმე-უგეს მწიგნობართა და ჰრქუეს[6]: მოძღუარ, კეთილად სთქუ. |
| 40. და ვერღარა იკადრეს კითხვად მისა მიერითგან. და ჰრქუა მათ უფალმან: | 40. და ვერღარა იკადრეს კითხვად მისა[7] მიერითგან. და ჰრქუა მათ უფალმან: |
| 41. ვითარ უკუე (**F 101v**) იტყჳან თქუენგანნი ვინმე ქრისტესა ძედ დავითისა? | 41. ვითარ უკუე[8] იტყჳან ქრისტესა (**H 106v**) ძედ დავითისა? |

---

[1] მესმან G. [2] მოწყდეს G. [3] ვისსა G. [4] იგი] — G. [5] სიკუდილად G. [6] აღდგომისანი F. [7] მაყულოანსა F. [8] აბრაჰამისა F.

[1] უკუჱ HI. [2] იქმნენ HI. [3] მიმთხუჱვად HI. [4] იქორწინებოდიან HI. [5] K-ში „უ“ ამ სიტყვაში მერმეა დამატებული ზემოდან. [6] ჰრ̄ქჳს I. [7] მისსა K. [8] უკუჱ HIK.

| FG | HIK |
|---|---|
| 42. რამეთუ თჳთ იგი დავით იტყჳს წიგნსა ფსალმუნთასა: ჰრქუა უფალმან უფალსა ჩემსა: დაჯედ მარჯუენით ჩემსა, | 42. რამეთუ თჳთ იგი დავით იტყჳს წიგნსა ფსალმუნთასა჻ ჰრქუა უფალმან უფალსა ჩემსა჻ დაჯედ მარჯუენით (I 105v) ჩემსა, |
| 43. ვიდრემდე[1] დავსხნე მტერნი შენნი ქუეშე ფერჴთა შენთა. | 43. ვიდრემდე[1] დავსხნე მტერნი შენნი ქუეშე[2] ფერჴთა შენთა. |
| 44. თჳთ იგი დავით უფლით ხადის, და ვითარ ძჱ მისი არს? | 44. თჳთ იგი დავით უფლით ხადის, და ვითარ ძე მისი არს? |
| 45. და ვითარცა ესმოდა ესე ყოველსა მას ერსა, ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა: | 45. და ვითარცა ესმოდა ესე ყოველსა მას ერსა, ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა჻ |
| 46. ეკრძალენით მწიგნობართაგან, რომელთა ჰნებავს სამოსლითა[2] სლვაჲ და რომელთა უყუარს უბანთა ზედა მოკითხვაჲ და პირველადჯდომაჲ კრებულსა შორის და ზემოჯდომაჲ პურსა ზედა, | 46. ეკრძალენით მწიგნობართაგან, რომელთა ჰნებავს სამოსლითა სლვაჲ და რომელთა უყუარს უბანთა ზედა მოკითხვაჲ და პირველადჯდომაჲ კრებულსა შორის და ზემოჯდომაჲ პურსა ზედა, |
| 47. (G 204v) რომელნი შეშჭამენ სახლებსა ქურივთასა და მიზეზით განგრძობილად ილოცვედ. ამათ მოიღონ უმეტესი საშჯელი. | 47. რომელნი შესჭამენ[3] სახლებსა ქურივთასა და მიზეზით განგრძობილად ილოცვედ[4]. ამათ მოიღონ[5] უმეტესი საშჯელი[6]. |

## 21

| | |
|---|---|
| 1. და მიხედა, და იხილა, რომელნი-იგი დასდებდეს შესაწირავსა საფასის-საცავსა მას მდიდარნი. | 1. და მიჰხედა[7] და იხილა, რომელნი-იგი დასდებდეს შესაწირავსა ფასის-საცავსა მას მდიდარნი. |
| 2. და იხილა ვინმე ქურივი გლახაკი, რომელმან დადვა ორი მწულილი[3], | 2. და იხ(K 207v)ილა ვინმე ქურივი გლახაკი, რომელმან დადვა ორი მწულილი, |
| 3. და თქუა჻ ჭეშმარიტად გეტყჳ თქუენ, რამეთუ ქურივმან ამან გლახაკმან უმეტეს ყოველთასა შეწირა, | 3. და თქუა჻ ჭეშმარიტად გეტყჳ თქუენ, რამეთუ ქურივმან ამან გლახაკმან უმეტეს ყოველთასა შეწირა, |
| 4. რამეთუ ამათ ყოველთა ნამეტავისაგან[4] მათისა შეწირეს დასადებელსა ამას, ხოლო ამან ნაკლულევანებისაგან თჳსისა ყოველი, რაჲცა აქუნდა (F 102r) საცხორებელი, შეწირა. | 4. რამეთუ ამათა ყოველთა ნამეტავისაგან[8] მათისა დად(H 198r)ვეს შესაწირავსა ამას ღმრთისასა, ხოლო ამან ნაკლულევა(I 106r)ნებისაგან თჳსისა ყოველი, რაჲცა[9] აქუნდა საცხორებელი, შეწირა. |
| 5. და რომელნიმე იტყოდეს ტაძრისათჳს, ვითარმედ჻ ქვითა კეთილითა და პატიოსნითა შენებულ არს; და თქუა იესუ჻ | 5. და რომელნიმე იტყოდეს ტაძრისათჳს, ვითარმედ჻ ქვითა კეთილითა და პატიოსნითა შენებულ არს; და თქუა იესუ჻ |

---

[1] ვ´ე F. [2] სამუსლითა F. [3] წულილი F. [4] ნამეტნავისაგან F.

[1] ვიდრემდის K. [2] ქ⁻შჱ H, ქუჱშე I. [3] შეშჭამენ HI. [4] ილოცვენ K. [5] მოილონ K. სამჯელი HI. [7] მიხედა K. [8] ნამეტნავისაგან K. [9] რაჲ K.

| FG | HIK |
|---|---|
| 6. ხედავთა ამას? არამედ მოვლენან დღენი, რომელთა შინა არა დაშთეს ქვაჲ ქვასა ზედა, (G 205r) რომელი არა დაირღუეს. | 6. ხედავთა ამას? მოვლენან დღენი, რომელთა შინა არა დაშთეს ქვაჲ ქვასა ზედა, რომელი არა დაირღუეს[1]. |
| 7. ჰკითხეს მას მოწაფეთა: მოძღუარ, ოდეს იყოს ესე, და რაჲ არს სასწაული, რაჟამს ესე ყოფად არს? | 7. ჰკითხეს მას მოწაფეთა: მოძღუარ, ოდეს უკუე[2] იყოს ესე, და რაჲ არს სასწაული, რაჟამს ესე ყოფად არს? |
| 8. ხოლო თავადმან ჰრქუა[1]: იხილეთ, ნუუკუე სცთეთ, რამეთუ მრავალნი მოვიდოდიან სახელითა ჩემითა და იტყოდიან, ვითარმედ: მე ვარ. ხოლო ჟამი მოწევნულ არს, ნუ მიხუალთ შედგომად მათა[2]. | 8. ხოლო თავადმან თქუა: იხილეთ, ნუუკუე[3] სცთეთ, რამეთუ მრავალნი მოვიდოდიან სახელითა ჩემითა და იტყოდიან, ვითარმედ: მე ვარ. და ჟამი მოწევნულ არს, არამედ ნუ მიხუალთ შედგომად მათდა. |
| 9. ოდეს გესმოდიან ბრძოლანი და შფოთნი, ნუ შესძრწუნდებით, რამეთუ ჯერ-არს ესე პირველად ყოფად, და არღა მეყსეულად იყოს აღსასრული. | 9. და ოდეს გეს(K 208r)მოდიან ბრძოლანი და შფოთნი, ნუ შესძრწუნდებით, რამეთუ ჯერ-არს ესე პირველად ყოფად, და არღა მეყსეულად იყოს აღსასრული. |
| 10. მაშინ ეტყოდა მათ: აღდგეს ნათესავი ნათესავსა ზედა და მეუფებაჲ მეუფებასა ზედა; | 10. მაშინ ეტყოდა მათ: აღდგეს ნათესავი ნათესავსა ზედა და მეუფებაჲ მეუფებასა ზედა; |
| 11. და იყვნენ ძრვანი დიდ-დიდნი ადგილდ-ადგილდ[3], სიყმილნი და სრვანი; საშინელებანი ზეცით და სასწაულნი დიდ-დიდნი იყვნენ. | 11. და იყვნენ ძრვანი (H 106v) დიდ-დიდნი ადგილ-ადგილ, სიყმილნი და (I 106v) სრვანი; საშინელებანი ზეცით და სასწაულნი დიდ-დიდნი იყვნენ. |
| 12. (G 205v) ხოლო ამათ ყოველთა წინა დაგასხნენ თქუენ ზედა ჴელნი მათნი და გდევნიდენ და მიგცნენ თქუენ შესაკრებელთა და საპყრობილეთა და (F 102v) მეფეთა წინაშე და მთავართა მიგიყვანნენ სახელისა ჩემისათჳს. | 12. ხოლო ამათ ყოველთა წინა დაგასხნენ თქუენ ზედა ჴელნი მათნი და გდევნიდენ და მიგცნენ თქუენ შესაკრებელთა და საპყრობილეთა და მეფეთა წინაშე და[4] მთავართა მიგიყვანნენ სახელისა ჩემისათჳს. |
| 13. და გექმნეს თქუენ ესე საწამებელ. | 13. და გექმნეს თქუენ ესე საწამებელ. |
| 14. დაისხენით ესე[4] გულთა თქუენთა, რაჲთა არა წინაჲსწარ იწურთიდეთ, რაჲ სიტყუაჲ მიუგოთ, | 14. დაისხენით ესე გულთა თქუენთა, რაჲთა არა წინაჲსწარ[5] იწურთიდეთ, რაჲ სიტყუაჲ მიუგოთ, |
| 15. რამეთუ მე მოგცე თქუენ პირი და სიბრძნჱ[5], რომელსა ვერ უძლონ წინა-აღდგომად და სიტყჳს-გებად ყოველთა წინა-აღმდგომთა თქუენთა. | 15. რამეთუ მე მოგცე თქუენ პირი და სიბრძნე, რომელსა ვერ უძლონ წინა-აღდგომად და სიტყჳს-გებად ყოველთა წინა-აღმდგომთა თქუენთა[6]. |
| 16. რამეთუ მიეცნეთ თქუენ მამა-დედათაგან და ძმათა და მეგობართა და | 16. რამეთუ მიეცნეთ თქუენ მამა-დედათაგან და ძმათა და მეგობართა და |

---

[1] თქუა G. [2] მათსა FG. [3] ადგილად-ადგილად G. [4] ესე] — G. [5] სიბრძნე F.

[1] დაირღუჱს HI. [2] უკუჱ HIK. [3] ნუუკუჱ HIK. [4] და] — K. [5] წ~წრ HK. [6] თქუჱნთა HI.

FG

ნათესავთა, და მოჰკლვიდენ თქუენგანთა.

17. და იყვნეთ თქუენ მოძულებულ ყოველთაგან სახელისა ჩემისათჳს.

18. და თმაჲ თავისა თქუენისაჲ არა წარწყმდეს.

19. მოთმინებითა თქუენითა მოიპოვნეთ სულნი თქუენნი.

20. (G 200r) რაჟამს იხილოთ იერუსალჱმსა გარე-მოდგომილი[1] ერი, მაშინ გულისხმა-ყავთ[2], რამეთუ მოახლებულ არს მოოჴრებაჲ[3] მისი.

21. მაშინ რომელნი იყვნენ ჰურიასტანს, ივლტოდედ[4] მთად; და რომელნი იყვნენ შორის მისა[5], განივლტოდედ[6]; და რომელნი ველსა იყვნენ, ნუ შევლენედ მუნ.

22. რამეთუ დღენი შურის-გებისა მისისანი ე¯ე[7] არიან, რაჲთა აღესრულნენ ყოველნი წერილნი.

23. ხოლო ვაჲ მუცელ-ქმნულ(F 108r)თა და რომელნი აწოვებდენ[8] მათ დღეთა შინა, რამეთუ იყოს მაშინ ჭირი დიდი ქუეყანასა ზედა და რისხვაჲ ერსა ამას ზედა.

24. და დაეცნენ პირითა მახჳლისაჲთა და წარიტყუენნენ ყოველთა მიერ წარმართთა; და იერუსალჱმი დათრგუნვილ[9] იყოს წარმართთაგან, ვიდრემდე[10] აღესრულნენ ჟამნი წარმართთანი.

25. და იყოს სასწაული მზესა თანა[11] და მთოვა(G 200v)რესა[12] და ვარსკულავთა, და ქუეყანასა ზედა შეკრებაჲ თესლებისაჲ განკკრვებითა ოხრისაჲთა, ვითარცა ზღჳსაგან და ძრვისა;

26. სულითა კაცთაჲთა შიშისაგან და მოლოდებისა მომავალსა ზედა სოფელსა ამას, რამეთუ ძალნი ცათანი შეიძრნენ.

HIK

ნათესავთა, და მოჰკლვიდენ თქუენგანთა.

17. და იყვნეთ თქუენ მოძულებულ ყოველთაგან სახელისა ჩემისათჳს.

18. და თმაჲ თავისა თქუენისაჲ არა წარწყმდეს.

19. და მოთმინებითა თქუენითა მოიპ(K 208v)ოვნეთ სულნი თქუენნი[1].

20. (H 197r) რაჟამს იხილოთ იერუსალჱმსა გარე-მოდგომილი ერი მჴედრებისაჲ, მაშინ გულისკმა-ყავთ, (I 197r) რამეთუ მოახლებულ არს მოოჴრებაჲ მისი.

21. მაშინ რომელნი იყვნენ ჰურიასტანს, ივლტოდედ[2] მთად; და რომელნი იყვნენ შორის მისა[3], განივლტოდედ[4]; და რომელნი ველსა იყვნენ, ნუ შევლენედ მუნ.

22. რამეთუ დღენი შურის-გებისანი ესე არიან, რაჲთა აღესრულნენ ყოველნი წერილნი.

23. ხოლო ვაჲ მუცელ-ქუმულთა და რომელნი აწოებდენ მათ დღეთა შინა, რამეთუ იყოს მაშინ ჭირი დიდი ქუეყანასა ზედა და რისხვაჲ ერსა ამას ზედა.

24. და დაეცნენ პირითა მახჳლისაჲთა და წარიტყუენნენ[5] ყოველთა მიერ წარმართთა; და იერუსალჱმი[6] დათრგუნვილ იყოს წარმართთაგან, ვიდრემდე აღესრულნენ ჟამნი წარმართთანი.

25. და იყოს სასწაული მზესა შინა და მთოვარესა და ვარსკულავთა, და ქუეყანასა ზედა შეკრებაჲ თესლებისაჲ განკკრვებითა ოხრისაჲთა ზღჳსაგან და ძრვისა;

26. სულითა კაცთაჲთა შიშისაგან და მოლოდებისა მომავალისა ზედა სო(H 197v)ფელსა ამას, რამეთუ ძალნი ცათანი შეიძრნენ.

---

[1] გარჱ-მოდგომილი G. [2] გულისკმა-ყავთ F. [3] მოუჴრებაჲ F. [4] ივლტოდენ FG. [5] მისსა G. [6] განივლტოდენ FG. [7] ესენი F. [8] აწოებდენ F. [9] დათრეუნვილ F. გ-სთვის ფეხის გაკეთება დავიწყებიათ. [10] ე¯ე F. [11] თანა] — G. [12] მთოარესა F, მთუა!რესა G.

[1] თქუჱნნი HI. [2] ივლტოდენ HIK. [3] მისსა K. [4] განივლტოდენ HIK. [5] წარიტყუჱნნენ HI. [6] ი¯ჱლიმი HI, ი¯ჱლმი K

FG

27. და მაშინ იხილონ ძჱ კაცისაჲ, მომავალი ღრუბლითა ძალითა და დიდებითა მრავლითა.

28. და ვითარცა იწყოს ამან ყოველმან ყოფად, აღიხილენით თუალნი და აღიპყრენით თავნი თქუენნი, რამეთუ მოწევნულ არს გამოჴსნაჲ თქუენი.

29. და ეტყოდა მათ იგავსა: იხილეთ ლეღჳ და ყოველნი ხენი.

30. რაჟამს გამოვალნ ფურცელი, თჳთ უწყოდით, რამეთუ ახლოს არს ზაფხული.

31. ეგრეცა თქუენ, რაჟამს იხილოთ ესე ყოველი ყოფილი, უ(F 103v)წყოდეთ, რამეთუ ახლოს არს სასუფეველი ღმრთისაჲ.

32. ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ არა წარჴდეს ნათესავი ესე, (G 207r) ვიდრემდე ესე ყოველი იყოს.

33. ცანი და ქუეყანაჲ წარჴდენ, ხოლო სიტყუანი ჩემნი არა წარჴდენ.

34. ეკრძალენით თავთა თქუენთა, ნეუკუე დამძიმდენ გულნი თქუენნი შუებითა და მთრვალობითა და ზრუნვითა ამის სოფლისაჲთა, და მეყსეულად მოიწიოს თქუენ ზედა დღჱ იგი.

35. რამეთუ ვითარცა საფრჴჱ[1] მოუჴდეს მსხდომარეთა ზედა პირსა ყოვლისა ქუეყანისასა.

36. იღჳძებდით უკუე ყოველსა ჟამსა და ევედრებოდეთ, რაჲთა ღირს იქმნნეთ[2] განრინებად ამის ყოვლისაგან, რომელი ყოფად არს, და დადგომად[3] წინაშე ძისა კაცისა.

37. და იყოფვოდა[4] თავადი ტაძარსა მას შინა დღისი და ასწავებდა; ხოლო ღამე განვიდის და იქცევინ მთასა მას, რომელსა ჰრქჳან[5] ზეთისხილთაჲ.

38. და ყოველმან მან[6] ერმან აღიმსთჳს[7] მისა ტაძარსა მას შინა (G 207v) სმენად სიტყუათა მისთა.

HIK

27. (I 107v) და მაშინ იხილონ ძე კაცისაჲ, მომავალი ღრუბელთა ძალითა და დიდებითა მრავლითა.

28. და ვითარცა (K 209r) იწყოს ამან ყოველმან ყოფად, აღიხილენით თუალნი და აღიპყრენით თავნი თქუენნი[1], რამეთუ მოწევნულ არს გამოჴსნაჲ თქუენი.

29. და ეტყოდა მათ იგავსა: იხილეთ ლეღჳ და ყოველნი ხენი.

30. რაჟამს გამოვალნ ფურცელი, თჳთ უწყოდით[2], რამეთუ ახლოს არს ზაფხული.

31. ეგრეცა[3] თქუენ, რაჟამს იხილოთ ესე ყოველი ყოფილი, უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არს სასუფეველი ღმრთისაჲ.

32. ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ არა წარჴდეს ნათესავი ესე, ვიდრემდე ესე ყოველი იყოს.

33. ცანი და ქუეყანაჲ წარჴდენ, ხოლო სიტყუანი ჩემნი არა წარჴდენ.

34. ეკრძალენით თავთა თქუენთა, ნუუკუე[4] დამძიმდენ გულნი თქუენნი შუებითა[5] და მთრვალობითა და ზრუნვითა ამის სოფლისაჲთა, და მეყსეულად მოიწიოს თქუენ ზედა დღე იგი.

35. რამეთუ ვითარცა საფრჴე მოუ(H 108r)ჴდეს მსხდომარეთა ზედა პირსა ყოვლისა ქუეყანისასა.

36. იღჳძებდით უკუე[6] ყოველსა ჟამსა და ევედრებოდეთ, (I 198r) რაჲთა ღირს იქმნნეთ[7] განრინებად ამის ყოვლისაგან, რომელი ყოფად არს, და დადგომად წინაშე ძისა კაცისა.

37. და იყოფვოდა თავადი ტაძარსა მას შინა დღისი და ასწავებდა; ხოლო ღამე განვიდის და იქცევინ მთასა მას[8], რომელსა ჰრქჳან ზეთისხილთაჲ.

38. და ყოველმან ერმან აღი(K 200v)მსთჳს[9] მისა[10] ტაძარსა მას შინა სმენად სიტყუათა მისთა.

---

[1] საფრჴე F. [2] იქმნეთ F. [3] და დადგომად] დადგრომად G. [4] იყოფოდა G. [5] ჰქჳან F. [6] მან] — F. [7] აღიმსთ̄ს F, აღიმსთეის G.

[1] თქუჱნნი H. [2] უწყოდეთ K. [3] ეგრეთცა K. [4] ნუუკუჱ HIK. [5] შუჱბითა HI. [6] უკუჱ HI. [7] იქმნეთ HI. [8] მას] — K. [9] აღიმსთუჱს I. [10] მისსა K.

# 22

FG

1. და მოახლებულ იყო დღესასწაული[1] იგი უცომოებისაჲ, რომელსა ჰრქვან[2] პასქაჲ.

2. და ეძიებდეს მას მღდელთ-მოძღუარნი იგი და მწიგნობარნი, ვითარმცა მოკლეს იგი, ხოლო ეშინოდა ერისა მის.

3. და შეუჴდა ეშმაკი იუ(F 164r)დას, რომელსა ერქუა სკარიოტელ. და იყო იგი რიცხჳსაგანი ათორმეტთაჲ.

4. და მივიდა, ეზრახა მღდელთ-მოძღუართა და მწიგნობართა და ერისა წინამძღუართა, ვითარმცა იგი მისცა მათ.

5. ხოლო მათ განიხარეს და აღუთქუეს მას ვეცხლი მიცემად.

6. და აღუვარა[3] მათ და ეძიებდა ჟამსა მარჯუესა, რაჲთა მისცეს იგი მათ თვნიერ ერისა.

7. მოიწინეს დღენი იგი უცომოებისანი, ოდეს ღირდა პასქაჲ იგი (G 208r) დაკლვად.

8. და წარავლინნა პეტრე[4] და იოვანე[5] და ჰრქუა მათ჻ წარვედით და მომიმზადეთ ჩუენ პასქაჲ, რაჲთა ვჭამოთ.

9. ხოლო მათ ჰრქუეს჻ სადა გნებავს, და მოგიმზადოთ?

10. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ჻ აჰა ეგერა შესლვასა ოდენ თქუენსა ქალაქად შეგემთხჳოს თქუენ კაცი, რომელსა ლაგჳნი წყლითა ზე[6] ედგას; შეუდეგით მას სახედ[7], ვიდრეცა შევიდეს.

11. და არქუთ უფალსა მას სახლისასა჻ გეტყჳს შენ მოძღუარი჻ სადა არს სავანე, რომელსა პასქაჲ ესე მოწაფეთა ჩემთა თანა ვჭამო?

12. და მან გიჩუენოს თქუენ ქორი დაგებული დიდი; მუნ მზა-მიყავთ ჩუენ[8].

13. (F 164v) და წარვიდეს და პოვეს[9] ეგრე, ვითარცა-იგი ჰრქუა მათ, და მოუმზადეს პასქაჲ იგი.

HIK

1. და მოახლებულ იყო დღესასწაული იგი უცომოებისაჲ, რომელსა ჰრქვან პასქაჲ.

2. და ეძიებდეს მას მღდელთ-მოძღუარნი იგი და მწიგნობარნი, რაჲთამცა მოკლეს იგი, ხოლო ეშინოდა ერისა მის.

3. და შეუჴდა ეშმაკი იუდას, რომელსა ერქუა ისკარიოტელ. და იყო იგი რიცხჳსაგან ათორმეტთაჲსა.

4. და მივიდა, ეზრახა მღდელთ-მოძღუართა და მწიგნობართა და ერისა წინამძღუართა, ვითარმცა იგი მისცა მათ.

5. ხოლო მათ განიხარეს და აღუთქუეს[1] მას ვე(H 108v)ცხლი მიცემად.

6. და აღუვარა მათ და ეძიებდა ჟამსა მარჯუესა[2], რაჲთა მისცეს (I 108v) იგი მათ თვნიერ ერისა.

7. მოიწინეს დღენი იგი უცომოებისანი, ოდეს ღირდა პასქაჲ იგი დაკლვად.

8. და წარავლინნა პეტრე და იოვანე და ჰრქუა მათ჻ წარვედით და მომიმზადეთ ჩუენ პასქაჲ, რაჲთა ვჭამოთ.

9. ხოლო მათ ჰრქუეს჻ სადა გნებავს, და მოგიმზადოთ?

10. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ჻ აჰა ეგერა შესლვასა ოდენ თქუენსა ქალაქად შეგემთხჳოს თქუენ კაცი, რომელსა ლაგჳნი წყლითა ზე ედგას; შეუდეგით მას სახიდ, ვიდრეცა შევიდეს.

11. და არქუთ სახლისა უფალსა მას჻ გეტყჳს შენ მოძღუარი჻ სადა (K 210r) არს სავანე, რომელსა პასქაჲ ესე მოწაფეთა ჩემთა თანა ვჭამო?

12. და მან გიჩუენოს[3] თქუენ ქორი დაგებული დიდი; მუნ მზა-მიყავთ ჩუენ.

13. და წარვიდეს და პოვეს[4] ეგრე, ვითარცა-იგი ჰრქუა მათ, და მოუმზადეს პასქაჲ იგი.

---

[1] დღჱსასწაული G. [2] ჰქჳან F. [3] ალუჳრა F. [4] პეტრჱ F. [5] ი͞ნჱ G. [6] ზჱ G. [7] სახიდ G. [8] ჩუენ] — F. [9] პოეს F.

[1] აღუთქუჱს HI. [2] მარჯუჱსა HI. [3] გიჩუჱნოს HI. [4] პოეს K.

| FG | HIK |
|---|---|
| 14. და ოდეს იყო ჟამი, დაჯდა, და[1] ათორმეტნი მოციქულნი მის თანა. | 14. და ოდეს იყო ჟამი, დაჯდა, და ათორმეტნი მოციქულნი მის თანა. |
| 15. და ჰრქუა მათ: გულის-(G 208v/)-სიტყჳთ გული-მითქუმიდა პასექსა[2] ამას ჭამად თქუენ თანა ვიდრე ვნებადმდე[3] ჩემდა. | 15. და ჰრქუა მათ: გულის-სი(H 109r)ტყჳთ გული-მითქუმიდა პასექსა ამას ჭამად თქუენ თანა ვიდრე ვნე(I 100r)-ბადმდე ჩემდა. |
| 16. ხოლო გეტყჳ თქუენ: არღარა ვჭამო ამისგან, ვიდრემდე აღესრულოს სასუფეველსა შინა ღმრთისასა. | 16. ხოლო გეტყჳ თქუენ: არღარა ვჭამო ამიერითგან, ვიდრემდე აღესრულოს სასუფეველსა შინა ღმრთისასა. |
| 17. და მოიღო სასუმელი და ჰმადლობდა და თქუა: მიიღეთ ესე და[4] განიყავთ თავისა თქუენისა. | 17. და მოიღო სასუმელი და ჰმადლობდა და თქუა: მიიღეთ და განიყავთ თავისა თქუენისა. |
| 18. ხოლო გეტყჳ თქუენ: ამიერითგან არღარა ვსუა ნაყოფისაგან ვენაჴსა, ვიდრემდე სასუფეველი ღმრთისაჲ მოვიდეს. | 18. ხოლო გეტყჳ თქუენ: ამიერითგან არღარა ვსუა ნაყოფისაგან ვენაჴისა, ვიდრემდე სასუფეველი ღმრთისაჲ მოვიდეს. |
| 19. და მოიღო პური და ჰმადლობდა, განტეხა და მისცა მათ და თქუა: ესე არს ჴორცი ჩემი თქუენთჳს მიცემული, ამას ყოფდით მოსაჴსენებელად ჩემდა. | 19. და მოიღო პური, (K 210v/) ჰმადლობდა და განტეხა და მისცა მათ და თქუა[1]: ესე არს ჴორცი ჩემი თქუენთჳს[2] მიცემული, ამას ჰყოფდით მოსაჴსენებელად ჩემდა. |
| 20. ეგრევე სასუმელი შემდგომად სერობისა და თქუა: ესე სასუმელი — ახალი შჯული სისხლისა ჩემისა თქუენთჳს დათხეული. | 20. ეგრეთვე სასუმელი შემდგომად სერობისა და თქუა: ესე სასუმელი—ახალი სჯული[3] სისხლისა ჩემისაჲ თქუენთჳს დათხეული. |
| 21. (G 209r) ხოლო აჰა ჴელი განმცემელისა ჩემისაჲ ჩემ თანა ტაბლასა ზედა. | 21. ხოლო აჰა ჴელი განმცემელისა ჩემისაჲ ჩემ თანა ტაბლასა ზედა. |
| 22. ძჱ სამე კაცისაჲ, მსგავსად განჩინებულისა მისისა, წარვალს, ხოლო ვაჲ არს (F 185r) კაცისა მის, ვის მიერ მიეცემის იგი. | 22. ძე სამე კაცისაჲ, მსგავსად განჩინებულისა მისისა, წარვალს, ხოლო ვაჲ არს კაცისა მის, ვის მიერ მიეცემის იგი! |
| 23. და მათ იწყეს გამოძიებად ურთიერთას[5]: ვინ-მე არს მათგანი, რომელსა ეგულების ესე ყოფად? | 23. და მათ იწყეს გამოძიებად ურთიერთას: (H 109v/) ვინ-მე არს მათგანი, რომელსა ეგულების ესე ყოფად? |
| 24. და იყო ცილობაჲცა მათ შორის, ვითარმედ: ვინ-მე იყოს დიდ მათ შორის[6]? | 24. (I 100v/) და იყო ცილობაჲცა მათ შორის, ვითარმედ: ვინ-მე იყოს დიდ მათ შორის? |
| 25. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: მეფენი წარმართთანი უფლებედ მათ ზედა, და რომელთა ჴელმწიფებაჲ აქუნ[7] მათ ზედა, ქველის-მოქმედ ჰრქჳან[8]. | 25. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: მეფენი წარმართთანი უფლებენ მათ ზედა, და რომელთა ჴელმწიფებაჲ აქუნ მათ ზედა, ქველის-მოქმედ ჰრქჳან. |

---

[1] და!და F. [2] პს̄ქსა F. [3] ვნებამდე F. [4] და] — G. [5] ურთიერთარს F. [6] შოერის G. [7] აქუს G. [8] ჰქჳან F.

[1] თქუა] ჰრქუა K. [2] K-ს ტექსტში „თქუენ- არის, „თ̄ს“ (=თჳს) ზემოთ დაუწერიათ მეტად წვრილი ნუსხურით. [3] შჯული HI.

| FG | HIK |
|---|---|
| 26. ხოლო თქუენ არა ეგრეთ[1] იყვენეთ, არამედ უდიდესი იგი თქუენ შორის იყავნ[2] მრწემ[3], და წინამძღუარი იგი — ვითარცა მსახური. | 26. ხოლო თქუენ არა ეგრე იყვნეთ, არამედ უდიდესი იგი თქუენ შორის იყავნ მრწემ, და წინამძღუარი იგი — ვითარცა მსახური. |
| 27. ვინ არს უფროჲსი: რომელი ინაჯით-ზის ანუ რომელი ჰმსახურებს? ანუ არა რომელი-იგი ინაჯით-ზის? ხოლო მე ვარ შორის თქუენსა (G 200v) ვითარცა მსახური. | 27. ვინ არს უფროჲსი: რომელი ინაჯით-ზის ანუ რომელი ჰმსახურებს? ანუ არა რომელ-იგი ინაჯით-ზის? ხოლო მე ვარ შორის თქუენსა ვითარცა მსახური. |
| 28. და თქუენ ხართ, რომელნი დაადგერით ჩემ თანა განსაცდელთა შინა ჩემთა. | 28. და თქუენ ხართ, რომელნი დაადგერით ჩემ თანა განსაცდელთა შინა ჩემთა. |
| 29. და მე აღგითქუამ თქუენ, ვითარცა მე აღმითქუა მამამან ჩემმან სასუფეველი, | 29. და მე აღგითქუამ თქუენ, ვითარცა მე აღმითქუა[1] (K 211r) მამამან ჩემმან, სასუფეველსა, |
| 30. რაჲთა შჭამდეთ და სუმიდეთ ტაბლასა ზედა ჩემსა სასუფეველსა შინა ჩემსა და დასხდეთ ათორმეტთა საყდართა და შჯიდეთ ათორმეტთა ტომთა ისრაჱლისათა. | 30. რაჲთა სჭამდეთ[2] და სუმიდეთ ტაბლასა ზედა ჩემსა სასუფეველსა შინა ჩემსა[3] და დასხდეთ ათორმეტთა საყდართა და სჯიდეთ[4] ათორმეტთა ტომთა ისრაჱლისათა. |
| 31. და თქუა უფალმან[4]: სიმონ, სიმონ, აჰა ესერა ეშმაკმან გამოგითხოვნა თქუენ აღცრად, ვითარცა იფქლი. | 31. და თქუა უფალმან: სიმონ, სიმონ, აჰა ესერა ეშმაკმან გამოგითხოვნა თქუენ აღცრად, ვითარცა იფქლი. |
| 32. ხოლო მე ვევედრე მამასა ჩემსა შენთჳს, რაჲთა არა მოგაკლდეს სარწმუნოებაჲ შენი, (F 105v) და შენ ოდესმე მიიქეც და განამტკიცენ ძმანი შენნი. | 32. ხოლო მე ვევედრე (H 200r) მამასა ჩემსა შენ(I 200r)თჳს, რაჲთა არა მოგაკლდეს სარწმუნოებაჲ შენი, და[5] შენ ოდესმე მიიქეც და განამტკიცენ ძმანი შენნი. |
| 33. ხოლო მან ჰრქუა[5]: უფალო, მე შენ თანა მზა ვარ საპყრობილედ დე სიკუდილდ[6] მისლვად. | 33. ხოლო მან თქუა: უფალო, მე შენ თანა მზა ვარ საპყრობილედ და სიკუდილად მისლვად. |
| 34. ხოლო თავადმან ჰრქუა: გეტყჳ შენ, პეტრე: (G 210r) არღა ეყივლოს ქათამსა დღეს, ვიდრემდე სამ-გზის უვარ-მყო[7] მე, ვითარმედ: არა ვიცი მე. | 34. ხოლო თავადმან თქუა: გეტყჳ შენ, პეტრე: არღა ეყივლოს ქათამსა დღეს, ვიდრემდე სამ-გზის უვარ-მყო, ვითარმედ არა მიცი მე. |
| 35. და ჰრქუა მათ: ოდეს-იგი წარგავლინენ თქუენ თჳნიერ ბალანტისა და ვაშკარანისა და ფერჴთა-შესასხმელთა, ნუ გაკლდა რაჲა თქუენ? ხოლო მათ ჰრქუეს[8]: არარაჲ გუაკლდა. | 35. და ჰრქუა მათ: ოდეს-იგი წარგავლინენ თქუენ თჳნიერ ბალანტისა და ვაშკარანისა და ფერჴთა-შესასხმელთა, ნუ გაკლდა რაჲა თქუენ? ხოლო მათ ჰრქუეს[6]: არარაჲ გუაკლდა. |

---

[1] ეგრე G. [2] იყავ F. [3] მწემ F. [4] და თქუა უფალმან] — FG. ეს სიტყვები ბევრგან ბერძნულშიც არ არის. [5] თქუა G. [6] სიკუდილად G. [7] უარ-მყო F. [8] თქუეს G.

[1] აღმითქვა K. [2] შჭამდეთ HI. [3] სასუფეველსა შინა ჩემსა] — HIK. დაკლება მომხდარა ახლო მეზობლობაში ერთი და იმავე სიტყვის განმეორების გამო: ტაბლასა ზედა ჩემსა სასუფეველსა შინა ჩემსა. გადამწერი კალამხტარა ერთიდან მეორეზე. [4] შჯიდეთ HI. [5] და] ა K. მთავრული დ-ს გამოყვანა შუა სტრიქონში დავიწყებიათ. მისი ადგილი თავისუფალია. [6] ჰრქუჲს I.

| FG | HIK |
|---|---|
| 36. და მერმე ჰრქუა: არამედ[1] აწ რომელსა[2] აქუნდეს საქუფთე[3], აღიღენ; ეგრევე მსგავსად ვაშკარანიცა; და რომელსა არა აქუნდეს, განყიდენ სამოსელი[4] თჳსი[5] და იყიდენ მახჳლი. | 36. და მერმე ჰრქუა მათ: არამედ აწ რომელსა აქუნდეს საქუფთე, აღიღენ; ეგრეთვე მსგავსად ვაშკარანიცა; და რომელსა არა აქუნდეს, განყიდენ სამოსელი თჳსი და იყიდენ მახჳლი. |
| 37. გეტყჳ თქუენ: ესე ხოლოლა წერილი ჯერ-არს ჩემ ზედა აღსრულებად, ვითარმედ: უშჯულოთა თანა შეირაცხა, და[6] რამეთუ ჩემთჳს აღსასრული იყოს. | 37. გეტყჳ თქუენ: ესე ხოლოლა წერილი ჯერ-არს ჩემ ზედა (K 211ⴆ) აღსრულებად, ვითარმედ: უსჯულოთა[1] თანა შეირაცხა, და რამეთუ ჩემთჳს აღსასრული იყოს. |
| 38. ხოლო მათ ჰრქუეს[7]: უფალო, აჰა ესერა არიან აქა ორ დანაკ. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: კმა არს. | 38. ხოლო მათ ჰრქუეს[2]: უფალო, აჰა ესერა არიან (I 200ⴆ) აქა ორ დანაკ. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: კმა არს. |
| 39. (G 210ⴆ) და გამოვიდა მიერ და წარვიდა, ვითარცა ჩუეულებაჲ აქუნდა, მთასა მას ზეთისხილთასა, და მისდევდეს მას მოწაფენიცა მისნი. | 39. (H 200ⴆ) და გამოვიდა მიერ და წარვიდა, ვითარცა ჩუეულებაჲ[3] აქუნდა, მთასა მას ზეთისხილთასა, და მისდევდეს მას მოწაფენიცა მისნი. |
| 40. (F 166ⴎ) და მი-რაჲ-ვიდა ადგილსა მას[8], ჰრქუა მათ: ილოცევდით, რაჲთა არა შეხჳდეთ განსაცდელსა. | 40. და მი-რაჲ-ვიდა ადგილსა მას, ჰრქუა მათ: ილოცევდით: რაჲთა არა შეხჳდეთ განსაცდელსა. |
| 41. და თავადი განეშორა[9] მათგან ვითარ ქვის-სატყორცებელ ოდენ და დაიდგნა მუჴლნი და[6] ილოცვიდა | 41. და თავადი განეშორა მათგან ვითარ ქვის-სატყორცებელ ოდენ და დაიდგა მუჴლნი, ილოცვიდა |
| 42. და იტყოდა: მამაო, უკუეთუ გნებავს თანა-წარსლევად სასუმელი ესე ჩემგან, ხოლო ნუ ნებაჲ ჩემი, არამედ ნებაჲ შენი იყავნ! | 42. და იტყოდა: მამაო, უკუეთუ გნებავს თანა-წარსლევად სასუმელი ესე ჩემგან, ხოლო ნუ ნებაჲ ჩემი, არამედ ნებაჲ შენი იყავნ! |
| 43.* და ეჩუენა მას ანგელოსი ზეცით, განაძლიერებდა მას. | 43. და ეჩუენა[4] მას ანგელოზი ზეცით, განაძლიერებდა მას. |
| 44.* და იყო რაჲ იგი ღუაწლსა შინა, უმეტესღა ილოცვიდა. და იქმნა ოფლი მისი, ვითარცა ცუარი სისხლისაჲ, გარდამომავალი ქუეყანასა ზედა. | 44. და იყო იგი ღუაწლსა შინა, უმეტესღა ილოცვიდა. და იქმნა ოფლი მისი, ვითარცა ცუარი სისხლისაჲ გარდამომავალი ქუეყანასა[5] ზედა. |
| 45. და აღდგა მიერ ლოცვისაგან და მოვიდა მოწაფეთა თჳსთა და პოვნა იგინი მძინარენი მწუხარებისა მისგან | 45. და აღდგა მიერ ლოცვისაგან და (K 212ⴎ) მოვიდა მოწაფეთა თჳსთა და პოვნა იგინი მძინარენი მწუხარებისა მისგან |
| 46. და ჰრქუა მათ: რაჲსა გძინავს? აღდეგ და ილოცევდით, რაჲთა არა შეხჳდეთ განსაცდელსა. | 46. და ჰრქუა მათ: რაჲსა გძინავს? აღდეგით, ილოცევდით, რაჲთა არა შე-(I 201ⴎ)ხჳდეთ განსაცდელსა. |

---

[1] არამედ] ვითარმედ F. [2] ~ რომელსა აწ F. [3] საქუთბე F. [4] სამუსელი F. [5] მისი F. [6] და] — F. [7] თქუეს G. [8] მას] — F. [9] განეშოერა G.

* მუხლები 43 და 44 F-ს არა აქვს. ესენი ტექსტში თავიდანვე არც G-ს ჰქონია, მაგრამ შემდეგ სხვა ხელითა და სხვა მელნით ფურცლის (210ⴆ) არშიაზე მიუწერიათ.

[1] უშჯულოთა HI. [2] ჰრქ~ეს I. [3] ჩუჱულებაჲ HI. [4] ეჩუჱნა HI. [5] ქუჱყანასა H.

FG

47. და ვიდრე იგი ამას იტყოდაღა[1], აჰა ერი და, რომელსა ერ(G 211r)ქუა იუდა ისკარიოტელი, ერთი ათორმეტთაგანი, წინა-უძღოდა მათ და მიეახლა იესუს ამბორის-ყოფად[2] მისა, რამეთუ ესე სასწაული მიეცა მათა და ჰრქუა: რომელსა მე ამბორს-უყო[3], იგი არს.

48. ხოლო იესუ ჰრქუა მას: იუდა, ამბორის-ყოფითა[4] მისცემა ძესა[5] კაცისასა?

49. იხილეს რაჲ მისთანათა მათ საქმჱ[6] ესე, ჰრქუეს მას: უფალო, უკუეთუ მოვსრნეთ ესენი[7] მახჳლითა?

50. (F 160v) და სცა ვინმე მათგანმან ერთმან მონასა მღდელთ-მოძღურისასა და წარჰკუეთა ყური მისი მარჯუენჱ[8].

51. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: აცადეთ აქამომდე! და შეახო ჴელი ყურსა მისსა და განკურნა იგი.

52. და[9] ჰრქუა იესუ მოსრულთა მათ მის ზედა მღდელთ-მოძღუართა და ერისთავთა ტაძრისათა და ხუცესთა: ვითარცა ავაზაკსა ზედა (G211v) გამოსრულ ხართ მახჳლითა და წათებითა.

53. დღითი-დღედ[10] ვიყავ მე თქუენ თანა ტაძარსა მას შინა, და არა განჰყავთ ჴელი ჩემ ზედა; არამედ ესე არს ჟამი თქუენი და ჴელმწიფებაჲ ბნელისაჲ.

54. და ვითარცა შეიპყრეს იგი, წარიყვანეს და შეიყვანეს[11] სახლსა მღდელთ-მოძღურისასა. ხოლო პეტრე მისდევდა შორით.

55. და აღაგზნეს ცეცხლი შორის ეზოსა მას და გარე მოასხდეს იგინი; დაჯდა პეტრეცა შორის მათსა.

56. და იხილა იგი მჴევალმან ვინმე მჴდომარჱ[12] ნათელსა მას და მიჰხედა[13] და თქუაჲ ესეცა მის თანა იყო.

HIK

47. და ვიდრე იგი ამას იტყოდაღა, აჰა ერი და, რომელსა ერქუა (H 201r) იუდა ისკარიოტელი, ერთი ათორმეტთაგანი, წინა-უძღოდა მათ და მიეახლა იესუს ამბორის-ყოფად მისა[1], რამეთუ ესე სასწაული მიეცა მათა[2] და ჰრქუა: რომელსა მე ამბორს-უყო, იგი არს.

48. ხოლო იესუ ჰრქუა მას: იუდა, ამბორის-ყოფითა[3] მისცემა ძესა კაცისასა?

49. იხილეს რაჲ მისთანათა მათ საქმე ესე, ჰრქუეს[4] მას: უფალო, უკუეთუ მოვსრნეთ ესენი მახჳლითა?

50. და სცა ვინმე მათგანმან ერთმან მონასა მღდელთ-მოძღურისასა და წარჰკუეთა[5] ყური მისი მარჯუენე[6].

51. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: აცადეთ აქამომდე, და შეახო ჴელი ყურსა მისსა და განკურნა იგი.

52. ჰრქუა იესუ მოსრულთა მათ მის ზედა მღდელთ-მოძღუართა და ერისთავთა ტაძრისათა და ხუცესთა: ვითარცა ავაზაკსა ზედა გამოსრულ ხართ მახჳლითა და წათებითა.

53. დღითი-დღე ვიყავ მე თქუენ თანა ტაძარსა მას შინა, და არა განჰყავთ ჴე(I 201v)ლი ჩემ ზედა; არამედ ესე არს ჟამი თქუენი და ჴელ(K 212v)მწიფებაჲ ბნელისაჲ.

54. (H 201v) და ვითარცა შეიპყრეს იგი, წარიყვანეს და შეიყვანეს სახლსა მღდელთ-მოძღურისასა. ხოლო პეტრე მისდევდა შორით.

55. და აღაგზნეს ცეცხლი შორის ეზოსა მას და გარე მოასხდეს იგინი; დაჯდა პეტრეცა შორის მათსა.

56. და იხილა იგი მჴევალმან ვინმე მჴდომარე ნათელსა მას, მიჰხედა[7] მას და თქუაჲ ესეცა მის თანა იყო.

---

[1] ეტყოდაღა G. [2] ამბოერის-ყოფად G. [3] ამბოერს-უყო G. [4] ამბოერის-ყოფით G. [5] ძჱსა G. [6] საქმე F. [7] ესენი] — F. [8] ~ მარჯუენაჲ მისი F. [9] და] — F. [10] დღითი-დღჱ F. [11] შეიყვანს F (უქარაგმოდ). [12] მჴდომარე F. [13] მიჰხედა] + და იხილა იგი FG.

[1] მისსა K. [2] მათდა K. [3] ამბორის-ყოფა H. [4] ჰრქუჱს I. [5] წარჰკუჱთა HI [6] მარჯუჱნე HI. [7] მიხედა K.

| FG | HIK |
|---|---|
| 57. ხოლო მან უვარ-ყო[1] და თქუა: დედაკაცო, არა ვიცი იგი. | 57. ხოლო მან უვარ-ყო და თქუა: დედაკაცო, არა ვიცი იგი. |
| 58. და მცირედრე შემდგომად მერმე იხილა იგი სხუამან და თქუა: და (F 187რ) შენცა მათთანაჲ ხარ. ხოლო პეტრე[2] თქუა: კაცო, (G 212რ) არა ვარ მათთანაჲ. | 58. და მცირედრე შემდგომად იხილა იგი სხუამან და თქუა: და შენცა მათთანაჲ ხარ. ხოლო პეტრე თქუა: კაცო, არა ვარ მათ(K 218რ)თანაჲ. |
| 59. და ვითარცა წარჴდა ჟამი ერთი, სხუაჲ ვინმე დაამტკიცებდა და იტყოდა: ჭეშმარიტად ესეცა მის თანავე იყო, და[3] რამეთუ გალილეველ არს. | 59. და ვითარცა წარჴდა ჟამი ერთი, სხუაჲ ვინმე დაამტკიცებდა და იტყოდა: ჭეშმარიტად ესეცა მის თანავე იყო, და რამეთუ გალილეველ არს. |
| 60. ხოლო პეტრე[2] ჰრქუა[4]: კაცო, არა ვიცი, რასა იტყჳ. და მეყსეულად, ვიდრე იტყოდაღა იგი ამას[5], ქათამი ყიეა[6]. | 60. ხოლო პეტრე ჰრქუა მას: კაცო, არა ვიცი, რასა იტყჳ. და მეყსეულად, ვიდრე იტყოდაღა იგი ამას, ქათამმან იყივლა. |
| 61. და მოიქცა უფალი და მიჰხედა[7] პეტრეს. და მოეჴსენა პეტრეს სიტყუაჲ იგი უფლისაჲ, რომელი ჰრქუა მას, ვითარმედ: ვიდრე ქათმისა ჴმობადმდე უვარ-მყო[8] მე სამ-გზის, ვითარმედ: არა ვიცი მე. | 61. და მოიქცა უფალი და მიხედა პეტრეს. და მოეჴსენა პეტრეს სიტყუაჲ იგი უფლისაჲ, რომელ ჰრქუა მას, ვითარმედ: ვიდრე ქათმისა (I 202რ) ჴმობადმდე სამ-გზის უვარ-მყო მე. |
| 62. და განვიდა გარე პეტრე და ტიროდა მწარედ. | 62. და განვიდა გარე და ტიროდა მწარედ. |
| 63. ხოლო კაცთა მათ რომელთა შეეპყრა იესუ, ეკიცხევდეს მას და სცემდეს | 63. (H 202რ) ხოლო კაცთა მათ რომელთა შეეპყრა იესუ, ეკიცხევდეს მას და სცემდეს. |
| 64. და დაჰბურეს თავსა და გუემდეს მას და ჰკითხვიდეს[9] და ეტყოდეს: წინაწარმეტყუელებდ, ვინ არს, რომელმან გცა შენ? | 64. და დაჰბურეს მას თავსა და სცემდეს პირსა და ჰკითხვიდეს და ეტყოდეს: წინაწარმეტყუელებდ, ვინ არს, რომელმან გცა შენ. |
| 65. და სხუასა მრავალსა სიტ(G 212ვ)ყუასა ჰგმობდეს და იტყოდეს მისთჳს. | 65. და სხუასა მრავალსა სიტყუასა ჰგმობდეს და იტყოდეს მისთჳს. |
| 66. და ვითარცა განთენა დღჱ, შეკრბეს მოხუცებულნი ერისანი, მღდელთ-მოძღუარნი და მწიგნობარნი და ალიყვანეს იგი საკრებულოსა მას მათსა | 66. და ვითარცა განთენა დღე, შეკრბეს მოხუცებულნი ერისანი, მღდელთ-მოძღუარნი და მწიგნობარნი და (K 210ვ) ალიყვანეს იგი საკრებულოსა მას მათსა |
| 67. და ეტყოდეს: უკუეთუ შენ ხარ ქრისტჱ, მითხარ ჩუენ. ჰრქუა მათ იესუ: უკუეთუ გითხრა, არავე გრწმენეს ჩემი; | 67. და ეტყოდეს: უკუეთუ შენ ხარ ქრისტე, მითხარ ჩუენ. ჰრქუა მათ იესუ: უკუეთუ გითხრა[1] თქუენ, არავე გრწმენეს ჩემი; |

---

[1] უარ-ყო F. [2] პეტრჱ F. [3] და] — G. [4] თქუა F. [5] ამას] — F. [6] ქათამი ყიეა] ქათამმან იყივლა G. [7] მიხედა G. [8] უარ-მყო F. [9] გუემდეს მას და ჰკითხვიდეს] ეკიცხევდეს F.

[1] გითხრა I. თ H-შიც ყოფილა, მაგრამ მერმე ამოუფხეკიათ.

FG

68. და უკუეთუ გკითხო თქუენ, ვერარაჲ მომიგოთ მე გინა განმიტეოთ[1].

69. (F 107v) ამიერითგან იყოს ძჱ კაცისაჲ მჯდომარჱ[2] მარჯუენით ძლიერებასა[3] ღმრთისასა.

70. და ჰრქუეს მას ყოველთა: შენ უკუე ხარ ძჱ ღმრთისაჲ? ჰრქუა მათ იესუ: თქუენ იტყჳთ, ვითარმედ მე ვარ.

71. და მათ თქუეს: რაჲსაღა გჳჴმს მოწამჱ[4]? რამეთუ ჩუენ თჳთ გუესმის პირისაგან მისისა.

HIK

68. და უკუეთუ გკითხო თქუენ, ვერაჲვე მომიგოთ მე გინა განმიტეოთ.

69. ამიერითგან იყოს ძე კაცისაჲ მჯდომარე მარჯუენით[1] ძლიერებასა ღმრთისასა.

70. და ჰრქუეს მას ყოველთა: შენ უკუე[2] ხარა ძე ღმრთისაჲ? ჰრქუა მათ იესუ: თქუენ იტყჳთ, ვითარმედ მე ვარ.

71. და მათ თქუეს: რაჲსაღა გჳჴმან მოწამენი? რამეთუ ჩუენ თჳთ გუესმის[3] (I 202v) პირისაგან მაგისასა.

# 23

FG

1. და აღდგა ყოველი იგი სიმრავლე მათი[5] და მოიყვანნეს იგი პილატესა.

2. (G 213r) და იწყეს შესმენად მისა და იტყოდეს: ესე ვპოვეთ[6], რამეთუ გარდააქცევდა ნათესავსა ჩუენსა და აყენებდა ხარკსაცა მიცემად კეისრისა და იტყოდა თავსა თჳსსა ქრისტედ და[7] მეუფე[8] ყოფად.

3. და ჰკითხა მას პილატე და ჰრქუა: შენ ხარა მეუფჱ ჰურიათაჲ? ხოლო თავადმან ჰრქუა მას[9]: შენ იტყჳ.

4. ხოლო პილატე ჰრქუა მღდელთ-მოძღუართა და ერსა მას: არარას ბრალსა ვჰპოვებ[10] კაცისა ამის თანა.

5. ხოლო იგინი უფროჲს განძლიეერდებოდეს[11] და იტყოდეს, ვითარმედ: ალაშფოთებს ერსა და ასწავებს ყოველსა ჰურიასტანსა, უწყიეს გალილეაჲთ ვიდრე აქამომდე.

6. ხოლო პილატეს რაჲ ესმა „გალილეაჲთ“, ჰკითხა მათ: უკუეთუ გალილეაჲთ არს კაცი ესე?

7. და გულისხ(F 108r)მა-ყო[12], (G 213v) რამეთუ ჴელმწიფებისაგან ჰეროდესისა არს; მიუძლუანა იგი ჰეროდეს,

HIK

1. და აღდგა ყოველი იგი სიმრავლე მათი და მოიყვანნეს იგი პილატესა[4].

2. და იწყეს შესმენად (H 202v) მისა[5] და იტყოდეს: ესე ვპოეთ, რამეთუ გარდააქცევდა ნათესავსა ჩუენსა და აყენებდა ხარკსაცა მიცემად კეისრისა და იტყოდა თავსა თჳსსა ქრისტედ და მეუფე ყოფად.

3. და ჰკითხა მას პილატე და ჰრქუა: შენ ხარა მეუფე ჰურიათაჲ? (K 214r) ხოლო თავადმან ჰრქუა მას: შენ იტყჳ.

4. ხოლო პილატე ჰრქუა მღდელთ-მოძღუართა და ერსა მას: არარას ბრალსა ვჰპოებ კაცისა ამის თანა.

5. ხოლო იგინი უფროჲს განძლიერდებოდეს და იტყოდეს, ვითარმედ: ალაშფოთებს ერსა და ასწავებს ყოველსა ჰურიასტანსა, უწყიეს გალილეაჲთ ვიდრე აქამომდე.

6. ხოლო პილატეს რაჲ ესმა გალილეაჲ, ჰკითხა მათ: უკუეთუ გალილეაჲთ არს კაცი ესე?

7. და გულისჴმა-ყო, რამეთუ ჴელმწიფებისაგან ჰეროდესისა არს; მიუძლუანა იგი ჰეროდეს, რამეთუ იყო

---

[1] ~ გინა განმიტეოთ მე F. აქ „მე“ მერმეა დამატებული. [2] მჯდომარე F. [3] ძრიელებათა F, ძრიელებასა G. [4] მოწამე F. [5] მათი] + და შეკრბა G. [6] ვპოეთ F. [7] და] — F. [8] მეუფჱ F [9] მას] — F. [10] ვჰპოებ F. [11] განძრიელდებოდეს FG. [12] გულისჴმა-ყო F.

[1] მარჯუჱნით H. [2] უკუჱ HIK. [3] გუჱსმის HI. [4] პილატესსა K. [5] მისსა K.

**FG**

რამეთუ იყო იგიცა მაშინ იერუსალჱმს მათ დღეთა შინა.

8. ხოლო ჰეროდე ვითარცა იხილა იესუ, განიხარა ფრიად, რამეთუ უნდა მისი ხილვაჲ მრავლით ჟამითგან ამისთჳს, რამეთუ ესმოდა მისთჳს და სწადოდა ხილვად რაჲსამე სასწაულისა ყოფასა მისგან.

9. და ჰკითხვიდა მას სიტყჳთა მრავლითა, ხოლო თავადმან არარაჲ მიუგო მას.

10. დგეს მღდელთ-მოძღუარნი იგი და მწიგნობარნი და განკრძალულად შეასმენდეს მას.

11. ხოლო ჰეროდე შეურაცხ-ყო იგი და ერმან მისმან, და განკიცხეს იგი და შეჰმოსეს მას სამოსელი[1] ბრწყინვალჱ[2], და მიუძღუანა იგი პილატეს.

12. და იქმნნეს[3] მეგობარ პილატე[4] და ჰეროდე ურთი(G 214r)ერთას[5] მას დღესა შინა, რამეთუ პირველად მტერ იყვნეს იგინი.

13. ხოლო პილატე[4] მოუწოდა მღდელთ-მოძღუართა მათ და მთავართა და ერსა მას[6]

14. და ჰრქუა მათ: მომგუარეთ მე კაცი ესე, ვითარცა გარდამაქცეველი ერისაჲ, და მე წინაშე თქუენსა განვიკითხე და არარაჲ (F 168v) ვპოვე[7] კაცისა ამის თანა, რასა-იგი შეასმენთ მას.

15. არცა ჰეროდე, რამეთუ მიუძღუანე მას, და არარაჲ ღირსი სიკუდილისაჲ საქმჱ[8] არს მის თანა.

16. ესწაველო იგი და განუტეო.

17. რამეთუ უნებელად ედებოდა მას განტევებად დღესასწაულსა[9] მას ერთი.

18. ღაღად-ყვეს[10] ყოველმან მან სიმრავლემან და იტყოდეს: აღიღე ეგე და მომიტევე[11] ჩუენ ბარაბა,

**HIK**

იგიცა მაშინ იერუსალჱმს მათ დღეთა შინა.

8. ხოლო ჰეროდე ვითარცა იხილა იესუ, განი(I 203r)ხარა ფრიად, რამეთუ უნდა მისი ხილვაჲ მრავლით ჟამითგან ამისთჳს, რამეთუ ესმოდა მისთჳს და სწადოდა ხი(H 203r)ლვად რაჲსამე სასწაულისა ყოფასა მისგან.

9. და ჰკითხვიდა მას სიტყჳთა მრავლითა, ხოლო თავად(K 214v)მან არარაჲ მიუგო მას.

10. დგეს მღდელთ-მოძღუარნი იგი და მწიგნობარნი და განკრძალულად შეასმენდეს მას.

11. ხოლო ჰეროდე შეურაცხ-ყო იგი და ერმან მისმან, და განკიცხეს იგი და შეჰმოსეს მას სამოსელი ბრწყინვალე და მიუძღუანეს პილატეს.

12. და იქმნნეს[1] მეგობარ პილატე და ჰეროდე ურთიერთას მას დღესა შინა, რამეთუ პირველ მტერ იყვნეს იგინი.

13. ხოლო პილატე მოუწოდა მღდელთ-მოძღუართა მათ და მთავართა და ერსა მას

14. და ჰრქუა მათ: მომგუარეთ მე კაცი ესე, ვითარცა გარდამაქცეველი ერისაჲ, და მე წინაშე თქუენსა განვიკითხე და არარაჲ ვპოე ბრალი კაცისა ამის თანა, რასა-იგი შეასმენდით მას.

15. და არცა ჰეროდე, რამეთუ მიუძღუანე მას, და (I 208v) აჰა არარაჲ ღირსი სიკუდილისაჲ საქმე არს მის თანა.

16. ვსწაველო იგი და განუტევო[2].

17. რამეთუ უნებელად ედებოდა (H 203v) მას განტევებად დღესასწაულსა მას[3] ერთი.

18. ღაღატ-ყვეს ყოველმან მან სიმრავლემან და იტყოდეს: აღიღე ეგე და მოგჳტევე ჩუენ ბარაბა,

---

[1] სამუსელი F. [2] ბრწყინვალე F. [3] იქმნეს F. [4] პილატჱ F. [5] ურთიერთარს F. [6] ამას F. [7] ვპოე F. [8] საქმე F. [9] დღჱსასწაულსა G. [10] ღაღატ-ყვეს F. [11] მოგჳტევე G.

[1] იქმნეს HI. [2] განუტეო K. [3] მას] — K.

FG

19. რომელი შფოთისა ყოფასა ქალაქსა შინა და კაცის-კლვისათჳს[1] შეგდებულ იყო საპყრობილესა.

20. (G 214v) კუალად მოუწოდა მათ პილატე[2], რამეთუ უნდა განტევებაჲ იესუჲსი[3].

21. ხოლო იგინი ღაღადებდეს და იტყოდეს: ჯუარს-აცუ ეგე[4]!

22. ხოლო მან მესამედ ჰრქუა მათ: რაჲ ბოროტი უქმნიეს ამას? არარაჲ ბრალი სიკუდილისაჲ ვპოვე[5] ამის თანა. ვსწავლო ეგე და განუტეო.

23. ხოლო იგინი ზედა დაესხმოდეს ჴმითა დიდითა და გამოითხოვდეს მას ჯუარ-ცუმად. და განძლიერდებოდეს[6] ჴმანი მათნი და მღდელთ-მოძღუართანი.

24. მაშინ პილატე საჯა თხოვისაებრ[7] მათისა

25. და მიუტევა მათ ბარაბა, რომელ-იგი[8] შფოთისათჳს და კაცის-კლვისა შეგდებულ იყო საპყრობილესა, რომელსა-ცა ითხოვდეს[9], ხოლო იესუ მისცა ნებასა მათსა.

26. (F 160r) და ვითარცა წარიყვანეს იგი, შეიპყრეს სიმონ ვინმე კჳრინელი, მომავალი ველით, და დასდვეს მას ჯუარი იგი, და მიაქუნდა შემდგომად იესუჲსა[10].

27. და შეუდგა მას სიმ(G 215r)რავლჱ[11] ერისაჲ და დედებისაჲ, რომელნი ეტყებდეს მას.

28. მიექცა მათ იესუ და ეტყოდა: ასულნო იერუსალჱმისანო[12], ნუ სტირთ ჩემ ზედა, არამედ თავთა თქუენთა[13] სტიროდეთ და შვილთა თქუენთა,

29. რამეთუ მოვლენან დღენი[14], რომელთა შინა თქუან: ნეტარ არიან ბერწნი და მუცელნი[15], რომელთა არა შვნეს[16], და ძუძუნი[17], რომელთა არა განზარდნეს.

HIK

19. რომელი შფოთისა ყოფასა ქალაქსა შინა და კაცის-კლვისათჳს შეგდებულ იყო საპყრობილესა.

20. კუალად უკუე[1] მოუწოდა მათ პილატე რამეთუ უნდა გან(K 215r)ტევებაჲ იესუჲსი.

21. ხოლო იგინი ღაღადებდეს და იტყოდეს: ჯუარს-აცუ, ჯუარს-აცუ ეგე!

22. ხოლო მან მესამედ ჰრქუა მათ: რაჲ ბოროტი უქმნიეს ამას? არარაჲ ბრალი სიკუდილისაჲ ვპოე ამის თანა. ვსწავლო ეგე და განუტევო.

23. ხოლო იგინი ზედა დაესხმოდეს ჴმითა დიდითა და გამოითხოვდეს მას ჯუარ-ცუმად. და განძლიერდებოდეს ჴმანი მათნი და მღდელთ-მოძღუართანი.

24. მაშინ პილატე საჯა თხოვისაებრ მათისა

25. და მიუტევა მათ ბარაბა, რომელი-იგი შფოთისათჳს და კაცის-კლვისა შეგ(I 204r)დებულ იყო საპყრობილესა, რომელსაცა ითხოვდეს, ხოლო იესუ მისცა ნებასა მათსა.

26. და ვითარცა წარიყვანეს იგი, შეიპყრეს სიმონ ვინმე კჳრინელი, (H 204r) მომავალი ველით, და დასდვეს მას ზედა ჯუარი იგი, და მიაქუნდა შემდგომად იესუჲსა[2].

27. და შეუდგა მას სიმრავლე ერისაჲ და დედებისაჲ, რომელნი ეტყებდეს და სტიროდეს მას.

28. (K 215v) მიექცა მათ იესუ და ეტყოდა: ასულნო იერუსალჱმისანო[3], ნუ სტირთ ჩემ ზედა, არამედ თავთა თქუენთა სტიროდეთ და შვილთა თქუენთა[4],

29. რამეთუ აჰა ესერა მოვლენან დღენი, რომელთა შინა თქუან: ნეტარ არიან ბერწნი და მუცელნი, რომელთა არა შვნეს, და ძუძუნი, რომელთა არა განზარდნეს.

---

[1] კაცის-კლვისა F. [2] ~ პილატე მოუწოდა მათ F. [3] ი¯ჳსი F. [4] ჯ¯რს-ცუ F. [5] ვპოე F. [6] განძრიელდებოდეს FG. [7] თხოისაებრ F. [8] რომელო-იგი G. [9] რომელსაცა ითხოვდეს] — G. [10] ი¯ჳსა F. [11] სიმრავლე F. [12] ი´ჱმისნო F. [13] თქუენთა] + ზედა F. [14] დღჱნი G. [15] მუცელი F. [16] შობნეს (!) F. [17] ძუძუთა F.

[1] უკუჱ HIK. [2] იესუჲსსა K. [3] ი´ჱლიმისანო HI, ი´ჱლმისანო K. [4] თქუენთა] + ზედა K.

FG

30. მაშინ იწყონ სიტყუად მთათა: დამეცენით ჩუენ ზედა! და ბორცუთა[1]: დამფარენით ჩუენ!

31. უკუეთუ ნედლსა ხესა[2] ესრეთ უყოფენ, ჴმელსა მას[3] რაჲ-მე ეყოს?

32. მაშინ[4] მოჰყვანდეს სხუანიცა ორნი ძჳრის-მოქმედნი მოკლვად მის თანა.

33. და ვითარცა მოჰყვანდეს ადგილსა მას, რომელსა ჰრქჳან[5] თხემისა ადგილი, მუნ ჯუარს-აცუეს იგი და ძჳრის-მოქმედნი იგი მის თანა, (G 215ⴁ) რომელიმე მარჯუენით და რომელიმე მარცხენით მისა[6] ჯუარს-აცუნეს.

34. ხოლო იესუ იტყოდა: მიუტევენ ამათ[7], მამაო, რემთუ არა იციან, რასა[8] იქმან. ხოლო გან-რაჲ-იყვეს სამო(F 169ⴁ)სელი[9] მისი, და განიგდეს წილი.

35. და დგა ერი იგი და ჰხედვიდა[10], შეურაცხ-ჰყოფდეს მას მთავარნიცა იგი მათ თანა და ეტყოდეს: სხუანი აცხოვენნა[11], იცხოვნენ თავიცა თჳსი, უკუეთუ ეგე არს ქრისტჱ, რჩეული ღმრთისაჲ.

36. ემღერდეს მას ერისა-კაცნიცა იგი, მოუჴდიან მას და ძმარი მოართკან

37. და ეტყჳედ: შენ თუ ხარ მეუფჱ ჰურიათაჲ, იჴსენ თავი შენი.

38. ხოლო იგი დაწერილიცა, რომელი წერილ იყო მას ზედა წიგნითა ბერძულითა და ჰრომაელებრითა[12] და ებრაელებრითა, ვითარმედ: მეუფჱ ჰურიათაჲ არს ესე.

39. ხოლო ერთი იგი დამოკიდებულთაგანი (G 216ⴀ) ძჳრის-მოქმედი ჰგმობდა მას და ეტყოდა: შენ თუ ხარ ქრისტჱ, იჴსენ თავი შენი და ჩუენცა.

40. მიუგო ერთმან მან[13] მოყუასმან, შეჰრისხნა მას და ეტყოდა: არცაღა გე-

HIK

30. მაშინ იწყონ სიტყუად მთათა: დამეცენით ჩუენ ზედა! და ბორცუთა: დამფარენით ჩუენ!

31. რამეთუ უკუეთუ ნედლსა ხესა ესრეთ უყოფენ, ჴმელსა მას რაჲ-მე ეყოს?

32. მაშინ მოჰყვანდეს სხუანიცა ორნი ძჳრის-მოქმედნი მოკლვად მის თანა.

33. და ვითარცა მოჰყვანდეს (I 204ⴁ) ადგილსა მას, რომელსა ჰრქჳან თხემისა ადგილი, და მუნ ჯუარს-აცუეს[1] იგი და ძჳრის-მოქმედნიცა იგი მის თანა, რომელიმე მარჯუენით და რომელიმე მარცხენით მისა[2] ჯუარს-აცუნეს.

34. (H 204ⴁ, K 216ⴀ) ხოლო იესუ იტყოდა: მამაო, მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან. ხოლო[3] გან-რაჲ-იყოფდეს სამოსელსა მისსა, განიგდეს წილი.

35. და დგა ერი იგი და ხედვიდა. ხოლო შეურაცხ-ჰყოფდეს მას მთავარნიცა იგი მათ თანა და იტყოდეს: სხუანი აცხოვნნა, იცხოვნენ თავიცა თჳსი, უკუეთუ ეგე არს ქრისტე, რჩეული ღმრთისაჲ.

36. ემღერდეს მას ერის-კაცნიცა იგი, მოუჴდიან მას და ძმარი მოართჳან.

37. და ეტყჳედ: შენ თუ ხარ მეუფე ჰურიათაჲ, იჴსენ თავი შენი.

38. ხოლო იყო ზედაწერილიცა, რომელი დაწერილ იყო მას ზედა წიგნითა ბერძულითა და ჰრომაელებრითა და ებრაელებრითა, ვითარმედ: ესე არს იესუ, მეუფჱ[4] ჰურიათაჲ.

39. ხოლო ერთი იგი დამოკიდებულთაგანი ძჳრის-მოქმედი ჰგმობდა მას და ეტყოდა: შენ თუ ხარ ქრისტე, იჴსენ თავი (I 206ⴀ) შენი და ჩუენცა[5].

40. მიუგო ერთმან მან მოყუასმან, შეჰრისხნა მას და ეტყოდა: არცაღა გე-

---

[1] ბორცჳთ F. [2] ხჱსა G. [3] ჴმელსა მას] ჴმელსა-მე F. [4] მაშინ] — F. [5] ჰქჳან F. [6] მისსა G. [7] მათ F. [8] რასასა F. [9] სამჳსელი F. [10] ხედვიდა G. [11] აცხოვნა F. [12] ჰრომაებრითა G. [13] მან] — F.

[1] ჯუარს-აცუჳს H. [2] მისსა K. [3] ხოლო] — I. [4] მეუფე H. [5] ჩუჱნცა HI.

| FG | HIK |
|---|---|
| შინის შენ ღმრთისა, რამეთუ მასვე საშჯელსა შინა ხარ. | შინის შენ ღმრთისა, რამეთუ მასვე სასჯელსა[1] შინა ხარ? |
| 41. რამეთუ[1] ჩუენ სამართლად ღირსი, რომელი ვქმენით, მოგუეგების[2], ხოლო ამან არარაჲ უჯეროჲ[3] ქმნა. | 41. და ჩუენ სამართლად ღი(H 205ო)რსი, რომელი ვქმენით, მოგუეგების[2], ხოლო ამან არარაჲ უჯეროჲ ქმნა. |
| 42. და ეტყოდა[4] იესუს[5]: მომიჴსენე[6] მე, ოდეს მოხჳდე სუფევითა[7] შენითა. | 42. და ეტყოდა იესუს: მომიჴსენე მე, უფალო, ოდეს მოხჳდე სუფევითა შენითა. |
| 43. ხოლო იესუ ჰრქუა მას: ამენ გეტყჳ შენ: დღეს ჩემ თანა იყო სამოთხესა. | 43. ხოლო იესუ ჰრქუა მას: ამენ გეტყჳ შენ: დღეს ჩემ თანა იყო სამოთხესა. |
| 44. და იყო ჟამი მეექუსე[8], და (F 170ო) ბნელი იყო ყოველსა ქუეყანასა ვიდრე მეცხრედ ჟამადმდე[9]. | 44. (K 216ψ) და იყო ჟამი მეექუსე, და ბნელი იყო ყოველსა ქუეყანასა ვიდრე მეცხრედ ჟამადმდე. |
| 45. და დაბნელდა მზჱ, და განიპო კრეტსაბმელიცა[10] ტაძრისაჲ მის შორის. | 45. და დაბნელდა მზე, და განიპო კრეტსაბმელი ტაძრისაჲ მის შორის. |
| 46. და ჴმა-ყო ჴმითა დიდითა იესუ და თქუა: მამაო, ჴელთა შენთა შევჰვედ(G 210ψ)რებ სულსა ჩემსა. და განუტევა სული. | 46. და ჴმა-ყო ჴმითა დიდითა იესუ და თქუა: მამაო, ჴელთა შენთა შევჰვედრებ სულსა ჩემსა. და ესე რაჲ თქუა, განუტევა სული. |
| 47. და ვითარცა იხილა ასისთავმან მან საქმე ესე, ადიდებდა ღმერთსა და იტყოდა: ჭეშმარიტად კაცი ესე მართალი იყო. | 47. და ვითარცა იხილა ასისთავმან მან საქმე ესე, ადიდებდა ღმერთსა და იტყოდა: ჭეშმარიტად კაცი ესე მართალი იყო. |
| 48. და ყოველნი მათ თანა მოსრულნი და რომელთა იხილეს ხილვაჲ ესე და საქმჱ[11], იცემდეს მკერდსა მათსა და წარვიდოდეს. | 48. და ყოველნი მათ თანა მოსრულნი და რომელთა იხილეს ხილვაჲ ესე და საქმენი ესე, იცემდეს მკერდსა მათსა და წარვიდოდეს. |
| 49. და დგეს ყოველნი მეცნიერნი მისნი შორით; და დედანი, რომელნი მოსრულ იყვნეს[12] გალილეაჲთ, ჰხედვიდეს[13] მას. | 49. (I 205ψ) და დგეს ყოველნი მეცნიერნი მისნი შორით; და დედანი, რომელნი შეუდგეს მას გალილეაჲთ, და[3] ხედვიდეს მას. |
| 50. და აჰა ესერა კაცი, სახელით იოსებ, მზრახვალი, იყო კაცი სახიერი და მართალი; | 50. და აჰა ესერა კაცი, სახელით იოსებ, მზრახვალი, იყო (H 205ψ) კაცი სახიერი და მართალი; |
| 51. ესე არა შერთულ[14] იყო ზრახვასა და საქმესა[15] მათსა[16]. იყო იგი არიმათიაჲთ, ქალაქისაგან ჰურიათაჲსა, რომელ-იგი- | 51. ესე არა თანა-შერთულ იყო ზრახვასა მათსა და საქმესა. იყო იგი არიმათიაჲთ, ქალაქისაგან[4] ჰურიათაჲსა[5], რო- |

---

[1] რამეთუ] ხოლო F. [2] მოგუეგებების F. [3] უჯეროჲ] უშჯულოჲ G. [4] იტყოდა F. [5] იესუს] — F. [6] მე] + იესუ F. [7] სუფჱვითა G. [8] მეექუსე] მესამე FG. [9] ჟამამდე F. [10] კრეტსაბმელიცა G. [11] საქმე F. [12] მოსრულ იყვნეს] მოსდევდეს G. [13] ხედვიდეს G. [14] შერთულ] თანა G. [15] საქმჱსა G. [16] ... მათსა და საქმჱსა G.

[1] საშჯელსა HI. [2] მოგუჱგების HI. [3] და] — HI. [4] ქალაქისა HIK. [5] ჰურიათაჲსაჲ K („...არიმათიაჲთ, ქალაქისა ჰურიათაჲსაჲ" მაინც არ ვარგა).

**FG**

ცა მოელოდა სასუფეველსა ღმრთისასა.

52. ესე წარდგა წინაშე[1] პილატესა და მოითხოვნა ჴორცნი იესუჲსნი[2]

53. და გარდამოიხუნა და წარგრაგნა არდაგსა და დადვა გამოკუეთილსა მას სამარესა, რომელსა[3] არავინ დადებული იყო.

54. (F 170ⴅ/) და დღჱ[4] იგი იყო პარასკევი, შაბათად განთენებოდა[5].

55. შეუდგეს მას დედანიცა, რომელნი მის თანა მოსრულ იყვნეს გალილეაჲთ, და იხილეს საფლავი იგი და ვითარ დასდებდეს გუამსა მისსა.

56. და წარვიდეს და[6] დაჰმზადეს[7] სურნელი[8] ნელსაცხებელი და შაბათი იგი[9] და-ლა-იდუმეს მცნებისა მისთჳს.

**HIK**

მელი-იგიცა მოელოდა სასუფეველსა ღმრთისასა.

52. ესე მივიდა პილატესა[1] და მოითხოვა გუამი იგი იესუჲსი

53. და გარდამოჰჴსნა იგი და შეჰმოსა მას არდაგი და დადვა იგი საფლავსა გა(K 217ⴐ)მოკუეთილსა[2] კლდისაგან, სადა არავინ დადებულ იყო.

54. და დღე იგი იყო პარასკევი, შაბათად განთენდებოდა.

55. შეუდგეს მას დედანიცა, რომელნი მის თანა მოსრულ იყვნეს გალილეაჲთ, და იხილეს საფლავი და ვითარ დასდებდეს გუამსა მისსა.

56. და წარვიდეს და მოჰმზადეს[3] საკუმეველი სულნელი[4] და ნელსაცხებელი და შაბათი იგი და-ლა-იდუმეს მცნებისა მისთჳს.

## 24

**FG**

1. ხოლო ერთსა მას შაბათსა, ცისკარსა მსთუად მოვიდეს საფლავსა მას და მოაქუნდა, რაჲ-იგი მოემზადა სურნელები[10], და სხუანი ვინმე მათ თანა.

2. და პოვეს[11] ლოდი იგი გარდაგორვებული საფლავისა მისგან.

3. და[6] შე-რაჲ-ვიდეს შინა, (G 217ⴅ/) არა პოვეს[11] გუამი იგი უფლისა იესუჲსი[12].

4. და იყო განზრახვასა მას მათსა ამისთჳს, და აჰა ესერა ორ კაც ზედა მოადგეს მათ სამოსლითა ბრწყინვალითა[13].

5. და ვითარ შეშინებულ იყვნეს იგინი და დაედრიკნეს პირნი მათნი ქუეყა-

**HIK**

1. (I 208ⴐ) ხოლო ერთსა მას შაბათსა, ცისკარსა მსთუად მოვიდეს საფლავსა მას და მოაქუნდა, რაჲ-იგი მოემზადა სულნელი[4] და ნელსაცხებელი, და სხუანი ვინმე მათ თანა.

2. (H 208ⴐ) და პოვეს ლოდი იგი გარდაგორვებული სა(K 217ⴅ/)ფლავისა მისგან.

3. და შე-რაჲ-ვიდეს შინა, არა პოვეს გუამი იგი[5] უფლისა იესუჲსი.

4. და იყო განზრახვასა მას მათსა ამისთჳს, და აჰა ესერა ორ კაც ზედა მოადგეს მათ სამოსლითა ელვარითა.

5. და ვითარ შეშინებულ იყვნეს იგინი და დაედრიკნეს პირნი მათნი ქუეყა-

---

[1] წარდგა წინაშე] მივიდა G. [2] მოითხოვა გუამი იესუჲსი G (...ი¯ჳსნი F). [3] და გარდამოიხუნა... რომელსა] და გარდამოჰჴსნა იგი და შეჰმ(G 217ⴐ)ოსა მას არდაგი და დადვა იგი საფლავსა გამოკუეთილსა კლდისაგან, სადა G. [4] დღე G. [5] განთენდებოდა F. [6] და] — F. [7] დაიმზადეს F. [8] სურნელი] საკუმეველი და G. [9] იგი] — F. [10] სურნელები] საკუმეველი და ნელსაცხებელი G. [11] პოეს F. [12] ჲ¯ჳსი (!) F. [13] ბრწყინვალითა] ელვარითა G.

[1] პილატესსა K. [2] გამოკუეთილსა HI. [3] მომზადეს HI (= მოჰმზადეს). [4] სურნელი K. [5] იგი] — K.

FG

ნად, ჰრქუეს მათ[1]: რაჲსა ეძიებთ ცხოველსა მას მკუდართა თანა?

6. არა არს აქა, არამედ აღდგა. მოიჴსენეთ, ვითარ-იგი გეტყოდა თქუენ, ვიდრე იყოღა იგი გალილეას,

7. და თქუა, რამეთუ: ჯერ-არს ძისა კაცისა[2] (F 171r) მიცემად ჴელთა კაცთა ცოდვილთასა და ჯუარ-ცუმად და მესამესა დღესა აღდგომად.

8. და მოეჴსენნეს სიტყუანი ესე.

9. დ მიიქცეს და უთხრნეს სიტყუანი ესე ათერთმეტთა მათ და სხუათა ყოველთა.

10. ხოლო იყვნეს მაგდანელი[3] მარიამ და იოჰანა და (G 218r) მარიამ იაკობისი და სხუანი ვინმე[4] მათ თანა, უთხრობდეს მოციქულთა ამას.

11. და უჩნდეს სიტყუანი მათნი, ვითარცა სიჩქურისანი, მათ წინაშე და არა ჰრწმენა მათი.

12. ხოლო პეტრე აღდგა და მირბიოდა საფლავად და[5] შთახედნა[6] საფლავსა მას[7] და იხილნა ტილონი იგი ხოლო[8] მდებარენი და წარვიდა თჳსაგან და დაუკჳრდა საქმე ესე.

13. და აჰა ორნი მათგანნი მივიდოდეს[9] მასვე დღესა შინა დაბასა, რომელი შორავს იერუსალჱმსა ას სამეოც უტევან, რომლისა სახელი ევმაოს[10].

14. და ესენი ზრახვიდეს ურთიერთას ყოვლისა მისთჳს, რომელი იქმნა.

15. და იყო ზრახვასა მას მათსა და გამოძიებასა, და თავადი იესუ მიეახლა მათ და თანა-უვიდოდა.

16. ხოლო თუალნი მათნი შეპყრობილ იყვნეს, რაჲთა ვერ იცნან იგი.

17. (G 218v) და ჰრქუა მათ: რაჲ არიან (F 171v) *სიტყუანი ეგე, რომელ-

HIK

ნად, ჰრქუეს მათ: რაჲსა ეძიებთ ცხოველსა მას მკუდართა თანა?

6. არა არს აქა, არამედ აღდგა. მოიჴსენეთ, ვითარ-იგი გეტყოდა თქუენ, ვიდრე იყოღა იგი გალილეას,

7. და თქუა, ვითარმედ: ჯერ-არს ძისა კაცისაჲ მიცემად ჴელთა კაცთა ცოდვილთასა და ჯუარ-ცუმად და მესამესა დღესა აღდგომად.

8. და მოეჴსენნეს სიტყუანი მისნი.

9. და მიიქცეს საფლავით და უთხრეს ესე ყოველი ათერთმეტთა (I 206v) მათ და სხუათა ყოველთა.

10. ხოლო იყვნეს მაგდალენელი[1] მარიამ და იოანნა და მარიამ იაკობისი და სხუანი მათ თანა, რომელნი (K 218r) უთხრობდეს მოციქულთა ამას.

11. და უჩნდეს სიტყუანი მათნი, ვითარცა სიჩქურისანი, მათ წინაშე (H 206v) და არა ჰრწმენა მათი.

12. ხოლო პეტრე აღდგა და მირბიოდა საფლავად და შთახედნა საფლავსა მას და იხილნა ტილონი იგი ხოლო მდებარენი და წარვიდა თჳსაგან და დაუკჳრდა[2] საქმე ესე.

13. და აჰა ორნი მათგანნი მოვიდოდეს მასვე დღესა შინა დაბასა. რომელი შორავს იერუსალჱმსა სამეოც უტევან, რომლისა სახელი ემმაოს[3].

14. და ესენი ზრახვიდეს ურთიერთას ყოვლისა ამისთჳს, რომელი იქმნა.

15. და იყო ზრახვასა მას მათსა და გამოძიებასა, და თავადი იესუ მიეახლა მათ და თანა-უვიდოდა.

16. ხოლო თუალნი მათნი შეპყრობილ იყვნეს, რაჲთა ვერ იცნან იგი.

17. და ჰრქუა მათ: რაჲ არიან სიტყუანი ესე. რომელთა იცილობით ურ-

---

[1] მას F. [2] კაცისაჲ G. [3] მაგდალენელი G. [4] ვინმე] — G. [5] და] — F. [6] შთახედა G. [7] საფლავსა მას] — F. [8] ხოლო] — F. [9] მივიდეს F. [10] იმმაოს G.

* აქედან ვიდრე ლუკას თავის ბოლომდე F ხელნაწერი (2 ფურცელი) გადაწერილია სხვა ხელით — წვრილი, ლამაზი ნუსხურით. ენა და ორთოგრაფია ისეთია, როგორიც წინა, მთავრულად ნაწერისა.

[1] მაღდანელი K. [2] უკჳრდა HI. [3] ემმაოჲ HI.

FG

თა იცილობით ურთიერთას სლვასა შინა და ხართ თქუენ მწუხარე[1]?

18. მიუგო ერთმან მათგანმან[2], რომლისაჲ სახელი კლეოპა, და ჰრქუა მას: შენ ხოლო მწირ ხარ იერუსალჱმს და არა უწყი რაჲ-ესე იქმნა მას შინა ამათ დღეთა?

19. და მან ჰრქუა მათ: რომელი? ხოლო მათ ჰრქუეს მას[3]: იესუჲსთჳს[4] ნაზარეველისა, რომელი იყო კაცი წინაწარმეტყუელი[5], ძლიერი[6] საქმითა და სიტყჳთა მისითა წინაშე ღმრთისა და ყოვლისა ერისა;

20. ვითარ-იგი მისცეს მღდელთ-მოძღუართა და მთავართა ჩუენთა საშჯელსა სიკუდილისასა და ჯუარს-აცუეს იგი.

21. ხოლო ჩუენ ვესავთ, ვითარმედ იგი არს, რომელმან იჴსნეს[7] ისრაჱლი; და ამას ყოველსა თანა ესე[8] მესამე დღჱ[9] მოვალს, ვინაჲთგან ესე იქმნა.

22. არამედ დედათაცა ვიეთმე ჩუენგანთა დამაკჳრვეს ჩუენ, ვითარ მივიდეს იგინი ცისკარსა საფლავსა მას.

23. და არა პოვეს (G 219r) გუამი იგი მისი. მოვიდეს და თქუეს, ვითარმედ ხილვაჲცა[10] ანგელოზთაჲ იხილეს, რომელთა ჰრქუეს მათ, ვითარმედ: ცხოველ არს იგი.

24. და მი-ვინმე-ვიდეს ჩუენგანნი საფლავად და პოვეს[11] ეგრე, ვითარცა დედათა მათ[12] თქუეს, ხოლო იგი თავ(F 172r)ადი ვერ იხილეს.

25. ხოლო მან ჰრქუა მათ: ჵ უცნობელნო და მძიმენო[13] გულითა სარწმუნოებისათჳს ყოველსა ზედა[14], რომელსა იტყოდეს წინაწარმეტყუელნი!

26. ანუ არა ესრეთ ჯერ-იყო ვნებად ქრისტესა და შესლვად დიდებასა თჳსსა[15]?

HIK

თიერთას სლვასა შინა და ხართ თქუენ მწუხარე?

18. მიუგო ერთმან მათგანმან, რომლისა სახელი კლეოპა, და ჰრქუა მას: (I 207r) შენ ხოლო მწირ ხარ იერუსალჱმს[1] და არა სცანა, რაჲ-ესე იქმნა მას (K 218v) შინა ამათ დღეთა?

19. და მან ჰრქუა მათ: რომელი? ხოლო მათ ჰრქუეს: იესუჲსთჳს[2] ნაზარეველისა, რომელი იყო კაცი წინაწარმეტყუელი, ძლიერი საქმითა და (H 207r) სიტყჳთა მისითა წინაშე ღმრთისა და ყოვლისა ერისა;

20. ვითარ-იგი მისცეს მღდელთ-მოძღუართა და მთავართა ჩუენთა სასჯელსა[3] სიკუდილისასა და ჯუარს-აცუეს[4] იგი.

21. ხოლო ჩუენ ვესავთ, ვითარმედ იგი არს, რომელმან იჴსნეს ისრაჱლი[5]; და ამას ყოველსა თანა ესე მესამე დღე არს, ვინაჲთგან ესე იქმნა.

22. არამედ დედათაცა ვიეთმე ჩუენგანთა დამაკჳრვნეს ჩუენ, ვითარ-იგი მივიდეს ცისკარსა საფლავსა მას

23. და არა პოვეს[6] გუამი მისი. მოვიდეს და თქუეს[7], ვითარმედ ხილვაჲცა ანგელოზთაჲ იხილეს, რომელთა ჰრქუეს[8] მათ, ვითარმედ: ცხოველ არს იგი.

24. და მი-ვინმე-ვიდეს ჩუენგანნიცა საფლავად და პოვეს ეგრე, ვითარცა დედათა მათ თქუეს, ხოლო იგი თავადი ვერ იხილეს.

25. ხოლო მან ჰრქუა მათ: ჵ უცნობელნო და მძიმენო გულითა სარწმუნოებ(I 207v)ისათჳს ყოველსა ზედა, რომელსა იტყოდეს წინაწარმეტყუელნი!

26. ანუ არა ესრეთ ჯერ-იყო ვნებად ქრისტესა და შესლვად დიდებასა თჳსსა?

---

[1] მწუხარნი G. [2] მათგანმან] — G. [3] ჰრქუეს მას] თქუეს G. [4] იჳსთს G. [5] წინაწარმეტყუელ G. [6] ძლიერი F. ძლიერ G. [7] იჴსნა F. [8] ესე] — F. [9] დღე F. [10] ხილვაჲცა] + გამოჩინებაჲ G. [11] ჰპოვეს F. [12] მათ] — F. [13] და მძიმენო] დამძიმებულნო F. [14] ზედა] — F. [15] თჳსა F.

[1] ილჱმს HI. იერუსალჱმს K ([illegible]). [2] იესუჲს K. [3] საშჯელსა HI. [4] ჯუარს-აცუჱს HI. [5] ისრაჱლსა HI ([illegible]). [6] ჰპოვეს H. [7] თქუჱს I. [8] ჰქუჱს I.

| FG | HIK |
|---|---|
| 27. და იწყო მოსესითგან და წინაწარმეტყუელთა და[1] გამოუთარგმანებდა[2] მათ ყოველთაგან[3] წიგნთა მისთჳს. | 27. და იწყო მოსესითგან და წინაწარმეტყუელთა და გამოუთარგმანებდა მათ ყოველთაგან წიგნთა მისთჳს. |
| 28. და მიეახლნეს დაბასა მას, ვიდრეცა[4] მივიდოდეს. ხოლო თავადმან მიზეზ-ყო უშორესადრე[5] წარსლვაჲ. | 28. (H 207v) და მიეახლნეს დაბასა მას, ვიდრეცა ვიდოდეს. ხოლო თავადმან მიზეზ-ყო უშორესადრე წარსლვაჲ. |
| 29. ხოლო[6] იგინი აიძულებდეს[7] მას და ეტყოდეს: დაადგერ ჩუენ თანა, რამეთუ მწუხრ არს[8], და (G 219v) მიდრეკილ არს[9] დღჱ. და შევიდა დადგრომად მათ თანა. | 29. ხოლო იგინი აიძულებდეს მას და ეტყოდეს: დაადგერ ჩუენ თანა, რამეთუ მწუხრ არს, და მიდრეკილ არს დღე. და შე(K 210r)ვიდა დადგომად მათ თანა. |
| 30. და იყო ინაჴით-ჯდომასა მას მისსა მათ თანა მოიღო პური, აკურთხა და[1] განტეხა და მისცემდა მათ[10]. | 30. და იყო ინაჴით-ჯდომასა მას მისსა მათ თანა მოიღო პური, აკურთხა და განტეხა და მისცემდა მათ. |
| 31. ხოლო მათ[10] თუალნი მათნი განეხუნეს და იცნეს იგი. და თავადი მიეფარა მათგან. | 31. ხოლო მათ თუალნი მათნი განეხუნეს და იცნეს იგი. და თავადი მიეფარა მათგან. |
| 32. და იგინი იტყოდეს ურთიერთას[11]: ანუ არა გულნი ჩუენნი განჴურვებულ იყვნეს ჩუენ შორის, ვითარ-იგი მეტყოდა ჩუენ გზასა ზედა და ვითარ-იგი გამომითარგმანებდა ჩუენ[12] წიგნთაგან[13]? | 32. და იგინი იტყოდეს ურთიერთას: ანუ არა გულნი ჩუენნი განჴურვებულ იყვნეს ჩუენ შორის, ვითარ-იგი მეტყოდა ჩუენ გზასა ზედა და ვითარ-იგი გამომითარგმანებდა ჩუენ[1] წიგნთა? |
| 33. და აღდგეს მასვე ჟამსა შინა და მოიქცეს იერუსალჱმდ[14] და პოვნეს კრ(F 172v)ებულად ათერთმეტნი იგი და სხუანი მათთანანი, | 33. და აღდგეს მასვე ჟამსა შინა და მოიქცეს იერუსალჱმდ[2] და პოვნეს კრებულად ათერთმეტნი იგი და სხუანი მათთანანი, |
| 34. და იტყოდეს, ვითარმედ: ნანდვილვე აღდგა უფალი და ეჩუენა სიმონს. | 34. იტყოდეს რაჲ, ვითარმედ: ნანდჳლვე აღდგა (I 208r) უფალი და ეჩუენა[3] სიმონს. |
| 35. და იგინი უთხრობდეს გზისასა მას და ვითარ იგი გამოეცხადა მათ განტეხასა მას პურისასა. | 35. და იგინი[4] უთხრობდეს გზისასა მას და ვითარ იგი გამოეცხადა მათ განტეხასა მას[5] პურისასა. |
| 36. (G 220r) და ვითარ იგინი ამას იტყოდეს ოდენ, და თავადი იესუ დადგა შორის მათსა და ჰრქუა მათ: მშჳდობაჲ თქუენ თანა! მე ვარ, ნუ გეშინინ! | 36. და ვითარ იგინი ამას იტყოდეს ოდენ, და თავადი იესუ დადგა შორის მათსა და ჰრქუა მათ: მშჳდობაჲ თქუენ (H 208r) თანა! |
| 37. ხოლო იგინი შეძრწუნდეს და შეშინებულ იქმნეს[15], ეგონა, ვითარმედ საუცარ რაჲმე არს[16]. | 37. ხოლო იგინი შეძრწუნდეს და შეეშინა, ეგონა, (K 219v) ვითარმედ სული რაჲმე იხილეს. |
| 38. და თავადმან ჰრქუა მათ: რაჲსა შეძრწუნებულ ხართ, და რაჲსათჳს | 38. და თავადმან ჰრქუა მათ: რაჲსა შეძრწუნებულ ხართ. და რაჲსათჳს გუ- |

---

[1] და] — F. [2] გამოთარგმანებ̄დ F. [3] ყოველთა F. [4] ვ̄ე G. [5] უშორესადრჱ G. [6] ხოლო] — F. [7] აიძულებდეს F. [8] არს] + დღჱ G. [9] არს] — F. [10] მათ] — F. [11] ურთიერთარს F. [12] ჩუენ] — F. [13] წიგნთა F. [14] ი̄ჱმად F. [15] შეშინებულ იქმნეს] შეეშინა G. [16] საუცარ რაჲმე არს] სული რაჲმე იხილეს G.

[1] ჩუჱნ I. [2] იერუს̄ლმდ HI, ი̄ჱლმდ K. [3] ეჩუჱნა H. [4] იგი HIK. [5] მას] — K.

FG

გულის-სიტყუანი მრავალნი მოგივლენ[1] გულთა თქუენთა?

39. იხილენით ჴელნი ჩემნი და ფერჴნი, რამეთუ თავადი მე ვარ; ჴელი შემახეთ მე და იხილეთ, რამეთუ სულსა ჴორცი და ძუალ არა ასხენ, ვითარცა-ესე[2] მე მხედავთ, რამეთუ მასხენ.

40. და ესე რაჲ თქუა, უჩუენნა მათ ჴელნი და ფერჴნი მისნი.

41. და ვიდრე-იგი არღა ჰრწმენა მათ[3] სიხარულისა მისგან და საკჳრველებისა, ჰრქუა მათ იესუჲ გაქუს რაჲ აქა ჭამადი?

42. ხოლო[4] მათ (G 220v) მიუპყრეს მას თევზისა მწურისა ნახევარი და თაფლისაგან გოლი[5].

43. და ჭამა წინაშე მათსა[6] და მოიღო ნეშტი იგი და[7] (F 178r) მისცა მათ

44. და ჰრქუა: ესე იგი[8] სიტყუანი არიან, რომელთა გეტყოდე თქუენ, ვიდრე-იგი ვიყავღა[9] თქუენ თანა, ვითარმედ: ჯერ-არს აღსრულებად ყოველივე[10] წერილი შჯულსა მოსესსა[11] და წინაწარმეტყუელთასა და ფსალმუნთასა ჩემთჳს.

45. მაშინ განუხუნა გონებანი მათნი გულისხმის-ყოფად[12] წიგნთა

46. და ჰრქუა მათ, რამეთუჲ ესრეთ ჯერ-იყო ვნებად ქრისტესა და აღდგომად მკუდრეთით მესამესა დღესა

47. და ქადაგებად სახელითა მისითა სინანული და მოტევებაჲ ცოდვათაჲ ყოველთა მიმართ წარმართთა, იწყეთ იერუსალჱმით,

48. რამეთუ თქუენ ხართ მოწამე ამის ყოვლისა.

49. და აჰა ესერა მე მოგივლინო თქუენ აღთქუმაჲ იგი მამისა ჩემისაჲ. (G 221r) ხოლო თქუენ დასხედით[13] ქალაქ-

HIK

ლის-სიტყუანი მრავალნი მოვლენან გულთა თქუენთა?

39. იხილენით ჴელნი ჩემნი და ფერჴნი, რამეთუ თავადი მე ვარ; ჴელი შემახეთ მე და იხილეთ, რამეთუ სულსა ჴორცი და ძუალ არა ასხენ, ვითარცა-ესე მე მხედავთ, რამეთუ მასხენ.

40. და ესე რაჲ თქუა, უჩუენნა[1] მათ ჴელნი და ფერჴნი მისნი.

41. და ვიდრე-იგი არღა ჰრწმენა მათ სიხარულისა მისგან და საკჳრველებისა, ჰრქუა მათ იესუჲ გაქუს რაჲა[2] აქა ჭამადი?

42. ხოლო მათ[3] მიუპყრეს მას თევზისა მწურისა ნახევარი და თაფლისაგან გოლი.

43. და ჭამა წინაშე მათსა და მოიღო ნეშტი იგი და მისცა მათ

44. და ჰრქუა: ესე იგი სიტყუანი არიან, (I 208v) რომელთა გეტყოდე თქუენ, ვიდრე-იგი ვიყავღა თქუენ თანა, ვითარმედ: ჯერ-არს აღსრულებად ყოველი (K 220r) წერილი შჯულსა მოსესსა და წინაწარმეტყუელთასა და ფსალმუნთა ჩემთჳს.

45. მაშინ განუხუნა გონებანი მათნი გულისჴმის-ყოფად წიგნთა

46. და ჰრქუა მათ, (H 208v) რამეთუჲ ესრეთ ჯერ-იყო ვნებად ქრისტესა და აღდგომად მკუდრეთით მესამესა დღესა.

47. და ქადაგებად სახელითა მისითა სინანული და მოტევებაჲ ცოდვათაჲ ყოველთა მიმართ წარმართთა, იწყეთ იერუსალჱმით,

48. რამეთუ თქუენ ხართ მოწამე ამის ყოვლისა.

49. და აჰა ესერა მე მოგივლინო თქუენ აღთქუმაჲ იგი მამისა ჩემისაჲ. ხოლო თქუენ დასხედით ქალაქსა ამას შინა

---

[1] მოგივლენ] მოვლენ F. [2] ვ~ა F. [3] მათ] — F. [4] ხოლო] — F. [5] გოლისა F. [6] ~ მათ წინაშე F. [7] და] — F. [8] იგი] — G. [9] ვიყავ F. [10] ყოველი G. [11] მოსესა F, მოსესს[სა G. [12] გულისჴმის-ყოფად F. [13] დასხედით] + აქა F.

[1] უჩუენა HK. [2] რაჲ K. [3] მათ] — K.

| FG | HIK |
|---|---|
| სა ამას შინა იერუსალჱმსა[1], ვიდრემდე[2] შეიმოსოთ ძალი მაღლით გამო. | იერუსალჱმსა, ვიდრემდე შეიმოსოთ ძალი მაღლით. |
| 50. და განიყვანნა იგინი ვიდრე ბეთანიადმდე და[3] აღიპყრნა ჴელნი თჳსნი და აკურთხნა იგინი. | 50. და განიყვანნა იგინი გარე ვიდრე ბეთანიადმდე და აღიპყრნა ჴელნი თჳსნი და აკურთხნა იგინი. |
| 51. და იყო კურთხევასა[4] მას[5] ოდენ[6] იესუჲსსა[7] მათა მიმართ განეშორა მათგან და აღევიდოდა ზეცად. | 51. და იყო კურთხევასა მას იესუჲსსა მათა მიმართ განეშორა მათგან და აღვიდოდა ზეცად. |
| 52. და იგინი თაყუანის-სცემდეს[8] მას და მოიქცეს იერუსალჱმდ სიხარულითა დიდითა. | 52. და იგინი თაყუანის-სცემდეს მას და მოიქცეს იერუსალჱმდ სიხარულითა დიდითა. |
| 53. და იყოფოდეს ტაძარსა მას შინა მარადის[9] და აკურთხევდეს ღმერთსა. | 53. და იყოფვოდეს ტაძარსა მას შინა მარადის, აქებდეს და აკურთხევდეს ღმერთსა. ამენ[1]. |

---

[1] იერუსალჱმსა] — F. [2] ვ̄ე F. [3] და] —F. [4] კორთხევასა G. [5] მას] —F. [6] ოდენ] —G. [7] ი̄ჳსა F. [8] იგინი თაყუანის-სცემდეს] მათ თაყუანის-სცეს F. [9] ~ მარადის ტაძარსა მას შინა F.

[1] ა́ნ I, ამინ HK (სრულად).

# ႱႠႾႠႰႤႡႠჂ ႧႠႥႨ ႨႭႥႠႬჁႱႨ[1]
## (F 174r, G 222r)

## 1

1. პირველითგან იყო სიტყუაჲ და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი.

2. ესე იყო პირველითგან ღმრთისა თანა.

3. ყოველივე მის მიერ იქმნა, და თჳნიერ მისა არცა ერთი[2] რაჲ იქმნა, რავდენი რაჲ იქმნა.

4. მის თანა ცხორებაჲ იყო და ცხორებაჲ იგი იყო ნათელ კაცთა.

5. და ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს[3], და ბნელი იგი მას ვერ ეწია.

6. იყო კაცი მოვლინებული ღმრთისა მიერ, და სახელი მისი იოვანე[4].

7. ესე მოვიდა მოწამედ, რაჲთა წამოს ნათლისა მისთჳს, რაჲთა[5] ყოველთა ჰრწმენეს მისგან.

8. არა თჳთ იგი იყო ნათელი, არამედ რაჲთა წამოს ნათლისა მისთჳს.

9. იყო ნათელი იგი ჭეშმარიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად.

10. სოფელსა შინა იყო, და სოფელი მის მიერ შეიქმნა, და სოფელმან იგი ვერ[6] იცნა.

11. თჳსთა მოვიდა, და თჳსთა იგი არა შეიწყნარეს.

12. ხოლო რავდენთა-(G 222v)იგი შეიწყნარეს, მოსცა მათ ჴელმწიფებაჲ შვილ ღმრთის[7] ყოფად, რომელთა ჰრწამს სახელი მისი.

# ႱႠႾႠႰႤႡႠჂ ႨႭႥႠႬႤႱ ႧႠႥႨ
## (H 211r, I 211r, K 224r)

1. პირველითგან იყო სიტყუაჲ და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი.

2. ესე იყო პირველითგან ღმრთისა თანა.

3. ყოველივე მის მიერ შეიქმნა, და (K 224v) თჳნიერ მისა[1] არცა ერთი რაჲ იქმნა, რაოდენი-რაჲ იქმნა.

4. მის თანა ცხორებაჲ იყო და ცხორებაჲ იგი იყო ნათელ კაცთა.

5. და ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს, და ბნელი იგი მას ვერ ეწია.

6. იყო კაცი მოვლინებული ღმრთისა მიერ, და სახელი მისი იოვანე.

7. ესე მოვიდა მოწამედ, რაჲთა წამოს ნათლისა მისთჳს, რაჲთა ყოველთა ჰრწმენეს მისგან.

8. არა თუ იგი იყო ნათელი, არამედ რაჲთა წამოს ნათლისა მისთჳს.

9. იყო ნათელი ჭეშმარიტი, რომელი (H 211v, I 211v) განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა[2] სოფლად.

10. სოფელსა შინა იყო, და სოფელი მის მიერ შეიქმნა, და სოფელმან იგი ვერ იცნა.

11. თჳსთა თანა მოვიდა, და თჳსთა იგი არა შეიწყნარეს.

12. ხოლო რაოდენთა-იგი[3] შეიწყნარეს, მოსცა მათ ჴელმწიფებაჲ შვილ ღმრთისა ყოფად რომელთა ჰრწამს სახელი მისი.

---

[1] სხ̄რბჲ თ̄ვი ი̄ვნესი F, სახ̄რბა თ̄ვი ი̄ნჱსი G. [2] ერთი]—F. [3] ჩას F. [4] ი̄ნჱ G. [5] რაჲთა] და G. [6] ვერ] არა F. [7] ღმრთისა F.

[1] მისსა K. [2] მომავალი HIK. [3] რავდენთა-იგი HI.

| FG | HIK |
|---|---|
| 13. რომელნი არა სისხლთაგან, არცა ნებითა ჴორცთაჲთა, არცა ნებითა მამაკაცისაჲთა, არამედ ღმრთისაგან იშვნეს. | 13. რომელნი არა სისხლთაგან, არცა ნებითა ჴორცთაჲთა, არცა ნებითა მამაკაცისაჲთა[1], არამედ ღმრთისაგან იშვნეს. |
| 14. და სიტყუაჲ იგი ჴორციელ იქმნა და დაემკჳდრა (F 174v) ჩუენ შორის, და ვიხილეთ დიდებაჲ მისი, დიდებაჲ ვითარცა მხოლოდ-შობილისაჲ[1] მამისა მიერ, სავსე მადლითა და ჭეშმარიტებითა. | 14. და სიტყუაჲ იგი ჴორციელ იქმნა და დაემკჳდრა ჩუენ შორის, და ვიხილეთ დიდებაჲ მისი, დიდებაჲ ვითარცა მხოლოდ-შობილისაჲ მამისა მიერ, სავსე მადლითა და ჭეშმარიტებითა. |
| 15. იოვანე[2] წამა მისთჳს, ღაღად-ყო[3] და თქუა: ესე არს, რომლისათჳს-იგი ვთქუ: რომელი-იგი ჩემსა შემდგომად მოვალს, ჩემსა უწინარეს იყო, რამეთუ პირველ ჩემსა არს. | 15. (K 225r) იოვანე წამა მისთჳს, ღაღატ-ყო და თქუა: ესე არს, რომლისათჳს-იგი ვთქუ: რომელი ჩემსა შემდგომად მოვალს, ჩემსა უწინარეს იყო. რამეთუ პირველ ჩემსა არს. |
| 16. რამეთუ სავსებისაგან მისისა ჩუენ ყოველთა მოვიღეთ მადლი მადლისა წილ. | 16. და სავსებისაგან მისისა ჩუენ ყოველთა მოვიღეთ, და მადლი მადლისა წილ. |
| 17. რამეთუ შჯული მოსესგან[4] მოეცა. ხოლო მადლი და ჭეშმარიტებაჲ ქრისტე[5] იესუჲს[6] მიერ იყო. | 17. რამეთუ სჯული[2] მოსესგან მოეცა, ხოლო მადლი და ჭეშმარიტებაჲ ქრისტეს იესუჲს მიერ იქმნა. |
| 18. ღმერთი არასადა ვინ იხილა, გარნა მხოლოდ-შობილმან ძემან[7], რომელი იყო წიაღთა მამისათა, მან გამოთქუა. | 18. ღმერთი არავინ სადა იხი(H 212r)ლა: მხოლოდ-შობილ(I 212r)მან ძემან. რომელი იყო წიაღთა მამისათა, მან გამოთქუა. |
| 19. და ესე არს წამებაჲ იოვანესი[8], ოდეს მიავლინნეს[9] მისა ჰურიათა იერუსალჱმით მღდელნი და ლევიტელნი, რაჲთა ჰკითხონ (G 223r) მას, ვითარმედ: შენ ვინ ხარ? | 19. და ესე არს წამებაჲ იოვანესი, ოდეს მიავლინნეს მისა[3] ჰურიათა იერუსალჱმთ[4] მღდელნი და ლევიტელნი, რაჲთა ჰკითხონ მას, ვითარმედ: შენ ვინ ხარ? |
| 20. ხოლო მან აღიარა და არა უვარ-ყო[10]; აღიარა, ვითარმედ: მე არა ქრისტჱ ვარ. | 20. და აღიარა და არა უვარ-ყო: აღიარა, ვითარმედ: მე არა ვარ ქრისტე. |
| 21. და მათ ჰკითხეს მას: და უკუე ვინ ხარ შენ? ელია ხარა? და მან თქუა: არა; წინაწარმეტყუელი ხარა? და მიუგო: არა. | 21. და მათ ჰკითხეს მას: და უკუე[5] ვინ ხარ შენ? ელია ხარა? და მან თქუა: არა ვარ: წინაწარმეტყუელი იგი ხარა შენ? და მიუგო: არა. |
| 22. და ჰრქუეს: გუარქუ ჩუენ, ვინ ხარ შენ, რაჲთა სიტყუაჲ მივართუათ მომავლინებელთა ჩუენთა, რასა იტყჳ შენთჳს? | 22. და ჰრქუეს[6]: გუარქუ ჩუენ, ვინ ხარ შენ, რაჲთა სიტყუაჲ მივართუათ მომავლინ(K 225v)ებელთა ჩუენთა, რასა იტყჳ შენთჳს? |

---

[1] მხოლოდ-შობილისა F. [2] ი̄ნჱ G. [3] ღაღატ-ყო F. [4] მოსესსგან G. [5] ქ̄ჱ FG. [6] ი̄ჳს FG. G-ში ს გაცხოველებულია, მოსალოდნელი იყო ი̄ჳჲს. [7] ძემან] ღმერთმან F. [8] ი̄ნჱსი G. [9] მიავლინეს FG. [10] უარ-ყო F.

[1] მამაკაცისაჲ HI. [2] შჯული HI. [3] მისსა K. [4] ი̄ჱლჱმით HI, ი̄ჱლჱმთ K. [5] უკუჱ HIK. [6] ჰრქუჱს K.

| FG | HIK |
|---|---|
| 23. და თქუა: მე — ჴმაჲ ღაღადებისაჲ უდაბნოსა: წარჰმართენით გზანი უფლისანი, ვითარცა თქუა ესაია წინაწარმეტყუელმან[1]. | 23. და თქუა: მე — ჴმაჲ ღაღადებისაჲ უდაბნოსა: განჰმზადენით[1] გზანი უფლისანი, ვითარცა თქუა ესაია წინაწარმეტყუელმან. |
| 24. (F 175r) და მივლინებულნი იგი იყვნეს ფარისეველთაგანნი. | 24. და მივლინებულნი იგი იყვნეს ფარისეველთაგანნი. |
| 25. ჰკითხეს მას და ჰრქუეს: რაჲსათჳს ნათელ-სცემ, უკუეთუ არა ხარ შენ ქრისტჱ, არცა ელია, არცა წინაწარმეტყუელი? | 25. ჰკითხეს მას და ჰრქუეს[2]: და რაჲსათჳს ნათელ-სცემ, უკუეთუ[3] არა ხარ შენ ქრისტე, არცა ელია, არცა წინაწარმეტყუელი იგი? |
| 26. ჰრქუა მათ იოვანე[2]: მე ნათელ-ვსცემ წყლითა, ხოლო შორის თქუენსა დგას, რომელი თქუენ არა იცით, | 26. მიუგო იოვანე და ჰრქუა მათ: მე ნათელ-ვსცემ წყლითა, ხოლო შორის თქუენსა დგას, რომელი თქუენ არა იცით, |
| 27. რომელი ჩემსა შემდგომად მოსლვად არს, რომლისა არა ღირს ვარ, რაჲთა განვჰჴსნნე[3] საბელნი ჴამლთა მისთანი. | 27. რომელი ჩემსა შემდგომად[4] მოსლვად არს, (I 212v) რომელი (H 212v) პირველ ჩემსა იყო, რომლისა არა ღირს ვარ მე, რაჲთა განვჰჴსნნე საბელნი ჴამლთა მისთანი. |
| 28. ესე ბეთაბრას იყო, წიაღ-იორდანესა, სადა-იგი იყო იოვანე[2] და ნათელ-სცემდა. | 28. ესე ბეთაბრას იყო, წიაღ-იორდანესა, სადა-იგი იყო იოვანე და ნათელ-სცემდა. |
| 29. (G 223v) ხვალისაგან იხილა იესუ, მომავალი მისა, და თქუა: აჰა კრავი იგი ღმრთისაჲ, რომელმან აღიხუნეს[4] ცოდვანი სოფლისანი. | 29. ხვალისაგან იხილა იოვანე იესუ, მომავალი მისა[5], და თქუა: აჰა ტარიგი ღმრთისაჲ, რომელმან აიხუნეს ცოდვანი სოფლისანი. |
| 30. ესე არს, რომლისათჳს-იგი ვთქუ: შემდგომად ჩემსა მოვალს კაცი, რომელი პირველ[5] ჩემსა იყო, რამეთუ უპირადეს[6] ჩემსა არს. | 30. ესე არს, რომლისათჳს-იგი ვთქუ: შემდგომად ჩემსა მოვალს კაცი, რომელი პირველ (K 220r) ჩემსა იყო, რამეთუ უპირატეს ჩემსა არს. |
| 31. მე არა ვიცოდე იგი, არამედ რაჲთა გამოეცხადოს ისრაჱლსა, ამისთჳს მოვედ მე წყლითა ნათლის-ცემად. | 31. და მე არა ვიცოდე იგი, არამედ რაჲთა გამოეცხადოს ისრაჱლსა, ამისთჳს მოვედ მე წყლითა ნათლის-ცემად. |
| 32. წამა იოვანე[2] და თქუა, რამეთუ[7]: ვიხილე სული ღმრთისაჲ, ვითარცა ტრედი, გარდამომავალი ზეცით, და დაადგრა მას ზედა. | 32. და წამა იოვანე და თქუა, რამეთუ: ვიხილე სული ღმრთისაჲ, ვითარცა ტრედი, გარდამომავალი ზეცით, და დაადგრა მას ზედა. |
| 33. ხოლო მე არა ვიცოდე იგი, არამედ რომელმან მომავლინა მე ნათლის-ცემად წყლითა, მან მრქუა მე: რომელსა | 33. და მე არა ვიცოდე იგი, არამედ რომელმან მომავლინა მე ნათლის-ცემად წყლითა, მან მრქუა მე: რომელსა ზედა |

---

[1] წინაწარმეტყუელმან] — F. [2] იჱ G. [3] განვჴსნე F, რაჲთამცა განვჴსნ~ნ G. [4] აიხუნეს F, ალიხუნეს G. [5] პირველად F. [6] უპირადესი F. [7] რამეთუ] მე G.

[1] განჰმზადენით HI. [2] ჰრქუეს K. [3] უკუეთუ K. [4] შ~დ ჩემსა შ~დ K. მეორე „შ~დ" [illegible] რაჲ შემდგომ და [illegible] გამოუსწორებით. [5] მისსა K.

**FG**

ზედა იხილო სული გარდამომავალი[1] და დადგრომილი მის ზედა, იგი არს, რომელმან ნათელ-გცეს სულითა წმიდითა.

34. და მე ვიხილე და ვწამე, რამეთუ ესე (F 175v) არს ძჱ ღმრთისაჲ.

35. ხვალისა დღე[2] დგა კუალად იოვანე[3] და მოწაფეთა[4] მისთაგანნი ორნი.

36. და მიხედა იესუს, ვიდოდა რაჲ იგი, და თქუა: აჰა ქრისტჱ, ტარიგი იგი ღმრთისაჲ.

37. და ესმა მისი ორთა მათ მოწაფეთა, იტყოდა რაჲ ამას, და მისდევდეს იესუს.

38. (G 224r) მოექცა[5] იესუ და იხილნა იგინი, მი-რაჲ-სდევდეს მას, და ჰრქუა მათ: რასა ეძიებთ? ხოლო მათ ჰრქუეს მას: რაბი (რომელი ითარგმანების „მოძღუარ“), სადა იყოფი[6]?

39. ჰრქუა მათ: მოვედით და იხილეთ. და მივიდეს და იხილეს, სადა იყოფოდა[7], და მის თანა დაადგრეს მას დღესა შინა. ჟამი იყო ვითარ მეათე.

40. იყო ანდრია, ძმაჲ სიმონ-პეტრესი, ერთი ორთაგანი, რომელთა ესმა იოვანესგან[8], და მისდევდეს მას.

41. პოვა[9] ამან პირველად ძმაჲ თჳსი სიმონ და ჰრქუა მას: ვპოვეთ[10] მესია, რომელ არს თარგმანებით „ქრისტჱ“.

42. ამან მოიყვანა იგი იესუჲსა[11]. მიხედა[12] მას იესუ და ჰრქუა: შენ ხარ სიმონ, ძჱ[13] იონაჲსი[14], შენ გეწოდოს კეფა, რომელი ითარგმანების „კლდე“[15].

43. ხვალისაგან უნდა განსლვად გალილეად და პოვა[9] ფილიპე[16] და ჰრქუა მას იესუ: მომდევდი მე.

44. ხოლო იყო ფილიპე[17] ბეთსაიდაჲთ[18], ქალაქისაგან ანდრიაჲსა და პეტრესა.

**HIK**

იხილო სული გარდამომავალი და დადგრომილი მის ზედა, იგი არს, რომელმან ნათელ-გცეს სულითა წმიდითა.

34. და მე ვიხილე და ვწამე, რამეთუ ესე არს ძე ღმრთისაჲ.

35. ხვალისა დღე დგა (I 213r) კუალად იოვანე და მოწაფეთა მისთაგანნი ორნი.

36. და მიჰხე(H 213r)და[1] იესუს, ვიდოდა რაჲ იგი, და თქუა: აჰა ტარიგი ღმრთისაჲ.

37. და ესმა მისი ორთა მათ მოწაფეთა, იტყოდა რაჲ ამას, და მისდევდეს იესუს.

38. მოექცა[2] იესუ და იხილნა იგინი, მი-რაჲ-სდევდეს მას, და ჰრქუა მათ: რასა ეძიებთ? ხოლო მათ ჰრქუეს მას: რაბი (რომელი ითარგმანების „მოძღუარ“), სადა იყოფი?

39. ჰრქუა მათ: მოვედით და იხილეთ. და მივიდეს და იხილეს, სადა იყოფოდა, და მის თანა დაადგრეს მას დღესა შინა. ჟამი იყო ვითარ მეათე.

40. იყო ანდრეა, ძმაჲ სიმონ-პეტრესი, ერთი ორთა(K 220v)განი, რომელთა ესმა იოვანესგან, და მისდევდეს მას.

41. პოვა ამან პირველად ძმაჲ თჳსი სიმონ და ჰრქუა მას: ვპოვეთ მესია, რომელ არს თარგმანებით „ქრისტე“.

42. ამან მოიყვანა იგი იესუჲსა. მიხედა მას იესუ და ჰრქუა: შენ ხარ სიმონ, ძე იონაჲსი, შენ გეწოდოს კეფა, რომელი ითარგმანების „კლდე“.

43. ხვალისაგან უნდა იესუს განსლვად გალილეად და პოვა ფილიპე და ჰრქუა მას იესუ: მომდევდი მე.

44. ხოლო იყო ფილიპე ბეთ(I 213v)საიდაჲთ[3], ქალაქისაგან ანდრეაჲსა[4] და პეტრესა[5].

---

[1] გარდამომავავალი F. [2] დღჱ FG. [3] ი˜ნჱ G. [4] მოწაფჱთა G. [5] მოიქცა G. [6] იყოფვი G. [7] იყოფვოდა G. [8] ი˜ნჱსგან G. [9] პოა F. [10] ვპოეთ F. [11] ი˜ჳსსა FG. [12] და მიხედა G. [13] ძე F. [14] იოვანესი FG. [15] კლდჱ F. [16] ფილიპჱ FG. [17] ფილიპჱ G. [18] ბეთსაჲდაჲთ G.

[1] მიხედა K. [2] მიიქცა K. [3] ბეთსა̈ჲდა̈ჲთ HI (=ბეთსაიდაჲთ). [4] ანდრე̈ასა HI (=ანდრეაჲსა). [5] პეტრესსა K.

| FG | HIK |
|---|---|
| 45. (F 170r) პოვა ფილიპე[1]. ნათანაელ და ჰრქუა მას: რომელი-იგი დაწერა მოსე[2] შჯულსა და წინაწარმეტყუელთა. ვპოეთ: (G 224v) იესუ. ძჱ იოსებისი, ნაზარეთით. | 45. პოვა ფილიპე ნათანაელ (H 213v) და ჰრქუა მას: რომელი-იგი დაწერა მოსე სჯულსა[1] და წინაწარმეტყუელთა, ვპოეთ: იესუ, ძე იოსებისი, ნაზარეთით. |
| 46. და ჰრქუა მას ნათანაელ: ნაზარეთით შესაძლებელ არსა კეთილი რაჲმე ყოფად? ჰრქუა მას ფილიპე[3]: მოვედ და იხილე[4]. | 46. და ჰრქუა მას ნათანაელ: ნაზარეთით შესაძლებელ არსა კეთილისა რაჲსამე ყოფად? ჰრქუა მას ფილიპე: მოვედ და იხილე. |
| 47. იხილა რაჲ იესუ ნათანაელ, მომავალი მისა, და თქუა მისთჳს: აჰა ჭეშმარიტად ისრაიტელი, რომლისა თანა ზაკუვაჲ არა არს. | 47. იხილა რაჲ იესუ ნათანაელ, მომავალი მისა[2], და (K 227r) თქუა მისთჳს: აჰა ჭეშმარიტად ისრაიტელი, რომლისა თანა ზაკუვაჲ არა არს. |
| 48. ჰრქუა მას ნათანაელ: ვინაჲ მიცი მე? მიუგო იესუ და ჰრქუა მას: პირველ, ვიდრე[5] ფილიპესა ჴმობადმდე შენდა, იყავ რაჲ ლეღუსა ქუეშე, გიხილე შენ. | 48. ჰრქუა მას ნათანაელ: ვინაჲ მიცი მე? მიუგო იესუ და ჰრქუა მას: პირველ ფილიპეს ჴმობადმდე შენდა, იყავ რაჲ ლეღუსა ქუეშე[3], გიხილე შენ. |
| 49. მიუგო მას ნათანაელ და ჰრქუა: რაბი, შენ ხარ ძჱ ღმრთისაჲ, შენ ხარ მეუფჱ ისრაჱლისაჲ. | 49. მიუგო მას ნათანაელ და ჰრქუა: რაბი, შენ ხარ ძე ღმრთისაჲ, შენ ხარ მეუფჱ[4] ისრაჱლისაჲ. |
| 50. მიუგო იესუ და ჰრქუა მას, რამეთუ: გარქუ შენ, ვითარმედ: გიხილე შენ ლეღუსა ქუეშე და გრწამს. უფროჲსი ამათსა იხილო. | 50. მიუგო იესუ და ჰრქუა მას, რამეთუ: ვარქუ შენ, ვითარმედ: გიხილე შენ ლეღუსა ქუეშე[5], და გრწამს. უფროჲსი ამათსა იხილო. |
| 51. და ჰრქუა მათ: ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ: იხილნეთ ცანი განხუმულნი და ანგელოზნი ღმრთისანი, აღმავალნი და გარდამომავალნი ძესა[6] ზედა კაცისასა. | 51. და ჰრქუა მათ: ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ: ამიერითგან[6] იხილნეთ ცანი განხუმულნი და ანგელოზნი ღმრთისანი, აღმავალნი და გარდამომავალნი ძესა ზედა[7] კაცისასა. |

## 2

| | |
|---|---|
| 1. და მესამესა დღესა ქორწილი იყო კანას გალილეაჲსასა[7], და მუნ იყო დედაჲ იესუჲსი. | 1. (I 214r) და მესამესა დღესა ქორწილი იყო კანას გა(H 214r)ლილეაჲსასა, და მუნ იყო დედაჲ იესუჲსი. |
| 2. და[8] მიჰხადეს[9] იესუს და მოწაფეთა მისთა ქორწილსა მას. | 2. მიჰხადეს[8] იესუს და მოწაფეთა მისთა ქორწილსა მას. |
| 3. და ვითარ (G 225r) მოაკლდა | 3. და ვითარ მოაკლდა ღჳნოჲ, ჰრქუა |

---

[1] ფილიპჱ G. [2] მოსჱ G. [3] ფილიპჱ FG. [4] იხილჱ G. [5] პირველ, ვიდრე] პირველვე G. [6] ძჱსა G. [7] გალილეაჲსა F. [8] და] — F. [9] მიხადეს G.

[1] შჯულსა HI. [2] მისსა K. [3] ქუეშჱ H, ქუეშე IK. [4] მეუფე HK. [5] ქუეშჱ H, ქუეშე IK. [6] ამიერითგან] — HI. [7] K-ში ეს სიტყვა მერმე დაუწერიათ ზემოდან, ოდნავ ჩანს. [8] K-ში ჰ მერმე დაუმატებიათ ზემოდან.

| FG | HIK |
|---|---|
| ღჳნოჲ, (F 176v) ჰრქუა იესუს დედამან მისმან: ღჳნოჲ არა აქუს. | იესუს დე(K 227v)დამან მისმან: ღჳნოჲ არა აქუს. |
| 4. ჰრქუა მას იესუჲ რაჲ არს ჩემდა და შენდა[1], დედაკაცო? არღა მოწევნულ არს ჟამი ჩემი. | 4. ჰრქუა მას იესუ: რაჲ არს ჩემდა და შენდა, დედაკაცო? არღა მოწევნულ არს ჟამი ჩემი. |
| 5. ჰრქუა დედამან მისმან მსახურთა მათ[2]: რაჲცა გრქუას თქუენ, ყავთ! | 5. ჰრქუა დედამან მისმან მსახურთა მათ, ვითარმედ: რაჲცა გრქუას თქუენ, ყავთ! |
| 6. იყვნეს მუნ სარწყულნი ქვისანი ექუსნი მდგომარენი, მსგავსად განწმედისა მის ჰურიათაჲსა, რომელთა შთაისხიან[3] საწყაული ორ-ორი გინა სამ-სამი. | 6. იყვნეს მუნ სარწყულნი ქვისანი ექუსნი მდგომარენი, მსგავსად განწმენდისა მის ჰურიათაჲსა. რომელთა შთაისხიან[1] საწყაული[2] ორ-ორი გინა სამ-სამი. |
| 7. და ჰრქუა მათ იესუ: აღავსენით სარწყულნი ეგე წყლითა! და აღავსნეს იგინი პირისპირ. | 7. და ჰრქუა მათ იესუ: აღავსენით სარწყულნი[3] ეგე წყლითა! და მათ აღავსნეს იგინი პირისპირ. |
| 8. და ჰრქუა მათ: აღმოივსეთ[4] აწ და მოართჳთ ჰურისა უფალსა! ხოლო მათ მოართუეს[5]. | 8. და ჰრქუა მათ: აღმოავსეთ აწ და მოართჳთ ჰურისა უფალსა! ხოლო მათ მოართუეს[4]. |
| 9. და ვითარცა გემოჲ იხილა ჰურისა უფალმან წყალი იგი,რომელი ღჳნო იქმნა, და არა უწყოდა, ვინაჲ იყო, გარნა მსახურთა მათ უწყოდეს, რომელთა აღავსნეს წყლითა, მოუწოდა ჰურისა უფალმან მან სიძესა მას | 9. და ვითარცა გემოჲ იხილა ჰურისა უფალმან წყალი იგი, რომელი ღჳნო იქმნა, და არა უწყოდა, ვინაჲ იყო, გარნა მსახურ(K 228r)თა მათ უწყოდეს, რომელთა აღავსნეს წყლითა, (I 214v) მოუწოდა ჰურისა უფალმან მან[5] სიძესა |
| 10. და ჰრქუა მას: ყოველმან კაცმან კეთილი ღჳნოჲ! პირველად წარმოდგის და, ოდეს დაითრვნიან, მაშინ უჯერესიცა. ხოლო შენ დაჰმარხე ღჳნოჲ კეთილი აქამომდის[6]. | 10. და ჰრქუა მას: ყოველმან კაცმან კეთილი (H 214v) ღჳნოჲ პირველად წარმოდგის და, ოდეს დაითრვნიან, მაშინ უჯერესიცა. ხოლო შენ დაჰმარხე ღჳნოჲ კეთილი აქამომდე. |
| 11. (G 225v) ესე ქმნა დასაბამად სასწაულთა იესუ კანას გალილეაჲსასა და გამოუცხადა[7] დიდებაჲ თჳსი[8], და ჰრწმენა მისი მოწაფეთა მისთა. | 11. ესე ქმნა დასაბამად სასწაულთა იესუ კანას გალილეაჲსასა და გამოუცხადა დიდებაჲ თჳსი, და ჰრწმენა მისი მოწაფეთა მისთა. |
| 12. (F 177r) ამისა შემდგომად შთავიდა იესუ კაფარნაუმდ[9], იგი და დედაჲ მისი და ძმანი მისნი და მოწაფენი მისნი მის თანა, და მუნ დაადგრა არა მრავალ დღე[10]. | 12. ამისა[6] შემდგომად შთავიდა იესუ კაპერნაუმდ, იგი და დედაჲ მისი და ძმანი მისნი და მოწაფენი მისნი მის თანა, და მუნ დაადგრა არა მრავალ დღე. |
| 13. და მოახლებულ იყო პასექი იგი ჰურიათაჲ, და აღვიდა იესუ იერუსალჱმდ[11]. | 13. და მოახლებულ იყო პასექი იგი ჰურიათაჲ, და აღვიდა იესუ იერუსალჱმდ[7]. |

---

[1] ჩემი და შენი G. [2] მათ] — F. [3] შთაასხიან F. [4] აღმოავსეთ G. [5] მოართ~ს F, მოართჳეს G. [6] აქამომდე G. [7] გამოუცხადა F. [8] მისი F. [9] კაფარნაომდ G. [10] დღჱ F. [11] ი~ჱმად G.

[1] შთაისხიან H, შთაჲხიან I (= შთაასხიან), შთაასხიან K. [2] საწყაული] სარწყული K. [3] საწყულნი K. [4] მოართუჲს HI. [5] მან] — K. [6] ამისსა K. [7] ი~ჱლჱმდ H, ი~ჱლმდ IK.

| FG | HIK |
|---|---|
| 14. და პოვნა ტაძარსა მას შინა მოფარდულნი ზროხათანი და ცხოვართანი[1] და ტრედთანი[2] და მეკერმენი მსხდომარენი. | 14. და პოვნა ტაძარსა მას შინა მოფარდულნი ზროხათანი და ცხოვართანი და ტრედთანი[1] და მეკერმესნი მსხდომარენი. |
| 15. და შექმნა შოლტი საბლისაჲ და ყოველი გამოასხა ტაძრით: ზროხაჲ და ცხოვარი; და კერმის-მწყველთა მათ დაუთხია კერმაჲ და ტაბლები იგი დაუმჴუა[3]. | 15. და შექმნა შოლტი საბლისაჲ და ყოველი იგი გამოასხა ტაძრით: ზროხაჲ და ცხოვარი: (K 228v) და კერმის-მსყიდელთა მათ დაუთხია კერმაჲ და ტაბლები იგი დაუმჴუა. |
| 16. და ტრედის-მოფარდულთა მათ ჰრქუა: აღიღეთ ესე ამიერ და ნუ ჰყოფთ სახლსა მამისა ჩემისასა სახლ სავაჭრო. | 16. და ტრედის-მოფარდულთა მათ ჰრქუა: აღიღეთ ესე ამიერ და ნუ ჰყოფთ სა(I 215r)ხლსა მამისა ჩემისასა სახლ სავაჭრო. |
| 17. და მოეჴსენა მოწაფეთა მისთა, რამეთუ წერილ არს: შურმან სახლისა შენისამან შემჭამა მე. | 17. და მოეჴსენა მოწაფეთა მისთა, რამეთუ წერილ არს: შურმან სახლისა შენისა(H 215r)მან შემჭამა მე. |
| 18. (G 226r) მიუგეს ჰურიათა და ჰრქუეს მას: რასა სასწაულსა მიჩუენებ ჩუენ, რამეთუ ამას იქმ? | 18. მიუგეს ჰურიათა და ჰრქუეს მას: რასა სასწაულსა მიჩუენებ[2] ჩუენ, რამეთუ ამას იქმ? |
| 19. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: დაჰჴსენით ტაძარი ესე, და მესამესა დღესა აღვადგინო ეგე. | 19. მიუგო იესუ და ჰრქუა: დაჰჴსენით ტაძარი ესე, და მესამესა დღესა აღვადგინო ეგე. |
| 20. ჰრქუეს მას ჰურიათა: ორმეოც და ექუსსა წელსა აღეშენა ტაძარი ესე, და შენ სამთა დღეთა აღ(F 177v)ადგინო ეგე[4]? | 20. ჰრქუეს მას ჰურიათა: ორმეოც და ექუსსა წელსა აღეშენა ტაძარი ესე, და შენ სამთა დღეთა აღადგინო იგი? |
| 21. ხოლო იგი იტყოდა ტაძრისათჳს გუამისა თჳსისა. | 21. ხოლო იგი იტყოდა ტაძრისათჳს გუამისა თჳსისა. |
| 22. და[5] ოდეს აღდგა მკუდრეთით, მოეჴსენა მოწაფეთა მისთა, რამეთუ ამისთჳს იტყოდა, და ჰრწმენა წიგნისაჲ და სიტყუაჲ იგი, რომელი ჰრქუა მათ იესუ. | 22. და ოდეს აღდგა მკუდრეთით, მოეჴსენა მოწაფეთა მისთა, რამეთუ ამისთჳს იტყოდა, და ჰრწმენა წიგნისაჲ და სიტყუაჲ იგი, რომელი ჰრქუა მათ იესუ. |
| 23. და ოდეს იყო იგი იერუსალჱმს პასქასა მას დღესასწაულსა, მრავალთა ჰრწმენა სახელისა მისისაჲ, რამეთუ ხედვიდეს სასწაულთა მისთა, რომელთა იქმოდა. | 23. და ოდეს იყო იგი იერუსალჱმს[3] პასქასა მას დღესასწაულსა, მრავალთა ჰრწმენა სახელისა მისისაჲ, რამეთუ ხედვიდეს სასწაულთა მისთა, რომელთა იქმოდა. |
| 24. ხოლო თჳთ იესუ არა არწმუნებდა მათ თავით თჳსით, რამეთუ ყოველთა იცოდეს იგი. | 24. ხოლო თჳთ იესუ არა არწმუნებდა მათ თავით თჳსით, (K 220r) რამეთუ ყოველთა იცოდეს იგი. |

---

[1] ცხოართანი F. [2] ტრედთაჲ FG. [3] დაამჴუა F. [4] იგი G. [5] და] — G.

[1] ტრედთაჲ HIK. [2] მიჩუცნებ HI. ამას გარდა, I-ში თითქოს უცდიათ სიტყვის გაცხოველება და „მი“ შეუცვლიათ „გ(ჳ)“-თი. [3] ი̄ჱლომს H, ი̄ჱლმს IK.

| FG | HIK |
|---|---|
| 25. და რამეთუ[1] არა უჴმდა, რაჲთა წამოს ვინმე კაცისა მისთჳს, რამეთუ მან თჳთ იცოდა, რაჲ იყო კაცისა მის თანა. | 25. და რამეთუ არა უჴმდა, რაჲთა წამოს ვინმე (I 215v) კაცისა მისთჳს, რამეთუ მან თჳთ იცოდა, რაჲ იყო კაცისა მის თანა. |

# 3

| FG | HIK |
|---|---|
| 1. იყო ვინმე კაცი ფარისეველთაგანი, სახელით ნიკოდემოს, მთავარი ჰურიათაჲ. | 1. იყო ვინმე კაცი ფარისეველთაგანი, სახელით ნიკოდიმოს, მთავარი (H 215v) ჰურიათაჲ. |
| 2. (G 220v) ესე მოვიდა იესუჲსა[2] ღამე[3] და ჰრქუა მას: რაბი, უწყით, რამეთუ ღმრთისა მიერ მოსრულ ხარ მოძღურად, რამეთუ ვერვის ჴელ-ეწიფების სასწაულთა ამათ საქმედ, რომელთა შენ იქმ, უკუეთუ არა ღმერთი იყოს მის თანა. | 2. ესე მოვიდა იესუჲსა[1] ღამე და ჰრქუა მას: რაბი, უწყით, რამეთუ ღმრთისა მიერ მოსრულ ხარ მოძღურად, რამეთუ ვერვის[2] ჴელ-ეწიფების სასწაულთა ამათ საქმედ, რომელთა შენ იქმ, უკუეთუ არა ღმერთი იყოს მის თანა. |
| 3. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: ამენ, ამენ გეტყჳ შენ: უკუეთუ ვინმე არა იშვეს მეორედ, ვერ ჴელ-ეწიფების ხილვად სასუფეველი ღმრთისაჲ. | 3. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: ამენ, ამენ გეტყჳ შენ: უკუეთუ ვინმე არა იშვეს მეორედ, ვერ ჴელ-ეწიფების ხილვად სასუფეველი ცათაჲ. |
| 4. (F 178r) ჰრქუა მას ნიკოდემოს: ვითარ ჴელ-ეწიფების კაცსა ბერსა შობად? ნუუკუე შესაძლებელ არსა[4] მუცელსა დედისა თჳსისასა შესლვად მეორედ და შობად? | 4. ჰრქუა მას ნიკოდიმოს: ვითარ ჴელ-ეწიფების კაცსა ბერსა შობად? ნუუკუე[3] შესაძლებელ არს მუცელსა დედისა თჳსისასა შესლვად მეორედ და შობად? |
| 5. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: ამენ, ამენ გეტყჳ შენ[5]: უკუეთუ ვინმე არა იშვეს წყლისაგან და სულისა, ვერ ჴელ-ეწიფების შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა. | 5. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: ამენ, ამენ გეტყჳ (K 229v) შენ: უკუეთუ ვინმე არა იშვეს წყლისაგან და სულისა, ვერ ჴელ-ეწიფების შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა. |
| 6. შობილი იგი ჴორცთაგან ჴორცი არს, და შობილი იგი სულისაგან სული არს. | 6. შობილი იგი ჴორცთაგან ჴორცი არს, და შობილი იგი სულისაგან სული არს. |
| 7. ნუ გიკჳრნ, რამეთუ გარქუ შენ ესე: ჯერ-არს თქუენდა მეორედ შობაჲ. | 7. ნუ გიკჳრნ, რამეთუ გარქუ (I 216 r) შენ ესე: ჯერ-არს თქუენდა მეორედ შობაჲ. |
| 8. სულსა ვიდრეცა უნებნ, ქრინ, და ჴმაჲ მისი გესმინ, არამედ არა იცი[6], ვინაჲ მოვალს და ვიდრე ვალს. ესრეთ არს ყოველი შობილი სულისაგან. | 8. სულსა ვიდრეცა უნებნ, ქრინ, და ჴმაჲ მისი გესმის, არამედ არა იცი, ვინაჲ მოვალს და ვიდრე ვალს. ესრეთ არს ყოველი შობილი სულისაგან. |

---

[1] რამეთუ] — F. [2] ი̄ჳსა F. [3] ღამჱ F. [4] არს F. [5] შენ] — F. [6] იცით FG.

[1] იესუჲსსა K. [2] ვერვის] ვერ K. [3] ნუუკუჱ HI.

| FG | HIK |
|---|---|
| 9. მიუგო ნიკოდემოს და ჰრქუა: ვითარ შესაძლებელ არს ყოფად ესე[1]? | 9. (H 218r) მიუგო ნიკოდიმოს და ჰრქუა მას: ვითარ შესაძლებელ არს ყოფად ესე? |
| 10. (G 227r) ჰრქუა მას იესუ: შენ ხარ მოძღუარი ისრაჱლისაჲ და ესე არა იცია? | 10. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: შენ ხარ მოძღუარი ისრაჱლისაჲ და ესე არა იცია? |
| 11. ამენ, ამენ გეტყჳ შენ, რამეთუ[2]: რომელი ვიცით, ვიტყჳთ, და რომელი ვიხილეთ, ვწამებთ, და წამებასა ჩუენსა არა შეიწყნარებთ. | 11. ამენ, ამენ გეტყჳ შენ, რამეთუ: რომელი ვიცით, ვიტყჳთ, და რომელი ვიხილეთ, ვწამებთ, და წამებასა ჩუენსა არა შეიწყნარებთ. |
| 12. უკუეთუ ქუეყანისაჲ გითხარ თქუენ, და არა გრწამს, ვითარ უკუე[3] ზეცისაჲ გითხრა თქუენ, და გრწმენეს? | 12. უკუეთუ ქუეყანისაჲ გითხარ[1] თქუენ, და არა გრწამს, ვითარ უკუე[2] ზეცისაჲ გითხრა თქუენ, და გრწმენეს? |
| 13. და არავინ აჴდა ზეცად, გარნა რომელ-იგი გარდამოჴდა ზეცით — ძჱ (F 176v) კაცისაჲ. | 13. და არავინ აღჴდა ზეცად, გარნა რომელი-იგი გარდამოჴდა ზეცით — ძე კაცისაჲ, რომელი არს ზეცათა შინა. |
| 14. და ვითარცა-იგი მოსე აღამაღლა გუელი უდაბნოსა, ეგრეთ ჯერ-არს ამაღლებაჲ ძისა კაცისაჲ, | 14. და ვითარცა-იგი მოსე აღამაღლა გუელი[3] უდაბნოს, ეგრეთ ჯერ-არს ამაღლებაჲ ძისა კაცისაჲ, |
| 15. რაჲთა, რომელსა[4] ჰრწმენეს იგი, აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ[5]. | 15. რაჲთა ყოველსა რომელსა ჰრწმენეს იგი, არა წარწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ. |
| 16. რამეთუ ესრეთ შეიყუარა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თჳსი მხოლოდ-შობილი მოსცა მას, რაჲთა ყოველსა რომელსა ჰრწმენეს იგი, არა წარწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ. | 16. (K 230r) რამეთუ ესრეთ შეიყუარა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარმედ[4] (I 210v) ძეცა თჳსი მხოლოდ-შობილი მოსცა მას, რაჲთა ყოველსა რომელსა ჰრწმენეს იგი, არა წარწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ. |
| 17. რამეთუ არა მოავლინა ღმერთმან ძჱ თჳსი სოფლად, რაჲთა დასაჯოს სოფელი, არამედ რაჲთა ცხონდეს[6] სოფელი მის მიერ. | 17. რამეთუ არა მოავლინა ღმერთმან ძე თჳსი სოფლად, რაჲთა დასაჯოს სოფელი, არამედ რაჲთა აცხოვნოს სოფელი მის მიერ. |
| 18. რომელსა ჰრწმენეს მისი, არა ისაჯოს; ხოლო რომელსა არა ჰრწმენეს, აწვე დაშჯილ არს. რამეთუ არა ჰრწმენა სახე(G 227v)ლისა მიმართ ძისა ღმრთისა. | 18. რომელსა ჰრწმენეს მისი, არა დაი(H 218v)საჯოს: ხოლო რომელსა არა ჰრწმენეს, აწვე დასჯილ[5] არს, რამეთუ არა ჰრწმენა სახელისა მიმართ ძისა ღმრთისა მხოლოდ-შობილისა. |
| 19. და ესე არს საშჯელი, რამეთუ ნათელი მოივლინა სოფლად, და შეიყუა- | 19. და ესე არს სასჯელი[6], რამეთუ ნათელი მოვიდა სოფლად, და შეიყუარეს |

---

[1] — ესე ყოფად G. [2] რამეთუ] — F. [3] უკუეთუ G. [4] რომელთა G. [5] საუკ῀ნეჲ G. [6] აცხოვნოს G.

[1] გითხრა HI. K-ს გადამწერსაც ჯერ „გითხრ" გამოუყვანია და მერმე დაუწერია „ა" ზემოდან ხ-სა და რ-ს შორის. [2] უკუჱ HIK. [3] გუჱლი HI. [4] ვ῀დ HI (=ვიდრემდე). [5] დაშჯილ HI. [6] საშჯელი HI.

FG

რუს[1] კაცთა ბნელი, ვიდრე ნათელი, რამეთუ იყვნეს საქმენი მათნი ბოროტ.

20. რამეთუ ყოველი რომელი ბოროტსა იქმს, სძულს მას ნათელი და არა მოვიდის ნათელსა, რაჲთა არა ემხილნენ საქმენი მისნი.

21. ხოლო რომელი იქმნ ჭეშმარიტებასა, მოვიდის ნათელსა, რაჲთა ცხად იყვნენ საქმენი მისნი, რამეთუ ღმრთისა მიერ ქმნულ არიან.

22. ამისა შემდგომად მოვიდა იესუ და მოწაფენი მისნი ქუეყანად ჰურიასტანისა და მუნ იყოფე(F 179r)ოდა მათ თანა და ნათელ-სცემდა.

23. იყო იოვანეცა[2] და ნათელ-სცემდა ენონს[3], მახლობელად სალიმსა, რამეთუ წყალნი ფრიად იყვნეს მუნ, და მოვიდოდეს მრავალნი და ნათელს-იღებდეს.

24. რამეთუ არღა შეერდომილ იყო იოვანე[4] საპყრობილედ.

25. და იყო გამოძიებაჲ მოწაფეთაგან იოვანესთა[5] ჰურიათა განწმედისათჳს.

26. მოვიდეს იოვანესა[6] და ჰრქუეს მას: რაბი, რომელ-იგი[7] იყო შენ თანა წიაღ-იორდანესა, (G 228r) რომლისათჳს შენ სწამე. აჰა იგი ნათელ-სცემს, და ყოველნი მივლენან მისა.

27. მიუგო იოვანე[1] და ჰრქუა მათ: ვერ ჴელ-ეწიფების კაცსა თავით თჳსით მოღებად[8] არცა ერთი რაჲ, უკუეთუ არა არს მოცემულ[9] მისა ზეცით.

28. თქუენ თჳთ მეწამებით მე, რამეთუ ვთქუ[10]: არა ვარ მე ქრისტჱ, არამედ მოვლინებულ ვარ მე[11] წინაშე მისა.

29. რომელსა აქუს სძალი, იგი სიძჱ არს; ხოლო მეგობარი სიძისაჲ რომელი დგას და ესმის მისი, სიხარულით უხარის ჴმითა სიძისაჲთა. ესე სიხარული ჩემი აღსრულებულ არს.

HIK

კაცთა ბნელი, ვიდრე ნათელი, რამეთუ იყვნეს საქმენი მათნი ბოროტ.

20. რამეთუ ყოველი რომელი ბოროტსა იქმს, სძულს მას ნათელი და არა მოვალს ნათელსა, რაჲთა არა ემხილნენ საქმენი მისნი.

21. ხოლო რომელი იქმნ ჭეშმარიტებასა, მოვალს ნათლად, რაჲთა ცხად იყვნენ საქმენი მისნი, რამეთუ ღმრთისა მიერ ქმნულ არიან.

22. ამისა[1] შემდგომად მოვიდა იესუ და მოწაფენი მისნი ქუეყანად[2] ჰურიასტანისა და მუნ იყოფოდა მათ თანა და ნათელ-სცემდა.

23. იყო იოვანეცა და ნათელ-სცემდა ენონს, (I 217r) მახლობელად სალიმსა, რამეთუ წყალნი ფრიად იყვნეს მუნ. და მოვიდოდეს და ნა(K 280v)თელს-იღებდეს მისგან.

24. რამეთუ არღა შეერდომილ იყო იოვანე საპყრობილედ.

25. და იყო გამოძიებაჲ მოწაფეთაგან იოვანესთა ჰურიათა თანა განწმედისათჳს.

26. და მოვიდეს იოვანესა[3] და ჰრქუეს მას: რაბი, რომელი-იგი იყო შენ თანა წიაღ-იორდანესა, რომლისათჳს შენ სწამე, აჰა იგი (H 217r) ნათელ-სცემს, და ყოველნი მივლენან მისა[4].

27. მიუგო იოვანე და ჰრქუა მათ: ვერ ჴელ-ეწიფების კაცსა მოღებად თავით თჳსით არცა ერთი რაჲ, უკუეთუ არა არს მოცემულ მისა[4] ზეცით.

28. თქუენ თჳთ მეწამებით მე, რამეთუ ვთქუ: არა ვარ მე ქრისტე, არამედ მოვლინებულ ვარ წინაშე მისა[4].

29. რომელსა აქუნდეს სძალი, იგი სიძე არს; ხოლო მეგობარი სიძისაჲ რომელი დგას და ესმის მისი. სიხარულით (K 231r) უხარის[5] ჴმითა სიძისაჲთა. ესე უკუე[6] სიხარული ჩემი აღსრულებულ არს.

---

[1] შეიყურეს G (უქარაგმოდ). [2] ი̃ნჱცა G. [3] ენომს G. [4] ი̃ნჱ G. [5] ი̃ნჱსთა G. [6] ი̃ნჱსა G. [7] რომელი-იგი G. [8] ~ მოღებად თავით თჳსით G. [9] მოცემუ F, მოცემელი G. [10] ვთქჳ G. [11] მე] — F. G-შიც მერმეა ჩამატებული.

[1] ამისსა K. [2] ქუჱყანად I. [3] იოვანესსა K. [4] მისსა K. [5] უხარინ K. [6] უკუჱ HIK.

| FG | HIK |
|---|---|
| 30. მისა ჯერ-არს ალორძინებაჲ, ხოლო ჩემდა დაკლებაჲ. | 30. მისა ჯერ-არს ალორძინებად, ხოლო ჩემდა მოკლებად. |
| 31. ზეგარდამო მომავალი იგი ყოველთა ზედა არს. და რომელი არს ქუეყანით, ქუეყანისაგანი ა(F 170ц/)რს და ქუეყანისასა იტყჳს, ხოლო ზეცით მომავალი, | 31. ზეგარდამომავალი იგი ყოველთა ზედა არს. და რომელი არს (I 217ц/) ქუეყანით, ქუეყანისაგანი არს და ქუეყანისასა იტყჳს, ხოლო ზეცით მომავალი ყოველთა ზედა არს. |
| 32. რომელი იხილა და ესმა, ამას წამებს, და წამებასა მისსა[1] არავინ მიიღებს. | 32. და რომელი იხილა და ესმა, ამას წამებს, და წამებასა მისსა არავინ მიიღებს. |
| 33. რომელმან მიიღო წამებაჲ მისი, დაჰბეჭდა, რამეთუ ღმერთი ჭეშმარიტ არს. | 33. რომელმან მიიღო წამებაჲ მისი, დაჰბეჭდა, რამეთუ ღმერთი ჭეშმარიტ არს. |
| 34. და რომელი მოავლინა ღმერთმან, სიტყუათა ღმრთისათა[2] იტყჳს, რამეთუ არა ზომით მოსცა ღმერთმან სული. | 34. და რომელი მოავლინა ღმერთმან, სიტყუათა ღმრთისათა იტყჳს, რამეთუ არა ზომით მოსცა ღმერთმან სული. |
| 35. (G 228ц/) მამასა უყუარს ძჱ და ყოველივე მოსცა ჴელთა მისთა. | 35. მამასა უყუარს ძე და ყოველივე მოსცა ჴელთა მისთა. |
| 36. რომელსა ჰრწმენეს ძჱ, აქუს ცხორებაჲ საუკუნოჲ, ხოლო რომელი ურჩ[3] იყოს ძისაგან, არა იხილოს ცხორებაჲ, არამედ რისხვაჲ ღმრთისაჲ დადგრომილ არს მას ზედა. | 36. რომელსა ჰრწმენეს ძე, (H 217ц/) აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ, ხოლო რომელი ურჩ იყოს ძისა, არა იხილოს ცხორებაჲ, არამედ რისხვაჲ ღმრთისაჲ დადგრომილ არს მის ზედა. |

## 4

| | |
|---|---|
| 1. ვითარცა გულისხმა-ყო[4] უფალმან, რამეთუ ესმა ფარისეველთა. ვითარმედ იესუს უმრავლესნი უსხენ მოწაფენი და ნათელ-სცემს. ვიდრე იოვანეს[5], | 1. ვითარცა გულისჴმა-ყო უფალმან, რამეთუ ესმა ფარისეველთა, ვითარმედ იესუს უმრავლესნი მოწაფენი უსხენ და ნათელ-სცემს, ვიდრე იოვანეს, |
| 2 რამეთუ თჳთ იესუ არა ნათელ-სცემდა, არამედ მოწაფენი მისნი, | 2. რამეთუ თჳთ იესუ არა ნათელ-სცემდა, არამედ მოწაფენი მისნი, |
| 3. დაუტევა ჰურიასტანი და წარვიდა გალილეად. | 3. დაუტევა ჰურიასტანი და წარვიდა გალილეად. |
| 4. ხოლო თავადი განსლვად იყო სამარიაჲთ. | 4. ხოლო თავადი განსლვად იყო სამარიაჲთ. |
| 5. და მოვიდა იგი ქალაქსა სამარიაჲსასა, რომელსა ჰრქჳან[6] სჳქარ[7], მახლობელად დაბასა, რომელი მისცა იაკობ იოსებს, ძესა თჳსსა[8]. | 5. და მივიდა ქალაქსა სამარიტელთასა, რომელსა ჰრქჳან სუქარ, მახლობელად დაბასა, რომელი მისცა იაკობ იოსებს, ძესა თჳსსა. |

---

[1] მისა F. [2] სიტყუთა ღმრთისაჲთა G. [3] ურჩი G. [4] გულისჴმა-ყო F. [5] ი҃ნჱს G. [6] ჰქჳან F. [7] სუქარ G. [8] თჳსა F.

FG

6. და იყო მუნ წყაროჲ იაკობისი. ხოლო იესუ, მაშურალი გზისა სლვისაგან[1], ჴდა წყაროსა მას ზედა. ჟამი იყო ვითარ მეექუსე.

7. მოვიდა დედაკაცი სამარიაჲთ ვსებად წყლისა. ჰრქუა მას იესუ: მასუ მე (F 180r) წყალი.

8. რამეთუ მოწაფენი მისნი წარსრულ იყვნეს ქალაქად, რაჲთა საზრდელი იყიდონ.

9. (G 229r) ჰრქუა მას დედაკაცმან მან სამარიტელმან: ვითარ, შენ ჰურიაჲ ხარ და ჩემგან წყალსა ითხოვ, სამარიტელისა დედაკაცისაგან? რამეთუ არა შეეხნიან ჰურიანი სამარიტელთა.

10. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: უკუეთუმცა იცოდე შენ ნიჭი ღმრთისაჲ და ვინ არს, რომელი გეტყჳს შენ: „მეც მე წყალი, რაჲთა ვსუა", შენმცა სთხოვე მას, და გცა წყალი ცხოველი.

11. ჰრქუა მას დედაკაცმან მან: უფალო, არცა სავსებელი გაქუს, და ჯურღმული ესე ღრმა[2] არს. ვინაჲ გაქუს შენ წყალი ცხოველი?

12. ნუუკუე შენ უფროჲს ხარ მამისა ჩუენისა იაკობისა, რომელმან ესე ჯურღმული მომცა ჩუენ? და იგი თავადი ამისგან სუმიდა და ძენი მისნი და საცხოვარი[3] მისი.

13. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: ყოველი რომელი სუამს წყლისა ამისგან, სწყუროდის კუალად.

14. ხოლო რომელმან სუას წყლისაგან, რომელი მე მივსცე მას, არღარა სწყუროდის უკუნისამდე, არამედ წყალი რომელი მე მივსცე მას, ექმნეს მას შინა წყარო წყლის, რომელი ვიდოდის ცხორებად საუკუნოდ.

15. ჰრქუა დედაკაცმან მან: უფალო, მეც მე წყალი ეგე, რაჲთა არა მწყუროდის და არცა მოვიდე აქა ვსებად.

HIK

[6. და იყო მუნ წყ(K 231v)აროჲ (I 218r) იაკობისი. ხოლო იესუ, მაშურალი გზისა სლვისაგან, ჴდა წყაროსა მას ზედა. ჟამი იყო ვითარ მეექუსე.

7. მოვიდა დედაკაცი სამარიაჲთ ვსებად წყლისა. ჰრქუა მას იესუ: მასუ მე წყალი.

8. რამეთუ მოწაფენი მისნი წარსრულ იყვნეს ქალაქად, რაჲთა საზრდელი იყიდონ.

9. ჰრქუა მას დედაკაცმან მან სამარიტელმან: ვითარ, შენ ჰურიაჲ ხარ და ჩემგან წყალსა ითხოვ, სამარიტელისა დედაკაცისაგან? რამეთუ არა შეეხნიან ჰურიანი სამარიტელთა.

10. (H 218r) მიუგო იესუ და ჰრქუა მას: უკუეთუმცა იცოდე შენ ნიჭი ღმრთისაჲ და ვინ არს, რომელი გეტყჳს შენ: „მეც მე წყალი, რაჲთა ვსუა", შენმცა სთხოვე მას, და გცამცა წყალი ცხოველი.

11. ჰრქუა მას დედაკაცმან მან: უფალო, არცა სავსებელი გაქუს, და ჯურღმული ესე ღრმა არს. ვინაჲ გაქუს შენ წყალი ცხოველი?

12. ნუუკუე[1] შენ უფროჲს ხარა მამისა ჩუენისა იაკობისა, რომელმან ესე ჯურღმული მომცა ჩუენ? და იგი თავადი ამისგან სუმიდა და ძენი მისნი (K 232r) და საცხოვარი მისი.

13. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: ყოველი რომელი სუმიდეს (I 216v) წყლისა ამისგან, სწყუროდის კუალადცა.

14. ხოლო რომელმან სუას წყლისა მისგან, რომელი მე მივსცე მას, არღარა სწყუროდის უკუნისამდე, არამედ წყალი რომელი მე მივსცე მას, იქმნეს მის შორის წყარო წყლის, რომელი ვიდოდის ცხორებად საუკუნოდ.

15. ჰრქუა დედაკაცმან მან: უფალო, მეც მე წყალი ესე, რაჲთა არა მწყუროდის, არცაღა მოვიდე აქა ვსებად.

---

[1] გზისაგან სლვისა FG. [2] ღრმაჲ F. [3] საცხოარი F.

[1] ნეუკუჱ HIK.

FG

16. (G 229v/) ჰრქუა მას იესუ: წარვედ და მოხადე ქმარსა შენსა (F 180v/) და მოვედ აქა.

17. მიუგო დედაკაცმან მან და ჰრქუა: არა მივის ქმარი. ჰრქუა მას იესუ: ეგე კეთილად სთქუ, რამეთუ არა გივის ქმარი,

18. რამეთუ ხუთ ქმარ გესხნეს, და აწ რომელი გივის, არა არს ქმარი შენი; ეგე ჭეშმარიტი[1] სთქუ.

19. ჰრქუა მას დედაკაცმან მან: უფალო, ვხედავ, ვითარმედ წინაწარმეტყუელი ხარ შენ.

20. მამანი ჩუენნი მთასა ამას თაყუანის-სცემდეს, და თქუენ იტყჳთ, ვითარმედ: იერუსალჱმს არს ადგილი, სადა ჯერ-არს თაყუანის-ცემაჲ.

21. ჰრქუა მას იესუ: დედაკაცო, გრწმენინ ჩემი, რამეთუ მოვალს ჟამი, ოდეს არცა ამას მთასა. არცა იერუსალჱმსა, არამედ თაყუანის-სცემდეთ მამასა.

22. თქუენ თაყუანის-სცემთ, რომელი არა იცით, ხოლო ჩუენ თაყუანის-ვსცემთ, რომელი ვიცით, რამეთუ ცხორებაჲ ჰურიათაგან არს.

23. არამედ მოვალს ჟამი, და აწვე არს, ოდეს ჭეშმარიტნი[2] თაყუანის-მცემელნი თაყუანის-სცემდენ მამასა სულითა და ჭეშმარიტებითა. რამეთუ[3] მამაჲ ეგევითართა ეძიებს თაყუანის-მცემელთა მისთა.

24. სულ არს ღმერთი. და თაყუანის-მცემელთა მისთა სულითა და ჭეშმარიტებითა ჯერ-არს თაყუანის-ცემაჲ.

25. (G 230r) ჰრქუა დედაკაცმან მან იესუს: ვიცი, რამეთუ მესია მოვალს, რომელსა ჰრქჳან[4] ქრისტე[5]. ოდეს მოვიდეს იგი, მითხრას ჩუენ ყოველი.

26. ჰრქუა მას იესუ: მე ვარ, რომელი გეტყჳ შენ.

HIK

16. ჰრქუა მას იესუ: წარვედ და მოხადე ქმარსა შენსა და მოვედ აქა.

17. მიუგო დედაკაცმან მან და ჰრქუა: არა მივის ქმარი. ჰრქუა მას იესუ: კეთილად სთქუ, (H 218v/) ვითარმედ: არა მივის ქმარი,

18. რამეთუ ხუთ ქმარ გესხნეს, და აწ რომელი გივის, არა არს ქმარი შენი; ესე ჭეშმარიტი სთქუ.

19. ჰრქუა მას დედაკაცმან მან: უფალო, ვხედავ, რამეთუ წინაწარმეტყუელი[1] ხარ შენ.

20. მამანი ჩუენნი მთასა ამას თაყუანის-სცემდეს, და თქუენ იტყჳთ, ვითარმედ: იერუსალჱმს[2] არს ადგილი, სადა ჯერ-არს თაყუანის-ცემაჲ.

21. ჰრქუა მას იესუ: დედაკაცო, გრწმენინ ჩემი, რამეთუ მოვალს (K 282v/) ჟამი, ოდეს არცა ამას მთასა, არცა იერუსალჱმს[3] თაყუანის-სცემდეთ მამასა.

22. თქუენ თაყუანის-სცემთ, რომელი არა იცით, ხოლო ჩუენ თაყუანის-ვსცემთ, რომელი (I 210r) ვიცით, რამეთუ ცხორებაჲ ჰურიათაგან არს.

23. არამედ მოვალს ჟამი, და აწვე არს, ოდეს ჭეშმარიტნი თაყუანის-მცემელნი თაყუანის-სცემდენ მამასა სულითა და ჭეშმარიტებითა, რამეთუ მამაჲცა ეგევითართა ეძიებს თაყუანის-მცემელთა მისთა.

24. სულ არს ღმერთი, და თაყუანის-მცემელთა მისთა სულითა და ჭეშმარიტებითა თანა-აც თაყუანის-ცემაჲ.

25. ჰრქუა მას დედაკაცმან მან: ვიცი, რამეთუ მესია მოვალს, რომელსა ჰრქჳან ქრისტე. ოდეს მოვიდეს იგი, მითხრას ჩუენ ყოველი.

26. ჰრქუა მას იესუ: მე ვარ, რომელი გეტყჳ შენ.

---

[1] ჭეშმარიტაჲ G. [2] ჭეშმარიტაჲ F. [3] და რამეთუ G. [4] ჰქჳან F. [5] ქ͞ჱ FG.

[1] წ͞წყლ HI. წინაჲსწარმეტყუელ K. [2] ი͞ჱლჱმს HI, ი͞ჱლჱს K. [3] ი͞ჱჱს H, ი͞ჱლჱმს I, ი͞ჱლმს K.

| FG | HIK |
|---|---|
| 27. და ამას სიტყუასა ოდენ მოვიდეს მოწაფენი მ(F 181r)ისნი და უკჳრდა, რამეთუ დედაკაცისა თანა იტყოდა. და არავინ ჰრქუა მას: რასა ეძიებ, ანუ რასა იტყჳ მის თანა? | 27. და ამას ოდენ სიტყუასა ზედა მოვიდეს მოწაფენი მისნი და უკჳრდა, რამეთუ დედაკაცისა თანა იტყოდა. (H 219r) და არავინ ჰრქუა მას: რასა ეძიებ, ანუ რასა იტყჳ მის თანა? |
| 28. დაუტევა სარწყული იგი მისი დედაკაცმან მან და წარვიდა ქალაქად და უთხრა კაცთა მათ ყოველივე: | 28. დაუტევა უკუე[1] სარწყული იგი მისი დედაკაცმან მან და წარვიდა ქალაქად და უთხრა კაცთა მათ: |
| 29. მოვედით და იხილეთ კაცი, რომელმან მითხრა მე ყოველი, რაჲცა ვქმენ. ნუუკუე ესე არს ქრისტჱ? | 29. მოვედით და იხილეთ კაცი, რომელმან მითხრა მე ყოველი, რაჲცა ვქმენ. ნუუკუე[2] იგი (K 293r) არს ქრისტე? |
| 30. გამოვიდეს ქალაქით და მოვიდეს მისა. | 30. გამოვიდეს ქალაქით და მოვიდოდეს მისა[3]. |
| 31. და ამას ოდენ სიტყუასა ეტყოდეს მას მოწაფენი და ჰრქუეს: რაბი, ჭამე! | 31. და ვიდრე-იგი მოვიდოდეს, (I 219v) ამას ოდენ სიტყუასა ეტყოდეს მას მოწაფენი და ჰრქუეს: რაბი, ჭამე! |
| 32. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: მე ჰამადი მაქუს ჰამად, რომელი თქუენ არა იცით. | 32. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: მე ჰამადი მაქუს ჰამად, რომელი თქუენ არა იცით. |
| 33. იტყოდეს მოწაფენი ურთიერთას[1]: მო-ვინმე-ართუა ჰამადი? | 33. იტყოდეს მოწაფენი ურთიერთას: ნუუკუე[2] მო-ვინმე-ართუა მას ჰამადი? |
| 34. ჰრქუა მათ იესუ: ჩემი ჰამადი არს, რაჲთა ვყო ნებაჲ მომავლინებელისა ჩემისაჲ და აღვასრულო საქმე მისი. | 34. ჰრქუა მათ იესუ: ჩემი ჰამადი არს, რაჲთა ვყო ნებაჲ მომავლინებელისა ჩემისაჲ და აღვასრულო საქმე მისი. |
| 35. არა თქუენ იტყჳთა, ვითარმედ: ოთხლა თთუე[2] (G 230v) არიან, და მოვალს მკაჲ? აჰა ესერა მე გეტყჳ თქუენ: აღიხილენით თუალნი თქუენნი და იხილეთ ყანები, რამეთუ სპეტაკ არიან სამკალად აწჳე. | 35. არა თქუენ იტყჳთა, ვითარმედ: ოთხლა თუე[4] არიან, და მოვალს მკაჲ? აჰა ესერა მე გეტყჳ თქუენ: აღიხილენით თუალნი თქუენნი და იხილეთ ყანები, რამეთუ სპეტაკ არიან სამკალად აწჳე. |
| 36. და მომკალმან სასყიდელი თჳსი მოიღოს და შეკრიბოს ნაყოფი ცხორებად საუკუნოდ, რაჲთა მთესვარსა და მომკალსა ერთბამად უხაროდის მის თანა. | 36. და მომკალმან სასყიდელი თჳსი მოიღოს[5] და შეკრიბოს ნაყოფი ცხორებად საუკუნოდ, რაჲთა (H 219v) მთესვარსა და მომკალსა ერთბამად უხაროდის მის თანა. |
| 37. რამეთუ ამით არს სიტყუაჲ იგი ჭეშმარიტი, ვითარმედ სხუაჲ არს, რომელმან სთესა, და სხუაჲ არს მომკალი. | 37. რამეთუ ამით არს ჭეშმარიტ სიტყუაჲ იგი, ვითარმედ სხუაჲ არს მთესვარი, და სხუაჲ არს მომკალი. |
| 38. მე წარგავლინებ (F 181v) თქუენ მკალ, რომელსა თქუენ არა დაშუ- | 38. მე წარგავლინებ თქუენ მკალ, რომელსა თქუენ არა დაშუე(K 293v)- |

---

[1] ურთიერთარს F. [2] თუე G.

[1] უკუჱ HIK. [2] ნუუკუჱ HIK. [3] მისსა K. [4] თუჱ HI. [5] მიიღოს K.

**FG**

ერით, სხუანი დამაშურალ არიან და თქუენ შრომილსა მათსა შემოხუედით.

39. ხოლო ქალაქისა მისგანთა მრავალთა ჰრწმენა მისა მიმართ, სამარიტელთა მათ, სიტყჳთა მის დედაკაცისაჲთა, რამეთუ წამებდა, ვითარმედ: ყოველივე მითხრა მე, რავდენი ვქმენ.

40. და ვითარცა მოვიდეს მისა სამარიტელნი იგი, ეტყოდეს მას, რაჲთა დაადგრეს მათ თანა. და დაადგრა მუნ ორ დღე[1].

41. და უფროჲსსა[2] სიმრავლესა ჰრწმენა სიტყუათა მისთაჲ.

42. და ეტყოდეს დედაკაცსა მას, ვითარმედ: არღარა სიტყჳთა შენითა (G 231r) გურწამს, რამეთუ ჩუენ თჳთ გუესმა მისგან და უწყით, რამეთუ ესე არს ჭეშმარიტად მაცხოვარი სოფლისაჲ.

43. და შემდგომად ორისა მის დღისა გამოვიდა მიერ გალილეად.

44. რამეთუ თავადი იესუ წამებდა, ვითარმედ: წინაწარმეტყუელსა თჳსსა სოფელსა პატივი არა აქუს.

45. და ოდეს მოვიდა გალილეად, შეიწყნარეს იგი გალილეველთა, რამეთუ ყოველი ეხილვა, რავდენი ქმნა იერუსალჱმს დღესასწაულსა[3] მას, და იგინიცა მისრულ იყვნეს დღესასწაულსა[3] მას.

46. მოვიდა მერმეცა იესუ კანად გალილეაჲსა. სადა-იგი ქმნა წყალი ღჳნოდ. (F 182r) და იყო ვინმე სამეუფოჲთ მოსრული კაცი, რომლისა ძჱ სნეულ იყო კაფარნაუმს[4].

47. ამას ესმა ვითარმედ: იესუ მოსრულ არს ჰურიასტანით გალილეად; მოვიდა მისა და[5] ევედრებოდა, რაჲთა მივიდეს მის თანა და განკურნოს ძჱ იგი მისი, რომელი მიახლდა[6] სიკუდილდ[7].

**HIK**

რით[1], სხუნი[2] დამაშურალ არიან, და თქუენ შრომილსა მათსა შემოხუედით[3].

39. ხოლო ქალაქისა მისგანთა (I 220r) მრავალთა ჰრწმენა მისა[4] მიმართ, სამარიტელთა მათ, სიტყჳთა მის[5] დედაკაცისაჲთა, რამეთუ წამებდა, ვითარმედ: ყოველივე მითხრა მე, რაოდენი ვქმენ.

40. და ვითარცა მოვიდეს მისა[4] სამარიტელნი იგი, ევედრებოდეს მას, რაჲთა დაადგრეს მათ თანა. და დაადგრა მუნ ორ დღე.

41. და უფროჲსსა სიმრავლესა ჰრწმენა სიტყუათა მისთაჲ.

42. და ეტყოდეს დედაკაცსა მას, ვითარმედ: არღარა სიტყჳთა შენითა გურწამს, რამეთუ ჩუენ თჳთ გუესმა[6] მისგან და უწყით, რამეთუ ესე არს ჭეშმარიტად მაცხოვარი სოფლისაჲ, ქრისტე.

43. შემდგომად ორისა მის დღისა გამოვიდა მიერ და წარვიდა გალილეად.

44. რამეთუ თავადი იესუ წამებდა, ვითარმედ: წინაწარმეტყუელსა თჳსსა სოფელსა პატივი არა აქუს.

45. ოდეს მივიდა გალი(H 220r)ლეად, შეიწყნარეს იგი გალილეველთა, რამეთუ ყოველი ეხილვა, რაოდენი[7] ქმნა იერუსალჱმს დღესასწაულსა მას და რამეთუ იგინიცა მოსრულ იყვნეს დღესასწაულსა მას.

46. მოვიდა იესუ მერმეცა კანად გალილეაჲსა, (K 234r) სადა-იგი ქმნა წყალი ღჳნოდ. და იყო ვინმე სამეუფოჲთ მოსრული (I 220v) კაცი, რომლისა ძე სნეულ იყო კაპერნაუმს.

47. ამას ესმა, ვითარმედ: იესუ მოსრულ არს ჰურიასტანით გალილეას; მოვიდა მისა[4] და ევედრებოდა, რაჲთა მივიდეს მის თანა და განკურნოს ძე იგი მისი, რომელი მიახდა სიკუდილდ[8].

---

[1] დღჱ FG. [2] უფროსსა G. [3] დღჱსასწაულსა G. [4] კაფარნაომს G. [5] და] — G. [6] მიახდა G. [7] სიკუდილსა F.

[1] დაშჳრით HIK. [2] და სხუანი HI. [3] შემოხჱდით HIK. [4] მისსა K. [5] მის] მათ I. [6] გჳსმა HI. [7] რავდენი HI. [8] სიკუდილად K.

| FG | HIK |
|---|---|
| 48. ჰრქუა მას იესუ: უკუეთუ არა იხილოთ სასწაულები და ნიშები, არა გრწმენეს. | 48. ჰრქუა მას იესუ: უკუეთუ არა იხილოთ სასწაულები და ნიშები, არა გრწმენეს. |
| 49. ჰრქუა მას სამეუფოჲსამან მან კაცმან: (G 231ვ) უფალო, მოვედ პირველად ვიდრე მოსიკუდილდმდე[1] ყრმისა მის. | 49. ჰრქუა მას სამეუფოჲსა კაცმან მან: უფალო, მოვედ პირველად მოსიკუდილადმდე ძისა ჩემისა. |
| 50. ჰრქუა მას იესუ: ვიდოდე. ცოცხალ არს ძჱ შენი. და ჰრწმენა კაცსა მას სიტყუაჲ იგი, რომელი ჰრქუა მას იესუ, და წარვიდა. | 50. ჰრქუა მას იესუ: ვიდოდე, ცოცხალ არს ძე შენი. და ჰრწმენა კაცსა მას სიტყუაჲ იგი, რომელი ჰრქუა მას იესუ, და წარვიდა. |
| 51. და ვითარცა მი-ოდენ-ვიდოდა იგი, მონანი მისნი მოეგებვოდეს მას და უთხრეს და ჰრქუეს, ვითარმედ: ძჱ შენი ცოცხალ არს. | 51. და ვითარცა მი-ოდენ-ვიდოდა იგი, მონანი მისნი მოეგებვოდეს მას და უთხრეს და ჰრქუეს, ვითარმედ: ძე შენი ცოცხალ არს. |
| 52. ჰკითხვიდა მათ: რომელსა ჟამსა უმოლხინეს იქმნა? ჰრქუეს მას: გუშინ მეშჳდესა ჟამსა დაუტევა იგი მჴურვალებამან. | 52. ჰკითხვიდა (K 234ვ) მათ: რომელსა ჟამსა უმოლხინეს იქმნა? (H 220ვ) ჰრქუა მას: გუშინ მეშჳდესა ჟამსა ოდენ დაუტევა იგი მჴურვალებამან. |
| 53. მოეჴსენა მამასა მის ყრმისასა, რამეთუ მას ჟამსა ოდენ ჰრქუა მას იესუ, ვითარმედ: ძჱ შენი ცოცხალ არს. და ჰრწმენა მას და ყოველთა სახლეულთა მისთა. | 53. მოეჴსენა მამასა მის ყრმისასა, რამეთუ მას ჟამსა ოდენ ჰრქუა მას იესუ, ვითარმედ: ძე შენი ცოცხალ არს. და ჰრწმენა მას და ყოველთა სახლეულთა მისთა. |
| 54. ესე კუალად მეორე სასწაული ქმნა იესუ, მო-რაჲ-(F 182ვ)ვიდა ჰურიასტანით გალილეად. | 54. ესე კუალად მეორე სასწაული ქმნა იესუ, მო-რაჲ-(I 221რ)ვიდა ჰურიასტანით გალილეად. |

## ე̄

| | |
|---|---|
| 1. ამისა შემდგომად იყო დღესასწაული[2] ჰურიათაჲ, და აღვიდა იესუ იერუსალჱმდ. | 1. ამისა[1] შემდგომად იყო დღესასწაული ჰურიათაჲ, და აღვიდა იესუ იერუსალჱმდ[2]. |
| 2. და არს იერუსალჱმს ცხოვართა[3] საბანელსა მას ტბაჲ, რომელსა ჰრქჳან[4] ებრაელებრ ბითესდა[5]; ხუთ სტოვა იყო. | 2. და არს იერუსალჱმს ცხოვართა საბანელსა მას ტბაჲ, რომელსა ჰრქჳან ებრაელებრ ბითეზდა[3], და ხუთ სტოვა იყო. |
| 3. (G 232რ) ამას შინა იყოფოდა[6] სიმრავლე უძლურთაჲ[7], ბრმები, მკელობლები[8], განჴმელები, რომელნი ელიედ წყლისა მის აღმრღუევასა[9]. | 3. ამას შინა ისხა სიმრავლე უძლურთაჲ, ბრმები, მკელობლები[4], განჴმელები, რომელნი მოელიედ წყლისა მის აღმრღუევასა[5]. |

---

[1] მოსიკუდილმდე G. [2] დღჱსასწაული G. [3] ცხოართა F. [4] ჰქჳან F. [5] ტიბითეს და F. ტბითესჳდა G. [6] იყოფეოდა G. [7] უძრულთაჲ G. [8] მკელობრები G. [9] ამრღუევასა G.

[1] ამისსა HIK. [2] ი̅ჱლმდ HK, ი̅ჱლიმდ I. [3] ვითეზდა K. [4] მკელობრები HI. [5] აღმრღუჱვასა HI.

| FG | HIK |
|---|---|
| 4.* რამეთუ ანგელოზი წლითი წლად გარდამოჴდის საბანელსა მას და შეძრის წყალი იგი: და რომელი უწინარეს შთავიდის წყლისა მის ამრღუევასა, განიკურნის ყოველთაგან უძლურებათა[1]. | 4. რამეთუ ანგელოზი წლითი წლად გარდამოვიდოდა საბანელსა მას და აღამრღვის წყალი იგი; და რომელიცა პირველ შთავიდის აღმრღუევასა[1] მას წყლისასა, განიკურნის, რომლითაცა შეპყრობილ არნ სნეულებითა. |
| 5. იყო ვინმე მუნ კაცი, რომელსა ოც[2] და ათრვამეტი[3] წელი დაეყო უძლურებასა[4] შინა. | 5. (K 234r) იყო ვინმე მუნ კაცი, რომელსა ოც და ათრვამეტი წელი დაეყო უძლურებასა შინა. |
| 6. ესე იხილა იესუ მდებარჱ[5] და გულისხმა-ყო[6], რამეთუ მრავალი წელი აქუს უძლურებასა[4] შინა. ჰრქუა მას იესუ: გნებავსა, რაჲთა განიკურნო? | 6. ესე იხილა იესუ მდებარე (H 221 r) და გულისჴმა-ყო, რამეთუ მრავალი წელი აქუს უძლურებასა შინა. ჰრქუა მას იესუ: გნებავსა, რაჲთა განიკურნო? |
| 7. მიუგო უძლურმან[7] მან და ჰრქუა: უფალო, კაცი არა მაქუს, რაჲთა, რაჟამს წყალი ესე აღიმრღუეს, შთა-მცა-მაგდო საბანელსა ამას. ვიდრე მე მოვიდოდი, სხუაჲ უწინარეს ჩემსა შთაჴდის და განიკურნის. | 7. მიუგო უძლურმან მან და ჰრქუა: უფალო, კაცი არა მაქუს, რაჲთა, რაჟამს წყალი ესე აღიმრღუეს[2], და შთა-მცა-(I 221v)მაგდო საბანელსა ამას. ვიდრე მე მოვიდოდი, სხუაჲ უწინარეს ჩემსა შთავიდის და განიკურნის. |
| 8. ჰრქუა მას იესუ: აღდეგ და[8] აღიღე ცხედარი შენი და ვიდოდე! | 8. ჰრქუა მას იესუ: აღდეგ, აღიღე ცხედარი შენი და ვიდოდე! |
| 9. განცოცხლდა კაცი იგი და აღიღო ცხედარი თვსი და წარვიდა. (G 232v) ხოლო იყო შაბათი დღჱ[9] იგი. | 9. და მეყსეულად განცოცხლდა კაცი იგი და აღიღო ცხედარი თჳსი და წარვიდა. ხოლო იყო შაბათი დღე იგი. |
| 10. ეტყოდეს მას ჰურიანი იგი: შაბათი არს, და არა ჯერ-არს შენდა აღებად[10] ცხედარი შენი. | 10. ეტყოდეს მას ჰურიანი იგი: შაბათი არს, და არა ჯერ-არს შენდა აღებად ცხედარი შენი. |
| 11. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა მათ: რომელმან-იგი განმკურნა (F 183r) მე, მან მრქუა: აღიღე ცხედარი შენი და ვიდოდე! | 11. (K 235v) ხოლო მან მიუგო და ჰრქუა მათ: რომელმან-იგი განმკურნა მე, მან მრქუა: აღიღე ცხედარი შენი და ვიდოდე! |
| 12. ჰკითხვიდეს მას ჰურიანი იგი და ჰრქუეს: ვინ არს, რომელმან გრქუა შენ: აღიღე ცხედარი შენი და ვიდოდე? | 12. ჰკითხვიდეს უკუე[3] მას ჰურიანი იგი და ჰრქუეს: ვინ არს კაცი იგი, რომელმან გრქუა შენ: აღიღე ცხედარი შენი და ვიდოდე? |
| 13. ხოლო განკურნებულმან მან არა უწყოდა, ვინ არს, რამეთუ იესუ მიეფარა, რამეთუ ერი იყო ადგილსა მას. | 13. ხოლო განკურნებულმან მან არა უწყოდა, ვინ არს, რამეთუ იესუ მიეფარა, რამეთუ ერი იყო ადგილსა მას. |
| 14. ამისა შემდგომად პოვა იგი იესუ ტაძარსა მას შინა და ჰრქუა მას: აჰა ესე- | 14. ამისსა[4] შემდგომად პოვა იგი იესუ ტაძარსა მას შინა და ჰრქუა მას: აჰა |

---

[1] უძრულებათა G. [2] ჳც G. [3] ათურამეტი F. [4] უძრულებასა G. [5] მდებარე G. [6] გულისჴმა-ყო F. [7] უძრულმან G. [8] და] — G. [9] დღე F. [10] აღებად] + შენდა G.

* მუხლი 4 F-ს არ მოეპოვება. ტექსტი მოყვანილია მხოლოდ G-ს მიხედვით.

[1] აღმრღუჱვასა HI. [2] აღიმრღუჱს HI. [3] უკუჱ HI. [4] ამისსა K.

| FG | HIK |
|---|---|
| რა ცოცხალ იქმენ, ნულარა სცოდავ, რაჲთა არა უძჳრესი რაჲმე გეყოს შენ. | ცოცხალ იქ(H 221v)მენ, ნულარა სცოდავ, რაჲთა არა უძჳრესი რაჲმე გეყოს შენ. |
| 15. წარვიდა კაცი იგი და უთხრა ჰურიათა მათ, ვითარმედ: იესუ არს, რომელმან განმკურნა მე. | 15. წარვიდა კაცი იგი და უთხრა ჰურიათა მათ, ვითარმედ: იესუ არს, რომელმან განმკურნა მე. |
| 16. და[1] ამისთჳს სდევნიდეს ჰურიანი იგი იესუს, რამეთუ ამას იქმოდა შაბათსა შინა. | 16. და ამისთჳს სდევნიდეს ჰურიანი იგი იესუს და ენება მოკლვაჲ მისი, (I 222r) რამეთუ ამას იქმოდა შაბათთა შინა. |
| 17. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ: მამაჲ ჩემი მოაქამდე იქმს, და მეცა ვიქმ. | 17. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ: მამაჲ ჩემი მოაქამომდე იქმს, და მეცა ვიქმ. |
| 18. ამისთჳს უფროჲს[2] ხოლო ეძიებდეს ჰურიანი იგი მოკლვად იესუს, რამეთუ არა ხოლო თუ შაბათსა დაჰჴსნიდა, (G 238r) არამედ ღმერთსაცა მამად თჳსა იტყოდა და თავსა თჳსსა[3] სწორ ჰყოფდა ღმრთისა. | 18. ამისთჳს უფროჲს ხოლო ეძიებდეს ჰურიანი იგი მოკლვად იესუს, რამეთუ არა ხოლო თუ შაბათსა დაჰჴსნიდა, არამედ ღმერთსაცა მამად თჳსა[1] იტყოდა და თავსა თჳსსა სწორ ჰყოფდა ღმრთისა. |
| 19. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ: არა ჴელ-ეწიფების ძესა[4] კაცისასა საქმედ თავით თჳსით არცა ერთი რაჲ, უკუეთუ არა იხილოს რაჲმე მამისაგან საქმჱ[5], რამეთუ რავდენსა-იგი მამაჲ იქმს, მას ძჱ ეგრეთვე[6] მსგავსად იქმს. | 19. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ: არა ჴელ-ეწიფების ძესა კაცისასა საქმედ (K 230r) თავით თჳსით არცა ერთი რაჲ, უკუეთუ[2] არა იხილოს რაჲმე მამისაგან საქმე, რამეთუ რავდენსა-იგი მამაჲ იქმს, მას ძე ეგრეთვე მსგავსად იქმს. |
| 20. რამეთუ მამასა უყუარს ძჱ და ყოველსავე უჩუენებს მას, (F 183v) რავდენსაცა-იგი იქმს, და უფროჲსიცა ამისა[7] უჩუენოს მას საქმე, რაჲთა თქუენ გიკჳრდეს. | 20. რამეთუ მამასა უყუარს ძე და ყოველსავე უჩუენებს[3] მას, რაოდენსაცა-იგი იქმს, და უფროჲსიცა ამისა[4] უჩუენოს[5] მას საქმე, რაჲთა თქუენ[6] გიკჳრდეს. |
| 21. რამეთუ ვითარცა-იგი მამაჲ აღადგინებს მკუდართა და აცხოვნებს, ეგრეთცა[8] ძჱ, რომელთაჲ ჰნებავს, აცხოვნებს. | 21. რამეთუ ვითარცა-იგი მამაჲ აღა(H 222r)დგინებს მკუდართა და აცხოვნებს, ეგრეცა ძე, რომელთაჲ ჰნებავს, აცხოვნებს. |
| 22. არცაღა მამაჲ შჯის არავის, არამედ ყოველი საშჯელი მოსცა ძესა[9]. | 22. არცაღა მამაჲ სჯის[7] არავის, არამედ ყოველი სასჯელი[8] მოსცა ძესა. |
| 23. რაჲთა ყოველნი პატივ-სცემდენ ძესა[4], ვითარცა პატივ-სცემენ მამასა, რამეთუ რომელმან პატივ-სცეს ძესა[4], მან | 23. რაჲთა ყოველნი პატივ-სცემდენ ძესა, ვითარცა-იგი პატივ-სცემენ მამასა. (I 222v) რამეთუ რომელმან არა |

---

[1] და] — F. [2] უფროს G. [3] თჳსა F. [4] ძჱსა G. [5] საქმე F. [6] აგრეთვე G. [7] ამისსა G. [8] ეგრეცა G. [9] ძჱსა FG.

[1] თჳსსა K. [2] უკუჱთუ H. [3] უჩუჱნებს H. [4] ამისსა K. [5] უჩუჱნოს HK. [6] თქუჱნ I. [7] შჯის HI. [8] საშჯელი HI.

| FG | HIK |
|---|---|
| პატივ-სცა მამასა, რომელმან მოავლინა იგი. | პატივ-სცეს ძესა, მან არა პატივ-სცა მამასა, რომელმან მოავლინა იგი. |
| 24. ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ რომელმან სიტყუანი (G 233v) ჩემნი ისმინნეს და ჰრწმენეს მომავლინებელი ჩემი, აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ და საშჯელსა იგი არა შევიდეს, არამედ გარდაიცვალოს იგი სიკუდილისაგან ცხორებად. | 24. ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ რომელმან სიტყუანი ჩემნი ისმინნეს და ჰრწმენეს მომავლინებელი ჩემი, აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ, და სასჯელსა[1] იგი არა შევიდეს, არამედ გარდაიცვალოს იგი სიკუდილისაგან ცხორებად. |
| 25. ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ[1] მოვალს ჟამი, და აწვე არს, ოდეს მკუდართა ისმინნენ სიტყუანი ძისა ღმრთისანი; და რომელთა ისმინნენ[2], ცხოვნდენ[3]. | 25. ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ მოვალს ჟამი, და აწვე არს, ოდეს მკუდართა ისმინნენ სიტყუანი ძისა ღმრთისანი; და რომელთა ისმინნენ, ცხონდენ. |
| 26. რამეთუ ვითარცა-იგი მამასა აქუს ცხოველებაჲ თავისა თჳსისა თანა, ეგრეცა ძესა[4] მოსცა, რაჲთა აქუნდეს ცხოველებაჲ თავისა თჳსისა თანა. | 26. რამეთუ ვითარცა-იგი მამასა (K 238v) აქუს ცხორებაჲ თავისა თჳსისა თანა, ეგრეცა ძესა მოსცა, რაჲთა აქუნდეს ცხორებაჲ თავისა თჳსისა თანა. |
| 27. და ჴელმწიფებაჲ მოსცა მას საშჯელისაცა ყოფად, რამეთუ ძჱ[5] კაცისაჲ არს. | 27. და ჴელმწიფებაჲ მოსცა მას სასჯელისაცა[2] ყოფად, რამეთუ ძე კაცისაჲ არს. |
| 28. ნუ გიკჳრნ ესე, რამეთუ მოვალს ჟამი, რომელსა ყოველნი რომელნი ისხნენ საფლავებსა, ისმინონ ჴმისა მი(F 184r)სისაჲ. | 28. ნუ გიკჳრნ ესე, რამეთუ მოვალს ჟამი, რომელსა ყოველნი რომელნი ისხნენ საფლავებსა, ისმინონ ჴმისა მისისაჲ. |
| 29. და გამოვიდოდიან და კეთილისა-მოქმედნი აღდგებოდიან ცხორებასა საუკუნესა, ხოლო ბოროტისა-მოქმედნი აღდგომასა მას საშჯელისასა. | 29. და გა(H 222v)მოვიდოდიან კეთილის-მოქმედნი[3] აღდგომასა ცხორებისასა, ხოლო ბოროტის-მოქმედნი[4] აღდგომასა სასჯელისასა[5]. |
| 30. არა ჴელ-მეწიფების მე საქმედ თავით თჳსით არარაჲ, არამედ ვითარცა მესმის, ვსჯი, და საშჯელი ჩემი მართალ არს, (G 234r) რამეთუ არა ვეძიებ ნებასა ჩემსა, არამედ ნებასა მომავლინებელისა ჩემისასა. | 30. არა ჴელ-მეწიფების მე საქმედ თავით თჳსით არარაჲ, არამედ ვითარცა მესმის, ვსჯი[6], და სასჯელი[7] ჩემი მართალ არს, (I 223r) რამეთუ არა ვეძიებ ნებასა ჩემსა, არამედ ნებასა მომავლინებელისა ჩემისა მამისასა. |
| 31. უკუეთუ მე ვწამებდე თავისა ჩემისათჳს, წამებაჲ ჩემი არა არს ჭეშმარიტ. | 31. უკუეთუ მე ვწამებდე თავისა ჩემისათჳს, წამებაჲ ჩემი არა არს ჭეშმარიტ. |
| 32. სხუაჲ არს, რომელი წამებს ჩემთჳს, და უწყი, რამეთუ ჭეშმარიტ არს წამებაჲ მისი, რომელსა წამებს ჩემთჳს. | 32. სხუაჲ არს, რომელი წამებს ჩემთჳს, და უწყი, რამეთუ ჭეშმარიტ არს წამებაჲ მისი, რომელსა წამებს ჩემთჳს. |

---

[1] რამეთუ] — F. [2] ისმინონ F. [3] ცხონდენ F. [4] ძისა G. [5] ძე F.

[1] საშჯელსა HI. [2] საშჯელისაცა HI. [3] კეთილისა-მოქმედნი K. [4] ბოროტისა-მოქმედნი K. [5] საშჯელისასა HI. [6] ვშჯი HI. [7] საშჯელი HI.

| FG | HIK |
|---|---|
| 33. თქუენ მიავლინენით იოვანესა[1], და წამა ჭეშმარიტი. | 33. თქუენ მიავლინენით იოვანესა[1], და წამა ჭეშმარიტი. |
| 34. ხოლო მე წამებაჲ კაცთაგან არა მოვილო, არამედ ამას ვიტყჳ, რაჲთა სცხოვნდეთ[2]. | 34. ხოლო მე წამებაჲ კაცისაგან არა მოვილო, არამედ ამას ვიტყჳ, რაჲთა თქუენ სცხონდეთ. |
| 35. რამეთუ იგი იყო სანთელი აღნთებული, ხოლო თქუენ ინებეთ ჟამ ერთ სიხარული ნათელსა მისსა[3]. | 35. იგი იყო სანთელი აღნთებული და საჩინოჲ, ხოლო თქუენ ინებეთ (K 237r) ჟამ ერთ სიხარული ნათელსა მისსა. |
| 36. ხოლო მე მაქუს წამებაჲ უფროჲს[4] იოვანესა[5], რამეთუ საქმჱ[6] რომელი მომცა მე მამამან, რაჲთა აღვასრულო იგი, ესევე საქმენი წამებენ ჩემთჳს, რამეთუ მამამან მომავლინა მე. | 36. ხოლო მე მაქუს წამებაჲ უფროჲს იოვანესსა, რამეთუ საქმენი რომელნი მომცნა მე მამამან, რაჲთა აღვასრულნე იგინი, ესევე საქმენი წამებენ ჩემთჳს, რომელთა მე ვიქმ, რამეთუ მამამან მომავლინა მე. |
| 37. და რომელმან მომავლინა მე, მამამან, მან წამა ჩემთჳს. თქუენ არცა კმაჲ მისი გესმა, არცა ხატი მისი (F 184v) იხილეთ. | 37. და რომელმან მომავლინა მე, (H 223r) მამამან, მან წამა ჩემთჳს. თქუენ არცა კმაჲ მისი გესმა სადამე, არცა ხატი მისი იხილეთ. |
| 38. და სიტყუაჲ მისი არა არს თქუენ თანა დადგრომილ, რამეთუ, რომელი-იგი მოავლინა ღმერთმან, ესე თქუენ არა გრწამს. | 38. და სიტყუაჲ მისი არა არს თქუენ თანა დადგრომილ, რამეთუ რომელი-იგი მოავლინა ღმერთმან, ესე თქუენ არა გრწამს. |
| 39. გამოიძიეთ წიგნთაგან, რამეთუ თქუენ ჰგონებთ (G 234v) თავთა შინა თქუენთა, ვითარმედ გაქუს ცხორებაჲ საუკუნოჲ; და იგინი არიან, რომელნი წამებენ ჩემთჳს. | 39. გამოეძიებდით წიგნთა, რამეთუ (I 223v) თქუენ ჰგონებთ, ვითარმედ გაქუს ცხორებაჲ საუკუნოჲ მათ შინა; და იგინი[2] არიან, რომელნი წამებენ ჩემთჳს. |
| 40. და თქუენ არა გნებავს მოსლვად ჩემდა, რაჲთა ცხორებაჲ გაქუნდეს. | 40. და თქუენ არა გნებავს მოსლვად ჩემდა, რაჲთა ცხორებაჲ გაქუნდეს. |
| 41. დიდებაჲ კაცთაგან არა მოვილო. | 41. დიდებაჲ კაცთაგან არა მოვილო. |
| 42. არამედ გიცნი თქუენ, რამეთუ სიყუარული ღმრთისაჲ არა გაქუს თავისა თქუენისა თანა. | 42. არამედ ვიცნი თქუენ, რამეთუ სიყუარული ღმრთისაჲ არა ვაქუს თავთა შინა თქუენთა. |
| 43. მე მოვედ სახელითა მამისა ჩემისაჲთა, და არა შემიწყნარეთ. უკუეთუ ვინმე სხუაჲ მოვიდეს სახელითა თჳსითა, იგი შეიწყნაროთ. | 43. მე მოვედ სახელითა მამისა ჩემისაჲთა, და არა შემიწყნარებთ. უკუეთუ სხუაჲ მოვიდეს სახელითა თჳსითა, იგი შეიწყნაროთ. |
| 44. ვითარ-მე უკუე ჴელ-გეწიფების თქუენ რწმუნებად, რამეთუ დიდებასა ურთიერთას[7] მიიღებთ და დიდებასა მხოლოჲსა ღმრთისასა არა ეძიებთ? | 44. ვითარ უკუე[3] ჴელ-გეწიფების თქუენ რწმუნებად, რამეთუ დიდებასა ურთიერთას მიიღებთ და დიდებასა მხოლოჲსა ღმრთი(K 237v)სასა არა ეძიებთ. |

---

[1] ი̃ნჱსა G. [2] სცხონდეთ F. [3] მისა F. [4] უფროს G. [5] ი̃ნჱსსა G. [6] საქმე F. [7] ურთიერთარს F.

[1] იოვანესსა K. [2] იგი HI. [3] უკუჱ HI.

| FG | HIK |
|---|---|
| 45. ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მე შეგასმინნე[1] თქუენ მამასა; არს შემასმენელი თქუენი მოსე[2], რომელსა თქუენ ესავთ. | 45. ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მე შეგასმინნე[1] თქუენ მამასა ჩემსა; არს შემასმენელი თქუენი მოსე, რომელსა თქუენ ესავთ. |
| 46. უკუეთუმცა გრწმენა მოსესი[3], გრწმენამცა ჩემიცა[4], რამეთუ მან ჩემთჳს დაწერა. | 46. უკუეთუმცა გრწმენა მოსესი, გრწმენამცა ჩემიცა, რამეთუ მან ჩემთჳს დაწერა. |
| 47. უკუეთუ მისთა წიგნთაჲ არა გრწამს, ჩემთა სიტყუათაჲ ვითარ გრწმენეს? | 47. უკუეთუ მისთა (H 228v/) წიგნთაჲ არა გრწამს, ჩემთა სიტყუათაჲ ვითარ-მე გრწმენეს? |

## 6

| FG | HIK |
|---|---|
| 1. ამისა შემდგომად წიაღჴდა იესუ წიაღ ზღუასა მას გალილეაჲსასა, (F185r) რომელ არს ტიბერიისაჲ[5]. | 1. ამისა[2] შემდგომად წიაღჴდა იესუ წიაღ ზღუასა მას გალილეაჲსასა, რომელ არს ტიბერიაჲსაჲ. |
| 2. და მისდევდა მას ერი მრავალი, რამეთუ ხედვიდეს სასწაულთა მათ, (G 236r) რომელთა იქმოდა უძლურთა[6] ზედა. | 2. და მისდევდა მას ერი მრავალი, რამეთუ ხედვიდეს (I 224r) სასწაულთა მათ, რომელთა იქმოდა უძლურთა ზედა. |
| 3. და აღვიდა იესუ მთასა და მუნ დაჯდა მოწაფითურთ თჳსით. | 3. და აღვიდა იესუ მთასა და მუნ დაჯდა მოწფითურთ[3] თჳსით. |
| 4. და იყო მოახლებულ[7] პასქაჲ, დღესასწაული[8] იგი ჰურიათაჲ. | 4. და იყო მოახლებულ პასქაჲ, დღესასწაული იგი ჰურიათაჲ. |
| 5. აღიხილნა თუალნი თჳსნი იესუ და იხილა, რამეთუ მრავალი ერი მოვალს მისა. ჰრქუა ფილიპეს[9]: ვინაჲ ვიყიდოთ პური, რაჲთა ჭამონ ამათ? | 5. აღიხილნა[4] თუალნი თჳსნი იესუ და იხილა, რამეთუ მრავალი ერი მოვალს მისა[5]. ჰრქუა ფილიპეს: ვინაჲ ვიყიდოთ პური, რაჲთა ჭამონ ამათ? |
| 6. ამას რაჲ იტყოდა, რამეთუ გამოსცდიდა მას, ხოლო თჳთ უწყოდა, რაჲ ეგულებოდა ყოფად. | 6. ამას რაჲ ეტყოდა, გამოსცდიდა მას, ხოლო თჳთ უწყოდა, რაჲ ეგულებოდა ყოფად. |
| 7. ჰრქუა ფილიპე[10]: ორასისა დრაჰკნისა პური ვერ კმა არს ამათა, რაჲთა კაცად-კაცადმან მცირედ რაჲმე მიიღოს. | 7. ჰრქუა ფილიპე: ორასისა დრაჰკნისა პური ვერ კმა არს ამათა[6], რაჲთა კაცად-კაცადმან მცირედ რაჲმე მიიღოს. |
| 8. ჰრქუა მას ერთმან მოწაფეთა მისთაგანმან, ანდრია, ძმამან სიმონ-პეტრესმან[11]: | 8. ჰრქუა (K 238r) მას ერთმან მოწაფეთა მისთაგანმან, ანდრეა, ძმამან სიმონ-პეტრესმან: |
| 9. არს აქა ყრმაჲ, რომელსა აქუს ხუთი პური ქრთილისაჲ და ორი თევზი, არამედ ესე რაჲ არს ესოდენთა წინაშე? | 9. არს აქა ყრმაჲ, რომელსა აქუს ხუთი პური ქრთილისაჲ და ორი თევზი, არამედ ესე რაჲ არს ესოდენთა წინაშე? |

---

[1] შეგასმინნე F. [2] მოსეს FG. [3] მოსესი F. [4] ჩემი F. [5] ტიბერიაჲსაჲ F. [6] უძრულთა G. [7] მოახლებულ F. [8] დღესასწაული G. [9] ფილიპეს G. [10] ფილიპე G. [11] პეტრესმან G.

[1] შეგასმინნე I. [2] [illegible] K. [3] მოწფითურთ H, მოწფითურთ I, მოწ~ფითურთ K (=მოწაფეთურთ). [4] აღიხილნა K. [5] მისსა K. [6] ამათა K.

### FG

10. ჰრქუა მათ იესუ: დასხით კაცები ესე. და იყო თივაჲ ფრიად ადგილსა მას, და დასხდა კაცები იგი, რიცხჳთ ვითარ ხუთ ათას ოდენ.

11. და მოიხუნა იესუ პურნი იგი და (G 285v) ჰმადლობდა და მისცემდა, რომელნი-იგი დასხდეს. (F 185v) ეგრეცა თევზთა მათგანი, რავდენი-იგი უნდა მათ.

12. და ვითარცა განძღეს, ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა: შეკრიბეთ ნეშტი ეგე ნამუსრევი, რაჲთა ნუმცა რაჲ წარწყმდების.

13. ხოლო მათ შეკრიბეს და აღავსეს ათორმეტი გოდორი ნამუსრევითა ხუთთა მათ პურთაგან ქრთილისათა, რომელ დაუშთა მათ, რომელთა-იგი ჭამეს.

14. ხოლო კაცთა მათ ვითარცა იხილეს სასწაული იგი, რომელ ქმნა, იტყოდეს: ესე არს ჭეშმარიტად წინაწარმეტყუელი, რომელი მოსრულ არს სოფლად.

15. ხოლო იესუ გულისხმა-ყო[1], რამეთუ მოვიდოდეს წარტაცებად, რაჲთამცა ყვეს იგი მეფე[2], განეშორა და წარვიდა მთად იგი ხოლო მარტოჲ.

16. და ვითარცა შემწუხრდა, შთავიდეს მოწაფენი მისნი ზღუად.

17. და შევიდეს ნავსა და მოვიდოდეს[3] წიაღ ზღუასა მას კაფარნაუმდ[4]. და ვითარ შე-ოდენ-რიჟუდებოდა[5], და არღა მოსრულ იყო მათა იესუ,

18. და ზღუაჲ იგი ქარისაგან დიდისა აღიძრეოდა.

19. და შე-ოდენ-(G 286r)სრულ იყვნეს ვითარ ოც და ხუთ უტევან გინა ოც და ათ, და იხილეს იესუ, ვიდოდა რაჲ ზღუასა ზედა, და ახლოს იყო ნავსა მას. და მათ შეეშინა:

20. და თავადმან ჰრქუა მათ: მე ვარ, ნუ (F 186r) გეშინინ!

21. უნდა მათ, რაჲთამცა შეიყვანეს იგი ნავსა მას. და მეყსეულად იპოვა ნა-

### HIK

10. ჰრქუა მათ იესუ: დასხით (H 224r) კაცები ესე. და იყო თივაჲ ფრიად ადგილსა მას, და დასხდა კაცები იგი, რიცხჳთ ვითარ ხუთ ათას ოდენ.

11. და მოიხუნა იესუ პურნი იგი და ჰმადლობდა და მისცემდა მოწაფეთა, (I 224v) და მოწაფენი მისცემდეს ერსა მას, რომელნი-იგი დასხდეს. ეგრეცა თევზთა მათგანი, რაოდენი-იგი უნდა მათ.

12. და ვითარცა განძღეს, ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა: შეკრ(K 238v)იბეთ ნეშტი ეგე ნამუსრევი, რაჲთა ნუმცა რაჲ წარწყმდების.

13. ხოლო მათ შეკრიბეს და აღავსეს ათორმეტი გოდორი ნამუსრევითა ხუთთა მათ პურთაგან ქრთილისათა, რომელ-იგი დაუშთა მათ, რომელთა-იგი ჭამეს.

14. ხოლო კაცთა მათ ვითარცა იხილეს სასწაული იგი, რომელ ქმნა იესუ, იტყოდეს: ესე არს ჭეშმარიტად წინაწარმეტყუელი, რომელი მოსრულ არს სოფლად.

15. ხოლო იესუ გულისჴმა-ყო, რამეთუ მოვიდოდეს წარტაცებად, რაჲთამცა ყვეს იგი მეფე, და განეშორა და წარვიდა მთად იგი ხოლო მარტოჲ.

16. და ვითარცა შემწუხრდა, შთავიდეს მოწაფენი მისნი ზღუად.

17. და შევიდეს ნავსა და მოვიდოდეს წიაღ ზღუასა მას კაპერნაუმდ. (H 224v) და ვითარ შე-ოდენ-რიჟუდებოდა, და არღა მოსრულ იყო მათა იესუ,

18. და ზღუაჲ იგი ქარისაგან დიდისა აღძრვოდა.

19. და შე-ოდენ-სრულ იყვნეს ვითარ ოც და (I 225r) ხუთ უტევან გინა ოც და ათ, იხილეს იესუ. ვიდოდა რაჲ ზღუასა ზედა; და მოეახლა რაჲ ნავსა მას, შეეშინა (K 239r) მათ.

20. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: მე ვარ, ნუ გეშინინ!

21. უნდა მათ, რაჲთამცა შეიყვანეს იგი ნავსა მას. და მეყსეულად იპოვა ნა-

---

[1] გულისჴმა-ყო F. [2] მეფჱ FG. [3] მივიდოდეს G. [4] კაფარნაომდ G. [5] შე-ოდენ-რიჟოდებოდა F.

FG

ვე იგი ქუეყანასა მას, ვიდრეცა მივიდოდეს.

22. ხვალისაგან ერი იგი რომელი დგა წიაღ ზღუასა მას, უწყოდეს, რამეთუ სხუაჲ ნავი არა იყო მუნ, გარნა ერთი იგი ხოლო, რომელსა შესრულ იყვნეს მოწაფენი იესუჲსნი[1], და რამეთუ არა შევიდა იესუ მოწაფეთა თანა ნავსა მას, არამედ მოწაფენი ხოლო მისნი შევიდეს.

23. მოვიდეს სხუანიცა ნავნი ტიბერიით[2], მახლობელად ადგილსა მას, სადა-იგი ჭამეს პური, რომელ-იგი[3] აკურთხა უფალმან და ჰმადლობდა.

24. ვითარცა იხილა ერმან მან, ვითარმედ იესუ არა მუნ არს, არცა მოწაფენი მისნი, მოადგინეს მათ ნავები იგი და მოვიდეს კაფარნაუმდ[4] და ეძიებდ(G 236v/)ეს იესუს.

25. და პოვეს[5] იგი წიაღ ზღუასა მას და ჰრქუეს მას: რაბი, ოდეს მოხუედ აქა?

26. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ამენ, ამენ[6] გეტყჳ თქუენ: მეძიებთ მე, არა თუ რამეთუ იხილენით[7] სასწაულნი, არამედ რამეთუ შჭამეთ პურთა მათგან[8] და განსძეღით.

27. იქმოდეთ ნუ[9] საზრდელსა წარსაწყმედელსა, არამედ საზრდელსა, რომელი ჰგიეს ცხორებად საუკუნოდ, რომელი ძემან[10] კაცისამან მოგცეს თქუენ, რამეთუ ამას მამამან დაჰბეჭდა, ღმერთმან.

28. (F 168v/) ჰრქუეს მას: რაჲ ვყოთ, რაჲთა ვიქმოდით საქმესა ღმრთისასა?

29. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ესე არს საქმე ღმრთისაჲ, რაჲთა გრწმენეს, რომელ-იგი[11] მან მოავლინა.

30. და მათ ჰრქუეს მას: რასა სასწაულსა იქმ, რაჲთა ვიხილოთ და გურწმენეს შენი? რასა იქმ?

HIK

ვე იგი ქუეყანასა მას, ვიდრეცა მივიდოდეს.

22. ხვალისაგან ერი იგი რომელ[1] დგა წიაღ ზღუასა მას, უწყოდეს, რამეთუ სხუაჲ ნავი არა იყო მუნ, გარნა ერთი იგი ხოლო, რომელსა შესრულ იყვნეს მოწაფენი იესუჲსნი, და რამეთუ არა შევიდა იესუ მოწაფეთა თანა ნავსა მას, არამედ მოწაფენი ხოლო მისნი შევიდეს.

23. მოვიდეს უკუე[2] სხუანიცა ნავნი ტიბერიით, მახლობელად ადგილსა მას, სადა-იგი ჭამეს პური[3], რომელი-იგი აკურთხა უფალმან და ჰმადლობდა.

24. ვითარცა იხილა ერმან მან, ვითარმედ იესუ არა მუნ არს, არცა მოწაფენი (K 230v/) მისნი, მოადგინეს მათ ნავები იგი და მოვიდეს (H 225r) კაპერნაუმდ და ეძიებდეს იესუს.

25. და პოვეს იგი წიაღ ზღუასა მას და ჰრქუეს მას: რაბი, ოდეს მოხუედ[4] აქა?

26. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ: (I 225v/) მეძიებთ მე, არა თუ რამეთუ იხილენით სასწაულნი, არამედ რამეთუ სჭამეთ[5] პურთა მათგან და განსძეღით.

27. იქმოდეთ ნუ საზრდელსა წარსაწყმედელსა, არამედ საზრდელსა, რომელი ჰგიეს ცხორებად საუკუნოდ, რომელი ძემან კაცისამან მოგცეს თქუენ, რამეთუ ამას მამამან დაჰბეჭდა, ღმერთმან.

28. ჰრქუეს მას: რაჲ ვყოთ, რაჲთა ვიქმოდით საქმესა ღმრთისასა?

29. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ესე არს საქმე ღმრთისაჲ, რაჲთა გრწმენეს, რომელი-იგი მან მოავლინა.

30. (K 240r) და მათ ჰრქუეს მას: რასა სასწაულსა იქმ, რაჲთა ვიხილოთ და გურწმენეს შენი? რასა იქმ?

---

[1] ი͞ჳსნი F. [2] ტიბერიაჲთ F. [3] რომელ G. [4] კაფარნაომდ G. [5] პოეს F. [6] ამენ, ამენ] ამენ FG. [7] იხილნეთ FG. [8] მათგანი G. [9] და ნუ FG. [10] ძჱმან G. [11] რომელი-იგი G

[1] რომელი HI. [2] უკუჱ HIK. [3] პური] — K. [4] მოხუჱდ HI. [5] შჭამეთ HI.

| FG | HIK |
|---|---|
| 31. მამანი ჩუენნი ჴამდეს მანანასა უდაბნოსა ზედა, ვითარცა წერილ არს: პური ზეცით მოსცა მათ ჭამად. | 31. მამანი ჩუენნი ჴამდეს მანანასა უდაბნოსა ზედა, ვითარცა წერილ არს: პური ზეცით მოსცა მათ ჭამად. |
| 32. ჰრქუა მათ იესუ: ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ: არა მოსე[1] მოგცა თქუენ პური ზეცით, არამედ მამამან ჩემმან (G 237r) მოგცა თქუენ პური ჭეშმარიტი ზეცით. | 32. ჰრქუა მას იესუ: ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ: არა მოსე მოგცა თქუენ პური ზეცით, არამედ მამამან ჩემმან მოგცა თქუენ პური ჭეშმარიტი ზეცით. |
| 33. რამეთუ პური ღმრთისაჲ არს, რომელი გარდამოჴდა ზეცით და მოსცა ცხორებაჲ სოფელსა. | 33. (H 225v) რამეთუ პური ღმრთისაჲ არს, რომელი გარდამოჴდა ზეცით და მოსცა ცხორებაჲ სოფელსა. |
| 34. ჰრქუეს მას: უფალო, მარადის მოგუეც ჩუენ პური ესე. | 34. ჰრქუეს მას: უფალო, მარადის მომეც ჩუენ პური ესე[1]. |
| 35. ჰრქუა მათ იესუ: მე ვარ პური ცხორებისაჲ; რომელი მოვიდეს ჩემდა, არა ჰშიოდის[2], და რომელსა ჰრწმენეს ჩემი, არასადა სწყუროდის. | 35. ჰრქუა მათ იესუ: მე ვარ პური ცხორებისაჲ; რომელი მოვიდეს ჩემდა, (I 220r) არა შიოდის, და რომელსა ჰრწმენეს ჩემი, არასადა სწყუროდის[2]. |
| 36. არამედ გარქუ თქუენ: მიხილეთ მე და არა გრწამს. | 36. არამედ გარქუ თქუენ, ვითარმედ: მიხილეთ მე და არა გრწამს. |
| 37. ყოველი რომელი მომცეს მე მამამან ჩემმან, ჩემდა მოვიდეს; და რომელი მოვიდეს ჩემდა, არა განვაძო იგი გარე[3]. | 37. ყოველი რომელი მომცა მე მამან ჩემმან, ჩემდა მოვიდეს; და რომელი მოვიდეს ჩემდა, არა განვაძო გარე. |
| 38. რამეთუ გარდამოვჴედ ზეცით, არა რაჲთა ვყო ნებაჲ ჩემი, არამედ ნებაჲ მომავლინებელისა ჩემისაჲ. | 38. რამეთუ გარდამოვჴედ ზეცით, არა რაჲთა ვყო ნებაჲ ჩემი, არამედ ნებაჲ მომავლინებელისა ჩემისა მამისაჲ. |
| 39. რამეთუ ესე არს ნებაჲ მომავლინებელისა ჩემისა მამისაჲ, რაჲთა ყოველი რომელი მომც(F 187r)ა მე, არა წარვწყმიდო მისგანი[4], არამედ აღვადგინო იგი უკუანაჲსკნელსა[5] მას დღესა[6]. | 39. ხოლო ესე არს ნებაჲ მომავლინებელისა ჩემისა მამისაჲ. რაჲთა ყოველი რომელი მომცა მე, არა წარვწყმიდო მისგან, არამედ აღვადგინო იგი უკუანაჲსკნელსა მას დღესა. |
| 40. რამეთუ ესე არს ნებაჲ მამისა ჩემისაჲ, რაჲთა რომელი ჰხედვიდეს[7] ძესა[8] და ჰრწმენეს მისი, აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ, და მე აღვადგინო იგი უკუანაჲსკნელსა[5] მას დღესა[6]. | 40. რამეთუ (K 240v) ესე არს ნებაჲ მომავლინებელისა ჩემისაჲ. რაჲთა ყოველი რომელი ხედვიდეს ძესა და ჰრწმენეს მისი, აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ, და მე აღვადგინო იგი უკუანაჲსკნელსა მას დღესა. |
| 41. (G 237v) დრტჳნვიდეს მისთჳს ჰურიანი იგი, რამეთუ თქუა: მე ვარ პური, რომელი ზეცით გარდამოვჴედ, | 41. დრტჳნვიდეს მისთჳს ჰურიანი იგი, რამეთუ თქუა: (H 226r) მე ვარ პური იგი, რომელი ზეცით გარდამოვჴედ, |

---

[1] მოსჱ F. [2] შიოდის F. [3] გარჱ G. [4] მათგანი G. [5] უკუანასკნელსა F. [6] დღჱსა G. [7] ხედვიდეს G. [8] ძჱსა G.

[1] ესე] ზეცით I. [2] ჰსწყუროდის HI.

| FG | HIK |
|---|---|
| 42. და იტყოდეს: არა ესე არს იესუ, ძე იოსებისი, რომლისა მამაჲ ჩუენ ვიცით? ვითარ უკუე აწ იტყჳს ესე. ვითარმედ: ზეცით გარდამოვჴედ? | 42. და იტყოდეს: არა ესე არს იესუ, ძე იოსებისი, რომლისა მამაჲ და დედაჲ ჩუენ ვიცით? ვითარ უკუე[1] იტყჳს ესე, ვითარმედ: ზეცით გარდამოვჴედ? |
| 43. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ნუ სდრტჳნავთ ურთიერთას. | 43. (I 226v) მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ნუ სდრტჳნავთ ურთიერთას. |
| 44. ვერვის ჴელ-ეწიფების მოსლვად ჩემდა, უკუეთუ არა მამამან, მომავლინებელმან ჩემმან[1], მოიყვანოს იგი ჩემდა, და მე აღვადგინო იგი უკუანაჲსკნელსა[2] მას დღესა[3]. | 44. ვერვის ჴელ-ეწიფების მოსლვად ჩემდა, უკუეთუ[2] არა მამამან, მომავლინებელმან ჩემმან, მოიყვანოს იგი ჩემდა, და მე აღვადგინო იგი უკუანაჲსკნელსა მას დღესა. |
| 45. წერილ არს წინაწარმეტყუელთასა. ვითარმედ: იყვნენ ყოველნი ღმრთივ სწავლულ. ყოველსა რომელსა ესმას[4] მამისა ჩემისაგან და ისწაოს, მოვიდეს ჩემდა. | 45. წერილ არს წინაწარმეტყუელთა შინა, ვითარმედ: იყვნენ ყოველნი ღმრთივ სწავლულ. ყოველსა რომელსა ესმეს[3] მამისა ჩემისაგან და ისწავოს[4], მოვიდეს ჩემდა. |
| 46. არა თუ მამაჲ ვის უხილავს, გარნა რომელი იყო ღმრთისა თანა, ამან იხილა მამაჲ. | 46. არა თუ მამაჲ[5] ვის უხილავს, არამედ რომელი-იგი არს ღმრთისაგან, ამან იხილა მამაჲ. |
| 47. ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ: რომელსა ჰრწმენეს ჩემი, აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ. | 47. ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ: რომელსა ჰრწმენეს ჩემი, (K 241r) აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ. |
| 48. მე ვარ პური ცხორებისაჲ. | 48. მე ვარ პური ცხორებისაჲ. |
| 49. (G 238r) მამათა თქუენთა ჭამეს მანანაჲ უდაბნოსა (F 187v) ზედა და მოსწყდეს. | 49. მამათა თქუენთა ჭამეს მანანაჲ უდაბნოსა და მოსწყდეს. |
| 50. ესე არს პური, რომელი ზეცით გარდამოჴდა, რაჲთა, უკუეთუ ვინმე ჭამოს მისგანი, არა მოკუდეს. | 50. ესე არს პური, რომელი ზეცით გარდამოჴდა; უკუეთუ ვინმე ჭამოს მისგანი, არა მოკუდეს. |
| 51. მე ვარ პური ცხოველი, რომელი ზეცით გარდამოვჴედ. უკუეთუ ვინმე ჭამოს ამის პურისაგან, ცხოვნდეს[5] უკუნისამდე. და პური, რომელი მე[6] მივსცე, ჴორცი ჩემი არს, რომელსა მე მივსცემ ცხორებისათჳს სოფლისა. | 51. მე ვარ პური ცხოვე(H 220v)ლი, რომელი ზეცით გარდამოვჴედ. უკუეთუ ვინმე ჭამდეს ამის პურისაგან, არა მოკუდეს, არამედ ცხოვნდეს[6] უკუნისამდე[7]. და პური, რომელი მე მივსცე, ჴორცი ჩემი არს, რომელსა მე მივსცემ ცხო(I 227r)რებისათჳს სოფლისა. |
| 52. ილალვიდეს ურთიერთას[7] ჰურიანი იგი და იტყოდეს: ვითარ-მე ჴელ-ეწიფების ამას მოცემად ჩუენდა ჴორცი თჳსი ჭამად? | 52. ილალვიდეს ურთიერთას ჰურიანი იგი და იტყოდეს: ვითარ-მე ჴელ-ეწიფების ამას მოცემად ჩუენდა ჴორცი თჳსი ჭამად? |

---

[1] ჩემმან] — F. [2] უკუანაჲსკნელსა F. [3] დღჱსა G. [4] ესმა G. [5] ცხონდეს F. [6] მე] — G. [7] ურთიერთარს F.

[1] უკუჱ HIK. [2] უკუჱთუ H. [3] ესმას K. [4] ისწაოს K. [5] მამაჲ] ღმერთი HIK. [6] ცხონდეს HI. [7] უკ̃ჱ K.

FG

53. ჰრქუა მათ იესუ: ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ: უკუეთუ არა 'შჭამოთ ჴორცი ძისა კაცისაჲ და სუათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხორებაჲ თავისა თქუენისაჲ.

54. ხოლო რომელი ჭამდეს ჴორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ, და მე აღვადგინო იგი უკუანაჲსკნელსა[1] დღესა[2].

55. რამეთუ ჴორცი ჩემი ჭეშმარიტი საჭმელი არს, და სისხლი ჩემი ჭეშმარიტი სასუმელი არს.

56. (G 238v) და რომელი ჭამდეს ჴორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, იგი ჩემ თანა დადგრომილ არს, და მე მის თანა.

57. ვითარცა მომავლინა მე ცხოველმან მამამან, და მეცა ცხოველ ვარ მამისა მიერ; და რომელი ჭამდეს ჩემგან, იგიცა ცხოვნდეს[3] ჩემ მიერ.

58. (F 188r) რამეთუ ესე არს პური, რომელი ზეცით გარდამოჴდა. არა ეგრეთ, ვითარ-იგი ჭამეს მამათა თქუენთა მანანაჲ და მოსწყდეს. ხოლო რომელი ჭამდეს ამას პურსა, ცხოვნდეს[3] უკუნისამდე.

59. ესე თქუა შესაკრებელსა[4] შორის და ასწავებდა კაფარნაუმს[5].

60. მრავალთა მოწაფეთა მისთაგანთა რომელთა ესმა ესე, იტყოდეს: ფიცხელ არს სიტყუაჲ ესე. ვის ჴელ-ეწიფების სმენად მისა?

61. იცოდა იესუ სულითა თჳსითა, რამეთუ დრტჳნვენ მოწაფენი მისნი ამისთჳს, და ჰრქუა მათ: ესე დაგაბრკოლებსა თქუენ?

62. უკუეთუ იხილოთ ძჱ კაცისაჲ აღმავალი, სადაცა იყო პირველად?

63. სული არს განმაცხოველებელ[6], ხოლო ჴორცნი არად სარგებელ არიან;

HIK

53. ჰრქუა მათ იესუ: ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ: უკუეთუ არა სჭამოთ[1] ჴორცი ძისა კაცისაჲ და სუათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხორებაჲ თავთა შორის თქუენთა.

54. ხოლო რომელი ჭამდეს ჴორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ, და მე აღვადგინო იგი უკუანაჲსკნელსა მას დღესა.

55. რამეთუ ჴორცი ჩემი ჭეშმარიტი საჭმელი არს, და სისხლი ჩემი ჭეშმარიტი სასუმელი არს.

56. და რომელი ჭამდეს ჴორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხ(K 241v)ლსა ჩემსა, იგი ჩემ თანა დადგრომილ არს, და მე მის თანა.

57. ვითარცა მომავლინა მე ცხოველმან მამამან, და მეცა ცხოველ ვარ მამისა თანა; და რომელი ჭამდეს ჩემგან, იგიცა (H 227r) ცხონდეს ჩემ მიერ.

58. რამეთუ ესე არს პური, რომელი ზეცით გარდამოჴდა. არა ეგრეთ, ვითარ-იგი ჭამეს მამათა თქუენთა მანანაჲ და მოსწყდეს. ხოლო რომელი ჭამდეს ამას პურსა, ცხონდეს უკუნისამდე.

59. (I 227v) ესე თქუა შესაკრებელსა შორის და ასწავებდა კაპერნაუმს.

60. მრავალთა უკუე[2] მოწაფეთა მისთაგანთა ესმა ესე და იტყოდეს: ფიცხელ არს სიტყუაჲ ესე. ვის ჴელ-ეწიფების სმენად მისა[3]?

61. იცოდა იესუ თავით თჳსით, რამეთუ დრტჳნვენ მოწაფენი მისნი ამისთჳს, და ჰრქუა მათ: ესე დაგაბრკოლებსა თქუენ?

62. უკუეთუ იხილოთ ძე კაცისაჲ აღმავალი, სადაცა იყო პირველ?

63. სული არს განმაცხოველებელ, ხოლო ჴორცნი არად სარგებელ არიან;

---

[1] უკუსუან‾სკნელსა F. [2] დღჱსა G. [3] ცხონდეს F. [4] შესაკრებელთა G. [5] კაფარნაომს G. [6] განმაცხოველებელი F.

[1] შჭამოთ HI. [2] უკუჱ HIK. [3] მისსა K.

FG

სიტყუათა რომელთა გეტყოდე თქუენ, სულ არიან და ცხორება.

64. (G 230r) არამედ არიან ვინმე თქუენგანნი, რომელთა არა ჰრწამს. რამეთუ იცოდა იესუ პირველითგან, ვინ არიან იგინი, რომელთა[1] არა ჰრწამს, და ვინ არს მიმცემელი მისი.

65. და ეტყოდა: ამისთჳს გარქუ თქუენ: ვერვის ჴელ-ეწიფების მოსლვად ჩემდა, უკუეთუ არა არს მოცემულ მისა მამისაგან ჩემისა.

66. ამის გამო მრავალნი მოწაფეთა მისთაგანნი (F 188v) უკუნიქცეს და არღარა ვიდოდეს მის თანა.

67. ჰრქუა იესუ ათორმეტთა მათ: ნუუკუე თქუენცა გინებს წარსლვის?

68. მიუგო მას სიმონ-პეტრე და ჰრქუა[2]: უფალო, ვისა მივიდეთ ჩუენ? რამეთუ სიტყუაჲ ცხორებისა საუკუნოჲსაჲ[3] გაქუს შენ.

69. და ჩუენ გურწმენა და გჳცნობიეს, რამეთუ შენ ხარ ქრისტჱ, ძჱ ღმრთისა ცხოველისაჲ.

70. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: არა-მე ათორმეტნი გამოგირჩიენა? და ერთი თქუენგანი ეშმაკი არს.

71. ხოლო იტყოდა[4] იუ(G 230v)დას[5] სიმონის[6] ისკარიოტელისასა, რომელი იყო ერთი ათორმეტთაგანი, რამეთუ ამას ეგულებოდა მიცემაჲ მისი.

HIK

სიტყუათა რომელთა გეტყჳ თქუენ, სულ არიან და ცხორება.

64. არამედ არიან ვინმე თქუენგანნი, რომელთა არა ჰრწამს. რამეთუ იცოდა იესუ პირველითგან, თუ ვინ არიან იგინი, რომელთა არა ჰრწამს, ანუ ვინ არს მიმცემელი მისი.

65. (K 242r) და ეტყოდა: ამისთჳს გარქუ თქუენ: ვერვის ჴელ-ეწიფების მოსლვად ჩემდა, უ(H 227v)კუეთუ[1] არა არს მოცემულ მისა[2] მამისაგან ჩემისა.

66. ამის გამო მრავალნი მოწაფეთა მისთაგანნი უკუნიქცეს და არღარა ვიდოდეს მის თანა.

67. ჰრქუა იესუ ათორ(I 228r)მეტთა მათ: ნუუკუე[3] თქუენცა გნებავს წარსლვის?

68. მიუგო მას სიმონ-პეტრე და ჰრქუა: უფალო, ვისა[4] მივიდეთ ჩუენ? რამეთუ სიტყუანი ცხორებისა საუკუნოჲსანი გქონან შენ.

69. და ჩუენ გურწმენა და გჳცნობიეს, რამეთუ შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისაჲ.

70. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: არა-მე ათორმეტნი გამოგირჩიენა? და ერთი თქუენგანი ეშმაკი არს.

71. ხოლო იტყოდა იუდას სიმონისსა, ისკარიოტელსა, რომელი იყო ერთი ათორმეტთაგანი, რამეთუ ამას ეგულებოდა მიცემაჲ მისი.

## 7

FG

1. ამისა შემდგომად იქცეოდა იესუ გალილეას და არა უნდა მოსლვად ჰურიასტანს, რამეთუ ეძიებდეს მას ჰურიანი იგი მოკლვად.

2. ხოლო იყო მახლობელ დღესასწაული[7] იგი ჰურიათაჲ, რომელ არს კარვობისაჲ.

HIK

1. ამისა[5] შემდგომად იქცეოდა იესუ გალილეას და არა უნდა მისლვად ჰურიასტანს, რამეთუ ეძიებდეს მას ჰურიანი იგი მოკლვად.

2. ხოლო იყო მახლობელ დღესასწაული იგი ჰურიათაჲ, რომელ არს კარვობისაჲ.

---

[1] რომელთა] და ვ|ა F. [2] და ჰრქუა] — G. [3] ~ საუკუნოჲსა ცხორებისაჲ F. [4] იტყდა G (უქარაგმოდ). [5] იუდა F. [6] სიმონ G. [7] დღჱსასწაული G.

[1] უკუეთუ] H. [2] მისსა K. [3] ნუუკუჱ HI. [4] ვისსა HIK. [5] ამისსა K.

FG

3. ჰრქუეს მას ძმათა მისთა: გარდაგუალე ამიერ და წარვედ ჰურიასტანად[1], რაჲთა მოწაფეთა შენთა იხილნენ საქმენი შენნი, რომელთა იქმ.

4. რამეთუ არავინ ფარულად რასმე[2] იქმნ და ჰგონებნ, რაჲთამცა განცხადებულ[3] იყო. უკუეთუ ამას იქმ, გამოუცხადე თავი შენი სოფელსა.

5. რამეთუ არცაღა ძმათა მისთა (F 189r) ჰრწმენა მისი.

6. (G 240r) ჰრქუა მათ იესუ: ჟამი ჩემი არღა მოწევნულ არს, ხოლო ჟამი თქუენი ოდესვე განმზადებულ არს.

7. ვერ ჴელ-ეწიფების სოფელსა მოძულებად თქუენდა, ხოლო მე ვსძულ, რამეთუ მე ვწამებ მისთჳს, რამეთუ საქმენი მისნი ბოროტ არიან.

8. თქუენ აღვედით დღესასწაულსა[4] ამას, ხოლო მე არა აღვალ დღესასწაულსა[4] ამას, რამეთუ ჟამი ჩემი არღა აღსრულებულ არს.

9. ესე ჰრქუა მათ და დაადგრა გალილეას.

10. და ვითარცა აღვიდეს ძმანი მისნი დღესასწაულსა[4] მას, მაშინ თავადიცა იესუ აღვიდა არა განცხადებულად, არამედ ფარულად.

11. ხოლო ჰურიანი იგი ეძიებდეს მას დღესასწაულსა[4] მას და იტყოდეს: სადა-მე არს იგი?

12. და იყო მისთჳს დრტჳნვაჲ ერსა შორის. რომელნიმე იტყოდეს: კეთილ არს იგი; ხოლო სხუანი იტყოდეს: არა, არამედ აცთუნებს ერსა.

13. და არავინ განცხადებულად იტყოდა მისთჳს შიშისათჳს ჰურიათაჲსა[5].

14. (G 240v) და ვითარცა დღესასწაული[6] იგი გა-ოდენ-ზოგებულ[7] იყო, აღვიდა იესუ ტაძრად და ასწავებდა.

HIK

3. ჰრქუეს მას ძმათა მისთა: გარდაგუალე ამიერ და წარვედ ჰურიასტა(H 228r)ნად[1], რაჲთა მოწაფეთაცა შენთა იხილნენ საქმენი შენნი, რომელთა იქმ.

4. რამეთუ არა(K 242v)ვინ ფარულად რასმე იქმნ და ეძიებნ, რაჲთამცა განცხადებულ იყო. უკუეთუ ამას იქმ, გამოუცხადე (I 228v) თავი შენი სოფელსა.

5. რამეთუ არცაღა ძმათა მისთა ჰრწმენა მისი.

6. ჰრქუა მათ იესუ: ჟამი ჩემი არღა მოწევნულ არს, ხოლო ჟამი თქუენი ოდესვე განმზადებულ არს.

7. ვერ ჴელ-ეწიფების სოფელსა მოძულებად თქუენდა, ხოლო მე ვსძულ, რამეთუ ეწამებ მისთჳს, ვითარმედ საქმენი მისნი ბოროტ არიან.

8. თქუენ აღვედით დღესასწაულსა ამას, ხოლო მე არა აღვალ დღესასწაულსა ამას, რამეთუ ჟამი ჩემი არღა აღსრულებულ არს.

9. ესე ჰრქუა მათ და დაადგრა გალილეას.

10. და ვითარცა აღვიდეს ძმანი მისნი დღესასწაულსა მას, მაშინ თავადიცა იესუ აღვიდა არა განცხადებულად, არამედ ვითარცა ფარულად.

11. ხოლო ჰურიანი იგი ეძიებდეს მას დღესასწაულსა მას და იტყოდეს: სადა-მე არს იგი?

12. და იყო მრავალი დრტჳნვაჲ მისთჳს ერსა შორის. რომელნიმე იტყოდეს: კეთილ არს; ხოლო სხუანი იტყოდეს: (H 228v) არა, არამედ აცთუნებს ერსა.

13. და არავინ განცხადებულად იტყოდა მისთჳს შიშისათჳს ჰურიათაჲსა.

14. და ვითარცა დღესასწაული იგი გან-ოდენ-ზოგებულ იყო, აღვიდა იესუ (I 229r) ტაძრად და (K 243r) ასწავებდა.

---

[1] ჰურიასტნად G. [2] რასმე] რასა F; ~ რასა ფარულად F. [3] განცხადებულად F. ბოლო „ად" მერმეა დამატებული. [4] დღესასწაულსა G. [5] ჰრთ¯სა F. [6] დღესასწაული G. [7] ასეა FG.

[1] ჰურიასტანსნად H.

| FG | HIK |
|---|---|
| 15. უკჳრდა ჰურიათა მათ და იტყოდეს: ვითარ უკუე ამან წიგნი იცის უსწავლელად? | 15. უკჳრდა ჰურიათა მათ და იტყოდეს: ვითარ უკუე[1] ამან წიგნი იცის უსწავლელად? |
| 16. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ[1]: ჩემი ესე მოძღურებაჲ არა არს ჩემი, არამედ მომავლინებელისა ჩემისაჲ. | 16. მიუგო იესუ და ჰრქუა: ჩემი ესე მოძღურებაჲ არა არს ჩემი, არამედ მომავლინებელისა ჩემისაჲ. |
| 17. უკუეთუ ვინმე (F 188v) ნებასა მისსა[2] ჰყოფდეს, ცნას მოძღურებისაჲ მის, ვითარ რაჲ არსჲ ღმრთისაგან არს, ანუ თავით თჳსით ვიტყოდი[3]? | 17. უკუეთუ ვინმე ნებასა მისსა[2] ჰყოფდეს, ცნას მან მოძღურებაჲ ესე, ვითარ რაჲ არსჲ ღმრთისაგან არს, ანუ მე თავით თჳსით ვიტყჳ. |
| 18. რამეთუ რომელი თავით თჳსით იტყჳან, დიდებასა თავისა თჳსისასა[4] ეძიებნ; ხოლო რომელი ეძიებნ დიდებასა მომავლინებელისა თჳსისასა, იგი ჭეშმარიტ არს, და სიცრუეჱ[5] არა არს მის თანა. | 18. რომელი თავით თჳსით იტყჳან, დიდებასა თავისა თჳსისასა ეძიებნ; ხოლო რომელი ეძიებნ დიდებასა მომავლინებელისა თჳსისასა, იგი ჭეშმარიტ არს, და სიცრუჱ[3] არა არს მის თანა. |
| 19. ანუ არა მოსე[6] მოგცა თქუენ შჯული? და არავინ თქუენგანი ჰყოფს შჯულსა. რაჲსათჳს მეძიებთ მე მოკლვად? | 19. ანუ არა მოსე მოგცა თქუენ სჯული[4]? და არავინ თქუენგანი ჰყოფს სჯულსა[5]. რაჲსათჳს მეძიებთ მე მოკლვად? |
| 20. მიუგო ერმან მან და ჰრქუა: ეშმაკი არს შენ თანა. ვინ გეძიებს შენ მოკლვად? | 20. მიუგო ერმან მან და ჰრქუა: ეშმაკი არს შენ თანა. ვინ გეძიებს შენ მოკლვად? |
| 21. (G 241r) მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ერთი საქმჱ[7] ვქმენ თქუენ შორის, და ყოველთა გიკჳრს. | 21. მიუგო იესუ და ჰრქუა (H 229r) მათ: ერთი საქ(K 243v)მე ვქმენ თქუენ შორის, და ყოველთა გიკჳრს. |
| 22. ამისთჳს მოსე[6] მოგცა თქუენ წინადაცუეთაჲ. არა თუ მოსესგან არს, არამედ მამათაგან, და შაბათსა წინადაიცჳთის კაცმან. | 22. ამისთჳს მოსე მოგცა თქუენ წინადაცუეთაჲ[6]. არა თუ მოსესგან არს, არამედ მამათაგან, და შაბათსა წინადაიცჳთის კაცმან. |
| 23. უკუეთუ წინადაცუეთილებაჲ მოიღის კაცმან შაბათსა, რაჲთა არა განქარდეს შჯული მოსესი, მე მაბრალებთა, რამეთუ ყოვლადვე განვაცოცხლე[8] კაცი შაბათსა შინა? | 23. (I 229v) უკუეთუ წინადაცუეთილებაჲ[7] მოიღის[8] კაცმან შაბათსა, რაჲთა არა განქარდეს სჯული მოსესი, მე მაბრალებთა, რამეთუ ყოვლადვე განვაცოცხლე კაცი შაბათსა შინა? |
| 24. ნუ შჯით თუალთ-ღებით[9], არამედ სამართალი საშჯელი საჯეთ. | 24. ნუ სჯით[9] თუალ-ღებით, არამედ სამართალი სასჯელი[10] საჯეთ. |
| 25. იტყოდეს ვინმე იერუსალჱმელთაგანნი: არა ესე არსა, რომელსა ეძიებდეს მოკლვად? | 25. იტყოდეს ვინმე იერუსალჱმელთაგანნი: არა ესე არსა, რომელსა ეძიებდეს მოკლვად? |

---

[1] მათ] — F. [2] მისა F. [3] ვიტყოდი] + დიდებასა FG (მომდევნო მუხლის იმავე ფორმის გამო). [4] თჳსისა G. [5] სიცროვე F. [6] მოსჱ F. [7] საქმე F. [8] განვაცოცხლე] განვაცხოველე G. [9] თუალ-ღებით G.

[1] უკუჱ HI. [2] ნებასა მისსა] მცნებასა ღმრთისასა K. [3] სიცრუე I. სიცრუვე K. [4] შჯული HI. [5] შჯულსა HI. [6] წინადაცუჱთაჲ HI. [7] წინადაცუჱთილებაჲ HI. [8] მიიღის K. [9] შჯით HI. [10] საშჯელი HI.

| FG | HIK |
|---|---|
| 26. აჰა ესერა განც(F 100r)ხადებულად იტყჳს, და არას ეტყჳან მას. ნუუკუე ჭეშმარიტად ცნეს მთავართა მათ. ვითარმედ ესე არს ქრისტჱ? | 26. აჰა ესერა განცხადებულად ეტყჳს, და არარას[1] ეტყჳან მას. ნუუკუე[2] ჭეშმარიტად ცნეს მთავართა მათ, ვითარმედ ესე არს ჭეშმარიტად ქრისტე? |
| 27. არამედ ესე ვიცით, ვინაჲ არს. ხოლო ქრისტჱ ოდეს მოვიდეს, არავინ უწყოდის, ვინაჲ არს. | 27. არამედ ესე ვიცით, ვინაჲ არს. ხოლო ქრისტე ოდეს მოვიდეს, არავინ უწყოდის, თუ ვინაჲ არს. |
| 28. ღაღად-ყო[1] იესუ ტაძარსა მას შინა, ასწავებდა და ეტყოდა: მეცა მიცით და იცით, ვინაჲ ვარ; და თავით ჩემით არა მოსრულ ვარ, (G 241v) არამედ არს ჭეშმარიტი, რომელმან-იგი მომავლინა მე, რომელი თქუენ არა იცით. | 28. ღაღად-ყო[3] იესუ ტაძარსა მას შინა, ასწავებდა და ეტყოდა: მეცა მიცით და იცით, ვინაჲ ვარ: და თავით ჩემით არა მოსრულ ვარ, და არს ჭეშმარიტ, რომელმან-იგი მომავლინა მე, რომელი თქუენ არა იცით. |
| 29. ხოლო მე ვიცი იგი, რამეთუ მის მიერ ვარ, და მან მომავლინა მე. | 29. ხოლო მე ვიცი იგი, რამეთუ მის მიერ (H 229v) ვარ. და მან მომავლინა მე. |
| 30. ეძიებდეს მას შეპყრობად, და არავინ დაასხნა მას ჴელნი, რამეთუ არღა მოწევნულ იყო ჟამი მისი. | 30. ეძიებდეს მას შეპყრობად, და არავინ დაასხნა მას ჴელნი, რამეთუ არღა მოწევ(K 244r)ნულ იყო ჟამი მისი. |
| 31. და მრავალთა ერისა მისგანთა ჰრწმენა იგი და იტყოდეს: ქრისტე[2] ოდეს მოვიდეს, ნუუკუე უმრავლესი სასწაული ქმნეს. რომელი ამან ქმნა? | 31. და მრავალთა ერისა მისგანთა ჰრწმენა (I 230r) მისა[4] მიმართ და იტყოდეს: ქრისტე ოდეს მოვიდეს. ნუუკუე[5] უმრავლესნი სასწაულნი ქმნნესა, რომელნი ამან ქმნნა? |
| 32. და ესმა ფარისეველთა ერისა მის დრტჳნვაჲ მისთჳს. და მიავლინნეს[3] მღდელთ-მოძღუართა მათ და ფარისეველთა მსახურნი, რაჲთა შეიპყრან იგი. | 32. და ესმა ფარისეველთა ერისა მის დრტჳნვაჲ მისთჳს. და მიავლინნეს[6] მღდელთ-მოძღუართა მათ და ფარისეველთა მსახურნი, რაჲთა შეიპყრან იგი. |
| 33. და თქუა იესუ: მცირედ ჟამლა თქუენ თანა ვარ და წარვალ მომავლინებელისა ჩემისა. | 33. და თქუა იესუ: მცირედ ჟამ თქუენ თანა ვარ და წარვალ მომავლინებელისა ჩემისა. |
| 34. მეძიებდეთ მე და არა მპოოთ; და სადა-იგი მე ვიყო, თქუენ ვერ ძალ-გიც მოსლვად. | 34. მეძიებდეთ მე და არა მპოვოთ[7]; და სადა-იგი მე ვიყო, თქუენ ვერ ძალ-გიც მოსლვად. |
| 35. (F 190v) იტყოდეს ურთიერთას[4] ჰურიანი იგი: ვიდრე-მე ეგულების ამას წარსლვად, და ჩუენ არა ვპოოთ იგი? ნუუკუე (G 242r) განთესულთა მათ წარმართთასა ეგულების მისლვად და სწავლად მუნ წარმართთა? | 35. იტყოდეს ურთიერთას ჰურიანი იგი: ვიდრე-მე ეგულების ამას წარსლვად, და ჩუენ არა ვპოოთ იგი? ნუუკუე[2] განთესულთა მათ წარმართთასა ეგულების მისლვად და სწავლად მუნ წარმართთა? |

---

[1] ღაღატ-ყო F. [2] ქ̃ჱ G. [3] მიავლინეს G. [4] ურთიერთარს F.

[1] არას HI. [2] ნუუკუჱ HI. [3] ღაღატ-ყო HI. [4] მისსა HIK. [5] ნეუკუჱ HIK. [6] მიავლინეს I. [7] მპოოთ K.

| FG | HIK |
|---|---|
| 36. რაჲ არს სიტყუაჲ ესე, რომელსა იტყჳს: მეძიებდეთ მე და არა მპოოთ, და სადა მე ვიყო, თქუენ ვერ ჴელ-გეწიფების მოსლვად? | 36. რაჲ არს სიტყუაჲ ესე, რომელსა იტყჳს: მეძიებდეთ მე და არა მპოოთ, (H 230r) და სადა მე ვიყო, თქუენ ვერ ჴელ-გეწიფების მოსლვად? |
| 37. და დასასრულსა მას დიდისა მის დღესასწაულისასა[1] დგა იესუ, ღაღად-ყო[2] და თქუა: უკუეთუ ვისმე სწყუროდის, მოვედინ ჩემდა და სუემდინ. | 37. და დასასრულსა მას დიდისა მის დღესასწაულისასა დადგა იესუ, ღაღატ-ყო და თქუა: უკუეთუ ვისმე სწყუროდის, (I 230v) მოვედინ ჩემდა და სუემდინ[1]. |
| 38. და რომელსა ჰრწმენეს ჩემი, ვითარცა თქუა წიგნმან. მდინარენი მუცლისა მისისაგან დიოდიან წყლისა ცხოველისანი. | 38. და რომელსა ჰრწმენეს ჩემი, ვითარცა თქუა წიგნმან, მდი(K 244v)-ნარენი მუცლისა მისისაგან დიოდიან წყლისა ცხოველისანი. |
| 39. ესე თქუა სულისა მისთჳს, რომელი მიღებად იყო მორწმუნეთა მათ მისა მიმართთა. რამეთუ არღა მოცემულ იყო სული წმიდაჲ, რამეთუ იესუ არღა დიდებულ იყო. | 39. ესე თქუა სულისა მისთჳს, რომელი მიღებად იყო მორწმუნეთა მათ მისა[2] მიმართ, რამეთუ არღა მოცემულ იყო სული წმიდაჲ, რამეთუ იესუ არღა იყო დიდებულ. |
| 40. მრავალთა ერისა მისგანთა ისმინეს სიტყუაჲ ესე და იტყოდეს: ესე არს ჭეშმარიტად წინაწარმეტყუელი. | 40. მრავალთა ერისა მისგანთა ისმინეს სიტყუაჲ ესე და იტყოდეს: ესე არს ჭეშმარიტად წინაწარმეტყუელი. |
| 41. სხუანი იტყოდეს: ესე არს ქრისტჱ; ხოლო სხუანი იტყოდეს: ნუუკუე გალილეაჲთ მოსლვად (G 242v) არს ქრისტე[3]? | 41. სხუანი იტყოდეს: ესე არს ქრისტე: ხოლო სხუანი იტყოდეს: ნუუკუე[3] გალილეაჲთ მოსლვად არსა[4] ქრისტე? |
| 42. არა წიგნი იტყჳსა, ვითარმედ თესლისაგან დავითისა და ბეთლემით დაბით[4], სადა იყო დავით, მიერვე[5] მოვიდეს ქრისტჱ? | 42. არა წიგნი იტყჳსა, ვითარმედ თესლისაგან დავითისა და ბეთლემით დაბით, სადა იყო დავით, მოვიდეს ქრისტე? |
| 43. და განწვალებაჲ იყო მის(F 191r)-თჳს ერსა შორის. | 43. და განწვალებაჲ იყო მისთჳს ერსა შორის. |
| 44. და რომელთამე მათგანთა უნდა შეპყრობაჲ მისი, და არავინ მიყვენა ჴელნი მის ზედა. | 44. და რომელთამე მათგანთა უნდა შეპყრობაჲ მისი, და არავინ მიყვენა ჴელნი მის ზედა. |
| 45.* მოვიდეს მსახურნი იგი მღდელთ-მოძღუართანი და ფარისეველთანი, და ჰრქუეს მათ: რად არა მოიყვანეთ იგი? | 45. მოვიდეს მსახურნი იგი (H 230v) მღდელთ-მოძღუართანი და ფარისეველთანი, და ჰრქუეს მათ: რად არა მოიყვანეთ იგი? |
| 46. მიუგეს მსახურთა მათ და ჰრქუეს: არასადა ვინ იტყოდა კაცი ესრეთ, ვითარ ესე კაცი. | 46. მიუგეს მსახურთა მათ და ჰრქუეს: არასადა ვინ იტყოდა კაცი (I 231r) ესრეთ, ვითარ ესე კაცი. |

---

[1] დღესასწაულისასა G. [2] ღაღატ-ყო F. [3] ქ~ჱ F. [4] დაბით] — G. [5] სადა იყო დავით, მიერვე] — FG (M).

* G-ში მუხლები 45—52 გადაადგილებულია და მოთავსებულია 8, 11-ის შემდეგ. გაწყვეტა ხდება ფურცლის შუაში.

[1] სუჱმდინ HI. [2] მისსა K. [3] ნუუკუჱ HI. [4] არს K.

| FG | HIK |
|---|---|
| 47. მიუგეს ფარისეველთა მათ და ჰრქუეს: თქუენცა უკუე შე-ვე-ცთომილ ხართ? | 47. მიუგეს ფარისეველთა მათ და ჰრქუეს[1]: თქუენცა ნუუკუე[2] შე-ვე-ცთომილ ხართა? |
| 48. ნუუკუე მთავართაგანთა ვიეთმე ჰრწ(G 240r)მენა მისა მიმართ[1] ანუ ფარისეველთა? | 48. ნუუკუე[3] მთავართაგანთა ვიეთმე ჰრწმენაა მისი ანუ ფარისეველთა? |
| 49. არამედ ერსა ამას, რომელმან არა იცის შჯული, დაწყეულ არიან. | 49. არამედ ერსა ამას, რომელმან არა იცის სჯული[4], დაწყეულ არიან. |
| 50. ჰრქუა მათ ნიკოდემოს, რომელ-იგი მოსრულ იყო პირველ მისა, იყო ერთი მათგანი: | 50. (K 245r) ჰრქუა მათ ნიკოდიმოს, რომელი-იგი მოსრულ იყო პირველ მისა[5], იყო ერთი მათგანი: |
| 51. ნუუკუე შჯული ჩუენი დასჯისა[2] კაცსა, უკუეთუ არა პირველად ისმინოს მისგან და ცნას, რასა იქმს? | 51. ნუუკუე[2] სჯული[4] ჩუენი დასჯის[6] კაცსა, უკუეთუ არა პირველად ისმინოს მისგან და ცნას, რასა იქმს? |
| 52. მიუგეს მათ და ჰრქუეს მას: ნუ[3] შენცა გალილეაჲთ ხარ? გამოიძიე და იხილე[4], რამეთუ გალილეაჲთ წინაწარმეტყუელი არა აღდგომილ არს. | 52. მიუგეს მათ და ჰრქუეს მას: ნუ შენცა გალილეაჲთ ხარ? გამოიძიე და იხილე, რამეთუ გალილეაჲთ წინაწარმეტყუელი[7] არა აღდგომილ არს. |
| 53. და კაცად-კაცადი წარვიდა სახედ თჳსა. | 53. და წარვიდა კაცად-კაცადი სახიდ თჳსად. |

## 8

| FG | HIK |
|---|---|
| 1.[*] ხოლო იესუ აღვიდა მთასა ზეთისხილთასა. | 1. ხოლო იესუ წარვიდა მთასა მას ზეთისხილთასა. |
| 2. და ხვალისაგან მოვიდა კუალად ტაძრად, და ყოველი იგი ერი მოვიდოდეს მისა, და იგი ასწავებდა მათ. | 2. და განთიად კუალად მოვიდა ტაძრად, და ყოველი ერი მოვიდოდა მისა[5] მიმართ, და დაჯდა და ასწავებდა მათ. |
| 3. მოიყვანეს მღდელთ-მოძღუართა მათ და ფარისეველთა დედაკაცი და დაადგინეს შორის | 3. ხოლო მწიგნობართა მათ და ფარის(H 231r)ეველთა მოიყვანეს მისა[5] დედაკაცი, რომელი ცხადად ერსა (I 231v) ზედა დაეპყრა მრუშებასა, და დაადგინეს იგი შორის |
| 4. და ჰრქუეს მას: მოძღუარ, ესე დედაკაცი მრუშებასა დაეპყრა ხილულად. | 4. და ჰრქუეს მას, რამეთუ გამოსცდიდეს: მოძღუარ, ესე დედაკაცი ცხადად მრუშებასა დაეპყრა. |
| 5. და შჯულსა შინა მოსესსა ესევითარისათჳს ქვისა დაკრებასა მამცნებს ჩუენ. აწ შენ რაჲ სთქუ? | 5. და მოსე ამცნო სჯულსა[8] შინა ჩუენსა ესევითართა ქვისა დაკრებაჲ. შენ უკუე[9] (K 245v) რასა იტყჳ? |

---

[1] მისა მიმართ] მისი G. [2] დაშჯის G. [3] ნუუკუე G. [4] იხილჱ G.

[*] მუხლები $8_{1-11}$ აკლია F-ს ძველი ხელნაწერების ტრადიციის მიხედვით. ამ მუხლებისთვის მიუყოლებიათ მე-7 თავის ბოლო (53-ე) მუხლის აქ ტექსტი მხოლოდ G-ს მიხედვითაა მოყვანილი.

[1] ჰრქუჱს I. [2] ნუუკუჱ HIK. [3] ნუუკუჱ HI. [4] შჯული HI. [5] მისსა K. [6] დაშჯის HI. [7] წ̃წყლი HK. წინაჲსწარმეტყ̃ლი I. [8] შჯულსა HI. [9] უკუჱ HIK.

FG

6. ხოლო ესე თქუეს და გამოსცდიდეს მას, რაჲთა აქუნდეს მათ რაჲმე შესმენაჲ მისთჳს. ხოლო იესუ დამართ ხელითა და თითითა ქუეყანასა წერდა.

7. და ვითარ მყოვარ[1] (G 243v) დგეს და ხელვიდეს მას, მაშინ აღემართა ზე[2] და ჰრქუა მათ: ვინ უცოდველი არს თქუენ შორის, პირველად მან დაუტევენ ქვაჲ მაგას ზედა.

8. და კუალად დადრკა და წერდა[3] ქუეყანასა.

9. ხოლო მათ ვითარცა ესმა, იწყეს მოხუცებულთა მათ და მწიგნობართა და თითოჲ გამოვიდოდეს, და დაშთა თავადი მარტოჲ, და დედაკაცი იგი დგა წინაშე იესუჲსა.

10. და მიხედა იესუ და ჰრქუა მას: დედაკაცო, სადა არიან შემასმენელნი შენნი? არავინ განგიკითხავს შენ?

11. ხოლო მან ჰრქუა: არავინ, უფალო! და იესუ ჰრქუა მას: არცა მე განგიკითხავ, წარვედ და ამიერითგან[4] ნუღარა სცოდავ შენ.

12. მერმეცა ეტყოდავე იესუ და ჰრქუა მათ: მე ვარ ნათელი სოფლისაჲ. რომელი შემომიდგეს მე, არა ვიდოდის ბნელსა, არამედ აქუნდეს ნათელი ცხორებისაჲ.

13. ჰრქუეს მას ფარისეველთა: შენ თავისა შენისათჳს სწამებ, და წამებაჲ (F 101v) შენი არა არს ჭეშმარიტ.

14. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: დაღაცათუ მე ვწამო[5] თავისა ჩემისათჳს, ჭეშმარიტ არს წამებაჲ ჩემი, რამეთუ ვიცი, ვინაჲ მოსრულ ვარ და ვიდრე მივალ; ხოლო თქუენ არა იცით, ვინაჲ მოვედ (G 244r) და ვიდრე ვალ.

15. თქუენ ჴორცთაებრ შჯით, ხოლო მე არავის ვშჯი.

16. უკუეთუ ვშჯიდე მე[6], საშჯელი ჩემი ჭეშმარიტ არს, რამეთუ არა ვარ

HIK

6. ხოლო ესე თქუეს[1] და გამოსცდიდეს მას, რაჲთა აქუნდეს შესმენად მისა[2]. ხოლო იესუ ქუეყანად დადრკა და თითითა ქუეყანასა წერდა და არარას ეტყოდა.

7. და ვითარ მყოვარ დგეს და ჰკითხვიდეს მას, აღემართა ზე და ჰრქუა მათ: ვინ უცოდველ არს თქუენგანი, პირველად მან დაუტევენ ქვაჲ მაგას ზედა.

8. და კუალად ქუე[3] დადრკა და წერდა ქუეყანასა.

9. ხოლო მათ ვითარცა ესმა, მხილებულნი სკნიდისისაგან, განვიდოდეს თითოჲ; იწყეს მოხუცებულითგან, ვიდრემდის დაშთა თავადი მარტოჲ, და დედაკაცი იგი დგა შორის.

10. ხოლო იესუ აღემართა და არავინ იხილა, გარნა დედაკაცი იგი[4] და ჰრქუა მას: სადა არიან შემასმენელნი შენნი? არავინ განგიკითხა შენ?

11. ხოლო მან ჰრქუა: არავინ, (H 231v, I 232r) უფალო! ხოლო იესუ ჰრქუა მას: არცა მე განგიკითხავ შენ; წარვედ და ამიერითგან ნუღარა სცოდავ.

12. მერმეცა ეტყოდავე იესუ და ჰრქუა მათ: მე ვარ ნათელი სოფლისაჲ. რომელი შემომიდგეს მე, არა ვიდოდის ბნელსა, არამედ აქუნდეს ნათელი ცხორებისაჲ.

13. ჰრქუეს მას ფარისეველთა: შენ თავისა შენისათჳს სწამებ, და წამებაჲ შენი არა არს ჭეშმარიტ.

14. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: დაღაცათუ მე ვწამო თავისა (K 240r) ჩემისათჳს, ჭეშმარიტ არს წამებაჲ ჩემი, რამეთუ ვიცი, ვინაჲ მოსრულ ვარ და ვიდრე მივალ; ხოლო თქუენ არა იცით, ვინაჲ მოვედ და ვიდრე ვალ.

15. თქუენ ჴორცთაებრ სჯით[5], ხოლო მე არავის ვსჯი[6].

16. უკუეთუ ვსჯიდე[7] მე, სასჯელი[8] ჩემი ჭეშმარიტ არს, რამეთუ არა ვარ

---

[1] მყოვარ G. [2] ზჱ G. [3] და წერდა] — G. [4] დაჲმიერითგან G. [5] ეწამებ F. [6] მე] — G.

[1] თქუეს I. [2] მისა K. [3] ქუჱ HI. [4] იგი] — K. [5] შჯით HI. [6] ვშჯი HI. [7] ვშჯიდე HI. [8] საშჯელი HI

FG

მარტოჲ, არამედ მე და მომავლინებელი ჩემი მამაჲ.

17. რამეთუ შჯულსაცა თქუენსა წერილს არს, ვითარმედ: ორისა კაცისა წამებაჲ ჭეშმარიტ არს[1].

18. მე ვარ, რომელი ვწამებ ჩემთჳს, და წამებს ჩემთჳს მომავლინებელი ჩემი მამაჲ.

19. ჰრქუეს მას ჰურიათა მათ: სადა არს მამაჲ შენი? მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: არცა მე მიცით და[2] არცა მამაჲ ჩემი. უკუეთუმცა მიცოდეთ მე, მამაჲცამცა ჩემი იცოდეთ.

20. ამას სიტყუასა ეტყოდა ფასის-საცავსა მას თანა და ასწავებდა ტაძარსა მას[3] შინა. და არავინ შეიპყრა იგი, რამეთუ არღა მოსრულ იყო ჟამი მისი.

21. მერმე ჰრქუა მათ იესუ: მე წარვალ, და მეძიებდეთ მე და ცოდვათა შინა თქუენთა მოსწყდეთ; და ვიდრე-იგი მე მივალ, თქუენ ვერ ჴელ-გეწიფების მოსლვად.

22. (F 102ⴐ) იტყოდეს ურთიერთას[4] ჰურიანი იგი: ნუუკუე მოიკლავს თავსა (G 244ⴅ) თჳსსა[5], რამეთუ იტყჳს: ვიდრე-იგი მე მივალ, თქუენ ვერ ჴელ-გეწიფების მოსლვად?

23. და ეტყოდა მათ: თქუენ ქუეყანისაგანნი ხართ, ხოლო მე ზეცისაგანი ვარ; თქუენ ამის სოფლისაგანნი ხართ, ხოლო მე არა ამის სოფლისაგანი ვარ.

24. გარქუ თქუენ, ვითარმედ: მოსწყდეთ ცოდვათა შინა თქუენთა; უკუეთუ არა გრწმენეს ჩემი, რამეთუ მე ვარ, მოსწყდეთ ცოდვათა შინა თქუენთა.

25. ეტყოდეს მას: და შენ ვინ ხარ? ჰრქუა მათ იესუ: პირველად, რამეთუ მე გეტყჳ თქუენ.

26. მრავალი მაქუს თქუენდა სიტყუად და განკითხვად, არამედ რომელმან მომავლინა მე, ჭეშმარიტ არს, და

HIK

მარტოჲ, არამედ მე და მომავლინებელი ჩემი მამაჲ.

17. რამეთუ სჯულსაცა[1] თქუენსა წერილ არს, ვითარმედ: ორისა კაცისა წამებაჲ ჭეშმარიტ არს.

18. მე ვარ, რომელი ვწამებ ჩემთჳს, და წამებს ჩემთჳს მომავლინებელი ჩემი მამაჲ.

19. ჰრქუეს მას ჰურიათა მათ: სადა არს მამაჲ შენი? (I 232ⴅ) მიუგო იესუ და ჰრქუა (H 232ⴐ) მათ: არცა მე მიცით, არცა მამაჲ ჩემი. უკუეთუმცა[2] მიცოდეთ მე, მამაჲცამცა ჩემი იცოდეთ.

20. ამას სიტყუასა ეტყოდა ფასის-საცავსა მას თანა და ასწავებდა ტაძარსა შინა. და არავინ შეიპყრა იგი, რამეთუ არღა მოსრულ იყო ჟამი მისი.

21. მერმე ჰრქუა მათ იესუ: მე წარვალ, და მეძიებდეთ მე და არა მპოოთ და ცოდვათა შინა თქუენთა მოსწყდეთ; და ვიდრე-იგი მე მივალ, თქუენ ვერ ჴელ-გეწიფების მოსლვად.

22. იტყოდეს ურთიერთას ჰურიანი იგი: ნუუკუე[3] მოიკლავს თავსა თჳსსა, რამეთუ იტყჳს: ვიდრე-იგი მე მივალ, თქუენ ვერ ჴელ-გეწიფების მოსლვად?

23. (K 240ⴅ) და ეტყოდა მათ იესუ: თქუენ ქუეყანისაგანნი ხართ, ხოლო მე ზეცისაგანი ვარ; თქუენ ამის სოფლისაგანნი ხართ, ხოლო მე არა ამის სოფლისაგანი ვარ.

24. გარქუ თქუენ, ვითარმედ: მოსწყდეთ ცოდვათა შინა თქუენთა; უკუეთუ არა გრწმენეს ჩემი, რამეთუ მე ვარ, მოსწყდეთ ცოდვათა შინა თქუენთა.

25. ეტყოდეს მას: და შენ ვინ ხარ? ჰრქუა მათ იესუ: პირველად, რამეთუ მე გეტყჳ თქუენ.

26. მრავალი მაქუს თქუენდა სიტყუად (H 232ⴅ, I 233ⴐ) და განკითხვად, არამედ რომელმან მომავლინა

---

[1] ~ ჭეშმარიტ არს წამებაჲ F. [2] და] — G. [3] მას] — G. [4] ურთიერთარს F. [5] თჳსა F.

[1] შჯულსაცა HI. [2] უკუჱთუმცა H. [3] ნუუკუჱ HIK.

FG

რაჲ-იგი მესმა მისგან, მას ვიტყჳ სოფელსა ამას შინა.

27. ხოლო მათ არა ცნეს, რამეთუ მამასა თჳსსა უთხრობდა მათ.

28. მერმე ჰრქუა მათ იესუ: ოდეს აღამაღლოთ ძჱ კაცისაჲ, მაშინ სცნათ, რამეთუ მე ვარ და თავით ჩემით არას ვიქმ, არამედ ვითარცა მასწავა მე მამამან, მასცა ვიტყჳ[1].

29. და რომელმან მომავლინა მე, ჩემ თანა არს; არა დამიტევა მე მარტოჲ, რამეთუ მე სათნოებასა მისსა ვიქმ მარადის.

30. ამას რაჲ ეტყოდა მათ, მრავალთა ჰრწმენა მისი.

31. (F 192v, G 245r) და ეტყოდა იესუ მორწმუნეთა მათ მისთა ჰურიათა: უკუეთუ თქუენ დაადგრეთ სიტყუათა ჩემთა, ჭეშმარიტად მოწაფენი ჩემნი ხართ.

32. და სცნათ ჭეშმარიტი, და ჭეშმარიტებამან განგათავისუფლნეს თქუენ.

33. მიუგეს ჰურიათა მათ და ჰრქუეს მას: ჩუენ ნათესავნი[2] აბრაჰამისნი ვართ და არასადა ვის ვჰმონებდით; ვითარ-ეგე შენ იტყჳ, ვითარმედ: განსთავისუფლდეთ?

34. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ: ყოველმან რომელმან ქმნეს ცოდვაჲ, მონაჲ არს იგი ცოდვისაჲ.

35. და მონამან არასადა[3] დაიმკჳდრის სახლსა შინა უკუნისამდე, ხოლო ძემან დაიმკჳდროს უკუნისამდე.

36. უკუეთუ ძემან განგათავისუფლნეს, ჭეშმარიტად თავისუფალ იყვნეთ.

37. უწყი, რამეთუ ნათესავნი აბრაჰამისნი ხართ, არამედ მეძიებთ მე მოკლვად, რამეთუ სიტყუაჲ ჩემი ვერ დაიტევის თქუენ შორის.

38. მე რომელი ვიხილე მამისა ჩემისა თანა, მას ვიტყჳ; და თქუენ რომე-

HIK

მე, ჭეშმარიტ არს, და რაჲ-იგი მესმა მისგან, მას ვიტყჳ სოფელსა ამას შინა.

27. ხოლო მათ არა ცნეს, რამეთუ მამასა თჳსსა უთხრობდა მათ.

28. მერმე ჰრქუა მათ იესუ: ოდეს აღამაღლოთ ძე კაცისაჲ, მაშინ სცნათ, რამეთუ მე ვარ და თავით ჩემით არას ვიქმ, არამედ ვითარცა მასწავა მე მამამან, მასცა ვიტყჳ.

29. და რომელმან მომავლინა მე, ჩემ თანა არს; არა დამიტევა მე მარტოჲ მამამან, რამეთუ მე სათნოებასა მისსა ვიქმ მარადის.

30. ამას რაჲ ეტყოდა, ჰრწმენა მრავალთა მისი.

31. და ეტყოდა იესუ მორწმუნეთა მათ მისთა ჰურიათა: უკუეთუ თქუენ დაადგრეთ სიტყუათა ჩემთა, ჭეშმარიტად მოწაფენი ჩემნი (K 247r) ხართ.

32. და სცნათ ჭეშმარიტი, და ჭეშმარიტებამან განგათავისუფლნეს თქუენ.

33. მიუგეს ჰურიათა მათ და ჰრქუეს მას: ჩუენ ნათესავნი აბრაჰამისნი ვართ და არასადა ვის ვჰმონებდით; ვითარ-ეგე შენ იტყჳ, ვითარმედ: განსთავისუფლდეთ?

34. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ: ყოველმან რომელმან ქმნეს ცოდვაჲ, მონაჲ არს იგი ცოდ(H 233r)ვისაჲ.

35. და მონამან არა დაიმკჳ(I 233v)დროს სახლსა შინა უკუნისამდე, ხოლო ძემან დაიმკჳდროს უკუნისამდე.

36. უკუეთუ[1] ძემან განგათავისუფლნეს, ჭეშმარიტად თავისუფალ იყვნეთ.

37. უწყი, რამეთუ ნათესავნი აბრაჰამისანი ხართ, არამედ მეძიებთ მე მოკლვად, რამეთუ სიტყუაჲ ჩემი ვერ დაეტევის თქუენ შორის.

38. მე რომელი ვიხილე მამისა ჩემისა თანა, მას ვიტყჳ; და თქუენ რომელი

---

[1] ვიტყუ G. [2] ნაესავნი F. [3] არასადა] არა G.

[1] უკუჱთუ H.

FC

ლი გასმიეს[1] მამისა თქუენისაგან, მას იქმთ.

39. მიუგეს მას და ჰრქუეს: მამაჲ ჩუენი აბრაჰამი არს. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: უკუეთუმცა შვილნი აბრაჰამის(G 245v)ნი იყვენით, საქმესამცა აბრაჰა(F 103r)მისსა იქმოდეთ.

40. ხოლო აწ მეძიებთ მე მოკლვად, კაცსა, რომელი ჭეშმარიტსა გეტყჳ თქუენ, რომელი მესმა ღმრთისაგან. ესე აბრაჰამ არა ქმნა.

41. ხოლო თქუენ იქმთ საქმესა მამისა თქუენისასა. ჰრქუეს მას: ჩუენ სიძვით არა შობილ ვართ, ერთი მამაჲ ვიცით — ღმერთი.

42. ჰრქუა მათ იესუ: უკეეთუმცა ღმერთი მამაჲ თქუენი იყო, გიყუარდიმცა მე, რამეთუ ღმრთისაგან გამოვედ და მოსრულ ვარ, რამეთუ არა თავით თჳსით მოსრულ ვარ, არამედ მან მომავლინა მე.

43. რაჲსათჳს სიტყუანი ჩემნი არა იცნით? რამეთუ ვერ ძალ-გიც სიტყუათა ჩემთა სმენად.

44. თქუენ მამისა[2] ეშმაკისანი ხართ და გულის-თქუმაჲ მამისა თქუენისაჲ გნებავს ყოფად; რამეთუ იგი კაცის-მკლველი არს დასაბამითგან და ჭეშმარიტებასა არა[3] დაადგრა, რამეთუ ჭეშმარიტებაჲ არა არს მის თანა. ოდეს იტყჳნ ტყუილსა, თჳსისაგან გულისა იტყჳნ, რამეთუ მამაჲ მისი მტყუვარი არს.

45. ხოლო მე ჭეშმარიტსა გეტყჳ თქუენ, და არა გრწამს ჩემი.

46. ვინ (G 246r) თქუენგანმან მამხილოს მე ცოდვისათჳს? უკუეთუ ჭეშმარიტსა გეტყჳ თქუენ, რაჲსათჳს არა გრწამს ჩემი?

47. რომელი ღმრთისაგან არნ, სიტ(F 103v)ყუათა ღმრთისათა ისმენს;

HIK

იხილეთ მამისა თქუენისა თანა, მას ჰყოფთ.

39. მიუგეს და ჰრქუეს მას: მამაჲ ჩუენი აბრაჰამი არს. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: უკუეთუმცა შვილნი აბრაჰამისნი იყვენით, საქმეთამცა აბრაჰამისთა იქმოდეთ.

40. ხოლო აწ მეძიებთ მე მოკლვად, კაცსა, რომელი ჭეშმარიტსა გეტყჳ თქუენ, რომელი მესმა ღმრთისაგან. ესე აბრაჰამ არა ქმნა.

41. ხოლო თქუენ იქმთ საქმესა მამისა თქუენისასა. (K 247v) ჰრქუეს მას: ჩუენ სიძვით არა შობილ ვართ, ერთი მამაჲ ვიცით — ღმერთი.

42. ჰრქუა მათ იესუ: უკუეთუმცა[1] ღმერთი მამაჲ თქუენი იყო, გიყუარდიმცა მე, რამეთუ ღმრთისაგან გამოვედ და მოსრულ ვარ, რამეთუ არა თავით თჳსით (H 239v) მოსრულ ვარ, არამედ მან მომავლინა მე.

43. რაჲსა(I 234r)თჳს სიტყუანი ჩემნი არა იცნით? რამეთუ ვერ ძალ-გიც სიტყუათა ჩემთა სმენად.

44. თქუენ მამისა[2] ეშმაკისანი ხართ და გულის-თქუმათა მამისა თქუენისათა გნებავს ყოფად; რამეთუ იგი კაცის-მკლველი იყო დასაბამითგან და ჭეშმარიტებასა არა დაადგრა, რამეთუ ჭეშმარიტებაჲ არა არს მის თანა. ოდეს იტყჳნ ტყუვილსა, თჳსისაგან გულისა იტყჳნ, რამეთუ მტყუვარ არს, და რამეთუ მამაჲცა მისი მტყუვარი არს.

45. ხოლო მე ჭეშმარიტსა გეტყჳ თქუენ, და არა გრწამს ჩემი.

46. ვინ თქუენგანმან მამხილოს მე ცოდვისათჳს? უკუეთუ ჭეშმარიტსა გეტყჳ თქუენ, რაჲსათჳს არა გრწამს ჩემი?

47. რომელი ღმრთისაგან არს, სიტყუათა ღმრთისათა ისმენს; ამისთჳს არა

---

[1] გესმა G. [2] მამისაგან FG. [3] არაჲ F.

[1] უკეჩთუმცა H. [2] მამისა HI (=მამისაგან შდრ. FG).

## FG

ამისთჳს არა ისმენთ თქუენ, რამეთუ არა ხართ ღმრთისაგანნი.

48. მიუგეს ჰურიათა მათ და ჰრქუეს მას: არა კეთილად ვთქუთა, ვითარმედ სამარიტელ ხარ შენ და ეშმაკი არს შენ თანა?

49. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ჩემ თანა ეშმაკი არა არს, არამედ პატივ-ვსცემ[1] მამასა ჩემსა, და თქუენ მაგინებთ მე.

50. ხოლო მე არა ვეძიებ დიდებასა ჩემსა; არს, რომელი ეძიებს და შჯის.

51. ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ: უკუეთუ ვინმე სიტყუაჲ ჩემი დაიმარხოს, სიკუდილი არა იხილოს უკუნისამდე.

52. ჰრქუეს მას ჰურიათა მათ: აწ გჳცნობიეს, რამეთუ ეშმაკეულ ხარ: აბრაჰამ მოკუდა და წინაწარმეტყუელნიცა, და შენ იტყჳ: უკუეთუ ვინმე სიტყუაჲ ჩემი დაიმარხოს, არა იხილოს გემოჲ სიკუდილისაჲ უკუნისამდე.

53. ნუუკუე შენ უფროჲს[2] ხარა (G 240v) მამისა ჩუენისა აბრაჰამისა, რომელი მოკუდა, და წინაწარმეტყუელნი მოსწყდეს? შენ ვის ჰყოფ თავსა შენსა?

54. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: უკუეთუ მე ვადიდებდე თავსა ჩემსა, დიდებაჲ ჩემი არარაჲ არს; არამედ არს[3] მამაჲ ჩემი, რომელი მადიდებს მე, რომელი თქუენ (F 194r) სთქუთ, ვითარმედ: ღმერთი ჩუენი არს იგი.

55. და არა იცით იგი, ხოლო მე ვიცი იგი. და უკუეთუ ვთქუა, ვითარმედ: არა ვიცი იგი, ვიყო მეცა მსგავს თქუენდა მტყუარ[4], არამედ ვიცი იგი და სიტყუასა მისსა ვიმარხავ.

56. აბრაჰამს, მამასა თქუენსა, უხაროდა, რაჲთა იხილოს დღჱ[5] ესე ჩემი, იხილა და განიხარა.

57. ჰრქუეს მას ჰურიათა მათ[6]: ერ-

## HIK

ისმენთ თქუენ, რამეთუ არა ხართ ღმრთისაგან.

48. მიუგეს ჰურიათა მათ და ჰრქუეს მას: არა კეთილად ვთქუთა, ვითარმედ სამარიტელ ხარ შენ, და ეშმაკი არს შენ თანა?

49. მიუგო იესუ და ჰრქუა (K 248r) მათ: ჩემ თანა ეშმაკი არა არს, არამედ პატივ-ვსცემ მამასა (I 234v) ჩემსა, (H 234r) და თქუენ მაგინებთ[1] მე.

50. ხოლო მე არა ვეძიებ დიდებასა ჩემსა; არს, რომელი ეძიებს და სჯის[2].

51. ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ: უკუეთუ[3] ვინმე სიტყუაჲ ჩემი დაიმარხოს, სიკუდილი არა იხილოს უკუნისამდე.

52. ჰრქუეს მას ჰურიათა: აწ გჳცნობიეს, რამეთუ ეშმაკეულ ხარ: აბრაჰამ მოკუდა და წინაწარმეტყუელნიცა, და შენ იტყჳ: უკუეთუ ვინმე სიტყუაჲ ჩემი დაიმარხოს, არა იხილოს გემოჲ სიკუდილისაჲ უკუნისამდე.

53. ნუუკუე[4] შენ უფროჲს ხარა მამისა ჩუენისა აბრაჰამისა[5], რომელი მოკუდა, და წინაწარმეტყუელნი მოსწყდეს? შენ ვის ჰყოფ თავსა შენსა?

54. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: უკუეთუ მე ვადიდებდე თავსა ჩემსა, დიდებაჲ ჩემი არარაჲ არს; არამედ არს მამაჲ ჩემი, რომელი მადიდებს მე, რომელი თქუენ სთქუთ, ვითარმედ: ღმერთი ჩუენი არს იგი.

55. და არა იცით იგი, ხოლო მე ვიცი იგი. და უკუეთუ ვთქუა, ვითარმედ: არა ვიცი იგი, ვიყო მეცა მსგავს თქუენდა მტყუარ, არამედ ვიცი იგი და სიტყუასა მისსა ვიმარხავ.

56. აბრაჰამს, მამასა თქუენსა, უხაროდა, რაჲთა იხილოს დღე ესე ჩემი, (H 234v) იხილა და განიხარა.

57. (I 235r) ჰრქუეს მას ჰურია-

---

[1] პატივსცემ F. [2] უფროს G. [3] არს] — G. [4] მტყუარ] — G. [5] დღე F. [6] მათ] — F.

[1] მაგინებენ I. [2] შჯის HI. [3] უკუჱთუ H. [4] ნუუკუჱ HIK. [5] აბრაჰამისსა K.

FG

გასის[1] წლის არლა[2] ხარ და შენ აბრაჰამი გიხილავსა?

58. ჰრქუა მათ იესუ: ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ: ვიდრე აბრაჰამისა ყოფადმდე მე ვარ.

59. აღიღეს ქვაჲ ჰურიათა მათ, რაჲთა დაჰკრიბონ მას. ხოლო იესუ დაეფარა და განვიდა ტაძრით, განვლო შორის მათსა და წარვიდა ესრეთ.

HIK

თა მათ: ერგასის წლის არლა ხარ და შენ (K 246v) აბრაჰამი გიხილავსა?

58. ჰრქუა მათ იესუ: ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ: პირველ აბრაჰამის ყოფადმდე მე ვარ.

59. აღიღეს ქვები ჰურიათა მათ, რაჲთა დაჰკრიბონ მას. ხოლო იესუ დაეფარა და განვიდა ტაძრით, განვლო შორის მათსა და წარვიდა ესრეთ.

## 9

1. და ვითარცა წარვიდოდა იესუ, იხილა კაცი, ბრმაჲ შობითგანი.

2. ჰკითხვიდეს მოწაფენი მისნი და ეტყოდეს: რაბი, ვინ (G 247r) ცოდა: ამან ანუ მშობელთა ამისთა, რამეთუ ბრმაჲ იშვა?

3. ჰრქუა მათ იესუ: არცა ამან ცოდა, არცა მშობელთა ამისთა. არამედ რაჲთა გამოცხადნეს საქმე ღმრთისაჲ მაგას ზედა.

4. და ჩემდა ჯერ-არს საქმედ საქმესა მომავლინებელისა ჩემისასა, ვიდრე დღჱ არსღა; მოვალს ღამჱ[3], ოდეს ვერვის ჴელ-(F 194v)ეწიფოს საქმედ.

5. ვიდრემდე ვარ სოფელსა შინა, ნათელი ვარ სოფლისაჲ.

6. და ესე ვითარცა თქუა, ჰნერწყუა ქუეყანასა და შექმნა თიჴაჲ ნერწყვსაგან და სცხო[4] თიჴაჲ იგი თუალთა მის ბრმისათა

7. და ჰრქუა მას: წარვედ და დაიბანე საბანელსა მას სილოამისასა[5], რომელი ითარგმნების „მოვლინებულად“. წარვიდა კაცი იგი და დაიბანა, მოვიდა და ჰხედვიდა[6].

8. ხოლო მოძმენი და რომელთა ეხილვა იგი პირველად, რამეთუ მთხოველ[7] იყო, იტყოდეს: არა ესე არსა, რომელი-იგი ზის და ითხოვენ?

1. და ვითარცა წარვიდოდა იესუ, იხილა კაცი, ბრმაჲ შობითგან.

2. ჰკითხვიდეს მოწაფენი მისნი და ეტყოდეს: რაბი, ვინ ცოდა: ამან ანუ მშობელთა ამისთა, რამეთუ ბრმაჲ იშვა?

3. ჰრქუა მათ იესუ: არცა ამან ცოდა, არცა მშობელთა ამისთა, არამედ რაჲთა გამოცხადნეს საქმე ღმრთისაჲ მაგას ზედა.

4. და ჩემდა ჯერ-არს საქმედ საქმესა მომავლინებელისა ჩემისასა, ვიდრე დღე არსღა; მოვალს ღამე, ოდეს ვერვის ჴელ-ეწიფოს საქმედ.

5. ვიდრემდე ვარ სოფელსა შინა, ნათელი ვარ სოფლისაჲ.

6. და ესე ვითარცა თქუა, ჰნერწყუა ქუეყანასა და შექმნა თიჴაჲ ნერწყვსაგან და სცხო თიჴაჲ იგი თუალთა მის ბრმი(K 240r)სა(H 285r)თა

7. (I 285v) და ჰრქუა მას: წარვედ და დაიბანე საბანელსა მას სილოამისასა, რომელი ითარგმანების „მოვლინებულად“. წარვიდა კაცი იგი და დაიბანა, მოვიდა და ხედვიდა.

8. ხოლო მოძმენი და რომელთა ეხილვა იგი პირველ[1], რამეთუ მთხოველი იყო, იტყოდეს: არა ესე არსა, რომელი ზის და ითხოვენ?

---

[1] ერგასს G. [2] G-ს გადამწერს ჯერ დაუწერია „არა“ („ა|რა“), მაგრამ შემდეგ მეორე „ა“-ს თავზე „ლა“ დაუმატებია („არალა“). [3] ღამე F. [4] სცხა G. [5] სილოამისსა G. [6] ხედვიდა G. [7] მთხოველი F.

[1] პირველად HI.

**FG**

9. სხუანი იტყოდეს: ესე არს; ხოლო რომელნიმე იტყოდეს: არა, არამედ მსგავსი მისი არს; ხოლო იგი იტყოდა: მე ვარ.

10. (G 247v) ჰრქუეს[1] მას[2]: ვითარ აღგეხილნეს თუალნი შენნი?

11. მან მიუგო და ჰრქუა მათ: კაცსა რომელსა ჰრქჳან[3] იესუ, თიჴაჲ შექმნა და მცხო თუალთა ჩემთა და მრქუა მე: წარვედ სილოამდ და მოიბანე. მივედ და[4] დავიბანე და აღვიხილენ.

12. ჰრქუეს მას: სადა არს იგი? ხოლო[5] მან ჰრქუა მათ[6]: არა უწყი.

13. იყო შაბათი, ოდეს-იგი თიჴაჲ შექმნა იესუ და აღუხილნა თუალნი მისნი.

14. მოიყვანეს იგი წინაშე ფარისეველთა, რომელ-იგი[7] პირველად ბრმაჲ იყო.

15. კუალად ჰკითხვიდეს მას ფარისეველნიცა იგი: ვითარ აღიხილენ? ხოლო მან ჰრქუა მათ: (F 105r) თიჴაჲ დამდვა თუალთა ჩემთა, და[4] დავიბანე და აწ ვხედავ.

16. იტყოდეს ვინმე ფარისეველთაგანნი: ესე კაცი არა არს ღმრთისაჲ, რამეთუ შაბათსა არა იმარხავს. სხუანი იტყოდეს: ვითარ ჴელ-ეწიფების კაცსა ცოდვილსა ესევითარისა სასწაულისა საქმედ? და ცილობაჲ იყო მათ შორის.

17. ჰრქუეს მას, რომელ-იგი[7] პირველ[8] ბრმაჲ იყო: შენ რასა იტყჳ მისთჳს, რამეთუ (G 248r) აღგიხილნა თუალნი შენნი? ხოლო მან ჰრქუა მათ: წინაწარმეტყუელი არს.

18. არა ჰრწმენა ჰურიათა მისთჳს, ვითარმედ ბრმაჲ იყო და აღიხილნა თუალნი, ვიდრემდე მოუწოდეს მამა-დედათა მისთა, რომელმან-იგი აღიხილნა,

**HIK**

9. სხუანი იტყოდეს: ესე არს; ხოლო რომელნიმე იტყოდეს: არა, არამედ მსგავსი მისი არს: ხოლო იგი იტყოდა[1]: მე ვარ.

10. ჰკითხვიდეს მას: ვითარ აღგეხილნეს თუალნი შენნი?

11. მან მიუგო და ჰრქუა მათ: კაცსა რომელსა ჰრქჳან იესუ, თიჴაჲ შექმნა და მცხო თუალთა ჩემთა და მრქუა მე: წარვედ საბანელსა მას სილოამისასა და დაიბანე. მივედ და დავიბანე და აღვიხილენ.

12. ჰრქუეს მას: სადა არს იგი? ხოლო მან ჰრქუა მათ: არა უწყი.

13. იყო შაბათი, ოდეს-იგი თიჴაჲ შექმნა იესუ და აღუხილნა თუალნი მისნი.

14. მოიყვანეს იგი წინაშე ფარისეველთა, რომელ-იგი პირველად ბრმაჲ იყო.

15. კუალად ჰკითხვიდეს მას ფა(H 235v)რისეველნიცა იგი: ვითარ აღიხილენ? (I 238r) ხოლო მან ჰრქუა მათ: თიჴაჲ დამდვა თუალთა ჩემთა, და დავიბანე და აწ ვხედავ.

16. იტყოდეს ვინმე ფ(K 249v)არისეველთაგანნი: ესე კაცი არა არს ღმრთისაგან, რამეთუ შაბათსა არა იმარხავს. სხუანი იტყოდეს: ვითარ ჴელ-ეწიფების კაცსა ცოდვილსა ესევითარისა სასწაულისა საქმედ? და ცილობაჲ იყო მათ შორის.

17. ჰრქუეს მას, რომელი-იგი პირველ[2] ბრმაჲ იყო: შენ რასა იტყჳ მისთჳს, რამეთუ აღგიხილნა თუალნი შენნი? ხოლო მან ჰრქუა მათ: წინაწარმეტყუელი არს.

18. არა ჰრწმენა ჰურიათა მისთჳს, ვითარმედ ბრმაჲ იყო და აღიხილნა თუალნი, ვიდრემდე მოუწოდეს მამა-დედათა მისთა, რომელმან-იგი აღიხილნა,

---

[1] ჰრქუეს] ჰკითხვიდეს G. [2] მას] — G. [3] ჰქჳან F. [4] და] — F. [5] ხოლო] და F. [6] მათ] — F. [7] რომელი-იგი G. [8] პირველ] — G.

[1] ეტყოდა HI. [2] პირველად HI.

FG

19. ჰკითხვიდეს მათ და ჰრქუეს: ესე არსა[1] ძჱ[2] იგი თქუენი, რომლისაჲ[3] თქუენ სთქუთ, ვითარმედ: ბრმაჲ იშვა? აწ უკუე ვითარ ჰხედავს[4]?

20. მიუგეს მამა-დედათა მისთა და ჰრქუეს[5]: უწყით, რამეთუ ესე არს ძჱ ჩუენი და რამეთუ[6] ბრმაჲ იშვა.

21. ხოლო აწ ვითარ ხედავს, ჩუენ არა ვიცით; ანუ ვინ აღუხილნა მაგას თუალნი, ჩუენ არა უწყით: მაგას ჰკითხეთ, ჰასაკი აქუს, ეგე თავისა თჳსისათჳს იტყოდენ.

22. ამისთჳს ესრე[7] თქუეს მშობელთა მისთა, რამეთუ ეშინოდა ჰურიათაგან, **(F 105v)** რამეთუ შეთქუმულ იყვნეს ჰურიანი, რაჲთა აღ-თუ ვინმე-იაროს იგი[8] ქრისტედ[9], კრებულისაგან განჴადონ იგი.

23. ამისთჳს თქუეს მამა-დედათა მისთა, ვითარმედ: ჰასაკი აქუს, მაგას ჰკითხეთ.

24. **(G 246v)** მოუწოდეს კაცსა მას მეორედ, რომელ-იგი პირველ ბრმაჲ იყო, და ჰრქუეს მას: მიეც დიდებაჲ ღმერთსა; ჩუენ უწყით, რამეთუ კაცი ესე ცოდვილი არს.

25. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: ცოდვილ[10] თუ არს, მე არა უწყი; ხოლო ერთი ესე უწყი, რამეთუ ბრმაჲ ვიყავ და აწ ვხედავ.

26. მერმე ჰრქუეს მას: რაჲ გიყო შენ? ვითარ აღგიხილნა თუალნი შენნი?

27. მიუგო და ჰრქუა მათ: გარქუ თქუენ პირველვე, და არა გესმა; რასაღა[11] გინებს კუალად სმენად? ანუ თქუენცა გნებავს[12] მოწაფე ყოფად მისა?

28. ხოლო იგინი აგინებდეს მას და ჰრქუეს: შენ ხარ მოწაფჱ[13] მისი, ხოლო ჩუენ მოწაფენი მოსესნი ვართ.

HIK

19. ჰკითხვიდეს მათ და ჰრქუეს: ესე არსა ძჱ[1] იგი თქუენი, რომლისაჲ თქუენ სთქუთ, ვითარმედ: ბრმაჲ იშვა? აწ უკუე[2] ვითარ ხედავს?

20. მიუგეს მამა-დედათა მისთა და ჰრქუეს: უწყით, რამეთუ ესე არს ძჱ[1] ჩუენი და რამეთუ ბრმაჲ იშვა.

21. ხოლო აწ ვითარ ხედავს, ჩუენ არა ვიცით; ანუ ვინ აღუხილნა მაგას თუალნი, ჩუენ არა უწყით; **(H 240r, I 230v)** მაგას ჰკითხეთ, ჰასაკი აქუს, ეგე თავისა თჳსისათჳს იტყოდენ.

22. ამისთჳს ესე თქუეს მშობელთა მისთა, რამეთუ ეშინოდა ჰურიათაგან, რამეთუ შეთქუმულ იყვნეს ჰურიანი, რაჲთა აღ-თუ ვინმე-იაროს იგი ქრისტედ, კრებულისაგან განჴადონ იგი.

23. ამისთჳს თქუეს მამა-დედათა მისთა, ვითარმედ: ჰასაკი აქ**(K 250r)**უს, მაგას ჰკითხეთ.

24. მოუწოდეს კაცსა მას მეორედ, რომელი-იგი პირველ ბრმაჲ იყო, და ჰრქუეს მას: მიეც დიდებაჲ ღმერთსა; ჩუენ უწყით, რამეთუ კაცი ესე ცოდვილი არს.

25. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: ცოდვილი თუ არს, მე არა უწყი; ხოლო ერთი ესე უწყი, რამეთუ ბრმაჲ ვიყავ და აწ ვხედავ.

26. მერმე ჰრქუეს მას: რაჲ გიყო შენ? ვითარ აღგიხილნა თუალნი შენნი?

27. მიუგო და ჰრქუა მათ: გარქუ თქუენ პირველვე, და არა გესმა; რაჲსაღა გნებავს კუალად სმენად? ანუ თქუენცა გნებავს მოწაფე ყოფად მისა[3]?

28. ხოლო იგინი აგინებდეს მას და ჰრქუეს: შენ ხარ მოწაფე მისი, ხოლო ჩუენ მოწაფენი მოსესნი ვართ.

---

[1] არს F. [2] ძე G. [3] რომლისა G. [4] ხედავს G. [5] და ჰრქუეს] — G. [6] რამეთუ] — G. [7] ყრე G. [8] იგი] — G. [9] ქრისტჱდ F. [10] ცოდვილი F. [11] რასაღა] რაჲსა G. [12] გნებავს] გინებს G. [13] მოწაფე F.

[1] ძე HI. [2] უკუჱ HIK. [3] მისსა K.

FG

29. უწყით. რამეთუ მოსეს ეტყოდა ღმერთი, ხოლო ესე არა ვიცით, ვინაჲ არს.

30. მიუგო კაცმან მან და ჰრქუა მათ: საკჳრველი[1] ესე არს, რამეთუ თქუენ არა იცით, ვინაჲ არს, და მე აღმიხილნა თუალნი ჩემნი[2].

31. ესე უწყი, რამეთუ ცოდვილისაჲ არა ისმინის ღმერთმან, არამედ უკუეთუ ვინმე არნ ღმრთის-მსახურ[3] და ნებასა ღმრთისასა ჰყოფნ, (F 198r) ამისი[4] ისმინის ღმერთმან.

32. საუკუნითგან არასადა ისმა, ვითარმცა აღ-ვინმე-უხილნა თუალნი შობითგან ბრმისანი.

33. (G 240r) უკუეთუმცა არა იყო ესე ღმრთისაგან, ვერმცა რას შემძლებელ[5] იყო ესე[6] საქმედ.

34. მიუგეს და ჰრქუეს მას: ცოდვასა შინა შობილ ხარ შენ ყოვლად და შენ გუასწავებ ჩუენ? და განჴადეს იგი გარე[7].

35. ესმა იესუს, რამეთუ განაძეს[8] იგი გარე, პოვა[9] იგი და ჰრქუა მას: შენ გრწამსა ძჱ[10] ღმრთისაჲ?

36. მან[11] მიუგო და ჰრქუა მას[12]: ვინ არს, უფალო, რაჲთა[13] მრწმენეს იგი?

37. ჰრქუა მას იესუ: იხილე იგი, და რომელი იტყჳს შენ თანა, იგი არს.

38. ხოლო მან ჰრქუა მას: მრწამს, უფალო, და თაყუანის-სცა[14] მას.

39. და თქუა იესუ: შჯად სოფელსა ამას მოსრულ ვარ მე, რამეთუ რომელნი არა ხედვიდეს, ხედვიდენ[15]; და რომელნი ხედვიდეს, დაბრმენ.

40. ესმა ესე[16] ფარისეველთაგანთა, რომელნი იყვნეს მის თანა, და ჰრქუეს მას: ნუუკუე ჩუენცა ბრმანი ვართ?

41. ჰრქუა მათ იესუ: უკუეთუმცა ბრმანი იყვენით, ცოდვაჲმცა არა გაქუნდა; ხოლო აწ იტყჳთ, ვითარმედ: ვხედავთ[17], და ცოდვანი თქუენნი ჰგიან.

HIK

29. უწყით, რამეთუ მოსეს (H 236v) ეტყოდა ღმერთი, ხოლო (I 237r) ესე არა ვიცით, ვინაჲ არს.

30. მიუგო კაცმან მან და ჰრქუა მათ: საკჳრველი ესე არს, რამეთუ თქუენ არა იცით, ვინაჲ არს, და მე აღმიხილნა თუალნი.

31. ესე უწყი, რამეთუ ცოდვილისაჲ არა ისმინის ღმერთმან, არამედ უკუეთუ ვინმე არნ[1] ღმრთის-მსახურ და ნებასა ღმრთისასა ჰყოფნ, ამისი ისმინის ღმერთმან.

32. საუკუნითგან არასადა ისმა, ვითარმცა აღ-ვინმე-უხილნა თუალნი შობითგან ბრმისანი.

33. უკუეთუმცა[2] არა იყო ესე ღმრთისაგან, ვერმცა რას შემძლებელ იყო (K 250v) საქმედ.

34. მიუგეს და ჰრქუეს მას: ცოდვათა შინა შობილ ხარ შენ ყოვლად და შენ გუასწავებ ჩუენ? და განჴადეს იგი გარე.

35. ესმა იესუს, რამეთუ განაძეს იგი გარე, პოვა იგი და ჰრქუა მას? /შენ გრწამსა ძე ღმრთისაჲ?

36. მან მიუგო და ჰრქუა: ვინ არს იგი, უფალო, რაჲთა მრწმენეს იგი?

37. ჰრქუა მას იესუ: იხილე იგი, და რომელი იტყჳს შენ თანა, იგი არს.

38. ხოლო მან ჰრქუა მას: მრწამს, უფალო, და თაყუანის-სცა მას.

39. (I 237v) და თქუა იესუ: სჯად[3] სოფელსა ამას მოსრულ ვარ მე, რაჲთა, რომელნი არა ხედვიდეს, ხედვი(H 237r)დენ; და რომელნი ხედვიდეს, დაბრმენ.

40. ესმა ესე ფარისეველთაგანთა, რომელნი იყვნეს მის თანა, და ჰრქუეს[4]: ნუუკუე[5] ჩუენცა ბრმანი ვართა?

41. ჰრქუა მათ იესუ: უკუეთუმცა ბრმანი იყვენით, ცოდვაჲმცა არა გაქუნდა; ხოლო აწ იტყჳთ, ვითარმედ: ვხედავთ, და ცოდვანი თქუენნი ჰგიან.

---

[1] საკჳრველნი F. [2] ჩემნი] — F. [3] ღმრთის-მსახური G. [4] მისი G. [5] შემძლებელ G. [6] ესე] — F. [7] გარე F. [8] განაძეს G. [9] პოა F. [10] ძე F. [11] მან] — G. [12] მას] — F. [13] რაჲთა] რომელ G. [14] თაყუანის-ვსცემ G. [15] ხედვენ G. [16] ეს G. [17] ხედავთ G.

[1] არს I. [2] უკუეთუმცა H. [3] შჯად HI. [4] ჰრქუეს H. [5] ნუუკუე HI, უკუე K.

# 10

## FG

1. ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ: რომელი არა შევალს[1] კარით ეზოს(F 108v)ა ცხოვართასა[2], არამედ სხჳთ კერძო შევალს, იგი მპარავი არს და ავაზაკი.

2. (G 240v) ხოლო რომელი შევალს კარით, მწყემსი არს ცხოვართაჲ.

3. ამას მეკარემან განუღის, და ცხოვართა[3] ჴმისა მისისაჲ ისმინიან, და თჳსთა ცხოვართა უწესნ სახელით და გამოიყვანნის იგინი.

4. და ოდეს ყოველნი თჳსნი იგი განიყვანნეს, წინაშე მათსა ვიდოდის, და შეუდგან მას ცხოვარნი[4] იგი, რამეთუ იციან[5] ჴმაჲ მისი.

5. ხოლო უცხოსა არა შეუდგან, არამედ ივლტოდიან მისგან, რამეთუ არა იციან ჴმაჲ უცხოჲსაჲ[6] მის.

6. ამას იგავსა ეტყოდა მათ იესუ, და მათ არა გულისჴმა-ყვეს[7], რასა-იგი ეტყოდა მათ.

7. მერმე ჰრქუა მათ იესუ: ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ: მე ვარ კარი ცხოვართაჲ[8].

8. ყოველნი რომელნი ჩემსა პირველად მოვიდეს, მპარავნი იყვნეს და ავაზაკნი, არამედ არა ისმინეს მათი ცხოვართა.

9. მე ვარ კარი: ჩემ მიერ თუ ვინმე შევიდეს, ცხოვნდეს[9]; შევიდეს და გამოვიდეს და საძოვარი[10] პოოს.

10. ხოლო მპარავი იგი არა მოვიდეს, არამედ რაჲთა იპაროს და დაკლას და წარწყმიდოს. ხოლო მე მოვედ, რაჲთა ცხორებაჲ აქუნდეს და უმე(G 260r)ტესი აქუნდეს.

11. მე ვარ მწყემსი კეთილი: (F 107r) მწყემსმან კეთილმან სული თჳსი დადვის ცხოვართათჳს[11].

## HIK

1. ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ: რომელი არა შევალს კარით ეზოსა ცხოვართასა, არამედ სხჳთ კერძო შევალს, იგი მპარავი არს და ავაზაკი.

2. ხოლო რომელი შევალს კარით, მწყემსი არს ცხოვართაჲ.

3. ამას მეკარემანცა განუღის, და ცხოვართა ჴმისა მისისაჲ ისმინიან, და თჳსთა ცხოვარ(K 251r)თა[1] უწესნ სახელით და განიყვანნის იგინი[2].

4. და ოდეს თჳსნი იგი ყოველნი განიყვანნის, წინაშე მათსა ვიდოდის, და შეუდგან მას ცხოვარნი იგი, რამეთუ იციან ჴმაჲ მისი.

5. ხოლო უცხოსა არა შეუდგან, არამედ ივლტოდიან მისგან, რამეთუ არა იციან ჴმაჲ უცხოჲსაჲ (I 238r) მის.

6. ამას იგავსა ეტყოდა მათ იესუ, და მათ არა გულისჴმა-ყვეს, რასა-იგი ეტყოდა მათ.

7. (H 287v) ხოლო იესუ მერმეცა ჰრქუა მათ: ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ: მე ვარ კარი ცხოვართაჲ.

8. ყოველნი რომელნი ჩემსა პირველად მოვიდეს, მპარავნი იყვნეს და ავაზაკნი, არამედ არა ისმინეს მათი ცხოვართა.

9. მე ვარ კარი: ჩემ მიერ თუ ვინმე შევიდეს, ცხონდეს; შევიდეს და გამოვიდეს და საძოვარი პოვოს[3].

10. ხოლო მპარავი იგი არა მოვიდის, არამედ რაჲთა იპაროს და დაკლას და წარწყმიდოს. ხოლო მე მოვედ, რაჲთა ცხორებაჲ აქუნდეს და უმეტესი აქუნდეს.

11. მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თჳსი დადვის ცხოვართათჳს.

---

[1] მოვალს G. [2] ცხოართასა F. [3] ცხოართა F. [4] ცხოარნი F. [5] იცნიან G. [6] უცხოჲსა G.
გულისჴმა-ყვეს F. [8] ცხოართაჲ F. [9] ცხონდეს F. [10] საძოარი F. [11] ცხოართათჳს F.

[1] ცხოვარრთა K. [2] იგი HIK. [3] პოოს K.

FG

12. ხოლო სასყიდლით-დადგინებულმან და რომელი არა არნ მწყემსი, რომლისა ცხოვარნი არა არიედ თჳსნი, იხილის რაჲ მგელი მომავალი, დაუტევნის ცხოვარნი[1] და ივლტინ, და მგელმან წარიტაცნის იგინი და განაბნივნის[2].

13. რამეთუ სასყიდლით-დადგინებული არნ და არარაჲ შჳირნ მას ცხოვართათჳს.

14. მე ვარ მწყემსი კეთილი და ვიცნი ჩემნი იგი, და მიციან ჩემთა მათ.

15. ვითარცა მიცის მე მამამან[3], ვიცი მეცა მამაჲ და სულსა ჩემსა დავსდებ ცხოვართათჳს.

16. და სხუანიცა ცხოვარნი მიდგან, რომელნი არა არიან ამის ეზოჲსაგანნი, იგინიცა ჯერ-არიან მოყვანებად ჩემდა, და ჴმისა ჩემისაჲ ისმინონ და იყვნენ ერთ სამწყსო და ერთ მწყემს.

17. ამისთჳს უყუარ მე მამასა, რამეთუ მე დავსდებ სულსა ჩემსა, რაჲთა კუალად მოვიღო იგი.

18. არა(G 250v)ვინ მიმიღოს იგი ჩემგან, არამედ მე დავსდებ მას თავით ჩემით. ჴელ-მეწიფების დადებად მისა და ჴელ-მეწიფების კუალად მოღებად მისა. ესე მცნებაჲ მომიღებიეს მამისა ჩემისაგან.

19. და იყო განწვალებაჲ (F 197v) კუალად ჰურიათა მათ შორის ამის სიტყჳსათჳს.

20. და იტყოდეს[4] მრავალნი მათგანნი: ეშმაკეულ არს და ცბის. რაჲსა[5] ისმენთ მისსა[6]?

21. და სხუანი იტყოდეს: ესე სიტყუანი არა ეშმაკეულისანი არიან. ნუუკუე ეშმაკსა ჴელ-ეწიფების ბრმისა თუალთა ახილვად[7]?

22. და იყო მაშინ სატფურებაჲ იერუსალჱმს; ზამთარი იყო.

HIK

12. ხოლო სასყიდლით-დადგინებულმან და რომელი არა არნ მწყემსი, რომლისა არა არიედ ცხოვარნი თჳსნი, იხილის რაჲ მგელი მომავალი, დაუტევნის ცხოვარნი და ივლტინ, და მგელმან წარიტაცნის იგინი და განაბნინის.

13. რამეთუ სასყიდლით-(I 238v)-დადგინებული არნ და (K 151v) არარაჲ სჳირნ მას ცხოვართათჳს.

14. მე ვარ მწყემსი კეთილი და ვიცნი ჩემნი იგი, და მიციან ჩემთა მათ.

15. ვითარცა მიცის მე მამამან, ვი(H 238r)ცი მეცა მამაჲ და სულსა ჩემსა დავსდებ ცხოვართათჳს.

16. და სხუანიცა ცხოვარნი მიდგან, რომელნი არა არიან ამის ეზოჲსაგანნი, იგინიცა ჯერ-არიან მოყვანებად ჩემდა, და ჴმისა ჩემისაჲ ისმინონ და იყვნენ ერთ სამწყსო და ერთ მწყემს.

17. ამისთჳს უყუარ მე მამასა, რამეთუ მე დავსდებ სულსა ჩემსა, რაჲთა კუალად მოვიღო იგი.

18. არავინ მიმიღოს იგი ჩემგან, არამედ მე დავსდებ მას თავით ჩემით. ჴელ-მეწიფების დადებად მისა[1] და ჴელ-მეწიფების კუალად მოღებად მისა[1]. ესე მცნებაჲ მომიღებიეს მამისა ჩემისაგან.

19. და იყო განწვალებაჲ კუალად ჰურიათა მათ შორის ამის სიტყჳსათჳს.

20. და იტყოდეს მრავალნი მათგანნი: ეშმაკეულ არს და ცბის. რაჲსა[2] ისმენთ მისსა[3]?

21. და სხუანი იტყოდეს: ესე სიტყუანი არა ეშმაკეულისანი არიან. ნუუკუე[4] ეშმაკსა (I 239r) ჴელ-ეწიფების ბრმისა თუალთა ახილვად?

22. და იყო მაშინ სატფურებაჲ იერუსალჱმს[5]; ზამთარი იყო.

---

[1] ცხოვარნი F. [2] განაბნევნის F. [3] მამან F. [4] იტყოდეს G. [5] რაჲსა G. [6] მისა F. [7] ახილვაჲ F.

[1] მისსა K. [2] რაჲსა K. [3] მისა HI. [4] ნუუკუჱ HI. [5] ი̄ჱლმს HI, ი̄ჱლჲმს K.

| FG | HIK |
|---|---|
| 23. და იქცეოდა იესუ ტაძარსა მას[1] შინა და სტოასა[2] მას[3] სოლომონისსა[4]. | 23. და იქცეოდა იესუ ტაძარსა მას შინა (K 252r) და სტოასა[1] სოლომონისსა. |
| 24. გარე მოადგეს მას ჰურიანი იგი და ეტყოდეს: ვიდრემდე სულთა ჩუენთა წარგუჴდი? უკუეთუ შენ ხარ ქრისტჱ, მითხარ ჩუენ განცხადებულად. | 24. (H 238v) გარე მოადგეს მას ჰურიანი იგი და ეტყოდეს: ვიდრემდის სულთა ჩუენთა წარგუჴდი? უკუეთუ შენ ხარ ქრისტე, გჳთხარ ჩუენ განცხადებულად. |
| 25. მიუგო იესუ და ჰრქუა: გითხარ თქუენ, და არა გრწამს; საქმეთა[5] რომელთა მე ვიქმ სახელითა მამისა ჩემისაჲთა, ესენი წამებენ ჩემთჳს. | 25. მიუგო იესუ და ჰრქუა: გარქუ თქუენ, და არა გრწამს: საქმეთა რომელთა ვიქმ სახელითა მამისა ჩემისაჲთა, ესენი წამებენ ჩემთჳს. |
| 26. და თქუენ არა გრწამს ჩემი, რამეთუ არა ხართ ცხოვართა ჩემთაგანნი. | 26. და თქუენ არა გრწამს ჩემი. რამეთუ არა ხართ ცხოვართა ჩემთაგანნი, ვითარცა გარქუ თქუენ[2]. |
| 27. ცხოვართა ჩემთა ჴმისა ჩემისაჲ ისმინონ, და მე ვიცნი იგინი[6]. და მომდევ(G 251r)დენ მე. | 27. ცხოვართა ჩემთა ჴმისა ჩემისაჲ ისმინიან, და მე ვიცნი იგინი, და მომდევდენ მე. |
| 28. და მე ცხორებაჲ საუკუნოჲ მივსცე მათ, და არა წარწყმდენ უკუნისამდე. და არავინ მიმტაცნეს იგინი ჴელთაგან ჩემთა. | 28. და მე ცხორებაჲ საუკუნოჲ მივსცე მათ, და არა წარწყმდენ უკუნისამდე, და არავინ მიმტაცნეს იგინი ჴელთაგან ჩემთა. |
| 29. მამაჲ ჩემი, რომელმან მო(F 198r)მცნა იგინი, უფროჲს ყოველთასა არს, და არავის ჴელ-ეწიფების მიტაცებად მათა[7] ჴელისაგან[8] მამისა ჩემისა[9]. | 29. მამაჲ ჩემი, რომელმან მომცნა იგინი, უფროჲს ყოველთასა[3] არს, და არავის ჴელ-ეწიფების მიტაცებად მათა[4] ჴელთაგან მამისა ჩემისათა. |
| 30. მე და მამაჲ ჩემი ერთ ვართ. | 30. მე და მამაჲ (K 252v) ჩემი ერთ ვართ. |
| 31. აქუნდა ქვები ჰურიათა მათ, რაჲთამცა დაჰკრიბეს მას. | 31. აქუნდა კუალად ქვები ჰურიათა მათ, რაჲთამცა (I 230v) დაჰკრიბეს მას. |
| 32. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: მრავალი საქმჱ[10] კეთილი გიჩუენე თქუენ მამისა ჩემისა მიერ; რომლისა საქმისათჳს[11] მათგანისა ქვასა დამკრებთ მე? | 32. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: მრავალი საქმე კეთილი გიჩუენე[5] თქუენ მამისა ჩემისა მიერ; რომლისა მათგანისა საქმისა(H 230r)თჳს ქვასა დამკრებთ მე? |
| 33. მიუგეს ჰურიათა და ჰრქუეს მას: კეთილისა საქმისათჳს ქვასა არა დაგკრებთ შენ, არამედ გმობისათჳს, და რამეთუ კაცი ხარ შენ და გიყოფიეს თავი შენი ღმერთ. | 33. მიუგეს ჰურიათა და ჰრქუეს მას: კეთილისა საქმისათჳს ქვასა არა დაგკრებთ შენ, არამედ გმობისათჳს. და რამეთუ კაცი ხარ შენ და გიყოფიეს თავი შენი ღმერთ. |

---

[1] მას] — G. [2] სტოვასა G. [3] მას] — F. [4] სოლომონისა F. [5] საქმჱთა G. [6] იგი F. [7] მათდა F. [8] ჴელთაგან F. [9] ჩემისათა F. F-შიც ჩ ე მ ი ს ა ყოფილა, მაგრამ „თა“ მერმე დაუმატებიათ ზემოდან. [10] საქმე F. [11] საქმისა G.

[1] სტოვასა K. [2] თქუჱნ H. [3] ყოველთაჲსა K. [4] მათდა K. [5] გიჩუჱნე HK.

| FG | HIK |
|---|---|
| 34. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: არა წერილ არსა შჯულსა. ვითარმედ: მე ვთქუ: ღმერთნი სამე ხართ? | 34. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: არა წერილ არსა სჯულსა[1], ვითარმედ: მე ვთქუ: ღმერთნი სამე ხართ? |
| 35. უკეეთუ იგინი თქუნა ღმრთად. რომელთა მიმართ იყო სიტყუაჲ ღმრთისაჲ, და ვერ ჴელ-ეწიფების დაჴსნად წერილი. | 35. უკეეთუ[2] იგინი თქუნა ღმრთად, რომელთა მიმართ იყო სიტყუაჲ ღმრთისაჲ, და ვერ ჴელ-ეწიფების დაჴსნად წერილი. |
| 36. და რომელი-იგი მამამან წმიდა-ყო და მოავლინა სოფლად, თქუენ იტყჳთ, ვითარმედ ჰგმობს, (G 251v) რამეთუ ვთქუ, ვითარმედ: ძე ღმრთისაჲ ვარი[1] მე. | 36. და რომელი-იგი მამამან წმიდა-ყო და მოავლინა სოფლად, თქუენ იტყჳთ, ვითარმედ: გმობს, რამეთუ ვთქუ, ვითარმედ: ძე ღმრთისაჲ ვარი მე. |
| 37. უკეეთუ არა ვიქმ საქმესა მამისა ჩემისასა, ნუ გრწამნ ჩემი. | 37. უკუეთუ არა ვიქმ საქმესა მამისა ჩემისასა, ნუ გრწამნ ჩემი. |
| 38. უკეეთუ ვიქმ, დაღათუ ჩემი არა გრწამს, საქმენი გრწმენედ, რაჲთა (F 198v) სცნათ და უწყოდით, რამეთუ მამაჲ ჩემ თანა არს, და მე მამისა თანა. | 38. უკეეთუ[3] ვიქმ, დაღაცათუ ჩემი არა გრწამს, საქმენი გრწმენედ, რაჲთა სცნათ და უწყოდით. რამეთუ მამაჲ ჩემ თანა არს, და მე მამისა თანა. |
| 39. ეძიებდეს კუალად შეპყრობად მას, და განვიდა ჴელთაგან მათთა. | 39. ეძიებდეს კუალად შეპყრობად მას, და განვიდა ჴელთაგან მათთა. |
| 40. და წიაღჴდა მიერ იორდანესა, ადგილსა მას. სადა ნათელ-სცემდა პირველად იოვანე[2], და[3] დაადგრა მუნ. | 40. და წიაღჴდა მიერ იორდანესა, (K 253r) ადგილსა (I 240r) მას, სადა ნათელ-სცემდა პირველად იოვანე, და დაადგრა მუნ. |
| 41. და მრავალნი მოვიდოდეს მისა და იტყოდეს, ვითარმედ: იოვანე[2] სასწაული არარაჲ ქმნა; ხოლო ყოველი, რომელი თქუა იოვანე[2] ამისთჳს, ჭეშმარიტ არს. | 41. და მრავალნი მოვიდოდეს მისა[4] და იტყოდეს, (H 289v) ვითარმედ: იოვანე სასწაული არარაჲ ქმნა; ხოლო ყოველი, რომელი თქუა იოვანე ამისთჳს, ჭეშმარიტი იყო. |
| 42. და მრავალთა ჰრწმენა მისი მუნ. | 42. და მრავალთა ჰრწმენა მისი მუნ. |

## 11

| FG | HIK |
|---|---|
| 1. იყო ვინმე უძლური[4] ლაზარე ბეთანიაჲთ, დაბისაგან მარიამისა და მართაჲსა, დისა მისისა. | 1. იყო ვინმე უძლური ლაზარე ბეთანიაჲთ, დაბისაგან მარიამისა[5] და მართაჲსა[6], დისა მისისა. |
| 2. ესე იყო მარიამ, რომელმან სცხო ნელსაცხებელი უფალსა და თმითა თჳსითა[5] წარჰჴოცნა ფერჴნი მისნი, რომლისაჲ[6] ძმაჲ მისი ლაზარე სნეულ იყო. | 2. ესე იყო მარიამ, რომელმან სცხო ნელსაცხებელი უფალსა და თმითა თჳსითა წარჰჴოცნა ფერჴნი მისნი, რომლისაჲ ძმაჲ მისი ლაზარე სნეულ იყო. |

---

[1] ვარ G. [2] ი͞ნე G. [3] და] — G. [4] უძრული G. [5] თჳსითა G. [6] რომლისა F.

[1] შჯულსა HI. [2] უ͞კეთუ K. [3] უკე͞თუ H. [4] მისსა K. [5] მარიამისსა K. [6] მართაჲსსა K.

| FG | HIK |
|---|---|
| 3. მიუვლინეს[1] იესუს დათა (G 252 r) მისჳა და ჰრქუეს: უფალო, რომელი-იგი გიყუარდა, სნეულ არს. | 3. მიუვლინეს იესუს დათა მისთა და ჰრქუეს: უფალო, აჰა რომელი გიყუარს, სნეულ არს. |
| 4. ვითარცა ესმა ესე იესუს, თქუა: ესე უძლურებაჲ არა არს სასიკუდინე[2], არამედ დიდებისათჳს ღმრთისა, რაჲთა იდიდოს ძჱ ღმრთისაჲ მისგან. | 4. ხოლო ვითარცა ესმა იესუს, თქუა: ესე სნეულებაჲ არა არს სასიკუდინე, არამედ დიდებისათჳს ღმრთისა, რაჲთა იდიდოს ძე ღმრთისაჲ მისგან. |
| 5. უყუარდა იესუს მართა და დაჲ მისი და ლაზარე[3]. | 5. უყუარდა იესუს მართა და დაჲ მისი და ლაზარე. |
| 6. ვითარცა ესმა იესუს, რამეთუ სნეულ არს, მაშინ და-ლა-ადგრა[4] ადგილსა მას, სადაცა იყო, ორ დღე[5]. | 6. ვითარცა[1] ესმა, რამეთუ სნეული არს, მაშინ და-ლა-ადგრა[2] ადგილსა მას, სადაცა იყო, ორ დღე. |
| 7. ამისა (F 108 r) შემდგომად ჰრქუა მოწაფეთა თჳსთაჲ: გუალეთ[6], წარვიდეთ კუალად ჰურიასტანდ[7]. | 7. მერმე ამისა[3] შემდგომად ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა: ვუალეთ, წარვიდეთ კუალად ჰურიასტანად. |
| 8. ჰრქუეს მას მოწაფეთა: მოძღუარ, აწლა გეძიებდეს შენ ჰურიანი ქვისა დაკრებად, და კუალად მუნვე მიხუალა? | 8. (I 240 v) ჰრქუეს მას მოწაფეთა: მოძღუარ, აწლა გეძიებდეს შენ ჰურიანი ქვისა დაკრებად, და კუალად მუნვე მიხუალა? |
| 9. ჰრქუა მათ იესუ: არა ათორმეტნი ჟამნი არიანა დღისანი? უკუეთუ ვინმე ვიდოდის დღესა, არა წარსცეს ფერჴი, რამეთუ ნათელსა ამის სოფლისასა ხედავს. | 9. (K 258 v) ჰრქუა მათ იესუ: ა(H 240 r)რა ათორმეტნი ჟამნი არიანა დღისანი? უკუეთუ ვინმე ვიდოდის დღისი, არა წარსცეს ფერჴი, რამეთუ ნათელსა ამის სოფლისასა ხედავს. |
| 10. და უკუეთუ ვინმე ვიდოდის ღამესა, უბრკუმეს[8] მას, რამეთუ ნათელი არა არს მას შინა. | 10. და უკუეთუ[4] ვინმე ვიდოდის ღამესა შინა, უბრკუმეს მას, რამეთუ ნათელი[5] არა არს მას შინა. |
| 11. ესე რაჲ თქუა, ამისა შემდგომად ჰრქუა მათ: ლაზარე[9], მეგობარმან ჩემმან, და(G 252 v)იძინა, არამედ მე მივიდე და განვაღჳძო იგი[9]. | 11. ესე თქუა და ამისა[6] შემდგომად ჰრქუა მათ: ლაზარე, მეგობარმან ჩემმან, დაიძინა, არამედ მე მივიდე და განვაღჳძო იგი. |
| 12. ჰრქუეს მას მოწაფეთა: უფალო, უკუეთუ დაიძინა[10], ცხოვნდეს[11]. | 12. ჰრქუეს მას მოწაფეთა: უფალო, უკუეთუ დაიძინა, ცხონდეს. |
| 13. ხოლო იესუ თქუა სიკუდილისა მისისათჳს, და მათ ეგონა, ვითარმედ მძინარებისათჳს ძილისა თქუა. | 13. ხოლო იესუ ჰრქუა სიკუდილისა მისისათჳს, და მათ ეგონა, ვითარმედ მძინარებისათჳს ძილისა თქუა. |
| 14. მაშინ ჰრქუა მათ იესუ განცხადებულად: ლაზარე მოკუდა. | 14. მაშინ ჰრქუა მათ იესუ განცხადებულად: ლაზარე მოკუდა. |
| 15. და მე[12] მიხარის თქუენთჳს, რაჲთა გარწმენეს ჩემი, რამეთუ მე არა მუნ ვიყავ. არამედ მოგუალეთ, მივიდეთ მისა. | 15. და მე მიხარის თქუენთჳს, რაჲთა გრწმენეს ჩემი, რამეთუ არა ვიყავ მუნ. არამედ მოგუალეთ, მივიდეთ მისა[6]. |

---

[1] მიოვლინეს F. [2] სასიკუდინჱ F. [3] ლაზარჱ F. [4] დაადგრა F. [5] დღჱ G. [6] გუალე G. [7] ჰურიასტანად G. [8] უბრკომეს F. [9] ~ მე მივიდე... იგი] მივიდე და განვღჳძო იგი მე G. [10] დაძინა F. [11] ცხონდეს F. [12] მე] — F.

და ჳთარცა K. [2] დაადგრა K. [3] ამისსა K. [4] უკუჱთუ H. [5] ნთ͞ლ H. [6] მისსა K.

### FG

16. ჰრქუა მას თომა, რომელსა ერქუა მარჩბივ, მისთა მოწაფეთაგანმანჲ მოგუალეთ და[1] მივიდეთ ჩუენცა, რაჲთა მოვსწყდეთ მის თანა.

17. (F 199v) და ვითარცა მოვიდა იესუ ბეთანიად, პოვა იგი, რამეთუ ოთხი დღჱ[2] აქუნდა საფლავსა შინა.

18. ხოლო იყო ბეთანიაჲ მახლობელ[3] იერუსალჱმსა ვითარ ათხუთმეტ ოდენ უტევან.

19. და მრავალნი ჰურიათაგანნი მოსრულ იყვნეს მართაჲსა და მარიამისა, რაჲთა ნუგეშინის-სცენ მათ ძმისა მათისათჳს.

20. ხოლო მართას ვითარცა ესმა, რამეთუ იესუ მოვალს, მიეგებვოდა მას, ხოლო მარიამ სახლსა შინა ჯდა.

21. ჰრქუა მართა იესუს[4]ჲ უფალო, უკუეთუმცა აქა იყავ, არა(G 253r)მცა მომკუდარ იყო ძმაჲ იგი ჩემი.

22. და აწცა უწყი: რაჲ-იგი[5] სთხოო ღმერთსა, მოგცეს შენ ღმერთმან.

23. ჰრქუა მას იესუჲ აღდგეს ძმაჲ შენი.

24. ჰრქუა მას მართაჲ უწყი, რამეთუ აღდგეს აღდგომასა მას უკუანაჲსკნელსა[6] დღესა[7].

25. ჰრქუა მას იესუჲ მე ვარ აღდგომაჲ და ცხორებაჲ. რომელსა ჰრწმენეს ჩემი, მო-ღათუ-კუდეს, ცხოვნდესვე[8].

26. და ყოველი რომელი ცოცხალ არს და ჰრწმენეს ჩემი, არა მოკუდეს იგი[9] უკუნისამდე. გრწამსა ესე?

27. ჰრქუა მას მართა: ჰე[10], უფალო, მრწამს, რამეთუ შენ ხარ ქრისტე[11], ძჱ ღმრთისაჲ, მომავალი სოფლად.

28. და ვითარცა ესე თქუა, წარვიდა და მოუწოდა მარიამს, დასა თჳსსა[12], იდუმალ და ჰრქუა მას: მოძღუარი მოსრულ არს და გიწე(F 200r)ხს შენ.

### HIK

16. ჰრქუა უკუე[1] თომა, რომელსა ერქუა მარჩბივ, მისთანათა მათ მოწაფეთაჲ მოგუალეთ, მივიდეთ, რაჲთა მოესწყდეთ ჩუენცა მის თანა.

17. და ვითარცა მოვიდა იესუ ბე(I 241r)თანიად, პოვა იგი, რამეთუ ოთხი დღე აქუნდა საფლავსა შინა.

18. ხოლო იყო ბეთანიაჲ მახლობელ (H 240v) იერუსალჱმსა ვითარ ათხუთმეტ ოდენ უტევან.

19. და მრავალნი ჰურიათაგანნი მოსრულ იყვნეს მართაჲსა[2] და მარიამისა[3], (K 254r) რაჲთა ნუგეშინის-სცენ მათ ძმისა მათისათჳს.

20. ხოლო მართას ვითარცა ესმა, რამეთუ იესუ მოვალს, მიეგებვოდა მას, ხოლო მარიამ სახლსა შინა ჯდა.

21. ჰრქუა მართა იესუსჲ უფალო, უკუეთუმცა აქა იყავ. არამცა მომკუდარ იყო ძმაჲ იგი ჩემი.

22. არამედ და აწცა უწყი, ვითარმედჲ რაჲცა-იგი სთხოო ღმერთსა[4], მოგცეს შენ ღმერთმან.

23. ჰრქუა მას იესუჲ აღდგეს ძმაჲ შენი.

24. ჰრქუა მას მართაჲ უწყი, რამეთუ აღდგეს აღდგომასა მას უკუანაჲსკნელსა დღესა.

25. ჰრქუა მას იესუჲ მე ვარ აღდგომაჲ და ცხორებაჲ. რომელსა ჰრწმენეს ჩემი, მო-ღათუ-კუდეს, ცხოვნდესვე[5].

26. და ყოველი რომელი ცოცხალ არს და ჰრწმენეს ჩემი, არა მოკუდეს იგი უკუნისამდე. გრწამსა ესე?

27. ჰრქუა მას მართაჲ ჰე[6], უფალო, მრწამს, რამეთუ შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისაჲ, მომავალი სოფლად.

28. და ვითარცა ესე თქუა, წარვიდა და მოუწოდა მარიამს, და(I 241v)სა თჳსსა, იდუმალ და ჰრქუა მასჲ მოძღუარი მოსრულ არს (H 241r) და გიწესს შენ.

---

[1] და] — G. [2] დღე F. [3] მახლობელად F. [4] ჲ ¯ჳს F. [5] რაჲ F. [6] უკუანასკნელსა F. მას დღესა F. ეს „მას“ G-შიც ყოფილა. მაგრამ ამოუფხეკიათ საფუძვლიანად. [8] ცხონდესვე F. [9] იგი] — G. [10] ჰჱ F. [11] ქრისტჱ F. [12] თჳსა F.

[1] უკუჱ HIK. [2] მართაჲსსა K. [3] მარიამისსა HIK. [4] ღ| I. [5] ცხონდესვე HI. [6] ჰჱ IK.

| FG | HIK |
|---|---|
| 29. ხოლო მას ვითარცა ესმა, აღდგა ადრე და მივიდოდა მისა. | 29. ხოლო მას[1] ვითარცა ესმა, აღდგა ადრე და მივიდოდა მისა[2]. |
| 30. რამეთუ არღა მოსრულ იყო იესუ დაბად, არამედ მუნღა იყო ადგილსა მას, სადაცა-იგი[1] მიეგებვოდა მას მართა. | 30. რამეთუ არღა მოსრულ იყო იესუ დაბად, არამედ მუნღა იყო ადგილსა მას, სადაცა მიეგებვოდა მას მართა. |
| 31. ხოლო ჰურიანი იგი, რომელნი იყვნეს მის თანა სახლსა შინა და ნუგეშინის-სცემდეს მათ, ვითარცა იხილეს მარიამ, რამეთუ ადრე აღდგა (G 253v) და გამოვიდა, მისდევდეს მას, ჰგონებდეს, ვითარმედ საფლავად მივალს, ტირილად მისა. | 31. ხოლო ჰურიანი იგი, რომელნი იყვნეს მის თანა სახლსა შინა და ნუგეშინის-სცემდეს მათ, ვითარცა იხილეს მარიამ, რამეთუ (K 254v) ადრე აღდგა და გამოვიდა, მისდევდეს მას, ჰგონებდეს, ვითარმედ საფლავად მივალს ტირილად მისა[2]. |
| 32. ხოლო მარიამ ვითარცა მოვიდა, სადა-იგი იყო იესუ, ვითარცა იხილა იგი, დავარდა იგი ფერჴთა მისთა თანა და ჰრქუა მას: უფალო, უკუეთუმცა აქა იყავ, არამცა მოკუდა[2] ძმაჲ იგი ჩემი. | 32. ხოლო მარიამ ვითარცა მოვიდა, სადა-იგი იყო იესუ, ვითარცა იხილა იგი, დავარდა ფერჴთა მისთა თანა და ჰრქუა მას: უფალო, უკუეთუმცა აქა ყოფილ იყავ, არამცა მომკუდარ იყო ძმაჲ იგი ჩემი. |
| 33. ხოლო იესუ ვითარცა იხილა იგი, რამეთუ ტიროდა, და მის თანა მოსრულნი იგი ჰურიანიცა ტიროდეს, შეძრწუნდა სულითა, ვითარცა რისხვით, | 33. ხოლო იესუ ვითარცა იხილა იგი, რამეთუ ტიროდა, და მის თანა მოსრულნი იგი ჰურიანიცა ტიროდეს, შეძრწუნდა სულითა, ვითარცა რისხვით, |
| 34. და ჰრქუა მათ: სადა დასდევით იგი? ჰრქუეს მას: მოვედ და იხილე. | 34. და ჰრქუა მათ: სადა დასდევით იგი? ჰრქუეს მას: მოვედ და იხილე. |
| 35. და ცრემლოოდა[3] იესუცა. | 35. და ცრემლოოდა იესუცა. |
| 36. იტყოდეს უკუე ჰურიანი იგი: აჰა ვითარ სამე უყუარდა იგი! | 36. იტყოდეს უკუე[3] ჰურიანი იგი: აჰა ვითარ სამე უყუარდა იგი! |
| 37. ვიეთნიმე მათგანნი იტყოდეს: არამცა ეძლო ამას, რომელმან აღუხილნა თუალნი ბრმასა, ყოფად რაჲსამე[4], რაჲთამცა ესეცა არა მოკუდა? | 37. (I 242r) ვიეთნიმე მათგანნი იტყოდეს: არამცა ეძლო ამას, რომელმან აღუხილნა თუალნი (H 241v) ბრმასა, ყოფად რაჲმე, რაჲთამცა ესეცა არა მოკუდა? |
| 38. ხოლო იესუ კუალად, ვითარცა განრისხებული (F 200v) გონებასა თჳსსა, მოვიდა საფლავსა მას. ხოლო იყო ქუაბი, და ლოდი ზედა ედვა მას. | 38. ხოლო იესუ კუალად, ვითარცა განრისხებული თავსა შორის თჳსსა, მოვიდა საფლავსა მას. ხოლო იყო ქუაბი, და ლოდი ზედა ედვა მას. |
| 39. ჰრქუა მათ იესუ: აღიღეთ ლოდი ეგე. ჰრქუა მას მარ(G 254r)თა: უფალო, ყროდისლა, რამეთუ მეოთხჱ[5] დღჱ[6] არს. | 39. ჰრქუა მათ იესუ: აღიღეთ ლოდი ეგე. ჰრქუა მას მართა, დამან მის მკუდრისამან: უფალო, ყროდისლა, რამეთუ მეოთხე დღე არს. |

---

[1] სადაცა G. [2] მოკუდა] მომკუდარ იყო G. [3] ცრემლოდა F. [4] რაჲმე G. [5] მეოთხე F. [6] დღე F.

[1] მას] მარიამს K. [2] მისსა K. [3] უკუჱ HIK.

| FG | HIK |
|---|---|
| 40. ჰრქუა მას იესუ: არა გარქუა[1] შენ, ვითარმედ: უკუეთუ გრწმენეს, იხილო დიდებაჲ ღმრთისაჲ? | 40. ჰრქუა მას იესუ: არა გარქუ შენ, ვითარმედ: უკუეთუ გრწმენეს, იხილო დიდებაჲ ღმრთისაჲ? |
| 41. ვითარცა აღიღეს ლოდი იგი, ხოლო იესუ აღიხილნა თუალნი ზეცად და თქუა: მამაო, გმადლობ შენ, რამეთუ ისმინე[2] ჩემი. | 41. აღიღეს (K 255r) უკუე[1] ლოდი იგი, სადა მდებარე იყო მკუდარი იგი. ხოლო იესუ აღიხილნა თუალნი ზეცად და თქუა: მამაო, გმადლობ შენ, რამეთუ ისმინე ჩემი. |
| 42. და მე ვიცი, რამეთუ მარადის ისმინი ჩემი, არამედ ერისა ამისთჳს, რომელი გარე[3] მომადგს მე, ვთქუა, რაჲთა ჰრწმენეს, რამეთუ შენ მომაელინე მე. | 42. და მე ვიცი, რამეთუ მარადის ისმენ ჩემსა, არამედ ერისა ამისთჳს, რომელი გარე მომადგს მე, ვთქუ, რაჲთა ჰრწმენეს, რამეთუ შენ მომავლინე მე. |
| 43. და ესე ვითარცა თქუა, ჴმითა დიდითა ღაღად-ყო[4]: ლაზარე[5], გამოვედ გარე[3]! | 43. და ესე ვითარცა თქუა, ჴმითა დიდითა ღაღატ-ყო: ლაზარე, გამოვედ[2] გარე! |
| 44. და გამოვიდა მკუდარი იგი, შეკრული[6] ჴელითა და ფერჴითა სახუეველითა[7], და პირი მისი დაბურვილ იყო სუდარითა. ჰრქუა მათ იესუ: განჰჴსენით ეგე და უტევეთ, ვიდოდის. | 44. და გამოვიდა მკუდარი იგი, შეკრული ჴელით და ფერჴით სახუევლითა[3], და პირი მისი დაბურვილ (I 242v) იყო სუდარითა. ჰრქუა მათ იესუ: განჰჴსენით ეგე და უტევე(H 242r)თ, ვიდოდის. |
| 45. მრავალთა ჰურიათაგანთა, რომელნი მოსრულ იყვნეს მარიამისა და მართაჲსა, იხილეს, რომელი-იგი ქმნა იესუ, და მრავალთა ჰრწმენა მისი. | 45. მრავალთა უკუე[1] ჰურიათაგანთა, რომელნი მოსრულ იყვნეს მარიამისა[4] და მართაჲ(K 255v)სა[5], იხილეს, რომელი-იგი ქმნა იესუ, და ჰრწმენა მისა[6] მიმართ. |
| 46. (G 254v) ხოლო რომელნიმე მათგანნი წარვიდეს და უთხრეს ფარისეველთა მათ, რაჲ-იგი ქმნა იესუ. | 46. ხოლო რომელნიმე მათგანნი წარვიდეს და უთხრეს ფარისეველთა მათ, რაჲ-იგი ქმნა იესუ. |
| 47. და შეკრიბეს მღდელთ-მოძღუართა მათ და (F 201r) ფარისეველთა კრებული და იტყოდეს: რაჲ-მე ვყოთ, რამეთუ კაცი ესე მრავალსა სასწაულსა ჰყოფს[8]? | 47. და შეკრბეს მღდელთ-მოძღუართა მათ და ფარისეველთა კრებული და იტყოდეს: რაჲ-მე ვყოთ, რამეთუ კაცი ესე მრავალსა სასწაულსა იქმს? |
| 48. უკუეთუ დაუტეოთ იგი ესრეთ, ყოველთა ჰრწმენეს მისი, და მოვიდენ ჰრომნი და მიგუღონ ჩუენ ადგილიცა ჩუენი და ნათესავიცა. | 48. უკუეთუ[7] დაუტეოთ იგი ესრეთ, ყოველთა ჰრწმენეს მისა მიმართ, და მოვიდენ ჰრომნი და მიგუღონ ჩუენ ადგილიცა ჩუენი და ნათესავიცა. |
| 49. ერთმან მათგანმან, კაიაფა[9], რომელი იყო მღდელთ-მოძღუარი მის წე- | 49. ერთმან ვინმე მათგანმან, კაიაფა, რომელი იყო მღდელთ-მოძღუარი მის |

---

[1] გარქე F. [2] ისნე G. [3] გარჱ G. [4] ღაღატ-ყო F. [5] ლაზარჱ G. [6] შეკრულითა G. [7] და სახუევველითა F. [8] ჰყოფს] იქმს G. [9] კაჲაფა G.

[1] უკუჱ HIK. [2] გამოვედ HI. [3] სახუჱველითა HIK. [4] მარიამისსა K. [5] მართაჲსსა K. [6] მისსა K. [7] უკუჱთუ H.

### FG

ლიწადისაჲ, ჰრქუა მათ: თქუენ არა იცით არცა ერთ,

50. არცა განგიზრახავს, რამეთუ უმჯობეს არს ჩუენდა, რაჲთა ერთი კაცი მოკუდეს ერისათჳს, და არა ყოველი ნათესავი წარწყმდეს.

51. ესე თავით თჳსით არა თქუა, არამედ მღდელთ-მოძღუარი იყო მის წელიწადისაჲ და წინაწარმეტყუელებდა, რამეთუ ეგულებოდა იესუს მოსიკუდიდ ნათესავთათჳს.

52. არა ხოლო თუ ნათესავთათჳს, არამედ რაჲთა შვილნიცა ღმრთისანი განბნეულნი შეკრიბნეს ერთად.

53. (G 255r) მიერითგან შეიზრახნეს ჰურიანი, რაჲთა მოკლან იგი.

54. ხოლო იესუ არღარა განცხადებულად ვიდოდა ჰურიათა შორის, არამედ წარვიდა მიერ სოფელსა, მახლობელად უდაბნოსა, ქალაქსა, რომელსა ჰრქჳან ეფრაიმ[1], და მუნ[2] დაადგრა მოწაფითურთ[3] თჳსით.

55. იყო მახლობელ პასექი, დღესასწაული[4] იგი[5] ჰურიათაჲ, (F 201v) და აღვიდეს მრავალნი იერუსალჱმდ სოფლებისაგან უწინარეს მის პასექისა, რომელსა ჰრქჳან ვნებაჲ, რაჲთა განიწმიდნენ თავნი თჳსნი.

56. ხოლო ჰურიანი ეძიებდეს იესუს და იტყოდეს ურთიერთას[6], დგეს რაჲ ტაძარსა შინა: ვითარ ჰგონებთ თქუენ, არა-მე მოვიდესა დღესასწაულსა[7] ამას?

57. რამეთუ მიეცა მცნებაჲ მღდელთ-მოძღუართა მათ და ფარისეველთა, რაჲთა უკუეთუ ვინმე უწყოდის, სადა არს, რაჲთა აუწყოს[8] მათ, და შეიპყრან იგი.

### HIK

წელიწადისაჲ[1], ჰრქუა მათ: თქუენ არა იცით არცა ერთი,

50. არცა განგიზრახავს, რამეთუ უმჯობეს არს ჩუენდა, რაჲთა ერთი კაცი მოკუდეს ერისათჳს, და არა ყოველი ნათესავი წარწყმდეს.

51. ესე თავით თჳსით არა თქუა, არამედ მღდელთ-მოძღუარი იყო მის (I 248r) წელიწადისაჲ[2] და წინაწარმეტყუელა, რამეთუ ეგულებოდა იესუს მოსიკუდიდ ნათესავთათჳს.

52. და არა ხოლო ნათესავთათჳს. არამედ რაჲთა შვილნი(H 242v)ცა ღმრთისანი განბნეულნი შეკრიბნეს ერთად.

53. მიერ დღითგან შეიზრახნეს ჰურიანი, რაჲთა მოკლან იგი.

54. ხოლო იესუ არღარა განცხადებულად ვიდოდა ჰურიათა შორის, არამედ წარვიდა მიერ სოფელსა, (K 256r) მახლობელად უდაბნოსა, ქალაქსა, რომელსა ჰრქჳან ეფრაიმ, და მუნ დაადგრა მოწფითურთ[3] თჳსით.

55. ხოლო იყო მახლობელ პასექი იგი ჰურიათაჲ, და აღვიდეს მრავალნი იერუსალჱმდ სოფლებისაგან უწინარეს მის პასექისა, რაჲთა განიწმიდნენ თავნი თჳსნი.

56. ხოლო ჰურიანი ეძიებდეს იესუს და იტყოდეს ურთიერთას, დგეს რაჲ ტაძარსა შინა: ვითარ ჰგონებთ თქუენ, არა-მე მოვიდესა დღესასწაულსა ამას?

57. რამეთუ მიეცა მცნებაჲ მღდელთ-მოძღუართა მათ და ფარისეველთა, რაჲთა, უკუეთუ ვინმე უწყოდის, სადა არს, აუწყოს მათ, რაჲთა შეიპყრახ იგი.

## 12

1. ხოლო იესუ უწინარეს ექუსისა დღისა (G 255v) ვნებისა მის მოვიდა ბეთანიად, სადა-იგი იყო ლაზარე[9] მომკუ-

1. ხოლო იესუ უწინარეს ექუსისა დღისა ვ(I 248v)ნებისა მის მოვიდა ბეთანიად, სადა-იგი იყო ლაზარე მომკუ-

---

[1] ეფრაჲმ G. [2] მონ G. [3] მწფ˜თრთ F. მოწაფითორთ G. [4] დღჱსასწაული G. [5] იგი]—G. [6] ურთიერთარს F. [7] დღჱსასწაულსა G. [8] აუწყონ F. [9] ლაზარჱ G.

[1] წელიწდისაჲ HI. [2] წელიწდისაჲ K. [3] მოწფით˜რთ HI; მწ˜ფითრთ K.

**FG**

დარი, რომელ-იგი იესუ აღადგინა[1] მკუდრეთით.

2. და[2] დაუმზადეს მას მუნ სერი, და მართა ჰმსახურებდა მას, ხოლო ლაზარე ერთი მეინაჴეთაგანი იყო მის თანა.

3. ხოლო მარიამ მოიღო ლიტრაჲ ერთი ნელსაცხებელი ნარდისა სარწმუნოჲსაჲ[3] მრავალ-სასყიდლისაჲ და სცხო ფერჴთა იესუჲსთა[4] და თმითა თჳსითა წარჰჴოცნა ფერჴნი მისნი, და სახლი იგი ყოველი აღივსო სულნელებითა[5] მის ნელსაცხებელისაჲთა[6].

4. თქუა ვინმე ერთმან მოწაფეთა მისთაგანმან, იუდა სიმონისმან, (F 202r) ისკარიოტელმან, რომელსა ეგულებოდა მიცემაჲ მისი:

5. რაჲსათჳს ნელსაცხებელი ესე არა განიყიდა[7] სამასის დრაჰკნის და მიეცა გლახაკთა?

6. (G 258r) ხოლო ესე მისთჳს თქუა, არა თუ გლახაკთაჲ[8] რაჲმე ზრუნვაჲ ედვა გულსა მისსა, არამედ რამეთუ მპარავი იყო და გუადრუცი იგი მას აქუნდა და[9] შთასადებელი იგი მას ჰკიდავნ.

7. და ჰრქუა[10] იესუ: უტევეთ მაგას, რაჲთა დღედ დაფლვისა ჩემისა დამიმარხოს ეგე.

8. რამეთუ გლახაკნი მარადის თქუენ თანა არიან, ხოლო მე არა მარადის თქუენ თანა ვარ.

9. გულისხმა-ყო[11] ყოველმან ერმან ჰურიათამან, რამეთუ იესუ მუნ არს; მოვიდეს არა ხოლო თუ იესუჲსთჳს[12], არამედ რაჲთა ლაზარეცა იხილონ, რომელი-იგი[13] აღადგინა მკუდრეთით.

10. ზრახვა-ყვეს მღდელთ-მოძღუართა მათ, რაჲთა ლაზარეცა მოკლან.

**HIK**

დარ, რომელი-იგი აღადგინა მკუდრეთით.

2. და მოუმზადეს მას მუნ სერი, და მართა (H 243r) ჰმსახურებდა მას, ხოლო ლაზარე იყო ერთი მეინაჴეთაგანი მის თანა.

3. ხოლო მარიამ მოიღო ლიტრაჲ ერთი ნელსაცხებელი ნარდისა სარწმუნ(K 258v)ოჲსაჲ მრავალ-სასყიდლისაჲ და სცხო ფერჴთა იესუჲსთა და თმითა თჳსითა წარჰჴოცნა ფერჴნი მისნი, და სახლი იგი ყოველი აღივსო სულნელებითა მის ნელსაცხებელისაჲთა[1].

4. თქუა ვინმე ერთმან მოწაფეთა მისთაგანმან, იუდა სიმონისმან, ისკარიოტელმან, რომელსა ეგულებოდა მიცემაჲ მისი:

5. რაჲსათჳს ნელსაცხებელი ესე არა განისყიდა სამასის დრაჰკნის და მიეცა გლახაკთა?

6. ხოლო ესე თქუა, არა თუ გლახაკთაჲ რაჲმე ზრუნვაჲ ედვა გულსა მისსა, არამედ რამეთუ მპარავი იყო და გუადრუცი იგი მას აქუნდა და შთასადებელი იგი მას ჰკიდავნ.

7. და თქუა იესუ: უტევე მაგას, დღედ დაფლვისა ჩემისა დამიმარხა[2] ეგე:

8. რამეთუ გლახაკნი მარადის (I 244r) თქუენ თანა არიან, ხოლო მე არა მარადის თქუენ თანა ვარ.

9. აგრძნა უკუჱ[3] ყოველმან ერმან ჰურიათამან, რამეთუ იესუ მუნ არს; მოვიდეს არა ხოლო თუ იესუჲსთჳს, (H 240v) არამედ რაჲთა ლაზარეცა იხილონ, რომელი-იგი აღადგინა მკუდრეთით.

10. ხოლო ზრახვა-ყვეს მღდელთ-მოძღუართა მათ, რაჲთა ლაზარეცა მოჰკლან.

---

[1] ~ აღადგინა იესუ G. [2] და] — F. [3] სარჩმუნოჲსაჲ G. [4] ი˜ჳსთა F. [5] სურნელებითა F, სულნელებითა G. [6] ნელსაცხებლის˜თა F. [7] განიყიდა G. [8] გლახაკთა F. [9] და] — G. [10] თქუა G. [11] გულისჴმა-ყო F. [12] ი˜ჳსთჳს F. [13] რომელ-იგი G.

[1] ნელსაცხებლისაჲთა K (HI: ნელსაცხებ˜ლის˜ჲთა). [2] დამიმარხე K [3] უკუჱ HI

FG

11. რამეთუ მრავალნი ჰურიათაგანნი მოვიდოდეს და ჰრწმენა მათ იესუჲსი[1].

12. ხვალისაგან ერი იგი მრავალი რომელ მოსრულ იყო დღესასწაულსა მას, რამეთუ ესმა, ვითარმედ იესუ მოვ(G 250v)ალს[2] იერუსალჱმდ,

13. მოიღეს რტოები დანაკის(F 202v)კუდთაგან[3] და განვიდეს მიგებებად მისა და[4] ღაღადებდეს და იტყოდეს჻ ჵსანა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა და მეუფჱ[5] ისრაჱლისაჲ!

14. და პოვა იესუ ვირი და დაჯდა მას ზედა, ვითარცა წერილ არს჻

15. ნუ გეშინინ, asულო სიონისაო! აჰა ესერა მეუფჱ შენი მოვალს შენსდა და ზე ზის იგი კიცუსა ვირსა.

16. ესე არა ეცნა მოწაფეთა მისთა პირველად, არამედ ოდეს იდიდა იესუ, მოეჴსენა, რამეთუ ესრე წერილ იყო მისთჳს, და ესე უყვეს მას.

17. და ერი იგი, რომელი იყო მის თანა, ეწამებოდეს მას, რამეთუ ლაზარეს უწოდა საფლავით და აღადგინა იგი მკუდრეთით.

18. ამისთჳსცა მიეგებვოდეს[6] მას ერი იგი, რამეთუ ესმინა, ვითარმედ ესე სასწაული ქმნა იესუ.

19. ხოლო ფარისეველთა მათ ჰრქუეს მათ ჰხედავთა[7], რამეთუ (G 257r) არას ირგებთ? აჰა ესერა ჰრწამს, სოფელი ყოველი მივიდა შედგომად მისა.

20. იყვნეს ვინმე წარმართთაგანნიცა აღმოსრულთა მათგანნი, რაჲთა თაყუანის-სცენ დღესასწაულსა[8] მას.

21. ესენი მოვიდეს ფილიპესა, რომელ-იგი იყო ბეთსაიდაჲთ გალილეაჲ-

HIK

11. რამეთუ მრავალნი ჰურიათაგანნი მისთჳს მოვიდოდეს[1] და ირწმუნებდეს იესუჲსსა[2].

12. ხვალისაგან ერი მრავალი რომელ-იგი მოსრულ იყ(K 257r)ვნეს დღესასწაულსა მას, რამეთუ ესმა, ვითარმედ იესუ მოვალს იერუსალჱმდ[3],

13. მოიღეს რტოები დანაკისკუდთაგან და განვიდეს მიგებებად[4] მისა[5], ღაღადებდეს და იტყოდეს჻ ოსანა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა, მეუფე ისრაჱლისაჲ!

14. და პოვა იესუ ვირი და დაჯდა მას ზედა. ვითარცა წერილ არს჻

15. ნუ გეშინინ, ასულო სიონისაო! აჰა ესერა მეუფე შენი მოვალს შენდა და ზე[6] ზის იგი კიცუსა ვირისასა.

16. ხოლო ესე არა ეცნა მოწაფეთა მისთა პირველად, არამედ ოდეს იდიდა იესუ, მაშინ მოეჴსენა, რამეთუ ესრეთ წერილ იყო (I 244v) მისთჳს, და ესე უყვეს მას.

17. და ეწამებოდა მას ერი იგი, რომელი იყო მის თანა, რაჟამს ლაზარეს (H 244r) უწოდა საფლავით და აღადგინა იგი მკუდრეთით.

18. ამისთჳსცა მიეგებვოდა მას ერი იგი, რამეთუ ესმინა, ვითარმედ (K 257v) ესე სასწაული ქმნა იესუ[7].

19. ხოლო ფარისეველთა მათ თქუეს ურთიერთას჻ ხედავთა, რამეთუ არა ირგებთ არარას? აჰა ესერა სოფელი ყოველი მივიდა შედგომად მისა.

20. იყვნეს ვინმე წარმართთაგანნიცა[8] აღმოსრულთა მათგანნი, რაჲთა თაყუანის-სცენ დღესასწაულსა მას.

21. ესენი მოვიდეს ფილიპესსა[9], რომელი-იგი იყო ბეთსაიდაჲთ გალილეაჲ-

---

[1] ი¯ჳსი F. [2] მოვ|ვალს G. [3] დანაკისკოდთაგან F. [4] და] — F. [5] მეუფე G. [6] მიეგებოდა G. [7] ხედავთა G. [8] დღჱსასწაულ-სა G.

[1] მივიდოდეს HI. [2] იესოჲსსა HI (სრულად, უქარაგმოდ; K: ი˝ჲსსა). [3] იერუსალჱ̈მდ H (სრულად, =იერუსალჱმდ; I: ი¯ჱლჱ̈მდ, ი¯ჱლმდ K). [4] მიგებებად] — K. [5] მისსა K. [6] ზჱ K. [7] იესო I (სრულად). [8] წარმართთაგ¯ნიცა I. [9] ფილიპესსა HIK.

| FG | HIK |
|---|---|
| საჲთ, და ეტყოდეს მას: უფალო, გუნებავს იესუჲსი[1] ხილვაჲ. | საჲთ, და ეტყოდეს მას: უფალო, გუნებავს იესუჲსი ხილვაჲ. |
| 22. მივიდა ფილიპე[2] და ჰრქუა ანდრიას; და მოვიდეს ანდრია და ფილიპე[2] (F 203r°) და ჰრქუეს იესუს. | 22. მივიდა ფილიპე და ჰრქუა ანდრეას; და მოვიდეს ანდრეა და ფილიპე და ჰრქუეს[1] იესუს. |
| 23. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: მოიწია ჟამი, რაჲთა იდიდოს ძჱ[3] კაცისაჲ. | 23. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ: მოიწია ჟამი. რაჲთა იდიდოს ძე კაცისაჲ. |
| 24. ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ: უკუეთუ არა[4] მარცუალი იფქლისაჲ დავარდეს ქუეყანასა და არა[4] მოკუდეს, იგი მარტოჲ ხოლო ეგოს; უკუეთუ მოკუდეს, მრავალი ნაყოფი გამოიღოს. | 24. ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ: უკუეთუ[2] არა მარცუალი იფქლისაჲ დავარდეს ქუეყანასა და მოკუდეს, იგი მარტოჲ ხოლო ეგოს; ხოლო უკუეთუ მოკუდეს, მრავალი ნა(I 246r°)ყოფი გამოიღოს. |
| 25. რომელსა უყუარდეს თავი თჳსი, განუტეოს იგი; და რომელსა სძულდეს თა(G 257v°)ვი თჳსი ამას სოფელსა, ცხორებად საუკუნოდ დაიმარხოს იგი. | 25. რომელსა უყუარდეს სული[3] თჳსი, წარიწყმიდოს იგი; და რომელსა სძუ(H 244v°)ლდეს სული თჳსი ამას სოფელსა, ცხორებად საუკუნოდ დაიმარხოს იგი. |
| 26. უკუეთუ ვინმე მე[5] მმსახურებდეს[6], მე შემომიდეგინ; და სადაცა მე ვიყო, მუნცა მსახური იგი ჩემი იყოს. და უკუეთუ ვინმე მე მმსახურებდეს[6], პატივ-სცეს მას მამამან ჩემმან. | 26. უკუეთუ ვინმე მე მმსახურებდეს, მე შემომიდეგინ; და სადაცა მე ვიყო, მუნცა მსახური ჩემი იყოს. და უკუეთუ ვინმე მე მმსახურებდეს, პატივ-სცეს მას მამამან ჩემმან. |
| 27. აწ სული ჩემი შეძრწუნებულ არს, და რაჲ-მე ვთქუა? მამაო, მიჴსენ მე ამის ჟამისაგან. არამედ ამისთჳს მოვედ ჟამსა ამას. | 27. აწ სული ჩემი შეძრწუნებულ არს და რაჲ-მე ვთქუა? მამაო, მიჴსენ მე ჟამისა ამისგან. (K 258r°) არამედ ამისთჳს მოვედ ჟამსა ამას. |
| 28. მამაო, ადიდე სახელი შენი. მოიწია მისა ჴმაჲ ზეცით: გადიდე შენ და კუალად გადიდო. | 28. მამაო, ადიდე ძე შენი. მოიწია მისა[4] ჴმაჲ ზეცით: და ვადიდე და კუალადცა ვადიდო. |
| 29. ხოლო ერი იგი, რომელი დგა და ესმა, იტყოდეს, ვითარმედ: ქუხილი იყო; ხოლო სხუანი იტყოდეს: ანგელოზი ეტყოდა მას. | 29. ხოლო ერი იგი, რომელი დგა და ესმა, იტყოდეს, ვითარმედ: ქუხილი იყო; ხოლო სხუანი იტყოდეს: ანგელოზი ეტყოდა მას. |
| 30. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: არა ჩემთჳს იყო ჴმაჲ ესე, არამედ თქუენთჳს. | 30. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: არა ჩემთჳს იყო ჴმაჲ ესე, არამედ თქუენთჳს. |
| 31. აწ არს (F203v°) საშჯელი სოფლისაჲ ამის, აწ მთავარი იგი ამის სოფლისაჲ[7] (G 258r°) გარდამოვარდეს ქუე. | 31. აწ არს სასჯელი[5] ამის სოფლისაჲ, აწ მთავარი იგი ამის სოფლისაჲ განვარდეს გარე. |
| 32. და მე ოდეს ავმაღლდე ქუეყანით, ყოველნი მოვიზიდნე ჩემდა. | 32. და მე ოდეს ავმაღლდე[6] ქუეყანით, ყოველნი მოვიზიდნე ჩემდა. |

---

[1] ი͞ჳსი F. [2] ფილიპჱ FG. [3] ძე G. [4] ასეა FG (ორმაგი უარყოფა). [5] მე] — F. [6] მსახურებდეს FG. [7] — სოფლისაჲ ამის F.

[1] ჰრქუჱს H. [2] უკუჱთუ H. [3] ს͞ლი H. [4] მისსა K. [5] საშჯელი HI. [6] ავმაღლდე H.

FG

33. ხოლო ამას რაჲ იტყოდა, აუწყებდა, რომლითა სიკუდილითა ეგულებოდა მოსიკუდილდ[1].

34. მიუგო მას[2] ერმან მან და ჰრქუა: ჩუენ გუასმიეს შჯულისაგან, ვითარმედ ქრისტე[3] უკუნისამდე ეგოს. და შენ ვითარ იტყჳ, ვითარმედ: ჯერ-არს ამაღლებაჲ ძისა კაცისაჲ? ვინ არს ესე ძჱ კაცისაჲ?

35. ჰრქუა მათ იესუ: მცირედღა ჟამ ნათელი თქუენ თანა არს. ვიდოდეთ, ვიდრე ნათელი გაქუსლა, რაჲთა არა გეწიოს თქუენ ბნელი, რამეთუ რომელი ვალს ბნელსა, არა უწყინ[4], ვიდრე ვალნ.

36. ვიდრე ნათელი გაქუს, გრწმენინ ნათელი, რაჲთა ძე[5] ნათლის[6] იყვნეთ. ამას იტყოდა იესუ და წარვიდა და დაეფარა მათგან.

37. და ესოდენი სასწაული ქმნა[7] წინაშე მათსა, და არა ჰრწმენა მისა მიმართ.

38. რაჲთა აღესრულოს სი(G 254v)ტყუაჲ იგი ესაია წინაწარმეტყუელისაჲ, რომელსა იტყჳს: უფალო, ვის-მე ჰრწმენა სასმენელი ჩუენი? და მკლავი უფლისაჲ ვის გამოეცხადა?

39. ამისთჳს ვერ ჰრწმენა, რამეთუ მერმეცა თქუა ესაია:

40. დაუბრმეს მათ თუალნი მათნი, რაჲთა ვერ იხილონ (F 204r) თუალითა, და დაუსულბეს[8] გულნი მათნი, რაჲთა არა გულისხმა-ყონ[9] და მოიქცენ, და განვკურნნე[10] იგინი.

41. ესე თქუა ესაია, ოდეს-იგი იხილა დიდებაჲ მისი და იტყოდა მისთჳს.

42. ხოლო მთავართაგანთაცა მრავალთა ჰრწმენა მისა[11] მიმართ, არამედ ფარისეველთათჳს ვერ აღიარეს, რაჲთა არა კრებულისაგან განასხნენ.

43. რამეთუ შეიყუარეს დიდებაჲ კაცთაჲ უფროჲს[12], ვიდრე დიდებაჲ ღმრთისაჲ.

HIK

33. ხოლო ამას რაჲ იტყოდა, აუწყებდა, რომლითა სიკუდილითა (I 245v) ეგულებოდა სიკუდილად.

34. მიუგო მას ერმან მან და ჰრქუა: ჩუენ გუასმიეს სჯულისაგან[1], ვითარმედ ქრისტე უკუნისამდე ეგოს. და შენ ვითარ (H 245r) იტყჳ, ვითარმედ: ჯერ-არს ამაღლებაჲ ძისა კაცისაჲ? ვინ არს ესე ძე კაცისაჲ?

35. ჰრქუა მათ იესუ: მცირედ ჟამ ნათელი თქუენ თანა არს. ვიდოდეთ, ვიდრე ნათელი გაქუსლა, რაჲთა არა გეწიოს თქუენ ბნელი, რამეთუ რომელი ვალნ ბნელსა, არა უწყინ, ვიდრე ვალნ.

36. ვიდრე ნათელი გაქუს, გრწმენინ ნათელი, რაჲთა ძე ნათლის[2] იყვნეთ. ამას ეტყოდა იესუ და წარვიდა და დაეფარა მათგან.

37. და ესოდენნი სასწაულნი ქმნნა წინაშე მათსა, და არა ჰრწმენა მისა[3] მიმართ.

38. რაჲთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი (K 258v) ესაია[4] წინაწარმეტყუელისაჲ, რომელსა იტყჳს: უფალო, ვის-მე ჰრწმენა სასმენელი ჩუენი? და მკლავი უფლისაჲ ვის გამოეცხადა?

39. ამისთჳს ვერ ჰრწმენა, რამეთუ მერმეცა თქუა ესაია[4]:

40. დაუბრმეს მათ თუალნი მათნი, რაჲთა ვერ იხილონ თუალითა, და დაუსულბეს გულნი მათნი, რაჲთა არა გულისჴმა-ყონ გულ(I 246r)ითა და მოიქცენ, და მე განვკურნნე იგინი.

41. ესე თქუა ესაია, ოდეს-იგი იხილა დიდებაჲ მისი და იტყოდა მისთჳს.

42. ხოლო მთავართაგანთაცა მრავალთა ჰრწმენა მისა[5] მიმართ, (H 245v) არამედ ფარისეველთათჳს ვერ აღიარეს, რაჲთა არა კრებულისაგან განასხნენ.

43. რამეთუ შეიყუარეს დიდებაჲ კაცთაჲ უფროჲს, ვიდრე დიდებაჲ ღმრთისაჲ.

---

[1] სიკუდილდ G. [2] მას] — F. [3] ქ͞ჱ F. [4] უწყის F. [5] ძჱ FG. [6] ნათლისა F. [7] ესოდენნი სასწაულნი ქმნნა G. [8] დაუსლბეს F. [9] გულისჴმა-ყონ F. [10] განვკურნე F. [11] მისსა G. [12] უფროს G.

[1] შჯულისაგან HI. [2] ნათლისა K. [3] მისსა HIK. [4] ესაჲა H. [5] მისსა K.

| FG | HIK |
|---|---|
| 44. ხოლო იესუ ღაღად-ყო[1] და თქუა: რომელსა ვჰრწმენე[2] მე, არა მე ვჰრწმენე, არამედ მომავლინებელი ჩემი. | 44. ხოლო იესუ ღაღატ-ყო და თქუა: რომელსა ვჰრწმენე მე, არა მე ვჰრწმენე, არამედ მომავლინებელი ჩემი. |
| 45. და რომელმან მიხილა მე, იხილა მომავლინებელი ჩემი. | 45. და რომელმან მიხილა მე, იხილა მომავლინებელი ჩემი. |
| 46. (G 259r) მე ნათელი სოფლად მოვივლინე, რაჲთა ყოველსა რომელსა ჰრწმენეს ჩემი, ბნელსა შინა არა დაადგრეს. | 46. მე ნათელი სოფლად მოვივლინე, რაჲთა ყოველსა რომელსა ჰრწმენეს ჩემი, ბნელსა შინა არა დაადგრეს. |
| 47. და რომელმან ისმინნეს სიტყუანი ჩემნი და არა[3] დაიმარხნეს, მე არა დავსაჯო იგი, რამეთუ არა მოვედ მე დასჯად[4] სოფლისა, არამედ რაჲთა ვაცხოვნო სოფელი. | 47. და რომელმან ისმინნეს სიტყუანი ჩემნი და არა ჰრწმენენ[1], მე არა ვსაჯო იგი, რამეთუ არა მოვედ მე სჯად[2] სოფლისა, არამედ რაჲთა ვაცხოვნო სოფელი. |
| 48. ხოლო რომელმან შეურაცხ-მყოს მე და არა შეიწყნარნეს სიტყუანი ჩემნი, აქუს მსაჯული თჳსი: სიტყუასა რომელსა ვიტყოდე, მან საჯოს იგი უკუანაჲსკნელსა[5] დღესა. | 48. ხოლო რომელმან შეურაცხ-მყოს და არა შეიწყნარნეს (K 250r) სიტყუანი ჩემნი, აქუს მსაჯული თჳსი: სიტყუასა რომელსა ვიტყოდე, მან საჯოს იგი უკუანაჲსკნელსა დღესა. |
| 49. რამეთუ მე თავით თჳსით არარას ვიტყოდე[6], არამედ რომელმან მომავლინა მე, მამამან, მან[7] მომცა მე (F 204v) მცნებაჲ, რაჲ ვთქუა და რასა ვიტყოდი. | 49. რამეთუ მე თავით თჳსით არარას ვიტყოდე, (I 246v) არამედ რომელმან მომავლინა მე, მამამან, მან მომცა მე მცნებაჲ, რაჲ ვთქუა და რასა ვიტყოდი. |
| 50. და უწყი, რამეთუ მცნებაჲ მისი ცხორება საუკუნე[8] არს. და რომელსა ვიტყჳ მე, ვითარცა მამცნო მე მამამან, ეგრეცა ვიტყჳ. | 50. და უწყი, რამეთუ მცნებაჲ მისი ცხორება საუკუნო არს. და რომელსა ვიტყჳ მე, ვითარცა მამცნო მე მამამან, ეგრეცა ვიტყჳ. |

## 13

| FG | HIK |
|---|---|
| 1. და უწინარეს დღესასწაულსა მას პასექისასა, რომელ არს ენებაჲ, იცოდა იესუ, რამეთუ მოიწია ჟამი მისი, რაჲთა (G 259v) განვიდეს ამიერ სოფლით და მივიდეს მამისა, რამეთუ შეიყუარნა თჳსნი იგი ამას სოფელსა და სრულიად შეიყუარნა იგინი. | 1. (H 246r) და უწინარეს დღესასწაულისა მის პასექისა იცოდა იესუ, რამეთუ მოიწია ჟამი მისი, რაჲთა განვიდეს ამიერ სოფლით და მივიდეს მამისა, რამეთუ შეიყუარნა თჳსნი იგი ამას სოფელსა შინა და სრულიად შეიყუარნა იგინი. |
| 2. და ვითარცა სერობაჲ იგი იყო, და ეშმაკი შესრულ იყო გულსა იუდაჲსსა, სიმონ ისკარიოტელისასა, რაჲთა განსცეს იგი. | 2. და ვითარცა სერობაჲ იგი იყო, და ეშმაკი შესრულ იყო გულსა იუდაჲსსა, სიმონ ისკარიოტელისასა, რაჲთა განსცეს იგი. |

---

[1] ღაღატ-ყო F. [2] ვჰრწმენჱ G. [3] არა] — FG. [4] დამჯად G. [5] უკუანასკნელსა F. [6] ვიტყოდჱ F. [7] მან] — F. [8] საუკუნო G.

[1] ჰრწმენნენ HIK. [2] მჯად HI.

| FG | HIK |
|---|---|
| 3. იცოდა იესუ, რამეთუ ყოველივე მოსცა მას მამამან ჴელთა მისთა, და რამეთუ ღმრთისაგან გამოვიდა და ღმრთისა მივალს. | 3. იცოდა იესუ, რამეთუ ყოველივე მოსცა მას მამამან ჴელთა მისთა, და რამეთუ ღმრთისაგან გამოვიდა და ღმრთისა მივალს. |
| 4. აღდგა სერობისა მისგან და დადვა სამოსელი[1] თჳსი და მოიღო არდაგი და მოირტყა იგი. | 4. აღდგა სერობისა მისგან[1] და დადვა სამოსელი თჳსი და მოიღო (K 250ⴅ) არდაგი და მოირტყა იგი. |
| 5. და მოიღო წყალი და შთაასხა[2] საბანელსა მას და იწყო დაბანად ფერჴთა მოწაფეთა თჳსთასა და წარჰკოცდა არდაგითა მით, რომელი შეემოსა. | 5. და მოიღო წყალი და შთაასხა საბანელსა მას და იწყო ბანად ფერჴთა მოწაფეთა თჳსთა და წარჰკოცდა არდაგითა მით, რომელი მოერტყა. |
| 6. და მოვიდა სიმონ-პეტრესა. ჰრქუა მას პეტრე: უფალო, შენ დამბანნეა ფერჴნი ჩემნი? | 6. და მოვიდა სი(I 247ⴐ)მონ-პეტრესა[2]. ჰრქუა მას პეტრე: უფალო, შენ დამბანა ფერჴთა ჩემთა? |
| 7. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: რომელსა მე ვი(G 260ⴐ)ქმ, არა იცი აწ, ხოლო მერმე უწყოდი. | 7. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: რომელსა მე ვიქმ, არა იცი აწ, ხოლო სცნა ამისა[3] შემდგომად. |
| 8. (F 205ⴐ) ჰრქუა მას პეტრე: არა დამბანნე მე[3] ფერჴნი ჩემნი უკუნისამდე. ჰრქუა მას იესუ: უკუეთუ არა დაგბანნე ფერჴნი შენნი[4], არა გაქუს ნაწილი ჩემ თანა. | 8. ჰრქუა მას პეტრე: არა და(H 248ⴅ)მბანნე ფერჴნი ჩემნი უკუნისამდე[4]. ჰრქუა მას იესუ: უკუეთუ არა დაგბანნე შენ ფერჴნი, არა გაქუნდეს ნაწილი ჩემ თანა. |
| 9. ჰრქუა მას სიმონ-პეტრე: უფალო, ნუ ხოლო ფერჴნი, არამედ ჴელნიცა და თავიცა ჩემი. | 9. ჰრქუა მას[5] სიმონ-პეტრე: უფალო, ნუ ხოლო ფერჴნი ჩემნი, არამედ ჴელნიცა და თავიცა ჩემი. |
| 10. ჰრქუა მას იესუ: განბანილსა მას არა უჴმს, გარნა ფერჴნი ხოლო დაბანად, რამეთუ ყოვლად წმიდა არს იგი, და თქუენ წმიდა ხართ, არამედ არა ყოველნი. | 10. ჰრქუა მას იესუ: განბანილსა მას არა უჴმს, გარნა ფერჴნი ხოლო დაბანად, რამეთუ ყოვლად წმიდა არს იგი, და თქუენცა წმიდა ხართ, არამედ არა ყოველნი. |
| 11. რამეთუ იცოდა იესუ მიმცემელი იგი. ამისთჳს თქუა, ვითარმედ: არა ყოველნი წმიდა ხართ. | 11. რამეთუ იცოდა იესუ მიმცემელი იგი. ამისთჳს თქუა, ვითარმედ: არა ყოველნი წმიდა ხართ. |
| 12. და ოდეს დაჰბანნა ფერჴნი მათნი, მოიღო სამოსელი[1] თჳსი და და ინაჴ-იდგა და მერმე ჰრქუა მათ: უწყითა, რაჲ-ესე[6] გიყავ თქუენ? | 12. და ოდეს დაჰბანნა ფერჴნი მათნი, მოიღო სამოსელი თჳსი და ინაჴ-იდგა და[6] მერმე ჰრქუა მათ: უწყითა, რაჲ-ესე გიყავ თქუენ[7]? |
| 13. თქუენ მხადით მე: მოძღუარო და უფალო, და კეთილად სთქუთ, რამეთუ ვარ. | 13. თქუენ მხადით მე[8]: მოძღ(K 260ⴐ)უარო და უფალო. და კეთილად სთქუთ, რამეთუ ვარ. |

---

[1] სამუსელი F. [2] შთასხა F. [3] მე] — F. [4] ფერჴნი შენნი] შენ ფერჴნი G. [5] F-ში „ესე“ მერმეა დამატებული.

[1] სერობისა მისგან] სერობისაგან K. [2] სიმონ-პეტრესსა HIK. [3] ამისსა HIK. [4] HI-ში სრულად წერია, K-ში: უ:̄ე. [5] მას] — K. [6] და] — K. [7] თქუჱნ HI. [8] მე] — K.

| FG | HIK |
|---|---|
| 14. უკუეთუ მე დაგბა(G 260ⴅ)ნენ ფერჴნი, უფალმან და მოძღუარმან, და თქუენცა თანა-გაც ურთიერთას[1] დაბანად ფერჴთა. | 14. უკუეთუ მე დაგბანენ ფერჴნი, უფალმან და მოძღუარმან, და თქუენცა თანა-გაც ურთი(I 247ⴅ)ერთას დაბანად ფერჴთა. |
| 15. რამეთუ სახე მიგეც თქუენ, რამეთუ ვითარცა-ესე მე გიყავ თქუენ, თქუენცა[2] ეგრევე ჰყოფდით. | 15. რამეთუ სახე მიგეც თქუენ, რაჲთა, ვითარცა-ესე მე გიყავ თქუენ, ეგრეთვე თქუენცა[1] ჰყოფდეთ. |
| 16. ამენ. ამენ გეტყჳ თქუენ: არა არს მონაჲ უფროჲს უფლისა თჳსისა, და[3] არცა მოციქული უფროჲს მიმავლინებელისა თჳსისა. | 16. ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ: არა არს მონაჲ უფროჲს უფლისა თჳსისა, არცა მოციქული უფროჲს (H 247ⴐ) მომავლინებელისა თჳსისა. |
| 17. ესე თუ სცნათ, ნეტარ ხართ, უკუეთუ ჰყოფდეთ მას. | 17. ესე თუ სცნათ, ნეტარ ხართ, უკუეთუ[2] ჰყოფდეთ ამას. |
| 18. არა თქუენ ყოველთათჳს ვიტყჳ, (F 203ⴅ) რამეთუ მე გიცნი, რომელნი გამოგირჩიენ, არამედ რაჲთა წერილნი იგი აღესრულნენ: რომელი ჰჭამდა ჩემ თანა პურსა, აღიღო ჩემ ზედა ბრჭალი მისი. | 18. არა თქუენ ყოველთათჳს ვიტყჳ, რამეთუ მე გიცნი, რომელნი გამოგირჩიენ, არამედ რაჲთა წერილნი იგი[3] აღესრულნენ: რომელი ჰჭამდა ჩემ თანა პურსა, აღიღო ჩემ ზედა ბრჭალი მისი. |
| 19. ამიერითგან გეტყჳ თქუენ ვიდრე ყოფადმდე, რაჲთა, რაჟამს იყოს, გრწმენეს თქუენ, რამეთუ მე ვარ. | 19. ამიერითგან გეტყჳ თქუენ ვიდრე ყოფადმდე, რაჲთა, რაჟამს იყოს, გრწმენეს თქუენ, რამეთუ მე ვარ. |
| 20. ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ: უკუეთუ ვინმე შეიწყნაროს, რომელი მე მივავლინო, მან მე შემიწყნაროს; და რომელმან მე შემიწყნაროს, შეიწყნა(G 261ⴐ)როს მომავლინებელი ჩემი. | 20. ამენ, ამენ[4] გეტყჳ თქუენ: უკუეთუ[2] ვინმე შეიწყნაროს, რომელი მე მივავლინო, მე შემიწყნარებს; და რომელმან მე შემიწყნაროს, შეიწყნარებს მომავლინებელსა ჩემსა. |
| 21. ესე თქუა იესუ და შეძრწუნდა სულითა თჳსითა, წამა და თქუაჲ ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ: ერთმან თქუენგანმან მიმცეს მე. | 21. ესე თქუა იესუ და შეძრწუნდა სულითა და წამა და თქუა: ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ[5], ვითარმედ: ერთმან თქუენგანმან[6] მიმცეს მე. |
| 22. იხედვიდეს ურთიერთას[1] მოწაფენი და ვერ იცოდეს, ვისთჳს იტყოდა. | 22. ხედვიდეს უკუე[7] ურთიერთას მოწაფენი და არა იცოდეს, ვისთჳს იტყოდა. |
| 23. და იყო ერთი მოწაფეთაგანი მიყრდნობილ წიაღთა თანა იესუჲსთა[4], რომელ-იგი[5] უყუარდა იესუს. | 23. (I 248ⴐ) და იყო ერთი (K 200 ⴅ) მოწაფეთა მისთაგანი მიყრდნობილ წიაღთა თანა იესუჲსთა, რომელი-იგი უყუარდა იესუს. |
| 24. წამ-უყუნა[6] მას სიმონ-პეტრე[7], რაჲთა ჰკითხოს, ვინ არს, რომლისათჳს იტყჳს. | 24. წამ-უყუნა მას სიმონ-პეტრე, რაჲთა ჰკითხოს, ვინ არს, რომლისათჳს იტყჳს? |

---

[1] ურთიერთარს F. [2] თქუენცა] — G, თქუენ F. [3] და] — G. [4] იესუსთა F. [5] რომელი-იგი G. [6] წამ-ოყუნა F. წამ-უყუნა G. [7] სიმონ-პეტრჱ F.

[1] თქუჱნცა HI. [2] უკუჱთუ H. [3] იგი] — K. [4] ამენ ამენ] ამენ HIK. [5] თქუჱნ H. [6] თქუჱნგანმან H. [7] უკუჱ HIK.

**FG**

25. ხოლო იგი მიეყრდნა მკერდსა იესუჲსსა[1] და ჰრქუა მას: უფალო, ვინ არს?

26. მიუგო იესუ და ჰრქუა: რომელსა მე დავაწო პური და მიუპყრა, იგი არს. და დააწო[2] პური იგი და მისცა იუდას სიმონისსა, ისკარიოტელსა.

27. და შემდგომად მიღებისა იუდაჲსა[3] პურისა მის, შეუიდა მისა ეშმაკი. და ჰრქუა მას იესუ: რომელი გეგულებინ საქმედ, ყავ ადრე[4].

28. (F 206r) ესე არავინ ცნა ინაკით-მჯდომარეთაგანმან (G 261v) იესუს[5] თანა, რაჲსათჳს ჰრქუა მას.

29. რომელნიმე ჰგონებდეს, რამეთუ გუადრუცი იგი იუდას აქუნდა, ვითარმედ ჰრქუა მას იესუ: იყიდე, რაჲ-იგი[6] გჳჴმდეს დღესასწაულსა ამას, გინა თუ მიცემად რაჲმე გლახაკთა.

30.* ხოლო მან მოიღო პური იგი და მეყსეულად განვიდა. და იყო ღამე.

31. და ვითარცა განვიდა იუდა, თქუა იესუ: აწ იდიდა ძჱ[7] კაცისაჲ, და ღმერთიცა იდიდა მის თანა.

32. უკუეთუ ღმერთი იდიდა მის თანა, ღმერთმანცა ადიდოს იგი თავისა თჳსისა თანა და მეყსეულად ადიდოს იგი.

33. შვილნო, მცირედ ჟამ თქუენ თანა ვარ. და მეძიებდეთ მე და, ვითარცა-იგი ვარქუ ჰურიათა, ვითარმედ: ვიდრე-იგი მე მივალ, თქუენ ვერ ჴელ-გეწიფების მოსლვად, და აწ თქუენ გეტყჳ.

34. მცნებასა ახალსა მიგცემ თქუენ, რაჲთა იყუარებოდით[8] ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყუარენ თქუენ, რაჲთა თქუენცა იყუარებოდით[8] ურთიერთას[9].

35. ამით ცნან ყოველთა, რამეთუ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკუეთუ იყუარებოდით[8] ურთიერთას[9].

**HIK**

25. (H 247v) ხოლო იგი მიეყრდნა მკერდსა იესუჲსსა და ჰრქუა მას: უფალო, ვინ არს?

26. მიუგო იესუ და ჰრქუა: რომელსა მე დავაწო პური და მივსცე, იგი არს. და დააწო პური იგი და მისცა იუდას სიმონისსა, ისკარიოტელსა.

27. და შემდგომად მიღებისა იუდაჲსა[1] პურისა მის, შეუიდა მისა[2] ეშმაკი. და ჰრქუა მას იესუ: რომელი გეგულებინ საქმედ, ყავ ადრე.

28. ესე უკუე[3] არავინ ცნა ინაკით-მჯდომარეთაგანმან[4] იესუჲს თანა, რაჲსათჳს ჰრქუა მას.

29. რამეთუ რომელნიმე ჰგონებდეს: ვინაჲთგან გუადრუცი იგი იუდას აქუნდა, ვითარმედ ჰრქუა მას იესუ: იყიდე, რაჲ-იგი გჳჴმდეს დღესასწაულსა ამას, გინა თუ მიცემად რაჲმე გლახაკთა.

30. ხოლო მან მიიღო პური იგი და მეყსეულად განვიდა. და იყო ღამე.

31. (H 248r, I 248v, K 261r) და ვითარცა განვიდა იუდა, თქუა იესუ: აწ იდიდა ძე კაცისაჲ, და ღმერთიცა იდიდა მის თანა.

32. უკუეთუ ღმერთი იდიდა მის თანა. ღმერთმანცა ადიდოს იგი თავისა თჳსისა თანა და მეყსეულად ადიდოს იგი.

33. შვილნო, მცირედ ჟამ თქუენ თანა ვარ. და მეძიებდეთ მე და, ვითარცა-იგი ვარქუ ჰურიათა, ვითარმედ: ვიდრე-იგი მე მივალ, თქუენ ვერ ჴელ-გეწიფების მოსლვად, და აწ თქუენ გეტყჳ.

34. მცნებასა ახალსა მიგცემ თქუენ, რაჲთა იყუარებოდით ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყუარენ თქუენ, რაჲთა თქუენცა იყუარებოდით ურთიერთას.

35. ამით ცნან ყოველთა, ვითარმედ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკუეთუ იყუარებოდით ურთიერთას.

---

[1] ი̃ჳსა F. ი̃ჳჲსა G. [2] დაწო F. დააწუ G. [3] იუდაჲსსა F. [4] ადრჱ G. [5] ი̃ჳს FG. [6] რაჲ F. [7] ძე F. [8] იყუარობდეთ G. [9] ურთიერთარს F.

* 30-ე მუხლი აკლია G-ს.

[1] იუდაჲსსა HIK. [2] მისსა K. [3] უკუე HIK. [4] ინაკით-მსხდომარეთაგანმან K.

FG

36. (G 202r) ჰრქუა მას სიმონ-პეტრე[1]: უფალო, ვიდრე ხუალ? ჰრქუა მას იესუ: ვიდრე-იგი მე მივალ, შენ ვერ ჴელ-გეწიფების მოსლვად აწ, ხოლო მერმე მო(F 206v)მდევდე მე.

37. ჰრქუა მას პეტრე: უფალო, რაჲსა ვერ ძალ-მიც მიდევნებად შენდა? აწ სული ჩემი შენთჳს დავდვა.

38. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: სული შენი ჩემთჳს დასდვაა[2]? ამენ, ამენ გეტყჳ შენ: არღა ეყივლოს ქათამსა, ვიდრემდე უვარ-მყო[3] მე სამ-გზის.

HIK

36. ჰრქუა მას სიმონ-პეტრე: უფალო, ვიდრე ხუალ? ჰრქუა მას იესუ: ვიდრე-იგი მე მივალ, შენ ვერ ძალ-გიც მოსლვად აწ, ხოლო მერმე მომდევდე მე.

37. ჰრქუა მას პეტრე: უფალო, რაჲსა ვერ ძალ-მიც მიდევნებად შენდა? აწ სული ჩემი შენთჳს დავდვა.

38. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: სული შენი ჩემთჳს დასდვაა? ამენ, ამენ გეტყჳ შენ: არღარა ე(I 249r)ყივლოს (H 248v) ქათამსა, ვიდრემდის უვარ-მყო მე სამ-გზის.

# 14

1. ნუ შეძრწუნდებინ გული თქუენი, გრწმენინ ღმრთისაჲ და გრწმენინ ჩემდა მომართ.

2. სახლსა მამისა ჩემისასა სავანე მრავალ არიან. უკუეთუ არა, გარქუმცა თქუენ, ვითარმედ: მე წარვიდე და განგიმზადო თქუენ ადგილი.

3. და უკუეთუ წარვიდე და განგიმზადო თქუენ ადგილი, კუალად მოვიდე და წარგიყვანნე თქუენ თავისა ჩემისა თანა, რაჲთა, სადაცა მე ვიყო, მუნცა თქუენ (G 202v) იყვნეთ.

4. და ვიდრე-იგი მე მივალ, უწყით და გზაჲცა იგი იცით.

5. ჰრქუა მას თომაჲ უფალო, არა ვიცით, ვიდრე ხუალ, და ვითარ შემძლებელ ვართ გზისა მის ცნობად?

6. ჰრქუა მას იესუ: მე ვარ გზაჲ და მე ვარ ჭეშმარიტებაჲ და ცხორებაჲ; არავინ მოვიდეს მამისა, გარნა ჩემ მიერ.

7. უკუეთუმცა მიცოდეთ მე, მამაჲცამცა ჩემი იცოდეთ. ამიერითგან იცით იგი და გიხილავს.

8. ჰრქუა მას ფილიპე[4]: უფალო, მიჩუენე ჩუენ მამაჲ შენი, (F 207r) და ჴმა არს ჩუენდა.

1. ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქუენნი, გრწმენინ ღმრთისაჲ და გრწმენინ ჩემდა მომართ.

2. სახლსა მამისა (K 261v) ჩემისასა სავანე მრავალ არიან. უკუეთუ არა, გარქუმცა თქუენ, ვითარმედ: მე წარვიდე და განგიმზადო თქუენ ადგილი.

3. და უკუეთუ წარვიდე და განგიმზადო თქუენ ადგილი, კუალად მოვიდე და წარგიყვანნე თქუენ თავისა ჩემისა თანა, რაჲთა, სადაცა მე ვიყო, მუნცა თქუენ იყვნეთ.

4. და ვიდრე-იგი მე მივალ, უწყით და გზაჲცა იგი იცით.

5. ჰრქუა მას თომაჲ უფალო, არა ვიცით, ვიდრე ხუალ, და ვითარ შემძლებელ ვართ გზისა მის ცნობად?

6. ჰრქუა მას იესუ: მე ვარ გზაჲ და მე ვარ ჭეშმარიტებაჲ და ცხორებაჲ; არავინ მოვიდეს მამისა, გარნა ჩემ მიერ.

7. უკუეთუმცა მიცოდეთ მე, მამაჲცამცა ჩემი იცოდეთ. ამიერითგან იცით იგი და გიხილავს იგი.

8. ჰრქუა მას ფილიპეჲ უფალო, მიჩუენე[1] ჩუენ მამაჲ შენი, და ჴმა არს ჩუენდა.

---

[1] სიმონ-პეტრემ F. [2] დასდვა G. [3] უარ-მყო G. [4] ფილიპემ G.

[1] მიჩჳნე HI.

FG

9. ჰრქუა მას იესუ: ესოდენ ჟამ თქუენ თანა ვარ, და არღა მიცით მე, ფილიპე[1]? რომელმან მიხილა მე, იხილა მამაჲ ჩემი, და შენ[2] ვითარ მეტყჳ მე: მიჩუენე ჩუენ მამაჲ შენი?

10. არა გრწამსა, რამეთუ მე მამისა[3] თანა ვარ, და მამაჲ ჩემ თანა? სიტყუათა, რომელთა გეტყჳ თქუენ, თავით ჩემით არა გეტყჳ, არამედ მამაჲ ჩემი რომელი არს ჩემ თანა[4], იგი იქმს საქმესა.

11. გრწამსა, რამეთუ მე მამისა თანა ვარ, და მამაჲ ჩემი[5] ჩემ თანა (G 203r) არს? უკუეთუ არა, საქმეთა ამათგან[6] გრწმენინ ჩემი.

12. ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ[7]: რომელსა ჰრწმენეს ჩემი, საქმესა რომელსა მე ვიქმ, მანცა ქმნეს და უფროჲსიღა ამისა[8] ქმნეს, რამეთუ მე მამისა მივალ.

13. და რაჲ ითხოოთ სახელითა ჩემითა, იგი ვყო, რაჲთა იდიდოს მამაჲ ძისა თანა.

14.

15. უკუეთუ გიყუარდე მე, მცნებანი ჩემნი დაიმარხნეთ.

16. და მე ვჰკითხო მამასა ჩემსა, და სხუაჲ ნუგეშინის-მცემელი მოგცეს თქუენ, რაჲთა თქუენ თანა დაადგრეს უკუნისამდე.

17. სული იგი ჭეშმარიტებისაჲ, რომელი სოფელსა ვერ ჴელ-ეწიფების მოღებად, რამეთუ არა ჰხედავს[9] მას, არცა იცის იგი, ხოლო თქუენ იცით იგი, რამეთუ თქუენ თანა არს და თქუენ თანა იყოს.

18. არა დაგიტევნე თქუენ (F 207v) ობლად, მოვიდე თქუენდა.

19. მცირედღა, და სოფელი ესე არა მხედვიდეს მე, ხოლო თქუენ მხედვიდეთ მე, რამეთუ მე ცხოველ ვარ, და თქუენცა ცხოვ(G 203v)ელ იყვნეთ.

HIK

9. ჰრქუა მას იესუ: ესოდენ ჟამ თქუენ თანა ვარ, და არა მიცი[1] მე, ფილი(H 249r, I 249v)პე? რომელმან მიხილა მე, იხილა მამაჲ ჩემი, და შენ ვითარ მეტყჳ მე: მიჩუენე[2] ჩუენ მამაჲ შენი?

10. არა გრწამსა, რამეთუ მე მამისა თანა ვარ, და მამაჲ ჩემ თანა არს? სიტყუათა, რომელთა გეტყჳ თქუენ, თავით ჩემით არა გეტყჳ, არამედ მამაჲ ჩემი რომელი ჩემ თანა არს, იგი იქმს საქმესა.

11. გრწამსა, რამეთუ მე მამისა თანა ვარ, და მამაჲ ჩემ თანა არს? უკუეთუ არა, საქმეთა (K 262r) ამათგან გრწმენინ ჩემი.

12. ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ: რომელსა ჰრწმენეს ჩემი, საქმესა რომელსა მე ვიქმ, მანცა ქმნეს და უფროჲსიღა ამისსა ქმნეს, რამეთუ მე მამისა მივალ.

13. და რაჲცა ითხოვოთ[3] სახელითა ჩემითა, იგი ვყო, რაჲთა იდიდოს მამაჲ ძისა თანა.

14.

15. უკუეთუ გიყუარ მე, მცნებანი ჩემნი დაიმარხენით.

16. და მე ვჰკითხო მამასა ჩემსა, და სხუაჲ ნუგეშინის-მცემელი მოგივლინოს თქუენ, რაჲთა თქუენ თანა დაადგრეს უკუნისამდე[4].

17. სული იგი ჭეშმარიტებისაჲ, რომელი სოფელსა ვერ ჴელ-ეწიფების მოღებად, რამეთუ არა ჰხედავს[5] მას, არცა იცის იგი, (I 250r) ხოლო თქუენ (H 249v) იცით იგი, რამეთუ თქუენ თანა არს და თქუენ თანა იყოს.

18. არა დაგიტევნე თქუენ ობლად, მოვიდე თქუენდა.

19. მცირედღა, და სოფელი ესე არა მხედვიდეს, ხოლო თქუენ მხედვიდეთ მე, რამეთუ მე ცხოველ ვარ, და თქუენცა ცხოველ იყვნეთ.

---

[1] ფილიპჱ G. [2] შენ შენ F. [3] მამისა] მისა F. [4] ~ ჩემ თანა არს G. [5] ჩემი] — G. [6] ჰამათგან G. [7] თქუენ] — G. [8] ამისსა G. [9] ხედავს F.

[1] მიცით K. [2] მიჩუჱნე H. [3] ითხოოთ K. [4] უკ̄ჱ H. [5] ხედავს K.

FG

20. მას დღესა შინა სცნათ თქუენ, რამეთუ მე მამისა ჩემისა თანა, და თქუენ ჩემ თანა, და მე თქუენ შორის.

21. რომელსა აქუნდენ მცნებანი ჩემნი და დაიმარხნეს იგინი, იგი არს, რომელსა უყუარ მე. ხოლო რომელსა უყუარდე მე, საყუარელ იყოს მამისა ჩემისა მიერ, და მეცა შევიყუარო იგი და გამოუცხადო მას თავი ჩემი.

22. ჰრქუა მას იუდა, არა ისკარიოტელმან: უფალო, რაჲ არს, რამეთუ ჩუენ გამოგჳცხადებ თავსა შენსა და არა სოფელსა?

23. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: უკუეთუ ვისმე უყუარდე მე, სიტყუანი ჩემნი დაიმარხნეს, და მამამანცა ჩემმან შეიყუაროს იგი, და მოვიდეთ მისა და მის თანა დავადგრეთ.

24. ხოლო რომელსა არა უყუარდე მე, მცნებანი ჩემნი არა დაიმარხნეს; და სიტყუანი, რომელ გესმიან, არა ჩემნი არიან, არამედ მომავლინებელისა მამისა ჩემისანი[1].

25. (G 204r) ამას გეტყოდე თქუენ, რამეთუ თქუენ თანა ვიყავ.

26. ხოლო ნუგეშინის-მცემელი იგი სული წმიდაჲ (F 208r) რომელი მოავლინოს სახელითა ჩემითა მამამან, მან გასწავოს თქუენ ყოველი და მოგაკსენოს[2] თქუენ ყოველი, რაოდენი[3] გარქუ თქუენ.

27. მშჳდობასა დაგიტევებ თქუენ, მშჳდობასა ჩემსა მიგცემ თქუენ; არა ვითარ სოფელმან მოსცის, მე მიგცემ თქუენ. ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქუენნი[4], ნუცა გეშინინ.

28. გესმა, რამეთუ გარქუ თქუენ: წარვალ და მოვიდე თქუენდა. უკუეთუმცა გიყუარდი მე, გიხაროდამცა, რამეთუ მივალ მამისა ჩემისა, რამეთუ მამაჲ ჩემი უფროჲს ჩემსა არს.

HIK

20. მას დღესა შინა სცნათ თქუენ, რამეთუ მე მამისა ჩემისა თანა, და თქუენ ჩემ თანა, და მე თქუენ შორის.

21. რომელსა აქუნდენ მცნებანი ჩემნი და დაიმარხნეს იგინი, იგი არს, რომელსა უყუარ მე. ხოლო რომელსა უყუარდე მე, საყუარელ იყოს მამისა ჩემისა მიერ, და მეცა შევიყუარო იგი და გამოუცხადო მას თავი ჩემი.

22. ჰრქუა მას იუდა, არა ისკარიოტე(K 202v)ლმან: უფალო, რაჲ არს, რამეთუ ჩუენ გამოგჳცხადებ თავსა შენსა და არა სოფელსა?

23. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: უკუეთუ ვისმე უყუარდე მე, სიტყუანი ჩემნი დაიმარხნეს, და მამამანცა ჩემმან შეიყუაროს იგი, და მოვიდეთ მისა[1] და მის თანა დავადგრეთ.

24. ხოლო რომელსა არა უყუარდე მე, სიტყუანი (H 250r) ჩემნი არა დაიმარხნეს; და სიტყუანი, რომელ გესმიან, არა ჩემნი არიან, (I 250v) არამედ მომავლინებელისა ჩემისა მამისანი.

25. ამას გეტყოდე თქუენ, რამეთუ თქუენ თანა ვიყავ.

26. ხოლო ნუგეშინის-მცემელი იგი სული წმიდაჲ რომელი მოავლინოს სახელითა ჩემითა მამამან, მან გასწავოს თქუენ ყოველი და მოგაკსენოს თქუენ ყოველი, რაოდენი გარქუ თქუენ[2].

27. მშჳდობასა დაგიტევებ თქუენ, მშჳდობასა ჩემსა მიგცემ თქუენ; არა ვითარ სოფელმან მისცის, მიგცემ თქუენ. ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქუენნი, ნუცა ეშინინ.

28. გესმა, რამეთუ გარქუ თქუენ: წარვალ და მოვიდე თქუენდა. უკუეთუმცა გიყუარდი მე, გიხაროდამცა, რამეთუ მივალ მამისა ჩემისა, რამეთუ მამაჲ ჩემი უფროჲს ჩემსა არს.

---

[1] — ჩემისა მამისანი G. [2] მოგაკსენოს F. [3] რავდენი F. [4] შეძრწუნდებინ გული თქუენი G.

[1] მისსა HIK. [2] თქუჱნ H.

| FG | HIK |
|---|---|
| 29. და აწ გარქუ თქუენ, ვიდრე ყოფადმდე, რაჲთა, რაჟამს იყოს, გრწმენეს. | 29. და აწ გარქუ თქუენ, ვიდრე ყოფადმდე, რაჲთა, რაჟამს იყოს, გრწმენეს. |
| 30. არღარა მრავალსა ვიტყოდი თქუენ თანა, რამეთუ მოვალს მთავარი იგი ამის სოფლისაჲ და ჩემ თანა არარაჲ პოოს. | 30. (K 203r) არღარა მრავალსა ვიტყოდი თქუენ თანა, რამეთუ მოვალს მთავარი იგი ამის სოფლისაჲ და ჩემ თანა პოოს არარაჲ. |
| 31. არამედ რაჲთა ცნას სოფელმან, (G 204v) რამეთუ მიყუარს მე მამაჲ, და ვითარცა მამცნო მე მამამან, ეგრეთცა ვყო. აღდეგით და[1] წარვიდეთ[2] ამიერ. | 31. არამედ რაჲთა ცნას (H 250v) სოფელმან, რამეთუ მიყუარს მე მამაჲ, და ვითარცა მამცნო მე მამამან, ეგრეთცა[1] ვყო. აღდეგით და წარვიდეთ[2] ამიერ. |

# 15

| | |
|---|---|
| 1. მე ვარ ვენაჴი ჭეშმარიტი, და მამაჲ ჩემი მოქმედი არს. | 1. მე ვარ ვენაჴი (I 251r) ჭეშმარიტი, და მამაჲ ჩემი მოქმედი არს. |
| 2. ყოველმანვე რტომან რომელი ჩემ თანა არს და არა მოიღოს ნაყოფი, მოეკუეთოს იგი; და ყოველმან რომელმან მოიღოს ნაყოფი, განიწმიდოს იგი, რაჲთა უფროჲსი ნაყოფი (F 203v) გამოიღოს. | 2. ყოველმან რტომან რომელი ჩემ თანა არს და არა მოიღოს ნაყოფი, აღიღოს იგი; და ყოველმან რომელმან მოიღოს ნაყოფი, განწმიდოს იგი, რაჲთა უფროჲსი ნაყოფი გამოიღოს. |
| 3. თქუენ აწვე წმიდა ხართ სიტყჳთა მით, რომელსა გეტყოდე თქუენ. | 3. ხოლო თქუენ[3] აწვე წმიდა ხართ სიტყჳთა მით, რომელსა გეტყოდე თქუენ. |
| 4. დაადგერით თქუენ ჩემ თანა, და მე თქუენ თანა: ვითარცა-იგი ნასხლევსა ვერ ჴელ-ეწიფების ნაყოფისა გამოღებად თავით თჳსით, უკუეთუ არა ეგოს ვენაჴსა ზედა, ეგრევე არცა თქუენ, უკუეთუ არა დაადგრეთ ჩემ თანა. | 4. დაადგერით თქუენ[3] ჩემ თანა, და მე თქუენ[4] თანა: ვითარცა-იგი ნასხლევსა ვერ ჴელ-ეწიფების ნაყოფისა გამოღებად თავით თჳსით, უკუეთუ[5] არა ეგოს ვენაჴსა ზედა, ეგრეთვე არცა თქუენ[4], უკუეთუ[6] არა დაადგრეთ ჩემ თანა. |
| 5. მე ვარ ვენაჴი, და თქუენ რტონი. რომელი დაადგრეს ჩემ თანა, და მე მის თანა, ამან მოიღოს ნაყოფი მრავალი და კეთილი, რამეთუ თჳნიერ ჩემსა არარაჲ ძალ-გიც (G 205r) ყოფად არცა ერთი. | 5. მე ვარ ვენაჴი, (I 252r*) და თქუენ რტონი. რომელი დაადგრეს ჩემ თანა, და მე მის თანა, ამან მოიღოს ნაყოფი მრავალი, რამეთუ თჳნიერ ჩემსა არარაჲ ძალ-გიც ყოფად არცა ერთი. |
| 6. უკუეთუ ვინმე არა დაადგრეს ჩემ თანა, განვარდეს გარე, ვითარცა ნასხლევი, და განჴმა, და შეკრიბონ იგი და ცეცხლსა დაასხან, და დაიწუეს. | 6. უკუეთუ ვინმე არა დაადგრეს ჩემ თანა, განვარდეს გარე, (H 251r) ვითარცა ნასხლევი, და განჴმეს, და შეკრიბონ იგი და ცეცხლსა დაასხან, და დაიწუას. |

---

[1] და] — F. [2] წარვედით FG.

[1] ეგრეცა IK. [2] წარვედით IK. [3] თქუჱნ I. [4] თქუჱნ HI. [5] უკუჱთუ I.

* I ხელნაწერის 251v დაუწერელია.

FG

7. უკუეთუ დაადგრეთ ჩემ თანა, და სიტყუანი ჩემნი თქუენ თანა ეგნენ, რაჲცა გინდეს, ითხოვეთ[1], და გეყოს თქუენ.

8. ამით იდიდოს მამაჲ ჩემი, რაჲთა ნაყოფი მრავალი გამოიღოთ და იყვნეთ ჩემდა მოწაფე[2].

9. ვითარცა შემიყუარა[3] მე მამამან, მეცა შეგიყუარენ თქუენ, დაადგერით სიყუარულსა ჩემსა ზედა.

10. უკუეთუ მცნებანი ჩემნი დაიმარხნეთ, ჰგი(F 209r)ეთ სიყუარულსა ზედა ჩემსა, ვითარცა მე მცნებანი მამისა ჩემისანი დავიმარხენ და ვჰგიე[4] სიყუარულსა ზედა მისსა[5].

11. ამას გეტყოდე[6] თქუენ, რაჲთა სიხარული ჩემი თქუენ თანა ეგოს, და სიხარუ(G 265v)ლი თქუენი სავსე იყოს.

12. რამეთუ ესე არს მცნებაჲ ჩემი, რაჲთა იყუარებოდით[7] ურთიერთას[8], ვითარცა მე შეგიყუარენ თქუენ.

13. უფროჲსი ამისა[9] სიყუარული არავის აქუს, ვითარმცა თავი თჳსი დადვა მეგობართა თჳსთა ზედა.

14. თქუენ მეგობარნი ჩემნი ხართ, უკუეთუ ჰყოთ, რომელსა-ესე გამცნებ თქუენ.

15. არღარა გეტყჳ თქუენ მონად, რამეთუ მონამან არა იცის, რასა იქმს უფალი თჳსი[10]. ხოლო თქუენ გარქუ მეგობარ, რამეთუ ყოველი, რაოდენი მესმა მამისა ჩემისაგან, გაუწყე თქუენ.

16. არა თქუენ გამომირჩიეთ მე, არამედ მე გამოგირჩიენ თქუენ და დაგადგინენ[11] თქუენ, რაჲთა თქუენ წარხჳდეთ და ნაყოფი გამოიღოთ, და ნაყოფი თქუენი ეგოს სავსე, რაჲთა რაჲ-იგი სთხოვოთ[12] მამასა ჩემსა სახელითა ჩემითა, მოგცეს თქუენ.

17. (G 266r) ამას გამცნებ თქუენ, რაჲთა იყუარებოდით[7] ურთიერთას[8].

HIK

7. (K 203v) უკუეთუ დაადგრეთ ჩემ თანა, და სიტყუანი ჩემნი თქუენ თანა ეგნენ, რაჲცა გინდეს, ითხოვეთ, და გეყოს თქუენ.

8. ამით იდიდოს მამაჲ ჩემი, რაჲთა ნაყოფი მრავალი გამოიღოთ და იყვნეთ ჩემდა მოწაფე.

9. ვითარცა შემიყუარა მე მამამან, მეცა შეგიყუარენ თქუენ, დაადგერით სიყუარულსა ჩემსა ზედა.

10. უკუეთუ მცნებანი ჩემნი დაიმარხნეთ, ჰგიეთ სიყუარულსა ზედა ჩემსა, ვითარცა მე მცნებანი მამისა ჩემისანი დავიმარხენ და ვჰგიე სიყუარულსა ზედა მისსა[1].

11. ამას გეტყოდე თქუენ, რაჲთა სიხარული ჩემი თქუენ თანა ეგოს, და სიხარული თქუენი სავსებით იყოს.

12. რამეთუ ესე არს მცნებაჲ ჩემი, რაჲთა იყუარებოდით ურთიე(I 252v)რთას[2], ვითარცა მე შეგიყუარენ თქუენ.

13. უფროჲსი ამისსა სიყუარული არავის აქუს, რაჲთა სული თჳსი დადვას მეგობართა თჳსთათჳს.

14. თქუენ მეგობარნი ჩემნი ხართ, უკუეთუ ჰყოთ, რომელსა-ესე გამცნებ თქუენ.

15. არღარა გეტყჳ თქუენ მო(H 261v)ნად, რამეთუ მონამან არა იცის, რასა იქმს უფალი მისი. ხოლო თქუენ გარქუ მეგობრად, რამეთუ ყოველი, რაოდენი მესმა მამისა ჩემისაგან, გაუწყე თქუენ[3].

16. არა თქუენ გამომირჩიეთ მე, არამედ მე გამოგირჩიენ თქუენ და დაგადგინენ თქუენ, რაჲთა თქუენ წარხჳდეთ და ნაყოფი გამოიღოთ, და ნაყოფი თქუენი[4] ეგოს სავსებით, (K 204r) რაჲთა, რაჲ-იგი სთხოოთ მამასა ჩემსა სახელითა ჩემითა, მოგცეს[5] თქუენ.

17. ამას გამცნებ თქუენ, რაჲთა იყუარებოდით ურთიერთას.

---

[1] ითხოეთ F. [2] მოწაფენ F. მოწ̄ფნ G. [3] შემიყუარე F. [4] ვგიე F. [5] მისა F. [6] გეტყჳ G. [7] იყუარობდეთ G. [8] ურთიერთარს F. [9] ამისსა G. [10] თჳსი] მისი G. [11] დაგადგინ G. [12] სთხოოთ F.

[1] მისა H. [2] ურთიერთარს HI. [3] თქუენ I. [4] თქუენნი HI. [5] მოგეცეს HI.

| FG | HIK |
|---|---|
| 18. უკუეთუ სოფელი გძულობდეს თქუენ, უწყოდეთ, (F 209v) რამეთუ პირველად მე მომიძულა. | 18. უკუეთუ[1] სოფელი გძულობს თქუენ, უწყოდეთ, რამეთუ პირველად მე მომიძულა. |
| 19. უკუეთუმცა სოფლისაგანნი იყვენით, სოფელიმცა თჳსთა ჰყუარობდა; რამეთუ არა სოფლისაგანნი ხართ თქუენ, არამედ მე გამოგირჩიენ თქუენ სოფლისაგან, ამისთჳს სძულთ თქუენ სოფელსა. | 19. უკუეთუმცა სოფლისაგანნი იყვენით, სოფელიმცა თჳსთა ჰყუარობდა; რამეთუ არა სოფლისაგანნი ხართ თქუენ, არამედ მე გა(I 253r)მოგირჩიენ თქუენ სოფლისაგან, ამისთჳს სძულთ თქუენ სოფელსა. |
| 20. მოიჴსენეთ სიტყუაჲ იგი. რომელი გარქუ თქუენ: არა არს მონაჲ უფროჲს უფლისა თჳსისა. უკუეთუ მე მდევნეს[1], თქუენცა გდევნნენ[2]; უკუეთუ სიტყუანი ჩემნი დაიმარხნეს[3], თქუენნიცა დაიმარხნენ. | 20. მოიჴსენეთ სიტყუაჲ იგი, რომელ გარქუ თქუენ: არა არს მონაჲ უფროჲს უფლისა თჳსისა. უკუეთუ მე მდევნეს, (H 252r) თქუენცა გდევნნენ; უკუეთუ სიტყუანი ჩემნი დაიმარხნეს, თქუენნიცა დაიმარხნენ. |
| 21. არამედ ესე გიყონ თქუენ სახელისა ჩემისათჳს, რამეთუ არა იციან მომავლინებელი ჩემი. | 21. არამედ ესე ყოველი გიყონ თქუენ სახელისა ჩემისათჳს, რამეთუ არა იციან მომავლინებელი ჩემი. |
| 22. უკუეთუმცა არა მოვედ და ვეტყოდე მათ, ცოდვაჲმცა არა აქუნდა; (G 260v) ხოლო აწ მიზეზი არა აქუს ცოდვათა მათთათჳს. | 22. უკუეთუმცა არა მოვედ და ვეტყოდე მათ, ცოდვაჲმცა არა აქუნდა; ხოლო აწ მიზეზი არა აქუს ცოდვათა მათთათჳს. |
| 23. რომელსა ვსძულდე მე, მამაჲცა ჩემი სძულდეს. | 23. რომელსა ვსძულდე მე, მამაჲცა ჩემი სძულს. |
| 24. უკუეთუმცა არა ვქმნენ საქმენი იგი მათ შორის, რომელნი სხუამან არავინ ქმნნა[4], ცოდვაჲმცა არა აქუნდა. ხოლო აწ მიხილეს და მომიძულეს მეცა და მამაჲცა ჩემი. | 24. უკუეთუმცა არა ვქმნენ საქმენი იგი მათ შორის, რომელნი სხუამან არავინ ქმნნა, ცოდვაჲმცა არა აქუნდა. ხოლო აწ მიხილეს და მომიძულეს მეცა და მამაჲცა ჩემი. |
| 25. არამედ რაჲთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი, რომელი შჯულსა მათსა წერილ არს, რამეთუ: მომიძულეს მე ცუდად. | 25. არამედ რაჲთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი, რომელი სჯულსა[2] მათსა წერილ არს, რამეთუ: მომიძულეს მე ცუდად. |
| 26. ხოლო რაჟამს მოვიდეს ნუგე(F 210r)შინის-მცემელი იგი, რომელი მე მოვავლინო თქუენდა მამისა ჩემისა მიერ, სული ჭეშმარიტებისაჲ, რომელი მამისაგან გამოვალს, მან წამოს ჩემთჳს. | 26. ხოლო რაჟამს (K 264v) მოვიდეს ნუგეშინის-მცემელი იგი, რომელი მე მოვა(I 253v)ლინო თქუენდა მამისა ჩემისა მიერ, სული ჭეშმარიტებისაჲ, რომელი მამისაგან გამოვალს, მან წამოს ჩემთჳს. |
| 27. და თქუენცა მოწამე ხართ, რამეთუ დასაბამითგან თქუენ თანა ვარ. | 27. და თქუენცა მოწამე ხართ, რამეთუ დასაბამითგან ჩემ თანა ხართ. |

---

[1] მდევნენ F. [2] გდევნენ F. [3] დაიმარხნენ F. [4] რომელი... ქმნა F.

[1] უკუჱთუ H. [2] შჯულსა HI.

## 16

| FG | HIK |
|---|---|
| 1. ამას გეტყოდე თქუენ, რაჲთა არა დაჰბრკოლდეთ, | 1. ამას გეტყოდე თქუენ, რაჲთა არა დაჰბრკოლდეთ. |
| 2. ოდეს კრებულისაგან განგასხნენ თქუენ. არამედ მოვალს ჟამი, (G 207r) რაჲთა ყოველმან რომელმან მოგწყჳდნეს თქუენ, ჰგონებდეს, ვითარმედ მსხუერპლი შეწირა ღმრთისა. | 2. კრებულისაგან განგასხნენ თქუენ. (H 252v) არამედ მოვალს ჟამი, რაჲთა ყოველმან რომელმან მოგწყჳდნეს თქუენ. ჰგონებდეს, ვითარმედ მსხუერპლი[1] შეწირა ღმრთისა. |
| 3. და ესე გიყონ თქუენ, რამეთუ არა იციან მომავლინებელი ჩემი მამაჲ, არცა მე. | 3. და ესე გიყონ თქუენ, რამეთუ არა იციან მომავლინებელი ჩემი მამაჲ, არცა მე. |
| 4. არამედ ამასღა გეტყოდე თქუენ, რაჲთა, რაჟამს მოიწიოს ჟამი იგი, მოიჴსენოთ მათი, რამეთუ მე გარქუ თქუენ. ესე პირველითგან არა გარქუ თქუენ, რამეთუ თქუენ თანა ვიყავ. | 4. არამედ ამას გეტყოდე თქუენ, რაჲთა რაჟამს მოიწიოს ჟამი იგი, მოიჴსენოთ მათი, რამეთუ მე გარქუ თქუენ[2]. ესე პირველითგან არა გარქუ თქუენ, რამეთუ თქუენ თანა ვიყავ. |
| 5. ხოლო აწ მივალ მომავლინებელისა ჩემისა, და არავინ თქუენგანი მკითხავს მე, ვითარმედ: ვიდრე ხუალ? | 5. ხოლო აწ მივალ მომავლინებელისა ჩემისა, და არავინ თქუენგანი მკითხავს მე, ვითარმედ: ვიდრე ხუალ? |
| 6. არამედ ამას რაჲ გეტყოდე თქუენ, მწუხარებამან აღავსნა გულნი თქუენნი. | 6. არამედ ამას რაჲ გეტყოდე თქუენ, მწუხარებამან აღავსნა გულნი თქუენნი. |
| 7. არამედ მე ჭეშმარიტსა გეტყოდე თქუენ: უმჯობეს არს თქუენდა, რაჲთა მე წარვიდე; უკუეთუ მე არა წარვიდე, ნუგეშინის-მცემელი იგი არა მ(F 210v)ოვიდეს თქუენდა; უკუეთუ მე წარვიდე, მოვავლინო იგი თქუენდა, | 7. არამედ მე ჭეშმარიტსა გეტყჳ თქუენ: უმჯობეს არს თქუენდა, რაჲთა მე წარვიდე; უკუეთუ მე არა წარვიდე, ნუგეშინის-მცემელი იგი არა მოვიდეს თქუენდა[3]; (I 254r, K 205r) უკუეთუ მე წარვიდე, მოვავლინო იგი თქუენდა. |
| 8. (G 207v) და მოვიდეს იგი და ამხილოს სოფელსა ცოდვისათჳს და სიმართლისა და საშჯელისა: | 8. და მოვიდეს იგი და ამხილოს სოფელსა ცოდვისათჳს და სიმართლისათჳს და სასჯელისათჳს[4]: |
| 9. ცოდვისათჳს ესრეთ, რამეთუ არა ჰრწმენა ჩემდა მომართ; | 9. ცოდვისათჳს ესრეთ, რამეთუ არა ჰრწმენა ჩემდა მომართ; |
| 10. ხოლო სიმართლისათჳს, რამეთუ მე მამისა ჩემისა მივალ, და არღარა მხედვიდეთ მე; | 10. ხოლო სიმართლისათჳს, რამეთუ (H 253r) მე მამისა ჩემისა მივალ, და არღარა მხედვიდეთ მე; |
| 11. ხოლო საშჯელისათჳს, რამეთუ მთავარი იგი ამის სოფლისაჲ დაშჯილ არს. | 11. ხოლო სასჯელისათჳს[4], რამეთუ მთავარი იგი ამის სოფლისაჲ დასჯილ[5] არს. |
| 12. ფრიადღა მაქუს სიტყუად თქუენდა, არამედ აწ არღა ძალ-გიც ტჳრთვად. | 12. ფრიადღა მაქუს სიტყუად თქუენდა, არამედ აწ არღარა ძალ-გიც ტჳრთვად. |

---

[1] მსხუერპლი HI. [2] თქუენ H. [3] თქუენდა IK. [4] საშჯელისათჳს HI. [5] დაშჯილ HI.

| FG | HIK |
|---|---|
| 13. ხოლო ოდეს მოვიდეს სული იგი ჭეშმარიტებისაჲ, გიძღოდის თქუენ ჭეშმარიტებასა ყოველსა, რამეთუ არა იტყოდის თავით თჳსით, არამედ რაედენი-რაჲ ესმეს[1], იტყოდის და მომავალი იგი გითხრას თქუენ. | 13. ხოლო ოდეს მოვიდეს[1] სული იგი ჭეშმარიტებისაჲ, გიძღოდის თქუენ ჭეშმარიტებასა ყოველსა, რამეთუ არა იტყოდის თავით თჳსით, არამედ რაოდენი-რაჲ ესმეს, იტყოდის და მომავალი იგი გითხრას თქუენ. |
| 14. მან მე მადიდოს, რამეთუ ჩემგან მიიღოს და გითხრას თქუენ. | 14. მან მე მადიდოს, რამეთუ ჩემგან მიიღოს და გითხრას თქუენ[2]. |
| 15. ყოველი, რაოდენი[2] აქუს მამასა, ჩემი არს; და ამისთჳს გარქუ თქუენ. რამეთუ: ჩემგან მიიღოს და გითხრას თქუენ. | 15. ყოველი, რაოდენი აქუს მამასა, ჩემი არს; და ამისთჳს გარქუ თქუენ, რამეთუ: ჩემგან მიიღოს და გითხრას თქუენ[2]. |
| 16. მცირედღა, და არ(G 208r)ღარა მხედვიდეთ მე: და კუალად მცირედ, და მიხილოთ მე. | 16. მცირედღა, და არღარა მხედვიდეთ მე; და კუალად მცირედღა, და მიხილოთ მე, რამეთუ მე მივალ მამისა ჩემისა. |
| 17. თქუეს მოწაფეთა მისთა ურთიერთას[3]: რაჲ არს. (F 211r) რომელსა-ესე მეტყჳს ჩუენ: მცირედ, და არა მხედვიდეთ მე; და კუალად მცირედ, და მიხილოთ მე, და მე მივალ მამისა ჩემისა? | 17. თქუეს[3] უკუე[4] მოწაფეთა (I 254v) მისთა ურთიერთას: რაჲ არს, რომელსა-ესე მეტყჳს ჩუენ: მცირედღა. და არღარა მხედვიდეთ მე; და კუალად მცირედღა, და მიხილოთ მე, და (K 265v) რამეთუ მე მივალ მამისა ჩემისა? |
| 18. და იტყოდეს: რაჲ არს ესე „მცირედ“? არა უწყით, რასა იტყჳს. | 18. და იტყოდეს უკუე[4]: რაჲ არს ესე „მცირედ“? არა უწყით, რასა იტყჳს. |
| 19. გულისხმა-ყო[4] იესუ, რამეთუ უნდა კითხვის. და ჰრქუა მათ: ამისთჳს გამოეძიებთ ურთიერთას[5], რამეთუ ვთქუ: მცირედღა, და არღა მხედვიდეთ მე: და კუალად მცირედ, და მიხილოთ მე? | 19. (H 253v) გულისჴმა-ყო იესუ, რამეთუ უნდა კითხვის, და ჰრქუა მათ: ამისთჳს გამოეძიებთა[5] ურთიერთას, რამეთუ ვთქუ: მცირედღა, და არღარა მხედვიდეთ მე; და კუალად მცირედ, და მიხილოთ მე? |
| 20. ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ სტიროდით და ჰგოდებდეთ თქუენ, ხოლო სოფელსა უხაროდის, და თქუენ სწუხდეთ, არამედ მწუხარებაჲ თქუენი სიხარულად გარდაიქცეს. | 20. ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ სტიროდით და ჰგონებდეთ თქუენ. ხოლო სოფელსა უხაროდის, და თქუენ სწუხდეთ, არამედ მწუხარებაჲ თქუენი სიხარულად გარდაიქცეს. |
| 21. დედაკაცი რაჟამს შობს, მწუხარე არნ, რამეთუ მოიწია ჟამი მისი. ხოლო რაჟამს (G 206v) შვის ყრმაჲ, არღარა მოიჴსენის ჭირი იგი სიხარულითა მით, რამეთუ იშვა კაცი სოფელსა შინა. | 21. დედაკაცი რაჟამს შობნ, მწუხარე არნ, რამეთუ მოიწია ჟამი მისი. ხოლო რაჟამს შვის ყრმაჲ, არღარა მოიჴსენის ჭირი იგი სიხარულითა მით, რამეთუ იშვა კაცი სოფელსა შინა. |
| 22. ხოლო თქუენ აწ ჭირი გაქუს. და მერმე კუალად გიხილნე თქუენ, და უხა- | 22. ხოლო თქუენ აწ ჭირი გაქუს. და მერმე კუალად გიხილნე თქუენ. და უხა- |

---

[1] ესმას F. [2] რაედენი F. [3] ურთიერთარს F. [4] გულისჴმა-ყო F. [5] ურთიერთარს F.

[1] მოვიდეს] — K. [2] თქუჱნ H. [3] თქუჱს I. [4] უკუჱ HIK. [5] გამოეძიებთ K.

| FG | HIK |
|---|---|
| როდის გულთა თქუენთა, და სიხარული თქუენი არავინ მიგიღოს თქუენგან. | როდის გულთა თქუენთა, და სიხარული თქუენი არავინ მიგიღოს თქუენგან. |
| 23. და მას დღესა შინა მე არარაჲ მკითხოთ. ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ: უკუეთუ რაჲმე სთხოვოთ[1] მამასა ჩემსა სახელითა ჩემითა, მოგცეს[2] თქუენ. | 23. (I 255r) და მას დღესა შინა მე არარაჲ მკითხოთ. ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ: რაოდენიცა-რაჲ სთხოოთ მამასა სახელითა ჩემითა, მოგცეს თქუენ. |
| 24. აქამომდე[3] არარაჲ გითხოვიეს[4] სახელითა ჩემითა. ითხოვდით (F 211v) და მოგეცეს, რაჲთა სიხარული თქუენი სავსებით იყოს. | 24. აქამომდე არარაჲ გითხოვიეს სახე(H 254r)ლითა ჩემითა. ითხოვდით და მოიღოთ, რაჲთა სიხარული თქუენი სავსებით იყოს. |
| 25. ამას იგავით გეტყოდე თქუენ. ხოლო მოვალს ჟამი, ოდეს არღარა იგავით გეტყოდი თქუენ, არამედ განცხადებულად მამისა ჩემისათჳს გითხრა თქუენ. | 25. ამას იგავით გეტყოდე თქუენ. ხოლო მოვალს ჟამი, ოდეს არღარა იგავით გეტყოდი თქუენ, არამედ განცხ(K 200r)ადებულად მამისა ჩემისათჳს გითხრა თქუენ[1]. |
| 26. მას დღესა შინა ითხოვოთ[5] სახელითა ჩემითა, და (G 260r) არა გეტყჳ თქუენ[6], ვითარმედ: მე ვჰკითხო მამასა ჩემსა თქუენთჳს. | 26. მას დღესა შინა ითხოოთ სახელითა ჩემითა, და არა გეტყჳ თქუენ, ვითარმედ: მე ვჰკითხო მამასა ჩემსა თქუენთჳს. |
| 27. რამეთუ თჳთ მამასა ჩემსა უყუართ თქუენ, რამეთუ თქუენ მე შემიყუარეთ და გრწამს, რამეთუ მე ღმრთისაგან გამოვედ. | 27. რამეთუ თჳთ მამასა ჩემსა უყუართ თქუენ[2], რამეთუ თქუენ მე შემიყუარეთ და გრწმენა, რამეთუ მე ღმრთისაგან გამოვედ. |
| 28. გამოვედ მამისაგან და მოვიველინე სოფლად და კუალად დაუტეობ სოფელსა და მივალ მამისა. | 28. გამოვედ მამისაგან და მოვედ სოფლად და კუალად დაუტეობ სოფელსა და მივალ მამისა. |
| 29. ჰრქუეს მას მოწაფეთა: აჰა აწ განცხადებულად იტყჳ და იგავსა არცა ერთსა რას იტყჳ. | 29. ჰრქუეს მას მოწაფეთა მისთა: აჰა აწ განცხადებულად იტყჳ და იგავსა არცა ერთსა რას იტყჳ. |
| 30. და ჩუენ აწ უწყით, რამეთუ ყოველივე იცი და არა გიჴმს, რაჲთა გკითხოს ვინმე. ამისგან ვიცით, რამეთუ ღმრთისაგან გამოხუედ. | 30. და აწ უწყით ჩუენ, რამეთუ ყოველივე იცი და არა გიჴმს, რაჲთა გ(I 255v)კითხოს ვინმე. ამის გამო გურწამს, რამეთუ ღმრთისაგან გამოხუედ[3]. |
| 31. მიუგო მათ იესუ და ჰრქუა: აწ სამე გრწამს? | 31. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: აწ სამე გრწამს? |
| 32. აჰა მოვალს ჟამი და მოწევნულ არს, რაჲთა[7] განიბნინეთ კაცად-კაცადი თჳსა ადგილად და მე მარტოჲ დამიტეოთ; და არა ვარ მე მარტოჲ, არამედ მამაჲ ჩემი ჩემ თანა არს. | 32. აჰა მოვალს ჟამი და მოწევნულ არს, რამეთუ განიბნინეთ კაცად-კაცადი თჳსად ადგილად და მე მარტოჲ (H 254v) დამიტეოთ; და არა ვარ მე მარტოჲ, არამედ მამაჲ ჩემი ჩემ თანა არს. |

---

[1] სთხოოთ F. [2] მოგცეს F. [3] აქამომდინ F. [4] გითხოოეს F. [5] ითხოოთ F. [6] თქუენ] + [illegible] ] G (= [illegible]). [7] რაჲთა] რამეთუ G.

[1] თქუენ HI. [2] თქუენ H. [3] [illegible] HI.

FG

33. (F 212rº) ამას გეტყოდე თქუენ, რაჲთა ჩემ თანა მშჳდობაჲ გაქუნდეს. სოფელსა ამას ჭირი (G 269vº) გაქუს, არამედ ნუ გეშინინ, რამეთუ მე მიძლევიეს სოფელსა.

HIK

33. ამას გეტყოდე თქუენ, რაჲთა ჩემ თანა მშჳდობაჲ გაქუნდეს. სოფელსა ამას ჭირი გაქუს, არამედ ნუ გეშინინ, რამეთუ მე მიძლევიეს სოფელსა.

# 17

1. ამას იტყოდა იესუ და აღიხილნა თუალნი თჳსნი ზეცად და თქუაჲ: მამაო, მოიწია ჟამი ჩემი, ადიდე ძჱ[1] შენი, რაჲთა ძემანცა გადიდოს შენ.

2. ვითარცა-ესე მოეც ჴელმწიფებაჲ[2] ყოველთა ჴორციელთაჲ, რაჲთა ყოველი რომელი მოეც მას, მისცეს მათ ცხორებაჲ საუკუნოჲ.

3. და ესე არს ცხორებაჲ საუკუნოჲ, რაჲთა გიცოდიან შენ მხოლოჲ ჭეშმარიტი ღმერთი და რომელი მოავლინე იესუ ქრისტჱ.

4. მე გადიდე შენ ქუეყანასა ზედა, საქმე აღვასრულე, რომელი მომეც მე, რაჲთა ვყო.

5. და აწ მადიდე მე, მამაო, თავისა შენისა თანა დიდებითა მით, რომელი მაქუნდა მე წინაშე შენსა უწინარეს ყოფისა ჩემისა სოფელსა ამას.

6. გამოუცხადე სახელი შენი კაცთა, რომელნი მომცენ მე სოფლისა ამისგან; შენნი იყვნეს, და მომცენ იგინი, და სიტყუაჲ შენი დაუმარხავს.

7. აწ უცნობიეს, რამეთუ ყოველი, რომელი მომეც მე, მიეც მათ, (G 270rº) შენგან არიან.

8. რამეთუ სიტყუანი შენნი, რომელნი მომცენ მე, მივსცენ მათ, და მათ მიიხუნეს და ცნეს ჭეშმარიტად, რამეთუ შენგან ვამოეედ, და ჰრწმენა, (F 212vº) რამეთუ შენ მომავლინე მე.

9. მე მათთჳს გევედრები: არა თუ სოფლისათჳს გკითხავ, არამედ მათთჳს, რომელნი მომცენ მე, რამეთუ შენნი არიან.

1. ამას იტყოდა იესუ და აღიხილნა თუალნი თჳსნი ზეცად და თქუაჲ: მამაო, მოიწია ჟამი ჩემი, ადიდე ძე შენი, რაჲთა ძემანცა შენმან გადიდოს შენ.

2. (K 260vº) ვითარცა-ესე მოეც მას ჴელმწიფებაჲ ყოველთა ჴორციელთაჲ, რაჲთა ყოველი რომელი მოეც მას, მისცეს მათ ცხორებაჲ საუკუნოჲ.

3. და ესე არს ცხორებაჲ საუკუნოჲ, რაჲთა გიცოდიან შენ მხოლოჲ ჭეშმარიტი ღმერთი და რომელი მოავლინე იესუ ქრისტე.

4. მე გადიდე შენ ქუეყანასა ზედა, საქმე აღვასრულე, რომელი მომეც მე, რაჲთა ვყო.

5. და აწ მადიდე მე, მამაო, თავისა შენისა თანა დიდებითა მით, რომელი მაქუნდა წინაშე (I 256rº) შენსა უწინარეს სოფლის დაბადებისა.

6. გამოუცხადე სახელი შენი კაცთა, რომელნი მომცენ მე სოფლისა ამისგან; შენნი იყვნეს, და მე მომცენ იგინი, და სიტყუაჲ შენი დაუმარხავს.

7. და აწ უცნობიეს, რამეთუ ყოველი, რომელი მომეც მე, შენგან არს.

8. (H 255rº) რამეთუ სიტყუანი, რომელნი მომცენ მე, მივსცენ მათ, და მათ მიიხუნეს და ცნეს ჭეშმარიტად, რამეთუ შენგან გამოვედ, და ჰრწმენა, რამეთუ შენ მომავლინე მე.

9. მე მათთჳს გკითხავ: არა თუ სოფლისათჳს გკითხავ, არამედ მათთჳს, რომელნი მომცენ მე, რამეთუ შენნი არიან.

---

[1] ძე F. [2] ~ ჴელმწიფებაჲ მოეც F.

FG

10. და ჩემი ყოველი შენი არს, და შენი ჩემი არს, და დიდებულ ვარ მე მათ შორის.

11. და არღარა ვარ მე სოფელსა ამას, და ესენი სოფელსა შინა არიან, და მე შენდა მოვალ. მამაო წმიდაო, დაიცვენ ესენი სახელითა შენითა, რომელნი მომცენ მე, რაჲთა იყვნენ ერთობით, ვითარცა ჩუენ.

12. ოდეს ვიყავ მათ თანა, მე ვსცევდ მათ სახელითა შენითა, რომელნი მომცენ მე, და დავიცვენ, და არავინ მათგანი წარწყმდა, გარნა ძჱ[1] იგი წარწყმედისაჲ, რაჲთა წერილი იგი[2] აღესრულოს.

13. ხოლო აწ შენდა მოვალ (G 270v) მე და ამას ვიტყჳ სოფელსა შინა, რაჲთა აქუნდეს მათ სიხარული ჩემი სავსებით.

14. მე მივსცენ მათ სიტყუანი შენნი, და სოფელმან მოიძულნა იგინი, რამეთუ არა არიან ამის სოფლისაგანნი, ვითარცა მე არა ვარ ამის[3] სოფლისაგანი.

15. არა ვიტყჳ, რაჲთა აღიხუნე იგინი სოფლისაგან, არამედ რაჲთა დაიცვნე იგინი ბოროტისაგან.

16. სოფლისაგანნი არა არიან, ვითარცა მე არა სოფლისაგანი ვარ.

17. წმიდა-ყვენ ესენი ჭეშმარიტებითა, რამეთუ სიტყუაჲ შენი ჭეშმარიტ არს.

18. ვითარცა მომავლინე მე სოფლად, მეცა წარვავლინებ (F 213r) მათ სოფლად.

19. და მათთჳს წმიდა-ვჰყოფ თავსა ჩემსა, რაჲთა იგინიცა იყვნენ წმიდა ჭეშმარიტებით.

20. და არა მათთჳს ხოლო გკითხავ, არამედ ყოველთათჳს, რომელთა ჰრწმენეს სიტყჳთა მათითა ჩემდა მომართ.

21. რაჲთა ყოველნი ერთ იყვნენ, ვითარცა შენ, მამაო, ჩემდა, და მე შენ-

HIK

10. და ჩემი ყოველი შენი არს, და შენი ჩემი არს, და დიდებულ ვარ მე მათ შორის.

11. და არღარა ვარ მე სოფელსა ამას, და ესენი სოფელსა შინა არიან, და მე შენდა მოვალ. მამაო წმიდაო, დაიცვენ ესენი სახელითა შენითა, რომელნი მომცენ მე, რაჲთა იყვნენ ერთობით, ვითარცა ჩუენ.

12. ოდეს (K 207r) ვიყავ მათ თანა სოფელსა შინა, მე ვსცევდ მათ სახელითა შენითა; რომელნი მომცენ მე, დავიცვენ, და არავინ მათგანი წარწყმდა, გარნა ძე იგი წარწყმედისაჲ, (I 250v) რაჲთა წერილი აღესრულოს.

13. ხოლო აწ შენდა მოვალ და ამას ვიტყჳ სოფელსა შინა, რაჲთა აქუნდეს მათ სიხარული ჩემი სავსებით.

14. მე მივსცენ მათ სიტყუანი შენნი, და სოფელმან მოიძულნა[1] იგინი, რამეთუ არა არიან სოფლისა ამისგანნი. ვითარცა მე არა ვარ სოფლისა ამისგან.

15. (H 255v) არა ვიტყჳ, რაჲთა აღიხუნე იგინი სოფლისაგან, არამედ რაჲთა დაიცვნე იგინი ბოროტისაგან.

16. სოფლისაგანნი არა არიან, ვითარცა მე არა სოფლისაგანი[2] ვარ.

17. წმიდა-ყვენ ესენი ჭეშმარიტებითა, რამეთუ სიტყუაჲ შენი ჭეშმარიტ არს.

18. ვითარცა მომავლინე მე სოფლად, მეცა წარვავლინებ მათ სოფლად.

19. და მათთჳს წმიდა-ვჰყოფ თავსა ჩემსა, რაჲთა იგინიცა იყვნენ წმიდა ჭეშმარიტებით.

20. და არა ამათთჳს ხოლო გკითხავ, არამედ ყოველთათჳს, რომელთა ჰრწმენეს სიტყჳთა მათითა ჩემდა მომართ.

21. რაჲთა ყოველნი ერთ იყვნენ, ვითარცა შენ, მამაო, ჩემდამო, და მე

---

[1] ძე F. [2] იგი] — G. [3] ამის] — G.

[1] მოიძულენ HI (=მოიძულნა). [2] სოფლისაგან HI.

**FG**

და, რაჲთა იგინიცა ჩუენ შორის იყვნენ, რაჲთა სოფელსა ჰრწმენეს, (G 271r) რამეთუ შენ მომავლინე მე.

22. და დიდებაჲ, რომელი მომეც მე, მიეც მათ, რაჲთა იყვნენ ერთ, ვითარცა ჩუენ ერთ ვართ.

23. მე მათ შორის, და შენ ჩემ თანა, რაჲთა იყვნენ სრულ ერთობითა, და რაჲთა უწყოდის სოფელმან, რამეთუ შენ მომავლინე მე, და შეიყუარენ იგინი, ვითარცა შენ მე შემიყუარე.

24. მამაო წმიდაო, რომელნი-ესე მომცენ მე, მნებავს, რაჲთა, სადაცა მე ვიყო, იგინიცა ჩემ თანა იყვნენ, რაჲთა ხედვიდენ დიდებასა ჩემსა, რომელი მომეც მე, რამეთუ შემიყუარე მე უწინარეს სოფლის დაბადებისა.

25. მამაო მართალო, და სოფელმან შენ არა გიცნა, ხოლო მე გიცან შენ, და მათცა ცნეს, რამეთუ შენ მომავლინე მე.

26. და ვაუწყე სახელი შენი და ვაუწყო, რაჲთა სიყუარულითა მით რომლითა შემიყუარე მე, მათ შორის იყოს, და მე მათ თანა.

**HIK**

შენდამი, რაჲთა იგინიცა ჩუენ შორი· ერთ იყვნენ, რაჲთა სოფელსა ჰრწმენეს, რამეთუ შენ მომავლინე მე.

22. და მე დიდებაჲ, (I 257r) რომელი მომეც მე, მიეც მათ. რაჲთა იყვნენ ერთ, ვითარცა ჩუენ ერთ (K 287v) ვართ.

23. მე მათ შორის, და შენ ჩემ თანა, რაჲთა იყვნენ სრულ ერთობითა, და რაჲთა უწყოდის სოფელმან, რამეთუ შენ მომავლინე მე და შეიყუარენ იგინი, ვითარცა მე შემიყუარე.

24. მამაო. რომელნი-ესე მომცენ მე, მნებავს, რაჲთა, სადაცა მე ვიყო, იგინიცა ჩემ თანა იყვნენ, რაჲთა (H 250r) ხედვიდენ დიდებასა ჩემსა, რომელი მომეც მე, რამეთუ შემიყუარე მე უწინარეს სოფლის დაბადებისა.

25. მამაო მართალო, და სოფელმან შენ არა გიცნა, ხოლო მე გიცან შენ, და მათცა ცნეს, რამეთუ შენ მომავლინე მე.

26. და ვაუწყე სახელი შენი და ვაუწყო, რაჲთა სიყუარულითა მით რომლითა შემიყუარე მე, მათ შორის იყოს, და მე მათ თანა.

## 18

**FG**

1. ესე თქუა იესუ და გამოვიდა მოწაფითურთ[1] თჳსით წიაღ კევსა (F 218v) მას (G 271v) ნაძოვანსა[2], სადა-იგი იყო მტილი, რომელსა შევიდა თავადი და მოწაფენი მისნი.

2. იცოდა იუდაცა, მიმცემელმან მისმან, ადგილი იგი, რამეთუ მრავალ-გზის[3] შესრულ იყო მუნ იესუ მოწაფითურთ[4] თჳსით.

3. ხოლო იუდა წარიყვანა ერი მღდელთ-მოძღუართაგან და ფარისეველთა მსახურნი და მოვიდა მუნ სანთლებითა და ლამპრებითა და საჭურველითა.

**HIK**

1. ესე თქუა იესუ და გამოვიდა მოწფითურთ[1] თჳსით წიაღ კევსა მას ნაძოვანსა, სადაცა-იგი იყო მტილი, რომელსა შევიდა თავადი და მოწაფენი მისნი.

2. იცოდა იუდაცა, მიმცემელმან მისმან, ადგილი იგი, რამეთუ მრა(I 257v)ვალ-გზის შესრულ იყო მუნ იესუ მოწფითურთ[2] თჳსით.

3. ხოლო იუდა წარიყვანა ერი და მღდელთ-მოძღუართა და ფარისეველთაგან მსახურნი და მოვიდა მუნ სანთლებითა და ლამპრებითა და საჭურველითა.

---

[1] მოწაფითურთ F (უქარაგმოდ), მწ̄ფითურთ G. [2] ნაძოანსა F. [3] მრაეალ-ეზის F. გადამწერს „ე“ გამოუყვანია, მაგრამ გ-ს ფეხი არ გაუკეთებია. ასეთი შემთხვევები აქ სხვაგანაც გვხვდება, მაგრამ არ აღვნუსხავთ. [4] მოწაფითურთ F (უქარაგმოდ), მწფითურთ G (უქარაგმოდ).

[1] მოწფით̄რთ HI, მწ̄ფითურთ K. [2] მოწაფით̄რთ H, მოწფით̄რთ I (მოწაფითურთ K)

FG

4. ხოლო იესუ იცოდა ყოველი იგი მომავალი მის ზედა, გამოვიდა და ჰრქუა მათ: ვის ეძიებთ?

5. მიუგეს და ჰრქუეს მას: იესუს ნაზარეველსა. ჰრქუა მათ იესუ: მე ვარ. დგა იუდაცა, მიმცემელი იგი მისი, მათ თანა.

6. და ვითარცა ჰრქუა მათ: მე ვარ, გარეუკუნიქცეს[1] და დაეცნეს ქუეყანასა.

7. მერმე კუალად ჰკითხა მათ: ვის ეძიებთ? და მათ ჰრქუეს მას: იესუს ნაზარეველსა.

8. ჰრქუა მათ იესუ: გარქუ თქუენ, ვითარმედ: მე ვარ. უკუეთუ მე მეძიებთ, უტე(G 272r)ვენით ესენი, წარეიდენ.

9. რაჲთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი, რომელი ჰრქუა მათ იესუ, ვითარმედ: რომელნი მომცენ მე, არა წარეწყმიდე მათგანი არცა ერთი.

10. ხოლო სიმონ-პეტრეს აქუნდა მახჳლი, აღმოიკადა იგი და სცა მონასა მღდელთ-მოძღურისასა (F 214r) და წარჰკუეთა ყური მისი მარჯუენაჲ[2]. ხოლო იყო სახელი მონისაჲ მის მალქოზ.

11. ჰრქუა[3] იესუ პეტრეს: დადევ მახჳლი ქარქაშსა! სასუმელი, რომელი მომცა მე[4] მამამან, არა შევსუაა[5]?

12. ხოლო კრებულმან მან და ათასისთავმან[6] და მსახურთა ჰურიათამან შეიპყრეს იესუ და შეკრეს იგი.

13. და მიიყვანეს იგი პირველად ანაჲსა, რამეთუ იყო სიმამრი კაიაფაჲსი, რომელი იყო მღდელთ-მოძღუარი მის წელიწადისაჲ.

14. ესე კაიაფა იყო, რომელმან აზრახა ჰურიათა, ვითარმედ: უმჯობეს არს კაცისა ერთისა სიკუდილი ერისათჳს.

15. მისდევდა იესუს სიმონ-პეტრე და სხუაჲ იგი მოწაფჱ[7]. ხოლო მოწაფჱ[7]

HIK

4. ხოლო იესუ იცოდა ყოველი იგი მომავალი მის ზედა, გამ(K 208r)ოვიდა და ჰრქუა მათ: ვის ეძიებთ?

5. მიუგეს და ჰრქუეს მას: იესუს ნაზარეველსა. ჰრქუა მათ იესუ: მე ვარ. დგა იუდაცა, მიმცემე(H 250v)ლი იგი მისი, მათ თანა.

6. და ვითარცა ჰრქუა მათ: მე ვარ, გარეუკუნიქცეს და დაეცნეს ქუეყანასა.

7. მერმე კუალად ჰკითხა მათ: ვის ეძიებთ? და მათ ჰრქუეს მას: იესუს ნაზარეველსა.

8. ჰრქუა მათ იესუ: გარქუ თქუენ, ვითარმედ: მე ვარ. უკუეთუ მე მეძიებთ, უტევენით ესენი, წარვიდენ.

9. რაჲთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი, რომელი თქუა, ვითარმედ: რომელნი მომცენ მე, არა წარვწყმიდე მათგანი არცა ერთი.

10. ხოლო სიმონ-პეტრეს აქუნდა მახჳლი, აღმოიკადა იგი და სცა მონასა მღდელთ-მოძღურისასა და წარჰკუეთა[1] ყური (I 258r) მისი მარჯუენე. ხოლო იყო სახელი მონისაჲ მის მალქოზ[2].

11. ჰრქუა იესუ პეტრეს: დადევ მახჳლი ქარქაშსა! (K 208v) სასუმელი, რომელი მომცა მე მამამან, არა შევსუაა იგი?

12. ხოლო კრებულმან მან და ათასისთავმან[3] და მსახურთა მათ ჰურიათამან შეიპყრეს იესუ და შეკრეს იგი.

13. და მიიყვანეს იგი პირველად ანნაჲსა[4], რამეთუ[5] იყო სიმამრი კაიაფაჲსი, რომელი იყო მღდელთ-მოძღუარი მის წელიწდისაჲ.

14. (H 267r) ხოლო ესე კაიაფა იყო, რომელმან აზრახა ჰურიათა, ვითარმედ: უმჯობეს არს კაცისა ერთისა სიკუდილი ერისათჳს.

15. მისდევდა იესუს სიმონ-პეტრე და სხუაჲ იგი მოწაფე. ხოლო მოწაფჱ[6]

---

[1] გარეუკუნიქეს G. [2] მარჯუენ¯ჲ F. მარჯ¯ნე G. [3] და ჰრქუა G. [4] მე] — F. [5] G-ში მერე ა თითქო მოშორებითაა მიწერილი, კარგად არა ჩანს. [6] ასისთავმან G. [7] მოწაფე F.

[1] წარჰკუეთა HI. [2] მალხოზ K. [3] ასისთავმან K. [4] ანნაჲსსა K. [5] რამეთუ] რომელი K. [6] მოწაფე IK.

**FG**

იგი ერთი მეცნიერ იყო მღდელთ-მოძღურისა და შეეიდა იესუჲს[1] თანა ეზოსა მღდელთ-მოძღურისასა.

16. (G 272ⴁ) ხოლო პეტრე დგა კართა თანა გარეშე[2]. განვიდა ერთი იგი მოწაფჱ[3], რომელი იყო მეცნიერ მღდელთ-მოძღურისა, და ჰრქუა მეკარესა მას დედაკაცსა და შეიყვანა პეტრე.

17. ჰრქუა მჴევალმან მან მეკარემან პეტრეს: ნუ(F 214ⴁ)უკუე შენცა მოწაფეთაგანი ხარ მის კაცისათაჲ? ხოლო პეტრე თქუა: არა ვარ.

18. დგეს მონანი იგი და მსახურნი მღდელთ-მოძღუართანი და ნაკუერცხალი აღეგზნა, რამეთუ ყინელი იყო, და ტფებოდეს. დგა მათ თანა პეტრეცა და ტფებოდა.

19. ხოლო მღდელთ-მოძღუარმან მან ჰკითხა იესუს მოწაფეთა მისთათჳს და მოძღურებისა[4] მისისათჳს.

20. მიუგო მას იესუ და ჰრქუა: მე განცხადებულად ვეტყოდე სოფელსა და მე[5] მარადის ვასწავებდ[6] შესაკრებელსა და ტაძარსა შინა, სადა ყოველნი ჰურიანი შეკრბიან, ხოლო ფარულად არარას[7] ვეტყოდე მათ[8].

21. რაჲსა მკითხავ მე? ჰკითხე, რომელთა ესმოდა, რასა ვასწავებდ მათ[9]. აჰა ამათ[10] იცი(G 273ⴀ)ან, რასა-იგი ვეტყოდე მათ.

22. და ვითარცა ესე თქუა, ერთმან მსახურთაგანმან მუნ მდგომარემან სცა ყურიმალსა იესუს და ჰრქუა: ესრე სიტყუას-უგებ[11] მღდელთ-მოძღუარსა[12]?

23. ჰრქუა მას იესუ: უკუეთუ ბოროტსა ვიტყოდე, წამე ბოროტისათჳს, უკუეთუ კეთილსა, რაჲსათჳს მცემ?

**HIK**

იგი ერთი მეცნიერ[1] იყო მღდელთ-მოძღურისა[2] და შეეიდა იესუჲს[3] თანა ეზოსა მღდელთ-მოძღურისასა.

16. ხოლო პეტრე დგა კარსა თანა გარეშე. განვიდა ერთი იგი მოწაფე, რომელი იყო მეცნიერ მღდელთ-მოძღურისა, და ჰრქუა მეკარესა მას დედაკაცსა და შეიყვანა პეტრე.

17. (I 258ⴁ, K 269ⴀ) ჰრქუა მჴევალმან მან მეკარემან პეტრეს: ნუუკუე[4] შენცა მოწაფეთაგანი ხარ მის კაცისათაჲ? ხოლო პეტრე თქუა: არა ვარ.

18. დგეს მონანი იგი და მსახურნი მღდელთ-მოძღუართანი და ნაკუერცხალი[5] აღეგზნა, რამეთუ ყინელი იყო, და ტფებოდეს. დგა მათ თანა პეტრეცა და ტფებოდა.

19. ხოლო მღდელთ-მოძღუარმან მან ჰკითხა იესუს მოწაფეთა მისთათჳს და მოძღურებისა მისისათჳს.

20. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: მე განცხადებულად ვეტყოდე სოფელსა (H 257ⴁ) და მე მარადის ვასწავებდ შესაკრებელსა და ტაძარსა შინა, სადა-იგი ყოვლადვე ჰურიანი შეკრბიან, ხოლო ფარულად არარას ვეტყოდე.

21. რაჲსა მკითხავ მე? ჰკითხე მათ, რომელთა ესმოდა, რასა ვასწავებდ მათ. აჰა ამათ იციან, რასა-იგი ვეტყოდე მათ.

22. და ვითარცა ესე თქუა იესუ, ერთმან მსახურთაგანმან მუნ მდგომარემან სცა ყურიმალსა იესუს და (K 269ⴁ) ჰრქუა: ესრეთ სიტყუას-უგებ მღდელთ-მოძღუარსა?

23. ჰრქუა მას იესუ: უკუეთუ ბოროტსა ვიტყოდე[6], (I 259ⴀ) წამე ბოროტისათჳს: უკუეთუ[7] კეთილსა, რაჲსათჳს მცემ?

---

[1] ი̃ჳს F, ი̃ჳჲს G. [2] გარეშჱ G. [3] მოწაფე F. [4] მოძღურებისა G. [5] მე] — F. [6] ვასწავებ G. [7] არას G. [8] ვეტყოდე მათ] ვიტყოდი F. [9] მათ] — G. [10] აჰამათ F. [11] სიტყუას-უგება G. [12] მღდელთ-მოძღუარსა] + ღმრთისასა FG.

[1] მეცნიერი HI (= მეცნიერ). [2] მღდელთ-მოძღურისა HI (ე. ი. თუ მეცნიერი დარჩება, მსაზღვრელს ჲ უნდა: მეცნიერი მღდელთ-მოძღურისაჲ. შდრ. შემდგომი მუხლი: რომელ ი იყო მეცნიერ მღდელთ-მოძღურისა). [3] ი̃ჳს K. [4] ნუუკუჱ HIK. [5] ნაკუერცხალი HI. [6] ვეტყოდე HI. [7] უკუჱთუ H.

FG

24. და მიავლინა იგი ანა კრული კაიაფაჲსა[1] მღდელთ-მოძღურისა[2].

25. ხოლო სიმონ-პეტრე დგა და (F 215r°) ტფებოდა. ჰრქუეს მას მუნ მდგომარეთა მათ: ნუუკუე შენცა მოწაფეთა მისთაგანი ხარ? ხოლო მან უვარ-ყო[3] და თქუა: არა ვარ.

26. ჰრქუა მას ერთმან მონათაგანმან მღდელთ-მოძღურისამან — ნათესავი იყო მისი, რომელსა-იგი წარჰკუეთა[4] ყური—არა მე გიხილეა მტილსა მას შინა მის თანა?

27. და კუალად უვარ-ყო[3] პეტრე. და მეყსეულად[5] ქათამი ყივა.

28. (G 273v°) და მოიყვანეს იესუ კაიაფაჲსით[6] ტაძრად. და იყო განთიად[7]. და იგინი არა შევიდეს ტაძრად, რაჲთა არა შეიგინნენ, არამედ რაჲთა ჰჭამონ პასექი იგი ვნებათაჲ[8].

29. გამოვიდა პილატე მათა გარე და ჰრქუა მათ: რასა შესმენასა მოიღებთ კაცსა ამას ზედა?

30. მიუგეს და ჰრქუეს მას: უკუეთუმ-ცა არა ბოროტის-მოქმედი იყო ეგე, არამცა მიგეცით შენ ეგე.

31. ჰრქუა მათ პილატე[9]: მიიყვანეთ ეგე თქუენ და შჯულისა თქუენისაებრ განიკითხეთ ეგე. ჰრქუეს მას ჰურიათა: ჩუენდა არავისი ჯერ-არს მოკლვაჲ.

32. რაჲთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი იესუჲსი[10], რომელ თქუა და აუწყა, რომლითა სიკუდილითა ეგულებოდა მოსიკუდილდ[11].

33. შევიდა კუალად პილატე (F 215 v°) ტაძრად და შეჰხადა[12] იესუს და ჰრქუა მას: შენ ხარ მეუფჱ ჰურიათაჲ?

34. ჰრქუა მას იესუ: შენ თავით თჳსით იტყჳ მაგას, ანუ სხუათა გითხრეს ჩემთჳს?

HIK

24. და მიავლინა იგი ანა[1] კრული კაიაფაჲსა[2] მღდელთ-მოძღურისა.

25. ხოლო სიმონ-პეტრე დგა და ტფებოდა. ჰრქუეს მას მუნ მდგომარეთა მათ: ნუუკუე[3] შენცა მოწაფეთა მისთაგანი ხარ? ხოლო მან უვარ-ყო და თქუა: არა ვარ.

26. ჰრქუა მას ერთმან მონათაგანმან მღდელთ-მოძღურისამან — ნათესავი იყო მისი, რომელსა-იგი პეტრე წარჰკუეთა[4] ყური—არა მე გიხილეა მტილსა მას შინა მის თანა?

27. (H 266r°) და კუალად უვარ-ყო პეტრჱ. და მეყსეულად ქათამმან იყივლა.

28. და მოიყვანეს იესუ კაიაფაჲსით[5] ტაძრად. და იყო განთიად. და იგინი არა შევიდეს ტაძრად, რაჲთა არა შეიგინნჱნ, არამედ რაჲთა ჰჭამონ პასექი.

29. გამოვიდა პილატე მათა გარე და ჰრქუა მათ: რასა შესმენასა მოიღ(K 270 r°)ებთ კაცისა ამის ზედა?

30. მიუგეს და ჰრქუეს მას: უკუეთუმ-ცა არა ბოროტის-მოქმედი იყო, არამცა მიგეცით შენ ეგე.

31. ჰრქუა მათ პილატე: მიი(I 250 v°)ყვანეთ ეგე თქუენ და სჯულისა[6] თქუენისაებრ განიკითხეთ ეგე. ჰრქუეს მას ჰურიათა მათ: ჩუენდა არავისი ჯერ-არს მოკლვაჲ.

32. რაჲთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი იესუჲსი, რომელ თქუა და აუწყებდა, რომლითა სიკუდილითა ეგულებოდა მოსიკუდიდ.

33. კუალად უკუე[7] შევიდა პილატე ტაძრად და შეხადა იესუს და ჰრქუა მას: შენ ხარა მეუფჱ[8] ჰურიათაჲ?

34. ჰრქუა მას იესუ: შენ თავით თჳსით იტყჳ მაგას, ანუ სხუათა გითხრეს ჩემთჳს?

---

[1] კაიაფაჲსსა G. [2] მღდელთ-მოძღურისა G. [3] უარ-ყო F. [4] წარჰკუეთა F. [5] მესეულად G. [6] კაიაფაჲსა F. [7] განთიადი F. [8] ენებთაჲ G. [9] პილატ F. [10] ი̄ჳსი F. [11] მოსიკუდილიდ G. [12] შეხადა G.

[1] ანნა K. [2] კაჲაფაჲსა HI (=კაიაფაჲსა), კაიაფაჲსსა K. [3] ნუუკუჱ HIK. [4] წარჰკუჱთა HI. [5] კაიაფაისით K. [6] შჯულისა HI. [7] უკუჱ HIK. [8] მეუფე HK.

FG

35. მიუგო მას პილატე[1] და ჰრქუა: ნუუკუე მე ჰურიაჲ ვარა[2]? (G 274r) ნათესავთა შენთა და მღდელთ-მოძღუართა მომცეს მე შენ. რაჲ გიქმნიეს?

36. მიუგო მას იესუ და ჰრქუა: მეუფებაჲ ჩემი არა ამის სოფლისაგან არს. უკუეთუმცა ამის სოფლისაგან იყო მეუფებაჲ ჩემი, მსახურნიმცა ჩემნი იღუწიდეს ჩემთჳს, რაჲთა არამცა მივეცი ჰურიათა. ხოლო აწ მეუფებაჲ ჩემი არა არს ამიერ სოფლით.

37. ჰრქუა მას პილატე[1]: უკუეთუ მეუფჱ ხარ შენ? ჰრქუა მას იესუ: შენ იტყჳ, რამეთუ მეუფჱ ვარ. ხოლო მე ამისთჳს შობილ ვარ და ამისთჳს მოვივლინე სოფლად, რაჲთა ვწამო ჭეშმარიტი. ყოველი რომელი ჭეშმარიტებისაგანი[3] იყოს, ისმინოს ჴმისა ჩემისაჲ.

38. ჰრქუა მას პილატე: რაჲ არს ჭეშმარიტებაჲ? და ვითარცა ესე თქუა, კუალად გამოვიდა პილატე და ჰრქუა ჰურიათა მათ: მე არცა ერთი ბრალი ვპოვე[4] ამის თანა.

39. ხოლო არს ჩუეულებაჲ თქუენი, რაჲთა ერთი მიგიტეო დღესასწაულსა[5] ამას. გნებავსა, რაჲთა[6] (F 210r) მიგიტეო თქუენ მეუფჱ ჰურიათაჲ?

40. (G 274v) ღაღად-ყვეს[7] ყოველთა და თქუეს: ნუ ეგე, არამედ ბარაბა. და იყო ბარაბა ესე ავაზაკი.

HIK

35. მიუგო პილატე და ჰრქუა მას: ნუუკუე[1] (H 259v) მე ჰურიაჲ ვარა? ნათესავთა შენთა და მღდელთ-მოძღუართა მოუცემიხარ შენ ჩემდა. რაჲ გიქმნიეს?

36. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: მეუფებაჲ ჩემი არა ამის სოფლისაგანი[2] არს. უკუეთუმცა ამის სოფლისაგანი იყო (K 270v) მეუფებაჲ[3] ჩემი, მსახურნიმცა ჩემნი იღუწიდეს ჩემთჳს, რაჲთა არამცა მივეცი ჰურიათა. ხოლო აწ მეუფებაჲ ჩემი არა არს ამიერ სოფლით.

37. ჰრქუა მას პილატე: უკუეთუ[4] მეუფჱ[5] ხარ შენ? ჰრქუა მას იესუ: შენ იტყჳ. რამეთუ მე(I 260r)უფე ვარ მე. მე ამისთჳს შობილ ვარ და ამისთჳს მოვივლინე სოფლად, რაჲთა ვწამო ჭეშმარიტი. ყოველი რომელი ჭეშმარიტებისაგან იყოს, ისმინოს ჴმისა ჩემისაჲ.

38. ჰრქუა მას პილატე: რაჲ არს ჭეშმარიტებაჲ? და ვითარცა ესე თქუა, კუალად გამოვიდა და ჰრქუა ჰურიათა მათ: მე არცა ერთსა ბრალსა ვჰპოებ ამის თანა.

39. ხოლო არს ჩუეულებაჲ[6] თქუენი, რაჲთა ერთი მიგიტეო თქუენ დღესასწაულსა ამას. გნებავსა, რაჲთა მიგიტეო თქუენ მეუფჱ ჰურიათაჲ?

40. კუალად უკუე[7] ღაღატ-ყვეს ყოველთა და თქუეს: ნუ (H 250r) ეგე, არამედ ბარაბა. და იყო ესე ბარაბა ავაზაკი.

# 19

1. მაშინ მოიყვანა[8] პილატე[9] იესუ და ტანჯა იგი.

2. და ერისაგანთა მათ შეთხზეს[10] გჳრგჳნი ეკალთაგან და დაადგეს თავსა მისსა და სამოსელი[11] ძოწეული შეჰმოსეს მას.

1. მაშინ მოიყვანა პილატე იესუ და ტანჯა იგი.

2. და ერისაგანთა მათ შეთხზეს გჳრგჳნი ეკალთაგან და დაადგეს თავსა მისსა და სამოსელი ძოწეული (K 271r) შეჰმოსეს მას.

---

[1] პილატჱ G. [2] ვარ G. [3] ჭეშმარიტებისაგან G. [4] ვპოვ F. [5] დღჱსასწაულსა G. [6] რაჲთა] — G. [7] ღაღატ-ყვეს F. [8] მიიყვანა G. [9] პილატ F. [10] შეთხზნეს F. [11] სამოსელი F.

[1] ნუუკუჱ HIK. [2] სოჲფლისაგანი K. [3] მეუფჱბაჲ I. [4] უკუჱთუ H. [5] მეუფე IK. [6] ჩუჱულებაჲ HI. [7] უკუჱ HIK.

FG

3. და მოვიდიან მისა და ეტყჳედ მას[1]: გიხაროდენ, მეუფეო ჰურიათაო! და სცემდეს ყურიმალსა.

4. გამოვიდა გარე[2] კუალად პილატე და ჰრქუა მათ: აჰა გამოვიყვანო იგი გარე[3] თქუენდა, რაჲთა სცნათ, რამეთუ მის თანა არცა ერთი ბრალი ეპოვე[4].

5. გამოვიდა გარე იესუ. და ედგა ეკლისა იგი[5] გჳრგჳნი და ძოწეული სამოსელი[6]. და ჰრქუა პილატე[7] ჰურიათა მათ: აჰა კაცი იგი!

6. და ვითარცა იხილეს იგი მღდელთ-მოძღუართა მათ და მსახურთა, ღაღად-ყვეს[8] და თქუეს[9]: ჯუარს-აცუთ, ჯუარს-აცუთ[10]! ჰრქუა მათ პილატე: მიიყვანეთ ეგე თქუენ და ჯუარს-აცუთ[11], რამეთუ მე მაგის თანა ბრალსა არარას[12] (G 278 რ) ვჰპოეებ[13].

7. მიუგეს მას ჰურიათა და ჰრქუეს: ჩუენ შჯული გუაქუს, და შჯულისა ჩუენისაებრ თანა-აც სიკუდილი, (F 216ჟ) რამეთუ თავი თჳსი ძედ[14] ღმრთისა თქუა.

8. ვითარცა ესმა ესე პილატეს, უფროჲს[15] შეეშინა.

9. და შევიდა კუალად მუნვე ტაძრად და ჰრქუა იესუს: ვინ ხარ შენ? ხოლო იესუ სიტყუაჲ არა მიუგო მას.

10. ჰრქუა მას პილატე: მე არა მეტყჳა? ანუ არა უწყია, რამეთუ ჴელმწიფებაჲ მაქუს ჯუარ-ცუმად შენდა და ჴელმწიფებაჲ მაქუს განტევებად შენდა?

11. ჰრქუა მას იესუ: არა გაქუს ჴელმწიფებაჲ ჩემი არცა ერთ, უკუეთუმცა არა მოცემულ იყო შენდა ზეგარდამო. ამისთჳს მიმცემელსა ჩემსა შენდა უდიდესი ცოდვაჲ აქუს.

12. ამის გამო პილატეს უნდა[16] განტევებაჲ მისი, ხოლო ჰურიანი იგი ღაღადებ-

HIK

3. და მოვიდიან მისა[1] და ეტყჳედ მას: გიხაროდენ, მეუფეო ჰურიათაო! და სცემდეს ყურიმალსა.

4. გამოვიდა უკუე[2] კუალად გარე პილატე და ჰრქუა მათ: აჰა გამოვიყვანო (I 260ჟ) იგი გარე თქუენდა, რაჲთა სცნათ, რამეთუ მის თანა არცა ერთი ბრალი ეპოვე.

5. გამოვიდა იესუ გარე, და ედგა ეკლისა იგი გჳრგჳნი და ძოწეული სამოსელი. და ჰრქუა მათ პილატე: აჰა კაცი იგი!

6. და ვითარცა იხილეს იგი მღდელთ-მოძღუართა მათ და მსახურთა, ღაღად-ყვეს[3] და თქუეს: ჯუარს-აცუ, ჯუარს-აცუ ეგე! ჰრქუა მათ პილატე: მიიყვანეთ ეგე თქუენ და ჯუარს-აცუთ, რამეთუ მე მაგის თანა ბრალსა არარას ვჰპოებ.

7. მიუგეს ჰურიათა და ჰრქუეს მას: ჩუენ სჯული[4] გუაქუს, და სჯული(H 259 ჟ)სა[5] ჩუენისაებრ თანა-აც სიკუდილი, რამეთუ თავი თჳსი ძედ ღმრთისა[6] ყო.

8. ვითარცა ესმა სიტყუაჲ ესე პილატეს, უფროჲს შეეშინა.

9. და შევიდა კუალად მუნვე ტაძრად და ჰრქუა იესუს: ვინაჲ ხარ შენ? ხოლო იესუ სიტყუაჲ არა მიუგო მას.

10. ჰრქუა მას პილატე: მე არას მეტყჳა? ანუ არა უწყია, რამეთუ ჴელმწ(K 271ჟ)იფებაჲ მაქუს ჯუარ-ცუმად შენდა და ჴელმწიფებაჲ მაქუს განტევებად შენდა?

11. ჰრქუა მას იესუ: არა გა(I 261რ)ქუს ჴელმწიფებაჲ ჩემი არცა ერთი, უკუეთუმცა[7] არა მოცემულ იყო შენდა ზეგარდამო. ამისთჳს მიმცემელსა ჩემსა შენდა უდიდესი ცოდვაჲ აქუს.

12. ამის გამო პილატეს უნდა განტევებაჲ მისი, ხოლო ჰურიანი იგი ღაღა-

---

[1] მას] — F. [2] გარს F. [3] გარე G. [4] ეპოე F. [5] იგი] — F. [6] სამოსელი F. [7] პილატჱ F. [8] ღაღატ-ყვეს F. [9] და თქუეს] — F. [10] ჯ̄რს-აცვთ, ჯ̄რს-აცთ G. [11] ჯ̄რს-აცვთ F, ჯ̄რს-ცუთ G. [12] არას F. [13] ვჰპოებ F. [14] ძჱდ G. [15] უფროს G. [16] ∽ უნდა პილატეს G.

[1] მისსა K. [2] უკუჱ HIK. [3] ღაღატ-ყვეს HI. [4] შჯული HI. [5] შჯულისა HI. [6] ღმრთისაჲ K. [7] უკუეთუმცა H.

FG

დეს და იტყოდეს: უკუეთუ ეგე განუტეო, არა ხარ მოყუარე კეისრისაჲ, რამეთუ ყოველი, (G 275v) რომელი მეუფედ იტყჳნ თავსა თჳსსა, სიტყუას-უგებნ[1] კეისარსა.

13. ხოლო პილატეს რაჲ ესმნეს სიტყუანი ესე, გამოიყვანა იესუ გარე[2] და დაჯდა იგი საყდართა ზედა, ადგილსა მას, რომელსა ჰრქჳან ქვაფენილ, ხოლო ებრაელებრ კაპპათა.

14. და იყო პარასკევი პასქაჲსაჲ. და ჟამი იყო მეექუსე. ჰრქუა პილატე (F 217r) ჰურიათა მათ: აჰა მეუფჱ[3] თქუენი!

15. ხოლო იგინი ღაღადებდეს და იტყოდეს: აღიღე, აღიღე და ჯუარს-აცუ[4] ეგე! ჰრქუა მათ პილატე: მეუფჱ თქუენი მე ჯუარს-ვაცუაა?[5] მიუგეს მღდელთ-მოძღუართა მათ და ჰრქუეს: არა გჳვის ჩუენ მეუფჱ, გარნა კეისარი.

16. მაშინ მისცა იგი მათ[6], რაჲთა ჯუარს-აცუან. ხოლო მათ წარიყვანეს იესუ.

17. და ეკიდა თჳთ ჯუარი თჳსი, და განვიდოდა[7] ადგილსა მას თხემისასა, რომელსა ჰრქჳან ებრაელებრ გოლგოთა[8].

18. და მუნ ჯუარს-აცუეს იგი (G 270r) და მის თანა სხუანი ორნი იმიერ და ამიერ და შორის იესუ.

19. და დაწერა პილატე ფიცარი და დასდვა[9] ჯუარსა მას ზედა. და იყო წერილი ესრე: იესუ ნაზარეველი, მეუფჱ ჰურიათაჲ.

20. ესე ფიცარი მრავალთა ჰურიათა აღმოიკითხეს, რამეთუ მახლობელ იყო ქალაქსა ადგილი იგი, სადა ჯუარს-აცუეს იესუ. და იყო წერილი ებრაელებრ, ჰრომაელებრ და ბერძლ[10].

HIK

დებდეს და იტყოდეს: უკუეთუ[1] ეგე განუტეო, არა ხარ მოყუარე კეისრისაჲ, რამეთუ ყოველი, რომელი მეუფედ იტყჳნ თავსა თჳსსა, სიტყუას-უგებნ[2] კეისარსა.

13. ხოლო პილატეს რაჲ ესმა სიტყუაჲ ესე, გამოიყვანა იესუ გარე და დაჯდა იგი საყდართა ზედა, ადგილსა (H 260r) მას[3], რომელსა ჰრქჳან ქვაფენილ, ხოლო ებრაელებრ კაპპათა.

14. და იყო პარასკევი პასქაჲსაჲ, და ჟამი იყო მეექუსე. ჰრქუა პილატე ჰურიათა მათ: აჰა მეუფჱ[4] თქუენი!

15. ხოლო იგინი ღაღადებდეს და იტყოდეს: აღიღე, აღიღე და ჯუარს-აცუ ეგე! ჰრქუა მათ პილატე: მეუფე თქუენი მე ჯუარს-ვაცუაა? მიუგეს მღდელთ-მოძღუართა მათ და ჰრქუეს: არა გჳ(I 201v)ვის ჩუენ მეუფჱ[5], გარნა კეისარი.

16. (K 272r) მაშინ მისცა იგი მათ, რაჲთა ჯუარს-ეცუას. ხოლო მათ წარიყვანეს იესუ.

17. და ეკიდა თჳთ ჯუარი თჳსი, და განვიდა ადგილსა მას თხემისასა, რომელსა ჰრქჳან ებრაელებრ გოლგოთა.

18. და მუნ ჯუარს-აცუეს[6] იგი და მის თანა სხუანი ორნი ამიერ და იმიერ და შორის იესუ.

19. და დაწერა პილატე ფიცარი და დასდვა ჯუარსა მას ზედა. და იყო წერილი ესრე: იესუ ნაზარეველი, მეუფჱ[4] ჰ(K 272v)ურიათაჲ.

20. ესე ფიცარი მრავალთა ჰურიათა აღმოიკითხეს, რამეთუ მახლობელ იყო ქალაქსა ადგილი იგი, სადა ჯუარს-აცუეს[6] იესუ. (H 260v) და იყო წერილი ებრაელებრ და ჰრომაელებრ და ბერძლ[7].

---

[1] სიტყუასა-უგებ G. [2] გარჱ G. [3] მეუფე F. [4] აღიღეთ, აღიღეთ და ჯუარს-აცუთ G. [5] ჯუარს-ვაცუა G. [6] ~ მათ იგი G. [7] განვიდა G. [8] გოლგოთაჲ F. [9] დადვა G. [10] ბეძლ F, ბერძულ G.

[1] უკუჱთუ H. [2] სიტ̈ყუას-უგ̈ებნ HI. ეს ნიშნავს: ეს სიტყვები შესაცვლელიაო. ორივე ხელნაწერის არშიაზე ამ სიტყვების გასწვრივ წერია „აცილობნ“, ე. ი. „სიტყუას-უგებნ“ შეცვალეთ „აცილობნ“ ფორმითო. [3] მას] — K. [4] მეუფე HK. [5] მეუფე K. [6] ჯუარს-აცუჱს HI. [7] ბერძულ HI.

| FG | HIK |
|---|---|
| 21. ეტყოდეს პილატეს მღდელთ-მოძღუარნი ჰურიათანი: ნუ დასწერ, ვითარმედ მეუფჱ ჰურიათაჲ არს, რამეთუ მან თქუა: მეუფჱ ჰურიათაჲ ვარ. | 21. ეტყოდეს უკუე[1] პილატეს მღდელთ-მოძღუარნი იგი ჰურიათანი: ნუ დასწერ მეუფედ[2] ჰურიათა, არამედ ვითარმედ მან თქუა: მეუფჱ[3] ჰურიათაჲ ვარი მე. |
| 22. ჰრქუა მათ პილატე[1]: რომელი დავწერე, დავწერე[2]. | 22. ჰრქუა მათ პილატე: რომელი დავწერე, დავწერე. |
| 23. (F 217v) და ერისაგანთა მათ, რომელთა ჯუარს-აცუეს იესუ, მოიღეს სამოსელი[3] მისი და განიყვეს ოთხად ნაწილად, თითოეულმან[4] ერისაგანმან ნაწილი. ხოლო კუართი იგი, რამეთუ იყო უკერველ, ზე გა(G 270v)მოქსოვილ ყოვლად, | 23. და ერისაგანთა მათ, რომელთა ჯუარს-აცუეს[4] იესუ, მოიღეს სამოსელი მისი და განიყვეს (I 202r) ოთხად ნაწილად, თითოეულმან ერისაგანმან ნაწილი. ხოლო კუართი იგი, რამეთუ იყო უკერველ, ზეით გამოქსოვილ[5] ყოვლად, |
| 24. თქუეს ურთიერთას[5]: არა განვხიოთ ესე, არამედ წილ-ვიგდოთ[6] ამას ზედა, ვისაცა იყოს, რაჲთა აღესრულოს წერილი იგი: განიყვეს სამოსელი[7] ჩემი მათ შორის თავისა მათისა და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი. ერისაგანთა მათ ესე ყვეს. | 24. თქუეს უკუე[1] ურთიერთას: არა განვხიოთ ესე. არამედ წილ-ვიგდოთ ამას ზედა, ვისაცა[6] იყოს, რაჲთა აღესრულოს წერილი იგი: განიყვეს სამოსელი ჩემი თავისა მათისა და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი. ერისაგანთა მათ ესე ყვეს. |
| 25. ხოლო დგეს ჯუარსა მას თანა დედაჲ იესუჲსი[8] და დაჲ დედისა მისისაჲ, მარიამ კლეოპაჲსი და მარიამ მაგდანელი[9]. | 25. ხოლო დგეს ჯუარსა მას თანა იესუჲსსა დედაჲ მისი და დაჲ დედისა მისისაჲ, მარიამ კლეოპაჲსი და მარიამ მაგდალენელი[7]. |
| 26. ხოლო იესუ ვითარცა იხილა დედაჲ თჳსი და მოწაფჱ იგი, რომელი უყუარდა, წინაშე მდგომარენი, ჰრქუა დედასა თჳსსა[10]: დედაკაცო, აჰა ძჱ შენი! | 26. ხოლო იესუ ვითარცა იხილა დედაჲ თჳსი და მოწაფე იგი, რომელი უყუარდა, წინაშე მდგომარენი, ჰრქუა (H 261r) დედასა (K 278r) თჳსსა: დედაკაცო, აჰა ძე შენი! |
| 27. და მერმე მოწაფესა მას ჰრქუა: აჰა დედაჲ შენი! და მიერ დღითგან წარიყვანა მარიამ მოწაფემან მან თჳსთა თანა. | 27. და მერმე მოწაფესა მას ჰრქუა: აჰა დედაჲ შენი! და მიერითგან წარიყვანა იგი მოწაფემან მან თჳსთა თანა. |
| 28. ამისა შემდგომად იხილა იესუ, რამეთუ ყოველივე აღსრულებულ არს. და რაჲთა აღესრულოს წერილი, თქუა: მწყურის. | 28. ამისა[8] შემდგომად იხილა იესუ, რამეთუ ყოველივე აღსრულებულ არს. და რაჲთა აღესრულოს წერილი იგი, თქუა: მწყურის. |
| 29. დგა მუნ ჭურჭელი (F 218r) ძმრითა სავსე. ღრუბელი ალავ(G 277 | 29. დგა მუნ ჭურჭელი ძმრითა სავსე. (I 202v) და მათ ღრუბელი ალავსეს |

---

[1] პილატჱ F. [2] დავწერჱ G. [3] სამოსელი F. [4] თითუეულმან G. [5] ურთიერთარს F. [6] წილი ვიგდოთ G. [7] სამოსელი F, სამოსლი G. [8] იჳსი F. [9] მაგდალენელი G. [10] თჳსა F.

[1] უკუჱ HIK. [2] მეუფჱდ I. [3] მეუფე HK. [4] ჯუარს-აცუჱს HI. [5] გამოქსოილ K. [6] ვისსაცა HIK. [7] მაგდალენელი K. [8] ამისსა K.

FG

r)სეს ძმრითა მით უსუპსა თანა და დაადგეს ლერწამი და მიუპყრეს პირსა მისსა, რაჲთა აღესრულოს წერილი იგი.

30. და ოდეს მიიღო[1] ძმარი იგი, თქუა: ესეცა წერილი აღესრულა. და მიიდრიკა თავი და განუტევა სული.

31. ხოლო ჰურიათა მათ, რამეთუ პარასკევი იყო, რაჲთა არა დაადგრეს გუამი მისი ჯუარსა ზედა შაბათამდე[2], რამეთუ იყო დიდ დღჱ[3] იგი შაბათისაჲ მის, ჰკითხეს პილატეს, რაჲთა წჳვნი მათნი განუტეხნენ და გარდამოიხუნენ[4].

32. მოვიდეს ერისაგანნი იგი და პირველისანი მის განუტეხნეს წჳვნი, და ერთისაჲ მის[5] ეგრევე, რომელნი ჯუარ-ცუმულ იყვნეს მის თანა.

33. ვითარცა მოვიდეს იესუჲსა[6] და იხილეს იგი. რამეთუ მომკუდარ[7] იყო, არა განუტეხნეს წჳვნი მისნი,

34. არამედ ერთმან ერისაგანმან ლახურითა უგუმირა გუერდსა მისსა, და მეყსეულად (G 277v) გამოჴდა[8] სისხლი და წყალი.

35. და რომელმან იხილა, წამა, და ჭეშმარიტ არს წამებაჲ მისი, და მან უწყის, რამეთუ ჭეშმარიტსა იტყჳს, რაჲთა თქუენცა გრწმენეს.

36. რამეთუ იყო ესე, რაჲთა წერილი აღესრულოს, ვითარმედ: ძუალი მისი არა შეიმუსროს.

37. და მერმე სხუაჲ (F 218v) წინაწარმეტყუელი იტყჳს: მიხედონ და იხილონ, რომელსა-იგი უგუმირეს[9].

38. ამისა შემდგომად ჰკითხა პილატეს იოსებ, რომელი იყო არიმათიაჲთ[10], რამეთუ იყო იგი მოწაფჱ იესუჲსა[6] ფარულად, შიშისათჳს ჰურიათაჲსა, რაჲთა აღიღოს გუამი იგი იესუჲსი[11]. და უბრძანა მას პილატე. მოვიდეს და აღიღეს გუამი მისი.

HIK

ძმრითა მით უსუპსა თანა და დაადგეს ლერწამი და მიუპყრეს პირსა მისსა.

30. და ოდეს მიიღო ძმარი იგი იესუ, თქუა: ესეცა წერილი აღსრულებულ არს. და მიიდრიკა თავი და განუტევა სული.

31. ხოლო ჰურიათა მათ, რამეთუ პარასკევი იყო, რაჲთა არა დაადგრეს გუამი მისი ჯუარსა ზედა შაბათადმდე[1], რამეთუ იყო დიდ დღე იგი შაბათისაჲ მის, ჰკითხეს პილატეს. რაჲთა წჳვნი მათნი[2] განუტეხნენ და გარდამოიხუნენ.

32. მოვიდეს ერისაგანნი იგი და პირველისანი მის განუტეხნეს წჳვნი, და ერთისაჲ მის ეგრეთვე, რომელნი ჯუარ-ცუმულ იყვნეს მის თანა.

33. ხოლო მო-რაჲ-ვიდეს იესუჲსა (H 261v) და იხილეს იგი, რამეთუ მომკუდარ იყო, არა განუტეხნეს წჳვნი მისნი,

34. არამედ ერთმან ერისაგანმან ლახურითა უგუმირა გუერდსა[3] მისსა, და მეყსეულად გარდამოჴდა სისხლი და წყა-(K 273v)ლი.

35. და რომელმან იხილა, წამა, და ჭეშმარიტ არს წამებაჲ მისი, და მან უწყის, რამეთუ ჭეშმარიტსა იტყჳს, (I 203 r) რაჲთა თქუენცა გრწმენეს.

36. რამეთუ იყო ესე, რაჲთა წერილი აღესრულოს, ვითარმედ: ძუალი მისი არა შეიმუსროს.

37. და სხუაჲ წერილი იტყჳს: იხილონ, რომელსა-იგი უგუმირეს.

38. ამისა[4] შემდგომად ჰკითხა პილატეს იოსებ, რომელი იყო არიმათიაჲთ, რამეთუ იყო იგი მოწაფე იესუჲსი ფარულად, შიშისათჳს ჰურიათაჲსა, რაჲთა აღიღოს გუამი იესუჲსი. და უბრძანა მას პილატე. მოვიდა და აღიღო გუამი მისი.

---

[1] მოიღო F. [2] შაბათამდჱ F. [3] დღე F. [4] და გარდამოიხუნენ]—F. [5] მის]—F. [6] ი̃ჳსა F. [7] მომკდარ G. [8] გარდამოჴდა G. [9] უგმირეს G. [10] არიმათიაით F. [11] ი̃ჳსი F.

[1] შაბათამდე K. [2] მათნი] მისნი K. [3] გუჱრდსა HI. [4] ამისსა K.

| FG | HIK |
|---|---|
| 39. მოვიდა ნიკოდემოსცა, რომელ-იგი მოსრულ იყო იესუჲსა[1] ღამე პირველ. და მოიღო აღრეული მურისაჲ[2] და ალოჲსაჲ ვითარ ასი ლიტრაჲ. | 39. მოვიდა ნიკოდიმოსცა, რომელი-იგი მოსრულ იყო იესუჲსა ღამე პირველ, და მოიღო აღრეული მურისა და ალოჲსაჲ ვითარ ასი ლიტრაჲ. |
| 40. და მოიღეს გუამი იესუჲსი[3] და შეგრაგნეს იგი ტილოებითა სულნელთა[4] მათ თანა, ვითარცა ჩუეულებაჲ არს ჰუ(G 278r)რიათაჲ დაფლვასა. | 40. და მოიღეს გუამი იესუჲსი და შეგრაგნეს იგი ტილ(K 274r)ოებითა სულნელთა მათ თანა, (H 202r) ვითარცა ჩუეულებაჲ[1] არს ჰურიათა[2] დაფლვისაჲ. |
| 41. იყო ადგილსა მას, სადა ჯუარს-აცუეს. მტილი. და მტილსა მას შინა საფლავი ახალი, რომელსა არავინ დადებულ იყო. | 41. იყო ადგილსა მას, სადა ჯუარს-ეცუა, მტილი, და მტილსა მას შინა საფლავი ახალი, რომელსა არავინ დადებულ იყო. |
| 42. მუნ დადვეს გუამი იგი იესუჲსი[3] პარასკევისათჳს ჰურიათაჲსა, რამეთუ მახლობელ იყო საფლავი იგი. | 42. მუნ დადვეს გუამი იესუჲსი პარასკევისათჳს ჰურიათაჲსა, რამეთუ მახლობელ[3] (I 263v) იყო საფლავი იგი. |

## 20

| FG | HIK |
|---|---|
| 1. ერთსა მას შაბათსა მოვიდა მარიამ მაგდანელი[5] განთიად, ვიდრე ბნელღა იყო, საფლავსა მას და იხილა ლოდი იგი აღებული კარისა მისგან საფლავისა. | 1. ერთსა მას შაბათსა მოვიდა მარიამ მაგდალენელი[4] განთიად, ვიდრე ბნელღა იყო, საფლავსა მას ზედა და იხილა ლოდი იგი აღებული კარისა მისგან საფლავისა. |
| 2. რბიოდა და მოვიდა სიმონ-პეტრესა და სხ(F 219r)ჳსა მის მოწფისა[6], რომელი უყუარდა იესუს, და ჰრქუა მათ: აღიღეს უფალი საფლავით[7], და არა უწყი, სადა დადვეს იგი. | 2. რბიოდა და მოვიდა სიმონ-პეტრესა[5] და სხჳსა მის მოწფისა[6], რომელი უყუარდა იესუს, და ჰრქუა მათ: აღიღეს უფალი საფლავისაგან, და არა უწყი, სადა დადვეს იგი. |
| 3. გამოვიდა სიმონ-პეტრე[8] და ერთი იგი მოწაფჱ[9] და მოვიდოდეს საფლავად. | 3. გამოვიდა პეტრე და სხუაჲ იგი მოწაფჱ[7] და მოვიდოდეს საფლავად. |
| 4. რბიოდეს ორნივე ზოგად. ხოლო ერთი იგი მოწაფჱ წინა რბიოდა უადრეს პეტრესსა[10] და მოვიდა პირველად საფლავად. | 4. რბიოდეს ორნივე ზოგად. ხოლო სხუაჲ იგი მოწაფე წინა რბიოდა უადრეს პეტრესსა და მოვიდა პირველად საფლავად. |
| 5. (G 278v) შთახედნა[11] საფლავსა მას და იხილნა ტილონი იგი ხოლო მდებარენი და შინა არა შევიდა. | 5. და შთახედნა[8] საფლავსა მას (K 274v) და იხილნა ტილონი იგი ხოლო მდებარენი და შინა არა შევიდა. |
| 6. მოვიდა სიმონ-პეტრეცა შემდგომად მისა და შევიდა საფლავად და იხილნა ტილონი იგი მდებარენი, | 6. (H 202v) მოვიდა სიმონ-პეტრეცა შემდგომად მისა[9] და შევიდა საფლავად და იხილნა ტილონი იგი მდებარენი, |

---

[1] ი͞ჳსა F. [2] მჳრისა G. [3] ი͞ჳსი F. [4] სურნელთა F. [5] მაგდალენელი G. [6] მ͞წფისა F, მოწ͞ფსა G. [7] საფლავისაგან G. [8] სიმონ-პეტრჱ F. [9] მოწაფე F. [10] პეტრესა G. [11] შთახედა G.

[1] ჩუჱულებაჲ HI. [2] ჰურიათაჲ K. [3] მახლობ\| I. [4] მაღდალენელი K. [5] სიმონ-პეტრესსა HIK. [6] მ͞წფისა HI. [7] მოწაფე IK. [8] შთახედა HI. [9] მისსა K.

| FG | HIK |
|---|---|
| 7. და სუდარი იგი, რომელი იყო თავსა მისსა არა ტილოთა თანა მდებარე, არამედ თჳსაგან შეკეცილი ერთსა ადგილსა. | 7. და სუდარი იგი, რომელი იყო თავსა მისსა არა ტილოთა თანა მდებარე. არამედ თჳსაგან შეკეცილი ერთსა ადგილსა. |
| 8. მაშინ შევიდა სხუაჲცა იგი მოწაფჱ, რომელი მოვიდა პირველად პეტრესა საფლავად. და იხილეს და ჰრწმენა. | 8. მაშინ შევიდა სხუაჲცა იგი მოწაფე, რომელი მოვიდა პირველად პეტრესა[1] (I 264r) საფლავად. და იხილეს და ჰრწმენა. |
| 9. რამეთუ არღა იცოდეს წერილისაჲ, ვითარმედ: ჯერ-არს მისი მკუდრეთით აღდგომაჲ. | 9. რამეთუ არღა იცოდეს წერილისაჲ, ვითარმედ: ჯერ-არს მისი მკუდრეთით აღდგომაჲ. |
| 10. წარვიდეს კუალად თჳსაგან მოწაფენი იგი. | 10. წარვიდეს უკუე[2] კუალად თჳსაგან მოწაფჱნი იგი. |
| 11. ხოლო მარიამ დგა გარეშე საფლავსა მას თანა და[1] ტიროდა. და ვითარ ტიროდა, შთახედა საფლავსა მას | 11. ხოლო მარიამ დგა გარეშე საფლავსა მას თანა და ტიროდა. და ვითარ ტიროდა, შთახედნა[3] საფლავსა მას |
| 12. და იხილნა ორნი ანგელოზნი, სპეტაკითა მოსილნი, მსხდომარენი (F 219v) ერთი თავით და ერთი ფერჴით, სადა-იგი იდვა გუამი უფლისა იესუჲსი[2]. | 12. და იხილნა ორნი ანგელოზნი, სპეტაკითა მოსილნი, მსხდომარენი ერთი თავით და ერთი ფერჴით, სადა-იგი იდვა გუამი უფლისა იესუჲსი. |
| 13. და ჰრქუეს მას[3] ანგელოზთა მათ: დედაკაცო, რაჲსა[4] სტირ? ხოლო მან ჰრქუა მათ, რამეთუ: აღიღეს[5] უფალი ჩემი საფლავით, და არა უწყი, სადა დადვეს იგი. | 13. და ჰრქუეს მას[4] ანგელოზთა (K 275r) მათ: დედაკაცო, რაჲსა სტირ? ხოლო მან ჰრქუა მათ, რამეთუ: აღიღეს უფალი ჩემი საფლავით, და არა უწყი, სადა დადვეს იგი. |
| 14. (G 270r) ესე რაჲ თქუა[6], მიიქცა გარე და იხილა იესუ მდგომარე და არა უწყოდა, რამეთუ იესუ არს. | 14. ესე რაჲ თქუა, მიიქცა გარე და იხილა იესუ მდგომარე და არა უწყოდა, რამეთუ იესუ არს. |
| 15. ჰრქუა მას იესუ: დედაკაცო, რაჲსა სტირ? ვის ეძიებ? მას ეგონა. ვითარმედ მემტილე იგი არს, და ჰრქუა მას: უფალო, უკუეთუ შენ აღიღე იგი, მითხარ მე[7], სადა დასდევ, რაჲთა მე წარმოვიღო იგი. | 15. ჰრქუა მას იესუ: დედაკაცო, (H 268r) რაჲსა სტირ? ვის ეძიებ? მას ეგონა, ვითარმედ მემტილე იგი არს, და ჰრქუა მას: უფალო, უკუეთუ შენ აღიღე იგი, მითხარ მე, სადა დასდევ, და მე წარმოვიღო იგი. |
| 16. ჰრქუა მას იესუ: მარიამ! მიიხილა მან გარე და ჰრქუა მას ებრაელებრ: რაბი! რომელსა ჰრქჳან[8] მოძღუარ, და მირბიოდა შემთხუევად მისა. | 16. ჰრქუა მას იესუ: მარიამ! მიიხილა მან გარე და ჰრქუა მას ებრაელებრ: რა(I 264v)ბბუნი! რომელსა ჰრქჳან[5] მოძღუარ, და მირბიოდა შემთხუევად[6] მისა[7]. |
| 17. ჰრქუა მას იესუ: ნუ შემომეხები მე, რამეთუ არღა აღსრულ ვარ მამისა | 17. ჰრქუა მას იესუ: ნუ შემომეხები მე, რამეთუ არღა აღსრულ ვარ მამისა |

---

[1] და] — G. [2] ი̃ჳსი F. [3] მას] — G. [4] რასა F. [5] აღიღეთ F. [6] ჰრქუა F. [7] მე] — F. [8] ჰქჳან F.

[1] პეტრესსა HIK. [2] უკუჱ HI. [3] შთახედა HI. [4] მას] — K. [5] ჰქჳან H. [6] შემთხუჱვად HI. [7] მისსა K.

FG

ჩემისა: წარვედ ძმათა ჩემთა და არქუ მათ: აღვალ მამისა ჩემისა და მამისა თქუენისა. ღმრთისა ჩემისა და ღმრთისა თქუენისა.

18. მოვიდა მარიამ მაგდანელი[1] თხრობად მოწაფეთა მისთა. რამეთუ იხილა უფალი და ესრეთ ჰრქუა მას.

19. და ვითარცა შემწუხრდა დღჱ[2] იგი ერთშაბათისაჲ მის. და კარნი იგი და(F 220რ)ჴშულ[3] იყვნეს. სადა-იგი მოწაფენი დამალულ იყვნეს შიშისათჳს (G 279ც/) ჰურიათაჲსა. მოვიდა იესუ და დადგა შორის მათსა და ჰრქუა მათ[4]: მშჳდობაჲ თქუენ თანა!

20. და ესე ვითარცა თქუა იესუ, უჩუენნა მათ ჴელნი თჳსნი და გუერდი. და განიხარეს მოწაფეთა, იხილეს რაჲ უფალი.

21. მერმე[5] ჰრქუა მათ: მშჳდობაჲ თქუენ თანა! ვითარცა მომავლინა მე მამამან, მეცა წარგავლინებ თქუენ.

22. და ვითარცა ესე თქუა. ჰბერა მათ და ჰრქუა: მიიღეთ სული წმიდაჲ.

23. უკუეთუ ვიეთნიმე მიუტევნეთ ცოდვანი, მიეტევნენ მათ; და უკუეთუ ვიეთნიმე შეიპყრნეთ, შეპყრობილ იყვნენ.

24. ხოლო თომა, ერთი იგი ათორმეტთაგანი, რომელსა ერქუა მარჩბივ, არა იყო მათ თანა, ოდეს-იგი მოვიდა იესუ.

25. უთხრობდეს მას სხუანი იგი მოწაფენი, ვითარმედ: ვიხილეთ ჩუენ უფალი. ხოლო მან ჰრქუა მათ: უკუეთუ არა ვიხილო ჴელთა მისთა საჴჱ[6] იგი სამსჭუალთაჲ[7] და დავასხნე[8] თითნი ჩემნი ადგილსა მას სამსჭუალთასა[9] და დასდვა ჴელი ჩემი გუერდსა მისსა[10], არასადა მრწმენეს.

HIK

ჩემისა; წარვედ ძმათა ჩემთა და არქუ მათ: აღვალ მამისა ჩემისა და მამისა თქუენისა, ღმრთისა ჩემისა და ღმრთისა თქუენისა.

18. მოვიდა მარიამ მაგდალენელი[1] თხრობად მოწაფეთა მისთა, რამეთუ იხილა უფალი დაეს(K 275ც/)რეთ ჰრქუა მას.

19. და ვითარცა შემწუხრდა დღე იგი ერთშაბათისაჲ მის, და კარნი იგი დაჴშულ იყვნეს, სადა-იგი იყვნეს მოწაფენი შეკრებულ შიშისათჳს ჰურიათაჲსა, მოვიდა იესუ და დადგა შორის მათსა და ჰრქუა მათ: მშჳდობაჲ თქუენ თანა!

20. და ვითარცა ესე[2] თქუა, უჩუენნა[3] მათ ჴელნი თჳსნი და გუერდი[4] მისი. (H 203ც/) და განიხარეს მოწაფეთა, იხილეს რაჲ უფალი.

21. ჰრქუა მათ იესუ კუალად: მშჳდობაჲ თქუენ თანა! ვითარცა მომავლინა მე მამამან, მეცა წარგავლინებ თქუენ.

22. და ვითარცა ესე თქუა, შეჰბერა მათ და ჰრქუა: მიიღეთ სული წმიდაჲ.

23. უკუეთუ[5] ვიეთნიმე მიუტევნეთ ცოდვანი, (I 265რ) მიეტევნენ მათ; და უკუეთუ ვიეთნიმე შეიპყრნეთ, შეპყრობილ იყვნენ.

24. ხოლო თომა, ერთი იგი ათორმეტთაგანი, რომელსა ერქუა მარჩბივ, არა იყო მათ თანა, ოდეს-იგი მოვიდა იესუ.

25. უთხრობდეს მას სხუანი იგი მოწაფენი, ვითარმედ: ვიხილეთ (K 276რ) ჩუენ უფალი. ხოლო მან ჰრქუა მათ: უკუეთუ არა ვიხილო ჴელთა მისთა სახე იგი სამშჭუალთაჲ და დავსხნე თითნი ჩემნი ადგილსა მას სამშჭუალთასა და დავსდვა ჴელი ჩემი გუერდსა[6] მისსა, არასადა მრწმენეს.

---

[1] მაგდალჱნელი G. [2] დღე F. [3] დაჴშულნი G. [4] მათ] — F. [5] და მერმე G. [6] სახე F. [7] სამშჭუალთაჲ G. [8] დავსხნე G. [9] სამშჭუალთასა G. [10] მისა F.

[1] მაგდალჱნელი K. [2] + ესე ვითარცა K. [3] უჩუენნა HI. [4] გუერდი HI. [5] უკუეთუ H. [6] გუერდსა HI.

FG

26. (G 280 r) და შემდგომად რვი(F 220 v)სა დღისა კუალად იყვნეს მოწაფენი შინაგან, და თომაცა მათ თანა. და შევიდა იესუ კართა დაჴშულთა და დადგა შორის მათსა და ჰრქუა: მშჳდობაჲ თქუენ თანა!

27. მერმე ჰრქუა თომას: მოყვენ თითნი შენნი და იხილენ ჴელნი ჩემნი და დამდევ ჴელი შენი გუერდსა ჩემსა და ნუ იყოფი ურწმუნო, არამედ გრწმენინ.

28. მიუგო თომა და ჰრქუა: უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი!

29. ჰრქუა მას იესუ, რამეთუ: მიხილე მე და გრწამ: ნეტარ იყვნენ, რომელთა არა ვეხილვო და ვჰრწმენე[1].

30. მრავალნი სხუანიცა[2] სასწაულნი ქმნნა[3] იესუ წინაშე მოწაფეთა თჳსთა, რომელ არა დაწერილ არიან წიგნსა ამას.

31. ხოლო ესე დაიწერა, რაჲთა გრწმენეს, რამეთუ იესუ ქრისტე[4] არს, ძჱ[5] ღმრთისაჲ და რაჲთა გრწმენეს და ცხორებაჲ გაქუნდეს სახელითა მისითა.

HIK

26. და შემდგომად რვისა დღისა კუალად იყვნეს მოწაფენი მისნი შინაგან, და თომაცა მათ თანა. და შევიდა იესუ კართა დაჴშულთა და დადგა შორის მათსა და ჰრქუა მათ: მშჳდობაჲ თქუენ თანა!

27. მერმე ჰრქუა თომას: (H 204 r) მოყვენ თითნი შენნი და იხილენ ჴელნი ჩემნი და მოიღე ჴელი შენი და დასდევ გუერდსა[1] ჩემსა და ნუ იყოფი ურწმუნო, არამედ გრწმენინ.

28. მიუგო თომა და ჰრქუა: უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი!

29. ჰრქუა მას იესუ, რამეთუ: მიხილე (I 205 v) და გრწამს: ნეტარ არიან, რომელთა არა უხილავ და ჰრწმენეს.

30. მრავალნი სხუანიცა სასწაულნი ქმნნა იესუ წინაშე მოწაფეთა თჳსთა, რომელნი არა (K 270 v) დაწერილ არიან წიგნსა ამას.

31. ხოლო ესე დაიწერა. რაჲთა გრწმენეს. რამეთუ იესუ არს ქრისტე. ძჱ[2] ღმრთისაჲ და რაჲთა გრწმენეს და ცხორებაჲ გაქუნდეს სახელითა მისითა.

# 21

1. ამისა შემდგომად კუალად გამოუცხადა თავი თჳსი იესუ მოწაფეთა თჳსთა ზღუასა მას ზედა ტიბერიისასა[6]. (G 280 v) და ესრეთ გამოუცხადა:

2. იყვნეს ზოგად სიმონ-პეტრე და თომა, რომელსა ერქუა მარჩბივ, და ნათანაელ, რომელ[7] იყო კანაით გალილეაჲსაჲთ[8], და ძენი[9] ზებედესნი და სხუანი მოწაფეთაგანნი ორნი.

3. ჰრქუა მათ სიმონ-პეტრე: (F 221 r) წარვიდე სათხევლობად. ჰრქუეს მას: ჩუენცა წარვიდეთ შენ თანა. განვიდეს

1. ამისა[3] შემდგომად კუალად გამოუცხადა თავი თჳსი იესუ მოწაფეთა თჳსთა ზღუასა მას ზედა ტიბერიისასა. ხოლო გამოუცხადა ესრეთ:

2. იყვნეს ზოგად სიმონ-პეტრე და თომა, რომელსა ერქუა მარჩბივ. და ნათანაელ, რომელი იყო კანაჲთ გალილეაჲსაჲთ, და ძენი ზებედესნი და სხუანი მოწაფეთაგანნი ორნი.

3. ჰრქუა მათ სიმონ-პეტრე: წარეიდე[4] სათხევ(H 204 v)ლობად. ჰრქუეს მას: მოვიდეთ ჩუენცა შენ თანა. განვი-

---

[1] ვჰრწმენჱ G. [2] სხუანიცა] — G. [3] ქმნა F. [4] ქრისტჱ F. [5] ძე F. [6] ტიბერიაჲსასა F. [7] რომელი G. [8] კანაჲს გალილეაჲსით G. [9] ძჱნი G.

[1] გუჱრდსა HI. [2] ძჱ HI (=ძე), ძე K. [3] ამისსა K. [4] წარეიდე HI (=წარვიდეთ), წარვიდეთ K.

| FG | HIK |
|---|---|
| და შევიდეს ნავსა. და მას ღამესა არარაჲ იპყრეს. | დეს და შევიდეს ნავსა. და მას ღამესა არარაჲ იპყრეს. |
| 4. და ვითარცა განთენებოდა, დგა იესუ კიდესა ზედა, და არა უწყოდეს მოწაფეთა, ვითარმედ უფალი არს. | 4. და ვითარცა განთენდებოდა, დგა იესუ კიდესა ზედა, და არა უწყოდეს მოწაფეთა, ვითარმედ უფალი არს. |
| 5. ჰრქუა მათ იესუ: ყრმანო, საჭმელი გაქუს რაჲ? მიუგეს და ჰრქუეს: არა[1]. | 5. (I 206r) ჰრქუა მათ იესუ: ყრმანო, საჭმელი ნუ გაქუს რაჲ? მიუგეს და ჰრქუეს მას[1]: არა. |
| 6. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: სდევით ბადე ეგე მარჯუენით კერძო ნავისა მის და ჰპოოთ. ხოლო მათ სდვეს ბადე იგი და ვერღარა ეძლო გამოთრევად სიმრავლითა მით თევზთაჲთა. | 6. ხოლო თავადმან (K 277r) ჰრქუა მათ: სდევით ბადე ეგე მარჯუენით[2] კერძო ნავისა მაგის და ჰპოოთ. ხოლო მათ სდვეს ბადე იგი და ვერღარა ეძლო გამოთრევად სიმრავლისა მისგან თევზთაჲსა. |
| 7. ჰრქუა პეტრეს მოწაფემან მან, რომელი უყუარდა იესუს, ვითარმედ: უფალი არს. ხოლო სიმონ-პეტრეს ვითარცა ესმა, რამეთუ უფალი არს, (G 281r) მოირტყა შესამოსელი თჳსი, რამეთუ შიშუელ[2] იყო, და შთაიგდო თავი თჳსი[3] ზღუად. | 7. ჰრქუა პეტრეს მოწაფემან მან, რომელი უყუარდა იესუს, ვითარმედ: უფალი არს. ხოლო სიმონ-პეტრეს ვითარცა ესმა, ვითარმედ უფალი არს, მოირტყა შესამოსელი თჳსი, რამეთუ შიშუელი[3] იყო, და შთაიგდო თავი თჳსი ზღუად. |
| 8. ხოლო სხუანი მოწაფენი ნავითა მოვიდოდეს, რამეთუ არა შორს იყვნეს ქუეყანისაგან, არამედ ორას წყრთა ოდენ, და გამოითრევდეს ბადესა მას თევზითა სავსესა. | 8. ხოლო სხუანი მოწაფენი ნავითა მოვიდოდეს[4], რამეთუ არა შორს იყვნეს ქუეყანისაგან, არამედ ორას წყრთა ოდენ, და გამოითრევდეს ბადესა მას თევზითა სავსესა. |
| 9. ვითარცა გამოჴდეს ქუეყანად[4], იხილეს ნაკუერცხალი ცეცხლისაჲ მდებარე და თევზი მას ზედა და პური. | 9. და ვითარცა გამოჴდეს ქუეყანად, იხილეს ნაკ(H 265r)უერცხალი[5] მდებარე და თევზი მას ზედა და პური. |
| 10. ჰრქუა მათ იესუ: მოიღეთ თევზთა მათგანი, რომელი იპყართ. | 10. ჰრქუა[6] მათ იესუ: მოიღეთ თევზთა მათგანი, რომელ იპყართ. |
| 11. გამოვიდა სიმონ-პეტრეცა და გამოითრევდა ქუეყანად ბადესა მას, (F 221v) სავსესა დიდ-დიდითა[5] თევზითა, რომელ იყო ას ერგასის და სამ. ესოდენ იყო, და არა განსთქდა ბადე იგი. | 11. აღვიდა სიმონ-პეტრეცა და გამოი(I 206v)თრე(K 277v)ვდა ბადესა მას ქუეყანად, სავსესა დიდ-დიდითა თევზითა, რომელი იყო ას ერგასის და სამ. ესოდენ იყო, და არა განსთქდა ბადე იგი. |
| 12. ჰრქუა მათ იესუ: მოვედით და ისადილენით. და არავინ იკადრა მოწაფეთაგანმან კითხვად მისა, ვითარმედ: შენ ვინ ხარ? უწყოდეს, რამეთუ თჳთ უფალი არს. | 12. ჰრქუა მათ იესუ: მოვედით და ისადილენით. და არავინ იკადრა მოწაფეთაგანმან კითხვად მისა[7], ვითარმედ: შენ ვინ ხარ? იცოდეს ყოველთა, რამეთუ უფალი არს. |

---

[1] არაჲ F. [2] შიშუელი G. [3] (თჳსი) — F. [4] ჴმელად ქუეყანად FG. [5] დიდ-დითა F.

[1] (მას) — K. [2] მარჯუენით HI. [3] შიშული HI. [4] მოვიდეს HI. [5] ნაკუერცხალი HIK. [6] და ჰრქუა K. [7] მისსა K.

FG

13. მოიღო იესუ პური იგი და მისცა (G 281v) მათ, და თევზი იგი ეგრევე.

14. ესე სამ-გზის გამოეცხადა იესუ მოწაფეთა თჳსთა, აღ-რაჲ-დგა იგი[1] მკუდრეთით.

15. და ოდეს ისადილნეს, ჰრქუა სიმონ-პეტრეს იესუ: სიმონ იონაჲსო, გიყუარ მეა უფროჲს ამათსა? ჰრქუა მას პეტრე: ჰე[2], უფალო, შენ უწყი, რამეთუ მიყუარ შენ. ჰრქუა მას იესუ: დააძოვენ[3] კრავნი ჩემნი.

16. ჰრქუა მას მერმე მეორედ: სიმონ იონაჲსო[4], გიყუარ მეა? ჰრქუა მას პეტრე: ჰე[2], უფალო, შენ იცი, რამეთუ მიყუარ შენ. ჰრქუა[5] მას იესუ: დამწყსენ ცხოვარნი[6] ჩემნი.

17. მერმე ჰრქუა მას იესუ მესამედ: სიმონ იონაჲსო, გიყუარ მეა? შეწუხნა პეტრე, რამეთუ ჰრქუა მას მესამედ: გიყუარ მეა? და ჰრქუა მას: უფალო, შენ ყოველი უწყი და შენ ყოველი იცი, და რამეთუ მიყუარ შენ. ჰრქუა მას იესუ: დამწყსენ ცხოვარნი[6] ჩემნი.

18. ამენ, ამენ გეტყჳ შენ: ოდეს იყ(F 222r)*ავ ჭაბუკ, შეირტყი თავით თჳსით და (G 282r) ხჳდოდი[7], ვიდრეცა შენ[8] გნებავნ. ხოლო რაჟამს დაჰბერდე, განგიპყრნენ ჴელნი შენნი და სხუათა შეგარტყან შენ[9] და წარგიყვანონ შენ, ვიდრეცა შენ არა გინდეს.

19. ხოლო ესე თქუა და აუწყა, რომლითა სიკუდილითა ადიდოს უფალი. და ესე ვითარცა[10] თქუა, მერმე ჰრქუა მას: შემომიდეგ მე.

20. მოიქცა პეტრე და იხილა მოწაფჱ[11] იგი, რომელი უყუარდა იესუს, რომელიცა-იგი[12] მიეყრდნა სერობასა მას

HIK

13. მოვიდა იესუ და მოიღო პური იგი დაჼმისცა მათ, და თევზი იგი ეგრეთვე.

14. ესე სამ-გზის გამოეცხადა იესუ მოწაფეთა თჳსთა, აღ-რაჲ-დგა[1] მკუდრეთით.

15. და ოდეს ისადილნეს, ჰრქუა სიმონ-პეტრეს იესუ: სიმონ იონაჲსო, გიყუარ მეა უფროჲს ამათსა? ჰრქუა მას პეტრე: ჰე[2], უფალო, შენ უწყი, რამეთუ მიყუარ შენ. ჰრქუა მას იესუ: აძოვენ კრავნი ჩემნი.

16. ჰრქუა მას მერმეცა მეორედ: სიმონ იონაჲსო, გიყუარ მეა? ჰრქუა მას პეტრე: ჰე[2], უფალო, შენ იცი. (H 205v) რამეთუ მიყუარ შენ. ჰრქუა მას იესუ: დამწყსენ ცხოვარნი ჩემნი.

17. კუალად ჰრქუა მას იესუ მესამედ: სიმონ იონაჲსო, გიყუარ მეა? (I 207r, K 278r) შეწუხნა პეტრე, რამეთუ ჰრქუა მას მესამედ: გიყუარ მე? და ჰრქუა მას: უფალო, შენ ყოველი უწყი და ყოველი იცი, რამეთუ მიყუარ შენ. ჰრქუა[3] მას იესუ: დამწყსენ ცხოვარნი ჩემნი.

18. ამენ, ამენ გეტყჳ შენ: ოდეს იყავ ჭაბუკ, შეირტყი თავით თჳსით და ხჳდოდი, ვიდრეცა გნებავნ. ხოლო რაჟამს დაჰბერდე, განიპყრნე ჴელნი შენნი, და სხუამან შეგარტყას შენ და წარგიყვანოს, ვიდრეცა შენ არა გინდეს.

19. ხოლო ესე თქუა და აუწყებდა, რომლითა სიკუდილითა ადიდოს ღმერთი. და ვითარცა ესე თქუა, ჰრქუა მას: შემომიდეგ მე.

20. მოიქცა პეტრე და იხილა მოწაფე იგი, რომელი უყუარდა იესუს, მისდევედა რაჲ, რომელი-იგი მიეყრდნა სერობასა,

---

[1] იგი] — G. [2] ჰჱ F. [3] აძოვენ F. [4] იონაჲსი F. [5] და ჰრქუა G. [6] ცხოარნი F. [7] ხუდოდი G. [8] შენ] — F. [9] და სხუათა შეგარტყან შენ] — F. [10] ~ ვითარცა ესე F. [11] მოწაფე F. [12] რომელიცა F.

* F ხელნაწერის 222r დაწერილია ნუსხურით, რომლითაც შევსებულია სხვა ნაკლული ადგილები (ლ. 24, 17—53, ფ. 171v—173r და სხვ.).

[1] აღ-რაჲ-დგა] აღდგა რაჲ K. [2] ჰჱ K. [3] ჰ̃ა K.

FG

მკერდსა მისსა[1] და ჰრქუა მას: უფალო, ვინ არს, რომელი მიგცემს შენ?

21. ესე ვითარცა იხილა პეტრე, ჰრქუა იესუს: უფალო, ამისთჳს რაჲ სთქუ?

22. ჰრქუა მას იესუ: უკუეთუ მინდეს ყოფაჲ მაგისი, ვიდრემდე მოვიდე, შენდა რაჲ არს[2]? შენ მე[3] შემომიდეგ.

23. და განჴდა სიტყუაჲ ესე ძმათა შორის, ვითარმედ: მოწაფჱ[4] იგი არა მოკუდეს[5]. და არა ჰრქუა მას იესუ, ვითარმედ: არა მოკუდეს, არამედ: უკუეთუ მინდეს მაგისი ყოფაჲ ვიდრე მოსლვად ჩემდამდე.

24. (G 282v/) ესე არს მოწაფჱ[4] იგი, რომელი წამებს ამათთჳს და რომელმან დაწერა ესე. და ვიცით[6], რამეთუ ჭეშმარიტ არს წამებაჲ მისი.

25. და არიან სხუანიცა მრავალნი სასწაულნი, რომელნი ქმნნა იესუ. უკუეთუმცა დაიწერებოდეს[7] თითოეულად[8], არცაღა ვჰგონებ, ვითარმედ სოფელმან ამან დაიტია აღწერილი წიგნები.

HIK

მას მკერდსა მისსა და ჰრქუა მას: უფალო, ვინ არს, რომელი მიგცემს შენ?

21. ესე ვითარცა იხილა პეტრე, ჰრქუა იესუს: უფალო, ხოლო ესე რაჲ?

22. ჰრქუა მას იესუ: უ(II 200r)კუეთუ[1] მინდეს ყოფაჲ მაგისი, ვიდრემდე მოვიდე, შენდა რაჲ? შენ მე შემომიდეგ.

23. (I 207v/) და განჴდა სიტყუაჲ ესე ძმათა შორის, ვითარმედ: მოწაფე იგი არა მოკუდეს. და არა ჰრქუა მას იესუ, ვითარმედ: არა მოკუდეს, არამედ: უკუეთუ მინდეს მაგისი ყოფაჲ ვიდრე მოსლვად ჩემდამდე, შენდა რაჲ?

24. ესე არს მოწაფე იგი, რომელი წამებს ამათთჳს და რომელმან დაწერა ესე. და უწყით, რამეთუ ჭეშმარიტ არს წამებაჲ მისი.

25. და არიან სხუანიცა მრავალ, რომელ ქმნნა იესუ, რომელნი თუმცა დაიწერებოდეს თითოეულად, (K 278v/) არცაღა ვჰგონებ, ვითარმცა სოფელმან ამან დაიტია აღწერილი წიგნები.

---

[1] მისა F. [2] არს] — G. [3] მე] — G. [4] მოწაფე F. [5] მოკუდეს G. [6] ვიცით] უწყით G. [7] და არიან... დაიწერებოდეს] ხოლო არს სხუაჲცა მრავალ, რავდენი ქმნა იესუ, უკუეთუმცა აღწ... ჲ (ესეც არ არის F-ში). [8] თითოეულად G.

[1] უკუეთუ H.

# ხელნაწერის ფოტოპირები



ურბნისის ოთხთავი, A 28 (F)

46r=მ. 21,2—11.



ურბნისის ოთხთავი
210ყ=ი. 16,7—17.



პალესტინური ოთხთავი, H 1741 (G).
188რ = ლ. 15,21—2,8.



პალესტინური ოთხთავი.
IEმ;ო=ლ. 15,28—16,2.



ვანის ოთხთავი, A 1335 (H).

42 r = მ. 14,21—29.



ვანის ოთხთავი.
42ყ=მ. 14,29—15,2.



ეჩმიაძინის ოთხთავი, Rt XIX № 1 (I).

157r = ლ. 8,23—28.



ეჩმიაძინის ოთხთავი.
157ყ = ლ. 8,28—34.



გელათის ოთხთავი, Q 908 (K).
131ψ=მრ. 14,19—27.



გალათის ოთხთავი.
132r = მრ. 14,27—37.

## ᲫᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲙᲐᲗᲔᲓᲠᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲔᲑᲘ

(დაიბეჭდა)

1. ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები. ტექსტები გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ. თბ., 1955, XXXII+222 გვ.
2. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა. I. მორფოლოგია. თბ., 1955, 08+330 გვ., გამოცემა მეორე, შესწორებული. თბ., 1962, 335 გვ.
3. ვეფხისტყაოსნის სიმფონია. შედგენილი ა. შანიძის ხელმძღვანელობით, მისივე წინასიტყვაობით და გამოკვლევით. თბ., 1956, 039+431 გვ.
4. ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957, 028+784 გვ.
5. სინური მრავალთავი 864 წლისა. გამოსაცემად მოამზადეს კათედრის წევრებმა ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით. თბ., 1959, 020+338 გვ.
6. თ. უთურგაიძე, თუშური კილო. თბ., 1960, 08+236 გვ.
7. კრებული. თბ., 1961.
   იოვანეს გამოცხადება და მისი თარგმანება. ძველი ქართული ვერსია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. იმნაიშვილმა (გვ. 1—205).
   ა. შანიძე. გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან ქართულში (გვ. 207—228).
   ლ. კიკნაძე, უწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივი ძველ ქართულში (გვ. 229—279).
8. საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, I. გამოსცა ი. იმნაიშვილმა. თბ., 1963, VII+64 გვ.
9. კრებული. თბ., 1964.
   ა. შანიძე, ანტონ I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე და ძველი ქართული ენის ძეგლების ვითარება ახალი აღთქმის წიგნების გამოცემებში (გვ. 1—94).
   ლ. ბარამიძე. ზოგიერთი ტიპის მეშველ-ზმნიან ფორმათა ჩასახვა და განვითარება ქართულში (გვ. 95—150).
   ზ. ჭუმბურიძე, საკუთარ სახელთა ბრუნება სვანურში (გვ. 151—157).
   კ. დანელია, იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიები და მათი მომდინარეობის საკითხი (გვ. 159—184).
   მზექალა შანიძე, უდაბნოს მრავალთავის ერთი ადგილის იდენტიფიკაციისათვის (გვ. 185—186).
   კრიტიკა და ბიბლიოგრაფია (გვ. 187—209).
   პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი). შრომები. ეფრემ მცირის თარგმანი, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო სამსონ ენუქაშვილმა. თბ., 1961 (რეცენზია ა. შანიძისა, გვ. 187—193).

ძველ ქართულ-რუსული ლექსიკონი (ოთხთავის ორი ძველი რედაქციის მიხედვით), შეადგინა ს. ბ. სერებრიაკოვმა. საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა. თბ., 1962, XIV+285 გვ. რეცენზია მ ზ. შანიძისა, გვ. 195—200).

10. საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II, გამოსცა ი. იმნაიშვილმა. თბ., 1966, 08+239 გვ.

11. საიუბილეო. თბ., 1968.

ა. შანიძე, ერგასეულის წლისთავზე (გვ. VII—VIII).

ა. შანიძე, შესავალი სიტყვა, წარმოთქმული დისერტაციის დაცვისას თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე 1920 წლის 9 მაისს (გვ. 1—6).

ა. შანიძე, ავრი სუფიქსიანი ქალის სახელები ძველ ქართულში (გვ. 7—16).

ა. შანიძე და ვ. ცისკარიშვილი, ბარანის ციხის წარწერა (გვ. 17—26).

А. Шанидзе и В. Цискаришвили, Надпис Баранской крепости (Резюме) (стр. 26).

ი. იმნაიშვილი, ენებითი გვარის ზმნათა თავისებურებანი ძველ ქართულში (გვ. 27—54).

ზ. ჭუმბურიძე, მყოფადის წარმოქმნის ისტორიისათვის ძველ ქართულში (გვ. 55—76).

მ. შანიძე. შესავალი ეფრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანებისა (ტექსტი და შენიშვნები). (გვ. 77—122).

კ. დანელია, ძველი ქართულის ლექსიკიდან (გვ. 123—131).

დ. მელიქიშვილი, ზოგი საკავშირებელი სიტყვისა და ნაწილაკის მნიშვნელობისათვის იოანე პეტრიწის ნაწერებში (გვ. 133—142).

А. Шанидзе, Грузинская надпись XI—XII вв. из Армении (стр. 143—144).

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია (გვ. 143—165).

მზია ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ურთიერთობიდან. I. თბ., 1966 (რეცენზია ა. შანიძისა, გვ. 145—158).

რომან მიმინოშვილი, იოანე დამასკელის „გარდამოცემის" ქართული თარგმანები, თბ., 1966 (რეცენზია კ. დანელიასი, გვ. 159—165).

12. ცხორებაჲ წმიდისა ანტონისი. ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ვახტანგ იმნაიშვილმა. თბ., 1970, 156 გვ.

13. ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ლექსიკონით, ენის მიმოხილვით და ტაბულებით. ნაწილი I, ტექსტები და ლექსიკონი, 1970, 384 გვ.

14. ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ლექსიკონით, ენის მიმოხილვით და ტაბულებით. ნაწილი II, ენის მიმოხილვა და ტაბულები, 1971, 384 გვ.

15. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გამოცემა მეორე, 1973, 020+660 გვ.

16. პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები. გამოსაცემად მოამზადეს ქე-

თევან ძოწენიძემ და კორნელი დანელიამ ა. შანიძის რედაქციით. 1974. 032+525 გვ.

17. ი. იმნაიშვილი, სინური მრავალთავი, გამოკვლევა და ლექსიკონი. 1975, 287 გვ.

18. ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა. 1976, 188 გვ.

19. კრებული. თბ., 1976. მიეძღვნა ივანე ჯავახიშვილს.
   - ა. შანიძე, თამარ მეფის ხელსაქმრის გამო (გვ. 7—11).
   - ა. შანიძე, ბგერათა ცვალება ენის ისტორიული განვითარების პროცესში და ორთოგრაფია (გვ. 13—18).
   - ა. შანიძე, ეტიმოლოგიური შენიშვნები. დაჩი, თითი (გვ. 19—23).
   - ზ. ჭუმბურიძე, -ავ და -ამ თემის-ნიშნიან ზმნათა უღლებისათვის I თურმეობითში (გვ. 25—37).
   - ლ. ბარამიძე, საწყისი ძველ ქართულში (გვ. 39—78).
   - ლ. ბარამიძე, ვნებითი გვარის ზმნათა აწმყოს დაბოლოებისათვის ძველ ქართულში (გვ. 79—95).
   - კ. დანელია, პავლეს ეპისტოლეთა ქართული რედაქციები (გვ. 97—163).
   - კ. დანელია, ვნებითი გვარის წარმოებისათვის კოლხურში (გვ. 165—175).
   - რ. ენუქაშვილი, ხანმეტობა-ჰაემეტობის საკითხისათვის ქართულში (გვ. 177—180).
   - მ. როგავა, თ. მეტრეველი, ახალი მასალები ორობითი რიცხვის საკითხისათვის ხევსურულში (გვ. 181—188).
   - კრიტიკა და ბიბლიოგრაფია (გვ. 189—221).
   - ა. შანიძე, იოანე ოქროპირის ჟამისწირვის ძველი რედაქცია (გვ. 189—196).
   - ა. შანიძე, ღვთისმშობლის ზეცად ამაღლებისათვის (გვ. 197—200).
   - ი. იმნაიშვილი, „ცისკრის" ენა (გვ. 201—221).

20. კრებული. თბ., 1977. მიეძღვნა აკაკი შანიძეს მისი დაბადების 90-ე წლისთავზე.
   - ა. შანიძე, იაკობის პირველსახარების ხანმეტი ნაწყვეტები (გვ. 7—35)
   - ლ. ბარამიძე, პირველი თურმეობითის წარმოების ზოგი თავისებურება ქართული ენის მთის კილოებში (გვ. 37—51).
   - კ. დანელია, ევთალეს სტიქომეტრიის ძველი ქართული რედაქციები (გვ. 53—149).
   - რ. ენუქაშვილი, „პრედიკატული განსაზღვრების" საკითხი ძველ ქართულში (გვ. 151—164).
   - ი. იმნაიშვილი, ტბეთის ოთხთავი. გამოკვლევა და ტექსტი (გვ. 165—231).
   - ლ. კიკნაძე, შუალობითი კონტაქტის ფორმები ხევსურულში (გვ. 233—244).
   - მზ. შანიძე, უნჯაკალ სიტყვის განმარტებისათვის (გვ. 245—247).
   - ზ. ჭუმბურიძე, კნინობითი სახელები სვანურში (გვ. 249—255).

21. სვანური ენის ქრესტომათი, თბ., 1978. ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქალდანმა და ზ. ჭუმბურიძემ, ა. შანიძისა და მ. ქალდანის რედაქციით (გვ. 367).

# ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

წინასიტყვაობა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . გვ. 5

I. ხელნაწერთა აღწერილობა . . . . 7

- 1. ურბნისის ოთხთავი . . . . 7
- 1. პალესტინური ოთხთავი 29
- 3. ვანის ოთხთავი . 52
- 4. ეჩმიაძინის ოთხთავი 61
- 5. გელათის ოთხთავი 68

II. ქართული ოთხთავის გამოცემები 76

- 1. ვახტანგ მეფის გამოცემა . . . . . 76
- 2. ე. ბენეშევიჩის გამოცემა . . . . . 78
- 3. ა. ხახანაშვილ-ე. თაყაიშვილის ფოტოტიპიური გამოცემა . . . . . . . . 78
- 4. რ. ბლეიკის გამოცემა . . . . . . 78
- 5. ა. შანიძის გამოცემა . . . . . . 79

III. ეფთჳმეს რედაქცია 82

- A. ლექსიკა . 84
  - Ⴄ ႳႢ
  - ႤႢ Ⴓ 87
- B. სხვადასხვა ფორმები 89
  - ა) სახელები . . 89
    - a) ბრუნვები . . . . . . . 89
    - b) სახელის რიცხვი . . . . . . 92
    - c) ნაწილაკები და ნაწილაკიანი სახელები . 96
  - ბ) ზმნები . . . . 99
    - a) მწკრივები 99
  - Ⴄ ႳႢ 100
    - b) ზმნის პირები 103
    - c) ზმნის რიცხვი . 104
    - d) ქცევა . . . 106
    - e) გვარი . . 108
    - f) ტმესი . . 109
  - ႤႢ Ⴓ 111
  - ა) სახელები . . . . 111
    - a) ბრუნვები . . . 111
    - b) სახელის რიცხვი . . 114
  - ბ) ზმნები . . . . 115
    - a) მწკრივები . . . 115
    - b) ზმნის პირები . . 117
    - c) ზმნის რიცხვი . . 117
    - d) ქცევა . . . . 118
    - e) გვარი . . . . 119

C. Ⴄ უმატებს (+) 120
Ⴀ ႤႢ 120
D. Ⴄ აკლებს (—) 130
Ⴀ ႤႢ 130
ႠႢ Ⴄ 139
E. Ⴄ-ში გადასმულია (~) 141
Ⴀ ႤႢ 141
ႠႢ Ⴄ 150

IV. გიორგის რედაქცია 153

A. ლექსიკა 155
Ⴂ ႠႤ 155
B. სხვადასხვა ფორმები 167
Ⴂ ႠႤ 167
C. Ⴂ უმატებს (+) 175
Ⴂ ႠႤ 175
D. Ⴂ აკლებს (—) 195
ႠႤ Ⴂ 195
E. Ⴂ-ში გადასმულია (~) 214

V. ტექსტისათვის 244

ა) ეფთვიმეს რედაქციიდან 244
ბ) გიორგის რედაქციიდან 249
გ) ოთხთავის წინა გამოცემიდან 252
დ) დათქმული ნიშნები 255

VI. ოთხთავის ტექსტი (პარალელურად) 259

სახარებაჲ მათჱსი 259
სახარებაჲ მარკოზისი 365
სახარებაჲ ლუკაჲსი 431
სახარებაჲ იოვანჱსი 544

VII. ხელნაწერთა ფოტოპირები 629

VIII. ძველი ქართული ენის კათედრის შრომები 639

# ДВЕ ПОСЛЕДНИХ РЕДАКЦИИ ГРУЗИНСКОГО ЧЕТВЕРОГЛАВА

(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета
Тбилиси 1979

გამომცემლობის რედაქტორი მ. ჯანელიძე
ტექნიკური რედაქტორი ი. ხუციშვილი
კორექტორი დ. მანჯგალაძე

სბ 446

გადაეცა წარმოებას 29.XII.78. ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.06.79
უე 05667 საბეჭდი ქაღალდი $70\times108^1/_{16}$ პირობითი ნაბეჭდი
თაბახი 56,35 სააღრ-საგამომც. თაბახი 50,26

ტირაჟი 8000 შეკვეთის № 1946

ფასი 4 მან.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.